თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჟურნალისტიკის კათედრა

ნიკო ნიკოლაძე

თხზულებანი

პროფ. დ. მ. გამეზარდაშვილის
რედაქციით და შენიშვნებით

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა"
1963

სარედაქციო კოლეგია:

ვ. ბახტაძე, ი. ბოცვაძე, დ. გამეზარდაშვილი (მთავარი რედაქტორი).
ლ. გორგილაძე, ვ. ზამბახიძე, მ. ზანდუკელი, პრ. კეკელიძე,
თ. მაჰავარიანი, შ. რადიანი, ს. ხუციშვილი, ვ. შადური,
ჯ. ჰუმბურიძე

ნიკო ნიკოლაძე

თხზულებანი

ტომი მესამე

1872—1873

ტომი დასაბეჭდად მოამზადა და სახელთა
საძიებელი დაურთო მ. ი. კანდელაკმა

1872

Գ. Ալիշան

1. შარშან და შარშანწინ

(ისტორიული მიმოხილვა)

I

ომის მიზეზი — ნაპოლეონის ძალა საფრანგეთში — პრუსიის გაძლიერება — ომი — საფრანგეთის დამარცხების მიზეზები — რა რიგათ გაწყობილი იყო და რა ნაირათ მოქმედებდა ნაპოლეონის მმართველობა — რესპუბლიკის დაარსება — რაში მდგომარეობდა მესამე რესპუბლიკის სიძაბუნე — ჟულ-ფავრი — გამბეტა — როშფორი და „წითლები" — ბორდოს პარლამენტი — ეულობა პარიეში — კომუნა — მისი დამარცხება — ტიერი — ეხლანდელი მდგომარეობა პარტიებისა — საფრანგეთის მომავალი.

შარშან და შარშანწინ (1870-1871) ჩვენ მოწმეთ დავესწარით ისეთ ისტორიულ შემთხვევებს ევროპის ცხოვრებაში, რომლებზედაც დიდხანს ილაპარაკებს და ხშირათ დაფიქრდება შემდეგი შთამომავლობის ისტორია. მაგრამ ამ შემთხვევის ნამდვილი მნიშვნელობა, მათი აზრი და ძალა ჩვენ კარგა-ნათლად არ გვესმის. ყოველ ისტორიულ მოვლენას ისეთივე გავლენა აქვს დამკვირვებელის თვალზე და გრძნობაზე, როგორიც დიდრონ მთებს აქვს მოგზაურებზე: შორიდან სჩანს მთელი მთა, თავისი ღრუბლიანი წვერით, ტყიანი გვერდებით და ნორს-გაფენილი ძირით; მაგრამ რაც უფრო მიუახლოვდება კაცი ამავე მთას, მით უფრო და უფრო ნაკლებ ნაწილს მისას მოჰკრავს თვალს, ასე რომ თვითონ მთის ძირში კაცი მთას სრულიადაც ვეღარ ჰხედავს: მის თვალის წინ ცოტაოდენი ამაღლებული მიწის მეტი არა სდგას რა, და ეს ცოტაოდენი ამაღლებული მიწა მთელ მთას ჰფარავს. სწორეთ ამნაირათვე მოქმედებს კაცის გონებაზე ყოველი ისტორიული მოვლენა: რაც უფრო ახლო სდგას კაცი ამ მოვლენასთან, მით ნაკლებ შეუძლია მისი ნათლათ დანახვა და ახსნა. მისთვის აუცილებლათ საჭიროა ცოტაოდნათ მაინც მოშორდეს ამ მოვლენას, განზე გადგეს, შემოუაროს იმას და დააკვირდეს, რომ კარგათ დაინახოს ყოველი იმისი მხარე. უამისოთ ტყუილი დასწრება იქნება. მაშ ვეცადოთ, შარშანწინდელი და შარშანდელი ისტორიული მოვლენების ნათლათ დანახვა, გაგება და ასხნა.

რასაკვირველია, უმთავრესი მოვლენა და საქმე ევროპის ცხოვრებაში იყო ომი საფრანგეთსა და გერმანიას შუა. ამ უბედურ და უეცარ ომს ორი უმთავრესი მიზეზი ჰქონდა, რომლის გამოკვლევა მოითხოვს ძველი ამბების მოგონებას.

II

უწინდელ დროში თითქმის ყოველი ისტორიული ხალხის ცხოვრება იმრიგათ იყო გამართული, რომ თითოეულ პაწაწა მხარეს თავისი საკუთარი მთავრობა და არსებობა ჰქონდა. ყოველი პაწაწა მაზრის მცხოვრებლები თავ-თავისთვის ცხოვრებდენ, თავ-თავის მმართებლობას ემორჩილებოდნენ და თავ-თავის კანონებს იწესებდენ; დანარჩენი ქვეყანა მათთვის დახშული იყო, ისე როგორც თვითონ ისინი დახშული იყვნენ დანარჩენი ქვეყნისათვის. თითოეული მხარე შემოზღუდული იყო განუვლელი სამზღვრით, რომელიც სპობდა ყოველ მისვლა-მოსვლას და აღებ-მიცემას. ამ რიგათ გაცალ-ცალკევებულ მხარეებს შუა იყო ნიადაგი და დაუცხრომელი ბრძოლა: ხან ერთ მხარის მცხოვრებლები ესეოდენ თავზე მეორე მხარის მცხოვრებლებს, ხან მეორესი — პირველისას, და იყო ერთი უშველებელი ადამიანის და მისი ჭირნახულის ჟლეტა და წყვეტა. შემდეგში გარემოება ცოტ-ცოტათი შეიცვალა იმ რიგათ, რომ სხვა და სხვა მიზეზების და შემთხვევების გამო ზოგიერთი მხარეები შეერთდენ, ერთმანეთში ქიშპობა, ბრძოლა და გაცალ-ცალკევება მოსპეს და დააარსეს ერთი დიდი საერთო სახელმწიფო. თუმცა ამისთანა სახელმწიფოების მაგალითს ძველი დროებაც წარმოადგენდა, და თუმც შემდეგშიაც მოხდებოდა ხოლმე ძლიერი და საერთო სახელმწიფოების დაარსება, მაგრამ უმეტესი ნაწილი ამ სახელმწიფოებისა ნამდვილათ შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი არ იყო: მათში ე რ თ ი ხელმწიფე კი იყო, მაგრამ თითოეული მხარე უწინდელივით თავის საკუთარ ჩვეულებებს, წესს და კანონებს, თავის კერძო უფროსს ემონებოდა, და მისი ეკონომიური ცხოვრება სრულიად განსაზღრული და გაშორებული იყო სახელმწიფოს დანარჩენი ნაწილების ცხოვრებისაგან.

ამისთანა გაცალ-ცალკევება და შემოზღუდვა მეტის-მეტათ აწუხებდა მთელ ქვეყანას, და როცა წარსულ საუკუნეში საფრანგეთმა პირველათ გამოაჩინა მშვენიერი მაგალითი ნამდვილი და სამართლიანი შ ე ე რ თ ე ბ ი ს ა, როცა მთელ საფრანგეთისთვის დაწესდა

ერთი კანონი, ერთი მმართებლობა, ერთი წესი და სამზღვარი, მაშინ მთელი ქვეყნისთვის აშკარათ გამოჩნდა ერთობის და შეერთების სიკეთე და სარგებლობა. ნამდვილათ და ბეჯითათ შეერთებულმა ფრანცუზებმა იმოდენა ხეირი და დიდება ნახეს თავიანთი ქვეყნის და ხალხის ერთობაში, იმოდენა ძალა და სიმდიდრე შეიძინეს წვრილმანი სამთავროების და სამზღვრების მოსპობაში და ს ა ე რ თ ო სახელმწიფოს დაარსებაში, რომ ამ საუკუნოს დამდეგიდგანვე ქვეყნის ცხოვრებაში აღიძრა ერთი ახალი ძალა: — სხვა და სხვა მხარეების მცხოვრებლების ლტოლვა ერთმანეთთან შესაერთებლათ და ერთი საერთო სახელმწიფოს დასაფუძნებლათ. რადგანც, საზოგადოთ, ამნაირი შეერთება უფრო ხშირათ ხდებოდა ერთი და იმავე ტომის ხალხებს შუა, ამ ახალ ძალას მიეცა სახელათ — ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ლტოლვილება. ეს ძალა და ლტოლვილება პირველათ აღმოჩნდა მასაქეთია, რაც საფრანგეთის რევოლიუციამ ძველი წესის და მმართვის მაგიერ დააარსა ახალი სახელმწიფო წყობილება და ახალი სამოქალაქო სიმართლე, დაფუძნებული, კანონით მაინც, ყველას თანასწორობაზე კანონისა და სახელმწიფოს წინაშე.

უეჭველია, რომ რაც ერთ ქვეყანაში სახეირო გამოდგა, ის სხვა მეზობელ ქვეყნებშიაც აღძრავდა მიბაძვისა და გარდაღების სურვილს. მართლაც, საფრანგეთის მეზობლებიდგან იტალიამ მოინდომა და შინჯა ერთობის დაფუძნება, და ეს შინჯვა კიდეც გამოადგა, ამიტომ რომ იტალიის ერთობა დღეს დაფუძნებულია. გერმანიასაც, რასაკვირველია, არ შეეძლო ყრუთ და ბრმათ დარჩენილიყო, როცა მის ირგვლივ ერთობა თან და თან ახალ-ახალ მომხრეებს და დამაარსებელს შოულობდა და მალე გერმანიაშიაც, რომელიც ათას ნაირათ დაკუწული და დაცალ-ცალკევებული იყო წვრილმან მთავრებს შუა, აღიძრა შეერთებისა და საერთო სახელმწიფოს დაფუძნების სურვილი.

III

სანამ გერმანიაში და სხვა ქვეყნებში საფრანგეთის მაგალითი უფრო და უფრო მეტ მიმბაძავს პოულობდა, თვითონ საფრანგეთის ცხოვრება თან და თან წინ მიდიოდა და ახალ-ახალ წესს სინჯავდა და აარსებდა. რასაკვირველია, რომ ყოველი ცვლილება და გაუკეთესება ხალხის ცხოვრებაში დიდ მოძრაობას და ბრძოლას სტენს, რომელშიაც სხვა და სხვა ნაირი აზრები და პარტიები ერთმანეთს „ეჭიდებიან“ და გამარჯვებული პარტია და მიმართულება თავის აზრის დაგვარათ მართავს და აწყობს საქმეებს. როგორც ყოველი

ცოცხალ და მოძრავ ქვეყანაში, საფრანგეთშიაც ასპარეზზე გამოვიდა ორი უმთავრესი პარტია. იმათგანი ერთი თვალ-დახუჭულათ და ყურებ-დაცულათ იცავდა და ინახავდა ყველაფერს, რაც კი დაეტოვებინა მამაპაპურ ცხოვრებას, და სწავლას; ყოველი ცვლილება ამ ცხოვრებაში და ყოველი განახლება ამ სწავლისა ამ პარტიას მომაკვდინებელ ცოდვათ და საკუთარ დაღუპვათ მიაჩნდა. ამ პარტიის განსაკუთრებით ისეთი პირები შეადგენდენ, რომელნიც სხვა და სხვა უპირატესობის ძალით დიდ სარგებლობას პოულობდენ დაწესებულ ცხოვრებაში: მდიდარი მებატონეები, შემძლე ვაჭრები და კარის-კაცები, რომელნიც თავის თავს ძლიერ კარგ მდგომარეობაში გრძნობდენ, და ამის გამო ფიქრობდენ, რომ ეს მდგომარეობა ყველასთვისაც ჩინებულიაო. მეორე პარტიას უფრო „დაჩაგრულები" შეადგენდნენ, რომელნიც გაჭირვებით და ოფლის წურვით შოულობდენ სარჩენ საშუალებას და იმ აზრს ვერ ითვისებდენ, რომ სამართლიანია ისეთი წესი, რომელშიაც ყველაზე უფრო ნაკლები სიამოვნება და სარგებლობა რგებია იმას, ვინც ყველაზე მომეტებულს შრომობს და თითქმის ყოველნაირი სიამოვნება, დატკბობა და ხალისი მარტო იმათ მინიჭებიათ, ვინც სრულებით უსაქმოთ, უშრომოთ და უსარგებლოთ სცხოვრობს დედა-მიწაზე. — ამ პარტიის პირები ცდილობდენ სრულიად შეეცვალათ საფრანგეთის ცხოვრების წყობილება, და ისეთი წესი დაეარსებიათ საფრანგეთის სამოქალაქო და სახელმწიფო ცხოვრებაში, რომ თვითოეულ წევრს მისი ნიჭის და შრომის შესაფერი მდგომარეობა და სარგებლობა რგებოდა, და ყოველ კაცს სრული საშუალება ჰქონოდა ხელრიანათ შეემუშავებინა თავისი ბუნებითი ნიჭი და გონება. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამ ორს პარტიებს შუა შეუძლებელი იყო მორიგება, და მათი ბრძოლა მეტის-მეტათ გაფიცხებული უნდა ყოფილიყო. საფრანგეთის მმართვა და მისი ცხოვრების გაწყობა ამ ორ პარტიებში იმას ხვდებოდა წილათ, რომელიც მეორეს სრულიათ მოერეოდა და დასცემდა.

როცა ამ ორ პარტიას შუა გაცხარებული და სისხლის მღვრელი ბრძოლა და ომი იყო, როცა ორივე პარტიები დაქანცულები ერთმანეთს აკვდებოდენ და ზთელ საფრანგეთს ღალავდენ, ამოჰყო თავი ერთმა ახალმა მიმართულებამ, რომელმაც მოინდომა ესარგებლებინა ამ ორი ძლიერი პარტიების დაღალვით და ჩაეგდო ხელში საფრანგეთი, რომლის გულისათვის ორ მებრძოლ პარტიებს ერთმანეთის ხელები და ძალა გაკავებული ჰქონდათ. როგორც ზღაპარში მელა სარგებლობს ლომისა და ვეფხვის ბრძოლით, და იტაცებს იმ ირემს, რომლის გულისთვის ეს მხეცები ერთმანეთს აკვდებიან, ისე საფრან-

გეთში ამ მიმართულებამ მოინდომა საფრანგეთით სარგებლობა და მართლადაც ხელში ჩაიგდო ამ ძვირფასი ქვეყნის მმართველობა. ამ მიმართულებას მოთავეთ ჰყავდა ბონაპარტების მოდგმა.[1] ნაპოლეონების მოქმედება ნიადაგ და ყოველთვის იმისთანა იყო, როგორც ზემონახსენები ზღაპრის მელისა. ისინი სარგებლობდენ იმით, რომ მოწინავე და ძველ-მოყვარე პარტიები დაღალვით სულს ძლივს იბრუნებდენ და ამ პარტიების უკეთესი პირები მკვდრათ ეყარნენ ბრძოლის ველზე. ამ დაღალვით გამხნევებული, ნაპოლეონის მოდგმა სწყვეტდა ბრძოლას, ამშვიდებდა არე-მარეს, ჰკლავდა ყოველ ცხოველ სიტყვას და მოძრაობას; არწმუნებდა ბრძოლით დაღალულ ხალხს, რომ თუ მე არ ვიქენი, ხვალვე ხელმეორეთ უწინდელი ბრძოლა ატყდებაო და ამასობაში იძენდა მომხრეებს ფულების და შემოსავლიანი ადგილების დარიგებით, მოქრთამვით, მოსყიდვით და — სადაც ესენი არ გაუვიდოდა — დევნით, დატუსაღებით და სახელმწიფოდგან გაგდებით მტრებს მაინც იცილებდა.

რადგანაც ნაპოლეონების მიმართულება დამყარებული იყო ამნაირ მოქმედებაზე, იმას ყოველ თავის საქმეში ამნაირივე

ყოფაქცევა უნდა გამოეჩინა. თუმც, მართალია, დაღალული ხალხი ხშირათ ამ მიმართულების მადლიერი იყო, რადგანც ის ცოტაოდენ „მშვიდობიანობას“ აწესებდა, მაგრამ იმ ხალხს მაინც ესმოდა, რომ მშვიდობიანობა ბევრი არაფერია ცხოველი ხალხისათვის. ამისათვის ნაპოლეონის მიმართულება სძრავდა ხალხში სამხედრო დიდების გრძნობას, და ცდილობდა ეს გრძნობა როგორმე დაეკმაყოფილებია გარეგანი გამარჯვებით, რომ ამ გამარჯვებას ნაპოლეონის მოდგმისთვის შეეძინა ხალხის სიყვარული და ჯარის ერთგულობა, რომელიც ნაპოლეონებს მეტის-მეტათ სჭიროდათ თვითონ საფრანგეთის ხალხის დასამორჩილებლათ და მოსალაგმებლათ, და ყოველთვის, როცა საფრანგეთის შინაგანი საქმეები სძრავდენ საფრანგეთის ხალხში უკმაყოფილებას ნაპოლეონის მოდგმაზე, ეს მოდგმა ცდილობდა რამე გარეგანი ომი აეტეხა, რომ ზარბაზნების გრიალით შინაგანი უსიამოვნების ჩურჩული მოესპო... ამ ნაირათ მოქმედებდა, როგორც პირველი, აგრეთვე მესამე ნაპოლეონი.

ამ უკანასკნელ დროში, საფრანგეთის შინაგანი მდგომარეობა ნაპოლეონ მესამის მიზეზით, ძლიერ მძიმეთ შეიძრა, იმის გამო, რომ ნაპოლეონის ტვირთი შიგნით საფრანგეთში ძლიერ გაუძნელდა ფრანცუზებს, და თავისუფლების შემცირების ატანა იმათ ვეღარ შეიძლეს, უფრო მეტათ კი იმიტომ, რომ გარეგან საქმეებში ნაპოლე-

ონის მმართვა ორ-სამ ალაგს ძლიერ დამარცხდა. მექსიკაში, მაგალითად, მისგან დაფუძნებული იმპერია დაეცა, და მისგან დაყენებული იმპერატორი მაქსიმილიანი დახვრიტეს.* ევროპაში, პოლშის საქმეებში ნაპოლეონს სრულიად არა გაუვიდა რა, აგრეთვე როგორც დანიის და ზოგიერთ სხვა საქმეებში. პრუსიის გამარჯვებამ ავსტრიაზე, სამოცდა ექვსში, მეტის მეტათ გამოააშკარა ნაპოლეონის პოლიტიკის შორ-გაუტვრეტელობა, და შინაგან საქმეებში, ხომ დღე ერთი იყო, და დამარცხება და
ათასი. ამის გამო ნაპოლეონის ტახტი და ძლიერება თვით საფრანგეთში შეიძრა, მით უფრო, რომ ოცდა ორი წლის მოსვენებამ ხელახლავ ყუათზე და ჯანზე მოიყვანა ის პარტიები, რომლის ბრძოლამ და დაღალვამ საფრანგეთის ასპარეზი დაანება ნაპოლეონს და მის მომხრეებს. და რაკი ეს პარტიები ჯანზე მოვიდნენ და ახალ საბრძოლველათ დაემზადენ, ნაპოლეონის როლი გათავებული უნდა ყოფილიყო.

IV

ამ გვარ მდგომარეობაში ნაპოლეონმა განიზრახა ერობათ, ერთი „დიდებული" მოქმედებით გაემაგრებინა თავისი შერყეული ტახტი, და საფრანგეთის ყურადღება შინაგახი საქმეების მაგიერათ გარეგან, უცხო ქვეყნების დავიდარაბაზე მიექცია. ამ განზრახვით მოჰკიდა იმან ხელი გერმანიელების შეერთების სურვილს, და გამოეცვა გერმანიას ამ შეერთების მოსაშლელათ. მისი აზრით, დიდება იმაში მდგომარეობს, რომ თვითონ დიდი და ძლიერი იყო, და გარშემო უძლური და სუსტი ხალხი გერტყას. ამისთანა პირებისთვის, რასაკვირველია გაუგებარია ის გრძნობა, რომ ნამდვილი დიდება იმაში მდგომარეობს, რო პატიოსანი ადგილი გეკავოს და დიდი იყო დიდებში, და მათი პატივისცემით, სიყვარულით და ხახმარებით შემკული იყო. ეს გრძნობა საფრანგეთში ჩააყრუვეს, და მაგიერათ ათი ათას ნაირ კილოზე საფრანგეთს უმღერდენ და ეუბნებოდენ, ჩვენი დიდება დავკარგეთ, რადგანც სხვაც დიდებული ხდებაო. ამ ნაირათ — ერთის მხრით იყო გერმანიის შეერთების და ერთი „საერთო" გერმანიის დაფუძნების სურვილი, მეორე მხრით — საფრანგეთის წაქეზება, ამ სურვილის წინააღმდეგ, შერყეულის ტახტის გასამაგრებლათ. ამ ორმა მხარემ შეადგინა შარშანწინდელი ომი და დაბადა საშინელი სისხლის ღვრა და ბევრი უარესი უბედურება.

შეტაკება მეტათ საზარელი და საშინელი იყო. მაგრამ თან მეტის-ძეტათ აზრიანი და ჭკუაზედ დამყენებელი. ბრძოლის ველზე

გამოვიდა ორი მოწინააღმდეგე. ერთი მათგანი — წელან აწერილი იყო ზემოთ, რომლის მთელი სისტემა დაფუძნებული იყო ქვეყნის თვალის ახვევაზე და დატყუვებაზე. ამ სისტემას მთელი კაცობრიობა უაზრო და თან ბილწიერ ქმნილებათ მიაჩნია, და ჰგონია, რომ ქვეყანაზე ყველაფერის გარიგება შეიძლება ფულით, ქალაჩუნობით და ძალდატანებით. იმას არ სწამს, რომ კაცის გულში ისეთი გრძნობა ბუდობს, რომელიც აღიძრება მხოლოთ პატიოსანი მიზნისთვის, როცა ამ პატიოსან მიზნისკენ გზას უჩვენებს პატიოსანი ხელი; იმას არ სწამს, რომ ამ კეთილ გრძნობას დიდი საკვირველი ძალა აქვს, რომ მისი დათრგუნვა მეტის-მეტათ ძნელია, და მისი აღძრვა თითქმის ყოველთვის ჩინებულ ნაყოფს იძლევა კაცობრიობის ცხოვრებისთვის.

მეორე მოწინააღმდეგე სულ სხვა კალაპოტზე იყო ჩამოსხმული. ეს მტკიცეთ დარწმუნებული იყო, რომ მისი მიზანი—გერმანიის ერთობა—პატიოსანი და სასარგებლო საქმე იყო, რომ ამ მიზანს სდევდა მთელი გერმანიელი ხალხი და მის მისაღწევლათ თავის სიცოცხლეს და ქონებას არ დაზოგავდა, და რაკი ამ მიზნის მიღწევა კეთილი და პატიოსანი გრძნობის აღძრას თხოულობდა, მმართებლობა არა თუ არ უშლიდა გერმანიელ ხალხში იმ გრძნობის აღძრას, მაგრამ თვითონაც ცდილობდა მის გავრცელებას. თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ამ მმართებლობას ნიადაგ ის ჰქონდა მიზნათ, რომ ხალხის ძალა და სიმდიდრე გაედიდებინა და ამ ძალისთვის და სიმდიდრისთვის პატრონულათ მოევლო. ის ცხოვრობდა ქეიფისთვის და სიამოვნებისთვის კი არა; ის ფიქრობდა, რომ არსებობს ხალხისთვის და მისი სიკეთისთვის, და არა ხალხი არსებობს მის სიამოვნებისთვის.

ამის გამო ეს ორი მოწინააღმდეგე გამოვიდა ბრძოლის ველზე სულ წინააღმდეგ მდგომარეობაში: გერმანია აღმტაცი გრძნობით აღვსილი, ნასწავლი, დახელოვნებული, გაწაფული, ბრძოლისთვის ჩინებულათ მომზადებული და დაიარაღებული, იდგა იმედით სავსე თავის ხელმძღვანელებზე. მეორე მხრით იდგა დაბრმავებული, უსწავლელი, წინამძღოლებზე გულ-აყრილი და დაუნდობელი საფრანგეთი. რაღა თქმა უნდა, რომ შეტაკება იმისთანა მოწინააღმდეგეებს შუა თავდაპირველათვე უნდა გათავებულიყო საფრანგეთის დამარცხებით.

საფრანგეთის ჯარის დამარცხებამ ერთბაშათ მოჰკვეთა საფრანგეთში ნაპოლეონის ძალა: მისი ტახტი დაეცა ისე, რომ თითქმის არცერთი თოფი არ გავარდნილა არც მის დასამხობლათ, არც მის დასაცველათ. ნაპოლეონის მაგიერ პარიჟის ხალხმა საფრანგეთის

მმართვა და დაცვა ჩააბარა რესპუბლიკის პარტიის ზოგიერთ წევრებს, მაგრამ იმისთანაებს, რომელთაც სახელი, მართალია, რესპუბლიკისა ერქვათ და საქმით კი სრულიად ძველი წესის და მოქმედების მომხრენი იყვნენ.

ჟულ ფავრი, ჟელ-სიმონი და მათი მომხრენი იმისთანა მიმართულებას ეკუთვნიან, რომელსაც კაცი თითქმის ყოველ საზოგადოებაში შეხვდება. სიყმაწვილეში იმათ მოეწონათ ლიბერალური (თავისუფლების მოყვარე) პარტიის აზრები, და რესპუბლიკის დიდება და წესი. მათ აზრში, ეს წესი ჩინებული რამ იყო; მაგრამ ცხოვრება ნიადაგ და ხშირათ უმტკიცებდა იმათ, რომ რესპუბლიკის წესის ქვეყანაზე დაფუძნება ძნელი საქმეა, რომ ქვეყნის ცხოვრება ბევრ დაბრკოლებას წარმოუდგენს რესპუბლიკურ აზრს. ამათ გაიგეს, რომ იდეალსა და ნამდვილ ცხოვრებას შუა ძლიერ დიდი განხეთქილება იყო, და ამ განხეთქილებამ, ამ იდეალის და ნამდვილი ცხოვრების უთანხმოებამ ფრთები მოჰკვეთა იმათ ლტოლვილებას.

V

ყველას გაუკვირდა შარშან ის გარემოება, რომ როდესაც საფრანგეთსა და პრუსიას შუა ომი გათავდა, ომი რომელმანც თითქმის ნახევარი საფრანგეთი ააოხრა, ამ ქვეყანაში არც შიმშილობა ჩამოვარდნილა და არც მაინცა და მაინც შესანიშნავი სიღარიბე. მაგრამ ამაზე უფრო გასაკვირველი კიდევ ის იყო, რომ გათავდა თუ არა ეს უბედური ომიანობა, საფრანგეთმა იმდენი ღონის-ძიება აღმოიჩინა, რომ ორი მილიარდი კონტრიბუციის ფული გარდაუხადა გერმანიას. ყველა ამბობდა მაშინ, რომ საფრანგეთი ძლიერ მდიდარი ქვეყანა არისო. ამაზე რისამე წინააღმდეგის თქმა, მართლაც რომ არ შეიძლება: საფრანგეთი როგორც თავის ბუნებით, აგრეთვე თავის მცხოვრებლებით ძლიერ მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ ამ მდიდარ ქვეყანასაც გამოაჩნდა ახლა, რომ ომიანობამ ძლიერ საგრძნობელი ზიანი მოუტანა იმას: საფრანგეთის ფინანსის მინისტრმა გამოიანგარიშა, რომ ამ 1872 წელს საფრანგეთს ბევრით უფრო მომეტებული გასავალი ექნება, ვიდრე შემოსავალი. ამის გამო ნაციონალურნა კრებამ ზოგიერთ ნივთებს, რომელიც საფრანგეთში შემოაქვთ და იქიდამ გაქვთ, მოუმატა გადასახადი — ბაჟი. მაგრამ ამ წლის შემოსავალი-გასავლის გათანასწორებას ეს ბაჟის მომატება არ ეყო. საჭირო კიდევ 250.000 მილიონი ფრანკი და ამ ფულების მოპოებაზე ამ უკანასკნელ დროს საფრანგეთის ნაციონალურ კრებაში გაცხა-

რებული ბაასი გაიმართა. ფინანსის მინისტრმა შეიტანა კრებაში წინადადება, რომ საფრანგეთის შეუმუშავებელ ნივთებს მოუმატოთ ბაჟიო. იანვრის 7-ს ტიერმა სამი საათის განმავლობაში ილაპარაკა ამ ახალი გადასახადის სასარგებლოდ. სხვა დეპუტატები ამბობდნენ, რომ ეს გადასახადი ყველაზე უფრო ღარიბებისთვის იქნება საგრძნობელიო და ამიტომ სჯობს, ისეთს საგანზე დავადვათ გადასახადი, რომელიც უმისოთაც გაჭირვებულს ღარიბ ხალხს არ შეავიწროებსო, ამბობდნენ სახლებზე დავადვათ გადასახადიო. მაგრამ ტიერი რაც ღონე და ძალა ჰქონდა ეწინააღმდეგება ყოველ საკუთრებაზე გადასახადის დადებას. იმან პირდაპირ სთქვა ნაციონალურ კრებაში და ამით შეაშინა წევრები, რომ „საკუთრებაზე გადასახადის დადება — სოციალიზმი იქნებაო". ერთმა დეპუტატმა, ფერრემ, შემდეგი წინადადება შეიტანა ნაციონალურ კრებაში: ამოვირჩიოთ ისეთი კომისია, რომელმანც მონახოს ღონისძიება სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის გათანასწორებისა; თუ ამ კომისიამ ვერ მონახა ასეთი საშუალება, მაშინ ისევ იმ წინადადებაზე დავდგეთ, რომელსაც ტიერი ბვირჩევს, ე. ი. შეუმუშავებელ საქონელს დავადვათ ახალი ხარჯიო. ნაციონალური კრება დაეთანხმა ფერრეს წინადადებას და უარი სთქვა ტიერის წინადადებაზე.

ამ გარემოებას ისეთნაირათ გაუჯავრებია მინისტრები, რომ როგორც პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილი ტელეგრამმები გვაცნობებს, ისინი შეკრებილან ვერსალში და ყველას დათხოვნის ქაღალდი მიუცია ტიერისთვის. ტიერს თავის მხრით გამოუცხადებია, რომ რადგანაც ჩემსა და ნაციონალურ კრებას შუა ასეთი უთანხმოება სუფევს მეც ვანებებ თავს პრეზიდენტობასაო. ამ ამბავს შეუშინებია ნაციონალური კრება: იმწამსვე დეპუტაცია გაუგზავნიათ ტიერთან, რომელსაც უთხოვნია, რომ ასე უდროო დროს პრეზიდენტობას თავს ნუ დაანებებო და ხარჯის დადებაზე ჩვენსა და თქვენს შორის უთანხმოებას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვსო. ტიერს მოუსმენია ნაციონალური კრების დეპუტაციის თხოვნა, და გამოუცხადებია, რომ ის თანახმა არის დარჩეს ისევ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტათ. მინისტრების დათხოვნის თაობაზე კი იმას არაფერი არ უთქვამს.

---

2. იმერეთის ამბები

ახალ-ახალი ამბები თუ გინდათ, იმერეთში მოიკითხეთ: რამდენიც გნებავთ, იმდენი მოგერთმევათ; მერე რა და რა ნაირი! მოსაწყენი, შნოიანი თუ უჟამური — ყოველგვარის მოთხოვნა შეგიძლიათ. ერთი სიტყვით — ვდუღვართ ამბებით და მათი ქაფი (ლაფი არ წაიკითხოთ) თავზე გადმოგვდის. აბა, ეხლა ვისაც გული ერჩის, მოვიდეს და გვითხრას ჩვენი ცხოვრება უმოძრაო და ხავს-მოკიდებულიაო... აბა, გაბედოს!

მოვყვეთ სხვილ-სხვილი, ტრაგიკული ამბებით; კომიკურს მერეც მოვესწრებით, თუნდა ცეკვაც რომ დაგვჭირდეს, დივერტისმენტათ. ფოთში ცხოვრობდა ერთი ინგლისელი ინჟინერი, ს უ ი ნ ს ო ნ ი, რომელიც გვარიანათ შეძლებული იყო და სხვა და სხვა მუშაობას იღებდა თავის თავზე ფოთის გასაშრობლად და გასალამაზებლათ. ერთ ბნელ საღამოს ფოთელებმა გაიგეს, რომ ამ ინჟინრისთვის ვიღაცას ყელი გამოუჭრია, როცა ის შინისკენ მიდიოდა. შეიქმნა ამაზე გამოძიება: პოლიცია ცალკე მოედო ამ საქმეს, გამომძიებელი — ცალკე; ეძებეს, ჩხრიკეს, გამოიკითხეს, მაგრამ მკვლელისა მაინც ვერა გაიგეს რა, და ბოლოს საქმე მიატოვეს. მაგრამ ინგლისელებმა მაინც თავი არ დაანებეს გამოძიებას, დიდი საჩუქარი დაუნიშნეს იმას, ვინც მკვლელს აღმოაჩენდა, თვითონაც ძლიერ დაფაცურდენ, და როგორც იქნა გამოძებნეს ცოტაოდენი კვალი. წარმოიდგინეთ, რომ ამ საქმეში გვარიანათ გახვეული ყოფილა ერთი რაჭიდამ გადმოსახლებული კაცი — ჭ., რომელიც დღეს ქუთაისის საპყრობილეში სასტიკათ დაჭერილი ზის.

ამ საქმეზე ეხლა დიდი გამოძიება არის, და იქნება ნამდვილი სიმართლე აღმოჩნდეს როდისმე. მანამდის, რასაკვირველია, ჭეშმარიტს კაცი ამ საქმეზე ვერას იტყვის, „ამბობენ"-ის მეტს. ეხლაც „ამბობენ", ვითომ ჭ-ს და მის ძმას მოკლულის ნივთები უნახესო, ვითომ ჭ-ს მოკლულის ფული მართებია, და თავისი თამასუქი გაუქარვებია, როცა მისი სახლის გამოსაძიებლათ მისულან, ვითომ მკვლელი ციმბირიდამ გამოქცეული ჭ-ის ყმა ყოფილა და ის დიდხანს ჭ-ეს თავის სახლში დამალული ყოლია, მერე კი პასპორტი უშოვნია და

ფოთიდამ გაუქცევია ბევრს სხვა რამესაც ამბობენ, მაგრამ მარტო-ლია ეს ყველაფერი თუ არა, ვინ იცის.

ჩემის აზრით, ამ საქმეში შესანიშნავი აი რა არის: ჭ-ე აგერ რამ-დენიხანია შესამჩნეველ ადგილზე იყო: ყველამ იცოდა, რომ ის რა-ჭიდამ ცარიელი ჩამოვიდა და სამი-ოთხი წლის განმავლობაში,

იმოდენა შეძლება შეიძინა, რომ წელიწადში ოთხასი-ხუთასი თუმნის შემოსავალი ჰქონდა. მისი მოქმედება ყველასთვის ადვილათ დასა-ნახი იყო, და ჩუმჩუმათ მე ბევრისაგან გამიგონია — „დიდი გაქნი-ლი კაციაო". მაგრამ, თუმც თითქმის ყველანი ამას ფიქრობდენ და ჩუმათ კიდეც ამბობდენ, იმას მაინც დღემდი მოქმედების ასპარეზი არ შევიწროებია. რისგან მოხდა ეს? რისთვის მოხდა ისიც, რომ რა-საც თითქმის ყველა ჩუმათ ფიქრობდა, რაშიაც თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, არავისგან ხმამაღლა არ გამოითქვა და არა-ვისგან ნამდვილ ყურადღებაში არ მიიღო? განა საჭირო იყო საბრა-ლო სუინსონის სისხლი და ყელის გამოჭრა იმის დასამტკიცებლათ, რაშიაც ყველა დაჯერებული იყო? ნუ თუ ყოველთვის ნამდვილი იქ-ნება ერთი ფილოსოფოსის სიტყვა, რომელმაც თქვა, რომ კაცი ისე-თი ბრმა და უგუნურია, რომ სანამ მის თვალს წინ სისხლი არ და-ინთხევა, ის თვალს ვერ აახელს ჭეშმარიტებისთვისო? თუ ეს ასეა და, ჩვენ დიდი მსგავსება გვქონია ველურ ცხოველებთან, რომლე-ბის დაძვრა მარტო მაშინ შეიძლება, როცა მათ თვალების წინ ალის-ფერ რასმე დაატრიალებენ...

მე კიდევ ამ ამბავს ვერ მოვცილდები, სანამ ერთ შენიშვნას არ ვიქმ. რაკი ჭ-ე დაიჭირეს, რაკი გუშინდელ პატივნაცემ კაცს დღეს ფეხი და ბედი გადაუბრუნდა, ყველა აღტაცებაში მოვიდა და გან-ცხრომით იმეორებს: „მასე ეკადრებაო". ვთქვათ, რომ ეს სიხარული საფუძვლიანია, თუმც ხეირიანი კაცის შესაფერი კი არ არის, მაგ-რამ ეს მიბრძანეთ: მიაქცია ვინმემ თუ არა ყურადღება ამ მაგალი-თის ს ა ზ ო გ ა დ ო მნიშვნელობაზე. დაიჭირეს უბედური ჭ-ე. კარგი და კეთილი; დასჯიან იმას სასტიკათ — კარგი და პატიოსანი, მაგრამ ამით უნდა გათავდეს განა ეს საქმე? ნუ თუ არ უნდა და-ფიქრდეს კაცი იმაზე, რომ დროა სასხმინდლოთაც მოესპოს ამ რიგი მოქმედების შეძლება მაგნაირ კაცებს?..

მივატოვოთ, თუ ღმერთი გწამსთ, ეს ამბავი, თორემ ის იმისთა-ნაა, რომ ძლიერ შორს წაგვიყვანს და შეგვატოპინებს. მეორე ამბა-ვისკენ გადავიდეთ.

ჩვენი რკინის გზის კამპანიას გამოუტანებია ერთი თავის მოსამ-სახურე პირისთვის ოცდა თუთხმეტი ათასი მანეთი. რომელიც იმას

გორში უნდა ჩაებარებინა სხვისთვის. ამდგარა ეს კაცი, მოსულა ქუთაისს და გაუკრავს ხელი ფულისთვის: მოუნდომებია სამზღვარ გარეთ გაპარვა. გუშინ ის ზუგდიდიდან ხელ-ახლავ ქუთაისს დაბრუნებულა, და აქ ერთ ფურგუნში, თივაში გახვეული მოძებნეს. თურმე მეფურგუნეს გაეცა, ეთქვა, ერთი ვიღაც იმალება ჩემ ფურგუნში, ალბათ რასმეში დანაშაული უნდა იყოსო. მოკიდეს ამ უხეიროო ქურდს ხელი, და გაუსაჭეს საპყრობილეში.

ეხლა მეც კი ვიტყვი: „ახია მისთვის-მეთქი!" ქურდობა ქნას კაცმა, მერე რკინის გზაზე ამისთანა მცირე ფულისთვის, და მერე კიდევ ასე უხეიროთ — დანაშაულობა ამაზე უარესი იქნება?! მოეცადა იმ უბედურს, ემსახურა ლმობიერათ, მიეღო გვარიანი ადგილი და მაშინ ყველაფერი მის ხელში არ იქნებოდა! მაშინ იმას „ქურდობა" როდი დაჭირდებოდა,
იჯდებოდა ის მაშინ „პატიოსნათ", მშვენიერათ მორთულ... სადგომში, ახია, ახი და ახი, დამიჯერეთ. იმას კი, მართალია, ეხლა ჭკუის სწავლება აღარ გამოადგება, მაგრამ ვთხოვ, სხვებმა ყურადღებაში მიიღონ ეს ჩემი სიტყვები, თუ სურთ, რომ მოთმინებითა თვისითა მოიპოვონ შემდეგში ათი ათასობით ფულის მოპოვების შეძლება.

დამიჯერონ, რომ მოხერხება დიდი და სასარგებლო რამ არის ყველასთვის, ვისაც ოცდა თუთხმეტი და ორმოცი ათასი მანეთის მოპოება სურს. ხომ იცით, რას ამბობს ჩვენი პოეტი:

„გაქნილობა რომ გაუდის, ჭკუის ხმა აქვს დავარდნილი!"[3]

ეს რომ ცოდნოდა იმ ბედშავ ქურდს, სულ სხვა ნაირათაც მოიქცეოდა და სხვანაირი ბედიც ექნებოდა, და ფულიც ეხლა ს ა ნ ო ნ ი ე რ ა თ იქნებოდა მის ჯიბეში...

რადგანც მუსაიფი „ათასებზე" ჩამოვარდა, ორიოდე სიტყვას გეტყვით უფ. ნოვოსელსკის საჩივარზე, ტყიბულის საქმეზე. ქუთაისის ოლქის სასამართლომ ეს საქმე ისე გადაწყვიტა, რომ მიანიჭა უფ. ნოვოსელსკის ორმოცი ათასი მანეთი ჯარიმის ფული, და თორმეტი ათასი ბეს ფული, იმ საფუძვლით, რომ თვითონ მეპატრონეებს უნდა შეედგინათ ნასყიდობის წერილი და ჩაებარებიათ ნოვოსელსკისთვისო. შესანიშნავი იყო ის სხდომა, რომელშიაც ეს საქმე გადაწყდა. ნოვოსელსკის ვექილათ იყო უ. რეიტერი, რომელმაც ძლიერ ვრცლათ და შნოიანათ ილაპარაკა იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ ნოვოსელსკის მხრით მარტო სურვილის გაცხადება კმაროდა ნასყიდობის (კუპჩის) მიღებისაო, და დანარჩენი საქმე მთლათ გამყიდველებს უნდა ეწარმოებიათო. გამყიდველების მხრით იყო უფ. ნიკოლაძე, რომელმაც არც „სიტყვა" თქვა შნოიანი, არც ვრცლათ

ამტკიცა და არაფერი: ჩემ შემოტანილ ქაღალდშია მოხსენებული ყველაფერი ჩემი სათქმელი საბუთებიო. ორი სამი სიტყვით კი დაამატა, რომ კუპჩის დამტკიცება კანონით შეუძლებელია, სანამ მყიდველიც ზედ ხელს არ მოაწერსო, და თუ ნოვოსელსკის ვექილმა არ მოაწერა ხელი, გამყიდველებს კუპჩის შესრულება რა ნაირათ შეეძლოთო. უფ. ნიკოლაძე იმას ცდილობდა, რომ გამოეხატა ნოვოსელსკის მოქმედების ხასიათი, მაგრამ სასამართლომ ამის ნება არ მისცა, იმ მიზეზით, რომ ეს საქმეს არ შეეხებაო. ჩემს აზრს მთელ ამ საქმეზე მე სხვაგან გამოვთქვამ; ეხლა კი იმის თქმა შემიძლია, რომ უფ. ნიკოლაძის სურვილი ნოვოსელსკის მოქმედების აწერისა სრულიათ „უსაფუძვლოთ" მიმაჩნია. ვითომ რა? ეთქვათ იმას ნამდვილათ დაემტკიცებია ნოვოსელსკის მოქმედების ხასიათი;
სასამართლო მარტო იმაზე აქცევს ყურადღებას, შეასრულა თუ არა ნოვოსელსკიმ ყოველი ფორმალური მოქმედება, რომელსაც თხოულობს კანონი; თუ შეასრულა, ან თქვა, რომ შევასრულეფო, —ნათელია — რომ მართალი ყოფილა,
ამის გამო მე სრულიათ მომწონს, რომ უფ. ნიკოლაძეს ნოვოსელსკის მოქმედების ხასიათზე სამართლისაგან ლაპარაკის ნება არ მიეცა.

თფილისელი საზოგადოებაც მალე დაესწრება ამ საქმის განხილვას, ამიტომ რომ როგორც გავიგონე, ის მალე გადაიტანება პალატაში, აპელიაციის წესით.

ყველაზე შესანიშნავია ამ საქმეში ის აღტაცება, რომელიც აღძრა ჩვენ საზოგადოებაში ამ საქმის გადაწყვეტამ. საზოგადოთ თითქმის ყველა კმაყოფილი დარჩა განჩინებით, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზდა იურისტები და სწავლულები, რომელნიც ისეთი მხურვალე მოყვარულნი არიან სამართლის და ჭეშმარიტებისა, რომ ძლივსღა შეიკავეს თავი სიხარულისაგან სასამართლოში... მაგიერათ შემდეგში კი დააკმაყოფილეს თავისი აღტაცებული გრძნობა. მოდით და თქვით ამის შემდეგ, რომ ჩვენ საზოგადოებაში წმინდა და უმანკო გრძნობა არ იპოებაო: იმას ხომ მაინც ვერავინ იტყვის და იფიქრებს, რომ ამ აღტაცებულ მხიარულებას რამე სარგებლობის ანგარიში ჰქონდეს. მართლა, ან ნოვოსელსკის გამარჯვება რას შემატებდა იმათ, ან ნიკოლაძის დამარცხება რას არგებდათ? მაშ თაყვანი ვსცეთ იმათ წმინდა გრძნობასა და მიულოცოთ ყოველ ჩვენს კეთილისმყოფს იმისთანა პირების გამრავლება ჩვენ ქვეყანაში, რომელნიც უმანკო გრძნობით ივსებიან სამართლიან საქმისთვის და უანგარო დახმარებას აძლევენ ყოველ სასარგებლო და წმინდა საქმეს.

---

3. ბანკის საქმე ჩვენში

წელიწად-ნახევარია მასაქეთ, ჩვენ დავბეჭდეთ „დროებაში“ (1870 წ. № 17) ვრცელი სტატია „ბანკის თაობაზე“. იმ დროს ბანკის საჭიროება ჩვენ ქვეყანაში გვარიანათ ნაგრძნობი იყო ყველასგან, მაგრამ ისე ძლიერ კი არა, როგორც ეხლაა. დღეს ჩვენი საზოგადოების მდგომარეობა — განსაკუთრებით ფულის საჭიროებაში — მეტის მეტათ გაჭირვებული და მოუთმენელია. საითკენაც უნდა მიიხედოს კაცმა ჩვენში, იმას ყოველგან ერთი და იგივე სანახავი ხვდება. ყოველგან საჭიროა ადგილ-მამულის მოვლა, პატრონობა და განსაკუთრებით მისი შემუშავების გაუმჯობესობა; ყველა მხრით საჭიროა ამ საქმისათვის ხარჯი და ხარჯი, და ფული კი, ამ ხარჯისთვის კი არა, აუცილებელი საჭიროების და მოუთმენავი ვალების გადასახდელათაც არსად იპოება. ამ უშოვნელობას და საჭიროებას ეხლა ჩვენში აღარავინ მალავს; ნიადაგ ყველასგან ისმის „ფული მჭირია“, „ნეტავი ფული სად ვიშოვო“, „აქვს ამა და ამ კაცს გასასესხებელი ფული, თუ არა“, და სხვა ამ გვარივე კითხვები. და ვინც ამ დაუთვალავ ფულის მეძიებელთაგანი რამდენიმე თუმანს სასესხებელს იშოვის სადმე, ის თავის თავს ისე ბედნიერათ სთვლის, თითქო ეს ფული მოეგოს, ან ეპოვოს სრულ საკუთრებათ. ფულის სარგებელზე, ხომ, რაღა ითქმის: ის იმსიდიდეა, რომ თითქმის არც ერთი საქმეარ იხეირებს, თუ მის გასაწყობლათ თავდაპირველშივე იმოდენა სარგებლის ტვირთი უნდა დააწვეს, რაც სხვა ქვეყნებში დიდ, უშველებელ სარგებლათ მიიჩნიათ — ორი შაური — ეს ჩვენში უბრალო და უმნიშვნელო რათმე ითვლება. ჩვენში დღეს ფულის მაზანდა ბუთი, ექვსი შაურია, და არც ორი აბაზის სარგებელია იშვიათი სანახავი. როცა „საღი კაცები“ ამნაირ სარგებელს იძლევიან, რაღა გასაკვირველია, რომ სხვებს ორ ამდენსაც ახდევინებენ ხოლმე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არავინ გადაჭარბებას არ შეგვწამებს, როცა ვიტყვით, რომ დღეს მთელი ჩვენი ადგილ-მამულის შემოსავალი ძლივს აუდის ჩვენი საზოგადოების ვალების სარგებლის გარდახდას. ეს სამწუხარო მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება.

პოლიტიკური ეკონომიის და საზოგადოების ცხოვრების კანონები იმრიგათვე აუცილებელი და შეურყეველი არიან, როგორც თვით ბუნების კანონები. როგორც ამ ბუნების კანონების ძალით კაცი რამდენიმე წამის მეტს ვერ გასძლებს, წყალში რომ თავიანათ ჩაიყურყუმალოს, აგრეთვე ვერც საზოგადოება და ვერც კერძო პირი ვერ იცხოვრებს დიდხანს ვალის აღებით, თუ მისი შრომის ან მამულის შემოსავლიდგან, ვალის სარგებლის გარდახდის ვადა, იმოდენა კიდევ არ დარჩა, რომ თავის საკვებად ჰყოფნიდეს. ყოველთვის, როცა აღებული ვალი ვალის ამღების მამულს არ აუმჯობესებს. ესე იგი, იმის შემოსავალს არ ადიდებს, ვალი კაცის დამღუპველია. ადრე თუ გვიან ის ანგარიშს შეუშლის კაცს, დაუბურდავს მის საქმეს და მეხსავით დაეცემა თავზე გარდახდის ვადაზე. ეს პოლიტიკური ეკონომიის კანონები შეუცველელი არიან, და ვალის აღება და ვალის საქმე ნიადაგ და ყოველგან ემორჩილება იმათ. ამის გამო შეუცდომლად შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ჩვენი საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობა ამ მოკლე ხანში უნდა შეიცვალოს, რადგანაც ამისთანა ძნელი, „გაჭიმული“ მდგომარეობა დიდხანს ვერასოდეს ვერ სძლებს; და როგორც ავადმყოფობის დროს ყოველი ამნაირათვე „გაჭიმული მდგომარეობა“, ესე იგი „კ რ ი ზ ი ს ი“ მალე თავდება ან ავადმყოფის სიკვდილით, ან მისი ნელი გამომთელებით, სწორედ ამრიგათვე ჩვენს საზოგადოებას ამ მოკლე ხანს ან სრული ეკონომიური დაღუპვა ელის, ანდა ნელ-ნელი და მძიმე გამომთელება, ყუათზე და ღონეზე მოსვლა, — ესე იგი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა.

როგორც ავადმყოფობისთვის ნაპოვნია მრავალი სხვა და სხვა გვარი საშუალება, რომლის ძალით ავადმყოფობა ხან წაღმა და ხან უკუღმა ბრუნდება, და ავადმყოფი კარგი მოვლით და ექიმობით რჩება, ან უფრო დიდხანს ცხოვრობს, ისე ეკონომიური ცხოვრებისთვისაც მოძებნილია და გამოკვლეულია სხვა და სხვა გვარი საშუალებები გაჭირვებულ მდგომარეობაში გამოსაყენებლად. ერთჯერ და ორჯერ კი არ მომხდარა მარტო, რომ ჩვენ საზოგადოებაზე უარესს მდგომარეობაში მყოფი ხალხი ჩინებულათ გამოსულიყოს თავის გაჭირვებისაგან და შემდეგში შესანიშნავი ძალა და შეძლება შეეძინოს: ამისთანა მაგალითებს ათასობით გვიჩვენებს ჩვენ ჩვენი დროების ისტორია. და რადგანაც ჩვენ დღეს ვერც ჩვენს ავადმყოფობას დაუმალავთ ვისმე, ვერც ჩვენ თავათ, ჩვენი ჭკუით, გამოვძებნით ისეთ რასმე, რომ ამ გაჭირვებაში გამოგვადგეს, ჩვენ აუცილებლად უნდა მივაკითხოთ ჩვენი შველის ამბავი სხვა, უფრო გა-

მოცდილს ქვეყნებს და ულაპარაკოთ შეუდგეთ მათ სწავლას, და მაგალითს. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენ არა ვიცით რა, ვერა მოვახერხეთ რა, ვერაფერი შველა და შემწეობა ვერ გამოვძებნეთ ჩვენში; ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ის ორიოდე „მკითხავებისა“ და „ბებრუხების“, რომელნიც ფუჩ-ფუჩით და ჭიმვით ქვის ნალესს გვასმევდენ და თავზე მტვერს გვაყრიდენ, — მაშინ როდესაც ჩვენი შეძლებისდაგვარად ჩვენ მათთვის არაფერს ვზოგავდით და არც ისინი ჩვენსას არას ზოგავდენ, — რომ ამ მკითხავების შელოცვა-მეთქი სრულიად უსარგებლო და ფუჭი გამოდგა ჩვენთვის. როგორც სოფლის მკურნალისგან და მკითხავისგან მოწამლული ავადმყოფი — უკანასკნელ წამში — ნამდვილ ექიმს ეკითხება, ისე დღეს, ჩვენი საზოგადოებაც უნდა დაეკითხოს ნამდვილს ექიმს, რომელსაც მისი მოვლა და, იქნება, შველაც შეეძლოს. ეს ექიმია ის მეცნიერება, რომელსაც მიზნად საზოგადოების გაწყობილება და კანონების გამოკვლევა აქვს, და სახელათ „პოლიტიკური (ანუ ს ო ც ი ა ლ უ რ ი) ეკონომია“ ჰქვია. ეს მეცნიერება გაუგებარი და ძნელი საგანი არ არის, ისეთი, რომ მისი დარიგების გაგება ყველას არ შეეძლოს და მისი რჩევა აუსრულებელი იყოს. მაშ ცუდი როდი იქნება, ჩვენი საზოგადოება ხეირიანათ ყურადღებას რომ მიაქცევდეს ამ საგანს და გულდაგულ მოინდომებდეს ამ სწავლისაგან გამოძებნილი საშუალებების ხმარებას. რასაკვირველია, რომ ეს სწავლა ვრცელია, და ჩვენ მდგომარეობას მარტო ერთი საშუალება კი არ ეყოფა. მაგრამ ყველას ხომ კაცი ერთათ ვერ მოედება. დღეს ისიც საკმაოთ უნდა ჩაითვალოს, რომ გავსინჯოთ შემოკლებით ერთი იმ საშუალებათაგანი, რომელნიც ჩვენი საზოგადოების გაჭირვებულ მდგომარეობას მოუხდებიან. ესე იგი „კრედიტი“ (ს ე ს ხ ი) და მისი მმართველი — „ბანკი“. ჯერ გავიხსენოთ, რა იყო ნათქვამი ამ საგანზე შარშანდელ „დროებაში“.

„ქვეყანაზე ღმერთს იმისთანა არა გაუჩენია რა, რომ ან ყველაფრით სასარგებლო და კარგი იყოს, ან სულ ცუდი და მავნებელი. საგნის სიკარგე და სიცუდე მომხმარზე და გარემოებაზე ჰკიდია: მაგალითად, დანის მოხმარება კაცს თავის სასარგებლოდაც შეუძლია ოჯახში, და თავის მოსაკლავათაც.

„ბანკის საქმეც სწორეთ ასეა. ზოგ საზოგადოებას ბანკი ფეხზე დააყენებს, ზოგს კი სულ ერთიანათ დაღუპავს და ამოაგდებს. ამის მაგალითები ბევრი მომხდარა ქვეყანაზე.

„ბანკს იმ განზრახვით ჰმართავენ, რომ დაჭირების დროს ფული ისესხონ. ნასესხს ფულს ბევრ ნაირათ მოიხმარს კაცი: თუ უნდა,

ქეიფში და ლხინში დააბნევს, თუ უნდა იმ ნაირათ დაახარჯებს მამულს, რომ შემდგომში ბევრათ მომეტებული შემოსავალი მისცეს. პირველ შემთხვევაში ფულის შოვნა კაცისთვის უბედურებაა: იმის რომ სასესხი ფული ვერ ეშოვა, მამულის გაყიდვას ისე ადვილად ვერ გაბედავდა, და უიმისოთ ხომ მიწა-წყალს ვერ შესვამდა და შესჭამდა, — მაშ ქეიფი და ლხინი უნდა დაევიწყებინა. მაგიერათ, როცა ფულს კაცი თავის მამულის გასაუმჯობესებლათ ხეირიანათ ხმარობს, ამითი მის მიწა-წყალს უწინდელზე მეტი შემოაქვს, მაშასადამე ფასიც ემატება; ამგვარათ დახარჯული ფული კაცის მდგომარეობას აუკეთესებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვალის აღება კარგი და კეთილი საქმეა, თუ კი ფულის სარგებელი მამულის შემოსავლის ნამატს არ გადააჭარბებს.

„სარგებლის დაწესება მარტო ფულის გამსესხებელზე არ ჰკიდია. რაც უფრო საჭიროა კაცისთვის ფულის შოვნა, და რაც უფრო ბევრი კაცისთვის არის ეს საჭირო, მით უფრო დიდი სარგებელი ედება ფულს. აგრეთვე, რაც უფრო მეტი ფულის პატრონებია რომელსაც მხარეში, და რაც უფრო ნაკლებს რიცხვს სჭირია იმ მხარეში ფული, მით უფრო მცირდება სარგებელი.

„ამას გარდა, სარგებლის მომატება, ან მოკლება სხვა მიზეზისაგანაც მოხდება ხოლმე. ერთი და იგივე ფულის პატრონი ზოგ კაცს რვა კაპეიკათ ასესხებს თუმანს, და ზოგს კი იმავე თუმანში ორ აბაზს და ათ შაურს ახდევინებს. პირველ შემთხვევაში ვალის ამღები ალბათ კარგი მამულის პატრონია, ფულის პატრონს ხეირიან საწინდარს (გ ი რ ა ო ს) აძლევს, და ფულს, დასაფანტველათ კი არა, საჭეიროთ სესხულობს; — ყველა ეს გარემოებანი სესხის გამცემს აიმედებენ, რომ მის მოვალეს ვადაზე თავნის და სარგებლის გადახდა არ გაუჭირდება, — მაშასადამე მის ხელში ფული კარგათ და საღათ შეინახება. სულ სხვა საქმეა, როცა ვალს მფანტველი კაცი იღებს: ვინ იცის შეეძლება იმას ვადაზე გადახდა თუ არა? — ვაი თუ ის ვადამდი ორჯერ, სამჯერ გაკოტრდეს, — უნდა იფიქროს ფულის პატრონმა; და რაკი ის დაჯერებული არ არის, რომ თავის დროზე ფულს უკანვე ამოიღებს, მისი პირველი ფიქრი უნდა იყოს: თუ ამოვიღე, ბარეღამ კარგათ, ხეირიანათ ავკრამ, და თუ ვერა, — ჯანიც კი გავარდნია ფულსა და მის წამღებსაცო.

„ეგ ყოველიფერი მართალია, იფიქრებს მკითხველი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე ცალკე პირებ შუა წარმოებს. ბანკის საქმე სულ სხვა არის: ბანკის კანონი დაწესებულია, — მისთვის ფულის გამტანი ყველა ერთია: ფულის წყალში გადამყრელს, და ხეირი-

ანათ მომხმარებელს, ბანკი ორივეს ერთ და იმავე სარგებლით აძ-ლევს ფულს, თუ ორივეს ერთნაირი საწინდარი აქვს.

„აბა ვნახოთ, მართლა ასეა თუ არა?

„ჩვენში ბანკებს, სულ ბევრი, ბევრი, ორმოცდა ათი ათას თუ-მანზე მეტი სერმია (ფ ო ნ დ ი) არ ექნებათ, ღმერთმა ხომ იცის, რომ არც ეს ექნებათ, მაგრამ ასე ჩავაგდოთ. ეს ფული საიდან შედ-გა? მამულის პატრონებს როცა გლეხ-კაცების დასახსნელი ფული გამოუვიდათ, მაშინ დაწესდა, რომ ამ ფულის ათის თავი ბანკის გა-საწყობლათ გადადებულიყო, ამნაირათ, ზოგმა ორი თუმანი დატო-ვა საბანკოთ, ზოგმა ოცი ათი-თუთხმეტი კაცი არ იქნება ას თუ-მანზე მეტი რომ დაეტოვებინოს. — ეს გახლავთ შემომტანები.

„ეხლა მკითხველს უნდა ვკითხოთ, ამ ფულის დამტოვებლებში ურევია, თუ არა ოციოდე კაცი იმისთანა, რომ ბანკის გამართვას აღ-დგომა დილასავით არ მოელოდეს, ფულების გამოსატანათ? უმეტესს ნაწილს საბანკოთ სამი თუმანი დაუტოვებია, ბანკის გამართვისთა-ნავე, სულ ცოტა, ოცდაათი თუმნის გამოტანის იმედი კი აქვს. იმის-თანებიც ბევრია. რომ ბანკში გროშის მონაწილეობა არ ჰქონდეს, და დღესვე საწინდარი გაემზადებინოს, ბანკიდან ათას თუმნობით ფულის სასესხებლად...

„ცხადია, რომ ამდენ ვალის ამღებს ჩვენი ბანკების სერმია დიდ-ხანს ვერ გაუძლებს; ბანკის ზანდუკები ძალიან მალე დაცარიელდე-ბიან და მაშინ ბანკს, — როგორც ყოველს ცალკე პირს — ფულის მოძებნა და სესხება დაჭირდება.

„მაშინ, ფულის — პატრონების თვალში, ბანკი მართლა ბანკი კი არა, ცალკე პირების კრება იქნება. თუ ბანკის მოვალეები საღი პირები არიან, თუ მათი მამული ხეირიან მდგომარეობაშია, და თუ მამულის პატრონებს ფულის დასაფანტავათ თვალები გამოჭიმული არა აქვთ, ბანკს დიდი და ადვილი ნდობა ექნება, და ძალიან იაფ ფასათ შეეძლება ფულის შოვნა. თუ არა და ბანკიც — გაჭირვებულ კოტრივით — ფულის პატრონებს დიდ სარგებელს უნდა დაპირდეს, და ეს მომეტებული სარგებელი ვალის ამღებს უნდა ახდევინოს.

„ამგვარია სარგებლის ანგარიში. ეხლა, ეგონებ, მკითხველი ცხა-დათ ხედავს, რომ როგორც სარგებლის სიდიდე, ეგრეთვე ფულის სიმრავლე ბანკში, საზოგადოების ზნეობაზე და მოქმედებაზეა დამო-კიდებული. ეს კანონი მკითხველმა კარგათ უნდა დაიხსოვნოს, ამი-ტომ რომ კანონზეა დამოკიდებული ჩვენი საზოგადოების მომავალი და ბედი. აი, როგორ:

„მალე მტერი დაელია ჩვენ მოკეთეს, მალე ჩვენს ბანკს სერმია

გამოელიოს. ორიოდე წლის შემდგომ ბანკების გამართვისა ჩვენი მამულების უმეტესი ნაწილი ბანკებს ექნება დაგირავებული. ფული ბანკის მოვალეებს დახარჯული ექნებათ, — ამას რაღა ლაპარაკი უნდა. რაც ადვილად საშოვარი ექნება ფული ბანკს. მით უფრო დიდხანს შეეძლება დაარჩინოს გატანილი ფული თავისი მოვალეების ხელში. მაშასადამე, თუ ბანკს ფულის შოვნა გაუჭირდა, ის ან სულ უნდა დაცარიელდეს და უსაქმოთ დარჩეს, ან თავის მოვალეებს უნდა მისდგეს, საქმე გაუჭირვოს და ფული გადააბდევინოს. როცა ფულის გადახდის ვადა დადგება, და ბანკი ერთბაშათ რამდენიმე მამულის გაყიდვას დააწესებს, მაშინ მყიდველები საიდან გაჩნდებიან? მამულის მეპატრონეები (უმეტესი ნაწილი, რასაკვირველია) ბანკის და ცალკე პირების ვალში იქნებიან ჩავარდნილი; სხვა ფულის პატრონები კი — ვაჭრების, ცოტაოდე დიდრონ-დიდრონ მებატონეების და ურიების გარდა — ჩვენში არავინ არის. მაშასადამე, ბანკის განკარგულებით და ბანკის წყალობით აზნაურობის მამულები ნელ-ნელა ზოგი გადავა ვაჭრების, ესე იგი სომხების და ურიების ხელში, ზოგი დიდრონ-დიდრონ მამულის პატრონებს ხვდება, და უმეტესი ნაწილი კი შორიდან მოსულ სხვა ქვეყნების პირებს ერგება. ამნაირათ ჩვენი თავად-აზნაურობა ძალიან მალე და გაუგებლად დარჩება რიყეზე, უყმოთ და უმამულოთ...

ამ უბედურების აზნაურობის თავიდან ასაცილებლად საკმაოა, ბანკს იმოდენა შეძლება ჰქონდეს, რომ დიდხანს შეეძლოს მოვალეების ხელში ფულის დატოვება. — ამას ბანკი მხოლოდ მაშინ მოახერხებს, როცა თვითონ საზოგადოებაში, როგორც ჩვენში, ეგრეთვე სხვა ადგილებშიაც, დიდი ნდობა ექნება. და, როგორც წელან აღვხსენით, ეს ნდობა იმას მხოლოდ მაშინ ექნება. როცა მისი მოვალეები საზოგადოების თვალში, საღი და სანდო ხალხი იქნება.

„ჩვენში რომ ბანკი გაიმართება. იმისთანა ბანკს ორი საშუალება აქვს ფულის შესაძენათ: პირველი საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი შემძლე პირები, ფულის შინ შენახვის მაგიერათ, ბანკს აბარებენ თავის ქონებას, ძალიან მცირე სარგებლით. — გვგონია, საჭიროც არ არის თქმა, რომ ჩვენ საზოგადოებაში ამისთანა პირებს, ჩირაღდნითაც რომ ვეძებოთ, მაშინაც ვერ ვიპოვით. — მეორე საშუალება ბანკისათვის ფულის საშოვნელათ, „ობლიგაციებში“ მდგომარეობს.

ბანკის „ობლიგაცია“ აი რას ნიშნავს: ვთქვათ, ბანკმა თავისი ფული გაასესხა და ვისიმე მამული დაიგირავა; სანამ დაწინდრებული მამულის პატრონი ნასესხ ფულს არ გადაიხდის, ბანკს შეუძლია თა-

ვისი უფლება ამ მამულზე სხვა პირს მისცეს გირაოთ და იმდენივე ფული აიღოს ვალათ, რამდენიც თვითონ მიუცია მამულის პატრონისათვის. ისე, რომ თუ ბანკს, ვთქვათ, ათი-ათასი თუმანი გაუვალია გირაოს ქვეშ, იმას შეუძლია ათი-ათასი თუმნის, ან იმაზე ნაკლები ობლიგაციების გამოცემა. — ამ ობლიგაციებს კერძო პირები ბანკის ბილეთივით ყიდულობენ, ამიტომ რომ ობლიგაციას გირაოსავით აქვს ყველა ბანკში დაწინდრებული მამულები.

ობლიგაცია სხვა-და-სხვა ნაირი არის. ზოგიერთ ბანკებს ნება აქვს გამოსცეს ობლიგაციები მამულების დაგირავებამდინაც. სხვა ბანკს მხოლოდ იმდენი ობლიგაციების ნებას აძლევენ, რამდენისაც მამული აქვს დაგირავებული; ზემოხსენებულ ბანკებს კი პირდაპირვე უფლებას აძლევენ, ათასი, ან ორი ათასი, ერთი სიტყვით რამდენიც დაწესებული იქნება, იმდენი ობლიგაციები გამოსცენ. მაგიერათ ამისთანა ბანკი სულ სხვა წესზეა გამართული: ეს ბანკები იმით გაირჩევიან სხვებისგან, რომ რომელიმე მხარის, ან მაზრის, საზოგადოება თავისი მამულებით პასუხისმგებელი არის ამ ბანკის ვალებზე — ამ ბანკებს ს ა ზ ო გ ა დ ო ბანკები ქვიათ (Общественные банки).

..ამას რომ მკითხველი შეიტყობს, მაშინვე შებრალებით გაიღიმებს და იტყვის: „მამა უცხონდა იმათ, მე, რაღაცა ბანკია, იმის თავდებათ დავდგე ჩემი მამულით! რასაკვირველია!"

„ნუ აჩქარდები, მკითხველო, ის ფული, რომელსაც ბანკი საზოგადო თავდებობით შეაგროვებს, მარტო მაშინ ბანკის ხელიდან გადის, როცა გამტანს ძალიან მტკიცე და საღი მამული შემოაქვს საწინდრათ. მაშასადამე, ნამდვილი თავდები — დაწინდრებული მამულებია, და არა მთელი საზოგადოება. თუ საზოგადოება ხეირიან წესდებულებას მისცემს ბანკს და სინიდისიან, მცოდნე კაცებს ჩაბარებს ბანკის თაობას, თუ მამულები პატიოსნათ იქნებიან დაფასებული, საზოგადოებას გროშიც არ გადახდება, და მისი თავდებობა უბრალო წესი, ფორმა, იქნება.

„რუსეთში და სხვა ქვეყნებში ამ უკანასკნელ დროს ძალიან ბევრი საზოგადო ბანკები იმართება. ეს გასაკვირველი საქმე არ არის. იმიტომ რომ ამ ნაირი ბანკი ძალიან ადვილი დასაარსებელი და ძლიერ სასარგებლოა, როგორც ფულის პატრონებისათვის, აგრეთვე ვალის ამღებლებისათვის: მაგნაირი ბანკი დიდ ფულს არ თხოულობს დასაწყისში, და არც თავის მოვალეებს საქმეს უჭირვებს, როცა ვალის გადახდის ბორჯი დგება; ამ შემთხვევაში იმას ადვილათ შეუძლია ხელ-მეორეთ დაგირავების ნება მისცეს გაჭირვებულ მოვალეს.

ამისთანა ბანკების საშუალებით, ფულით ღარიბი მხარე სხვა მხარის მცხოვრებლებიდგან იაფ ფასათ შოულობს სასესხებელ ფულს; იმათი საშუალებითვე მამულის მეპატრონეების ხელში რჩება მათი მამული, რომელიც უიმისოთ ძალიან მალე გადავიდოდა ვაჭრების ხელში. აი, ეს ორი მიზეზი ავრცელებს ქვეყანაზე ამნაირ ბანკებს და აბედვინებს საზოგადოებას ერთმანეთის თავდებათ დადგომას. — მართალია, ჭკუიან, წინ დახედულ და გონიერ საზოგადოებისათვის ეს, გაბედვა კი არა, ძალიან ნათელი ანგარიშია, მაგრამ ჩვენებურ საზოგადოებაში კი სწორეთ გაბედვა ქვია ამ საქმის თაობას".

ეს იყო დაბეჭდილი „დროებაში". ეხლა ჩვენ აქ რამდენიმე შენიშვნა კიდევ უნდა დაუმატოთ „დროების" სტატიას, რომ ბანკის საქმე უფრო ნათლად დავანახოთ ჩვენ მკითხველებს.

საზოგადოთ რომ თქვას კაცმა, „ბანკს" მარტო იმ ადგილს, იმ დაწესებულებას ეძახიან, სადაც ფულების შენახვა და ცოტა ხნით სესხება შეიძლება. იმ ქვეყნებში, საცა დიდი აღებ-მიცემაა გამართული, თითქმის ყოველი მწარმოებელი (ფაბრიკანტი), ყოველი ვაჭარი და მეპატრონე ისეთ მდგომარეობაშია, რომ დღეს ათასი თუმნობითა აქვს ჯიბეში, ხვალ კი ასი გროშიც არა აქვს და ზეგ კიდევ უწიწდელზე მეტი შემოუდის. იმისთვის, რასაკვირველია, ძნელია, რომ რამდენიმე კვირის, ან თვის განმავლობაში ფული ჯიბეში უსარგებლოდ ედვას; ათასჯერ უფრო ძნელია მისთვის, რომ დაპირვების დროს, საკმაო ფული არ მოეძებოდეს და შოვნაც ეძნელებოდეს. ამის გამო იმ ადგილებში, საცა დიდი აღებ-მიცემაა, საცა, მაშასადამე, ერთ პირს მუქთათ ფულის შენახვა ეძნელება და მეორეს — უფულობა აწუხებს, იმ ადგილებში მოიგონეს ისეთი დაწესებულება, სადაც ფულის პატრონს შეაქვს ფული მოკლე ან გრძელი ვადით, და საიდანაც ფულის მაძიებელს აგრეთვე მოკლე ან გრძელი ვადით ფული გამოაქვს. ამისთანა დაწესებულებას დაარქვეს სახელათ „ბანკი". ვთქვათ ჩემ მეზობელს მართებს ჩემი ასი თუმანი, ერთი თვის ვადით, და მე თვითონ დღეს ან ხვალ ფული მჭირდება. მე მივდივარ ბანკში, და ვთხოვ — აი ეს ჩემი მეზობლის თამასუქი მიიღეთ, მე ფული მომეცით, და თქვენ იმას გამოართვით ჩემთვის მოსაცემი ფული. თუ ბანკი მე და ჩემ მოვალეს საღ კაცებათ გვიცნობს, ის მე მაშინვე მიხდის ჩემი მეზობლის ვალს, და თავის დროზე იმას ახდევინებს ფულს. რასაკვირველია, რომ ერთი თვის სარგებელი,

რომელიც მე ჩემი მეზობლისგან უნდა შიმეღო, ბანკს მოგებათ რჩეება. ან და, მე მაქვს ბანკის ბილეთები, ან საღი აქციები და ობლიგაციები, მაგრამ ნაღდი ფული მჭირდება. მე მიმაქვს ეს აქციები, ბილეთები და ობლიგაციები ბანკში და ვაძლევ იმათ გირაოთ; ბანკი მე ნაღდ ფულს რამდენიმე ხნის (ტ ფ რ ო ხ შ ი რ ა თ ს ა მ ი თ ვ ი ს ვ ა დ ი თ) მაძლევს, და მახდევინებს ნასესხი ფულის მხვედრ სარგებელს. აგრეთვე, როცა მე ნაღდი ფული მაქვს, რომლის დახარჯვა მომიხდება მე, ვთქვათ, ორი თვის შემდეგ, მე ვაძლევ ამ ფულს ბანკს, და ვახდევინებ იმას მის სარგებელს. საჭიროების დაგვარათ, მე შემიძლია, იმ ფულებიდან, რომელიც ბანკში შეტანილი მექნება, ვხარჯო წვრილმანათ, რაც მომინდება, და მაშინ ბანკი მე ჩემგან დანახარჯი ფულის სარგებელს გამომირიცხავს და ისე მიანგარიშებს რომ სარგებელი მარტო იმოდენა ხნისა მომცეს, რამდენი ხანიც ჩემი ფული ბანკში იმყოფებოდა.

ადვილად მისახვდომია, რომ იმისთანა ქვეყანაში, სადაც დიდი ვაჭრობა, წარმოება, აღებმიცემა არის, ფულიც ძლიერ ხშირათ და მალმალე გადადის ერთი ხელიდგან მეორეში, და ბანკშიაც ხშირად შედის და გამოდის. აგრეთვე ადვილი გასაგები ისიც არის, რომ იმისთანა ბანკს, რომელიც ამგვარ საქმეებს შვრება, დიდი თანხა და თავნი არ სჭირია. დღეს ის ჩემგან შეტანილ ფულს ჩემ მეზობელს ასესხებს, ხვალ — ჩემ მეზობლისგან მოცემულ ფულს მე დამიბრუნებს, და ამ საქმეში თვითონ სარგებლობას ძიღებს. თავისი ფული იმოდენა თუ ექნა, რაც დასჭირდება გადასახდელათ რამდენიმე კოტრის მაგიერათ, — მეტი ამნაირს ბანკს არა სჭირია რა, და მისი საქმე ჩარხსავით ტრიალებს, ნდობაზე და ყველას საქმის გაადვილებაზე.

მაგრამ, ყველა კაცი ვაჭარი და აღებ-მიმცემი ხომ არ არის; ყველას იმისთანა საქმეები ხომ არა აქვს, რომელშიაც დღეს ათასი თუმნობით შემოუდის ფული და ხვალ ორი ამოდენა ეხარჯება და სჭირდება. არიან ისეთი პირები, რომელთაც ფული ბლომათ აქვთ და სულ არ სჭირიათ; არიან იმისთანებიც, რომელთაც ფული ნიადაგ სჭირიათ და არასოდეს კი არა აქვთ. არიან ადგილ-მამულის მეპატრონეები, რომელთაც ფული სჭირიათ ქარხნის გასაშენებლათ, ან სახლის დასადგამათ, ან და მზითვის გასაცემათ, ან თუნდ წაგებული პროცესის ფულის გადასახდელად. იმათ აქვთ გვარიანი ადგილ-მამული, რომელსაც გვარიანათ შემოაქვს პური, ან ღვინო, ან სხვა ფოსავალი; მაგრამ ფულათ ფული კი არა აქვთ. აი, ამისთანა პირების სასარგებლოთ მოგონილია სულ სხვანაირი დაწესებულება, რომელიც თითქმის სრულიადაც არ ჩამოგავს ზემოაღწერილ ბანკს, და

რომელსაც საზოგადოთ „ადგილ-მამულის კრედიტს" (crédit foncier поземельный кредитъ) ეძახიან. რადგანაც ამ დაწესებულებას ფულებს ესესხებიან ისეთი პირები, რომელთაც კარგი მამული აქვთ, მაგრამ ფულათ-ფული კი ძვირათ ეპოებათ, და რომელიც ფულებს იშვიათათ და ცოტ-ცოტათ შოულობენ, უეჭველია, რომ იმათზე გავალებული ფულის მოკლე-ხანში დაბრუნების იმედი ამ დაწესებულებას არ უნდა ექნეს. იმან კარგათ უნდა იცოდეს, რომ გასესხებული ფული თუთხმეტი, ოცი წლობით მაინც დარჩება ვალის ამღების ხელში, და თუ გადაიხდება — თითო-ოროლა გროშობით, რამდენიმე წლის განმავლობაში. ამის გამო, ამგვარი დაწესებულება მარტო მაშინ ხარობს, იმას მარტო მაშინ მოაქვს სარგებლობა და მარტო მაშინ აქვს გრძელი სიცოცხლე, როცა შეუძლია ძლიერ დიდი ხნის ვადით გაავალოს ფული და იმ ფულის დაბრუნებამდი თითონ სული არ ამოძვრეს.

ამნაირათვე ცხადია, რომ რაც უფრო მეტია რომელიმე ქვეყანაში, იმისთანა პირების რიცხვი, რომელთაც ადგილ-მამულის მეტი არა მოეძევათ რა, და ფული კი სჭირიათ სასესხებლათ, მით უფრო მეტი ფული უნდა ჰქონდეს „კრედიტს", რომ მარტო ორიოდე პირს კი არ ავალებდეს, და ერთნაირათ სარგებლობას აძლევდეს ყველას, ვისაც კი მისი დახმარება სჭირია. და რადგანაც ამგვარმა დაწესებულებამ დიდხანს უნდა უცადოს ფულის დაბრუნებას, და დიდძალ რიცხვს უნდა ასესხოს ფული, ცხადია, რომ იმას ძლიერ დიდი სერმია, დიდი თანხა უნდა ჰქონდეს.

ეხლა, ვგონებთ, საკმაოთ უნდა ჩნდეს განსხვავება ამ ორ. დაწესებულებებს შუა, და ის აზრიც, რომ ჩვენ საზოგადოებას, ჩვენ ხალხს და ჩვენ ქვეყანას სჭირია „კრედიტი", რომელიც გრძელი ვადით იძლევა ფულს, და არა „ბანკი", რომელიც ვაჭრული ანგარიშით მარტო რამდენიმე დღის ვადით უწყობს კაცს ხელს. ჩვენი აღებ-მიცემა ჯერ მეტის მეტათ თოთოა და არც იმისთანა სახლის შვილია, რომ დიდრონი საჭიროება ადგეს. ჩვენი საზოგადოება და ხალხი, თუ სასესხ ფულს იშოვის, მალე მის დაბრუნებას ვერ მოახერხებს, და იმას გულდაგული მტერის მეტი არავინ ურჩევს, რომ იმისთანა დაწესებულებისაგან ან პირისაგან ისესხოს ფული, რომელიც ორიოდე თვის ან წლის მეტს ვერ ადროებს, და მერმე ყელში ხელს წაუჭერს. ამისთანა გარემოებაში მოკლე ვადით ფულის სესხება, სიკეთე კი არა, დაღუპვა იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის, და ამ საზოგადო დაღუპვის დამზადება იქნება იმისთანა ბანკის დაარსება, რომელსაც გრძელი ვადით ფულის გასესხება არ შეეძლება. მაშა-

სადამე, ჩვენ გვჭირია მარტო ხანგრძლივი კრედიტი, რომელმაც გრძელი ვადიანი სესხით უნდა ჩაუდგას სული ჩვენ ადგილ-მამულის პატრონობას, ესე იგი მთელ ჩვენ ქვეყანას, — ამიტომ რომ ადგილ-მამულის მეტი ჩვენს არემარეზე არაფერი მოიძევა.

მაშ, იმ დაწესებულებას, რომელმაც ფულის სესხით ხელი უნდა გაუწყოს ჩვენებურობას, უნდა ჰქონდეს ძლიერ ბევრი ფული; იმას სრულიადაც არ გამოადგება იმ ბანკების მაგალითი, რომელნიც მოკლე ვადიან სესხს არიგებენ და მცირე თანხით კმაყოფილდებიან. — ეს კანონი ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ.

ეხლა ჩვენ იმის გამოკვლევას უნდა შეუდგეთ, თუ საიდან და როგორ უნდა იშოვოს „ძლიერ ბევრი ფული" იმ დაწესებულებამ, რომელსაც ჩვენ აღდგომის კვერცხსავით შევჩერებივართ, ესე იგი ჩვენმა **ბანკმა?**

ჩვენ ქვეყანაში ფული არ არის. ეს, თუმც სამწუხარო ჭეშმარიტებაა, მაგრამ მაინც ჭეშმარიტებაა. ჩვენ ქვეყანაში რაც ფულია, ის ჩვენ საკუთარ მოთხოვნილებას, ჩვენ ძუძუ-მწოვარ აღებ-მიცემას და ცხოვრებას არ ყოფნის. მაშასადამე ჩვენ ბანკს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ აქ, ჩვენ ქვეყანაშივე იშოვის იმ ფულს, რომელიც სჭირია ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილს. ეს ფული ბანკმა უნდა გააჩინოს, დიახ გააჩინოს, ესე იგი მოგვგვაროს საიდანაც მოახერხებს, შორიდან თუ ახლოდამ, როგორც იმას და ჩვენ უფრო ხელს მოგვცემს. მაშასადამე, ჩვენი ბანკის პირველი ნაბიჯი, პირველი ხელის განძრევა იმაში მდგომარეობს, რომ მოიწვიოს ფული, დაანახოს ფულის პატრონებს რომ იმათი ფული იმათ სარგებელს მისცემს და არ დაიკარგება, ადგილ-მამულის გირაოთი რომ გასცენ. პოლიტიკური ეკონომიის ენით ამ საქმეს „ადგილ-მამულის დახურდავება ჰქვია". ეს იქნება ჩვენი ბანკის პირველი და უმთავრესი საქმე.

მაგრამ რანაირათ უნდა მოახერხოს ჩვენმა ბანკმა ეს საქმე, რა გზით უნდა შეასრულოს ეს მოვალეობა?

უეჭველია, რომ, რაკი ჩვენ „ბანკს" ბევრი ფული დასჭირდება, და ჩვენ ქვეყანაში ფული ბევრი კი არა, ცოტაც არ მოიძიება, ბანკმა ფული სხვაგან უნდა ეძებოს. ბანკს შეუძლია იმედი ჰქონდეს: 1) კერძო პირებისაგან შესანახავათ შემოტანილ ფულზე; 2) თავის საკუთარი ქაღალდების (ობლიგაციების, გირაობის ფურცლების და სხვ. ამ გვარი საშუალების) ფულათ გასაღებაზე; 3) გავალებული ფულის შემოსვლაზე და მის სარგებელზე და 4) თავის საკუთარ თანხაზე, რომლის ოდენა (თი-

თ ქ მ ის) ფული ხელ-უხლებლათ შენახული უნდა ჰქონდეს მოუ-ლოდნელ შემთხვევებისთვის. ჩვენებურ ბანკს, ისეთს, როგორიც სჭირია ჩვენ საზოგადოებას, კერძო პირებისგან შემოტანილი და გასესხებული ფულის შემოსავლის იმედი არ უნდა ჰქონდეს — ეს ყველასთვის ცხადია. თავისი საკუთარი სამი ათასი მანეთი იმან ყოველშემთხვევისთვის შენახულ თანხათ უნდა იქონიოს. დარჩა, მაშ, ქაღალდების გასაღება, რომელიც უნდა მოხდეს, ჩვენში კი არა, იმისთანა ადგილებში, სადაც ფული ბლომათ და იაფათ არის. იმისთანა ქვეყნებში ჩვენ და ჩვენ ქვეყანას ძლიერ ნაკლებათ გვიცნობენ და, ამის გამო, უფრო ნაკლებათ გვენდობიან. მაშასადამე ჩვენ ბანკს ისეთი საშუალება რამ უნდა ჰქონდეს, რომ ერთბაშათ სხვა ქვეყნებში დიდი ან გვარიანი მაინც ნდობა გაიკეთოს, რომ ბლომათ და იაფათ შეეძლოს ფულის სესხვა ან შოვნა და ჩვენსკენ წამოღება.

იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოება ხეირიან გაწყობილებას და ცხოვრებას დიდი ხანია ღირსებია, გრძელვადიან ბანკს საკმაო გარანტიათ ისიც ეყოფა, რომ ბევრი მამული აქვს დაგირავებული. ამისთანა ბანკს (კ რ ე დ ი ტ ს). ფულიანი კაცი ადვილათ ანდობს თავის ფულს, იმ იმედით, რომ თუ ბანკს ვალის ამღებმა ფული არ გადაუხადა, ბანკს შეუძლია მისი მამული გააყიდვინოს და აღებული ფულით დააკმაყოფილოს თავისი მოვალეები. მაგრამ ჩვენში, საქმე სულ სხვა ნაირათ არის. შორებელი ფულის პატრონები როდი დარწმუნდებიან, რომ ბანკი საკმაოთ საფუძვლიანი იქნება და საფუძვლიანათ გადაიხდის თავის ნასესხ ფულს. იმათთვის მეტი რამ არის საჭირო, ისეთი, რომ ერთბაშათ დააჯეროს ბანკის სიმტკიცეში და, ერთბაშათვე, დააფუძნოს მათ გულში ბანკის და, მაშასადამე, ჩვენის საზოგადოების ნდობა.

ამნაირ საშუალებათ გამოადგება მარტო მთელი საზოგადოების თავდებობა ბანკისთვის. შორებელი ფულის მეპატრონე ათასჯერ და ათიათასჯერ უფრო ადვილათ ენდობა მთელ მხარეს, ვინემ ერთს რომელსამე მილიონერს, — ამიტომ რომ მილიონერი შეიძლება ორ დღეში გაკოტრდეს, და მთელი მხარე კი თავისდღეში არ კოტრდება: შიგ ზოგიერთი მდიდრდება, ზოგიერთი ღარიბდება, მაგრამ მხარე, ისევ იმისთანა მხარეთ რჩება, როგორიც წინეთ იყო, თუ უფრო მდიდარი არა. რისთვის აქვთ სახელმწიფო ბანკის ან უბრალო კრედიტის ბილეთებს დიდი და ყოველგანი გასავალი? რისთვის ენდობა მათ კაცი არათუ ჩვენში, არამედ ევროპაში, ამერიკაში, ერთი სიტყვით ყოველგან? იმიტომ რომ იმ ბილეთების თავდები არის მთელი

სახელმწიფო, ესე იგი შენ, ჩემო მკითხველო, მე, ჩემო მეზობელო, შენი მოყვარე, ერთი სიტყვით ყველანი, ვინც კი ჩვენ სახელმწიფოში ვართ. ამის მსგავსათ არის ყოველგან, და ყოველგანვე მთელ საზოგადოებას უფრო დიდი ნდობა აქვს, ვინემ ძლიერ მდიდარ ფულის პატრონს.

ჩვენში ძლიერ ერიდებიან ამ საზოგადოების თავდებობას და ძლიერ ეშინიათ მისი. მაგრამ სხვაგან, საცა კი უშინჯავთ ეს საქმე, არავის საყვედური არ განუცხადებია მის დაარსებაზე და წარმოებაზე. ცხადია, როგორც წეღან იყო ნათქვამი, რომ თუ ბანკი თავის ნასესხს ფულს უგირაოთ არ გასცემს, იმ პირებისათვის, ვისგანაც ბანკი ფულს ისესხებს, გირაოთ მარტო ის მამულები იქნება, რომელიც დაწინდრებული აქვს თვითონ ბანკს. თუ ფულის ამღებმა დროზე თავის ვალი არ გადაიხადა, ან სარგებელი არ შემოიტანა, ბანკს შეეძლება მისი საწინდარი-მამულის გაყიდვა და აღებული ფულის შენახვა თავისი საკუთარი ვალის გადასახდელათ. სხვა გასავალი, სხვა ხარჯი ჩვენ ბანკს არ უნდა ჰქონდეს, და თუ ექნება, მარტო ისეთი უნდა იკისროს, რომელიც ყოვლის უეჭვოთ ფულს ასარგებლებს, მაგრამ ასე კი, რომ ამ სარგებლობაში თვითონ ფული არ დაიკარგოს. და თუ ბანკის საქმე გონიერათ იქნება წაყვანილი რა ზიანი და უბედურება დაემართება ბანკს ისეთი, რომ მისი ვალების გარდახდა საზოგადოებას დაატყდეს თავზე?

ჩვენ ბანკს ამის მეტი არა სჭირია რა, ესე იგი დიდი და ძნელი, ამის მეტი, იმას განსაცდელი არ მიადგება რა. მართალია, იმას დასჭირდება ჩინებული მოანგარიშეები, მეტისმეტათ პატიოსანი, უ მ ა ნ კ ო თავი, კეთილ სინდისიანი დამფასებლები, მაგრამ თუ ესეც ძნელი საშოვარია ჩვენში, სულ მთლად ამოვარდნილი და გლახაკები ვყოფილვართ, და მაშინ ან ბანკს რათ ვმართავთ, ან სიტყვა-პასუხს რაზე ვხმარობთ? ეს საქმე თვითონ საზოგადოებრის ხელში იქნება. იმაზე იქნება დამოკიდებული სანდო და ხეირიანი პირების ამორჩევა ბანკის მმართვისთვის და თუ უხეიროებს ამოირჩევს, ვაი მის გუნებას და ბედს. და, თუნდ თავდაპირველათ ძლიერ კარგები არ ამოირჩიოს, შემდეგში მაინც ისწავლის ჭკუას, გამოიცდება და დახელოვნდება, ამიტომ რომ სრული გამოცდილება და ცოდნა ადამსაც არ დაჰყოლია, როცა ის გამჩენის ხელიდგან გამოვიდა. ყოველი საზოგადოება, როგორც ყოველი კერძო პირი, ჭკუას და გამოცდილებას იჩენს საქმეში, ცხოვრებაში. მაშ ბანკის თაობაზედაც ის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუგინდ პირველათ მისი საქმე ძლიერ კარ-

ვათ არ წავიდეს დასაწყისის გამოცდილება შემდეგისათვის გზას გა-
ვვიადვილებს...

მაგრამ აქედან მკითხველმა ის კი არ უნდა გამოიყვანოს, რომ
დაე, როგორიც იყოს ბანკი, დავაარსოთ, და მერმე როგორც იქნება
მოუვლით და გავაუმჯობესებთო. გაუმჯობესება, გამოკეთება მარტო
იმისი შეიძლება, რასაც ცხოვრების სული უდგია. მკვდრად დაბა-
დებულ ბავშვს, რამდენიც უაროთ და ეფეროთ, ვერ გააუმჯობესებთ
და სულს ვერ ჩაუდგამთ, ათასი წელიწადიც რომ ეფეროთ. ბანკიც
ჩვენ სულდგმული და ჯანმრთელი თუ არ დავაარსეთ, მერმე მისი
გამოკეთება ჯაინოზ ექიმსაც აღარ შეეძლება. და მისი ჯანმრთელო-
ბა დამოკიდებულია სამ საფუძველზე:

1) ჩვენ უნდა გვახსოვდეს რომ ის დაწესებულება, რომელსაც
ევროპაში და რუსეთში ბანკს უძახიან, ჩვენ სრულიადაც არ გაპო-
გვადგება. ჩვენ სჯაში ამ საქმის თაობაზე, ჩვენ უნდა გვახსოვდეს,
რომ ბანკათ ჩვენში მარტო ის დაწესებულება გამოდგება, რომელსაც
ჰქვია სახელათ ადგილ-მამულის კრედიტი.

2) ჩვენ ბანკს ძლიერ ბევრი ფული დასჭირდება, რომლის სა-
შოვრათ აუცილებლათ საჭიროა რომ ბანკს ჰქონდეს საზოგადო თავ-
დებობა.

3) ჩვენი ბანკი მხოლოდ მაშინ გამოადგება ეხლანდელ ადგილის-
მეპატრონეებს, როცა ისინი ნასესხი ფულით თავიანთ მამულს გა-
აუმჯობესებენ. ესე იგი იმ ფულს იმ რიგათ მოიხმარებენ, რომ მა-
მულს უწინდელზე მეტი შემოჰქონდეს, იმოდენა მაინც, რომ მოვე-
ტებული შემოსავალი ნასესხი ფულის სარგებელს გადააჭარბებდეს.
ამ საჭიროებისათვის საჭიროა ცოდნა, — თუ რა და რა მოუხდება
მამულს, როგორი პატრონობა და მოვლაა მისთვის საჭირო, საიდან
და რისაგან შეიძლება სარგებლობის პოვნა და სხვ. მაგრამ ეს უკა-
ნასკნელი საგანი ბანკის საქმეს აღარ შეეხება.

———

4. ჩვენი მწერლობა

თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა, გამოცემული ქართველი ქალებისაგან (წიგნი პირველი, 1872-ს).4 — „მნათობი", 1872 № 8 და 9.

„ქართველ ქალების" შრომა სწორეთ საამო და ბედნიერი მოვლენაა ჩვენ ბედ-შავ მწერლობაში, თუ კი კაცი, მის დაფასებისთვის, უფრო ამ შრომის მიზანს, მის სიახლეს და მშრომელების გულკეთილობას იქონიებს მხედველობაში, ვინემ თვითონ შრომის ნაყოფს. მართლაც, რომელ ხეირიან კაცს, ჩვენი საზოგადოების და მწერლობისთვის კეთილის მსურველს, არ იამება ის აქამდის უნახავი მაგალითი, ამ „ქართველმა ქალებმა" რომ ჩვენ დაგვანახეს? სკეპტიკის თვალში, რასაკვირველია, ეს საქმე დიდი არაფერია: ის იტყვის, რომ სამმა-ოთხმა ახალგაზრდა ქალმა, თვითონ უსაქმობით მობეზრებულებმა, ბოლოს გამოიღეს ხელი ადვილი შრომით, რომ ხუთიოდე თხზულების ამორჩევას და გადმოთარგმნას არც დიდი შრომა და არც დიდი ცოდნა სჭიროდაო, და ამ ადვილ შრომას ერთი ათად აჯილდოებს მათი კმაყოფილება თავიანთ თავზე, ნაცნობების მადლობა და გაზეთისაგან მოძღვნილი ქება. ბევრს მისთანას იტყვის სკეპტიკი, როცა „ქართველ ქალების" „თარგმნებს" თვალს გადაავლებს, მაგრამ დამიჯერეთ ძლიერ შეცდება, თუ მარტო ამ სჯაზე ფეხს დააბჯენს და სხვა გარემოებასაც არ გაიხსენებს. შრომის, მოქმედების და აზრის დამცირება და გინება ძნელი საქმე არ არის, როცა ეს შრომა გაკეთებულია, როცა ეს მოქმედება შესრულებულია და აზრი გამოთქმულია; უფრო ძნელია ამ შრომის გამოძებნა და დაწყება, მოქმედების გაბედვა, აზრის გამოთქმა, და რაგინდ ნაკლულევანება შევამჩნიოთ ჩვენ ამ შრომას, მოქმედებას, აზრს, იმას არასოდეს არ უნდა ვივიწყებდეთ, თუ რა მდგომარეობაში იყო უწინ საქმე. რა ნიჭი და მიგნება სჩანს მის გამოძებნაში და წაყვანაში, და რამდენი ხეირიანი და გონიერად მოხმარებული ძალა და მსხვერპლი მონდომებია მის ასრულებას. სკეპტიკები ამას ნიადაგ ივიწყებენ. ამათთვის კი არ გამოუთქვამს ჩვენ ხალხს ძველი და ბრძენი ანდაზა: „სულ

არარაობას ცალ-უღელი ხარი სჯობიაო", — იმათ ერთიანათ დამზადებული, გამოჩარხული, უნაკლულევანო და მართლაც ძვირფასი ნაყოფი თუ არ მიეცით ხელში, ისე ვერას გზით ვერ დააკმაყოფილებთ და ვერ ათქმევინებთ — „ჰო, კარგი რამ არისო"; თითქო დიდ რასმე შეადგენს იმათი ქება, თითქო ძვირათ ღირდეს იმათ პირში ეს სამი სიტყვა: „კარგი რამ არის!".

სწორეთ სამწუხაროა ამ სკეპტიკების სიბრმავე, და დროა, დიდი ხანია დროა, თვალი აუხსნას მათ კაცმა და დაუმტკიცოს, რომ საქმის წარმოების დროს ნაყოფი კი არა, მიმართულება და გულ-კეთილობაა დასაფასებელი. თუმცა ისინი ნიადაგ იმას ამბობენ, რომ გულ-კეთილობას ჩვენ დროში ყველანი იჩემებენო, და ხეირიან მიმართულებას ასი და ათასი ურგო პირები მიიწერენო, მაგრამ უეჭველია, იმის უარს მაინც ვერ იტყვიან, რომ გონება ჩვენ იმისთვის მოგვანიჭა ღმერთმა, რომ გავსინჯოთ და დავაფასოთ მართალია ეს დაჩემება და მიწერა, თუ არა. — მაშ ამ სკეპტიკების აზრის განხილვას შეუდგეთ.

ყველაზე უფრო შესანიშნავი და საამო მხარე იმ საქმისა, რომელიც „ქართველ ქალებს" უკისრიათ, ჩვენის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ამ ქალებს ახალი საქმე დაუწყიათ. იმათ, უეჭველია, ადვილათ შეეძლოთ თავიანთი დრო სულ სხვა ნაირათ გაეტარებინათ და სულ სხვა ნაირი სიამოვნებით დაევიწყნათ უსაქმოების მოგზეზრება, როგორც სხვა ჩვენი ქალბატონები შვრებიან. ამისთანა იაფი და ადვილი სიამოვნების მაგიერათ იმათ შრომა აურჩევიათ, ისეთი შრომა, რომელიც, მათი აზრით, გაართობს, ასიამოვნებს და სარგებლობას მოუტანს არათუ მარტო თვითონ იმათ, არამედ მთელ ჩვენ მკითხველ საზოგადოებასაც. ის ფულები, რომელსაც ჩვენებური ქალები საზოგადოთ ფაეტონებში, ხელთათმანებში და ათასნაირ ტანსაცმელში და ჩვრებში ფანტვენ, მათ შეუწირავთ საზოგადო საქმისთვის, და ვინ იცის, რამდენ ყმაწვილურ აღტაცებას, რამდენ სიამოვნებას და ქეიფს მოჰკლებიან ისინი იმ აზრით, რომ რამდენიმე მანეთი მოენარჩუნათ, და ამრიგათ თითო-ოროლა მანეთით შეკრებილი ფულით დაებეჭდათ თავიანთი ნაღვაწი? ვინ არ ჰფანტავს, ჩვენ საზოგადოებაში, ხუთ-ექვს თუმანს მაინც წელიწადში ისე, რომ არც ღმერთს და არც კაცს ამ ფანტვიდან ხეირი არ რჩება. მაგრამ ვის მოსვლია ჩვენში, აქნამდი, ის კეთილი აზრი, რომ თეატრებში და ბალებში დასახარჯავი ფულით, რომ მოინდომოს კაცმა, ჩვენი საზოგადოების წარმატების წახმარება შესაძლებელია? ბარაქალა, ათასჯერ ბარაქალა „ქართველ ქალებსა", რომ იმათ ჩვენ საზოგადოებას

ამისთანა თავის შეევწროების და სხვერპლის მაგალითი დაანახეს! აქ ის კი არ არის შესანიშნავი, დიდი ხარჯი მოუვიდათ იმათ თუ პატარა, საქმე იმაშია, რომ იმათ საზოგადოებას თავიანთი სიამოვნება შესწირეს, თავიანთ თავს დააკლეს, თავიანთ სინიდისში ჩახედეს, და ცხოველი მაგალითით აჩვენეს ჩვენ ქალებს, — და უფრო კაცებს, — რომ დროა ჩვენ მადას და კოპწიობას ლაგამი აუდვათ, დროა მცირედი რამე მაინც გადავდვათ საზოგადო საქმისთვის იმ საუნჯისგან, რომელიც ჩვენ დაუმსახურებლათ გვრგებია და რომელსაც ჩვენ დაუზოგველად და წინდაუხედველათ ვფანტავთ ვიმეორებთ, ბარაქალა „ქართველ ქალებს", ბარაქალა! მათი მსხვერპლი, სწორეთ რომ სთქვას კაცმა, ჩვენ თვალში იმრიგათვე ძვირფასი და სამადლოა, როგორც სახარებაში მოხსენებული ქვრივის შენაწირი...

ეს ორი მხარე — ხეირიანი და სასარგებლო სიამოვნების არჩევა (როცა ადვილი იყო უფრო მჩატე და უგვარ სიამოვნებაში გართობა) და თავისი საკუთარი ჯიბის და სიტკბოების შემცირება საზოგადო საქმის და სარგებლობისთვის, — გვიჩვენებს ჩვენ, რომ „ქართველ ქალებს" დიახაც კეთილი და მტკიცე განზრახვა და გული ჰქონიათ, და მათი საქმე დიახაც პატივსაცემი და ქების ღირსი ყოფილა. მაგრამ თუ ჩვენ მართლა გვწამს ჩვენი მომავლის ღირსება და სიკეთე, ჩვენ ისე მჩატეთ და უზრუნველათ კი არ უნდა მოვეპყროთ „ქართველი ქალების" შრომას, როგორც ჩვენი სკეპტიკები და ზოგიერთი სხვა პირებიც შვრებიან. ჩვენ არც იმ შემცდარი აზრით უნდა მივადგეთ ამ შრომას, როგორიც სკეპტიკებს ნიადაგ თავში უძევთ, და არ უნდა დავიწუნოთ ეს შრომა, მარტო იმ საფუძველით, რომ ის უნაკლულევანო არ არის, არც იმგვარათ უნდა მოვეპყროთ იმას, როგორც კაცი ბავშვის პირველ ნაბიჯის გადგმას, ან პირველი სიტყვის გამოთქმას აფასებს, და არ უნდა გვქონდეს ის დაფარული აზრი, რომ „თქვენგან, ბავშვებიდან, ესეც კარგიაო, არკ ამას მოველოდითო". ჩვენი აზრით, როგორც ჩვენი მადლობა შესრულებული შრომისთვის, ისე ჩვენი იმედი მომავალი საქმისთვის იმით უნდა გამოითქმოდეს, რომ ჩვენ ნამდვილ გულწრფელობით დავაფასოთ ეს ნაწარმოები და მოვეპყრათ „ქართველ ქალებს" როგორც ტოლი ტოლს, კაცურად, პირუთვნელათ და გულგაშლილათ. ჩვენ იმათ როდი უნდა ვაკადროთ არც ბავშვური თავზე ხელის დასმა, არც ყმაწვილური მაღალ-კილოიანობა. ერთი სიტყვით, ჩვენ მწერლობას მარტო პირდაპირი და სინდისიანი სჯით შეუძლია ნამდვილი მადლის გადახდა ჩვენი საზოგადოების მხრით. აი ეს უნდა

გვქონდეს ჩვენ სახეში, თუ „ქართველი ქალების“ შრომის დაფასება გვსურს.

ნათქვამიდამ, გვგონია, საკმაოდ სჩანს, რომ რაც ამ შრომის მიზანს და მიმართულებას შეეხება, მისი დაწყება და სისრულეში მოყვანა ყოვლად-საქები და საამო საქმეა, და როგორიც უნდა ყოფილიყო შრომის ნაყოფი, მისი დაწყებაც კეთილი და სასარგებლო საქმე იქნებოდა. თვითონ ნაყოფზე სჯა კი სულ სხვა საქმეა. ნაყოფის დაფასებისათვის ჩვენ სულ სხვა ზომა და მოთხოვნილებები გვჭირდება. და თუ მართლა გვსურს, რომ ამავე ქალების შემდეგმა შრომამ ამაოდ არ ჩაიაროს, და როგორც ამ „ქართველმა ქალებმა“, აგრეთვე სხვებმა მათმა მიმბაძველებმა (თუ ღმერთმა ქნა და იმათ მიმბაძველებიც გამოუჩნდენ) სრული ის სარგებლობა მოიტანონ, რომლისთვისაც ისინი შრომობენ, ან იშრომეს. ჩვენ აქვე გარკვევით უნდა გამოვთქვათ, თუ რა აკლია ჩვენ წინ მდებარე შრომას და რა უნდა იქონიონ სახეში მშრომელებმა შემდეგი მუშაობის დროს.

ჩვენ ამ საგანზე საუბარი იქიდამ უნდა დავიწყოთ, რომ „ქართველ ქალებს“ ძლიერ საფუძვლიანათ დაუნახავთ ყოველივე ამგვარი შრომის უმთავრესი მიზანი, — მკითხველი საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა. მართლაც, როგორც მთელ მწიგნობრობას, ისე იმის ნაწილს, რომელსაც საამო საკითხავი წიგნები შეადგენენ, მიუცილებლათ ის უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რომ საზოგადოებას სარგებლობა მოუტანოს, ხალხის სიკეთე ეძიოს და ღონისდაგვარად დაეხმაროს საზოგადოების გონების გახსნას და მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს დედა-აზრი მუდამ ზომათ უნდა ჰქონდეს მწერალს და მთარგმნელს, როცა ის მწერლობის ნაყოფს სჯის ან არჩევს. მაშასადამე, ჩვენ „ქართველ ქალებსაცა“ ხელში ეს ზომა უნდა ჰქონოდათ, გადმოსათარგმნელი თხზულებების ამორჩევის დროს.

ვნახოთ ეხლა, რამდენათ ეთანხმება ამ ზომას გადმოთარგმნილი თხზულებები, და რამდენათ შესაძლებელია, ეხლანდელ ჩვენ მდგომარეობაში, ამ ზომის ხეირიანი ხმარება და გამოყენება.

ამ კითხვის გასასინჯველათ, ხომ, კაცმა თავდაპირველათ ის უნდა განიხილოს, თუ ვისგან და რისგან შესდგება ის საზოგადოება, რომლის სარგებლობას ეძებს მწერალი, რა მოთხოვნილება აქვს მის გონებას და ხასიათს, რა საჭიროება გაუჩენია მის მდგომარეობას. ამ აზრით ერთი თვალი რომ გადავავლოთ ჩვენ საზოგადოებას, ჩვენ დავინახავთ, რომ ის შემდგარია, უმეტეს ნაწილათ, რასაკვირველია, სრულიად უსწავლელ და გონება გაუხსნელ პირე-

ბიდგან. გონიერებით და ნიჭით ეს პირები იქნება სხვა ქვეყნის მცხოვრებლებს უკან არ ჩამოუარდენ, და ზოგს შეიძლება კიდეც აჯობონ, მაგრამ შეძენილი სწავლით, ტვინის გაწაფვით, ფიქრში გაჩვევით და გამოცდილებით ისინი ყოველ ცოტაოდნათ განათლებული ქვეყნის მცხოვრებლებზე უკან დგანან. ჩვენ გვაკლია არა თუ მარტო ის სწავლა, რომელსაც შკოლებში და მასწავლებლებისაგან იძენს კაცი, ჩვენ გვაკლია თვითონ ჩვენი ცხოვრების ცოდნა, ის ცოდნა, რომელიც თვალს უხელს კაცს და აჩვევს ცხოვრების მოვლენების გაგებას, კაცის ხასიათის დაფასებას და ხეირიანათ მოპყრობას მახლობლებთან და თანამემამულეებთან. ამ ორ ძვირფას ცოდნას გარდა ჩვენ მესამე, ყველაზე უფრო მძიმე ნაკლულევანება გვაქვს: ჩვენ სრულიად არ გვისწავლია სიყმაწვილიდამ ჩვენი საკუთარი ხასიათის გაწრვთნა, ნიადაგ კარგის ავისგან გაცალკევება, ავის ძულვა და კეთილისადმი მიმართვა. ერთი სიტყვით, ჩვენი ზნეობითი, მოქალაქეობრივი მხარე თითქო არ არსებობს, არ აყვავებული. ამ მიზეზების გამო ჩვენ ვცხოვრობთ უმიზნოთ, უაზროთ, პირდაღებულები- სხვისი იმედით და ჭკუით. ჩვენ არ ვიცით შრომა, ამიტომ რომ სწავლა არა გვაქვს, არ ვიცით ხეირიანი, კაცობრივი განწყობილების გამართვა მახლობლებთან, ამიტომ რომ ცხოვრებას არ ვიცნობთ, არ ვიცით თავის დაცვა და პატიოსნათ ცხოვრება, ამიტომ რომ ზნეობით რეგვენები ვართ. ყოველი ცხოვრების მოვლენა ელვასავით გაჰკრავს ჩვენ თვალ წინ, ერთ წამს გაგვანათებს და მაშინვე ჰქრება, ჩვენგან ეაუგებარი, დაუფასებელი, აუხსნელი. რაც უნდა მოხდეს ქვეყანაზე, რაც უნდა დაემართოს ჩვენს მახლობელს, რა სისაძაგლეშიაც უნდა ჩავარდეთ ჩვენ თითონ, — ჩვენ ამას ვერ ვიტყობთ და ვერ ვგრძნობთ, და ამ უხეირო მდგომარეობაში, ჩვენი ცხოვრება ვადის უმიზნო ხეტებაში, თითქო ბრმების სიარული იყოს: ვეტაკებით ჩვენ ერთმანეთს, ერთი მეორეს შუბლსა და გულ-მკერდს ვამტვრევთ, ერთი მეორეს ვთელავთ და ვტანჯავთ, უმიზნოთ, უმიზეზოთ, უნაყოფოთ, მაშინ, როდესაც რამე რომ ვიცოდეთ და გონებაგახსნილი რომ ვიყოთ, ჩვენ არც ამოდენა ტანჯვა და არც ამოდენა ხეტება დაგვჭირდებოდა ათასჯერ უტკბესი განწყობილების გასამართავათ და კაცობრივი ცხოვრებით დასატკბობლათ.

ამ მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებას რაგინდ დამჯდარათ და საფუძვლიანათ უქადაგოს კაცმა, რაგინდ ბრძნული ტრაქტატები და წიგნები უბეჭდოს, იმის გულის და ტვინის გზას მაინც ვერ იპოვის. მისი ტვინი შრომას ჯერ არ შეჩვევია, რომ ნაწერის აზრს სდიოს, აზრის დამტკიცებები კრიალოსნის მარცვლებივით ერთი

ნეორეზე ჩათვალოს და ჩაამწკრიოს. მისი ტვინი ამისთანა მძიმე საკვებს ვერ მოინელებს. იმას მსუბუქი, აღვილი რამ სჭირია, ისეთი რამ, რომ მისდა უნდომლათ გაართოს, მისდა უნებურათ მადახე მოიყვანოს და თან მის ტვინში კვალი დასტოვოს.

რაკი ჩვენ ვიცნობთ იმ საზოგადოებას, რომლისთვის შრომობენ „ქართველი ქალები", ჩვენ ადვილათ შეგვიძლია მივხვდეთ, რომ ამ საზოგადოების სიკეთისთვის საჭირო იყო ისეთი თხზულებების გამორჩევა, რომელთაც თავიანთი გარეგანი შნოთი და სიხალისით ჩვენი ზანტი მკითხველების მადაზე მოყვანა შესძლებოდათ, და თავიანთი შინაგანი ღირსებით, შინაარსით და მიზნით ამ მკითხველების ტვინში ხეირიანი კვალი დაეჩნიათ. დაუმატოთ ამას, რომ „ხეირიან კვალათ" აქ ჩვენ ის უნდა მიგვაჩნდეს, რაც მკითხველს სასარგებლო ცოდნას აძლევს, რაც იმას კაცურ ცხოვრებას აჩვევს, რაც იმაში პატიოსან ხასიათს ზდის. და ჩვენ გვარიანათ გვეცოდინება, თუ რანაირი თხზულებები სჭირია ჩვენ საზოგადოებას და რა შეეფერება მის ეხლანდელ გონების და ხასიათის გარემოებას.

ჩვენდა სამწუხაროთ, „ქართველი ქალების" შრომა ამ მოთხოვნილებას და საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს. ის იწყება, მაგალითად, ვიქტორ ჰიუგოს თხზულებიდამ „პარიჟელი ბიჭი". ვინც ამ ნათარგმნს გარეგან მხარეს დააკვირდება, ის, რასაკვირველია, იტყვის, რომ ეს ნაწყვეტი ხეირიანათ არის ნათარგმნი, მით უფრო, რომ ვიქტორ ჰიუგო ნიადაგ ახირებული ენით სწერს თავის თხზულებებს, ისეთი ენით და ისეთნაირად, რომ მისი თარგმნა სწორეთ გაჭირვებაა. მაგრამ რაკი თხზულების შინაგან ღირსებას მოიხსენებს კაცი, და განსაკუთრებით იმ ზომას მოიგონებს, რომელიც, — როგორც წეღან ნათქვამი იყო, — ჩვენებურ მწერალს და მთარგმნელს თვალწინ უნდა ჰქონდეს, მაშინ სულ სხვა სჯა იბადება თავში. ეს ნაწყვეტი, მართალია, ჩინებული რამ არის, და ის ვიქტორ ჰიუგოს რომანში „საბრალონი" მარგალიტივით ბრწყინავს, მაგრამ ჩვენ მწერლობაში რა ღირსებამ გაუკვალა გზა ამ ნაწყვეტს? რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას ჩვენი მკითხველი საზოგადოებისთვის? რომელი მხრით აკმაყოფილებს ის იმ მოთხოვნილებას, რომელზედაც წინეთ გვქონდა ლაპარაკი? ასწავლის რასმე მკითხველს? აცნობებს ცხოვრების და ადამიანის თვისებას? უკეთილშობილებს ხასიათს, უღვიძებს დაკვირვებას, უსხნის გონებას? არა. ვერც ერთს ამათგანს ვერ ვხედავთ იმაში. ის მხოლოდ რიგიანათ დახატული სურათია იმ ახირებული და საყვარელი ქმნილების, რომელსაც პარიჟელ გამენას ეძახიან, და მხოლოდ

მისი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ამ გამენების ხასიათს გვაცნობებს. არა გვგონია, რომ ჩვენ მკითხველ საზოგადოებას მიუცილებლათ და დაუყოვნებლათ სჭიროდა ამ გამენების გაცნობა. მაგრამ, თუ მაინცა და მაინც ასე საჭირო ყოფილა ეს გაცნობა, განა ვიქტორ ჰიუგოს ნაწყვეტზე უკეთესი რამ ვერ გამოირჩეოდა ფრანცუზულ მწერლობაში? ვიქტორ ჰიუგოს თხზულების ნაწყვეტი, ვიმეორებთ, გვარიანათ არის დაწერილი; მაგრამ, ასჯერ უკეთესია, ამ გამენების ხასიათის გასაცნობათ, ანრი მონიეს სურათები, ან ზოგიერთი „ლეგენდები“ გავარნისა. ხელოვნური გამოჩარხვით, შთაბეჭდილების ძალით, ცხოვრების ნამდვილი და შეუფერავი გამოხატვით ვიქტორ ჰიუგო, ამ საგანში მაინც, ვერ შეედრება ამ მწერალს და მხატვარს. მაშ რატომ მონიეს თხზულება არ გადმოთარგმნეს „ქართველმა ქალებმა“ და ზედ გავარნის წარწერები არ დაამატეს, თუ მაინცა და მაინც ჩვენი საზოგადოებისათვის პარიჟელი გამენის ჩვენება სურდათ?

ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარიჟში და უცხო ქვეყნებში გამენებს გარდა, სხვაც ბევრი რამ უცხო და შესანიშნავია, მაგრამ, ყველაფრის ჩვენება კი არაა საჭირო ჩვენი საზოგადოებისთვის, ჯერ ჯერობით მაინც. გაცნობაც უმიზნო და უსარგებლო როდი უნდა იყოს, თუ გვსურს, რომ ჩვენი შრომა ნაყოფიერი და მომავლიანი იქნეს. გასაცნობათ, ჩვენ ისეთი საგნები უნდა ამოვარჩიოთ, რომელთაც რამე ნამდვილი, პრაქტიკული და კეთილი მნიშვნელობა აქვთ ჩვენებური საზოგადოებისთვის. ეს საზოგადოება არც ფსიხოლოგია და არც ფსიხიატრი, რომ მისთვის საჭირო იყოს პარიჟელი გამენის ტვინის, ხასიათის და ახირებული ჩვეულებების გამორკვევა ვერც ტვინის ძალით, ვერც ნიადაგ ერთი მიზნის სდევნით, ვერც ხასიათის უმანკოებით ეს გამენი ჩვენ მკითხველს მაგალითად ვერ გამოადგება და ამ გრძელნაწყვეტის წაკითხვას მის ტვინზე ისეთი გავლენა ექნება, როგორიც ჩვეულებრივ თუთიყუშის ან მაიმუნების ჩვენებას აქვს ყმაწვილებზე და მოახლეებზე:

— დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი და ქაჯი, იფიქრებს ჩვენებური მკითხველი, როგორც ფიქრობს თუთიყუშის მნახველი სოფლელი: რაები არ მოიპოება ამ დედამიწაზე, რა ფერად ფერადი და უცნაური ცხოველები ყოფილან, დაილოცა ღმერთო შენი სახსენებელი!...

ვიმეორებთ, არც პარიჟის გამენის გაცნობაა სრულიად უსარგებლო რამ, მაგრამ რა ღირსება აქვს ამ ნაწყვეტს ისეთი, რომლის მიხედვით ეს ნაწყვეტი აურჩევიათ „ქართველ ქალებს“, როცა ამი

და თუთხმეტი უკეთესი სურათების მოძებნა შეეძლოთ იმავე საგნის გამოსახატავათ? თუნდ ავიღოთ იმავე ვიქტორ ჰიუგოს მცირედი სურათი, რომელშიაც იგივე პარიჟელი გამენი იხატება. და ვნახოთ ღირდა მთელი ოცდა თოთხმეტი გვერდის მოცდენა ამ საგნის გამოსახატავათ? ამავე სურათს უფრო აზრიანათ და ცხოველათ ჰხატავს იგივე ვიქტორ ჰიუგო მარტო ორ გვერდზე*:

უწმინდური სისხლით შესვრილს და წმინდა სისხლით გაბანილს ქვებს შუა, ბარიკადაზე, ვაჟკაცებს გვერდით თორმეტი წლის ყმაწვილი დაიჭირეს. — შენც ამათთაგანი ხარ, შენა? ბავშვი ეუბნება, „გახლავართო“.— მაშ კარგი, უთხრა აფიცერმა, შენც ესლავ დაგხვრეტენ, შენი რიგიც მოვაო. ბავშვს თვალწინ უელავს თოფის ცეცხლი და ყველა მისი ამხანაგები კედლის ძირში ჰკვდებიან. ის ჰკითხავს აფიცერს „ნებას მომცემთ, აი ეს საათი შინ დედაჩემს წაუღოთ? — გაქცევა გინდა? „ისევ დავბრუნდები“. — „ამ მაწანწალებს შიში გადგომიათ! სად დგახარ?“ „აქვე, შადრევანთან. მე დავბრუნდები, უფ. კაპიტანო“. — წადი, სულელო. ბავშვი მიდის. — რა მოიცრუვაო, იცინოდნენ სალდათები თავიანთი აფიცრით, და შომაკვდავების ხროტინი ამ სიცილს ბანს აძლევდა. მაგრამ სიცილი მალე შეჰსწყდა, რადგანაც პირმკრთალი ბავშვი უეცრათ დაბრუნდა, კედელს ამაყათ მიეყუდა და თქვა — „აი, მოველო“.

„უსულგულო სიკვდილს შერცხვა. — და აფიცერმა ბავშვს აპატია.

„ჭაბუკო, ამ საშინელი ქარიშხალის დროს, რომელიც ჰქრის და ერთმანეთში ურევს ყველაფერს, ავსა და კარგს, გმირსა და ავაზაკს, არ ვიცი რამ გაგრია შენ ამ ბრძოლაში, მაგრამ იმას კი ვიჭბობ, რომ შენი მარტივი სული წარჩინებული სულია. კეთილო და მამაცო, უფსკრულის სიღრმეში შენ ორ ნაბიჯს ადგამ: ერთს დედისკენ, მეორეს სიკვდილისკენ. ყმაწვილს გულისსიწმინდე აქვს, და კაცს — სინანული, მაგრამ შენ პასუხი არ მოგეთხოვება იმაში, რაც სხვის წყალობით მოიქმედე. დიდებულია ის ყმაწვილი, რომელმაც გაქცევას, სიცოცხლეს, განთიადს, თამაშს და გაზაფხულს ბნელი კედელი ამჯობინა, სადაც დაეცნენ მისი ამხანაგები“.

ეს ადგილი ჩვენ უფრო იმისთვის ვთარგმნეთ, რომ გვეჩვენებინა, თუ რა ადვილია რამდენიმე გვერდზე გამოხატული სურათი უფრო ცხოველი და აზრიანი მოძებნოს კაცმა იმავე გამენისა, რომელიც აწერილია „პარიჟელ ბიჭში“ და ეს ორიოდე გვერდი, ვვო-

---

*ეს ლექსი გადმოღებულია ვიქტორ ჰიუგოს წიგნიდან „საშინელი წელიწადი“. იმაში აწერილია პარიჟის კომმუნის დაცემის სცენა.

ნებთ. სრულიად საკმაოა პარიჟელი გამენის გასაცნობლათ ჩვენი საზოგადოებისთვის... მაშ როგორ არ იწუხოს კაცმა, რომ ის ბეარიანი შრომა, რომელიც „პარიჟელი ბიჭის“ თარგმანზე მოუნდომებიათ, უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდა ჩვენ მკითხველ საზოგადოებას, სხვა რამე უფრო აზრიანი და გავლენის მექონი თხზულება რომ გადმოეღოთ. როგორ არ ისურვოს კაცმა, რომ შემდეგში ამნაირ შრომისა და ცდის ფანტვას აღარ მოვესწროთ?

სწორეთ ამნაირივე სჯა უნდა გამოითქვას „ნათანიელ როსელის უკანასკნელ დღეებზე“. ამ ახალგაზდა კაცის ბედი, რასაკვირველია, ძეტის მეტათ შესაბრალისი და გულის დამწველია, მაგრამ რაგინდ შესანიშნავი ყოფილიყოს მისი სამხედრო ნიჭი, რაგინდ უმანკო და თავგაწირული ყოფილიყოს მისი ხასიათი, რაგინდ საქები ყოფილიყოს მისი ყოფაქცევა მეცის დაცემის დროს და მისატევებელი — პარიჟის აჯანყებაში, ყოველი გონიერი კაცი იტყვის, რომ მისი უკანასკნელი დღიური ისეთს არაფერს წარმოადგენს, რომ სრული თარგმნის ღირსი იყოს. მართალია, ამ დღიურში დიდი ტანჯვა სჩანს და მწვავე გულის წადილი, ისე რომ გულ-კეთილი კაცი, და განსაკუთრებით გულ-ჩვილი ქალი ორიოდ ცრემლს ჩაყლაპავს მისს კითხვისს დროს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ხანგრძლივი შთაბეჭდილება როდი რჩება მისს მკითხველს. ამის მიზეზი ის არის, რომ იმ ბოლოს, რომელიც როსსელს მიადგა, და იმ მდგომარეობას, რომელშიაც ის ჩააყენა სიკვდილით დასჯამ, სულ სხვანაირი კილო, სხვა წერა, სხვა გრძნობა შეეფერებოდა მკითხველი. ელის ნახოს მხნე, მამაცი, რომელსაც ესმის, რომ მისი საქმის სიწმინდე, მომავალი და სარგებლობა ითხოვს მისგან მარჯვეთ მოკვდომას. რომელიც დამშვიდებულათ ელის სიკვდილს, და მტერს არც თავისი მწუხარების გამოთქმით, არც თხოვნით, არც თავის დამდაბლებით გულს არ უხარებს, და რომელიც თითქმის სიხარულით გრძნობს, რომ თავისი სიკვდილით და სისხლით ათასჯერ უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს თავის საქმეს, ვინემ მთელი ასი წლის სიცოცხლით; და ამგვარი პირის მაგიერათ მკითხველს ხელ-ში რჩება ახალგაზრდა კაცი, რომელიც ვერ ჰფარავს რომ სიცოცხლე უყვარს და ცხოვრება უნდა. და რომელიც მთასა და ბარს ედება გადარჩენისთვის, სწუხს, თითქმის სტირის და მტერსა და მოყვარეს ატყობინებს, რომ სიკვდილის ლოდინით იტანჯება. არა, ასე არ იქცევა გმირი, და გმირის ხასიათის მაგიერათ საბრალო ახალგაზრდა კაცის ხასიათი გამოსჭვრეტს როსსელის დღიურიდამ.

ჩვენ უფრო იმ აზრით ვამბობთ ამ მწარე სიტყვებს როსსელზე, რომ ეს მეორეჯერ იბეჭდება ქართულათ მისი დღიური, და ეს მოას-

წავებს, რომ მთარგმნელებს ის ალბათ მართლა გმირათ მიაჩნიათ. „დროებაში“ რომ დაიბეჭდა როსსელის დღიური[5], ამის წინააღმდეგს ვერავინ ვერას იტყოდა, რადგანც იმდროს როსსელზე მკითხველების ყურადღება იყო მიქცეული და გაზეთში ყოველგვარ ცნობას იმაზე ადგილი უნდა მისცემოდა. მაგრამ ხელმეორეთ გადმოთარგმნა ამავე დღიურისა, მერე ერთი „საამო საკითხავ“ წიგნისთვის. სწოლეთ შეცთომა და დაუფიქრებლობაა, რომელიც, იმედი გვაქვს, სხვა დროს აღარ გამეორდება.

„ჟულ ტაროზედ“[6] ითქმის, რომ ეს ისეთი მოთხრობაა, რომელსაც ჟურნალებში „ბალლასტს“ ეძახიან, და რომელსაც საზოგადოთ იმისთვის ბეჭდენ, რომ ჟურნალის დანაკლისი თაბახები შეავსონ. დიდი მნიშვნელობა იმას არა აქვს რა, და არც მისი დამწერის ნიჭი, დიდი რამ. ამისთანა მოთხრობებს ასობით და ათასობით შეხვდება კაცი უცხო ქვეყნების მწერლობაში. მაგრამ, ჩვენი აზრით, შიგ მაინც ორი-სამი სურათია ისეთი, რომ მათი წაკითხვა სასიამოვნო და სასარგებლოც უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისთვის. ყველაზე უფრო მოგვეწონა ის ადგილი, სადაც გამოხატულია ტუსკრეტენის ქალაქის საზოგადოება, მისი უფროსები და გამგებლები, ტარროს მოსვლა და ის მოძრაობა, რომელიც მისმა აზრებმა ქალაქში მოახდინა, ლაპარაკი მის სტატიებზე და სხვ. ტუსკრეტენის სახელის მაგიერათ ზოგიერთი სხვა უფრო ახლობელი ქალაქის სახელი რომ ებეჭდოს, კაცს ეგონება, რომ ახლობელი მოთხრობაა და საფრანგეთში კი არა, უფრო ახლოა დაწერილი, დანარჩენი უფრო სუსტია, და ათასჯერ უმჯობესი იქნებოდა, რომ ამ თხზულების ადგილზე რამე ისეთი თხზულების თარგმანი დაბეჭდილიყოს, რომელსაც ხანგრძლივი მნიშვნელობა და ძლიერი შთაბეჭდილება მოსდევს.

უფრო შესანიშნავია — „ამერიკელი ქალები მეთვრამეტე საუკუნეში“.[7] ამ თარგმანს ის ღირსება ექნება, რომ აჩვენებს — ვისაც დანახვა ჰსურს და შეუძლია — თუ როგორ სცხოვრობენ სხვა ქვეყნის ქალები, რა ძალა და შრომა უხმარიათ თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და როგორი გზით უვლიათ ამ ძნელ და საამო გზაზე...

საზოგადოთ უნდა თქვას კაცმა, რომ დიდათ სასარგებლო იქნებოდა ჩვენი მკითხველი საზოგადოებისთვის, უფრო ხშირათ რომ ითარგმნებოდეს იმისთანა თხზულებანი, რომელნიც ან ხასიათის გაუმჯობესებაში გამოადგება ჩვენ საზოგადოებას, ან ურგო ჩვეულებების მიტოვებისათვის, ახალი, კაცობრივი წესის შემოღებისთვის, ანა და გაუხსნიან იმას გონებას, დააჩვევენ უკეთესის სურვილს, სიბოროტის

სიძულვილს, და ამ რიგათ ნელ-ნელა, ცოტ-ცოტა დაამზადებენ ჩვენი ხალხისათვის უკეთეს მომავალს.

ამ მიზნისთვის, რასაკვირველია, „ქართველმა ქალებმა“ მხედველობაში ისიც უნდა იქონიონ, რომ არამთუ მარტო მოთხრობები და რომანები, მოგზაურობები, ისტორიული სურათებიც და ეთნოგრაფიული წენიშვნებიც დიდძალ მკითხველებს იზიდავენ და არც ის იქნება კარგი, ამგვარი, სწორეთ „საამო და სასარგებლო თხზულებები“,რომ დაგვავიწყოს კაცმა იმისთანა სტატიებისთვის, როგორც, „პარიჟის ბიჭი“, „როსსელის დღიური“, და თუნდ „ჟულ ტაროც“ შეგვიძლია დავარწმუნოთ „ქართველი ქალები“ რომ მკითხველები ამ თხზულებებს ეხლანდელ „თარგმნების“ წიგნზე ნაკლებათ არ მიიღებენ ხეირიან ისტორიულ წიგნს, ან მოგზაურობას...

მინამ „თარგმნისთვის“ თავი არ დაგვინებებია, ორიოდე სიტყვა ვთქვათ მის წინასიტყვაობაზე. საზოგადოთ წინასიტყვაობაში საქმის ან წიგნის დედა-აზრს გამოთქვამენ ხოლმე, და ამ მხრით, „თარგმანების“ წინასიტყვაობა ძლიერ მოგვეწონა. მით უფრო, რომ საფუძვლათ იმას ორი ძლიერ ხეირიანი პრინციპი უძევს: სურათების სინამდვილე ცხოვრებასთან და სარგებლის მოტანა საზოგადოებისთვის. ჩვენდა სამწუხაროთ შიგაც სჩანს ცოტაოდენი შეცდომა უფრო წვრილმან აზრებში, მაგრამ დიდი არაფერია. მაგალითად, ვითომ უწინდელ მწერლობაში სულ სიყვარულზე და ამისთანა რამერაებზე სწერდნენ, და ახლა კი სულ რეალურ თხზულებებს სწერენ, თითქო უწინ გიოტე და ლესინგი, მოლიერი და ათასი სხვა მწერლები არ ყოფილიყვნენ; და ვითომ, კიდევ, ეხლა კი არ იყვნენ ათასობით პოლ დე კოკები, ბორნები და ემსები. როგორც ისტორიაში, ისე აქაც ძველ მწერლებში ძლიერ ბევრ მასალას იპოვიან „ქართველი ქალები“ მეორე წიგნის გამოსვლისთვის. მაშინ იმედია, მათი გამოცემა ასცილდება იმ ნაკლულევანებას, რომელიც ხშირათ პირველს ნაბიჯს და ცდას არ სცილდება.

აქვე ადგილი უნდა მიეცეს მეორე შენიშვნასაც ამავ წინასიტყვაობაზე. „ქართველი ქალები“, როგორც ქალურ თავშეუკავებულობას შეეფერება, ძლიერ მკაცრათ ჰკიცხვენ ამ მწერლების თხზულებებს, რომელნიც. მათი სიტყვით, „სწერდნენ მხოლოდ სიყვარულზე, შეყვარებულების კვნესა-ოხვრაზე, ამკობდნენ ბუნების სიმშვენიერეს და დამღერიდნენ ბულბულსა და ვარდის ტრფობას“. ჩვენ ძლიერ კარგათ გვესმის, რომ ამ სიტყვებით „ქართველს ქალებს“ მართლა საკიცხავი და საძრახი მწერლობა აქვთ სახეში, მაგრამ. იმათთვის იქნება უსარგებლო არ იყოს, დაუმატოთ, რომ ყვე-

ლა თხზულება „სიყვარულზე“ და სხვ. ასე ადვილათ გასაკიცხავი და უკუმისაგდები როდია. თუმცა ათასს და იქნება მეტ თხზულებას სიყვარულზე მკითხველებისთვის ვნების მეტი არა მოუტანიათ რა, მაგრამ ესი და იქნება ხუთასი თხზულებაც მოიძებნებოდეს ამავე საგანზე ისეთი, რომელთაც ნამდვილი და დაუვიწყარი სარგებლობა მოუტანიათ მკითხველების და მთელი კაცობრიობისთვის. თუ კაცს თავისი ველური მდგომარეობა მიუტოვებია და ცოტაოდნათ მაინც აულაგმავს თავისი მხეცური ინსტინკტები, თუ დღეს ქალს საზოგადოებაში მცირეოდენი ხმა და პატივისცემა აქვს, და უწინდელივით მარტო ველური დაკმაყოფილების ჭურჭელი აღარ არის, ამის მიზეზი — ეს „ქართველ ქალებს“ არ უნდა ავიწყდებოდეს — ის რომანები და თხზულებებია, რომელთაც საგნათ „სიყვარული“ და ოხვრა-კვნესა ჰქონდათ. თითქმის მთელი ოჯახობის წესი, ცოლ ქმრობის ურთიერთ დამოკიდებულება, ბავშვის ბედი, საზოგადოებრივი ყოფა-ქცევა შეუცვლია და შეუქმნია ამ რომანებსა. და, ჩვენი აზრით, ძლიერ დიდი სარგებლობა იქნებოდა ჩვენი საზოგადოებისთვის, ზოგიერთი ამ რომანების გადმოთარგმნისაგან, მით უფრო, რომ ჩვენში ცოლისა და ქალის მდგომარეობა ოჯახში, ყმაწვილების დამოკიდებულება, საზოგადოების ხასიათი და ჩვეულებები თითქმის იმავ მდგომარეობაშია დღეს, როგორშიაც იყო უცხო ქვეყნების საზოგადოება ამ რომანების გავრცელებამდის. ვიმეორებთ, ძლიერ კარგს იზამენ ჩვენი „ქართველი ქალები“ ორიოდე რომანი, ან მოთხრობა რომ გადმობეჭდონ, მაგალითად, ჟორჟ სანდის თხზულებიდამ, თუმც უმჯობესს და გავლენიან მის ნაწერებში „მხოლოდ სიყვარულზე, შეუკავებელ კვნესა-ოხვრაზე“ და სხვ. არის ლაპარაკი. იმასაც ნუ დაივიწყებენ „ქართველი ქალები“, რომ ამ თხზულებებს (ჩვენ აქ, რასაკვირველია, ყველაზე კი არა, უკეთესებზე ვლაპარაკობთ) იმ მხრითაც დიდი მნიშვნელობა აქვთ, რომ კაცის გულს და ხასიათს აკეთილშობილებენ, სხვის მდგომარეობაში და გულში ჩახედვას, სხვის შებრალებას და დახმარებას აჩვევენ საზოგადოებას და კაცისა და ქალის ხასიათს, გულს და მოაზრებას. მაგრამ აქ ადგილი არა აქვს ამ საგანზე ვრცლათ ლაპარაკს. ჩვენ ორიოდე სიტყვა ამაზე მარტო მისთვის ვთქვით, რომ შევნიშნეთ ნათარგმნი სტატიების ხასიათში, თითქო „ქართველი ქალები“ თაკილობდნენ ზემოხსენებული თხზულებების თარგმანს, და ამის გამო საჭიროთ დავინახეთ ამ აზრებზე მათი ყურადღების მიქცევა.

ვათავებთ უმდაბლესი თხოვნით, რომ შემდეგ, მეორე წიგნს[8] მიეცეს უფრო ცხოველი, სასარგებლო და მკვიდრი მნიშვნელობა,

ისე რომ წიგნი ისეთი რვეულების კრებას აღარ ჰგავდეს, რომელიც აუკინძავსთ უთავბოლოთ და უანგარიშოთ და რომელსაც სიზმრათაც არ მოჩვენებია მტკიცე მიმართულების და ვამოკვლეული მიზნის ხასიათი და სული.

„ქართველ ქალების" შრომაზე ჩვენ მეგობრულათ და აიამოვნებით ვიბაასეთ და გულწრფელათ გამოვთქვით ჩვენი შენიშვნები და აზრი. მართალიც რომ ვთქვათ, ჩვენ ნამეტნათ სასტიკათაც მოვეპყარით იმათ წიგნს, ამიტომ რომ ვიცით, თვითონ იმათი და მათი მიმბაძველების შრომიდამ შემდეგში შეიძლება ხეირიანი სარგებლობა გამოვიდეს და მაშასადამე საჭიროა მათი პირველი შრომის გულ-და-გულათ განხილვა. „მნათობი" [8] კი სხვაა, იმას სულ სხვანაირათ უნდა მოვეექცეთ. ამ რედაქციის შრომისაგან ჩვენ არაფერს აღარ მოველით, ის წიგნები, რომელიც დღეს უნდა დავაფასოთ, რედაქციის პირმშო ნაყოფი კი არა, გვგონია, უკანასკნელიც არიან: რედაქციის და მისი თანამშრომლების ნიჭი და ძალა დიდი ხანია გამოაშკარაკებულია, ერთი სიტყვით — ჩვენ ვიცნობთ მის საბრალო წარსულს და არ გვწამს მისი მომავალი. მაშასადამე, ჩვენ ამ ჟურნალს მოვეპყრობით სრულიად გ უ ლ გ რ ი ლ ა დ, როგორც გარეშე საგანს, და იმის დაფასების დროს აზრათაც არ გვექნება, რომ ჩვენ სიტყვებს ან მისთვის, ან მისი მწერლებისთვის სარგებლობის მოტანა შეეძლოთ. ჩვენ თვალში მხოლოდ ერთი მიზანი და ერთი სარგებლობა გვექნება: ვაჩვენოთ მკითხველს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, თუ რა ვნება შეუძლია და რა შედეგი მოსდევს მწერლობაში იმისთანა საქმის თაოსნობას, რომლისთვისაც კაცი მომზადებული არ არის და რომლის ასასრულებლათ იმას საკმაო გონება და ძალა არა აქვს.

„მნათობის" მერვე და მეცხრე წიგნში მარტო ორი ორიგინალური სტატიაა დაბეჭდილი: „ათი მტერს და ერთი მეგობარს" უფ. ანტონ ფურცელაძისა და „მიმოხილვა" უფ. ჯანაშვილისა. დანარჩენი წიგნი სულ ნათარგმნებისაგან არის შემდგარი. გადმოთარგმნილია შილლერის „ფიესკოს შეთქმულობა" (ნათ. ნ. ავალიშვილისაგან), ბაირონის „დონ-ჟუანი" (ნათ. ი. ბაქრაძისა), და ლევალდის „ქალების წინააღმდეგ და სასარგებლოდ" (ნათ. ეკ. ღვინიაშვილისაგან). ლექსებიდგან ორი — ორიგინალურია და ერთი ნათარგმნი.

აქედგან იმას ნურავინ გამოიყვანს, ვითომ ჩვენ ვიწუნებდეთ თარგმნების სიმრავლეს. არა. უხეირო ორიგინალურ სტატიას არათუ

ხეირიანი, უხეირო ნათარგმნიც გვირჩევნია, თუკი თარგმნის ღირსი თხზულება გადმოუღიათ. მაგრამ, თუმც უხეირო თარგმანი „მნათობის“ მწერლების უხეირო თხზულებებს გვირჩევნია, აქედამ არც ის უნდა იფიქროს ვინმემ, ვითომ „მნათობის“ ნათარგმნები რათმე ღირდენ. ჩვენ დიდი ხანია შეგვინიშნავს,[10] რომ „მნათობის“ რედაქციას და მწერლებს ერთი მეტის მეტათ ახირებული თვისება სჭირთ: ისინი ნიადაგ თითქო საგანგებოთ ისეთ საქმეს და ისეთ თხზულებებს ეპოტინებიან, რომ არათუ მორევა, გაგებაც კი გაუჭირდებათ. ამასწინეთ ისინი თავს იმტვრევდენ ორიგინალური სტატიების წერაში ისეთ საგნებზე, რომ მათ ცოდნას და ნიჭს არ შეეფერებოდათ. ამის დამნახავი ჩვენ ვურჩიეთ იმათ „დროებაში“, ამ მძიმე საგნებს და უფრო უმძიმესების წერას თავი დაანებეთქო და რისიმე თარგმანს შეუდექით, იქნება ეს უფრო მოგიხდესთ და თქვენი ძალის შესაფერი იყვესთქო. მისდგომიან, მასაქეთ, ეს ვაკბატონები შილლერს და ბაირონს და აწიოკებენ უმადლოთ და უღვთოთ. ეს იმას ჰგავს, უხეირო მსაჯულს რომ უთხრათ, გირჩევნია ხელში ბარი აიღო ქუჩის გასაწმენდ-გასასწორებლათ თქო, და იმან კი მთაწმინდას მიადგეს და თხრა დაუწყოს, აქაოდა, ამ მთას გადავთხრი და მაშინ თფილისს გაშლილი მდებარეობა ექნებაო. დაილოცა ღმერთო შენი განგება. რა მიხვედრას და გამჭრიახობას აძლევ ზოგი-ერთს შენს განაჩენს!..

რა ძნელი მოსაზრებელია, თუ ღმერთი გწამთ, რომ რომელიმე მწერლის გადმოსათარგმნელათ თავდაპირველად იმისი ენის ცოდნაა საჭირო? ვინ არ იცის, თარგმნის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება უფრო ახლო და სწორეთ გადმოსცეს მწერლის აზრი, და ამისთვის უცილებლათ საჭიროა, მთარგმნელი იმოდენათ მაინც გონება გახსნილი და დამზადებული იყოს, რომ ამ აზრის გამოკვლევა და გაგება შეეძლოს? იმას ვინღა დაეძებს, რომ ამას გარდა მთარგმნელი მარტო ისეთ თხზულების გადმოთარგმნას ჰკისრულობდეს, რომ შინაარსი, დედა-აზრი და გარეგანი ფორმა მის ხასიათს და ტვინის მიმართულებას ეთანხმებოდეს, ისე რომ იმას, თარგმნის დროს, იგივე გრძნობა და იგივე მიმართულება გაუჯდეს ტვინში, რომელიც თვითონ მწერალს ამოქმედებდა. არც ერთი ამ მოთხოვნილების გაგება არ აქვთ „მნათობის“ მთარგმნელებს. ისინი ჩაიგდებენ თუ არა ხელში რუსულათ დამახინჯებულ თხზულებას, მაშინვე თარგმნას დაუწყებენ, და აკვეტებენ ამ თარგმანს „მნათობში“. რა გაჭირვებისთვის, რა აზრით? ეს მარტო ღმერთმა იცის. ან ეს რა საკითხავია? რა გაჭირება ადგია იმ კინტოს, „ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელს“ რომ სთარგმნის რუსულათ აი ასე: „კუსოკ-კუსოკ ობლაკ იდოთ ოტ ვისოკ ნებუ-უ?“ — თარგმნის ეშხის მე-

ტი, სხვა არაფერი. აი, სწორეთ ეს თარგმნის ეშხი ამოქმედებს „მნათობის“ მთარგმნელსაც.

რა გამოდის ამნაირი თარგმნისაგან, ან თუ გინდათ, ამას გვაჩვენებს ჩვენ ორიოდე მაგალითი. ავიღოთ, ვთქვათ, „დონ ჟუანი“ და ვნახოთ, რანაირათ არის ის გადმოთარგმნილი ქართულ ენაზე.

აი ბაირონის „დონ-ჟუანიდამ“ პირველი სტროფი მეორე თავისა (ან ხმისა):

O ye! who teach the ingenious youth o nations,
Holland, France, England, Cermany or Spain,
I pray ye flog them upon all occasions,
It mends their morals, never mind the pain;
The dest of mothers and of educations
In Juan's case were dut emptoud in vain,
Since, in a way that's rather of the addest, he
Became divested of his native modesty.

ესე იგი: „გევედრებით თქვენ, ვინც ზდის სხვა და სხვა ხალხების, ჰოლლანდიის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის ან ესპანიის უმანკო ახალგაზდობას, სცემეთ ისინი ყოველ შემთხვევაში. ეს მათ ზნეობას მოუხდება, ტკივილზე კი ნურასოდეს ნუ იზრუნებთ. ყველაზე უკეთესი დედის ყოლა და უმჯობესი სწავლის მიღება დონ-ჟუანს არათ გამოადგა: იმან მაინც დაკარგა თავისი უმანკოება და დაკარგა ძლიერ სულელურათ“.

გინდათ ეხლა ნახოთ, რანაირათ არის გადმოთარგმნილი ეს ადგილი „მნათობში?“ აი, როგორ:

„ყველა ქვეყნების შკოლების მასწავლებლები,
რომ ჩვენ ზნეობა გავასწოროთ ყმაწვილებისა,
გვიქადაგებენ, რომ ვიხმაროთ მუდამ როზგები.
ცემა უნდა... რა არს ტკივილი ტყავისათვისა?
ჩვენ მაგალითად ხელს მიგიშვერთ დონ-ჟუანზედა:
თუმცა რომ დედა ბევრს ცდილობდა მის აღზრდაზედა
და იმისათვის არაფერსა არ იშურებდა,
მაგრამ ბოლოს კი ურიზგობას ბევრსა ნანობდა“.

აი, ამას ეძახის „მნათობი“ თარგმნას! საწყალი „მნათობი“!

ადგილი რომ არ გვეშურებოდეს, ადვილათ შეგვეძლება მკითხველის გართვა „მნათობის“ თარგმნების შედარებით მათ ორიგინალთან. მაგრამ ეს ერთი მაგალითიც გვეყოფა, მით უფრო, რომ ის საგანგებოთ მოძებნილი როდია: ჩვენ ავიღეთ პირველი სტროფი დონ-ჟუანის იმ ნაწილისა, რომელიც ამ უკანასკნელ წიგნშია დაბეჭდილი, და შევადარეთ ის თავის დედანს. ეს მაგალითი გვიჩ-

ვენებს, თუ რა ნაირათ ესმისთ „მნათობის“ მთარგმნელებს, და იმ რედაქციას, რომელიც ამ თარგმანებს ბეჭდავს, დედანის აზრი, ირონია და კილო.

ან სხვა რა უნდა გამოსულიყო ამ თარგმანიდამ? ვინ „მნათობი“ და ვინ ბაირონის დონ-ჟუანი? ის სამართებელსავით მჭრელი ირონია, ის მდუღარე გრძნობა და ბრაზიანი სიძულვილი, რომლითაც სავსეა ეს პოემა, დაუჭმუჭვნელად აბა როგორ ჩაიკეცებოდა „მნათობის“ თავში? მაშ რათ უნდა გვიკვირდეს ეს რიგი თარგმნა?

„ფიესკოს შეთქმულება“[11] — თუ კი ეს შესაძლებელი საქმე იყო — უფრო უგვაროთაა გადმოთარგმნილი. უფ. ნ. ავალიშვილი ითვლება ჩვენში კარგ მთარგმნელათ, ჩინებულ მშრომელათ, — მაგრამ საუბედუროთ იმას ისეთი თხზულება აუღია, რომლის გადმოთარგმნას, ბევრი შრომა და დრო სჭირდა, ენების ცოდნას გარდა. ამ შემთხვევაში იმის ნათარგმნი სწორეთ ხელში აღებათაც არ ღირს, რადგანაც თარგმანს არათუ დამწერის აზრი დაჰკარგვია, ქართული ენის კილოც ვერ მიუგნია. წააკითხეთ, აბა, ვისაც გსურდეთ აი, ეს ალაგი (მეორე მოქმედების თავი) და გვითხარით, გაიგო თქვენმა მკითხველმა ერთი სიტყვა მაინც, რისი თქმა უნდოდა დამწერს?

„არ-ბელლა. — არა! დამერწმუნეთ, რომ შემცდარი ხართ და ის არის. შურიანობამ ვეღარა დაგანახათრა რიგიანად.

ლეონორა. — აჰ, აჰ (??) სწორეთ იულიას სურათი იყო. შენ მე ვერაფრით დამარწმუნებ არაობას. ჩემი სილუეტი ცისფერ ლენტზედ ება, ის კი ალისფერზედ არის. გადაწყვეტილია ჩემი ბედი“ და სხვ.

სწორეთ ამ ნაირივეა მესამე ნათარგმნი, ბარბიეს ლექსი, გადმომახინჯებული უფ. ლომაურისაგან. მაგრამ მიუტევოთ ამათ შეცოდებანი მათი, რადგანაც არ იციან, რას შვრებიან, და ვუთხრათ გამოთხოების დროს, რომ უფ. ბაქრაძეს ტყუილათ კი არ გადაუსხვაფერებია ბაირონი: ის დარწმუნებულა, რომ როზგები ძლიერ კარგი რამ არის და სასარგებლოც „მნათობის“ მთარგმნელებისთვის, თუ სხვაფრივ არა, ლექსთა წყობისთვის მაინც... ჩვენ კი იმ დონ-ჟუანის დედანს უნდა შევადაროთ, რომელიც, როგორც გვარწმუნებს უფ. ი. ბაქრაძე „ურუზგობას ბევრს ნანობდა!“ სანამ „მნათობის“ თარგმანებს თავს დავანებებდეთ, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ ფანნის ლევალდის „ქალების წინაალმდეგ და სასარგებლოთ“. ეს თხზულება, რასაკვირველია, ადვილი გადმოსათარგმნელი იყო, რადგანაც ის იმ ხელოვნების საუნჯეებს არ ჩამოგავს, რომელიც იმისთანა გენიოსებს შეუმუშავებიათ, როგორც შილ-

ლერი და ბაირონია, და რომლის გადმოთარგმნის დროს თავი უნდა ინტვრიოს კაცმა თითოეულ სიტყვაზე, თითოეულ წერტილზე. ეს თხზულება სულ სხვა ნაირია, უფრო ადვილი გასაგები და გადმოსაღები, მაგრამ რასთვის არის ის გადმოსათარგმნელი? ნუთუ „მნათობს“ თავისი საკუთარი საქმე და შეხედულობა აქვს, ნუთუ „მნათობი“ არ გრძნობს, რომ ჩვენში, ქალების საქმე სულ სხვა ნაირათ სდგას და სხვა ნაირათ უნდა განიხილოს ჟურნალმა, ვინემ მაგალითად გერმანიაში, ინგლისში ან ამერიკაში. ნუ თუ „მნათობს“ ყური არსად მოუკრავს მაინც რომ ქალები პოლიტიკურ უფლებებს მარტო იმ ქვეყნებში თხოულობენ, სადაც იმათ კაი ხანია მიუღიათ სხვა საზოგადოებრივი უფლებები, რომელნიც ჩვენში კიდევ საძიებელნი არიან? მაშ რათ ბეჭდავს „მნათობი“ ფანნი ლევალდის თხზულებას, რომლის უმთავრესი ძალა პოლიტიკურ მოთხოვნილებაზე არის დამყარებული? რატომ სხვა რამ არ ამოურჩევია ისეთი, რომელიც თავისი აზრით და მიმართულებით ჩვენთვის პირდაპირი გამოსადეგი იყოს, ესე იგი რომელიც გვაჩვენებს ჩვენ, თუ რა უნდა ქნან ჩვენმა ქალებმა, რომ მტკიცეთ გაიკეთონ გზა გაუმჯობესებისა?

მაგრამ ან ეს რა საკითხავია? „მნათობი“ უმიზნოთ ბეჭდავს ყველაფერს, რაც კი ხელში ჩაუვარდება. განა იმას შეუძლია გვიპასუხოს „დონ-ჟუანი“ რისთვის დაბეჭდა და არა „მანფრედი“ ან „სარდანაპალი?“ რათ სთარგმნა „ფიესკო“ და არა „ზარზე სიმღერა“ ან სხვა რამე? — მისთვისო გეტყვის, რომ უფ. ბაქრაძემ გადმოთარგმნა და მოგვცაო. წადით და ჰკითხეთ მაშინ უფ. ბაქრაძეს და ის გიპასუხებს — რა ვიცი, შემხვდა და დაუჯექიო. შეგვეფერება ჩვენ თხზულება, ექნება იმას მკითხველ საზოგადოებაზე რამე ზედმოქმედება, თუ არა? აძლევს ნათარგმნი თხზულება პასუხს იმ კითხვებზე, რომელიც ან ეხლა აფიქრებს საზოგადოებას, ან მოკლე ხანში დააფიქრებს, — ამისას ნურას ჰკითხავთ „მნათობს“ და მის მთარგმნელებს, ან, პირებს და იმ რედაქციას, რომელიც თარგმნას კისრულობს და არც სხვა ქვეყნების ენა იცის, არც ლიტერატურის ისტორიას არის გაჩვეული...

კმარა თარგმნებზედ, გადავხედოთ ეხლა ორიგინალურ სტატიებსა.

უფ. ანტონ ფურცელაძის სტატია „ათი მტერს და ერთი მეგობარს“ „დროებაზე“ გამოლაშქრებაა. აგერ ერთი წელიწადი იქნება, რაც ეს ახირებული კაცი გაცხარებულათ ებრძვის „კრებულ-დროებასა“[12], თავის ათიოდე მკითხველს არწმუნებს, რომ „კრებულ-დროებას“ საქმეს უჭირვებო. ამდენი ხანია „კრებულ-დროება“ ხან

დაცინვით დასცქეროდა ამ ალიაქოთს, ხან ამბობდა შეუძლებელია ამ რიგ კაცთან ლიტერატურული ბაასის გამართვაო, და ამას ერთიანათ გადაურეკია ჩვენი ანტონი. დღეს ის ვითომ „დროების" შინაარს სინჯავს 1871 წლისას, და სინჯავს მისი ჩვეულებრივი სინდისიანობით. ჩვენ ამ თხზულებაზე თითქმის არაფერს ვიტყოდით იმის მეტს, რომ ის ავათმყოფი თავ-მოყვარეობის ნაყოფია, მაგრამ როცა გავიხსენებთ, რომ ეს სტატია მისი პირველი შეცდომა არაა, და, თუ კიდევ წაუყრუეთ, არც უკანასკნელი იქნება, ჩვენ საჭიროთ ვხედავთ გულდაგულათ გამოვემუსაიფოთ უფ. ფურცელაძეს და მისი თავმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ, პასუხის მიცემით თუ არა, პასუხის მოთხოვნით მაინც. იმისგამო ვიხსენებთ ერთბაშათ მის პოლემიკურ წარსულს და უმორჩილესად ვთხოვთ ყურის დაგდებას.

ამ სტრიქონების დამწერს ბევრჯერ ამაოთ ურჩევია უფ. ფურცელაძისთვის თავის დაკავება და ლიტერატურული მორცხობა, მაგრამ უფ. ფურცელაძეს მაინც თავი ვერ შეუკავებია, თუმცა მის წარსულს, მის გონების ძალას, მის ცოდნას უნდა ერჩია მისთვის ბაქა-ბუქის და თავხედობის მიტოვება, იმან ყური მაინც არ ათხოვა ამ გონიერს და მისთვის სასარგებლო რჩევას და მაინცა და. მაინც გამობრძანდა სალიტერატურო სამჯავროს ასპარეზზე. იყო დრო, როცა ამის დამწერი პირის-პირ ეუბნებოდა უფ. ფურცელაძეს, რომ ჩვენი მწერლების სასაფლაოზე ერთი საშინელი დანა მარხია, რომელიც უფ. ფურცელაძეს ერთი გაკვრით ყელს გამოსჭრის, და ურჩევდა იმ დანას ნუ გამოგვაძებნინებო. თავის საუბედუროთ, უფ. ფურცელაძემ მაინც თხარა, თხარა და იმოდენი თხარა, რომ ეს დანა გამოთხარა და ხელში მოგვაჩეჩა. ჩვენი ბრალი არ იქნება, თუ ამით მის ყელს საქმე გაუჭირდა.

ეს ახირებული კაცი — რომელსაც ჩვენ, მარტო ზრდილობის მიხედვით მწერლის სახელს არ მოვაკლებთ, გამოდის სალიტერატურო ასპარეზზე და მკითხველებს გვაბეზღებს: „კრებულ-დროება", ამბობს ის, მიმდგომია, უსინდისოა, ამხანაგობით აქებს და საკუთარი თავმოყვარეობით, ხარბობით აძაგებს მწერლებსო; „კრებულ-დროებას" არც ლიტერატურული, არც კერძოობითი პატიოსნება და სინიდისი აქვსო, ის მკითხველ საზოგადოებას ატყუებსო და სხვ. და სხვ. და სხვ. ამასთანავე ის ამტკიცებს, ვითომ ჩვენ ნაწერებში აზრი და გაგება არ მოიძიებოდეს და ჩვენ ყველანი ერთიანათ უნიჭოები და უსინდისო „ცრუ-პენტელები" ვიყოთ. გვაქვს ჩვენ ნიჭი, სჩანს ჩვენს ნაწერში აზრი და მიმართულება თუ არა, ეს უფ. ან. ფურცელაძის ჭკუის საქმე არ არის. მკითხველი, იმედია,

არ დაგვემდურება და კიდეც დაგვიმადლებს, თუ ჩვენ ან. ფურცელაძის „მსჯელობას“ ყურადღებას არ მივაქცევთ. მისი აზრი იმოდენათ დასაფასებელი არ არის, რომ კაცმა მის დასარღვევლათ თავი შეიწუხოს, როცა თითოეულ მკითხველს ადვილათ შეუძლია ჩვენი ნაწერის აღება და ანტ. ფურცელაძის „მსჯელობასთან“ შედარება. ჩვენ იმოდენათ დარწმუნებული ვართ მკითხველის განაჩენის მიუდგომლობაზე, და ან. ფურცელაძის „მსჯელობის“ სისუსტეზე, რომ ამ მხრით ხმის ამოღებასაც საჭიროთ არ ვთვლით.

მაგრამ ლიტერატურული მსჯელობის მეტი ორი სხვა ისეთი მხარე აქვს ან. ფურცელაძის პოლემიკას, რომელზედაც ჩვენ ხმის ამოუღებლობა არ შეგვიძლია: ეს ორი მხარე ორი ცილის წამებიდამ შესდგება — ერთი ვითომ ჩვენ უსინდისოთ ვხმარობდეთ ჩვენ ლიტერატურულ მდგომარეობას და მკითხველს თვალს უხვევდეთ მიდგომით და სიხარბით, და მეორე ვითომ ჩვენ ცუდი კაცები ვიყოთ ჩვენ კერძო ცხოვრებაში. ამ უკანასკნელ საგანზე ლაპარაკი, რასაკვირველია, შეუძლებელია, ამიტომ რომ უსაფუძვლოთ, უსაბუთოთ გამოთქმულ აზრზე პასუხათ მარტო ის ითქმის: — არა, ჩვენ ძლიერ პატიოსანი კაცები ვართო, და აბა ამის თქმა ვის ეკადრება? მაგრამ რამდენათ დამჯდარათ და საფუძვლიანათ სჯის ამისთანა საქმეებზე უფ. ან. ფურცელაძე, გვაჩვენებს ჩვენ პირველი ცილისწამების განხილვა, ჩვენი მიდგომის და ხარბობის თაობაზეაი, ამ საგანს შეუდგებით ჩვენ, მხოლოდ იმისთვის, რომ ამ საქმის გარემოება მკითხველს თვალს წინ არა აქვს, და ჩვენი და ფურცელაძის გასამართლება იმას ჩვენს მხრით საბუთების წარუდგენელათ არ შეუძლია.

თუ უფ. ფურცელაძეს ესმის ლიტერატურული ბაასის კანონები, ის ამ დასაწყისის ტონიდანაც გაიგებდა, რომ დღევანდელი ჩვენი და მისი პოლემიკა ხუმრობა არ არის. ეს ისეთი ბაასი და ჯირითია, რომელშიაც ასპარეზზე მკვიდრათ უნდა დარჩეს ან ჩვენი, ან მისი რეპუტაცია. თუ კი მართლა დამტკიცდა, რომ ჩვენ მიდგომით, მეგობრობით, სიხარბით, ან სხვა ამგვარი პიროვანი გრძნობით, ვაქებთ ან ვაძაგებთ მწერლებს და მათ ნაწარმოებს და ამნაირათ ჩვენი მკითხველების გულდანდობილებას ვატყუებთ და ვაცდენთ, ჩვენ ისეთი უპატიოსნო და უსინდისო მწერლები ვყოფილვართ, რომ ჩვენი ნაწერი ხელში ასაღებათაც არა ღირს და თუ კი ეს არ დამტკიცდა, თუ აღმოჩნდა, რომ ამ ცოდვებში ჩვენ დანაშაულები არა ვართ, მაშინ ცხადი საქმე იქნება, რომ ის, ვინც ჩვენ უსაფუძვლოთ ამისთანა საშინელ ბრალს გვდებს, ყოფილა უმსგავსო ცილისმწა-

მებელი. ცხადია, რომ ამ სჯაში გამტყუნებული მკვდრათ უნდა ჩაითვალოს.

უფ. ანტ. ფურცელაძე გვაბრალებს, ვითომ ჩვენ მიდგომით და მეგობრობით გვექოს ისეთი უნიჭო და უხეირო თხზულებები, როგორც გ. წერეთლის „ჯიბრი“[13] და ამ სტრიქონების დამწერის „მელაღუმე“[14] და აგრეთვე მიდგომით და ხარბობით წაგვეყრუოს უფ. დიმიტრი ბაქრაძის „საქართველოზე“[15] და გვეძაგებინოს თვით უფ. ანტ. ფურცელაძის თხზულებები; — ესა არის, ხომ, უფ. ფურცელაძე, თქვენი საფუძველი?

გავსინჯოთ ეს საფუძვლები და ვნახოთ, რამდენათ საფუძვლიანი არიან თვითონ ესენი.

„ჯიბრის“ დაბეჭდვის დროს „კრებული“ ჯერ კიდევ ჟურნალათ არ გამოდიოდა და მისი რედაქცია გ. წერეთლის ხელში არ ყოფილა.[16] ამ სტრიქონების დამწერმა მისცა „ჯიბრს“ დიდი მნიშვნელობა და პირველი ადგილი „კრებულის“ მეორე წიგნში, და „დროებამაც“ ორჯერ-სამჯერ ის აზრი გამოთქვა, რომ „ჯიბრი“ ძრიელ შესანიშნავი თხზულება�ა. აი, რა საფუძველი გვქონდა ჩვენ, როცა „ჯიბრს“ ვბეჭდავდით და ვაქებდით, და ვნახოთ, როცა ჩვენ ამ საფუძველს მკითხველებს წარეუდგენთ, დაგვეთანხმებიან თუ არა მკითხველები, რომ „ჯიბრის“ ბეჭდვაში და ქებაში ჩვენ მეგობრობით კი არა კრიტიკული მსჯელობით ვხელმძღვანელობდით.

ჩვენ ლიტერატურაში ბევრი კომედიები მოიძებნება, და არც სცენები, არც დრამა, არც ტრაგედია დაკლებია ჩვენს მწერლობას. მაგრამ ჩვენ კრიტიკას — კრიტიკა რომ გაგვაჩნდეს — არ შეეძლო, არ შეენიშნა, რომ თითქმის ყველა ეს კომედიები და დრამები, ერთ კალაპოტზე იყვნენ ჩამოსხმულნი, მერე უგვარო კალაპოტზე, ისეთზე, რომელიც ნიადაგ ყოველ თხზულებას ახდენდა, თითქმის ნიჭიერსაც. ჩვენ კომედიებში, მაგალითად, ყველაში ერთი და იგივე აზრი, ერთი და იგივე ინტრიგა, ერთი და იგივე მოქმედება და მოქმედი პირები გამოჰყავდათ მწერლებს; ვისაც ერთი კომედია ენახა, ნანახი ჰქონდა ყველა დანარჩენები. ყოველ კომედიაში უნდა ყოფილიყო გასუქებული სომეხი, მოლაპარაკე დამტვრეული ქართული ენით, ისეთი ენით, რომელსაც არა თუ ჩვენი სომხები, გუშინდელი მოსული ყიზილბაშიც არ ხმარობს. ყოველ კომედიაში მეორე კომიკურ პირათ უნდა ყოფილიყო „იმერელი“, დაგრეხილი, დამაბინჯებული ლაპარაკით, რომლითაც სრულიად არც ერთი ხალხი და არც ერთი კაცი არ ლაპარაკობს კავკასიაში. უნდა ყოფილიყო „რუსეთუმე“ აფიცერი, ან ჩინოვნიკი, ახალგაზრდა ქალი — მისი მოარშიყე გოგო, დედა და მამა. ახალგაზრდა კაცს ქალი უნდა ყვა-

რებოდა, იმერელს — გოგო, და ორი ან სამი მოქმედების ბოლოს მცქერალს ორი ქორწილი ერთათ მიერთმეოდა. — ასეა ეს, თუ არა!

ვნახოთ ეხლა, რა უნდა ეფიქრა ამ საგანზე კეთილ სინდისიანს მწერალს, ვისაც ახალი თხზულებების არჩევა და დაფასება რგებია.

იმას, რასაკვირველია, ეს კითხვა უნდა განეხილა: რა და რომელი მხარე ჩვენი ნამდვილი ცხოვრებისა, ჩვენი საზოგადოებისა, ჩვენი ხალხის მდგომარეობის და ხასიათისა გამოგვიჩინა და თვალწინ დაგვიხატა იმ კომედიებმა? ვხედავთ შიგ ჩვენს ხალხს, ჩვენს საზოგადოებას? გვეხატება შიგ ჩვენი ხალხის საზოგადოების ლხინი, ან ჭირი, გვიდგება თვალწინ ჩვენი ნაცნობი პირები, რომელთაც ცხოვრებაში ხშირათ ვხედავთ, მაგრამ კარგათ, სასალმოთ კი მაინც ვერ ვიცნობთ? ყოვლად უეჭველია, რომ რაკი ის ამ კითხვებს გაიხსენებდა, იმ წამშივე უნდა ეთქვა: არა, ათასჯერ არაო!...

სწორეთ ამ აზრის ვიყავით ჩვენ, როცა გ. წერეთელმა „ჯიბრის“ დაწერა. ამ თხზულებაში არც ერთი წინეთ მოთვლილი ნაკლულევანება არ იპოება. მწერალს ჩვენ ერთბაშათ გადავყავართ სრულიად უცნობ წრეში, იმ წრეში, რომელშიაც გამოზდილია თითქმის მთელი ჩვენი ახალგაზდობა, მაგრამ რომელიც არ გამოხატულა ჯერ მწერლობაში. იქ ჩვენ ნამდვილ, შეუფერავ, ცოცხალ ნაცნობებს ვხედავთ თითქმის დაგეროტიპული სიმართლით გადმოხატულებს. ჩვენ გვესმის მათი ნამდვილი ლაპარაკი და ენა, — ეს არაფერია, მაგრამ ძალა იმაშია, რომ ჩვენ თვალებს წინ დგება მათი ნამდვილი ხასიათი, მათი მოაზრება, მათი ტვინი და გული, რამდენს უთქვამს, „ჯიბრის“ წაკითხვის შემდეგ, „რა საკვირველათ ჩამოგავს“ „ჯიბრის“ გამდელი ჩემსასო!“ საზოგადოთ, „ჯიბრის“ სურათების სინამდვილე ყველამ აღიარა, ყველამ იცნო და გამოთქვა.

ჩვენ ვხედავთ კიდევ, რომ ამ წრეშიაც სდუღს „ბრძოლა“. ჩვენდა საუბედუროთ ჩვენს ცხოვრებაში სიყვარულს — ქალის იყოს, გინდ მამულის, — თითქმის არასოდეს ადგილი არ უკავია. იმას არც არავინ გრძნობს, არც არავინ ეძებს, ან, თუ ეძებს, მისთვის არავინ იბრძვის. ჩვენში, როგორც ყოველ ღარიბ და ბინძურ საზოგადოებაში, ბრძოლა, ხასიათი, ვაჟკაცობა, დრო და ძალა ლუკმაპურის და მიწის ნაგლეჯისთვის იხარჯება. რადგან ჩვენი ცხოვრება თითქმის არც ერთ თავის შემთხვევას არ წარმოგვიდგენს, რომ კაცს ებრძოლოს და თავისი სიცოცხლე და ბედი შეეწიროს ან ქალის, ან მამულის სიყვარულისათვის, რა ნაირათ, ან რისთვის უნდა ვწერდეთ ჩვენ ისეთ კომედიებს, რომელშიაც მოძრავ ძალათ სიყვარული და გრძნობა სჩნდება, და რომლებშიაც მოქმედება სიყვარულზეა დაფუძნებული? ეს ჩვენ არ გვესმის, და გვგონია, რომ გ. წერე-

თეატრმა ნამდვილი არტისტული გრძნობა გამოიჩინა, როცა „ჯიბრის“ მოძრავ ძალათ და მიზნათ მებატონის სალარო გამოხატა.

ერთი სიტყვით, როგორც წრის, ეგრეთვე მოქმედი პირების, ისე ბოლოს მოქმედების გამორჩევით, ჩვენის აზრით, „ჯიბრი“ ახალი მანერის, ახალი კომედიების პროტოტიპი გახდა. ამ აზრით ჩვენ დავბეჭდეთ და ვაქეთ ეს თხზულება და დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგშიაც ჩვენ მწერლობას ხეირიანი ადგილი ექნება მიჩენილი „ჯიბრისათვის“. თქვით, ესლა, მკითხველო, ღირებულა „ჯიბრი“ ამ ქებათ თუ არა?

„მელაღუმე“ ამ სტრიქონების დამწერის თხზულებაა და ამისგამო, ამ მოთხრობაზე ჩვენ იმის მეტი არა გვეთქმის რა, რომ იმას დიდი ღირსება არა აქვს რა და ძლიერ სუსტი თხზულებაა. ამაში ჩვენ უფ. ფურცელაძეს ვეთანხმებით. — მაშ, იტყვის ეს ვაჟბატონი, მე ამაში მართალი ვყოფილვარ, და თქვენ კი მტყუანიო. — არა, ჩვენო ბატონო, აქ, ამაშიაც როგორც სხვაში ყველაფერში, თქვენ ხართ მტყუანი, და მარტო თქვენ. თუმც ამ „მელაღუმის“ ავტორი „დროებას“ ძლიერ უყვარს, თუმცა ის „დროების“ რედაქტორის მეგობარია, აგრეთვე როგორც გ. წერეთლის; იცით რა აზრი გამოთქვა „მელაღუმეზე“ გ. წერეთელმა და რა აზრი დაბეჭდა „დროებამ“? აიღეთ 1871 წლის „დროება“, და წაიკითხეთ შიგ გ. წერეთლის ფელეტონი, რომელშიაც „მელაღუმის“ შეცთომების და ნაკლულევანების ჩამოთვლის ბოლოს ნათქვამია, რომ ეს თხზულება მეტათ სუსტათ, ულაზათოთ და ცუღლუტურათ დაწერილიაო. მიდგომა და მეგობრობა ამას ჰქვია თქვენში?

აი, ეს გახლავსთ, მკითხველო, ჩვენი მიდგომით და მეგობრობით ნაქებები. ვნახოთ, აბა ეხლა ხარბობით და მიდგომით ნაძაგები.

უფ. დიმიტრი ბაქრაძის „საქართველოზე“ ჩვენ ორჯერ-სამჯერ განხილვა კინაღამ დავწერეთ „კრებულში“, მაგრამ ეს განხილვა ნამეტნად სასტიკი გამოდიოდა. ჩვენ დიდი პატივისცემა გვაქვს უფ. დიმ. ბაქრაძისა, ამიტომ რომ ვაფასებთ მის შრომას ქართული მწერლობის სასარგებლოთ, იმ შრომას, რომელიც თითქმის თუთხმეტი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა. უფ. დ. ბაქრაძემ დაბეჭდა ოდესმე „ცისკარში“ იმდროისთვის ჩინებული და ეხლაც სასარგებლო სტატიები, მაგალითად „ბაგრატ მესამე“, „კრება დავით აღმაშენებელის დროს“[17] და სხ. ამ სტატიებს მკითხველებში საქართველოს ისტორიის გაცნობის სურვილი უნდა აღეძრათ, ისინი ისტორიის მასალებათ უნდა გამოდგომილიყვნენ. შემდეგ უფ. დ. ბაქრაძეს შრომა არ შეუწყვეტია, და — რაც კი შეეძლო, რის ნებას სწავლა

და მასალები აძლევდა, დასწერა და ეხლაც სწერს, ერთი სიტყვით მისი შრომა, ჩვენს თვალში, პატიოსანი შრომაა.

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეხლა, ჩვენი მწერლობის ეხლანდელ მდგომარეობაში, შეუძლებელი საქმეა ხეირიანი ისტორიის დაწერა, არა თუ საქართველოსი, ერთი რომელიმე საუკუნის ან მეფობისა. ჩვენ გვაკლია მასალები, გვაკლია გამოძიებები, რომლის შემწეობით ჩვენ უნდა შეგვეძლო აზრის შედგენა მაშინდელი ხალხის მდგომარეობაზე, მოქმედებაზე და მიმართულებაზე, მაშინდელ ჩვეულებებზე და ზნეზე, მაშინდელ აზრისა და გონების გაჯსნაზე და სხ. რა სჭიროდა, რა უნდოდა ხალხს, რას ეძებდა, რას არა? ხალხი, ხომ ისტორიის პირველი მოქმედი პირია, და რა ნაირად დაიწერება ისტორია, თუ მის პირველ მოქმედ პირზე ჩვენ სრულიად არაფერი გაგება არა გვაქვს?

სანამ ამნაირი მასალები არ გამოიძებნება და არ გაირჩევა, არა თუ უფ. დ. ბაქრაძე, თვით ბოკლიც რომ გააცოცხლოთ და შემწეთ გროტი, ნიბური, ვოლტერი და ათასი სხვა ისტორიკოსი მისცეთ, „საქართველოს“ ხეირიან ისტორიას ვერ დასწერს და ვერ შეადგენს. მართლაც, უფ. ბაქრაძის „საქართველოს“ პირველი რვეულის გადაკითხვამ უფრო დაგვარწმუნა ამ აზრში, და თან ის ახალი აზრიც მოგვგვარა თავში, რომ ისტორიის კი არა, საქართველოს ხეირიანი ტოპოგრაფიის შედგენა მეტის მეტათ ძნელია, და უფ. ბაქრაძის შრომა ამ მხრითაც სუსტია.

მაშასადამე, ჩვენ ან უნდა გვეძაგებინა უფ. ბაქრაძის თხზულება, უნდა გამოგვეაშკარავებინა მისი სისუსტე, უსაფუძლოება და ნაკლულევანება, უნდა გვეთქვა, რომ ის უსარგებლოა, ან სრულებით ხმა არ უნდა ამოგვეღო ამ შრომაზე. გამლვტყდებით, ან. ფურცელაძეს რომ დაეწერა „საქართველო“, ჩვენ იმას არც ერთს დაცინვას, არც ერთ უპატიურებას არ დავაკლებდით. მაგრამ უფ. ბაქრაძე და ფურცელაძე სხვა და სხვა მწერლებია. უფ. ბაქრაძეს არ ეკადრება ის, რაც უნდა აკადროს კაცმა ფურცელაძეს, — რისთვის? ეს დაბლა იქნება ახსნილი. ამისთვის ჩვენ ვარჩიეთ სრულებით ხმა არ ამოგვეღო უფ. ბაქრაძის შრომაზე, იმ პატივისცემის ხსოვნით, რომელიც გვაქვს ჩვენ-და რომელნიც უნდა ჰქონდეს ყოველ ქართული ლიტერატურის მომხრეს, — უფ. ბაქრაძის პატიოსანი ლიტერატურული წარსულისა და ამაგისთვის. — თუ ეს მიდგომაა, უპატიოსნო გრძნობით მიუდექით ჩვენ უფ. ბაქრაძეს? გასაჯოს ეს მკითხველმა და თვითონ უფ. დიმიტრი ბაქრაძემ.

დაგვრჩა მაშ უფ. ანტ. ფურცელაძე, თავისი მოენიძითურთ.[18] აგერ ათ წელიწადზე მეტია, რაც უფ. ანტონ ფურცელაძე ცოდ-

ვილობს ჩვენს ლიტერატურაში, და, იმედია, ათიოდ წელიწადს კი-
დევ იცოდვილებს. მისდა საუბედუროთ, ეს ცოდვილობა იმას ფუ-
ჭათ ჩაუვლის. ათი წლის განმავლობაში ვერ გაუთელია იმას გზა
მკითხველი საზოგადოების გულისა და ტვინის მოსაგებათ. რისთვის
და როგორ მოხდა, რომ კაცი, რომელიც ოფლის ღვრით, ჭაპანწყვე-
ტით და ვაივაგლახით სწერს და ბეჭდავს თავის თხზულებებს ათი
წლის განმავლობაში, მკითხველ საზოგადოებას მწერლათ არ მი-
აჩნია? რა მიზეზია, რომ მის სიტყვას და ნაწერს იმდენი გავლენაც
არა აქვს საზოგადოებაზე, რამდენიც აქვს გუშინდელ ან გუშინწინ-
დელ მწერალს.

აი ამის მიზეზი:

ჯერ ერთი ეს, რომ არც ერთხელ არ გამოუთქვამს უფ. ფურცე-
ლაძეს არც ერთი ისეთი მტკიცე, მარჯვე და საფუძვლიანი აზრი,
რომელიც პირ-და-პირ, გახურებული შანთივით, შედის მკითხველი
საზოგადოების ტვინში და მკითხველს უნებურათ ათქმევინებს:
„ღვთის მადლმა ეს მართალიაო!"; არც ერთხელ არ მიუგნია უფ.
ფურცელაძეს ამისთანა აზრისთვის და არც ერთი სტრიქონი არ და-
უწერია თავის სიცოცხლეში ისეთი, რომელშიაც მართალ აზრს კუ-
დათ, გამობმული არ ჰქონდეს ისეთი უგვარო და უზარმაზარი შეცდ-
ომა, გადაჭარბება, ან სიცრუე, რომელიც ერთბაშათ ძალას უკარ-
გავს მის თხზულებას და მკითხველს ათქმევინებს: — „ძმობილო,
სტყუვიო!"

მეორე მიზეზი უფ. ფურცელაძის უსარგებლო და უნაყოფო
ცოდვილობისა არის უფ. ფურცელაძის „ცოდვიანობა". ესე იგი ის,
რომ უფ. ფურცელაძეს შუბლზე აჩნია ერთი მომაკვდინებელი ცოდ-
ვის დაღი, რომელიც საფლავამდის არ ასცილდება და საფლავშიაც
გაუწვავს შუბლის ძვალს. ეს „ცოდვა" აი, რაში მდგომარეობს.

1863 წ. ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის"[19]
გამოცემა. ვის არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა, ერთის მხრით, ჩვენი
ცხოვრება თავის უწინდელ კალაპოტს ცვლიდა და ახალში შესვლას
აპირებდა, ან, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, არ აპირებდა. მაგრამ
მაინც უნდა შესულიყო, და როცა, მეორეს მხრით, ატყდა სასტიკი
ბრძოლა ახალგაზდობისა — ესე იგი ახალი ცხოვრების, და ძვე-
ლი კაცობის, ესე იგი ძველს წესს და სჯულს შუა? როცა ატეხილია
ბრძოლა, როცა სდუღს ცხოვრება, ყოველი პატიოსანი კაცის ვა-
ლია ან ერთ რაზმში, ან მეორეში ჩადგეს, როგორც ურჩევს გული,
აზრი და მიმართულება. ბრძოლა, ვსთქვით, სასტიკი ატყდა, რაც
კი რამე იყო ჩვენში ახალგაზდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების

მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნეთ ეკავა ილ. ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეიფარა „ცისკარში“,[20] და ამნაირათ იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შუა სჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველს და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში.

ბრძოლას ქვეყნის შექმნიდამ ერთი და იგივე კანონი ჰქონია და ქვეყნის დაბოლოებამდე ერთი და იგივე კანონი ექნება. ბრძოლის ველზე ერთგულება, დისციპლინა და თავისი თავის დავიწყება და შეწირვა მთელი რაზმის სასიკეთოთ, ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება უაღრესი კანონი ყოველი პატიოსანი მებრძოლისა. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ რაზმიდამ გამოხტა ერთი უბრალო მოლაშქრე, შეცუნდრუკდა, შეხტა, შეტრიალდა, თუ რატომ მე არ მიპირავს დროშაო, ან სხვა რამე მიზეზით, და გაიქცა მტრის რაზმისკენ, მტერს გეერდით ამოუდგა და ხელი გაუწყო, წაეხმარა, გზა აჩვენა. ეს მაგალითი იშვიათია, ამიტომ რომ ბუნების და პატიოსნების უპირველესი კანონების წინააღმდეგია. მაგრამ ეს მაგალითი მოხდა ჩვენში, მოხდა ჩვენს მწერლობაში და ეს მაგალითი მოახდინა უფ. ანტ. ფურცელაძემ.

დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა „საქართველოს მოამბის“ საქმე. მაგრამ არც 1863 წ. იყო ეს დაფარული ვისმესთვის. ყველა გრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზდობისთვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა ახალი გზა, შეექმნა ახალი სასიყვარულო მიზანი, — მამული. საზოგადოების სიკეთე და ღირსება. ის მწვავი სიტყვებით დაღვიდა და ჰკლავდა ძველი საზოგადოების უმეცრებას და სულგრილობას საზოგადო საქმისათვის და ქადაგებდა საზოგადო საქმისა და სიკეთისთვის შრომას, თავის დადებას. მაშინ, როგორც ეხლა, ყოველ პატიოსან კაცს მიაჩნდა, რომ მისი უპირველესი ვალი იყო იმ სიტყვის გავრცელება და მისი ძლიერების მომატება ახალგაზდობაში...

რა ჰქნა ამ დროს უფ. ფურცელაძემ?

ეს ბედშავი ვითომ-მწერალი ადგა და მიადგა კარზე უფ. კერესელიძეს, რომელსაც არც ცოდნა, არც ნიჭი, არც აზრი, არც ხეირი ჰქონდა ახალ-თაობასთან ბრძოლაში გამოსასვლელათ. ეს ორი ერთივე ღირსების მწერალი შეატყუპა ერთმა და იმავე გრძნობამ — „საქართველოს მოამბის“ სიძულვილმა და ამ ბუნების-წინააღმდეგი, ბინძურ დაკავშირებიდამ გამოვიდა პოლემიკა „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ.

რას ამბობდა უფ. ფურცელაძე?

იმას რომ „საქართველოს მოამბე“ უნიჭოა, რომ მისი მწერლები მიდგომით და მეგობრობით სწერენ და მოქმედებენ, რომ იმას უფ. ფურცელაძე სძულს, „ცისკრის“ ხელის მომწერლები ეხარბება, ნამდვილი რწმუნება არა აქვს, რომ ჭავჭავაძის ლექსები, ლექსები კი არა, ოფლის ღვრაა, რომ მათში ცრუ, მოგონილი გრძნობის მეტი არაფერია, რომ „მუშა“ უგვარი და „გუთნის დედა“ უხეირო ლექსია, და სხვ. ის ამტკიცებდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ არც ერთი წვეთი მამულის სიყვარული არა აქვს და ნამდვილი მამულის სიყვარული, ნამდვილი პატიოსანი ზრომა, ნამდვილი ლიბერალობა, უძღვის მარტო „ცისკრის“ რედაქტორს უფ. ივ. კერესელიძეს და ანტ. ფურცელაძეს, და არა ჭავჭავაძეს და მის „მოამბეს“. რა გამოვიდა ამ ბრძოლიდგან? დიდი არაფერი, იმას გარდა, რომ ცხოვრების ახალ წრეში შესვლით გაბრუებულმა ძველკაცობამ ცოტათი სული მოიბრუნა, როცა დაინახა, რომ ახალს, საშიშს მტერს, რომელიც ახალი ცხოვრების საჭიროებას ქადაგებდა, შეუყეფა და შეეტაკა ახალგაზდა კაცი, რომელიც ბრძოლაში ახალ-ახალ სიტყვებს ხმარობდა. მაგრამ თუმცა ამის მეტი ვნების მოტანის ღონე და ძალა არ მისცა უფ. ფურცელაძეს მისმა ნიჭმა და ცოდნამ, უეჭველი კი არის, რომ თვითონ იმას ძლიერი გულით უნდოდა უმეტესი ვნების მოტანა, უაღრესი ბაიყუშობის ჩადენა: იმას უნდოდა ახალგაზდობის გულში ეჭვი და გულგრილობა ჩაეწვეთნა იმ მიმართულებისთვის, რომელიც გამოითქმებოდა „მოამბეში“ და რომელშიაც იყო მომავლის ძალა და იმედი. ამ სიკეთის დაყრას ცდილობდა უფ. ფურცელაძე, ამას უმზადებდა ის ჩვენს მწერლობას, როცა ეს მწერლობა აკვანში იწვა.

და ეხლა ეს ბაიყუში თხოულობს, რომ ჩვენმა მწერლობამ პატივი სცეს იმას, რომ ამ მწერლობამ შეირიგოს ის, ვინც შეუგინა და შეურაცხყო ამ მწერლობის ძუძუს მაწოვებელი „დედა“ და, რომელმაც აკვანი ტალახით და მტვერით აუვსო, როცა მწერლობა აკვანში ხელფეხ ჩაკრული და შესუდრული იწვა? ამას ითხოვს ჩვენგან უფ. ფურცელაძე, როცა გვაყვედრის სიძულვილს, დევნას.

დიახაც, ჩვენ ვსდევნიდით და ვსდევნით უფ. ფურცელაძეს. როგორც ჩვენ ჩვენს დღეში ხელს არ მივცემთ და არ შეურიგდებით იმას, ვინც შეგვიგინა დედა ან და, ისე შეუძლებელია ჩვენსა და ფურცელაძეს შუა კეთილი განწყობილება. ეს, მგონია, ადვილათ გასაგებია. უსამართლობა იქნება, განა, შენის მხრით, ან მიდგომა, მკითხველო, უარი რომ სთქვა იმ კაცთან ცხოვრებაზე და მეგობრობაზე, რომელმაც თავისი კერძო სიამოვნებისთვის მოსწამლა

ვინმე? არა გვგონია; და თუ ჩვენ ამაში ვსტყუით, ქვეყანაზე აღარ ყოფილა აღარც სიკეთის სიყვარული, არც ცუდის სიძულვილი.

აი, ეს არის ჩვენი „მიდგომა“, ეს არის ჩვენი გრძნობა უფ. ფურცელაძის შესახებ. „დროების“ რედაქცია, როცა ის გ. წერეთლის ხელში იყო და შემდეგაც სცდებოდა, ჩვენის აზრით, რომ ბეჭდდა უფ. ფურცელაძის თხზულებებს, მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ შეცდომა იმას სულგრძელებით ან გულკეთილობით მოდიოდა. და რადგანაც გულკეთილობა ხშირათ უხასიათო გულ-რბილობას ჰგავს, ეხლა, რასაკვირველია, ათასჯერ ურჩევნოდა მისი ნაჯღაბნი არ დაებეჭდა და უპირატესობა მიეცა ვინმე მოენიძისათვის, რომელსაც არ ეცხო უფ. ფურცელაძის ტლაპო. ამითიც სარგებლობს ეხლა უფ. ფურცელაძე, ვაი ამისთანა სარგებლობას! ეს იმასა ჰგავს მასკარადში ხელი რომ მისცე და გამოელაპარაკოთ კარგათ შეხვეულს და პირ-დამალულ დიაცს, რომელსაც მოძრავი თვალების, თეთრი კბილების და პაწია ხელების მეტი არა მოუჩანს რა, და მეორე დღეს ისევ დიაცი პირგადაშლილი რომ მოგადგეს, და ლანძღვა დაგიწყოსთ, რატომ კლავს კლავში არ მიყრი და ისე არ მასეირნებ საზოგადოებაშიო, გუშინ არ იყო, მასკარადში მთელი საათი რომ მელაპარაკე, როცა ლურჯი მასკა მედვა პირზე და შავ-დომინოში ვიყავი შესუდრულიო.

ჩვენი საქმე ადვილათ გასასჯელია თუ მოიძიება ერთი ხეირიანი მკითხველი, რომელიც იტყვის და დაგვიმტკიცებს, რომ უფ. ანტ. ფურცელაძეს ხეირიანი მწერლის ნიჭი, სწავლა, თავდაკავება, მიმართულება და სინდისი აქვს, და თუ ამას გარდა ის დაგვიმტკიცებს, რომ მისი „ცოდვა“ მისატოვებელია, — ბატონი ბრძანდებით, ვიტყვით, დანაშაულები ვართ-თქო, მაგრამ ამის დამტკიცება შეუძლებელია. ეს ისე ცხადია, როგორც ცხადია ის, რომ რასაც სწერდა უფ. ფურცელაძე 1863 წ. ჭავჭავაძის და „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ, იმასვე სწერს ის ეხლა ჩვენს წინააღმდეგ. ის ხმარობს „კრებულის“ და „დროების“ შესათხუპნავათ სწორეთ იმ ტალახს, რომელსაც ხმარობდა „საქართველოს მოამბისთვის“. ჭავჭავაძეს და „საქართველოს მოამბეს“ ამით ბევრი არაფერი დააკლდა და იმედი გვაქვს არც არა რამ ბევრი „დროებას“ და „კრებულს“ დააკლდება, მაგრამ იარაღი და ბაიყუში კი იგივეა. მაშასადამე, ჩვენ არ უნდა დავიიწყოთ უწინდელი შეგინება, მით უფრო, რომ ეხლანდელსაც იგივე წყარო, ხასიათი და მიმართულება აქვს.

რას იტყვის ამაზე უფ. ფურცელაძე? ალბათ იმას, რომ რასაც ვფიქრობდი და ვგრძნობდი, იმას ვწერდიო, მაგრამ მისდა საუბედუროთ, ჩვენ ამისი თქმის შეძლებაც მოუკვეთეთ, აი, რა ნაირათ:

1870 წ. „დროების“ რედაქციას მოუვიდა უფ. ანტ. ფურცელაძის კორესპონდენცია „გორიდგან“, რომელშიაც ნაქები და ზეცამდი აყვანილი იყო... მიხვდით აბა ვინ და რა? — ილია ჭავჭავაძის ლექსები!!! რასაკვირველია, ეს კორესპონდენცია ჩვენ მაშინვე დავბეჭდეთ, მაგრამ დამწერის სახელი კი არ მოვაწერეთ, და მხოლოდ ორი მისი ასო დაუსვით ა. და ფ. („დროება“ 1870 წ.). ამის შემდეგ თქვას აბა უფ. ფურცელაძემ, რომ გულწრფელათ და სინდისიანათ ვამტკიცებდიო ჭავჭავაძის ლექსების უხეირობას და ცრუ გრძნობით წერასო.

ან, იქნება, ის თქვას, ყველაფერში არ ვეთანხმებოდი „მოამბესო“ და ჭავჭავაძის ნაწერებსო? ვინ არ იცის, რომ ყველაფერში ორი ან სამი კაცი თანახმა იშვიათათ იქნება. განა ამ სტრიქონების დამწერი ყველაფერში ეთანხმება, მაგალითად გ. წერეთელს, ილ. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს ან ს. მესხს? ან, განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან იმას? არა, ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებზე ჩვენ სხვა და სხვა აზრისა ვართ. მაგრამ ჩვენ 'საზოგადო მიზანი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვქონდეს, ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენი ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგულათ ვმსახურებთ, და თუ წვრილმან აზრებში, წვრილმან საგნებზე, ან შემთხვევებზე ერთმანეთის პატივისცემის შეწყვეტის ნებას არ გვაძლევს და ერთმანეთში ბრძოლას როდი გვაწევინებს. ასეა ყოველგან, ყოველ შრომაში. უამისოთ შრომა და ერთად საქმის წაყვანა შეუძლებელია.

თუ ასეა და, უფ. ანტ. ფურცელაძეს ერთიღა პასუხი რჩება, უმთავრესი მიზანი ჩვენ (ესე იგი იმას და ჭავჭავაძეს) ერთი და იგივე არა გვქონიაო. — მადლობა ღმერთს, თუ ეს გამოთქვა უფ. ფურცელაძემ. თუ ეს ითქვა, მაშ რისთვის უნდა ვიყოთ მისი თანამოაზრე? რისთვის უნდა ვთვლიდეთ იმას ქართული ლიტერატურის წევრათ და მშრომელათ, თუ იმას ქართული ლიტერატურის მიზანი არ აქვს სახეში, თუ ის ამ ლიტერატურის მიმართულებას არ იცნობს და მის საქმეს არ ემსახურება?

მეტი არა აქვს სათქმელი უფ. ფურცელაძეს, — ამას ჩვენ ვეღარ წარმოვიდგენთ.

მაგრამ ჩვენ კი გვაქვს კიდევ სათქმელი.

რა აზრი უნდა იქონიოს კაცმა იმ მწერალზე, რომელსაც არ შეუძლია წარმოიდგინოს სხვაში ან გულწრფელი და პატიოსანი შრომის სურვილი, ან უანგარო სიყვარული საზოგადო სიკეთისა და რომელიც ყოველ მწერალში ხედავს მხოლოდ ხარბ, უსინდისო და უპატიოსნო კაცს? ამისთანა მწერალზე კაცმა უნდა იფიქროს,

რომ თუ იმას პატიოსნების წარმოდგენა არ შეუძლია, ეს იმას ნიშნავს, რომ პატიოსნების გაგება არა აქვს, რადგანაც კაცი მარტო იმას იგებს და ცნობს სხვაში, რასაც თვითონ გრძნობს და რაც თვითონვე აქვს.

მეორე ორიგინალური სტატია „მნათობისა" ეკუთვნის უფ. ინგილო-ჯანაშვილს. ამ სტატიას ჰქვია „მიმოსილვა. კორესპონდენცია საინგილოდგან". უფ. ინგილო-ჯანაშვილს უწინდელ დროში დაუბეჭდია „დროებაში" ძლიერ შესანიშნავი სტატიები ინგილოებზე და ინგილოზე.ამ სტატიების ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ აცნობებდა ჩვენს მკითხველს საზოგადოებას ინგილოების მდგომარეობას, წარსულს, ჩვეულებებს, ხასიათს და სხვ. უფ. ჯანაშვილი მღვდელია ინგილოებში განწესებული. როგორც კაცს, რომელსაც ცოტა ოდენი სწავლა მიუღია, და რომელიც ერთბაშად ჩასახლებულა სრულიად უცნობ მხარეში და ხალხში, იმას სწორეთ დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ჩვენი მწერლობისთვის და მართალიც რომ სთქვას კაცმა, მის სტატიებს საზოგადოთ ყოველთვის რაიმე ღირსება და ინტერესი აქვთ. დიდი ბედნიერება იქნება ჩვენ მწერლობისთვის, იმისთანა პირები, რომელიც უფ. ჯანაშვილსავით ნიადაგ ხალხში ცხოვრობენ, რომ დააკვირდებოდნენ ამ ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას, მის გონებით ცხოვრებას, და ჰკრეფდენ და სწერდენ მის ნაამბობს, ლექსებს, მის მოგონებებს და იმედს. მხოლოდ ამნაირათ შეისწავლება რომელიმე ხალხის ეთნოგრაფია, და თვით საზოგადოებრივს მეცნიერებასაც დიდს სარგებლობას მოუტანს ამგვარი დაკვირვებანი, რადგანაც მის ერთ, უმთავრესს საქმეს არიგებს — აცნობებს ხალხის ეხლანდელ მოთხოვნილებას და მდგომარეობას.

მაგრამ იმისთვის, რომ ეს შრომა გამოსადეგი და ხეირიანი შეიქმნეს, აუცილებლათ საჭიროა, რომ დამკვირვებელს ის ნაკლულევანება არ ჰქონდეს, რომელიც, საუბედუროთ უფ. ჯანაშვილს დაჰყოლია. ამ მწერალს უფრო თავისი საკუთარი მოაზრების და ფიქრების გამოთქმა და აწერა უყვარს, ვინემ ნანახი ან ნაამბობი ფაქტების სწორი აწერა. ამისგამო მის სტატიებს ეკარგება ძალა და გავლენა, საინტერესო ფაკტები იბურდებიან უსარგებლო და უმარილო მოაზრებებში, და მკითხველს ის ძლიერი შთაბეჭდილება როდიღა რჩება, რომელსაც დაუტოვებდა ფაქტების შეუფერავი და გონიერი აწერა. ვაქცევთ ამ გარემოებაზე უფ. ჯანაშვილის და საზოგადოთ ხალხში მცხოვრები პირების ყურადღებას, იმ იმედით, რომ ისინიც დაგვეთანხმება ჩვენი შენიშვნის სიმართლეზე და ამით შემდეგ მათ ღვაწლს ის ძალა და მნიშვნელობა მიეცემა,

რომელიც უსათუოდ უნდა ჰქონდეს ხალხის აღმწერის თხზულებებს.

ჩვენ აქ მარტო ამ საზოგადო შენიშვნას ვუშვრებით უფ. ჯანაშვილის შრომას, მით უფრო, რომ ეს ახალი სტატია თავისი ღირსებით და ნაკლულევანებით სრულიად ეთანხმება უწინდელ მის სტატიებს!

სხვა „მნათობში“ არაფერია ორიოდე „ლექსის“ მეტი, რომელნიც უფ. ლომაურის და ზურაბ მოენიძის მუზებს ეკუთვნიან, მაგრამ მკითხველი ადვილათ გაგვათავისუფლებს ამ ლექსების გარჩევისაგან.

---

5. სხვათა შორის

(ნაგრძნობი და განაგონი)

1872-1873

I

გამოსალმება [1]

ხომალდი „იუნონა“, მარტი 1872.

გემი ხვნეშით და ვაი-ვაგლახით შეცურდა ზღვაში, როგორც იქნა ასცილდა იმ დაბნეულ ალაგს, საცა რიონისა და ზღვის ტალღები ნიადაგ ერთმანეთთან ბრძოლაში არიან, და გაგვაქანა ბათუმისკენ. ფოთი თან და თან უფრო და უფრო თვალიდამ გვეკარგებოდა და მასთან ჩვენი სამშობლოც. მძიმე კომლისფერი ნისლი ტყვიასავით დააწვა არე-მარეს და დაჰფინა მინდვრები და გორები, მთა და ბარი. სუფთათ და ნათლათ სჩანდა მარტო ორი ქედი — აჭარის და კავკასიის მთებისა. მაგრამ ისინიც უფრო განს გამდგარ და გაჯავრებულ მცქერლებს ჩამოგავდენ.

ფოთი დაიმალა, თავის შნოიანათ გალესილ, შეფერილ ქუჩებით და დამპალი შიგნეულობით. მაგრამ ჩემ თვალს წინ მაინც ღიღნანს იდგა მისი სურათი, რომელიც მე ჩვენი ქვეყნის ნამდვილ და ჭეშმარიტ სურათათ მიმაჩნია. ლამაზია ის, აყვავებული, ნარნარ ვარდივით გადაშლილი, მაგრამ გარეგანი სილამაზის მეტი არაფერი ღვივის და აცხოველებს ამ საყვარელ ქმნილებას. იმას აკლია ძლიერი შემაერთებელი სული, აკლია ძალის მომცემი ერთობის სიცხოველე, ატყვია მომხიბვლელი გარს-განდგომის, გაცალცაკავების ბეჭედი. რაა შნო, სილამაზე, ლაზათი, თუნდ ახალგაზდობაც, თუ გულში მრთელი და მარჯვე სული არ გიდგია, თუ სხეულში გამჯდარი გაქვს სასიკვდილო ჭირი, თუ ბვალი და ძარღვი, ტვინი და სხეული, აზრი და ხელი ნიადაგსისუსტით გიკანკალებს? რაგინდ ლამაზი იყოს მომაკვდავი, ის მაინც მომაკვდავია და მისი დანახვა

მაინც საზარელი და საზიზღოა. კაცის გული ისეთ რიგათ არის გაჩენილი, რომ შიგ, ჩვენდა უნებურათ, ნიადაგ სიცოცხლის სიყვარული ღვივის. და რადგანც სიცოცხლეს სიცოცხლესთანვე დაკავშირებული აქვს სიკვდილის ზიზღი, რაღაც გაუგებარი გრძნობა ნიადაგ გვაშორებს და გვავიწყებს ყოველს მომაკვდავს, ავათმყოფს და უძლურს. ასე მაგალითად, ცოცხალს ვერ მიაკარებ მკვდართან და ტანმრთელს მძოვრს ვერ შეაყვარებ...

მაგრამ არის მეორე უცნაური და უარესი გრძნობა, რომელიც თითქო წინააღმდეგია წეღან აწერილისა. თუმცა ყოველ კაცს მომაკვდავი ეზიზღება, თუმც უძლურის დანახვა მისთვის საზარელია, იმის გული მაინც ფართქალობს და გრძნობით ივსება, თუ ეს მომაკვდავი, ავათმყოფი ან სუსტი ოდესმე მისთვის ძვირფასი არსება ყოფილა. მაშინ მოგონება — ძველი გრძნობის ნარჩენი-მწვავი ძალით აღელვებს მის გულს, რომელშიაც თითქო სასიკვდილოთ იბრძვის ორი გრძნობა: სიკვდილის ზიზღი და ძველი აღტაცების მოგონება.

ძნელი და გულის მომკვლელია ეს ბრძოლა, როგორც მძიმეა საყვარელ არსების სიკვდილზე დასწრება. — „ღმერთო, ჰფიქრობს, ამ უბედურ მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცი, ამ განსაცდელს რათ მომასწარ, რომ მეზიზღება ის რაც მიყვარს, და თან უარესი ძალით მიყვარს ის რაც მეზიზღება!“

ამ ფიქრების დროს მე მივჩერებოდი იმ ადგილს, სადაც ჩემი ანგარიშით ფოთი უნდა ყოფილიყო. იქედამ კანდელის*) მეტი არა მოჩანდა რა და ჩემ დაუდგრომელ ტვინს თითქო მოეჩვენა, რომ ფოთი სრულიად გამქრალიყო დედა-მიწის პირიდგან. ნუ თუ ამაშიაც ის ჩვენი სამშობლოს სურათს წარმოგვიდგენს? ნუ თუ იმავით „ვერ აყვავდა, ისე დაჭკნა ნისლიან დღის განთიადზე ნუ თუ მისი ცხოველი ძალა მარტო პირველი დაარსების სიძნელეში დაილია?

„ვერ აყვავდა, ისე დაჭკნა, ნისლიან დღის განთიადზე!“

ფუი იმისთანა ცხოვრებას, რომელიც ასე უდროოთ, დასაწყისშივე, უსხლტება კაცს ხელიდამ. განა ცხოვრება იმისთვის მოგვცეშია, რომ ავიტანოთ ყოველი მასი ტვირთი, სანამ ის საძნელოა, და როცა დგება დრო ცხოვრების სიტკბოების მოჰკრეფისა, ტკბილი ოფლი უნდა მივატოვოთ და აუყვავებლათ დამჭკნარი ცხოვრება ცხრა აღლ მიწაში ჩავმარხოთ?

ვის არ დასწვია გული თექვსმეტი წლის ქალის დამარხვაზე, ვინ

---

*) ასე უძახის ჩვენი ხალხი მაიაკს.

ყოფილა ისეთი ქვისგულიანი, რომ ცრემლი არ ჩაეყლაპოს თექვსმეტი წლის ჭაბუკის სიკვდილზე! რა მისცა იმას ქვეყანამ? რა სარგებლობა და ხეირი ჰქონდა მის ჭაბუკ ძალას და გრძნობას? — არაფერი. უსარგებლოთ, უაზროთ, უმიზნოთ მოისპო მისი ახალგაზრდობა, სწორეთ იმ დროს, როცა უნდა გაშლილიყო მისთვის ცხოვრების და მოქმედების ასპარეზი. უსარგებლოთ და უხეიროთ ჩაიარა თექვსმეტი წლის მზადებამ ამ ასპარეზზე გამოსასვლელათ, და გაჰქრა ძალა, ახალგაზრდობა, სიცოცხლე.

ნუ თუ ჩვენი ქვეყანაც „ვერ აყვავდა, ისე დაჭკნა, ნისლიან დღის განთიადზე?"

„მშვიდობით, გამარჯვებით!" იმეორებდა ჩემი ტუჩები. ვის უგზავნიდი მე სალამს? არ ვიცი. მგონია კი, რომ ამ სიტყვებს არაფერი მნიშვნელობა არ ჰქონიათ, — ისინი მხოლოთ ჩვეულებრივი ტუჩისა და ენის ნძრევის შედეგი იყვნენ. „მშვიდობით" აბა ვის ან რას ეთქმის? ცხოვრება ნიადაგი ბრძოლა და მოძრაობაა, და ბრძოლაში მყოფ კაცს მშვიდობა როგორ უნდა უსურვო? მისთვის სასურველია ძალა, მხნეობა,გამბედაობა, დაუღალველობა და გამარჯვება. მშვიდობას მარტო სიკვდილი, ესე იგი დამარცხება მისცემს. და „გამარჯვების" სურვილი ჩემს პირში თავისმოტყუება იქნებოდა. გამარჯვება შესაძლებელია იქ, სადაც ნამდვილი ძალა და ბრძოლაა. მაგრამ სადაც არც ბრძოლა და ძალა სჩანს, არც ცხოვრების მოძრაობა, იქ რა გამარჯვებაა წარმოსადგენი? იქ კაცმა უნდა ისურვოს მხოლოდ ერთი: „ღმერთმა ოდესმე მაინც ძალა მოგანიჭოსთ, და უდროოთ, უნამყოფოთ, უსარგებლოთ საფლავში არ ჩაგდვათ!"

აღელვებულს, თვალ უწვდენელს ზღვაში მიჰქრის და მიგოგავს პაწაწა სანდალი, რომელსაც ქარი ხან მარჯვნივ აწვენს ზღვაზე, ხან მარცხნივ, ხან ცხვირით ასმევს მლაშე წყალს, ხან ბოლოთი. წარმოიდგინოს კაცმა, რომ ამ სანდალზე, ამ უშველებელ და უფსკრულ ზღვაში იმყოფება ყველაფერი, რაც კი კაცისთვის ძვირფასი და საყვარელია. მის გარეშემო არც ერთი ტალღა, არც ერთი წვეთი ზღვისა და არც ერთი ნიავი ქარისა არ დარდობს იმ ძვირფას და საყვარელ არსებაზე. ყველაფერი, თითქო განგებ, მისი წინააღმდეგი და მტერია. და შენ შორიდამ დასცქერ ზღვის ვაი-ვაგლახს, შფოთვას, ფურთქნას, ისე რომ შენს საუნჯეს ხელს და შველას ვერ მიაწოდებ, როცა იმას შველა და ხელის გაწყობა დასჭირდება.

„ახ ვით ძნელ არს მეგობრისთვის მეგობარსა რომ მარხვიდეს, „ანუ სჭვრეტდეს საშიშ ადგილს შემწეობას ვერ აძლევდეს!"

ამ გვარი გრძნობით ივსება კაცის გული, როცა ის თავის სამშო-

ბლოს სტოვებს და მასთან ყველაფერს, რაც კი მისთვის საყვარელი და ძვირფასია. ღეინემ სიკვდილის დროს ერთი ლექსი დაწერა, რომელშიაც თავის საყვარელ არსებას ეუბნება — ნეტავი ველურ ტყეში ან ბნელ ზღვის სიღრმეში დამეტოვებინეო. მართალია, იქ სცხოვრობს მგელი, თევზ-ვეშაპა და საშიში მხეცები, რომელნიც დაუზოგველათ ჰგლეჯენ კაცის სხეულსო, მაგრამ ათასჯერ უფრო საშიშარი და სავნებელია ის კაცების გროვა, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში გეხვევა და რომელიც დაუზოგველათ გკლავს, გჩაგრავს და სულს გახდენსო...[22]

მოიყვანეთ ვინც გინდათ აქ, ჩემს ალაგას, დააყენეთ ამ ხომალდზე და გადაახედეთ ჩვენი ქვეყნისაკენ, დააფიქრეთ მის ბედზე, გააანალიზეთ მისი მდგომარეობა. და თუ მისი გული დაწურული ღრუბელივით არ დაპატარავდეს თუ იმას სისხლი არ მოერიოს და ნაღველი ყელში არ ამოუვიდეს, მაშინ შემაბეთ ყელზე ამ ხომალდის ქვაბი და ჩამიშვით ამ ზღვის უფსკრულში...

მოდი და გაიგე კაცის ბუნება, მისი გულის თვისება! ხომ კარგათ ვიცი, რომ იმათ, ვისთვის შემიწირავს ჩემი გრძნობა და ძალა, ვისაც ეკუთვნის ჩემი ახალგაზრდობა და სიცოცხლე, დარდი არა აქვთ არც ჩემი გრძნობის, ერც ჩემი ფიქრისა. რას ურიგებს იმათ ჩემი დარდი და ზაფრა, რაში გამოადგება ჩემი ტანჯვა და შრომა? მათთვის უფრო ძვირფასი და სანდომია მტერის ალერსი და კმაყოფილება. მის გართვისთვის, მის გამხიარულებისთვის სცემს მათი გული და ღელავს მათი გრძნობა...

მაგრამ, რაგინდ ბინძური კაცის ხელში ჩავარდეს შენი საყვარელი არსება, რაგინდ გაიპილწოს ის მის ალერსში და მოხვევნაში, გული მაინც არ გითმენს და შებრალებით, დახსნის სურვილით მაინც ივსები. — „ადვილი იყო ჩვენი ბედნიერებაო, ჰფიქრობ, მძიმეთ დავარდნილია ჩემი სატრფო, ვერ აღადგენს ეხლა იმას ცის ქვეშეთის შეერთებული ძალაო". მაგრამ გული მაინც გეწვის — გედაგვის, თვალი მაინც გინამდება, ხელი გექავება და მუხლმოწყვეტილი გარბი, თვალზე ხელს იფარებ და ყველაფრის დავიწყებას ცდილობ!...

...გემი მიმაფრენს, მაშორებს ჩემს საყვარელ ქვეყანას. თვალიდამ დამეკარგა ყველაფერი, რაც კი იმას მახსენებდა. სჩანს მარტო ნისლი, ნისლი და ნისლი. მთის მყინვარებიც დამალა ზოგი შემოღამებამ, ზოგი ნისლმა. შევედით ოსმალეთში. გაჰქრა უკანასკნელი წერტილი ფოთის კანდელისა. შორიდამ ისმის, რომ ზღვა თითქო უნებურათ, ზანტათ ტალღას სცემს მოშიშვლებული მიწის ნაპირებს, მაგრამ უცებ უკანვე ბრუნდება, გაჩუმებული და გაშტერე-

ბულია მთელი არე-მარე. ოღონდ ხომალდის ბორბლები კამკამა-ზღვას აშფოთებენ და აქაფებენ. „გასწი ხომალდო!“ ვიტყვი მეც ბა-რათაშვილსავით და ზედ ბაირონის სიტყვებს დაუმატებ:

«Вези меня куда-нибудь,
Лишь не к земле родной!»[23]

II

ბათუმი

საკვირველი სურათი მეხატება თავში ყოველთვის, როცა მე ბათუმის ბოლოზში შევყავარ „რუსული კამპანიის“ ხომალდს. ასე მგონია, უცხო კაცს ჩემთვის ხელი მოუვლია და მიუყვანივარ ჩემი წინაპრების გაოხრებულ სამკვიდრებელში. ყოველი ნაბიჯი, თითო-ეული თვალის გადავლება, მთელი არე-მარე თითქო მეუბნება — „დახე, აქ რა სიმღიდრე და ძალა ყოფილა, შეხედე, რა გონიერათ დაუმზადებიათ და უხმარიათ ეს საუნჯე, და როგორ დაცემულა ესლა ძველი ძლიერება, როგორ აოხრებულა უპატრონობით ეს მშვენიერი სამკვიდრებელი. არ გრცხვენიაო!“ და მე მართლაც მრცხვენია. თითქო მე დამეფანტოს და დამეკარგოს სხვის ნაჭირ-ნახულევი, თითქო მე დამებნიოს ძვირფასი საუნჯე, თითქო უცხო ქვეყნელის დამკვირვებელი თვალის მერიდებოდეს, როგორც გამა-მხილებელი და გამამტყუნებელი სინიდისისა...

ან კი როგორ ასცილდება კაცს ეს შთაბეჭდილება, როცა ის ამ ბოლოზში შევა და გავლილ გზას გაიხსენებს, არე-მარეს თვალს და-დაავლებს? ამ თვალ-უწვდენელ და უშველებელ შავ-ზღვას მარჯვ-ნივ და მარცხნივ, გაშლილი ადგილის, მიუდგომელი კლდეების და გასილული ქაობების მეტი არა არტყია რა. არსადაა ერთი ისეთი ნავსაყუდარი ადგილი, სადაც თავის შეფარება და ტაროსის მოცდა შეეძლოს ხომალდს ან სანდალს, სადაც შესაძლო იყოს ხეირიანი პორტის, ან ბოლოზის გამართვა. სტამბოლის და სევასტოპოლის გარდა შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არ ჰქონია და არა აქვს, და ეს ძვირფასი თვალი, რომელიც ჩვენი იყო, რომელს გარ-შემო დღესაც ჩვენი ქართველი ხალხი სცხოვრობს, — დაკარგულ-ი და მივარდნილია. და დღეს ჩვენ იმას გაკვრით გვაჩვენებენ ხო-ლმე, თითქო საგანგებოთ ჩვენი შექეზება და ცხვირში ამოკვრა უნდოდეს ვისმე...

ამას წინათ „კავკაზში“[24] დაბეჭდილი იყო იმ შემთხვევის მოთხ-რობა, თუ როგორ და რა მიზეზით შერჩა თათრებს ბათუმი. ადრია-ნოპოლის (1829) შერიგების[25] დროს ოსმალეთი რუსეთს დათანხმე-

ბია თურმე დაგითმობ ყველა იმ ადგილებს ლაზისტანისას, სადაც ქართველები სცხოვრობენ, ჭ ო რ ო ხ ი ს (ეხლანდელი ჩორუხ-სუ) მდინარეემდიო. მორიგების წერილში და მის რუსულ თარგმანში ეს მდინარე «Чорокъ»-ათ დაუწერიათ. და როცა ჩვენში ის „შეზავებული კომისია“ მოსულა, რომელსაც ახალი სამზღვარი ადგილზე უნდა დაენიშნა, თათრებს ჭოროხის მაგიერ ჩოლოქის «Чолокъ» მდინარეზე მიუთითებიათ, გურიაში. შეცდომა მარტო ერთ რუსულ ასოზე ყოფილა დამოკიდებული, და ამ მიზეზით თათრებს მთელი ის მხარე შერჩენიათ, რომელიც ჩოლოქსა და ჭოროხს შუა მდებარეობს და რომელზედაც ჩვენი აჭარლები სცხოვრობენ. ამ მხარეს ეკუთვნის ბათუმიც, თავისი მშვენიერი ბოღოზით.

ეს მხარე დღეს ოსმალეთის სახელმწიფოს ლაზისტანის სანჯაკს შეადგენს, რომელიც ტრაპიზონის საფაშოს ნაწილათ ითვლება. თუმც ლაზისტანის მუტესაფირი (მმართველი), რომელსაც ფაშის ხარისხი აქვს, ტრაპიზონის ვალის (მთავარმმართებელს) როდი ექვემდებარეობა. ლაზისტანი სამმართველოთ დღეს თერთმეტ ნაწილათ ან მაზრათაა გაყოფილი, რომელთაც სახელათ ყაზა ჰქვიათ და მმართველათ მ უ დ ი რ ე ბ ი უყენიათ. აი ამ მაზრების სახელები და მცხოვრებლების რიცხვი:

მ ა ზ რ ე ბ ი:	მ ც ხ ო ვ რ ე ბ ი:
ა) ბათუმის	6 851
ბ) ჭოროსის (ჩორუხ-სუ)	4 130
გ) ზემო-აჭარის (ულია)	5 810
დ) ქვემო-აჭარის (სუფლია)	9 670
ე) მაჭახელის	4 485
ვ) ლივანის	18 170
ზ) გუნიის	52, 75
ც) ხოვის	4 290
თ) არხევის	6 630
ი) ხემშინის	6 500
ია) ათინის	8 177
სულ	79 988

ამ რიცხვიდან 72026 სული ქართველები არიან, 5765 — გადასახლებული ჩერქეზები და დანარჩენი — ზოგი ბერძენი, ზოგი სომეხი ან უცხო-ქვეყნის კაცი. ხალხის უმეტესი ნაწილი. მიწის მუშაობას ადგია. თითქმის ყოველგან მოდის სიმინდი (ამ მხარის უმთავრესი ნამყოფი). ზოგან ხალხი თევზაობს ან ფიცარს სთლის და შე-

შას სჭრის. აჭარაში და მაჭახელაში ბევრი თოფ-იარაღს და თოფის წამალს აკეთებს. აქა-იქ მოჰყავთ აბრეშუმი, ძლიერ დაბალი ღირსებისა. ჰკეთდება შალი, სხვილი ტილო, ხამი, აგური და კრამიტი, კირი და სხვ. მაგრამ ძლიერ იშვიათათ და ძლიერ ცუდიც. მთელ ლაზისტანში რვაასი (800) დიდი და პატარა სოფელია, ათას ოთხასი (1413) წყლის წისქვილი, ათას რვაასზე მეტი (1806) დუქანი, ოთხას ორმოცდაშვიდი (447) მეჩითი. ხუთიოდე ტყავსაკეთებელი ქარხანაა გამართული, ხუთი სახერხავი, ორი ბუნებითი აბანო, რამდენიმე სკა და მეტი თითქმის არაფერი.

აღებ-მიცემობა აქ ძლიერ სუსტი და დავარდნილია. ხალხის სიღარიბის გამო აქ შემოაქვთ უცხო-ქვეყნიდამ მარტო უბრალო ჩითჩუთი, თოკები, მაუდეულობა, და ჰყიდიან. ურულათ, წვრილწვრილ დუქნებში და ბაზრებში. უმეტესი ნაწილი შემოტანილი საქონლისა ინგლისიდამ და საფრანგეთიდამ მოდის სტამბოლის საშუალებით. ვაჭრობენ განსაკუთრებით თათრები და სომხები, მაგრამ იქა და იქ აჭარელი ვაჭარი შესვდება კაცს, თათრის და სომხის დუქნებს შუა ამოკვეტებული. გატანით ამ მხრიდამ გააქვთ თითქმის მარტო სიმინდი, ისიც როცა კარგი მოსავალი იქნება. წელიწადში გაიზიდება ოთხი-ხუთი ათასი ბათმანი სიმინდი, ორიათას ბათმანამდე ბრინჯი, სამიათასი ოყა თაფლის სამთელი, ათიათას ოყამდე თაფლი და თორმეტი ათასი ოყა თევზის ქონი. მოუმატოთ ამას ცოტაოდენი ფიცრეულობის და შეშის გაზიდვა და ჩვენ გვეცოდინება რა მდგომარეობაშია ლაზისტნის აღებ-მიცემობა.

ჭოროხს გამოღმა, გურიის სამზღვრამდი, ხალხი ქართულ ენას ხმარობს გურული კილოს ცოტაოდნათ გადაჭარბებით. ჭოროხს გაღმა კი, ტრაპიზონისკენ, ლ ა ზ უ რ (მეგრულის მსგავს) ენას ხმარობენ. წერაში კი მიუღიათ არაბული ასოების ხმარება და სარწმუნოებათაც ისლამს აღიარებენ.

ბოღოზში შესვლის დროს ჩვენმა ხომალდმა ორ ახლათ ნაშენებ ციხეს შუა გაიარა. მარჯვნით და მარცხნით ჩვენ ვხედავდით მიწის კედლებს, კუთხეებს, ორმოებს და ეხლანდელი მოთხოვნილებისამებრ გაშენებული ციხის სხვა ნაწილებს. ბათუმში რომ გავედით მე ამ ციხეების კარგა გულდაგულ დათვალიერება განვიზრახე და ერთ მათგანისკენ წავედი. ციხის კედელი ჩემზე გვარიანათ შორს იყო, როცა ერთმა თათრის სალდათმა თვალი მომავლო და ზდილობიანათ მირჩია — დაშლილია ციხის დათვალიერება და უკან დაბრუნდიო. მე მაინც ჩემი არ მოვიშალე, ვიფიქრე იქნება ამან ეს სინიდისის დასამშვიდებლათ მითხრა და ნამდვილათ კი არ დამიშა-

ლოს-მეთქი. მაგრამ, არც დაჯინება გამომადგა: ყარაულმა მრისხანეთ თოფს მიათითა, თითქო უნდა ეთქვა, ხომ ხედავ, ამას გესვრიო. რაღა თქმა უნდა, რომ მეც მაშინვე თოფს დავაკვირდი, თითქო ხუმრობა გაშვებით მინდოდა გამომეკვლია, მართლა რომ მესროლოს რამდენ ნაბიჯზე შეუძლია მომარტყას და რამდენი თითის დადებაზე გამივლის ტყვია ტანშითქო. თოფის დაკვირვებამ ცოტათი არ იყოს ეშვში შემიყვანა: თოფი ჩინებული ხელობის იყო, ახალი სისტემით გაკეთებული, კუნძით რომ გაიტენება ისეთი, მშვენიერათ ლაქ წასმული და მჩატეთ, ლაზათიანათ გაწყობილი. ეს ამბორეთ არ მეეჭაშნიკა. მივაჩერდი ყარაულს ტანსაცმელზე. ფოლიკეპიით მინდოდა შემეტყო გვარდიის სალდათი ხომ არ არის მეთქი, — გამოჩნდა, რომ უბრალო ქვეითი ჯარის ყოფილა. ჰმმმ! თათრის ჯარს თურმე ახალი იარაღი ჰქონია დარიგებული, არა თუ მარტო გვარდიას, უბრალო ჯარსაც! ამ შენიშვნამ ის განზრახვაც გამავიწყა, რომლითაც მე თოფს დავაკვირდი, როცა ყარაული მოკვლას მპირდებოდა, მაგრამ სალდათმა ხელახლავ გამახსენა — უკან დაბრუნდიო, და მეც ამ რჩევას მივზდიე.

ვინ იცის, იქნება სურვილის შეუსრულებლობის ჯავრმა ერთი ისეთი ახირებული თვალით დამანახა მაშინ ეს ციხე. რომ მე გიჟსავით მხიარულათ გადავიკასკასე და ციხეს ბავშვსავით ენა გამოუყავი. მაშინ მე უცბათ ეს კითხვა მომივიდა თავში: რისთვის აშენებენ ქვეყანაზე ციხეებს და რა გამოსადეგია ისინი? და ამ კითხვაზე ჩემმა სურათის-მოყვარე გამოსატულებამ მაშინვე თვალს წინ ციხე აეკლუციი. ქალის კორსეტათ წარმომიდგინა. კორსეტი, კეკლუცი ქალის ნაზ ტანზე, სწორეთ სასიამოვნო რამ არის: ის ტანზე ხელის შემოხვევას უადვილებს კაცს, და მისი ზონრების ხანგრძლივი ხსნისთანა სიამოვნება ცოტა გაუჩენია ღმერთს საბრალო კაცობრიობისთვის. რადგან ჯერ ქვეყანაზე ისეთი კორსეტი არ გამოუგონიათ, რომ მისი შეხსნა შეუძლებელი იყოს, და არც ისეთი ციხე აუშენებიათ, რომ მისი აღება არაფრით არ მოხერხდებოდეს, აქედამ მე ის დასკვნა გამომყავს, რომ როგორც კორსეტი, ისე ციხეებიც მარტო იმისთვისაა გაჩენილი, რომ მათი ამღების სიამოვნებას მარილი მოყრილი ჰქონდეს. ციხის შემოკვრა, კორსეტის ხსნა კაცის ვულის გასახალისებლათ, მისი გამარჯვების გასადიდებლათ, მისი სიამოვნების დასაგვირგვინებლათ და დამარცხების შესანდობლათ მოუგონიათ, მარტო მისთვის, რომ უფრო ღრმათ ჩაიჭრას კაცის ტვინში გამარჯვების წუთის დატკბობა, ან წინააღმდეგობის მოგონება...

მაგრამ ნუ თუ კაცისთვის მარტო გარეგანი მხარე უნდა იყოს

შესანიშნავი, მარტო საქმის წაყვანის გარემოება და შემთხვევები, და არა თვითონ საქმის ნამყოფი, მისი შინაგანი ძალის ხელში ჩაგდება? საქმე, მგონია, იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ჯარმა, მაგალითად, რომელიმე მხარე დაიპყრას და მტერი დააუძლურონს. მაგრამ ჯარმა მთელი მხარეც რომ დაიკავოს, თუ კი რომელიმე ვითომ „მაგარი" ციხე არ დაიპყრო, გამარჯვება იმას გამარჯვებათ როდი ჩაეთვლება. უცნაურია კაცის ბუნება, უცნაური!

რამდენჯერ მომხდარა, რომ კაცს მიუდგომელი ციხის აღებათ ჩაუთვლია ისეთი ქალაქის დამორჩილება, რომელსაც წინააღმდეგობა აზრშიაც არ ჰქონია! ეს იმასა ჰგავს, კაცი ღია სახლში შესასვლელათ დაფელით კარებს რომ ამტვრევდეს. სწორეთ ამასვე ჰგავს ეხლანდელი ციხეების საქმე: ისინი წინააღმდეგობენ მარტო იმდენათ, რამდენიც საჭიროა „სამხედრო სახელის" დასაცველათ, თქვან, ვითომ, ადვილათ დამორჩილდაო. ასე, ხშირათ, ქალი ყოყმანობს, ნაზობს, თავს იფერებს, რომ შემდეგ ამ საკვირველი სიტყვების თქმა შეეძლოს: „ხომ დიდხანს ვაგიძალდიო..." არა, მას აქეთ, რაც მეცის — ამ „ქალწული ციხის" — დაცემას თუ გაცემას მოვესწარი, ციხეების არა მსწამს რა. და მოლტკეს ადგილას რომ ვიყო, მეცისა და სტრასბურგის დამორჩილებაზე უფრო სადიდებელ და საამაყო საქმეთ მე ნანსის ქალაქის დაპყრობას ჩავთვლ[illegible]დი, რომელიც მარტო ოთხათ ოთხმა ცხენოსანმა ულანმა დაიკავა. ამ გამარჯვებაზე კაცს ქემაინც არც დრო დაუკარგავს, არც სისხლი დაუღვრია, არც ფული დაუხარჯავს, და მხარე მაინც დამორჩილდა. გამარჯვების ნამყოფი, ნამდვილი სარგებლობა, მაინც ხელიდამ არ წასულა...

ეს აზრები გუნდ-გუნდათ მერეოდნენ თავში, როცა მე ბათუმისკენ მოვდიოდი. ამასობაში კიდეც დაბინდდა. მზემ თავის ჩასვლით ცა და მთის წვერები გაასისხლიანა, გორების ტყესა და ველს ლაჟვარდი ლეჩაქი გადააფარა და ზღვის სარკეს ვარდის ფრათ გადაჰკრა. აქა-იქ ოქროვანი ბრწყინვალე განათებული ღრუბელი სურათს ნაზ ფერს აძლევდა. ბოლოზში ზღვა შეურყეველათ მოსვენებული იყო, და მის მშვენიერ სივრცეზე კიუტები აქა-იქ დათამაშებდნენ, დახტოდნენ, დაჰფრინავდნენ, ხან ჩაყურყუმალებით, ხან ცურვით, ხან წყლის სისწორეზე ფრენით. ჩინებული სანახავია ეს უკანასკნელი ფრენა, როცა კიუტი ფრთებით ჰაერსაც ეხება და წყალსაც, ერთი ფრთის გაკვრით ზღვის ტალღას ეტრფის, და ათამაშებს, და მეორეთი — ჰაერს. ნეტავი იმას, რომ ზღვის წყალი მის ფრთებს არ წუმპავს და ჰაერი არ ღალატობს და არ არჩობს...

ბათუმის ბაზარს რომ მიუახლოვდი, ჯერ კიდევ არ დაღამებულიყო. ხალხი ბაზარში ცოტა ნაკლებათ იპოებოდა, მაგრამ ვაჭრები კი დიდ ამბავში იყვნენ: ზოგი დუქანს ჭკეტდა, ზოგი ფოიბეს ითვლიდა, ზოგი მეზობელს ებრძოდა, ზოგი მუშტარზე ლაპარაკობდა. ქართული ენა, მისი გურული სულწასული სისწრაფით და დარდიმანდი დაუდგრომელობით, საკვირველათ განსხვავდებოდა თათრების წელმოწყვეტილი, დაღალული, ილაჯ-გაწყვეტილი და სულ-ამომხდარი მუსაიფისაგან. ენა ხალხის ხასიათის სარკეა. მაგრამ როგორ მოხდა, რომ ეს ცოცხალი, დარდიმანდი, მოუსვენარი, თავგამომეტებული ხალხი დაუმორჩილებია ამ დაქანცულს ლეშის-მსგავს მომაკვდავს?

ეს კითხვა თავიდამ არ სცილდება კაცს. ენასაც თავი რომ დავანებოთ და მარტო გარეგან შეხედულობას, სახეს, აგებულებას ტანადობას დავაკვირდეთ, ვნახავთ, რომ აჭარლებს ცოცხალი, ძალითა და სიმრთელით სავსე, ტალვით მაგარი, ლომური გვამი აქვთ, გონიერი და ალით სავსე თვალებით, მშვენიერი შუბლით, მარჯვეთ მოთლილი ყბით, ფართო მხარ-ბეჭით, წერწეტა წელით, გაპარული მუცლით და მარჯვე წვივებით. — ერთი სიტყვით კაცი გარეგნობს, რომ ეს ბრძოლაში გამოქნილი და გამარჯვებისთვის გამოჭრილი ხალხია. და ამ ლომ-კაცებს თავი დაუხრიათ ვის წინ? შეხედეთ თათრებს, დააკვირდით მათ მოხრილ წელს, მათ დაწვრილებულ ხელ-ფეხს, გამოფუშულ მუცელს, ჩაცვენილ თვალებს, წაწვრილებულ ყბებს და ნიკაპს, ვიწრო შუბლს, ლურჯათ შეფერილ პირის კანს, მოძრავ ნესტოებს, უმოძრაო ტყვიისფერ თვალის ჩინს, ვაყვითლებულ თვალის კილს, — და გაიგებთ, რომ ეს დაღალული, უძლური, მომაკვდავი ხალხია. მაშინ უფრო გულმომაკვდავათ უდგება კაცს გონებაში უწინდელი კითხვა: როგორ და რით გაიმარჯვა ამ სამარეში ცალფეხჩადგმულმა ხალხმა იმ მარჯვე და ცხოველ, გონიერ და გამბედავ ხალხზედო?

ერთი მოხუცებული აჭარელი კვერნის ტარავს ითვლიდა თავის დუქანში და თავის შაგირდს, თუ შვილს დუქანს ახვეტინებდა. დასაკეტათ ამზადებინებდა. მე იმას შეეკითხე, და, სანამ ის კვერნას მაშინჯვინებდა, აჭარაზე და ქართულ ენაზე ლაპარაკი ჩამოუგდე. ქვეყანაზე ყმაწვილისა და მოხუცისთანა ენა-ტარტალა ქმნილება ღმერთს არა გაუჩენია რა, მოხუცმაც ბევრი არ მასეერწნა, ლაპარაკი გამიმართა და მითხრა იმ რწმუნებით და უეჭველობით, რომელიც მოხუცის ნაამბობს და ნათქვამს წიადაგ აბეჭდია:

— რაის იქს კაცი, თვარა ამ აბდალაი თათრებს თავს რავა გავაღლეტინებდით. აქ არიან დიდგულაი ი დედაგაქუცულები, თვარა აჭარაში, მთაში, რავა მოგვეკარება: კაი გულის პატრონი უნდა, რომ იქ მოიჭრას.

— მაშ ხარჯს როგორ ჰკრეფენ-მეთქი, ვკითხე.

— რავა და ბეგები ჰყავთ, თავადები, იგი ბოჭს და თათარს აძლევს.

— სადაურები არიან ეგ თავადები?

— სადაური და ჩვენი კაცია, აჭარეთელი:

— ემორჩილებიან კი ისინი თათრებს?

— აგი რა საკითხავია, შე კაცო? სული თათრით უდგია და რავა არ ემორჩილება... გადგომაც კი იცის ბეგმა, მარა თათარი ჩხუბს უქს, ჯარს შეუსევს, მის თავს ფასათ გაცემს და ფასი თუ კაი იქნა ჩამოიტანს აბდალაი ვინმე მის თავს ფაშასთან.

— სულ აგრე იყო უწინაც?

— აჰ, უწინ სულ სხვა იყო. უწინ ბეგი მართლა თავადი იყო, მთავრობდა, ჯარი ჰყავდა, იბრძოდა და ხალხიც უჯერებდა. მარა ერთმანეთს გადაეკიდა ბეგები, ჯერ ერთმა მოიხმო თათარი მეზობლის წასარჩობათ, მერე მეორემ იჩხუბეს ერთმანეთში, ხალხი ამოწყვიტეს, დალიეს ფული და იარაღი და ამასობაში თათარი ქე გამაგრდა და ბატონი ვახდა. თვარა ისე ვერ შემოიჭრებოდა, აჰ, ვერ შემოვიდოდა, ვერა.

ეგ ნაცნობი ამბავია მეთქი, ვიფიქრე, კვერნას და მის პატრონს თავი დავანებე და ბოღოზისკენ გამოვწიე. ავცილდი თუ არა ბაზრის ვიწრო შარას, სადაც ტალახი ზამთარ-ზაფხულ ჰაერს ამყრალებს და გამვლელ-გამომვლელს ზაფრით და სუნით გულს უკლავს, მე დავიბენი „ბათუმის ქალაქში". ბათუმის ქალაქი ასიოდე უბედურ სახლს და ქოხს ჰქვია. ზოგი იმათგანი დაბწნილი და შეტკეჩილი ფაცხაა, ზოგი ფიცრულია. ორიოდე შენობა ქვითკირისაც მოიძებნება. მაგრამ ფაცხა, ფიცრული და ქვითკირი მგონი უფრო იმიტომაა გაშენებული, რომ ქარი, სიცივე და სიცხე შეუშვან, ვინემ კაცს თავი შეაფარვინონ. ცოდვა არ არის, ამისთანა ბუნებისაგან მდიდრათ დაჯილდოებულ ბოღოზში, რომელიც აღებ-მიცემით აყვავებული და გაბიბინებული უნდა იყოს, ასე ღარიბათ და ღატაკათ სცხოვრობდეს ხალხი, ასე გაჭირვებულ და დამშეულ მდგომარეობაში იყოს მცხოვრები?

რაა ვითომ ამის მიზეზი?

ჯერ ერთი ის, რომ ოსმალეთში აბირებული სახელმწიფო წესი და გაწყობილებაა. იქ ყველაფერი ბრუნავს და დაფუძნებულია

მარტო ხვანთქრის „კეთილ ნებაზე“ ბისი ბრძანება კანონია. სახელმწიფო შემოსავლის და ხარჯის შეწერა და შეკრებაც მის ნებაზეა, აგრეთვე როგორც შემოსული ფულის უანგარიშოთ და უპასუხისგებლოთ ხარჯვა და სახელმწიფოს სახელით შიგნით და გარეთ ვალების აღება. კანონის მაგიერობას იქ „ყურანი“ შვრება, რომლის დაძველებული და დახლართული სიტყვების და აზრის აღმსხნელი ხვანთქრისგან დანიშნული სამღვდელოებაა. რასაც ყურანი არ ამბობს, რაც იმას არ აუხსნია, ან არ დაუწესებია, იმას ვითომ მეორე საღვთო წიგნი ხსნის და აწესებს, — „მულთექა“, შემდგარი იმ სიტყვების და აზრების წიგნში ჩაწერით, რომელნიც ვითომ მაჰმადს და მის მემკვიდრეებს გამოუთქვამთ. ამ ორ წიგნში აი, თითქმის ყოველთვის, როგორი კანონებია: „ცუდ-კაცობას ნუ იზამ, ბოროტს ნუ განიზრახავ, სხვას ნუ ავნებ, სხვის ცოლსა და საქონელს ნუ შეეხები“ და სხვ. როცა ეს წიგნები დაუწერიათ, იმ დროს აღბათ კაცობრიობას ბევრი საზრუნველი და ასახსნელი საგანი და შემთხვევა არ ჰქონია. მაშინ კაცს მარტო ის ჰქონდა საზრუნველათ, რომ იმის ყანაში ხვადაგი არ ჩასულიყო, მის ბოსელში ქურდი არ შეესარულიყო და მის ცოლს სხვა არ შეხებოდა. და მაშინდელი ოსმალოების საღვთო წერილიც მარტო აი ამ საზრუნველ საგნებზე სჯის და კანონებს სდებს. შემდეგ კი მისვლა-მოსვლა, აღებ-მიცემა, ათასნაირი დამოკიდებულება და ანგარიში შემოვიდა ქვეყანაში, და ამ ახალ, უცნობ მოვლენებზე ხმას არ იღებს ოსმალოების „ყურანი“ და „მულთექა“. ამის გამო „ყურანის“ სიტყვებს ულემები აი როგორ ხსნიან. ორ ვაჭარს ერთმანეთში ანგარიში და დავა აქვთ გემის დატვირთვაზე, ვთქვათ, ან საქონლის დასველებაზე. არც გემის დატვირთვის, არც მის დროს საქონლის დასველების ხსენება არაა არც ყურანში, არც მულთექაში. მაგრამ მსაჯული განაჩენს მაინც ყურანზე აფუძნებს და ამბობს: „ყურანი ბრძანებს ცუდ-კაცობას ნუ იზამო. საქონლის დასველება ღვთის ნება და სურვილია, რადგანც ყურანის სიტყვებით ულმერთოთ ქვეყანაზე არა მოხდება რა. მაშასადამე, ამ დასველების გულისთვის ზარალის თხოვნა ცუდ კაცობაა, რომელსაც ჰკიცხავს ყურანი. ამისთვის ვაწესებთ — უარი ეთქვას მომჩივარს და გადახდეს იმას...“ და სხვ. — ამ გაჭირვების და არეულობის მოსპობა მოინდომა ხვანთქარმა სულეიმან მეორემ (1520—1566). იმან შეკრიბა რაც იმას თვითონ და იმის წინაპრებს „ჰატი-შერიფები“ (უკაზები) გამოეცათ და დაარქვა სახელათ „კანონ-ნამეჰ“, რომელიც მის შემდეგ ოსმალეთის იმპერიის კანონების კრებას შეადგენს, მაგრამ ეს ჰატი-შერიფებიც ისეთნაირად დახლართული და ერთი მეორის წინააღმდეგი და გამოუდეგარია, რომ მათ

ხმაოებაში კანონს კაცი, შექოთნის არ იყოს, საითაც უნდა იქით აქნევინებს ყურს.

ამ უკანონობას ის ვნება მოსდევს, რომ ოსმალეთში ვერც შრომა ხარობს, ვერც გონიერება: შეიძენს კაცი რასმე თუ არა, იმას მაშინვე ხან მთავრობის პირები, ხან მეზობლები აუტყდებიან, შეესევიან და გლეჯას უწყებენ, და სასამართლო ხეირიანათ ვერ იფარავს დანაგრულ მხარეს და პირს. აღებ-მიცემა, მწარმოებელი შრომა, სასარგებლო საქმის გამოწყება და წაყვანა ამით იმოდნათ ბრკოლდება, რომ თითქმის არავინ ოსმალეთში ამაებს ხელს არ ჰკიდებს. — „რომ არ იცის კაცმა მისი რაა და სხვისი რაო", — ამბობენ ოსმალოის ქვეშევრდომები, — „როგორ ჩაღუპოს კაცმა ან ფული და ან შრომა ისეთ საქმეში, რომელსაც ხვალ თუ არა ზეგ შეგიჩერებენ, აგიფუშვენ, დაგინგრევენ, დაგიღუპვენ და მერმე წადი და უყარე კაკალიო. შრომაც დაკარგული იქნება და ფულიცო". თავისას ვერ დაიფარავს კაცი, გაცემულს ვერ აიღებს, პირობას ვერ შეასრულებინებს, მოსამსახურე პირების ხარობას ვერ ასცილდება და ვერც გაუძლებს, — როგორ უნდა გაიაროს რამემ ამ გვარ მდგომარეობაში?

ან უკანონობას ვინ დაჭძებს, ეხლანდელი მმართვა და სახელმწიფო საქმეების წაყვანა ისე რომ იყოს გამართული, რომ ქვეყანას სულის მობრუნება შეეძლოს. მაგრამ აი როგორ იმართვის ოსმალეთი. ხვანთქარს, როგორც წინეთ ვთქვი, უმაღლესი და განუსაზღვრავი, უპასუხისმგებლო უფლება აქვს ხელში. შემწეთ, სამოქალაქო საქმეებისთვის, იმას „სარდაზამი" (დიდი ვეზირი) ჰყავს, მისი „დ ი ვ ა ნ ი თ" (მინისტრებით), მმართველებით და ადმინისტრაციით. სასულიერო და ზოგჯერ სამოსამართლო საქმეების მმართვა „შ ე ი ხ-უ ლ-ი ს ლ ო ამს" და „ულემებს" აბარია, ყველას ამათ თვითონ ხვანთქარი ირჩევს და აწესებს. ამათ გარდა მაზრების მმართვა აი როგორ არის გაწყობილი: ოსმალეთი ოცდა ექვს „ვილაიეთათ" არის გაყოფილი, რომელთაც „ვ ა ლ ი" (მთავარ მმართებელი) მმართავს. ვილაიეთი „სანჯაკებათაა" დარიგებული, რომელთაც „მ უ ტ ე ს ა რ ი ფ ე ბ ი" ან „კ ა ი მ ა კ ა მ ე ბ ი" (გუბერნატორები) უყენიათ თავში და რომელნიც თავიანთი მხრით „ყაზებათ" დაყოფილი არიან. როგორც ვალი, ისე მუტესარიფი, ისე ყაზის მმართველი „მ უ დ ი რ ე ბ ი" ინიშნებიან და იცვლებიან ისე, რომ ხალხს და საზოგადოებას არც მათ დანიშვნაზე აქვს გავლენა, არც მათ გამოცვლაზე. ისინი მმართვენ ჩაბარებულ მაზრას სწორეთ ისე, როგორც ხვანთქარი — მთელს ოსმალეთს. გამკითხველი, დამრიგებელი, ამლაგმელი იმათ არავინ ჰყავთ. ხალხს არც კანონის შემდგე-

ნელი დეპუტატების ამორჩევის ნება აქვს, არც შემოსავალ-გასავლის ზედამხედველობისა, არც ადგილობრივ საქმეებზე მზრუნველობისა. იმას მმართავენ, როგორც მწყემსი ჯოგს. არც სმა, არც გართობა, არც მნიშვნელობა ხალხს არა აქვს რა სახელმწიფოში, და იმას მარტო იმისთვის იხსენებენ, რომ ხარჯი მოთხოვონ და ჯარში გამოიწვიონ.

ამას ის ცუდი შედეგი მოსდევს ხალხის მდგომარეობისთვის, რომ ბმართველები და მათი ხელქვეითები ისე ჰფანტავენ სახელმწიფო შემოსავალს, როგორც იმათ სულსა და გულს სურს. ხალხში შეკრებილი ფული ამის გამო ხალხის საჭიროებების დასაკმაყოფილებლათ კი არა, მთავრობის სასარგებლოთ მიდის. გზებისა და საჭირო შენობების გამართვას არავინ ჰფიქრობს, სკოლები მარტო სასულიერო წოდებას აქვს გამართული. ქალაქებში და სოფლებში წესიერება და უშიშროება არსად არის, მთელი მხარეები უწყლოთ, მოურწყველი რჩებიან ხოლმე, სხვებში თვალუწვდენელი ჭაობები ხალხს ხოცავენ და ელეტენ, მაზრები მივარდნილი და მიტოვებულია, ერთი უბრალო გადამდები ავათმყოფობა, უეჭიმობის და უწამლობის გამო ათასობით ხოცავს ხალხს. არსად არც საავადმყოფო, არც სამაგალითო სამკურნალო, ან საქარხნო ღაწესებულება, ყოველგან უსრენველყოფა და ქურდობაა, ისე რომ აქ ქვეყანას პატრონი და ყურის მგდებელი არავინ ასჩენია.

ამ უპატრონო ქვეყანას სწავლა და განათლება რომ მაინც მინიჭებოდა, იქნება ხალხს, ან საზოგადოებას თავისთავათ, მთავრობა ღაეხმარებლათ ეგდო ყური თავის ბედისთვის. მაგრამ სწავლა აქ სწორეთ სამწუხარო მდგომარეობაშია. მართალია, აქ ბევრი სახალხო და უმაღლესი სასწავლებელია, მაგრამ ამ სასწავლებლებს ძლიერ მცირედი მნიშვნელობა აქვთ. სახალხო სასწავლებლებში, მაგალითად, მარტო წერა-კითხვას ასწავლიან. და რადგანც საკითხავ წიგნებათ აქ მარტო ყურანი და ორიოდე მისი ახსნისთვის დაწერილი თხზულებაა, წერა-კითხვის სწავლა ნამეტნათ ვერც ჭკუაში ჩაგდებს ოსმალეთის ახალგაზრდობას, ვერც დიდ რასმე შემატებს სწავლაში და გამოცდილებაში. მედრესებში (ჩვენებურათ გიმნაზიებში) ასწავლიან არაბულ და პერსულ წერა-კითხვას, სხვა და სხვა გვარი თათრული ხელნაწერის გარჩევას, ლოგიკას, რიტორიკას, საღვთო წერილს, და ცოტ ცოტა ისტორიას, გეოგრაფიას, „ფილოსოფიას". ამ საგნების ჩამოთვლაც საკმაოთ აჩვენებს კაცს, რომ ამ სასწავლებლებში იმისთანა სწავლას აძლევენ ყმაწვილს, რომელიც მის ტვინს ღალავს და ასუსტებს და იმ სწავლას კი კაცი არ აკარებს, რომელიც ყმაწვილს ფეხზე აყენებს, ცხოვრებისა და შრომისთვის

ამზადებს, სასარგებლო საქმის გზას უხსნის და ხასიათს და გონებას უმაღლებს და უძლიერებს. არც ხელოვნების, არც ხელოსნობის, არც ბუნებითი საგნების, არც პოლიტიკური მეცნიერების ხსენებაც არაა ამ სასწავლებლებში, და იქ ყმაწვილი თუ თავის ბუნებით ნიჭს და ტვინის ძალას არ ჰკარგავს, ხეპრული ვითომ-განათლებით კაბერვის მეტს ვერას იძენს.

სადაც სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი საზოგადოებას ხეირიან გზაზე ვერ აყენებს, იქ განათლების გავრცელებისთვის ერთიღა საშუალებაა დარჩენილი: წერა-ბეჭდვა, მწერლობა, ჟურნალ-გაზეთებით საზოგადოების გონების გახსნა. მაგრამ ოსმალეთში, როგორც ყოველ უხეიროთ გაწყობილ და ცუდათ-განაგებ სახელმწიფოში, წერა-ბეჭდვა არც კი არსებობს. იქ გაზეთები და ჟურნალები ვერც ოსმალეთის სახელმწიფო საქმეების მმართვას შეეხებიან, ვერც ადგილობრივი მთავრობის საქციელს და განკარგულებას, ვერც კანონების ნაკლულევანებას, ვერც საზოგადოებრივი წესის უხეირობას, ვერც დიდ-კაცების უპირატესობას. ერთი სიტყვით, ისინი მუნჯათ უნდა იყვნენ ყველაფერზე, რაც კი ნამდვილათ ხალხისა და საზოგადოების ცხოვრებას შეადგენს, რასაც გავლენა აქვს ხალხის ბედზე და მდგომარეობაზე, და რაზედაც დამოკიდებულია საზოგადოებრივი წარმატება. ამაებზე გაზეთები და ჟურნალები ხმას ვერ ამოიღებენ, და მათ მარტო ტაროსზე ლაპარაკის, მთავრობის ქების, უბრალო მოთხრობების და უმნიშვნელო წერილების ბეჭდვა შეუძლიათ, ისე რომ უხეიროთ განაგები, მთავრობისგან გაძარცვილი, უპატრონოდ მიტოვებული და ყრუთ აღზრდილი ოსმალეთის საზოგადოება და ხალხი ამ მხრითაც თვალ-ახვეული და ბრმა რჩება, თავისი სახელმწიფო განწყობილების გამოისობით.

აი რისთვის, იმისთანა განსაკუთრებით მდიდარ ქვეყანაში, როგორიც ანატოლიაა, რომლის მსგავსი, ბუნებითი სიმდიდრის სიუხვით, ედა-მიწაზე იშვიათათ მოიძებნება, სცხოვრობს მცენარესავით, ჰკვდება ნელ-ნელა და შეუნიშნავათ, გაღატაკებული და გატყავებული ხალხი, რომელიც თითქმის შიმშილით კვდება და სიღარიბეში ილევა, როცა მის ქვეყანას ათი და ასი იმოდენა ხალხისთვის შეეძლო ბედნიერი კეთილდღეობის მოცემა. ამ უბედურ და ღვთისგან მივიწყებულ ქვეყანას პატრონი, ყურისმგდებელი და მზრუნველი რომ საითმე გაჩენოდა...

• •

როგორც იქნა გადავრჩი ბათუმის ვიწრო, დაკლაკნილ, ტალახით სავსე ქუჩებს და ბოლოზისკენ გავსწიე. გზაზე შადრევანი შემხვდა, საცა ბათუმელი ქალები წყლის წასაღებათ მოსულიყვნენ. საწყლები

თათრებს წყლის მზიდველებათ გადუქცევიათ. ვინც ქალში ყველაზე უფრო მშვენიერს, ფაქიზს, ნათელს, სულის ჩამდგმელ არსებას აფასებს, იმას, უეჭველია, გული მოუკვდებოდა ამ სამი ვითომ-ქალის დანახვით. მათი დატალახიანებული, დამწვარი და გაფშიკებული ტიტველი წვივები, მათი ბინძური, შემოფრეწილი კაბა, წინა და უკან კარგა მაღლა აწეული, მათი მოშიშვლებული გული, ყანგის ფერი კანით, მათი მწუხარებით და უაზრო ცხოვრებით დამახინჯებული, ჩამოშვებული პირისსახე — კაცს ტანში ზიზღის ჟრუანტელს უძრავდა. ვაი იმის ბრალი, ვისაც ეს მაიმუნის-მსგავსი ორფეხები ცხოვრების მოზიარე ამხანაგათ რგებიათო, უნებურათ იფიქრებს კაცი, მაგრამ მაშინვე იმასაც იხსენებს, რომ მათ ამხანაგებზე და ქმრებზე უფრო მეტი შებრალების ღირსი თვითონ ეს „მაიმუნის მსგავსი ორფეხები“ არიან.

საბრალო კაცობრიობა! როცა კაცი მონობის გაჭირვებაშია, როცა იმას უსამართლობის და მძლავრობის უღელი ადგია, როცა ის ნიადაგ თავის თავზე უფროსის და მჩაგვრელის მუშტს, ან მათრახს გრძნობს. ის — სისულელე და დაბრმავება ამაზე მეტი იქნება? — ის მაშინ წელის გამართვას, თავის გათავისუფლებას, მჩაგვრელის მოცილებას კი არა, იმას სცდილობს, რომ ვინმე ისეთი ჩაიგდოს ხელში, რომელზედაც თვითონ მძლავრობის და უსამართლობის ხმარება, მუშტისა და მათრახის ცემა, მჩაგვრელობის უღელის შედგმა შეეძლოს! — „მე მცემენ, მეც შენ გცემო. მე მსტანჯვენ, მეც შენ დაგსტანჯო“, ფიქრობს გაჭირვებული კაცი და ამით სევდას იყრის, და როცა იმას ამ გაჭირვებაში თავის თავზე უფრო სუსტი არსება უვარდება ხელში, ის იმაზე იყრის თავის ჯინს, იმაზე სცლის თავის სიმწუხარეს, — და ბედნიერებას, დავიწყებას იმაში ჰპოულობს, რომ სხვაც იმ დამდაბლებაში გაატაროს, როგორშიაც თვითონ გამოიარა. ეს უბედური თვისება რომ არ ჰქონოდა კაცის გულს, ხუთ დღეს ვერ გაძლებდა ქვეყანაზე ძალადობა, მჩაგვრელობა და უსამართლობა.

აი ამ გრძნობით აიხსნება ის მდგომარეობა, რომელშიაც ბათუმს და სხვაგანაც, „მაიმუნის მსგავსი ორფეხები“ იმყოფებიან. საუბედუროთ, ამ ერთისგან მეორის ჩაგვრას და შეწუხებას, გრძელი ჯაჭვისა არ იყოს, არც თავი და არც ბოლო აქვს. ყოველი კაცი ვისმესგან იჩაგრება და ვისმე სხვას სჩაგრავს. ეს სწორეთ იმასა ჰგავს, ჩვენში რომ იტყვიან:

„მოდი ვნახოთ ფრანგი, რამ შეჭამა ფრანგი? ხმალმა სჭამა ფრანგი; ხმალმა — ფრანგი, ფრანგმა — კატა, კატამ — თაგვი, თაგვმა

— მიწა, მიწამ – ჟანგი, ჟანგმა თოფი. თოფმა დათვი, დათვმა — მგელი, მგელმა — თხა, თხამ ვენახი შეჭამა!

ბოღოზის ნაპირამდი მივაწიე ისიც იყო. და ხომალდმა გამწარებული კივილი გააბა, — მივდივარო. მე არ ვჩქარობდი, რადგანც ვიცოდი, რომ ხომალდის წასვლამდი ბარე ორი ტურა კიდევ იკივლებდა. ბოღოზთან ათიოდე აჭარელი იჯდა, ჩვენებურათ ირგვლივ, და შუაში ერთი მათგანი რაღაცას ხმამაღლა კითხულობდა. მოგზაურს, მერე ჩემისთანა უსაქმოს და მოცქერალს, ეს, რასაკვირველია, ზეციდგან მოვლენილ მანანათ მეჩვენებოდა. მიუახლოვდი მაშინვე იმ გროვას და დავინახე, რომ შუამჯდომარე რაღაც თათრულ გაზეთს უკითხავდა თავის მსმენელებს. გაზეთი პაწაწა ტანის იყო, ყვითელ ქაღალდზე დაბეჭდილი. ეს ტრაპიზონული იუმორული (ხუმარა) გაზეთი ყოფილიყო, რომელშიაც სხვა და სხვა ხუმრობა, სასაცილო ამბები, ლექსები და მასხრობა ეწერა.

— მაგას რას კითხულობთ მეთქი, ვკითხე ერთ იმათგანს.

გაზეთაია ახალი.

— ახალს ანბავს რას სწერენ შიგ?

— აგი წავხდი და, ახალი რაი უნდა იყოს იმისანაი? ყველაყაი სწერია.

— თათრულ გაზეთს რომ ჰკითხულობთ, ქართულს რატომ არ ჰკიდებთ ხელს? რომ გქონდეთ წაიკითხავთ?

— რაის სჩივი? ქართული გაზეთი რომ არ უნახავს კაცს არ იცი?

— რომ განახო?

— დასტურ სჩივი?

აბდალაია ვინცხა, ე. მომესმა შორიდამ ჩურჩული. და მართალიც ვთქვა ცოტათი არიყოს კიდეც შემაფუცხუნა.

— დასტურს ვჩივი მეთქი, დარწმუნებით ვუპასუხე.

— დასტურიც რომ იყოს, ქართული კითხვა რომ კაკალმა კაცმა არ იცის აქაით?

— რატომ არ იცით, მერე? ლაპარაკი თუ ქართული იცით, წერა-კითხვა თათრული რათ ისწავლეთ? განა ქართული უფრო ძნელი სასწავლებელი იყო?

— იგი გვასწავლეს და იგი ვისწავლეთ, შე კაცო. აგი რა საკითხავია?

— ეხლა რომ წერა-კითხვა დაგივიწყნიათ, ენაც და ლაპარაკიც რომ დაჰკარგოთ, როგორც რჯული დაგიკარგავთ, მაშინ რა კაცები იქნებით?

აჭარელი დაფიქრდა. ჯერ მიამა. მეგონა ჩემმა შეურყეველმა არგუმენტმა თავში წყერები დაუბნია მეთქი. მაგრამ როცა მის დამცინავ თვალებს შევხედე, ჩემზე მოჩერებულს, მალე მივხვდი, რომ ის დაფიქრდა სულ სხვა საგანზე ღირს იმისთანა „აბდალასთან“ ლაპარაკი, რომელსაც ჰგონია ხალხს ლაპარაკი და ენა დაეკარგებაო. მართლაც, ცოტა ხანს შემდეგ. იმან მიპასუხა:

— ლაპარაკის დაკარგვა ჩემმა მტერმა თქვა. ლაპარაკს სწაკლა რი სჭირია.

— არ სჭირია სანამ ერთათ სახლობთ. სანამ მარტო თქვენ. აჭარლები, დასახლებული ხართ ერთ მაზრაში. მაგრამ ეგ ჩერქეზები რომ ჩამოგისახლეს და დაგიყენეს აქა-იქ. სოფლებს და ცალკე სახლებს შუა? იმათთან ხომ ქართულს ვერ ილაპარაკებთ. და მაშინ ენაც დაგეკარგებათ.

— აი წავხდი და, ი დედა-გაქუცულებს ჩემ ლაპარაკთან რა უნდა. მე ჩემთვის და იგი თავისთვის იყოს. თვარა მოკლულ ბატივით დავაღებინებ პირს, და იგი იქნება. ე! აგი ჩემი მაჭახალა ფიშტო ტყუილათ კი არ მირჭვია ბელყაიშში...

— ვიცი რომ მარჯვე ბიჭი ხარ და მაჭახალა ფიშტოც ბელყაიშში გირჭვია, მაგრამ ენას ასე ხელ-და-ხელ კი არა, კაცი მოგტაცებს ნელ-ნელა და თან და თან გამოგაპარებენ, და დარჩები შიშვლათ გაცურებული...

— მეტი არაა ჩემი მტერი იგი მაგას ვერ მოესწროს. აბდალაი ნუ კი გგონია შენ აჭარლები.

— მაგას კი არ გეუბნები, დავიწყე მე. იმას ვამბობ ენას გაუფრთხილდით მეთქი, ენა მაგ თქვენ მაჭახალა ფიშტოზე უფრო გამოსადეგია, რადგანც ის შეგაერთებს და ძალას მოგცემს იმ გაჭირვების თავიდამ ასაცილებლათ, რომელიც თათრებიდგან გადგიათ...

ალბათ ბევრს რასმე ვიტყოდი ამ საგანზე, იქნება უფრო გაუგებრათ, ან გასაგებათ (ვინ იცის), მაგრამ ამ დროს ხომალდმა ისეთი მრისხანე ფსტვენით შემოგვძახა, რომ ცხადი იყო — დაგვიანება ხელს არ მოგვცემდა. მეც ავდექი და — აჭარლების სიტყვა რომ ვიხმარო — „შევშპი, ზე კაკალ წასვლაზე მივიჭერ და მოვრჩი, ნურც გინახავს კაი კურდღელი, ე!“

იმავე საღამოს „ი უ ნ ო ნ ა მ“ ხელ-ახალავ ფოთის წინ გაგვატარა და სოხუმისკენ წაგვაქროლა. ჩვენ ყველანი, ვინც ზედ ვიჯექით. ჩვენ ოთახებს მივეშურეთ: ხუმრობა კი არ იყო. მთელი ერთი კვირა უნდა დავრჩენილიყავით ამ ხომალდზე. და თითოეული ჩვენ-

განი სცდილობდა კარგი საწოლი ალაგი, სინათლის ახლო, ფართო, ჰავროვან ოთახში, გამოეძებნა. ამასობაში კიდეც დაღამდა და ახლათ მოძებნილი და გაწყობილი საწოლი ჩვენ მაშინვე ბეჯითად და გულდაგულათ ვშინჯეთ, — ზედ კარგათ დაგვეძინება თუ არა თქო.

III

სოხუმი

სხომის, სხოუმის

ფოთში რომ დავბრუნდი, იქ შემდეგი „მოთხრობა" დამებადა, რომელიც ცალკე თავის შინაარს შეადგენს.

IV

ტრფობა და ეჰვიანობა

(პაწაწინა მოთხრობა)

კარი პირველი

რომელშიაც ყოველი ქალი როდი შეიშვება.

მე ძალიან მიყვარს ლერწამსავით ტან-წერწეტა და მაღალი ქალები. თხელი პირის-სახე, ნაზი აგებულება, ნარნარი მიხვრა-მოხვრა, ღია თმა და ცისფერი თვალებიც ძლიერ მომწონს. თუმც მე, აგრეთვე, მომსხო, ფუნთუშა ქალების ეშხიდაც ვარ, და ბუღა პირის სახე, მაგარი აგებულება, დარდიმანდული მიხვრა-მოხვრა, შავი თმა და მუქი თვალებიც ძლიერ მიყვარს. და — საზოგადოთ — ცოცხალ და შნოიან ქალში არაფერს ვიწუნებ, არც მის დაფასების დროს „ამაოთ მორწმუნეობას" ვემონები, მაგრამ როცა ფოთში დაბრუნების შემდეგ, სასტუმროს კარებში, მაღალ-მაღალი პირმცინარა ქალი შემხვდა, გულზე გადმოშვებული გრძელი ღია თმის ნაწნავებით და პირბადეს ქვეშ მზაკვრათ მომღიმარე ცისფერი თვალებით, და როცა იმან ორივე ხელები მომაწოდა, მიცნო და ცალი წარბის მაღლა აწევით, ცალი ტუჩის თამაშით მხიარული და ნაცნობი ხმით მითხრა:

— Какими судьбами?!-ო-

ღმერთს გეფიცებით, მაშინ შავი თმაც დამავიწყდა და ჩარგვალებული ქალებიც. კელპთაყვანისმცემელისაგან მე ერთი თვალის გახამხამებაში, ერთი თვალის დახამხამების ძალით, ერთი ღმერთი ვიცან... თუ საუკუნოთ არა, რამდენიმე წუთის ვადით მაინც, და ამავე წუთში მე დაბრუნების ბრაზიც დამავიწყდა და დაგვიანების წუხილიც.

ამ ქალს მე თფილისში ვიცნობდი. ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობაში, როცა ტვინი ეწვის კაცს და გული, თითქო უმიზეზოთ, ათასი და ათიათასი წვრილფეხი, თვალ მოუკვრელი უსიამოვნების გამო, ნელ-ნელა სივდება და ავათმყოფათ ტეხა-ჩხვლეტას იწყებს, როცა კაცს შინ ყოფნის დროს გული არ უსვენებს და სული მაცდურათ ყურში ჩაჰკივის გაისეირნეო, და გარეთ კი — შინ წასვლის წყურვილი უტყდება, ამისთანა მწარე, მოშხამულ დროებაში ჩემთვის მისი სიცილი, მასთან ტიტინი, ან ხმის ამოუღებლათ ჯდომა, გულს მიმშვიდებდა, სიმწარეს მავიწყებდა და იმედთან მარიგებდა.

მაგრამ უფრო სჯობია საქმე მართლა თავიდამ დავიწყო.

ერთხელ მე და ერთი ჩემი ნაცნობი ყმაწვილი კაცი, ხ ა რ ა თ ა ე ვ ი, ერთათ სადილს ვსჭამდით. ახალ ნასადილევს კაცი — პირუტყვის არ იყოს — მხიარულდება, ხალისიანათაა. ჩვენც ვხუმრობდით და უდარდელათ ვოხუნჯობდით, როცა თავში ერთბაშად აზრმა გამკრა, და დაუფიქრებლათ, მაშინვე, მომადგა თუ არა ენაზე, ჩემს ნაცნობს მივუბრუნდი და ვუთხარი.

— ამ ქეიფზე ნეტავი ერთი შნოიანი ქალი მანახა. სწორეთ მასხრულათ გაუარშიყდებოდი მეთქი.

— ნეტა შენი არშიყობა მაჩვენაო, ბევრს არ ვიცინებო, მომიგო იმან პასუხათ.

— ვსწუხვარ, რომ ამ შენი ნატვრის ასრულება არ შემიძლია.

— რატომ არა. წავიდეთ, მე გაგაცნობ ერთ ჩინებულ, ლაზათიანს და ხეირიან ქალს. სამივე ბევრს ვიცინებთ, გარწმუნებ. ოჰ, რა კარგი აზრია!

— ვის?

— ნინინის ქალს.

— თუ ღმერთი გწამს? აი იმას, გუშინწინ ვენერის როლი რო ჰქონდა?

— სწორეთ იმას.

— წამო წავიდეთ!

— წავიდეთ.

ჩვენ, მართლაც, მაშინვე წავედით. შევედით თუ არა ახალგაზ-

რდა ქალის სადგომში და გამაცნო თუ არა ის ჩემმა ნაცნობმა, მე მაშინვე თავიდამ ბოლომდი გაუმეორე ქალს ჩვენი ლაპარაკი და განზრახვა.

— თავაზიანი თუ არა, გულ-გაშლილი მაინც ყოფილხარო, ეხიარულათ მითხრა ჩვენმა მასპინძელმა.

რა ვქნა. მე ამნაირი მიტომ ვარ, რომ თქვენ, ქალები, თავაზიანი კი ძალიანა ხართ, მაგრამ გულ-გაშლილი — სულაც არა.

— მაშ თქვენ, გულ-გაშლილობა გყვარებია...

— ეგ გულზე ჰკიდია. ზოგ გულზე მე კისრამდი შეკრული სქელი კაბის დანახვა მიყვარს...

— ზოგი კი გაღეღილი გირჩევია?

— დ-ი-იახ!

— ახირებული გემოვნება გქონიათ...

გავჩუმდით ცოტა ხანს. ქალს თითქო ენის წვერზე იმისი კითხვა ადგა, თუ ჩემ გულს პირველ თუ მეორე რიგში სთვლითო? და მე, ამ კითხვისთვის მოსამზადებლათ, ერთგულათ ვცდილობდი მისი გული თუ არა. გულის ფიცარი მაინც გამესინჯა, თავისი „დამატებებით“.

— ხშირათ მოგდისთ თავში ამისთანა ახირებული აზრი — მოდი ვისმე მასხრულათ გაუარშიყდებიო, თუ მარტო მე მქონია თქვენზე ამისთანა სამწუხარო გავლენა? მკითხა ჩემმა მემუსაიფემ, როცა ერთი უცები თვალის გადავლებით თავის გულისფიცარს ინსპექცია უყო და დარწმუნდა, რომ მის „დამატებებს“ ფოლაქები არ აკლდა.

— ხშირათ, ძლიერ ხშირათ. უწინ, სიყმაწვილეში, მე გულდამჯდარათ და „სერიოზნათ“ ვეტრფოდი, და საქმე ყოველთვის მასხრულათ თავდებოდა. თუ ღმერთს ჩემთვის მოხუცებულობა ბედზე დაუწერია, მაშინ მასხრულათ დაწყებული არშიყობა სერიოზნული ჩათოკვით დაბოლოვდება. ეხლა კი, ორ ასაკშუა, ვცდილობ მასხრულათ დავიწყო და მასხრულათ თუ არა, მეტის მეტის მხიარულათ გავათავო.

— ცუდი აზრის ყოფილხართ ქალებზე...

— უკეთესის. ვინემ თვითონ ისინი თავიანთ თავზე არიან.

არა. მე თქვენ გარწმუნებთ. თქვენ ძლიერ სცდებით. ასე მწარეთ რომ ამდაბლებთ სიყვარულს, გრძნობას და სერიოზულ არშიყობას. და ქალები იქით იყონ, მე თვითონ გული მომდის, რომ მარტო სამასხრო არშიყობის ღირსი გაგიხდივართ.

— გულს ნუ მოიყვანთ და ჩემს არშიყობას როგორ სახელსაც ინებებთ იმას დავარქმევ, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ სახე-

ლის მეტი იმას არა შეეცვალოს რა. მაშ, დავიწყოთ თუნდ იმით რომ გკითხავთ, როგორი არშიყობა გირჩევნიათ? შეიძლება, მაგალითად, რომ სერიოზულათ გეტრფოთ? შეიძლება...

ჰმმ... ჩაცინვით მოიგერა იმან ჩემი კითხვა.

— „ჰმმ-ჰო“, თუ, ჰმმ-არა?“

— სცადეთ.

— ხეირიან ცდას დრო უნდა და მე ზეგ ქუთაისს მივდივარ. მოდი და სულწასულს ან მიმავალ კაცს ცდის მოსვენებული ხელოვნება მოთხოვე.

— ქუთაისს, ამბობენ, ბევრი ლამაზი ქალიაო... მართალია?

— მართალია, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, შინაურ ბერს შენდობა არა აქვსო?

— არ მოგწონსთ, თუ? მართალია, ამბობენ, რომ ისინი, როგორც საზოგადოთ ქართველი ქალები, უფრო ბუნებითი სილამაზით არიან შესანიშნავი, ვინემ ცოდნით და მიხვრა-მოხვრითო. მართალია, ვითომ, რომ იმათ ჩაცმა არ იციან კარგათ?

— ჩაცმას, როგორც არის, ახერხებენ...

იმავე საღამოს მე თეატრში წავედი, სადაც ნინინის ქალი რაღაც უხეირო როლს თამაშობდა. როლი ღვთის მადლით მალე გათავდა...

როგორც ხედავს მკითხველი, ამ შემთხვევისთვის არც ხარათევს, არც ნინინის ქალს, არც მე არაფერი მნიშვნელობა. ხუმრობის და დროსგატარების მეტი, არ მიგვიცია, მაგრამ...

კარი მეორე

აქ „მასხარული არშიყობა“ და იმის შედეგი.

«Какими судьбами»-ო რომ მითხრა ნინინის ქალმა ფოთის სასტუმროს კარებში, მე სწორეთ აღტაცებაში მოვედი. და იმ წამსშივე გავიხსენე ჩვენი თფილისური „მასხრული არშიყობა“.

— მე ხომ აქაური ვართქო, უპასუხე, თქვენ უნდა მითხრათ, აქ რამ მოგიყვანა.

— მე მოსკოვს მივდივარ ხვალვე: ჩვენები სულ ყველა დაითხოვეს და მე და ხარათევი ერთათ წამოვედით. მე თქვენ ეხლა რუსეთში მეგონეთ.

— მაშ ხვალ მიდიხართ? ვკითხე მე პასუხის მაგიერ.

— ხვალ.

— გინდათ წამოგყვეთ მოსკოვამდი?

— დიახაც, თუ თქვენს ლექციებსაც თან წამოიღებთ?

— მაშ არა და!...

— По рукам?

— Даже по ногам!

— იაკში-იოლ!

ხარათევი იმ დღეს დაღალული მეჩვენა. —

— რა დაემართა მეთქი, ვკითხე ნინინის ქალს.

— აი დარდიო, მიპასუხა იმან ფრანცუზულათ, და თავისებურათ სკამზე ნებიერათ გარდახრით, გულ-და-გულ, მადიანათ გადიკასკასა.

მეორე დღეს ბათუმს მოვედით და მესამეს სოხუმი ვნახეთ და მისი ბაღი დავათვალიერეთ. გემზე რომ დავრუნდით შევნიშნეთ, ჩვენს ფეხსაცმელზე, — რომ იმ დღეს თურმე სოხუმში ავდარი და ტალახი ყოფილიყო. მაგრამ საღამოს კი ავდრის მაგიერ მშვენიერი ტაროსი დაგვიდგა, ის ტაროსი, როცა ზამთრის შუშხით წელმოწყვეტილი ჰაერი პირველათ თბება გაზაფხულის დადგომაზე. ღამე წყნარი და ტკბილი იყო. მთვარე ღრუბლებს ედავებოდა და ვერც ერევოდა, არც ემონებოდა. ღამის სინათლე ძლიერ თავდაკავებული იყო. ისეთი, როგორც მარტის თბილ საღამოს შეეფერება შავ ზღვაზე: მთის სიმაღლით და ზღვის ნისლით ლეჩაქ გადაფარებული და დასქელებული.

გემი ადრე აიხსნა და იმ საღამოს ჩვენ აფხაზეთის მთების ძირში მივცურავდით, შეურხეველათ, უდარდელათ, უზრუნველათ, თითქო ჩვენს ქვეშ ერთი ვერსის სიღრმე ზღვა კი არა, საცეკვარი სასახლის გალესილი და გაფერილი იატაკი ყოფილიყო. ჩემი ვენერა, როგორც იმას ხუმრობით ვუძახოდი, „ორფეის“ თამაშობის შემდეგ, მაღლა ხომალდის ბანზე ამოვიდა და იქ დაჯდა, იმ ადგილის სიახლოვეს, საიდამაც მე ბორბლის ტრიალს და ზღვის ქაფს დავჩერებოდი.

— რას შვრებიო, მკითხა.

— ზღვაში ვიფურთხები, დროს გასატარებლათ-მეთქი.

— განა ისე მოწყენილი ხარ?

— ვარ კი არა, ვიყავი...

ამ დროს ხარათევი მოგვადგა და გვერდში ამოგვიჯდა, ის არც იმ საღამოს იყო მხიარულ გუნებაზე, მაგრამ ოხუნჯობა მაინც დაიწყო.

— ჟურნალისტი თუ მათემატიკოსი იქნებოდა, ამდენს ხანს არ მგონებიაო, უთხრა იმან მშვენიერ ვენერას: რა ასტრონომიულ ანგარიშებს ითვლის ეს თქვენ თითებზეო, ასე თითო-თითოთ რომ ხსნის და ხუჭავს იმათო.

— მე ვთხოვე ჩამოეთვალა — რამდენი სულელია ჩვენს ნაცნობებში. და იმას ანგარიშობდა ჩემ თითებზეო.

— ბევრი გამოვიდა?

— ხუთიოდე სულელი და ერთი ვირი, ვირზე შევჩერდით, როცა თქვენ მობრძანდითო.

მე ეს მეტის მეტათ მეწყინა, ამიტომ რომ ხარათევი ისეთი კეთილი კაცი იყო, რომლის წყენა და ლანძღვა აშკარა უსამართლობათ მიმაჩნდა.

— ზღვამ ხომ არ გაწყინა, ვკითხე ჩემს მეზობელს, ასე უდროოთ ნაღველი რომ მოგრეევია მეთქი?

ხარათევს ხმა არ ამოუღია. ცოტა ხანს იჯდა, მერმე წამოდგა, გაჩერდა, გაჩერდა და ბოლოს თავის ოთახისკენ წავიდა. მაგრამ ეს სიტყვები კი თქვა, ჩუმათ, მაგრამ გულ-მომაკვდინებელი ხმით:

— Бог Вам судья.

ოთხშაფათს ქერჩს მიეედით. ჩემი ვენერა ქერჩის ნახვას აპირებდა და მე მთხოვდა დამატარეო. რასაკვირველია, მე ეს თხოვნა სიამოვნებით აუსრულე. მაგრამ როცა ჩვენ გავემგზავრეთ და პატარა ხომალდზე გადავდიოდით ნაპირზე გასასვლელათ, ხარათევი დაგვეწია.

— მეც მინდა წამოსვლაო, უთხრა იმან ვენერას, მომიცადეთ, მეც ქუდს ავიღებ და წამოვალო.

— მერე ჩემ ფინიასთან ვინ დარჩებაო? ციცვათ ჰკითხა ვენერამ.

ხარათევი ხმა ამოუღებლათ დარჩა. მე სრულიად არა მესმოდა რა, არც ის, თუ ვენერა ხარათევს ასე ცუდათ რათ ეპყრობოდა, არც ის — თუ ხარათევი ვენერას ასე ყურმოჭრილათ რათ დაჰყვებოდა. ვკითხე ამაზე ვენერას, მაგრამ იმან თავისი ცისფერი თვალებით შემომხედა, თავისი მარცხენა წარბი ცოტათი ასწია, მარჯვენა ტუჩის ყური ერთოდნათ დასწია და ვარდისფერა ტუჩებს ისეთი ღიმილი დააბეჭდა, რომ მე ჩემი კითხვაც დამავიწყდა და ხარათევის საოცარი ყოფაქცევაც.

— რა გაკითხებსო, მითხრა ვენერამ, ვერ გადაგაჩვიე ნიადაგ „რისთვის", „რაზე", „როგორ", „რის განების" ძახილს? „მასხრულ არშიყობას" განა ეს შეეფერება?

ის ცოტა ხნით დაფიქრდა და მერმე, ჩქარი ხმით, აჩქარებული ლაპარაკით მითხრა:

— შენ არც „მასხრული არშიყობა" გცოდნია, არც ხუმარული. შენ ყველაფერს ჰკარგავ, ამიტომ რომ ყველაფერს უკვირდები. უდარდელათ, უზრუნველათ, წინდაუხედველათ უნდა მიეცე წუთის სიამოვნებას, ბედს, — დანარჩენი თავისით მოვა. კაცის სიცოცხლეში იშვიათია აღტაცება, ყველაფრის დავიწყება, სიამოვნებით დათრობა. დღითი-დღიური ცხოვრება უიმისოთაც გვკლავს თავისი ანგარიშით, საჭიროებით, უფერულობით, მობეზრებით და გაჭირ-

ვებით. მე მეგონა, შენ ხანდისხან მაინც შეგეძლო ამ მომბეზრებელი მდგომარეობის დავიწყება, მე შენ გამოგეხუმრე, როგორც სიზმარში იცინის ხოლმე კაცი. და როცა ამ ღიმილის დროს მოსამსახურის ბოდიალი მოგესმება, შენ არ გცოდნია ამ ბოდიალის წაყრუება, ხელახლავ ოცნების დაჭერა და მხიარული სიზმრის გაგრძელება. შენ თუ ამაებს ვერ ივიწყებ და ვერ წაუყრუებ, მე მაინც ნუ მიშლი წაყრუებას, მე მაინც ძალათ ნუ მაღვიძებ.

— მე მინდოდა გამეგო... დავიწყე მე ყურმოწეული და გაწკეპლილი ბავშვივით. მაგრამ რომ ვერ მოვაბი ბოლო ჩემ სიტყვას.

—ნუ გინდა გაგება, გამოკვლევა. ნუ ხარ სულწასული. როცა გავიღვიძებთ, გაგება მაშინაც გეყოფა, მაშინაც გეყოფა საწყენათ.

— მაშ?

— მაშ ვიცინოთ.

— ვიცინოთ.

სიცილით ჩვენ, გაქვსთ სიცოცხლე, იმ დღეს ვიცინეთ. დაკიარეთ მთელი ქალაქი, მთელი მისი არე-მარე. ჩინებული სამხარი ვსჭამეთ ქალაქს გარეთ ზღვის პირათ. სადაც დიდი გაჭირვებით ერთი სელიოტკა და შავი პური ვიშოვეთ და ლუკულის სიამოვნებით გავასაღეთ. დავიარეთ სასლები, ეკლესიები, სასტუმროები, ვიხუმრეთ, ვირბინეთ, ვიცეკვეთ — ერთი სიტყვით, ვიქცეოდით, თითქო შვიდი წელიწადი მონასტერში ვყოფილიყავით და ერთბაშათ თავისუფლება გვეშოვნა.

ამ წუთისსოფელში ყველაფერს თავისი ბოლო აქვს. იმ დღესაც ბოლო მოეღო, და ჩვენ ხომალდს დაუბრუნდით... მართალია, ძლიერ გვიან, მაგრამ მაინც დაუბრუნდით...

როცა მე ტანისამოსი გავიხადე და დაძინებას ვაპირებდი, ჩემი კაიუტის კარი გაიღო და ოთახში ხარათევი შემოვიდა. სიტყვა უთქმელათ დაჯდა ის სკამზე, ჩემ ლოგინს წინ, და მთელი მეოთხედი საათი ისე იჯდა. თითქო ცოცხალი არ ყოფილიყო. მისი პირისახე, დაშლილს რომ იტყვიან, სწორეთ ის იყო. არც ერთი წვეთი სისხლისა არ მოჩდა მის სხეულში. მარტო შუბლზე შადრევანსავით გამომჩქეფი ოფლი ამტკიცებდა, რომ ჩემს წინ მკვდარი არ დაესვათ. დაღალულობა. ძილი, უდროობა სულ ერთიანათ დამავიწყა ამ უბედური კაცის დანახვამ.

რა ამბავია, რა დაგემართა მეთქი, ვკითხე ბოლოს. როცა მის ხმის ამოღებას ვერ მოვესწარი.

გესმის... მე... შენ... ხომ იცი, ძალიან მიყვარხარ... ვიცი... შენ არავის შეწუხება არ გინდა... შენ... თუ უდარდელობით აწყენინებ

კაცს... თორემ განგებ თავის დღეშიაც არა... არა... ეხლა... მე... უბედური ვარ...

ამას ის ისე ამბობდა. ნაკუწ-ნაკუწათ, თითქო ყელში რამე გაბორძიკებოდა და სიტყვებს აღარ უშვებდა.

— რა იყო, თუ ღმერთი გწამს. მითხარი მალე-მეთქი.

— შენ ხალისობ... ხუმრობ... შენთვის ეს თამაშია... შენ ვერა არ გიყვარს... რათ ღუპავ... შენი წუთიერი მხიარულობისთვის. ჩემს საუკუნო ბედნიერებას... ჩემს პირველ და უკანასკნელს. ჩემს ბედნითს სიყვარულს?...

— როგორ? რაო? რა გახუმრებს-მეთქი, წამოვიძახე ისეთი სისწრაფით, რომ ხარათევის თვალებში ცრემლის კურცხლებიც ძლივს დავინახე.

— მე ის მიყვარს როგორც ჩემს დღეში ქალი არ მყვარებია. სამი თვეა, რაც ჩვენ ერთმანეთისთვის ცოლ-ქმრობის სიტყვა მიგვიცია... მაგრამ დღეს შენ მიშლი. შენ მღუპავ, შენ მკლავ...

— სიტყვა მიგიციათ? რათ არ მითხარი მე ეს ამბავი თფილისში, რათ გამაცანი, რათ მომეცი ნება? მერე, როცა შეხედე, რომ ხუმრობა მარილიანდებოდა, რათ არ მითხარი — ჩემი ნეტარება და მომავალი ამ ქალშია, ნუ მიეკარებიო? ეხლა მეუბნები?

— მე არ მეგონა... რა ვიცოდი... თუ ქალი იმოდნათ უგულღვიძლო იქნებოდა, რომ თავის სიტყვას და აღთქმას ერთ კვირაზე მეტს არ დაიმახსოვრებდა? რა ვიცოდი, თუ შენ იმის სიკეკლუცეს აჭყვეპოდი? რა ვიცოდი თუ ის შენ ხუმრობას არ იწყენდა, აიტანდა, უპასუხებდა, როცა კარგათ დარწმუნებული იყო ჩემს ერთგულ, ნამდვილ და სანიადაგო სიყვარულზე?.. მიშველე, გადამარჩინე ამ ჭირს, ამ ცეცხლს, ამ უბედურებას! რა ვქნა? რომ იცოდე, რა ნაირათ მეპყრობა ის მე ეხლა! უწინ პატივს მცემდა, ჩემთან ფიქრს და სიხარულს ჰყოფდა. ლაპარაკობდა. დღეს მე აგდებული ვარ, დღეს ჩემი დანახვა იმას ამთქნარებს, დღეს ის ჩემით მობეზრებულია, ჩემი იმას აღარა სწამს რა. როგორ მეპყრობა, იცი? ნეტა მაგინებდეს, ნეტა მეუბნებოდეს რასმე მაინც. არა. რა გინდ მხიარულათ იყოს, მივეკარები თუ არა, უცფათ გაცივდება მე ამ სიცივეს ვგრძნობ. — ჩუმდება, ხალისს ჰკარგავს და მაშინვე ან ზეით ამოსვლას ჰფიქრობს. თუ ქვეითა ვართ, ან ქვეით ჩასვლას. თუ ზეით ვზივართ, მკვდარსავით გაჩუმდება, და ვერაფრით ამოაღებინებს კაცი ხმას. მეც ვზივარ მის პირდაპირ, მკვდრათ, შეწუხებული, ღაწვარ-დადაგული, და შევჩერებივართ ერთმანეთს რაღაც შებრალებით და თან ბრაზითაც... რომ იცოდე რა და რა აზრი მომდის ხოლმე მაშინ თავში!... ხან მის ფეხ ქვეშ დავარდნა მინდა. მინდა მოტუ-

ვება ვთხოვო და ის შეწუხება დავავიწყო, გამოვიყიდო, რომელიც ჩემს ეჭვიანობას და საყვედურს მისთვის მიუყენებია. ხან გული ჭეცვლება და მინდა ვიტირო, ვიტირო, ვიტირო. ხან მინდა დავანახო მისი ყოფაქცევის სიგლახაკე, მისი გაუტანლობა, მისი ღალატი, მინდა ტალახში გავთქირო და გულზე ფეხით შევადგე, გავთელო, მოვკლა. ხან აზრში მომდის მისი გამხიარულება, გართობა, მინდა დავიძახო, მინდა გთხოვო — მოგვარე ერთხელ კიდევ მაგის თვალებს ცეცხლის სხივი და მაგის ტუჩს — მისი ნარნარი ღიმილი თქო... ღმერთო! რა ნაირათ მიყვარს! ღმერთო, რათ ღირს ჩემთვის ძისი სიყვარული! მთელ სიცოცხლეს შევწირავდი ერთ მის სურვილს და ის ამაზე უფრო შენს უდარდელობას, შენს წუთიერ არშიყობას აფასებს! შენ არ იყავი, თავიდანვე რომ უთხარი — ერთი ქალის შეყვარება და სხვების დავიწყება მუხანათობათ მიმაჩნია ქალების წინააღმდეგო? შენ არ იყავი, გუშინწინ რომ ეუბნებოდი — მთაც მიყვარს ტყიანი, და ზღვაც — წყლიანიო? მითხარი, რა ვქნა, რა ვქნა? მიშველე, ნუ მომკლავ!

— სიკვდილი ადვილი საქმეა და შველა ძნელი. ამას წინეთ ერთი სიტყვა ყველაფერს უშველიდა. ეხლა კი გვიანაა. ჯერ ერთი ეს, რომ თუმც შენ ის გიყვარს, მაგრამ ამასაც ნუ დაივიწყებ, რომ მე ის ძალიან მომწონს.

— ეს ერთია მერე?

— არა, მარამ მოწონებული საგნის მიტოვებაც ძნელია. მაგრამ ეს არაფერი. რა ვქნათ ეხლა? დღეს, ასე უცეფ საქმის გადაწყვეტა, შველა და სხვ. შეუძლებელია. შენ დღეს აღშფოთებული ხარ, მე — ღაღალული, წადი, დაიძინე. დამშვიდდი და ხვალ მოვილაპარაკოთ. ჩვენ მდგომარეობაში შენ სამი გზა დაგრჩენია, სამივეს კიჩვენებ. იფიქრე მაშინ, მოიაზრე ერთსა და ერთს დაადექ. და მე სიტყვას გაძლევ, რომ ჩემის მხრით ისე მოვიქცევი, როგორც შენ გენდომება. გარწმუნებ, რომ სამივე გზით შეგეძლება შენი დაკარგული მშვიდობიანობის დაბრუნება. მაშ ეჰვი ნუ გექნება, წადი, დაიძინე და ხვალ, თუ დამშვიდდი, მოვილაპარაკოთ. ეხლა კი — შვიდობით.

კარი მესამე

აქ საუბარი ორის მეგობრისა ქალის გულზე და უფრო სხეულზე, და ამბავი ვენერას გაცეცხლებისა, რომელსაც მოსდევს მუსაიფი ვენერასთან და სხვაც ბევრი.

მეორე დილას ჯერ კიდევ თვალები არ გამომეხილა, მოსამსახურე ჩემ კარს მოადგა და მითხრა: „ქალბატონი“ გთხოვს ადექი, საქმე მაქვსო. რაღა თქმა უნდა, მაშინვე წამოვხტი და ჩაცმა დავიწყე;

მხიარულათ მიდგა მე თვალს წინ ჩემი ვენერას ახალგაზრდა სახე, გაშლილი თმით, მცინარა თვალებით, დამტკბარი და დამაიმედოვნებელი ღიმილით, კალმის სისხო წელით და მშვენიერი ტანადობით. რამ გამახსენა მე, მაშინ, ჩვენი პირველი კოცნა, როცა უთხარი — შენი ტანადობა იმითაა მოსაწონი და საქები, რომ არც ცერებზე შედგომა დამშირდება, არც მუხლის ბოკეცა, კოცნის ხება რომ მქო

დაგულია. მის ტვინს მაშინ ძლიერ დიდი ძალა აქვს გაგებისა, მიხვდომის და მოაზრებისა, მისი ხასიათი მაშინ მარჯვეთ გამოკალულია. ის მზადაა ჩინებული, გმირული მოქმედება შეასრულოს. ეს ყველა მართალია, მაგრამ მხიარულება იმას აღარ აქვს, ოხუნჯობა, მის ტვინს გაქცევია და ის უწინდელ, ცოცხალ კაცათ მარტო მაშინ იქცევა. როცა თავისი სატრფოს სამაგივრო სიყვარულზე რწმუნდება, როცა მასთან არის, როცა მის პირიდგან „მიყვარხარო" ესმის. დანარჩენ დროს ის მარტო თავის გულთან, თავის გრძნობასთან სცხოვრობს. მისი გული საკმაოთ სავსეა, იმას გარეგანი ქვეყნის ხალისი აღარ სჭირია ან ვეღარ ეკარება. ეს ძლიერ კარგი რამ არის. როცა სატრფოც ამნაირ მდგომარეობაშია. როცა ისიც მაგნაირათვე გრძნობს. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ სატრფო ჯერ შენის ეშხით არ ავსილა, რომ ის შენსავით ჯერ არ აღტაცებულა. და ვიფიქროთ, როგორი გავლენა უნდა ჰქონდეს იმაზე შენს მომაკვდავ და მომაკვდინებელ პირის სახეს, მოწყენას, უმხიარულობას და სხვ.?

ადამიანს კიდევ სხვა უბედურებაც სჭირს: ჩვენ ჩვენი ბუნების უმჯობეს ძალას, ჩვენს პირველ სიმხიარულეს და აღტაცებას, ჩვენს გიჟურ ცეტობას და ტკბობას სიყმაწვილეში ვფანტავთ, ხშირათ ისეთ საგნებზე, რომელნიც მაგათ არც კი ღირან. და როცა ჩვენ შევეყრებით იმ ქალს, რომელიც ჩვენი ცხოვრების მოზიარეთ უნდა გახდეს, როცა ჩვენ გავიცნობთ იმის გულსა და გონებას, ჩვენ საჭიროთ ვპოულობთ „თავი კარგათ დავიკათ" იმასთან, „სერიოზნათ" დავანახოთ თავი გონებაში არ ჩაუწვეთოთ ცელქობის, თავდაუკავლობის განზრახვა და ცნობა. იმის მაგიერ, რომ ჩვენს შემდეგს მეუღლეს ჩვენი თავი სწორეთ ისეთათ გავაცნოთ, როგორიცა ვართ, ჩვენ ვცდილობთ პირისახე მოვიღუშოთ. დავბრძენდეთ და ძომავალი ჩვენი ცხოვრება იმას კაცურ ცხოვრებათ კი არა, რაღაც მძიმე მსახურებათ, რაღაც უქმურ მოვალეობათ დაუხატოთ. ჩვენ იქნება ნამდვილათ დაბრძენებული ვიყოთ, მაგრამ ის ჯერ ახალგაზრდაა, ის ცხოვრების ტრფობითაა სავსე, იმას ხტუნვა და ცელქობა უნდა, ის ცხოვრებას მხიარული თვალით შესცქერის, ის სიამოვნებას ელის, იმას აღტაცება სწყურია, და ჩვენ, ამაების მაგიერ, მოღუშულ, ღრუბლიან ბნელ მომავალს ვაჩვენებთ და უმზადებთ... როგორც ნამეტანი თვალის ახვევა და ცხოვრების გაადვილება. გავარდისფრება არ ვარგა, ისე არც მისი დაბნელებაა გამოსადეგი. ადამიანი ადამიანია და ადამიანი უნდა იყოს. მხიარულათ უნდა შეეგებოს კაცი თავის ცხოვრების კეთილ მხარეებს. მარჯვეთ და დაუჩაგ-

ვრელათ უნდა აიტანოს მისი სიმძიმე, და ეგეევ გრძნობა, ეგეევ შეხედულობა თავის მეგობარს უნდა გაუზიაროს.

— ჩვენ ამას როდი ვშვრებით. ამის მაგიერ, ჩვენი „სერიოზნობით", ჩვენი დაღალულობით და ცხოვრების მძიმე მხარეების დახმარებით, ახალგაზრდა ქალს გული ეჩაგრება. სწყდება. უკვდება. ის ნიადაგ დაუკმაყოფილებელია, იმას მუდამ რაღაც სურს, ის რაღაცას ეძებს და ელის. შეხვდება იმას მაშინ ჩემისთანა გულაჩქარებული, უდარდელი — სანდისხან მხიარული, უფრო ხშირათ მწვავი და გამფხიზლებელი კაცი, რომელიც სხვებისავით არ სცხოვრობს, სხვებს არ ჰგავს. სხვებსავით არ ჰფიქრობს, და ამ ახალი სურათით, ამ უნახავი საგნით, ამ მოვლენით „რომელიც თავისით ფიქრობს და სცხოვრობს. სხვებს არ ჰგავს და დაკვირვების. გაცნობის ხალისს ჰბადავს". ქალი თქვენ გივიწყებს. თქვენი ცხოვრების ერთკილოიან მიმდინარეობას იძულებს. ნაჩვევ გრძნობას აღარ აფასებს და ახალ, ხალისიანს, გამაღვიძებელ, გამამხიარულებელ შთაბეჭდილებებს ეწაფება და სვამს... ვისი ბრალია, რომ თქვენ მისი გონების გაწაფვა და შექცევა არ იცით, ვისი ბრალია, რომ თქვენი ხასიათი და მოქმედება მის გულს თქვენკენ არ მიიზიდავს და მოუშორებლათ არ აერთებს, ვინაა დანაშაული, რომ თქვენ დღითი-დღიურ ცხოვრებას არც ერთი წვეთი აღტაცების, სიამოვნების, გონიერების და მოქმედების არ ატყვია? რა გასაკვირველია, რომ ქალი, რომელსაც თქვენ უსაქმოთ, უმოქმედოთ სტოვებთ, რომლის გულს ვერ გებულობს თქვენი უხეირო ცხოვრება და მიძინებული გონება, თქვენთვის გულ-ცივი და შეუბრალებელია? ის ცხოველი საგანია, სულდგმულია, ის უსაქმოთ, გულგრილათ, ბინძურათ ვერ სცხოვრობს და როცა რასმე ისეთს შეხვდება, რაც თქვენ არა გაქვს, რაც იმას ახალისებს, ართობს ან ათრობს, — შვიდობით მაშინ თქვენი ერთგულება და თქვენი მოსვენებული ბედნიერება!

ხარათევი თვალ გამოშტერებული ყურს მიგდებდა, მაგრამ ცხადათ კი ეტყობოდა, რომ ჩემ „რეჩზე" ის სრულიადაც არ ფიქრობდა. იმას ან სხვა დარდები ჰქონდა მაშინ გულში, ანა და ჩუმათ თავისთავს ეუბნებოდა ალბათ: „მე რისთვის მოვსულვარ, და ეს ოხერი რაებს მიქადაგებსო".

მაგრამ მე იმის დარდი არ მქონდა, მე გული მეწოდა. მინდოდა ვისმეზე ან რასმეზე ამომეყარა ჩემი ჯიბრი და ნაღველი ჩემი ვენერას მიტოვებისა.

— მერმე, მოვყევი ხელახლავ, როცა თქვენი უხეირობით და უმეცრებით დაჰკარგავთ თქვენი ცოლის ან საყვარლის გულს, თქვენ

გული მოგდისთ, ბრაზი გერევათ, ყველაფერს ივიწყებთ, ყველაფერს ნტვრევას უპირებთ, და იქნება კიდეც დაამტვრიოთ, შეძლება თუ გექნათ. ივსებით თქვენ მაშინ ეჭვიანობით და მოჰყვებით ქალის და თქვენი საკუთარი თავის წვალებას და ტანჯვას...

— ვა, განა შენ ეჭვიანობა არა გწამს? განა შენ იმის დამტკიცებას მოინდომებ, რომ ეჭვიანობა ქვეყანაზე არ არსებობს და კაცის სისულელეს მოუგონია? განა შენ უარჰყოფ ეჭვიანობას?

—ვინ გეუბნება ამაებს? ეჭვიანობა არსებობს, ეჭვიანობა სჩვევია კაცის გულს, როგორც არსებობს გველი და მორიელი, როგორც დამპალ მძოვრს მატლი სჩვევია. მაგრამ სისულელე არ იქნება, იმის მაგიერ რომ გაიგო თუ რა თვისება აქვს გველის კბენას და მორიელს, აიყვანო ეს შხამიანი სულდგმულები და საკუთარ უბეში ჩაისვა, მარტო იმ მიზეზით, რომ ესენიც ბუნებას გაუჩენია და ქვეყანაზე არსებობენო, ან მძოვრის მატლები დახიკო და სხეულზე დაისვა, მარტო იმისთვის, რომ ეს მატლები ადამიანის სხეულს სჩვევიაო. ეჭვიანობა არსებობს, როგორც თავმოყვარეობის ავათმყოფი მოვლენა. როგორც ყოველი ავათმყოფობა, ის ბუნების კანონებს ემორჩილება და ბუნების კანონების ძალით იბადება და სცხრება. და თქვენ კი დაგიყენიათ, რომ რადგანც ავათ გავხდი, რადგანც ჩემ თავმოყვარეობას ბრაზი მოერია, უფლება მაქვს ყველანი დავკბინო, არავის მოვერიდო, არავინ დავზოგოო?...

— ეჭვიანობა არ გამოგბცდია, გეტყობა, თორემ კარგათ გეცოდინებოდა, რომ ეჭვიანობას და თავმოყვარეობას შუა დიდი განსხვავებაა, მიპასუხა უბედურმა მოარშიყემ.

—გამომიცდია, მერწმუნე, და სწორეთ იმიტომაც ვამტკიცებ, რომ ეჭვიანობა — ავათმყოფი თავმოყვარეობაა. შენი ცოლი რომ თქვენს მზარეულს გაუარშიყდეს, შენ ეს სწორეთ ისე გეწყინება, როგორც ცოლის ბაშმაკების ტალახში გასვრა, და მეტათ კი არა. რისთვის? ამიტომ რომ შენ იმოდენათ დარწმუნებული ხარ შენ თავზე და ღირსებაზე, რომ შენს დღეში აზრათაც არ გაივლებ თავში, კითომ შენმა ცოლმა შენი თავი მზარეულს შეადარა და ის გაჯობინა. მაშასადამე, რაკი შენი თავმოყვარეობა შენს თვალში დაცულია, დანარჩენი შენ ნაკლებათ გეხება. შენ ამბობ — ეს უმნიშვნელო კაპრიზი იყოო, და საქმეს თავს ანებებ. სულ სხვანაირათ იქცევი, როცა ცოლმა შენ შენი ტოლი გამჯობინა. მაშინ შენ გიჟდები, ბრაზდები და ცოფიან ძაღლივით ჰგლეჯ და ამტვრევ ყველაფერს. ცოლსა და ნაცნობებს აწუხებ, სტირი, იხვეწები, თხოულობ, თითქო გრძნობა ან ტირილით ან ტანჯვით, ხვეწნით ან თხოვნით მობრუნდებოდეს. მე იმას ხომ არ ვამბობ, გულში არ უნდა შესწუხდე,

როცა შენი საყვარელი შენზე უფრო მაღლა სხვის თავს რაცხს და სხვას აფასებს. გინდა თუ არა, ეს გულს დაგიჩაგრავს, გაწყენინებს, შეგაწუხებს, დაგტანჯავს. მაგრამ აქედან ის დასკვნა ნუ გამოგყავს — რადგანაც ჩემი გული შეწუხებული და დატანჯულია, მოდი მეც სხვა შევაწუხო და დავტანჯოო: ამის უფლებას ნუ ითვისებ, ამიტომ რომ ეს უფლება უსარგებლო და გამოუდეგარია. დაკარგულ გულს, როგორც გითხარი, ხვეწნა და შეწუხება ვერ მოაბრუნებს. ტირილით და დევნით, ქალის ლანძღვით და საყვედურებით შენ მის გულს კი არ მოიბრუნებ, უარესათ და სანიადაგოთ დაჰკარგავ. ქალი რომ შენზე გულგრილი იყო, ეჭვიანობა იმას შენზე გაბრაზებულათ ხდის, შენი ტირილი იმას შენ თავს აზიზღებს, რადგანაც შენს მხეცობას, ან შენს სისუსტეს აჩვენებს. თუ მაინცა და მაინც დაკარგული ან გულ-ცივი ქალის დაბრუნება გინდა, დამშვიდდი, გონიერათ გამოიკვლიე რა მიზეზით უყვარდი შენ იმას და რა მიზეზით აუარდა შენზე გული, რა მხრით და რა თვისებებით, ან საშუალებებით გაიმარჯვა შენმა მოწინააღმდეგემ, და როცა ეს ყველაფერი გაიგო, ეცადე შენი თავი ხელახლავ შეაყვარო, თითქო უწინ თქვენ ერთმანეთს არც კი იცნობდით... და ამ საგანზე თუ ჩემს აზრს იკითხავ, მე კი მგონია, რომ გატეხილი პურის გამთელება გასაჭირი და თითქმის შეუძლებელი საქმეა...

— როგორ არ გაბრაზდეს კაცი, როცა ამისთანა ღალატს, უმადურებას ხედავს... ხომ იცის იმან, რა ნაირათ თავგამომეტებული ვარ მე იმისთვის! რას არ ვიზამ მისი გულისა და სიამოვნებისათვის. და ის კი ასე მივიწყებს, ასე მღუპავს, მკარგავს... განა ეგ გულის მომკვლელი არ არის, განა ეჭვიანობა ამით არ ძლიერდება?

— ეჰ, შენც დაგიჟინია „ღალატი“ და საყვედური. ჩვენი უბედურებაც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ქალებზე თავიდამ ბოლომდი შემცდარი შეხედულობა გვაქვს. ჩვენ როდი გვგონია, რომ ქალს სწორეთ ისეთი სხეული, აგებულება, საჭიროება, გრძნობა და ფიქრი აქვს, როგორიც ჩვენ, კაცებს, გვაქვს. ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ქალის გულშიაც იმისთანა შთაბეჭდილება, მადა, ღელვა და სურვილი მოიპოვება, როგორიც ჩვენს საკუთარ გულში გვიცვნია. ჩვენ ჯერ ზეცამდი აგვყავს ქალი, გვგონია, რომ იმას არც ერთი ჩვენი წვრილმანი და სხვილ-სხვილი ნაკლულევანება არა აქვს, გვგონია, რომ ის ღირსებით შეჭედილი და „უმანკოებით“ აღვსილია, ანგელოზსავით, და როცა, შემდეგში, მასში ჩვენს საკუთარ თვისებებს და ნაკლულევანებას შევამჩნევთ, როცა მის მოქმედებაში ჩვენი საქციელის კვალს დავინახავთ — მაშინვე ზეციდამ ჩამოგვყავს და ტალახში ვსვრით, სისაძაგლეს ვსწამებთ. — ეს ამტკიცებს, რომ ჩვენ

ძლიერ ცუდი აზრი გვქონია ჩვენს საკუთარ ხასიათზე და მოქმედებაზე, თუ კი ჩვენი მსგავსი ქმნილება ტალახში გასრესის ღირსათ მიგვაჩნია.

— კარგი, მაგრამ ეს მითხარი, რა ვქნა, რა გზას დავადგე?

— მგონია, რომ ჩემი ნათქვამიდამ ადვილათ დაინახავდი ამას...

— სრულიადაც არ დამინახია. შენ დღეს რაღაც ქადაგების იშტაზედა ხარ, და საქმეს, რჩევას კი არ ლაპარაკობ. თეორია კარგია. პრაქტიკით გამასინჯე ეხლა მისი ნამდვილი ღირსება! თეორია ჩემი საქმე არ არის.

— მაშ კარგი, გინდა, მე თავს დაგანებებ და რაც გინდა ის ჰქენი, როგორც გინდა ისე შეურიგდი შენს საცოლოს, როგორც მოახერხო დაიბრუნე მისი გული და ერთგულობა, თუ არა და ეცადე, რომ შენ თვითონ მოსცილდე, თავი დაანებო, დაიცალო ქეიფი, და მერმე, როცა შინაური მტკიცე მოსვენება და ბედნიერება დასჭირდება — მაშინ დაუახლოვდე. თუ არა და, კიდევ, შეიცვალე ხასიათი, მიატოვე საყვედური, ტირილი, მუქრობა, გამოდი მხიარულათ, თითქო სიყვარული შენ არაფრათ მიგაჩნდეს, თითქო შენ მარტო ქეიფს და ტრფობას ეძებდე, თითქო დაუნდობელი რამ იყო, იცინე, იხარხარე, იოხუნჯე, თავი შეაყვარე — და მისი გული იქნება დაგიბრუნდეს. ამ სამი გზის მეტი შენ, მთლათ ერთიანათ თუ თავის დანებება არ გინდა, დღეს არაფერი საშუალება არ დაგრჩენია.

— მერე მაგ სამში რომელი სჯობია, შენის აზრით?

— მესამე, მაგრამ ეგ ხასიათზედაც ჰკიდია. შენ იქნება პირველი გირჩევნოდეს?

— მე მესამისთვის შექმნილი არა ვარ. მეორე გზაზე დადგომა რომ შემეძლოს, კარგი იქნებოდა. მაგრამ სად წავიდე, როგორ მოვიცადო, როგორ მომითმენს გული? ჩემთვის მარტო პირველი საშუალებაა გამოსადეგი...

— მარჯვეთ სჯი, შენ ნუ მომიკვდები. ესე იგი: მე არ მინდა თავი დავიღალო და მხიარულობით, შექცევით, ნიჭისა და ცოდნის ძალით, დავიბრუნო ჩემი საყვარლის აყრილი გული. არც ის მინდა, რომ შორს წასვლით თავი შევიწუხო და ორიოდე კვირა გულდაწყვეტილათ მარტობაში გავატარო, ამის გამო, რადგანაც მე მაინცა და მაინც მსურს დავიბრუნო ის, რაც ჩემივე სისულელით დავკარგე და რასაც ჩემი გაუგებრობით შემდეგშიაც ხშირათ დავკარგავ, გთხოვ შენ, გარეშე პირს, ამ ჩემ სურვილს თავი დაუდვა, და ჩემი სიამისთვის, ჩემი ზანტობისთვის შენი სიამოვნება დაჰკარგო და შენი აღტაცება მიატოვო. — თუმც დარწმუნებულიც არ იყო, რომ ამით ჩემ საქმეს რამე ეშველება. ასეა ხომ? რასაკვირველია, ამაზე

მე უარს არ გეტყვი, და როგორც დაგპირდი, ისე შეგისრულებ ჩემ სიტყვას. ვიცი, რომ შეყვარებულები ყოველთვის ემაგრე მარტო თავის თავზე ჰფიქრობთ და არავის ზოგავთ. მაგრამ გაიხსენე, შემდეგ, რომ ამით შენ შორს ვერ წახვალ, და დღეს თუ არა ხვალ მაგ გულს შენ ხელახლავ დაჰკარგავ.

— მერმე მე ვიცი როგორ წავიყვან ჩემს საქმეს. არა. მართლა მიატოვებ? თუ ღმერთი გწამს?...

და სანამ ამის პასუხს მივცემდი, ხარათევი გადამეხვია და კოცნა დამიწყო. მის აღტაცებას ბოლო არ ჰქონდა, თუმც იმ დროს იმის აღტაცებაზე კი არა, სულ სხვა ეკლებზე უნდა ეფიქრნა, ჭკუა რომ ჰქონოდა თავში.

ცოტა ხანს შემდეგ ჩემმა ვენერამ დამიძახა, ზეით მივდივარ, წავიდეთო. რომ გენახათ, რა მშვენიერი იყო ის იმ დილას. იმისთანა ლამაზათ, იმისთანა სასურველათ და ძვირფასათ ის მე არასოდეს არ მომჩვენებია უწინ. მის თმას სულ ახალი ოქროვანი ბზინვა შევნიშნე, მის წელს — ახალი ტურფა თლილობა, მის თვალს ახალი ნაზი გულდანდობა და ალერსი. ასე, ხშირათ, კაცი მარტო მაშინ გრძნობს რომელიმე საგნის ნამდვილ ფასს, მარტო მაშინ აფასებს იმას ღირსეულათ, მარტო მაშინ ნიშნავს, რომ ეს საგანი მისთვის ძვირფასი ყოფილა, როცა ის ეკარგება და ხელიდამ უძვრება...

თუმც მე გული მეწოდა, მაგრამ მაინც გულდაგული მოთმენით უამბე იმას მთელი ჩვენი მუსაიფი ხარათევთან, უამბე რა რჩევა მივეცი, რა გადაწყვეტილებას დაადგა და რა სიტყვა დაუდე.

— რასაკვირველია, შენ მაგ სიტყვას არ აასრულებ მაგ დასაბმელი ვირის გულისთვის?

— დიახაც ავასრულებ.

— რისთვის? ვითომ რა გამოვა მაგით?

— ეს ჩემი საქმე არ არის.

— როგორ, იქნება შენ, ან იმას გგონიათ, რომ შენი მიტოვებით იმას რამე გაურიგდეს? დიდათ შემცდარია. მე იმას პატივს ვსცემ, როგორც უწინ, ისე შემდეგაც. დარწმუნებული ვიყავი და ვარ, რომ უკეთეს ამხანაგს და უკეთეს ქმარს მე ვერ ვიშოვნი, — ეს მართალია. მაგრამ დიდი სულელი ყოფილა, თუ ფიქრობს, რომ ამაზე მეტი მე ან მიგრძნია რამე იმაზე, ან როდესმე ვიგრძნობ. დაიჯინა ცოლათ წამომყევიო, არ დაიჯერა ჩემი უარისყოფა, როცა ვეუბნებოდი ძლიერ პატივს გცემ მაგრამ არ მიყვარხარ მეთქი, მთხოვდა მოიცადე და მაშინ დავგვირგვინდეთ, როცა შემიყვარებო, — ამაზე მე უარს რათ ვიტყვი ან რათ გადავალ? მოვიცადოთ. მაგრამ ეხლა ის იმას თხოულობს, რომ სანამ ის არ შევიყვარო დანარჩენს

ქვეყნიერებაზე თვალი არ უნდა გავახილო? კარგი. თუ მაგრეა და მისი სურვილი რომ ავასრულო, ის რომ მეუბნებოდა — არაფერია, უსიყვარულოთაც ჯვარი დავიწეროთო, მაშინ რას აპირებს? მაგეც რომ ვქნა, ჯვრის წერა ჩემთვის იმისთანავე მოვალეობა იქნება, როგორც თეატრში თამაში. დირექცია მათამაშებს დანიშნულ დროზე, მაგრამ დანარჩენი დრო სადაც მინდა, როგორც მინდა, ისე შემიძ-ლია გავატარო. განა მაგას ეს უნდა?

— მე არ ვიცი რა უნდა და რა არა. ეს თქვენი და მაგის საქმეა, და როგორც გსურდეთ ისე მორიგდით. მე მითქვამს და კიდევ ვამ-ბობ, რომ არ ვარგა ჩემი საკუთარი სიამოვნებისათვის სხვას „მომავ-ლიანი“ საქმე წაუხდინო.

— რომ არაფერი ხდება?

— ის კაცი კი კვდება, და მეტი არაფერი.

— სულელია, თუ კვდება. რამდენი სულელი იტანჯება, ყველას მე უნდა გაუხდე ნუგეშისმცემლათ? ყველას ხომ ვერ აუვა ეს ჩემი ბუნება...

— ეხლა შენ გაჯავრება გალაპარაკებს. დამშვიდდები და უფრო კაცობრიულათ, გულკეთილათ მოეპყრობი ხარათევს.

— ვნახოთ, ვნახოთ. შენ კი რამ გაგამაჭანკლა დღეს?

— ხარათევი დამპირდა, რაც რუსეთში აქტრისებია ყველას გა-გაცნობო. და იმან.

— არა, მართლა გგონია უნდა შეურიგდე?

—მაგაზე შენს მეტი კაცი რჩევას ვერ მოგცემს.

— და შენ საქმე გადასწყვიტე, სანამ ჩემს აზრს შეიტყობდი, სანამ გაიგებდი მე რას ვიზამ და რა გზას დავადგები?

— გადავწყვიტე.

— და გვტოვებ? ოდესიდამვე?

— ოდესიდამვე.

— Дурак!

— Merci!

— მაქნამდი კი?

რომ დაგენახათ მაშინ მისი თვალები, მისი თვალმოუკვრელი ღიმილი! ადვილი საქმეა ძნელ საგანზე, მძიმე შემთხვევაში, შესანი-შნავ გარემოების დროს გმირული გადაწყვეტილების მიღება. მაგ-რამ წვრილმან დაბრკოლებას წინ, შეუმჩნეველ გამოცდის, ადვილი წინააღმდეგობის და განსაცდელის დროს სწორ გზაზე დგომა და გამარჯვება — გმირობაზე უფრო ძნელი და მძიმე საქმეა. კარგ მა-მაცს და მარჯვე ბიჭს იმას ვეტყვი ვინც აი ამ წვრილმანებში ნიადაგ მარჯვეთ იქნება.

— აქედამ სჩამსო, იფიქრებს მკითხველი, რომ ვერც იმ „მაქ-
ნამდის“, ვერც იმ თვალებს და ღიმილს გაუმარჯვებიათ დამწერის
გმირობაზეო.

— აქედამ სჩამს, ჩემო მკითხველო, რომ დამწერის გმირობა
ამ უკანასკნელმა ღიმილმა შემუსრა და ფეხქვეშ გაიგო.

კარი მეოთხე

ამაო ამაოთა და სხვ. ზედ დასკვნილია იმის ამბავი, თუ ჩემი ვენერა ბევრი ხერხით და
გმირობით ორივემ როგორ დაკარგეთ, ვის ჩაუგდეთ ხელში, და ხარათევმა როგორი მწუ-
ხარებით იტირა და იგლოვა თავისი საცოლო.

ჩვენ სამივემ გადავწყვიტეთ, რომ ოდესიდამ დაწყებული ჩვენ
დავიფანტებოდით: ვენერა ფრთა ჩამოშვებულ იუპიტერს წაყვებო-
და და მე ჩემთვის წავიდოდი.

მაგრამ მე სევასტოპოლიდამვე „ჩამორჩენა“ დავიწყე. იალტაში
კი პირდაპირ ძილის სურვილი გავაცხადე. ვენერას იუპიტერი გაჰყ-
ვა ნაპირზე, ლივადიის სანახავათ — მარტის თვეში!

ვფიქრობდი გაზაფხულის ჰაერი, ყირიმის ბუნება, ლივადიის
ბაღი, ზღვის სიო და დილის ალიონი ბევრს დაშორებულ მეგობრებს
დააახლოვებს და შეარიგებს მეთქი. მართლაც, საკვირველი გავლენა
ჰქონოდა ამაებს ჩემი ვენერას გულზე. ის დიდი უშველებელი ყვა-
ვილების გუნდით დაბრუნდა, ორიოდე ვარდი მე მითავაზა და....
დანარჩენიდამ უკეთესი ყვავილი აარჩია და მიართვა... ჩვენი კაპიტ-
ნის თანაშემწეს!

წარმოიდგინე, მკითხველო, დიდი ჭური, ახლათ გამომწვარი,
წითელი, რგვალი, ღრმა და უმოძრაო. სწორეთ ამისთანა იყო ის თა-
ნაშემწე. ხმაც სწორეთ იმისთანა ჰქონდა, როგორც ჭურს, სმაც
ამოდენა შეეძლო (მეტი თუ არა), და პირათ და ტანით ჭურს ჰგავ-
და და ამ ჭურს ერგო ის ყვავილი...

ჩემს სიცოცხლეში ბევრი კაცი მინახავს გაჭირვებაში და განსაც-
დელში, და ყოველთვის დიდი სიამოვნება იმაში მიპოვია, რომ შე-
მენიშნა, — კაცის პირის სახეს რა და რა ცვლილება ემართებოდა
მაშინ. მინახავს კაცი გაცეცხლებული, გაწითლებული, გაშავებული,
გათეთრებული; მინახავს გამშრალი, დაშლილი, გაშმაგებული; ასე
გასინჯეთ, ისიც მინახავს, რომ კაცს სიმწრისგან მთელი სახე გაშ-
რობოდეს და მარტო ცხვირის წვერზე მოსვლოდეს ოფლი. მაგრამ
ხარათევისთანა ცვლილება პირის სახისა კი არ მინახავს: იმას ნიკა-
პი ჩამოეწია, ცხვირი დაუგრძელდა, ყურები გაუწითლდა, ყბები

გაუთეთრდა და ჩასცვინდა, ტუჩის კანი გაულურჯდა, თმა აებუძგა, თვალი მიუნაბდა, ხახა გაუშრა, და ამ სიკეთეებს გარდა იმან ისე დაიწყო ყელის წვდენა და ზელა, თითქოს შიგ ძვალი გაკვეტებოდა.

მე გამეცინა, და მას აქეთ რაც იმან ჩემი სიცილი შენიშნა, ჩვენი ერთმანეთის მეგობრობა დაივიწყა და სისხლის მსმელ მტრათ ჩამთვალა.

ვენერა მე ოდესის იქით აღარ მინახავს. სიტყვა კი მაქვს მისგან მოცემული, რომ თავის პირველ შვილს უჩემოთ არ მონათლავს...

გათავდა მოთხრობა ესე შეწევნითა უფლისათა და ღვაწლითა მონისა ღვთისა ამწყობლისათა: თუ შეცდომა რამე იხილოთ, ნუ გვწყევეთ, არამედ შენდობით მომიხსენებდეთ...

V

თვალუწვდენელი რუსეთის თვალუწვდენელ მინდვრებზე

И все поля, поля, поля!

Майков.

ოდესაში ოთხი საათი დავრჩი, სწორეთ იმდენი, რამდენიც საჭირო იყო ტანისამოსის გამოსაცვლელათ, ორიოდე ნაცნობის სანახავათ და რკინის გზის სტანციამდე მისასვლელათ. იმავე საღამოს რკინის გზა მიმაგგიალებდა პეტერბურგისკენ.

რკინის გზის ვაგონში კაცის გულს რაღაც მოუსვენარი გრძნობა იტაცებს. სწრაფი ფრენა, გარეშე საგნების მოუსწრებელი ჩამორჩენა, მაშინისა და ბორბლების რახა-რუხი ისეთნაირათ აღელვებს კაცს, რომ ერთი წუთის მოსვენება არ ეღირსება მის ტვინსა და სხეულს. აზრს რაღაც ოცნება იმონებს. ერთი წარმოდგენა რომ ჯერ თავში არ მოთავსებულა და კაცს მისი გაგება და დაკვირვება ვერ მოუხერხებია, მის ადგილზე მეორე წარმოდგენა იბადება, რომელსაც იმავე სისწრაფით მესამე სცვლის, მარტო იმისთვის, რომ იმანაც თავის რიგზე მეოთხეს ადგილი დაუთმოს. მერმე ოცნებას მოგონება ჩაერთვის, მოგონებას — ნატვრა, და სამივეს, რაღაც საკვირველი მომავლის დამწყობი პლანები გადეხლართება. და ეს უცნაური მდგომარეობა იმოდენათ აწვალებს ტვინსა და გრძნობას, რომ კაცს თავისი თავი მთვრალი ჰგონია, — ისე ეკარგება იმას ძალა. თავის ფიქრზე და ტვინის ძაფებზე, ისე დამშვიდებულათ თხოულობს მისი ტვინი მოგონებას, ნატვრას, ოცნებას და მომავლის პლანს.

ამ ნაირ ოცნებით დათრობას ხშირათ ისე შეუწუხებივარ, რომ ორი-სამი დღე და ღამე მოსვენება არ მქონია. და ყველა იმ საშუალებებიდამ, რომელიც მე მისინჯავს ამ შეწუხების თავიდამ ასაცილებლათ, ამდენს ხანს გამომდგომია მარტო სამი შემდეგი:

1. — მოგზაურმა უნდა ეცადოს ერთი ან ორი ისეთი მგზავრი მოძებნოს, რომლის მუსაიფს მისი გართვა და გახალისება შეეძლოს. ამ საშუალებით ყველაზე უფრო ხშირათ შნოიანი და ხალისიანი ქალები გამოდგებიან.

2. — თუ ეს პირველი საშუალება მოგზაურს ხელ-და-ხელ ვერ უშოვია, შეიძლება კაცმა რამე ისეთი მართლათ ხალისიანი „ჩამთრევი“ და გამრთველი წიგნი იქონიოს, რომლის კითხვამ იმ.ს ყველაფერი დაავიწყოს.

3. — თუ ამ საშუალების შოვნაც გაუჭირდა კაცს, მაშინ აუცილებლათ საჭიროა რკინის გზაში ჩაჯდომამდე ორიოდე ღამე თეთრათ გაათენოს, ისე, რომ ვაგონში შესვლისთანავე იმას ძილი მოერიოს.

ოდესიდამ წასვლის დროს მე არც ერთი ამ საშუალებებთაგანი არ დამიმზადებია. ამის გამო დავრჩი ვაგონში ხელცარიელი და ტვინ-აშფოთებული. რასაკვირველია — როგორც ამ მდგომარეობაში მყოფ კაცს შეეფერება, — მე ჯერ ერთ ფანჯარას მივარდი, მერე მეორეს, ჯერ ერთი მხრით ცქერა დავიწყე, მერე მეორით.

მარჯვნით და მარცხნით გადაშლილიყო ხელის-გულისავით ტიტველა და სწორი მინდორი. არსად არ სჩანდა არც სახლი, არც გორა, არც ხე, არც ბუჩქი. ბალახ-ბულახი რაა, ისიც იშვიათი სანახავი იყო ამ თვალ-უწვდენელ სივრცეზე. კაცისა და ქალის დანახვას ვინ სჩივის, თვალს ვერ მოჰკრავდით ვერც ხვადაგს, ვერც გარეულ ცხოველს, ვერც ჩიტს, — ერთი სიტყვით სიცოცხლის და მოძრაობის წარმომადგენელი იქ მარტო ჩვენი რკინის გზის მაშინა და ვაგონები იყვნენ. ცაც რაღაც ერთნაირად გამობუშტული, ერთნაირათ შეფერილი, ერთნაირათ მოღრუბლული იყო, ერთი კიდიდამ მეორემდი. გავიარეთ ათი ვერსი, გავიარეთ ოცი, ასი, ორასი, — გარშემო ჩვენ ერთი და იგივე ბუნება, ერთი და იგივე სურათი, ერთი და იგივე „ცალიერება“ გვეკრა და გვხვდებოდა. ხელში რომ რკინის გზის ტარების ფურცელი არ გვქონოდა და სტანციების სახელები არ გვცოდნოდა, გვეგონებოდა — ერთს და იმავე ადგილს ვდგევართო.

არაფერი მძულს ისე ქვეყანაზე, როგორც ერთი და იგივე შთაბეჭდილების გამეორება, ერთი და იმავე გრძნობის გაჭიანურება. თუ ამ შთაბეჭდილებას და ამ გრძნობას რამე ისეთი წვრილმანი ახალ-ახალი მხარეები არ დაჰყვება და დაებმება, რომელნიც ძველ

გრძნობას და შთაბეჭდილებას ახალგემოს და მადას მისცემენ... ადამიანის ტვინს ბუნებისგან ის თვისება აქვს დატანებული, რომ, თუ იმას ახალ-ახალი შთაბეჭდილება, მოძრაობა, მღელვარება, შრომა და წვრთნა დააკლდა, ის იძინებს და ხავსიანდება, უძლურდება, სუსტდება და თან და თან უფრო და უფრო ჰქრება. ტვინს მარტო ნიადაგი შრომა აძლიერებს და საკვებს აძლევს, და ამ ნიადაგი შრომისთვის ნიადაგვე ახალი შემთხვევების დასწრება, შთაბეჭდილების მიღება, გაოცება, გაფხიზლება, გაკვირვებაა საჭირო. მაგრამ რით უნდა გაგვაფხიზლოს ერთმა და იმავე ნაცნობმა სანახავმა, რა ახალი შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს ტვინზე ათასჯერ ნანახმა და გასინჯულმა საგანმა, რით უნდა გაგვაოცოს და ტვინი გაგვიფხიზლოს იმ სურათმა, რომელსაც ჩვენი თავის მობეზრება მოუხერხებია?

სამზღვარ-გარეთელ მწერლებს და მოაზრეებს აკვირვებს რუსეთის ერთკილოიანი და უმოძრაო ცხოვრება მთელი ათასი წლის განმავლობაში. მობრძანდნენ და ნახონ აი ეს მინდვრები, მათი შიშველი ბუნება, მათი მოსვენებული, თითქო მკვდარი გამოხედულება, და ბრძანონ, რა გასაკვირველი უნდა იყოს, რომ ამ ბუნებას მცხოვრებლების ტვინზე და მოქმედებაზე ერთგვარი უმოძრაობის დაღი ღაუსვია. ხალხს მოძრავ ხასიათს, წარმატების სურვილს და უკეთესი ცხოვრებისკენ ლტოლვილებას მისი ტვინის სიფხიზლე, მისი პოეზიის ძალა, მისი სხეულის სიმაგრე აძლევს. მაგრამ რა პოეზიაა შესაძლებელი ამ ერთფეროვან, ერთგვარ და ერთნაირ მინდვრებზე? აქ გენიოსი — პოეტიც ვერ მოძებნის პოეტურ სურათს, ფერს, შედარებას, გრძნობას, სიტყვას. რა გააფხიზლებს მის გრძნობიერებას? მინდვრის ნიავი? — აქ ნიავი მუდამ მტვერიანი ქარია. ბუნების ცხოვრება? — აქ ბუნება მიჩრუებული და მიძინებულია: მცენარე — ერთნაირი ბალახია, ხე არსადაა, ტყეს ვინღა დაეძებს, ცხოველებს — მარტო ზანტი ხარი და ძროხა შეადგენს. კაცი ნიადაგ თავის სოროშია, ფეჩზე, ქულაჯაში გამოხვეული. გარშემო, მთისა და მდინარეების, ყვავილისა და ტყის მაგიერ, სჩანს — ზაფხულში მტვერი, ზამთარში — თოვლი და გაზაფხულ-შემოდგომაზე კი — ტალახი, ტალახი და მარტო ტალახი. ერთი სოფლიდამ მეორემდი ისე გაივლის კაცი ოცდაათ-ორმოცს ვერსს, რომ ერთი სადგომი, ერთი ხე, ერთი წყარო არ შეხვდეს, და ვაი ძისი ბრალი თუ გზაზე იმ საგანგებოთ დაყრილ მიწის გორებს ასცილდა, რომელნიც გზის მაჩვენებლათ გაუკეთებიათ: მაშინ იმას გზა და კვალი ისე ებნევა, რომ აღარც კი იცის — აღმოსავლეთი საით არის და დასავლეთი საით. არც თვალს, არც ყურს, არც გრძნობას, არც ტვინს აქ არაფერი არ

აღვიძებს, არ აფიქრებს, და კაცს ერთი თავიდამ მეორემდი ისე შეუძლია რუსეთის გავლა, რომ ქალაქების მეტი ამას სანახი არა დახვდეს რა; მინდვრისა და ნაცრის ფერი ცის მეტი.

ვინც ამ მინდვრებს დააკვირდება, ვინც იმათ ხასიათს გაიცნობს, მარტო იმისთვის გასაგები ხდება მთელი რუსეთის წარსული ისტორია და მომავალი ბედი. ამ ქვეყანას ხვედრათ რგებია მოტიტვლებული მინდორი და სიცივე. ყველაფერი, რაც სხვა უფრო ბედნიერ მხარეს უშრომოთ, ან ნაკლები შრომით მოსდის, აქ განუზომელ მეცადინეობას, შრომას, ცოდნას და ხარჯს თხოულობს. ამ შრომისთვის ხალხს საკმაო დრო არა აქვს სიცივის გამო, ამ მეცადინეობას ის ვერ ასერხებს — უმეცრების წყალობით და ვერც ამ ხარჯს სწევს — სიღარიბის გამოისობით. ხალხების ოჯახში ის დაჩაგრული და დავიწყებული ძმაა, და მისი გული, მისი ხასიათი და თვისება სწორეთ ბევრი მხრით დაჩაგრული და გულმოკლული ძმისას ჩამოგავს. ის გულკეთილია სანამ მარტო თავის ოთახში, თავის კუნჭულში ზის და თითებს სუნთქვით ითფობს. შინ, იმავე კუნჭულში, ის ცოტათი კმაყოფილდება და ამ ცოტასაც გულკეთილად გაუზიარებს ყველას, ვინც ეწვევა და შემწეობას სთხოვს. როგორც ყოველს დაჩაგრულს, იმას დიდი სურვილი და თავმოყვარეობა როდი აქვს, და მისი დროების უმეტესი ნაწილი ძილში და წელმოწყვეტილ ღიღინში გადის. მაგრამ როცა ის თავის კუნჭულს სტოვებს და თავის დანარჩენ ძმებს უმჯობეს მდგომარეობაში ხედავს, როცა ის გრძნობს, რომ ამათ უკეთესი ხვედრი, უტკბოესი ცხოვრება და ადვილი შრომა რგებიათ, მაშინ მისი გრძნობა მწარდება, ან ცოტათი მაინც მეავდება. ის გაოცებით აკვირდება ამ სხვის ბედს, სხვის შეძლებას და ნეტარებას, სხვის სიმდიდრეს, და თანდათან მის გულში ჯერ სხვისი პატივისცემა და თავის თავის დამდაბლება იძვრება, მერმე — ფიქრი: მე რათა ვარ დაჩაგრულიო და ბოლოს — სიხარბე თუ არა, ამ ბედნიერების შეძენის სურვილი ხომ მაინც... და ამ გრძნობის ძალით ის უფრო და უფრო ხშირათ სტოვებს თავის კუნჭულს, უფრო და უფრო ხშირათ ცდილობს იმგზავროს, სხვებს ეწვიოს, სხვებისას ხანგრძლივათ დარჩეს... მაშინ იმ შინაურ კუნჭულში უძლურის და ქალების მეტი თითქმის აღარავინ რჩება, — ახალგაზრდობა, ვაჟკაცობა სულ ერთიანათ კიდეებზე, სხვებისკენ მიილტვის და მეზობლებისას რჩება...

ამ გვარი ხასიათი ჰქონდა ძველებურ რუსეთის ცხოვრებას და ისტორიას [26]. რა ხასიათი მიეცემა მის მომავალს, ამისი თქმა, რასაკვირველია, ძნელია. მაგრამ უეჭველი კი არის, რომ ეს უმთავრესი

თვისება — გაშლილათ განს გაწევისა — ცოტათი არ იყოს მაინც დარჩება შემდეგშიაც და იმას თანდათან მარტო ის მეორე ძალა დაკავებს, რომელიც ცოდნის და შრომის გავრცელებას თანმოსდევს: ადრე თუ გვიან რუსი მიხვდება, რომ ამ თვალუწვდენელ მინდვრებშიაც დიდი სიმდიდრეა დამალული იმისათვის, ვინც მათ შემუშავებას და გამოყენებას მოახერხებს. ის ხელს ახლებს მაშინ თავის სამშობლო მინდვრებს, შეამუშავებს იმათ, გაავლებს ზედ გზებსა და წყლებს, მოიწევს სარჩოს, უკეთ გაიწყობს თავის ცხოვრებას, და მაშინ, როცა იმას შინ ბედნიერება ექნება, უფრო იშვიათათ მოინდომებს შინაურობის მიტოვებას და ბედის ცდას ცხრამთას გადაღმა...

როგორც აი ამ მინდვრებზე შეუნიშნავთ ჰიგოგიალობს ჩვენი ვაგონი, და ჩვენ კი გვგონია, როცა არე-მარეს თვალს — ვავლებთ, ვითომ ფეხი არც კი მოგვეცვალოს და ისევ ერთ ალაგზე ვიდგეთ, მაშინ, როდესაც ასი და ათასი ვერსი გამოგვივლია, სწორეთ ისე შეუნიშნავთ სწარმოებს და წინ იწევა რუსეთის ცხოვრებაც. ვინც რუსეთს შორიდამ დასცქერის, ვინც იმას მარტო „ერთ თვალის გადავლების“ მეტს არ აღირსებს, იმას ადვილათ ჰგონია, ვითომ ეს ხალხი ერთ და იმავე გონებით და ზნეობით მდგომარეობაში უმოძრაოთ ხავსიანდება. მაგრამ გონიერი და გამოცდილი დამკვირვებელი კი მალე შეატყობს, რომ იმასაც კი ძალი გზა გაუვლია ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. მე რუსეთი გადამიჭრია ერთი კიდიდამ მეორემდი ოთხჯერ თუ ხუთჯერ, ხან სამხრეთიდამ ჩრდილოეთამდე და ხან დასავლეთიდამ აღმოსავლეთამდე. მინახავს ეს ქვეყანა გლეხების „გათავისუფლებამდი“, გათავისუფლების დროს და მის შემდეგაც, და შემიძლია გარდაწყვეტით ვთქვა, რომ ეს ხალხიც წარმატებაშია, ისიც წინ იწევა. უმჯობესდება, ცოტ-ცოტა, ნელ-ნელა, შეუმჩნევლათ, მაგრამ მაინც უმჯობესდება. ვინ, ან სად მოძებნის ეხლა კაცი უწინდელს „ყურმოჭრილობას“, სიმდაბლეს... დღეს იშვიათი სანახავი როდია მოგზაური გლეხი, აღებ-მიცემაში გართული, ერობაზე მსჯელი, სკოლებზე მზრუნველი და უფროსებზე თავისუფლათ მოლაპარაკე. მართალია, დღესაც ათასობით და ათიათასობით შეხვდება კაცს რუსეთის გლეხკაცობა, მძიმე და უმადური შრომის ტვირთქვეშ ოთხათმოკეცილი, ოთხში ამოღებული, დაქანცული, ილაჯ-გაწყვეტილი, მაგრამ ვინც ამგვარივე მდგომარეობაში მყოფ უწინდელ გლეხ-კაცობას გაიხსენებს, ის ადვილათ დაგვეთანხმება, რომ ამ ერთსა და იმავე მდგომარეობაშიაც ცოტაოდენი წარმატება სჩანს. ეკონომიური მხრით თუ არა, ზნეობითი მხრით მაინც. და თუმც რუსეთელი გლეხი მატერიალურათ და ფიზიკურათ წელში

ჯერ კიდევ ვერ გამართულა, ზნეობით იმას ცოტათი ხერხიმელის სისწორე მისცემია, და ვინ არ იცის, რომ სულ არარაობას ცალ-უღელი ხარ-კამბეჩი სჯობია?

ჩვენი ვაგონი ფართო... იყო. შიგ ბევრი მგზავრი არავინ ყოფილა. ერთი მსხვილი და სქელ-წვერა ებრაელი, ერთი ჭლექიანი „შტაცკი“, ერთი აყუდებული აფიცერი, ორი „პამეშჩიცა“ და მე შევადგენდით მთელი ვაგონის კამპანიას. პირველი მოლაპარაკე, რასაკვირველია, პამეშჩიცები გამოვიდენ. იმათ აუარებელი რიცხვი ბალიშებისა და მუთაქებისა, საბნებისა და ბოხჩებისა მოჰქონდათ, და მთელი ერთი კუთხე ვაგონისა ამ საჭირო საგნებით აავსეს. მთელი ორი საათის განმავლობაში იქაქანეს ამ ორმა ქალბატონმა, თუ სად რომელი ბალიშის ჩაკვეტება სჯობია, ან სად რომელი ბოხჩა უნდა შეინახოს. ამ ქაქანს იმათ იმდენი ახირებული სიტყვა და საყვედური, მოგონება და მოაზრება გამოაბეს კუდში, რომ პირველი სტანცია ჯერ არ მიგვეტოვებია, როცა მე დაწვრილებით გაცნობილი მქონდა მთელი მათი ცხოვრება, მათი ნათესავები, შინაურების ჩვეულება, ვიცოდი სად მიდიან, საიდამ, ოდესაში რისთვის იყვნენ, ვინ ნახეს, რა საქმისთვის, და შინ რა უნდა გაეკეთებიათ. ვიცოდი, ამას გარდა, მათ ქმრებს რამდენი საყვარელი ჰყავდათ, თვითონ მათ ვინა და ვინ ეტრფოდა (რასაკვირველია, უნაყოფოთ), ვის რა ეთქვა, ვის რა პასუხი მიეღო და სხვ. შევიტყვე, აგრეთვე, ერთი ბიძაშვილი რამდენის თვის ორსული იყო, და დაიჯერებს თუ არა მისი ახალგაზრდა ქმარი რომ ამ ორსულობის მიზეზი ისაა და არა სხვა ვინმე. შევიტყვე მეორეს დისწულს კბილები როდის ამოეკრა, და ქმარს რა წამალი დაუწერეს ყურის ტკივილის მოსარჩენათ. გავიცან, ამას გარდა, კიტრების დამარილების უმჯობესი საშუალება და ვარდის მურაბის უკეთესი დამზადება. შევიტყვე, ბოლოს, თუ ამ ქვეყნებში მოსამსახურეები რა დაუნდობელი ხასიათის ყოფილან, განსაკუთრებით გოგოები; შევიტყვე, რომ ისინი ქმრებს ცოლის თავს ხშირათ აბეზღებენ და უფრო ხშირათ ავიწყებენ; შევიტყვე, რომ ისინი თავიანთი ქალბატონების იუპკებს, ფეხსაცმელს, ქმრებს და საყვარლებს ითვისებენ და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, ამ ერთი-ორი საათის განმავლობაში, ამ ბალიშების წყობაში და ბოხჩების დაგებაში, გავიცან მე იქაური ოჯახების შინაგანი ცხოვრება უკეთ, ვინემ სხვა შემთხვევაში ორი წლის დაკვირვებითაც ვერ გავიცნობდი.

ამასობაში ებრაელმა და „ტაცკმა ძლიერ შესანიშნავი მუსაიფი გამართეს შაქრის ქარხნებზე სამხრეთ რუსეთში. ებრაელს ორი ქარხანა ჰქონდა: ერთი გაკეთებული ექირავებია, ვიღაც გაკოტრებული მებატონისაგან, და მეორე თვითონ გაემართა მეორე მეპატრონიდამ

ნაქირავებ მიწაზე. ის მადლიანათ დასცინოდა სხვა და სხვა შაქრის მექარხნეებს, რომელნიც უზოგველათ ხარჯვენ თავიანთ ტყეებს და ათი-თუთხმეტი წლის შემდეგ რიყეზე რჩებიან, რადგანც შეშა აღარსით აქვთ და შაქრის გამოხდა უშეშოთ არ მოხერხდება. მე ჩემი საქმე სულ სხვაფრივ წავიყვანეო, სთქვა ებრაელმა: რადგანც აქ ტყის გაზდას თუთხმეტი და ოცი წელიწადი სჭირია, მე ჩემი ნაქირავები და ნაყიდი ტყეები ოცდა ოთხ ნაწილათ დავყავი. და თითო წელიწადში ერთი ნაწილის მეტს არ შევეხებიო. სანამ მეოცე წელიწადი დადგება და მეოცე ნაწილს ჭრას დაუწყებ, პირველ ნაწილზე ჩინებული ტყე ხელახლავ ამოვა და ოცდა მეხუთე წელიწადში იმას მოვჭრიო. ამ ნაირათ ჩემ ქარხნებს ნიადაგ ტყე და შეშა ექნებათ და მე ისევ ბრიყვათ ყინვაზე არ გავცურდები, როგორც ბევრს სხვას დაემართაო. მართალია ეს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ჭკუაზე ახლო კი არის, და ღმერთმა ჰქნას, რომ ბევრს ჩვენს ტყეების პატრონებს ამ ებრაელის გონიერება დაჰყოლოდეს...

მე მინდოდა შემეტყო, სად ესწავლა ამ ებრაელს ტეხნოლოგია და ქარხნების ეკონომია, და ამის გამოსაკვლევათ ვკითხე, რა სისტემით ხდით შაქარს მეთქი.

— ეგ მე არ ვიცი, მიპასუხა. მე ერთი უსწავლელი კაცი ვარ, ვაჭრობაში გართული და ვაჭრობით გაკეთებული. აქ ჩვენში კიევის ახლო გრაფმა ბ.... რომ ქარხანა გამართა ,იმას ბევრი მმართველი და ტეხნიკები ჰყავდა. იმ ქარხანის ჩემთან ბევრი საქმე ჰქონდა, აღებმიცემის შესახებ, და მე სამი წლის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ყველა იმ ტეხნიკებში მარტო ერთი ახალგაზრდა რუსი ვარგოდა რათმე. იმან ფეხზე წამოაყენა ეს ქარხანა, შიგ წესიერება დააარსა. საქმე მოაბრუნა და მოგება აჩვენა პატრონს, რომელსაც თუთხმეტი წლის განმავლობაში მოგების სუნიც არ მიჰკარებია. როცა ჩემი გაკოტრებული მებატონის ქარხანა იყიდებოდა, მე ავდექი და იმ რუსს დავარონიე ეს ქარხანა, კარგა ლამაზათ გავასინჯე და უთხარი, რომ ვიყიდო, რა ფასათ დამიდგები ტეხნიკათ და რა მოგებას ვნახავ მეთქი. იმან ორასი თუმანი მთხოვა, და მითხრა კარგ მოგებას ნახავო. კარგი-თქო, უთხარი, ორას თუმანს კი არ მოგცემ, ჩემს ხარჯზე გაცხოვრებ და ას თუმანს დაგინიშნავ ჯამაგირს, რომ შენი შრომა ტყუილათ არ დაიკარგოს მეთქი, და რასაც მომაგებინებ, იმის ათის თავი ღმერთმა შენ მოგახმაროს მეთქი. გაუხარდა საწყალს, ეგონა ვაი თუ მატყუებსო, დავწერეთ პირობა, და გაქვს სიცოცხლე ეხლა ჩემი საქმე კარგათ მიდიოდეს! ისეთი პატიოსანი ბიჭია, ისეთი მუყაითი და მტკიცე ხასიათის, რომ ღმერთმა იმისთანა ყოველ ჩემ კეთილს მისცეს. მუშები ისე უჯერებენ, თითქო მამა იყოს მათი. მუშებსაც ბევ-

რი ხეირი აჩვენა, სადგურები გაუშენა (ჩემი ხარჯით, მაგრამ ამან მე თვითონ მარგო), ქირა მოუმატა, სკოლა გაუმართა. ერთი სიტყვით, ჩემს ქარხანაში ისეთი განწყობილებაა, რომ კაცს ეგონება ოჯახია ეს, და არა ქარხანაო. მე შიგ წელიწადში ორჯერ-სამჯერ თუ მივალ, თორემ არც კი ვეკარები: დრო რათ დავკარგო, როცა ვიცი, რომ უჩემოთაც საქმე კარგათ მიდის? ის არ სჯობია, სხვაგან სხვა საქმე ავიჩინო კიდევ, რადგანც აქ მე თავისუფალი დრო მრჩება?

ვიმეორებ, ამ ებრაელის სინიდისზე მიმიგდია ამ ნაამბობის სინამდვილე და სიმართლეზე, მე მისი სიტყვები მომყავს, და ამ საგნზე გამოძიების დანიშვნის მე მაშინ არც დრო მქონია, არც სურვილი.

„შტაცკი" ხარკოვს მიდიოდა და ხარკოველი ადვოკატი ყოფილიყო როგორც ადვოკატს შეეფერება, იმას სწორეთ ადვოკატური გამოხედულება ჰქონდა: დაუდგრომელი, თაქთაქა თვალება, მოსქო, განიერათ გაჭრილი ტუჩი, მოძრავი ნესტოები და ის განსაკუთრებული ადვოკატური „აშარა" შეხედვა, რომელიც ზოგიერთ გამოსულ ქალებს და გამოჩენილ ადვოკატებს ნიადაგ აჩნია. საკვირველი მსგავსება ყოფილა თურმე იმ კვალებისა, რომელთაც სტოვებს საკუთარი სხეულით და საკუთრივე გონებით ვაჭრობა — თუმც სხეულსა და გონებას შუა დიდი განსხვავება უნდა ყოფილიყოს. რაკი ქალი ფრანციული ანდაზის არ იყოს, „წისქვილს თავის თავსაფარს გადაავლებს" და თავის სხეულს საყოველთაო საყიდ საგნად გახდის, ან რაკი კაცი თავისი გრძნობით, გონებით და ენით ვაჭრობას იწყებს, და ქირის გულისთვის დღეს შავს თეთრათ გამოიყვანს, ხვალ თეთრს — შავათ, ორივეს ერთნაირი აშარა დიაცის შეუპოვრობა დაეტყობათ, ორივეს ფეხებზე ჰკიდიათ, ვითომ, ქვეყნის აზრი და პატივისცემა.

მე ხშირათ გაუკვირვებივარ ამ თვისებას, რომელიც შემინიშნავს თითქმის ყველა ადვოკატებზე (ორიოდ-სამს გარდა) და თითქმის ყველა აშარა ქალებზე, და ხშირათ დავფიქრებულვარ იმ კითხვის გამოკვლევაზე, თუ საიდამ სწარმოებს ეს თვისება და მსგავსება. ახსნან, როგორც უნდათ, ეს საგანი გრაციოლემ და დარვინმა, ისინი ამაებში ჩემზე უფრო ბეჯითი მსაჯულები არიან, მაგრამ მე მაინც ვერ მოვითმენ, და ჩემს ფანტაზიურ შეხედულებას მაინც აქვე ჩავწერ.

მე მგონია, რომ ეს მსგავსება პირი სახის გამოხედულობისა ადვოკატებში და დიაცებში, რომელიც მარტო ჩვენში კი არა, საფრანგეთში და რუსეთში, ინგლისში და შვეიცარიაშიც ერთნაირათ შემინიშნავს, იქიდამ სწარმოებს, რომ როგორც ადვოკატები ისე ეს ქალებიც თავდაპირველათ დიდხანს იმ აზრზე იდგნენ და ის რწმუნება

ჰქონდათ, რომ კაცი თავისი გრძნობით, რწმუნებით, სხეულით და ენით არ უნდა ვაჭრობდეს და ამ ძვირფას საგნებს სხვის ნებაზე, სარგებლობის გულისთვის ქირით თუ ფასათ, არ უნდა ხმარობდეს. ორივეს სიყრმიდამვე ის აზრი ჰქონიათ თავში, რომ ვიცხოვრებთ პატიოსნათ, ნამუსიანათ, ჩვენი ტოლების და საზოგადოების პატივით დაცულნიო. მაგრამ შემდეგში, ცხოვრების ტალღას იმათზე ის გავლენა ჰქონია, რომ ფულის ფასი უჩვენებია, სიღარიბის სიმძიმე დაუმჩნევია, და უიმედობაში იმათ ყველაფერი დაუვიწყნიათ, ყველაფერზე ხელი დაურეკნიათ, და გამოდგომიან ამ „მუხდალი ფულის" ძიებას, რომელსაც მართლაც ადვილათ იგებენ. დაუმსახურებელი მოგება, ერთის მხრით, იმათ ამპარტავნებს და, მეორეს მხრით, ძველი პატიოსნების მოგონება აბრაზებს. და რადგანც იმათ არ სურთ, რომ სხვამ ვინმემ შეამჩნიოს ის გულის წვა, ის შინაგანი უკმაყოფილება, რომლითაც ისინი ხანდისხან იტანჯებიან, ისინი შეუპოვარ გამოხედულობას აბეჭდენ თავიანთ პირის სახეს, აქაო და არაფერი გვაწუხებსო, ჩვენი სინიდისი მოსვენებულიაო, ჩვენ ბედნიერი ვართო და სხვ. და სხვ. და რამდენიმე თვის შემდეგ, ის გამოხედულება, რომელსაც ისინი განგებ თავიანთ პირისსახეს აძლევდნენ, მართლა მტკიცეთ ებეჭდება ამ პირსახეს, ისე, რომ კიდეც რომ მოინდომონ, ისინი იმას ვეღარ მოიცილებენ... აი, ჩემი აზრით, ის მიზეზი, რომელიც ერთ და იმავე ბეჭედს და შეხედულობას აკრავს ამ ორი კატეგორიის პირებს, ჩვენშიც და სხვაგანაც.

ხარკოველი ადვოკატი მადიანათ ლაპარაკობდა და ულაპარაკოთ ვერც კი სძლებდა. მისი ლაპარაკი რაღაც ნიადაგი თავის ქება და ჭორიკანაობა იყო, და სანამ ის მე რაღაც ხარკოველ ამბებს მეუბნებოდა, მე მის ცქერას უნდებოდი. რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა ის, მით უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ სუფთა და გაუსვრელი იმასში გასპეტაკებული პერანგის მეტი არა იყო რა. სულ არარაობას ესეც სჯობია ხომ, მკითხველო? მისი ლაპარაკისთვის კი მე ყური არ მიგდია და მაშასადამე იმას მე არ ჩავსწერ: მე კარგათ ვიცნობ ადვოკატების სიცრუეს და ტყუილის სიადვილეს, და, ამის გამო, იმათ სიტყვას იშვიათათ ვათხოვებ ჩემს და სხვის ყურადღებას.

აფიცერი რაღაც აყლაყუდა იყო. ის თავის ადგილას დაჯდა თუ არა, ამოიღო თავის სამგზავრო რომის ფლიაქკა, ორი ჭიქა ზედიზედ ჩაცეცხლა, ტუჩები ტკბილათ დააწყლაპუნა, ულვაშები ტუჩებს შუა მოიგდო და გამოსწოვა — 'ბიგ რომი არ ჩარჩესო, — და მაშინვე ჯერ ფლიაქკას თავი მოუკრა და ჩემოდანში ადგილი უპოვა, და მერმე ჩვენ გვკითხა: не прикажете ли-о. ყველამ, რასაკვირვე-

ლია. უარი უთხრა. მაშინ იმან სინიდისის დასამშვიდებლათ დაუმატ:: напрасно, прекрасная вещица-съ-ო და მიუბრუნდა რაღაც იმგვარ თამბაქოს, რომელსაც გოტენტოტები[27] სპილოების გასაბრუებლათ სმარობენ, როცა სპილოს ორმოში ჩაიტყუებენ და მისი შეკოჭვა გაუძნელდებათ. დავფელეთ კარები, ფანჯრები, ბუხრები, ავკანკალდით სიცივით, მაგრამ შველა მაინც არსათ იყო. გაჭირდა საქმეო, რომ იტყვიან, სწორეთ ის დაგვემართა. „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მი... იგონებსა", ვიფიქრე და ამოვიღე ჩემი ქუთათელი პაპიროსები, ოდესელი სიგარები, ფოთელი თუთუნი, და უთავაზე აფიცერს, უთხარი შინჯე, როგორია Кавказский табакъ-ი მეთქი. შინჯა პაპიროსი და გადაწყვიტა — საქალებოაო. შინჯა თუთუნი და მიაგდო — იმნაირივეაო. სიგარებზე კი ვერაფერი თქვა, ამიტომ რომ სიგარა კოლოფით მივართვი და ზედ ებეჭდა „სამზღვარს გარეთულიაო" და ფასიც მოსარიდებელი ესვა. მისდგა ის მაშინ ამ სიგარებს, და — დაელოცა მადა! — ერთი დღის განმავლობაში კოლოფი გაანახევრა. მაგრამ კოლოფს ჯანი გავარდეს: ჩვენ დარჩობას ხომ გადაურჩით, და სხვისი დარდი ვის ჰქონდა!

აფიცერმა მაშინვე გამომიცხადა, რომ კავკასიაში მიმსახურნიაო: ჩერქეზები მე დავიმორჩილეო. ის ძველი დროის აფიცერი იყო. თუმც მოხუცებული როდი ყოფილა. იმან ბევრი ჩვენებური და ჩვენში ნამსახური აფიცრების სახელები იცოდა — იმათთან მიმსახურნიაო. იმას როდი მოსწონდა ეხლანდელი წესები, ის დრო ენატრებოდა, როცა აფიცერი სალდათის ღმერთიც იყო და პატრონიც, როცა აფიცერს მისი გაროზგვაც შეეძლო, გალახვაც და გაუბედურებაც. როცა აფიცრიდამ на плечо-ს ღრიალის მეტს არაფერს თხოულობდენ, და ეხლანდელი გიმნასტიკა, ანაბანას სწავლება, თოფის სროლაა ზედამხედველობა, სამართლის დამორჩილება და სხვ. არაფრათ ეჭაშნიკებოდა. ეხლანდელ რეფორმაში იმას მარტო ჯამაგირის მომატება მოსწონდა, მაგრამ ეგზამენები კი ყელში თევზის ძვალსავით გაჩროდა. მეტის მეტი ჯიბრი ჩაჰყოლოდა იმას „ღენერალნი შტაბის" აფიცრებისა, რომელთაც, მისი აზრით, მომეტებულ მნიშვნელობას და დიდ ადგილებს აძლევენ, მაშინ როდესაც სამსახურის იმათ ბევრი არა იციანრაო და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, ყველაფერში ეტყობოდა, რომ ეს აფიცერი გვარიანი ხანია რაც ერთს და იმავე ჩინში ყოფილა ჩარჩენილი...

რაღა თქმა უნდა, რომ ამ კამპანიას კაცი დიდხანს ვერ გაუძლებდა. მეც მალე ჩემს საკუთარ ოცნებას მივეცი თავი, და როცა ამ ოცნებამ კარგა ლამაზათ დამღალა და დამქანცა, წავწექი ჩემ ადგილზე, ფანჯარაში ფეხები გავუყავი და ლაზათიანი ხვრინი ამოუშვი.

ოდესიდამ დაწყებული პეტერბურგამდი ოთხი დღე და ხუთი ღამე გვატარეს. ეს უშველებელი სივრცე ისე გავიარეთ, რომ ერთი ხანგრძლივი შთაბეჭდილება არ ღირსებია ჩვენს ტვინს და გონებას, ისეთი, რომ მისი მოხსენება რათმე ღირდეს. კიევი თავისი ლამაზი გორებით და დაუთვლელი ეკლესიებით, კურსკი ტულა და მოსკოვი გავიარეთ, თითქო უმნიშვნელო მინდორი გაგვევლოს. კიევში უნივერსიტეტი მინდოდა მენახა, იმ დროს იქ რაღაც საზოგადო ლექციებს კითხულობდენ, მაგრამ უნივერსიტეტის კარები დაკეტილი დაგვხვდა, — ეხლა დიდ-მარხვაა და თუმც ლექცია უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯერ ლოცვა უნდა გამოვიდეს და მერმე ლექცია დაიწყებაო. ს... ვეძებე, და მის მაგიერ ვიღაც კალმიკთან მიმიყვანეს, ეს ხომ არ არისო? გავაფურთხე და რკინის გზისკენ გავსწიე. მოსკოვში ორიოდე ნაცნობი კი ვნახე, თორემ უიმისოთ მოსკოვის ჰაერს მე ვერ ავიტანდი. იქ საღამომდი მოვიცადე. რკინის გზის წასვლამდი, და გავფრინდი პირდაპირ პეტერბურგისკენ.

VI

პეტერბურგის შთაბეჭდილება

...В стенах твоих
И есть и были в стары годы
Друзья народа и свободы,
А посреди могил немых
Найдутся громкия могилы...

იმერეთს რომ გამოვეთხოვე ხე-ტყე ერთიანათ აყვავებული და ამწვანებული იყო. კურსკიდამ დაწყებული კი მინდვრებს ისევ ორი ტკაველა თოვლი ედო. პეტერბურგში დავბინავდი თუ არა, მარხილში ჩავჯექ და გაყინულ ნევაზე მარხილით გადავიარე, ერთი მეგობრის სანახავათ. სცივოდა ისე სასტიკათ, რომ კბილები კანკალით მემტვრეოდენ. დიდი გაჭირვებით მოვძებნე, როგორც იქნა, ვისაც ვეძებდი, და მის პაწაწა ოთახში, რომელსაც ორპირი ფანჯარა და ორპირი კარები ჰქონდა, სითფოთი სული მოვიბრუნე და მდუღარე ჩაის სმით ყუათი მოვიგვარე.

საკვირველი გავლენა აქვს კაცის ხასიათზე სხეულის ერთიან დაჩაგვრას და „დასუსხვას". არაფერი არ ჰრყვნის ისე კაცის ბუნებას, როგორც იმ მდგომარეობაში ჩავარდნა, როცა კაცი თავის სულის ძალის სისუსტეს გრძნობს და როცა მისი სხეული და გარეშე შემთხვევები იმას აღარ ემონებიან. გარეშე ბუნება რომ კაცს თა-

ვის ძალას დაანახებს და კარგა დაუვიწყართ დააჯერებს, რომ შენ ბუზი, მტვერი ხარ ჩემთან შედარებითაო. კაცს მაშინ ის ნამდვილი ძალაც ეკარგება და ავიწყდება, რომელიც იმას ყოველთვის ჰქონდა და აქვს. და მაშინ ის უცფათ თავს ხრის, თავის სისუსტეზე რწმუნდება, თავის თავზე ყოველ გავლენას და ძალას ჰკარგავს და გარეშე შემთხვევების, სხვისი ნებისა და ძალის სათამაშო ხდება. ხანგრძლივ ავათმყოფობას, ნამეტან დაღალვას, სხვა და სხვა გვარ დაუძლურებას ხშირათ ეს გავლენა აქვს კაცის გონებაზე.

სიცივესაც ეს შედეგი ჰქონია თურმე. შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა, გამოუცდელათ, რა საკვირველი, ხან საამო და ხან საზიზღი, შთაბეჭდილება ეძლევა კაცის ტვინს და ნერვებს ნამეტანი სიცივის ძალით, როცა სხეული თან და თან შეშდება, როცა ჯერ თითები გეწვის, მერმე სახსრები, მერმე ხელფეხი და ბოლოს წვივები, მუხლი, წელი, როცა ფეხის გადასადგმელათ ხელებს ხმარობ და თოვლით დასუსხულ თითებით ცხვირსა და ყურებს იზელ და იგლეჯ, როცა ველარც კი არჩევ კარგათ ციე-ყინულზე გიდვია ფეხი, თუ გახურებულ შანთზე, ცივი წყალი გესხმის თავზე, თუ მდულარე: როცა არ იცი ასიათასი ნევსებით გჩხვლეტენ, — თუ ნელ ნელა გატყავებენ; როცა გრძნობ, რომ გადარჩენისათვის ხტუნვა და რბენაა საჭირო, და ამ ხტომისა და რბენის ძალას კი ვერსად ჰპოულობ. მაშინ სულის ღონე იმ რიგათ გეკარგება, რომ მთელი ქვეყნის დაქცევა, უმჯობესი მახლობლის დაკარგვა რომ შეგიცხადოს კაცმა — ვერაფერს იგრძნობ და გაიგებ. ეს კიდევ არაფერია. როცა მობრუნდები, გათბები, ყუათზე მოსვალ, გაივლის ორი-სამი კვირა, იქნება მთელი თვეებიც, და იმ გაჭირვების მოგონება ისე თავბრუს გახვევს, ისე გაშტერებს, თითქო ისევ იმავე მდგომარეობაში იყო. მაშინ იწყებს კაცი თავისი სხეულის შეყვარებას, მოვლას, განაზებას, და თუ ამისთანა შთაბეჭდილებები იმას მარტო ერთხელ არ უგრძვნია, ის თავის სხეულს და ტყავს თავისი ცხოვრების ღმერთათ იხდის და მასაქეთ მის მსახურების მეტი აღარაფერი ღვივის მის გულში.

ალბათ ამ ანალიზით აიხსნება რუსეთელი ახალგაზრდობის ხასიათი და მოქმედება. შესანიშნავია ის ერთნაირობა, რომელიც აბეჭდია თითქმის ყველა იმ ახალგაზდების საქციელს, რომელნიც მე რუსეთში გამიცვნია. ჩემ რუსეთელ ნაცნობებში ასობით ყოფილან ისეთები, რომელთაც მშვენიერი ნიჭი და სურვილი ჰქონიათ. რომელნიც ჩინებულ გზაზე მდგარან, პატიოსანი მიმართულების და მიზნის ალით სავსენი ყოფილან და აღტაცებით, ყმაწვილური ენერგიით და თავდაუზოგველობით შედგომიან თავიანთ შრომას. მათი პირველი ნაბიჯები, მათი მოქმედების დასაწყისი, მათი ალი და ჰირ-

დაპირი მიზნის სდევა მე ყოველთვის აღტაცებაში მომიყვანდა და იმედით მავსებდა. მაგრამ მოაწევდა ერთი თვალთმაქცური ბორჯი, — ამ ახალგაზდების ოცდა მეხუთე წელიწადი, და ყოველთვის, როცა ისინი ამ ასაკში დგებოდნენ, როცა იმათ წვერ-ულვაში დაუსქელდებოდათ, როცა ახალგაზდა დავაჟკაცდებოდა, როცა მეგონა — აი ეხლა დაიწყება ნამდვილი შრომა და საქმე, აქნამდი ხომ ყველაფერი მარტო მზადება იყო მეთქი — ეს ჩემი ახალგაზდები ჩაიკეცებოდენ, მოტრიალდებოდენ, გაივლ-გამოივლიდენ და ხელში მუდამ ახალი, უცნობი გვამი მრჩებოდა, რომელსაც არც უწინდელი აღტაცების კვალი აჩნდა, არც შრომის სურვილი, არც თავგამომეტება, არც ერთი და არც მეორე... შეუდგებოდენ მაშინ ისინი თავიანთ პირად ცხოვრებას და სარგებლობას, თხოულობდენ ცოლს, ადგილს. შეძლებას, მოსვენებას და ხდებოდენ იმნაირივე უხეირო და უსარგებლო, ან მავნებელ პირებათ, როგორიც უწინდელი თაობა იყო, რომელსაც ისინი ისე სასტიკათ ებრძოდენ და შეურაცხოფდენ, სანამ ოცდა ხუთის წლის შეიქმნებოდენ... და სწორეთ აი ამ ერთნაირი წესით და რიგით მოქმედებდენ, ემზადებოდენ, ყაყანებდენ...

უეჭველია, რომ ბუნების სასტიკი, მჩაგვრელი ძალა მოქმედებდა მათ ტვინზე და ხასიათზე... სადაც მზე ნიადაგ დამალულია, სადაც სითბო იშვიათ სტუმრათ ეწვევა კაცს, სადაც კაცის ცხოვრება ოთხ კედელს შუა გაგუდულ ჰაერში ილევა, სადაც თავის შენახვას ნიადაგი ზრუნვა და გაფრთხილება სჭირია, იქ, რასაკვირველია, კაცი სუსტდება და მისი ხასიათი იჩლუნგება, მისი სულის ძალა იკარგება, და მთელი მისი დრო და გონება სხეულის მოვლაში იხარჯება. ამ გვარ მდგომარეობაში მომეტებული მნიშვნელობა და ფასი ეძლევა ყველაფერს, რაც კი კაცის სხეულის მოვლას და ნარნარათ შენახვას აადვილებს. ფულს, შემოსავლიან ადგილს, დაპირებას, ამაღლების იმედს აქ ყოველთვის უფრო მეტი ძალა და გავლენა აქვს, ვინემ იმ ქვეყნებში, სადაც კაცს ჩიტსავით უდარდელათ ცხოვრება შეუძლია... და ამის გამო აქ უფრო ადვილია კაცის გონების დამორჩილება, მისი სამსახურის და მორჩილების მოპოვება, ამიტომ რომ ამ კერძოობით გაჭირვებებში და ბუნების ძალით ჩაგვრაში განსაკუთრებით ძლიერდება კაცში ის გრძნობა, რომ ყველამ თავ-თავისი ტყავი გადირჩინოს, თავის თავს უშველოს და თავის მომავალზე თვითონ იზრუნოსო...

ეს გუშინდელი ამბავი კი არ არის, — ამ გვარათ გამოწყობილა და გამართულა აქაური ცხოვრება იქნება მთელი საუკუნეების განმავლობაში. თითოეული კაცი თავის ოთახში, თავის გამთბობელ

ბუხარს მიწებებია, და გარეშე სიცივეს, გარეშე ქვეყნიერებას ათასნაირი საკილტულით და ორპირი კარ-ფანჯრებით მოშორებია. ამ კერძო ოთახებში, საიდამაც კაცი წელიწადში მარტო ორი-სამი თვის განმავლობაში გამოდის, ცალ-ცალკე აზდილან მთელი ოჯახები, თაობები და საზოგადოებები. და მგონია, რომ ამნაირ გაცალ-ცალკავებულ აღზრდას მეორე სამწუხარო ბეჭედიც დაუსვამს აქაურ ხასიათზე.

აიღეთ იტალიელი, ესპანელი, ფრანგი, თუნდ თათარი და შვეიცარიელი, და დააკვირდით მის საქციელს, როცა ის თავისას, ან უცხოეთში, თავის თანამემამულეებს შეხვდება. თქვენ მაშინვე დაინახავთ, რომ იმათ შუა რაღაც უცნაური ერთობის კავშირი და ჯაჭვი არსებობს, ისეთი, რომელიც იმათ აახლოვებს და საერთო მოქმედებას და საქციელს აძლევს. სულ სხვანაირია აქაური ხასიათი. აქ ყველა ცალ-ცალკე, გან-განზე იცქირება. რაგინდ საჭირო საერთო საქმე ჰქონდეს რამდენიმე კაცს, შეუძლებელია, რომ იმათ შუა რამე წვრილმან, უმნიშვნელო უთანხმოებას და განხეთქილებას ადგილი არ მიეცეს, და ეს წვრილმანი უთანხმოება ისეთი ძალით ჩაჯდება იმათ ტვინში, რომ საერთო საქმის სიკეთესაც ავიწყებს და მის სარგებლობას და აუცილებელ საჭიროებასაც. ცალ-ცალკე ოთახებში გამოზდილ თვალს პაწაწა საგანი დიდათ ეჩვენება. იმას საკმაო და მრავალ-საგნიანი გორიზონტი არ ჰქონია, რომ სიყრმიდამვე შეჩვეულიყო დიდისა და პატარის განსხვავებას და შუათანების სიდიდის გაზომვას. იმას იმოდნათ დამოკლებია მხედველობა, რომ მარტო ახლობელი, ოთახში მყოფი საგნების დანახვა და დაფასება შეუძლია, და ყველაფერი დანარჩენი იმას თავისათ, საჭიროთ, საზრუნველოთ როდი მიაჩნია.

საზოგადო ცხოვრებაში გაჩვეული ხალხი ადვილათ აიტანს ხუმრობას, წინააღმდეგობას, დაცინვას და უთანხმოებას. ის ნაჩვევია სხვების პატივისცემას, ამიტომ რომ სხვებისგანაც პატივისცემას აფასებს, სხვებში პიროვნებას სცნობს, იცის, რომ ყველა ერთ კალაპოტზე ჩამოსხმული როდია, ყველას ერთი და იგივე ხასიათი არა აქვს და ერთი და იგივე შთაბეჭდილება არ მიუღია ერთი და იმავე ოთახის ოთხ კედელს შუა. აქ კი სულ სხვაა. აქ ვინც ჩემსავით არ ფიქრობს —ის პადლეცია. ვინც მე არ მეთანხმება — ის ჩემს შეურაცხყოფას ეძებს. ვინც იცინის — ის დამცინის და ვინც დამცინის — ის ჩემი მტერია. საერთო შრომა რომ იყოს რამე, იმას ისეთი უხეურო, მიკროსკოპიული დაბრკოლება დაანგრევს ხოლმე, რომ კაცი გაშტერებით იკარგება — ამ ერთმა ნამცეცა უთანხმოებამ, ამ ქინძისთავის ჩხვლეტამ ამსიდიდე ვნება როგორ მოიტა-

ნაო! ყველას ისეთი ავათმყოფი თავმოყვარეობის კანი აქვს. ისეთი გაბუჟბუჟებული ტვინის ძაფები, როგორიც „კოლტუნით" ავათმყოფ კაცს, რომელსაც თმისა და თავის კანის სიბინძურე იმნაირ ანთებას დამართებს თმის ძირებში და კანში, რომ ერთ მის ბალანს ვერ შეეხება კაცი უიმისოთ, რომ ავათმყოფმა გიჟური კივილი არ გააბას, ვაიმე მატყავებენო. ალბათ, ამ ნაირი „კოლტუნი" მარტო თმის ძირებს და ტყავს კი არა, ტვინსაც და ხასიათსაც სჩვევია, თუ ესენი ბინძურათ მიაგდო კაცმა და სუფთათ, ხეირიანათ არ შეინახა...

* * *

პეტერბურგის ქუჩებზე გასეირნება, მათზე მოსეირნე ხალხის დანახვა და დაკვირვება პეტერბურგის თეატრებში და საზოგადო გასართობ ადგილებში სიარული კიდევ ერთ საოცარ შთაბეჭდილებას ბადებს კაცის გონებაში. აქ თქვენ არც ერთი მადლიანათ მხიარული, ბედნიერი, იმედიანი პირისახე არ შეგხვდებათ, არც კაცისა და არც ქალის. სხვა ქალაქების ქუჩებზე, ტრიესტში, მაგალითად, ვენეციაში ან პარიჟში რომ კაცს ჯგუფ-ჯგუფათ მომცინარი, ქეიფიანი და ცოცხალ-ცოცხალი პირისახეები შეეყრება, იმისთანეებს აქ სიზმარშიაც ვერ დაინახავ. აქ ყველას რაღაც გაბუტული, ცხვირჩამოშვებული, გაშტერებული და ვითომ-კმაყოფილი გამოხედულება აქვს, ყველას რაღაცა გაფშიკების დაღი ასვია, ყველას სიცოცხლე და სიცხოველეც აკლია და ბუნებითი უბრალოებაც. ამ პირისსახეებს არა თუ მარტო მძოვრის სუნი უდისთს, იმ მძოვრის მსგავსებაც აქვთ, რომელსაც სასიკვდილო ბრძოლის და ტასჯვის დაუყანვი არ დაჰკარგვია. და ესევე ბეჭედი, ესევე შეხედულება მარტო კაცებს კი არა, ქალებს და თვით ბავშვებსაც დაჰყოლია...

ყველაზე უფრო გასაკვირველი ისაა (თუმც ეს ჩვენ როდი უნდა გვიკვირდეს, რადგანც გულისა და სულის ავათმყოფობაც გადამდებია), რომ პეტერბურგში სტუმრათ მოსულ კაცს, რომელსაც იტალიაში უდარდელათ მხიარული პირისახე ჰქონდა, პარიჟში — აღტაცებული გამოხედულება, ლონდონში — საქმიანი ზრუნვა ეტყობოდა და ბერლინში — მოგონილი თვითკმაყოფილება, უაზრო და თან დაძმარებული გამოხედულება ედება პირისსახეზე, რაკი ის პეტერბურგში ფეხს შემოადგამს და მის ცხოვრებაში გაერევა.

ეს თვისება გულს უწუხებს კაცს. იმას ორიოდე კვირაც რომ არ გაუტარებია პეტერბურგში, ისე ბეზრდება აქაური ცხოვრება და ისე ეჩლუნგება შთაბეჭდილების გრძნობიერება, რომ გაქცევა ენატრება, თითქო დამწყვდეული და ძალით ჩაბმული იყოს. ყოველი პირისახე, რომელიც იმას გზაზე ან თეატრში შეხვდება, იმას

ათასჯერ ნანახი და დიდიხნის თაემომბეზრებელი ძველი ნაცნობი ჰგონია. ისე ერთ კალაპოტზეა ჩამოსხმული ყველას პირისახე. ერთი შეხედვა ყოფნის კაცს, რომ თითქმის შეუცდომლათ შეატყოს ვინ რომელ საზოგადოებას, წოდებას, სამსახურის ადგილს ეკუთვნის, ვის რამდენი შემოსავალი აქვს და რა ხარისხი, ღირსება (სამსახურისა, რასაკვირველია). არც ერთი ისეთი პირისსახე არ შეგხვდება, რომ შეგაჩეროს და გათქმევინოს გუნებაში: „აი, ამ კაცს ხასიათის ძალა აჩნიაო“, ანა და „ეტყობა, რომ ამას ცხოვრებასთან მარჯვე და გამწარებული ბრძოლა აუტანიაო“, ანა და — „უფიქრია ამას თავის სიცოცხლეშიო!“ ისე გასინჯენ, არც ერთს, თითქმის, არც ის ერთნაირი დატანჯული და დაღალული გამოხედულობა აქვს, რომელსაც ნაგრძნობი, გაგებული, ნებიერი შეწუხება და ტანჯვა სტოვებს, და რომელიც ადვილათ განირჩევა გაუგებარი და ძალა უნებურათ ატანილი ტანჯვისაგან...

აი ასე მოქმედებს აქაურ მცხოვრებლებზე პეტერბურგის ჰავა და მდებარეობა. რა გინდ ბევრი ვიფიქროთ ჩვენ ამაების მიზეზებზე, მაინც იმ დასკვნას ვერ ავსცილდებით, რომ ეს ყველაფერი ფიზიკური და ზნეობითი ჰავის შედეგია და რაც უფრო მტკიცეთ რწმუნდება ამაში კაცი, მით უფრო ცხარეთ ენთება იმას გულში სურვილი, — მიატოვოს, რაც შეიძლება მალე, ეს ჭაობიანი ადგილი და გასწიოს dahin, dahin, dahin სადაც კაცი ნებიერათ სცხოვრობს, გულდაგულათ იცინის, თავისუფლათ ღიმის, და სადაც მას ნიადაგ თავზე და მხრებზე ტყვიასავით მძიმე, ტყვიისვე ფერი ნისლი არ აწევს და სულს არ უგუბებს, და ხან ტვინს ყინვით არ უციებს, ხან იმედს წვიმით არ უწუნწყავს.

წარმოიდგინე ეხლა, მკითხველო, რომ ეს პეტერბურგი ის ქალაქია, სადაც მე პირველი ახალგაზრდული აღტაცება და ყმაწვილური ოცნების ეშხი გამიცვნია, სადაც პირველათ აყვავებულა ჩემი გრძნობა და იმედი, სადაც პირველი ნათელი და მძლავრი შთაბეჭდილება ღირსებია ჩემს ტვინსა და გულს[28]. რაღაც უცნაური ძალა და გავლენა ეძლევა ჩვენს გრძნობიერებაზე ყოველ იმ ალაგს, სადაც ჩვენ სიყმაწვილეში ზნეობის ფეხი აგვიდგამს, სადაც ჩვენ ბედნიერნი, ან უბედურნი ვყოფილვართ, სადაც ჩვენს გრძნობას მძლავრი მღელვარება გამოუვლია, სადაც ჩვენ გვიშრომია და პირველჯერ გამარჯვების, ან დამარცხების კვამლით თავბრუ დაგვხვეკია და განსაცდელი გაგვიცვნია... კაცს უყვარს ამნაირი ადგილი, ის ნიადაგ მშვენიერი სურათებით და ფერით იხსენიებს იმას, თუნდ

ცხრა მთას გადაღმა იყოს. და რაგინდ გაბინძურდეს შემდეგ ის ადგილი, რაგინდ შეიცვალოს მისთვის და სხვებისთვისაც მისი ხასიათი, ის მაინც საყვარელი მოსაგონებელი იქნება მისთვის, სასურველი სანახავი და ძნელათ მისატოვებელი. ნახავს იმას თუ არა კაცი, მის ტვინში მაშინვე ჯგუფ-ჯგუფათ დგება უწინდელი მოგონება, ძველებური, ნაცნობი გრძნობა და მთელი გავლილი გზა... იმას თითქო თვალს წინ უდგება მაშინდელი თანამოძმეების და გმირების პირისახე, ეჩვენება მათი თვალისა და გრძნობის ალი, ესმის მათი ხმა და სიტყვა, და ხელი გაუგებრათ იწევა, უნდა შეეხოს ამ საყვარელს ქმნილებებს, უნდა მოეხვიოს და გულზე დაიკრას. — „გაჰქრა ნამდვილი ცხოვრების ღონისმიმღები და მომხიბვლელი სიზმარიო, — ჰგონია მაშინ კაცს, — ჩვენ ისევ ცოცხალნი ვართო, ჩვენ ისევ ერთათა ვართო“, და ენა უნებურათ, გაუგებრათ როტავს:

Я ваш, друзья, хочу быть вашим,
На труд и горесть я готов, —
Готов начать в союзе вашем
Живое дело, вместо слов!..[29]

მაგრამ ეს ოცნება მალე ჰქრება, როცა კაცი თანამედროვე მდგომარეობას და თანამედროვე მოქმედ პირებს აკვირდება...

ყველაზე უფრო მიზიდავს მე პეტერბურგში იქაური მწერლობის ბედი და მდგომარეობა. მე რაღაც უცნაური სურვილი მაქვს მის ხასიათს და მსვლელობას ვაკვირდებოდე და იმის წარმატებას ყოველთვის მხიარულებაში მოვყავარ, აგრეთვე როგორც მის უბედობა და სისუსტე გამოუთქმელათ გულს მიჩაგრავს და პიროვნულათ მე თვითონ ჩემს თვალში მამდაბლებს, მით, რომ ეხლანდელი რუსული თაობის სისუსტეს და მოუხერხებლობას მიჩვენებს. ღმერთო, რა სუსტი და წვრილმანია დღეს რუსული მწერლობა, რა უძლურების და უმნიშვნელობის ბეჭედი ასვია იმას და რა განსხვავებაა მას და უწინდელ, ჩემ დროინდელ მწერლობას შუა! რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო! რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის[30] ახალი წიგნი გამოვიდოდა! რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალველობით დავეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას, რა ნაირათ გვიფეთქდა ჩვენ მაშინ გული, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტვინი და გონება! რამდენი გრძელი, ბოლომოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამე გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მის აზრების რჩევაში, მის სიტყვების სჯაში, მათზე

დავაში, და რამდენი შემდეგი ღამეები მოუსვენრათ უწვალებიეართ იმ გრძნობის მღელვარებას, იმ აზრის მუშაობას, რომელიც ამ ჟურნალს ჩვენში მოუხდენია! ვინ დათვლის ამ ხანგრძლივი ბედნიერების, აღტაცების, ტვინის წვალების და გრძნობის ამაღლების დღეებს, ან ვინ დაივიწყებს მათ სპნიადაგოთ გულში ჩაბეჭდილს კვალს! რამდენი იყო, იმ დროს, ჩვენისთანა ახალგაზდა, ჩვენსავით აზრისა და გონების ცხოვრებაში მიცემული, ჩვენივე გრძნობის თანამოზიარენი, ჩვენი მომავალი ბედისა და უბედობის თანა-მოძმენი! სად არიან დღეს ისინი? ან სად არიან ის გმირები, ვისი სიტყვა ჩვენ გონებას გვიხსნიდა, ვისი მაგალითი კაცად გვხდიდა, ვისი შრომა და ტანჯვა გვაკეთილშობილებდა და გვამაღლებდა?

«Одних уж нет, а те далече!»[31]

ზოგი მოკვდა, ზოგი დაიკარგა, ზოგი კი... მაგრამ დავიიწყოთ ეს უკანასკნელი „ზოგი“, რომ ჩვენი მეხსიერება და მოგონება იმ პირველების ნათელ და წმინდა ხსოვნას მოვანდომოთ, რომლებმაც თავიანთი მოვალეობა მტკიცეთ აასრულეს, საქმით სიტყვა ამართლეს და რწმუნებისთვის, კეთილი საქმისთვის, მომავლისთვის თავი დადვეს... მათი სწავლა, მათი ცხოვრება, მათი გზა და ბედი ჩვენი სამკვიდრებელია, ამის მეტი ნათელი არა ულირსებია რა ჩვენთვის ცხოვრებას, ამის მეტი მომავალს ჩვენთვის არა დაუმზადებია რა. მაშ ნუ მოვიწამლავთ ამ წმინდა მოგონებას იმ პირების გახსენებით, რომელნიც სხვა გზას დაადგენ. ისინი უიმისოთაც ხშირათ გვახსენებენ თავიანთ თავს, ჩვენდა საუბედუროთ და სადარდელათ...

დღევანდელი მწერლობა კი... იმ ადგილას, სადაც მაშინ საზოგადოების გამწვრთნელი და აღმზრდელი ხმა ისმოდა, სადაც კაცი ავის შეზიზღებას და კეთილის სიყვარულს ეჩვეოდა, სადაც მის გონებას ახალი გორიზონტი და მის გრძნობას ახალი ასპარეზი ეშლებოდა, დღეს ჩვენ ვხედავთ დაფქვილი ძვლების ნაკელათ გამოყენების სწავლას, დღეს ჩვენ პიროვნული წვრილმანი თავმოყვარეობისა და უდარდელი, უმიზნო, უგავლენო და უმომავალო ჯღაბნა-ბეჭდვას ვესწრებით. პაწაწინა კაცები დღეს პაწაწინა საგნებზე პაწაწინა მოაზრებას გამოთქმენ, და მათ პაწაწინა წრე, პაწაწინა წუთის განმავლობაში, გართულ და უყურადღებო თვალს ადევნებს. ეს პაწაწინა მწერლები დაექანებიან უგზო-უკვლო თანამედროვე ცხოვრების მინდორზე, და ხან ერთ უმნიშვნელო საგანს, ხან მეორე უაზრო მოვლენას სტაცებენ ხელს, რომ მათზე უხეირო და უნიჭო აზრების, ან სიტყვების გამოროტვა შეიძლონ. იმათ ელამ და ბრმა თვალს წინ შეუმჩნევლათ გარბის თანამედროვე ცხოვრების უპი-

რატესი მოვლენები, უძვირფასესი შემთხვევები, და იმათ არავინ ნიშნავს, ხელს არაკაცი ჰკიდებს, რომ მომავლის სასარგებლოთ მათგან გამოსადეგი დასკვნა გამოიყვანონ. საზოგადოების ზნეობითი აღზდა დავიწყებულია, მასში საზოგადოებრივ გრძნობას, მომავლისთვის დამარაგებას, საერთო შრომისა და ბრძოლისთვის დამზადებას არავინ ქადაგობს. საზოგადო მიზანს და საქმეს, უმთავრეს საჭიროებას და მზადებას წინამოფარებია ყველას თვალში გაუგებარი და გამოუკვლეველი წვრილმანი ფაქტების გროვა. ყველა ფორთხავს, ყველა მთის ქედს ეზიდება, ყველას იმ სიმაღლეზე ასვლა სურს, სადაც სულის ჩამდგმელი ჰაერი ქრის, მაგრამ ყველას თვალსწინ ბუჩქები და ტყის შტოები უდგია, ყველას დამჭკნარი და ჩამომხმარი ფოთლები და ხეები თვალს უხვევს და პირისახეს უკაწრავს, არავის თვალს წინ მთის სახე არ უდგია, გავლილი გზის გაგება არა აქვს, არც დარჩენილი სიმაღლის და დაბრკოლებების წარმოდგენა. ყველა მარტო იმას გრძნობს, რომ აღმართია, რომ ამ აღმართზე ასვლა საჭიროა, მაგრამ ძნელია. მაგრამ არავის არც იმისთანა შორს გამჭვრეტი თვალი და სიმაღლე აქვს, რომ ბუჩქებსა და ხეებს გადაღმა მიზანი დაინახოს, არც იმდენი მიხვდომა და თავგამომეტება, რომ გამობრუნდეს, შორიდამ მთელ მთას თვალი ააყლჩაავლოს, მისი სიმაღლე და ხასიათი შენიშნოს, მისი სურათი დაიხატოს და ამნაირათ გამოცდილი, დამარაგებული, გზა გაცნობილი თავის მგზავრებს მიეწიოს და გზა უჩვენოს, იმედი მისცეს, ღონე მოუმატოს და მიზნამდი მიიყვანოს...

* * *

მე არ აუწერ მკითხველს არც ჩემ წვრილმან შენიშვნებს, არც წვრილმან შემთხვევებს, არც იმ გარემოებებს, რომელშიაც მე პეტერბურგის საზოგადოება და სხვა და სხვა ნაცნობები და საქმეები ვნახე. რა საჭიროა, მაინც და მაინც, დაწვრილებითი გამოხატვა ყველა იმ კერძოობით შთაბეჭდილებისა, რომლისგანაც თანდათან ერთი საზოგადო, წეღან აწერილი, შთაბეჭდილება შედგა? — არც იმ ზოგიერთ, იშვიათ, ბედნიერ და იმედიან შთაბეჭდილებას უამბობ, რომელიც ჩემზე ორიოდე ძველი, შეუმუსვრელი, თუმც გულხელდაკრეფილი, თანამოაზრეების ნახვამ მოახდინა. მკითხველის ყურს ნამეტნათ ეჩოთირება ჩვენი მწვავი, შხამიანი დაცინვა ჩვენს საკუთარ თავზე, ჩვენს უიმედო მოქმედებაზე. ის ვერ გაიგებს თუ რამოდენა სიყვარულის ძალა სჩანდა იმ შხამში, ან რა დაუთურგვნელი და გულიდამ ამოუხოცველი იმედი ისმოდა ამ უიმედობაში. საკვირველი ბეჭედი და ხასიათი მოგვცა ჩვენ ბედმა და გარემოებამ. რაგინდ ბეჯით საქმეზე ვიდგეთ, რა გინდ თავგამომეტებულ

და პატიოსან მოქმედებას ვადგეთ, რაგინდ მძიმე მოვალეობა ან განსაცდელი გვადგეს, ჩვენ ერთმანეთში. ან ჩვენ საკუთარ თავსთან, ვერ ვხმარობთ იმ ღრმა, გრძნობიერ, ლირიკულ კილოს, ენას და სიტყვებს, რომელიც სხვებს სჩვევია. ჩვენ მაშინ ღიმილი, ვითომ უდარდელი სიცილი, ჩვენს თავზე დაცინვა და ლაზღანდარობა გვწყურია და გვჭირია, თითქო დეზათ გვისდებოდეს ჩვენ ეს საკვირველი ენა და სიტყვები. ჩვენ მაშინ თუ მადიანათ არ დავცინით იმ ჩვენს მოქმედებას, რომელიც მეტის-მეტათ პატიოსან მოქმედებათ მიგვაჩნია, თუ იმასში რამე სასაცილო ან სახუმარო მხარეს არ ვნიშნავთ და ერთმანეთს მით არ ვამხიარულებთ, ჩვენს მოქმედებას ამით მარილი აკლდება. სული რომ გვსდებოდეს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთათ თუ ვიქენით, ჩვენ ერთმანეთს და ჩვენ თავს დაცინვას დაუწყებთ, და მარტო თუ ვიქენით, ტანჯვის ასატანლათ რამე კომიკურ აზრს გამოვძებნით, რომ ჩვენი თავის მასხარათ აგდება შეგვეძლოს. ჩვენ „სერიოზნობის", მართლ-მსახურების მოღრუბლული ხასიათის ერთი ნამცეცა თვისებაც არა გვაქვს. და ჩვენ თავზე ღიმილით და ოხუნჯობით ამოგვივა ჩვენ სული. რისგანაა ეს? რათ გვჩვევია ეს თვისება ჩვენ, ერთი თაობის კაცებს, ერთ გარემოებებში გამოზდილს, რუსი ვიყოთ, გინდ ქართველი, და რათ არ ეგევართ ჩვენ ამ მხრით ბევრ ჩვენ თანამემამულეებს, რომელნიც ფლავის ჭამასაც კი „სერიოზნათ" ახერხებენ, არა თუ სიკვდილის შეყრას? არ ვიცი, ღმერთმანი მაშ, თუ ეს თვითონ ჩემთვის გაუგებარია, როგორ აუხსნა მკითხველს ის სიამოვნება, რომელიც მე პეტერბურგში, ორიოდე იქაური თანამოაზრის ნახვის დროს ვპოვე იმაში, რომ ის მე დამცინოდა, მე — იმას, და ორივე კი უფრო ხშირათ და უფრო მწვავეთ — თავის საკუთარ თავს მასხრათ ვიგდებდით. ახსენით აბა, რათ გამოვდიოდი ყოველთვის, ამისთანა დროსგატარების შემდეგ, უწინდელზე უფრო მხიარული, დაიმედებული, დამტკიცებული და ძლიერი? რათ მჭიროდა მე, ან რათ სჭიროდათ იმათ, იმისთანა აბანოში ძალის მოპოება, როძელშიაც სხვებს უკანასკნელი ძალა და იმედი, დაჯერება და გრძნობა ეღუპებათ?

VII

სამზღვარს გარეთ

ბედნიერია ის ახალგაზრდა, რომელიც სამზღვარს გარეთ იმ მიზნით გადის, რომ იქაური ცხოვრების, მეცნიერების და გონების ნაყოფი გაიცნოს და ირგოს. ბედნიერია ვისაც ამის სურვილი, დრო და შეძლება აქვს. როცა ის პირველათ ევროპის კარს შეაღებს და

მის გონებით ცხოვრებაში ფეხს შეადგამს, იმას უცნობი ჰაერი ეცემა. საავო და თავბრუს დამსხმელი. იმას მაშინ შთაბეჭდილებების სიმრავლე და ათასნაირი გზისა და ცოდნის, აზრისა და მიმართულების სხვა-და-სხვაფერობა გზას უბნევს. ყველაფრის ხელის ტაცება უნდა იმას მაშინ, ყველაფრის გაცნობა, გაგება, შეთვისება, გამოყენება. რას მოჰკიდოს ხელი, რა აირჩიოს, რას მიენდოს. რა დატოვოს? ეს კითხვა მის ტვინსა და გრძნობას მოსვენებას არ აძლევს, და ხარბ კაცსავით თვალგამოშტერებული შეცქერის ის ყველა იმ საუცხოო და საამო გზებს, რომელიც მის წინ ათას მხრისკენ გადაშლილან. რომელს დაადგეს? რომელს ასცილდეს? საშინელი კითხვაა ეს მაშინ მისთვის, მაგრამ

Кому судьба вещи готовит,
Того вопрос — «куда идти?»
Не устрашит, не остановит...

ის თავის გზას მოძებნის, ყველას სინჯავს, ყველას გაიცნობს, და უკეთესს, მარჯვეს, უპირდაპირესს მკვიდრათ დაადგება...

ეს ძველი შთაბეჭდილებაა, მკითხველო. ეხლა კი, როცა პეტერბურგი მივატოვე და სამხღვარ გარეთისაკენ წაველ, სულ სხვანაირი ფიქრი, დარდი, შეწუხება და გაჭირვება მიდგა წინ

VIII

ციურიხი [32]

(მაისი 1872)

IX

საფრანგეთსა და გერმანიას შუა

ერთი წვეთის მოსვენება არ მქონია მე იმ თვრამეტი საათის განმავლობაში, რომელიც რკინის გზის ტარებას მოუნდა, ციურიხიდამ პარიჟამდი მისასვლელათ. ჯერ იყო და ჩემი დარდი. მერმე, ბაზელში რაღაც საუბედუროთ იმ ელზასელების ოჯახებს წავაწყ-

დი, რომელნიც თავიანთ შვილებს ამერიკაში ისტუმრებდენ. შეუძ-ლებელია აწეროს, ან წარმოიდგინოს კაცმა ის საწყალი დედ-მამის ცოცხალ-მკვდარი პირისახე და განუზომელი ვაება და დარდი, რომელიც თითქმის ყველა იქ მყოფს აჩნდა. კაცი ხმას არ იღებდა, არავის ენის განძრევის საღავათი არ ჰქონდა, და ყველა ერთმანეთს ჩუმათ შეჩერებოდა, ისეთი თვალებით, თითქო სანიადაგოთ სცდილობდა მოსაცილებელი ნათესავის პირისსახე სანიადაგოთ მეხსიერებაში ჩაებეჭდა, — ვინ იცის, იქნება ამის მეტათ ვერც კი ვნახოო. ყველას თვალები ცრემლით ევსებოდა, ყველას მკრთალი პირისფერი დადებოდა და აქა-იქ დედა შვილს ეხვეოდა, ძმა დას. ეთხოვებოდა, საქმრო დანიშნულს ხელს ართმევდა. მაგრამ სიტყვა, ლაპარაკი არავისი ისმოდა. მაგიერათ გულის ფეთქა ყველასი მესმოდა, და ყველას პირისსახეზე, ყველას თვალებში ისე ადვილათ ვკითხულობდი მათ გულის დარდს და ფიქრებს, თითქო იმათ თვითონ წარმოეთქვათ. ეს სამასი კაცის გროვა მიდგა წინ მთელი მეოთხედი საათის განმავლობაში, და შემიძლია ვთქვა, რომ ამისთანა გულმოსაკლავი სანახავი მე ჯერ არ მინახავს. ყველა ამ დედ-მამას დასამარხი რომ ყოლოდა ყველა ეს წამავალი ვაჟები, მეტი ვაება და მწუხარება არც მაშინ შევროვდებოდა ერთათ. მაგრამ თუმც ეს სურათი გულს მიკლავდა და მტანჯავდა, ვერა ღონისძიებით ვერ მოვახერხე ჩემ თავისთვის ძალა დამეტანებია და ამ სანახავს მოვსცილებოდი. თითქო დაკრული ვიყავი იმის წინ და ფეხი განძრევის, სხვაგან წასვლის უარს მეუბნებოდა.

ბოლოს ყველა წამავალი ვაგონებში ჩასვეს და გზას გაუყენეს. სანამ უკანასკნელი ვაგონის წითელი ბაირაბი თვალიდამ არ გაუქრა დარჩენილებს, ყველას ლოყებზე ორი შეუწყვეტელი ცრემლის გვირაბი გადმოდიოდა. მაგრამ როცა ის ბაირახი გაქრა, უცფათ შეიქნა საყოველთაო ქვითინი და ტირილი, ისეთი, რომ ღმერთმა ყოველი ჩემი კეთილისმყოფელი იმის დასწრებას ააცილოს...

ჩვენც მალე მოგვიმზადეს ჩვენი Courierzug-ი, და ბაზელს მალე გამოვეთხოვეთ, მასთან შვეიცარიასაც. ერთი საათის შემდეგ ჩვენ ელზასის მიწაზე ვიყავით, იმ მიწაზე, რომელიც უკანასკნელი ომის დროს გერმანიელებმა საფრანგეთს წაართვეს.

ეს ქვეყანა მე 1865-ში მინახავს. მაშინ ის ერთს შეუწყვეტელ ბაღს ჩამოგავდა, მხიარული და მოჟირნახე ხალხით ავსებულს. გულს უხარებდა მაშინ კაცს ამ მშვენიერი ქვეყნისა და ერის ნახვა, ამ ხალხში ყოფნა: ის გულკეთილი, გონიერი, მშრომელი, მხიარული და გულ-გაშლილი იყო მაშინ. ეხლა კი ეს ქვეყანა მგლოვიარეების ქვეყანათ გადაქცეულა; ერთი მომღიმარე პირისახე არ შემხ-

ვდენია, ერთი უდარდელი ბავშვიც არ მინახავს ეხლა ამ საოცარ ქვეყანაში. დიდი და პატარა, მოწყენილი კი არა, მგლოვიარე და გულჩახვეულია, თითქო თითოეულს პირს ამ ქვეყანაში ჩამცმელ-მრჩენელი მამა მოკვდომოდეს. ყველას შეწუხების დაღი ასვია პირისსახეზე. და ყოველთვის, როცა ელზასელი გერმანელ სალდათს ან ჯარს დაინახავს, მისი პირისსახე ისე იცვლება, რომ ყურში რაღაც უცნაური წივილი მესმის, თითქო მთელი ელზასი ერთათ ჯავრისა და ბრაზისაგან კბილებს აკრაჭუნებდეს...

ჩვენ ვაგონში ორი ახალგაზრდა ქალი, ორი ვაჟი და ერთი მოხუცი იჯდენ, ყველანი ელზასელები. ისინი, როგორც მერმე შევიტყეე. ბელფორს მიდიოდენ თურმე, საფრანგეთში, იმ აზრით, რომ იქ ჯვარი დაეწერა ერთ იმ ახალგაზდა რწყვილს, და მერმე ისევ ელზასში დაბრუნებულიყვნენ. „მგლოვიარების ქვეყანაში“ ჯვრის წერა არ მოხერხდებოდა, თურმე. იმავე ვაგონში ის ამბავი შევიტყვე, რომ ერთი ელზასელი მოხუცი ძლიერ ავათ იყო თურმე. და რაკი იგრძნო, რომ დიდხანს არ გავძლებო, ბელფორში წააყვანინა თავი — საფრანგეთში მინდა მოვკვდეო, და მართლაც იქ გარდაიცვალა. როგორც რამდენიმე ხნის შემდეგ პარიჟის გაზეთებში წავიკითხე, მთელი ბელფორის ხალხს, ეს ამბავი რომ შეუტყვია უსურვია საფლავამდი გაჰყოლოდა ამ საკვირველ პატრიოტს.

ვაგონში ერთი საშინელი ხათაბალა კინაღამ აგვიტყდა. მიულღაუზენს ჩვენს განყოფილებაში ერთი ელზასელი გლეხი შემოვიდა. მსწრაფლ ტარებით გლეხები იშვიათათ დაიარებიან. ამის გამო ჩვენს გამყოლს ეგონა. რომ გლეხს ალბათ შეცდომა მოსვლია და მეორე კლასში იმიტომ შემოსულაო. დამავიწყდა მეთქვა, რომ გამყოლი გერმანელი იყო, პრუსიიდამ, და როგორც ყოველი პრუსიელი, ფელდფებელს ჩამოგავდა და ფელდფებელსავით იქცეოდა. შემოვიდა თუ არა ის ჩვენ განყოფილებაში, მაშინვე ელზასელ გლეხს მიუბრუნდა და ფელდფებლურათ ჰკითხა:

— რა უფლებით ხარ ამ ვაგონში?

გლეხმა ხმა არ გასცა. გამყოლმა ხმა აიმაღლა და კითხვა გაიმეორა.

— ვერა ჰხედავთ. უპასუხა იმას გლეხმა, რომ მე „არ მიყვარს“, როცა ემაგ კილოთი მელაპარაკება ვინმეო.

— თქვენი ბილეთიო. ცივათ ჰკითხა მაშინ გამყოლმა.

— კონტროლიორი როცა მოვა იმას ვაჩვენებო.

— მე უფლება მაქვს მოგთხოვოთ.

— მე „სურვილი“ არა მაქვს გიჩვენოო.

— მაშ არ იძლევით ბილეთს, დაიღრიალა გამყოლმა.

— ნუ ყვირი, თორემ ფანჯარაში გაგიძახებო, თქვა გლეხმა და წამოიწია. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ გამყოლს ის მართლა გადააგდებდა ფანჯარაში, პრუსიელს ჭკუა რომ არ ეხმარა და უფროსთან საჩივლელათ არ წასულიყო.

— ოჰ, ეს ავაზაკები ცოდვას შემამთხვევენ როდესმეო, დაღონებულათ სთქვა გლეხმა, როცა გამყოლი გაჰქრა, და მის თვალებში ბრაზის შავი ზღვა მოჩამდა.

ამ ამბით ბელფორამდი მივედი. გლეხი ვაგონიდამ გამოვიდა, ბილეთი მისცა კონტროლიორს და ბუტბუტით ქუჩისკენ წავიდა. მის ბუტბუტში მე მარტო ერთ სიტყვას მოვკარ ყური: „საფრანგეთიო!“

წარმოიდგინე ეხლა, მკითხველო, რომ ეს ელზასელები, რომელნიც იმ ნაირათ სწუხან გერმანიასთან შეერთებას, რომ თითქმის სანახევროთ ამერიკაში მიდიან, და ვინ იცის სად არ იკარგებიან. შთამომავლობით გერმანელი ტომის არიან და ენასაც გერმანულს ხმარობენ. ელზასი საფრანგეთმა ამ ორასი წლის წინათ შეიძინა, ძალადობით, და მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში ელზასი საფრანგეთის მეფეებს საშინლათ ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ მას აქეთ რაც რევოლუციამ საფრანგეთს, და მაშასადამე ელზასსაც. პოლიტიკური და საზოგადოებრივი წესი და გაწყობილება შეუცვალა, შეიცვალა საფრანგეთის პოლიტიკაც ელზასში და ელზასელების გრძნობა საფრანგეთისადმი. რაკი საფრანგეთმა ელზასელს ჩინებული პოლიტიკური უფლებები მისცა, რაკი ელზასელი თავისუფალი შეიქნა და მას პატიოსანი სამართლის წესი, მოქალაქეობრივი სიმართლე და თანასწორობა, კენჭი და თვით-მმართველობა მიეცა, რაკი ელზასელმა თავის თავი თავისუფალ კაცათ, სხვებთან თანასწორ მოქალაქეთ, და ყველასგან დაუჩაგვრელ მამულის შვილათ იცნო, საფრანგეთს როდიღა დასჭირდა სხვა ნაირი ღონისძიებების ხმარება ელზასის „გასაფრანცუზებლათ“. ელზასში გერმანულ ენას კაცი არ შეხებია და ფრანციული ძალით არავის გაუვრცელებია. გერმანულ ნაციონალურ გრძნობაზე დევნა არავის აღუდგენია, არავინ დაჩაგრულა იმ მიზეზით, რომ ეს გერმანელი შთამომავლობის არისო. და ელზასის მცხოვრებლები არავის თხებათ და კრავებათ არ გაუნაწილებია: ეს ჩვენებია და ის კი სხვებიო, ამას უნდა ვეწეოდეთ და იმას — ვდევნიდეთო, — იქ არავის უფიქრია. ხალხში და საზოგადოებაში ნაციონალური განხეთქილება და სიძულვილი არავის აუტეხია. ამის გამო ელზასელი ხალხი სულით და გულით გაფრანცუზდა, თუმც გერმანული ენა დღემდინაც შეინახა და თუმც იქაურ ხალხს დღემდინაც არ ესმის ფრანცუზული ლაპარაკი.

ელზასელმა საფრანგეთი შეიყვარა, როგორც კეთილის მყოფელი, გამათავისუფლებელი, ამმაღლებელი დედა, და გერმანია დაივიწყა, როგორც ის დედინაცვალი, რომელმაც ის მთელი საუკუნოების განმავლობაში გაჭირვებით და დამდაბლებით აცხოვრა. რომელ ელზასელ გლეხისთვის გეთქვა უწინ თუნდ ესლა — „შენ გერმანელი ტომისა ხარ, გერმანულს ლაპარაკობ, მაშ გერმანელი ხარ თქო?“ ის ამაყად გიპასუხებდა: „გერმანელები მონები არიან, და მე — თავისუფალი მოქალაქე ვარ ჩემი ქვეყნისაო, გერმანელი მაშ საიდამ ვიქნებიო!“ და ის თავგამომეტებული, გამწარებული პატრიოტიზმი, რომელიც ელზასელებმა 1793, 1815 და 1870 ვამოიჩინეს, იმ გრძნობის შედეგია, რომელიც საფრანგეთს ელზასელების გულში ჩაურგია მათი პოლიტიკური გათავისუფლებით და მოქალაქეობრივი ამაღლებით. დაუმატოთ ამას საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ხალისი და მიმზიდველი ძალა, ფრანციული განათლების და ზნეობითი ცხოვრების გავლენა, და გაგებული გვექნება ის საოცარი შემთხვევა, რომ გერმანული ტომის ხალხი გულმომაკვდინებელი ბრაზით და სიმწარით იტანს გერმანულ მამულთან შეერთებას, „სამშობლო ოჯახში დაბრუნებას“.

ჩემს თვალში ელზასი ყველაზე უფრო ცხადი დამტკიცებაა იმ შეშმარიტებისა, რომ საფრანგეთის ხასიათი, განათლება, ცხოვრება და მდგომარეობა ყველაფერში უფრო მაღლა სდგას გერმანელ ხასიათზე, განათლებაზე, ცხოვრებაზე და მდგომარეობაზე. როცა ხალხი, ამ ორ ქვეყანას შუა მცხოვრები, ერთის ენით მოლაპარაკე და მეორის ღირსების დამნახავი, ორივეს ცხოვრებასთან, ზნეობასთან და განათლების ნაყოფებთან დაახლოვებული და გაცნობილი, ასე გამწარებულათ ერთს ეკვრება და მეორეს სცილდება და იძაგებს იმას, რომელთანაც მას ენა და შთამომავლობა აახლოვებს, — ეს იმის ნიშანია, რომ მართლა დიდი უპირატესობა ჰქონია მეორეზე იმ ქვეყანას, რომელსაც ეს ხალხი უახლოვდება და ყვარობს. ცხადია, რომ წვრილმანი ღირსებებით, წვრილმანი პატივისცემით, ან მოქრთამვით მთელი ხალხის გული არ მოიყიდება. იმას მიიზიდავს მარტო ნამდვილი და ყველასთვის დასანახავი საზოგადო უპირატესობა და ღირსება, მარტო კულტურის გადაჭარბებული სიმაღლე, მარტო მტკიცე და ბეჯითი უკეთესობა ერთის მეორეზე. და საფრანგეთმა გერმანია ელზასის გულიდამ მით ამოხოცა და დაჰკარგა, და თვითონ მისი ადგილი მით დაიკავა, რომ მისი პოლიტიკური ცხოვრება, მისი ზნეობითი კულტურა, მისი საზოგადოებრივი გაწყობილება და ზნეობითი ხასიათი გერმანელს მართლა და ნამდვილათ სჯობია.

გერმანული გონების თვისება (აქნამდი მაინც) იმაში მდგომარეობს, რომ ეს მძიმე და უმოძრაო გონება ჩაუჯდება რომელიმე აზრს და წარმოუდგენელი მოთმინებით და შრომით შეამუშავებს მის წვრილმან მხარეებს, მის პაწაწინა თვისებებს. ის მჩიჩქვნელი და დაუღალველათ მაძიებელია ყველა წვრილმანი დამტკიცებების და საბუთებისა. ის სხვისგან ნაპოვნი დედა-აზრის და შეხედულების დაკვირვებით და დამჯდარი გამსინჯველი და დამამტკიცებელია. ამ გასინჯვის და დამტკიცების დროს ის უთვალავ წვრილმან ფაქტებს ჰპოულობს, აგროებს, სჩხრეკს და ერთმანეთზე კინძავს, ისე, რომ თვითონაც კარგათ არ ესმის მათი ნამდვილი მნიშვნელობა და ხასიათი. გაივლის დრო. იმ უთვალავი წვრილმანი ფაქტებიდამ, რომელიც ამ გერმანულ გონებას სხვისგან გამოთქმული დედა-აზრის დასამტკიცებლათ გამოუძებნია, სხვა ვინმე ახალ, უმჯობეს დედა-აზრს გამოიყვანს, და გერმანული გონება იმას ხელ-ახლავ შინჯავს და დამტკიცებების პოვნას უწყებს, ხელახლავ უთვალავ წვრილმან ფაქტებს უგროვებს, რომლებისგან ვინმე კიდევ რამე ახალ დასკვნას და დედა-აზრს გამოიყვანს.

აი, ამ დედა-აზრების პოვნა კი საფრანგეთის გონების თვისებაა. ეს გონება ადვილათ ჰპოულობს ახალ შეხედულებას, უცნობ აზრს, წარმოუდგენელ თვისებას ან თეორიას, და მაშინვე გამოთქვამს იმას ხან ჰიპოთეზასავით, ხან დაუმტკიცებელ, ან სუსტათ დამტკიცებულ დასკვნასავით, და ხან კი — თუმც იშვიათათ — ძლიერ ბეჯითად დამტკიცებულ ჭეშმარიტებასავით. ეს ჰიპოთეზა, თეორია ან დედა-აზრი ელვასავით გაჰკრავს მაშინ ცოდნის ნისლიან ცაზე, ბნელ მხარეებს გაანათებს, გზას ამოაჩენს, მიზანს უჩვენებს, და ამ გზას ადგება, ამ მიზანს შეუდგება გერმანიელი მეცნიერების ძალა. მეცნიერების ისტორიაში, ათასს დედა-აზრის და ნამდვილი გამოგონების, ან პოვნის რიცხვში, ორმოცდა ათი ისეთი არ იქნება, რომ გერმანულ გონებას მოეგონოს და საფრანგეთისას — შეემუშავოს. დანარჩენები სულ საფრანგეთისას უპოვია და გერმანელს გაუქლიბავს, შეუმუშავებია და გამოუყენებია.

აი, ამის გამო საფრანგეთის მეცნიერებას საშინელი გავლენა აქვს გერმანულზე და გერმანულს კი ძლიერ მცირედი — საფრანგეთისაზე. საფრანგეთის მეცნიერება არა თუ გასძლებს უგერმანულოთ, უწინდელივით წარმატებაშიაც იქნება, მაგრამ გერმანულ მეცნიერებას კი უფრანციულოთ ორ დღესაც გაძლება გაუჭირდება.

მეორე თვისება და განსხვავება ამნაირათვე შესანიშნავი და ძლიერია. საფრანგეთის გონებას მეტის მეტათ გამჯდარი აქვს ტვინში ქვეყნიერი სული და გრძნობა. ეს გონება თითქო მარტო იმი-

ტომ შრომობს, ჰფიქრობს და დაობს, რომ აქაური, წუთიერი, კაცობრიული ცხოვრება გააუმჯობესოს და წინ წასწიოს, და თავისა შრომის ნაყოფი ამ წუთისსოფელშივე თვითონაც ირგოს და სხვებსაც არგოს. საფრანგეთის გონებას თითქო მტკიცეთ სწამს, რომ დაპირებული სამოთხე ქვეყანაზედვე გაიმართებაო, და ის მართლაც ცდილობს ეს სამოთხე გამართოს... გერმანული გონება უფრო მძიმეა, და როცა ის თანამედროვე მდგომარეობის და მოაზრების დაბალ ნიადაგს სცილდება, რომელშიაც კისრამდი ჩაფლულია, როცა იმას რომელიმე მარჯვე და ძლიერი გონება ძალით ამოათრევს ამ სიმდაბლიდამ და მოძრაობას მისცემს, ის პირდაპირ შურდულივით აბსტრაკტული მოაზრების ცივ ღრუბლებში იკარგება, ქვეყნიერებას ივიწყებს და გამოუდეგარ, უმიზნო და უნაყოფო მოაზრებაში Für und an sich ბოდიალობს, სანამ არ დაღალდება და ისევ შურდულივით უწინდელ სიმდაბლემდი არ დაეშვება, ან უწინდელ ჭაობში არ დახავსიანდება.

ეს მეორე თვისება საზოგადო თვისებაა ორივე ხალხის გონებისა. მაგრამ აქედამ არავინ ის დასკვნა არ უნდა გამოიყვანოს, ვითომ გერმანულ გონებას კაცობრიობისთვის დაუვიწყარი სარგებლობა არ მოეტანოს, ან ვითომ ყველა გერმანელი მეცნიერები წვრილმან მხარეებს აუმჯობესებდენ და წინ სწევდენ. გერმანიასაც ჰყოლია იმისთან მეცნიერები, რომელთაც მთლათ ერთიანათ დაუტრიალებიათ თავიანთი ნაწილი, მისთვის ახალი, მარჯვე გზა მოუძებნიათ და მტკიცე საფუძველი მიუციათ. მაგრამ ამათი რიცხვი შედარებით მცირედია სხვა მეცნიერების რაზმში, და განსაკუთრებით იმ მეცნიერების რიცხვთან შედარებით, რომელნიც საფრანგეთს ჰყოლია და ყავს კიდევ. და ამ იშვიათი გერმანელი მეცნიერების შრომისა და მოაზრების, ტვინისა და მოქმედების ხასიათი ყველაფერში საფრანგეთის და არა გერმანელი მეცნიერების ხასიათს ჩამოგავს და ემსგავსება.

ამაებზე ფიქრმა გამიტაცა მე იმ ღამეს, როცა ბელფორიდამ გავედით და პარიჟისკენ მივმართეთ. ჩემ განყოფილებაში მე თითქმის მარტო ვიყავი, და ძილი ვერაგზით ვერ მოვიტყუე. თვალგამოჭყეტილი ვიცქირებოდი ვაგონის ფანჯარაში, ერთს პაპიროზს მეორეზე ვსწევდი და ოცნებას თავი მინებებული მქონდა. აწმყო მეტათ მაწვალებდა, მომავალი მაშინებდა, მაშ რა მექნა, წარსულს მივუბრუნდი, რომ მის მოგონებაში აწმყოს და მომავლის სიმძიმის ატანის ძალა მეპოვნა. მაგრამ არც ამან მიშველა... მე ისევ საფრანგეთის და გერმანიის სახე მიდგა თვალს წინ, და ჩემ წარმოდგენას ნიადაგ ის სურათი ეხატებოდა, სხვა და სხვა ფერათ და ნაირათ, რომ ეს

ორი მშვენიერი და მძლავრი გმირი ერთმანეთს თმასა და სხეულს აგლეჯენ, აწვალებენ, სტანჯავენ და ღალვენ, იმ მიზნით, თუ ვის ერგება ეს სამი-ოთხი მშვენიერი ქალი — ელზასი, ბელგია, შვეიცარია და ჰოლანდიაო. „ღმერთო, რა სულელია კაცობრიობა! ვფიქრობდი: ღირს განა ამაებზე დავა და თავის შეკვლა? იცხოვრეთ, ამაღლდით, ძმურათ იყავით, და ორივე ერთათ დატკბით ამ მშვენიერი ქმნილების თავისუფალი ტრფობით. თქვენ მშვენიერი და გულის მიმზიდველი ხართ ორივენი. ორივენი ღირსნი ხართ სიყვარულის და დატკბობისა. დამშვიდდით, და მერწმუნეთ მე— რომელიც ქალის გულს კარგათ ვიცნობ, — რომ ეს თქვენი საბრძოლი და სადაო ქალები თვითონ მოგეხვევიან, თვითონ გაგიალერსდებიან, რადგანაც თქვენი ეშხით ეხლაც საკვენი არიან, და ხან ერთს მოგიშვერენ ერთს ლოყას, ხან მეორეს — მეორეს. და „თუ გული გულობს, ქადა ხომ ცალი ხელითაც იჭმება“.

X

პარიჟი

Prends ma main,
voyageur,
et montont sur la tour.
Alfred de Viguy*

ალიონი ისე ამოვიდა, ისე გათენდა, რომ ჩემს თვალს ძილი არ მიჰკარებია. პარიჟის მიახლოვება თან და თან უფრო და უფრო მაღელვებდა. ასი თუ ასორმოცდაათი ვერსის ბოძი კი დავითვალე, იმ დილას, და თითო ბოძის დანახვაზე ნიადაგ ის მქონდა თავში — ეხლა ამდენი და ამდენი ვერსი კიდევ დარჩა თქო. არც ერთხელ არც ერთი საყვარელი ქმნილების მოცდას, მის ლოდინს და დაგვიანებას არ უმოქმედია ასე ჩემზე. და ღმერთმა ხომ იცის, რომ ეს ლოდინი მძიმეა, რომ ამ დაგვიანების დროს ერთი წუთი მთელ საუკუნეთ მჩვენებია ხოლმე.

მზე მაღლა იდგა, პარიჟში რომ შევედით.

ჩემ ტვინს შორიდამვე პარიჟი სხვა და სხვა ფერათ შემკულ სურათებათ ეზმანებოდა. ხან თვალს წინ დამიდგებოდა ეს ქალაქი მშვენიერ და კეკლუც ქალის სახით, გემოიანათ მორთული, იმ ახალი ხელოვნებით, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩაცმულ ქალს სრულიად ჩაუცმელის გამოსვლულობა და მსგავსება ჰქონდეს. და

* „ხელი მომკიდე, მგზავრო, ავიდეთ მაღლა კოშკზე“.
ალფრედ დე ვინი

ტანსაცმელი რაც შეიძლება უფრო ცხადათ გამოაჩენდეს იმას, რისიც დასამალავათ გაჩენილია. ეს ქალი ალერსიანი ღიმილით, ყოვლის-დამპირებელი და ყოვლის მიმნიჭებელი სიმსუბუქით, ყოვლის დამვიწყებელი და დამავიწყებელი ეშხით და მხიარულებით თითქო იმას გამოთქვამდა: „ქვეყნიერი სამოთხე ამ ქვეყანაზეა, ეს სამოთხე მე ვარო!“ ხან — უფრო ხშირათ — ვხედავდი პარიჟს ახალგაზდა, გამხდარი, დაჭანცული მაგრამ მაინც ძლიერი და დაუღალავი ვაჟკაცის სახით. მისი ლურჯი ბლუზა ოფლით გაშავებული და გაწუნწული იყო; მის ლოყებს და სხეულს ათასი ჭრილობის ნიშანი და სისხლი აჩნდა. დაჭრილი თავი პერანგის ნაგლეჯით ჰქონდა შემოხვეული და მის ხელებზე ნიადაგი შრომით დამსხვილებული კანი ბრძოლის კვამლს და თოფის წამალს გაეშავებია. გულგაშლილ და გულგაღეღილ გმირს ხიშტით და ტყვიით დახვრეტილი გულისფიცარი მოუჩნდა, და მის თვალებში ყოვლის მიმტოვებელი, ყოვლის ამტანი, ყოვლის გამბედავი რწმუნების ღიმილი მოჩანდა. სხვა დროს, აგრეთვე ხშირათ, პარიჟი წარმომიდგებოდა პაწაწინა ოთახათ, მეშვიდე ეტაჟაში, ზეცის სიახლოვეს. შიგ მკრთალ სინათლეს უჯდა ახალგაზრდა კაცი, ნიადაგი შრომით წელ-მოხრილი და პირ-მკრთალი; ის შიმშილ-სიცივეში, მარტოხელა, უპატრონოთ და უიმედოთ, რაღაც მეცნიერების კითხვას იბევდა, და მის გამოკვლევისთვის საჭირო მასალებში იმ ერთ ნამცეცა ფულს ხარჯავდა, რომელიც მის სადილს უნდა მონდომოდა. დილა თავზე ათენდებოდა იმას, ისე რომ ის თავის წიგნს და საგანს არ მოსცილებია. და ორი-სამი დღის უქმელ-უსმელს ერთი დარდი და შეწუხება ახსოვდა მარტო: „სად ვიშოვო ახალი მასალის, ახალი წიგნის საყიდელი ფასიო, ან რომელ გამომცემელს გავაბედვინო ჩემი გამოკვლევის, ან ნაშრომის დაბეჭდვაო!“

ხანდისხან, კიდევ, თვალს მიდგენ ქვეყნიერების პირისსახის და მდგომარეობის, მოაზრების და შეხედულების გადმასხვაფერებელი გმირები, რომელთაც პარიჟი გაბედვის ნებას და ასრულების საშუალებას აძლევს, და თვითონ ეს ქალაქი ხან ლესსეპსის სახით წარმომიდგება, ხან ფურიესით, ხან ვოლტერისა და ჰელვეციის კანში, ხან სან-ჟუსტის და როშფორის. და ეს წარმოდგენა, შედარება, მსგავსება, ეს უკვდავი ქალაქის მომაკვდავ გვამებში განხორციელება ზედი ზედ, თვალთ მაქცურათ, თვალ-მოუსწრებლათ იცვლებოდა ჩემს თვალში და ტვინში, თითქო პანორამის სურათები ჩარხის ნიადაგ ტრიალის დროს...

მერმე, როგორც ამ პანორამის ნიადაგი და სწრაფი ტრიალი სურათების ჩვენების მაგიერ თვალს მარტო ერთ საერთო, დაუბოლოე-

ბელ თეთრს,-ან შავს, შთაბეჭდილებას მოახდენს კაცის თვალზე და ხედვაზე. ისე პარიჟის სურათებათ წარმოდგენამაც ჩემს ტვინში ერთი საზოგადო, საერთო შთაბეჭდილება მოახდინა და ჩანერგა. ამ მშვენიერი და გასაკვირველი ქალაქის მთელი წარსული ცხოვრება და მოქმედება დაიხატა ჩემს გონებაში როგორც ერთი შეუწყვეტავი და ნიადაგი შრომა კაცობრიობის ცხოვრების გაუმჯობესებისთვის, გონების გახსნისთვის და ხასიათის გათავისუფლებისთვის. არც ერთს სხვა ქალაქს და არც ერთ სხვა ქვეყანას არ უზრუნვია იმდენი კაცობრიობის მდგომარეობაზე და ბედზე, როგორც აი ამ პარიჟს. ამ ქალაქის ხასიათმა აქაურ მეცნიერებს ტვინში ჩაუნერგა, რომ კაცი ამ ქვეყნითვე ბედნიერი უნდა იყოსო, რომ ეს ბედნიერება მარტო სასურველი კი არა, შესაძლებელი საქმეც არისო, და იმ გზაზე დააყენა, რომლითაც მართლა ადვილი თუ არა, შესაძლებელი მაინც არის კაცობრიობის ბედის გაწყობა და ბედნიერების დაარსება. აქ გამოიკვლიეს და გაიცვნეს კაცის ბუნება და თვისება, მისი ხასიათი და საჭიროება, მისი სურვილი და ლტოლვილება. აქ შეათანხმეს და შეადარეს კერძო პირებს სხვა და სხვა გვარი მიდრეკილება და სარგებლობა, და მათი საყოველთაო დაკმაყოფილების საშუალება და გზა აქვე გამოძებნეს. აქ დაარსდა, გაკეთდა და აყვავდა „საზოგადოებრივი ცხოვრების“ მეცნიერება. აქ გამოითქვა პირველათ ის ჭეშმარიტება, რომ კაცის გრძნობის, გონების და ხასიათის ცხოვრებაც სწორეთ იმავე კანონებს ემორჩილება და იმავე კანონებით იმმართვისო, რომლითაც მთელი დანარჩენი ქვეყნიერება — მცენარეები იყოს, გინდ მზე და მნათობები — იმმართვისო. აქ დაიბადა პირველათ საზოგადოების უკეთესი, გონიერი, ბედნიერი ცხოვრების და გაწყობილების იდეალი, აქედამ გავრცელდა ეს მომავლის რწმუნება და სწავლა დანარჩენ ქვეყნიერებაზე. აქ იშრომეს, იტანჯეს, ეწვალენ და მოჰკვდენ კაცობრიობის სიკეთის, თავისუფლების და ძმობის მომხრენი, რომ სიკვდილით და წამებით უფრო გაეძლიერებიათ თავიანთი რწმუნების და სწავლის გავლენა... ერთი სიტყვით ეს ქალაქი ჩემ გონებას იმ მშრომელ ძალათ გამოეხატა, რომელიც სხვების ბედნიერების გულისთვის ნიადაგ მზათაა თავის თავს ათასნაირი უბედურება და წვალება აუტეხოს და აიტანოს...

შევედით პარიჟში. ოცნებით და წარმოდგინებით დაღალულ ჩემ თვალს და გონებას ის ეგონა, რომ პარიჟი კარებზე დაგვხვდებოდა, ცალ ხელში კაცის გული ეჭირებოდა, გაჭრილი და გამოკვლეული, მისი თვისებებით და კეთილი და ცუდი მხარეების გამოხატვით, და მეორე ხელში — ის მშვენიერი მომავლის დროშა, რომლის სახელით დანთხეულა აქ ამოდენა სისხლი და შოპოებული

მთელი კაცობრიობისთვის ამოდენა პოლიტიკური და საზოგადოებრივი სიმართლეები. მე მართლა ველოდი, უცდიდი ამისთანა შეგებებას, ისე მიდგა თვალს წინ პარიჟის სახე. მიუახლოვდით სტანციის სასახლეს, გავიხედეთ მის ფანჯრიდამ, და დავინახეთ უშველებელი ასოებით ამოჭრილი სიტყვები: „საფრანგეთის რესპუბლიკა. — თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა". მაგრამ ჩემი პარიჟი კი არსად იყო, თავისი კაცის გულით და მომავლის დროშით. მის მაგიერ მე ორი გამოჯგიმული კაცი მომადგა, და ორივემ რესპუბლიკის სახელით მომთხოვეს: ერთმა — პასპორტი და მეორემ — თუთუნი და სიგარები...

* * *

გამოვედი თუ არა ტამოჟნის ბრჭყალებიდამ, ბარგი-ბარხანა სასტუმროში დავყარე, ორი კოკა ცივი წყალი თავზე გადავივლე, ავიყვანე ფაეტონი და გავსწიე „პარიჟის დასავლელათ". მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ „პარიჟის დასავლელათ" წასვლა იმისთანავე სისულელეა, როგორც ფაეტონში ჩაჯდომა და თქმა: იმერეთი დამატარეო! მაგრამ მე წინათვე განზრახული მქონდა რა და რომელი ადგილი უნდა მენახა იმ დილასვე, სანამ კარგათ დავიქანცებოდი და ძილს თავს მივანებებდი.

ფაეტონმა ტუილრის სასახლესთან გამაჩერა.

1864—1865 მთელი წელიწადი ვიდექი პარიჟში, ამ სასახლესთან ასიოდე საჟენის მოშორებით (სენის ქუჩაზე), მაგრამ ათჯერ არ გამივლია მის სიახლოვეს. რამდენჯერაც მე იმას დავინახავდი, იმდენჯერ ბრაზი მომდიოდა და გული მიკვდებოდა იმ აზრით, რომ შიგ ის კაცი სცხოვრობდა, ის პრინციპი ბუდობდა, რომელიც მთელი ევროპის და თითქმის მთელი კაცობრიობის წარმატებას გზაზე გაბოგირებოდა და წინ წაწევას უშლიდა. ის მე ნიადაგ რაღაც შავ-ჟამათ წარმომიდგებოდა. დღეს კი ეს ტუილრის სასახლე დაცალიერებული, დანგრეული და გადამწვარი ვნახე. როგორც ჟამიანი ავათმყოფით გაპილწულ სახლს სწვამდენ ხოლმე ჩვენში, ისე გადაუწვამთ პარიჟელებს ის სასახლე, სადაც ნაპოლეონ მესამე ოცი წლის განმავლობაში ბრძანებლობდა და მეფობდა.

— ეს რა გიქნიათ მეთქი, ვკითხე ქუჩერს.

— შენ რა გედარდება, შენი რა დაიწვაო? გვსლიანათ მკითხა იმანაც.

— ღვთის მადლით ჩემი არაფერი დამწვარა, თქვენი ოცი წლის სისულელის მეტი მეთქი.

— ნეტავი მთლათ კი დამწვარიყოო, გამიცინა ქუჩერმა, როცა

„ოცი წლის სისულელის“ ხსენებისაგან დაინახა, რომ „რეაქციონერი“ არ ყოფილა ჩემი მგზავრიო.

დიდხანს ვიდექი მე ამ სასახლის წინ და დიდხანს „ვფიქრობდიო“ რომ ვთქვა, ტყუილი იქნება, ამიტომ რომ იმ დროს მე სრულიად არაფერს ვფიქრობდი...

...შეგიმჩნევია მკითხველო, ან შეგინიშნავს, რომ დიდი გაჭირვების, ან დიდი ნეტარების დროს კაცს არც ხმის ამოღება შეუძლია, არც გრძნობის გამოთქმა, არც მოაზრება და ფიქრი, არც იმ გრძნობის გაგებაც, რომელიც იმას გულში უღვივის და სულსა და სხეულს უღელვებს? თუ ეს შენ ჯერ არ შეგინიშნია, დღეის იქით იცოდე მაინც, რომ ეს ნამდვილათ ასე ყოფილა, ასეა და ასე იქნება უკუნის უკუნისამდე.

XI

პარიჟში გასეირნება

(ივნისი 1872)

ტუილრის შემდეგ დავათვალიერე სხვა და სხვა ადგილები და შენობები, ამ უკანასკნელი ომის და ბრძოლის დროს ნასახელევი და დაქცეული, ვნახე გადამწვარი და დანგრეული „Hotel de Ville“, ფინანსთა სამინისტრო, საპატიო ლეგიონის სასახლე Quai d'Orsai და სხვ. და სხვ. დიდის ყურადღებით გავისჯე ის ადგილი, სადაც ეკლესიის (Panthéon) კედელთან, ეკლესიის ბოძზე ვანუსჯელათ დახვრიტეს პარიჟის დეპუტატი მილიერი, აგრეთვე როგორც ის ქუჩა, სადაც მაკ-მაჰონის ჯარმა, ბარიკადის აღების შემდეგ, ბარიკადის უკან სამასი კაცი ერთათ დახვრიტა და იქვე, ბარიკადის ორმოში ჩაფლო, თუმც უმეტესი ნაწილი იმათგანი სანახევროთ ცოცხლები იყვნენ... ვნახე მთელი ის გზა, რომლითაც გაუვლია ვერსალის ჯარებს პარიჟში შემოსვლის შემდეგ, ის გზა, რომელზედაც რვა დღის განმავლობაში დაუზოგველი ბრძოლა იყო, და რომლის თითოეული ნაბიჯი ასი და ათასი კაცის სისხლით მოირწყო. ვნახე ორიოდე იმ ეზოებთაგანი, სადაც ჯარმა ხუთას-ხუთასობით პარიჟელი მუშები შეამწყვდია და განუსჯელათ, დაუთვლელათ, განუკითხავათ ყველანი მიტრალიეზით დახვრიტა. ის ადგილიც ვნახე, სადაც დამარცხების შემდეგ ბარიკადზე გამოვიდა გამოჩენილი მწერალი დ ე ლ ე კ ლ უ ზ ი, გულხელი დაიკრიფა, დროშას ამოუდგა, ექვსიოდე ტყვია ირგო გულში, და ბარიკადას ქვეშ მკვდარი დაეცა. ის ადგილებიც გავსინჯე, სადაც თორმეტი წლის მებრძოლი მუშები, თექვსმეტი წლის მათი დები და მოხუცი დედ-მამა დახვრიტეს. ერთი სიტყვით გავიარე ის გზა, რომელზედაც გამწარებულმა

და სამი თვის ბრძოლით დაუღალავმა პარიჟის ხალხმა უზენაესი გმირობის თვისება — მოკვდომის ცოდნა და სიადვილე — გამოიჩინა.

როცა ეს ყველაფერი ვნახე და ბეჯითად გავიხსენე რა და რა გასაჭირი და შეწუხება გამოეარა ამ უცხო ხალხს. რამდენი დაბრკოლება დაეთრგუნა და რამოდენი ენერგია გამოეჩინა, თავში უნებურათ ეს კითხვა დამიდგა: საფრანგეთის დროებითს მმართველობას პარიჟის გერმანელებისგან შემორტყმის დროს ეს უშველებელი ენერგია რომ აღეძრა და ხეირიანათ მოეხმარა, რომელი მოლტკე და რომელი ბისმარკი შეიძლებდა მაშინ საფრანგეთის დამარცხებას მეთქი?

* * *

მე მეგონა, რომ გერმანელების შემორტყმით და ბომბებით დანგრეულს, ვერსალის ჯარისგან აოხრებულს და კომუნასგან გადამწვარ პარიჟს ველარც კი ვიცნობდი. მე ის დაფერფლილი და დანგრეული მეგონა. მაგრამ რამდენიც უფრო ვათვალიერე ქალაქი, იმდენათ უფრო გაშტერებული შევიქმენ, მისი შეუცვლელობით. ქუჩები, სახლები, მოედნები, ეკლესიები ისევ იმნაირივე დამხვდენ, როგორც ექვსი წლის წინეთ დავტოვე. ათიოდე სასახლეს გარდა, არაფერს ომის ხელი არ აჩნდა. კედლებს კი, თითქმის ყველა უმთავრეს მოედნებზე და ქუჩებზე, ის გამოხედულობა მისცემოდა, როგორსაც კაცის პირისსახეს მძიმე ყვავილი დააბეჭდს: ყუმბარებს და ტყვიებს ისეთნაირათ დაეჭდოებიათ და აეკიბ-ჩაეკიბათ ქვიტკირის კედლები და ქვის სვეტები, რომ კაცს ეგონებოდა საგანგებოთ სატეხით ამოუხვრეტიათ ეს ქვები, ლავის მსგავსების მისაცემათო. კუთხეებზე ყუმბარებს ხანდისხან კაცის სიდიდე ქვები ჩამოეტეხათ და კედლებში ორი ტკაველის სიღრმე კვალი ჩაეტოვებიათ. ტანში ჟრუანტელი ამიდგა იმ აზრზე, რომ თუ ამისთანა ზიანი იმათ ქვისა და კლდისთვის მიუციათ, ადამიანის რაზმს და გვამს რას უზამდა ის ყუმბარების წვიმა, რომელიც ორი თვის განმავლობაში პარიჟის ხალხზე შეუწყვეტლათ იქცეოდა?...

მაგრამ დანარჩენში მე პარიჟი უწინდელ პარიჟათ ვიცანი. აი, ის სახლი, სადაც მთელი წელიწადი ფეხმოუცვლელათ ვიდექი. აი, ჩემი ოთახი მეექვსე ეტაჟაში; იმას დღესაც მგონია, უწინდელი ჭრელი ფარდა ჰკიდია. აი ისევ ის გაზეთის გამყიდველი მოხუცი ქალი, რომელიც ყოველ დილა-საღამოს გაზეთებს ნისიათ მაძლევდა — „გამარჯვება, „mer Pirot!“—tiens, tiens, tiens! Ga vat'i bien?— „Pas mal, et vous?“ და სხვ. და. სხვ. აი, ისევ ის სასტუმრო, სადაც ორშაურიანი სადილით ვძღებოდი ხოლმე, აი, ნაცნობი

წიგნის-მყიდველის მაღაზია, აი, ნახატების ვაჭრის დუქანი. რომლის ფანჯრების წინ ხშირათ მთელი საათები გამიტარებია სურათების შინჯვაში და ცქერაში. აი, ისევ უწინდელი მენახშირე, მეფურნე, მედუქნე — ყველა თავთავის უწინდელ ადგილზე დარჩენილა, ყველას უწინდელი პირისსახე და გარემოება შერჩენია. რომ არაფერი გამოცვლილა ამ ექვსი წლის განმავლობაში, რომელიც მე მთელ საუკუნეთ მიმაჩნია! და თითქმის მთელი პარიჟი ამავე მდგომარეობაში დარჩენილა, ორი გარს-შემორტყმის და ერთი ვადაწვის შემდეგ!

რა საკვირველი და გასაოცარი სიცხოველე და ძალა აქვს ამ მშვენიერ ქალაქს, ამ ჩინებულ ხალხს. სადაც სხვა ერი და ქვეყანა იმედს კი არა, საკუთარ ტყავსა და ცხოვრებას დაკარგავდა, იმას მარტო რამდენიმე ასი ათასი კაცი და რამდენიმე ათასი მილიონი ფრანკი დაჰკარგვია, მეტი არაფერი. და ეს იმას იმოდნათ აწუხებს და დამჩნევია, თითქო მე და შენ მკითხველო, ორი წევრი დაგვკარგოდეს, ან სამი შაური დაგვეხარჯოს... ნეტავი იმას, ნეტავი იმას!

ესეები რომ დავათვალიერე, შინისკენ ქვეითათ წამოველ, მინდოდა ცოტაოდნათ ხალხის პირისსახეს დავკვირვებოდი. უწინდელი პარიჟელი ხალხის პირისსახე და გამოხედულობა კარგათ მახსოვდა, მინდოდა მასთან ეხლანდელი შემედარებია და განსხვავება შემენიშნა. უწინ, ნაპოლეონის დროს ხალხის ერთი ნაწილი — „შემძლე საზოგადოებას“ რომ იტყვიან, ის — მეტის მეტათ ამპარტავანი და უდარდელი გამოხედულობით დასეირნობდა და იქცეოდა. ხალხი კი, მუშა, მშრომელი, გვარიანათ გულჩახვეული და უიმედობით გამწარებული იყო. მე დღესაც მახსოვს ის განვითარებული მკლე ტუჩის ჩაკბენა და ცივათ დამცინველი ღიმილი, რომელიც თითქმის ყოველს ნიჭიერს და ხეირიან კაცს ებეჭდა მაშინ პირისსახეზე. ეხლა კი „შემძლე საზოგადოება“ ცოტაოდნათ უფრო დაფიქრებული და თავდაკავებულია. მუშა-ხალხზე კი რა ითქმის? წარმოიდგინე, მკითხველო, რომ შენ დიდი შრომით და გაჭირვებით ჩინებული ხიდი გიშოვია, რომლის ჩამოსატანათ უშველებელ ხეზე აფორთხებულხარ და კისერი ათასჯერ კისაღამ მოგიმტვრევია. ჩამოსულხარ ხიდგან და იმ დროს, როცა ხილის შეჭმას ემზადები, სტაცებს ვინმე ხელს იმ შენს ხილს და ხელიდამ გაცოცებს. შენ გრძნობ, რომ ხილს ველარ შეირჩენ, რომ ის გერთმევა, აი ნახევარიც აღარ გიჭირავს ხელში, აი ორი თითი კიდევ გაგეხსნა, აი ესეც არის გამოგისხლტება ხელიდამ ის ნაწილიც, რომელსაც ნახევრამდი ჩაეჭდო შენი თითები. შენ გრძნობ ამას. და დახმარების, გამარჯვების იმედი არსაით გაქვს. რა გუნებაზე იქნები შენ მაშინ, თუ მა-

რთლა ის ხილი გიყვარს და მისი შერჩენა გულდაგულ გინდა? რა ქეიფზე დაგაყენებს შენ ეს გრძნობა? რა სიმწარე და ბრაზი გამოიხატება შენს პირისსახეზე, განსაკუთრებით თუ ხილის წართმევის დროს, ორიოდე თითი მოგამტვრიეს და მთელი მკლავი დაგილურჯეს? — აი, სწორეთ ამ გუნების და პირისსახის მეჩვენა მე პარიჟელი მუშა ხალხი, როცა იმას გვერდი აუარე, შინ რომ მივდიოდი მოსასვენებლათ.

XII

საუბარი ლუი ბლანთან

მე არაოდეს არ მდომებია „გამოჩენილი კაცების" გაცნობა და მათთან ვითომ — დაახლოვება. მე კარგათ ვიცი, რომ თითოეულ „გამოჩენილ" და მართლათ ღირსეულ კაცს თავისი საკუთარი შეხედულება, რწმუნება, მოაზრება და მიმართულება აქვს, ისე მტკიცეთ ჩაქდობილი მის გონებაში, რომ იმას ვერაფერი ჩემისთანა უმნიშვნელო კაცის მოაზრება და საბუთი ვერ შესცვლის და ვერ შეარყევს. კარგათ ვიცი, აგრეთვე, რომ რაც სახეიროა ჩემთვის ამ კაცების გონებაში, იმისი გამოძებნა და შეთვისება მე პირდაპირ იმათ თსზულებებიდამ შემიძლია. ვიცი კიდევ, რომ იმ „გამოჩენილ პირებს" ბევრი უხეირო „მოგზაურები" აწუხებენ, ნახვით, ლაპარაკით, რჩევით, თუ თხოვნით, მარტო იმ განზრახვით, რომ შემდეგ იმის თქმა შეეძლოთ — მე ამა და ამ გამოჩენილ პირს ველაპარაკე, ამა და ამას ვიცნობო. ამ მიზეზებით და ზოგი სხვებითაც, სამზღვარს გარეთ რომ პირველათ გავედი მე კანონათ დავიდე, რომ არც ერთს „გამოჩენილ პირს" არ გავიცნობ, არც ერთს არ დაუახლოვდები, თუ ვინიცობაა რამე ნამდვილი, პრაქტიკული და უცაბედი საქმე, ან შემთხვევა მე იმათთან არ შემყრის მეთქი. დღეს შემიძლია გამოვტყდე, რომ ჩემის მხრით ეს ნამეტანი სიამაყე იყო: მე ვთაკილობდი უსწორ-მასწორ ცნობას, და არ მინდოდა რომ ვისმეს იმ ბობჩინსკით მივეღე, რომელიც — გამოჩენილი პირების კარდაკარ დაეთრევა და ატყობინებს — „ამა და ამ ქალაქში ესცხოვრობ მე, პომეშჩიკი პეტრე ივანეს ძე ბობჩინსკიო!"

პარიჟში, 1865-ში, ერთმა ჩემმა ნაცნობმა რუსეთელმა მწერალმა მითხრა, აქაურ მწერლებში ვინც გინდა გაგაცნობო, ტყუილა უბრალოთ დროს რომ ჰკარგავ ათი თუთხმეტი უხეირო წიგნის გადაკითხვაში რომ ერთს ხეირიანს წააწყდეო, სჯობს იმ ნაცნობების შემწეობით და რჩევით სწავლობდე და დროს იზოგავდეო. მაგრამ, რადგანაც მაშინ მე იმისთანა სწავლას ვადექი, რომელშიაც ყველა-

ზე უმთავრესი საჭიროება ჩემთვის სხვა და სხვა ჩემი აზრის წინააღმდეგი მიმართულების გაცნობა და განხილვა იყო, და რადგანც მე მეშინოდა ჩემი აზრის თავისუფლება შეუნიშნავათ არ შემეწირა რომელიმე წვრილმანი, ან ვიწრო მიმართულობის, ამ შეხედულობის საესარგებლოთ, მე იმას დიდი მადლობა და უარი უთხარი. ცოტ-ხანს შემდეგ მე რუსულათ უნდა გადმომეთარგმნა ლუი ბლანის ერთი თხზულება, და ამისთვის დამჭირდა მისგან ხელნაწერების მიდება. მე იმ ჩემ ნაცნობს ვთხოვე ლუი ბლანს წიგნი მომიწერეთქო. თუმც უწინაც ცოტაოდნათ და უცაბედათ გაცნობილი ვიყავი იმასთან ორიოდე საერთო ლონდონელი ნაცნობების გამოისობით. იმ მწერალმა ჩემი თხოვნა ნამეტანი გადაჭარბებითაც აასრულა.

პარიეში ორი კვირა რომ გავატარე და იქაურ საქმეებს კარგა მტკიცეთ დავაკვირდი, ძლიერ ბევრი უსიამოვნო და სამწუხარო დასკვნა გამოვიყვანე და დაღონებით შევნიშნე, რომ ეს დასკვნები, რომელიც ჩემთვის უეჭვო და ბეჯითი ჭეშმარიტება იყვნენ, იქაურ მწერლებს და მოთავეებს არაფრათ მიაჩნდათ. რადგანაც გაზეთებში ამ დასკვნებზე მე ვერაფერი პასუხი და ხსენება ვერ ვიპოვე, მოვინდომე ორი მხრით გამომეკვლია ჩემი საკუთარი აზრი და სხვების შეხედულებასთან შემეფარდებია. გამესინჯა და შემეტყო ვცდებოდი ჩემს დასკვნებში, თუ არა. ამ აზრით მე ის უწინდელი წიგნი გავიხსენე და ერთის მხრით ლუი ბლანის ნახვა დავაპირე, და მეორეთი სხვა, უფრო ახალგაზდა მწერლებისა..

ხელახლავ უნდა გავიმეორო, მკითხველს წინათვე ვაფრთხილებ, რომ ლუი ბლანის, ან სხვა გამოჩენილი პირის ნახვა სრულიად ძნელი საქმე არ არის, და იმასთან საუბარი არავის რაზე გასაოცარ შემთხვევათ არ უნდა მიაჩნდეს. ყოველ მწერალს, ყოველ მგზავრს შეუძლია მივიდეს რომელ გამოჩენილ მწერალთანაც უნდა, თავისი კარტოჩკა გაუგზავნოს, და მოელაპარაკოს, უთხრას თქვენი აზრის გაგება მსურს ამა და ამ საქმეზე, ან საგანზეო, და ყოველი გამოჩენილი მწერალი დიდის სიამოვნებით აასრულებს ამისთანა თხოვნას და სურვილს. ამისთვის კაცს არც პირადი ნაცნობობა სჭირია, არც ვისიმე რეკომენდაცია, არც ერთი, არც მეორე. მაშასადამე მკითხველს ვთხოვ, რაც დაბლა დაწერილია ის მარტო უბრალო, თითქმის გაუცნობელი პირების საუბრათ ჩათვალოს, და არ დაივიწყოს, რომ ჩემი მხრით არაფერი არც ღირსების, არც ცნობის, არც ნდობის, არც მნიშვნელობის, არც ჭკუის, არც ცოდნის საჭიროება არ ყოფილა ამ საუბარის გასამართველათ. რომელიც უნდა მისულიყო ლუი ბლანთან ჩემი მკითხველებთაგანი, ფრანციულ ენაზე ხეირიანათ მოლაპარაკე, იმას სწორეთ ისე მოექცეოდა, ან თითქ-

მის ისე, როგორც მე მომექცა. შემიძლია, ამასთანავე დავარწმუნო მკითხველი, რომ ამ საუბრის შემდეგ მე არც ჩინი მომცემია, არც ღირსება რამე მომმატებია, არც რქები გამომსხმია. მე ისევ ის კაცი დავრჩი, როგორიც უწინ ვიყავი, და როგორიც, იმედი მაქვს, ყოველთვის ვიქნები.

დილის რვა საათი იყო, როცა ლუი ბლანის სადგომზე მივედი. მესამე ეტაჟზე ავედი და მისი ელზასელი გოგოს ხელით ჩემი კარტოჩკა შეუგზავნე. გოგო მაშინვე დაბრუნდა, ნიადაგი სიტყვით — „მობრძანდითო". შევედი სასტუმროში. მივიხედ-მოვიხედე, წიგნების შკაფები დავათვალიერე, ხუთიოდე ჩინებული გრავიურა და ორი თუ სამი გამოჩენილი მწერლების სურათი და ბიუსტი გავშინჯე. ლუი ბლანის ბიბლიოტეკა საფრანგეთის მწერლობის დედათხზულებებიდგან და დიდ-რევოლუციაზე დაწერილ თხზულებებიდამ იყო შემდგარი. ოთახი დაბალი, მაგრამ გემოვნებით მორთული იყო. პატრონის გემოვნებას აქ უბრალოების და ერთფეროვნების ბეჭედი ედო. მინდოდა კარგათ დამეთვალიერებია ყველაფერი, რომ ამ ნივთების და სურათების შეთანხმებას ჩემთვის პატრონის გემოვნება და ხასიათი დაენახვებია. მაგრამ კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა მეტის მეტათ დაბალი, პაწაწა მოხუცი, მთლათ ერთიანათ პირმოპარსული, მეტის მეტათ ცოცხალი და მოძრავი თვალებით, დიდი და სასტიკათ გამომხედველი ცხვირით და ჩინებული ფართო, მაღალი შუბლით. ლუი ბლანი შავათ ჩაცმული იყო, თავიდამ ფეხებამდი. არავიცი ამ შავი ტანისამოსის ბრალი იყო, თუ წვერ-ულვაშ მოპარსულობის, თუ ნამეტნათ მოძრავი თვალების, თუ ჩამოშვებული ცხვირის, თუ ტუჩის ერთნაირათ ჩაკვნეტის, მაგრამ იმისმა პირისსახემ ჩემზე ისეთი კარგი შთაბეჭდილება არ მოახდინა, როგორსაც ველოდი. მე არ მიამა ის საზოგადო შთაბეჭდილება, რომელიც მის გამოსვლაზე ვიგრძენ, და რომელიც იმას ჩამოგავდა, თითქო მის მაგიერ პატრი გამოსულიყო, ანა და ჩვენი.... იმან იმ წამსვე შეამატყო ეს, პირდაპირ ჩემთან მოვიდა და პირდაპირვე, ჩვენში რომ იტყვიან თვალი თვალში გამიყარაო, ისე შემომხედა. ამან, ცოტათი არ იყოს დამამშვიდა, და მე მაშინვე უთხარი — რასაც ყველა ამ შემთხვევაში ამბობს—რომ სასიამოვნოა თქვენი ნახვა... მინდა თქვენი აზრი შევიტყო... როგორ გგონიათ... რას ფიქრობთ... და სხვ. მაგრამ თანვე დაუმატე, რომ საჭიროთ ვრაცხ რამდენიმე შენიშვნები წარმოგიდგინოთ და თქვენგან მათი ახსნა მივიღო მეთქი.

Mon dieu, მითხრა ლუი ბლანმა, ჩემი აზრი ხშირათ გამომითქვამს ჩემს უკანასკნელ სტატიებში და სიტყვებში, მაგრამ ღღეს შემიძლია დაუმატო, რომ ჩვენი საქმე. ჩემი აზრით, ძლიერ კარგათ

მიდის. თქვენ, რასაკვირველია, გეცოდინებათ გუშინდელი კენჭის ყრის-ამბავი: სამივე დეპარტამენტში ჩვენი პარტიის წევრები აძლიერჩიეს, და საფრანგეთი თან და თან უფრო და უფრო ხმა მაღლა აჩენს თავის გარესაუბლიკელებას. ეხლა ჩვენ დღითი-დღე უფრო ვძლიერდებით, და მე იმედი მაქვს, რომ დღეის იქით დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ — რესპუბლიკა დაარსებულია ჩვენში. ან კი სხვაფრივ როგორ იქნებოდა. თქვენ იცით, რომ მონარხიელები სამ უმთავრეს პარტიათ არიან განაწილებული. შამბორის გამეფებას ორლეანისტები და ბონაპარტისტები ეწინააღმდეგებიან, ორლეანის პრინციის ტახტზე გაყვანას — ლეგიტიმისტები[33] და ბონაპარტისტები, და ნაპოლეონის დაბრუნებას ორივე საკოროლევო პარტიები. მაშასადამე, ჩვენს რესპუბლიკელ პარტიას ყოველი სამეფო კანდიდატის წინააღმდეგ ორი მონარხიელი პარტია ეყოლება დამხმარეთ და მოკავშირეთ. მაშასადამე, ტახტზე გასვლა, ვინაც უნდა იქნეს, შეუძლებელი საქმეა... მართალია, ამბობენ, რომ შამბორს შვილი არა ჰყავს და ორლეანელებს მასთან შერიგება და მისი მემკვიდრეობის მოცდა შეეძლებათო, მაგრამ ორლეანელების პრინციპი ყველაფერში ეწინააღმდეგება შამბორისას. ამიტომ რომ ორლეანელი პარტიის ესე იგი „ბურჟუაზიის“ სარგებლობა პირდაპირ წინააღმდეგია ლეგიტიმური პარტიის, ესე იგი არისტოკრატიის ინტერესებისა. პრინციპების დაახლოვება და შერიგება შეუძლებელი საქმე არაა, მაგრამ რითი დაათანხმებს კაცი ბურჟუაზიას არისტოკრატიასთან? ეს ბუნების წინააღმდეგი. დათანხმება იქნება, ეს ერთ, თვეს გაძლებს, თუნდ ერთს წელიწადს. მეტს კი არასოდეს! მე ბევრათ უფრო ბონაპარტიელების მეშინია. ესენი უფრო გამბედავი და უსინდისო ხალხია, იმათ ფულები ბლომათა აქვთ და ხალხშიაც იმათ უფრო მეტი გავლენა აქვთ. ვინემ დანარჩენ მონარხიელებს. ეხლა, წარმოიდგინეთ, ხალხი რომ ამნისტიას თხოულობს და ამ უბედურების დახვრეტას სწყეველის, ან ამოდენა საცოდავების დატუსაღებაზე და დაკარგვაზე სჩივის. ბონაპარტიელები ხალხში სმენს ჰყრიან, აი ნაპოლეონი რომ ტახტზე იჯდეს, მაშინვე ამნისტიას გამოსცემდაო, ყველას აპატიებდაო, დახეთ, თქვენი საყვარელი რესპუბლიკა ხალხს და მუშებს რა გასაჭირს აყენებსო, ნაპოლეონს ამოდენა ხალხი როდის ამოუჟლეტია, ან დაუტუსაღებიაო. აი, ესაა ძნელი საქმე. ვაი თუ იმან გადაიბიროს ხალხის გული. ამ ბურჟუაზიას რომ ვერ გავუგებინე, რომ თუ იმას იმპერიის ხელახლა დაარსება არ სურს, ამნისტია უნდა გამოსცეს, სამხედრო უფლების ხელიდამ დეპარტამენტები და პარიჟი უნდა გაათავისუფლოს... მაგრამ, ეხლა ბონაპარტიელები ვერაფერს გაბედვენ, ისინი კარგა ხანს

მოიცდიან, და მანამდი კი იმედია, რომ ეს კრება დაიშლება და მომავალი კრება უფრო რესპუბლიკელი იქნება სულითა და გულით. ის ამნისტიას გამოსცემს და რესპუბლიკას საბოლოოთ დააარსებს. ამ ეხლანდელ კრებაზე კი იმედი გაწყვეტილია.

ლუი ბლანი სუფთა ენით ლაპარაკობს, ჩინებულათ, ლოგიკურათ. მე არ მინდოდა მისი ლაპარაკი შემეწყვიტა, და როცა ის შეჩერდა და შემომაჩერდა, თითქო უნდოდა გაეგო „გეყო თუ არაო", მე დაწუნარებით უთხარი:

— ფორმალური მხრით ეს თქვენი შეხედულება სრულებით შეურყეველია. მაგრამ რომ წარმოვიდგინოთ, ვითომ ეს ფორმალური, კანონიერი წესი შეფერხდა, — ვთქვათ რამე უეცარი შემთხვევით, მაგალითად ტიერის სიკვდილით, მაშინ? ან უფრო ბეჯითად გკითხავთ. რომ წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე მონარხიელი პარტია დარწმუნდა, რომ ორიოდე სამინისტრო, — სამხედრო და შინაგანი საქმეების — მის ხელშია, და მოინდომა ამ ნამდვილი ძალით სარგებლობა და დანარჩენი პარტიების ალაგმა, ან დაფანტვა, მაშინ რა მოხდება?

— ამას თქვენ იმიტომ ამბობთ, რომ საფრანგეთს კარგათ არ იცნობთ. დღეს ეს ძალადობა შეუძლებელი საქმეა, დღეს ამას ვერცარავინ გაბედავს, არც ხალხი ეიტანს.

— საფრანგეთს, მე მართალია, არ ვიცნობ, მაგრამ ამ ოცი წლის წინეთ ამისთანა შემთხვევა მოხდა პარიეში და გამბედავიც ბევრი გამოჩნდა მაშინ და წამყრუებელიც. თქვენ იტყვით მაშინდელი საქმე სხვა იყო და დღევანდელი სხვაა. მაგრამ დღეს, ჩემი აზრით, თუ გადასხვაფერებულა რამე, უარესათ გადასხვაფერებულა თქვენი პარტიისთვის, და არა საუმჯობესოთ. მაშინ ხალხს იარაღი მაინც ჰქონდა. რომ მოენდომებია, წინააღმდეგობა მაინც შეეძლო, და დღეს, მთელი პარიეი რომ დაიაროთ, მთელი საფრანგეთი რომ შეჰკრიბოთ, ჯარს გარდა ორასს თოფს ვერ იშოვით და ათას სროლა ტყვია-წამალს. მიტრალიეზებს და შასპოს ეს იარაღი ვერ დაუდგება, მგონია. დღეს ნაციონალური გვარდია ყოველგან იარაღ-აყრილი და დაფანტულია, და ხალხი თქვენ ვერსალის კრებას იმავე თვალით უყურებს, იმნაირათვე აძაგებს, როგორც 1851-ში ნაციონალურ კრებას ეპყრობოდა. რისი იმედი გაქვთ, ვთქვათ, მაკ-მაჰონმა რომ მოინდომოს თავისი ჯარის დახმარებით ნაპოლეონის ან შამბორის გრაფის დასმა საფრანგეთის ტახტზე?

— ეს შეუძლებელია. მაკ-მაჰონი პატიოსანი და კეთილი კაცია. ის სენტ-არნოს და პერსინის როდი ჰგავს.

—მაგრამ ის „გულკეთილი" და ტვინ სუსტი კაცია, როგორც

მის მოქმედებიდამ სჩანს. იმას ყველა აიყოლიებს, ყველა დააბრმავებს და მოიხმარს. ამისთანა კაცები უარესათ საშიშარი არიან, ვინემ ომალის ან ჟუანვილის პრინცები.

— მაშინ საფრანგეთს რესპუბლიკა არ სურდა, დღეს კი მისი სიმპატია რესპუბლიკელი პარტიისკენ არის.

— მართალია, მაგრამ ტყავის შეკერვა შესაძლებელია ამ სიმპატიიდამ. მე ის მინდა გავიგო, რამოდენ მატერიალურ ძალას, რამოდენ ნამდვილ დახმარებას წარმოადგენს ეს სიმპატია. რამდენი დაგეხმარებათ, რამდენი მოიკლამს თავს დღეს რესპუბლიკის სახელისთვის. თქვენ კარგათ იცით, რომ ძლიერ ცოტა, ერთი იმიტომ, რომ იარაღი არავისა აქვს, მეორე იმიტომ, რომ დღეს, ხალხი დაღალულია, მერმე-და ყველაზე უფრო იმიტომ, რომ მისი ილუზია, მისი რწმუნება რესპუბლიკის სახელში ფრთა მოკვეთილი და შესუსტებულია, განსაკუთრებით პარიჟში.

— ამაში თქვენ შემცდარი ხართ, გარწმუნებთ. პარიჟელმა ხალხმა კარგად იცის, რომ ეხლანდელი მმართველობა რესპუბლიკის მტერია, რომ რესპუბლიკელ პარტიას რომ ებაროს მისი მმართვა, სულ სხვანაირათ მოიქცეოდა, სულ სხვაფრივ მოეპყრობოდა ხალხს. ვინ არ იცის, რომ ჩვენ სულ სხვა სამმართველო სისტემა და მიზანი გვაქვს, ვინემ ტიერს. არც ერთი პარიჟელი ამაში არ შეცდება, და ამით აიხსნება ჩვენი კანდიდატების ნიადაგი გამარჯვება. თქვენ უცხოქვეყნელი ხართ, თქვენ საფრანგეთს წიგნებით და გაზეთებით იცნობთ, თქვენ ჩვენი ძველი ისტორია იცით, და იმიტომ შინდებით, გგონიათ, რომ ხალხი ვერ ხედავს იმას, რაც ჩვენში ყველას თვალწინ აქვს.

— ჭეშმარიტია. მე სწორეთ წიგნების და განსაკუთრებით ისტორიის შეხედულებამ დამაფიქრა. წარმოიდგინეთ, რომ ჩემს თვალში ეხლანდელი თქვენი ისტორია სწორეთ ისე იხატება, როგორც 1848 წლის ამბები. მას აქეთ, რაც ბორდოში ნაციონალური კრება შეგროვდა, თითოეული თქვენი ისტორიის ნაბიჯი მე 1848—1851 წლის ამბებს მახსენებს. ნაციონალურმა კრებამ ეხლაც, როგორც მაშინ, პარიჟელი ხალხი საგანგებოთ გააქეზა, საბრძოლველათ გამოითხოვა და დაამარცხა, დააუძლურა. უმჯობესი თქვენი პარტიის წევრები, ისინი, რომელნიც მის ნამდვილ ძალას, მკლავს შეადგენდნენ — დახვრიტეს ან დაატუსაღეს. მოძრავი, აღმტაცი მუშა ხალხის უმჯობესი ნაწილი ამოჟლიტეს და დაკარგეს. იარაღი მობოჭეს და შეინახეს. ამით პარიჟელი ხალხი, რომელიც მონარხიელებს რესპუბლიკის მომხრეთ და ბურჯათ მიაჩნიათ, საბრძოლველათ გამოსვლას ველარ გაბედავს, ის დღეს — პოლიტიკურათ — აღარ არსებობს.

ვამარჯვების შემდეგ, ატყდა ბრძოლა კრებასა და აღმსრულებელ უფლებას (ტიერს) შუა, როგორც უწინ კრებასა და ნაპოლეონს შუა. როგორც უწინ, დღესაც უპირატესობა კლერიკალურ მიმართულებას ეძლევა. ჯარის უფროსობა მონარხიელებს ჩააბარეს. პრეფექტებათ ყოველგან მონარხიელები დანიშნეს, ყველა გავლენიანი ადგილები მონარხიელებს დაურიგეს. ფოსტა, ტელეგრაფი, შინაგანი საქმეების სამინისტრო, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ქვეყანაში ნამდვილ ძალას და იარაღს შეადგენს — მონარხიელებს აქვთ თავიანთ ხელში. ხალხი დამშეული და დასჯილია, დეპუტატები და სამსახურის ან პატივის მაძიებელი პირები დამშეულათ. ლაქიებსავით, ელიან ბატონის მობრძანებას, რომ პენსიები და შემოსავლიანი ადგილები დაირიგონ. სწავლას, ახალგაზდობის აღზრდას, საზოგადო ყრილობებს, წერა-ბეჭდვას ლაგამი აქვს ამოდებული. თქვენ, დეპუტატებს, სიტყვის ამოღების უფლებას არ გაძლევენ. როგორ გგონიათ, რა შედეგი უნდა ჰქონდეს ამაებს? თუ კი ერთი და იმავე გარემოებებიდამ ყოველთვის ერთი და იგივე შედეგი გამოდის, ცხადი არ არის, განა, რომ თქვენი მდგომარეობა მეტის მეტათ საშიში და საძნელოა?

— ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ თქვენ მოაზრებას ერთი გარემოება აკლია. ისეთი, რომელიც ყველაზე უფრო შესანიშნავია. და რომელიც, თავისი ძალით, მთელ დასკვნას სცვლის. მაშინ ხალხს ორნაირი მონარხია გამოცდილი ჰქონდა, მაგრამ მესამე კიდევ სწამდა: იმპერია მაშინ ხალხის თვალში დიდი რამ იყო. დღეს ეს რწმენა აღარ არსებობს. დღეს ყველასთვის ცხადია, რომ მარტო რესპუბლიკაა სასურველი და შესაძლებელი.

— ღმერთმაც ქნას. მაგრამ მე ის კი შევნიშნე, რომ არც ნამეტანი თქვენ პარტიას უქნია ამ ხალხის გულის მოსაგებლათ. რა გაურიგა რესპუბლიკურმა პარტიამ ხალხს, სანამ მმართველობა ამ პარტიის ხელში იყო? — ხომ სრულიად არაფერი? თქვენ იტყვით — გარემოება ნებას არ აძლევდაო, მაგრამ ამას კრებაში იტყვით, და არა ჩემთან: მე ხომ თქვენი თხზულებები წამიკითხავს, და ვიცი, რომ თქვენივე აზრით რესპუბლიკელ პარტიას ხეირიანი მოთავეები რომ ჰყოლოდა უმეტესის გარიგება შეეძლო. მაშ განვაგრძობ. როგორც 1848-ში, ეხლაც რესპუბლიკელმა პარტიამ, გაიმარჯვა თუ არა, თავისი ძალა დაივიწყა და სხვისას ტრფობა დაუწყო. გამბეტამ, იმის მაგიერ რომ ხალხის ენერგია აღედგინა და მკრთალი მოწინააღმდეგეები კარგა ლაზათიანათ აელაგმა, იმათი გულის დაშოშმანება მოინდომა. ხუთი თვე იმან მარტო იმას მოანდომა, რომ ბურჟუაზიისთვის თავისი თავი ზომიერ და მშვიდობიან კაცათ და-

ენახვებია, თითქო ბურჟუაზია, ან არისტოკრატია იმას მის ზომიერებას რათმე ჩაუთვლიდა და მაშინვე მის სისუსტეს არ მიაწერდა. მაგიერათ ხალხს გული დაეჩაგრა, მის სურვილს და აღტაცებას ცივი წყალი გადაესხა... ასე არ იყო, განა 1848-შიაც? ასე არ მოიქცა მაშინ ლედრიუ-როლლენი და კავენიაკი, არაგო და ლამარტინი? — მაგრამ მაშინ ხალხი გრძნობდა, რომ ლამარტინი ერთია, და ლუი ბლანი — მეორე, რომ არაგოს ერთი უნდა, და კონსიდერანს — მეორე. დღეს კი ის ამას ვეღარ ატყობს. დღეს ლუი ბლანი გამბეტას გვერდში უნდა უდგეს — თქვენი მდგომარეობის ტრაგიზმიც ამაში მდგომარეობს. იმაზე უარესი რაღა იქნება, რომ თქვენი პარტიის წინამძღოლი, ის, ვისი გავლენა თქვენ თვითონ უნდა აძლიეროთ, ხალხს ეუბნება „საზოგადოებრივი კითხვა“ არ არსებობსო. მოგწონს თქვენ ეს? კარგი შედეგი უნდა ჰქონდეს ამას ხალხის გრძნობაზე? როგორ გგონიათ?

ეს დელიკატური კითხვაო, მიპასუხა ლუი ბლანმა.

ეს იმას ნიშნავს, ქრისტიანულ ენაზე, რომ ამისთანა კითხვა არ უნდა მოგეცა ჩემთვისო. პასუხის მოცემა ჩემის მხრით შეცდომა, ან დაუხედველობა იქნებაო, ამიტომ რომ, ან უნდა ტყუილი ვთქვა, ან ამხანაგი უნდა ვაძაგოო. მაგრამ მე მაინც გარდაწყვეტილი მქონდა ჩემი მიზნის მიღწევა და ამ პასუხსაც ველოდი.

— ვიცითქო, უთხარი, და მაინც და მაინც არც თქვენი პასუხი მჭირია, ამიტომ რომ თქვენი პასუხი მე კარგათ ვიცი მეთქი. ვიცი, მაგალითად, რომ თქვენი აზრით გამბეტას მიმართულება და თქვენი საკუთარი სულ სხვა და სხვაა, რომ გამბეტა თქვენთვის შემდეგში მოწინააღმდეგე იქნება, რომ იმის იდეალი ბურჟუაზიული რესპუბლიკაა, რომელშიაც ხალხს თავისუფლება ეძლევა, როგორც უნდა ისე უშველოს თავს და თუ ვერა მოახერხა რა — შიმშილით მოკვდეს. ვიცი რომ თქვენი მიმართულება რესპუბლიკისგან სულ სხვას ელის, უნდა სახელმწიფო ძალა და საშუალება ხალხის ასამაღლებლათ და დასახმარებლათ გამოიყენოს, ხალხს უპატრონოს, გაანათლოს, ფეხზე წამოაყენოს. მაგრამ ამას გკითხავთ, როგორ გგონიათ, ეს ხალხი გაიგებს თუ არა, რომ დიდი განსხვავებაა თქვენსა და გამბეტას შუა? იმაზე რომ იმედი დაკარგოს, თქვენი და თქვენი მიმართულების იმედი გულში ჩარჩება თუ არა? მისი დაცემა ხალხის თვალში თქვენი მიმართულების დაცემა იქნება თუ არა? აი, ამას გკითხავდით წეღან; და ამის ახსნას ვთხოულობ. მგონია, რომ ეს დელიკატური კითხვაა.

— გამბეტას ორნაირი პოლიტიკა და მიმართულება აქვს. კრებაში ის ცდილობს ზომიერებით გააკვირვოს ყველანი თავდაკავებულ

სამმართველო, საპრეზიდენტო პირათ, დიპლომატათ გამოჩნდეს. ხალხის წინ კი ის ისევ ტრიბუნათ, მწვავეთ და მკაცრათ მოლაპარაკე ორატორათ გამოდის. იქნება ეს მართლა საჭირო იყოს. იქნება ასე სჯობდეს, მაგრამ ჩემ ხასიათს კი სხვა ფერი მოქმედება სჩვევია. მე როცა შემიძლია, ვწერ და ვლაპარაკობ რა მიმაჩნია რესპუბლიკის დანიშნულებათ, მაგრამ იმას ეხლა როგორ ვიზამ, რომ ჩემი სიტყვა და გავლენა რესპუბლიკელი პარტიის წინამძღოლის წინააღმდეგ ვიხმარო, ან სხვას ვახმარებინო. რაც უნდა იყოს შემდეგში, დღევანდელი ჩვენი საჭიროება ერთობას თხოულობს, ამიტომ რომ გამბეტას მიმართულება ჩვენი საკუთარი მიმართულების წინა ოთახი, დერეფანია. დღეს ჩვენი ხალხი დაღალულია. დღეს იმას კაცი ვერ აღძრავს. იმას ზომიერება, მშვიდობიანობა, წესიერება სწყურია. ამიტომაც დღეს როშფორს, თავისუფალი რომ იყოს, უწინდელ გრძნობაზე ცეცხლ-წამკიდებელი გავლენა არ ექნებოდა და გამბეტას ზომიერებას კი გასავალი და უპირატესობა ეძლევა...

— სუსტები ყოველთვის დიპლომატიას და ოინობას აწვებიან...

— მაგრამ, რადგანც ჩვენ დამარცხებული ვართ, რადგანც კრებაში მონარხიელების მხრითაა უმრავლესობა და სახელმწიფოს ძალა იმათ ჩავარდნიათ ხელში, ჩვენ თუ გადავარჩენთ რესპუბლიკას — გადავარჩენთ ჩვენი თანხმობით და დისციპლინით. რესპუბლიკელები, რა გინდ სხვა და სხვა ნაირი შეხედულობის და მიმართულობის ვიყოთ, ერთ მიზანს უნდა შეუდგეთ, ერთნაირი მოქმედების პლანით უნდა ვხელმძღვანელობდეთ, ერთ გზას უნდა დავადგეთ, რომ ერთი თავი და ერთი ხელი გვქონდეს. როცა მონარხიელებს დავამარცხებთ, როცა რესპუბლიკა შეურყეველათ დაარსებული იქნება, მაშინ ვნახავთ, როგორი ხასიათი მიეცემა რესპუბლიკას და მის მმართველობას. მაგრამ, რამდენათაც უფრო და უფრო უკვირდები მე ისტორიას, მით უფრო ვრწმუნდები, რომ მარტო შთაგონებით, დათანხმებით, კანონიერი წესით უნდა ვიმოქმედოთ, და ძალადობას, აჯანყებას და ნამეტანს გამბედაობას თავი უნდა დავანებოთ. თქვენ კარგათ იცით, რომ 1848-შიაც ამ შეხედულობამ შემაჩერა, და ამნაირათაც მოვიქეცი. ჩვენ საკმაო იარაღი და ასპარეზი გვაქვს ეხლა ხელში. რესპუბლიკა არსებობს, ნაკლულევანათ, დროებითად, მაგრამ მაინც არსებობს, საყოველთაო კენჭის უფლება ნებას გვაძლევს წესიერათ და კანონიერათ ვავრცელოთ ჩვენი აზრები და დავამზადოთ მათი საბოლოო გამარჯვება...

— მართალია, მაგრამ როცა თქვენი მოწინააღმდეგები შეგამჩნევენ, რომ კანონიერი გზით და იარაღით იმარჯვებთ, ისინი ამ გზას და იარაღს ხელიდამ გამოგაცლიან. როგორც 1850-ში რადიკა-

ლების გამარჯვების დროს, როცა პარიეში ეყენ სიუ და დე-ფლტი ამოირჩიეს, მონარხიელებმა საყოველთაო კენჭის უფლება შეამცირეს და ალაგმეს, ეხლაც ისე მოიქცევიან... ერთი სიტყვით ყოველ კანონიერ იარაღს თქვენ ხელიდამ გამოგაცლიან, რომ უკანონო მოქმედებაზე გამოგიწვიონ და ამოგჟლიტონ. და ამ გამოწვევის დროს თქვენ ნიადაგ უიარაღონი, დაუმზადებელნი და დასუსტებულები გამოდიხართ...

— მაგას ეხლა ველარ გაბედვენ. ნაპოლეონ მესამის გამეფებამ დაამტკიცა, რომ მაგისთანა მოქმედება მარტო ბონაპარტს არგებს, და არა თვითონ მონარხიელებს. ბრმები ხომ არავინაა, ხელმეორეთ ამავე შეცდომაში რომ ჩავარდეს.

— ვნახოთ, ვნახოთ მეთქი. მე კი იმას ვფიქრობ, რომ თქვენი მოქმედება იმისთანა საფუძვლებზეა დამყარებული, როგორც კენჭის ყრის უფლება, მაკ-მაჰონის პატიოსნება, ტიერის თავმოყვარეობა, ბონაპარტიელების გაუბედველობა და სხვ. მაგრამ შამბორი ორლეანელებს რომ შეურიგდეს, მაკ-მაჰონი ან ომალის პრინცი, ან შანგარნიე, ან ბროლი ტიერის ადგილზე რომ დადგეს, ან ერთმა გამბედავმა სამხედრო მინისტრმა რომ მოინდომოს და უკანონობა მოახდინოს, თქვენ ნამდვილი, პრაქტიკული წინააღმდეგობის საშუალება არ გექნებათ, და ძალაუნებურათ დამორჩილება დაგჭირდებათ. ღმერთმა ქნას, რომ ეს დღე თქვენ თქვენს დღეში არ მოგადგეს...

ასე გაგრძელდა ჩვენი მუსაიფი. გადავედით საზღვარგარეთელ (ესე იგი საფრანგეთისთვის საზღვარგარეთელ) გარემოებებზე, გერმანიაზე, მაგალითად, ომზე, მწერლობაზე და სხვ. და სხვ. მაგრამ ამაების აწერა არც ნამეტნათ საჭიროა, არც მეტის მეტათ ადვილი საქმეა.

XIII

„რადიკალის" რედაქციაში

რამდენიმე დღის შემდეგ, ახალნაშუალამევს, ერთი ნაცნობის სახლიდამ რომ გამოვედი და ძილ-გატეხილ კაცსავით ქუჩა-ქუჩა დავსეირნობდი, აზრში მომივიდა „რადიკალის" რედაქტორების სანახავათ ამ გაზეთის სტამბაში შესვლა. როგორც წელან ვთქვი, მინდოდა ჩემი აზრი შემესწორებია არა თუ მარტო მოხუცი მოთავის აზრთან, არამედ ახალგაზრდა მებრძოლების შეხედულებებთანაც.

გიო (ამ გაზეთის უფროსი რედაქტორი) კორეკტურას კითხუ-

ლობდა, როცა მე რედაქციის პაწაწა ოთახში შევედი. სტოლს გარეშემო ხუთიოდე ახალგაზდა უსხდა, ზოგი ოცი, ზოგი ოცდა ხუთის, ზოგი ოცდა ათის წლის ყმაწვილი კაცები. ყველა „რადიკალის" რედაქტორები იყვნენ (საფრანგეთში რედაქტორი ჩვენებურ ნიადაგ თანამშრომელს ჰქვია. ჩვენ რედაქტორს იქ „უფროსს რედაქტორს" ეძახიან). ყველა საქმობდა, ყველას თავი კორეკტურაში ჩარგული ჰქონდა.

— მალე ბაათავებთ, ვკითხე გიოს; თუ დაგაგვიანდებათ, წასვლა მირჩევნია მეთქი.

— მე მეოთხედი საათის საქმე დამრჩა, ბევრი იყოს ნახევარი ხაათისა. მოცდას გაგიადვილებთ: აი ახალი ამბები, წაიკითხეთ.

როცა კორეკტურა გათავდა, გიოს ლაპარაკი ჩამოუგდე მის სტატიაზე, რომელშიაც ტიერზე და გამბეტაზე იყო მსჯელობა და ვკითხე, როგორ მოგწონს გამბეტას გაზეთის შეხედულება ამავე საგანზე მეთქი.

— გამბეტა, მითხრა გიომ, ხასიათით გენუელი, იტალიელია. იმას ის მიმართულება აქვს, რომ პოლიტიკურ პარტიას მაკიაველური მოქმედება უნდა აჩნდესო. რადგანც ჩვენ დამარცხებული ვართ და მეტი სალავათი აღარა გვაქვს, ჩვენც ვაცლით და ვიტანთ ამ მიმართულების ხმარებას. ვნახოთ რა გამოვა. ჩვენ კი პიროვნულათ იმ აზრისა ვართ, რომ რესპუბლიკურ პარტიას ყველაზე უფრო მეტათ, ვინემ რომელიმე სხვა პარტიას, ნათლათ გამოხატული მიზანი ეჭირვება, სწორე გზა და პირდაპირი მოქმედება. მაგრამ, ვიმეორებ, მეტი დღეს ჩვენ არა შეგვიძლია რა. გამბეტა ძალაა; იმას ხალხში სახელი აქვს, ის ყველას რესპუბლიკის მოთავეთ მიაჩნია. ჩვენც — მონარხიელების პირის-პირ რომ ვდგევართ, მეტი რაღა ღონეა, უნდა გავჩუმდეთ. მაგრამ გამბეტას ერთი სიკეთე უქნია ჩვენი პარტიისთვის. იმან და მისმა მეგობრებმა (რანკმა, ალანტარ-ჟემ. სპულერმა და სხვ.) დააარსეს ჩვენს პარტიაში პ ა რ ტ ი უ ლ ი დ ი ს ც ი პ ლ ი ნ ა და ერთი მიზნის ძიება, ერთ რაზმათ დგომა. იმათ შეაერთეს ჩვენი დაფანტული ძალა და მორთეს ის ჭახრაკი, რომელიც ეხლა ჩვენ, რადიკალებს, თითქმის ნიადაგ გვამარჯვებინებს კენჭის ყრის დროს. ჩვენი თაობის ძალა დღეს მეტის მეტად სუსტია. ხეირიანი მოთავე დღეს არავინ გვყავს, მაგრამ, როგორც თქვენ იცით, ძლიერ გულმოდგინეთ შრომობს და მოქმედებს ახალგაზრდობა როგორც პარიჟში, ისე, განსაკუთრებით, პროვინციებში. დღეს ჩვენი მზადებაა, და ათი წელიწადი არ გაივლის ისე, რომ ჩვენს მიმართულებას ძალა და გვარიანი მნიშვნელობა არ მიეცეს. მაქნამდი კი ჩვენ ვერაფერს მოვახერხებთ და ძალა-უნებურათ

უწინდელი თაობების მოთავეებს უნდა გავყვეთ, თუმც კარგად ვხედავთ, რომ ხეირიან გზაზე ვერ ვდგევართ, რომ შემცდარი შეხედულების არიან ეხლანდელი მოთავეები. ჩვენ ისიც გვჭირს, რომ რაკი რესპუბლიკელი დეპუტატათ ხდება, მაშინვე ხმას იწყვეტს და მეტის მეტათ თავდაკავებული კი არა, ხმა ჩამწყდარი ხდება. რომ ვეუბნებით — აი რა დაბრკოლებას გვიმზადებენ, რა მახეს გვიგებენ მონარხიელებიო, საჭიროა ეს ოინი ხალხს დაანახოთ და გამოუაშკარაოთ თქო, ისინი გვიპასუხებენ: არაფერია, დარდი ნუ გაქვთ,, ყველაფერი კარგათ გათავდებაო, თითქო იმათ ეძინოთ... ჩასცივებიან ეს დალოცვილები ტიერს და ზეცამდე ამაღლებენ. ის კი გაყინულა 1822 წ. აზრებზე, და რაც კი საფრანგეთისთვის დღეს მომავლიან საქმეს და აუცილებლათ საჭირო ცვლილებებს შეეხება, ყველაფერში საქმეს ახდენს და ძველ შეხედულებას ემონება. ჯარის გამოწვევის კანონი წაახდინა: თითქმის ყველაფერში უწინდელი გაწყობილება დასტოვა; დამოუნის და ბაჟის თაობაზე ადამის წლის შეხედულებისამებრ გამართა საქმე; მწარმოებელი შრომა შეამცირა, ფაბრიკები დაამხო, სასწავლებლები უწინდელ კილოზე დასტოვა, ერთი სიტყვით ყველაფერში ძველი წესი შეარჩინა. ეხლა საფრანგეთში შესაძლებელი იყო ისეთი ცვლილებების მოხდენა, როგორებსაც სხვა დროს, სხვა გარემოებებში, საფრანგეთი არცკი მიიკარებდა. სანამ ყველას გონებას ცხადათ და მწვავეთ აჩნია ჩვენი უწინდელი ჯარის და წესის დამარცხება და უვარგისობა, სანამ არ ამოხოცილა ძველებური ადმინისტრაციის და გაწყობილების ზიზღი, საზოგადოება უარის უთქმელათ, თითქმის აღტაცებით მიიღებდა ყოველნაირ ცვლილებას, ყოველგვარ ახალ-შემოღებულ სისტემას, ოღონდ კი იმას მიზნათ საფრანგეთის გაღვიძება და ამაღლება ჰქონოდა. ტიერი ამას აბა როგორ და რა ნაირათ გაიგებდა? ის გამოზდილა 1822 წლის აზრებით, მისი ტვინი გაყინულა მაშინდელი მიმართულებით, ის არ იცნობს და ვერც გაიგებს თანამედროვე, ეხლანდელ აზრის მოძრაობას. ახალი მეცნიერების შრომა ახლათ ნაპოვნი საშუალებები და გზები იმას დაბრმავებათ მიაჩნია. რაც არ უთქვამს კუვიეს და ბარონ ლუის, რაც არ უქია ჟან-ბატისტ-სეის და ბენჟამენ კონსტანს, რაც არ გამოუკლევია ნაპოლეონს და ჟომინის, ის ტიერისთვის როდი არსებობს. მოხუცებულ, ბებერ კაცში ეს ადვილათ გასაგებია. მაგრამ რითი ავხსნათ, რომ ახალგაზდა რესპუბლიკელებშიაც ბევრს სჩვევია ესვე ნაკლულევანება? რითი ავხსნათ, რომ გამბეტაც ხშირათ ამავე „გაყინვას“ ემორჩილება? საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ საფრანგეთში ყველა რომელიმე წელიწადზე, რომელიმე წერტილზე შეჩერებულა და გაქვავებუ-

ლა. ზოგი — როგორც ტიერი ან დიუფორი — გაქვავებულან 1822-ზე, ზოგი, მაგალითად რემიუზა და Débats-ის რედაქცია — 1830-ზე, ზოგი როგორც ლუი-ბლანი — 1848-ზე, ზოგი — 1869-ზე, ზოგი — 1870-ზე; ზოგი კი კომუნაზე. და ყველა ეს გაქვავებულები საფრანგეთს ჩასცივებიან და სურთ ის თავიანთ გაქვავებულ წერტილისაკენ მიაბრუნონ, თითქო იმ წერტილში იყოს საფრანგეთის შველა და ხსნა. ამისთანა გონება კი იშვიათია ჩვენში, რომელიც არ გაქვავებულ ან არ გაყინულიყოს ერთ რომელიმე წერტილზე, რომელიც მომავალს შეჩერებოდეს, მეცნიერებას იცნობდეს, თანამედროვე ცხოვრებას იკვლევდეს და დაუღალავათ, დაუბრმავებლად ხმარობდეს ყოველ საშუალებას და ძალას, იმ მიზნით, რომ საფრანგეთი წარსულისკენ კი არა, მომავლისკენ წასწიოს, მომავლის ეშხით აავსოს და მომავლის სიკეთით დაატკბოს.

— მაშ თქვენი იმედი ნამეტნათ საფუძვლიანი არ ყოფილა, თქვენც ჩემსავით დიდი ეჭვი გქონიათ ეხლანდელი მდგომარეობის და მოქმედების მეთქი.

— ძლიერ დიდი, ძლიერ, — ისეთი, რომ უიმედობა რომ დავარქვა, ნამეტნათ როდი შევცდები. მაგრამ იმედით სავსე კაცის შრომა ერთობ ადვილია. იმედი მკვდარსაც კი აღვიძებს. საქმე იმაშია, რომ უიმედოთაც შრომობდეს კაცი, უიმედოთაც იბრძოდეს, იმ მიზნის სასარგებლოთ, რომელიც იმას პატიოსან და სასურველ საგნათ მიაჩნია... და თუმც ჩვენი საქმე, ჩვენი მიზანი ჩვენთვის იქნება მიუღწეველი იყოს, მისი საბოლოო გამარჯვება, მისი სანიადაგო დაარსება ხომ უეჭვო და მტკიცეა მომავალში. ამისგამო ჩვენ ვიბრძვით, ჩვენ ყოველს ღონისძიებას ვხმარობთ, რომ ჩვენი მიმართულება, რომელიც დღეს სუსტი და უიმედოა, შემდეგში, მომავალი თაობისთვის, მომავალი მოთავეების ხელში, ყოვლის მძლეველი და შეუმუსვრელი შეიქნეს, — აი ჩვენი პროგრამა და ჩვენი იმედი.

1873

6. საწყალი ბანკი!

ვთქვათ — ახალ წელიწად დღეს არაკით ლაპარაკი მიღებულია — ვთქვათ მოვიდა შენთან, მკითხველო, ოთხიოდე შენი ნაცნობი და გთხოვა ერთი წყვილი წაღა შეგვიკერეო. რას ეტყვი შენ ამ ნაცნობს? დაუფიქრდები დიდხანს, სანამ ამ სიტყვებს ეტყვი:

— ძმობილო მამა არ მყოლია ხარაზი და მე თვითონაც, წაღის კერა კი არა, დაკერებაც არ მისწავლია; თუ ხეირიანი წაღა გინდა, წადი და ხარაზს შეუკვეთე.

ხომ ამას ეტყვი იმ ახირებულ ნაცნობებს და ხომ შენ დღეში აზრადაც არ გაგიელვებს თავში ამ ნაირი შრომის კისრობა, თუ მართლა და ნამდვილათ ხარაზის ხელობა ზედმიწევნით არ გისწავლია?

ხარაზობა იქით იყოს, ქუდის ან ტანისამოსის შეკერვა რომ გთხოვოს ვინმემ, ან მიწის დაბარვა, ან ჭის მოთხრა, ან — თუნდ — ცეკვა, ხომ ყოველთვის ერთნაირი პასუხი და აზრი გექნება — არ მისწავლია, ძმაო, არ ვიცი ვერ ვიკისრებო?

ხომ როგორც შენ თვითონ თავიდან იცილებ იმ გვარ შრომას, რომლისთვისაც მომზადებული არ ხარ, სხვაშიაც დასძრახამ თერძობას, თუ თერძი არ არის, ან დურგლობას, თუ დურგლობა არ უსწავლია?

მაშ ეხლა ეს მითხარი, თუკი ჩვენში არავინ არც ხარაზობას, არც დურგლობას, არც თერძობას იკისრებს, თუ ეს ხელობა არ იცის და არ უსწავლია, რითი აიხსნება ის უცნაური გარემოება, რომ ყოველთვის, როცა კაცი მოგანდობს შენ ათასჯერ უფრო ძნელ შრომას, საქმეს, ჯაფას, შენ სუბუქი გულით და დამშვიდებული სინიდისით ამ შრომას და საქმეს კისრულობ, მისი ასრულების მოვალეობები, და იმას კი არაოდეს კითხულობ, თუ რა საქმე და რა შრომა მოგენდო, იცი მისი ასავალ-დასავალი, მისი გარემოება, მისი ხასიათი, და შეგეძლება მისი არა თუ ასრულება, გაგება, გამოკვლევა და დაფასება?

რით და როგორ ავხსნათ ის გარემოება, მაგალითად, რომ წაღის შეკერვის უარის მყოფელი კაცი კისრულობს, ვთქვათ, ბანკის და-

არსებას, ან მთელი საზოგადოების, მთელი მხრის და ხალხის ბედის გაწყობას?

ერთი დრო იყო, როცა ჩვენში არც ბანკზე იყო ლაპარაკი, არც ერობაზე, არც სასწავლებელზე, იჯდა მებატონე თავის ოდაში, ჰკრეფდა ბეგარას, სვამდა, სჭამდა, და ხანდისხან, გასართობათ, ან ნადირობდა, ან ქალაქში ჩამოდიოდა მთავრობის დასანახავათ და თავის თავის გამოსაჩენათ. იმ დროს ამ ბედნიერ მებატონეს საქმეთ მარტო ის მიაჩნდა, როცა თბილისში ნამყოფი გლეხი იმას თავისუფლების ძიებას დაუწყებდა, ან მეზობელი ორიოდე ქცევა მიწას მოსტაცებდა. ვინც იმას მაშინ იმისთანა „მაგარ“ არზას და აპელაციას დაუწერდა, რომ ქაღალდს „ქვა გაეხეთქა“ და „საქმე“ მოეგო, ის მისთვის ჭკვიანიც იყო და ნასწავლიც, და გონიერებით, ჭკუით, ცოდნით, მის თვალში, არისტოტელეს თუ არა, პლატონ ფილოსოფოსს ხომ ედროდა. მეტი ცოდნა, სხვა ნაირი სწავლა მაშინ არავის სჭიროდა, არავის გამოადგებოდა...

* * *

ამ დალოცვილ დროში გამოგვიჩნდა ჩვენ ხუთი-ექვსი მეცნიერი. მათი სწავლა — თუ ამას სწავლა ჰქვია — იმაში მდგომარეობდა, რომ უეზდის სასწავლებლის პირველი ან მეორე კლასიდამ ისინი უეზდის სასამართლოში მწერლათ გადადიოდენ, და იქ ექვსი ან რვა წლის განმავლობაში ხან მელანში ბუზებს არჩობდენ და ხან უფროსის ჩექმას სწმენდენ. ზოგი ძველი სეკრეტრების მიბაძვით, ზოგი ძველი არზების კითხვით, დაეჩვიენ აპელაციების წერას, და დაიწყეს გავლენის შეძენა ჩვენ ბნელ საზოგადოებაში, რომლისთვის მათ ღვაწლს, მართალი რომ თქვას კაცმა, არც ერთი იოტის ტოლი სარგებლობა არ მოუტანია, იმიტომ, რომ ისინი ერთს სძენდენ იმას, რასაც მეორეს აკლებდენ. მაგრამ, კარგათ იყო თუ ავათ, სწერეს ამ კაცებმა აპელაციები მთელი ორმოცი წლის განმავლობაში და შეიძინეს დიდი მეცნიერების სახელი და გავლენა.

დროთა ვითარებამ ჩვენი ბედი ისე შესცვალა, რომ ჩვენ საზოგადოებას, მარტო აპელაციების წერა კი არა, სხვა რაღაც „პროექტების“ წერაც მოითხოვა. ეს პროექტები ხან გლეხების და აზნაურების განწყობილებას შეეხებოდენ, ხან საზოგადოების მდგომარეობას, ხან ბანკს, ხან სწავლას, ხან რასა და ხან რას. და ამ მძიმე და დაბურდულ საგნებზე, რომლების განხილვა გაძნელებია ევროპის ჩინებულ მეცნიერებს, რომლებზე თავს იტეხენ პირველი მოაზრენი, დღეს ჩვენში პროექტებს სწერენ ეს ჩვენი კანცელარიის მელანში გათხიპნული ბუზები!

ნეტავ თუ იმათგან ვისმეს აზრათ მოსვლია თავის გულში ჩახედვა, ან ნეტა სინდისიანათ თუ განუხილავს — ერთი მისხლის ტოლა მაინც გაეგება, თუ რა საქმეს კისრულობს, რა შრომას ჰპირდება საზოგადოებას, როცა ამნაირ მძიმე საგნების თაობას იღებს, როცა ამისთანა საქმეში ეჩრება? სად იყო გული, სინდისი!... საზოგადოებას ჩვენ ბრძენებათ, მეცნიერებათ მივაჩნივართ, როგორ გამოვტყუდეთ, რომ ჩვენ ეს საქმე, ან რომელიმე საქმე არ გვესმის, როგორ აღვიაროთ, რომ ვიღაც ბაღნებს, ბავშვებს კი ესმით ეს საქმე და ჩვენ არა! დაიფუშოს კეთილი საქმე, დაიღუპოს მთელი ქვეყანა, ოღონდ კი ის არავინ გაიგოს, რომ ჩვენ ბრძენები და მეცნიერები არა ვართ!

აი, როგორ უკისრიათ ჩვენ ბრძენებს, სხვათა შორის, ბანკის გამართვაც.

რაკი ვნახეთ, თუ როგორ აიღეს იმათ ეს საქმე, ვნახოთ აღების შედეგი როგორია.

ექვსი წელიწადი იბზუეს იმათ კუთხე-კუთხე, თითო-ოროლათ, თითქო საქმეს არიგებდენ. ბზუილი, ენის მიტან-მოტანა, მზადება, წაყრუება — ბევრი იყო, მაგრამ საქმე მაინც არ კეთდებოდა. დღეს, როგორც იქნა, მორჩა ბერი ცხონებას, გადარჩა ჩვენი დედოფალი, და, მისი პირმშო ვაჟის მნახავი, მე ავწერ მის სიმშვენიერეს, მის აგებულებას, ძალას და სიდიდეს.

* *

აი, სიტყვა სიტყვით, რა პროექტი მომივიდა იმ დღეს ქუთაისიდამ. მისი გამომგზავნელი მწერს, რომ ერთ „მეცნიერთან" ვაგონში ერთად ვიჯექიო, და იმას ქუთაისის სტანციაზე ვაგონში ქაღალდები დარჩაო; რადგანაც მისი სახელი და სადგომი არ ვიცი „დროებაში" გამოაცხადე, ვისია ეს ქაღალდებიო და ვინც მოიკითხოს, გაუგზავნეო.

როცა მე ეს ქაღალდები გადავარჩიე, იქნება შიგ დამწერის სახელი და სადგომი ჩაწერილი იყოსთქო, შიგ რუსულათ დაწერილი პროექტი დამხვდა, და მე მისი დაბეჭდვა ვარჩიე, მისი დამწერი უფრო ადვილათ იცნობს თავის დაკარგულ საუნჯეს, და უფრო მალე მოიკითხავს იმას რედაქციისაგან.

აი ეს პროექტი, რომლისგანც ჩვენ სიტყვა სიტყვით ვბეჭდავთ პირველ ორ ფურცელს; შიგ ჩვენ წერტილების და შეცდომით ნახმარი ასოების მეტი არ გაგვისწორებია რა, და არცარა ჩაგვიმატებია.

ПРОЭКТ УСТАВА КУТАИССКОГО ДВОРЯНСКОГО БАНКА

Глава I

Общие основания

§ 1. Цель основания Кутаисского дворянского банка состоит в приятном препровождении времени благородным сословием Кутаисской губернии.

Примечание а): изобличенные в шулерстве лишаются права закладывать банк.

Примечание б): лица неблагородных сословий к участию в банке допускаются не иначе, как под прикрытием и за гарантию туго набитых кошельков.

§ 2. Банк закладывается в г. Кутаисе, с свободным капиталом, остающимся в наличности после сведения счетов за прежние кутежи.

Примечание: Буде основной капитал сей, по сведении счетов, окажется непревышающим 10 руб. сер., основание банка откладывается до более благоприятного времени.

§ 3. К участию в банке допускаются пайщики, наличная ставка которых именуется впредь акциею. Долг партнера (пайщика) банку, невыплаченный им наличными деньгами, называется облигациею.

§ 4. Делами банка управляет банкомет, которому предоставляется титул директора банка.

§ 5. Операции банка заключаются в приеме ставок и вкладов, в выдаче дивидендов и выигрышей, в учете кредитных бумаг и в ведении текущих счетов.

Примечание: С согласия директора банка допускается также и выдача ссуд под залог часов, колец, экипажей и даже недвижимых имуществ.

§ 6. Учет векселей за двумя подписями лиц известных директору за исправных кутыл допускается лишь с его согласия; но кредитные билеты могут быть усчитываемы во всякое время, без всякого ограничения.

§ 7. Текущие счеты партнеров ведутся лично самим банкометом (директор тож).

§ 8. Трансферты и транспорты в текущих счетах допускаются с кушем, либо без онаго.

§ 9. Банк за перевод денег из одних рук в другие никакой особой комиссии не высказывает.

§ 10. Переводы денег допускаются в форме прямых и первых мандатов, либо в форме углов, на п, переп, абцуга, плие, мирандолей и пр. Подробные условия этих переводов излагаются ниже, в §§ 78-95.

§ 11 Операции банка прекращаются на слове «Ва банк», буде...

*

გვეყოფა ესეც. უეჭველია, რომ იმ ბრძენს, რომლისთვისაც ამ პროექტის დაწერა მიუნდვიათ, ბანკზე მარტო ის გაგება ჰქონია, როგორიც მოიპოება ზოგიერთ ჩვენ კლუბებში. მისი აზრით, „ბანკი“ და „ვა ბანკი“ ერთი და იგივე საგანი ყოფილა, და უეჭველია, რომ მის წარსულს, მის სწავლას და გონიერებას სხვის რაიმეს გაგება არ შეეძლებოდა. თუ ღმერთმა ჰქნა და ამ პროექტის დამწერმა თავისი აზრით ბანკი გამართა, ჩვენი საზოგადოება დიდ სარგებლობას იმაში მაინც ჰპოვებს, რომ შემდეგისათვის ხეირიანი წესდება ექნება შტოსის თამაშობისათვის, და უწინდელურათ უთავბოლოთ აღარ წააგებს ამ თამაშში: შემდეგში წაგება დამჯდარი, წესიერი და კანონიერი იქნება.

ეხლა მკითხველო, მომილოცავს შენთვის ახალი წელიწადი და ახალი ბანკის პროექტი.

იმერეთის ამბები

აკი გეუბნებოდით, ამ ორი წლის წინეთ, რკინის გზის გამართვა ჩვენში ბევრ კარგ ცვლილებას მოახდენს-მეთქი? დღეს ეს ხომ მართალი გამოდგა! მაშ, მოდით და ნუ დაიჯერებთ, რაც შემდეგში გიწინასწარმეტყველოთ!

მაგრამ თქვენ ისეთი ურწმუნო თომები ხართ, რომ იქნება ისიც მკითხოთ — რაში და სად დაინახე ეს გაუმჯობესება და წარმატებაო? თქვენ იქნება ისიც იფიქროთ, ჩვენდა თავათ ჩვენ ჯერ-ჯერობით არაფერი ხეირი არ დაგვინახავს და არაფერ სიკეთეს არ მოვსწრებივართო? მაშ უნდა მოგიყვეთ — მეტი რა ღონე მაქვს — რა სასწაულები და რა წარმატება მოუხდენია ამ ჩვენ ახალ-გამართულ რკინის გზას.

დავიწყოთ იმით, რომ რკინის გზა, როგორც ყოველი კეთილი გამოჩენა, კაცს მოხერხებას და სარგებლობას ასწავლის: ყველას თავში ის აზრი უჩნდება, თუ რით და როგორ გამოვიყენოთ ეს ახალი გამოჩენა, როგორ ვისარგებლოთ მითი. რაღა თქმა უნდა, რომ რკინის გზითაც ჩვენ ვისარგებლებდით, რაშიაც კი შესაძლებელი იქნებოდა: მგზავრობაში, მიწერ-მოწერაში, ბარგისა და საქონლის გაგზავნაში და სხვ. მართლაც რომ სარგებლობა დიდი გამოვიდა. სიჩქარე და სისწრაფე იმისთანა ხომ არ უნახავს რა კაცის თვალს! უწინ რომ წამოღოღდებოდა საქონელი აქლემით და ფოთიდამ თბილისამდე მთელ ერთ კვირას და ათ დღეს მოდიოდა, ეხლა ერთი თვალის დახამხამებაში მოდის ის საქონელი. მართალია, ფოთიდამ რომ ოც დეკემბერს რკინის გზით კოლოფები გამოვგზავნე, დღემდისაც არ მისულა ეს კოლოფები თბილისს, მაგრამ ეს სულ არაფერია. კოლოფი კაცი ხომ არ არის, რომ გზაში მოეწყინოს, მით უფრო თუ კარგი თანამგზავრები ბლომათა ჰყავს. და რადგანც რკინის გზაში ჩემს კოლოფებს უთვალავი თანამგზავრი ჰყოლია, უეჭველია, რომ მათი დაგვიანება მათივე მიზეზი უნდა იყოს: სადმე ლხინს გამართავდნენ და მგზავრობას დაიეიწყებდნენ.

ან მეორე: რკინის გზა სიამოვნებით ამგზავრებს კაცს, სიცივეს და გაცივებას აცილებს, ტანის სიმრთელეს უცავს, უსიამოვნებას

და ცუდად მგზავრობით გალახვას არ მიაყენებს. სიკეთე ამაზე უკეთესი იქნება ქვეყანაზე? მართლაც რომ ვთქვათ, ბედნიერებაა რკინის გზით მოგზაურობა თბილისსა და ქუთაისს შუა, და ამ მგზავრობაში ნამდვილათ ვგრძნობ, რამოდენათ ძვირფასია რკინის გზის გამოგონება. თუმცა ზოგიერთები კი ამბობენ, ვითომ ვაგონების ფანჯრებში და კარებში ეერიდან და იატაკიდამ უმოწყალოთ ნიადაგ შემოჰქრის იანვრის ქარიო, და სხეულს კი არა, ძვალსა და სულს გვიყინავსო, მაგრამ ეს სულ უთავბოლო ლაპარაკია. ვაგონებში ქარი მარტო იმიტომ შემოჰქრის, რომ გააგებინოს კაცს, რომ სიცივე გარეთაა და არა თვითონ ვაგონში. მართლაც, ხანდისხან რომ ქარმა არ დაგვკრას და სიცივე ძვალში არ გაგვივიდეს, რითი შეგვეძლება სითბოს დაფასება და გრძნობა? ხომ არაფრით? მაშ კარგი ყოფილა, რომ ვაგონებში ქარი, თითქო თავის საკუთარ სახლში, დასეირნობს და დაძინების ნებასაც არ აძლევს კაცს!

დაუჯინია ზოგიერთებს, ამ ჩვენს ვაგონებს რატომ არ ათბობენო, როგორც სხვა ქვეყნებში რკინის გზაზეა მიღებულიო. აბა ეს რა სათქმელია, თუ ქრისტე ღმერთი გწამთ? ვაგონების გათბობა ამ ვაეგბატონებს ადვილი რამ გონიათ, და ის კი არ იციან, რომ ვაგონების გათბობას ბუხრების დალაგება უნდა ან ორთქლის მილებით გაყვანა ვაგონებში და თან ორპირი ფანჯრებისა და კარების ჩასმა.

მაგიერათ უნდა ნახოთ, რა ბედნიერებაა სურამის ქედის გადასვლა ნაშუალამევის ოთხს-ხუთს საათზე! ასეთი მთვარე დაგცქერის ხოლმე და ასეთი პოეტური დუმილია არე-მარეში, რომ თვითონ წყალტუბელიც იგრძნობს რამე პოეტურ შთაბეჭდილებას ლიხის მთის წვერზე. სასწაულიც ამას ჰქვია, რომ ისმის მთაში ქარისა და ტყის გრიალ-შრიალი, შორე-ახლოს გაჰკივის და ზუის ტურა, წყარო დაჩქრიალებს ხავს-მოდებულ ქვებს, ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ ჯოჯოხეთის ხმით ინგრევა მიწა და გლიჯინ-გლიჯინით წვება საბრალო მდინარეში, — ერთი სიტყვით პოეტური ადგილი და მგზავრობაა. განა ეს ჩინებული შთაბეჭდილება არ ღირს იმათ, რომ კაცმა ხანდისხან ფილტვის ანთებაც ჩაიბეჭდოს სხეულში, ან ქარები გაიჯდინოს ძვლებში? მაშ სხვაფრივ როგორ მოიპოვოს კაცმა ხანგრძლივი შთაბეჭდილება, და როგორ არ გაიტანოს მგზავრობიდან ისეთი რამ სახსოვარი, რომელიც სიკვდილის დღემდი გაახსენებს ლიხის მთის გადასვლას რკინის გზით?

ჩემ შთაბეჭდილებას ერთი რამ დააკლდა — ხარ-კამეჩის გაბმა ჩვენ ეკიპაჟში, მაგრამ ამასაც არ ვსწუხვარ, რადგანც იმედია მაგასაც მალე ნოვესწრობით. იმ დღეს მე ამავე მთაზედ უბელო ცხენით გადავლა დამჭირდა; ეს ამბავი, რასაკვირველია, ყველასათვის გასაკვირველი იქნება, რომ რკინის გზით მიმავალი კაცი უბელო ცხენზე იჯდეს და რკინის გზის ფასს კი იხდიდეს, მაგრამ ჩემთვის აქ პოეტური აღტაცების მეტი არაფერი არ არსებობს...

ეს იცის ჩვენმა მხარემ, ასე ვაპოეტებთ უსულო საგნებსაც, ასე ვამშვენიერებთ თვით უშნო მაშინასაც. სხვაგან რომ ჰქონოდათ ამნაირი ქედი გადასავალათ, იმას უეჭველია დღისით გადაატარებდენ ხალხს, — აქაოდა ნამეტან სიცივეს და სიბნელეში ნტვრევას და ნჩხლევას გადავარჩინოთ ხალხიო. ჩვენში კი ამგვარ მოფიქრებას ბა რათ უნდა ჰქონოდა ადგილი? დღისით, რომ ლიხის მთა გადაგვევლო, სურამის დუქანში გაჩაღებულ ცეცხლის ღირსებას ვინ დააფასებდა მაშინ, ან კამკამა მთვარის სიმშვენიერეს ვინ იგრძნობდა ლიხის ხეობაში? მაშ მოდით, პოეტებო, გაემგზავრეთ ქუთაისისკენ, და თუ მაინცა და მაინც ანთება არ დაგემართათ, ან წვიმა და თოვლი არ დაგესწროთ, მთვარესაც დაინახავთ და ცეცხლითაც დატკბებით...

ახლა სხვა ფრითაც დაგანახებთ რკინის გზის საკვირველ მოქმედებებს: უწინდელ დროში — როცა რკინის გზა ინჟინრების თავებში შენდებოდა,

ფოჩტა ორ დღეში მოდიოდა თბილისიდამ ქუთაისს. დღეს რკინის გზამ გვიშველა, ასე რომ ხუთმეტ იანვარს თბილისიდამ გამოგზავნილი წიგნი ქუთაისს ოც იანვარს მოსულა. წარმოიდგინეთ, რამდენი სასიამოვნო შთაბეჭდილება შეეძინება ამ ნაირი ფოჩტის სიარულით წიგნის მიმღებელს. უცბათ რომ მიიღოს წიგნი, ხომ იმას არც ლოდინის ეშხი, არც ჯავრის სიამე აეძრება გულში. პროზაულათ გახსნის ის თავის წიგნს და უნებურათ წაიკითხავს. მაგრამ დიდი ლოდინისა და გამწარების შემდეგ მიღებული წიგნი სულ სხვანაირათ ათრთოლებს და ატკბობს კაცის გულსა და ამ მხრით ჩვენმა რკინის გზამ ბევრი დაატკბო და ბევრის გული აათრთოლა. აი ამ მხრით, თუ მე დამიჯერებს ვინმე, ვურჩევ ნურც ყოველ ცისმარა დღე ფოჩტის სვლას გააჩენენ რკინის გზით, როგორც სხვა ქვეყნებშია მიღებული. რა საჭიროა სისწრაფე? „აჩქარებითა სოფელი არვისა მოუჭამიაო“, ამბობს ჩვენი ჭკვიანური ანდაზა, და მას ერთგულათ ბანს აძლევს რკინის გზაც და ფოჩტის წესიც...

რკინის გზა იქით იყოს, რადგანც ის ქუთაისს მაინც განზე გაუდ-

ვა. გითხარით რამე აქაურ ცხოვრებაზე? აქაური ახალი ამბავი თუ გნებავთ, დღეს, როცა მე ამ სტრიქონებს გწერთ, დანიშნულია „სხდომა“ ბანკის თაობაზე. მოგვაბეზრა კი თავი ამ „სხდომებმა“ და ამ ბანკის უთაურმა თაობამ, მაგრამ მეტი რა ღონეა, მის მეტზე დღეს აქ არაფერზე, თითქმის არ ლაპარაკობენ. — მაშ, იფიქრებთ თქვენ, კარგათ ყოფილა საქმე, თუ კი ყველა იმაზე ფიქრობს და ლაპარაკობს. ასე იყოს. მე კი იმას გეტყვით, რომ დიდი ამბები უნდა გამოვიდეს ამ სხდომიდამ. ამბობენ, „დროების“ ფელეტონს მეტად გაუწწმარიტებია პატივცემული ბრძენები, და „დროებას გაბრაზებული პასუხი ელისო. — რაო, ვითომ უბრძანებიათ ბრძენებს, მაგისთანა ლანძღვას ყველა დასწერსო, აი, ჩვენც დავწერთო. — იმედია ლანძღვა მართლა მძიმე გამოვიდეს, და თუ ეს ლანძღვა ბანკის მომავალს გამოადგა, „დროება“, მგონია წაგებაში არ დარჩება.

.

მაგით რომ ბანკის დაარსება შეიძლებოდეს, ამ რვა წელიწადში ჩვენი ბანკი ათიათასჯერ დაარსდებოდა.

თუ ღმერთი გწამთ, დაანებეთ თავი ამ ბანკს. ხომ ხედავთ რომ არ მოსწონთ თქვენი წერა, თუ პუბლიკას არა, ბრძენებს მაინც რაღას ჩაციევებიხართ, თითქო მართლა გეგონოსთ, რომ ამ კაცების ჩაგონება და ჭკუაზე დაყენება შეიძლებოდეს. ჩვენი ბანკი შავ ბედათ არის ჩასახული, და, თუ ის როდესმე დაიბადა მკვდრათ დაიბადება, მაშ დავანებოთ მკვდრებს მკვდრის დამარხვა, დაულოცოთ გზა და აუშენოთ ძეგლი აი ამ ზედ წარწერით: „ამ ლოდის ქვეშე განისვენებს მტვერი მკვდრათ დაბადებულისა ქუთაისის საზნაურო ბანკისა, რომელიც ჩაკვდა დედი მისის მუცელში ბებიების სიმრავლისა და უმეცრების გამო. შენდობა და შეკურთხვა ბრძანეთ!“.

მართლაც ბანკი რათ გვინდა? რით დაირჩინოს თავი თვითონ იმ პირებმა, რომელნიც ეხლა ფულის სარგებლით სცხოვრობენ. და თუმანზე ხანდისხან ათ შაურს და მანეთს იღებენ თვეში? ყველას ხომ დირექტორობა არ ერგება, და როგორც მოგეხსენებათ, ყველას თავდაპირველათ საკუთარი ინტერესი ახსოვს. დირექტორათ მე არავინ ამომირჩევს, ამბობს ჩვენი ბრძენი, ფულის სარგებელი ქე შემიმცირდება, რისი გულიზა გავიჭირვო საქმე, რათ ვეძიო ბანკის სიკეთე, შინ რომ ბავშვი გიტიროდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო? ეს ანგარიში დაამატეთ უმეცრებას, და თქვენ გეცოდინებათ ბანკის დაუარსებლობის მიზეზები.

მეორე სალაპარაკო საგანი — ნოვოსელსკის საქმეა: — „მოუგიაო?“ ამბობენ ზოგიერთნი, თითქო საქმე თითონ იმათ მოეგოს,

მაგრამ ისეთებიც არიან, რომ ზაფრანის ფერი დადებიათ პირზე ამ ამბის გაგების შემდეგ. ბედნიერია კაცი, რომელიც გრძნობს, რომ მისი გულის ფეთქის თანახმათ ჰფეთქს, თუ მთელი საზოგადოების არა, კარგა ძალი ხალხის გული; ბედნიერია კაცი, რომელსაც ეწინააღმდეგება მთელი ათასობა ხალხისა. მარტო ამაშია ცხოვრება და მომავალი, და ეს წინააღმდეგობა უფრო მეტ ძალას აძლევს კაცს, ვინემ გამარჯვება და ბედი. ყოველი ჩემი კეთილი ააცილოს ღმერთმა საზარელ ბედს, რომელშიაც კაცის ცხოვრება, მოქმედება, თავის გარდასავალი, აზრი, ნაწერი და ნათქვამი არავის არც ააშფოთებს, არც ახარებს, არც არგებს და არც ავნებს. ეს უფერული ბედი სიკვდილის შემდეგაც თავს უნდა აბეზრებდეს კაცს, და სიცოცხლეში სამარის მყუდროება ვის უნდა ენატრებოდეს? მაგრამ — დამიჯერეთ, არც ის ვარგა, რომ მარტო ერთი წუთის განმავლობაში, მარტო ერთ მცირედ საქმეში, მარტო ერთ უმცირესს კუთხეში იძრებოდეს და მაშინვე ჰქრებოდეს ეს თანაგრძნობა და ეს სიძულვილი. ნეტა თუ მოესწრება კაცი ნამდვილი, ხანგრძლივი, უფრო საფუძვლიანი და მაღალი გრძნობის დაბადებას, როგორც მის სასარგებლოთ, ისე მის წინააღმდეგათაც. საქმე იმაშია, ეს ბედნიერი დღე გაგვითენდება როდისმე? და სანამ ის არ გათენდება, ამისთანა მცირე და წუთიერ გრძნობას მარტო მადაზე მოჰყავს კაცი, და უფრო მწარეთ აგრძნობინებს იმ მიზნის სიშორეს, რომელსაც ის ამაოდ ეძებს და უიმედოთ უცდის...

---

8. სხვათა შორის

(„დროების“ კორრესპონდენცია)

სტამბოლის გაზეთები. — ახალი ამბები. ახალი ვეზირი. — ოსმალეთის გაუვიძება. — „შუააზიის საქმე“. — ინგლისელების ბაქიობა. — გერმანელებისაგან ცეცხლის შეკიდება. — საქმის დასკვნა. — ყველაფერი კარგია, რაც კარგათ თავდება. — იმედი.

მთელი ერთი კვირის განმავლობაში, თუ თქვენც როდისმე დანარჩენ ქვეყნიერებას მოშორებული ყოფილხართ, და ერთ უხეირო ხომალდზე, თითქო სატუსაღოში, უამბოთ და უგაზეთოდ სული წაგსვლიათ, ადვილათ წარმოიდგენთ, რა სიხარბით დავეწაფებოდი ხმელეთზე ახალ ამბებით ავსებულ გაზეთებს, როცა სტამბოლის მიწას ფეხი დავადგი და ოსმალეთის ტამოჟნის ბრჭყალებიდამ თავი დავიხსენ. ისეთი სიხარულით და გაუმაძღარი მადით მივვარდი მე აქაურ გაზეთებს, თითქო ჩემი სიცოცხლისა და მომავლის ბედი მათზე ყოფილიყოს დამოკიდებული. და, მე სრულიად დარწმუნებული ვარ, ეს ჩემი სიხარული ამოდენათ აუწერავი და მღვივე იყო, რომ თვითონ გაზეთებსაც ეგრძნოთ ის, და სამაგიეროთ ჩემი სიამოვნებაც მოენდომებიათ. მართლაც, პირველი დეპეშა, რომელიც მე აქაურმა გაზეთებმა მაცვნეს შეეხებოდა ესპანიის შინაგანი განხეთქილების საქმეს, ამედეოს ხელმწიფის ტახტიდან გადადგომას და ესპანიაში რესპუბლიკის დაარსებას. ესპანია ჩვენზე ძლიერ მოშორებულია, და მისი საქმეები და მდგომარეობა ჩვენ როდი შეგვეხება. მაგრამ სასიამოვნო მაინცაა კაცისათვის იმისთანა ამბის შეტყობა, რომელიც უმჯობეს მომავალს უქადის ამ მშვენიერს და აქამდის უბედურ ქვეყანას. მართალია კიდევ, რომ არც რესპუბლიკის დაარსებით მოისპობა ესპანიაში ის მიზეზები, რომელნიც ამ მხარეს აუბედურებენ, მაგრამ ეხლა იქ ასპარეზი მაინც იხსნება გაუმჯობესების და წინ-წაწევის მომხრეებისათვის, და ესენი, იმედია, დიდხანს არ შეაჩერდებიან იმისთანა უფერულ მოთავეებს, როგორიც ეხლანდელი „დროებითი მმართველობა არის“. ერთი სიტყვით, ეს ამბავი სასიამოვნო და იმედის მომცემია ყველასათვის, ვისაც სურს, რომ

დასავლეთში ხალხების ბედი და საქმე, განწყობილება და მომავალი უწინდელივით ზოგიერთი პირების ხელში სათამაშოთ აღარ იყვეს... და თუ ღმერთმა ქნა და რესპუბლიკურმა პარტიამ მოახერხა იმ უმეცარი პარტიის დამარცხება, რომელსაც წინამძღოლათ პატრები ჰყავს და ბაირაღათ — დონ-კარლოსი, მაშინ ესპანეთში, რა საკვირველია, ეს ახალი წესდება დიდ ნაყოფს მოიტანს.

ღმერთო შეგცოდე, და წლევანდელი წელიწადი კარგი ნიშნებით იწყება. ჯერ იანვარი ძლივს დალეულა და ორი შესანიშნავი საქმე მოხდა: ნაპოლეონის სიკვდილი და ამადეოსის გამგზავრება. ნუთუ მარტო ამით გათავდება ეს საამო მიმართულება ახალი ამბების და შემთხვევებისა? არა მგონია. მე შემინიშნავს, რომ კაცისა და კაცობრიობის ბედში, ხან სულ კარგი შემთხვევები და მოვლენა ხვდება კაცს ზედი-ზედ. დაუღალავათ. და ხან მიაწვება უმსგავსო, უბედური და გულმომაკვდინებელი გარემოებები, აგრეთვე ჯოგ-ჯოგათ, ჯგუფობით, თითქო იმას ბოლო არ ღირსებოდეს. და რადგანაც ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ისტორიულ ცხოვრებაში შავი და ბნელი ქარი ჰქროდა, იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ორი საამო ამბავი ახალი უკეთესი მიმართულების შიკრიკათ გამოდგება და თან სასიამოვნო და ბედნიერი შემთხვევების მთელ რაზმს მოიყვანს. სიკეთეც გადამდებია. ვიქონიოთ ეს იმედი. — სასიამოვნო იმედის მეტი აბა რა გვაქვს გულში ჩასანერგავი?

სტამბოლის გაზეთები, საზოგადოთ, ძლიერ უფერული არიან. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ცენზურაა, რომელიც იმათ ხმას როდი აღებინებს იმ კითხვებზე და საქმეებზე, რომელნიც ყველაზე უფრო მეტათ შეეხებიან აქაურ საზოგადოებას და ხალხს. გაზეთის ძალა და გავლენა ყოველთვის იმაზეა დამყარებული, რომ მკითხველი შიგ იმ კითხვების პასუხს ეძებს, იმ საქმეების გაცნობას ცდილობს, რომელთაც მის ტვინზე, ჯიბეზე და ბედზე გავლენა აქვთ. აქაურ გაზეთებში კი, თურმე, ყველაფერზე შეიძლება წერა, ოღონდ მწერალი არც სულთანის მმართვას შეეხებოდეს, არც მისი მინისტრების მოქმედებას, არც მათი ხელქვეითების საქციელს, არც საზოგადო მოთხოვნილების გამოსახვას, არც ხალხის გაჭირვების ხსენებას, არც ფულების ფანტვას, არც კანონების ნაკლულევანებას, არც საზოგადო საქმეების უთავბოლოთ წაყვანას, არც — წარსულის უხეირობას, არც მომავლის უიმედობას; დანარჩენზე კი აქაურ გაზეთებს თავისუფლათ შეუძლიათ წერა-ბეჭდვა. მართლაც, გაზეთები ავსებული არიან ახალი ამბებით იმაზე, რომ მისი აღმატებულესობა დიდი-ვეზირი დღეს თერთმეტ საათზე სასახლეში მიბრძანდა და სულთანის ნახვას ეღირსაო, მაშინ როდესაც მისმა უგანათლებულე-

სობამ სერასკირმა[34] ჯარი დაათვალიერა და დააჯილდოვა, და სხვ. და სხვ. — ალბათ ეს ყოფილა აქაური საზოგადოების გულისტკივილი და წადილი, მართლა თუ არა, აქაური ცენზორების თვალში მაინც.

აქაური ჟურნალისტი რომ ვიყო, როგორ მალე შევასკდებოდი ჩემ გულს! „მე სულ სხვა რამე მაქვს სათქმელი, ვიფიქრებდი, მე საზოგადოების თვალის ახელა მსურს, მე ვხედავ, რომ დიდი ვეზირის მოქმედება ხალხს ღუპავს და მის მომავალს ახდენს, და ამის მაგიერათ მე მაბეჭდინებენ, რომ მისი აღმატებულესობა მიბრძანდა, ეღირსა და სხვ. მე რისი თქმა მინდა და რას მათქმევინებენ! ამისთანა ცეცხლი გაგონილა!“. და ამ აზრით მე ევიშლებოდი, ანდა ჟურნალისტობას თავს დავანებებდი. მაგრამ აქაური ჟურნალისტები ასე არ ფიქრობენ. ისინი ამბობენ, ცოტა რასმე მაინც წავიჩურჩულებთ, იქნება ვინმემ კიდეც გაიგონოს და გაიგოს, ვისაც ფხიზელი სმენა და მარდი მიხდომა აქვსო. საბრალო ჟურნალისტები! ნეტავი იმათ, რომ ასე ადვილათ კმაყოფილდებიან, მაგრამ უფრო ნეტარია იმ ჟურნალისტების მდგომარეობა, რომელთაც თავისუფლათ თავიანთი აზრის და შეხედულების გამოთქმა შეუძლიათ და ოსმალეთის ცენზურის ქვეშ ტყავსა და ტვინს არ ჰკარგავენ...

ახალ ამბებათ აქ, გაზეთებში, დღეს ახალი ვეზირის დანიშვნა არის. აღარ მახსოვს მერამდენეა ეს ახალი დიდი ვეზირი. აბდულ-აზიზი, მგონია, წელიწადში ხუთჯერ-ექვსჯერ იცვლის დიდ-ვეზირს, და მასთან იცვლება მთელი სამინისტრო, ადმინისტრაცია და სხვ.

მაგრამ, ცვლილება თუმც ხშირია, გაუმჯობესება კი არსაით სჩანს. მართალია, ერთმა ფილოსოფოსმა სთქვა, რომ კაცმა რაც შეიძლება ხშირათ უნდა იცვალოს პერანგი და ხელმწიფემ მინისტრებიო, მაგრამ ამითი იმისი თქმა უნდოდა, რომ მინისტრთან მართვის წესი, ჩვეულება და კანონიც უმჯობესდებოდესო. აქ კი, თურმე, კანონები უწინდელურად არეულ-დარეულობაში არიან, წესათ მიდგომა და ქრთამი მეფობს, ჩვეულებათ — ნათესაობა და მოყვრობა, ერთი სიტყვით საქმე უწინდელურათ, უთავბოლოთ და უპატრონოთ მიდის, თუმც მჭამელები კი ხშირად იცვლებიან. იმასაც კი ამბობენ, რომ ამ ხშირი ცვლილებით უარესი უბედურება დაატყდა ხალხსო, რადგანც მმართველებმა გაიგეს, დიდხანს ვერ დავრჩებითო და დაუზოგავათ ცარცვას და ქრთამობას ხელი მიჰყვეს: დღესა ვართ და ხვალ არაო, მაშ დღეის დღით ვისარგებლოთ, რამდენათაც კი შეიძლებაო. მადაც ძალიანი ჰქონიათ ამ დალოცვილებს... ეს გახლავს ოსმალეთის გაღვიძება, რომელზედაც ხშირათ იწერებიან აქაურს მოყიდულ გაზეთებში...

მაგრამ, თუ აქაურ გაზეთებში ასე უხეიროთ იწერება აქაურ საქმეებზე და მდგომარეობაზე, უცხო ქვეყნების საქმეები დაწვრილებით და რიგიანათ იხატება. ეხლა აქ, როგორც ფრანცუზულ, გერმანულ და ინგლისურ გაზეთებში, დიდი ადგილი უკავია „შუა აზიის“ საქმეს, ესე იგი იმ შეტაკებას, რომელიც მოხდა ინგლისსა და რუსეთს შუა შესახებ ხივის ექსპედიციისა. თქვენ იცით, რომ რუსეთმა ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ფეხი ჩაადგა შუა-აზიაში, სადაც იმან თურქისტანი დაიპყრო. წლეულს რუსეთი ემზადება ხივის ხანთან საბრძოლველათ. აქამდის ევროპიელ მმართველობებს და მწერლებს ეგონათ, რომ ევროპისათვის ეს კარგი საქმეაო, რადგანაც, ერთის მხრით, რუსეთი აზიაში განათლებას თუ არა, სამოქალაქო განწყობილებას მაინც გაავრცელებსო და მით ჩვენ ფაბრიკებს და ნაწარმოებს გასავალი მოემატებაო, და, მეორეს მხრით, — რაც უფრო გავრცელდება რუსეთის მფლობელობა აზიის მინდვრებში, მით უფრო მეტი ჯარი და ხარჯი დასჭირდება იქით რუსეთს და ამით ევროპაში იმას ძალა და ხმა დაუმცირდებაო. ამ ორი მოაზრებით, ევროპა გულგრილათ უყურებდა რუსეთის საზღვრების გავრცელებას აზიაში, მაგრამ რაკი ეს საზღვრები თანდათან უფრო და უფრო უახლოვდებიან ინგლისის ინდოეთს, ინგლისის მმართველობამ წლეულს ხმა ამოიღო, როცა რუსეთი ხივასთან საბრძოლველათ გაემზადა, და ინგლისის საზოგადოებაც ფიცხლათ მოეკიდა ამ საქმეს. გაზეთებში ისეთი დავიდარაბა ატყდა, რომ ძლიერ ბევრს ეგონა, ამას უსათუოდ ომი მოსდევს ინგლისს და რუსეთს შუაო. ინგლისში საქმე იქამდე გახურდა, რომ იქაური პარლამენტის წევრს, ბორკს (ლორდ მაიოს ძმას) იანვრის დამლევს სიტყვა უთქვამს, ისეთი რომ, ჩემი თვალით რომ არ მენახა და არ წამეკითხა ის Aly Telegr ph-ში სწორეთ არ დავიჯერებდი მის გამოთქმას. წარმოიდგინეთ, რას ამბობს ეს დამჯდარი დიპლომატი, რომელმაც ძლიერ კარგათ იცის სიტყვების მნიშვნელობა და რომელიც ლაპარაკობს თავისი მმართველობის სახელით: ის ამბობს, რომ რუსებს ჰგონიათ, ჩვენ იმათ შუა აზიაში ჩხუბს გაუმართავთო; ისინი ფიქრობენ, ვითომ ინდოეთი ჩვენს სუსტ მხარეს შეადგენდესო, მაგრამ თუ ბრძოლამდი საქმე მივიდა, ჩვენ შუა აზიაში კი არ შევეტაკებით რუსეთსო: ჩვენ ვიცნობთ სხვა ადგილებს, სადაც რუსეთი უფრო ადვილათ და მძიმეთ შეიმუსრება (ესე იგი პოლშას და კავკასიას!!!) და აი ამ ადგილებში შევეტაკებით იმასო. ერთი სიტყვით საქმე მეტის მეტად გახურებული და მძიმე ყოფილა. ღვთის მადლით გუშინდელი დეპეშებიდან ჩანს, რომ ჩვენს მმართველობას ისეთი განწყობილება გაუმართავს ინგლისთან, რომ ეხლა

ბრძოლა აღარ ატყდება, რუსეთს და ინგლისს ერთმანეთისათვის პირობა მიუციათ, — რუსეთს იმაში, რომ იმ სახელმწიფოებს არ შეეხები, რომელნიც ინდოეთს საზღვრათ აკრავს, ისე, რომ რუსეთის სამფლობელოს და ინდოეთს შუა დიდძალი სახელმწიფოები თავისუფლათ დარჩებიან. მაგიერათ ინგლისს უკისრია ამ სახელმწიფოების თავდებობა, რომ ისინი რუსეთის საზღვარს არ შეეხებიან და რუსეთის ქვეშევრდომებს აღარ აიკლებენ. ამნაირათ, გათავდა ეს კალმით ბრძოლა ინგლისსა და რუსეთს შუა, გათავდა ამ დროისათვის მაინც. მართალია, ეს გათავება დიდათ არ იამებათ გერმანულ გაზეთებს, რომელსაც ინგლისელებს რუსეთზე აქეზებდნენ, თითქო მათთვის რამე ხეირი გამოდნებოდა ომისაგან, მაგრამ იმისი თავი ვისა აქვს, რას იფიქრებენ გერმანელი ჟურნალისტები და იამებათ იმათ ომის გადადება, თუ არა.

დანარჩენი ამბებიდან შესანიშნავია ერთი ტელეგრამმა, რომლითაც გვაცნობებენ, რომ იაპონიაში პარლამენტი დაარსებულა, ექვსასი დეპუტატებით, და მიკადოს (იმპერატორს) უბრძანებია, დღეის იქით, ვისაც უნდა შეუძლია თავი აღარ მოიპარსოს და წვერიც გაუშვასო. ეს სწორეთ საწყენი ამბავი იქნება. ზოგიერთი თქვენი მკითხველისათვის, რადგანაც ჩვენში წვერის მოუპარსველობა როდი მოსწონთ. პარლამენტისა კი რა მოგახსენოთ? ეხლა ორიოდე სახელმწიფო დარჩა დედა-მიწაზე, სადაც არ შემოუღიათ ეს წესი, რომლითაც ხალხის საქმეების წაყვანა, ან გარჩევა მაინც, ხალხისგან ამორჩეულ პირებს აბარია: ოსმალეთი, სპარსეთი, ეთიოპია. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამ სახელმწიფოებშიაც მალე შემოიღებენ ამ წესს, თუმც თვითონ მე კი მართალი ვთქვა, მისი არა მჯერა რა.

———

9. სხვათა შორის

პარიჟი, 28 მარტს (9 აპრილს) 1873 წ.

ორი კორრესპონდენტის ბაასი. — პოლიტიკა. — დ. მიქელაძე და „ტრა-ლა-ლა-ლა!" პარიჟში გასეირნება. — ორი პარიჟი. — ლეგიტიმისტის სურათი. — სხვა და სხვა პარიჟელი გაზეთები და მათი მკითხველები. — ირონია ვადღეგრძელოთ!

— „როგორ მოვეწყოთ მე და შენ ისე, რომ ორივე „ღროებისთვის" კორრესპონდენციებს ვსწერდეთ და ერთმანეთს კი ხელს არ უშლიდეთ? ვეკითხებოდით ერთმანეთს მე და თქვენი აქაური კორრესპონდენტი, დ. მიქელაძე; როგორ გავინაწილოთ შრომა ისე, რომ ორივეს ერთ და იმავე საგანზე წერა არ დაგვჭირდეს, ანა და, ერთმა მეორის იმედით ზოგიერთი შესანიშნავი მოვლენა აუწერავი არ გაუშვათ?" — ამ კითხვით თავს ვიმტვრევდით ორივე, როცა გეშინწინ საღამოს პალეროიალის თეატრს მივადექით ერთი ახალი თხზულების მოსასმენათ.

ამ ახალ თხზულებაში ერთბაშად და სახუმროთ გადათვალიერებული უნდა ყოფილიყო ყველაფერი, რაც კი ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში შესანიშნავი რამ მოხდა. მწერლობა, თეატრი, საზოგადო ცხოვრება, აღებ-მიცემა, პოლიტიკა, ერთი სიტყვით ყველაფერი, რიგ-რიგათ, თითქო რაზმი ჩამოიელის მცქერლის თვალს წინ, ლაზათიანათ შეთქერილი და მასხარათ აგდებული, ზოგი უსეირო ბებრუხების კანში, ზოგი ჩინებულ ახალგაზრდა ქალათ ქცეული, თითქოს მთელი აქაური ცხოვრება კაცს ხელის გულზე გასაშინჯავათ დაედვას. ამისთანა თხზულებას აქ „მიმოხილვას" (revue) ეძახიან, და მართლაც უკეთესი, უფრო ადვილათ დასამახსოვრებელი და უფრო ხალისიანათ აკლებული და აკივლებული „მიმოხილვა" ძნელათ მოიძებნება სადმე.

სხვა მოქმედ პირებს შორის — ესე იგი მოვლენებს შუა, სცენაზე ერთი ლაზათიანი ახალგაზრდა ქალი გამოვიდა, მხიარული, ცოცხალი პირის სახით, მარჯვე აგებულებით და მიხვრა-მოხვრით. თავზე იმას, გვირგვინის მაგიერ, მოოქრული იარაღი ეხურა, რომელიც

ტრიალობს, საითაც კი ქარი შემოუბერავს და ჰაერის მყუდროების დროს კი ხიდაგ ცოდვილსავით კანკალობს. მისი ტანსაცმელი საძფერი იყო: მარჯვნით — თეთრი ატლასის (მონარხიელების დროშის ფერი), მარცხნით — ალის ფერი (რესპუბლიკელების) და შუაგულ- — ყვითელი ან ოქროს ფერი... მარჯვნივ უშველებელი ასოებით ეწერა სიტყვა მ ა რ ჯ ვ ე ნ ა მ ხ ა რ ე, მარცხნით — მ ა რ ც ხ ე ნ ა მ ხ ა რ ე, შუაზე კი არც ერთი პარტიის სახელი არ სჩანდა, ოქროს ბზინვის მეტი. — აქაოდა, ვისაც უფრო მეტი ფული აქვს, ვინც უფრო მეტს მომცემს, მისი ვარო. აქვე სხვა და სხვა გაზეთების სახელი ებეჭდა. ეს ახალგაზდა ქალი, — ამას ხომ თქვენ დიდიხანია მიხვდებოდით, გახლდათ პ ო ლ ი ტ ი კ ა.

მისმა შემოსვლამ მთელი საზოგადოება გააცოცხლა და გააღვიძა. მაგრამ როგორც კი იმან თავისი სახუმარო ლექსების სათქმელათ პირი გააღო, ერთმა მოთამაშემ ზარის რაწკუნი დაიწყო და სიტყვა შეუწყვიტა:

მაშ, ბატონო რედაქტორო, იცოდეთ, რომ შემდეგისთვის ორმა თქვენმა პარიჟელმა კორრესპონდენტმა აი, როგორ გაინაწილეს, ურთიერთის თანხმობით, კორრესპონდენციების წერა და გზავნა: მიქელაძე „დროებაში“ თითქმის ყოველ კვირას გეწვევათ.

. მე კი ხანდისხან გამოგემუსაიფებით ქალებზე, ბულვარის ცხოვრებაზე, თეატრებზე, წიგნებზე, მწერლობაზე, გაზეთებზე. ერთი სიტყვით ისეთ უმანკო საგნებზე, რომლისთვის მღერა და ტრა-ლა-ლა-ლას ძახილი საჭირო არ უნდა იყოს. ხომ მოსაწონია ეს განაწილება? მაგრამ ის კი არ იფიქროთ, რომ მე უკეთესი ხვედრი ჩემთვის მიმეჩინოს, არა, ჩემო ბატონო. რომ გენახათ, რა საკვირველი ეშმაკური დაცინვით იცვლიდა ხმას გუშინწინდელი აქტრისა, როცა ტრა-ლა-ლა-ლას იმეორებდა, როგორი თვალთმაქცობით იგრეხდა პირის სახეს, როგორ ოსტატურათ ტუჩს და თვალს ათამაშებდა, რომ დაგენახათ, რამდენ ნაირ მნიშვნელობას აძლევდა ის ამ უბრალო სიტყვას „ტრა-ლა-ლა-ლა“, მაშინ დამიჯერებდით, რომ სიტყვის გამოუთქმელათაც შეიძლება ლაპარაკი და აზრის გარდაცემა; მაშინ გაიგებდით, რისთვის შეიძრა მთელი თეატრი ამ ერთ უბრალო სიტყვაზე „ტრა-ლა-ლა-ლა“.

მაშ მოდით კლავში კლავი გამიყარეთ და გავისეირნოთ პარიჟში.

დილაა. ბულვარებზე ხალხი აჩქარებული სიარულით დაიარება. ეს იმის ნიშანია, რომ ჯერ შუადღე არ მოახლოებულა, და ვინც ეხლა ქუჩაზე შეგხვდება ყველა საითმე მიიჩქარის, ყველას საქმე

აქვს. უსაქმო ხალხს კი, იმას, ვისაც არც შრომა სჭირია, არც ჯაფა სჩვევია, ჯერ კიდევ ნაზათ სძინავს. ის პირველ საათზე გამობრძანდება, ზანტათ გაისეირნებს სხვის დასანახავათ და თავის თავის საჩვენებლათ, უფრო მეტათ კი მადის მოსაგვრელათ. იმისთვის ღმერთს დღეთ ღამე გაუჩენია. — ეხლა კი მოსაქმე ხალხი დაიქანცება, მიილტვის, თითქოს მოვალეს იჭერდეს, ან ექცეოდეს. ყავახანები თითქმის ყველგან ცალიერები არიან. აქა-იქ გამოხტება პარიელი ბიჭი, პოლიციელ მცველს წაეხახუნება, ერთს შეუკურთხებს, მერმე მკლავ, ბასრ ოხუნჯობას გამოუგონებს და გავარდება, თითქო ეტლქეშ გაქრაო. ეხლა პარიჟი შრომობს, ფიქრობს, ვაპანს სწევს. ის პარიჟი, რომელიც მთელი ქვეყნის ყურადღებას იქცევს, მთელ ქვეყანას აღელვებს და აფიქრებს. მეორე პარიჟი, რომელიც, აგრეთვე, მთელ ქვეყანას ართობს და ათამაშებს, მთელ ქვეყანას აცინებს და აცვამს, ეხლა დაძინებული და ილაჯ-გაწყვეტილია. ის საღამოს გამოვა, ის შუაღამეზე ვარდივით გადიშლება და გათენების ხანს მიიძინებს.

რა ვნახოთ ეხლა პარიჟში, რა გაჩვენოთ ამ დილაზე, რა აგიწეროთ? ნუ თუ სამუშაო ოთახებში და ქარხნებში წაგიძღვეთ? ვაი თუ იმათი ჟანგით და ხმაურობით თავდაპირველშივე გასეირნების სურვილი სამუდამოთ მოგიკლათ? მაშ რა გაჩვენოთ? ბირჟა ჯერ დაკეტილია, თეატრები დღისით ცალიერებია, ხალხი ყველგან გაცალ-ცალკევებულია, ქალებს სძინავთ. რა ვქნათ? ვიხეტიალოთ ბულვარებზე, მონუმენტები ვშინჯოთ, სასახლეები დავათვალიეროთ?

არა, ეს ჩვენი საქმე როდია. მოდი აი ამ სახლში შევიდეთ, აქ ბევრი რამაა სანახავი, ვისაც აქაური გონებითი ცხოვრების გაცნობა სურს.

ჩვენ შევდივართ ერთ დაბალ ოთახში, რომლის ფანჯრები მონმარტრის ბულვარისკენ იხედებიან. თითონ ოთახი ფართო და გრძელია. შიგ, გარშემო ადამისხნის დივნები დგანან. შუაგულ ადგილას უშველებელი გრძელი სტოლი დგას, ადამისხნისვე მწვანე მაუდით გადაფარებული. ზედ თითქმის ყველა გაზეთები იპოება, რომელიც კი პარიჟში იბეჭდება. გვერდით მეორე სტოლი დგას, რომელზედაც სხვა საფრანგეთის ქალაქების გაზეთები და სამზღვარ გარეთელი გამოცემები იპოებიან. ეს გახლავთ „სალიტერატურო სალონი". აქ უშრომია არმან კარრელს და აქვე უწერია თავისი „პარიჟელი წერილები" ბორნიესი. აქ გამოზრდილა და დაიარაღებულა მთელი საფრანგეთის და თითქმის მთელი ევროპის მოწინავე, მოაზრე თაობა.

აი, ფანჯარასთან დივანზე წამოწოლილა ჩამომხმარი, ლურჯ სათ-

ვალებიანი მოხუცი. მისი ტანისამოსი ათას რვაას ოცდამერვე მოდაზეა გამოჭრილი და შეკერილი. თავზე ორიოდეღერი ჭაღარა თმა შერჩენია. ჩავარდნილ თვალებს მეტის მეტათ სქელი და გრძელი წარბი თითქმის ერთიანათ მალავს, მაგრამ ვერც ამ წარბების სისქე, ვერც ლურჯი ოთხ-თვლიანი სათვალეების სიბნელე ვერ მალავს ამ ჩავარდნილი თვალების ალს და მწარე, უგულღვიძლო, ხარბულ გამოხედულებას, იმ გვარს, როგორიც ხშირათ მოხუცებულ გაუთხოვარს ქალს პირის სახეზე აბეჭდია. მისი ჩაცვენილი ტუჩები, უფერული პირის სახე, ჩუმ-ჩუმი, ქვეშ-ქვეშა, იეზუიტური გამოხედვა მაშინვე გვიმტკიცებს, რომ ამ კაცს მთელი მისი სიცოცხლე უფროსების შიშში და მოტყუებაში გაუტარებია. ლაქია უნდა იყოს ვინმეო. იფიქრებს კაცი, ლიტერატურულ სალონში რომ არ იყდეს ეს საბრალო და საზარელი ბებერი, და თან ღმერთს თაყვანს შესწირავს, რომ მისი ხელქვეითი და უმცროსი არ არის, თორემ მისგან შებრალებას, მოთმენას, დათმობას, თავისუფლების შოვნას კაცი ვერ ეღირსება. ნუ თუ ღმერთს მისი საიქიოსთვის მოთხოვნა დავიწყებია? გამიარა თავში აზრმა, მაგრამ მე მალე მივხვდი, რომ ამისთანა საზარელი გვამის საიქიოს წაყვანა, ღმერთს კი არა, თვითონ ეშმაკსაც უნდა დაზარებოდა.

მიუახლოვდეთ, ვნახოთ აბა, რას კითხულობს ეს ცოცხალ-მკვდარი?

ხელში იმას ველიოს „მსოფლიო" (l'Univers) უჭერია, და კალთაში „ერთობა" (l'union) უძევს. კლერიკარული (სახუცესო) მიმართულება ალბათ მასში ერთობ დაახლოებია „ერთობის" (ლეგიტიმისტების) მონარხიულ ლტოლვას. ან ეს რა გასაკვირველია? პირველი გაზეთი ამტკიცებს, ღმერთმა ქვეყნიერება და საფრანგეთი რომის პაპას ჩააბარაო, და მერე — რომის პაპის ბრძანების ასასრულებლათ თვითონ ღმერთმა შამბორის გრაფი (ბურბონი) დანიშნაო. იმედია, რომ იმათ ამაზე ჩხუბი არ მოუვათ: „შენ ბატონი იყავ, მე შენი მსახურიო", ამას ხომ ბევრი ქაქანი არ სჭირია. მაგრამ რაკაი იქნებოდა, იმ დალოცვილ ღმერთს, რადგანც ამდენი განკარგულება უქნია, თავისი განკარგულება ისე საქვეყნოთ გამოეცხადებია, რომ არავის მისი სურვილის და ნების უარისყოფა არ შეძლებოდა. თორემ ეხლა ბევრი ამბობს, რომის პაპისთვის ღმერთს ქვეყნიერება არ ჩაუბარებია და შამბორის გრაფი საფრანგეთის მეფეთ არ დაუნიშნავს... გვერდით ამ ბებერს ორი გაზეთი უწყვია: „ქვეყანა" („le monde" და „საფრანგეთის გაზეთი" „Gazette de France") ორივე სახუცესო და ბურბონების მონარხიის მომხრე. დანარჩენ გაზეთებს და მკითხველებს კი ეს კაცი ისე უყურებს, თითქო მათი

დაკუშნა და დაგლეჯა ენატრებოდეს. უეჭველიც არის, რომ იმას და იმის თანამოაზრეებს ძალა და უფლება რომ ჰქონდეთ, არ გაატარებენ ქვეყანაზე არც ახალ აზრს, არც ახალ მიმართულებას, არც ახალ თაობას. ასე ყოველ მომაკვდავს ტანმრთელი და ახალგაზრდა კაცის ჯიბრი სჭირს და დაკაწვრა სურს.

მის ახლო, აგრეთვე ფანჯარასთან და აგრეთვე დივანზე, ორი გაფუნთუშებული, გასუქებული, ჩამრგვალებული, ღიღაბიანი კაცი ზის, ორმოცდახუთი, ორმოცდაათი წლისა. ორივეს გვარიანათ აცკიათ, თუმც პერანგის საყელო კი ორივეს ერთობ ფართო აქვთ, თითქო სიმსუქნის გამო ორივეს დამბლის დაცემის ეშინია. ერთს ხელში „მზე“ (le soleil) უკავია, და მეორეს „ბაასი“ (journal des débats). რა ვქნა, ეს ორი კაცი ყველაფერში ერთმანეთს ჩამოაგავენ, თითქო ტყუპი ძმები იყვნენ, და გაზეთებს კი სხვა და სხვას კითხულობენ! ორივეს ეტყობა, რომ ღმერთს მათთვის შეძლება არ მოუკლია, ორივეს პირის სახეზე სჩანს, რომ ისინი კარგათ სჭამენ, კარგათ სვამენ, თავს არაფერზე იწუხებენ, დარდი არაფრისა აქვთ და ფიქრის და მოაზრების მაგიერ, თავიანთი საყვარელი გაზეთის გამოსვლას უცდიან, რომ იმის აზრი და სჯა მიითვისონ და მისი რჩევით მოიქცენ. მაშ ერთი ორლიანების მომხრე „მზეს“ რათ კითხულობს, და მეორე რესპუბლიკასთან შერიგებულ „ბაასის ჟურნალს?“ ნუ თუ ეს ის ორი ძმაა (ლეფებრ პორტალის), რომელნიც ნაციონალურ კრებაში დეპუტატებათ არიან და რომელთაგანიც ერთი ორლეანისტებს უდგება და მეორე „თავდაკავებულ“, (ესე იგი ალაგმულ) რესპუბლიკელებს? აქაოდა, რესპუბლიკა თუ დაარსდა ერთი ძმა აიწევა და მეორეს უპატრონებს, და თუ ორლიანები ტახტზე ავიდენ, მაშინ მეორე პირველს ხიდათ გამოადგებაო. ვინ იცის, ვინ იცის, იქნება ესენი ის დეპუტატები იყვნენ. მე კი, მართალი რომ ვთქვა, არც იმ დეპუტატების მწამს რამე, არც ამ ორი გაზეთის.

აი, კიდევ, მშვიდობიანათ გასუქებული მაგრამ უფრო მაღალი, უფრო გონიერი პირის სახიანი მკითხველი. მის ძველ-მოდურ ტანისსამოსს, მის დაუბოლოებელ პერანგის საყელოს, მის უშველებელ ცხვირსახოცს თითქოს აბეჭდია, ეს მასწავლებელი უნდა იყოსო. ის მშვიდობიანს, ზანტათ დაწერილს, სხვა და სხვა უხეირო მოაზრებით სავსე „დროებას“ („le temps“) კითხულობს, და მის პირის სახეზე მე თითონ იმ სტატიას ვკითხულობ, რომელსაც ის მიჩერებია. ვინდათ, დაგენიძლავებით, რომ შიგ აი ეს უნდა ეწეროს: — „ამ საგანზე ბევრი რამ ითქმის, სწავლულების და გონიერების აზრი იმაზე ჯერ არ დათანხმებულა. ზოგი ფიქრობს ასე, მაგრამ სხვები არანაკლები საფუძვლით ამტკიცებენ ამას, ჩვენის მხრით ვიტყვით, რომ

ეს მძიმე საგანი ასე ადვილათ როდი გადაწყდება. თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ... მაგრამ... ვინც იცის, იქნება სხვა რამეც ითქვებოდეს. ისევ ის სჯობს, საქმე უწინდელურათ დავტოვოთ. რადგანც აჩქარებითა ქვეყანა არავის მოუჭამია".

ააშენა ღმერთმა ამის დამწერი. რა ნელათ და ტკბილათ ჩააძინა მკითხველი! მოისმის წყნარი მოსვენებული ხვრინვა. გაამოსთ!

კუთხეში პაწაწა სტოლთან ზის მოსული, სქელ ბეჭებიანი, მარჯვე მხრიანი კაცი, ისე თავისუფლათ, თითქო მის მეტი არავინ იყოს ამ სახლში. ის ხან წამოდგება, ხან გაივლის და გამოივლის. ხან დაწვება დივანზე, მაგრამ უფრო ხშირათ კი გამბეტას გაზეთს „საფრანგეთის რესპუბლიკას" (La republique Francais) კითხულობს, და თან რაღაცას სწერს. მივიდეთ, ვნახოთ რას. ჰო. ეს პროვინციალური გაზეთის თანამშრომელი ყოფილა, რესპუბლიკელი, და რადგანც რესპუბლიკური პარტიის დისციპლინა ერთ მოქმედებას და ერთ აზრობას თხოულობს, ეს თანამშრომელიც იმ გაზეთს ჰკითხულობს და რჩევას კითხავს, რომელიც მთელ რესპუბლიკურ პარტიას ტონს და მიმართულებას აძლევს, და რომლის რჩევას ყურს უგდებენ და მიჰყვებიან თითქმის ყველა ფრანცუზული რესპუბლიკური გაზეთები, არათუ მარტო პროვინციებში, არამედ თავათ პარიჟშიაც.

ვისაც აქაური რესპუბლიკური პარტიის მიმართულების, აზრის, შეხედულების და განზრახვის გაცნობა სურს, იმან ამ გაზეთს ხელი უნდა მოკიდოს, და მის სტატიებში თავისი კითხვების პასუხს ნახავს. მაგრამ ეს კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს გაზეთი როგორც ის პარტია, რომლის წარმომადგენლათაც ის გამოდის, მარტო. ან, უფრო სწორეთ ვთქვათ, უფრო ფორმალური, გარეგანი კითხვების განმხილველია. ვინემ იმ შინაგანი, ნამდვილი ცვლილებებისა. რომელსაც მოითხოვს ამ დროების სული და მიმართულება. ის იმას კი არ დაეძებს, თუ როგორ და რაში უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივი ცხოვრება და გაწყობილება, ჩვეულება და მდგომარეობა, — მისი უმთავრესი საგანი მარტო გარეგანი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცვლილებაა მმართველობის წესში... ამ მხრით კი. მართალი რომ თქვას კაცმა, ძლიერ ბევრი და ჩინებული აზრები და რჩევა გამოთქვა ამ გაზეთის რედაქციამ.

ამავე მიმართულების, მაგრამ უფრო ხალისიანი და სასიამოვნო საკითხავია „მოხმობა" (le Rappe) ვიქტორ ჰიუგოს მეგობრების გაზეთი. შიგ უმეტესი ადგილი მწვავე დაცინვას და ლირიკურ დაფასებას უკავია. მისი სტატიები უფრო აღელვებენ და აცეცხლებენ მკითხველს, ვინემ აჯერებენ, ან მტკიცე საფუძველს აძლევენ. მაგ-

რამ ამ გაზეთს მაინც ძლიერ ბევრი კითხულობს და დიდი გავლენაც აქვს საზოგადოებაში.

უფრო შესანიშნავია, მაგრამ მარტო პარიჟში და უმთავრეს ქალაქებში „კორსერი" (Le Corsaire), რომელიც მოწინავე რესპუბლიკური პარტიის და სოციალისტების წარმომადგენელია. ამ გაზეთს დიდი გავლენა აქვს მუშა ხალხზე და ახალგაზდობაზე, რადგანც მის სტატიებში ძლიერ ხშირათ სჩანს მარჯვე და ღრმა შეხედულება საზოგადო საქმეებზე, სწორი და ნამდვილი გამჭრიახობა და მკაცრი გაჩხრეკა მოწინააღმდეგე პარტიებისა. მაგრამ ზოგიერთ მის სტატიებში, განსაკუთრებით საზოგადოებრივ საქმეებზე, უფრო ხშირათ ფუჭე დეკლამაცია ისმის, ვინემ ნამდვილი საქმის ცოდნა და დასკვნა. ამ რიგია, მაგალითად, სახელგანთქმული „ალცესტის" სტატიების...

ამ ორ გაზეთს ყველაზე უფრო მეტი მკითხველები ჰყავს ამ სალიტერატურო სალონში, როგორც პარიჟშიაც, განსაკუთრებით თუ ჩვენ ყურადღებაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი სხვა გაზეთები, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი კითხულობს, თავიანთი მიმართულებით, ან თავიანთი სტატიების სივარგისით კი არა, იმ გარემოებით იმარჯვებენ, რომ მათში ძლიერ ჩქარა და ძლიერ ბლომად ახალი ამბები იბეჭდება. ამ გაზეთების კაცს არა სწამს რა. მათ ვითომ ხელმძღვანელ სტატიებს თითქმის არავინ კითხულობს. მათში მარტო უთვალავ წვრილმან ამბებს ეძებენ, ოხუნჯურ ანეგდოტებს, ლაზღანდარობას და სხვ. და ამნაირათ იმათ თითქმის არავითარი პოლიტიკური და ზნეობითი გავლენა არა აქვთ. ამნაირია, მაგალითად le Figaro, la Liberté, le Gaulois, le Soir, l'Evenement და სხვ. იმათგანი ორი უკანასკნელი რესპუბლიკელია, პირველი უფერული ლეგიტიმისტურია, მეორე — დაფარულათ ბონაპარტისტული და მესამე — აშკარა მომხრეა ნაპოლეონისა.

ამათ გარდა ჩვენ ვხედავთ, რომ სტოლზე თითქმის ხელუხლებლათ ჰყრია: l' Ordre, le Bien public, l' Etat, l' Avenir National, le Fpançais, le National, le Siècle, l' Espance, le Paris jurnal.. და სხვ. და სხვ. ამ გაზეთებს მკითხველების მეტი არა აკლიათ რა, მაგრამ — ისიც მოხდება ხანდისხან, რომ ჩემისთანა მსუნაგი მკითხველი, წელიწადში ერთხელ-ორჯერ, იმათ ხელს მოჰკიდებს და გადაათვალიერებს. ამ გაზეთებს ზოგს სხვა და სხვა გადაგდებული ხელმწიფეები სცემენ, ზოგს კაპიტალისტები — ბირჟაზე ხმების დასაყრელათ, ზოგი კი ძველი ჩვეულებით იბეჭდება, ძველი ხელისმომწერლების შემწეობით.

გვერდით კიდევ ზიან ზოგი ახალგაზდა, ზოგი მოწიფული მკითხ-ველები. ეტყობა, რომ იმათ თავიანთი გაზეთები გადაუკითხავთ და ეხლა დროს ჭკვიანათ ატარებენ ხალისიანი და ოხუნჯური გაზეთების კითხვაში. ზოგი Charivari-ს კითხულობს, ან მის ნახატებს ათვალიერებს, ზოგი Tintamare-ს, ზოგი რას და ზოგი რას. შეგინიშნავთ თქვენ, როდესმე, რომ ძველ თაობას, უემურ მიმართულებას სიცილი, კასკასი და ოხუნჯობა სცოდნოდეს, ან ეხმაროს? ხომ არა? ასეა აქაც. აქ თითქმის ყველა ხალისიანი და ოხუნჯური გამოცემები რესპუბლიკური მიმართულების არიან. და გაქვს სიცოცხლე, ისინი თავიანთი დაცინვით და ოხუნჯობით ძველ თაობას მწარე ოფლს აღვრევინებდენ სიტყვით, პროზით, ლექსით, ნახატით, ერთი სიტყვით ყოველნაირი იარაღით, ყოველნაირი საშუალებით. უნდა ნახოთ რა ხშირათ ილიმება ამ გამოცემების მკითხველი, როგორი გადარეული ხარხარით სწყვეტს ის ხანდისხან თავის კითხვას, რა მხიარული სახით აძლევს ის გაზეთს თავის უცნობ მეზობელს, და რა მწვანე ფერი ედება მაშინ ლურჯ სათვალებიან, თვალებ ჩაცვენილ ბებერს! ვადღეგრძელოთ მხიარულება, დაცინვა, ირონია და სარკაზმი, ვილოცოთ მათ სიმართლეზე.

* * * * * *

---

10. წინასიტყვაობა [35]

სწორედ გასაკვირველი და გულმოსაკლავი საქმეა, კაცი დღევანდელ გონიერების ცხოვრებას ესწრებოდეს და მის გაგებას კი არ ცდილობდეს, მის დაკვირვებას არ იწყებდეს და მისგან საკმაო ხელმძღვანელი საფუძვლის გამოკრებას არ ეძებდეს. ჯირკის და მდაბალი პირუტყვების მეტს არც ერთ გვამს არ უნდა სჩვეოდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში განს გადგომა, წაყრუება და უმნიშვნელო, უმიზნო სიცოცხლე. მაგრამ ბევრი სულიერი, ამ მხრით, ჯირკზე უარესია. ბევრი ცოცხლებს შუა ცხოვრობს და ცოცხლების ცხოვრებაში კი არ ურევია.

დღეს ეს მით უფრო სამწუხარო და დამაღონებელი მოვლენაა, რომ ეხლანდელი ცხოვრება, 1870 წლის ომის მადლით, უწინდელ მის სიყრუიდან და სიბნელიდან გამოვიდა. დღეს მთელი ევროპა გაღვიძებულია. ყოველგან ისმის გაუმჯობესების სიტყვა, გაახლების სურვილი სჩანს, ცხოვრების წინ წამყვანი ძალა მოქმედებს და ახალი წესის დაარსება იწყება. გაქრა უწინდელი დამთურგენელი, ხეპრი ძალა, უკანასკნელ სასიკვდილო კლაკნაში იკარგება და იხარჯება ძველი თაობის და მიმართულების უკანასკნელი წამები; ახალი თაობა სამკვიდრებლის მისაღებათ ირაზმება, — მზადდება ახალი წესი და ვინ იცის როგორი პოლიტიკური მოვლენები. და ამისთანა დროს, ყრუთ და ბრმათ დარჩენა შეცდომა კი არაა მარტო, მძიმე დანაშაულობაა შემდეგი თაობის და ხალხის წინ.

ჩვენ ამნაირი შეცდომის და დანაშაულობის თავიდან აცილება გვსურდა, გვსურდა ჩვენი ახალგაზრდობისათვის მაგალითით გვეჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ეხლანდელი ცხოვრების დაკვირვება და გაცნობა, ისე რომ კაცს ცხოვრებაში სამოქმედოთ ხელმძღვანელი აზრი და გამოცდილება ჰქონდეს. „დროშას“ მეტი მიზანი არა აქვს. ის სამიოდე ახალგაზრდის სამახსოვრო წიგნებიდან ამოხეული თა-

ბახებია,[36] ის იმ მუსაიფის და სიტყვების გამოსახვაა, რომელსაც ეს ახალგაზრდები გამოთქმენ ხოლმე, როცა გაგებულ ამბებს, შენიშნულ მოვლენებს, გაცნობილ აზრებს ერთმანეთს აცნობებენ. ათი თაბახი საკმაოდ დაანახებს მკითხველს ამგვარ სამახსოვრო წიგნებს და მუსაიფების სარგებლობას და საჭიროებას, და თუ „დროშამ“ ჩვენ ახალგაზრდობაში შეერთებული დაკვირვების და დამზადების სურვილი აღძრა, თუ მისი მაგალითი უკვალო და უნაყოფო არ გამოდგა, „დროშის“ მიზანი სრულებით მიღწეული იქნება.

---

11. ეკლესია და სახელმწიფო

ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში ყველაზე უფრო შესანიშ-ნავი მოვლენა ის ბრძოლაა, რომელიც ეხლაა ატეხილი, სახელმწი-ფოს, ესე იგი, სამოქალაქო გაწყობილებას და საეკლესიო წესს შუა. რაკი 1864 წლის პაპის „მსოფლიო ეპისტოლემ“ (ენციკლიკამ) და 1870 წლის მსოფლიო კრებამ[37] თითქმის ყველა ის აზრები შეაჩვე-ნა, რომელზედაც დამყარებულია ეხლანდელი სამოქალაქო და სა-ხელმწიფო წესი (მაგალითად, დეპუტატების ამორჩევა, სახელმწიფო საქმეების კონტროლი, სამოქალაქო ქორწინება, რწმუნებების თა-ვისუფლება და სხვ. და სხვ.) — დაიწყეს სახელმწიფო კანონების უარყოფა და თავიანთი საკუთარი წესების შემოღება. სხვა და სხვა სახელმწიფოებში განხეთქილების მიზეზი სხვა და სხვა იყო, მაგრამ საქმე კი ყოველგან ისე რიგათ წარიმართა, რომ სამოქალაქო მთავ-რობამ ღვდლებს შენიშვნა მისცა (თქვენი მოქმედება კანონს და კანკორდატს არ ეთანხმებაო). ამ შენიშვნაზე ღვდლებმა ყოველგან პასუხად გამოაცხადეს, რომ „კანონი კაცების ხელითაა შედგენილი და ჩვენ კი ხვთის მემკვიდრის, შეუცდომელი პაპის ბრძანებას ვე-მორჩილებით და ნებას ვასრულებთო. ჩვენ ყოველ იმ კანონს უარ-ვყოფთ, რომელიც პაპის ნებას არ ეთანხმებაო“.

უეჭველია, რომ ამნაირ მდგომარეობაში სახელმწიფოს ან თა-ვის კანონების ძალა უნდა დაეკარგნა და სამღვდელოების ყურმოჭ-რილი ყმა უნდა გამხდარიყო (ასე მოიქცა საფრანგეთში ტიერის მმართველობა), ანა და კანონების ძალა უნდა დაეცვა და სამღვდე-ლოება უწინდელ მდგომარეობაში უნდა დაეტოვებინა, კანონების-თვის უნდა დაემორჩილებია. ასე მოიქცა გერმანია და შვეიცარია.

ეს საქმე ძლიერ ძნელი და გავლენიანია ხალხის მომავალი ბე-დისა და მდგომარეობისათვის, და ამის გამო ამ საგანზე ორიოდე სიტყვის თქმა ღირს.

უწინდელ დროში სამღვდელოებას თავისი საკუთარი შემოსავა-ლი და მამულები ჰქონდა. ამ მამულების და შეძლების უმეტესი ნა-წილი სამღვდელოებამ იმითი შეიძინა, რომ დაბერებულ უმეცრე-

ბის, მომაკვდავების, გამოჩერჩეტებული ქალების და დაბრმავებული კაცების შეშინებულ გონებას საიქიოს და ჯოჯოხეთის სურათებს უხატავდა და ეუბნებოდა: თუ საიქიოს ნეტარება და ჯოჯოხეთის გადარჩენა გინდათ დიდ ძალი ფული და მამული შესწირეთ ეკლესიასო. დაშინებული, ავადმყოფი, გამოტვინებული გონება (თავისი) ცოდვების გამოსაყიდველად, გლეხებს, (მამულებს...) სწირავდა რომის პაპის სასარგებლოდ. სამღვდელოება იმდენად გაძლიერდა და გამდიდრდა, რომ სახელმწიფოს ტოლი და მტერი შეიქნა. საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ამ უმსგავსობას ბოლო იმით მოუღო, რომ საეკლესიო მამულები სახელმწიფოდ ჩარიცხა და სამღვდელოებას სამაგიეროდ ჯამაგირი გაუჩინა. ეს გადაწყვეტა იმნაირად (საზეიმო) გამოდგა, რომ მთელნა ევროპამ ამ მაგალითს მისდია და, თითქმის ყოველგან, სამღვდელოებას მამულები ჩამოერთვა და ჯამაგირი დაენიშნა, ისე რომ თვით რუსეთშიაც და კავკასიაშიც მოაწია ამ გაწყობილებამ.

მაგრამ ამ უკანასკნელ დროებში ეს გაწყობილება ბევრს აღარ მოსწონს. ლიბერალურ-რესპუბლიკური პარტია ამტკიცებს, რომ სახელმწიფომ როდი უნდა აძლიოს ჯამაგირი სამღვდელოებასო: ვისაც სწამს მღვდელის ქადაგება, ვისაც მისი ლოცვა სჭირია და საჭიროდ მიაჩნია, იმან თვითონ აძლიოს ხარჯი მღვდელსაო. თორემ მღვდლები ფულს კი სახელმწიფო ხაზინიდან იღებენ და თან სახელმწიფო კანონების წინააღმდეგ ქადაგებენ, თანამედროვე საზოგადოების დამხობას ცდილობენ და სახელმწიფო ფულით სახელმწიფოს სამი საუკუნით უკან დახევას ეძებენო. ამასთანავე ის ნაწილი სამღვდელოების, რომელსაც თავისი სარგებლობა გამჭრიახათ ესმის, ამბობს: „ჩვენ ჯამაგირს როდი ვთხოულობთ, თავისუფლება მოგვეცით რაც გვინდა ის ვიქადაგოთო, როგორც გვსურს ისე ვმართოდ ჩვენი სასწავლებლები და ( ) ეკლესიას დაუბრუნეთ მამულების შეძენის უფლება, რომელიც იმას რევოლუციის დროს გამოცემულმა კანონმა მოუსპოო და ჩვენ კმაყოფილი ვიქნებითო“. აი, ეს ორი მიმართულება თხოულობს ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკავებას. — მეორე მიმართულება კი ეხლანდელ წესს იცავს და ამტკიცებს, ერთის მხრით (ზოგიერთი რესპუბლიკელები), რომ მამულების შეძენის უფლება რომ მივცეთ სამღვდელოებას, ის ისევ ისე გაძლიერდება როგორც 1789-მდე იყო; უფრო სჯობია სამღვდელოება ჯამაგირით ავლაგმოთ და კანონების მორჩილებას ვაიძულოთო. და, მეორეს მხრით, სამღვდელოების უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ჯამაგირი ჩვენ გვერგება როგორც იმ მამულების (სანაცვლო), რომელიც 1790-ში წაგვართვე-

სო. თუ ჯამაგირების (მოცემა არ გსურთ) ის მამულები დაგვიბრუ-ნეთო.

აი, ესაა ეხლანდელი ბრძოლის ასპარეზი.

თვითონ ბრძოლა კი თანდათან უფრო და უფრო ცხარდება და შიგ ბევრი ახალი საფუძველი და იარაღნი გამოაქვთ მებრძოლებს. შესანიშნავია იმათში ის წესი, რომელიც ქენევის მართებლობამ გამოძებნა, სამღვდელოების ამორჩევა მრევლისაგან. როცა, ღვდე-ლის ამორჩევის დროს თითოეულ კანდიდატს მისი შეხედულების და რწმუნებების გამოთქმა და დამტკიცება დასჭირდება, მაშინ რწმუნების საქმეებში უფრო დიდი ეჭვიანობა და ანალიზი ფეხს შეადგამს, და უეჭველია, ეს ბევრ დაბრმავებულს თვალს აუხელს, ბევრ ამაოთ მორწმუნეობას მოსპობს, ბევრ უსაფუძვლო გავლენას ბოლოს მოუღებს. მაგრამ ამ (ცხელებაზე) და საზოგადოთ ეკლესი-ების განხეთქილებაზე სხომის მოვილაპარაკოთ.

---

12. აღდგომა

დღეს აღდგომა დღეა!

ჩვენში და თითქმის ყოველგან ეს დღე დიდ დღესასწაულად ითვლება. ნაცნობი და უცნობი ერთმანეთს ულოცავს, ერთი მეორეს უხვევა და კოცნის, ყველა დღესასწაულურ ტანსაცმელშია, ყველა მხიარულად იცქირება, ყველას პირისსახეზე ნეტარებაა გამოხატული. ყველას აბედნიერებს აღდგომის დღესასწაული, რომელიც ქრისტეს სწავლის გამარჯვების სამარადისო სახსენებლად არის დაწესებული. მე მესმის ის გრძნობა და აღტაცება, რომელმაც ეს დღესასწაული პირველ ქრისტიანებს დააწესებინა. — როცა იმათ კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი სწავლა და აზრი, ახალი რწმუნება და იმედი შექონდათ, როცა ამ ახალ მიმართულებას მაშინდელი დიდ კაცობა და მეცნიერება სასტიკად წინ აღუდგა, როცა მის გავრცელებისათვის მსხვერპლათ თავს წირავდნენ და როცა თავგანწირულებამ ( ), დაუღალავმა ენერგიამ ახალი აზრი გაამარჯვა და ახალი მიმართულება დაამკვიდრა, ბედნიერ გამარჯვებულებს, უეჭველია, თავიანთი გამარჯვება ახტაცებით უნდა მოეხსენებიათ და ერთი პოეტური სურათით მისი ორეული წარმოედგინათ. ეს სურათია აღდგომაც. ის მართლა იმას ნიშნავს, რომ თუმც ქრისტე დასტანჯეს, მისი აზრი მაინც აღზდგა, მისმა სწავლამ გაიმარჯვა და მცველებმა, ჯარმა, ესე იგი ძალამ, ამ აზრის აღდგომის და გამარჯვების დახშვა ვერ მოახერხა, ვერ შეიძლო. ეს მართლა ჩინებული სურათია, მართლა აღმტაცი იმედის მომცემი წარმოდგენაა, და, ვიმეორებ, მე მესმის ის გრძნობა და აღტაცება, რომელმაც აღდგომის დღესასწაული პირველ ქრისტიანებს დააარსებინა.

მაგრამ ეხლანდელი ქრისტიანები რისთვის დღესასწაულობენ ამ დღეს, ამის გაგება მე ვერ მომიხერხებია. დღევანდელ ჩვენ გაწყობილებას და ცხოვრებას შერჩენია განა ერთი იოტა მაინც იმ სწავლისა, რომლისთვისაც ჯვარცმული იქნა ქრისტე? სადაა იმ „ძმობის“ კვალი, რომელსაც ქადაგებდნენ და ცხოვრებით ასრულებდნენ პირველი ქრისტიანები? იმ კანონებს, რომელიც დღეს

კაცობრიობას მართავენ, ერთი ნამცეცა მაინც შერჩენია იმ სულგრძელი და ძმური განწყობილებისა, რომელიც ქრისტეს სწავლას საფუძვლად ედგა?

არა. ქრისტეს სწავლას ნამდვილი გავლენა როდი ჰქონდა კაცობრიობის მდგომარეობაზე.

რაც ვერ დააკლო ქრისტიანებს (კელპების) ცეცხლმა და მახვილმა, რაც ვერ უქნა მტრის სიმრავლემ და სიძლიერემ, ის დააყენა იმას ერთმა ვითომ — მომხრემ, პავლე მოციქულმა, რომელიც ქრისტიანობის შურისგან მხურვალე მოსავად იცვალა, თითქოს საგანგებოდ მიზნად ჰქონოდა ასეთი სწავლის გარყვნა, ახალი სიტყვის ძველებურად გადაგრეხა, რომ ამ სწავლას და სიტყვას უწინდელი ცხოვრება და წესი არ შეეცვალა. ამნაირად გადასხვაფერებულ, დაგრეხილ ქრისტიანობას კბილები და ფრჩხილები დააძრო პავლე მოციქულის მიმბაძველებმა, რომის იმპერატორებმა და პაპებმა, და, მათი მადლით, დღეს ჩვენ გვმართავს ძველი (კელპური) წესი ახალ ქრისტიანულ კანში გამოხვეული. ამ დამახინჯებული წესის გამარჯვების დღესასწაულობა, მგონია, არც კი ღირდეს. აღდგომა იმ დღეს ვისასწაულოთ, როცა ჩვენ კანონებში, ჩვენ წესში, ჩვენ ცხოვრებაში ნამდვილად განხორციელდეს და გამოიხატოს ის გრძნობაზე დაფუძნებული სწავლა, რომელიც გრძნობიერად ქრისტემ გამოთქვა და გონიერად ჩვენმა თანამედროვე სწავლამ გამოიკვლია. როცა ამ სწავლის გამარჯვება მოახლოვდება, როცა მისი აზრით გადასხვაფერდება ჩვენი ცხოვრება და ჩვეულება, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებას იმისთანა კანონები ექნება, რომელთაც „ძმობის“ წესი ქვეყანაზე უნდა დაამკვიდრონ, მაშინ, და მარტო მაშინ, ვიდღესასწაულოთ აღდგომა, რადგან მარტო მაშინ ნამდვილად აღმდგარი და გამარჯვებული იქნება კაცობრიობის აზრი, გრძნობა და გონება. ჯერ-ჯერობით კი „მცველები“ და ბნელი „ძალა“ ისე დათურგნული როდია, როგორც აღდგომის ლეგენდა მოგვითხრობს.

---

18. საფრანგეთის გარეგანი პოლიტიკა

ეხლა საფრანგეთი ყოველნაირ ძალას უნდა ხმარობდეს რაც შეიძლება უფრო მეტი (ძალა) იშოვოს და მეტი დამხმარე მოიპოვოს იმ ბრძოლისათვის, რომელიც ადრე თუ გვიან მოხდება მასსა და გერმანიას შუა. მაგრამ საფრანგეთის ეხლანდელი მმართველობა ძლიერ უთავბოლოდ ამზადებს საფრანგეთს ამ ბრძოლისათვის. შინაგან გაწყობილებაში ის ისეთნაირ დაძველებულ სამხედრო წესს იღებს, რომელიც ( )არც ხვთისაა, არც კაცის და რომელიც არც საყოველთაო სამხედრო სამსახურს აწესებს, არც ხალხის დაიარაღებას. ამის მიზეზი ის არის, რომ ტიერს ბევრი დაძველებული აზრები ჩარჩენია თავის ახალგაზრდობისა (1826—1832); ის ფიქრობს, რომ ქვეყანაზე სამხედრო წესი არ მოიძებნება იმაზე უკეთესი, რომელიც 1832 წლის კანონმა დააარსა და რომლის უვარგისობა დღეს ყველა გონიერი და მცოდნე კაცისათვის ცხადი შეიქნა. რაც შეეხება იმ უმთავრეს ცვლილებებს ხალხის ცხოვრებაში და გაწყობილებაში, რომელნიც ხალხის ნამდვილ ძალას შეადგენენ (მაგალითად, უშველებელი განხეთქილების მოსპობა სხვადასხვა წოდებებს შუა, სკოლების გამართვა, მთავრობის გაპატიოსნება და განათლების წინ წაწევა და გავრცელება), ამას ხომ ტიერის მმართველობა სრულებითაც არ შეხებია და თავის დღეშიც არ შეეხება.

გარეგან საქმეებში, ესე იგი იმ გაწყობილებაში, რომელიც უნდა ჰქონდეს საფრანგეთს სხვა და სხვა სახელმწიფოებთან და ხალხებთან, საქმე ამაზე უკეთესად არ მიდის. ესპანია, მაგალითად, არ დაუმადლებს საფრანგეთს იმ ორ გარემოებას, რომ საფრანგეთის მმართველობამ ესპანიის რესპუბლიკა არ ცნო და კარლისტებს ყოველნაირი დახმარება მისცა ესპანიის აოხრებისათვის.

იტალიას აშინებს ტიერის ადამის ხნის აზრები პაპის სამოქალაქო უფლების საჭიროებაზე და ვერსალის უმრავლესობის კლერიკალური მიმართულება. და ამაში იტალია როდი ცდება: საფრანგეთის ეხლანდელ მმართველობას შეძლება რომ ჰქონდეს, ის მართლა ჯარით დაეხმარება რომის პაპას, რაც ბევრ დაბრკოლებას მიაყენებს იტალიას. ამის გამო, იტალია უფრო და უფრო უახლოვდება გერ-

მანიას, და საქმე იქამდე მისულა, რომ ზოგიერთი გაზეთები (Wanderer, République Français და სხვ.) კიდეც ბეჭდავენ, ვითომ იტალიას და გერმანიას შუა კავშირის ტრაქტატია დაწერილიო.

მართლა დაწერილია ტრაქტატი თუ არა — ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ უეჭველი კი არის, რომ ამგვარი ტრაქტატის შეკვრა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა იტალიასა და გერმანიას შუა. იმ გარემოებას, რომ ამნაირი დაახლოვების აზრი სუფევს და ისინჯება, სხვათაშორის, დღევანდელი ფურცელი ( ) გვიმტკიცებს, რომელიც აცხადებს, რომ რომში ამ დღეებში პოლიტიკური მიზნით უნდა მოვიდეს პრუსიელი გენერალი ბლუმენტალი (ერთი უმჯობეს გენერალთაგანი გერმანიისა და უმჯობესი თანამშრომელი მოლტკესი). საზოგადოთ ვერსალის საერთო (?) კრების მიმართულება თანდათან უფრო და უფრო უახლოვებს გერმანიას სხვა და სხვა წვრილმან სახელმწიფოებს, ესპანიას, შვეიცარიას, ბელგიას და სხვ.

ეს კარგად ესმის იმ პარტიას, რომელიც ეხლა რესპუბლიკელების ხელმძღვანელი არის და რომელიც ემზადება შემდეგში მმართველი გახდეს. ამ პარტიას, რომელსაც თავში გამბეტა უყენია, სურს რაც შეიძლება უფრო დამზადებული იყოს საფრანგეთი ყოველ შემთხვევისათვის, რომელიც უცაბედად იქნება დღეს-ხვალ გამოჩნდეს, და, ამის გამო ის დიდ უკმაყოფილებას უცხადებს ტიერის მმართველობას, იტალიას რათ ვაბრაზებთ და მტრად რათ ვიხდითო. ეს პარტია ამტკიცებს, რომ კლერიკალური მიმართულების გაძლიერება საფრანგეთში იტალიას გვაშორებსო, და ამ დამტკიცებას ხმარობს კლერიკალური პარტიის დასამხობლად ამომრჩევლების თვალში. ეხლა რესპუბლიკურ პარტიას გლეხების და სოფლელების თავის მხრისაკენ გადმოსაყვანად აი რა ჩინებული აზრი და მტკიცება მოჰყავს: „კლერიკალების და მონარხიელების ჩვენ შინაგან საქმეებში გამარჯვების შედეგად (საფრანგეთს) იტალიასთან ომი ექნებაო, და იტალიასთან ომს აუცილებლად გერმანიასთან ომი მოსდევსო". ვინც გაიხსენებს, თუ რანაირათ სძულთ სოფლელებს ყოველნაირი ომი, და რანაირათ ეშინიათ განსაკუთრებით გერმანელებთან ომისა, ის ადვილად გაიგებს რა ძლიერი იარაღია ეს მტკიცება რესპუბლიკელებისათვის და რამდენად შემცირდება, მისი ამბებით, მონარხიელების და კლერიკალების რიცხვი შემდეგი არჩევნების დროს.

ამას გარდა, ესევე პარტია ცდილობს, რაც შეიძლება უფრო მეტად დაუახლოვდეს რუმინიას, სლავიანებს და განსაკუთრებით რუსეთს, რომ ამ ქვეყნების დახმარება შეიძინოს გერმანიასთან ომის დროს. აქნამდი რუსეთის საფრანგეთთან დაახლოვებას ვითომ პოლ-

შის მდგომარეობა უშლიდა, რადგანაც საფრანგეთი პოლშელებს ვითომ ხელს უწყობდა და ზნეობით დახმარებას აძლევდა, ეხლა რადიკალურ-რესპუბლიკური პარტია, როგორც ყველა დანარჩენი პარტიები პოლშას და (პოლშელებს) თავს ანებებს, იმ აზრით, რომ რუსეთთან დაახლოვება შეიძლოს. ამ მიზნისათვის ეს პარტია იმ ორიოდე წვრილმან წერილებს ხელს ავლებს, რომელიც ზოგიერთმა პოლშელებმა გამოსცეს, და რომელშიც ის აზრი გამოთქმული იყო, რომ კარგი იქნებოდა პოლშელები რუსებს რომ შეურიგდნენ, დაუახლოვდნენო.

გამბეტას გაზეთი „Le République Française" დღეს ამ აზრს სრულ თანხმობას აძლევს (ნახე ამ საგანზე აგრეთვე დღევანდელი «Голос»-ი) და პოლშელებს პირდაპირ ურჩევს რუსეთს დაეთანხმეთო, რადგანაც არა თუ მარტო ძალა, არამედ ზოგიერთი ნამდვილი ზნეობითი სიმართლეც აქვთ პოლშაშიო. საქმე აქ იმაში კი არ მდგომარეობს, მიიღებენ თუ არა პოლშელები ამ რჩევას, საქმე იმაშია, რომ დაწინაურებული საფრანგეთი იმათ თავს ანებებს და რიყეზე ტოვებს. გამოადგება ეს მოქცევა საფრანგეთს თუ არა ამას მომავალი დაგვანახებს. მაგრამ ყურადღებაში მისაღები კი არის, რომ რუსეთს უფრო მეტი სარგებლობა გერმანიასთან დაახლოვებაში აქვს, რადგანაც ამ დაახლოვების შედეგათ, ადრე თუ გვიან, ავსტრიის განაწილება ექნება გერმანიას და რუსეთს შუა, და საეჭვოა, რომ რუსეთმა ეს სარგებლობა დაივიწყოს მარტო იმისთვის, რომ საფრანგეთს მადლობა გადაუხადოს პოლშის მიტოვებისათვის.

პოლშელებისათვის კი აქედან ძლიერ სასარგებლო გამოდის. ისინი ნიადაგ სხვისი იმედით მოქმედებდნენ, იმათ სხვისი ხელით თავისი გათავისუფლება სურდათ; ისინი თავიანთ საკუთარ ხალხს კი არა, დიპლომატიას უახლოვდებოდნენ, აღვიძებდნენ და სძრავდნენ. ეხლა ისინი დაინახავენ, რომ თითეული პარტია თავისი საკუთარი იმედით უნდა იყვეს და თავის საკუთარ ძალას უნდა იმზადებდეს. თორემ სხვებს ის ფეხებზე ეკიდება, თუ საკმაო ძალა არ ექნა.

---

14. თანამედროვე სურათები

ჟულ გრევი. — საზოგადოების ყურადღება ამ დღეებში მიქცეული იყო საფრანგეთის საერო კრების თავმჯდომარეზე. რომელმაც თავის თანამდებობა მიატოვა იმ მიზეზით, რომ ( ) უმრავლესობამ ნამეტნათ გადააჭარბა თავის მოუთმენლობა და გულპიწობა. ჟულ გრევი სამოცი წლის კაცია, და თითქმის ორმოცი წელიწადია, რაც რესპუბლიკის მომხრეების რიცხვში ითვლება. მისი მიმართულება იმაში მდგომარეობს, რომ ის მარტო მშვიდობიანი გზით მოქმედებას უფრო ქადაგებს და ყოველი მმართებლობის წინააღმდეგ მარტო კანონიერი საშუალებების ხმარებას ურჩევს. რადგანაც ყოველი მმართველობა თავისი ნებით ისეთ კანონებს სცემს, რომელნიც მის წინააღმდეგებს თითქმის სრულიად უსაბენ მოქმედების ასპარეზსს, გრევის მოქმედება უფრო ხშირათ სრულიად უფერული იყო და მისი ცხოვრება — უმოქმედო. მაგრამ ის მაინც მარმარილოს ძეგლივით იდგა. როგორც ცოცხალი და შეურყეველი წარმომადგენელი უსამართლოდ და ძალადობით დაჩაგრული აზრისა. მისი გავლენის საფუძველი ზოგი ამ ხასიათში მდგომარეობს, და ზოგი იმ წინადადებაში, რომელიც იმან 1848-ში შემოიტანა პრეზიდენტის თანამდებობის მოსპობისათვის და მაგიერათ თვითონ კრებისაგან ამორჩეული „მინისტრების თავმჯდომარის" დანიშვნისათვის. ეს წინადადება რომ მიეღოთ იქნება საფრანგეთში მეორე იმპერია არ დაარსებულიყო.

( ) რესპუბლიკელი პარტია გრევის მსგავსი პირებით რომ ყოფილიყო შემდგარი, ნაპოლეონს დღესაც საფრანგეთი ხელში ეყოლებოდა, მაგრამ საბედნიეროთ, რესპუბლიკურ პარტიაში ბევრი უფრო ძლიერი და მოქმედი პირები ურევია, რომელნიც აძბობენ, რომ კანონი ჩვენი და ხალხის მტრებისაგან შედგენილიაო, რომ მის შემდგენელს შედგენის უფლება არა ჰქონდაო, და ვინც თვითონ ყოველი სამართლიანობა და ყველა კანონები დაარღვია უფლების შესაძენათ, ის სხვას რა ნებით სთხოვს მისი უმსგავსი და ხალხის დამღუპველი კანონის ასრულებასო? ძალადობას მარტო ძალადობა დაახშობსო და ჩვენს სამართლიანობას ძალის შეძენა და ხმარება



ქართული საფოსტო გზავნილი

№ 8. [illegible] № 3

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

Четвергъ, 3-го (15-го) мая 1873 г. № 47 Четвергъ, 3-го (15-го) мая 1873 г.

ТИФЛИССКІЙ ВѢСТНИКЪ

ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ И ЛИТЕРАТУРНАЯ

ГОДЪ ПЕРВЫЙ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ЗА ГОДЪ

На полгода

150 ЛИСТОВЪ ВЪ ГОДЪ

როდი აწყენსო. — გრევის დიდი ნიჭი არა აქვს, მაგრამ მეტის ვეტი სწორი და პატიოსანი ხასიათი აქვს. ადვილათ შეიძლება რომ შემდეგში ის ტიერის მემკვიდრე გახდეს პრეზიდენტობაში.

დ ო რ ი ა ნ. — წუხელი (14 აპრილს) პარიეში გარდაიცვალა ერთი უმჯობესი რესპუბლიკელთაგანი — დორიანი (Dorian), რომელიც 1870-ის დროებითი მმართებლობის მინისტრათ იყო, თუმცა ამ მმართებლობის წევრებს ერთი ათად სჯობდა და მის მოქმედებებს არ ეთანხმებოდა და ჰკიცხავდა. ეს ს ა ქ მ ი ს კ ა ც ი იყო, მეტის მეტათ მოხერხებული, მშრომელი და ენერგიული, მოუსვენარი, დაუთრუგვნელი ხასიათისა, და თავგამომეტებული, თავისი პიროვნების დამვიწყებელი. მისთვის სასიხარულო და სასიქადულო მარტო ის იყო, რომ რესპუბლიკის საქმე წარმატებაში ყოფილიყო, სიკეთე მოტანილიყო, კეთილს წინ ნაბიჯი წაედგა, და არა თავისი საკუთარი პიროვნების დაწინაურება და გამოჩენა. როგორც მოხერხებულ და საშუალების გამომძებნელ ორგანიზატორს იმას რესპუბლიკელ პარტიაში ტოლი არ ყოლია, თუმც ბევრი მისი ნაშრომი ხალხს სხვებისთვის მიუწერია და სხვების გარიგებულათ ჩაუთვლია.

„დროებით მმართებლობაში“ დორიანს ხმა როდი ჰქონდა, რადგანც ის ამ მმართებლობის წევრი კი არა. მარტო მინისტრი იყო. მაგრამ მის ხმას და აზრს მაშინ გავლენა რომ ჰქონოდა და მის წინადადებებს ნიადაგ პიკარის, ჟულ ფერრის, ჟულ სიმონის და ჟულ ფავრის წინააღმდეგობა არ დახვედროდა, ვინ იცის როგორ შეიცვლებოდა 18 ( ) წლის გარემოებები და როგორი ბედი ექნებოდა რესპუბლიკას!

დორიანისთანა კაცები, რომელთაც მათი პარტიის წარმატება და გამარჯვება პიროვანი თავმოყვარეობის სრულ დაკმაყოფილებათ მიაჩნიათ, და რომელთაც ვიწრო, კერძოობით, უსუსური თავმოყვარეობა არა აქვთ, საფრანგეთშიაც იშვიათები არიან. ამის გამო, მათი სახელის პატივისცემით გამოთქმა, მათი ცხოვრების კეთილი სიტყვით მოხსენება ყოველი პატიოსანი კაცის ვალია.

---

15. პარტიული დისციპლინა

ყველა ქვეყნების ახალგაზრდობისათვის და ყველა მოწინავე პარტიებისათვის გამოსადეგი და მისაბაძველია ის მაგალითი, რომელსაც დღეს ჩვენ საფრანგეთის რესპუბლიკური პარტია წარმოგვიდგენს. რესპუბლიკა თუ გაიმარჯვებს საფრანგეთში, ამის მიზეზი რესპუბლიკელი პარტიის გონიერი მოქმედება იქნება, ის მოქმედება, რომელმაც ყველა ამ პარტიის წევრი ერთმანეთს შეადუღა და შეაერთა, ყველას ერთი ნება და სურვილი მისცა, ერთნაირ მოქმედებას შეაჩვია და ძალის შეერთება დაასწავლა. აი, რაში მდგომარეობს ის დისციპლინა, რომელმაც სული ჩაუდგა და ძალა მისცა საფრანგეთში რესპუბლიკელ პარტიას და მისი გამარჯვება შესაძლებელ საქმეთ გახადა.

ყოველ მაზრაში რესპუბლიკელი პარტიის წარმომადგენლები და მოთავეები ამხანაგურად იკრიბებიან და საერთო მოქმედების პლანს აწყობენ ყოველ კერძო შემთხვევისათვის: დეპუტატის ანდა ერობის წარმომადგენლის ამორჩევისათვის, პოლიტიკური ქცევის შეცვლისათვის და სხვ. და სხვ. რასაც ეს წარმომადგენლები გადაწყვეტენ, ვისაც ისინი ამოირჩევენ, იმაზე უნდა დათანხმდენ ყველანი, ვინც კი რესპუბლიკელ პარტიას ეკუთვნის. ყოველი წარმომადგენელი კრების დროს, თავის მხრით და თავისი თანამოაზრეების მაგიერ, სიტყვას იძლევა — „ის გადაწყვეტილება ასრულებაში მოვიყვანოთ და იმ აზრს დავადგეთ, რომელსაც მთელი კრება მიიღებსო, თუნდ ჩვენმა საკუთარმა აზრმა დანარჩენი წარმომადგენლები ვერ დაითანხმოსო“. ამნაირათ მზადდება ის ერთსულობა, რომელსაც რესპუბლიკელი პარტია იჩენს და რომლითაც ის დაცალცალკევებულ თავის მოწინააღმდეგეებს ამარცხებს და აქცევს.

მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ თითოეულ წევრს თავისი აზრი დამალული უნდა ჰქონდეს და სხვისი ჭკუით უნდა ხელმძღვანელობდეს. არა. ყველას ნება აქვს გაზეთებში, წიგნებში და სახალხო კრებებში თავისი აზრი ავრცელოს, თავისი შეხედულება გამოთქვას, სხვის მოაზრებას წინა აუდგეს და თეორიულათ რაც უნდა ის იქა-

დაგოს. მისი საქმეა მკითხველი საზოგადოების და ხალხის თავისაკენ გადაყვანა, თავის აზრზე დაყენება. მაგრამ როცა საზოგადო მ ო ქ მ ე დ ე ბ ა საჭიროთ ხთება, ყველამ თავისი საკუთარი კერძო შეხედულება და უთანხმოება უნდა დაივიწყოს საერთო, უმრავლესობის აზრის ასრულებაში მოსაყვანათ.

პარტიას ამნაირათ თავისი საკუთარი მოთავეები და თავისი შტაბი ჰყავს. — სანამდი მიაწევს ამ საქმეში რესპუბლიკელების გონიერება და კერძო პირების თავგანწირულობა საზოგადო მიზნის სარგებლობისათვის, გვიჩვენებს ის გარემოება, რომ ლუი ბლანი, მაგალითად, რომელიც ყველაფრით გამბეტაზე უფრო მაღლა დგას, როგორც აზრისა გონების გახსნით, ისე თავისი პროგრამის სისრულით, რესპუბლიკური პარტიის მოთავეთ გამბეტას იცნობს, და მის ხელქვეითათ, უმცროს თანამშრომლათ ხდება.

„ბრძოლაში (ამბობენ ფრანცუზები) ჯარია საჭირო, და ჯარში — რაზმეული გაწყობილება, ესე იგი დისციპლინა“.

---

16. ვენის გამოფენა

ვენა, 20 (8) მაისს 1873

ოფიციალურ ცნობებს ვინც ენდობა, იმას დღეს დარწმუნებით ეცოდინება, რომ ვენის მსოფლიო გამოფენა პირველ მაისს გაიხსნაო. ამ ოფიციალური ჭეშმარიტების დამამტკიცებელ საბუთათ იმას, სხვათა შორის, ის გარემოებაც გაახსენდება, რომ ვენის გამოფენის გახსნას მრავალი მაღალ-ხარისხიანი პირი დაესწრო და გახსნის შემდეგ გამოფენა არა თუ მარტო მაღალ-ხარისხიანმა, მაგრამ გვირგვინოსანმა პირებმაც დაათვალიერესო, მაგალითად, ბელგიის ხელმწიფემ, ინგლისის მემკვიდრემ და სხ. და სხ. ეს მართალია, მაგრამ ამაზე უფრო მტკიცე ჭეშმარიტება ის არის, რომ ვენის გამოფენა ჯერ-ჯერობით გაუხსნელია. ალაყაფის ჭიშკარი, მართალია, ღიაა, და ვისაც ერთი გულდენის[38] გადახდა სურს, ის დაუბრკოლებლათ შედის გამოფენის სასახლეში. მაგრამ გამოფენაში გამოფენილი ჯერ ბაირაღების მეტი არა არის რა. მაშინები ჯერ არავის დაუყენებია თავ-თავის ალაგს, საქონელი ისევ სკივრებში სძევს, აქა-იქ ისმის გამწარებული კვერების რაკუნი და მუშების ყვირილი: ზედამხედველები გაგუდულ სახით დაიარებიან, ზოგი ინდოურებსავით ცხვირ ჩამოშვებული, ზოგი ბატივით ყელწაშვერილი. საქონლის პატრონები მსუნაგათ იპვრიტებიან სხვა პატრონების სკივრებში. მათი ხელქვეითები უსაქმური საქმიანობით დაწრიალებენ და წამის-წამ, თითქო უცაბედათ, „კომისარებს" ეტაკებიან. კომისარები, ხომ, არიან და არიან! მართლა, თქვენ არ იცით კომისარი რაა. ეს ის ბედნიერი ჩინოვნიკი გახლავს, რომელიც სხვა ქვეყნის სახელმწიფოს თავის ნაწილში წესიერების დასაცველად და გამოფენის დასათვალიერებლათ გამოუგზავნია. ღმერთო შეგცოდე, საქმე იმას ბევრი არაფერი აქვს, მაგრამ მაგიერათ რომ შეგახედათ, რა მეცნიერი, ღრმათ დაფიქრებული, მიუწდომელი შეხედულობა მიუცია იმას თავის თავისთვის, იფიქრებთ — ქვეყნიერების ბედის და უბედობის გადაწყვეტა ჰქონია ამას მინდობილიო. არა მგონია, რომ ლევერიეს ამისთანა ბრძნული სახე ჰქონოდეს და ასე ხშირათ თვა-

ლები ჭერისკენ მიეპყრას, როცა ის ახალი უცნობი მნათობის არსებობას მიხვდა და მის სიდიდეს და მდებარეობას ანგარიშობდა. ამ შედარების დასამტკიცებლათ ნახეთ, მაგალითად, ჩვენი ს-სკი! ლევერიე კომისარათ არავის გამოუგზავნია, ხომ, და არც კულების და კეხის გამოფენა მიუნდვია მისთვის მთავრობას! მაშ არც ის უნდა გვიკვირდეს, რომ ჩვენ კომისარს ლევერიეზე უფრო ბრძენი გამოხედულება და მიხვრა-მოხვრა აქვს.

გამოფენილია, ზედამხედველების და კომისარების გარდა სხვა-და-სხვა ქვეყნების ბუფეტები; სხვა რამე თქვით, თორემ საჭმელს და განსაკუთრებით სასმელს ადვილათ გამოაფენენ. მე მინდოდა გამეგო ამ ახირებული გამოფენის სიმდიდრის მიზეზი და აი რა ნაირი ახსნა მომცა ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა, თავისებური ტელეგრამული სტილით: „გამოფენა თვალისთვისაა. დამთვალიერებელი, სწავლის და ხელოვნების წარმატებას კი არა, ზია-ზია და ფერად-ფერად საგნებს და ჩვრებს აკვირდება. ის გასართობათ მოდის. იმას სეირი და ქეიფი უნდა. ქეიფს სასმელ-საჭმელი და გასართობი სანახავი სჭირია. აი, ამ ათასნაირი სასმელების და მათი დამსხმელი ლამაზი გოგოების ახსნა. ამას გარდა ავსტრია გერმანიის ნაწილია. გერმანიაში სასმელის (პივოს) გულისთვის ხანდისხან რევოლუციებიც მომხდარა, როგორც საფრანგეთში სტამბის თავისუფლებისთვის. ინგლისში — პარლამენტის უფლებისათვის, ან იტალიაში — ნაციონალური ერთობისათვის. მოდი და ნუ გამოუფენ ამ ხალხს სასმელ-საჭმელს!“

რადგანც გამოფენაში სანახავი ჯერ არა არის რა, მე ჩემი სეირნობა ბუფეტების ირგვლივ დავიწყე. გარწმუნებთ, შესანიშნავი სანახავია სხვა-და-სხვა ქვეყნის ხალხი ერთ და იმავე სიტყვებს რა და რა ნაირათ გამოთქვამს, — მაგალითად: — „პივო დამისხი“. მაგრამ უფრო შესანიშნავია ის, თუ რა ნაირათ გამოთქვამს ამ სიტყვას ერთი და იგივე კაცი შინ, ესე იგი თავის ქვეყანაში, და უცხოეთში. ინგლისელი, მაგალითად, რომელიც შინ ძლიერ თავდაკავებული და რბილია, გარეთ ისე ამაყურ და დიდკაცურ სახეს იღებს, თითქო ქვეყანაზე მარტო ის არსებობდეს და დანარჩენი კაცობრიობა მის მოსამსახურეთ იყოს გაჩენილი. ფრანცუზი, რომელიც შინ თავდაკავებულათ ამაყი და მასპინძელსავით ზრდილია, გარეთ ცოტათი უფრო უხვსიტყვიანი ხდება. გერმანელი, შინ მკრთალი და სუსტი. გარეთ მოკრივე კაცსავით იგრიხება. იტალიელი შინაც და გარეთაც მომბეზრებელი მტორტვლელია და სხვ. და სხვ. და ეს თვისებები ჩინებულათ იხატება იმ ორიოდე სიტყვის გამოთქმაში, რომლითაც კაცი ერთ ჭიქა სასმელს თხოულობს. ფრანცუზი თავის ქვეყანაში

პიეროს ასე მოითხოვს: Un boche! სხვაგან კი ასე იტყვის Faites moi le plaisir de me donner un boche! მაგრამ ამ გაზდილი სიტყვების თქმაში თქვენ მის პირის სახეზე სწორეთ იმავე თავდაკავებულ ამაყობას დაინახავთ, რომელიც იმას შინაც სჩვევია.

საკვირველია, მართლა, რისგან არის, რომ კაცს ამდენ ხანს იმ სისრულემდი ვერ მიუწევია, რომ შინ და გარეთ, ნაცნობებთან და უცნობებთან, მარტო და საზოგადოებაში, ერთი და იგივე გამოხედულება, ხმა, ჩვეულება და თვისება ჰქონდეს? რათ გვჩვევია ჩვენ ყველას კუდაბზიკობა, რათ ვერ იკავებს კაცი თავს ისე, რომ სხვების წინ თავის გამოჩენა არ სურდეს რამე სხვანაირათ, ვინემ ნამდვილათ არის? ეს, მგონია, იმისგან წარმოებს, რომ კაცს ძლიერ ცუდი აზრი აქვს თავის-თავზე. იმას არ უნდა, რომ სხვებმა ის იმ კანში დაინახონ, რომელიც მისთვის ღმერთს მიუცია, და ამ მიზეზით ის ცდილობს რამე ახალი, ვითომ უკეთესი კანი გაიკეთოს სხვების თვალის მოსატყუებლათ. იმის დასამტკიცებლათ რომ ეს ახსნა ჭეშმარიტია, თუნდ იმას მოვიყვან, რომ ნამდვილათ ხეირიან და გონიერ პირებს შინაც და გარეთაც ერთნაირათ უკავიათ თავი და იმათ არასოდეს აზრშიაც არ მოსდით პრანჭიობით და კლაკნით უცნობი, ან ნაცნობი პირების მოტყუება და თვალის ახვევა...

ამ შენიშვნის მეტი მე არაფერი გამომიტანია ვენის გამოფენიდამ, და რადგანც იქიდამ მე თქვენ ხელცარიელი ვერ მოგივიდოდით, ეს გამოფენის მარტივი ნაყოფი თქვენთვის მომირთმევია.

ზოგიერთ ნაწილებში გამოფენილი საგნების დანახვა შეიძლება, თუ კი გადაფარებულ ფარდების მამაცურად აწევა მოახერხა კაცმა ისე, რომ ზედამხედველმა დაშლის თქმა ვერ მოასწროს. ამ ნაირათ დავათვალიერე მე, მაგალითად, ჩვენებური განყოფილება. დაგარწმუნებთ, ჩემს დღეში თვალიდამ ცრემლი რომ როდესმე გადმომცვროდეს, სწორეთ თვალები ცრემლით ამევსებოდა ამ განყოფილების გადათვალიერების დროს. წარმოიდგინეთ ჩემი გულის ტკივილი, როცა „კავკასიის ნაწილში" დავინახე — რა? გაფხეკილი კეხი, დაჭყლეტილი კუნა, დასრესილი ასალი, უჯიშო სატევარი და ორიოდე უმსგავსო გიშრის საყურე! მეტი ვითომ, ჩვენ ქვეყანას არა აბადია რა! გავიაროთ აბა თუნდ ალჟირის განყოფილებაში, და ვნახოთ, რა ნაირათ აწყობენ ხეირიან გამოფენას ნამდვილათ გონიერი კომისარები. ალჟირი საფრანგეთის კოლონიაა, აფრიკაში. ეს მხარე ჯერ გაუნათლებელი და შეუმუშავებელია, ვერც ბუნებითი სიმდიდრით, ვერც მდებარეობით, ვერც ხალხის ნიჭით ჩვენ ქვეყანას ვერ შეედრება. მაგრამ რას შვრება საფრანგეთი? ის აჭრევინებს ალჟირის სხვა-და-სხვა ნაირ ხეებს, აძებნინებს სხვა-და-სხვა გვარ ქვებს.

მადნეულს, ხორბალს, ისლს, ლერწამს და სხვ. და გზავნის ამას ევროპის გამოფენაზე. რისთვის, ვითომ? იმისთვის რომ დაანახოს ევროპას: აი რა და რანაირი სავაჭრო, ან გამოსადეგი საგნები იპოვება ალჟირში, მოდით, შეამუშავეთ და გაზიდეთ ეს სიმდიდრეები, ამით იქაურ ხალხს მოგება და სამუშაო მიეცესო. მართლაც, ნახეთ იქაური მუხის, წიფელის, ჭადრის ფიცრები, იქაური სიმინდი და ხორბალი, იქაური ლერწმეულობა, ქვა-მადნეული და სხვ. და მიბრძანეთ, ათასჯერ უკეთესი არ იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ამგვარივე საგნები? მაშ რათ არ გამოუფენია ჩვენ კომისარს არაფერი კეხის და ხანჯლების მეტი? ეს მარტო მაღალმა ღმერთმა იცის. ვითომ ცუდი იქნებოდა, საზღვარგარეთელ ხალხს რომ დაენახა რამდენნაირი ბუნებითი სიმდიდრე მოიპოება ჩვენს ქვეყანაში, რამდენი სხვა და სხვა ფერი მადნეულები, მცენარეები, ტყავი, პირუტყვი და სხვა და სხვ., იშოვება ჩვენში, რომელსაც სხვა ქვეყნებში დიდი ფასი და გასავალი აქვთ, და ჩვენსა კი ყურადღება არ მიუქცევიათ? ჩვენი კომისარების საქციელი ამას ჩამოგავს...

მე ილაჯ-გაწყვეტილი და გაბრაზებული ვათვალიერებდი დაჭყლეტილ კულებს და ბუკებს (ასე გასინჯეთ, ბუკიც კი გამოუძებნიათ და გამოუგზავნიათ საქართველოდამ!) და ნაღვლიანათ, ხმაამოღებლათ დავყვებოდი ჩემ მგზავრ ფრანცუზს, რომელიც გაშტერებული სახით ეძებდა, იქნება ერთი რაიმე საგანი მაინც ეპოვნა შესანიშნავი და ყურადღების ღირსი. ბოლოს, როცა მისი ძებნა უნაყოფო გამოდგა, მე კლავში ხელი გაუყარე და ნაღვლიანათ ვუთხარი:

— ჩვენ კომისრებს ჯერ კიდეც გაგება არა აქვთ, თუ რაა მსოფლიო გამოფენა. იმათ ჯერ ვერ გაუგიათ, რომ ამისთანა გამოფენაში ისეთი საგნები უნდა წარმოადგინონ, რომელიც რომელსამე ქვეყნის წარმოებას, შრომის მდგომარეობას და ბუნების სიმდიდრეს აჩენენ და აცნობენ. იმათ ჰგონიათ, რომ გამოფენაზე ისეთი საგნები უნდა გამოიგზავნოს, რომელთაც მარტო ძველებური, ახირებული, დახავსებული მნიშვნელობა აქვთ. იმათ თავიანთ სიცოცხლეში მარტო არხეოლოგიური მუზეუმები უნახავთ, და ამისგამო ჰგონიათ, რომ მსოფლიო გამოფენაც არხეოლოგიის გამოფენას შეადგენს. მიუტევოთ იმათ შეცოდებანი მათნი, რადგანც არ უწყიან, რას შვრებიან...

ამ დროს ერთი ოთახიდამ თავი გამოჰყო და მოვიდა ჩვენთან (გამოფენის ხელმძღვანელთაგანი). რომ გენახათ მისი კმაყოფილი, გაგლესილი, გადაყვავილებული პირის სახე, რომ შეგენიშნათ მისი მხიარული თავ-მადლიერი გამოხედუ-

ლება, იფიქრებდით, ამ კაცს თავისი მამული აღუდგენია და ისტორიის დამჯილდოვებელი გვირგვინი ელისო,.. ამქავდა ხელი, პირის სახე ამენთო ბრაზით, და არ ვიცი, რას ვიზამდი ამ აშფოთებულ მდგომარეობაში, იმ წამსვე აი ეს სიტყვები რომ არ მომსმოდა:

— Тут все тоже, что мы видели на прежних выставках. Формы промышленности теже, орудия труда(!), продукты. Словом застой полнейший!

ამ სიტყვებს ეუბნებოდა ერთი ლაზათიანათ გაპარსული ტიტულიარნი სოვეტნიკი თავის ბუჟუჟა, გაპენტილ-ბამბასავით რჩვილ ცოლსა და ცოლი, თავის მხრით, ისეთ პირის სახეს იკეთებდა, თითქოს ესმოდა ან გაეგებოდა, რას ეუბნებოდა ქმარი და, ერთის მხრით, ჩვენსკენ ქვეშ-ქვეშათ იხედებოდა და მეორეს მხრით ქმარს კვნესით და ზარმაცათ ეუბნებოდა: Конечно, разумеется!

გულმა არ მომითმინა. „არ გამცე-თქო“ უთხარი მე ჩემს მგზავრს ჩუმათ, და მიუახლოვდი ამ ცოლქმარს სწორეთ იმ დროს, როცა ისინი ჩვენებურ გიშრის საყურეებს და ახალციხურ ვერცხლეულობას შინჯავდენ.

— მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, ვკითხე მე ქმარს ფრანცუზულათ, რითი აიხსნება ის საკვირველი განსხვავება, რომელსაც მე ვნიშნავ აი ამ გამოფენას და თქვენი ქვეყნების აწერილობას შუა? მე წამიკითხავს და გამიგონია, რომ კავკასია ნაყოფიერი და მდიდარი ქვეყანაა, ბუნებითი ნაწარმოებით. აქ კი ჩვენ მარტო ათიოდე უხეირო და ძველებური საგნების მეტი არა გვიძევს რა.

...ბუჟუჟა ცოლმაც დაგრეხილი ფრანცუზული ენით ხმა ამოიღო და კავკასიის სიველურე მიამბო. გაქვს სიცოცხლე მე იმათ ორივეს მალე გამოუძვერი ხელიდამ! მითხარით ეხლა, ვისახელეთ თუ არა თავი ჩვენი გამოფენით, და მტყუანია, თუ მართალი ეს ცოლქმარი?

რუსულ განყოფილებაში ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია ტყავებმა. რომ იცოდეთ, რა და რა ნაირათ, რამდენ ფეროვანი და რამ სიდიდე ტყავები გამოუგზავნია რუსულ ხელოვნებას! აქ კამბეჩების ტყავსაც ნახავთ, კრავებისასაც, თხის და მგლის, ერთი სიტყვით, ყოველ გვარს, როგორსაც კი ისურვებთ. ყველაზე უფრო დიდი სიუხვეა ძროხების და ხბოების ტყავებში.

სხვა შესანიშნავი საგნების აწერა შორს წაგვიყვანს და ამჟამათ ეს მით უფრო ძნელია, რომ, როგორც წეღან ვთქვი, გამოფენა ჯერ მზათ არ არის. სხომის უფრო ადვილი იქნება ამის აწერა, და მე ამ საგანზე მუსაიფს უფრო იმიტომ ვსპობ, რომ „დროების“ რედაქცია თვითონ აპირებს ცალკე კორესპონდენტის გაგზავნას ვენის გამო-

ფენაზე. ნუ აჩქარდებით, ბატონო რედაქტორო. ეს გამოფენა უფრო სასიამოვნო და სასარგებლო სანახავი იქნებოდა. მანამდი კი ეს ნაუცბათევი აწერილობაც იყოფინეთ.

თვითონ ვენაზე რა გითხრათ? ვენა ისეთი უხეირო ქალაქია, სადაც კაცს არც ტვინის, არც გვამის მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეუძლია. ამ ქალაქში ბედნიერები არიან მარტო ურია-ვაჭრები და ურია-დიაცები. ვისაც ამ ორი კატეგორიის გაცნობა და დაახლოვება არ სურს, იმისთვის ვენა სასაფლაოა. ცხოვრება აქ ყოველთვის ძვირი იყო და ეხლა ერთი ათათ უფრო გაძვირებულა. ისე რომ წარმოდგენაც არ შეიძლება. ქალაქი მტვერითაა სავსე, მარჯვნით და მარცხნით წრიალობს გატყავებული ხალხი, უშნოთ, ულაზათოთ, უაზროთ; მხიარულ სახეს, გონიერ შეხედულობას, გამჭრიახ თვალებს ათასში ერთსაც ვერ ნახავთ; დაუმატეთ იმას კვირაში ხუთასი ვაჭრის გაკოტრება, ათიოდე ბანკირების დაცემა, ორიოდე ფინანსისტების თავის მოკვლა — და თქვენ ნამდვილი სურათი გექნებათ ეხლანდელი ვენისა.

მართლა, დამავიწყდა მეთქვა, რომ არხიტექტურული მხრით გამოფენის სასახლე მეტის-მეტათ უხეირო და უმსგავსოა; განყოფილებები დაბურდულათ და ახირებულათ ირევიან ერთი მეორეში, სინათლე ძლიერ უთავბოლოთაა დარიგებული, ზოგან ნამეტნათ ნათელია ოთახი, ზოგან კი თითქმის სრულიად ბნელია. არცერთ ალაგას არ გახსენებია არხიტექტორს, რომ მცქერალს სიარული მოსწყინდება, რომ ზოგიერთი ნაწარმოების წინ საჭირო იქნება მოსვენებით დაჯდომა, უფრო ნაყოფიერი გასინჯვისთვის. არცერთ კუთხეში არ სდგას სტოლი, რომ კაცს ორიოდე შენიშვნის ჩაწერა შეეძლოს. არსადაა ისეთი ოთახი, საცა კაცს სხვასთან მოლაპარაკება, ან თუთუნის მოწევა შეეძლოს. ერთი სიტყვით, გამოფენა უთავბოლოთ და უგონოთ არის გამართული. იქნება შემდეგში ეს ყველაფერი გაასწორონ, ეხლა კი, საუბედუროთ, დაცინვის მეტი, ენაზე არა მადგია რა, ამ გამოფენის დაფასების დროს.

---

17. რისთვის ვჩხუბობთ?

საკვირველი ქმნილებაა კაცის გული და გრძნობა. რაგინდ გულ-დაწყვეტილი და გაბრაზებული იყოს კაცი ძვირფას და საყვარელ ქმნილებაზე, რაგინდ დარწმუნებით დაკარგული ჰქონდეს იმედი მის მომავალზე და გონიერებაზე, დაინახავს თუ არა იმას გაჭირვებულ, ან ძნელ მდგომარეობაში, მაშინვე თავის ბრაზს და სამდურავს ივიწყებს, მის ტუტუცობას აღარ იხსენებს, მის სიბრმავეს და უხეირობას აპატიებს და ხელახლავ გულმხურვალეთ, დაუზოგველათ მის დახმარებას ცდილობს, რჩევას აძლევს, არიგებს, ეხვეწება და ეხმარება. მის აღშფოთებულ გრძნობას და გაფხიზლებულ გონებას მაშინ არც კი ახსენდება, რომ ეს საყვარელი ქმნილება, თავის დაბრმავების ან უხეირობის გამო, ვერც იმის რჩევის ასრულებას მოახერხებს, არც მის დახმარების გამოყენებას მოინდომებს. გამოვა რამე ხეირი მის დახმარებისგან, თუ არა — ამას ის როდი ეძებს, როდი კითხულობს. ის მაინც თავის გულის-თქმას აცხადებს, თავის ღონეს ხმარობს, ძლიერ კარგათაც, რომ იცოდეს, რომ ერთი-ორი კვირის შემდეგ მისი საყვარელი ქმნილება უწინდელურათ უხეიროთ მოიქცევა და უწინდელ სისულელეს გაიმეორებს...

სწორედ ამნაირი საკვირველი გრძნობით ივსება ჩემი გული. როცა მე მამულში ფეხის შემოდგმის შემდეგ, დაობებული ცხოვრების ოშივარი მეცემა და ჩვენი უბედური განხეთქილების და შფოთის კიჟინა და ვაივაგლახი მესმის. და რაც უფრო დამაღონებელია ეს ოშივარი და ვაი-ვაგლახი, მით უფრო და უფრო ხელი მექავება, გული მიძგერს, ტვინი მიდუღს და ის ძვირფასი ძალა მენატრება, რომელსაც ამ ოშივარის დაფანტვა, ამ ვაი-ვაგლახის მოსპობა შეეძლოს. მაგრამ სადაა ეს ძალა!

აი, მაგალითად, დღეს ჩვენში ყველაზე უფრო ხმამაღლა აზნაურობის კრების ვაი ვაგლახი და კიჟინა ისმის. შორიდამ ამ საქმეს რომ კაცმა ყურადღება ათხოვოს, ეგონება ცხოვრება სდუღსო, საქმე მზადდებაო, სასარგებლო ბრძოლაა გამართულიო. მაგრამ დააკვირდით ამ კიჟინას, ამ საქმეს, მიუახლოვდით, და ნახავთ ისეთ სანახავს, რომ ღმერთმა შეინახოს. თქვენ დაინახავთ პიროვან ჯიბრს

და ქიშპობას, საერო საქმის მაგიერ ხელში შეგრჩებათ უბრალო, წვრილმანი, კერძო სარგებლობის ძებნა, და სასარგებლო ბრძოლის მაგიერ გაგაშტერებს, გაგაბრაზებს უმიზნო, თითქმის უმიზეზო და სრულიად უნაყოფო შფოთი, ხრიალი და ერთმანეთის თავ-პირ-ლეწვა. და როცა ამ სამწუხარო სანახავის პირველი შთაბეჭდილება იხოცება, კაცი დაღონებული გულით ჰკითხულობს: რისთვის, ან ვისთვის, რა აზრით და რა ხეირისათვის იღუპება ამდენი ძალა, ილევა ამდენი გესლი და იკარგება ამდენი დრო ამისთანა უნაყოფო და უმეცარ განხეთქილებაში!

მართლაც, ვთქვათ, რას აკვდება ქუთაისის საზოგადოება, რის გულისთვის ერთმანეთს სახელს უტეხენ, რათ იბრძვიან, რას ელიან, ან რა უნდათ? ხელს მოვიჭრი, თუ ამის პასუხს ვინმე მომცემს. იქ პარტიებიც საკმაოთ გახლავს, წინამძღოლებიც, მეომრებიც. გამწარებულათ ებრძვიან ისინი ერთმანეთს. აგერ თუთხმეტი წელიწადია და შორს მოისმის მათი ბრძოლის ტყაპა-ტყუპი, კიჟინა და კივილი დაუზოგველათ, მოუსვენრათ, დაუვიწყარათ სდგება ძმა ძმაზედ და მეგობარი მეგობარს ყელს სჭრის — პარტიის სასარგებლოთ, საქმის მოსაგებათ, მაგრამ ამ ძვირფასი ძალის ხმარებას, თავგამომეტებულ ერთგულებას და ბრძოლას სწორეთ ისვე მნიშვნელობა და ხასიათი აქვს, როგორც დღესასწაულ დღეს ბურთის თამაშს. ჩვენი საზოგადოება, მებურთაველების არ იყოს, არაფერს ზოგავს, არავის ერიდება, არას იხსენებს, ოღონდ ბურთი კი თავისაკენ გაიტანოს, ბრძოლაში გაიმარჯვოს, სახელი დაიმსახუროს. ის დაუზოგველათ თავს კეტით უტეხს მოწინააღმდეგეს, თუნდ ეს მოწინააღმდეგე მისი მკვიდრი ძმა იყოს, ის შეუბრალებლად ფეხით სრესს „მტერს", — თუნდ ეს „მტერი" მისი გულითადი მეგობარი და ძმა კაცი იყოს. და ათასი ამისთანა დაუზოგველი, შეუბრალებელი, უანგარიშო მსხვერპლის და ვაივაგლახის შემდეგ, საქმე იმით თავდება, რომ, იმას თავპირი დასისხლიანებია, ტანსაცმელი შემოფხრეწია, ხელ-ფეხი დაუჟეჟია, და ხელში დაგლეჯილი, დასრესილი, გატალახიანებული ბურთი შერჩენია, რომელიც ბურთათაც აღარ გამოდგება, ამიტომ რომ ბრძოლის სიცხარეში ის მებრძოლებს გაუწეწიათ და ერთ კუშნა დამპალ მატყლათ და ხავსათ გადაუქცევიათ.

ხუმრობა გაშვებით, სწორეთ ამგვარია ქუთაისის აზნაურობისა და საზოგადოების საქციელი, კენჭის ყრის დროს. მარშლობა, ამორჩევა სწორეთ ის ბურთია, რომლის გულისთვის თავპირს იმტვრევენ და ისისხლიანებენ ჩვენი კენჭის-მყრელები. მართალია, თამაში,

სეირი, ბურთაობა კარგი რამ არის, მაგრამ ეს თამაში, თუ ღმერთი გწამთ, საქმეთ როდის ჩაუთვლიათ ვისმეს? ეს კარგი ჩინებული სეირია, მაგრამ წელიწადში ერთხელ-ორჯერ. გათავდება თუ არა თამაში, მოთამაშეები ისევ თავთავის საქმეებს უბრუნდებიან და უწინდელურად ერთმანეთს ძმურად ექცევიან, მხიარულად ეკიდებიან. აზნაურობა კი ამას რატომ არ შვრება? თუ იმას მარშლის ამორჩევა ხუმრობად, სეირათ მიაჩნია, შემდეგში, დანარჩენ დროს ის საქმეს ხელს რატომ არ ჰკიდებს, რატომ არ ერთდება, არ შრომობს, არ გონიერდება! განა ნიადაგ თამაში და სეირი ბალღების მეტს ვისმე შეეფერება?

თამაში კარგი რამეა, თავის გართობაც, სეირიც, მაგრამ გონიერ კაცს როდი უნდა ერჩიოს სეირისა და თამაშის სდევა იმ დროს, როცა შინ გაჭივრება ჩასდგომია და მეზობლისას ტირილია. მტერისა და მოწინააღმდეგის გულ-გასახარებელი საქციელი გონიერ კაცს არ შეეფერება, და მთელ საზოგადოებას ხომ სრულიადაც არ მიეტოვება. ეს ჩვენ უნდა გავიგოთ. რა გასაჭირი გვადგია, ვითომ, რომ ბაინცა და მაინც გულგრილად, უდარდელად ჩვენ თავს ორიოდე პატივისმაძიებელი კაცის სათამაშოთ ვაქცევთ, მათ გულისთვის ვიტანჯებით, თავს ვიმტვრევთ მათი ამაღლებისთვის!...

ჩინებული, პატიოსანი და აუცილებლად საჭირო საქმეა იმისთანა კაცის, იმგვარი წინამძღომლის ერთგულება და დახმარება, რომელსაც მიზნად, საქმეთ ჩვენი საკუთარი საქმე და ჩვენი საკუთარი, საზოგადო მიზანი აქვს. მაგრამ უმიზნო, უსაქმო კაცის ერთგულება მხლებლების, მოსამსახურეებისა, ნაქირავების საქმეა, საზოგადოების მხრივ კი ეს ნამდვილი სიძაბუნე და სიგლახაკე გახლავს.

საქმე რომ კარზე არ გვადგეს, საზოგადო მიზანი საჭირო და თვალ-მოსაკრავი არ იყოს კიდევ ჰო. მაგრამ ჩვენ ხომ ამ მდგომარეობაში არ ვართ. ჩვენს საზოგადოებას დღეს ბევრი რამ აქვს საზრუნველი, გასარიგებელი, გასაწყობელი. დროა უხეირო პარტიების განყოფილება, განაწილება მოიშალოს, რომ მის მაგიერ უფრო გამოსადეგად და გონივრად გაიყოს ჩვენი საზოგადოების ძალა. ეხლანდელი პიროვნული, კერძოობრივი განხეთქილების მაგიერ, რომელსაც მიზნად მარტო და მხოლოდ უმიზნო პატივის მაძიებლების ამაღლება და სარგებლობა აქვს, უნდა დაარსდეს სხვა ნაირი პარტიობა, სხვაგვარი განაწილება და ბრძოლა, დაფუძნებული საზოგადო ხეირზე, საზოგადო მიზნის და სარგებლობის ძებნაზე. ვისაც ჩვენი ქვეყნის ბედნიერება და სიკეთე სურს, ვისაც ძვირფასად მიაჩნია მისი ბედი და მომავალი, იმისთვის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს ისეთი პარტიების დაარსება, რომელთაც მიზნათ პეტრე-

ნი და პავლეს გაბატონება კი არა, მთელი საზოგადოების დახმარება და შველა ჰქონდეთ მხედველობაში და რომელნიც ჩვენი ქვეყნის შვილებისგან, ჩვენი მამულის მსახურებისგან შემდგარი უნდა იყვნენ. ესაა დღეს ჩვენი საზოგადოების მოვალეობა. და ამ საზოგადოების დასაფასებელ ზომათ მარტო ის გამოდგება, თუ რამდენათ მაღალ მიზანს, გონიერ მიმართულებას მიითვისებენ ჩვენი პარტიები, რომ მიზნის სიმცირე და უხეირობა საზოგადოების უჯიშობას და დაცემას აღარ ნიშნავდეს.

რა კარგი იქნებოდა, ჩვენ საზოგადოებას ის სწავლა გაცნობილი რომ ჰქონდეს და ახსოვდეს, რომელიც მის სარწმუნოების საფუძველს შეადგენს; რა ღრმა აზრია, მაგალითად, იმ დარიგებაში, რომელიც მაცხოვარმა გამოთქვა, რომ „ახალ ღვინოს ახალი ჭურჭელი სჭირიაო!“ ამ ჩვენ დროს, ამ ჩვენ ახალ საჭიროებებს ახალი ჭურჭლები, ახალი მსახურები შეეფერება და ჩვენმა საზოგადოებამ ეს არ უნდა დაივიწყოს. თუ იმას თავისი სიკეთე უნდა, თუ იმას თავისი. საკუთარი და თავისი შვილების ბედი ცოტაოდნათ მაინც აფიქრებს, იმან უნდა გაიხსენოს, რომ ის პირები, რომლის ასამაღლებლად და გასაბედნიერებლად ის აქამდი თავს იკლავდა, მარტო თავიანთ საკუთარ, კერძო სარგებლობაზე ზრუნავდნენ, მარტო თავიანთ სიკეთეს ეძებდენ და საზოგადოებას მარტო მაშინ იხსენებდენ, ექალაჩუნებოდენ და თავს უკრავდენ, როცა მისი კენჭი სჭიროდათ და მისი დახმარება ეძვირებოდათ. ამ უნიჭო, უმიზნო, უმეცარ და უგულღვიძლო პირებს აღარ უნდა მიეცეს გავლენა ჩვენს საზოგადო საქმეებში. იმათ ხალხისა და საზოგადოების ხარჯზე, საზოგადოების ხელებით და დახმარებით, თავიანთი საკუთარი ბედი შეიდგინეს, და საზოგადოების პატიოსნების მაგიერ თავიანთ კერძო სოროებში შეიბუდნენ. დავტოვოთ ისინი იმ სოროებში და სხვაგან, სხვა გზას, სხვა მსახურებს მივადგეთ. ვეძიოთ მცოდნე, პატიოსანი, თავდადებული პირები, რომელთაც ჩვენ გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩვენი პატრონობა შეეძლოთ, და მიზნათ საკუთარი ამაღლება. საკუთარი სარგებლობა კი არა, საზოგადო სიკეთე და ბედი ჰქონდეთ. დროა ამ გონიერ გზას დავადგეთ, დროა ძველი შეცდომები და უხეირობა დავინახოთ, რომ შემდეგში უწინდელივით უპატრონო და ბრმა ჯოგს აღარ ვგავდეთ.

---

18. ახალი ახალგაზრდობა

I'll braw the form and model
Of our battle, Limit each leader
to his several charge and part
injust proportion small power.

შექსპირი*

1

ძველი თაობის დამხობა ჩვენში დღეს ბრმისთვისაც ცხადი საქმე შეიქნა. ჩვენი ხალხის და საზოგადოების ცხოვრება, ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში, იმ ნაირათ დატრიალდა და შეიცვალა, იმას ისეთი მოთხოვნილება და საქმეები დაუხვდა გზაზე, ის ისეთ დაბრკოლებებს წააწყდა, რომ ძველებურმა ჭკუამ და გამოცდილებამ პირი დააღო, დამუნჯდა და ძალა-უნებურათ თავისი უვარგისობა და უმეცრება აღიარა. ვინც უწინდელ დროში, 1861-მდი, ჩვენს საზოგადოებას გონიერების, გამოცდილების, მოხერხების და ჭკუის მადნათ მიაჩნდა, ვისიც სიტყვა და რჩევა შავიზღვიდამ კასპიის ზღვამდი განუხილავთ, უწინაღმდეგოთ ბეჯითად მიიღებოდა, ის დღეს ყველას საბრალო უმეცრათ, გაფლიდებულ მკითხავათ მიაჩნია. ჩვენი საზოგადოების დამრიგებლებს და წინამძღოლებს, ჩვენი ხალხის თავებს მაზანდა წაუხდინა ახალი ცხოვრების ახალმა მოთხოვნილებამ. ამ სასიამოვნო უბედურებას ვერც იმათმა ჭაღარა თმამ უშველა, ვერც ძველმა დიდებამ. ყველაფერი შემუსრა და შეურაცხჰყო ახალმა დროებამ და მისმა დაუზოგველმა „მოთხოვნილებამ“.

ან კი როგორ შეიძლებოდა, რომ მათი საქმე სხვაფრივ წასულიყო? რითი დაემსახურათ ამ ვაჟბატონებს თავიანთი უწინდელი დიდება! რა ნამდვილი სიკეთე და სარგებლობა შეუძენიათ იმათ სამ-

* „მინდა ჩვენი ბრძოლის სახე და პლანი დავხატო, თითოეულ წინამძღოლს მისი მოვალეობა შემოუსაზღვრო და სწორათ გავანაწილო ჩვენი მცირედი ძალა!“

შობლო ქვეყნისა და ხალხისთვის? რა ქველის-მოქმედება, რომელი გონიერი რჩევა და აზრი წინამოურბოდა მათ გავლენას? რა ღვაწლით, როგორი მოქმედებით, რა ნაირი ცხოვრებით დაიმსახურეს იმათ „სახელი“ და დიდება? ამ კითხვებზე პასუხს ვინ გამოძებნის! მათი გავლენა დიდკაცობაში მდგომარეობდა, მათი ცხოვრება წინაპრების სამკვიდრებელის ფანტვაში მიდიოდა, მათი დიდება ხსვისი წყალობით ნაბოძევი იყო, მათი მოქმედება — ამ წყალობის ძებნაში ისარჯებოდა. იმათ საზოგადო მიზანი, სიკეთე ღირსება, მომავალი სიზმარშიაც არ მოლანდებიათ. მათი მიზანი ნიადაგ პიროვანი იყო, იმათ თავიანთი თავის და ნათესავების ამაღლება და გამდიდრება ნდომიათ, და საზოგადოებისთვის რჩევით ან მაგალითით მარტო ეს კერძოობითი, ბინძური გამაცალცალკევებული მიზანი უჩვენებიათ. — „ამაღლდით, გამდიდრდით, ვისაც კი შეგიძლიათ, — ამბობდა მათი მაგალითი და ქადაგება, — დანარჩენს — წინ წყალი და უკან მეწყერიო!“ ეს იყო მათი სახარება, მათი მამაოჩვენო და დაუჯდომელი. ამ მოქმედებას და საქციელს არც დიდი სწავლა სჭიროდა, არც დიდი გონიერება. ვისაც მელური ხასიათი ჰქონდა, ვისაც წინაპრებისაგან საკმაო ადგილ-მამული დარჩენოდა, ის დიდებისა და გავლენისკენ გზას ნელ-ნელა ითელიდა. იმას მაშინდელი ცხოვრება ადვილათ ითვისებდა, აჯილდოვებდა და ამაღლებდა, და საზოგადოებაც, მისი ამაღლებით გაკვირვებული მის დიდებას და ამაღლებას მის გონიერებას და ჭკუას აწერდა. ის ვერ არჩევდა იმ გზას და იმ საშუალებებს, რომლითაც ამ პირებმა დიდებამდი მიაღწიეს. ის საკმაოთ და ღირსეულათ ვერ აფასებდა იმ ღონის-ძიებებს და დამდაბლებას, რომლის შემწეობით ამაღლდენ ეს პირები. ის მარტო ამაღლებას ხედავდა და ფიქრობდა, ალბათ გონიერი და სხვებზე უჯკვიანესი პირები არიან, თუ კი სხვებზე უფრო მაღლა აფორთხვა მოახერხესო. აი, ეს გახლდა ჩვენი ვაჟბატონების გავლენის საფუძველი, ეს გახლავს მათი ძალის საიდუმლო ჯახრაკი და ძარღვი.

ღვთის მადლით ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში ისეთი შემთხვევები მოხდა, რომ მოთავე პირებს მარტო გაჩუმებით და წაყრუებით, ზურგის წახრით მოქმედება აღარ გამოადგებოდათ. ორმოცდა თუთხმეტის ომმა საზოგადოებრივი ცვლილებების საჭიროება გამოააშკარა. ამ ცვლილებებმა მამაპაპური ცხოვრება და ჩვეულებები შესძრა, ძველებური რწმუნებები მოჰკაფა, ახალი გაწყობილება კარზე მოგვაყენა. ხალხმა და საზოგადოებამ იგრძნო და დაინახა, რომ საზოგადოებრივი წესი და წყობილება ადამიდამ შეუცვლელი და ხელუხლებელი კი არ ყოფილა, ის თურმე კაცის ხე-

ლით შექმნილა, და კაცის ხელით შეიცვლება. რისთვის დაწესებულა რომელიმე კანონი, სასარგებლოა ის საზოგადოებისთვის, თუ საკნებელი, დარჩეს ის, თუ შეიცვალოს, ან როგორ შეიცვალოს, რა დაარსდეს მის მაგიერ, — ეს კითხვები თურმე კაცის გონებით და მოაზრებით გამოიკვლევაო. ამას მიხვდა ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ხალხი. და როცა ამ კითხვებით ისინი ჩვენს ბრძენებს მიადგენ და პასუხი მოითხოვეს, ბრძენებმა, რასაკვირველია, ენაც ვერ გააჭაჭანეს, სული ჩაიბანდეს და გაიბერენ, ვითომდა ამის პასუხები ჩვენ კი ვიცით, მაგრამ არ ვიტყვითო. მაგრამ როცა საზოგადოებას საქმე გაუჭირდა, როცა ცვლილებები თვითონ ამ ვაჟბატონების ჯიბეებს და სალაროებს შეეხენ, გაქვსთ სიცოცხლე მაშინ კი ალაპარაკდენ, მაგრამ როგორ? მათმა ლაპარაკმა და ყვირილმა, მათმა მოქმედებამ მათი განუზომელი უმეცრება და ანგარება გამოააშკარავა; საზოგადოებამ მათში მარტო ხეპრული თავმოყვარეობა და უგუნურება დაინახა, მეტი ვერაფერი. და თან და თან უფრო და უფრო აშკარათ გამოჩნდა, რომ როცა საქმე მთელი საზოგადოების ბედს და მდგომარეობას, მომავალს და არსებობას შეეხებოდა, ეს ბატონები მარტო საკუთარ ჯიბეებზე.

ზრუნავდენ, მარტო საკუთარ სარგებლობას ეძებდენ, და ამ ძებნაშიაც თვალახვეულ ჯაგლაგსავით ფოფხილებდენ, სცდებოდენ და ხანდისხან საკუთარ დიდებასაც ჰკარგვიდენ. ერთი სიტყვით, გამოჩნდა, რომ ამ ბრძენებს არც ცოდნა ჰქონიათ რისიმე, არც ნამდვილი, გამოსადეგი გამოცდილება, არც საკმაო გონება, და პატიოსანი საზოგადოებრივი გრძნობა, რომ ხალხისა და საზოგადოების საქმისთვის ეპატრონებიათ და თავი მოებათ. მათი დიდება გამოიფშუტა, მათი გავლენა გაქრა, მათი სახელი დაივიწყა. დღეს მათი დამნახავი საზოგადოება სწორეთ იმას გრძნობს, რასაც გრძნობს მოზდილი ქალი, როცა უცაბედათ ძველ სკივრში დამტვერიანებულ დედოფალას წაეყრება, რომელიც იმას სიყმაწვილეში სულდგმულ გვამათ მიაჩნდა, რომელსაც ის ეფერებოდა, ეთავაზებოდა, ემუსაიფებოდა და ეალერსებოდა, და რომლის გახუნებული წითელ-ყვითელი ტანისამოსი დღეს მის პირის სახეზე მწარე შებრალების ღიმილს სძრავს.

ამ უბედურმა თაობამ, თავის უკანასკნელ მოქმედებებში, იმოდენა უხეირობა და სისუსტე გამოიჩინა, რომ შებრალების მეტი აღარაფერი გრძნობა არ ეძვრის გულში ჩვენი დროების კაცს. როგორც წყალ-წაღებული კაცი ხავსსა და ლანდს ხელს სტაცებს და სიპს, ან როკს ეჯახება, ისე ამ ძველმა თაობამ ხელი წაავლო ყველაფერს, რაც კი იმის თვალ წინ მიჰქონდა ცხოვრების აღელვებულ

ტალღას. მოინდომა იმან ბანკის დაწესება, იბზუა, იტრიალა, და დაამკვიდრა მარტო თავისი უცოდინაროობა და ანგარება. ისურვა მთავრობის დახმარების თხოვნა, სასწავლებლების გამართვისთვის, და დაიმსახურა მარტო საზოგადო შეურაცხყოფა. ერთი სიტყვით, ყველაფერს მოეპოტინა ეს თაობა, და ვერაფერს ვერ მოჰკიდა ხელი, ყველაფერი მოინდომა, და ვერაფერი გაარიგა, ვერაფერს მისწვდა, ვერაფერი დაამტკიცა, თავისი საკუთარი უძლურების მეტი.

III

ამან გაუთხარა სამარე ამ საბრალო თაობას. არა მგონია, რომ ოდესმე საქართველოს ხალხმა ეს თაობა სიკეთით მოიხსენიოს და ძეგლი დაუდგას, მაგრამ კარგი კი იქნებოდა, მომავალი თაობების სამაგალითოთ, ამ თაობის მოთავე პირებს რომ ძეგლი აუშენოს ჩვენმა ხალხმა, და ზედ ეს ზედწარწერა ამოსჭრას: „აქ მარხია თაობა, რომელსაც საკუთარი სარგებლობა ღმერთად მიაჩნდა, რომელიც ბრმათ ატარებდა თავის სიცოცხლეს და დაბრმავების გამო ახალი ცხოვრების ფეხ-ქვეშ გაითელა“. და თუ ძეგლი არ იქნა, იმაში კი მტკიცეთ დარწმუნებული ვარ, რომ ისტორია, თუ ჩვენ ოდესმე ისტორიის ღირსნი შევიქენით, სიტყვა-სიტყვით ამ ზედწარწერას გაიმეორებს და ამით ღირსეულათ დადაგავს ამ ბედშავ თაობას, რომელსაც ჩვენი ხალხისთვის ვნებისა და სიმწრის მეტი არა გაურიგებია რა.

IV

აქ შესანიშნავი და დაფიქრების ღირსი ის გარემოებაა, რომ ამ თაობის ჩაქოლვის და დამხობის მიზეზი უფრო ცხოვრების და გარემოების ძალა იყო, ვინემ ახალი თაობის მოქმედება და ბრძოლა. ჩვენ იმოდენათ პირუთვნელი და გულწრფელი უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი საკუთარი მოქმედების და გავლენის დაფასება უნდა შეგვეძლოს სწორეთ იმ თვალით, როგორითაც დაგვაფასებს ჩვენ შემდეგი თაობა და მომავალი ისტორია (ვიმეორებ, თუ ჩვენი ხალხი როდისმე ისტორიის ყურადღებას დაიმსახურებს). ამ თვალით რომ შევხედოთ ჩვენ იმ ახალ თაობას, რომელიც ჩვენი ხალხის ცხოვრებაში 1861 წელს გამოვიდა, დავინახავთ, რომ ამ თაობას ძლიერ მცირედი გავლენა და მოქმედება ჰქონია, არა თუ მარტო ხალხის ბედზე და ცხოვრებაზე, არამედ მის გონებაზე და ძველი თაობის დამხობის მიზეზებზედაც. უმთავრესი გავლენა, უძლიერესი მეხი თვი-

თონ ცხოვრების შეცვლას, ახალი წესის შემოღებას ჰქონია, და ახალ თაობას ის სარგებლობაც ვერ მოუპოებია, რომელსაც იმას ხელში ცხოვრების მიმდინარეობა აჩეჩებდა.

1861 წლის ახალი თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღვსებული შემოვიდა, იმას კეთილი მიზანი ჰქონდა, პატიესაცემი მიმართულება, შრომისა და ბრძოლის სურვილი და ახალგაზდული აღტაცება, მაგრამ, როგორ ან რისთვის დავმალოთ, რომ ამ თაობას, ამ ახალ რაზმს შეადგენდა თითქმის მარტო ერთი კაცი, — ილია ჭავჭავაძე, რომელიც წინამძღოლიც იყო და რაზმიც, ან, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, ურაზმო წინამძღოლი იყო იმ ახალი თაობისა, რომელსაც ჩვენ ცხოვრებაში ფეხი უნდა შემოედგა ამ თორმეტი წლის წინათ? თვითონ ეს თაობა დამზადებული როდი იყო ძველ თაობასთან ბრძოლაში შესაბმელათ. იმას გაცნობილი არ ჰქონდა პრაქტიკული ცხოვრება, საზოგადოებრივი წესის კანონები და საჭიროებები, იმან არ იცოდა თუ რა და რა ცვლილებას თხოულობდა ხალხის მდგომარეობა, რა ნაირ მოქმედებას და დისციპლინას თხოულობს ბრძოლის საჭიროება, ის ერიდებოდა ძველ თაობას, ან, მართალი ვთქვათ, ეშინოდა მისი. მარტო ერთი მხრით შეეძლო ამ თაობას ძველის დაჩაგვრა და დათრგუნვა, — იმ მხურვალე სიყვარულით, რომელიც ახალგაზრდა გულში უნდა ღვიეოდეს საზოგადო ბედნიერების და საქმისადმი. ამ გრძნობამ, ამ სიყვარულმა აამაღლა ეს თაობა საზოგადოების თვალში, და შეავსო მისი ნაკლულევანება ცხოვრების ცოდნაში. როცა ძველი თაობის საკუთარი სარგებლობის ძებნას გვერდს ამოუდგა ახალი თაობის საზოგადოებრივი გრძნობა, ძველმა თაობამ უნებურათ, უგრძნობელათ თავი დახარა და უნდომელათ დაიწია. ეს გავლენა ჰქონდა 1861 წლის თაობის „სიტყვას", და ეს „სიტყვა" იმაში მდგომარეობდა, რომ გონება-გახსნილი, დაწინაურებული კაცის უმთავრესი ვალია თავისი ხალხის და საზოგადოების დახმარება და ბედის გაუმჯობესება.

ამ „სიტყვამ", ამ აზრმა გზა გაიკვალა საზოგადოების ტვინისკენ მაგრამ ამ თაობის ნაკლულევანება იმაში მდგომარეობდა, რომ მის ნიჭიერ და გონიერ წარმომადგენელს, ილ. ჭავჭავაძეს, დამხმარე და თანამოაზრე ბევრი არავინ ყავდა. მის თანამშრომლებს, საზოგადოთ რომ ვთქვათ, არც დიდი ნიჭი ჰქონიათ, არც დახელოვნებული ცოდნა. ისინი რიცხვითაც მცირენი იყვნენ და ძალითაც, ისე რომ ჭავჭავაძეს მარტო სიტყვით, წერა-ბეჭდვით შეეძლო, ისიც ცოტა ხნის განმავლობაში, თავისი მიზნის სდევნა. და თუმც იმის მოქმედებას ფუჭათ არ ჩაუვლია,

თუმც იმას გვარიანი კვალი დაუტოვებია ჩვენ ცხოვრებაში, ის როდი უნდა დავივიწყოთ, რომ მაშინდელ გარემოებებს და ჭავჭავაძის ნიჭსა უმეტესი გავლენის მიცემა შეეძლოთ ჩვენი ახალი თაობისთვის, და უმძიმესი მეხის დაცემა უნდა შეძლებოდათ ძველი თაობის მდგომარეობაზე და გავლენაზე.

V

რათ დაემართა ჩვენ ახალგაზრდობას ამნაირი უბედურება, რა მიზეზი იყო, რომ იმან ვერ დაიკავა ჩვენ ცხოვრებაში ის ადგილი, რომელიც თითქო საგანგებოთ დაუმზადა იმას ბედმა და გარემოებამ?

ეს ადვილათ ასახსნელი და გამოსაძიებელი კითხვაა. თითოეულ დროებას, თითოეულ თაობას თავისი საკუთარი საქმე და საჭიროება მოსდევს. ხანდისხან საზოგადოებას ეკონომიური მდგომარეობა აწუხებს, მაშინ ის კანს იცვლის თავისი ეკონომიური გაწყობილებით, და ამ დროს საჭიროა ისეთი თაობა, რომელსაც ეკონომიური ცვლილებების მოხდენა და გამოყენება შეეძლოს. სხვმის საზოგადოება გარეშე მტერს ებრძვის, მაშინ ის იტანჯება ბრძოლის ველზე, და ამ დროს საჭიროა სამხედრო სწავლაში დახელოვნებული თაობა. მშვიდობიანობის დროს, როცა ეკონომიური ცვლილებები ხეირიანი დგებიან, ხალხი მშვიდობიანათ შრომობს და ცხოვრობს. მაშინ საჭიროა მწარმოებელი თაობა, შრომაში გამოცდილი, აღებმიცემის მცოდნე, გზების და გამსაღებელი ადგილების გამომძებნელი. მაგრამ თითქმის ნიადაგ როგორც მშვიდობიანობის, ისე ბრძოლის დროს, როგორც ცვლილებებში, ისე მყუდროებაში, საჭიროა ახალი თაობის აღმზრდელი პირები, საჭიროა სამოქალაქო და პოლიტიკური გაწყობილების მცოდნე მოთავეები. როცა საზოგადოებას უეცრათ რომელიმე ამ პირებთაგანი სჭირდება, მაშინ მის თვალში და ცხოვრებაში ძალა და გავლენა იმ თაობას ეძლევა, რომელსაც შეუძლია საჭირო პირების წარმოდგენა და მოხმარება. საზოგადოება იმას არასოდეს არ დაეძებს, ახალთაობას ეკუთვნის საჭირო პირი თუ ძველს, ნამეტნათ ახალგაზდაა ის, თუ შუა კაცია, ანა და მოხუცი. იმას ეს პირი სჭირია, ის სარგებლობს მისი ცოდნით და მოხერხებით და უჯერებს იმას, სანამ ის მისთვის საჭირო და გამოსადეგია. იცვლება დრო და გარემოება, საზოგადებას სხვა საჭიროება კარს ადგება, ის სხვა პირებს ეძებს და უჯერებს. სხვა მიმართულებას იღებს. ასე ბრუნავს საზოგადოებრივი ცხოვრება. ამ ბრუნვაზეა დამოკიდებული სხვა და სხვა თაობის ზედმოქმედება საზოგადოებაზე, სხვა და სხვა მიმართულების გამარჯვება და

ამაღლება საზოგადოების ცხოვრებაში. ძალა და გავლენა იმ მიმართულებას და იმ თაობას ეძლევა, რომლის აზრი უფრო ნათლათ სცნობს ცხოვრების გარემოებებს და რომლის წევრები უფრო მტკიცეთ დამარაგებული არიან ამ გარემოებების გასაგებათ, მოსავლელათ და შესაცვლელათ.

მაშასადამე, ჩვენში 1861 წლის თაობას, ისეთი წევრები სჭიროდა, რომელნიც დამზადებული და გაჩვეული ყოფილიყვენ მაშინდელი საზოგადოებრივი საქმეების მმართვაში. საუბედუროთ ეს თაობა ჩვენს ცხოვრებაში დაუმზადებელი შემოვიდა. იმან არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიით, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი. იმას მარტო კეთილი გული და პატიოსანი სურვილი ჰქონდა, და გონების იარაღათ იმას მარტო ორიოდე მეტნაკლებათ ნათელი აზრი მოუძღოდა: გლეხების გათავისუფლების სამართლიანობა, ბატონყმობის უვარგისობა, მამულის სამსახური... და თუ ამ მცირედი იარაღით და ბარგით, ამ გამოუკვლეველი, ნისლიანი აზრებით მაშინდელმა თაობამ მაინც თავი გამოიჩინა და საზოგადოების თვალში უწინდელ თაობაზე უფრო მაღლა დადგა, ეს, ერთი მხრით, ძველი თაობის განუკურნველ სიძაბუნეს გვიმტკიცებს და, მეორეს მხრით, გვიჩვენებს, რა ადვილი იყო მაშინ ახალი მიმართულების გამარჯვება და ამაღლება, მაშინდელს ჩვენს ახალგაზრდობას ხეირიანი დამზადება და იარაღი რომ გამოჰყოლოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოსვლის დროს. რათ არ გამოჰყვა იმას ეს ღონეზადება და იარაღი?

VI

ამის პასუხს ჩვენ ადვილათ მოვძებნით, თუ კი გაკვრით თვალს გადავავლებთ იმ მდგომარეობას და გარემოებებს, რომელშიაც იზდებოდა მაშინდელი ჩვენი ახალგაზდობა.

ნუ დავივიწყებთ, რომ როცა ეს ახალგაზდობა სწავლას შეუდგა, ჩვენ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ ისმოდა გაუმჯობესების საჭიროება და სურვილი. სწავლის მიმზიდველი ძალა, იმ დროს, მარტო იმ უპირატესობაში მდგომარეობდა, რომელსაც დიპლომები და „განათლების ბზინვა“ ახალგაზდა კაცს სამსახურის ასპარეზზე აძლევდა. დაობებულ, უმოძრაო ცხოვრებაში აღზრდილ ახალგაზდას გზავნიდენ უნივერსიტეტში, სადაც საკმაო მოძრაობა არ ეძლეოდა ახალი მიმართულების ძალას. ვისაც მაშინ დიდი ნიჭი ჰქონდა, ვისაც მძლავრი ტვინი დაჰყოლოდა, ის თვითონ იკაფავდა გონების გახსნის გზას. იმას როდი აკმაყოფილებდა ადამისწლის პროფესორების დაძველე-

ბული და მამაპაპური ლექციები, იმას არ აძინებდა დიპლომის იქ-
დი და მოსვენებას არ აძლევდა ის კითხვები, რომელნიც ყოველი ხე-
ირიანი ახალგაზდის გონებაში ჯგუფ-ჯგუფათ იბადებიან და პასუხს
მოუსვენარათ ეძებენ. ამისთანა ყმაწვილები თვითონ თავიანთი შრო-
მით და გაგებულებით, შეუდგენ გონების გამხსნელ სწავლას, რო-
მელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა პროფესორების ლექციებ-
თან. ცხოვრების დაკვირვებით, ლიტერატურის გაცნობით, კითხვით,
ფიქრით, ბაასით, მოქმედებისა და წერის ცდით, მეცადინეობდენ
ესენი, დამზადებულიყვნენ ჩვენი ხალხის სასარგებლო მსახურებათ,
და, რამდენათაც კი მაშინდელი გარემოებები და მათი ნიჭი იმათ
ამის ნებას აძლევდენ, კიდეც მოემზადენ. ამგვარი იყო, მაგალითად,
ილია ჭავჭავაძის და ზოგიერთი იმ დროის ახალგაზდების მომზადე-
ბა. სხვები, ნაკლები ნიჭისა და ჭკუის პატრონები, ძველ გატკეპნილ
გზას შეუდგენ. იმათ ლექციები იზეპირეს, ოთხი-ხუთი წელიწადი
ყური უგდეს იმის დაწვრილებით აწერას, თუ სეზოსტრისმა ვინ სად
დაამარცხა, ანა და რას ფიქრობდა ივანე მრისხანე, როცა თავის სა-
კუთარ შვილს გაბრაზებული ჰკლავდა, ანა და კიდევ, რა და რანაირი
ულვაში და ფეხი აქვს სხვა და სხვა გვარ პეპლებს. კიბოჩხლებს და
მორიელებს. უეჭველია, ეს კითხვები მეტისმეტათ შესანიშნავია კა-
ცობრიობის მეცნიერებაში, და იმათ გამოუკვლეველათ ფეხს ვერ
გადაადგამს თანამედროვე ფილოსოფია, თანამედროვე სწავლუ-
ლი, მაგრამ ჩვენი პროფესორები და მათი ყურის მგდებელი
ახალგაზდები ივიწყებდენ, რომ აუდიტორიაში ას მსმენელზე
იქნება მარტო ერთი იყოს ისეთი, რომელიც სწავლის წინ-
წაწევას და ფილოსოფიას შეუდგებოდა, და რომელსაც, მა-
საადამე, ეს წვრილმანი ფაქტი როდესმე გამოადგებოდა.
დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი კაცი კი ცხოვრებაში სამოქმედოთ,
საზოგადოებაში სასამსახუროთ ემზადებოდა, და იმათ მორიელების
კუდის გამოხატვა კი არა, თვითონ ამ საზოგადოების გაცნობა, მისი
საჭიროების გამოკვლევა, მისი საექიმო საშუალებების გამოძებნა
სჭიროდათ. უაზროთ, უნაყოფოთ, უსისტემოთ, უესებდენ თავს
ახალგაზდებს ამისთანა წვრილმანი ფაქტების სიმრავლით, თითქო ეს
ახალგაზდები თვრამეტ-ცხრამეტი წლის მოსწავლეები კი არა, და-
ხელოვნებული მეცნიერები ყოფილიყვნენ, რომელნიც კერძო ფაქ-
ტების მნიშვნელობას თვითონ იგებენ და ღირსეულათ აფასებენ.
იმის მაგიერ, რომ ეჩვენებიათ მოსწავლისთვის თანამედროე მეცნი-
ერების აზრი, მისი მიმართულება და დასკვნები, მოსწავლის თვალ-
წინ, მომაკვდინებელი სიზანტით და მიმძინებელი უნიჭობით იმ გზას

ხატავდენ, რომლითაც უვლია მეცნიერებას; იმ იარაღს სწერდენ, რომელიც იმას უხმარია, და იმას კი არ ამბობდენ, რა გამოძებნა მეცნიერებამ, რა დაამტკიცა, რა შესცვალა და, განსაკუთრებით, როგორ უნდა შეიცვალოს ეხლანდელი ჩვენი ფიქრი და რწმუნება, ჩვენი ცხოვრება და განწყობილება, რომ მეცნიერების დასკვნას დაეთანხმოს და მისი საუნჯით ისარგებლოს კაცობრიობამ. მოსწავლის მეხსიერებას ათი ათასი უმნიშვნელო, ან წვრილმანი ფაქტების დამახსოვრებით ღლავდენ, მოაზრების ჩვეულებას კი მასში არავინ სძვრიდა. ამას გარდა უარესი ვნება იმას მოჰქონდა, რომ ფაქტებით ტიკჰორასავით გაბერილ ახალგაზდაში არავინ ზნეობით მხარეს არ ზდიდა. მოსწავლეს ფაქტებს აჩვენებდენ, მაგრამ არავინ არ სცდილობდა მაკში ხასიათი და ზნე აეზარდა, პატიოსნების კანონები გულში ჩაენერგა, პატიოსანი შრომისთვის შეეჩვია და მოქმედების მიზნათ მხურვალე საზოგადოებრივი გრძნობა დაეარსა. მარტო სწავლა, რაგინდ სრული და მტკიცე იყოს, კაცს კაცად ვერ გახდის, თუ იმას გრძნობა და ხასიათი არ მოსდევს, თუ მის მოქმედებას მტკიცე ბეჭედი არ ასვია. ამას ივიწყებდა უნივერსიტეტის სწავლა. ის სრულიადაც არ ეხებოდა მოსწავლეებში ზნეობითი მხარის გაკეთილშობილებას, ის ახალგაზდა კაცს ცხოვრებას და მოქმედების მიზანს, იდეალს არ უხატავდა, ის მასში კაცურ ხასიათს არ ზდიდა და დაუღალავ, ნიადაგ შრომას, მტკიცე გზაზე სვლას, მიზნის დაუვიწყებლობას არ აჩვევდა. ამის გამო, უნივერსიტეტებიდამ გამოდიოდენ ახალგაზრდები, რომელთაც გაცნობილი ჰყავდათ პეპელები და ბუზანკალები, იუსტინიანის ინსტიტუტები [30], ეგვიპტური მონუმენტები. მაგრამ ნამდვილი ცოდნით, საზოგადოებრივი მეცნიერებით და საქმიანი ხასიათით თვითონ პეპელებზე უფრო სუსტნი იყვნენ და ეგვიპტური მონუმენტებსავით უსარგებლო უნდა გამომდგარიყვნენ საზოგადოების ცხოვრებაში. მართლაც, უმეტესი ნაწილი ამ თაობისა პეპელასავით დაჰქროდა ქუჩა-ქუჩა და დღეში თხუთმეტ-ჯერ ტანსაცმელს და აზრს იცვლიდა, სანამ ცხოვრების საჭიროებამ და გარემოებამ ისინი მონუმენტების მაგივრათ არ გახადა, არ გააშავა და გააქვავა.

VII

მაგრამ ვიმეორებ, თუმცა ახალი თაობა ასე სუსტათ მომზადებული და დაიარაღებული გამოვიდა, თუმცა მისი ძალა თითქმის მარტო ერთი კაცის ძალაში მდგომარეობდა, თუმცა ამ თაობამ ის ადგილი ვერ დაიკავა, რომელიც მისთვის გარემოებებს დაემზადებია, ჩვენი

საზოგადოების ცხოვრება იმ რიგათ მობრუნდა და შეიცვალა, რომ ძველ-თაობას მუხლები მოესხლიტა და ახალ მიმართულებას ასპარეზი თავისუფალი ხედება და რჩება. ჩვენი ახალგაზდობა მეტასმეტათ შეცდება, თუ დაივიწყა, რომ ამ ბედნიერი მდგომარეობის მიზეზი და წყარო მარტო იმ ეკონომიურ ცვლილებაში კი არ მდგომარეობს, რომელიც გლეხ-კაცების ბედის შეცვლამ მოახდინა. მარტო ეს მიზეზი რომ ყოფილიყო, ძველი თაობა ამაყათ და მარჯვეთ ჩაჩუმდებოდა, იტყოდა, ძალას ვემორჩილებიო, ანა და ცვლილება მე თვითონ მომწონსო. არა. ძველი თაობა კიდევ და უფრო მეტათ მეორე გარემოებამ მოჰკლა, ისე მოჰკლა, რომ თავის დღეში აღარ მოესწრება, არც იმას, არც იმის მსგავს თაობას, მკვდრეთით აღდგომა და ამაღლება. ეს მეორე გარემოება აი რაში მდგომარეობს.

ყოველი ძველი თაობის ძალა, არათუ მარტო ჩვენში, არამედ ყოველგან დედა-მიწაზე, იმაში მდგომარეობს, რომ ეს თაობა ეპატრონება მთელი წარსული ხალხის ცხოვრების სამკვიდრებელს. წარსული დროების მოაზრეები, მწერლები, აზრები და ჩვეულებები, წარსული დიდება და შეძლება, იმათი სიტყვით, მათი საკუთარი იარაღი და სამკვიდრებელია. ვინც ახალ აზრს შემოიტანს, ახალ ცვლილებას მოითხოვს, ახალ წესს ურჩევს, იმას ყოველთვის ძველი თაობა უწინდელ გმირებს და უწინდელ დიდებას ცხვირში ატაკებს და ეუბნება: „მაშ თქვენ თქვენი თავი იმათზე უფრო ჭკვიანი და გონიერი გგონიაო, რომ იმათგან დაწესებულ ჩვეულებას არ იწონებთ და სცვლითო? მაშ თქვენ ძველი მამაპაპური აზრი არ მოგწონთ, მაშ თქვენ ძველი სჯული არა გწამთო!“ ეს სიტყვები ყოველთვის აჩერებდნენ საზოგადოებას და უშველებელ დაბრკოლებას უყენებდნენ ყოველ განახლების ცდას, რადგანც საზოგადოებაში თანაგრძნობას უკარგავდენ. დღეს საქმე სხვა მდგომარეობაშია. დღეს რომელიმე ძველი თაობის მოთავემ რომ ამ სიტყვების თქმა გაბედოს, ჩვენ თაობას მისი ტყავის გართმევა შეეძლება, და საზოგადოების თანაგრძნობა ჩვენი თაობის მხრით იქნება. მართლაც, რა სამკვიდრებელი დარჩა ჩვენ ძველ თაობას? ეკონომიური მხრით იმას გაღარიბებული და გატყავებული ხალხი და უმოქმედო, უხეირო აზნაურობა ღუპავს. პოლიტიკური მხრით — ზნე დაცემული, გაცალცალკევებული საზოგადოება, რომელსაც არა თუ ძველი გმირების სული დაუკარგავს, მათი სახელიც არ ახსოვს. ზნეობითი მხრით — გაფლიდებული უხასიათობა, დაცემული ხელის-ლოკვა, ძლიერის თაყვანისცემა, სამართლიანობის დავიწყება. ლიტერატურული მხრით — დაცემული მწერლობა, დავიწყებული ენა, დაფანტული და დამახინ-

ჯებული ძველი ლიტერატურა. გონებითი მხრით — სრული უაზრობა, ძველი ჩვენი ისტორიის უცოდინარობა, ახალი ცხოვრების გაუგებრობა. რომელ დიდებაზე მიგვითითებს ჩვენ ძველი თაობა? იმან თვითონ თავისი საკუთარი ხელით დაამხო და მტვერი წააყარა ამ დიდებას, და იმათზე უფრო გულმწველათ იხსენებს ამ დიდებას ჩვენი, და არა მათი, თაობა. რა საუნჯეს დაგვანახებს, რომელ გმირს წარმოგვიდგენს, როგორ ლიტერატურულ მოძრაობას, რომ ჩვენი გაჰკიცხვა და გაახლების სურვილი წალაგმოს? არაფერს, არცერთს. ის ხელცარიელია, გაკოტრებულია... იმას თვითონ აღარ სწამს თავის საკუთარი ღმერთები. იმას თავის საკუთარ თვალში მოჰკვდომია თავისი რწმუნება და იმედი. ვინ იხსენებს დღეს ანტონ კათალიკოზს და მის მსგავს კერპებს? ვინ გაბედავს მისი სახელით თანამედროვე მეცნიერების შეურაცხყოფას? ვის არ ჩაუკვნეტს ენას ერთი უბრალო შენიშვნა: „თუ თქვენი ანტონ კათალიკოზი იმისთანა ღვთისგან ჩაგონებული გმირი იყო, რომლის სიტყვა მთელ ეხლანდელ მეცნიერებაზე უფრო მაღლა უნდა იდგეს, რათ ვერ მოიგონა იმან რკინის გზა, ან ტელეგრაფი, რათ იკლავდა თავს ჯორზე ჩანჩალით, რათ ჰკლავდა შიკრიკებს თავისი ბარათების გზავნით. დაიმალეთ, თქვენ ხეპრებო, თქვენი ანტონ კათალიკოზით". წარუდგინეთ ეს აზრი რომელ გლეხსაც გინდათ, რომელ აზნაურსაც გსურდეთ, — ვაჭრებზე რაღა ვილაპარაკოთ, — და ნახავთ, თუ ის თქვენ არ დაგეთანხმოს და არ სთქვას: „რა ბრძანებაა, ბატონო, სად მაშინდელი სწავლა და დრო, და სად ეხლანდელი! ყრუ დრო გახლდათ, ჭკუიანი კაცები იყვნენ, მაგრამ სწავლა არ ჰქონიათ. იმათი სწავლა და დარიგება დღეს რაღა გამოსადეგიაო".

აი, ეს გარემოება ჰკლავს ჩვენში ძველ თაობას. ახალი მიმართულება, ახალი თაობა შემოდის ჩვენ ცხოვრებაში, ეხლანდელი მეცნიერების დახმარებით, როგორც ამ მეცნიერების წარმომადგენელი. მისი იარაღით აღჭურვილი. და ის სასწაულები, რომელიც ჩვენ ხალხს და საზოგადოებას ამ მეცნიერებამ დაანახა, ისეთნაირათ ზედმოქმედებენ ხალხისა და საზოგადოების გონებაზე, რომ არცერთ ჯინჯილოს, არცერთ ძველ ხელნაწერს, არცერთ ჭაღარა თმიან თავს მისი ამოხოცვა და შეცვლა არ შეუძლია. ახალმა მეცნიერებამ, თავისი ორიოდე მოგონების ჩვენებით, მოჰკლა ძველი მიმართულება, ძველი სული და თაობა, და, იმედია, სამუდამოთაც მოჰკლავს ძველ ცხოვრებას. თუ ახალმა თაობამ ახალ მეცნიერებას, ხელი გაუწყო და მისი მისაღები ხეირიანათ გამოიყენა. როგორ?

ახალმა მეცნიერებამ ჩვენში მარტო ცალი ფეხი შემოადგა. ის შემოვიდა ჩვენში მარტო თავისი ტეხნიკური მხრით, შემოვიდა რკინის გზით, ტელეგრაფით, ორთქლის გემით და სხვ. იმან გაიმარჯვა მით, რომ ყველასთვის უეჭვო და ცხადი შეიქნა, რომ ვერაფერი თოხარიკი, ვერაფერი ხარ-კამბეჩი ვერ იმოქმედებს იმდენს, როგორც ერთი უბრალო ორთქლმავალი. ეს აზრი ჩაიჭრა ხალხის ტვინში. უწინდელ დროში რომ ეს საქმე მომხდარიყო, ორთქლმავალს სასწაულებას მიაწერდენ და იტყოდენ, აი ბატონო, ილია წინასწარმეტყველი რომ ზეცას ცეცხლის ეტლით ავიდაო, ეს ყოფილა თურმეო. მაგრამ დღეს ყველა ხედავს, რომ ორთქლმავალი კაცის ხელით გაკეთებულია, კაცის გონებით გამოგონილია, და ყველამ იცის, რომ მამა აბრაამს ის არ ჰქონია, და მამა იაკობი აქლემებით დაიარებოდა. ეს დიდი საქმეა, ეს გარემოება ბევრ ცრუ მორწმუნებას სპობს და მოსპობს ხალხის ტვინში, და ღრმათ შესცვლის მის აზრს და მოქმედებას. მაგრამ არის ისეთი მხარე თანამედროვე მეცნიერებისა, რომელსაც ჯერ ჩვენში ფეხი არ შემოუდგამს. თანამედროვე მეცნიერების მთელი ნახევარი, ის ნახევარი, რომელიც საზოგადოების ცხოვრებას შეისწავლის და მისი გაუმჯობესობის გზებს იკვლევს, ჯერ არ მოჩვენებია ჩვენ საზოგადოებას. ეს მხარე მეტის-მეტათ შესანიშნავი და გავლენიანია. ეს სწავლა პრაქტიკულათ გამოსადეგია ჩვენი საზოგადოებისთვის, მით, მაგალითად, რომ გვიჩვენებს, რამდენი უსარგებლო ვაი ვაგლახის აცილება, რამდენი მძიმე გაჭირვების გვერდის ახვევა, რამდენი ხეირიანი ძველის გამოყენება შეიძლება, გონიერათ რომ იყოს გაწყობილი საზოგადოების ცხოვრება. ეს სწავლა ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი წესიც კაცის ხელით შექმნილია, რომ ის ათასჯერ შეცვლილა და ნილნელა გაუმჯობესებულა, რომ კაცობრიობას ბედათ როდი დაჰყოლია ამ ქვეყანაზე ტანჯვა და უსარგებლო გაჭირვება, რომ სიღარიბე კაცის უმეცრების შედეგია, რომ კაცობრიობა ერთ დროს ისეთნაირათ გაიწყობს თავის ცხოვრებას, რომ არავინ სხვას ტვირთათ არ აწევს, სხვისი შრომით არ რჩებოდეს, სხვას სიცოცხლეს არ უჭირვებდეს და, ძალისა დაგვარათ, ტვირთს უადვილებდეს. ერთმანეთში განხეთქილების და წინააღმდეგობის მაგიერ ეს სწავლა აარსებს საზოგადოებრივ გარმონიას, გონიერ ერთმანეთობას. ეს ერთებულ შრომას და ძმურ ცხოვრებას. ბევრი ამ სწავლის აზრებთაგანი ცხოვრებაში შევიდა, განხორციელდა, გამოდგა და გაძლიერდა. სხვების რიგიც მალე მოვა, და ნამეტნათ შორს არც ის დრო,

როცა მთელი ეს მეცნიერება საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელ სწავლათ შეიქმნება.

აი, ამ სწავლას უნდა მოსთხოვოს ჩვენმა ახალმა თაობამ ის საშუალება და იარაღი, რომლითაც საბოლოოთ უნდა დაიმხოს ჩვენი ცხოვრების ძველებური კილო და ჩვენი ძველი თაობის უკანასკნელი ნავსაყუდი. როგორც რკინის გზა ანტონ კათალიკოზის ფილოსოფიას ბოლოს უღებს და უმოწყალოთ სრესს, ისე საზოგადოებრივი მეცნიერების ნაყოფის შემოტანით ბოლო უნდა მოუღოს ჩვენმა თაობამ მამაპაპურ უხეირო ჩვეულებებს და გაწყობილებას. ჩვენმა ახალმა თაობამ ეს მეცნიერება რომ ისწავლოს და მისი დასკვნები და მაგალითები გაახორციელოს და ეხლანდელი ჩვენი ცხოვრების ყვავილები გვერდში ამოუყენოს, ბრმებიც კი დაინახავენ, რომ ძველმა ცხოვრებამ ბარგი უნდა აიკრას და სამარისკენ გაემგზავროს, როგორც ბარგი ააკრეკვინეს ნეტარ ხსენებულ ანტონ კათალიკოზს. მაშინ, უეჭველია, ახალი მეცნიერება იმ სარგებლობას მოიტანს, რომელსაც უნდა ელოდეს მისგან თანამედროვე კაცობრიობა და ჩვენთვის ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ჩვენ ისტორიულ ცხოვრებას, ჩვენ მდგომარეობას და ეხლანდელ გარემოებებს ჩვენი ხალხისთვის არც იარაღი და არც იმედი დაუტოვებია, ერთის მეტი — მეცნიერების ნაყოფის გონიერათ მოხმარებით ფეხზე წამოდგომა და უმჯობესი მომავლის დამზადება და მოპოება. რაც არ დაგვიტოვა ჩვენ წარსულმა ცხოვრებამ, რაც მოგვტაცა ბედის და ძველი თაობის ბრმა ძალამ, ის უნდა ვეძიოთ ჩვენ მეცნიერებაში, და მისი ძალით და დახმარებით უნდა გავამზადოთ მომავალი ბედი ჩვენი ქვეყნისა.

IX

მაშასადამე ცხოვრების მიმდინარეობას ჩვენი ახალი თაობისთვის ცალიერი ასპარეზი და გვარიანი იარაღი დაუმზადებია. რანაირათ შეიძლება ამ ასპარეზით და იარაღით სარგებლობა ისე, რომ ახალი თაობა რიყეზე არ დარჩეს? რა და რა პირობაა საჭირო ჩვენი ეხლანდელი ახალგაზდობისთვის, რომ მისი მოქმედება ფუჭად არ გაქრეს, რომ მისი ძალა ხეირიანათ მოხმარდეს ჩვენ ქვეყანას, რომ იმან სწორეთ ის სიკეთე მოუტანოს ჩვენ ხალხს, რომლის მოტანის ნებას იმას ბედი და გარემოება აძლევს?

ამის გამოკვლევას დიდი დავიდარაბა როდი სჭირია. ჯერ ეს ვიკითხოთ, რა საქმე, რა შრომა ადგია კარზე ჩვენ ხალხს? რა საჭიროებები დააფიქრებენ ამ ახლობელ მომავალში ჩვენ საზოგადოებას?

ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენში ცხოვრება ისე წაყრუებული და მიძინებული აღარ არის, როგორც ამ თხუთმეტი წლის წინეთ იყო. ვინ არ იცის, რომ გლეხების გათავისუფლებამ ზოგიერთი მხრით ახალი ეკონომიური მდგომარეობა შექმნა, რომელიც ხშირათ აფიქრებთ ჩვენ საზოგადოებას? ვინ არ იცის, რომ ამ ცვლილებას და სასამართლოების ახალ წესს შესანიშნავი ცვლილებები მოსდევენ ქალაქების და მაზრების გამგეობაში, და — როდესმე — ჩვენში ქალაქების საზოგადოებრივი გამგეობა და ერობა (земство) შემოიღება? ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენში თითქმის ყოველგან სურვილი იბადება, რაც შეიძლება უფრო სარგებლიანათ გამოიყენონ პატრონებმა თავიანთი მიწა-წყალი და ადგილ-მამული? ვინ არ იცის, რომ ის მოძრაობა სამსახურის ადგილების შოვნისთვის, რომელიც ამას წინეთ ჩვენ საზოგადოებაში სუფევდა, დღეს გვარიანათ გაგრილებული და ძალამოკლებულია, რადგანაც ყველასთვის ცხადი საქმე შეიქნა, რომ სამსახურის ხეირიანი ადგილები ყველას ვერ გაწვდება და სანიადაგოთ ყველას ვერ დააკმაყოფილებს? ეს ყველასთვის ცხადია. მაშასადამე, შემდეგში ჩვენ საზოგადოებას ბლომათ დასჭირდება სხვა და სხვა ხელოვნებაში და სწავლაში დახელოვნებული ახალგაზდები. როცა საზოგადოების წინ, მაგალითად, ერობის საქმე წარმოდგება, მაშინ ახალგაზდობას მარტო ორიოდე გრძნობიერი სიტყვის თქმა როდიღა ეყოფა კაცების თანასწორობაზე. როცა საზოგადოების ხელში, ვთქვათ, სკოლების გაწყობა, საავათმყოფოების დაწესება, გზების გაყვანა, ხარკის შეკრება და სხვ. იქნება, მაშინ ახალგაზდობას, კეთილი და პატიოსანი სურვილის მეტი, ნამდვილი და პრაქტიკული ცოდნის გამოჩენა დასჭირდება; იმ ცოდნის, მაგალითად, რომელიც გზების გაყვანას, ხარკის განაწილებას, სკოლების მმართვას და სხვ. შეეხება. თუ მაშინ ახალგაზდობას საკმაო წევრები არ ეყოლა, ამგვარ ცოდნაში დახელოვნებული, თუ, ვთქვათ, იმან თვითონ, თავისი საკუთარი ძალით, ვერ მოახერხა ხალხის საქმეების გამგებლობა, რაც შეეხება სკოლებს და მაღაზიებს, გზას და ბეგარას, სასოფლო და სამაზრო სესხებს და სხვ., შენი მტერია ცუდათ წავა მაშინ როგორც მთელი ერობის საქმე (რადგანც ძველ თაობას ამ საგნებში სულ არაფერი ესმის), ისე ჩვენი ახალგაზდობის გავლენა საზოგადოებაზე და ხალხზე.

აქედამ ცხადია, რომ როგორც წინანდელი მოაზრება ჩვენ საზოგადოებრივი მეცნიერების საჭიროებას გვიმტკიცებდა, ისე ჩვენი საზოგადოების ახლობელი მომავალი ჩვენგან ამავე მეცნიერების იმ ნაწილის ცოდნას მოითხოვს, რომელიც სამოქალაქო გაწყო-

ბილებას შეეხება. რა რიგათ უნდა გაიწყოს ქალაქების შინაგანი მმართველობა, მაზრების და სოფლების წესი და დახმარება, რა უნდა ქნას საზოგადოებამ და ერობამ, რომ ხეირიანათ გაიწყოს ადგილობრივი მმართვა, დაუჩაგრავათ შეკრიბოს ხარკი, საჭიროებისამებრ ხელი გაუწყოს ხალხს და ცალკე პირებს, საკმაო გასავალი უპოვოს ხალხის ძალას, ხეირიანათ გაწვრთნას მისი ჭკუა, — ამას ყველაფერს გვიჩვენებს ის სწავლა, რომელსაც უწინ პოლიციის, ან ადმინისტრაციის, სწავლას ეძახოდენ, და რომელსაც ეხლა გერმანელებმა გვარიანი სახელი დაარქვეს — Veiwaltungslehre. როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების შესწავლა, ისე, განსაკუთრებით, ამ მისი ნაწილის ცოდნა სწორეთ პირდაპირი მოვალეობა შეიქნა ჩვენი ახალგაზდობისათვის, თუ იმას ჩვენ საზოგადოებაში მოქმედება სურს და უსარგებლო მეამელათ ყოფნა არ უნდა. ნამდვილი და პრაქტიკული ცოდნით დაიარაღებული ახალგაზდობა, გარემოებების შემწეობით, ხმას ადვილათ ჩააკმენდინებს ჩვენს ძველს თაობას, რომელსაც უმისოთაც გვარიანი ბურთი უძევს პირში, და როგორც ამ ხმის ჩაკმედინებით, ისე იმ სარგებლობით, რომელსაც ის პირდაპირ ჩვენს საზოგადოებას მოუტანს, ის ადვილათ დაიკავებს ჩვენს ხალხის ცხოვრებაში იმ ბედნიერ ადგილს, რომელიც ხეირიან და ნამდვილათ განათლებულ და პატიოსან ახალგაზდობას უნდა ეკუთვნოდეს.

X

ეხლა ორიოდე სიტყვა იმაზედ უნდა ვთქვათ, თუ რა ნაირი გაწყობილებაა საჭირო, ჩვენი აზრით, თვითონ ახალგაზდებს შუა, რა რიგი საზოგადო მოქმედება უნდა ჰქონდეთ იმათ მსედველობაში, რა გვარი შეერთება ძალისა, რომ მათ შრომას და მოქმედებას რაც შეიძლება უფრო მეტი ხეირი და ბარაქა ჰქონდეს.

შესანიშნავია, რომ ჩვენ ახალგაზდობაში, რომელიც რუსულ უნივერსიტეტებში ჩემ დროს სწავლულობდა, ხშირათ ყოფილა მოლაპარაკება „საზოგადო საქმეზე და შრომაზე", ხშირათ შემოტანილა აზრი შეერთებაზე და შეერთებულ მოქმედებაზე, მაგრამ არც ერთჯერ ამ აზრს და ლაპარაკს დასკვნა და ნამდვილი დაგვირგვინება არ ღირსებია. თითქმის ყოველთვის ახალგაზდები საქმეს ცხარეთ და ხალისიანათ ეკიდებოდენ, მაგრამ ყოველთვის, ორიოდ სხდომის შემდეგ აღტაცება და ხალისი ჰქრებოდა. ტყდებოდა აყალმაყალი რამე უბრალო საქმეზე ან კითხვაზე, შესდგებოდა „პარტიები", და საქმის მაგიერ გამოდიოდა უსაფუძვლო განხეთქილება და

საყვედური: ვინც ამ საბრალო უხეირობის მიზეზს მარტო სიყმაწვილეს და გამოუცდელობას მიაწერს, ის, ჩვენი აზრით, დიდათ შეცდება. სიყმაწვილე და გამოუცდელობა ისეთი ბრმა ძალა როდია, რომელსაც ყოველი საქმის წახდენა შეეძლოს; სხვაგანაც კი ყოფილა ახალგაზდა წრეები, მაგრამ სიყმაწვილეს მათთვის საქმის გარიგება როდი მოუშლია. და რაც კი გამოუცდელობას შეეხება, ვთქვათ პირველჯერ მართლა გამოუცდელები იყვნენ ჩვენი ყმაწვილები, მაგრამ მეორეჯერ, მესამეჯერ, მეათეჯერ? არა, ამ უსარგებლო ძალისა და ცდის კარგვის მიზეზი სულ სხვა იყო. მაშინდელი ჩვენი ახალგაზდები, უმეტეს ნაწილათ, ისეთ საქმეს ჰკიდებდენ ხელს, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა და მოძრაობა არ უნდა ჰქონოდა, ან არ მიეცემოდა ნამდვილი საქმის და შრომის უქონლობის გამო. ახალგაზდობის ძალა და მოქმედების ხალისი ბაასში და ერთმანეთთან შეტაკებაში იხარჯებოდა. მთელი თვეების განმავლობაში ყმაწვილები სხვა და სხვა „უსტავებს“ სჯიდენ, სჩხრეკდენ, აწესებდენ, — იმისი არ იყოს, ეშმაკს ღვინო არ ჰქონდა და ტიკჭორას კი ალბობდაო. და ამ სჯისა და გარკვევის დროს უნებურათ სწყდებოდა უთანხმოება, სამდურავი, განხეთქილება და ერთმანეთის სიძულვილი. დიდი ხანია ნათქვამია, რომ არაფერი არ სტეხს იმოდენ აყალმაყალს და სამდურავს კაცებს შუა, როგორც უსაქმოება და ერთ პაწაწა უმოქმედო წრეში ცხოვრება. სწორედ ამგვარ მდგომარეობაში იყო უწინ ჩვენი ახალგაზდობა. მთელი მისი ძალა და ხალისი ერთმანეთის აწიოკებაში იკარგებოდა, სწორედ ისე როგორც თავმოკრულ ქოთანში დამწყვდეულ კიბოებს მოუდით. მეორე მიზეზი უფრო სანუგეშოა: არაფერი არ აახლოვებს კაცებს ერთმანეთს შუა ისე, როგორც საზოგადო მტერის ან მოწინააღმდეგის ყოლა. როცა ეს მტერი ახლოს დგას, როცა ის თვალგამოხილულია, კაცი ინსტინქტით უახლოვდება თავის მოძმეს და წვრილმან განსხვავებას და უთანხმოებას როდიღა იხსენებს; და როცა სტყდება ბრძოლა, მაშინ ხომ სრულიად ივიწყება ყოველგვარი განხეთქილება და ერთი რაზმის მებრძოლველები თითქმის ერთ გვამს, ერთ თავს და ერთ მკლავს შეადგენენ. მაშინდელი ჩვენი ახალგაზდობა ნამეტნათ მოშორებული იყო როგორც მტერზე, ისე სამშობლოზე. მას თითქოს ბურუსში აგონდებოდა, რომ ერთი თვის სავალზე, მთებს გადაღმა, სამშობლოში, ცხოვრობს მისი ხალხი, რომ ამ ხალხს ცხოვრება უჭირს მის სამშობლოში, მის საკუთარ მიმართულებას ბევრი მტერი და მუხანათი ჰყავს, რომ ამ მტერს და მუხანათს იმან ოდესმე ანგარიში უნდა გაუწმინდოს, და ამ ანგარიშის გაწმენდაში მისი მოძმე ახალგაზდა, რომელიც დღეს მის გვერდით დგას, საჭირო ან

სასარგებლო იქნება. ეს ყველაფერი იმას კარგათ არ ესმოდა, ნამდვილათ იქნება არც კი სჯეროდა. დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. დღეს რკინის გზებმა ჩვენ ახალგაზდობას სამშობლო დაუახლოვეს. დღეს შინისკენ გასეირნება ადვილია. ფოსტა ათ დღეში მოდის, „დროებასაც“[12] ხშირათ მოაქვს საქართველოს ამბები. დღეს უფრო ცხადათ სჩანს თუ ნამდვილი ბრძოლა არა, დრო გამოშვებითი შეტაკება მაინც. დღეს უფრო ნათლათ იჩენენ თავს მოწინააღმდეგენი, და გულხელ დაკრეფა, გულგრილი მაცქერალობა სასასირცხვო საქმეთ შეიქნა. დღეს სჩანს საქმე, სჩანს ასპარეზი, სჩანს გამარჯვების იმედი, სჩანს ნამდვილი რწმუნება, რომ ხეირიანი და გონიერი ახალგაზდა უსარგებლოთ როდიღა გაატარებს თავის სიცოცხლეს, თუ კი სარგებლობის მოტანა მოინდომა. ეს არაფერი არ სჩანდა უწინ, როცა ჩვენი ახალგაზდობა თავის უმჯობეს დროს, უბედნიერეს წელიწადებს უსარგებლოთ და უნაყოფოთ ჰკარგავდა პეტერბურგის და მოსკოვის ქუჩებში და აუდიტორიებში. ვინ იტყვის, რომ ამ ცვლილებას ჩვენ ახლანდელ ახალგაზდობაში სულ სხვა ნაირი შრომის და მოქმედების აღძრვა არ უნდა შეეძლოს?

მართალია, ეხლაც სუფევს ჩვენ ახალგაზდობაში სხვა და სხვა ნაირი აყალ-მაყალი თუ არა, უთანხმოება მაინც. მაგრამ ეს ახალგაზდობის ხვედრია, და უამისოთ ახალგაზდობა ახალგაზდობაც არ იქნებოდა. მაგრამ დღეს მე უმეტეს ნაწილში უფრო თეორეტიკული, ვინემ პიროვნული, უთანხმოება შემინიშნავს. ზოგიერთი, მაგალითათ, ამტკიცებს, რომ კაცისთვის და ჩვენი ახალგაზდობისთვის უფრო საჭიროა გონებაგამხსნელი მეცნიერების შესწავლაო, და ამის გამო უნივერსიტეტისაკენ იწევენ, ანა და სხვა და სხვა სამეცნიერო და საზოგადოებრივ თხზულებებს ეწაფებიან. სხვები, იმათ წინააღმდეგათ, ქადაგებენ არაო, ჩვენთვის და კაცისათვის უფრო საჭირო ის სწავლა არისო, რომელსაც ლუკმა პურის მოცემა შეუძლიაო, და ამის თანახმათ უფრო ტეხნიკურ მეცნიერებებს და სასწავლებლებს მისდევენ. ცხადია, რომ მათი „ბრძოლა“, თუ ამას ბრძოლა დაერქმევა, დიდხანს ვერ გაგრძელდება, და ვერც მარტო ბაასით გადავდება. თვითონ ცხოვრება, რამდენიმე წლის შემდეგ, დაანახებს ჩვენ ახალგაზდობას, რომ არც მარტო „გონება გამხსნელი“ მეცნიერება ვარგა, თუ კაცს მასთანავე ისეთი ცოდნა არა აქვს, რომელსაც ცხოვრებაში პრაქტიკულათ გამოდგომა შეუძლია, და არც მარტო ტექნიკური მეცნიერება, თუ კაცი გონებაგაუხსნელია და ვერც ცხოვრებას იცნობს, ვერც მის კანონებს, ვერც მის მოვლენებს, და ამ რიგათ თვითონ იმ მაშინას ემსგავსება, რომლის მოვლა იმას მაშინალურათ ასწავლეს. ვიმეორებ, ამგვარი დავა აუცილებე-

ლია, და თუმც მისი მიზეზით, ორიოდე ან ოციოდე ახალგაზდა ნამ-დვილი განათლების გზას ასცილდება, ეს ისეთი მსხვერპლია, რომ-ელიც ცხოვრების მიმდინარეობას ჩვენთვის დაუწესებია. რა ჩვენ-ბრალია, რომ კაცი დედიმისის მუცლიდან სრულიად გონებაგახსნი-ლი და თვალახელილი არ გამოდის, განა ჩვენ დაგვიწესებია, რომ მის-გამოცდილებისთვის. აქა-იქ ხეტიალი და ტვინის ქცევაა საჭირო?

ამისთანა უთანხმოება და განხეთქილება დიდ ხანს ვერ გაძლებს, და ადრე თუ გვიან გაჰქრება ახალგაზდობაში. ამასთანავე, თან და-თან უფრო გაიღვიძებს შეერთების სურვილი, რაკი შეერთებულ-შრომა საზოგადო მიზნისთვის უფრო და უფრო საჭირო და აუცი-ლებელ საქმეთ გამოჩნდება. მაშინ, უეჭველია, ჩვენი ახალგაზდობა უფრო მეტ მოხერხებას და გულდადებას გამოიჩენს ჯერ შეერთე-ბულ შრომაში საბრძოლველათ დამზადებისთვის და მერმე თვითონ მოქმედების დროს ცხოვრების ასპარეზზე. ამ იმედის ნებას და ამ მომავლის მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენ ერთი შესანიშნავი საქმე, რომელიც გამოუწყიათ ზოგიერთ ჩვენ ახალგაზდებს ციურიხში, და რომელიც, იმედია, ამ მოკლე ხანში, სხვაგანაც დაარსდება, სადაც კი ჩვენი მოსწავლე ახალგაზდები ბლომათ იმყოფებიან.

აი რაში მდგომარეობს ეს საქმე.

XI

ციურიხში ამჟამათ ათიოდე ჩვენებური ახალგაზდა სწავლობს, ზოგი უნივერსიტეტში და ზოგი პოლიტტეხნიკურში. არ ვიცი ბე-დათ უნდა ჩაეთვალოს იმათ ეს, თუ უბედობათ, მაგრამ რადგანაც მათ ციურიხულ დიპლომს ჩვენში ადგილის შოვნის ძალა არ ექნე-ბა, ეს ყმაწვილები ნამდვილი სწავლის, ნამდვილი ცოდნის მიღებას უნდა ცდილობდენ, თორემ მათი ღვაწლი და მგზავრობა ფუჭეთ ჩა-ივლის. ამ მიზეზითაა, თუ სხვით, — ესე იგი შვეიცარიულ ცხოვრე-ბის წახედვით, იმათ განუზრახავთ, ისეთ ნაირათ წაიყვანონ თავი-ანთი სწავლა და ისერიგათ გამოიყენონ ურთიერთის ძალა და ცო-დნა, რომ ყველა მათგანს შრომა გაუადვილდეს და ნაყოფათ ხეი-რიანი დამზადება და გონების გახსნა დარჩეს. ამ მიზნის მისაღწე-ველათ ამ ყმაწვილებს გადაუწყვეტიათ, უფრაზებოთ, უშფოთოთ, და უაყალ-მაყალოთ, ისეთი ძმური ამხანაგობის ან საზოგადოების შედგენა, რომელშიაც თითოეულ წევრს მოვალეობა ექნება ერთი რომელიმე საგანი შეისწავლოს და დანარჩენ წევრებს თავისი ცო-დნა ამ საგანზე გაუზიაროს. რადგანც მარტო ცალ-ცალკე საგნის შესწავლის გარდა, კაცს თანამედროვე საზოგადოების და ცხოვრე-

ბის ცოდნაც სჭირია, იმათ ერთმანეთში გაუნაწილებიათ ახალი ისტორიის შესწავლა სხვა და სხვა ევროპიელი ხალხებისა, გაზეთებისა და ჟურნალების კითხვა სხვა და სხვა ენებზე, ზოგიერთი ჩვენ ცხოვრებაში გამოსადეგი საგნების გაცნობა და სხვ. და სხვ., და კვირაში ერთხელ, დანიშნულ დღეს, ისინი იკრიბებიან, და თითოეული მათგანი დანარჩენს უკითხავს, რაც შესანიშნავი რამ ნახა თავის არჩეულ საგანში. ამ ნაირათ ყოველი წევრი სარგებლობს არა თუ თავისი საკუთარი შრომის ნაყოფით, არამედ დანარჩენი ცხრა კაცის შრომითაც, და იტყობს ისეთ ამბებს, ისეთ ცნობებს, რომელსაც, მარტო რომ ყოფილიყო, ან ენების უცოდნელობით, ან დროს უქონლობით, ვერ შეიტყობდა, ან ვერ გაიგებდა. რადგანაც ამ ყმაწვილებს ეს საქმე გამოუწყიათ უფრო იმისთვის, რომ ერთმანეთს სწავლა და შრომა გაუადვილონ, იმათ როდი რცხვენიათ ერთმანეთის გამოკითხვა უცნობ საგნებზე, ან თავიანთი უცოდინარობის გამოჩენა. ისინი თავიანთ თავს შეუცდომელ ბრძენებათ კი არა, მოსწავლე ახალგაზდებათ სთვლიან. ამის გამო, თითოეული წევრისაგან წარმოდგენილი „ანგარიშის“ წაკითხვის შემდეგ, იწყება თურმე გამოკითხვა, ახსნა, დამატება, გარკვევა და სხვ. ისე, რომ ანგარიშის საგანი გვარიანი სინათლით იბეჭდება მსმენელების გონებაში.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს მეტის-მეტათ სასარგებლო და მომავალიანი საქმეა, მით უფრო, რომ ამ ყმაწვილებს, როგორც გავიგე, ძლიერ მტკიცეთ სურთ როგორც საფუძვლიანი სწავლის მიღება, ისე თანამედროვე ისტორიის გაცნობა, იმ მიზნით, რომ შემდეგში, სწავლის დასრულების მერმე, სასარგებლო და გამოსადეგ წევრებათ შეიქნენ ჩვენი საზოგადოების და ქვეყნისა. თუ ღმერთმა ქნა და ეს ცდა მტკიცეთ დაფუძნდა, თუ ამ ყმაწვილების აზრი ასრულებაში მოყვანილი შეიქნა, და ხანგრძლივი ცხოვრება და მოქმედება ექნა იმ წრეს, რომელიც იმათ დაუარსებიათ, უეჭველია, რომ მათ საქმეს ჩინებული ნაყოფის მოტანა შეეძლება ჩვენი უბედური საზოგადოებისთვის. მაგრამ თუ, საუბედუროთ, იმათი წრეც ისე უნაყოფოთ დაიფანტა, როგორც უწინდელი ჩვენი ახალგაზდების წრეები, მაშინ ის სიკეთე მაინც დარჩება, რომ ამ ყმაწვილებს უპრეტენზიო და სასარგებლო ამხანაგობის დაარსების აზრი მოსვლიათ, რომ მათ საქმეს ჩინებული მომავალი მოელოდა, დამაარსებლებს საქმის წაყვანაში იგივე პრაქტიკული გონიერება რომ მოეხმარათ, როგორიც თვითონ საქმის გამოძებნაში და დაწესებაში გამოუჩენიათ. სულ არარაობას ესეც სჯობია, მით უფრო, რომ რაც ერთ ალაგას არ გაიხარებს; იქნება, სხვაგან გამოდგეს.

ეს ჩინებული მაგალითი, თვითონ ციურიხში უნაყოფოთაც რომ დარჩეს, მაინც გამოსადეგი და მიბაძვის ღირსი იქნება ჩვენი ახალგაზდობისთვის, მით უფრო, რომ მისი ხეირიანი გამოყენება ჩვენ ბევრ მცოდნე და დამარაგებულ ახალგაზდას დაგვიმზადებს. ერთათ სწავლა, ერთმანეთის ხელის გაწყობა რჩევით და სწავლის წყაროების ჩვენებით მარტო სწავლას კი არ გააადვილებს ამხანაგობის წევრებისთვის: ის თითოეულ მოზიარეს წაახალისებს, წააქეზებს და ძალას მოუმატებს საერთო შრომისათვის; ეს კიდევ არაფერია, უფრო ძვირფასი ის არის, რომ თუ საქმე კარგათ წავიდა, ამ გვარათ მოსწავლე ყმაწვილებში ხასიათი გამოიზრდება, ის საზოგადოებრივი ხასიათი, რომლის ნაკლულევანობა დღეს ასე მძიმეთ აბრკოლებს ჩვენ სამშობლოს, და რომელიც მხნე მშრომელებს ზდის საზოგადო საქმისთვის. შეერთებული სწავლის შემწეობით ჩვენში შეერთებული შრომის შეძლება დაარსდება. ყმაწვილები ერთათ შრომას, ერთათ რაზმში დგომას, ერთმანეთის კლავში კლავის გაყრას შეეჩვევიან, და ამით ჩვენი ახალი თაობის ძალა ერთი ათათ და ერთი ასათ გადიდდება. დღეს ჩვენ ის ნაკლულოვანება გვჭირს, რომ თითოეულს ჩვენგანს უნდა, რომ ყველა დანარჩენი მისივე კალაპოტზე ჩამოსხმული იყოს, მისივე ხასიათი ჰქონდეს, მასსავით ფიქრობდეს, ყველაფერზე და ყველაფერში მის მსგავსათ მოქმედებდეს. ეს შეუძლებელი და უსარგებლო, თითქმის სავნებელი, საქმეა. დაახლოვება შეერთებული შრომის და სწავლის დროს თითოეულ ყმაწვილს უფრო დამშვიდებულ და მტკიცე შეხედულობას მისცემს ამ საქმეზე. ის დაინახავს, რომ თუ კი სხვას მისივე უმთავრესი მიზანი და მისივე პატიოსანი ხასიათი აქვს, წვრილმან გარემოებებში და საგნებში განსხვავება სავნებელი და დასაწუნარი როდია. უწინ, მაგალითად. ყველას აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნდა „სერიოზნობა", მძიმე, დამჯდარი ხასიათი და სხვ. და ვინც ხშირათ ხუმრობდა ან იცინოდა, იმას ცუდი თვალით უყურებდენ. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ საზოგადო საქმეში ყოველნაირი ხასიათი გამოსადეგია, თუ კი მიზანი და პატიოსნება. ყველას ერთი და იგივე აქვს. დღეს ყველას ესმის, რომ საზოგადო საქმეს როგორც ერთის დამჯდარი მოაზრება, ისე მეორის მკლავი დაცინება და მესამის ხალისიანი საქმის გამოხატულება ეხმარება. აი ამ სხვა და სხვა გვარი ხასიათების და ტემპერამენტების გონიერ შეერთებას. ერთი და იმავე მიზნის მისაღწევლათ, დაასწავლის ამხანაგური სწავლა სიყმაწვილეში. და რაც უფრო დიდხანს გაძლებს ამნაირი ამხანაგობა, მით

უფრო მტკიცეთ დაფუძნდება ჩვენ ახალგაზდობაში გონიერი სულგრძელობა წვრილმან განსხვავების და უთანხმოების შესახებ და შეურყეველი დაუვიწყარი მოთხოვნილება უმთავრესი საზოგადო მიზნისა და ხასიათის პატიოსნებისა.

XIII

ამნაირათ, ადრე თუ გვიან, ჩვენ საზოგადოებას შეეძინება გვერიანათ დამარაგებული ახალგაზდობა, რომელსაც პატიოსან მიმართულებას გარდა საფუძვლათ ცოდნა და მოხერხება ექნება. მაგრამ უსარგებლო არ იქნება დაუმატოთ აქვე, რომ ამ პატიოსან მიმართულებას, ამ ცოდნას და მოხერხებას ერთი ძვირფასი თვისება უნდა აგვირგვინებდეს, თუ ახალგაზდობას თავისი ძალის და სწავლის ხეირიანათ მოხმარება სურს.

ცხოვრება, განსაკუთრებით ჩვენში, ნამდვილი ბრძოლაა. ვისაც ჩვენში ცხოვრება და მოქმედება სურს, — თუ კი იმას ცხოვრება ჯამაგირის ან შემოსავლის ქეიფიანურ ხარჯვათ არ მიაჩნია — ის თავის საქციელს და მოქმედებას ისე უნდა აწყობდეს, თითქოს საბრძოლველათ ემზადებოდეს. ამისთვის აუცილებელი საჭიროა ამხანაგებთან დაახლოვება, საერთო მოქმედების დამარაგება, საერთო პლანის გაწესება, ისე, რომ მთელ ახალგაზდობას არათუ მარტო საერთო მიზანი, არამედ საერთო გზაც ჰქონდეს. ახალგაზდობას მისი რიცხვის სიმცირე ასუსტებს, და ამას ყველაზე უფრო ადვილათ ძალისა და ღონის გონიერი მოხმარება მოუხდება. ჩვენ ამ გონიერ ძალის მოხმარებას უნდა შევეჩვიოთ, უსარგებლო მიდებ-მოდებას თავი უნდა დავანებოთ და იმ რიგი გაწყობილება უნდა მივცეთ ჩვენ ძალას და რაზმს, რომ თითოეულის შრომას პირდაპირი და ჯეროვანი სარგებლობა მოჰქონდეს. ჩვენ ერთი სურვილის, ერთი ნების, ერთი აზრის და ერთის მოქმედების ქონვას უნდა შევეჩვიოთ, რომ ჩვენი გონიერი მოქმედებით, ჩვენი შეერთებული და ერთ მიზნისკენ მიდრეკილი ძალით, ჩვენი დისციპლინით უკანასკნელი მეხი დავცეთ ჩვენს ძველ თაობას და დამპალ ცხოვრებას. მარტო ამნაირი, ამხანაგური გაწყობილებით, შეგვეძლება ჩვენ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესება და პატრონობა. მარტო ამით შევიძენთ ჩვენ საზოგადოებრივ ძალას, მარტო ამით მოვიპოვებთ საზოგადოების თანაგრძნობას და ხალხის თანხმობას... და, მგონია ეს მიზანი კი ღირს იმათ, რომ თითოეულმა ჩვენგანმა თავისი თავმოყვარეობა მსხვერპლათ მოუტანოს საზოგადო საქმეს და ამხანაგურ დისციპლინას.

პარტიებზე ბევრი რამ იყო თქმული, ბაგრამ ის კი ბევრს არ ახსოვს, რომ ყოველ საზოგადოებაში, რაგინდ ჩამორჩენილი და ბნელი იყოს ის პოლიტიკური მხრით, აშკარათ, ან მალულათ, სდუღს პარტიული ცხოვრება. ეს ჩვენშიაც ასეა. ჩვენშიაც ძლიერ განსხვავებით და მტკიცეთ იხატება პარტიების მოქმედება, პარტიული ცხოვრება. და როცა პარტიებს შუა ბრძოლა სდუღს, როცა გაცხარებული წინააღმდეგობა და ქიშპობაა იმის შესახებ, თუ რომელ პარტიას უნდა ერგოს საზოგადოების წინამძღოლობა და ერის თაოსნობა, საქმე თითქმის ყოველთვის იმ პარტიის სასარგებლოთ სწყდება, რომელსაც არათუ მარტო ხეირიანათ დამზადებული წევრები ჰყავს, თან გონიერი გამოყენება შეუძლია თავისი წევრების ძალისა და ცოდნის. ამ გამოყენების ნებას მარტო ერთობა, მარტო დისციპლინა აძლევს პარტიას. ამის მაგალითების მოყვანა განა საჭიროა? ეს ისეთი ცხადი საქმეა, რომ მისი გაკვრით ხსენებაც საკმაოა, ყველასთვის, ვინც ამ საგანზე როდისმე დაფიქრებულა, ან ვისაც დაფიქრება შეუძლია. აქ კი ის უნდა დაუმატოთ, რომ პარტიების ცხოვრებაში საქმე მარტო ბრძოლაში როდი მდგომარეობს. ყველაზე უფრო მძიმე და გავლენიანი საქმე პარტიებისთვის, იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოიხმარს რომელიმე პარტია თავის გამარჯვებას, რას გაარიგებს და გააწყობს ის, როცა ბრძოლის ასპარეზი ხელში დარჩება, როგორ გამოიყენებს ის თავის გავლენას და დააგვირგვინებს თავის შრომას. რაც უფრო ხეირიანათ და დაუფანტველათ ხმარობს თავის ძალას გამარჯვებული პარტია, მით უფრო ხანგრძლივია მისი გავლენა, მით უფრო და უფრო სუსტდება მისი წინააღმდეგი პარტია, მით უფრო ძლიერდება საზოგადოების მყუდროება და ბედნიერება. ეს გარემოებაც უნდა იქონიოს სახეში ჩვენმა ახალგაზდობამ, რომ მისი დამზადება მარტო ეხლანდელი პარტიების წინააღმდეგ მოქმედებაში ან ბრძოლაში არ მდგომარეობდეს, არამედ თავისი საკუთარი სამაგიერო გაწყობილების და მოაზრების წარმოდგენა შეეძლოს...

XIV

ახლა მკითხველი მეტყვის: — ეს ყველა ყველაო, მაგრამ რისთვის, ან რა მიზეზით დაგიწერია ამ სიგრძე ქადაგებაო. ეს მე თავში უნდა ამეხსნა მაგრამ რადგანც იქ არ ამიხსნია, ეხლა მაინც შევასრულებ ამ მოვალეობას, და ვიტყვი რამ გამომათქმევინა ეს შენიშვნები და მოაზრება.

ჯერ ეს უნდა ვთქვა, რომ ეს მძიმე „ქადაგება" საყოველთაოთ დაწერილი არ არის. ის იმათთვისაა დანიშნული, ვისაც სმენა და

გაგონება აქვს. ამას გარდა, ამ ნაწერში მოყვანილი შენიშვნები, უმეტეს ნაწილათ მაინც, ჩვენი ახალგაზდობისგან გამოთქმული აზრები და კითხვებია. მე იმათთვის ყური მომიკრავს აქა-იქ, შემითანასწორებია, შემიერთებია და ხელახლავ ერთიანათ იმათთვის წარმიდგენია, ვისგანაც გაგონილი მქონდა ზოგიერთი კერძოობითი შენიშვნა. ამას გარდა, ცხოვრების დაკვირვებამ დამარწმუნა მე, რომ ჩვენი ახალი ახალგაზდობა ბევრი აღარ ჩამოგავს უწინდელ თაობას, ბევრი მხრით წინ წასულა იმაზე და იმ სურათს დამსგავსებია, იმ იდეალს დაახლოვებია, რომელიც ჩვენ გვენატრებოდა, და რადგანაც ამ ნაირათ გაუკეთესებული ახალგაზდობის ძალის დაკარგვა ათასჯერ უფრო გულმომაკვდინებელი იქნებოდა ვინემ უწინდელი ყმაწვილების გამოუდგომლობა, ჩვენ საჭიროთ დავინახეთ ორიოდე რჩევის და შენიშვნის მიცემა, ორიოდე გაფრთხილების და სურვილის გამოთქმა. ეს ჩვენი მოვალეობაც იყო და თან ჩვენი საქმისთვის გამოსადეგი საქციელი: ექნება ჩვენ ნაწერს კეთილი შედეგი თუ არა, მოიტანს ის იმ სარგებლობას, რომელსაც ჩვენ მისგან მოველით, თუ არ მოიტანს ამას, მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ, მომავალს, რომ თავი დავანებოთ, აწმყოც საკმაო საფუძველს გვაძლევდა ამ გრძელი „ქადაგების“ დაწერისთვის. ეს საფუძველი მე საბოლოოთ დავიტოვე, და ეხლა მისი გამოხატვით ჩემ ქადაგებას დავასრულებ.

XV

რა თვალითაც უნდა უყურებდეს კაცი ჩვენს უწინდელ ახალგაზდობას, რა კი იმას გვერდით ეხლანდელს ახალთაობას დაუყენებს, ერთი უმთავრესი შენიშვნა მაშინვე აზრში მოუვა. უწინდელი თაობა არა თუ მარტო დაუმზადებელი და დაუიარაღებელი იყო, იმას საკმაო სიმტკიცე არ ჰქონდა ხასიათში, ის სიმტკიცე რომელსაც კაცს მისი სიტყვის და მოქმედების თანხმობა აძლევს. სიტყვით უწინდელი ახალგაზდობა ერთს ამბობდა, და საქმით მეორეს შვრებოდა. მის ზნეობით ცხოვრებაში რაღაც საზარელი განხეთქილება მოჩანდა, რომელიც თითქმის სრულიად აბათილებდა იმ ჩინებულ აზრებს, რომლის მქადაგებლათ ეს ყმაწვილები გამოდიოდენ. ისინი საქციელით თითქო შერიგებას ეძებდენ ძველ თაობასთან, და ძლიერ ბევრ თავაზიანობას იჩენდენ ძველი ცხოვრების შესახებ. იმათში საკმაო რწმუნება არ მოიძებნებოდა, და თან თავგამომეტება, ნიადაგი მიზნისკენ ლტოლვა: ამის მაგიერ სჩანდა მუდმი უხასიათობა, თავის დაღუნვა, გულხელ დაკრეფა, მცირედი, თითქმის შეუნიშნავი ნაყოფით დაკმაყოფილება.

ეხლანდელი თაობა უფრო მტკიცე და უფრო ძნელი დასაკმაყო-

ფილებელია. ის შერიგებას როდი ეძებს: ის დარწმუნებულია, რომ შერიგება შეუძლებელი საქმეა, სანამ ერთი თაობა მეორეს სრულიად არ დაემორჩილება და იარაღს არ დაყრის. და რადგანაც იმას თვითონ იარაღის დაყრა არ სურს, ის ცდილობს ძალით დააყრევინოს იარაღი თავის მოწინააღმდეგეს. იმას იმედი და რწმუნება უღვივის გულში. მისთვის პატიოსანი მიმართულება მარტო ლაზათიანი სიტყვების გამოთქმაში კი არა, საქმით გამოხატვაშია. ის საქმეს ეძებს და აფასებს. და, — ეს ყველაზე უფრო შესანიშნავია, — იმას დიდათ არაფრათ უღირს გაჭირვების ან შეეიწროების გამოვლა იმისთვის, რომ მისი მოქმედება და საქციელი მის სიტყვებს და აზრს ეთანხმებოდეს. ის თავის გამარჯვებას არც სხვის დახმარებაში ეძებს, არც უნაყოფო დიპლომატიაში, არც გულ-ხელდაკრეფილ ცდაში. იმას მარტო თავისი საკუთარი თავის, საკუთარი შრომის, საკუთარი ძალის იმედი აქვს. და ეს იმედი იმას იმ ძვირფას ფანატიზმს აძლევს, ურომლოთაც არ გარიგებულა არც ერთი შესანიშნავი საქმე, ურომლოთაც არ მოპოვებულა არც ერთი გამარჯვება. ის დილიდამ საღამომდი იმას კი არ ფიქრობს, რომ იქნება ამ ჩემმა სიტყვამ, ამ ჩემმა მოქმედებამ გამოყრუებული ლაზარე ყვინცარიძე ან გოდორ-ბატონი გააბრაზოს, ან შეაწყინოსო. ის იმას არც კი დაეძებს, ყურადღებასაც არ ათხოვებს. იმას მარტო ახალი თაობა, ახალი ახალგაზდობა და ხალხი ჰყავს მხედველობაში, მარტო მისი თანაგრძნობის მოპოება სურს, მარტო მის გულგრილობას ერიდება. ამ გრძნობით, ამ სურვილით, ამ აღტაცებით ბევრი ჩინებული საქმის გარიგებაა შესაძლებელი, და რომელი თავხედი იტყვის, რომ თვითონ საზოგადო მიზნის მიღწევაც შეუძლებელი იქნეს, როცა ბლომათ გვეყოლება ამისთანა ყმაწვილები?

აი, ეს ახალი მიმართულება გვაიმედებს და ძალას გვაძლევს ჩვენ; ეს ახალი თაობა, თავისი რწმუნებით, თავისი იმედით, თავისი მსურვალე სურვილით და აღტაცებით გვაახლოვებს ჩვენ იმ მიზანს, რომელიც გულმომაკვდინებელ სიშორეში გვეჩვენებოდა, როცა ჩვენ ცხოვრებაში ფეხი შეეადგით. და როცა ამ ახალი თაობის მომავალ მოქმედებაშია მთელი ჩვენი იმედი და რწმუნება, როცა მისი მომავალი ჩვენთვის ჩვენი საკუთარი მომავალია, განა დაგვეძრახება იმ აზრების და შენიშვნების გამოთქმა, რომელიც, ჩვენი აზრით, ამ თაობას გამოადგება და შრომას და მოქმედებას გაუადვილებს?

XVI

მაშ, მივატოვოთ მკვდრები და მომაკვდავები, თუ კი ჩვენ საკუთარ თავში ჩვენ საკმაო იმედს და ძალას ვგრძნობთ, და ვეცადოთ

ხეირიანი მოქმედებით, გონიერი ძალის შეერთებით, ჭკვიანური საქმის წაყვანით დავიმსახუროთ და დავიკაოთ ის აღაგი, რომელიც ხალხის ცხოვრებაში ცოდნას და პატიოსნებას უნდა ეკუთვნოდეს. ამ ასპარეზზე ახალ ახალგაზდობას საშიში ან ძლიერი მოწინააღმდეგე არავინ ხვდება. მინდორი ცალიერია, მაგრამ ზედ ბევრი ურგო ბალახ-ბულახი და ტალახი იპოება. როცა ამასაც გავსწმენდთ, როცა მინდორი სუფთა და დამზადებული იქნება, მაშინ ნამდვილათ ასრულდება ჩვენი ჩინებული პოეტის აღმტაცი სიტყვები:

„თუ კი აწმყო არ გვწყალობს, მომავალი ჩვენია!“[40]

---

19. ნაპოლეონ მესამის ცხოვრება

ზღაპრათ ჩაითვლება იმ კაცის ბედი, რომელიც საიმპერატორო სასახლეში დაბადებულა, იმპერატორის ტახტის მემკვიდრეთ გამოცხადებული ყოფილა, შემდეგში მთელი ოცდა-ათი წლის განმავლობაში უბრალო მაწანწალასავით დედა-მიწაზე უხეიროთ თრეულა, გამხდარა მერმე უპირველესი განათლებულის და შემძლე ხალხის მოთავეთ და წინმძღოლათ, ოცდაორი წლის განმავლობაში მთელი ევროპის და ქვეყნიერების ბედის-მწყვეტელი ყოფილა და ბოლოს ექსორიაში კვდება, ყველასაგან მოძულებული და შეჩვენებული. ეს ზღაპრული ბედი ნაპოლეონ მესამის ცხოვრებას შეადგენს, და ცოტაოდნათ რომ დააკვირდეს კაცი ამ ცხოვრებას, იმ წამშივე დაინახავს, რომ მის ბედში ზღაპრული არა ყოფილა რა. მისი ამაღლების და დაცემის მიზეზი, მისი ძალა და გავლენა, მისი დიდება დაუმზადებია საფრანგეთის წარსულ ცხოვრებას და, თვითონ ნაპოლეონ მესამე, ისტორიის თვალში, მარტო ხორციელი გამოსახვაა იმ დამოკიდებულების, რომელიც არსებობდა საფრანგეთის ხალხის სხვა-და-სხვა ნაწილებს შუა. ამ დამოკიდებულების და ცხოვრების განხილვა ადვილათ დაგვანახვებს, თუ რა ნამდვილი ძალა ჰქონდა თვითონ ნაპოლეონს, ჰქონია, თუ არა ის ჭკუა და მოხერხება, რომლის სახელი მთელ ქვეყანაში გავარდნილი იყო, და თვითონ იმას მიეწერება მისი ამაღლების და დავარდნის ბრალი, თუ სხვა რასმე, ან ვისმე. ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროა თანასწორათ ვუამბოთ მკითხველს ნაპოლეონის ცხოვრება და საფრანგეთის მდგომარეობა ამ უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში.

1

ნაპოლეონ მესამე დაიბადა ტიულრის სასახლეში, პარიჟს, 20 (8) აპრილს 1808 წ. მისი დაბადების დრო უბედნიერესი დრო იყო ბიძიმისის დიდებისთვის, და ბონაპარტების სახლობა მაშინ უმაღლესი გავლენის და შეძლების პატრონი იყო. მამა მისი ჰოლანდიის ხელმწიფეთ დაესვა მის ძმას. ორი მისი ბიძა, ჟერომი და ჟოზეფი აგრეთვე ხელმწიფობდნენ, ერთი ვესტფალიაში, მეორე — ესპანიაში, და ბიძა კი, ხომ, მთელი ქვეყნის ბრძანებლათ ითვლებოდა. ეს კაცი, რომელმაც ლაგამი აუდვა რევოლუციას საფრანგეთში და ისე

ალაგმული რევოლუციის ძალები მიუსია ევროპის ძველ წესს და განწყობილებას, ითვლებოდა იმ დროს ღვთისაგან მოვლენილ გმირათ, რომელსაც მთელი კაცობრიობა ემონებოდა, ხან აღტაცებით, ხან წყევლა-კრულვით და კბილის კრაჭუნით. იმას როდი დაეძებდნენ, თუ რა ხეირი მოუტანა საფრანგეთს იმ ცვლილებების და გაუმჯობესობის შეწყვეტამ, რომელნიც რევოლუციას მოსდევდნენ, და იმ ნიადაგი ომების და ჭექა-ქუხილის გრიალმა, რომლითაც ათრობდა ნაპოლეონი თავის ჯარს და ხალხს. რევოლუციამ რომ ძველი უწესობა მოსპო, ათასი წლის უმსგავსი განწყობილების დანგრევით და ახალი წესის და განმართულების შემოღებით, ეს მაშინ ბევრს როდი ესმოდა. არც ის ახსენდებოდა ვისმე. რომ გამარჯვების კიჟინის დროს ნაპოლეონი ნელ-ნელა და ჩუმ-ჩუმათ სპობდა თითოთითოთ იმ ახალ დაწესებულებებს, რომლითაც რევოლუციამ საფრანგეთი გააძლიერა და გაბედნიერა, თან იმ უწინდელ უკმურ წესს აარსებდა, რომელიც დასცა და მოსპო რევოლუციის ქარმა. გამარჯვების კვამლმა და ხმამ დაუფარა ეს ყველაფერი საფრანგეთის ხალხს, დაავიწყა ანგარიში, მით უფრო, რომ უმჯობესი მხარე რევოლუციის მოქმედებისა ნაპოლეონმა თვითონ მიიწერა და ხალხს თავის საკუთარ შრომათ დაანახა. — ხალხი ამას ვერ იგებდა, და გამარჯვების აღტაცებით უფრო და უფრო თვრებოდა. ის კი არავის განუსჯია, რომ ეს მდიდრულათ მოკაზმული გმირი სხვის დიდებას ითვისებს, მოტაცებული საუნჯით უხვობს, და ნამდვილი დიდება და საუნჯე კი სხვას ეკუთვნის, იმ კრებას და იმ თაობას, რომელიც ამ გმირმა გაცარცვა და დასტანჯა.

დაუმსახურებელ დიდებას ყოველთვის ლანდათ მოსდევს შინაგანი უკმაყოფილება და ვაივაგლახი. ამ მიზეზით ის ოჯახი, რომელიც მთელ ქვეყანას დიდებულ და ბედნიერ ოჯახათ მიაჩნდა, ნიადაგ აყალ-მაყალით და წვალებით ატარებდა თავის კერძო ცხოვრებას. ბონაპარტების სახლობაში ყველას ტყვიასავით აწვა ნაპოლეონ პირველის მძიმე ხელი და ნება, მაგრამ ვერც ამ რკინის ხასიათმა გასწვრთნა და გააკეთილშობილა თავისი სახლობის ჯიში და ზნე. მით უფრო, რომ საკუთარი მისი მოქმედება და საქციელი ნამეტან კარგ მაგალითად ვერ ჩაითვლებოდა. განსაკუთრებით უბედური იყო ამ მხრით ნაპოლეონ მესამის დედ-მამის ბედი და მდგომარეობა. მამა მისი ისეთი რბილი და ნება-მიხდილი კაცი იყო, რომელსაც არც სიკეთის ჩადენა შეეძლო, არც სიავის; ბედს რომ მისგან მცირე რამ შრომა მოეთხოვა და თან პატიოსანი ოჯახობა მიეცა მისთვის, ის თავის სიცოცხლეს სინდისიანათ და უვნებელათ გაატარებდა, და თუ არას არგებდა ქვეყანას, დიდ ვნებასაც არ მოუტანდა. მაგრამ იმას

სულ სხვა ბედი არგო მისმა ძმამ. ის დაინიშნა ჰოლანდიის ხელმწიფეთ. ეს კიდევ არაფერია, რადგანაც ამ მდგომარეობაში მის მაგიერ სხვები შრომობდნენ და მოქმედებდნენ; უარესი უბედურება იმითი დააყენა იმას ნაპოლეონ პირველმა, რომ თავისი გერი, ჰორტანზი ბოჰარნე, ცოლათ მიათხოვა.

ეს ქალი ჩინებული ქმნილება იყო მოცეკვართ ყრილობისთვის, რადგანაც იმას არც სილამაზე აკლდა, არც შნო და არც კეკლუცობის ნიჭი. მისი ხასიათი იმ ციკვათ-აღტაცებული ქალების ხასიათს ჩამოგავდა, რომელნიც გულით კი ბევრ კეთილ მიზანს ეტრფიან, მის მიღწევას სურვობენ, მაგრამ, თუ ეს მიზანი იმწამსვე ხელში არ ჩაუვარდათ, უცფათ ღონდებიან და ზანტი მუხლ-მოწყვეტით, უმიზნოთ და უაზროთ აჰყვებიან ცხოვრების და გარემოებების ტალღას, იმას იმოდენა ხასიათი როდი ჰქონდა, რომ ერთიანათ ერთ მიზანს გაჰყოლოდა და ნიადაგ მისი მიღწევის ცდა თვალწინ ჰქონოდა. ის ადვილათ აღტაცდებოდა და იმავე სიადვილით ივიწყებდა თავის აღტაცებას, ახალი საგნის ან მიზნის სასურველათ, რომელსაც წინანდელი სურვილის ბედი ჰქონდა. გამყოლი, ხანგრძლივი, გულდამჯდარი სურვილის ძალა არ ჰქონია მის სულსა და სხეულს, ამ ხასიათს, რასაკვირველია, ვერას უზამდა, ვერ დაკმაყოფილებდა და სულს ვერ ჩაუდგამდა მისი ქმრის უხასიათობა. ჰორტანზის მოსწონდა თვითონ ნაპოლეონ პირველი, ის ემონებოდა მარტო მის რკინის ხასიათს, და მის ხელში რომ ყოფილიყო, იქნება მისი გავლენის ქვეშ კიდეც უკეთესს ხასიათს მიიღებდა. მაგრამ ნაპოლეონ პირველი ვერ მიუჯდა იმას გვერდით, იმას მალე მოსწყინდა ჰორტანზის ნიადაგი კრუტუნი, და ამ მიზეზით იყო, თუ საზოგადო აზრის მიხედვით, იმან ეს თავისი უხასიათო გერი თავის უხასიათო ძმას მიათხოვა. ამ მოძულებით დაჩაგრული ჰორტანზი, რასაკვირველია, ერთიანათ მიეცა თავის სევდის დავიწყებას და ადვილი ქეიფის, სიამოვნების და ხალისის ძებნას შეუდგა.

ჰოლანდიის ხელმწიფის სასახლეში — ამას რაღა თქმა უნდა — ამ მიმართულების ქალი მშიერი არ დარჩებოდა, მაგრამ მისმა ქმარმა დიდხანს ვერ გაუძლო ამგვარ ცხოვრებას, და ორივე ცოლქმრის თხოვნით ნაპოლეონ პირველმა ქმრის მიტოვების და პარიეში დაბრუნების ნება მისცა ჰორტანზის. ნაპოლეონ მესამე დაიბადა სწორეთ იმ დროს, როცა ცოლ-ქმარს შუა ამგვარი განხეთქილება იყო, და თუმცა მისი ცხოვრების ამწერები კი ამბობენ, რომ მამა მისის იმას არა გამოჰყოლია რაო, მაგრამ უეჭველი კია, რომ მის ხასიათს მეტის მეტათ დააჩნდა როგორც მამა მისის (ან ჰოლანდიის) მძინარე

უმოძრაობა, ისე დედის წუთიერი და ადვილი აღტაცება, ფანტაზიობა, უხასიათობა და დაუდგრომლობა.

ამ ხასიათის ყმაწვილს აკვანშივე დაჰყვა საფრანგეთის საიმპერატორო გვირგვინი. იმ დროს ნაპოლეონ პირველს ჯერ შვილი არ ჰყოლოდა, და მის გამო მისი გვირგვინი და ტახტი მისი ძმის ლუის სახლობას უნდა გადასვლოდა. ნაპოლეონ მესამის დედას არც ამ ნათელმა მომავალმა ჩაუდგა ხანგრძლივი აღტაცების სული. შვილის ხასიათის გამოწვრთნის მაგიერათ, ის მის გართვას და გახალისებას ცდილობდა ყოველთვის, როცა იხსენებდა, რომ სახელმწიფო შვილი ჰყავს, — ესე იგი წელიწადში ორჯერ-სამჯერ. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დამხმარებლებს და თანამოძმეებს კი იმთავითვე უმზადებდა. მორნი, რომელიც ერთი იმ პირებთაგანია, ვისიც გაბედვით და უსინდისობით დაფუძნდა საფრანგეთში მეორე იმპერია, ჰორტანზის უკანონო შვილი იყო.

პატარა ნაპოლეონი შვიდი წლის იყო, როცა ბიძა-მისმა ტახტი და დიდება დაიმხო, და მთელი მისი ოჯახობა საფრანგეთის სამძღვრებიდან გაიდევნა. ყმაწვილს გამზდელათ ერთი აბბატი (მღვდელი) დაუყენეს, რომელსაც მისი ტვინი და გული უნდა აღეზარდა, და, რაღა თქმა უნდა, ეს აბბატი, ჰორტანზის სასიამოვნოთ, მარტო იმ მხრით ხსნიდა თავის მოსწავლის გონებას, რომ ნიადაგ ნაპოლეონ პირველის მოქმედებას და დიდებას უამბობდა. ჰორტანზისთვის, და მაშასადამე აბბატისთვისაც, მეცნიერება, ქვეყანა, მომავალი და ბედი — ყველაფერი ერთი სიტყვით — ნაპოლეონ პირველში მდგომარეობდა. მისაბაძავ მაგალითად, სამეცნიერო წიგნებათ, სწავლის მასალებათ და საგნათ — პაწაწა ნაპოლეონს ნიადაგ ბიძა-მისს უყენებდნენ თვალწინ, მარტო მისს სხივს უნთებდნენ, მარტო მის სახელს უხსენებდნენ.

თუ ჩვენ აქ იმასაც დაუმატებთ, რომ ჰორტანზი ვერც სამზღვარს გარეთ ივიწყებდა უწინდელ თავის დიდებას და ექსორიაშიაც ხელმწიფურათ სცხოვრობდა, თუ გავიხსენებთ, რა რიგი ქალაჩუნობა, ხასიათის სიმდაბლე და ცრუ ქება უნდა ესმინა ნიადაგ პატარა ნაპოლეონს და რა იმედს უქადიდნენ იმას დედამისის მხლებლები, რომელთათვისაც სასარგებლო იქნებოდა მისი ამაღლება, — ჩვენ ადვილათ შეგვეძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა ხასიათი უნდა ვამოსულიყო ამისთანა მდგომარეობაში და ამნაირ გარემოებებიდგან, როგორ უნდა წამხდარიყო შიგ ნიჭიერი არსება, ნაპოლეონ მესამეს ბუნების ნიჭი რომ დაჰყოლოდა, და რა მომავალი უნდა ჰქონოდა იმ კაცის ბედს, რომელიც გამოზდილა ამისთანა წრეში.

ნაპოლეონის სიყმაწვილემ გერმანიაში გაიარა. ის ახალგაზდა

კაცი იყო, როცა დედა მისი შვეიცარიაში გადასახლდა, სადაც იმას ერთი ძველებური კოშკი ეყიდა ტბის პირზე, არანენბერგს. აქ შეისწავლა ნაპოლეონმა სამხედრო მეცნიერება. გაეცნო შეეიცარიის სამხედრო და სამოქალაქო განწყობილებას და შევიდა სამსახურში შვეიცარიის არტილერიაში, იმ მიზნით, საფრანგეთის ხალხმა შეიტყოსო, რომ ბიძი-ჩემის კვალზე დავიარები და სამხედრო საქმეები კარგათ ვიციო. ამ მხრით იმას (ან მისს მრჩევლებს) საფრანგეთის ჯარის გულის მოგება ჰქონდათ მხედველობაში. მაგრამ ჯარს გარდა სხვა გავლენიანი ნაწილიც იყო საფრანგეთის საზოგადოებაში, რომლის გულის მოგებას ცდილობდა ნაპოლეონის სახლობა. ჩვენ იმ პარტიაზე ვამბობთ, რომელიც ხალხის თავისუფლებას და სიკეთეს ეძებს, და რომელსაც ყოველ ცვლილების დროს ხალხის გონებაზე დიდი გავლენა და ძალა აქვს. ამ პარტიის გულის მოსაგებათ ნაპოლეონ მესამე გაერია იმ აჯანყებაში, რომელიც მოხდა რომის პაპის წინააღმდეგ, და რომლის დროს ციებ-ცხელებამ მოჰკლა მისი უფროსი ძმა. ამ ორი მხრით თავის გამოჩენის მეტი არა უქნია რა პატარა ნაპოლეონს თავის ახალგაზდობაში, და ამ ბარგით გადააბიჯა იმან იმ სამზღვარს, რომელიც ახალგაზდობასა და სრულ კაცობას შუაა გაყვანილი.

II

ამასობაში, როგორც ვთქვით, ნაპოლეონის ტახტი დაიმხო და საფრანგეთში უწინდელი მეფეების — ბურბონების — გვარი გამეფდა. ხალხს მართლაც არ უყვარდა ეს მეფეები, რადგანაც მის თვალში იმათი გამეფება ძველი შეუძლებელი წესის და წყობილების აღდგენას ნიშნავდა. ლიბერალური პარტია გამწარებული ებრძოდა ამ მეფეების მომხრეებს, სინიდისიანათ იცავდა იმ სიმართლეებს, რომელიც რევოლუციას დაერჩინა, მაგრამ ამ ცდას ორი ნაკლულევანება აჩნდა. ერთის მხრით, ლიბერალური პარტია როდი ეხებოდა ხალხის ნამდვილს მატერიალურ მდგომარეობას და თავის დროშაზე როდი სწერდა, თუ რა და რა გაუმჯობესობაა საჭირო მისი აზრით ამ ბედსა და მდგომარეობაში მყოფი ხალხისათვის, რომ ამითი ხალხის ენერგიული დახმარება და თანაგრძნობა მოეპოვებინა. მეორე მხრით, ბურბონების დასამარცხებლათ ეს პარტია ნიადაგ იმ იარაღს ხმარობდა, რომ თქვენ უცხო ქვეყნელებმა დაგსვესთ საფრანგეთის ტახტზეო და ამით თქვენ ჩვენი ღირსება დაამცირეთ, ის ღირსება და ის დიდება, რომლითაც ნაპოლეონის დროს მთელი ევროპა ავიკელითო. ბურბონების დასამცირებლათ ლიბე-

რალები საგანგებოთ აჭარბებდნენ ნაპოლეონის ქებას, და თვითონ კი იმისთანა სიმებს ვერ ეხებოდნენ ხალხის გულისას, რომლითაც მისი აღდგენა და წინ წაწევა შეიძლება. ამის გამო მათს მოქმედებას და შრომას ხალხზე უფრო ის გავლენა ჰქონდა, რომ ბურბონები კი შეაძულა, მაგრამ ლიბერალების მაგიერ ნაპოლეონის სახელი შეაყვარა.

ბურბონებსა და ლიბერალებს შუა ბრძოლა 1815-დამ დაწყებული 1830-მდი გაგრძელდა, და ამ თუთხმეტი წლის განმავლობაში ეს ბრძოლა ნიადაგ იმ კილოზე იყო, რომ ხალხი უფრო და უფრო უახლოვდებოდა ნაპოლეონის სახელის გაღმერთებას და თანდათან ივიწყებდა იმ ლიბერალურ პრინციპებს, რომლის სახელით და სასარგებლოთ ჰქადაგებდნენ ლიბერალები. 1830-ში ბრძოლა ნამეტნათ გაცხარდა. როცა შარლე მეათემ მოინდომა ჯარისა და პოლიციის ძალით მოესპო საფრანგეთში ის მცირე უფლებები, რომელიც სტამბას და საზოგადოებას დარჩენოდა, პარიჟის ხალხი აღშფოთდა და ქუჩებში ასტყდა სისხლის-მღვრელი „ივლისის ბრძოლა“ პარიჟელ ხალხსა და სახელმწიფო ჯარს შუა. სამი დღის და სამი ღამის განმავლობაში იღვარა სისხლი პარიჟის ქუჩებში, სანამ ბოლოს ხალხი გამარჯვებული დარჩა და მეფე — გაქცეული. არეულობა და ბრძოლა იმით შესწყდა, რომ ხალხის წინამძღოლმა დეპუტატებმა და ჟურნალისტებმა მეფეთ ვითომ ლიბერალური სულით აღვსებული პრინცი ამოირჩიეს, ლუი-ფილიპე ორლეანელი, რომელიც უწინ გაბუტვით უყურებდა თავისი ნათესავების დიდებას. ლიბერალებმა ეს გაბუტვა სულმაღლობის ნიშნათ მიიღეს, და იფიქრეს, თუ კი ლიბერალი ხელმწიფეთ გვეყოლა, საქმეს რაღა უშავს და ხალხს მეტი სხვა რაღა უნდაო? ამ რიგათ მოხდა 1830 წლის რევოლუცია, რომელმაც ერთის მხრით ბურბონების მაგიერ საფრანგეთის ტახტზე ორლეანები აიყვანა და მეორეს მხრით ყველას აშკარათ დაანახა, რომ ერთი ტახტის დამხობა და მეორის აღდგინება მეტის მეტათ ძნელი და შეუძლებელი საქმე როდი ყოფილა საფრანგეთის ხალხისათვისო.

ბონაპარტების ოჯახი ამ ცვლილებამ მადაზე მოიყვანა, მით უფრო, რომ ხალხის მხრით დიდი სიყვარული და იმედი როდი ჩნდა ორლეანების სახლისთვის. ნაპოლეონის ტვინზე ამ ცვლილებას კიდევ ის გავლენა ჰქონდა, რომ იმან იგრძნო, თუ რა ხალხის ნაწილი ყოფილა ყველაზე უფრო ძვირფასი ამგვარი ცვლილებების დროს, ის შეეჩვია პარიჟელი მუშა-ხალხის დაფასებას და მორიდებას, და დარწმუნდა, რომ ჯარის გულის მოგებასთან იმან ამ პარიჟელი მუ-

შა-ხალხის სიყვარული თუ არა, ცოტაოდენი სიმპატია მაინც უნდა ეძიოს.

ამნაირათ მისი აზრების მიმართულებას მიეცა ორგვარი მიზანი: ჯარში გავლენის მოპოება და პარიჟელი ლიბერალური მუშა-ხალხის თვალის ახვევა. პირველი მიზნისთვის, შვეიცარიის სამსახურში შესვლის გარდა, ის ეცნობოდა საფრანგეთიდან მოსულ მოგზაურ-ოფიცრებს, აქებდა მათ ნიჭს, ჰპირდებოდა ჩინებულ მომავალს, აძლევდა ფულს და ითხოვდა დახმარებას, — ვინიცობაა თქვენი დახმარება რომ დამჭირდესო. ნაპოლეონს თვალწინ უდგა ბიძა-მისის ნაპოლეონ პირველის მაგალითი, როცა ის ელბის კუნძულზე დამწყვდეული იყო, გამოიქცა, და მთელი საფრანგეთი გაიარა, ხალხისა და ჯარისგან აღტაცებით მიღებულმა დაამარცხა ბურბონების ჯარი და სამი თვით მათი ტახტი დაიპყრო. ძმისწულსაც შესაძლებელი ეგონა თავისთვის ბიძის მაგალითის განახლება, და ამ აზრით ის მომხრეებს იმზადებდა საფრანგეთის ჯარში და ოფიცრობაში. რამდენიმე დაჩაგრულმა და გამბედავმა ოფიცრებმა მართლაც აღუთქვეს დახმარება, და ამის გამო ის ერთხელ, 1836-ში, სტრასბურგს მოვიდა და თავისი თავის იმპერატორათ გამოცხადება დააპირა. მისმა მომხრეებმა ხმა დაყარეს, პარიჟში ახალი რევოლუცია მომხდარა და იმპერატორს თხოულობენო. და ზოგიერთმა რაზმებმა კიდეც დაიჭერეს ეს ამბავი და ნაპოლეონიც გვარიანათ მიიღეს. მაგრამ ამ დროს უფროსები მოვიდნენ, სტაცეს ნაპოლეონს ხელი, დააგლიჯეს თავის მუნდირზე რომ ორდენები, ეპოლეტები და ლენტები დაეკიდებია და სატუსაღოში წაიყვანეს, ისე რომ იმას არც ხმა ამოუღია, არც ხელი გაუნძრევია. ამბობენ, იმდროს რომ იმას ცოტაოდენი ენერგია და გამბედაობა ჰქონოდა, იქნება მთელ ჯარს მისი მხარი მიეღო და თვითონ უფროსები დაეტუსაღებიაო. მართალია ეს, თუ არა, ამას ეხლა ვერავინ გასჯის, მაგრამ უეჭველი კია, რომ ნაპოლეონი მეტი-მეტათ დაიბნა, როგორც კი იმას პირველი ნამდვილი დაბრკოლება დახვდა წინ, და გაშტერებულათ გაშეშდა, თითქო ცოცხალიც არ ყოფილიყოს. ლუი-ფილიპემ იმას თუთხმეტი-ათასი ფრანკი ჯიბეში ჩაუდო, ამერიკაში გააგზავნა და იმ პატიოსან სიტყვას დასჯერდა, რომელიც მისცა მას ნაპოლეონმა—ჩემს დღეში შენ წინააღმდეგ არა ვქნა რაო. ნაპოლეონის მომხრეები გასასამართლებლათ პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ ნაფიცმა მსაჯულებმა გადასწყვიტეს, რომ რადგანაც უმთავრესი დამნაშავე ჩვენდა უკითხავათ გაუშვეს, მისი დამხმარებლებიც უნდა გათავისუფლდენო. ამით გათავდა სტრასბურგის აჯანყების ამბავი.

ოთხი წლის შემდეგ, როცა საფრანგეთის პოლიტიკას ახალი დამცირება მიადგა ტიერის უხეირობით, და როცა იმავე ტიერის წყალობით საფრანგეთის ხალხში უფრო გაძლიერდა ნაპოლეონ პირველის თაყვანის-ცემა, რადგანაც იმ დროს თვითონ ტიერმა გადმოატანინა ელენეს კუნძულიდან იმპერატორის გვამი, პატარა ნაპოლეონმა ხელახლა ბედის ცდა მოინდომა: იმან დაამზადა ლონდონში მთელი ხომალდი, თავის ლაქიებს საფრანგეთის ჯარის მუნდირება ჩააცვა, იშოვა ერთი ფრთა-დაგლეჯილი არწივი, რომელსაც თავის საკუთარ შლიაპაში ხორცის ჭამა ასწავლა, და ამგვარათ დამარაგებული მიადგა საფრანგეთის ქალაქს ბულონს. იქ შევიდა ის კაზარმებში და ჯარს გამოუცხადა იმპერატორის მემკვიდრე მე ვარ და წამომყევით, გავაგდოთ ლუი-ფილიპე და თქვენი დაჯილდოვება ჩემ კისერზე იყოსო; მაგრამ აქაც ვერა ქნა რა, იმის მეტი, რომ ხელახლავ შეშინდა, როცა უფროსები მოვიდნენ. ბულონში ის ერთიანათ როდი გაშეშებულა: ის გაიქცა ზღვისკენ, იმ იმედით, რომ ხომალდზე ასვლას მოვასწრებო, მაგრამ ესეც ვერ მოახერხა, და მორჩილათ სატუსაღოში წაყვა ოფიცრებს და პოლიციის წევრებს.

ეხლა კი მმართებლობა უფრო სასტიკათ მოეპყრო თავის ტუსაღს: სამართალმა გადაუჭრა იმას მთელი სიცოცხლის განმავლობაში დატუსაღება, და თვით ლუი-ფილიპემ სადგომათ ჰ ა მ ი ს ციხე მიუჩინა, სადაც ნაპოლეონი ექვსი წელიწადი იჯდა, სანამ გაქცევით თავს არ უშველა.

რაკი ნაპოლეონმა ორგზის დაინახა, რომ ჯარის აყოლა ისე ადვილი არ ყოფილა, როგორც იმას და მის მომხრეებს ეგონათ, და როცა გამოაშკარავდა, რომ პარიჟის ხალხს მართლა უფრო მეტი გავლენა ჰქონია ჯარზე, ვინემ ნაპოლეონის სახელს, ეს ტახტის მაძიებელი პარიჟის მუშების გულის მოგებას გულდაგულ შეუდგა. ამ მხრით მისი მოქმედება უფრო ადვილი და უშიშარი იყო, ვინემ სამხედრო აყალმაყალის ატეხა; ამისთვის მარტო წერა იყო საჭირო, და დაწერილის დაბეჭდვა, — და ვინ არ იცის, რომ იმას ეს დიდათ არ გაუჭირდებოდა, ან, თუნდ რომ გასჭირებოდა, ამაშიაც ბევრ დამხმარებელს და მისთვის თავდადებულ მშრომელს იშოვიდა. მართლაც, ჰამის ციხეში ნაპოლეონი გულდაგულ მიაწვა მუშა-ხალხის მდგომარეობის განხილვას, და მოკლე ხანში რამდენიმე წიგნი დასწერა, რომელშიაც სჩანდა მუშების მდგომარეობის ცოდნა და სამეცნიერო კითხვების და საგნების გამოყენება საიმპერატორო ტახტის აღსადგენათ. ეს გარემოება ისეთი შესანიშნავია ნაპოლეონის ცხოვრებაში, მაგას იმის პოლიტიკაში და მოქმედებაში ისეთი ალაგი უკავია, რომ ღირს ამ საგნის დაწვრილებით აწერას შეუდგეთ.

წარსული საუკუნის დამლევს საფრანგეთის ცხოვრებაში ბევრი ცვლილება მოხდა. ილაჯგაწყვეტილმა საზოგადოებამ და ხალხმა, რომელიც თავისი შრომით და მოხერხებით სახელმწიფოს ნამდვილ ძალას შეადგენდა, მაგრამ მაინც ყველაფერში უმოქმედო და უხეირო დიდკაცობის ხელში იყო, მოინდომა ამ დიდკაცობის ხელიდამ თავის დახსნა და საკუთარი თავისთვის საკუთარი ტვინით ცხოვრება. იმან ძალადობით მოსპო დიდკაცობის უპირატესობა, დაშალა ძველი უსამართლო წესი, დაარღვია ძველი მიმდგომი კანონები და მათ მაგიერ დააარსა ახალნაირი საზოგადოებრივი გაწყობილება, გამოსცა ახალი კანონები და შემოიღო ახალი ჩვეულებები. ამ ცვლილების უმთავრესი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ კანონის წინ ყველა, დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, სრულიად თანასწორი და ერთნაირათ თავისუფალი ყოფილიყო. თანახმად ამ აზრისა მოისპო ათასნაირი უპირატესობა დიდკაცობისა, რომელიც იმას უწინდელ დროში ძალადობით შეეძინა, მოისპო უმეტესი ნაწილი მისი გავლენისა და, მაშასადამე, დამცირდა მისი სიმდიდრე და ეკონომიური მდგომარეობა. მაგრამ, თუმც ამ ცვლილებას უმთავრეს აზრათ ყველას გათანასწორება ჰქონდა კანონის წინ, მაინც ის მოხდა, რომ საქმით მარტო ზოგიერთები გათავისუფლდა, და კანონში მოხსენებული თანასწორობა თითქმის მთელი საფრანგეთისთვის უმნიშვნელო ფრაზათ დარჩა, მისთვის, რომ ხალხის ნამდვილი ეკონომიური მდგომარეობა დიდათ როდი შეცვლილა იმ გადასხვაფერების დროს, რომელიც საფრანგეთს რევოლუციამ მიანიჭა.

დიდ-კაცობას და ეკლესიას რაც ადგილ-მამული ჰქონდა, იმის უმეტესი ნაწილი, მართალია, ვაჭრების, მოქალაქეების და სოფლელების ხელში გადავიდა და განაწილდა, მაგრამ ამ დიდ ეკონომიურ ცვლილებას ის ნაკლულევანება დაერთო, რომ მუშა-ხალხს, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, სრულიად არა ერგო რა, და ზოგი ამ მიზეზით, ზოგი მისი „პატრონების“ გაძლიერებით. ეს ხალხი თავის-თავს დაჩაგრულათ გრძნობდა. რევოლუციამ იმას პირადი უფლებები და თანასწორობა მიანიჭა დანარჩენ წოდებებთან. მაგრამ სიღარიბე და მძიმე შრომის გამოუდეგრობა ყოველ ცისმარია დღეს ამ ხალხს უთანასწორობას აგრძნობინებდა და უმჯობესი ბედის და მდგომარეობის სურვილს უძრავდა.

რაც უფრო ვრცელდებოდა და ჰკეთდებოდა წარმოება და აღებ-მიცემობა, რაც უფრო კარგ ჩარხებს იყენებდენ ქარხნის პატრონები, მით უფრო და უფრო ეცემოდა მუშა-ხალხის ეკონომიური

მდგომარეობა. თითოეული ახალ გამოგონებული ჩარხი მუშებს ათასობით ულუკმა-პურით სტოვებდა. ცხოვრება, ხორაგეული, სადგომი, ტანსაცმელი თან-და-თან უფრო და უფრო ძვირდებოდა და. მასთან თანასწორათ, უფრო და უფრო ძნელდებოდა ხალხისთვის. თავისა და ოჯახეულობის რჩენა. ამასგარდა, პოლიტიკურ განხეთქილებას და ნიადაგ ომებს ხშირათ აღებ-მიცემობის შეწყვეტა, წარმოების შეჩერება, შრომის მოსპობა, — ერთი სიტყვით „კ რ ი ზ ი ს ი“ მოსდევდა. ყველა ამ მიზეზებით მუშა-ხალხის მდგომარეობას რევოლუციის ცვლილებები იმოდენათ ბედნიერათ ვერ დაეტყვენ. როგორც შუათანა წოდებაზე — ვაჭრებზე, მოქალაქეებზე და შემძლე გლეხებზე. და ამ უკანასკნელების უცაბედი ამაღლება და გაძლიერება თითქო საგანგებოთ ცეცხლს უკიდებდა მუშა-ხალხის დაცემულ იმედს.

მუშა-ხალხს ეს ყველაფერი გულს უკლავდა. ის გრძნობდა, რომ სამშობლოს ყოველნაირი ტვირთი მის კისერზე იწვა. როცა სამშობლოს თავის შვილების სისხლი სჭირდებოდა, გარეშე მტრის მოსაგერებლათ, ის მუშა-ხალხში ჰკრეფდა თავის დამცველ მხედრობას, უმაღლესი წოდებები კი ამ მოვალეობიდამ გათავისუფლებული იყვნენ. რაც სახელმწიფოს ხარჯი სჭიროდა, იმას თითქმის მარტო მუშა-ხალხი იხდიდა. იმას არცერთი მოვალეობა არ ასცილებია, და მაგიერათ არც ერთი უფლება არ ღირსებია. ეს აბრაზებდა და აღელვებდა მუშა-ხალხს, რომელსაც არც გაბრაზება და არც ღელვა სჭიროდა, ისე დატანჯული ჰყავდა ის ნიადაგ გაჭირვებას და შიმშილს.

ამ მდგომარეობამ ბევრი მეცნიერი და კაცმოყვარე პუბლიცისტი დააფიქრა. ბევრი მოაზრე შეუდგა იმ კითხვის განხილვას, თუ როგორ და რა საშუალებით შესაძლებელია მუშა-ხალხის დახმარება და ფეხზე წამოყენება; და თითქმის ყველა იმ საზოგადო აზრს დაადგა, რომ მუშა-ხალხის ბედს გააუმჯობესებს მარტო მისი ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი გ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა „პ ა ტ რ ო ნ ე ბ ი ს“ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი დ ა მ.

ამაზე ყველა თანახმა იყო. მაგრამ აქვე იწყება სხვა-დასხვა მოაზროვნეების ერთმანეთთან უთანხმოება და განხეთქილება. რაა „ეკონომიური გათავისუფლება მუშა-ხალხისა?“ რა გზით და რა საშუალებითაა შესაძლებელი ამ გათავისუფლების ასრულებაში მოყვანა? რამოდენათ და რა ზომითაა საჭირო ეს გათავისუფლება და სანამდი უნდა მიაწიოს იმან? ამაზე თითოეულ მეცნიერს, თითქმის თითოეულ მწერალს თავისი საკუთარი აზრი და თეორია ჰქონდა,

რომელიც თითქმის არაფერში სხვის აზრს და თეორიას არ ეთანხმებოდა.

ყველაზე უწინ ზოგიერთი მწერალი იმ აზრს დაადგა, რომ მუშა ხალხის ბედნიერებისათვის აუცილებლათ საჭიროა, რომ იმას გაუნაწილდეს და დაურიგდეს მდიდრების შეძლება და ადგილ-მამულიო. ამ საშუალებისაგან ეს მწერლები ვითომ იმ ეკონომიურ თანასწორობას გამოელოდენ, რომელიც მუშა ხალხს დანარჩენ წოდებებთან აკლდა. მაგრამ ძლიერ მალე სხვა უფრო ღრმა მოაზროვნეებმა მოიფიქრეს, რომ ამ საშუალებისაგან ბევრი რამ სიკეთე როდი გამოდნება. რაც საფრანგეთში სიმდიდრე იყო, ის საყოველთაოდ რომ გაენაწილებიათ, თითოეულ კაცს ათი, თუნდ ასი, ფრანკი შეხვდებოდა. და ეს ფული აბა ვის „გაათავისუფლებდა!“ ესვე ითქმის ადგილ-მამულზე და საზოგადოთ დანარჩენი სიკეთეების დარიგებაზე. ამგვარი გათანასწორება, ახალი მეცნიერების აზრით, იმას ჰგავდა, რომ რაც ურდოზე უფრო მაღლა იდგა, ის მოეკაფათ და ყველა ერთგვარ თანასწორ სიმდაბლეში დაეტოვებიათ, მაშინ, როდესაც საჭიროა ყველას ამაღლება და ამაღლებულებთან გათანასწორება. ამ მიზნისთვის საჭიროდ აღმოჩნდა, ზოგიერთების აზრით, მუშა-ხალხის ძალისა და შრომის შეერთება და ხეირიანათ გამოყენება შეერთებულ წარმოებაში, აგრეთვე როგორც ნაწარმოების გონიერათ გამოზოგვა შეერთებულ ცხოვრებაში.

ამ მეცნიერების აზრით, როგორც შრომას, ისე ცხოვრებას, ის საზოგადო თვისება აქვს, რომ როცა ისინი შეერთებულნი არიან, თითოეულ მშრომელს და მცხოვრებს ნაკლები ჯაფა და ხარჯი სჭირია და უმეტესი სარგებლობა ელის. ერთი კაცის საყოფი სადილის გაკეთება თითქმის იმდენივე დროს, შრომას და მასალას თხოულობს რამდენიც ორისა და სამის საყოფის დამზადებას სჭირდება. მარტო ერთი კაცი დღეში მეათედ დღიურსაც ვერ დახნავს, მაშინ როდესაც სამი კაცი დღიურზე მეტსაც მოხნავენ, — და სხვ. ამ შეერთებული შრომის სარგებლიანობამ მეცნიერები დაარწმუნა, რომ ხალხის „გათავისუფლებისთვის“ საჭირო და საკმაოა შეერთებული შრომისა და ცხოვრების შემოღება იმნაირათ, რომ მუშა ხალხს შეერთებით თავის სასარგებლოთ ქარხნებში და სოფლებში წარმოება შეეძლოს და, ერთათ ცხოვრებით, ნაწარმოები სიმდიდრის რიგიანი გამოზოგებაც. ამ სწავლას ეძახიან „ასოციაციების მომხრე“ სწავლას.

მაგრამ თვითონ ამ სწავლის მომხრეებშიაც მალე აღმოჩნდა აზრის უთანხმოება და განსხვავება. ზოგი ამტკიცებდა, რომ საკმაოა მარტო შრომის შეერთება. — შეერთებული ცხოვრება კი საჭირო

კი არა, სავნებელიც იქნება თითოეული პირის თავისუფლებისთვისო, სხვები ამტკიცებდენ, რომ მუშა ხალხის ბედს საკმაოთ და ნამდვილათ ვერც მარტო შეერთებული შრომა და შეერთებული ცხოვრება გაუმჯობესებსო, რადგანც მუშების ეხლანდელი „პატრონები" (თანხის პატრონები) იმდენათ ძლიერები არიან ფულის ხელში ქონებით და კანონების მათ სასარგებლოთ შედგენით, რომ მუშა ხალხის შეერთებული ძალა იმათ ვერაფერს დააკლებს და თითქმის ვერც ეწინააღმდეგებაო. მაშასადამე, ამტკიცებდენ ეს სწავლულები, აუცილებლათ საჭიროა, რომ სახელმწიფომ, ერთის მხრით, მუშა ხალხს თანხა უშოვოს და საქმის დაწყება, საკუთარი ქარხნების გამართვა, ადგილ-მამულის შოვნა, სწავლის მიღება გაუადვილოსო, და, მეორეს მხრით, მთლათ ერთიანათ უნდა გადაათვალიეროს და შეცვალოს ეხლანდელი სამოქალაქო კანონები, რომელნიც დიდ-ძალ უპირატესობას და უფლებას აძლევენ თანხისა და ადგილ-მამულის პატრონებს და მუშებისთვის საბიადაგოთ სპობენ მათთან ეკონომიური ბრძოლის გამართვის შეძლებასო. ამგვარია, სხვათა-შორის, მემკვიდრეობის, ქირაობის, პირობების და ბევრი სხვა კანონებიო. ერთი სიტყვით, ეს მეცნიერები ამტკიცებდენ, რომ სანამ ეხლანდელი კანონ-მდებლობა და ეკონომიური და პოლიტიკური გაწყობილება თავიდამ ბოლომდი არ შეიცვლება, მანამდი მუშა ხალხის ბედი დიდში ვერაფერში გაუმჯობესდება და მისი ნამდვილი გათავისუფლება არას გზით არ მოხდებაო. მანამდი გაუმჯობესდება მარტო ზოგიერთი იშვიათი პირების ბედი, და მეტი არაფერიო.

ესაა უმთავრესი განაწილება იმ თეორიებისა, რომელნიც დაბადა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, და რომელნიც აფიქრებენ დღეს, აღელვებენ და ჰყოფენ საზოგადოებრივი ცვლილებების მომხრეებს. რაც კი რამ იყო ნიჭიერი, გონიერი და პატიოსანი საფრანგეთის მწერლობაში და საზოგადოებაში სულ ამ აზრების და თეორიების გავრცელებას და ქადაგებას მიაწვა, ნამდვილი მოციქულური თავდაუზოგველობით და აღტაცებით. და იმათ შრომას ის შედეგი ჰქონდა, რომ ხალხის ყურამდი მიაწია მათმა ხმამ და სიტყვამ, და ამან უფრო მეტათ აღძრა საფრანგეთის მუშა ხალხის უიმისოთაც აღძრული გონება და სურვილი.

IV

სანამ ნიჭიერი და თავგამომეტებული ახალი მწერლობა მოუსვენრათ და დაუღალავათ განახლების და ცვლილებების საჭიროებას ჰქადაგებდა და მათ მოსახდენ საშუალებებს იკვლევდა, საფრან-

გეთის პოლიტიკური ცხოვრება სულ სხვანაირ ასპარეზს წარმოადგენდა. ნაპოლეონ პირველის დამარცხებას და ტახტიდამ გადმოყვანას ბურბონების ხელახლათ გამეფება მოსდევდა. ეს გამეფება იმას ნიშნავდა, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში უმთავრესი გავლენა, ხმა და მნიშვნელობა დიდკაცობას და სამღვდელოებას მიეცა, და მათ სარგებლობას მსხვერპლათ მიეცა არათუ მარტო მუშა ხალხის სარგებლობა და ბედი, შუათანა საზოგადოების, ესე იგი მოქალაქობის და შემძლე სოფლელების, სარგებლობაც. იმის გამო საფრანგეთში, ნაპოლეონ პირველის გადაყენების შემდეგ, ატყდა გაცხარებული ბრძოლა დიდ-კაცობას შუა ერთის მხრით და შუათანა საზოგადოებას და ხალხს შუა — მეორეთი. მაგრამ, რადგანც დიდ-კაცობა და სამღვდელოება თავიანთ თავს იმოდენათ ძლიერათ ვერ გრძნობდა, რომ ერთიანათ დაებრუნებია და გაეცხოველებია ძველებური წესი და განწყობილება, და რადგანც იმან ვერ გაბედა შუათანა საზოგადოებისგან შეძენილ შეძლებას შეხებოდა, ეს გაცხარებული ბრძოლა უფრო გარეგანი ბრძოლა იყო, ვინემ საფუძვლიანი ეკონომიური და რევოლუციური შეტაკება ორი წოდებისა. ეს ბრძოლა მარტო პოლიტიკურ ასპარეზზე ბრუნავდა, მარტო პოლიტიკურ უფლებებს ეხებოდა, მარტო პარლამენტში და გაზეთებში სდუღდა. ნამდვილ ცხოვრებას კი ის ხასიათი ჰქონდა. რომ დიდ-კაცობა მეფის სასახლეში და სამსახურში ადგილების შოვნით კმაყოფილდებოდა, და თუ რასმე ეძებდა — ეძებდა ხარისხებს და ჯამაგირს, მაშინ, როდესაც შუათანა საზოგადოება ლაზათიანათ გამაძღარ კაცსავით რევოლუციის დროს ნაშოვნი სიმდიდრით და მამულებით სტკბებოდა, და თუ პოლიტიკურ სიმართლეებზე ცხარობდა, ცხარობდა და იბრძოდა ისე, როგორც გაცხარებულათ ბაასობენ კარგა-ლამაზათ ნასადილევი პირები, — ჩინებული სადილის მოსანელებლათ. მართალი რომ სთქვას კაცმა, ეს ბრძოლა იმ ამბავს ჩამოგავდა, რომელიც ერთმა მაშინდელმა მწერალმა ოხუნჯობით აწერა. ორი ამერიკელი წითელ-კანიანი კაცის-მჭამელები ერთხელ ხალისიანათ კოჭს თამაშობდენო და მათ ერთი ევროპიელი წაესწრო თურმე, რომელსაც მეტისმეტათ გაუკვირდა მათი გულმოდგინე და გამწარებული თამაში. — „ალბათ თქვენი თამაშის მოგება დიდი რამ უნდა იყოს, ასე რომ გამწარებულხართო?“ უთხრა იმან მოთამაშეებს და იმათი თამაშის სიცხოველემ, იმათმა სიმარდემ ეს ევროპიელი იქნამდი აღიტაცა, რომ თითეულს კოჭის სროლის შემდეგ ის ტაშს სცემდა და ყვიროდა: „ბარაქა მრბევო წვიმავ“ (ერთი მოთამაშის სახელი ეს ყოფილა) „არიქა, შუაღამის მზეე!“ (მეორეს სახელი). ბოლოს „მრბევმა წვიმამ“ გაიმარჯვა თურმე, ხელი მოჰკიდა

ევროპიელს და დარდიმანდულათ უთხრა: — „ფერმკრთალო, ასე მხურვალეთ ჩვენ იმიტომ ვთამაშობდით, რომ შენ დაგინახეთ, და პირობა დავდეთ, ვინც ჩვენგანი კოჭაობაში მოიგებდა შენ უნდა რგებოდი შესაჭმელათო“. სწორეთ ამ ამბავს ჩამოგავდა ის პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც საფრანგეთში სდუღდა დიდ-კაცობას და შუათანა საზოგადოებას შუა, იმ განსხვავებით, რომ ფერმკრთალი ევროპიელი ამ შემთხვევაში საფრანგეთის ხალხი იყო.

1830 წელს ეაიმარჯვა შუათანა საზოგადოებამ. იმან ბურბონების ტახტი დაამხო, დიდკაცობას ფეხი მოსტეხა, საფრანგეთის ტახტზე ორლეანის სახლობა დასვა და სასახლეში და სამსახურში რაც ადგილები იყო, ჯამაგირიანი, სულ ერთიანათ თვითონ ირგო. განდიდებულ ვაჭრობას კანონების შედგენაც ხელში ჩაუვარდა და მათი გამოყენებაც, და ხალხის მდგომარეობა ამით მეტის-მეტათ შეწუხდა. ატყდა მაშინვე ჩუმი, მაგრამ მხურვალე ბრძოლა შუათანა საზოგადოებას და ხალხს შუა, და ამ ბრძოლაში ხალხი და მისი მომხრე მწერლები და მოთავეები ხან ბეჭდვით თხოულობდენ, ხან ძალით ცდილობდა ხალხის უფლების ხელში ჩაგდებას. ამან მოახდინა საშინელი განხეთქილება ხალხსა და შუათანა საზოგადოებას შუა, რომელსაც ის გარემოებაც უფრო აღრმავებდა, რომ ორივე მხარე არათუ მარტო პოლიტიკურ ასპარეზზე დაობდენ, თვით საყოველდღეო, უბრალო ეკონომიურ საქმეებშიაც ნიადაგ ერთმანეთს ეპირდაპირებოდენ, რადგანც ერთის სარგებლობა მეორის დაჩაგვრას და დამორჩილებას თხოულობდა.

ეს განხეთქილება მეტისმეტათ ძლიერი და ამოუხოცველი იყო, როცა 1848 წელს გაბრაზებულმა ხალხმა უეცრათ დაამხო ორლეანების ტახტი და საფრანგეთში რესპუბლიკა დააწესა. რამდენიმე თვის ვადით შუათანა საზოგადოება გაყუჩდა. იმას ეგონა გაბრაზებული ხალხი ტყავს გაგვაძრობს ხმა რომ ამოვიღოთ და წინააღმდეგობა დაუწყოთო. ისევ სჯობია ჩვენი თავი რესპუბლიკის მომხრეთ გამოვაჩინოთ, ამით ჩვენ იქნება ჩვენი ეკონომიური უპირატესობა და პოლიტიკური თაოსნობა შევინარჩუნოთო. მაშინ ამ პარტიის მოთავეთ ტიერი იყო, რომელმაც პარტიას ის მიმართულება მისცა, რომ მოვითმინოთ, წავიყრუოთ, მმართველობა ხელში ჩავიგდოთ და მერმე ვნახოთ როგორი ჭახრაკები წაუჭიროთ ხალხსო. მაშინდელი მოქმედება ამ პარტიისა თუმც გვარიანათ ოსტატური და დაფარული იყო, მაგრამ ხალხის მომხრეების თვალს მაინც ვერ გამოეპარა, და ხალხი, თითქო ინსტინქტით გრძნობდა მახეს მიგებენო, მეტის

მეტათ ბრაზდებოდა შუათანა საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც, თავის მხრით, იარაღს იმზადებდა ამ გაბრაზების დასათურგვნელათ და დამარცხების მაგიერი ჯინის ამოსაყრელათ.

V

მაშინდელი რესპუბლიკური პარტიის წინამძღოლები სამ ნაწილათ უნდა გაჰყოს კაცმა. ერთი ნაწილი, ვითომ „ზომიერები“ (Modérés), რომლების თავში იდგენ ლამარტინი, კავენიაკი, გარნიე-პაჟე, მარი, მარა და სხვ., ყველაზე უფრო იმას ცდილობდენ, რომ შუათანა საზოგადოება, რომელსაც ისინი თვითონ ეკუთვნოდენ. დაეშოშმინებიათ და რესპუბლიკის მხარეზე გადმოეყვანათ. იმათ სიუ-ლდათ მუშა ხალხი, რადგანც მთელი მათი ცხოვრება შუათანა და მაღალ საზოგადოებაში გასულიყო, რომლის აზრებით და ამაოთ-მორწმუნებით გამოზდილი იყო იმათი ტვინი და გრძნობა. მეორე ნაწილს „წითლები“ „რადიკალები“ შეადგენენ. იმათ თავში იდგენ ძაშინ ლედრიუ-როლენი, ჟულ-ფავრი, კოსიდიერი, ფლოკონი და სხვ. მათი მიმართულება და მოქმედება „ზომიერი“ რესპუბლიკელების მოქმედებისაგან მარტო მით გაირჩეოდა, რომ ისინი შუათანა საზოგადოებას ნაკლებათ ეტრფოდენ და ხალხსაც ისე სასტიკათ არ ეპყრობოდენ. იმათ მარტო პოლიტიკური ცვლილებების მოხდენა სურდათ, მარტო პოლიტიკური უფლებების მინიჭება უნდოდათ ხალხისთვის, მის ეკონომიურ მდგომარეობას კი ისინი სრულიადაც არ ეხებოდენ და შიგ ნაკლულევანებასაც ვერ ხედვიდენ. ჩვენ მარტო ხეირიანი, ხალხისაგან ამორჩეული და სამართლიანი მმართებლობა უნდა გავაწყოთ, და მაშინ ყველაფერი თავის თავათ გაუმჯობესდება და გარიგდებაო, ჰფიქრობდენ და ამბობდენ ამ მიმართულების პირები.

მესამე ნაწილი ყველაზე უფრო მცირედი იყო მოთავეების რიცხვით, მაგრამ თან ყველაზე უფრო ძლიერიც პარიჟში, რადგანც იმას მთელი პარიჟელი მუშა-ხალხი თანაუგრძნობდა. იმას მოთავეთ ლუი ბლანი, კონსიდერანი, ვიდალი, ხანდისხან პრუდონი და სხვ. უდგა, და საზოგადო სახელათ „სოციალური (საზოგადოებრივი) პარტია“ ერქვა, იმ მიზეზით, რომ ეს პარტია ამტკიცებდა, რომ ხალხის ბედნიერებისა და გათავისუფლებისთვის საჭიროა ცვლილებების მოხდენა არათუ მარტო პოლიტიკურ წესში, მთელ საზოგადოებრივ გაწყობილებაშიაც და კანონშიც.

მაშასადამე, 1848 წელს საფრანგეთის ცხოვრებაში ბრძოლა სდუღდა ამ ოთხ უმთავრეს პარტიებს შუა: ჯერ ერთის მხრით შუ-

ათანა საზოგადოება (ორლეანების მომხრეები) იდგა, რომელსაც მიეკედლა ყველაფრით სუსტი და მცირე ლეგიტიმისტების[33] პარტია, და მეორეს მხრით იდგენ სამგვარი რესპუბლიკელები. მაგრამ ამავე წლის ივნისის თვეში, როცა მუშა-ხალხმა გაჭირვებული შიმშილი და გამწარება ვეღარ აიტანა, როცა მონარხიელებმა ეს ხალხი საგანგებოთ გააქეზეს, რომ ჯარით მისი ამოლეწვა და დამორჩილება შესძლებოდათ, და როცა პარიჟის ქუჩებში ატყდა ომი ხალხსა და ჯარებს შუა, „ზომიერი" რესპუბლიკელები მონარხიელების მხრისკენ გადვიდენ, და მონარხიელებმა საქმე ისე ოსტატურათ წაიყვანეს, რომ ხალხის დამარცხება და დაუზოგველი დასჯა და ამოჟლეტა ზომიერი რესპუბლიკელების ხელით და რესპუბლიკის სახელით მოახდინეს. ზომიერ რესპუბლიკელებს ეგონათ ამით მაინც მოვიმადლიერებთ შუათანა საზოგადოებას და მის დახმარებას მოვიპოვებთო. მაგრამ ორლეანების მომხრენი ისე სულელები არ იყვნენ, რომ „ზომიერი" რესპუბლიკელების იმედი შეესრულებიათ. დანარჩენი ორი რესპუბლიკური პარტია ამ შემთხვევაში მონარხიელების და ზომიერი რესპუბლიკელების წინააღმდეგ დადგენ, მაგრამ იმ დროს მათი მოქმედება დაგვიანებული იყო. იმათ ვერ ისარგებლეს პირველი გამარჯვებით (თებერვალში) და ივნისში თავის გამოყოფა გვიან იყო: მაშინ მათი მომხრეები გალეწილები იყვნენ და მონარხიელებს გულში საბოლოო გამარჯვების იმედი ჩასახოდათ...

ერთი სიტყვით, ბრძოლა ცხარე იყო და მისი ნაყოფი კი ხალხისთვის საჭაშნიკო არ გამოდიოდა. საფრანგეთის ნამდვილი ძალა, მისი ღონე და გონება მაშინ ორ თითქმის თანასწორ ნაწილათ იყო გაყოფილი. ერთ მხარეს შეადგენდენ მონარხიელები და ზომიერი რესპუბლიკელები, და მეორეს — რადიკალები და სოციალური ცვლილებების მომხრენი. ბრძოლის ასპარეზი და მიზანი იმაში მდგომარეობდა — დარჩეს თუ არა ხელუხლებლათ ეხლანდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაწყობილება, კანონმდებლობა და წესი. ყოველი კაცი ან ერთ პარტიას ეკუთვნოდა ან მეორეს, ან ერთისთვის იკლავდა თავს ან მეორესთვის...

ამ დროს ამ ორ რაზმებს შუა თავი ამოჰყო ნაპოლეონ მესამემ, რომელსაც მაშინ სახელათ ლუი ბონაპარტე ერქვა.

VI

ნაპოლეონისთვის ღმერთს არც დიდი ჭკუის ძალა მიეცა, არც მტკიცე ფოლადის ხასიათი. ორივე მხრით იმან სისუსტე გამოიჩინა. მისი ტვინის ძალა სწორეთ იმ ზომისა იყო, რამდენიც მინიჭებული

აქვს ყოველ „მეოინე“ „ოსტატ“ კაცს. ეს იმას ნიშნავს, რომ იმას გვარიანი მოხერხებით შეეძლო კაცის მოტყუება, თვალის ახვევა და გაცურება. მაგრამ იმას ის გონიერება არ ღირსებია, რომელიც უჩვენებს კაცს, რომ ოინს, სიცრუეს, თვალის ახვევას მოკლე ფეხები აქვსო, და საზოგადო საქმეებში, ხალხისა და საზოგადოების წინ, უმჯობესი მოხერხება, უკეთესი პოლიტიკა პირდაპირ, სწორ და აშკარა მოქმედებაში, გულწრფელობაში და პატიოსნებაში მდგომარეობსო. თავის დღეში არ ჰქონია იმას ხელმძღვანელი კანონები და პრინციპები თავისი მოქმედებისა, არც ნათლათ გამოხატული მიზანი თავის ცხოვრებისა. ოღონდ ხელმწიფეთ გამხდარიყო, ოღონდ ტახტი ხელში ჩაეგდო და ზეიმ მტკიცედ დამჯდარიყო, დანარჩენი თუნდ შავს წყალს წაეღო. ამ მიზნისთვის ის ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა, რომელიც კი ხელში მოხვდებოდა, კარგსა და ცუდს. სუფთას და ჩირქიანს, და იმას კი არასოდეს არ ფიქრობდა, რომ ბინძური საშუალებების ხმარება საბოლოოთ სწამლავს და ჰკლავს უკეთეს საქმეს და უპატიოსნეს მიზანს.

ხასიათით იმას მეტის მეტი გადაუწყვეტლობა, გაუბედველობა და ტვინის სიზარმაცე ეჩვია. იმას ის თვისება აკლდა, რომელიც ერთბაშათ, ერთ წამში აჩვენებს კაცს საქმის მდგომარეობას და საჭიროებას, მაშინვე რამე სწრაფ გადაწყვეტილებას დაბადავს მის თავში და იმწამსვე ამ გადაწყვეტილებას ასრულებაში მოაყვანიებს. ყოველი ახალი მოვლენის, ახალი საქმის წინ ის იკარგებოდა, იბნეოდა, პირს აღებდა. იმას დიდხან ფიქრი სჭიროდა ამ ახალი საქმის და მოვლენის გასაგებათ და მის სარგებ საშუალების გამოსაძებნელათ. ესეც ცოტაა. ერთხელ გამოძებნილი საშუალების სახმარებლათ იმას ხელახლავ დაფიქრება, ლოდინი და წვალება სჭიროდა, ისე, რომ საქმე ფუჭდებოდა, იშვიათი შემთხვევა იკარგებოდა მხოლოდ იმისთვის, რომ ნაპოლეონს ტვინის სისწრაფე და ხასიათის სიმტკიცე არ ჰქონდა.

მაგრამ იმას კარგი, ესე იგი მისი შესაფერი, მარჩევლები და დამხმარენი ჰყავდა. იმათი რჩევით და დახმარებით გაბედა ამ სულითა და ტანით სუსტმა კაცმა საფრანგეთის ტახტზე ასვლის იმედის გულში ჩაწვეთა, და იმათივე რჩევით საქმე იმ რიგათ წაიყვანა, რომ იმ ორ მებრძოლ პარტიებს შუა გვარიანი ადგილი გამოძებნა. 1848 წლამდეც, რაკი იმან და მისმა მომხრეებმა დაატყვეს, რომ თანამედროვე საფრანგეთში მუშა-ხალხის მოძრაობას დიდი ძალა აქვს და ჩვენთვის ეს ძალა გამოსადეგი იქნებაო, ნაპოლეონმა გაზეთებში და ცალკე წიგნებში წერა დაიწყო მუშების სასარგებლოთ, იმ განზრახვით, რომ მათი გული და დახმარება მოეპოვებია. ამ თხზუ-

ლებებში ის ასოციაციის (შეერთებული შრომის და ცხოვრების) საჭიროებას სცნობდა და ავრცელებდა, მაგრამ ისე, რომ თან სამხედრო გაწყობილებას და ჩვეულებებს ურევდა. ამით იმას ერთ და იმავე დროს ორი მიზნის მიღწევა სურდა: მუშა-ხალხის დამადლიერება და ჯარის გულის მოგება. მისი ასოციაციანი ნამეტნათ ჩამოგავდა კაზარმას და ის საგანგებოთ ცდილობდა ამ ორპირული განზრახვით ორი უმთავრესი მატერიალური ძალა ჩაეგდო ხელში — მუშა-ხალხი და ჯარი. ეს გვარიანათ გამოწყობილი ოინი იყო, მაგრამ მარტო ის ნაპოლეონს ვერაფერს გაურიგებდა, სხვა გარემოებებიც, რომ მას არ დახმარებოდა.

რადგანც საფრანგეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ისე მძიმეთ და ღრმათ იყო განაწილებული ორ შეურიგებელ ბანაკათ, ნაპოლეონის მომხრეები და დამრიგებლები ისეთ საქციელს დაადგენ, რომელიც მათი განზრახვით ორივე მხარის დაღალვით და დაკავებით მარტო ნაპოლეონის გვარს ასარგებლებდა. ხშირათ მოხდება ხოლმე, მაედანზე, ორი მარჯვე ყაზახი რომ წაიჩხუბებიან სადაო ნივთის მფლობელობაზე და ერთმანეთს ხელებს გაუკავებენ, ან თმაში ჩააფრინდებიან, მიეპარება ვინმე უსუსური ბიჭი, სადაო ნივთს ხელს სტაცებს და ჯიბეში გაიკრავს, ან, თუ საჭმელია, ჭამასაც დაუწყებს. სწორეთ ამ ბიჭის საქციელს დაადგა ნაპოლეონი, როცა იმას 1848 წლის რევოლუციამ საფრანგეთის კარები გაუღო და შორიდამ საზოგადო ცხოვრებაში როლი და ადგილი დაანახა. იმ დროს ამორჩეულ ნაციონალურ კრებაში უმრავლესობა მონარხიელებს და ზომიერ რესპუბლიკელებს ეკუთვნოდა. იმათ ნიადაგ ებრძოდა რადიკალების და საზოგადოებრივი ცვლილებების პარტია; და ეს ბრძოლა თანდათან უფრო და უფრო ღალავდა საფრანგეთის ხალხს და საზოგადოებას. ამით სარგებლობა მოინდომეს ნაპოლეონის მომხრეებმა.

VII

ივნისის თვეში, როგორც წინეთ იყო ნათქვამი, პარიჟის მუშა ხალხი მოთმინებიდამ გამოვიდა და მმართებლობას მოთხოვა ზოგიერთი საჭირო ცვლილებების მოხდენა. მმართებლობამ ამაზე ჯარის გამოწვევით და თოფის სროლით პასუხი მისცა, და სამი დღის განმავლობაში პარიჟის ქუჩებში საზარელი ბრძოლა იყო, რომელშიაც დაიხოცა თითქმის ოციათასი კაცი და გაუსჯელათ, გაუკითხავათ დაიხვრიტა და გაიგზავნა ზღვას გადაღმა ერთ იმოდენაზე მეტი. ამ გარემოებას მეტის-მეტათ ცუდი შედეგი ჰქონდა მაშინდელი რესპუბლიკის ბედისათვის. რადგანაც მაშინ მმართებლობას რესპუბ-

ლიკის სახელი ერქვა და მოთავეთ ზომიერი რესპუბლიკელი ღენერალი კავენიაკი ჰყავდა, პარიჟელ მუშა ხალხს, ცოტათი არ იყოს, გული აუვარდა თავის საყვარელ რესპუბლიკაზე და ჯავრი ჩაჰყვა იმ ნაციონალური კრებისა, რომლის ბრძანებით ისე დაუზოგველათ დაისაჯა პარიჟის მცხოვრებლები. ეს გრძნობა თითქმის მთელ საფრანგეთში გავრცელდა, სწორეთ იმ დროს, როცა მთელ ხალხს საფრანგეთის რესპუბლიკის თავმჯდომარე (პრეზიდენტი) უნდა ამოერჩია. თავმჯდომარის კანდიდატათ გამოვიდა ერთის მხრით ღენერალი კავენიაკი, ზომიერი რესპუბლიკელების წევრი და მაშინდელი მმართველობის თავი, და მეორეს მხრით, ტიერის და მისი მეგობრების დახმარებით,—ლუი ბონაპარტი, ამ უკანასკნელის კანდიდატობა ყველას უმნიშვნელო საქმეთ მიაჩნდა. თვითონ ტიერს და მის მეგობრებს ის ანგარიში ჰქონდათ, რომ ეს კაცი სუსტი ტვინისა და გონებისაო და ჩვენ იმას ისე ვატარებთ, როგორც მოვინდომებთო. რესპუბლიკელებს კი ეგონათ, რომ იმას ხალხში არც სახელი აქვს დავარდნილი, არც გავლენაო, და ამიტომ არავინ ამოირჩევსო. მაგრამ საქმე სულ სხვანაირათ მობრუნდა. საფრანგეთის ხალხს, განსაკუთრებით სოფლელ გლეხებს, ყველა რევოლუციისაგან შენაძენი სიკეთეები და უფლებები ნაპოლეონ პირველისგან მონიჭებულათ მიაჩნდა, ამიტომ რომ ნაპოლეონ პირველმა თავის სახელით დაბეჭდა რევოლუციის დროს შემდგარი კანონები და სახელათ იმათ „ნაპოლეონის კოდექსი“ დაარქვა. ეს კანონები გლეხებს საკვირველათ უყვართ, რადგანც იმათ მარტო ამ კანონებმა მიანიჭა ცოტაოდენი თავისუფლება და მიწა-წყალი. ისინი ნაპოლეონის სახელს თაყვანს სცემდენ და თითქმის ღვთიურ ქმნილებათ სთვლიდენ. ლუი ბონაპარტეს კანდიდატობა იმათ წარუდგინეს როგორც ნაპოლეონ პირველის აზრებისა და მიმართულებისა მემკვიდრის, და ხალხმა ის საშინელი ერთხმობით რესპუბლიკის თავმჯდომარეთ ამოირჩია. მის მოპირდაპირეს მისი მეოთხედი ხმაც არ რგებია, რაც ნაპოლეონს იმ კენჭის ყრის დროს ერგო.

რაკი ნაპოლეონი რესპუბლიკის თავმჯდომარეთ დაინიშნა, მისი სურვილი სანახევროთ აღსრულებული იქნა, ისე რომ მის ამაღლებაში არც იმას, არც იმის მეგობრებს თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. მაგრამ ამორჩევის შემდეგ მის მომხრეებს იმედი მოემატათ და უფრო მეტი გაბედულება მიეცათ. ამ მომხრეების რიცხვში პირველი ადგილი ეკავათ სამ კაცს: მორნი, პერსინი და ფლერი ისეთ დამხმარეთ ამოუჩდენ ნაპოლეონს, რომ დანარჩენ მის სიცოცხლეში ყველაფერს ისინი აწყობდენ და არიგებდენ და ნაპოლეონი მორჩილათ და უწინააღმდეგოთ მათ რჩევას

და ბრძანებას ასრულებდა. მ ო რ ნ ი მისი უკანონო ძმა იყო. ეს მზაკვარი და უსინიდისო კაცი არც ერთი ავაზაკობის და ბოროტების წინ არ შეჩერდებოდა, ოღონდ კი შიგ საკუთარი სარგებლობა დაენახა, და გაუზომელ გამბედაობასთან იმას დიდი ოსტატობა და ფარისევლობა ჰქონდა ხასიათათ. იმასავით ინტრიგებს, ოინებს და თაღლითობას ვერავინ მოახერხებდა. ის იყო ნაპოლეონის პარტიის თავი და თავი. მეოინე და შეთქმულების სული და გული. პერსონი უფრო გულმტკიცე კაცი იყო, და იქნება კიდეც დასაჯერებელი იყოს, რომ იმას მართლა სჯეროდა ნაპოლეონის გამეფების სიკეთე საფრანგეთისთვის. იმას გამოჩარხული და გამომწვარი ხასიათი ჰქონდა, გამბედავი დაუზოგველობა და მიზნის მიღწევის ფანატიზმი. ფ ლ ე რ ი კიდევ უფრო დარდიმანდი და სრულიად უსინიდისო ამხანაგი იყო, რომელიც ცოლსა და შვილს გაყიდდა და თავის სულს ეშმაკს დაუგირავებდა, ოღონდ კი გამარჯვება — ესე იგი დიდება — ღირსებოდა. სამივე შეთქმულებს არც სახლი, არც კარი ჰქონდათ; ყველას მოვალეები არჩობდენ და საშველი არსაით ჰქონდათ: მათთვის ცხადი იყო, რომ რამდენიმე თვის ან წლის შემდეგ მოვალეები იმათ სატუსაღოში დაალპობდენ, თუ კი მათი გამბედაობა და სიმარდე მათ ხელში საფრანგეთის ხაზინას და ტახტს არ ჩააგდებდა. ამ განზრახვით ეს სამი გმირი ნაპოლეონს შემოესია და რადგანც თვითონ ნაპოლეონსაც ერთის მხრით ტახტის სურვილი და მეორეთი მოვალეების შიში არც დღე აძინებდა, არც ღამე, მათი აზრი და გრძნობა შეერთდა და ამ შეერთებისაგან გამოვიდა ჯერ ნაციონალურ კრებასთან ბრძოლის პლანი, მერმე ნაციონალური კრების გარეკვა და დატუსაღება, და ბოლოს საფრანგეთში იმპერიის დაარსება.

ნაციონალური კრება საფრანგეთში, ზემოაღწერილი მიზეზების გამო, მეტის მეტათ შეძულებელი იყო ხალხისაგან. ნაპოლეონმა, ესე იგი მისმა მომხრეებმა, ყოველნაირი საშუალება იხმარა, რომ ამ კრების სახელი კიდევ უფრო შეეძულებინა ხალხისა და საზოგადოებისთვის. ამ განზრახვით იმან „შეატოპვინა“ კრებას რომში ჯარის გაგზავნაში რომის რესპუბლიკის დასამხობლათ და პაპის ხელმეორეთ დასაყენებლათ. და როცა კრებას ამ განკარგულების ლაფი დაესხა, ბრმა ხალხის წინ თვითონ გამოიყვანა თავისი თავი რომის პაპის და სარწმუნოების დამცველათ. იმან ურჩია ნაციონალურ კრებას იმ კანონის შევიწროება, რომელიც ხალხს კენჭის ყრის ნებას აძლევდა, და როცა კრებამ ეს კანონი შეამცირა და ორ-სამ მილიონ კაცს კენჭის უფლება წაართვა, ნაპოლეონმა კრებას პირდა-

პირი წინადადება მისცა — ახალი კანონი მოშალეთ და ისევ ძველი შემოიღეთო, — რომ ამით ხალხის თვალში ხალხის მომხრეთ გამოსულიყო. კრება იმოდენათ ბრმა იყო, რომ ამ წინადადებაზე უარი თქვა, და მით უფრო მეტათ მოინდურა კენჭმოკლებული ხალხი და თვით მეკენჭეებიც. ამისთანა ოინებში გაატარა ნაპოლეონის პარტიამ მთელი სამი წელიწადი, და რაები მოიგონა და მოახერხა, ვინ იცის: მათი აწერა ჩვენ შორს წაგვიყვანდა, და მათ საზოგადო ხასიათს ხომ ეს ორი ოინიც ააშკარებს. ამ მოქმედებას შედეგათ თუ ნაპოლეონის ხალხისგან შეყვარება არ მოსდევდა, ნაციონალური კრების შეძულება ხომ ბეჯითათ მოჰყვა. ნაპოლეონის პარტიას ამის მეტი არც კი არაფერი უნდოდა.

VIII

როცა ეს პარტია დარწმუნდა, რომ ნაციონალური კრება არავის არაფრათ მიაჩნიაო და მისთვის თავს ბევრი არავინ მოიკლავსო, ის იმ პლანის შედგენას შეუდგა, თუ რა გზით და როგორ დაეფანტა დეპუტატების კრება ისე, რომ ხალხს მისთვის თავი არ გამოედო. ნაპოლეონის კამათმა ამ განზრახვით მოისყიდა თითქმის მთელი ჯარის მოთავეები, ზოგი ფულით, ზოგი ჯილდოთი და ხარისხებით და უმეტესი ნაწილი დაპირებებით. და ვინც მოუყიდველათ ან პირდაპირ მოწინააღმდეგეთ მიაჩნდათ, ისინი ზოგი ალჟირში დანიშნეს, ზოგი რომში გაგზავნეს, ზოგი მოშორებულ პროვინციებში, და ზოგი კი სამსახურიდამ გამორიცხეს. ჯარს ნიადაგ ნაპოლეონის სახელით ფულსა და ღვინოს ურიგებდენ და ჩინებულ მომავალს პირდებოდენ. „ნაპოლეონი გაგაკეთებს თქვენ, სხვა არავინ!“ ამას უქადაგებდენ ჯარს მოყიდული აფიცრები. ჯარის შემდეგ ყურადღება მიაქციეს პოლიციას, რომელშიაც დანიშნეს საგანგებოთ ამორჩეული მოყიდული პირები და კამათის მომხრენი. პოლიციას, კამათას პლანისამებრ, ერთ დანიშნულ ღამეს ყველა გავლენიანი რესპუბლიკები დეპუტატები და მწერლები უნდა დაეჭირა და ციხეში ჩაესვა და ხალხისთვისაც თვალი უნდა ედევნებია. ჯარს კრების სასახლე უნდა დაეკავა, და ხალხის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო, ვინიცობაა ხალხს „უწესოება მოეხდინა“. პროვინციებში ამ ცვლილებების ამბავი ახლათ დანიშნულ შინაგანი საქმეების მინისტრს, მორნის, უნდა მიეწერა, და საგანგებოთ ამ განზრახვით დანიშნულ ღუბერნატორებს ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარათ, რომ რესპუბლიკელ პარტიას და ხალხს ხმა არ ამოეღო და წინააღმდეგობა არ დაეწყო. დახვრეტის, თოფის სროლის, ხალხის ამოლეწვის —

ყველა ამაების ნება მისცა ნაპოლეონმა ღუბერნატორებს და ჯარის უფროსებს, როგორც პარიეში, ისე ყველა პროვინციებში.

რაკი ეს საიდუმლო პლანი მიიღეს, ნაპოლეონმა გამოცხადება შეადგინა, რომელშიაც საფრანგეთის ხალხს არწმუნებდა, რომ ნაციონალური კრება ავაზაკებისგან იყო შემდგარი, საზარელ განზრახვებს მალავდაო, და ამისგამო მე ის დავფანტე და მისი უფლება მე თვითონ მივითვისეო. ამასთანავე ის აცხადებდა, რომ ვისაც კრებამ კენჭის უფლება წაართვა, იმისთვის მე დამიბრუნებია კენჭიო, და ბოლოს ამბობდა, რომ მიყარეთ კენჭი და ათი წლით მომანდეთ რესპუბლიკის თავმჯდომარეობაო.

ამ გამოცხადების კედლებზე აკვრა და ერთ და იმავე წამს უმთავრესი დეპუტატების, მწერლების და მოთავეების ღამით დატუსაღება ერთი იყო. ყველანი ჩუმათ ციხეში ჩასვეს, ყველა ქუჩებზე საკმაო ჯარი დააყენეს, თოფზარბაზნები დატენეს, საბრძოლველათ დამარაგდენ, და გათენებისას პარიეის ხალხმა დაინახა, რომ იმას აღარც საყვარელი და სანდო მოთავეები შერჩენია, არც ნაციონალური კრება, არც განძრეევის საღავათი.

დილას, როცა ამ ცვლილების ხმა ქალაქში გავარდა, დეპუტატები მოვიდენ კრების ჩვეულებრივ სადგომზე, უკანა კარით შევიდენ სხდომის ოთახში და იქ გადაწყვეტილების მიღება მოინდომეს ნაპოლეონის პასუხისგებაში მიცემაზე. მაგრამ ჯარმა სხდომის ოთახი აიკლო და დეპუტატები ძალდაძალ გარეკა — იქედან. დეპუტატები მახლობელ სამოქალაქო მმართველობის (მერის) სახლში წავიდნენ, სადაც კიდეც მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ნაპოლეონს კონსტიტუციის ძალით არაკაცმა მისცეს შემწეობა და მისი დამხმარეები და თვითონ ის პასუხისგებაში მიეცეს. ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ეს სახლიც ჯარმა აიკლო, და ყველა დეპუტატები იქიდან პირდაპირ საპყრობილეში წაიყვანეს. გზაზე დეპუტატები შეკრებილ ხალხს ეუბნებოდენ, აი როგორ დაარღვია ნაპოლეონმა თავისი ფიცი, როგორ უღალატა კონსტიტუციას და რა მომავალს უმზადებს საფრანგეთსაო, აღსდექით, ძალით დაიცავით წესიერება და რესპუბლიკაო. მაგრამ ხალხი თითქმის ყოველთვის პასუხათ იმას ამბობდა, — თუ ჩვენი გაჭირვების დროს თქვენ (ესე იგი ნაციონალურ კრებას) ჩვენ არ გებრალებოდითო, თუ თქვენ ჩვენთვის შემწეობა არ მოგიციათო, ჩვენ რათ უნდა დაგეხმაროთ და თანაგიგრძნოთო? თუ თქვენ ჩვენთვის ყური არ გიგდიათ და არ დაგიზოგივართ, ჩვენ სისხლს რათ დავღვრით თქვენ საშველათო! ეს გრძნობა თითქმის ყოველგან ერთნაირათ გამოითქვა იმ დღეს პარიეელი ხალხის პირისაგან.

მეორეს მხრით რაკი თვითონ ნაპოლეონმა დაინახა, რომ ბრძოლა არ სტყდება და ხალხი მწარე გულით ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებსო, იმას სურვილი მიეცა დამორჩილებული პარიჟის დავლა და დაბინავებული ჯარის გამხნევება. იმან გენერლის ტანისამოსი ჩაიცვა, შემოიხვია გენერლები და აფიცრები, შეკრიბა თავისი მხლებლები და დიდი ამბით გამოისეირნა უმთავრესს ქალაქის ქუჩებისკენ. მაგრამ იმდენი თავმოკავება და სიფრთხილე კი მოიხმარა, რომ მარტო ჯარით გაკავებულ და ხალხისგან მიტოვებულ ქუჩებს დაუყვა. პოლიციის დაქრთამული მსახურები ხალხს ერევოდენ, იყვირეთ „ღმერთმა ნაპოლეონი ადღეგრძელოსო, ნაპოლეონს გაუმარჯოსო!“ ნაპოლეონი თავის მხრით ხალხს თავს უკრავდა, მაგრამ არცერთ ყრილობიდან არც ერთი სიტყვა არ მოუსმენია ისეთი, რომელსაც თანაგრძნობის ხასიათი ჰქონოდეს. პარიჟის ხალხმა ნაპოლეონი დაცინვით, შეურაცხყოფით მიიღო. საზოგადო შთაბეჭდილება ამ მიღებისა ის იყო, რომ ხალხი თუმც კრებისთვის თავდადებას და გამოსარჩლებას არ აპირებდა, არც ნაპოლეონის მოქმედებას ამართლებდა, და თანხმობის გამოცხადებით მისი დამნაშაობის მიტოვებას არ ფიქრობდა. მისი შეურაცხყოფა ხალხის მხრით იმოდენათ დიდი იყო, რომ იმას კიჟინა და დაფსტვენაც არ აკადრეს და გულმოსული გრძნობაც არ დაანახეს.

ამასობაში ზოგიერთმა რესპუბლიკის პარტიის წინამძღოლებმა ხალხი შეკრიბეს და ძალით წინააღმდეგობა მოინდომეს. მათი ცდით ზოგიერთ ქუჩებში მუშებმა ბარიკადები გააშენეს და ჯარს წინააღმდეგობა დაუწყეს. მაგრამ ჯარმა ამ ბარიკადების წინააღმდეგ ზარბაზნები იხმარა, გამვლელ-გამომვლელები ამოქლიტა, ზოგიერთი დეპუტატები და წინამძღოლები მოჰკლა და მუშა ხალხი დახვრიტა, და ორიოდე დღის შემდეგ გამარჯვება ნაპოლეონის მომხრეებს დარჩა, უფრო იმიტომ, რომ ხალხის უმეტეს ნაწილს ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ სანამ ეს ბრძოლა არ გათავებულა ნაპოლეონი მის მომხრეებს სასახლეში დამწყვდეული ყავდათ, იმ აზრით, რომ ბრძოლის სიმწარემ არ შეგვიშინოს და გაქცევას არ დააყენოსო. და როცა ერთ დროს ნაპოლეონი გაქცევას დაადგა, მისმა მომხრე ფრერიმ გულზე დამბაჩა მიადგა და დაუყვირა: თუ განძრევა გაბედე აქვე სულს გაგაცხებინებო. ეს გარემოება საკმაოთ ამტკიცებს, რომ ამ საქმეში ნაპოლეონზე უფრო მეტი ამაგი და გამბედაობა მისმა მომხრეებმა გამოიჩინეს, მაგალითად მორნიმ, პერსინიმ, ფრერიმ და სანტ-არნომ, რომელთაც იმპერიის დაარსებაში თავიანთი ინტერესი დაინახეს და ნაპოლეონის სახელით და მდგო-

მარეობით სარგებლობა მოინდომეს. იმპერია მათი მოაზრებული და მათგან დაარსებულია, და არა თვითონ ნაპოლეონისაგან.

საფრანგეთმა ეს ამბავი თითქმის იმავე თვალით მიიღო, როგორც პარიეის ხალხმა. საზოგადოთ კრებას თანაგრძნობა არსად ჰქონია და ნაპოლეონის წინააღმდეგობა ყოველგან სუსტი და უნებური იყო, მით უფრო, რომ არსად თაოსნობა და წინამძღოლობა არ ჩანდა. ჯარმა ყოველგან ადვილათ დაამშვიდა ის შეუნიშვნელი მოძრაობა, რომელიც აქა-იქ ატყდა კონსტიტუციის დასაცველათ, და რამოდენიმე ათასი კაცის მოკვლის და ასიოდეს დახვრეტის შემდეგ „მშვიდობიანობა“ დაცულ შეიქნა და ნაპოლეონის მთავრობა ყველასგან მიღებული გახდა.

რაკი ნაპოლეონი ხელმწიფეთ შეიქნა, იმას ისეთი პირებისთვის უნდა მიეცა პირველი ადგილები და ისეთი კაცები უნდა აემაღლებინა, რომელნიც სასტიკათ არ უყურებდენ ფიცის დარღვევას, ან რომელნიც მისი შემწე და დამხმარე იყვნენ ამ ცვლილების მოხდენაში. ამ მიზეზით იმას უნდა აემაღლებია უღირსი კაცები, როგორც სანტ-არნო, მანიანი, კანრობერი, მორნი და სხვ., რომელთაც ხალხის ღალატის და დაუზოგველობის მეტი ღირსება არა ჰქონდათ რა. ამ კაცებს დიდძალი საჭიროებები ჰქონდათ, რომლის დასაკმაყოფილებლათ ხალხის შემოსავალს სულ სხვა მიმართულება და ხარჯის ადგილი უნდა ჩვენებოდა. თვითონ ჯარის დასაკმაყოფილებლათ და ხალხის წინააღმდეგობის მოსასპობლათ საჭირო შეიქნა სხვა ქვეყნებთან ომები, და ეს მიზეზები, რომელნიც ნაპოლეონის ამაღლების წყაროთი იყვნენ დასაწყისში, ბოლოს მისივე სამარეთ და დამხობელ ძალათ გადაიქცენ.

მთელი ოცი წლის განმაელობაში საფრანგეთის შინაგან მდგომარეობას არც ერთი ისეთი ცვლილება არ მიცემია ნაპოლეონის მხრით, რომ ცხოვრების გაუმჯობესება და წარმატება შესძლებოდეს. ყოველგან საქმე უწინდელ წესზე დამყარებული დარჩა, და ნაპოლეონის „სიღარიბის მოსასპობი“ პროექტები სამუდამოთ პროექტებათ დარჩენ. არც ხალხის განწყობილების კანონებში, არც სწავლისა და ადმინისტრაციის ჩვეულებებში იმას არც ერთი ისეთი ცვლილება არ შეუტანია, რომელიც აჩვენებდა კაცს, რომ ნაპოლეონს უფლების მიღება თავისი საყვარელი აზრების ასასრულებლათ და გასახორციელებლათ სურდა, და არა საკუთარი სარგებლობის საძიებლათ. ყოველი დღე მისი მეფობისა უფრო და უფრო აშკარათ აჩვენებდა და ამტკიცებდა, რომ მისი მხრით უფროსობის დაჩემება და უფლების მოტაცება მარტო სიხარბის და ავკაცობის საქმე იყო, და არა იმ კეთილშობილური გრძნობის შედეგი, რომელიც

აყვარებს კაცს მისი აზრის გავრცელებას და ცხოვრებაში გამოცდას. ამის გამო, მისმა მმართველობამ ვერ მოიგო ხალხის და ნიჭიერი ახალგაზდობის გული: რაც კი რამ ცხოველი და პატიოსანი იყო საფრანგეთის ხალხში ნიადაგ მოშორებული დარჩა ნაპოლეონის მმართველობას. სამუდამოთ მისი მტერი შეიქნა და მასთან საბრძოლველათ ეამზადდა. მაშ თუ ნიჭი, პატიოსნება, სწავლა და გავლენა გარს გაუდგა ნაპოლეონის მმართველობას, რით ან როგორ უნდა მოეპოვა იმას ხალხის გული, თუ არა მოქრთამვით, მდაბალი გრძნობის აღძრით და დაკმაყოფილებით. გარეგანი ომების ბრახა-ბრუხით და გამარჯვების დიდებით. და სხვ. და სხვ. და ვინ არ იცის, რომ ყველა ეს საშუალებები უსათუოთ დააუძლურებენ და საბოლოოთ დასცემენ იმ ხალხს, რომელსაც იმათ ახმარებენ. აი ეს მოუვიდა თვითონ ნაპოლეონს და არ შეიძლებოდა კიდეც რომ არ მოსვლოდა. რადგანც მის მეფობას. როგორც ეხლა ვამბობდით, დაბადებიდანვე ისეთი ცოდვა დაჰყვა, რომელსაც მისი ძლიერება და დიდება უნდა მოეწამლა და მოეკლა.

IX

ვინც თანამედროვე ისტორიის საფუძვლიან გამოკვლევას შეჩვევია, ის დიდი ხანია ხედავდა, რომ ნაპოლეონის მოქმედებას ის ერთობა და შეურყეველი მიმართულება აკლდა. რომელიც უპირველესს ნიშანს შეადგენს კაცის ჭკუის და ხასიათის ძლიერებისას. დიდი ხანია ყველა საფუძვლიანი დამკვირვებლისთვის ცხადი იყო, რომ ნაპოლეონის მოქმედებებს საფუძვლათ უთავბოლო და ეშირათ უმიზნო თეატრალობა ჰქონდა. ნაპოლეონს ხშირათ მისი საკუთარი სარგებლობის გაგება აკლდა და საკმაო გამბედაობა კი არა, ხასიათიც არ ჰქონდა, რომელიმე მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო და სისრულეში მოეყვანა. ყირიმის ომმა აშკარათ დაამტკიცა, რომ ვერც იმან, ვერც იმის გენერლებმა ვერ მოახერხეს ამ ომის ხეირიანათ წაყვანა და მისგან იმ სარგებლობის გამოტანა, რომლის იმედი ჰქონდა ნაპოლეონს ომის დაწყების დროს. ჯარში ისეთი უწესობა და ნაკლულევანებები აღმოჩნდა და დიპლომატებმა ისე ცოტათი ისარგებლეს სალდათების დანთხეულ სისხლით, რომ ისტორიკოსს შეუძლია თქვას: — ეს ომი უსარგებლო ომი შეიქნა და თავის მიზანს ვერ დაუახლოვდაო. ამ ომზე უფრო უგლახესათ იტალიის ომი დაბოლოვდა (1859), როცა ნაპოლეონმა საქვეყნოთ გამოაცხადა. იტალია უნდა გავათავისუფლო ალპებიდამ ადრიატიკის ზღვამდეო, და — მაგიერათ — ადრიატიკის ზღვაც და ვენეციაც ისევ ავსტრიას დაუტოვა. იტალიის ომს მეორე ცუდი მხარეც მოსდევდა: ნაპოლე-

ონს იტალიის შინაგან საქმეების გაწყობაში გარევა უნდოდა. ის იმედოვნებდა, იტალიას რამდენიმე წვრილმანი მთავრების კრებათ გადავაქცევო, მაგრამ იტალიის ხალხი ამას არ დასჯერდა და შეუდგა ერთობის დაწესებას, რომელიც ნაპოლეონის სამწუხაროთ, მისდა წინააღმდეგ კიდეც დაარსდა. ამ სურვილმა ერთიანათ შეაძულა ნაპოლეონი იტალიის ხალხს. მით უფრო, რომ შემდეგ წელიწადში ნაპოლეონმა თავისი ჯარის დახმარებისთვის იტალიას ორი მაზრა მოსთხოვა და გამოართვა. ამ ნაირათ ხარჯი და ტანჯვა კი საფრანგეთს მოედვა თავზე, მაგრამ საფრანგეთის თანაგრძნობა და პატივისცემა თითქმის სამუდამოთ დაიკარგა იტალიის ხალხში.

მაგრამ სასარგებლო და კარგათ წაყვანილი იყო ეს ორი ომი თუ არა, გამარჯვება შიგ მაინც საფრანგეთს, ესე იგი ნაპოლეონს და მის მმართებლობას, დარჩა, — და როცა გამარჯვებამ რომელიმე საქმე დააგვირგვინა, როდილავინ კითხულობს რამოდენათ კარგათ და გონიერათ წაყვანილი იყო ეს საქმეო. გამარჯვებამ ხალხს თვალი აუხვია და მიზეზების, გარემოებების და მდგომარეობის განხილვის ნება არ მისცა. უფრო უბედური შეიქნა ნაპოლეონის ბედისათვის მექსიკის ომი, როცა ნაპოლეონმა მორნის ფულების ასაღებათ მექსიკას ომი გამოუცხადა და შემდეგში ამ რესპუბლიკის დამხობა და იმპერიათ გადაქცევა მოინდომა, რომ მექსიკის ძლიერებით საჭიროების დროს ამერიკის შტატების ალაგმა შესძლებოდეს. მექსიკიდამ მისი ჯარი დამარცხებული მობრუნდა, და იმას საფრანგეთში სულ სხვა ნაირი გატყავებული ჯარი დახვდა: იმ ფულის პატრონების გროვა, რომელთაც თავიანთი უკანასკნელი შეძლება მექსიკის იმპერიისთვის ესესხებინათ, საფრანგეთის მმართებლობის თანხმობით და თითქმის თავდებობითა. ახლათ გამომცხვარი იმპერატორი მაქსიმილიანი მექსიკაში დახვრიტეს, იმავე კანონის ძალით, რომელიც თვითონ იმან გამოსცა პატრიოტების და მამულის დამცველების წინააღმდეგ, და რომელიც ყოველ იმ პირის სიკვდილით დასჯას აწესებდა, რომელსაც ბრძოლაში დაიჭერდენ. ფულების დაღუპვამ, მაქსიმილიანის დახვრეტამ და საფრანგეთის ჯარის კუდ-ამოძუებულმა დაბრუნებამ ხალხზე მეტის მეტათ უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, და ყველას თავში საფუძვლიანი აზრი გაუჯდა: — ამოდენა ფული, ამდენი ხალხი და ღვაწლი ამაოდ დაიღუპა მმართებლობის ბრალით და წინდაუხედველობითაო.

მეორე გარემოება, რომელმაც აგრეთვე საფრანგეთის ხალხს ნაპოლეონზე გული ააყრევინა, — პრუსიის გამარჯვებაში მდგომარეობდა, როცა ამ სახელმწიფომ ავსტრია დაამარცხა, და გერმანიის ნახევარი ხელში იგდო. ხალხმა და უფრო საზოგადოებამ წარმოიდ-

გინა, რომ ბისმარკმა ნაპოლეონი დაატყუა მით, რომ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიაღებინა, დაპირდა უიმისოთაც რამდენიმე მაზრას გაშოვინებ და დაგითმობო, და საქმით კი, გამარჯვების შემდეგ, უარი ჰკრაო. საფუძვლიანი იყო ეს მიზეზი, მართლა დაატყუა ბისმარკმა ნაპოლეონი თუ არა, ამას ვინ იტყვის. მაგრამ უეჭველი კი — ის არის, რომ პრუსიის გაძლიერებამ საფრანგეთი დააფიქრა და ხალხის ტვინში ის აზრი ჩასთესა, — ასე თუ ვიარეთ საქმე ცუდათ წაგვივა და დღეს თუ ხვალ პრუსია ჩვენც იმ განსაცდელს მოგვაყენებს, რომლითაც ავსტრიის დიდება დიდხანობით დაიმხოო. მმართველობაზე უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო ძლიერდება, და საზოგადოებას და ხალხს ის აზრი დაებადა, რომ ჩვენი მმართველები უნიჭო და უგონებო ყოფილანო, და მათი დარჩენა საფრანგეთს დაღუპავსო.

X

რაკი საზოგადოების და ხალხის ტვინში ის გრძნობა გაჯდა, რომ საფრანგეთის საზოგადო საქმეები ცუდ გზას ადგიან და მოუხერხებელ ხელში არიანო, იმ მიმართულებას, რომელიც ნაპოლეონის მოწინააღმდეგე იყო, დიდი მნიშვნელობა და უწინდელზე მეტი გავლენა მიეცა. რესპუბლიკელების სიტყვას ეხლა მთელმა საფრანგეთმა ყური დაუგდო, თვალი ადევნა და თანაგრძნობა გამოუცხადა. ამ გარემოებამ ხმა აამაღლებინა რესპუბლიკელ მწერლობას და ნება მისცა ნაპოლეონის გავლენის ძირში მოკაფვისა. ამ მწერლობაში ყველაზე უფრო დიდი გავლენა ნაპოლეონის მეფობის დროს ჰქონდა ანრი როშფორს, რომელზედაც აქ რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ, იმ მხრით, რომლითაც მისი მწერლობა ნაპოლეონის ბედს და ცხოვრებას შეეხება.

როშფორი დიდი ნიჭის პატრონი მწერალი იყო, რომელსაც გრძნობა გულში უდუღდა და ხელი ნაპოლეონის საწინააღმდეგოთ ექავებოდა. იმას უხვათ ჰქონდა სასტიკი მკლავი, დაცინვის ჩვეულება და დაუდგომელი, შეუშინებელი გამბედაობა. ის თავიდანვე პირდაპირ და მარტოხელა იმპერიას შეეჭიდა, ისეთი სიფიცხით და იარაღით, რომ ყოველი მისი სიტყვა თითო წვეთ საწამლავათ გადიქცა, რომლითაც საფლავში ჩაიდვა განსვენებული იმპერიის ბედი. ის ისეთ ენას ხმარობდა, ისეთ კილოზე სწერდა, ისეთ საგნებს ეხებოდა, და საზოგადოთ ისეთი მწერლობის მანერას ხმარობდა, რომ იმას ყველა იგებდა და კითხულობდა, ყველა გრძნობით ივსებოდა, იმ პირებს გარდა, რომელზედაც დაწერილი იყო თხზულება და რომელთაც ცეცხლი ეკიდებოდათ გულში და ნაცრის ფერი ედებოდა

პირის სახეზე. ხალხი — განსაკუთრებით ქალაქების მუშები — ზეპირათ სწავლობდენ როშფორის დამცინავ სურათებს და ნაწერს, იმეორებდა მის გამოჩარხულ კიცხვას, და ამ კიცხვაში ნაპოლეონის სიძულვილს იხსენებდა და იძლიერებდა.

როშფორის აზრები და ნაწერი კი არა, თვითონ მისი ნაწერის კილოც ჰკლავდა ნაპოლეონის მმართებლობას და გავლენას: „რათ ღირს ეს სასტიკი ლანძღვაო, უწერდენ როშფორს მმართებლობის მომხრეები. საქმე საქმით უნდა გაისინჯოს, დამჯდარათ, საფუძვლიანათ, დამტკიცებებით, მოსვენებულათ, და არა მწარე, გესლიანი გრძნობით, მარტო სხვა და სხვა საგნების შეხებით, მარტო ცუდის გახსენებით და კარგის წაყრუებითო“. ამაზე როშფორი იმას ამბობდა, რომ დამჯდარათ, გულმოდგინეთ და საფუძვლიანათ მარტო დამჯდარი და საფუძვლიანი კაცის და მმართებლობის მოქმედება და მიმართულება გაისინჯებაო, და რაგინდ ბევრი იხტუნონ ჩვენმა მმართველებმა, რაგინდ ხოცონ და ხერიტონ ხალხი, რაგინდ სახელები დაირქვან და მუნდირები ჩაიცვან: — მე ჩვენს მმართებლებს მმართებლებათ ვერ ჩავთვლი, ისინი მე ნიადაგ მაწანწალებათ წარმომიდგებიან, უნიჭო და უმეცარ კაცებათო. იმათთან ლაპარაკი არ ღირს და იმათზე საქმის გაჭიანურება სირცხვილიაო. საქმისთვის საკმაოა, რომ ამისთანა პაწაწა კაცებზე მწერალმა გადაჭრით თქვას უნიჭო, უსინდისო და უხასიათო ქურდები არიანო.

ამ კილომ და ენამ იპოვა გზა მკითხველი ხალხის გულისკენ, და როშფორის გავლენა სწორეთ უსაზღვრო იყო, განსაკუთრებით პარიელ მუშა-ხალხზე და ახალგაზდობაზე. მისი „ფარანი“[41] სამასი ათასობით გადიოდა, იმის გამოსვლას ხალხი მთელ-მთელი ღამობით ქუჩაში უცდიდა, მისი სიტყვები ზეპირათ ერთი პირიდამ მეორეში გადადიოდა. ერთი სიტყვით გავლენა უშველებელი იყო. და ამ გავლენის ხასიათი თვითონ როშფორმა გამოსატა, როცა სთქვა, რომ მე მმართებლობაზე საფრანგეთი ვაცინეო, დავეჟვნეო. მასხარათ ავიგდეო და ვისზედ საფრანგეთში იცინან, ვინც სასაცილო კაცს ჩამოგავსო, იმისი საქმე გათავებული და დაღუპულიაო.

როშფორი მარტო ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო იმ მოძრაობისა, რომელიც საფრანგეთში მოხდა 1866 წლიდამ დაწყებული. რესპუბლიკურმა მწერლობამ, რომელსაც 1848 წლიდამ პირში ბურთი ჰქონდა ჩადებული, უეცრად ამოიღო ხმა, და ისეთი ხმა, რომელიც ძველი ანგარიშების გაწმენდას თხოულობდა, ძველი მოპარული სიმართლეების დაბრუნებას ითხოვდა. ზოგი დამჯდარი საბუთებით, ზოგი გრძნობის ანთებით, ზოგი დაცინვით, ზოგი რითა და ზოგი რით — ცდილობდენ რესპუბლიკელი მწერლები ხალხში

ნაპოლეონის სიძულვილი აეძრათ და მისი დამხობის გზა გაემზადებიათ. და ამ საქმეში ისინი ძლიერ წაწინაურებული იყვნენ, როცა ერთი ისეთი გარემოება მოხდა, რომელმაც საფრანგეთის ბედი კიდევ ერთხელ შესცვალა.

XI

1869 წლის საზოგადო ამორჩევების დროს „კანონმდებელ“ დეპუტატებზე კენჭის საყრელათ, აღმოჩნდა, რომ ნაპოლეონის მომხრეთ თითქმის ნახევარი მხარეც არ ყოფილა და თითქმის ნახევარი კი მის გარდაკიდებულ მტრებს ირჩევდა. ნაპოლეონი ამ გარემოებამ ძლიერ დააფიქრა, და ბევრი წოწიალის და რჩევის შემდეგ ის, აი, რა აზრსა და გზას დაადგა. საფრანგეთს სჭირია ან დიდება ან თავისუფლება: ორივეს იმას კაცი ერთათ ვერ მოაკლებს. დიდება მექსიკაში ჩაგვეფლო, თავისუფლება — მე წავარჩევ. მაშ დიდება უნდა მოვიბრუნო, მაგრამ ვინ დამაცლის მომზადებას? ხალხი მანამდი ათჯერ მაინც ამიტყდება. მოდი იმას ეხლა ვითომ თავისუფლება დავუბრუნო, რასაც ის თხოულობს ვითომ დავაკმაყოფილო, და ერთი-ორი წლის განმავლობაში გავიმართო ხელი, დავემზადო და დავეცე რომელიმე მტერს, სულ ერთია ვის, პრუსია იყოს, გინდ საბერძნეთი, დავამარცხო (ამას რა ეჭვი უნდა!) და გამარჯვების სხივით დავბრუნდე პარიჟში. ხალხი აღტაცებული იქნება, მე ხელახლა გავლენა და სახელი მომეცემა, და მაშინ, თუ დამჭირდა, ამ რესპუბლიკელების გაგზავნაც ადვილია კაიენაში ან ეშაფოტზე. მაქნამდი ხომ ისინი ყველანი თავს გამოიჩენენ და დაგვენახებიან.

როგორც ნაპოლეონის სასახლეში ნაპოვნ ქაღალდებიდან აღმოჩნდა, სწორეთ ეს ყოფილა იმის „ლიბერალური იმპერიის“ ნამდვილი მიზეზი და მიზანი. და ამ კაცის გულწრფელობა დაიჯერა არათუ თითქმის მთელმა საფრანგეთმა, არამედ ისეთმა გამოჩენილმა მწერლებმა. ორლეანების პარტიიდამ, როგორც მაგალითად ლაბულემ, პრევო-პარადოლმა და სხვ. იმ კაცის გასწორება დაიჯერეს, რომელმაც „ღვთისა და კაცების წინ“ მიცემული სიტყვა და ფიცი დაარღვია, და მთელი ოცი წლის განმავლობაში მარტო თვალთმაქცობით, მოტყუებით, ძალადობით და ხალხის დაბრმავებით სცხოვრობდა! ეს წარმოუდგენელი და დაუჯერებელი საქმეა. გუშინწინ ჩვენ თვალს წინ რომ არ მომხდარიყოს. და როცა ამ კაცმა საფრანგეთს ჰკითხა, მენდობით მე თუ არა „თავისუფალი იმპერიის“ დასაარსებლათაო, შვიდ მილიონ ნახევარმა ფრანცუზმა პასუხათ თანხმობა გამოუცხადა და ამ რიცხვში, როგორც წინეთ ვთქვით, ძლიერ გამოჩენილი მწერლები ერიენ...

რესპუბლიკელები უწინაც და მერმეც ხალხს აფრთხილებდენ და ახსენებდენ ნაპოლეონის წარსულ მოქმედებებს, ამტკიცებდენ მისი ანგარიშის ვნებას საფრანგეთისთვის, ამბობდენ ხალხის უკითხავათ ომს ასტეხს და დაგვღუპავსო. იმიტომაც პასუხათ მარტო იმას იღებდენ: რა მოუსვენარი და შფოთის მოყვარეები არიან ეს რესპუბლიკელებიო. მათი რჩევა არ მიიღეს და ლიბერალური იმპერია დაარსდა ემილ ოლივიეს შემწეობით. ეს ლიბერალური იმპერია დაარსდა თუ არა, მაშინვე სხვა და სხვა ხათაბალებს გადაეკიდა. მაგრამ თავდაპირველათ კი გვარიანათ გაუძლო. მის დროს უნდა დამტკიცებულიყო სხვა და სხვა ცვლილებები სახელმწიფო წესში, მაგრამ ზოგს ამ ცვლილებებთაგანს დამტკიცება არ ეღირსა, ზოგი კი ისეთ ნაირათ იყო შეკრილ-შეკუწული, რომ მის მიღებას სულ მიუღებლობა სჯობდა. უმეტეს ნაწილში ეს ცვლილება უწინდელზე უფრო ამცირებდა ხალხის თავისუფლებას და მისი ამორჩეულების უფლებას. ეს კიდევ არაფერი, ამას როგორც იქნებოდა საფრანგეთი კი აიტანდა, მაგრამ 1870 წლის ივლისში, სწორეთ ექვსი თვის შემდეგ ლიბერალური იმპერიის დაბადებისა, ნაპოლეონი დარწმუნდა საომრათ მზათა ვართო და თავიდამ ვერ აიცილა ის დაფარული ეკალი, რომელიც პრუსიამ გზაზე დაუგდო.

1870 წლის ომის ამბავი, ნაპოლეონის პირადი მონაწილეობა, მისი ინტრიგები და მოქმედება ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ხომ ყველას ახსოვს, და ამის გამო აქ ბევრის თქმა ამ საგანზე საჭირო არ არის, იმის მეტი, რომ მისმა მოქმედებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ის ჭეშმარიტება, რომ დიდათ სამწუხარო და საშიში საქმეა საზოგადო ბედისა და მომავლის ერთი კაცისთვის მინდობა, მისი ტვინით ცხოვრება, მის უკან ზდევა, მისგან იმედის და უიმედობის ლოდინი, ისე რომ უიმისოთ ხელის განძრევა და სულის მოთქმა არ შეეძლოს მთელ მხარეს და თაობას. ათიათასჯერ უფრო ძნელია ეს, როცა ამნაირი კაცის ამაღლების მხოლოდ მიზეზი ნათესაობა ან შთამომავლობაა — როგორც, მაგალითად, ნაპოლეონ მესამის ამაღლება მისი ბიძის სახელის საქმე იყო. ამ ნაირ საქმის მიგდებას ხეირი არავისთვის არ მიუცია და არც შემდეგში მისცემს ვისმე.

ეხლა საჭიროა ორიოდე სიტყვა ვთქვათ თვითონ ნაპოლეონის ხასიათზე და გონებაზე. როგორც კერძო კაცი, ის მეტის მეტათ გადუწყვეტელი კაცი იყო, ნიადაგ მცველი თავის აზრისა, სანამ ერთს გადაწყვეტილებას დაადგებოდა. იმას არც გენიოსის მიმხვდრობა ჰქონდა, არც გამბედავი ხასიათის გადაწყვეტილება, არც გონიერი განხილვის, დაკვირვების, ანალიზის ნიჭი. იმას უყვარდა ოცნება,

სხვა და სხვა პროექტების შინჯვა და მათი ასრულების წარმოდგენა, უყვარდა ხალხისა და ნაცნობების მოტყუება. იმას ეგონა, რომ მოტყუება, საქმისა და უსაქმობის დამალვა, საიდუმლოება, გაბღვერა და სხვ., — ჭკუაა. ხასიათით ის მეტის მეტათ პაწაწა იყო, იმას რაღაც ქალური კეკლუცობა აჩნდა მოქმედებაში, თითქო არათუ მარტო იმაზე ნდომებოდეს სხვების ყურადღების მიქცევა, რაც საათქმელი ან საქნარი ჰქონდა, მაგრამ უფრო თავის საკუთარ თავზე, პირისსახეზე, ასე გასინჯეთ — ტანისამოსზედაც. იმას ეგონა, რომ ყველას ის დედამიწის საძირკვლათ მიაჩნდა, რომ მთელი ქვეყანა მის წარბის ჭმუხვას მისჩერებოდა და მის ტუჩის განძრევას შიშით ელოდა, არათუ მარტო იმიტომ, რომ ის საფრანგეთისთანა ძლიერი ქვეყნის წინმძღოლელი იყო, არამედ და უფრო ვითომ იმიტომ, რომ ჭკვიანი და ოსტატი კაციაო. საზოგადო და კერძო საქმეებში იმას ნიადაგ პირველ პლანზე თავის საკუთარი თავი ჰქონდა. ის ყოველთვის იმ აზრს ეტრფოდა — რას იტყვიან ეხლა ჩემზეო, როგორ მოვეწონებით, როგორ მომიხდება ამ საქმეში ჩემი როლიო. ერთი სიტყვით, ეს პაწია კაცი იყო, რომელიც სხვებმა და გარემოებამ ძლიერი ხალხის ტახტზე შეაკუნცხეს, და რომელმაც იმდენი ეცადა და იფორთხა, რომ გადმოკოტრიალდა ზეიდამ კისრის ტეხით და ვაივაგლახით და ეხლა ორმოში ჩაიმარხა.

* *

საზოგადოთ უნდა თქვას კაცმა, რომ ნაპოლეონ მესამის მეფობაში საფრანგეთის მდგომარეობა თუ შეიცვალა, შეიცვალა მარტო საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებით. ამ გაუმჯობესების მიზეზი ვაჭრობის, გზებისა და კრედიტის გავრცელება იყო და არა მმართველობის მხრით ცვლილებების შემოღება. ამ მხრით თუ რამ შესანიშნავია — მოხსენებათ ღირს მხოლოდ სავაჭრო ტრაქტატი ინგლისთან და კანონი მუშების ყრილობებზე. მაგრამ დიდი ღირსება არც ამ ორ ნაწარმოებს აქვთ, განსაკუთრებით მეორეს. და რაც კი შეეხება ისეთ რომელიმე გაუმჯობესებას, რომელსაც მადლობით მოიხსენიებს შემდეგი თაობა და შთამომავლობა, — ნაპოლეონს ამისთანა არა უქნია რა. ანგარიში მას და ისტორიას შუა ადვილი მოსათავებელი იქნება, ამიტომ რომ მაშინ ხმის

ამოღების ნება და სინდისი მარტო ისტორიას ექნება, და ის გარდაწყვეტით იტყვის, რომ ამ კაცს, რომელსაც, რომ მოენდომებია, ბევრი სასარგებლო და დაუვიწყარი სიკეთის მოტანა შეეძლო თავის მამულისა და მთელი კაცობრიობისთვის, იმისთანა უჯიშო ბუნება ჰქონდა, რომ საფრანგეთის თავში დგომის დროს, როცა იმას ორმოცი მილიონი ხალხის ბედი ეგარა, როცა თქმის მეტი არა სჭიროდა რა ნატვრის ასასრულებლათ, — ის იმაზე ჰფიქრობდა, — „ინგლისის ბანკში შესანახავი ფული ვის ვანდო და ვის გავატანოო“.

---

20. ქუთაისის ბანკი

ამ დღეებში გადაწყდება ქუთაისში ექვსი წლის გაჭიანურებული, დაუბოლოებელი და თავმოუბმელი „ბანკის საქმე“. ამ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია, ჩვენი საზოგადოების აზრით, ჩვენი ქვეყნის მომავალი თუ არა, ჩვენი აზნაურობის ბედი ხომ მაინც. მომავალი ბანკიდამ გაკეთებას და სულის ჩადგმას ელის ჩვენი გაღატაკებული... საზოგადოება. იმან წელი უნდა გაუმაგროს ჩვენ ეხლანდელ აზნაურობას, და მომავალი დაუმზადოს შემდეგ თაობას. იმაზე ბრუნავს მთელი მხარეს იმედი და იმასვე შეჩერებია, მისგან დახსნას მოელის მთელი ჩვენი ქვეყანა.

ჩვენ მწერლობაში ამ საქმეზე რაც სათქმელი იყო, ერთხელ კი არა, ათასჯერაა გამოთქმული. ახალს ამაზე ჩვენ დღეს ვერას ვიტყვით, ვისაც ამ საქმისათვის ყური უთხოვებია და ვისაც ცოტაოდნათ მაინც საქმის გაგება აქვს, იმას კარგათ ესმის, რომ ბანკს ქუთაისში მარტო მაშინ ექნება მნიშვნელობა და მარტო იმ შემთხვევაში შეძლება ექნება ლოდინისა და იმედის შესრულებისა, როცა ის ხეირიან საფუძვლებზე გაიმართება. ყველასათვის ცხადია, რომ იმ საზოგადოებას, რომელმაც ორი-სამი წლის განმავლობაში სრულიად უნაყოფოდ და გაუგებრათ ხუთი მილიონი დაჰფანტა და „დათესა“, ვერაფრათ გამოადგება ოთხასი და თუნდ ხუთასი ათასი მანეთი. ყველა მიმსვდარია, რომ თითქმის მთელი ჩვენი აზნაურობა ბანკის გახსნას იმიტომ ნატრულობს, რომ მისგან სესხის აღება შეეძლოს, და ვისაც შიგ ორი-სამი თუმანი აქვს დატოვებული, ის ორას და სამასი თუმნის გირაოს ამზადებს, ფულის სასესხებლად. ბანკის სერმია ცხადია ამდენ მსესხებლებს ვერ აუვა. მაშასადამე, აუცილებლათ საჭიროა, თუ კი საზოგადოებას თავისი ბანკის დაცალიერება და გაკოტრება არ სურს, რომ სერმიას გარდა იმას სხვა ფულების შოვნაც შეეძლოს, იაფათ და ბლომათ. ამისთვის ხომ საჭიროა ნდობის შოვნა იმ კაცებთან, რომელთაც ფული ხელში აქვთ, და ეს კაცები ფულს ჩვენ ბანკს მარტო მაშინ მიცემენ, როცა სერმიას გარდა იმას ჩვენი საზოგადოების გარანტია, ან დაწინდებული მამულების ურთიერთი პასუხისგება დაეხმარება. ეს ისეთი უეკვო

და მტკიცე ჭეშმარიტებაა, რომ ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. ვისაც ეს დღეს ჩვენში არ ესმის, იმას ალბათ არაფრის გაგება და გამოკვლევა არ შესძლებია და მათი დარწმუნების ცდა ეხლაც ისე ფუჭათ ჩაივლის, როგორც ამდენხანს ჩაუვლია. დანარჩენებისათვის კი ათასჯერ გამოთქმული დამტკიცებები და საფუძვლები იმოდენათ ცხადათ და ნათლად ხატავენ საქმეს, რომ ბაასის გაგრძელება მათგან თავის მობეზრებათ ჩაითვლება.

მაშასადამე ჩვენი ბანკი, როგორც ათასჯერ დამტკიცებული იყო, უნდა იქნეს საადგილმამულო, დიდ-ვადიანი და ურთიერთი გარანტიის მქონე. უამისოთ ის ვერ გაძლებს, ხუთასი ათასი კი არა, მილიონიც რომ ჰქონდეს სერმიათ, ეს, როგორც ვთქვით და როგორც ყველამ იცის, მტკიცე და უეჭვო ჭეშმარიტებაა.

მაგრამ ჩვენი საზოგადოების უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნაირათ ცხადი და ნათელი საქმე ხელახლავ დაიბურდება, დაიშლება იმ უხეირო თავმოყვარეობის და განხეთქილების გამო, რომელიც ჩვენში სუფევს და რომელმაც ჩვენ დაგვღუპა და სული ამოგვართვა. ის ვერ მიხვდება, რომ სასირცხო არაა, ხეირიანი კაცის და საზოგადოებისთვის, თქმა — ესა და ეს საქმე, ესა და ეს საგანი გაცნობილი არა მაქვსო, არა მესმისო, და მცოდნე კაცთან მიმართვა უცნობი საქმის ან შრომის გასაკეთებლათ. ის ვერ გაატანს ბოლოს ამ მომავლიან საქმეს, რომელზედაც მისი შვილების ბედია დამოკიდებული, და რამე უხეირო ბაასით ან წვრილმანი „კუდში გამოკიდებით“ შეშლის ზოგიერთ იმ უმთავრეს საფუძვლებთაგანს, რომელზედაც ბრუნავს ბანკის მომავალი. ის რამე ისეთ დახლართულ, ნაკუწ-ნაკუწათ დაკერებულ პროექტს მიიღებს, რომ ბანკის საქმე სანიადაგოთ დაღუპული იქნება, და იმასაც კი ვერ გაიგებს, რომ თუ ჩვენში ბანკი ერთხელვე დასაწყისში ცუდათ წავიდა, ხარკამეჩითაც ვეღარ აყენებს კაცი ჩვენი ქვეყნის დაცემულ კრედიტს და დაფუშულ ბანკს.

ამაში ჩვენ თითქმის დარწმუნებული ვართ. ჩვენ ვიცით, ამას გარდა, რომ ქუთაისში ეხლა საქმე განსაკუთრებით მძიმე და დახლართულია სულ სხვა მხრითაც. ბანკს ჩვენში ბევრი ძლიერ შემძლე მოწინააღმდეგე ჰყავს, რომელნიც მომავალ პროექტს თვალგამოჭყეტით შეჩერებიან, რომ რამე კვანტი გამოდონ და საქმე ორი-სამი წლით კიდევ დააბრკოლონ. იმათთან საზოგადოებას და მის წარმომადგენლებს ბევრი ხერხი, ცოდნა და ოინი დასჭირდებათ. არის კიდევ გასაჭირიც. ჩვენი დამშეული დიდკაცობა დღეს ბანკს სხვათა შორის იმისთვისაც შეჩერებია, რომ იქნება დირექტორობა, მართველობა, ან თანამდებობა რამე მერგოსო და ჯამაგირი დამე-

ნიშნოსო. აზნაურობა ამ ორ მხარეში ჩავარდნას უნდა ერიდოს, თორემ საქმე უარესათ დაებურდება. აჩქარებით ორ-სამ დღეში, ამისთანა ძნელი საქმე ვერ გარიგდება. ამ ძნელ და საშინელ გაჭირვებაში ჩვენ საზოგადოებას ხეირიანი, გონიერი საქციელი სჭირია, ისეთი, რომ მომავალ თაობას ჩვენი ლანძღვით ხსენება და გინება არ შეეძლოს, რომ ჩვენ, შემდეგში, ჩვენი შვილების წინ თავის დაღუნვა და გაწითლება არ დაგვჭირდეს. აი, ამ მძიმე მდგომარეობის და საშინელი პასუხისგების მიხედვით, ჩვენ მოვალეობათ ვრაცხთ სინდისის წინ, ორიოდე გულწრფელი რჩევა მივცეთ როგორც ჩვენ საზოგადოებას, ისე ჩვენ ახალგაზრდა მოთავეებს. გამოდგება თუ არა ჩვენი რჩევა, მიიღებენ იმას თუ არა, ეს სხვა საქმეა. ჩვენ ჩვენსას კი ვიტყვით და მერმე ღმერთმა ყველას გზა დაულოცოს.

აი ეს ჩვენი რჩევა:

I. ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს: ძველ მოთავეებს ბანკის საქმე და ქვეყნის საჭიროება და მომავალი სწორეთ იმოდენათ ესმით, როგორც ჩვენ — ჩინური ენა. იმათგან ამ საქმეში ვნების მეტი არა გამოვა რა, და ისინი საზოგადოებამ დღეს უნდა საქმის გარეთ დასტოვოს. საზოგადოება უნდა მიენდოს, ამ საქმეში, ერთს, ან ორს, ან თუნდ სამ ა ხ ა ლ გ ა ზ დ ა ს, და საქმის წაყვანა, პროექტის შედგენა და ბანკის დაარსება იმათ მიანდოს, მ ა თ ნ ა მ უ ს ზ ე შ ე ა გ დ ო ს, ისე რომ ამ ამორჩეული კაცების მომავალი და სახელი სამუდამოთ ამ ბანკის საქმეზე დამოკიდებული იყოს. თუ იმათ ეს საქმე კარგათ წაიყვანეს, იმათ ჩვენი საზოგადოების მადლობა, პატივისცემა საკმაო ჯილდოთ მიაჩნდებათ. თუ არა და ნუ ამოაყოფინებს იმათ საზოგადოება თავს ნურასოდეს, ნურსად, ნურაფერში, — მათთვის მომავლის დაკარგვა, სახელის გატეხა და საზოგადო შეურაცხყოფა, საკმაო სასჯელათ იქნება. ამ ცდის მეტი საზოგადოებას დღეს, ჩვენი აზრით, არაფერი შეუძლია. მეტი გზა, მეტი საშუალება იმას დღეს ხელში არა აქვს, საზოგადოებამ რომ თვითონ ან პროექტის შედგენა მოინდომოს, ან სხვისგან შედგენილ პროექტს შინჯვა დაუწყოს, პროექტი და ბანკი დაიღუპება, წახდება, ამიტომ რომ არც საზოგადოებას, არც ერთ მის ეხლანდელ მოთავეს ბანკის საქმის გაგება არა აქვს.

II. ა ხ ა ლ გ ა ზ დ ა მ ო თ ა ვ ე ე ბ ს: თუ საზოგადოება ამთავითვე უმთავრეს საფუძვლებზე არ დათანხმდა და მათი დაარსების უფლება არ მიანდო პროექტის შემდგენლებს, არცერთმა ხეირიანმა კაცმა ამ საქმის თაოსნობა არ უნდა იკისროს, რადგანაც მაშინ ბანკის მომავალ და აუცილებელ დაცემას ჩვენს ახალგაზდობას მიაწე-

რენ და ჩვენი მიმართულების წინააღმდეგ იარაღათ გამოიყენებენ. მაშასადამე, საყოველთაოთ ცხადი და ნაცნობი უნდა იყოს, რომ ვინც ქუთაისში ბანკის საქმეს იკისრებს იმ საფუძვლების დაუმტკიცებლათ, რომელზედაც წინეთ ვლაპარაკობდით, იკისრებს საზოგადო სარგებლობისათვის კი არა, თავის საკუთარ. კერძო გამორჩენისათვის, და ჩვენი მხრით, ჩვენი თაობის და მწერლობის მხრით, იმას დახმარება და რჩევა კი არა, ერთგული და ნიადაგი წინააღმდეგობა და ბრძოლა მოელის. მაშინ ბანკის დაცემა მათი, და არა ჩვენი ახალგაზდობის საქმე იქნება.

---

21. ვლადიკავკაზი, ვ ივნისს.

ვლადიკავკაზს ჩვენი ხალხი კ ა ვ კ ა ვ ს ეძახოდა და ეძახის, მაგრამ რუსული სახელი უფრო საფუძვლიანია: ვისაც ეს ქალაქი უკავია, იმის ხელშია კავკასიის კლიტე. დღეს ეს კავკავი ისეთ ნაირათ გაშენებულა, გაახლებულა და გადიდებულა, რომ თითქმის მთლათ ერთნაირათ სულ ახალ დაარსებულ ქალაქსა გავს. ქალაქს ჩინებული ბულვარი აქვს, სუფთა და ლაზათიანი სახლები და სამმართველო შენობები, ლაზათიანი თეატრი, და სხვ. და სხვ. მმართველობას, როგორც სჩანს და როგორც აქაურმა ჩემმა ნაცნობებმა მითხრეს, არაფერი დაუკლია, რომ ლაზათიანი სახლები გაეშენებიოს; მისი სამმართველო შენობები, ჰოსპიტალი, კაზარმები და სხვ. ქალაქს გვარიანათ ამშვენებენ და ხეირიანათაც არიან გამართულნი. მაგრამ უფრო შესანიშნავია ის გარემოება, რომ რაც ყველაზე უფრო გამოსადეგი და სასარგებლოა ქალაქში, გაუმართავს თვითონ აქაურ საზოგადოებას. აქ არსებობს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ბ ა ნ კ ი, რომელიც ძლიერ მცირედი კაპიტალითაა დაარსებული (30.000 მანეთით) და სარგებლობას კი უშველებელს აძლევს ქალაქს. მე ძინდოდა შემეტყო ამ ბანკის გარემოებები, და თუმც ერთგული და მართალი კაცები ვალაპარაკე, მაგრამ მაინც აღმოჩნდა, რომ ამ ბანკის საქმე ხეირიანათ წაყვანილია. მე ვფიქრობდი, რომ იქნება აქაც, ზოგიერთი სხვა სავაჭრო ბანკების მიხედვით, ბანკის კაპიტალი მარტო დირექტორებს მიჰქონდეთ და კერძოთ დიდი სარგებლით თავიანთ მოსაგებათ ასესხებდენ, მაგრამ ჩემმა მეგობრებმა დამარწმუნეს, რომ არაო. ეს ბანკი თურმე მართლა ვაჭრებს და მცხოვრებლებს სამი ან ექვსი თვის ვადით ხელს უწყობს და სულს აბრუნებინებს, და ხალხი, ესე იგი აქაური მცხოვრებლები, ძლიერ უმადლიან ამ სასარგებლო დაწესებულებას.

ბანკს გარდა ქალაქში შესანიშნავია ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი გ ა მ გ ე ო ბ ა. ეს პაწაწა ქალაქი, რომელიც ისეთი მხარის შუაგულს შეადგენს, რომელსაც მარტო ამ ათი თორმეტი წლის წინ ეღირსა ომისა და ბრძოლის შეწყვეტა, სარგებლობს დღეს ამორჩეული და საზოგადოებისაგან დანიშნული გამგეობით, და ქალაქის სა-

ქმეები, თურმე ამისგამო, განსაკუთრებით კარგათ მიდიან. ქალაქს ჩინებული ქუჩები გაუმართავს, გაუნათებია, წესიერებაც კარგათ დაუცავს, ბანკსაც კარგათ ჰმართავს და სხვა. ქალაქში ერთს დესეტნიკს ვერ დაინახავს კაცი, მაგრამ წესიერებას ამით არაფერი დაჰკლებია, თუ არა შემატებია რა...

თვითონ საზოგადოებას და საზოგადოებრივ გამგეობას გარდა, შესანიშნავია აქ კიდევ კერძოობითი მოქმედება ზოგიერთი ხეირიანი პირებისა, რომელთაც ჯერ ვაჟბატონების ხასიათი არ შეუთვისებიათ, და მარტო თავიანთი კერძო სარგებლობისთვის ტაძარი არ გაუშენებიათ. იმათ გვარიანი ბიბლიოთეკა გაუწყვიათ, რომლითაც ამ ერთ ცუცქნა ქალაქში ასზე მეტი კაცი სარგებლობს. ბიბლიოთეკაში კარგათ ამორჩეული წიგნები ბლომათაა. ახალი გაზეთებიც, თითქმის ყველა უმჯობესი მოუდის, და მკითხველები და ხელის მომწერლებიც გულმოდგინეთ სარგებლობენ. აქაურ მცხოვრებლებს გაუმართავთ, ამისგარდა, საზოგადოებრივი ყველის კეთება. აქედან რამდენიმე ვერსის მოშორებით, იმავე საფუძვლებზე, როგორც ვერესჩაგინის არტელები. ერთი სიტყვით, გვარიანათ მიდის აქაური ცხოვრება და ხავსის მოკიდება აქ ნამეტნათ არსაით სჩანს.

ეხლა ერთ შენიშვნას ვიზამ. რა მიზეზია, რომ ამ ახალ და ორი დღის ქალაქში საქმე ასე კარგათ მიდის, და ჩვენ ქალაქებში კი ისე წაყრუებულია ყველაფერში საზოგადოებრივი ცხოვრება. რა მიზეზია, მაგალითად, რომ საზოგადოებრივი ბანკი და სხვ. აქ კი არსებობს და ჩვენში არა? ამის პასუხი თქვენ მიბრძანეთ, მე კი ამაზე ვერას დავწერ.

---

22. გრიგოლ ორბელიანი

(გრ. ორბელიანის ლექსები, გამოცემა პეტრე უმიკაშვილისა, თბილისი, 1873 წ.).

ჩვენი მწერლობის მოყვარეს გულითადი მადლობა მართებს უფ. პ. უმიკაშვილისა, ამ ჩინებული წიგნის დაბეჭდვისათვის. ეს ჩვენი ახალგაზდა „ბიბლიოგრაფი“ დიდი ხანია რაც ნელ-ნელა, აუჩქარებლათ და თან მოუსვენრათ, სჩხრეკს ძველებურ ხელნაწერებს, აგროვებს სახალხო ლექსებს და ანდაზებს, ჰკრეფს ძველ წიგნებს და გამოცემებს, და ზოგჯერ კიდეც ბეჭდავს შესანიშნავ თხზულებებს. მისი მხრით ეს მით უფრო მოსაწონი და საქები საქმეა, რომ ამნაირ შრომას მეტის-მეტი თავდავიწყება სჭირია: მშრომელი თავის ღვაწლის ნაყოფს ვერ ესწრება და ვერც ხედავს, და თვითონ ეს ღვაწლიც, წვრილმანი სიმძიმეებით დატვირთული, მკითხველ საზოგადოებას უბრალო, ადვილ რამეთ მიაჩნია. მშრომელის პიროვნება, ნიჭი და ჯაფა არც კი სჩანს ამ უმადურ ასპარეზზე, რომელიც სინდისიან მოქმედისაგან ნამდვილ თავდავიწყებას თხოულობს. ვიმეორებთ უფ. პ. უმიკაშვილი გულითადი მადლობის ღირსია ჩვენი მწერლობის და მკითხველი საზოგადოების მხრით.

მაგრამ არც ერთ შრომას უფ. პ. უმიკაშვილისას დღემდე იმსადიდე მნიშვნელობა და სარგებლობა არ ჰქონია, როგორც გრ. ორბელიანის ლექსების შეკრებას და გამოცემას. ჩვენი მწერლობის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველი საზოგადოება ვერ იცნობს ჩვენი პოეტების სრულ შრომას. იმას თვალ წინ არ უდგია თითოეულის მათგანის სრული სახე და ხასიათი. ჩვენი პოეტების თხზულებები აქა-იქ, სხვა-და-სხვა გამოცემებშია დაფანტული, ზოგჯერ დამახინჯებულიც, და მკითხველს არავითარი საშუალება არა აქვს შეკრიბოს, შეაერთოს და შეავსოს თავისი საყვარელი მწერლის ლექსები, მათგან ერთბაში და სრული შთაბეჭდილების მისაღებათ, არა თუ მკითხველი, ჩვენი კრიტიკაც სწორეთ ამავე სამწუხარო მდგომარეობაშია: მისი დასაფასებელი მასალა ნამეტნათ დაბნეული

და გაცალცალკეევებულია და ის ვერ იდგენს ყოველმხაროვანს აზრს მწერლის წარსულ ნაწერზე და ამ ნაწერის ნამდვილ ხასიათზე. ჩვენ მწერლობას ბევრი იმისთანა ღირსოვანი პოეტები ჰყავს, რომლების შრომა უფრო აყვავებულ მწერლობასაც დააჩნდებოდა, არა თუ ჩვენსას. მაგრამ იმათი ღვაწლი თითქოს არც კი არსებობდეს, ისე უმნიშვნელო და უგავლენოა, მარტო იმ მიზეზით, რომ მკითხველ საზოგადოებას მათი მარტო ორი სამი ლექსი წაუკითხავს, ისიც დროგამოშვებით, როცა უწინდელი ლექსის შთაბეჭდილება დავიწყებული ყოფილა. ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვების შრომას ამითი ძლიერ ბევრი აკლდება; უფრო მეტი ვნება ჩვენ მწერლობას ეძლევა, და ბედნიერი იქნება ის დღე, როცა ჩვენს მკითხველ საზოგადოებას ამ მწერლების თხზულებების კრებულები მიეცემა.

ვინ იცნობდა აქამდი, მაგალითად, გრ. ორბელიანის თხზულებების საზოგადო ხასიათს და ერთიან მიმართულებას? აქა-იქ დაბეჭდილი მისი ლექსებიდამ მკითხველმა მარტო ის იცოდა, რომ ეს მწერალი ნიჭიერი პოეტია, და მეტი არაფერი. რა ნაირია მისი ნიჭი, რა გზით გახსნილა ის, რა შთაბეჭდილებებს ჰქონია მასზე გავლენა, რა თვისებები აქვს მის მუზას და რა გავლენა ექნება მის ნაწერს, რა ნაირათ იხატება მის თხზულებებში მისი დროის საზოგადო მდგომარეობა, რა დასკვნა უნდა გამოიყვანოს შემდეგმა შთამომავლობამ,— ჰქონდა ამაზე ვისმე გაგება? თითქმის არავის. და დღეს, როცა უ. პ. უმიკაშვილმა ეს პატარა წიგნი დაბეჭდა, რომელშიაც შეგროვებულია გრ. ორბელიანის ნაწერი, ჩვენს წინ სულ უცნობი სახე დგება, მთელი ხასიათით და წარსულით. ჩვენ საკმაოთ ვხედავთ მის ნიჭსა და გრძნობას, მისი პოეზიის მიდრეკილებას, და თითოეული მისი ლექსის შთაბეჭდილება ნაკუწ-ნაკუწათ კი აღარ გვემახსოვრება, — დღეს ეს კერძო შთაბეჭდილებები ერთ დაურღვეველ ჯაჭვსავით ერთმანეთზე გადაიბმებიან, ერთმანეთს ხსნიან და ანათლებენ, ერთმანეთს მოზდევენ, ერთ სრულს და ბეჯითს საზოგადო კვალს სტოვებენ ჩვენს გულში და ტვინში.

ორმოცი წლის ნიჭიერ შრომას ჩვენი მწერლობის სასარგებლოთ ეს კი ეკადრებოდა. ორმოცი წლის განმავლობაში გრ. ორბელიანისთანა გრძნობიერი ნიჭი ფარდა აფარებული რომ იყოს, მწერლობის სიგლახაკე ამაზე უარესი იქნება? მადლობა ღმერთს და უფ. პ. უმიკაშვილს, დღეს ეს ნაკლულევანება აივსო. იმედი ვიქონიოთ, რომ სხვა პოეტებსაც ეს ბედი როდისმე ეღირსება, და ამ იმედით ეხლა გრ. ორბელიანის თხზულებების განხილვას შეუდგეთ.

პოეტის ნიჭისა და ძალის დასაფასებლათ ყველაზე უწინ იმ მხა—

რეს უნდა მიაქციოს კაცმა ყურადღება, თუ როგორი ხელოვნებით, როგორი მხატვრობით, სისწორით და სიმარჯვით გამოთქვამს ის თავის აზრსა და გრძნობას და რა სინამდვილე და სიღრმე აქვს თვითონ ამ აზრს და ამ გრძნობას. პოეტის სიტყვა და სურათი ისეთი გამოჩარხული და ბასრი უნდა იყოს, რომ არც ერთი ნამეტანი სიტყვა, არც ერთი უსარგებლო სტრიქონი და ხაზი არ ერთოს. რაც უფრო ნაკლები სიტყვებით, მარჯვეთ და ნათლათ, გამოთქვამს პოეტი თავის სათქმელს, მით ძლიერი ნიჭი გამოჩნდება მის ნაწერში, იმიტომ რომ მით უფრო ადვილათ და ღრმათ შთაიბეჭდება მისი სიტყვა მკითხველის გონებაში. ლექსის გაჭიანურება, სიტყვების უთავბოლო ფანტვა, რითმების ან მუხლის შესავსებლათ, უნიჭო მოლექსეების ხვედრია, რომელთაც გაგება არა აქვთ, რომ პოეტის უპირველესი ღირსება და მოვალეობა ღრმა შთაბეჭდილების მოხდენაში მდგომარეობს, და არა ლექსების გაწილადობილებაში. პოეტი ნიადაგ იმას უნდა ცდილობდეს, რომ მისი აზრი ცხოველ სურათად ჩაიჭრას მკითხველის ტვინში. აი, ამ მიზეზით პოეტები ნიადაგ სურათებს (образы) ხმარობენ; ყოველთვის იმას ცდილობენ, რომ მათი აზრი მჭლეთ და უხორციელოთ კი არა, შედარებებით და სურათით გაცხოველებული და ახსნილი გამოვიდეს. პოეტური სურათი, პოეტური „ფერი“ იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვით გამოხატული სურათი თითქმის უნებურად შეეთვისოს მკითხველის გონებას და აღარ მოსცილდეს მის ტვინს; ისე რომ ყოველთვის, როცა მკითხველი იმისთანა საგანს ან შემთხვევას გაიხსენებს, რომელსაც რაიმე მსგავსება ან დამოკიდებულება აქვს პოეტისგან გამოთქმულ აზრთან, ან გამოხატულ საგანთან, პოეტის სურათი და შედარება, მისი მსწრაფელი სჯა და ძლიერი სიტყვები თვალს წინ დაუდგენ და გაახსენდენ. პოეტის შედარება, სურათი, აზრი თითქმის ანდაზათაც უნდა იქცეოდეს და ხალხის გულისა და მეხსიერებისკენ გზას ჰპოულობდეს, ხალხის ენაზე უნდა იდგეს და ბავშვების პირველ ლაპარაკში უნდა იხმარებოდეს.

როგორ და რა საშუალებით მიაღწევს პოეტი ამგვარ მიზანს, რითი მოახდენს ის ამნაირ შთაბეჭდილებას, — ეს პოეტების საიდუმლოა. კრიტიკის დანიშვნულება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მწერლების და პოეტებისთვის წერის იარაღი ამზადოს. ან მათ სურათების ხატვა ასწავლოს. კრიტიკა მწერალს ეუბნება: იხმარე ის საშუალება, რომელიც ნიჭს შენთვის მოუცია, დაადექ იმ გზას, რომელიც შენ გონებას და ხასიათს მოუხდება. სთქვი, როგორც გინდა და რაც გინდა, ოღონდ შენი ნათქვამი ნათლათ გასაგები და დასამახსოვრებელი იყოს, და შენი გრძნობა და აზრი შემცდარი და ხალ-

ხისთვის საკნებელი არ იქნეს. დანარჩენი თითოეული მწერლის საქმეა, მისი ნიჭის და მიმხვდურობის. და კრიტიკაზე ამ მხრით მარტო ის მოვალეობა ძევს, რომ გასინჯოს, ვის როგორი ნიჭი უხმარია და როგორი მიმხვდურობა გამოუჩენია თავისი გრძნობის გამოთქმის დროს.

ეს ითქმის პოეტის გრძნობის გამოთქმაზე, ესე იგი მისი შრომის გარეგან მხარეზე. მაგრამ პოეტის ღირსება ხომ მარტო ამ გარეგან მხარეში არ მდგომარეობს. ასე რომ იყოს, ყოველი „ლაზათიანათ — მოლაპარაკე", ყოველი ენაბასრი კაცი პოეტი იქნებოდა. ამისთანა პირებს და პოეტს შუა დიდი განსხვავებაა. გამოთქმას, ენის სიმშვენიერეს, სურათის სინამდვილეს და სიცხოველეს გარდა, პოეტის ღირსებას და ძალას გრძნობის სიცხოველე, ტკივნისა და გულის სიფხიზლე და გაშლილობა, შთაბეჭდილების ადვილი მიღება და ღრმათ გაგება. ერთი სიტყვით გრძნობიერება შეადგენს. ბუნებას, ცხოვრებას, გრძნობას ყველაზე ერთნაირი გავლენა კი არა აქვს. ერთ და იმავე მოვლენას ორი და სამი კაცი სულ სხვა და სხვა ნაირათ იგებს და გრძნობს, ერთს ეს მოვლენა აატირებს, მეორეს გააცინებს და მესამეს იქნება სულაც ვერა აგრძნობინოს. ეს თითოეული პირის ხასიათზე, ტკივნის ძალაზე, გულის სიჩვილეზე, და სხვა ათასნაირ გარემოებებზეა დამოკიდებული. ზოგი კაცი ისეთია, რომ შეუნიშნავათ და უგრძნობელათ, გაუგებრათ აუვლის გვერდს ისეთ მოვლენას, რომელიც ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენს პოეტზე, ხანგრძლივ აღძრავს მის გრძნობას და ააღელვებს მის გონებას. მთელი საზოგადოება და მთელი ხალხი შემდგარია იმგვარი კაცებისაგან, რომლებისთვისაც ცხოვრების გარემოებებს, თუ ტკივნის ხასიათს, ჩაუთელიათ გრძნობის სიფხიზლე და თვით გრძნობიერებაც.

ვინ არ იცის რანაირი გავლენა აქვს კაცების უმრავლეს ნაწილზე რომელიმე ძლიერ გრძნობას, ვთქვათ სიყვარულს. საზოგადოთ ეს გრძნობა იმით გამოიხატება, რომ კაცი რაღაც უცნობ მდგომარეობაში გრძნობს თავის თავს. იმას თითქო რაღაც აკლია. რაღაცა სტკივა, ვინ იცის — შია თუ სწყურია. ის თვითონ ვერ ატყობს თავის მოთხოვნილებას; სწუხს, მაგრამ თვითონაც არ იცის რაზე და რისთვის. ის მოიწყენს, მაგრამ თავის-თავსაც ვერ მიუთითებს იმ მიზეზს, რომელმაც ის მოაწყინა. როცა ის გახარებულია და ნეტარებაში სცურავს, იმას თვითონაც გაგება არა აქვს, რომელმა შემთხვევამ და გარემოებამ, რომელმა სიტყვამ გაამხიარულა და გააბედნიერა. ერთი სიტყვით, ის ემონება რაღაც უცნაურ ძალას, რომელსაც ვერ სცნობს, მიჰყვება მის ჯლიქვებს, რომელთაც ვერ ხედავს, და თითქმის ვერც გრძნობს, როგორც კაცი რკინის გზით მიჰ-

ფრინავს, მაგრამ სანამ ფანჯარაში არ გაიხედავს და გარეგან საგნებს არ დაინახავს, ჰგონია, რომ ოთახში ერთ ალაგზე მოსვენებით ესხიგარო.

ამ მდგომარეობაში მისი საკუთარი და მისი საყვარლის გრძნობა მიგოგიალობს უდარდელათ და გაუგებრათ იკარგება. ორივე მხარეს, თითქო ენა დაბმული ჰქონდეთ, თითქო ისინი ბრმები ან ყრუები იყვნენ, ისინი არა თუ ვერ ნიშვნენ და ვერ იგებენ გრძნობას და მის მოვლენებს, იმის გამოთქმასაც ვერ ახერხებენ, რასაც იგებენ. ამის გამოსახატველი სიტყვები იმათ აკლიათ, და რომ ჩამოახრჩოთ, ვერც ერთი ვერ გააგებინებს მეორეს და ვერ გამოუხატავს სიტყვით იმ ტანჯვას, ან იმ ნეტარებას, რომელიც იმის გულშია, და რომელის ერთ, მცირედ ნაწილს ის კიდეც გრძნობს. ალაპარაკეთ ეგეთ კაცი ტანსაცმელზე, არე-მარეზე, ცხენზე, მუშაობაზე, ომიანობაზე, სწავლა-გონებაზე, რაზედაც გინდოდესთ, და ნახავთ, რომ ყველაფერზე იმას საკმაო სიტყვა და სურათი აქვს იმის გამოსახატველათ, რაც უნახავს ან გაუგონია. მარტო გრძნობაზე ებმება იმას ენა, მარტო ამ საგანზე სიტყვებიც ელევა. სურათებიც და გამოხატულებაც. მარტო ამ საგანში გამოდის ის უმეცარი და უგნური. ამის მიზეზი ისაა, რომ გრძნობიერება, კაცის გულის ცხოვრება, კაცის ტვინის-ძაფების ხასიათი ყველაზე უფრო ძნელი და უცნობი საგანია ქვეყნიერებაზე. იმათ გამოკვლევას, დაკვირვებას, გაგებას, გამოხატვას და ახსნას ისეთი ფხიზელი და ნარნარათ გრძნობიერი დაკვირვების იარაღი სჭირია, როგორიც ძლიერ იშვიათათ იპოვება ქვეყანაზე. აი, რისთვისაა იშვიათი ხელოვანი პოეტები; აი, რისთვის კაცის გულის მცნობი მეცნიერები სულ ათ თუთხმეტზე მეტი არც კი დაბადებულან დედამიწაზე. აი რისთვის კაცობრიობას ნიადაგ ემახსოვრება იმისთანა მწერლების შრომა, როგორც ლაროშ ფუკო და სტერნი, შექსპირი და გიოტე, მოლიერი და სხვ., მაშინაც, როცა ათიათასი სხვა მწერლების და მეცნიერების ხსენება გამქრალი იქნება ქვეყნიერებაზე.

რა მიზეზია ამ განსხვავებისა? ის, რომ ეს პოეტები და კაცის გულის მცოდნენი სულ სხვა ნაირათ გრძნობენ და იგებენ თავიანთი და სხვების გულის მოძრაობას და ტკივილს, ვინემ წელან-აწერილი კაცების უმრავლესობა. იმათთვის გასაგებია ისეთი მოვლენები გრძნობისა, რომელიც არ ესმის და არ ეჩვენება დანარჩენ კაცობრიობას. თავიანთი ნაზი გრძნობიერებით, ფხიზელი ნერვებით, მიმხვდომი გონებით და მძლავრი ტვინით ისინი ნიშვნენ და ხედვენ თითქმის თითოეულ მათი, ან სხვების, გულის ფეთქას, ატყობენ თითოეული მათი გრძნობის და შთაბეჭდილების მიზეზსს და საგანს. შინჯ-

ვენ თავიანთი გრძნობის მიმდინარეობას და იკვლევენ თავიანთი საქციელის და მოქმედების დაფარულ ჩარხებს. მათთვის მათ გულს დაფარული და საიდუმლო აღარა აქვს რა, და რადგანც კაცის გული საყოველთაოდ თითქმის ერთნაირია, სხვების გულშიაც ისინი ადვილათ არჩევენ გრძნობის ნიშნებს და მოვლენებს. რაკი თვითონ საგანი მათ გაცნობილი და ნაგრძნობი აქვთ, მისი გამოხატვაც იმათ უადვილდება, და აი ამ გამოხატვას, ამ სურათებს და სიტყვებს ყურს უგდებს კაცობრიობა, როგორც კაცი დამშეულათ ისმენს ყველაფერს, რასაც იმას შორე, უცხო და საკვირველი მხარედამ მოსული მგზავრი უამბობს. ამაშია პოეტების უმთავრესი ძალა და იარაღი, ესაა მათი ნამდვილი ასპარეზი და დანიშნულება.

გრძნობის გაცნობა, მისი გამოხატვა იმას როდი ნიშნავს, რომ პოეტმა მარტო სიყვარულზე და ვარდ-ბულბულზე უნდა იმღეროსო. არა, ჩვენ „გრძნობა" მისი საზოგადო მნიშვნელობით ვიხმარეთ და სიყვარული კი მხოლოდ მაგალითად მოვიყვანეთ. ამ მხრით გრძნობის გაცნობა — გრძნობის გამოცდას ნიშნავს, და ვისაც ის გამოუცდია, ვისაც ტვინი და გული იმოდენათ ბედნიერათ შეზავებული ჰქონია, რომ შესძლებია გრძნობის გაცნობა და გაგება, იმას ეს დაკვირვება, ეს გამოცდა აკეთილშობილებს, სწმენდს და ამაღლებს. კაცის გული დამტვერულია უმოძრაობით, დასვრილია ნიადაგ ერთ ალაგას გდებით. როცა იმას სიყრმიდანვე გონიერი თვალი დაუკვირდება და ნიადაგ მის სინჯვას და რჩევას დაუწყებს, გული სუფთავდება, როგორც დამტვერიანებული ტანისამოსი, რომელიც იბერტყება და იწმინდება ხელის მოკიდების და გასინჯვის დროს. აი რისთვის მაღალი და პატიოსანი გრძნობა, კეთილი სულის მოძრაობა, მშვენიერი ლტოლვილება და გულის სიმაღლე თითქმის ნიადაგ მხვდრათ რგებიათ უმჯობეს პოეტებს და უგონიერეს კაცის გულის მცნობელებს. ეს სიმაღლე პოეტს მარტო თავისთვის შენახული კი არ უნდა ჰქონდეს: მისი დანიშნულების უმაღლესი გვირგვინი იმაში მდგომარეობს, რომ იმავე სიმაღლემდე ასწიოს და აამაღლოს მკითხველის გრძნობა და ხასიათი, და მის გულში ის წმინდა ალი და გრძნობა ჩანერგოს, რომელიც ადამიანის გულის გაცნობამ და გამოკვლევამ პოეტის გულში დაბადა.

მაშასადამე, რაც უფრო ნათლათ და ბეჯითად სწერს პოეტი, რაც უფრო ადვილათ გასაგები და დასამახსოვრებელია მისი აზრი და სურათი, რაც უფრო კარგათ იცნობს ის ადამიანის გულს და გრძნობას, რაც უფრო მაღალ გრძნობას ბადავს ის მკითხველის გულში, მით უფრო ღირსეულია მისი შრომა, მით უფრო ძლიერი ნიჭი სჩანს მის ნაშრომში. დაუმატოთ ამას ერთი თვისებაც და მაშინ პო-

ეტის დანიშნულება ჩვენ ნათლათ გვეცოდინება. ეს თვისება იმაში მდგომარეობს, რომ პოეტი ნიადაგ დაკვირვებული უნდა იყოს თავისი ხალხისა და საზოგადოების გულის ფეთქაზე, ნიადაგ მის გულის წადილს უნდა იცნობდეს, უპასუხებდეს, ნიადაგ მის თავში უნდა იდგეს, როგორც ნათქვამია გიოტეზე:

На все отозвался он сердцем своим.
Что просит у сердца ответа.

მაგრამ ამ მხრით პოეტი თავისუფალი როდია. ამ მხრით მისი მოქმედება თვითონ იმ საზოგადოების მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რომელშიაც ის ცხოვრობს, იმის ხასიათზე და წადილზე. იმის ბედზე და ზოგიერთ სხვა გარემოებებზე. მცირედია იმ პოეტების რიცხვი, რომელთაც არათუ პასუხი აძლიეს თავიანთი ხალხის გულის წადილზე, არამედ თვითონ ეს გულის წადილებიც დაბადეს და გააცხოველეს...

ეს გრძელი საუბარი ჩვენ იმისთვის გავაბით, რომ გვეჩვენებია, რა მოეთხოვება პოეტს და პოეტი რა სულიერს ჰქვია. ამ საზოგადო ბაასიდამ გადავიდეთ ეხლა იმ პოეტის თხზულებაზე. რომლის გამოისობით შეგვემთხვა ამ საუბრის გამართვა, და ვნახოთ, რამდენათ შეეთანხმება გრ. ორბელიანის შრომა და ნიჭი იმ პოეტის სურათს, რომელიც ჩვენ ესეს არის ავწერეთ.

გრ. ორბელიანის ლექსების კრებული იწყება ლექსით. რომელიც დაწერილია 1827 წელს. და თავდება 1870 წელს დაწერილი ლექსით. ამოვწეროთ ორიოდე სტრიქონი პირველი ლექსიდამ.

„მეგობრობასა —სიცოცხლე, სიყვარულსა მიეც გული!
ამათგან ჩვენი ცხოვრება არს ტურფად აღყვავებული.
წუხილი გაქვს? მათ მიეყრდნე, მყისვე ქყონ განქარვებული,
მოგცენ იმედი, ნუგეში, სიამოვნება, ღიმილი...“

მკითხველი ხედავს, რომ არა თუ 1827 წელს, დღესაც ჩინებულ მწერლათ ჩაითვლება ის, ვინც ასე გამოჩარხავს თავის სათქმელს, და ორიოდე მოძველებული სიტყვა რომ ყურს არ ეჩოთირებოდეს, ეს ადგილი მშვენიერ ნაწყვეტათ მიაჩნდება ეხლანდელ მკითხველსაც. ეს ნაწყვეტიც საკმაოთ გვიჩვენებს პოეტის ძვირ-სიტყვაობას, თუმც ამ ლექს უწინდელი მწერლობის და ძველებური პოეტების გავლენა ატყვია. თითქმის იმავ დროს (1829 წ.) დაწერილი ლექსი „მ-დმი“ გვიჩვენებს, რომ პოეტს ადრითვე სჩვევია თავისი გრძნობის მოვლენების დაკვირვება:

„მნათობო, თვით შენ აღმიხსენ, რა მემართების, რასა ეჰგრძნობ;
როს გხედავ, რადა ვჰსწითლდები, რად ვჰკრთები, ვშიშობ და ვხარობ?
მაშინ რად ენა სდუმდების, როს შენთან უბნობას ვჰსცდილობ
და რისთვის ნაცვლად სიტყვათა მხოლოდ ოხვრათა ვჰმეტყველობ?
„მრავალ გზის ვჰფიცავ არ გნახო, მარამ ყოველს ჟამს გეძიებ!
როს გხედავ, გულსა სახმილსა მდუმარედ მყოფსა აღმიგზნებ.
მაშინ მე, შმაგი, ყოველთა გარე ჩემს საგანთ ვივიწყებ:
ხანა ვჰსწყვეტ შენთა სიტურფეთ და ხან კი მათვე ვაღმერთებ...
„მრავალ გზის ვჰფიცავ გივიწყო და ვჰქმნაცა ნება გონების,
მარამ, როს გხედავ, გონების რჩევა სრულიად არ მესმის.
გული ხელმწიფებს და უფრო უძლიერესად შენ გეტრფის.
და გულის მონად შექმნილი გონებაც შენდა მოჰფრინვის!“

აქ მარტო გრძნობის მოვლენებია გამოხატული და შენიშნული. პოეტი ჯერ თითქო ვერ ხედავს ამ მოვლენების ახსნას ან დაფასებას, ის მარტო ნიშნავს, ესა და ეს ემართება ჩემ გულსო. მეორე ლექსი „ღამე“ (1832 წ.) გვიჩვენებს, რომ ამ მხრით პოეტის გრძნობიერებას წინ ნაბიჯი წაუდგამს. ამ მშვენიერ და პოეტური გრძნობით სავსე ლექსში, არემარის და გრძნობის ხელოვნურ აწერას ერთვის ის დასკვნა და წუხილი, რომელიც ამ გრძნობას პოეტის გულში დაუბადია:

„მაშინ ვჰსცან ჟამნი სამოთხის, რომ ამა სოფელს არიან!
მარამ, ახ, ჟამნი ეს ტკბილნი ესრედ მალიად რად რბიან,
გულისა სურვილთ დაცხრომას რომ არ სრულიად გვაცლიან?
ეს არს სამწუხარ, რომ ბოლო თვით სიხარულსაც ჰქონიან“.

ამავე ლექსით თავდება გრ. ორბელიანის შრომაში ის პერიოდი, რომელშიც მის ნაწერს და ლექსის კილოს უწინდელი მწერლობის ბეჭედი და გავლენა ატყვია. შეუძლებელი იყო, რომ იმ პოეტს, რომელსაც ეს გრძნობა და მისი მძლავრათ გამოთქმა გაუცვნია, დიდხანს დატყობოდა უწინდელი დედნების და მაგალითების შემბორკველი ძალა. მართლაც, შემდეგივე ლექს უფრო მაღალი გრძნობა, უფრო ხელოვნური გამოხატულება და ტანსაცმელი აქვს. მისი ენა ძველ კილოს ივიწყებს, ლექსი მსუბუქი და ადვილი ხდება, სურათი კეკლუცათ და მარდათ იხატება ორიოდე კალმის გასმა-გამოსმით და შთაბეჭდილება მით უფრო ძლიერი და ხანგრძლივი გამოდის. აი ამ ლექსის („იარალის“, 1832 წ.) ზოგიერთი ადგილები:

„ჩემო იარალი! ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვაქსდეთ ველსა მწვანეს;
ჩვენებურადა,
ძველებურადა,
ვსვამდეთ,
ვიძახდეთ:
იარი-იარალი!“

ამნაირათვე ადვილათ და ძლიერათ დახატულია თვითონ სურათიც:

„ჯეირნის მწვადი მიშინიო
ცეცხლზედა დასტრიალებდეს,
ყნოსვა დამტკბარი მის სუნით
მადასა განგვიღვიძებდეს.
კახურის ღვინით აღვსილი
აზარფეშაცა ხელს გვეპყრას;
მოთალი, თევზი, მწვანილი
აგვიპრელებდენ წინ სუფრას.
ცა მშვენიერი,
ცა მშობლიური
მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათიდეს;
გაცხელებულთა
ღვინისგან შუბლთა
კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს...“

ამ დარდიმანდულათ დახატულ სურათს, ამ ხელოვნურათ აწეერილ მდგომარეობას მოსდევს თვითონ პოეტის გრძნობა და სურვილი, იმავე ხელოვნებით და სიმარდით გამოთქმული:

„შენ მომითხრობდე,
მე ყრმა გისმენდე,
გამოუცდელი — მოხუცებულსა,
თუ ვით ივერნი,
ლომ-გულნი გმირნი,
ჰბრძოდნენ, ქსცხოვრობდენ დროსა წარსულსა“

და ნატვრა:

„ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით
ერთისა დაკვრით
უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს?“

ბოლოს, ამ პოეტურ სურათს, გრძნობას და ნატვრას, ოცნებას თითქოს საგანგებოთ განსაკუთრებულ ძალას და ფერს აძლევს იმ მდგომარეობის გამოხატვა, რომელშიაც თვითონ პოეტი იმყოფება, და რომელთან შედარება აღტაცების სხივს აძლევს პოეტისგან გამოთქმულ ოცნებას:

„მარამ ამაო, ჩემო იარალი,
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!
სად აზარფეშა, სად არს მწვანილი
ღვინის წილ — კვასი, მზისა წილ — ყინვა!
გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყედიადსა
ადღა იხილოს ცა მშობლიური?
შენ ხარ პეტერბურლს, მე — ნოვგოროდსა,
გარეთ მკლავს ყინვა და შინ — უგარი“.

მკითხველი ეხლა საკმაოთ ხედავს პოეტის გრძნობის სიღრმეს და მისი ნიჭის სიძლიერეს; ის იცნობს, რა უგრძვნია პოეტს, და რა სახით სცოდნია იმას ნაგრძნობის გამოხატვა. მაგრამ პოეტი უფრო შორს მიდის. შემდეგი ლექსი („მუხამბაზი“, 1832 წ.) გვიჩვენებს, რომ პოეტს არა თუ თავისი გრძნობის გაგება აქვს და ჩინებულათ გამოხატვას ახერხებს, ის სხვის გულშიაც გამჭრიახათ იცქირება, იმას სხვის კანშიაც შესვლა სცოდნია და სხვის მაგიერ გრძნობაც. აი, მაგალითად, რა ხელოვნურათ უბრალო სიტყვებს და მშვენიერ სურათებს და შედარებებს ათქმევინებს ბეჟანა მკერვალს:

„არავისთვის მე დღეს არ მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან!
ამას ვამბობ, მე ბეჟანა მკერვალი,
ქალებისა ლხინი და თაიგული.
მშვენებითა საცა ვინ არს ქებული;
მისი კარი ჩემთვის არს გაღებული;
საცა მივალ, თან მიმაქვს სიხარული
მარამა დღეს არავისთვის მცალიან,
სალომესთან სადილათ მეძახიან!
„ქალებზე ვარ ასე ფიქრით მოცული,
ხელში ქობა დამრჩების მოუველელი!
მებლანდების თვალებში ზოგის წელი,
ზოგის ხვევნა, ზოგის ალერსი ტკბილი!
ნეტარ მათთან ლხინში აღმომხთეს სული!
მარამა დღეს არავისთვის მცალიან
სალომესთან სადილათ მეძახიან!“

მეორე ადგილას („სალომეს“, 1834 წ.) პოეტი ამავე ბეჟანა მკერვალს, აი, რა ჩინებულათ ამღერებს:

„ნუ ვწყინს, ვარდო, ყვავილთ მეფავ,
რომ ზოგჯერ იასაც ვსუნავ! მზე შინ შემოდიო!
„რა ვაქნა, გულს ვერ ვეტყვი უარს:
ვარდიც მიყვარს, იაც მიყვარს! მზე შინ შემოდიო!
„შენ — სანთელი, მე — ფარვანა!
დაე: დაიწოს ბეჟანა! მზე შინ შემოდიო!
„სიყვარულმა მათქმევინა,
თორემ მე ვინ, — ლექსი ვინა? მზე შინ შემოდიო!“

ეს თვისება მეტის მეტათ შესანიშნავია მწერლობაში, როცა პოეტი იმოდენათ სწორათ და ნამდვილათ მოახერხებს სხვისი გრძნობისა და ხასიათის გაგებას, ისე ჩაძვრება მის გულში და კანში, რომ არა თუ მისი გრძნობა გამოხატოს, მისი ჩვეულებრივი ენაც იხმაროს, ისე რომ მკითხველს დაავიწყდეს, რომ მის წინ პოეტი მღერის და სწერს, და ეგონოს ნამდვილათ გამოხატული პირის ხმა მესმის, მის გრძნობას ვხედავ, მის სხეულს ხელს ვკიდებო, ეს იმის ნიშანია, რომ პოეტს ხელოვნებაში უზენაეს სიმაღლემდე მიუღწევია. ეს თვისება ხელოვნების თითქმის უკანასკნელი სიტყვაა, იმ მხრითა მაინც, რომელიც აზრისა და გრძნობის ტანსაცმელს, გარეგან ფორმას შეეხება. გრ. ორბელიანს ამ მხრით ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მწერლობაში. და რადგანც ეს თვისება ჩვენ მეტის მეტათ შესანიშნავ და საჭირო თვისებათ მიგვაჩნია, აქვე ორიოდე ადგილს კიდევ გადმოვწერთ, რომელშიაც ჩინებულათ მოჩანს ამგვარი პოეტის ძვირფასი ძალა და ხელოვნება.

„ონიკოვის დარდებში“ (1860 წ.) პოეტი აი რას ათქმევინებს დამწვარ-დადაგულს მოარშიყეს:

„ეშხისაგან გონება-გამოცლილსა,
მზე კბრწყინავს, თუ თოვლი მოდის, არ მესმის!
„განა ღამით ძილი არისღა სადმე,
ანუ დღისით განსვენება გულისა?
„ან ვიღასა აგონდება სადილი,
ანუ ღამით აბანოში ლხინები...
„ნაბად-გახვეული ვჰგდივარ ქუჩაში;
ვოხვრავ, მაგრამ ჩემი დარდი ვის ესმის?
„ვინც გაივლის, მკითხავს: აქ რას აკეთებ?
— შენ რას ნაღვლობ, მე რას გიმღი, რა გინდა?
„მითხილი ხარ, თორემ არა მკითხავდი.
მოდი ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე!
„ჩემი დარდი თვალის ჩინი აქ არის;
ერთი მითხარ, მე სად უნდა წავიდე?!“

აი, ეხლა, თფილისელი ლოთის, ლოპიანას სიმღერა („მუხამბაზი“, 1861 წ.).

„რტო ალვისა შენი წელი მგონია,
მაგ წელზედა ცისარტყელი მგონია;
ეგ თვალები ცაში ელვა მგონია;
ვარდის სუნი შენი სუნთქვა მგონია.
რომ მეღირსოს, ვქსთქვა: „გეთაყვა, ჩემი ხარ!“
„გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!“

„ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ!
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუბაში მნახე, ვინა ვარ!
ბბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ, —
მაშინ შეგიყვარდე, ქსთქვა: „ძვირფასი ხარ!“
„გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!“.

ვნახოთ ეხლა პოეტის ნიჭის ძლიერება მის პირველ-დაწყებით ლექსებში კი არა, იმისთანა თხზულებაში, რომელშიაც ეს ნიჭი ერთიანათ და სრულათ გამოიხატება, და რომელიც გვიჩვენებს ჩვენ პოეტის მეორე მხარესაც, — მისი გრძნობის ამაღლებას, მისი მაღალი დანიშნულების ასრულებას. ამისთანაა „სადღეგრძელო“ (1827—1870 წ. წ.), უმჯობესი ლექსი გრ. ორბელიანისა, და ერთი უმჯობესთაგანი მთელ ჩვენს მწერლობაში. დავიწყოთ იმისთანა ადგილის ამოწერით, რომელშიაც გამოიხატება პოეტის გრძნობა და თან შეხედულება სიყვარულზე. ვიქონიოთ კი მხედველობაში რომ ეს ისეთი საგანია, რომელზედაც თითქმის ყოველ ჩვენ მწერალს უმღერია, და რომელიც არც ერთს მათგანს ამ მაღალი და ღირსეული მხრით არ გამოუხატავს:

„ძმანო, ივიწყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება,
მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკბება,
რომლის შუქი აღგვამაღლებს, რომლით სული გვინათლდება!
რომლით კაცი შშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება!
„სადა ხარ, სიყვარულის დღევ, აღარა უკმოიქცევი?
ღიმილით შენსა შეყრასა ნუ თუ ამაოდ გისურვი?
გულისა მნათი, ლამპარი, ნუ თუ ჩემთვისა განჰქარდა
და ჩემი ბედნიერებაც წარსულთა დღეთთან წარვიდა?
„გული რა იგრძნობს სიყვარულს, სიცოცხლეც მაშინ აჰყვავდეს!
ნეტარ ის ჟამი, როს სატრფო თავსა ჩვენსა გვავიწყებდეს:
მას შევქსტრფოდეთ, შევქხაროდეთ, თავს ვეკვლოდეთ, ის გვტანჯავდეს;
ხან უწყალოდ გულს გვიკლავდეს, ხან ლმობითა ნუგეშ გვცემდეს!
„რა ნახოს კეთილ-უგრძნობმან ტრფობისა ძნელთა ჭირებთა,
ვის არ შეეხო ეშხი გულს, არ ებრძვის გულის წყლულებთა?

მიჰხედეთ ვარდსა, მაშინ ჰფენს უმეტეს სუნნელებათა,
ოდეს ნიავი შეხებით შეარყევს მისთა რტოებთა!
..სიყვარულისა ალითა ვის ჩვენში გული ეწოდეს
და სატრფოს სახე მარად ვის სულსა აღბეჭდვით თან ჰსდევდეს
ამა სოფელსა მას რაი წინა საბრკმელად აღუდგეს?
გულს სიყვარულით ხელს ხმალით, რას არა აღასრულებდეს.

შევჩერდეთ ცოტა ხანს ამ მშვენიერ სურათზე და შედარებაზე, რომლის მსგავს იშვიათათ წარმოგვიდგენს არა თუ ჩვენი, ევროპიული პოეზიაც:

„მიჰხედეთ ვარდსა, მაშინ ჰფენს უმეტეს სუნნელებათა,
ოდეს ნიავი შეხებით შეარყევს მისთა რტოებთა“.

და დაუკვირდეთ მთელ წელან მოყვანილ ნაწყვეტს. ჩვენი პოეტები ისე ხშირათ ლაპარაკობდენ სიყვარულზე, ტრფობის ეშხზე და ქალებზე, და ისეთი მატერიალური მხრით შეეხებოდენ ამ გრძნობას და საგანს, რომ მკითხველი ძალა-უნებურათ ეჩვეოდა ამ აღმტაცი გრძნობისა და ძალის გაბინძურებას; პოეტებიც რომ ამ დამცირებას არ წახმარებოდენ, თვითონ ჩვენი ცხოვრებაც საკმაოთ მატერიალური და გამაბინძურებელია. ის თავისი პრაქტიკული მოთხოვნილებით, თავისი კანონებით და ჩვეულებებით საკმაოთ ფრთებსა ჰკვეთს ყოველ პოეტურ ოცნებას და გრძნობის გატაცებას, საკმაოთ ტალახში სვრის და აძონძებს გულისა და სულის ლტოლვილებას. სიყვარულიც ჩვენი მკითხველის თვალში გადაიქცა ისეთ უბრალო და ბინძურ „შემთხვევათ“, როგორც ლოთობა, ან პრაქტიკულ ანგარიშათ, როგორც ბანქოს თამაში. ქალი, სატრფო, გრძნობა ამ გვარი შეხედულებით დამცირდენ, მაგრამ უფრო მეტათ დამცირდა თვითონ კაცი და საზოგადოება. ყოველი კერძო პირის ცხოვრებაში და თითქმის ყოველი ხალხის წარსულში მოიპოება ერთი წუთი, ხანდისხან ხანგრძლივი, როცა შრომის უნაყოფობა, ან ოცნებითი იმედის დაკარგვა დროებით აღტაცებას ჰკლავს, და მაშინ ამ უბედურს მდგომარეობაში ჩავარდნილი პირი, ან საზოგადოება, ყოველ თავის მოქმედებას და გრძნობას წუთიერ, შემცირებულ მნიშვნელობას და ხასიათს აძლევს, ისეთ ხასიათს, რომელიც ამ გრძნობას აბინძურებს და ამ მოქმედებას სწამლავს. ის მაშინ თითქო საგანგებოთ უარ-ჰყოფს და ივიწყებს ყოველ მაღალ და კეთილშობილურ გრძნობას, დასცინის ყოველ აღმტაც გულის მოძრაობას და თითოეულ მოქმედებაში, სურვილში, ლტოლვილებაში ყველაზე უწინ და ყველაზე უფრო დამშეულათ მდაბალ, ბინძურ, უიმედო და უეშხო მხარეს ეძებს და ნიშნავს. ეს ბუნების კანონია, ყოველი დაცემული

პირისა და ხალხისათვის; და ვაი იმ ხალხს და იმ პირს. რომელიც დიდხანს ამგვარ სულით-დავარდნაში დარჩება. მწერლობა, როგორც ყოველი მოვლენა ხალხის ცხოვრებისა, რასაკვირველია, ამავე კანონს ემორჩილება, და, ჩვენის აზრით, ამით თუ არა, სხვითი ვერაფერით აიხსნება ის გრძნობის დავიწყება და დამცირება, რომელიც მომაკვდინებელ დაღათ ასვია ჩვენ მწერლობის დასაწყისს ეხლანდელ საუკუნეში. აიღეთ „ვეფხის-ტყაოსანი", აიღეთ მთელი მაშინდელი მწერლობა და ნახეთ, რა სიმაღლეზე იყვანდა ის გრძნობას, სიყვარულს, კეთილშობილურ აღტაცებას, რა პოეტური სხივით მოსავდა ის გრძნობიერებას, თავგანწირულებას, სულის სიმაღლეს და სიყვარულის ეშხს, და მაშინვე მიხვდებით, რომ ეს მწერლობა სულს იდგამდა და იბრუნებდა იმისთანა ხალხის გულის-ცემის დაყურებით, რომელიც აღტაცებით და მოქმედებით სდუღდა, რომელსაც გულით დავარდნა ჯერ კიდევ არ მიკარებოდა, რომელსაც ყველაფერი შესაძლებელი ეგონა. სულ სხვანაირს მდგომარეობას წარმოგვიდგენს ჩვენი ქვეყნის სურათი ეხლანდელი ჩვენი მწერლობის დაწყების დროს. ხალხს დაჰკარგვია გულის ამამაღლებელი გრძნობის აღტაცება, გამძლიერებელი რწმუნების და სიყვარულის ხსოვნა, და ჩვენი მწერლობაც, ხალხის სულით გამოზრდილი, გრძნობას ვერც კი იგებს, სიყვარულათ ქალის კოცნა-მოხვევა მიაჩნია, და რწმუნებათ და აღტაცებათ ლექსებში ხანდისხან „ოჰ ღმერთოს!" ხსენება.

ხალხის ცხოვრებაში ყოველი კერძო მხარე, ყოველი მცირე მოვლენა თითქმის ყოველთვის საზოგადო ხასიათისა და მდგომარეობისაგან წარმოებს და ამ საზოგადო მდგომარეობის აღსნას და გაგებას აადვილებს. სიყვარულზე შეხედულებაც, ამ კანონის ძალით, საზოგადო მდგომარეობის შედეგია, და ხალხის ცხოვრების და ბედის შეცვლისა და გვარათ სხვაფერდება. როცა ხალხში, ან მოწინავე საზოგადოებაში, სულით დავარდნა ბოლოვდება, როცა იმედი ბრუნდება და დაღალულობა თავდება, ხალხის უკეთესს პირებს გრძნობაც უპატიოსნდებათ, ხასიათიც უმაგრდებათ და სიყვარულიც მაშინ იმათ მარტო მატერიალური სიამოვნების წყაროთ კი არა, უფრო მაღალი ლტოლვილების დამხმარე ძალათ ეჩვენებათ. ამისვე მსგავსათ იცვლება, მაგალითად, ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში და კაცის შეხედულება ქალის დანიშნულებაზე. სულით დაცემულ, უხასიათო, მონურ საზოგადოებაში და ხალხში ქალი მხეცური სიამოვნების ჭურჭელია, და ამ სიამოვნების წამი რომ გაივლის, ის უბრალო და უხეირო ჭურჭელსავით მიგდებული და შეურაცხყოფილია. მშრომელს, მხნე, იმედით და აღტაცებით სავსე საზოგადოებაში, ბრძოლისა და შრომის დროს, ქალი კაცის თანასწორი ამხა-

ნაგია, მისი გამამხნევებელი, ხუგეშის მცემელი, ძალის მომმატებელი, და კაცი იმას პატივისცემით, ნამდვილი სიყვარულით და ნდობით უყურებს. მაშინ უმჯობესი პირების გრძნობას და სიყვარულს ნიადაგ ის ხასიათი ეძლევა, რომ ქალის გულში და სიყვარულში ისინი გულითადი ამხანაგის გამამხნევებელ ძალას აფასებენ და ეძებენ, და სწორეთ ეს გრძნობაა გამოხატული პოეტის შემდეგი სიტყვებით:

„სიყვარულისა ალითა ვის ჩვენში გული ეწოდეს
და სატრფოს სახე მარად ვის სულსა აღბეჭდვით თან ქსდევდეს,
ამა სოფელსა მას რაი წინა საბრკმელად აღუდგეს?
გულს სიყვარულით, ხელს ხმალით, რას არა აღასრულებდეს?“

ვიმეორებთ, ეს შეხედულება სიყვარულზე იმ ცვლილების შედეგია, რომელიც ხალხის ცხოვრებაში ხდება უწინდელი, დაღალულობის დავიწყების და ცოტაოდენა იმედის მობრუნების გამო. ამაში ჩვენ სხვათაშორის ისიც გვარწმუნებს, თუ რანაირად და რა ვხრით ხატავს პოეტი ჩვენი ქვეყნის ბუნებას, და რა შთაბეჭდილება მოუხდენია მის გრძნობაზე, რა დასკვნა დაუტოვებია მის გონებაში ამ ბუნებას და მხარეს. აი, მაგალითად, განსაკუთრებით მშვენიერი სურათი ჩვენი ხალხისა და მისი ნახვით აღძრული პოეტის გრძნობა:

„ვინ არ შეეკსტრფით მას ადგილს, სად აღგვეხილნეს პირველ თვალნი,
სად ქრბიოდა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენი?
სად გეფარვიდა ნებიერად ხვევნა ალერსი მშობლისა,
და სად აღგვენთო პირველად გულს ცეცხლი სიყვარულისა?
„სადა შეეკხარით ლაქვარდად ცისა კამარას მორთულსა,
მასზე მავალსა ხელმწიფებრ მზეს ბრწყინვით განსხივებულსა.
ღამით ვარსკვლოვანს ფირუზსა, მთოვარით განათებულსა,
სიცოცხლის მომფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა?
„სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცამდე ასულნი,
და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზედ მსროლელნი;
უფსკრულნი ჩაბნელებულნი, კლდენი თვალ-გადუწვდენელნი,
სად მონადირე ქსდევს ჯიხვსა და მის ქვეშ ჰვლენან ღრუბელნი.
„სად ველნი, ფერით ზურმუხტნი, ნაზადა აღწვანდებიან,
მათზე კასკასით წყარონი გახარებულნი მორბიან;
მათ სიკამკამეს ყვავილნი თავდახრით განცვიფრდებიან;
გულს მათი ხილვა უხარის, თუალთ კვალად ენატრებიან“.

ესაა პოეტისგან დახატული სურათი ჩვენი ქვეყნისა, პოეტურის ფერის, შედარებების და სურათების ძალა ამ მხატვრობაში სწორედ შეუდარებელი რამ არის. დავუმატოთ ეხლა ამას მეორე ადგილიდამ ამოწერილი პოეტის გრძნობა:

„თავგანწირულმა გმირობამ ვერა დასძლია შავ-მხვედრი...
წახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერი!..
და სად დასთხიეს გმირთ სისხლი, აწ ვაკმზერთ სიამით ბაღთ მწვანეთ
მუნით მოისმის ლხინის ხმა გულ-უზრუნველთა მოლხინეთ!
და მას წმინდასა ალაგსა, თაყვან-საცემსა ღირსებით,
გლახ-უმეცრება ფეხ-ქვეშე ჰსთურგნავს გულითა უგრძნობით!..
„გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენცა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მისწვდება?“

პოეტის გრძნობიდამ ამ შთაბეჭდილების მიღება გასაკვირველიც არ არის. პოეტი ხედავს მშვენიერ ქვეყანას, რომელიც მის ნარნარ გრძნობიერებას აღმტაც სურათებათ წარმოუდგება. ამ სურათებით აღტაცებული, ამ მშვენიერებით შეპყრობილი და გრძნობა-აღელვებული, ის მაშინვე იმას გრძნობს, რომ ეს ქვეყანა საყვარელი ქვეყანაა, მისი სიყვარული გულს-უჯდება პოეტს და შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი — გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!
შავთა დროთ ვერა შეპცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!..
„მამულისათვის ფიალა სავსე ვჰსვათ სიამოვნებით
და იქნეს აღყვავებული კეთილ-დღეობით, დიდებით,
იქმნეს მის ქედი აღყვანილ ცათამდის ძეთა მხნეობით,
და სიყვარულის მისდამი ვჰხარობდეთ გულსა აღგზნებით!
„სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!
მის სადიდებლად ჩვენ შევჰხვდეთ უშიშრად ათასს მახვილსა,
და მოვკვდეთ, თუ კი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სახელსა!“

ეს გრძნობაც ისეთი ძვირფასი და იშვიათია, როგორც სიყვარულის ნამდვილი და მაღალი მხარის დანახვა. პოეტი ამაშიაც სასიამოვნო მოვლენათ მიგვაჩნია. დაცემულ და დავარდნილ საზოგადოებაში სულით დავარდნილი კაცის გული და ხასიათი არათუ მამულისთვის სიკვდილს, მახლობელისთვის რისიმე შეწირვასაც და ღვაწლის მიღებასაც ივიწყებს. იმას გონება, შეხედულება და გრძნობა უმცირდება. მთელი მამულის დიდების მაგიერათ, იმას ჯერ თავისი კერძო მაზრის და ბოლოს საკუთარი სახლის, დიდება კი არა, სარგებლობა შეექნება ღმერთად. ის იმ მძიმე და შესანიშნავ კავშირს ივიწყებს, რომელიც მისსა და მის თანამემამულეებს და მახლობლებს შუა არსებობს, ის მათი მოძმე კი არა, მათი მოწინა-

აღმდეგე და მეშურნე მტერი ხდება. სადაა მაშინ ის თავის დადება მამულისა და მახლობლისთვის, ის მსხვერპლობის სიადვილე, ის თავგამომეტება და დახმარება, რომელიც ცხოველი და იმედით სავსე ხალხის ხასიათს შეადგენს? ამ მხრითაც პოეტს ჩინებული გრძნობა უღვივის გულში და მისი „სადღეგრძელო“ აი როგორ გამოგვიხატავს ამ გრძნობას.

„რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი,
თუ არა ვასდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი,
სხვის კვნესა თუ არ გუაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?
„ამ ქაზრის გულსა დანერგვით ვასდევნიდეთ სულმოკლეობას,
ვასდევნიდეთ ძალას დამჩაგვრელს და მისსა უსამართლობას;
ვასდევნიდეთ კაცის წამპილწველს, უწმინდურ ანგაარებას,
ვასდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა სულის მაღლობას!
„მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანის-ცემა ღირსებას:
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს, და არა გვარის-შვილობას!
კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო მადლით ცხებული,
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დამშვენებული!“

ჩვენი ეხლანდელი საზოგადოებისათვის მეტის მეტათ საქებათ როდი ჩაითვლება შემდეგში ის გარემოება, რომ პოეტს საჭიროთ დაუნახავს ამისთანა ცხადი ჭეშმარიტების გამოთქმა და ეს გრძნობა და აზრები, რომელნიც ხეირიან საზოგადოებაში არც მაღალ და არც შესანიშნავ რათმე უნდა ითვლებოდეს, ჩვენში, საზოგადო გრძნობასთან და მოქმედებასთან შედარებით, სწორეთ ღირსეულ და პატიოსან სულის მოძრაობათ ჩაირიცხებიან. როგორც ჩვენში დღეს არაკაცს არც გონიერ და არც ამაღლებულ გრძნობათ არ ჩაუთვლიან ჩინებულათ გამოთქმულ ჭეშმარიტებას, რომ კაცი ჰაერს უნდა სუნთქავდეს, და ფეხებზე, და არა ყირამალა, უნდა დაიარებოდესო, ისე ხეირიან ხალხში და საზოგადოებაში არავის არ ეგონება, რომ წინეთ ამოწერილი გრძნობა გრ. ორბელიანისა საქები და აღმატაცებელიაო. ყველა იმას ნამდვილი და საყოველთაო ცხადი ჭეშმარიტების (ტრუიზმების) გამოთქმათ ჩასთვლიდა. მაგრამ ჩვენ საზოგადოებაში ამ გრძნობას, როგორც წეღან ვთქვით, დიდი მნიშვნელობა და ღირსება აქვს, იმიტომ რომ იმას ჩვენში არავინ იგებს, თითქმის არავინ მისდევს და ემორჩილება.

ესაა ჩვენი უბედურება, რომ ამგვარი, ყოველი გონიერი საზოგადოების და პირისათვის ცხადი და უეჭვო ჭეშმარიტება ჩვენში კიდევ ქადაგებას და დამტკიცებებს თხოულობს. საზოგადოებრივი გრძნობა ჩვენ იმოდენათ დავიწყებული გვაქვს და ზნეობითი მხრით ჩვენ ისე ღრმათ დავარდნილი ვართ, რომ ჩვენს პოეტს უკანასკნელ

სიტყვათ, უმაღლეს და უჩინებულეს ქადაგებათ უნდა ჩაეთვალოს იმის გამოთქმა, რომ „რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილიო“. რას მოუხდენია ეს, რა მიზეზითაა, რომ იმისთანა ნიჭიერ და ფხიზელ ხალხს, როგორიც ჩვენი ხალხია, ამ უმთავრესი საფუძვლის გაგება დაუკარგავს? რა მიზეზით დაგვივიწყია ჩვენ ძველი საზოგადოებრივი პატიოსნება და კერძოობით გულკეთილობა? ამ მხრითაც ჩვენ ისევ პასუხი მოგვეცემა, როგორიც წელან გრძნობისა და გმირობისა და გმირობის დაკარგვის თაობაზე მოგვეცა. იყო დრო. როცა ჩვენი ხალხი დროებით დაიღალა და სულით დავარდა. როცა იმან თავისი ბედის და საკუთარი თავის იმედი დაჰკარგა და თავის საშველათ იმ ფრინველის მზგავსათ მოიქცა, რომელიც დაინახავს თუ არა მასზე მინიშნებულ მონადირის თოფს, მაშინვე თვალს დახუჭავს, ან ბუჩქში თავს შეყოფს, და გონია, რაკი განსაცდელს თვალით ველარ ვხედავ, სიკვდილს გადავრჩიო. მაგრამ განსაცდელი თვალის დახუჭვით და ბუჩქში თავის შეყოფით როდი განიშორება. და ყოველი სულდგმული, რომელიც გაჭირებაში თავისი თავის იმედს ჰკარგავს და თავის საკუთარ ძალაში და მოხერხებაში კი არა ბუჩქში შეძრომაში ხედავს გადარჩენის საშუალებას, მდაბლდება და სუსტდება, როგორც საზოგადოებრივი მხრით, ისე კერძოობითი ზნეობითაც. საზოგადო საქმეებში იმას ერთობის და საყოველთაო სარგებლობის გაგება ეკარგება, — სურვილი უკვდება, მამულთან შემაერთებელი კავშირი უწყდება, და თავგაწირული საზოგადოებისთვის სამსახურის და მსხვერპლის მაგიერ ებადება თავისი კერძოობითი სარგებლობის ძიება, ძლიერის ფეხ-ქვეშ გაგორება, ორგულობა, ღალატი, ბეზღობა და მდაბალი ოინობა, ინტრიგა. ესეც ბუნების კანონია, რომ ყოველი სულიერი, რომელიც თავის თავს სხვაზე უფრო სუსტათ გრძნობს, და რომელსაც თავისი ძალისა და შეძლების იმედი აქვს დაკარგული, ძლიერ მალე მელურ საქციელს და უსინდისობას ეჩვევა. ქალების თაღლითობა, მაგალითად, მათი ნიადაგი გულჩახვეულობა და გაუტანლობა მარტო იმათი სისუსტის და უპატიურო მდგომარეობის შედეგია. ამ იარაღის მეტი იმათთვის არ შეურჩენია რა ჩვენ საზოგადოებრივ წესს. ასეა ჩვენი ხალხის ცხოვრებაშიც. რა კი იმან თავის სისუსტე დაინახა, ცალ-ცალკე დაფანტვა და ბუჩქებში თავის შველა მოინდომა, და იქ ბინძური გარემოებების და ტლაპოს გამოისობით წახდა და მოიკეცა. ეს დაემართა იმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კერძოობით. პირად საქციელში და ჩვეულებებში იმას ამნაირივე საქმე დაემართა. არაფერი არ აკეთილშობილებს კაცს ისე, როგორც ტოლებთან ცხოვრება, ტოლებში ყოფნა და მათ რაზმში დგომა. ეს არა თუ მარტო ძალას უმატებს

თითოეულ კაცს, მის ხასიათს სცელის, მის ზნეს აშალაშინებს. მის გრძნობას აპატიოსნებს. სხვებთან თავის შედარება, სხვების მაგალითის სდევნა, სხვებისგან გაკიცხვისა და მიტევების მორიდება, სხვების თვალ-წინ ყოფნა კაცის ველურ და ბინძურ მიდრეკილებას ლაგმავს, მის ცუდ განზრახვას ძირში ჰკაფავს, მის კეთილ მსარეს ზდის და აუმჯობესებს. სულ სხვა გავლენა აქვს გაცალცალკევებას და ცალცალკე სოროებში შემალვას. იქ კაცი მარტოხელი რჩება თავის-თავთან, იმას აღარც კეთილი მაგალითის ძალა ამხნევებს, არც მხეცველის და ამხანაგის მორიდება და სათრი აკავებს. მარტოობაში ის თანდათან იმ შეხედულებას ეჩვევა, რომ მისი თავი ქმნილების დედა ბოძია; ის თავის-თავს იყვარებს და აღმერთებს და სხვებისა არა თუ ივიწყებს, კიდეც იძულებს და შურით ივსება.

აი, ეს გაცალცალკევება კაცის საზოგადოებისა და თითოეული პირის ცალ-ცალკე გაბინძურება და დამხობა ნიადაგ მოსდევს რომელიმე ქვეყნის სულის დაცემას და მისი მონობის პირველ ნიშანს შეადგენს. ამ მხრით ყველაზე უფრო საძულველია საზოგადოებრივი მონობა. თავისუფლება კაცს, სხვათა შორის, იმისთვისაც უნდა აღტაცებით უყვარდეს, რომ ის, საზოგადოების წევრების ხშირათ შეკრებით, ბუჩქებიდამ გამოყვანით, ერთმანეთთან გაცნობით და დაახლოვებით თითოეულის გრძნობას და ხასიათს აკეთილშობილებს და საზოგადო ზნეობას და პატიოსნებას ჰბადავს. მართლაც, თავისუფალი ქვეყნებიც სწორეთ ის ქვეყნებია, სადაც უფრო ხშირია ხალხში ნამდვილი პატიოსნება და მაღალი გრძნობა...

მაგრამ ამ გადახვევამ ნარეტნავათ გაგვიტაცა. მოუბრუნდეთ გრ. ორბელიანის პოეზიას და ვიკითხოთ, თუ როგორ მოხდა, რომ ამისთანა გრძნობით სავსე, ნიჭიერი, გულკეთილი და გონიერი პოეტი თითქმის უგავლენოთ დარჩა ჩვენი ხალხის გონებით მდგომარეობაზე და ჩვენს მწერლობაზე? რისთვის ყოფილა ის თითქო ხმა დაკარგული და ენა ჩავარდნილი მაშინ, როცა მის ნიჭს და გრძნობას სულ სხვა გვარი სამსახური უნდა გამოეჩინა და უფრო ხვავიანი სარგებლობა უნდა მოეტანა ჩვენი ხალხისათვის? რათ დაკარგულა, თითქმის უსარგებლოთ, ეს ძლიერი პოეტური და ზნეობითი ძალა ისე, რომ თავისი ერის გონებაზე და მომავალზე იმას საკმაო და შესაფერი გავლენა არ შეუძენია, თავისი ბეჭედი არ დაუსვია? როგორ მომხდარა, რომ მის ნაწერში ძლიერ ცოტათ ისმის ხალხის გულის წადილის ხმა, ან, მისი პასუხი; ძლიერ იშვიათათ სჩანს პოეტის თანამედროვე საზოგადოებას რაც კითხვები და ფიქრი აღელვებდა იმის ან გამოსახვა ან პასუხის გაცემა.

ყველა ამ აუცილებლათ საჭირო კითხვებზე პასუხს მოგვცემს

ჩვენ მარტო ერთი გარემოება, იმ გზის აწერა, რომლითაც გახსნილა პოეტის გონება და იმ მდგომარეობის და წრის აწერა, რომელშიაც იმას უცხოვრია. საუბედუროთ, ჩვენს კრიტიკას არც ერთი მასალა არა აქვს ჩვენი სალიტერატურო ისტორიისთვის. ის თითქო ბნელ ოთახში ბოდიალით და ხელის პოტინით უნდა დაიარებოდეს ამისთანა საჭირო კითხვების ასახსნელათ და, ნამდვილი გრძნობებისა და ფაქტების მაგიერ, თავისი მიმხდურობით და მიგნებით უნდა ხელმძღვანელობდეს. ამ მიგნებას ხშირათ შეცთომაც მოსდევს, მაგრამ რა ჰქნას ჩვენმა კრიტიკამ, როგორ მიატოვოს გაუხილველათ ამისთანა საჭირო კითხვები?

პოეტი — როგორც მისი ლექსების კრებულიდამ სჩანს — გამოვიდა ცხოვრებაში „განშლილი სასიხარულოდ", და მისი ბედი, „უჩვენებდა მას ამა სოფლის ყვავილთა მხოლოდ". იმის გული ადრითვე გაათბო მეგობრობამ და სიყვარულმა, „რომლისა სხივნი თვით ეკალსა შეჰქმნიდენ ვარდათ" და პოეტის პირველი ლექსი („ანტონს", 1827 წ.) მართლა გვიჩვენებს, რომ იმას იმთავითვე უგრძვნია ამ ორი ძალის მნიშვნელობა მათი ამამაღლებელი და გამძლიერებელი მხრით. პოეტი ჰგრძნობს. ფიქრობს, თავის გრძნობას აკვირდება (წინეთ ამოწერილი ლექსი მ-ს: „მნათობო თვით შენ აღმისსენ" და სხვ.), თავის მამულის ბედზე და მდგომარეობაზე ფიქრობს („იარალი"), და ოცნებას მიეცემა იმაზე, თუ

„ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს."

მაგრამ ამბობს პოეტი, „უცებ გრიგალმა უბედობის დამქროლა ესრედ, რომ... დამცა უფსკრულს ვაებისას უმწედ, უნუგეშოდ".

„სადაც ოხვრანი, აღმოსულნი გულისა სიღრმით,
არ ვის ესმოდნენ და ჰქრებოდნენ ზღუდეთა შორის!
სადაცა ჰსწავდენ, ვითა ცეცხლი ღაწვთ ცრემლნი დენით
და მათ არ ჰსწყვეტდა არ ვისი ხელი ნუგეშის;
სადაც ვერ ეჰსცნობდი ცისკრის ბრწყინვას, ვერც მწუხრის ჟამსა;
სად დღე უნათლო იყო ღამედ, ღამე — უვარსკვლავ
და სად სიკვდილსა ვინატრიდი, ვით ცის ნუგეშსა,
თუმცა სამარეს შეედრების, სადაცა ვიყავ!"

ამ მძიმე და დამაღონებელ მდგომარეობაში პოეტი, მართალია, დიდხანს არ დარჩენილა. ამისთანა შემთხვევები ყოველთვის რაღაც უცნაურს დაღს ასმენ კაცის ხასიათზე და მომავალ მოქმედებაზე, იმ მარტოობის და უნუგეშობის მიზეზით, რომელშიაც კაცი თავის

თავს გრძნობს ამ დამაღონებელ მდგომარეობაში. მარტო სხვებისთვის მფეთქავი გული, სხვებისთვის თავდადებული გრძნობა ერთბაშად ტყობს, რომ სხვებისგან მიტოვებული და დავიწყებულია, რომ ის მარტოხელა ჩავარდნილა „უფსკრულს ვაებისას". და დამხმარე, ნუგეში, ხელის-გამწყობი, აზრისა და ბედის თანამოზიარე არსაით ჰყავს. ბედნიერია, ვინც ამ განსაცდელს გადარჩენია, და ვისი იმედი ღა პატიოსანი გრძნობა იმ „უფსკრულის ვაებაში" არ ჩარჩენილა, სადაც მომაკვდინებელი გაუთავებლობით მიღოღავს წუთი-წუთზე და საათი საათის შემდეგ. ჩვენი პოეტი, როგორც იქნა, გამოვიდა ამ ვაებისგან, მაგრამ აი რა იგრძნო იმან თავის ქვეყანაში ხელ-ახლავ ფეხის შედგმის თანავე:

„პირველად მზის შუქს თვალთ ვერ უძლეს, დავშთი უნათოდ;
მერე სიამით მიმოვხედე გარეშე არეს:
მდინარე იგი, იგივ მთანი, ნიავ მომფენნი,
წალკოტნი, ველნი უწინდელებრ აღმწვანდებოდნენ;
იგივ უღრუბლო, უცვალებელ, ცა ნათლოვანი,
მხიარულ ყმანი თამაშობით მოიმღეროდნენ!
გამოვემსწრაფლე სამშობლოსას, სადაც ვაგონებდი
წარსულთა ტანჯვათ, მწუხარებათ დავიწყებასა;
მარამა, იყოს წყეულიმცა ესრეთი ბედი!
მშობლის ხვევნის წილ შეპხვდი ახალს ნუნ ვაებასა!.."

და ამ ახალი ვაებების ძალით დაჩაგრული, უიმისოთაც გულდაწყვეტილი პოეტი უიმედობას მიეცემა:

„ვისგან და ვისთვის განიხაროს აწ გულმან ჩემმან?
ვისა შეჰებრალდე, რომ ეგებ მით გული ვანკვრილდეს?
ღრუბელი ჰმუნვის განშიბნიოს აწ ვისმან ღიმმან?
უდროოდ დავბერდი და ცხოვრებით გული რომ დაჰსტკბეს?
ხიყვარულისა სურვილი ჩას ვერ დაუთრობს გულს,
მისი სიცოცხლე ვეღარ დაჰსტკბეს მართლ-სიხარულით,
ვინც სოფელს მუხთალს, სააჩურის იცნებით აღვსილს,
უმზერს, ვით აწ მე, მიუნდობელ, გამოცდილ თვალით!
ხვალე არღა ბრწამს, ვით ღამეში მაცდური სხივი".

მკითხველს ახსოვს წინეთ აღმოწერილი ლექსი „მ-ს". ეხლა ჩვენ მეორე ლექსს ამოვსწერთ „მ-დმი", რომელიც გვიჩვენებს, თუ რა თვალით უყურებდა პოეტი იმ საზოგადოებას, რომელშიაც სცხოვრობდა, და რა შთაბეჭდილება მიეცა იმას ამ საზოგადოებაში:

„თაყვანისმცემელთ როს გუნდი თავსა გევლება ფარვანებრ,
რადა გსურს ყოველთ მათგანსა ეჩვენებოდე მშვენიერებრ?
„მათ უგულოთა ქებათა რად ისმენ სიამოვნებით,

რომ ესრედ ფრიად ეხარობენ შეცდარნი იმედოვნებით?
„ვით დაკარგულს მე მათ შორის გულს მსედეანან იკვნი ისრად.
არცა სიტყვით, არც მოხედვით, არა ღირს — ნყოფ სანუგეშად,
„რომ მით ეგებ სულის ღელვა, ესრედ შტანჯი, დაბიშეიდეს...
ვაშშაგებით სიყვარულის ძალა ეგებ დაბიშეიდეს...
„არ უწყი, თუ ალი ტრფობის ვითარ ძლიერ გულს მეგზნების!
არ უწყი, თუ მას ჟამს ვითარ სული ჩემი იტანჯების!
„მაგრამ ვიცნობ, მისთვის მწამხმარ... კვალად ლხინი გულს მეწევის:
ნორით ვზივარ, შორით გიმზერ, შემოგსარი და მეცინის!"

რა ექნა პოეტს, როცა საზოგადოების ცხოვრება, სხვა მხრივ დახშული და დახავსიანებული, მარტო ამ მხრით წარმოუდგენდა პოეტს მოქმედების და სიამოვნების ასპარეზს. პოეტიც გულდაწყვეტილათ ცხოვრების ტალღას მიჰყობა, და მისი გრძნობის ძალა, მისი გულის სიმხურვალე, რომელიც სხვა გაწყობილებაში რომ ყოფილიყო, სხვა საზოგადოებაში რომ გამოსულიყო, უფრო მაღალ და პატიოსან საგანს ამოირჩევდა, უფრო სასარგებლო და გონიერს მიზანს გამოადგებოდა, — ილევა ნელ-ნელა, წვეთ-წვეთა პაწია საგნების და პაწია სურვილის დაკმაყოფილებაში:

„როს გხედავ, მნათო, ღიმილით ჩემ კერძოდ წარმოვლენილსა,
ვივიწყებ ყოველს სიმწარეს, ბედისგან მოელინებულსა;
სულისა ღელვა შშვიდდების, გული ჰგრძნობს კვალად სურვილსა".

საბრალოა იმ საზოგადოების და ხალხის ბედი და მომავალი, რომლის უმჯობესი შვილების ძალა ამგვარ მცირედ და დამამცირებელ მიზნით უნდა ჰყმაყოფილდებოდეს, ამისთანა წუთიერ საგანს უნდა ემსახურებოდეს. საბრალოა იმ ხალხის მდგომარეობა, რომლის უნიჭიერესი შვილები „ზეგარდმო მადლით ცხებულნი, ვის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ და მსარე დამშვენებული", ასე ფუჭათ ლევენ ცხოვრებას და ნიჭს, თითქმის უნაყოფოთ და უსარგებლოთ თავიანთი ქვეყნისა და ხალხისთვის...

ბოლოს პოეტი, სიბერის დროს, თავის პირველ ოცნებებს, თავის უწინდელ აზრის მოზიარეს და ამხანაგებს იხსენებს:

„ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარიან, რა მინდა?
რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ვერც კი ვჰგრძნობ, რაცა მიყვარდა.
დღე ყოველ, ჟამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა,
ვამშერ მწუხარებით მომავალს და ეპსწყველი ფუჭად წასულსა..."

მაგრამ, ერთის მხრით რომ თქვას კაცმა, ეს უკანასკნელი გრძნობა, რომელიც კაცს გულს უკლავს და ნაღვლით ავსებს. თან ცოტაოდენ სიამოვნებას და იმედსაც ჰბადავს. ის გვიჩვენებს ჩვენ, რომ

პატიოსან გრძნობებს და ამაღლებულ მიზანს, უმაწვილურ ოცნებას და აღთქმას იმისთანა ხანგრძლივი სიცხოველე და ძალა ჰქონია, რომ კაცი, რომელსაც ისინი ოდესმე გაუცვნია, იმათ ვეღარ ივიწყებს. მის გულს ვერ ახარებს და ვერ აბედნიერებს თითქმის ყველა იმ ნეტარების შოვნა, რომელთაც სხვებს უაღრეს ბედნიერებათ მიაჩნიათ. რა გინდ ამაღლებული იყოს ის ცხოვრებაში, რა გინდ ბედნიერათ მიაჩნდეს ის საზოგადოებას, რა გინდ შენატროდეს იმის ბედს ბრმა ხალხის უგნურება, ის თავის გულში მაინც იტანჯება და კმაყოფილებას ვერ ჰპოულობს. — „რაც ვიყავ იგი აღარ ვარ, ვერც კი ვჰგრძნობ, რაცა მიყვარდაო!“ ფიქრობს ის დღე და ღამ. თითქმ. მომაკვდინებელი ცოდვის დაღი დასმოდეს მის სინდისს.

---

28. ბაკვრა-ბამოკვრა

გაგიგონიათ, მკითხველო, ფრედერიკ ლ ე მ ე ტ რ ი ს სახელი, ეს ერთი იმ არტისტთაგანია, რომელთაც მთელი ორმოცი წლის განმავლობაში გაართვეს და დააფიქრეს ევროპის საზოგადოება. ეხლანდელი თეატრის ამაღლებაში, მისი მნიშვნელობის გაძლიერებაში, მის გავლენის მოპოვებაში და განსაკუთრებით თეატრის გამოყენებაში საზოგადო ცხოვრების და ზნეობის გასაუმჯობესებლათ იმოდენა ღვაწლი და სარგებლობა არავის გამოუჩენია. მისმა დაუფასებლათ მაღალმა ნიჭმა და დაუღალავმა შრომამ იმოდენათ აამაღლა თეატრისა და მაშასადამე მწერლობის მნიშვნელობა, რომ თითქმის მთელი თაობები გამოზდილა მის ბასრი სიცილით და მწვავი თამაშით. იმან დააარსა საფრანგეთში რეალური მიმართულება თეატრის წარმოდგენისა, იმან გამოზარდა ეხლანდელი სკოლა აქტიორებისა, და გადაჭარბება როდი იქნება კაცმა რომ სთქვას, რომ რაც კარგი მხარე აქვს დღეს აქტიორების არტისტულ თამაშს, ის ეკუთვნის ფრედერიკ ლემეტრს და მისგან არის შემოღებული.

დღეს ამ თეატრის გმირს, რომელმაც მთელი ევროპის საზოგადოება, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ხან აცინა და ხან ატირა, რომელმაც წმინდა ესთეტიკურ დატკბობას გააცნო ყველა ვინც კი მოწინავე, ან მაღალ საზოგადოებას, ეკუთვნის ევროპაში, — დღეს ეს კაცი მოხუცდა, მოტყდა, დაღალდა, და მის შრომას, ნიჭს, გონებას ის სარგებლობა მოუტანია მისთვის, რომ იმ დღეს იმას აუწერეს უკანასკნელი ხორაგი, რადგანც ლემეტრს ვერ შესძლებია სახელმწიფო გადასახადის, — ოთხიოდე თუმნის, — დროზე შეტანა. აწერას ვინ დაეძებს. აწერილ ხორაგს გაყიდვაც არ ასცილდებოდა თურმე, გაზეთებს ეს ამბავი რომ არ დაებეჭდათ და მმართველობისათვის არ ეძულებიათ — გადახდევინების შეჩერება...

იმავე დღეს და იმავე გაზეთში წავიკითხე, რომ ბავარიის პრინცს ლუიტპოლდს (სახელი კარგა არ მახსოვს) თავის დანიშნულისთვის ნახევარ მილიონის საღირალი ბრილიანტები მიურთმევიაო.

კარგია, მაინც, რომ თუ ნიკს და შრომას დამშეული სიბერე მოსდევს და ელის, გვარიშვილობას მაინც კაი გასავალი ჰქონია.

. .

ერთხელ ეს ფრედერიკ ლემეტრი ლონდონში არდგენდა ფელიქს პიას სენტიმენტალურ დრამას „პარიკელი მეჭინჭე". ამ თხზულებაში გამოსახულია სიღარიბის ჩაგვრა და გაჭირვება ისეთი კილოთი, რომ ბევრს მის მნახველს თვალები ცრემლით ავსებია. ინგლისის მეფე ვიქტორია დაესწრო ამ წარმოდგენას, და ანტრაქტში ლემეტრს გამოელაპარაკა, მადლობის სათქმელათ იმ სიამოვნებისათვის, რომელიც ვიქტორიას მის ცქერაში ენახა. ბოლოს, როგორც შეეფერება მეფეს, რომელიც თავის თვალში კი დირეს ვერ ხედავს და სხვის თვალში ბეწვს ნიშნავს, ვიქტორიამ უთხრა ლემეტრს: „ნუ თუ მართლა ასე გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან პარიკის მუშებიო?" ამ კითხვამ ლემეტრი გადარია. იმან იგრძნო პატრიოტული დაჩაგვრა და ამ კითხვაში ინგლისელი დიდკაცობის ამაყობა დაინახა. მის თვალში მაშინვე წამოდგა ინგლისელი და ირლანდიელი მუშების დამშეული და დაცემული რაზმები, და იმ მოსწრებული, დამცინველი და მკვლელი სისწრაფით, რომელიც მარტო ფრანცუზული ტვინის თვისებას შეადგენს, უპასუხა ვიქტორიას ნაღვლიანი ხმით და გულის ტკივილით:

— „დიახ, თქვენო დიდებულებავ, ესენი საფრანგეთის ირლანდიელები არიან".

რაღა თქმა უნდა, რომ ვიქტორიას ეს პასუხი ტყვიასავით ეცა გულში. გულმტკივანი კოროლევა მაშინვე თავის ლოჟისკენ გაბრუნდა, მაგრამ ამ სცენის დამსწრემ მიამბო, რომ მის თვალებში იმ წამს ცრემლი მოცურავდაო: გამოთხოვების დროს მან თავი ვერ შეიკავა, და ფრედერიკ ლემეტრს გრძნობით უთხრა:

„მართალს ამბობთ, ჩემდა საუბედუროთ, მართალსო!"

მაგრამ ლემეტრეზე დღეს აბა ვინ იფიქრებს? დღეს საფიქრებელი, ყურის საგდები სპარსეთის შაჰის მოგზაურობაა. მართალი ვთქვა, მე როდი მეგონა, რომ „აღმოსავლეთის მფლობელს" იმოდენა მიზდომა ექნებოდა, რომ ის თავის მგზავრობას გონიერი წესით დააქარაგებდა. რადგანაც ის ცივილიზაციის სანახავათ მგზავრობს, იმას ისეთი გზა აურჩევია, რომ ნელ-ნელა და თანდათან, თითქო შეუნიშნავათ გაიაროს ყოველნაირი გაწყობილება და განათლება, ისე, რომ სპარსეთის და საფრანგეთის მდგომარეობის და განათლების განსხვა-

ეებამ ნამეტნათ არ დაჩაგროს მისი პატრიოტული გრძნობა. — რასაკვირველია, იმას ყველაზე უწინ რუსეთი უნახავს.. შემდეგ პრუსია, ბადენი, ინგლისი და ბოლოს საფრანგეთში შესულა. გონიერია ეს გამოზოგება და შემზადება, მით უფრო, რომ დაბრუნებაც ამგვარიეე იქნება თურმე. შაჰი გამოიარს იტალიაში, ავსტრიაში და სათათრეში, საიდანაც ჩვენს ქვეყანაში მობრძანდება, და ერევნით ან ბაქოთი დაბრუნდება ოქროვან სპარსეთში...

ნეტა ვიცოდე, რა და რა შთაბეჭდილება ჰქონია ამ „აღმოსავლეთის მფლობელს“ მისი მოგზაურობის დროს! ნეტა დავსწრებოდი მის ვიზიტს გერმანიის პარლამენტში. მართალია, როგორც პოეტს, მე ადვილად შემიძლია წარმოვიდგინო, რას იგრძნობდა ის პარლამენტის დანახვის დროს, მაგრამ წარმოდგენა და ნახვა სულ სხვაა. მე დარწმუნებით ვიცი, რომ ის აი რას იფიქრებდა: — არა, ამ განათლებას და ცივილიზაციას მე ჩვენი და ჩვენი მეზობლობის დაბრმავება მირჩევნია. ვა, ხელმწიფე ვიყო და ჩემი ნებით სახელმწიფო ფულების ფანტვა არ შემეძლოს, ან ჩხუბის გამოცხადება, ან მწერლების დარჩობა და ჩაჩუმება, ხათაბალა ამაზე მეტი უნახავს კაცს! დახე, დახე როგორ გამოუჭიმავსთ მინისტრები დეპუტატებს, როგორ სტუქსავენ მათ მოქმედებას და რანაირათ აგებინებენ პასუხს, თითქო მინისტრები კი არა, შაგირდები იყვნენ! დასწყეველა ღმერთმა ამნაირი ცივილიზაცია!

მაგრამ, თუ „აღმოსავლეთის მფლობელმა“ ეს თავისი შთაბეჭდილება ბისმარკს გაუზიარა, და თუ ბისმარკმა მასთან გულწრფელობა იკადრა, რა მეფისტოფელური სახით ჩაუჩურჩულებდა ის შაჰს ყურში:

— „ეშმაკი ისე შავი და საშიში როდია, როგორც იმას ხატვენ და არდგენენ!“.

შესანიშნავია, რანაირად სწერენ გაზეთები შაჰის მოგზაურობას. მოსკოვში გაზეთებს ყველაზე უფრო თავიანთი ყურადღება იმაზე მიუქცევიათ, რომ შაჰს ბრილიანტები აქვს ფოლაქების მაგიერო. პეტერბურგელი გაზეთები ყველაზე უფრო დაკვირვებით მის ტანსაცმელს, მორთულობას და მხლებლებს ასწერენ, და, თითქო გაკვრით, ლაპარაკობენ, რომ იმას თუთხმეტი ცოლი ჰყავსო. ბერლინის გაზეთები ცდილობენ, იქნება ჩვენმა სახელმწიფომ შაჰთან ტრაქტატი შეჰკრასო და სპარსეთში ჩვენი ქვეყნის კაცებს უპირატესობა და სარგებლობა უშოვნოსო. ბელგიის გაზეთებში ათი სტრიქონი იყო მის თაობაზე. ინგლისური გაზეთები ცდილობენ, რომ ინგლისის

მპართებლობა შაპს დაუჯსლოვდეს. რომ რუსეთს აზიაში შემძლე წინააღმდეგი გაუჩინოთო. საფრანგეთში გაზეთები ოხუნჯობენ მისი ცოლების სიმრავლეზე და თითქო გაკვრით სწუხან, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტმა მის მისაღებად ფული ბლომად და უსარგებლოდ უნდა დახარჯოსო. რას იტყვიან ოსმალეთის გაზეთები, ამის მე არაფერი ვიცი. ჩვენი გაზეთები კი იმას იტყვიან, რასაც მესტანბე გვათქმევინებს.

არა, ეს ყველაფერი მაინც და მაინც ჩვენი საქმე არ ყოფილა. უფრო წვრილმანი და უბრალო რამ გამოვძებნოთ, იქნება მაშინ ჩვენს ნაწერს უფრო მეტი პატივი მიეცეს...

მივბაძოთ კამაროვს და კომპანიას.

იმ დღეს თეატრში გამოჩენილ აქტრისას *****-ს ჩინებული საბაღებულო ტანისამოსი ეცვა. მისი მშვენიერი, თითქო პაერით შემოსილი და ჰაერისგან შეკერილი კაბა, ცისფერი ქობით და სარტყელით, რომელსაც ლაზათიანათ ბანს აძლევდა გულისპირის ქვეშ გამომსჭვერი ნარნარი სხეული და პირის სახის ყმაწვილური ვარდისფერობა. კაცს სწორედ აღმტაცი გრძნობით უვსებდა გულს. შლიპპა à la lerdére შემკული მთიური ყვავილებით, მშვენიერად ეთანხმებოდა მის ლაჟვარდ თვალებს და ფერმკრთალ თმას... გულზე ძვირფასი ბრილიანტი...

* *

გუშინ ჩვენს ჩინებულ, ყველასგან შეყვარებულ და პატივცემულ კვარტლის ნადზირატელს ხატავერი კატა დაეკარგა. მისი სახლობა ამ საშინელმა უბედურებამ მეტის-მეტად დაჩაგრა. იმედია, რომ ჩვენი ქალაქის მცხოვრებნი გულითადი თანაგრძნობით მონაწილეობას მიიღებენ ამ საშინელ უბედურებაში და დაკარგულ კატას მალე მოძებნიან. და თუ კატა ვერ მოიძებნა, მთელი ქალაქი — ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ — ერთხმად ფულს შეაგროვებს, ჩვენი პატივცემული კვარტლისთვის ახალი კატის მისართმევად

ჰო, აკი მოვძებნე ნამდვილი მწერლობის კილო! დღეის იქით აღარა მიშავს რა. ფელეტონები და მოწინავე სტატიები, კორესპონდენციები და კრიტიკა ამ უკანასკნელ კილოზე ვწეროთ, ძმანო მწერლებო, და თავს მოვიჭრი, თუ რამე დაგვეკარგოს.

---

24. იმერეთის ამბები

ქუთაისი, 20 ივნისს 1873 წ.

მას აქეთ, რაც ჩვენში კენჭის ყრა დაარსებულა, არცერთხელ თავად-აზნაურობის ყრილობას იმოდენა მნიშვნელობა და იმისთანა მძიმე ხასიათი არ ჰქონია, როგორიც ეხლანდელ ქუთაისის კრებას აქვს. ჯერ ხომ არის და არის ბანკის საქმე, რომელიც ნიადაგ იმედსავით თვალწინ უდგია ჩვენებურ საზოგადოებას, მაგრამ რომელიც იმედსავით თანდათან უფრო და უფრო ძნელათ მისაღწევი ჩნდება. მისი ბედი და მომავალი, მისი ხეირი და შველა ეხლანდელ კრებაზეა დამოკიდებული, და მარტო ეს გარემოება მისცემდა გვარიან მნიშვნელობას ამ კრებას, სხვაც რომ არაფერი ყოფილიყოს. მაგრამ მაგარი ესაა, რომ ბევრი სხვა მიზეზებიც აძლევენ დიდძალ მნიშვნელობას ამ ჩვენს ყრილობას, და ამის გამოისობით ჩვენც მიკაქციოთ იმას ჩვენი ყურადღება.

თავიდანვე მოგახსენებთ, რომ მე არც ნება მაქვს და არც სურვილი გიამბოთ თქვენ რა და რა მოხდა ჩვენებურ თავად-აზნაურობის კრებაზე, რა და რა წინადადებები და გადაწყვეტილება მიიღო იმან, ვინ რა წარმოსთქვა მასში, — ერთი სიტყვით, აგიწეროთ მისი სხდომები. ამას ბევრი დაბრკოლება მოსდევს, როგორც თქვენ იცით. მე მინდა მარტო ის ნაწილი აგიწეროთ ამ საქმისა, რომელიც მის კულისებს შეადგენს, სხდომებს გარეთ ხდება, ან მზადდება და ოფიციალურ მხარეს მარტო იშვიათათ შეეხება. ამ მხრით ეხლანდელი ყრილობა უფრო შესანიშნავია, ვინემ თავის მეორე მხრით, — სხდომების ოფიციალური მიმდინარეობით.

დავიწყოთ ბრძნულათ, თავიდამ, დალაგებით. ამას წინეთ რომ კენჭის ყრა იყო ჩვენში, ზედ, როგორც მოგეხსენებათ, დიდი აყალმაყალი და შფოთი თუ არა, უკმაყოფილება მაინც მომხდარა, როგორც ჩვენს თავად-აზნაურობაში, ისე, განსაკუთრებით, იმ პირებში, რომელნიც ამ ყრილობების საქმეს შორიდან დასცქერიან. საფუძვლიანია თუ არა მათი საყვედური და აზრი, ეს სხვა საქმეა, მაგრამ უეჭვო კია, რომ მათ გონებაში მტკიცეთ და ღრმათ ის აზრი

შთაბეჭდილა, ვითომ ჩვენი აზნაურიშვილობა უსარგებლოთ და უმიზეზოთ ცდილობდეს ორიოდე პატივ-მაძიებლების ოინობისათვის... ჩვენთვის უეჭვო საქმეა, რომ ამ აზნაურობას ვერცერთი პატივის-მაძიებელი მეოინე ვერ ააღელვებდა და აახრიალებდა, აზნაურობას საქმე კარგათ გაწყობილი რომ ჰქონდეს და ცხოვრებაში ბევრი გასაჭირი არ ადგეს; მაგრამ შორიდან დამცქერლები სულ სხვა აზრისა არიან. და ყოველთვის, როცა იმათ შუა, ან იმათთან ლაპარაკი იწყება ჩვენი საზოგადოების და ხალხის საჭიროებებზე და მომავალზე, ისინი ნიადაგ ერთ, მარტო ერთ პასუხს იძლევიან: „დახეთ ქუთაისის აზნაურობის ყრილობებს, და თქვით, მიენიჭება რამე ამნაირ საზოგადოებას, ან გამოსადეგი იქნება მისთვის მისი საზოგადოებრივი სიმართლეების გავრცელება, როცა ის იმ მცირედ უფლებასაც ხეირიანათ და გონიერათ ვერ ხმარობს, რომელიც იმას მინიჭებული აქვსო!“

ვინც გაიხსენებს, თუ რამოდენა გავლენა ექნება ამ მოაზრებას ჩვენში ერობის და საზოგადოებრივი სიმართლეების შემოღებაზე, ის ადვილათ მიხვდება, რომ წლეულს ჩვენი საზოგადოების, და განსაკუთრებით მისი მოთავეების, პირველი მოვალეობა იმაში მდგომარეობდა, რომ ყრილობას უშფოთველათ, გონიერათ, თითქმის ერთ-ხმათ ბანკის საქმის მტკიცე საძირკველი გაეჭრა და ყველა საჭირო საქმეები წესიერათ და კილოგამოუდებლათ გაეთავებინა. ამით, და მარტო ამით შეიძლებოდა, ერთის მხრით, ბანკის რიგიანად დაწესება, და, მეორეს მხრით, იმ პირების ჩაჩუმება, რომელნიც დიდი ხანია ხმა-მაღლა ამტკიცებენ, რომ იმერეთში და მაშასადამე საქართველოშიაც შეცდომა იქნება იმ ახალი საზოგადოებრივი წესების შემოღება, რომელნიც დღეს რუსეთს სულს უდგმენ და რომლის მომლოდინე და მხურვალე მოსურვეა ყველა, ვისაც კი გულს აჩნია ჩვენი ხალხის მდგომარეობა და ჩვენი ქვეყნის მომავალი.

რასაკვირველია, მთელი საზოგადოებისაგან ვერავინ მოითხოვს, რომ იმას საფუძვლიანათ გაესინჯოს და აეწონოს ყველა ეს გარემოებები და მათ შესაფერათ მოქცეულიყოს. საზოგადოება ამოდენათ დაფიქრებული და გონება-გახსნილი არსად მოიძებნება. მაგრამ მის მოთავეებს და მრჩევლებს, მის მოწინავე კაცებს ამ გარემოებების გაგება უნდა ჰქონოდათ და მათ შესაფერი საქციელი უნდა ერჩიათ ჩვენი საზოგადოებისათვის. თუ ამაებს ვერ გაიგებს და ვერ მიხვდება მოთავე პირი ან მოთავეობას რაღად სჩემობს, ან საზოგადო ასპარეზზედ რაღად ეჩრება და მის პირველ პლანზე რათ გამოდის?

ჩვენ მით უფრო იმედი გვქონდა, რომ ეხლანდელი ყრილობის ამ მძიმე ხასიათს ჩვენი მოთავეები ხეირიანათ დააფასებდენ და ასცილდებოდნენ, რომ თვითონ „დროებამ“[12] თითქმის დაწვრილებით გამოგვისახა ამ მდგომარეობაში გამოსაძებელი საქციელი და მიმართულება. მაგრამ საიდამ სადაო! აქაური საქმე დღესაც სწორეთ ისე მიდის როგორც უწინ, და მის მოთავეებს დღესაც იმ მოშლილი წისქვილის ხასიათი აჩნიათ, როგორიც აქამდი მათ მოქმედებებს ებეჭდა და მათ საქმეს ნიადაგ ახდენდა და აბრკოლებდა...

მაგრამ სჯობია, ისევ **დ ა ლ ა გ ე ბ ა ს** მოუბრუნდეთ.

თქვენ იცით, რომ დიდი ხანია რაც ჩვენს იმერეთში ორი ძლიერი პარტია არსებობდა. ამ პარტიებს არც ეკონომიური კითხვები და განსხვავება აშორებდა ერთს-მეორესაგან, არც აზრების და შეხედულების წინააღმდეგობა, არც მტკიცე მიზნის ძებნა. ამ პარტიების მიზეზი და უმთავრესი წყარო იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი ერთ საამარშლო კაცს მოსდევდა, და მეორე — მეორეს. იყო იმათშუა ნიადაგ განხეთქილება და ქიშპობა. მაგრამ ამ ქიშპობის და განხეთქილების უსაფუძვლობას ყველაზე უფრო ის ამტკიცებდა, რომ ერთი და იგივე პირი, არათუ უბრალო მეკენჭეებთაგანი, არამედ თვით მოთავეთაგანი, ხან ერთ პარტიას მიეკედლებოდა, ხან მეორეს; ერთი ყრილობის დროს ერთ პარტიას ეხმარებოდა და მისთვის თავს იკლავდა, და მეორე ყრილობის დროს კი — თავის უწინდელ მოწინააღმდეგეებს დამხმარეთ და ერთგულ მოძმეთ უხდებოდა. ერთი სიტყვით, ეს ჩვენი კენჭისყრის „ვითომ ბრძოლა“ იყო თითქმის ყოველთვის, თითქმის ყველასათვის, პიროვანი თავმოყვარეობის მუშტი-კრივი და შეტი არაფერი.

ამ მდგომარეობაში, რასაკვირველია, ხეირიან და გონიერ მოთავეს, ისეთს, რომელსაც მარტო და განსაკუთრებით ქვეყნის და საზოგადოების სარგებლობა აქვს მხედველობაში, უნდა ეფიქრნა თუ რა საშუალებით შეიძლება საქმის იმნაირათ წაყვანა, რომ საზოგადოებრივი ძალა უწინდელსავით უსარგებლოთ არ დაფანტულიყო და გონიერათ გამოყენებულიყო საზოგადოების დასაკმაყოფილებლათ. ამასთან, იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ეს საზოგადოების საჭიროება თითქმის ყველასათვის ერთნაირი და ერთრიგათ გამოსადეგია ორივე ვითომ-პარტიებისათვის. ბანკის საქმე, მაგალითად, სწორეთ ერთნაირათ საჭირო და აუცილებლათ გამოსადეგია ყველა ჩვენებურ მეპატრონეებისათვის; იმას შეჩერებია და მისგან შემწეობას და დახმარებას მოელის ორივე პარტიის თავად-აზნაურობა. მაშასადამე, მის გაწყობაში, მის წაყვანაში ერთნაირათ მოიქცეოდა ორივე პარტიის ძალა, მოთავეებს საქმის გაგება რომ ჰქონოდათ და ცოტა-

ოდნათ მაინც რომ დაჰყოლოდათ ის საზოგადოებრივი პატიოსნება, რომელიც კაცს მის პიროვან სარგებლობას და თავმოყვარეობას აიწყებინებს საზოგადო სარგებლობისა და წარმატებისათვის.

მართლაც, თითქმის ყოველი თავადაზნაური, რომელთანაც მე ამ საგანზე მილაპარაკნია, იმ აზრისა იყო უწინ, რომ „ამ საქმეში პარტიობა არ უნდა იყოსო. ეს რა საპარტიო საქმეაო". და რადგანაც ამ საქმეს პარტიული ხასიათი მარტო მაშინ მიეცემოდა, როცა მის ხელში ჩაგდებას რომელიმე პარტიის მოთავე მოინდომებდა და ამით მოწინააღმდეგე პარტიის და განსაკუთრებით მოთავეების თავმოყვარეობას გააფხიზლებდა, „დროებამ" საჭიროთ დაინახა ერჩია ჩვენი საზოგადოებისათვის ამ საქმის ისეთი კაცებისათვის მინდობა, რომელნიც არცერთ პარტიას არ ეკუთვნოდენ, ან უფრო სწორეთ ეთქვათ, ორივე პარტიის გარეშე იდგენ და ორივეს ერთნაირათ ეწინააღმდეგებოდენ.

უეჭველია, კიდევ რომ როცა საზოგადოებაში ამგვარი შეკავშირება და საქმის ერთგული წაყვანა მზადდება, მოთავეებს ყოვლის ღონისძიებით უნდა ემეცადინებინათ, რომ იმავე დროს რომელიმე სხვა უსარგებლო და უმიზეზო ბრძოლა არ აეტეხათ, რომელსაც საზოგადოების გაცალკევება და განხეთქვა შესძლებოდა. და რადგანაც ბანკის თაობაზე არა თუ მზადდებოდა, არამედ მზათ იყო ძმური განწყობილება და საქმის დაბოლოება, არც ერთი პარტიის მოთავეებს არ უნდა მონდომებოდა ახალი შფოთის ატეხა და არ უნდა დაზარებოდა მცირედი დათმობის ჩვენება უწინდელ მოწინააღმდეგესათვის. ამ რიგათ უნდა მოქცეულიყო ორივე პარტია მეკენჭეების საქმეში და მარშლების ამორჩევაში.

მეტი არაა თქვენი მტერი!

როცა თითქმის ყველა შეერთების და თანხმობის გზაზე იდგა ბანკის საქმის გასარიგებლათ, როცა თითქმის ყველას ამ საქმეზე ერთნაირი შეხედულება და აზრი ჰქონდა, როცა ყველას სარგებლობა ერთ გვარ მოქმედებას თხოულობდა, ორივე მხარის მოთავეებმა იმის დავიწყება ვერ მოახერხეს, რომ ბანკს დირექტორები და მმართველები სჭირია, და მაშასადამე მას, საზოგადოებრივ სარგებლობის გარდა, კერძო პიროვანი სარგებლობაც მოსდევს ორიოდ-სამი პირისთვის. ამ გარემოებამ ძალი დაუფრთხო ორივე მხარის მოთავეებს, მაშინ, როცა ამ საქმეშიაც იმათ თავი უნდა შეეკავებიათ და არც ერთი სიტყვით, არც ერთი მოქმედებით არ უნდა გამოეჩინათ პიროვანი სურვილი და იმედი, და რაკი ჩვენ გავიხსენებთ უწინდელ განხეთქილებას, რაკი ჩვენ მოვიგონებთ თუ რანაირათ ცდილობს თითოეული პარტია მოწინააღმდეგეების დაცემას და ფეხის მოტე-

ხას, ცხადად გამოჩნდება, რომ ბანკის საქმეში განსაკუთრებით უნდა გაჩუმებულიყვნენ ისინი, ვისაც მოწინააღმდეგე და საზოგადოება, საფუძვლიანათ, ან უსაფუძვლოთ, სწამებს და აწერს პიროვან მიზანს ბანკის საქმის წაყვანაში...

ეს ყველაფერი გარიგდებოდა და საქმე ძლიერ კარგათ წავიდოდა, ჩვენდა საუბედუროდ ჩვენ მოთავეებს იმერული ხასიათი რომ არ ჰქონოდეთ. ვერ წარმოიდგენს ხორცშესხმული კაცი რამდენი ფალავანობა და დიპლომატია დაიხარჯა ამ უკანასკნელ თვეში ამისთანა უბრალო, ნათელი საქმის დასაბურდავათ. მგონია გერმანიის ერთობის დაარსებაში არ გამოჩენილა და არ დახარჯულა იმოდენა დიპლომატია, რამდენიც წლეულს ქუთაისში დაიხარჯა. მერე რისთვის და როგორ? იმის მაგიერ, რომ საზოგადოების წინ საქმის ნათლათ გამოსახვით, დაბრკოლების ჩვენებით, საშუალების ძებნით და გონიერი სჯით მოთავეებს ჩვენი თავად-აზნაურობის გონება გაეწაფათ და საზოგადოება გონიერ პოლიტიკურ ცხოვრებას შეეჩვიათ, ჩვენმა მოთავეებმა მამა-პაპურ ცილის-წამებას ხელი მიჰყვეს. მოლაპარაკების, სწავლის, გაწაფვის და გამოძიების მაგიერ ატყდა ერთი უშველებელი ენის მიტან-მოტანა, სხვის სულში და გულში ჩაძვრომა, ბენამება, მოახლური კინკლაობა და დედაბრული ცრეობა. ვერც საზოგადოებრივ ყრილობებში, ვერც წვრილმან მუსაიფებში, ვერც შინაურ სტუმრობაში ვერ მოჰკრავდა კაცი ყურს დამჯდარ ბაას და გამოკვლევას საზოგადო საქმეების შესახებ. ყოველგან და ყოველთვის გესმოდათ, სამაგიეროთ, აი რა: „ბატონო იმას აი რა უნდა“, ან „რას ბრძანებთ, ის ამას ამიტომ ფიქრობს და ამბობს, რომ უნდა...“ და სხვ.

ამგვარი საქმის წაყვანით სჩხრიკეს ჩვენმა მოთავეებმა, სჩიჩქნეს და გამოძებნეს, როგორც იქნა, ცენზი.

დიახ ცენზი. თქვენ ეს, ვიცი, არ გჯერათ. თქვენ მეტყვით, რომ ცენზის საქმე ბანკს როდი შეეხება, რომ დასაწყისში ბანკის პროექტის შედგენის მინდობა ეკუთვნის ყოველ აზნაურს, რომელსაც უფლება აქვს არა თუ კენჭის ყრისა, არამედ საზოგადო ყრილობაზე დასწრებისა. ბანკის საქმის საბოლოო გადაწყვეტილება კი, უეჭველია, ყველა იმ პირებს მიენდობა, რომელთაც ბანკის სერმიაში ცოტაოდენი რამ მაინც დაუტოვებიათ. თქვენ იმასაც დაუმატებთ, რომ, მაშასადამე ამ საგანზე განხეთქილება არსაიდან არ უნდა წარმომდგარიყო. ეს ყველაფერი მართალი და ჭეშმარიტია, მაგრამ განხეთქილება მაინც წარმოსდგა და წარმოსდგა სწორეთ ამ ცენზის თაობაზე.

მაგრამ განხეთქილება რა გინდ მძიმე ყოფილიყოს მაინც ადვი-

ლათ დაბოლოვდებოდა, ორივეს მხრით, ან თუნდ ერთის მხრით მაინც რომ გამომჩდარიყოს გონიერი და რიგიანი საქმის წაყვანა. რა გინდ გაბრაზებული იყოს ერთმანეთზე ორი პარტია, შესაძლებელია, მაინც, საქმის იმნაირათ წაყვანა, რომ ორივე მხარეს დათმობით, თანხმობით, ან და, თუ გაჭირდა, ერთი რომლისამე მსწრაფლათ დამარცხებით ბრძოლის ასპარეზი გაიწმინდოს და საქმე ნიადაგ ერთ მდგომარეობაში დგომით არ დახავსდეს. საუბედუროთ, როგორც შეეფერება უწინდელ თაობებს, ჩვენი მოთავეები მოქმედებენ არა თუ გაუგებრათ და უმიზნოთ, არამედ უსისტემოთ, უაზროთ. ამის გამოისობით ის კითხვა, რომელიც გასახილველად იქნება ნახევარ საათსაც არ მოინდომებდა, აჩერებს ყრილობას მთელი კვირის განმავლობაში. და არა თუ პარტიის პირებს, არამედ პარტიის მოთავეებსაც გაგება არ აქვთ, თუ რა უფრო საჭიროა, რისი წამოწევა სჯობია და რისი მივიწყება და წაყრუება. დაუმატეთ ამას თუ გინდათ ორივეს მხრით, უნიჭო თავმოყვარეობის მრავალსიტყვიანობა, იმერული დაცინვის ალი და გაბრაზების ძალა, უთაობა, უცოდინაროობა და სხვ. და თქვენ შეგეძლებათ წარმოიდგინოთ, თუ რა რიგათ მიდის ჩვენი ბანკის საქმე.

ჯერ ამ საქმეს ერთი ნაბიჯიც არ უქნია და განხეთქილება კი სრული და უშველებელია. ვერსად ყურს ვერ მოჰკრავთ ბანკის საფუძვლებზე ბაას და სჯას, და ყოველგან კი ლაპარაკია მის შემდეგ დირექტორზე. მოთავეები, — წვრილმანებზე ხომ რაღა თქმა უნდა, — ამაზე უფრო მეტს ფიქრობენ, ვინემ ბანკის პრინციპების გამოკვლევაზე. ეს მართალია, იმას ჰგავს, წისქვილის გაშენებამდი კაცი მეწისქვილეს რომ ქირაობდეს და ცოტათი არ იყოს ეს საქციელი მე ჩვენებურ ანდაზას მახსენებს: — ეშმაკებს ღვინო არ ჰქონდათ და ტიკებს ალბობდენო. მაგრამ საქმე კი ამ რიგათაა, და რაც გერჩიოთ ის ქენით.

ეხლა, რაკი ეს მძიმე საქმე ატყდა, რაკი საქმე ასე უხეიროთ დაიფუშა, ატეხილა, ბატონო, ერთი უშველებელი წინააღმდეგობა და პარტიობა. და სდუღს უხეირო, წვრილმანი ბრძოლა ზემოურებს და ქვემოურებს შუა. ჩვენი უბედური ქვეყანა, ძველ დროში, აი სწორეთ ამ გვარივე განხეთქილების მსხვერპლათ შეიქნა, და უწინაც ჩვენთვის გარეშე მტერს იმოდენი არა დაუკლია რა, რაც ამ ზემო და ქვემოურების ჭიშპობამ და ბრძოლამ დაგვმართა. ნუ თუ ეს უბედურება ჩვენ ბედზე გვწერია და მის დაღსა და კვალს ვერ ამოშლის ვერაფერი გაჭირვება და ვერანაირი განსაცდელი? ვინ იცის, იქნება ეს სწორეთ ის საწამლავია, რომლითაც მოწამლულა ჩვენი ქვეყნის გვამი და, თუ ეს მართალია, ვერაფერი აღადგენს ჩვენს და-

ცემულ კეთილდღეობას, მით უფრო რომ ჩვენი ცრუ მქადაგნი, ჩვენი ვითომ ახალგაზრდა მოთავენი, იმის მაგიერ რომ ეს უბედური და უსეირო წინააღმდეგობა და განხეთქილება მოსპონ და ხალხის ხსოვნიდამ ამოხოცონ, მასში თითქო საგანგებოდ უფრო და უფრო ცეცხლს უკეთებენ და სულს უბერავენ. საწყლებს იქნება ჰგონიათ, რომ ამით ისინი ჩვენი საზოგადოების საქმეს არიგებენ და ჩვენ ხალხს სარგებლობენ და ეხმარებიან!...

დიდი საქმე ყოფილა, თურმე, ტვინის სისუსტე და გონების უძლურება. რა და რა სიგლახაკეს არ აქნევინებს ის კაცს, და რა ადვილათ ავიწყებინებს ის პატიოსნების კანონებს და საზოგადოების სიკეთეს! წარმოიდგინეთ, ის ყმაწვილები, რომელნიც ვითომ ახალგაზდა პარტიის თაოსნობას კისრულობენ, არა თუ მარტო ზემოაღწერილი მოქმედებით უწინდელ შფოთს აგრძელებენ და ძველ უხეირობას აძლიერებენ: ისინი ახალნაირ უხეირობებსაც ჰბადვენ. წარმოიდგინეთ მეთქი, რომ იმათ დაურქმევიათ თავიანთ თავისთვის „ახალგაზდობის" სახელი, და ამ უმანკო, ჯერ შეურცხვენელ, დროშას ათასნაირ ტალახში და ჩირქში სვრიან, — აქაოდა ჩვენი პარტიის პირდაპირი, წუთიერი სარგებლობა ამას თხოულობსო. ისინი ემოყვრებიან და ხელს აძლევენ ისეთ პირებს, რომელნიც არა თუ ახალგაზრდობის სახელს, კაცის ღირსებასაც ამდაბლებენ. და თუ თქვენ ის აზრი გამოსთქვით, რომ ახალგაზრდობას ავაცილოთ ამ უჯიშო პირების ლაფი და უხეირობა, ნუ შევარცხვენინებთ ჩვენს თავსა და თაობასო, ნახავთ რამდენი უქმური, ბინძური და მდაბალი პიროვანი საფუძვლით ახსნიან ჩვენი მოთავეები თქვენს სიტყვებს და რჩევას... ან მეტი რა საშუალება უნდა მოეთხოვებოდეს იმათ, ვინც ხტის ხტომისთვის, უმიზნოთ და უპლანოთ, ვინც ბზუის კოლოფში დამწყვდეულ ბუზსავით და თან მტკიცეთ დარწმუნებულია, რომ მისი ბზუილი და ფრთების მტვრევა სწორეთ იმ ბრძოლას და მოქმედებას შეადგენს, რომელიც საზოგადოებას ამაღლებს და ხალხის მომავალს ამზადებს! ნეტავი იმათ, რომ ამ როლით და ამნაირი მოქმედებით კმაყოფილდება მათი ბუნების და ტვინის მოთხოვნილება და ძალა! ნეტარ არიან გლახაკნი სულითაო, ნათქვამია...

მართლა, დამავიწყდა ერთი გარემოება, რომელიც განსაკუთრებით „დროებას" შეეხება. ამ ვაჟბატონებს დასიზმრებია, თურმე, რომ „დროება" და ახალი ახალგაზრდობა დღეს იმათკენ უნდა იყვნენ, და ალბათ ამ სიზმრის მიზეზით მათი მეგობრები დიდ საყვედურს გვიცხადებენ „განზე გადგომისათვის". ვითომ და ჩვენი წინააღმდეგები ჩვენზე უარესები არიან, და იმათ რომ ჩვენ ვჯობვარ-

თო. ეს სიზმარი ცოტათი არ იყოს უსაფუძვლო გახლავს. „დროებას“, ბატონებო, თქვენ მოქმედებაში ჯერ-ჯერობით არაფერი დაუნახავს ისეთი, რომელიც იმას თქვენ უპირატესობას უჩვენებდეს თქვენ წინააღმდეგებზე. მიზნის სიმაღლით, ხასიათის სიწმინდით, საშუალებების გამორჩევით თქვენ ორივე მხარე ერთნაირ სიმაღლეზე ან სიმდაბლეზე დგახართ „დროების“ თვალში. მხოლოდ გარჩევა იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ ახალგაზრდობას იჩემებთ და ახალი მოწინავე პარტიის სახელს ირქმევთ. მაგრამ ჯერ ერთი ეს, რომ საქმე იმაში კი არ არის, ვინაა ახალგაზრდა და ვინ ბებერი: ახალგაზრდა ჩვენ ბევრი გვინახავს უხეირო და უმსგავსი, და პატიოსან და ჩინებულ მოხუცებულებსაც ბევრს ვიცნობთ. მეორეთ — ამას ნუ დავიწყებთ, — ჩვენ ბევრს რასმე მიუტევებთ იმას, ვინც ცდება უცოდინარობით, ვინც ცუდია იმიტომ, რომ კარგი არ უნახავს და უხეირო წრეში გამოზდილა. და იმის მეასედსაც ვერ მიუტევებთ ჩვენ იმას, ვისაც უმჯობესი ცხოვრება უნახავს, უმაღლეს სწავლას მიახლოვებია, ხასიათის გაკეთილშობილება შესძლებია და — მის საუბედუროთ — გამოსულა კი სწორეთ იმისთანა, როგორიც იყო და არის ძველი თაობა, რომელსაც ის გასამართლებელი საბუთი მაინც აქვს, რომ თავის დღეში იმერულ კერიას არ მოსცილებია და უმჯობესი ცხოვრების ჰაერი არ უსუნთქავს.

აი, რისთვის „დროება“ განზე დგას ამ უბედურ ბრძოლაში. იმან სთქვა რაც სათქმელი ჰქონდა, სთქვა ბეჯითად, თუმც ბეჯითადვე დარწმუნებული იყო, რომ მის სიტყვას არავინ ყურს არ უგდებდა. აწი იმას გულ-ხელდაკრეფის და მოცდის მეტი არაფერი მოუხდება. ის მოიცდის. ის ახალგაზრდაა და მომავლის არ ეშინია, რადგანაც იცის რომ მომავალი მას ვერ გაექცევა. როცა დრო მოვა, როცა ეხლანდელი ვითომ მოთავეების უხეირობა მტკიცეთ დამწიფდება და საქმეს საბოლოოთ წაახდენს, მაშინ და მარტო მაშინ ამოიღებს ხმას „დროება“ და გაიხსენებს თავის ეხლანდელ ნათქვამს. და ეს განკითხვის დღე, ღვთის მადლით, ნამეტნავათ მოშორებული როდია.

იმერეთის ამბები

ქუთაისი, 1 ივლისს 1873 წ.

გათავდა გამწარებული ბრძოლა, გაიწმინდა დასისხლიანებული ბრძოლის ველი. მორჩა ბერი ცხონებას, დაიხურა ჩვენი აზნაურობის კრება, გათავდა კენჭის ყრა, მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს!

ვინ გაიმარჯვა, ვინ დამარცხდა, რა მოხდაო, მკითხავთ.

დავიწყოთ ჩვენებური ჩვეულებრივი წილა-დობილა, და თავდაპირველათ ბანკის საქმეზე ჩამოვაგდოთ მუსაიფი.

უ. ბეს. ღოღობერიძეს ბედმა მშვენიერი და იშვიათი შემთხვევა არგო: საქმის გარიგება ორივე მებრძოლი პარტიის დახმარებით და თანხმობით. იმას გამოსვლის, ათიოდე სიტყვის თქმის მეტი არა სჭიროდა რა, რომ შეეთანხმებინა და ერთ კალაპოტში ჩაესვა ორივე მხარის დაღალული ძალა. საზოგადოების გრძნობა იმდენათ დაღალული იყო ამდენი ხნის უსარგებლო დავით ბანკის თაობაზე, და ჩვენი თავადაზნაურობა იმდენათ მოსურვებული იყო ბანკის დაარსებისა, რომ „ოღონდ კი გათავებულიყო საქმე". ოღონდ კი რამე გამართულიყო, და მოწინააღმდეგე არსაიდამ წარმოსდგებოდა...

ამ მდგომარეობაში გონიერ და პატიოსან მოქმედს დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ჩვენი საზოგადოებისათვის. ჩვენი ქვეყანა ისეთ განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება. იმას ისეთი განვითარებული საჭიროებები აქვს, რომ მის ხელის გასაწყობლათ საჭირო იყო სულ სხვანაირი საშუალებების ხმარება. ვინემ ჩვენში რუსეთელი ბანკების წესის შემოღება. პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებამ ამ უკანასკნელი ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში ბევრი ამნაირი საშუალებები გამოაჩინა და მათი შემოღება ჩვენს ქვეყანაში არავისგან წინააღმდეგობას არ ნახავდა. მაგრმ ამ საშუალებების გამოყენებისათვის ყველაზე უფრო საჭირო იყო მათი ცოდნა. მათ გაცნობას სწავლა სჭირია, მაშინ როდესაც ათასჯერ უფრო ადვილი და სწრაფი საქმეა რომელიმე რუსეთელი ბანკის წესდებულების გადმოწერა და აღსრულებაში მოყვანა.

„დროებას“[12] ქუთაისის ბანკის თაობაზე ის განსხვავება ჰქონდა, რომ საზოგადოებისათვის ერჩია ბანკის პროექტის შედგენა მიანდეთ ორიოდე ახალგაზრდას, რომელნიც ამ საქმეს კარგათ წაიყვანენო, „დროების“ თანამშრომლებს ის უბედურება დაემართა, რომ კერძოობითი მოლაპარაკების დროს სხვა და სხვა გავლენიან პირებთან ისინი ურჩევდენ ბანკის პროექტის შედგენა სხვათაშორის უფ. ბეს. ღოღობერიძეს მიანდეთო, და ეს პირიც, თავის მხრივ, იმ აზრზე იდგა ვითომ, რომ საზოგადოებისათვის საქმის მინდობა ეთხოვა და თავისი პროექტი 'მარტო იმ აზრის დასამტკიცებლათ წარედგინა, რომ ძლიერ ადვილია იმისთანა პროექტების გადმოწერა და ვადმოკეთება, როგორსაც თქვენ სხვები გიდგენენ და შიგ რვაასრვაას თუმანს გთხოვენო. უფ. ღოღობერიძემ ჩვენთან მოლაპარაკების დროს რამდენჯერმე დაგვარწმუნა, რომ, მისი აზრით, მისი პროექტი მეტისმეტათ ნაკლულევანი რამ არის, და მის დასამტკიცებლათ წარდგენის სურვილი ჩვენ მისთვის არ შეგვიმჩნევია. აი, ამ მიზეზით ჩვენ გვეგონა, რომ მის მოქმედებას, ამ საქმეში, კეთილი შედეგი უნდა ჰქონოდა ჩვენი ბანკის მომავლისათვის.

რა მოხდა და რა არა ამ უკანასკნელ კვირაში არ ვიცი, მაგრამ თბილისიდამ რომ დავბრუნდი გაოცებით შევიტყვე, რომ უფ. ღოღობერიძეს, არათუ თავისი პროექტი წარუდგენია, — ის პროექტი, რომელიც იმას და მის ბიძაშვილებს უხვირო პროექტათ მიაჩნდათ, არამედ ყოველი ღონისძიება უხმარია, რომ ამ პროექტის განხილვაში და დამტკიცებაში როლი მისცემოდა უფ. ნ. ღოღობერიძეს, რომლის მონაწილეობას, ჩვენის აზრით და რწმუნებით, იქნება ვნება მოეტანა ბანკისათვის, და რომელზედაც უფ. ბ. ღოღობერიძემ სიტყვა მოგვცა, რომ იმას „კომისიაში“ ადგილი არ ექნებაო. ამნაირი საქმის წაყვანა, რასაკვირველია, სრულიად შეეფერება უფ. ბ. ღოღობერიძის წარსულ მოქმედებას, და ჩვენ ეს როდი უნდა გვიკვირდეს. მაგრამ, მაინც ეს ისეთი მოქცევაა, რომელიც ყოველგვარ ჩვენ მოლოდინს აჭარბებს...

ამნაირი მოქცევის გამო, ქუთაისის აზნაურობას ხელში შერჩა ისეთი პროექტი, რომლის შემდგენლებიც აშკარათ გამოტეხილი არიან მის უვარგისობაზე... შერჩა ისეთი მოთავეები, რომელნიც აგრეთვე აშკარათ, აგრეთვე უდარდელათ ამბობენ: „ბანკი ხომ კი ჩავიგდეთ ხელშიო!“ და შერჩა უფ. ბ. ღოღობერიძის ოინობა. მოდით, ეხლა, და გაამტყუნეთ ჩვენი უბედური საზოგადოება. მისი უმჯობესი პირები, მისი მოთავენი, მისი „განათლებულები“ იმას, საზოგადო საქმეების წაყვანაში, ამნაირ უპირულების და დაუზოგველობის მაგალითს აძლევენ. იმის წინ ასე ორგულათ იქცევიან, ამგვარ

უემურ ღონისძიებებს ხმარობენ, — რაღა ეკითხოს გაუნათლებლებს და გამოუზდელებს!

დღეს მე ბევრი წერის დრო არა მაქვს, მაგრამ ამ საქმეს მე ხშირად მოუბრუნდები შემდეგში. ეხლა კი მარტო იმას ვიტყვი. რომ ჩვენში ძლიერ ადვილი ყოფილა, უწინ, სახელის და გავლენის დამსახურება. ვინც ბრძნულათ გაჩუმებული იყო, ვისაც ნიადაგ დაფიქრებული პირისახე და უმოძრაო გამოხედულება ჰქონდა. იმს ჩვენი საზოგადოება სიბრძნეს და პატიოსნებას სწამებდა. მათი გაყუჩება, მათი დამჯდარი კრუტუნი იმოდენათ უხვევდა თვალს ჩვენ საზოგადოებას, რომ ის ვერც ამ პირების გაუზომელ უნიჭობას და უვარგისობას ხედავდა, ვერც მათ პირად სარგებლობის ძიებას, ვერც მათი სულის სისუსტეს. ქუთაისის ბანკის საქმის წაყვანას, თუმც ერთის მხრით ის ცუდი შედეგი მოსდევს, რომ ბანკი არ გაიმართება, ან ისე გაიმართება, რომ ვაი იმ გამართვას, მაგრამ მეორეს მხრით ჩვენი საზოგადოებისათვის ის სარგებლობა მოაქვს, რომ ამ ცრუ ბრძენების და ცრუმქადაგებლების სიყალბეს ააშკარავებს, მათ უნიჭობას ყველას აჩვენებს და მათ გავლენას სანიადაგოთ ჰკაფავს. სულ არარაობას ესეც სჯობია, თუმც ეს პირები, მართალი რომ ვთქვათ, იმათ არც კი ღირან, რომ საზოგადოებამ მათ გაცნობისათვის ამოდენა ზარალი ნახოს.

უნდა გენახათ, გუშინ დილას, რანაირათ დაფრინავდენ ჩვენი ცრუ-მქადაგებლები, რა რიგ დახტოდნენ ისინი კიჟინით: „ეს გახლავართ“, „ასე ვიცით“, „რაც გვინდა იმას ვშვრებით“, „ბანკი ხელში ჩავიგდეთ!“ და სხვ. და სხვ. მართლაც იმათ არათუ ბანკი ჩაეგდოთ ხელში, არამედ თითქმის ყველა უეზდებშიც თავიანთი კაცები ამოერჩიათ მარშლებათ და დეპუტატებათ. მაგრამ მათმა უდროო მხიარულებამ და ტრაბახმა, მათი საქციელის და მიზნის გამოაშკარავებამ, გაქვთ სიცოცხლე, იმათ მალე ფეხი მოტეხა! წუხელი მათი სამარშლო კანდიდატი, მათი ბრალით, გააშავეს და მათი წინაალმდეგობის კანდიდატი, დიდი უმრავლესობით მარშლათ ამოირჩიეს.

ეს უკანასკნელი ამბავი მეტის მეტათ სასიამოვნოა: ის გვიმტკიცებს, რომ დღეის იქით მოისპო ჩვენში იმ პირების გავლენა, რომელნიც ახალგაზრდობის სახელით იმ საქციელზე იდგენ, რომ ჩვენი საზოგადოება ზნეობით მახინჯია და ამისგამო ჩვენ, მოთავეები, ზნეობის კანონებს უნდა ვივიწყებდეთ და ორპირობას, გაუტანლობას და თაღლითობას ნიადაგ იარაღად უნდა ვხმარობდეთო, — გაწყდეს მათი სახელი და სახსენებელი.

---

26. იმერეთის ამბები

ქუთაისი, იენისი 1875 წ

(გზა — სიფლის სკოლები რაჭაში — სახლი, ყმაწვილები და სწავლა — რეკრუტებ-და წიგნები — რათ არ სწავლობს ხალხი? — რა უნდა ხალხს? — რა უნდა ჰქნას სამ-გადოებამ? — ჩვენი ნასწავლი კაცების ვალი).

ამას წინეთ მე რაჭაში გამოვიარე. ახჭარებული მოგზაური, რა-საკვირველია, ბევრს ვერაფერს დაინახავდა, ღრმად ვერ ჩახედავდა ხალხის ცხოვრებაში და მის საჭიროებებს კარგათ ვერ გამოიკვ-ლევდა. ამნაირ დანახვას და გამოკვლევას ორ სამ დღეში კი არა, მთელი თვეების და წელიწადების განმავლობაშიაც ვერ ახერხებს კაცი, და მე სრულიადაც ის განზრახვა არა მაქვს, რომ ვთქვა რაჭა და მისი ხალხი კარგათ გავიცანითქო. რაც ვნახე და გავიგონე იმის აწერის მეტი მე არ მინდა, არც შემიძლია. ამის გამო დღეს მე ერთ საგანზე მოგელაპარაკებით, და დანარჩენზე კი ლაპარაკი სხვა დრო-ისა და სხვა ადგილისათვის გადავდვათ.

რაჭაში მოგზაურს ყველაზე უფრო და ყველაზე უწინ გზების ხეირიანი მდგომარეობა აკვირვებს. იმ სახელმწიფო გზის გარდა, რომელსაც სამხედრო — იმერეთის გზა ჰქვია, და რომელიც, — მარ-თალი უნდა თქვას კაცმა, — მეტის-მეტათ შეწუხებულ მდგომარე-ობაშია, დანარჩენი სასოფლო გზები კაცს სწორეთ გულს უხარებენ. ეს გზები გაუჭრიათ თვითონ გლეხებს. ერთობის ფულებით. რაჭვე-ლებმა მითხრეს რომ „მეტის მეტი ჯაფა და შრომა მოგვადგა ჩვენ ამ სასოფლო გზების გაჭრაშიო, მაგრამ ჩიჯავაძე (მაზრის მმართველი) ისეთი კაცია, რომ დაიჯინა კარგი გზები უნდა გაჭრათო და ვეღარ მოაცლევინა კაცმა ფეხი იმ დალოცვილს. ღვთის წინაშე ესეც კი უნდა ვთქვათ, რომ კაი საქმეა გზების გაყვანა. და გაქვთ სიცოცხლე შემდეგში ეს ჩვენ გამოგვადგეს, მაგრამ ეხლა კი, სანამ ვაკეთებთ, დიდი შრომა და შეწუხება გვადგიაო“. თითქმის ერთ და იმავე სიტ-

ყვებს მოჰკრავს კაცი ყურს ყოველგან, თუ კი რაჭველებს გზების კეთებაზე ჩამოუგდო ლაპარაკი.

უშრომოთ, უგაჭირვებოთ ქვეყანაზე არაფერი გაკეთებულა ჯერ, და არა მგონია, რომ დიდხანს კიდევ გაკეთდეს რამე. შემდეგში კი გზების სიკეთე მცხოვრებლებს მეტის-მეტათ გაუადვილებს შრომისა და ცხოვრების სიძნელეს.

მეორე გარემოება, რომელიც იქცევს რაჭაში მოგზაურის ყურადღებას, სასოფლო სასამართლოების და სკოლების სახლების მდგომარეობაა. არსად არც ოსეთში, არც სამეგრელოში და იმერეთში არ მინახავს მე ამისთანა ლაზათიანნ, შნოიანათ გამოჯგიმული და ხეირიანათ გაწყობილი სახლები, როგორც რაჭაში. თითქო საგანგებოთ აუშენებიათ ისინი უკეთესი და უმაღლეს ადგილას, ისე რომ მოგზაური შორიდამ მოჰკრავს იმათ თვალს და შორიდანვე გულს უხარებს იმას მათი ახალი კედლების, დიდრონი ფანჯრების და ჩინებული სახურავის დანახვა. ყველა ერთნაირათაა გაშენებული: ქვედა სართული, შეტკეჩილი და შელესილი, სკოლისათვისაა დანიშნული. ზედა სართულს კი ნათალი ფიცრის კედლები აქვს, ის სოფლის სასამართლოს შეიცავს, და სამ-ოთხ ოთახათაა გაყოფილი. საზოგადოთ ამ სახლებს სუფთა სახე აქვთ შიგნით და გარეთ და ჩვენში რომ იტყვიან „კაი საბატონო სახლიო", სწორეთ იმისთანაები არიან.

ეს სახლებიც გლეხ-კაცობას აუშენებია იმავე თ. ჩიჯავაძის დაჯინებით. რა კარგი იქნება მკითხველო, ჩვენში ამ გვარი კეთილი დაჯინების მეტი სხვა დაჯინება რომ არ შეგვხვდებოდეს!

შევიდეთ სკოლაში. შიგნით სკოლა სწორეთ იმნაირივე სასიამოვნო სანახავია, როგორც გარედგან. შიგ გვარიანათ გაკეთებული საჯდომები და სტოლები დგანან; ერთის მხრით მასწავლებლის ადგილია დატოვებული, მეორე მხრით შავი საწერი ფიცარი. ორი დანარჩენი მხარე ყმაწვილებს უკავიათ. კედლებზე სხვა და სხვა ანაბანასი და ბუნებითი საგნების სურათები ჰკიდია. კუთხეში ბუხარია. ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი გლეხის ხელით გაკეთდებოდა, რასაც რაჭაში მოახერხებდა კაცი, კარგათ და გულის სასიამოვნოთაა გამართული და გაკეთებული.

ყმაწვილების შეხედულება კიდევ უფრო სასიამოვნოა. უმეტესი ნაწილი იმათგანი ცხრა, ათი, თერთმეტი წლის ყმაწვილებია; უმეტეს ნაწილს ცოცხალი პირის სახე, გონიერი თვალები, ნიჭიერი გამოხედულობა აქვს. მასწავლებელი, ალბათ, ყოველთვის უნდა გრძნობდეს, სწავლის დროს, რომ ამისთანა ყმაწვილებზე შრომა დაკარგული არ იქნებაო, და ჩვენი ქვეყნის კაცს ამ ყმაწვილების დანახვა

გულს უნდა უკეთებდეს, იმედს უნდა აძლევდეს უკეთესი მომავლის. და ბედისას. ვისაც ჩვენი ქვეყნის მომავალი არა სწამს, ვისაც ჩვენი ხალხი გაგიჟებით არ უყვარს, მოვიდეს ის ამისთანა სკოლაში, დააკვირდეს ამ ყმაწვილებს, და თუ მისი გული იმედით და სიყვარულით არ აივსოს, ცუდი კაცი დამიძახოს...

ამ აღტაცებამ როდი მომიშალა ორიოდე ყმაწვილისათვის წამეკითხვინება. რამდენიმე გვერდი ჩემი ამორჩევით. კითხვით ისინი გვარიანათ კი არა კარგათა კითხულობენ და მათი წერაც რომ ისე კარგათ მიდიოდეს, როგორც კითხვა, უკეთეს ვერას ისურვებს კაცი. ერთი სიტყვით საქმე ამ მხრით ძლიერ და ძლიერ კარგათ მიდის, სხვაგან თუ არა, რაჭაში მაინც.

მაგრამ ამ სასიამოვნო მოვლენასაც თავის სამწუხარო მხარე აქვს, და ამ მხარეს მე ეხლავე აგიწერთ, იმავე გულწრფელობით, როგორითაც კარგი გამოგიხატეთ.

პირველი სამწუხარო საგანი — სწორეთ ის ანბანის და ბუნებითი საგნების სურათებია, რომელიც სკოლებში კედლებზე ჰკიდია. ეს სურათები საძაგლათ გაკეთებული და უხეიროთ დახატულები, და რუსები რომ იტყვიან — рубаночной работы — სწორეთ ამისთანები არიან. კაცს ერთი შეხედვის მეტი არა სჭირია, მაშინვე მიხვდება, რომ ამ გვარ სურათებს გაჰვირებულათ ღარიბი სკოლის მეტი არავინ მიაკრავდაო.

მეორე სამწუხარო საგანი: ყმაწვილებს ძლიერ ცოტა რვეულები და წიგნები აქვთ. ოთხ-ხუთს, ხანდისხან მეტსაც, ერთი წიგნი ხვდება. ეს გარემოება, რასაკვირველია, მეტის-მეტათ აძნელებს სწავლას, და რაღა თქმა უნდა, რომ ამ მხრით სოფელი და მაზრა ბევრს ვერაფერს მოახერხებდა. ქაღალდი და წიგნი სოფელში ძვირობს, სოფლის ხალხს მათი შეძენა უჭირს, ის მდიდარია ხე-ტყით, პიროვანი შრომით, მაგრამ ფული სადაა, ვისა აქვს? ბევრმა გლეხმა მითხრა „ბაღნებს წიგნები რომ ჰქონდეთ ქვე რა გვიჭირსო, მაგრამ წიგნს ჩვენი კაცი სად იშოვისო“.

მესამე და უმთავრესი სამწუხარო საგანი იმაში მდგომარეობს, რომ სკოლებში ძლიერ ცოტა ყმაწვილი დაიარება. ს. წესის საზოგადოების სკოლაში, მაგალითად, სადაც (თუ კარგათ მახსოვს) ას ორმოცი მოსახლე ითვლება. დაიარება მარტო ოცდაოთხი ყმაწვილი. ნიკორ-წმინდის სკოლაში — ორმოცდაექვსი, ორას ორმოცდათზე მეტი მოსახლიდგან. ერთიანათ რომ იანგარიშოს კაცმა რაჭველი ყმაწვილების რიცხვი, გამოვა რომ სკოლებში ათი ყმაწვილიდგან სწორეთ ერთი დაიარება. მე მინდოდა ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი შემეტყო, და ვისაც კი ვკითხე მისი ახსნა, ყველამ

ერთიანათ მიპასუხა: „ბოვშის საშკოლოთ გამოწყობის, წიგნების ყიდვის, ჩაცმა-დახურვის შეძლება არა გვაქვსო, ბოვში ჩვენ შინ გვჭირია, მწყემსათ თუ სამუშაოთო“. ჩაცმა-დახურვაზე იმას ვიტყვი, რომ სკოლა როდი თხოულობს, რომ ყმაწვილი გამოწკიპული იყოს. სკოლაში ნანახი ყმაწვილები საზოგადოთ სოფლულათ იყვნენ ჩაცმული, ზოგი რაში და ზოგი როგორ, ისე, რომ ჩაცმა-დახურვის დაბრკოლება დიდი არაფერია. უფრო შესანიშნავია ის გარემოება, რომ „ბოვში ჩვენ შინ გვჭირია, მწყემსათ და სამუშაოთო“. მაგრამ ეს ისეთი მძიმე კითხვაა, რომ ორიოდე სტრიქონით მისი გამოკვლევა არ შეიძლება...

აი, რა გაუკეთებია ხალხს. რა კეთილი და ჩინებული საქმე მოუხდენია იმას და რამდენი შეძლებია ერთი მოსამსახურე პირის ენერგიას, ან. როგორც რაჭაში ამბობენ, „დ ა ჯ ი ნ ე ბ ა ს“. ახლა მე თქვენ გკითხავთ, ამ საქმეზე განა მარტო მაზრის მმართველი უნდა ზრუნავდეს? განა არავის მოვალეობაა იმათი დახმარება და ხელის გაწყობა?

სხვა ქვეყნებში შემძლე საზოგადოება თვითონ თავის ხარჯით ხსნის ხოლმე სკოლებს, და თითქმის ყოველგან გახსნილ სკოლებს სხვა და სხვა ნაირ შემწეობას აძლევს. არათუ საზღვარს გარეთ, თვითონ რუსეთშიაც კაი ხანია, რაც გამართულა ასეთი საზოგადოება (Комитет грамстности), რომელიც თავის ხარჯით ბეჭდავს და სხვისგან დანაბეჭდი სახელმძღვანელო წიგნებს ყიდულობს, სახალხო სკოლებში უფასოთ, ან იაფ ფასათ, დასარიგებლათ. რა იქნებოდა, ვითომ ჩვენშიაც რომ გამართულიყო და დაწყებულიყო ამ ნაირივე საქმე? განა დიდი რამ უნდა მის კეთილათ წაყვანას? განა მოიძებნება ჩვენში იმისთანა უემური პირი, რომელიც ამისთანა საქმეს ერთ-ორ აბაზს და თითო ოროლა მანეთს არ შესწირავდა წელიწადში, თუ რომ ხეირიანი პირები ამ საქმეს მტკიცეთ შეუდგებოდენ და ყველას, ერთათ და ცალ-ცალკე, შემწეობას და დახმარებას მოთხოვდენ? ვითომ ძნელი ჩასაგონებელია ჩვენებური შემძლე საზოგადრებისათვის, რომ რაც უფრო გონება გახსნილი და განათლებულია ხალხი, მით უკეთესი მდგომარეობა და ცხოვრება იქნება. უმაღლეს საზოგადოებას? არა, ამ საქმეს, ვისმე მისი დაწყება რომ მოენდომა, ჩინებული გავლენა და მომავალი მოელოდა, მაგრამ არც ერთს ჩვენს ყმაწვილებთაგანს ამისთანა სასარგებლო, აუცილებლათ საჭირო და ადვილი შრომა და ტვირთი არ უკისრია.

გაიხსენეთ ეხლა, რამდენია ჩვენში ისეთი „განათლებული“ ახალგაზრდა, რომელიც ჩვენი ხალხის ხარჯით გამოზრდილა, სწავლა მიუღია და რუსეთში გაგზავნილა, რომელთაც ჩვენივე ხალხის ფუ-

ლებით ის ვითომ „უმაღლესი“ სწავლა მიუღიათ, რომელმაც იმათ მომავლის და დიდ-კაცობის კარები დაუფელა. გაიხსენეთ რამდენს ამისთანა ახალგაზრდას აქვს ჩვენში დღეს. ას-ასი და ორას-ორასი თუმანი ჯამაგირათ, და მითხარით ასი ფარა გადაუდვიათ ამ ვაჟბატონებს იმ ხალხის დასახმარებლათ, რომელმაც ისინი გამოზარდა და კაცათ გამოიყვანა, რომელმაც თავისი დამშეული ხელით მონაგები ფული იმათ დაახარჯა და დღესაც მათ ძმებს და ნათესავებს ახარჯებს? ხომ არა? და დღეს, როცა ხალხი თვითონ თავისი შვილების გაზრდას და სწავლას იწყებს, ეს უმადური და უგვერდული ყმაწვილები გულხელდაკრეფილი რჩებიან. თითქო იმათ არაფერი ვალი ემართოთ ხალხისა, თითქო მათი სინდისი არც ერთხელ იმათ არ ამხელდეს და არ ეუბნებოდეს: ამ მშრომელი და კეთილათ მონდომილი ხალხის დახმარება, მისი შვილების აღზრდის გაადვილება თქვენი აუცილებელი ვალიაო...

მაგრამ როგორ არ იფიქროს კაცმა, რომ იქნება ღმერთს ამისთანა ვაჟბატონების გაჩენის დროს სინდისის დატანება დავიწყებოდეს?

გაკვრა-გამოკვრა

ზოგისგან ნაქები, სხვებისგან ნალანძღი, მე სულელებს მასხრად ვიგდებ, ბოროტებს ვებრძვი და ვცდილობ ყველაფერზე ვიცინო, რომ ტირილი არ მომერიოს.

ბომარშე.

დღეს ვიცინოთ.

ვიცინოთ ჯერ ინგლისის პარლამენტის ბრძენ წევრებზე, რომელთაც ამ ათი დღის წინ გადაწყვეტილება მიუღიათ — ევროპაში მედიატორების სასამართლო დაარსდეს სახელმწიფოებს შუა დავის გასარჩევათო.

ერთი ნეტავი ვიცოდე რა ნაირათ იმოქმედებს ეს სასამართლო, ვინიცობაა სხვა სახელმწიფოებიც რომ ინგლისის მმართებლობას დაეთანხმონ და სასამართლო მართლაც რომ გაიმართოს? რა კანონები და წესი ექნება იმას სახელმძღვანელოთ, როგორ გადაწყვეტილებებს დასწერს, როგორ და ვის აასრულებინებს თავის გადაწყვეტილებებს, რით დაიცავს ღირსებას?

იმის ეშვი მე სიზმარშიაც არ მომივა, რომ ამ სასამართლოს მაღალ-ღირსოვანი და უფრო მაღალ-ხარისხოვანი წევრები ბლომათ ეყოლება. ღვთის მადლით, არც ადვოკატებში იქნება ნაკლულევანება (მარტო ქუთაისელი ადვოკატები შვიდ მაგისთანა სასამართლოს აუვლენ), არც სეკრეტრებში. მაგრამ რას დასწერენ ეს სეკრეტრები, რას მოაწერენ ხელს ეს წევრები, აი რისი გაგება მიძნელდება.

თუ ეს ახალი სასამართლო ძველ ხალხთა-შორისო დამოკიდებულებას დაადგა, მისი გადაწყვეტილება აი როგორ იქნება დაწერილი:

„ევროპის საზოგადო აზრის უქაზით, ათას რვაას ამა და ამ წელს ამა და ამ თვესა და რიცხვს, ევროპის ხალხთა-შორისმა სამჯავრომ განიხილა საქმე მისის იმპერატორებითი უმაღლესობის ბრწყინვალე პორტის ბრძანებელის (სახელი და ნომერი) და მისი კოროლური დიდებულების საბერძნეთის მეფის (აგრეთვე სახელი და ნომერი) — ს ა ქ მ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ე ბ ი: საბერძნეთის მეფემ (და სხვ.) ამა და ამ რიცხვს საჩივარი შემოიტანა, რომ მისმა ძლიერმა

მეზობელმა, საბერძნეთის საზღვრებზე, დიდ ძალი ჯარი მოაგროვა, რომელიც ნიადაგ თითქო საბერძნეთის აკლებას აპირებსო. თვითონ ოსმალოიდამ საბერძნეთს ბევრი ავაზაკები აოხრებენ, რომელთ რიცხვში ოსმალეთში მმართველობა არც თვითონ იჭერს იმ ავაზაკებს, არც საბერძნეთის მოსამსახურე პირებს მათ დაჭერას ანებებსო. ამის გამო, საბერძნეთი თხოულობს, რომ სასამართლომ ოსმალეთს ავაზაკების დაჭერა თუ არა, ხეირიანი კარდონის ხაზის გამართვა მაინც უბრძანოს. ამ საჩივარზე წინააღმდეგმა მხარემ დაწესებულ ვადაზე პასუხი შემოიტანა, რომ ეს ყველაფერი ტყუილიაო. განიხილა რა ამ საქმის გარემოებები და მოისმინა რა ორივე მხარის ვექილები, ევროპის ხალხთა-შორისმა სამსჯავრომ გადაწყვიტა:

თანახმად 456 და 286 გვერდისა

The Stateman's lear—book for 1873.
by Frederick Martin (London, 1873)

და შემდეგი ხალხთა შორის კანონების მიხედვით:

Hand—buch der vergleichenden Statistik, von G. F. kobb (Leipzig, 1871). L'Europe politique et sociale, par Maurice Block (Paris, 1870).

და სხვ. და სხვ. და სხვ.

„მივიღებთ რა მხედველობაში, რომ ოსმალეთს ყავს ომისთვის დამარაგებული ჯარი რიცხვით ოთხას ორმოცდა ცხრამეტი ათას სამას სამოცი კაცი (459,360), მაშინ, როდესაც საბერძნეთს მარტო რვა ათას ოთხას ორმოცდა ჩვიდმეტი მხედარი ჰყავს (8,457), ვაწესებთ: უარი ეთქვას საბერძნეთს მის საჩივარზე და გადახდეს მას, ოსმალეთის სასარგებლოთ, სამართლის ხარჯი და გარდასახადი, როგორც ნაჩვენებია კანონში“.

კარგია, კიდევ, თუ აბისთანა ღონიერი გადაწყვეტილება დაიდვა, თორემ წარმოვიდგინოთ, აბა, რა მოვა და რა მოხდება, ხალხთა-შორისმა სამსჯავრომ ოსმალეთი რომ გაამტყუნოს და საბერძნეთის სასარგებლოთ საქმე გადაწყვიტოს. დასწერს სასამართლო გადაწყვეტილებას და გაგზავნის პრისტავის ხელით „ისპოლნიტელნი ლისტს“ ოსმალეთს, ასრულებაში მოსაყვანათ... რა ამბავი და ხამბარი მოხდება მაშინ, ამას გვიამბობს ჩვენ შემდეგი ნაწყვეტი.

* * *

ჯითიშარის ქვეყანაში, რომლის ელჩი — ტურაფჰაჯი (თუ ტურაქაჯი), როგორც «голосъ»[12] სწერს (№ 177) ეხლა რუსეთში მოდის, ამას წინეთ ერთი სასაცილო ამბავი მომხდარა. იქაურ სასამართლოს გადაუწყვეტია თურმე ერთი საჩივარი და ვიღაც ემილ-ახვარხანზე ათი ათასი მარჩილის გადასახადი დაუდვია. წასულა პრისტა-

ვი ამ გადაწყვეტილების აღსრულებაში მოსაყვანათ. მაგრამ სადაური სასამართლო, სადაური გადასახადიო, უთქვამს ემილ-ახვარ-ხანს პრისტავისაგან; ორიოდე გაბურებული პანღური უჭმევია და დალურჯებული უკან გამოუსტუმრებია. გამობრუნებულა ჩემი პრისტავი და სასამართლოს თავმჯდომარე ტურაფ-ჰაჯისთვის (თუ ტურა-ქაჯისთვის) საჩივარი მიურთმევია, ასე და ასეო. ბევრი მცემესო: ამასობაში ემილ-ახვარ-ხანს ტურაფ-ჰაჯისათვის (თუ ტურა-ქაჯისათვის) ქალები და ნათესავები მიუგზავნია, ასე და ასეო, როგორ იქნებაო, ჩვენ უბრალო ვინმე ხომ არა ვართო, დიდი კაცის შვილები ვართო, გვარს რათ გვირცხვენთო, თქვენც ხომ ჩემო ბატონო, დიდი კაცი ბრძანდებითო და სხვ. და სხვ. და ბოლოს, რაღა გავაწილადებილო, ტურაფ-ჰაჯის ბრძანება გამოუცია: პრისტავი დანაშაულია, რომ იმას ბევრი სცემესო და ამისთვის სამსახურიდან დამითხოვიაო.

ვაი თუ ევროპის ხალხთა-შორისი სამსჯავროს თავმჯდომარესაც ამისთანა ბრძანებების გამოცემა დასჭირდეს...

* * *

პრისტავზე და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე გამახსენდა. ამას წინეთ ვიღაც ახირებულ ნადვორნი სოვეტნიკს (რა ახირებული ხალხია ეს ნადვორნი სოვეტნიკები!). უფ. ტიტოვს, პეტერბურგის ოლქის სასამართლოში საჩივარი შეუტანია. ცოლი გამექცა და დამიბრუნეთო. რასაკვირველია, ოლქის სასამართლოს აბა რა ენაღვლებოდა, მაშინვე გადაუწყვეტია უფ. ნადვორნი სოვეტნიკს ტიტოვს ცოლი დაუბრუნდესო. წაუყვანია ამ დალოცვილს პრისტავი, მოუძებნია ცოლი და მიუყვანია თავის სახლში. ცოლი. — ამას რაღა თქმა უნდა. — მეორე დღესვე გამოქცეულა, და ახირებული ნადვორნი სოვეტნიკი მაშინვე წასულა, — მაგრამ ეკლესიაში კი არა პარაკლისის გადასახდელათ, — სუდში შევარდნილა და ხელახალი საჩივარი შეუტანია. ცოლი ისევ მომიყვანეთო. ვინ იცის, იქნება ამ საჩივარში ის ეწერა, ჩემმა ცოლმა წუხელი არ მაკოცნინა და განკარგულება ჰქენით მაკოცნინოსო. სუდს უარი უთქვამს, ეს ჩვენი საქმე არ არისო: რაკი გადაგიწყვიტეთ, რომ ცოლი შენთან იდგესო, როგორც გინდა ისე მოიქეცი და ის საშუალება იხმარე, რომ ცოლი სხვა დროს აღარ გაგექცესო.

უფ. ნადვორნი სოვეტნიკი ტიტოვი ახირებული ნადვორნი სოვეტნიკი რომ არ ყოფილიყო და ცოტაოდენი ჭკუა თავში ჰქონოდა, აი რას ეტყოდა სასამართლოს: „თქვე დალოცვილებო, იმისთანა საშუალებების ხმარება რომ შემეძლოს, რომ ცოლი არ გამქცეოდა, არც უწინ გაუშვებდი და არც თქვენთან პირველს საჩივარს შემოვიტანდი. და რაკი ერთხელ ის საჩივარი შემოვიტანე, სჩანს რომ იმ

საშუალებების ხმარება არ მცოდნია. თუ რამ შეგიძლიათ თქვენ მიშველეთო...“

ვიმეორებ, ვაი თუ ამისთანა ამბები ევროპის ხალხთა-შორისს სამჯავროსაც დაემართოს.

რაკი დღეს სულ სასამართლოებზე გვაქვს ლაპარაკი, ორიოდე სიტყვა ზოგიერთ გამომძიებლებზედაც ვთქვათ. პეტერბურგული გაზეთის „ბირჟის“ კორრესპონდენტი იწერება ტაშკენტიდამ, რომ იქ ამ მოკლე ხანში ერთ აფიცერს, უფ. ემანს მთავრობისთვის განცხადება შეუტანია, რომელშიაც ამბობდა თურმე, რომ ჩემი უფროსებისგან მობარებული ხუთასი თუმანი მომქონდა, გზაზე ყირგიზები დამხვდენ და გამცარცვესო. რასაკვირველია, დაუნიშნავთ მაშინვე ამ საგანზე ფიცხელი გამოძიება და გამომძიებელს საქმე ისე წაუყვანია, რომ რვა კაცი ამ ავაზაკობაში გამოტეხილა: კი ბატონო, ჩვენა ვართ დანაშაული, ემანი ჩვენ გავცარცვეთ და ფულები ჩვენ წავართვითო. ამის შემდეგ ეს რვა ავაზაკი სამხედრო სამართალში მიუციათ და საქმე იმათი დახვრეტით, თუ დაკარგვით თავდებოდა, როცა უფ. ემანმა თავი მოიკლა და წიგნი დასტოვა — ის ფულები ჩემთვის არავის წაურთმევია, მე თვითონ ვიჯიბე და მოვიგონე გაძარცვაო. რვა „ავაზაკი“ ალბათ გაუთავისუფლებიათ, მაგრამ გაზეთში როდი სწერია, რომ იმათ მაგიერ სამხედრო სამართალში მიეცათ ის გამომძიებელი, რომელმაც ასე დარდიმანდულათ მოახერხა საქმის წაყვანა, რომ რვა უმანკო კაცს ათქმევინა, — ალბათ ალერსით, — ჩვენ გავცარცვეთ უფ. ემანიო.

*

სამართლის საქმეს შეეხება აგრეთვე, ის ამბავი, რომელზედაც ამ უკანასკნელ კვირაში რუსულ გაზეთებში ბევრი ლაპარაკი იყო. პოსკოვში დოქტორს შტეინმანს ექიმების კრების წინ ლექცია წაუკითხავს ახალნაირ ჭკუის შეშლაზე და დასამტკიცებლათ თვითონ ჭკუა შეშლილებიც წარმოუდგენია. ამ ახალ ჭკუა შეშლილობისთვის იმას სახელათ „ჩვილის მოყვარული ჭკუა-შეშლილობა“ დაურქმევია («Сутяжное умопомешательство»). მისი თვითმყოფები დღე და ღამ თურმე მარტო იმას შვრებიან, რომ სხვადასხვა საჩივრებს, დანოსებს და კლიაუზებს სწერენ და მთავრობას უგზავნიან, — აქაოდა ამა და ამ კაცმა ქონება წამართვაო, ამან ეს თქვაო, იმან ისაო და სხვ. და სხვ. გაზეთები სწერენ, რომ უფ. შტეინმანის ლექცია ძლიერ შესანიშნავი რამ იყოო, და ეს ახალ ნაირი ჭკუა-შეშლილობა ჩვენი სასამართლოების ბრალიაო.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ უფ. შტეინმანმა როდესმე ჩვენსკენ გამოისეირნოს. თორემ დაბოჭავს ბატონებო, მთელ ჩვენ ბაზრებს და მოსკოვში წაყვანას მოუნდომებს, ახალი ლექციების წასაკითხავად და ახალი დამტკიცებების წარმოსადგენათ... რუსულ გაზეთში რომ ახალნაირი ჭკუა-შეშლილების საჩივრებია მოყვანილი, თუ ღმერთი გწამთ, აბა რითი სჯობიან ისინი აი ამ საჩივარს, რომელიც ერთმა ჩვენმა ვექილმა ამას წინეთ ერთ თავმჯდომარეს მიართვა? აი ეს საჩივარი:

„რადგანაც რომ ვინაიდგან ძალითა დროებითა დახურულობასა შინა კამისიისა და იმისთანა ნივთებთა ზედა რომელნიც არ ლაპარაკებულამ და თანასწორ პროტოკოლი შედგენილა საკუთარს ოთახში და შემდეგ დროებითა დახურვისა პიროვნად წინამჯდომელისაგან კრებისა მაშასადამე ვთხოვ აწმდგომარე განცხადებას „შეეზიაროს საქმისადმი მოსაქცეველათ დარღვეულობისათვის კანონისა 18 ივნისს 1873 წლისა“.

* *

ცოტა ახალი ამბებიც მოვისმინოთ: გუშინწინ თბილისში დოქტორმა სკანდელმა ლექცია წაიკითხა სულ ახალ შემჩნეულ ჭკუა შეშლილობაზე, და თავისი შენიშვნების დამამტკიცებელი მაგალითები და ავადმყოფები წარმოადგინა... ეს ახალი ავადმყოფობა „დიდ-კაცურ ჭკუა-შეშლაში“ მდგომარეობს (Manio chartae Libertatum) სხვათაშორის დოქტორმა წაიკითხა ერთი გენერლისაგან დაწერილი წიგნი, რომელიც მოჰყავს აგრეთვე რუსულ გაზეთს „ხმას“ (№ 178). აი ეს წიგნი:

„მოწყალეო ხელმწიფევ, პავლე ფილიპიჩ! წერილი თქვენი გამოგზავნილი ამ წლის 8 ივნისს დანიშვნასა ზედა ჩემსა კამისრად, შემთხვევისათვის ხოლერის გაჩენისა, რათა ვიზედამხედველო დროსა გაწმენდისა სანარეცხო ორმოთა და სხვათა ეზოების უწმინდურებათა, მე მივიღე, რომელსაზედა გიპასუხებთ, რომ ტაგანროგის (ერობის) უპრავს არა აქვს უფლება დანიშვნისა სამოც წლოვანი გენერლებისა ამ გვართა თანამდებობათა ზედა და თუმცაღა უპრავა პატივს არა სცემს ჩინებსა, შეძენილთა მრავალ-წლოვანის სახელმწიფო სამსახურითა, მაშ მმართველობა პატივს დასდებს ხნოვანებასა და შეეწევა ჩვენსა წოდებასა.

გაშტერებული უპრავის უზრდელობითა, დავშთები თქვენი მორჩილი გენერალი პ ლ ა ტ ო ნ ო ვ ი“.

ღმერთო, რამდენი მოწაფე გამოზდია დოქტორს კრუპოვს, რომელიც აგერ ოცდა ხუთი წელიწადია ამტკიცებს, რომ არა თუ რომელიმე კერძო წოდება ან პირი, მთელი საზოგადოება ერთნაირათ ჭკუა შეშლილი და ჩერჩეტი არისო!

28. პასუხი იაკინთე ყიფიანს

შვიდი წელიწადი რომ სწეროს უფ. ბეს. ღოღობერიძემ თავისი პასუხი ჩემს „იმერეთის ამბებზე“[43], იმისთანა „ბრალდებით წერილს“ ვერ დასწერს, როგორიც თქვენ შეგიდგენია. არ ვიცი ვსცდები მე ამ შემთხვევაში თუ არა, მაგრამ მგონია კი, რომ თქვენი ნაწერის ძლიერება და საფუძვლიანობა იმაში მდგომარეობს, რომ თქვენი პირით უნდა ლაპარაკობდეს ჩვენი აზნაურობა, და თქვენგან გამოთქმული ჩვენი გაჰკიცხვა და გამტყუნება სწორეთ იმ მოაზრებაზე დამყარებულათ მიმაჩნია, როგორიც ჩვენებურს ადგილის-მეპატრონეს თავში უნდა უჯდეს. აი რისთვის „დროებამ“ ადგილი მისცა თქვენს ნაწერს და მე მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს გულწრფელი პასუხი დაგიბეჭდოთ თქვენ გამტყუნებაზე.

თქვენ თვითონ ამბობთ, რომ ამ საქმეს თქვენ სჯით ისე, როგორც გონიერს ან ნიჭიერს, მაგრამ გამოუცდელ ან უსწავლელ კაცს შეუძლია. ნუ დამემდურებით, მაშ, თუ მე თქვენ ორიოდე სიტყვით აგიხსნით ჩვენს მოქმედებას, იმ საქციელის და მოვალეობის გამოხატვით, რომელიც ნიადაგ მხედველობაში უნდა ჰქონდეს ჩვენ მსგავს მოქმედ პირს, — მწერალს და პუბლიცისტს.

პუბლიცისტის დანიშნულება ქვეყანაში მარტო იმაში მდგომარეობს, რომ იცოდეს თავისი ხალხისა და საზოგადოების მოთხოვნილება და საჭიროებები და მათი გამოსადეგი საშუალებების გამოძებნა და ჩვენება შეეძლოს. ის გულმოდგინეთ უნდა აკვირდებოდეს თანამედროვე ცხოვრებას და საქმეებს და გულწრფელათ თავის აზრს გამოთქვამდეს ამ საგნებზე, გამოთქვამდეს როგორც კი მოახერხებს, მძიმეთ თუ მსუბუქი გაკვრით, დალაგებით თუ დაცინვით, — სულ ერთია, მაგრამ ისე კი, რომ მისმა ნათქვამმა საზოგადოების ყურამდი მიაწიოს და საზოგადოების ტვინში კვალი დასტოვოს. ამნაირათ გაუგია პუბლიცისტის დანიშნულება ყველა მწერლებს, ყველა საზოგადოებებს.

არც ერთ ქვეყანაში არავის თავში აზრათაც არ მოსვლია მოეთხოვა, რომ პუბლიცისტს თავისი აზრის გამოთქმა უიმისოთ არ შესძლებოდა, თუ თვითონვე გარჩეული და გაკიცხული საგნის და მოვ-

ლენის მაგიერის გაჩენა და შედგენა არ მოეხერხებინა. როცა ჭე

ერთი ლექსით და დაცინვით რომელიმე პოლიტიკური მოქმედი პირის ან მწერლის ორმოცი წლის შრომას ჰკლავდა და აძაგებდა, როცა ბორნე გერმანიის წესდებულებას მასხარათ იგდებდა, როცა პრევო-პარადოლი ნაპოლეონის მოქმედებას და მიზანს ერთი შედარებით და სურათით ჰკაფავდა, როცა დობროლიუბოვი რკინის გზების მშენებლობის ხარბობას და უსინდისობას ააშკარებდა, არავის არ უთქვამს ჰეინესთვის — მენცელის თსზულებებისთანა[44]. ისტორია დასწერე და მერე იცინეო, არც ბორნესთვის — ჯერ უკეთესი კონსტიტუცია შეუდგინე გერმანიას და მერმე ეხლანდელი გაჰკიცხეო, არც პრევო-პარადოლისთვის — ჯერ იმპერატორათ გახდი და მერმე ნაპოლეონს დავაში შეებიო, არც დობროლიუბოვისთვის — ჯერ მილიონები მოიგე და რკინის გზის კონცესია აიღე და მერმე კოკორევის და გუბონინის მოქმედებას გაკიცხვის დაღი დაასვიო. ბელინსკის ვოდევილიც არ დაუწერია თავის სიცოცხლეში, და სხვების ნაწერის გარჩევის და დაფასების მეტი არა უქნია რა. მაგრამ იმის შრომა მაინც იმოდენათ სარგებლიანი იყო რუსული მწერლობისათვის, რომ ის არც პუშკინის, არც გოგოლის ნაკლებ არავის მიაჩხია. ასეა ყოველგან, და დიდი უშველებელი უსაფუძვლოებაა პუბლიცისტს რომ უთხრას კაცმა — ხმას ნუ ამოიღებ, სანამ იმ საგნის მაგიერს არ მოძებნი, რომელიც შენი სინდისისა და გონების რწმუნებას შენთვის გაკიცხვის და ძაგების ღირსათ უჩვენებიაო.

მეორე მოვალეობა პუბლიცისტისა იმაში მდგომარეობს, რომ თავის დღეში საზოგადოებას იმისთანა რჩევა არ მისცეს, რომელმაც საზოგადოებას ავნოს ან საქმე გაუმრუდოს, თავის დღეში საზოგადოებაში გავლენა არ მოაპოებინოს იმისთანა პირებს, რომელთაც, მისი მტკიცე რწმუნებით, საზოგადოებისთვის ვნებისა და დაჩაგვრის მოტანა შეეძლებათ. ამ საქმეში პუბლიცისტი სინდისის და შემდეგი თაობის წინაა პასუხისმგებელი, და ეს პასუხის გება, დამიჯერეთ, უფრო მძიმე და საშინელია, ვინემ სისხლის სამართალი თავისი კატორგით და თუნდ დახვრეტითაც. გულითადად მებრალება ვისაც ეს არ ესმის, და ვისაც ამ პასუხის გების გახსენებასთან, ვისაც ამ მოვალეობის ასრულებასთან ან მეგობრობა, ან წვრილმანი პიროვანი გაწყობილება, სიამოვნება თუ უკმაყოფილება, ახსოვს და გულში აქვს...

იქონიეთ მხედველობაში ეს დანიშნულება პუბლიცისტისა, და გადახედეთ, ეხლა, ჩვენს მოქმედებას ქუთაისის ბანკის თაობაზე.

ბეჭდვითა და სიტყვით ჩვენ ვსცდილობდით, რომ ქუთაისის აზნაურობას ხეირიანი, მომავლიანი, მტკიცე ბანკი გამართოდა. გარდა-

იკითხეთ ამ საგანზე ჩვენი ნაწერი (მაგალითად „დროება“ 1870 № 17 და 1873 № 21)[43] და ნახავთ, რომ ამ საქმეში ჩვენ არ დაგვიგვიწყნია პუბლიცისტის მოვალეობის სიმძიმე. შემდეგში, როცა ჩვენი საზოგადოების მოთავეები ყველა მხრით იმას გვეუბნებოდენ, დაგვეხმარეთ, ხელი გაგვიწყეთო, უსტავი დაგვიწერეთო, როცა საქმე უკანასკნელ მდგომარეობაში იყო მისული, ჩვენ ვთქვით: — მიანდეთ ეგ საქმე ორიოდ-სამ ახალგაზდას, ისეთს, რომ მაინი გონება ნიადაგ პარტიული ბრძოლის სარგებლობაზე არ ჰფიქრობდეს, და ვისაც ცოტაოდენი რამე ესმის ჩვენს ახალგაზდობაში ყველა ერთიანათ დაეხმარება ამ პირებს, თავის შრომას და ცოდნას გაუზიარებს და გამოვა ხეირიანი უსტავი, მომავლიანი ბანკის დედა-ბოძი და საფუძველი. ჩვენ იმოდენათ გულწრფელათ ვიქცეოდით ამ გარემოებაში, რომ სხვისგან სხვანაირ მოქცევას და განსზრახვას არც კი ველოდით. და კერძოობით მოლაპარაკების დროს ჩვენ ყველა მოთავეებს ამ სიტყვებს ვეუბნებოდით: „მიანდეთ ეგ საქმე ბეს. ლოლობერიძეს, კ. ლორთქიფანიძეს, ერთს კიდევ ვისმე, ვინც გინდოდესთ მანდაურ ახალგაზდებთაგანს. მაგალითად ან. ლორთქიფანიძეს, და რაც კი ჩვენ რამე ვიცით, რისი მიგნება გვაქვს ან რასაც ჩვენი რუსეთელი და სამზღვარ-გარეთელი მეგობრები მიაგნებენ, შეავგროვებთ, გავშინჯავთ და თქვენგან ამორჩეულ პირებს გაუზიარებთ. სხვანაირათ უსტავის შედგენა შეცდომაა, საქმის საბოლოოთ წახდენაა“. მიაკითხეთ ქუთაისს ვისაც გსურდეთ, და შეიტყვეთ, ასე იყო ეს თუ არა? კითხეთ კიდევ, თანასმა იყო ამაზე უფ. ბ. ლოლობერიძე თუ არა, და თუ ეს ასე არ ყოფილიყოს შერცხვენილი და სახელგატეხილი ვიქნები მე საზოგადოების და ახალთაობის წინაშე.

მაგრამ თქვენ ამ დროს ქუთაისში არ ყოფილხართ. თქვენ თფილისში იყავით, როცა ეს საქმეები ქუთაისში მზადდებოდა. ეხლა მე მინდა დაგიმტკიცო, რომ თფილისშიაც შეგეძლოთ თქვენ დაგენახათ, რომ სწორეთ ამნაირი იყო ჩვენი საქციელი.

აი რას ვწერდით ჩვენ მაისის დამლევს („დროება“ 1873 № 21):

„ჩვენი საზოგადოება რამე ისეთ დახლართულ, ნაკუწ-ნაკუწათ დაკერებულ პროექტს მიიღებს, რომ ბანკის საქმე სანიადაგოთ დაღუპული იქნება, და იმასაც კი ვერ გაიგებს, რომ თუ ჩვენში ბანკი ერთხელვე დასაწყისში ცუდათ წავიდა, ხარ-კამბეჩითაც ველარ ააყენებს კაცი ჩვენი ქვეყნის დაცემულ კრედიტს და დაფუკულ ბანკს.

„ამაში ჩვენ თითქმის დარწმუნებული ვართ. ჩვენ ვიცით, ამას გარდა, რომ ქუთაისში ეხლა საქმე განსაკუთრებით მძიმე და დახლართულია სულ სხვა მხრითაც. ბანკს ჩვენში ბევრი ძლიერ შეშ-

ლე მოწინააღმდეგე ჰყავს, რომელნიც მომავალ პროექტს თვალ გამოუყენეთ შეჩერებიან, რომ რამე კვანტი გამოდონ და საქმე ორიოდ სამი წლით კიდევ დაბრკოლონ... აზნაურობა ამ ორ მახეში ჩავარდნას უნდა ერიდოს, თორემ საქმე უარესათ დაებურდება. აჩქარებით, ორ-სამ დღეში, ამისთანა ძნელი საქმე ვერ გარიგდება. ამ ძნელ და საშინელ გაჭირვებაში ჩვენ საზოგადოებას გონიერი საქციელი სჭირია, ისეთი, რომ მომავალ თაობას ჩვენი ლანძღვით ხსენება და გინება არ შეეძლოს, რომ ჩვენ, შემდეგში, ჩვენი შვილების წინ თავის დაღუნვა და გაწითლება არ დაგვჭირდეს. აი, ამ მძიმე მდგომარეობის და საშინელი პასუხის-გების მიხედვით, ჩვენ მოვალეობათ ვრაცხთ სინდისის წინ, ორიოდე გულწრფელი რჩევა მივცეთ როგორც ჩვენ საზოგადოებას, ისე ჩვენ ახალგაზდა მოთავეებს. გამოდგება თუ არა ჩვენი რჩევა, მიიღებენ იმას თუ არა, ეს სხვა საქმეა. ჩვენ ჩვენსას კი ვიტყვით და მერმე ღმერთმა ყველას გზა დაულოცოს.

„აი ეს ჩვენი რჩევა:

„I. საზოგადოებისათვის: ძველ მოთავეებს ბანკის საქმე და ქვეყნის საჭიროება და მომავალი სწორეთ იმოდენათ ესმისთ, როგორც ჩვენ — ჩინური ენა. იმათგან ამ საქმეში ვნების მეტი არა გამოვა რა, და ისინი საზოგადოებამ დღეს უნდა საქმის გარეთ დასტოვოს. საზოგადოება უნდა მიენდოს ამ საქმეში ერთს, ან ორს, ან თუნდ სამს ახალგაზდას, და საქმის წაყვანა, პროექტის შედგენა და ბანკის დაარსება იმათ მიანდოს, მათ ნამუსზე შეაგდოს, ისე, რომ ამ ამორჩეული კაცების მომავალი და სახელი საეუდამოთ ამ ბანკის საქმეზე დამოკიდებული იყოს. თუ იმათ ეს საქმე კარგათ წაიყვანეს, იმათ ჩვენი საზოგადოების მადლობა, პატივისცემა საკმაო ჯილდოთ მიაჩნდებათ. თუ არა და, ნუ ამოაყოფინებს იმათ საზოგადოება თავს ნურასოდეს, ნურსად, ნურაკერში, მათთვის მომავლის დაკარგვა, სახელის გატეხა და საზოგადო შეურაცხყოფა საკმაო სასჯელათ იქნება. ამ ცდის მეტი საზოგადოებას დღეს, ჩვენი აზრით, არაფერი შეუძლია. მეტი გზა, მეტი საშუალება იმას დღეს ხელში არა აქვს. საზოგადოებამ რომ თვითონ ან პროექტის შედგენა მოინდომოს, ან სხვისგან შედგენილ პროექტს შინჯვა დაუწყოს, პროექტი და ბანკი დაიღუპება, წახდება, ამიტომ რომ არც საზოგადოებას, არც არცერთ მის ეხლანდელ მოთავეს ბანკის საქმის გაგება არა აქვს.

„II. ახალგაზდა მოთავეებს: თუ საზოგადოება ამთავითვე უმთავრეს საფუძველზე არ დათანხმდა და მათი დაარსების უფლება არ მიანდო პროექტის შემდგენლებს, არცერთმა ხეირიან-

მა კაცმა ამ საქმის თაოსნობა არ უნდა იკისროს, რადგანაც მაშინ ბანკის მომავალ და აუცილებელ დაცემას ჩვენს ახალგაზდობას მიაწერენ და ჩვენ მიმართულების წინააღმდეგ იარაღით გამოიყენებენ. მაშასადამე საყოველთაოთ ცხადი და ნაცნობი უნდა იყოს, რომ ვინც ქუთაისში ბანკის საქმეს იკისრებს იმ საფუძვლების დაუმტკიცებლათ, რომელზედაც წინეთ ვლაპარაკობდით, იკისრებს საზოგადო სარგებლობისთვის კი არა, თავის საკუთარ კერძო გამორჩენისთვის, და ჩვენი მხრით, ჩვენი თაობის და მწერლობის მხრით, იმას დახმარება და რჩევა კი არა, ერთგული და ნიადაგი წინააღმდეგობა და ბრძოლა მოელის. მაშინ ბანკის დაცემა მათი, და არა ჩვენი ახალგაზდობის, საქმე იქნება".

ეს იყო ჩვენი განზრახვა და აზრი ქუთაისის ბანკის საქმეზე. შემდეგში, როცა საზოგადოებამ „ნაკუწ-ნაკუწათ დაკერებული პროექტი" მიიღო, როცა უფ. ბეს. ღოღობერიძემ პროექტი წარადგინა და, საზოგადოების წინ გულწრფელი პასუხისგების მაგიერ, იკისრა კამედიის თამაშობა, ვითომ ჩემი პროექტი პატივ-ცემულმა პირებმა განიხილესო (რომელთაც, ჩვენის სიტყვით, „ბანკის საქმის გაგება არა აქვთ"), ჩვენ იმ საქციელს დავადექით, რომელიც ამოწერილი ადგილის ბოლოსაა ჩამოსახული. რა ვთქვით ჩვენ მაშინ?

ის, რომ ჩვენ ამ საგანზე სშირათ მოვილაპარაკებთ, ესე იგი დაწვრილებით განვიხილავთ უფ. ბ. ღოღობერიძის პროექტს. ის კიდევ, რომ ჩვენი წინააღმდეგობის უმთავრესი მიზეზი, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენში რუსეთელი ბანკის მიბაძვა არ გამოდგება. ჩვენ სხვა საჭიროებები გვაქვს, ჩვენ სხვა საშუალებების გამოყენება შეგვეძლო და ამ საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს, ამ საშუალებებს ვერ ხმარობს უფ. ბეს. ღოღობერიძის პროექტი. მგონია, რომ ეს ძლიერ საფუძვლიანი და შეურყეველი დამტკიცებაა. ეს დამტკიცება ჩემი „იმერეთის ამბების" თავში გამოვსახე და დაწვრილებით იმის აწერა შემდეგისთვის გადავდე, როცა ხელში უფ. ღოღობერიძის პროექტის პირი მექნება და მისი დაწვრილებითი გარჩევა შემეძლება. მანამდი კი, ჩემი პასუხისგების ქვეშ. როგორც სინდისიანი პუბლიცისტი, მე ვამბობდი, რომ უფ. ბეს. ღოღობერიძე ცუდათ მოიქცა, კარგი საქმე წაახდინა, ბანკის მომავალს ავნო. ნუ თუ ამის თქმის ნება არა აქვს პუბლიცისტს?

ან რაა, ვითომ, პუბლიცისტის სიტყვა? განა მისი ნაწერი სახარების სიტყვაა? არა. პუბლიცისტი თავისას ამბობს და საზოგადოება, თუ ყურს უგდებს, მარტო იმას იჯერებს, რაც იმას უჯდება და ხეირიანათ მიაჩნია. ჩვენ ჩვენსას ვამბობთ. თქვას უფ. ღოღობერიძემ თავისი და საზოგადოება გაგვარჩევს. რათ უნდა მოდიოდეს გული

და რათ უნდა სწყენდეს პატიოსან კაცს მის წინააღმდეგ წერა-ბეჭ-დვა? გონიერი და პატიოსანი მოქმედი ნიადაგ დაჯერებული უნდა იყოს, რომ საზოგადოების წინ მისი საქციელის და აზრების განხილ-ვა, ძაგება, გაკიცხვა და მასხრად აგდება იმას ვერაფერს დააკლებს, თუ მისი აზრი მტკიცე და საფუძვლიანია, თუ მისი საქციელი გო-ნიერი და პატიოსანია. ამ შემთხვევაში უსაფუძვლო დაცინვა და კიცხვა მარტო გამკიცხველს და დამცინველს ავნებს, რადგანც მისი წინააღმდეგობა საზოგადოების წინ უსაფუძვლოთ და უგნურათ გა-მოჩნდება. სინათლის, გამოაშკარავების, ქვეყნის წინ გამოსვლის მა-რტო ცუდათ-განზრახულ, პიროვანი მიზნისა და სარგებლობის მა-ძიებელ, ბნელ-ყოფა-ქცევას დაჩვეულ კაცს უნდა ეშინოდეს და ერიდებოდეს. დაინახოს, დაე, საზოგადოებამ ყველა მოქმედი პი-რების განზრახვა, მიზანი, საქციელი, აზრი, შეიდგინოს გაგება სა-ზოგადოებრივ საქმეებზე და მოქმედ პირებზე, გაიგოს ყოველი სა-ზოგადო საქმის გარემოება, გამოააშკარავდეს ყველაფერი — და სა-ზოგადოებას ამისგან სიკეთის და სარგებლობის მეტი არაფერი მო-ელის. ვნება, დამხობა, სახელის გატეხა იმას ერგება, ვინც ცუდათ მოქცეულა, ვისაც საზოგადოების სარგებლობა დავიწყებია ან პი-როვანი განზრახვით უმოქმედია.

რას ნიშნავს, კიდევ, თქვენი და ბევრი სხვების გაბრაზება? რათ არ გვწყენია ჩვენ ჩვენ წინააღმდეგ წერა, რათ ვაძლევთ ადგილს ყველაფერს, რასაც თქვენ ან სხვა ჩვენზე დასწერს ამ საქმის თაო-ბაზე? ამიტომ, რომ მტკიცეთ და ბეჯითად დარწმუნებული ვართ, რომ საქმის ნათლათ გამოაშკარავებით სარგებლობა მოეტანება ჩვენს საზოგადოებას, და არცერთს ჩვენს მოქმედებაში არცერთს სტრიქონში არ გამოჩნდება არც ჩვენი ღალატი, არც ჩვენი მოვა-ლეობის დავიწყება. მოითმინეთ, ყური დაუგდეთ ორივე მხარეს, მოისმინეთ ორივე მხრით წარმოდგენილი საფუძვლები და ახსნა და ბოლოს შეიდგინეთ აზრი, ვინ ყოფილა ჩვენი ქვეყნისა და საზოგა-დოების ერთგული, და ვინ — მოღალატე.

---

29. ორიოდე კითხვას ვივცემთ უფ. ყიფიანს:

1) თუ ამას მარ.თლა ის ვაწარმოებდა [illegible] რომ გამოეცალა ჩვენი და ბ. ღოღობერიძის სიმართლე და საფუძვლიანობა, ისე გადაჭრილათ რათ ამართლებდა ის ბ. ღოღობერიძეს და ჩვენ პირდაპირ დანაშაულათ რათ გვცნობდა, საქმის განხილვამდი?

2) თუ ჩვენ უფლება არა გვაქვს ვილაპარაკოთ და ვსწეროთ უ. ბ. ღოღობერიძის (?) უსტავზე, სანამ უსტავის დაწერით არ დავამტკიცებთ, რომ ამისთანა საქმეზე სჯა შეგვიძლია, რა უფლება აქვს უფ. იაკ. ყიფიანს აკ. წერეთლის ლექსებზე და .ნაწერზე სჯის გამოთქმისა, სანამ აკ. წერეთლის თხზულებისთანა ლექსები არ დაუწერია, და სანამ მისი ლექსები საზოგადოებას არ მოუწონებია?

3) გაუგონია თუ არა უფ. ყიფიანს რომ მისმა [illegible] ბრძენებმა სცადეს მრავალ-გზით „მოკლე სტატიების“ წერა, და შრომაც დიდი დაადვეს, მაგრამ უნიჭობის გამო უკუქცეულ იქნენ მწერლობის ასპარეზიდამ?

4) დაგვენიძლავება თუ არა ჩვენ უფ. ყიფიანი, რომ სამი თვის განმავლობაში უფ. ბ. ღოღობერიძე, მაგალითად, ერთ აკ. წერეთლისთანა ფელეტონს ვერ დასწერს, მაშინ როდესაც ჩვენ იმას პირობით შეეკვრებით, რომ იმავე სამი თვის განმავლობაში აკ. წერეთელი ყოველ ცისმარია დღეს თითო სწორეთ იმისთანა „საფუძვლიანს“ პროექტს წარმოადგენს, როგორიც უფ. ბ. ღოღობერიძის მწერალს გადმოუწერია?

———

30. ბეს. ღოღობერიძის „ტიტინი“.

ულირსად ამაღლებული ან ნაქები კაცის შეხება და გამოაშკარავება მარტო სასარგებლო კი არა, ადვილი საქმეც ყოფილა. დგას ათი და ოცი წლობით „დიდთა ქებით გაბერილი“ კაცი, უსარგებლო და ხან მავნებელ მდგომარეობაში; გაყუჩებით და ფილოსოფიური გამოხედულობით უხვევს ის თვალს მთელს საზოგადოებას და იქნამდი აწევს, რომ იმას მართლა რაღაც „ძალათ“ სთვლის, ყველა იმას დიდ ჭკუას და გამოცდილებას აწერს, ყველას ის მეცნიერათ მიაჩნია. მაგრამ მისი გავლენის საფუძველი ისე სუსტია, მისი ნამდვილი ღირსება იმოდენათ მსუბუქია, რომ ერთი შეხების მეტი არც კი სჭირია კაცს ამ ხანგრძლივათ აშენებული რეპუტაციის შესარყევათ და დასამხობათ. ჰკრავს თუ არა კაცი თითს იმისთანა სილაზე გაშენებულ „ძეგლს“, მთელი შენობა ვაი-ვაგლახით ინგრევა, და მტვრის მეტი აღარაფერი რჩება იქ, სადაც უწინ მაგარი და საშვილიშვილო შენობა სჩანდა. რაც უწინ ნათალ ქვათ მიაჩნდა კაცს, რაც ათასი წლის კირს ჰგავდა, რასაც თუჯისა და რკინის სახე ჰქონდა, ის დაფუტურებული მიწა გამოდის, რომელიც მცირეოდენ ნიავს გააქვს და გამოაქვს დედა-მიწის ოთხივე კუთხისკენ, თითქო იმის დასამტკიცებლათ, რომ აი რა მტვერი სჩვენებია კაცს მაგარ ზღუდეთ და ძეგლათო.

სწორეთ ამგვარი საქმე ემართება უფ. ბ. ღოღობერიძეს. თუმც ჩვენ „მაგარ ძეგლათ“ ის არასოდეს არ მიგვაჩნდა, მაგრამ გამოვტყდებით, ჩვენს დღეში ვერ წარმოვიდგენდით, რომ იმას მეტი საქმის მიგნება და სიმტკიცე არ ექნებოდა. მისი გრძელი გოდება ჩვენ გვაკვირვებს და გვაშტერებს. და მისი საბუთების განხილვის შემდეგ ჩვენ გაოცებით ვკითხულობთ, ნუ თუ ამის მეტი საფუძველი არ ჰქონია უფ. ბ. ღოღობერიძეს თავის მოქმედების დროს, თუ მარტო ამ მოაზრებით უხელმძღვანელებია, ნუ თუ ამნაირი უთავბოლო და უსაფუძვლო მოქმედება იმას თვითონ ბავშვობათ არ მიაჩნია? და ამ კითხვაზე ჩვენ პასუხს ვერ ვპოულობთ.

თუმცა მისი „წილადობილა“ სრულიადაც არ შეეხება იმ საგნებს, რომელზედაც ჩვენ „იმერეთის ამბებში“ ვწერდით და ლაპარაკობს

მარტო გარეშე გარემოებებზე, მაგრამ ამ ოდისეაშიაც ისეთი ძვირფასი თვლები იპოება უფ. ბ. ღოღობერიძის უსაფუძვლობისა, რომ უკეთესი ღმერთმა შეარცხვინოს. ვითომ იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ მე ყოველთვის მტკიცედ ვიდექი ჩემს პროექტზეო და ნიკოლაძესთან არაფერი პირობის დადება არ შემეძლოო, უფ. ბ. ღოღობერიძე მოგვითხრობს თავისი პროექტის უცაბედ დაბადებას:

„მე შევადგინე (გადმოვწერეო უნდა ეთქვა) უსტავის პროექტი რაოდენისამე მეგობრების რჩევით და შემწეობით. დრო დამეხმარა. თებერვლის თვეში (1873) ჩემის სამსახურის საქმეებისთვის გამგზავნეს პეტერბურღს, სადაც მქონდა შემთხვევა ჩვენი ბანკის გარემოება და ჩემი პროექტი მ ცოდნე კ ა ც ე ბ ი ს ა თ ვ ი ს გ ა მ ე ს ი ნ ჯ ვ ი ნ ა*. რაკი მათ მომიწონეს ჩემი ნარჩევი, მე მტკიცეთ და გ ა ბ ე დ ვ ი თ დ ა ვ ა დ ე ქ ი ჩ ე მ ს პ რ ო ე ქ ტ ს“.

„მე მტკიცეთ და გაბედვით დავადექი ჩემს პროექტს თებერვალშიო“, ამბობს ხომ უფ. ბ. ღოღობერიძე? მაგრამ იგივე უფ. ბ. ღოღობერიძე იმავე სტატიაში ამბობს მეორე ადგილას, რომ ახალს ნაამღლობევს (მასში), როცა ნიკოლაძე მობრძანდაო, მე თუმც ამ მძიმე საქმეზე ვფიქრობდი, მაგრამ ბევრჯერ გასჯა მიბორძიკდებოდა, უსაფუძვლო აზრები მივლიდენ ტვინშიო, მანამ საუკეთესო გზას გამოვარჩევდი და უკანასკნელ საფუძვლიანს აზრზედ დავდგებოდიო. ერთხელ ამბობს: „ჩემი პროექტის იმედი მქონდა და არა უხეიროთ მიმაჩნდა ის, როგორც ცილს მწამებს უფ. ნიკოლაძეო“, და მეორეჯერ: „ჩემთვის სულ ერთი იყო, ჩემს პროექტს მიიღებდენ თუ სხვისასო“. სხვაგან მოგვითხრობს კიდევ, რომ მაისის დამდეგს „პროექტი გ ა ს წ ო რ ე ბ უ ლ ი ს. ღოღობერიძეს დავუტოვეო და შემდეგ: „სამს ივნისს ნ. ღოღობერიძეს გაუგზავნა ჩემის პროექტის უკანასკნელი რედაქციაო“. დღეს ბეჭდავს „პროექტი შ ე ვ ა დ გ ი ნ ე ო“ და გუშინ ამბობდა „პ რ ო ე ქ ტ ი გ ა დ მ ო ვ წ ე რ ე ო“.

ეს ყველაფერი წვრილმანი უსაფუძვლობაა, იმათზე ლაპარაკიც არ ღირს, თუ არა იმისთვის, რომ ვაჩვენოთ მკითხველს, რა სიმტკიცით და სიბეჯითით მოქმედება სჩვევია უფ. ღოღობერიძისთანა ბრძენ კაცებს. ეხლა ჩვენ მეორე მხარეს შეუდგეთ, აგრეთვე წვრილმანს, მაგრამ რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორი გზების ამორჩევა სჩვევიათ იმავე ბრძენებს.

უფ. ბ. ღოღობერიძეს ჯიბეში უძევს „შედგენილი“ პროექტი

---

* სანამ უფ. ღოღობერიძე ამ მცოდნე პირებს არ დაგვისახელებს, ჩვენ ამ სიტყვებს საზოგადოების თვალის ახვევად ჩავთვლით. და თუ უფ. ღოღობერიძემ ამაზე წაგვიყრუა, ეს იმის დამტკიცება იქნება, რომ იმას არც ერთ ნამდვილად მცოდნე და მისანდობელ, გამოჩენილ კაცთან ამ საქმეზე არ მოულაპარაკნია.

„მცოდნე“ კაცებისგან მოწონებული, რომელზედაც ის ისეთნაირათ „მტკიცეთ და გაბედვით ადგია“, რომ თავიდანვე ქუთაისელ მოთავეებს ეუბნება: თ უ ს ხ ვ ა ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე დ (საფუძველზედ, და არა საფუძვლებზეო) გაკეთდა ბარკი, მე დარწმუნებული ვარ, რომ ის მაშინ კარგათ არ წავაო“. გვგონია ეს სიმტკიცეს ნიშნავს, მაგრამ თებერვალში და მაისში ასე მტკიცეთ დაჯერებული კაცი, მაისის დამლევს ცდილობს შეიტყოს — „ჩემი ბიძაშვილები და სხვ. პირები რა გზას ადგანან და მეც ერთ გაკვლეულ გზას დავდგომოდი“. წავიდა ეს კაცი ამ განზრახვით ქუთაისს, დაინახა მისი ბიძაშვილები რა გზას ადგენ და იფიქრა „მე ჩემი ზომა უნდა მივიღო მეთქი, და ა ვ ე ა მ ი დ გ ა ნ (ივნისიდამ) ის მოქმედების პროგრამაა ავირჩიე, რომელიც 25 ივნისს კრებას წარუდგინე“. — ამას ჩვენში სიბრძნეს და მტკიცე მოქმედებას ეძახიან თურმე.

ჩვენ ამას სულ სხვა სახელს ვაძლევთ. ვისაც მტკიცე საფუძველი არა აქვს, ვისაც გამოკვლეული მიზანი არ უდგია წინ და გასავლელი გზაც კარგათ არ გაუცვნია, იმის მხრით საზოგადო საქმეებში გამორევა ან სიბრიყვეა, ან უსინდისობა. ამოირჩიოს უფ. ღოღობერიძემ რომელიც უნდოდეს ის სახელი; ჩვენ კი ჩვენდა თავად ვფიქრობთ, რომ უფ. ღოღობერიძეს ეს ტვინის რყევა გამოუცდელობით და უსაფუძვლობით მოსვლია, სხვითი არაფრით. მაგრამ ქუთაისში იმ პირებს შუა, რომლების გზის გამოკვლევას ცდილობდა უფ. ბ. ღოღობერიძე, ისეთებიც არიან, რომელნიც საგანგებოთ აი ამნაირ მოქმედებას და ოინს ხმარობენ: როცა საზოგადოებას რამე საჭიროება ადგია კარზე, როცა იმას რომელიმე საქმის გადაწყვეტა და დაბოლოება სურს, ეს პირები, ამ საქმის სინდისიანათ განხილვის და ჩვენების მაგივრ, ასტეხენ ერთ უბრალო საქმეზე ყაყანს და შფოთს, წაკიდებენ საზოგადოებას ერთმანეთთან, როცა ყველას ერთი და იგივე საჭიროება ადგია, და მაშასადამე ყველა ერთ და იმავე საქციელზე ძმურათ უნდა იდგენ, და შფოთში, ვაივაგლახში ყველას არწმუნებენ „უმთავრესს საქმეზე ჩვენ ჯერ გადაწყვეტილი აზრი არა გვაქვს, აი ამ შფოთში გავიმარჯვოთ და იმას მერმე გავიხილავთო. როცა საზოგადოება კარგათ ლამაზათ დაიღალება, როცა ყრილობის უკანასკნელი წუთი დადგება, ამოაყოფინებენ ისინი თავს თავიანთ განზრახვას, კანდიდატს თუ პროექტს, დაიძახებენ „არიქა კენჭიო!“ და გადააფუჩეჩებენ საქმეს უცფათ, შფოთში და ვაი ვაგლახში. ამგვარი საქციელი ქვეყნის დამღუპველი და დამამცირებელია, და რა გინდ რეკლამას უშვებდეს ბ. ღოღობერიძე იმათ, ვინც ამ ოინებს ხმარობს, იმ კაცებს არავინ ქვეყნის ერთგულათ არ ჩასთ-

ვლის. იმათ ყველგან საკუთარი სარგებლობის მაძიებლები და ქვეყნის ორგულები ჰქვია.

ვიმეორებთ, ეს სულ წვრილმანი შენიშვნებია, ჩვენის მხრით, უფ. ბ. ღოღობერიძის წვრილმან უსაფუძვლობაზე.

გადავიდეთ სხვილ-სხვილ საქმეებზე.

ბ. ღოღობერიძეს ვერ გაუგია რა განხრახვით ვამბობთ ჩვენ, რომ ბ. ღოღობერიძეს „ჩვენთან მოლაპარაკება ჰქონდა", „ჩვენ გვეგონა", „ჩვენ იმედი გვქონდა" და სხვ. იმას ჰგონია, და პასუხშიაც გვეუბნება, რომ ჩვენ რამე „ანგარიში" გვქონია. ალბათ ამ ანგარიშათ იმას საზოგადოების სამსახურის სურვილი მიაჩნია ჩვენის მხრით. დიდი მიხვდომა არ ჰქონია იმას თუ ჰგონია, რომ ამნაირ განხრახვას ჩვენ ან დავმალავდით, ან ვითაკილებდით. რომ ანგარიში გვქონოდა ჩვენი ხელით საქმის გაკეთებისა ან ჩვენი საკუთარი წარმოდგომისა, პირდაპირ ვეტყოდით საზოგადოებას: ჩვენ გემსახურებით, ჩვენ მოგვანდეთ ეგ საქმეო. ამაში სათაკილო ან დასამალავი არა არის რა, რადგანაც ეს მოვალეობის ასრულებაა, მეტი არაფერი. ჩვენ სულ სხვანაირათ მოვიქეცით. ჩვენ მთელი თვის ვანმავლობაში ყველას ურჩევდით, დიდს და პატარას, — ეგ საქმე ბ. ღოღობერიძეს და ამხ. მიანდეთ, ისინი გაგიკეთებენ კარგათთქო. და იმ კაცმა, რომელზედაც ჩვენ ამას ვამბობდით, საქმე ისე წაიყვანა, რომ, ჩვენის აზრით, დღეს იმას საშინელი გასაჭირი ადგია. მაშასადამე, ჩვენ შევცდით, ჩვენ ცუდი რჩევა მივეცით ჩვენს ნაცნობებს, ჩვენ ჩვენი თავის გამართლება გვსჭირია, არა? აი, ამ საჭიროების მიხედვით ჩვენ ვხსნით, რომ ის რჩევა ჩვენ იმიტომ მოგეცით, შეცდომაში იმიტომ შეგატოპვინეთ, რომ „იმედი გვქონდა", „გვეგონა" „მოლაპარაკება გვქონდა" და სხვ. მეტს მნიშვნელობას ხურავინ ნუ აძლევს ჩვენს სიტყვებს უფ. ღოღობერიძესთან მოლაპარაკებაზე.

მაშასადამე, ამ პირადი მხრით, რომელიც თვითონ ბანკის საქმეს არ შეეხება და მარტო ერთ გარეგან შემთხვევას შეადგენს, საჭირო იყო ახსნა, მართლა გვქონდა ჩვენ მოლაპარაკება, მართლა აღგვითქვა ეს უფ. ბ. ღოღობერიძემ თუ არა.

უ. ბ. ღოღობერიძის წილადობილაში იმ ადგილამდი რომ მივა საქმე, როცა უფ. ნიკოლაძე ჩამოვიდაო, და როცა უფ. ბ. ღოღობერიძეს იმავე დაწერილებით უნდა ეამბო ჩვენი მოლაპარაკება და საქმეზე ერთათ დადგომა, ის თავის ოდისეას უცბათ სწყვეტს და ჩვენი ნალაპარაკევის მაგიერ აი რა გასაოცარ სიტყვებს სწერს:

„ახალ ნაამაღლობევს უ. ნიკოლაძეც მობრძანდა.

„კაცი რომ ერთს მძიმე საქმეზე ფიქრობდეს, წარმოიდგინე მკი-

თხველო, რამდენი რა მოუვა თავში, რამდენჯერ განსჯა დაუბორ-ძიკდება, რამდენი უსაფუძვლო აზრი გაივლის ტვინში, მანამ საუკე-თესო გზას გამოარჩევს და უკანასკნელ საფუძვლიანს აზრზედ და-ადგება. რომ დავხატოთ სულ ის მ რ უ დ ე გ ზ ე ბ ი, რომლითაც რუსთველის ჭკუას უვლია, მანამ ის „ვეფხის-ტყაოსნის“ შესავალს ან ავთანდილის ანდერძს დასწერდა, და მოვკითხოთ ანგარიში იმ შავათ ნაფიქრები ლექსებისა, რომელთაგან წარმოდგა ჩვენის ენის საამპარტავნე და საუნჯე, გარწმუნებ ჩემის და გორისელის ქარ-თულზედაც უარესს მრავალს რამეს ნახავთ. აგრეთვე კაცი თავის ოთხკედელს შუა, თავის მეგობრებთან და ნაცნობებთან მრავალს იმისთანას იტყვის, რ ო მ ე ლ შ ი დ ა ც ა ნ გ ა რ ი შ ი დ ა პ ა-ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა არ მოეთხოვება. კაცთან რომ დიდხანს და-რჩები, გარეშეც რომ იყოს, უეჭველია, ისეთი რამეები შეიძლება ითქვას, რ ო მ ე ლ ი ც ა რ უ ნ დ ა გ ა ბ ა ჟ ღ ა ვ ნ დ ე ს. ამ მიზეზე-ბის გამო, ყოველი თქმული ოჯახში, კერძოობითს მუსაიფში მხია-რულების დროს, ტიტინის მადის დროს, შეუხებელი საიდუმლო უნდა იყოს, ეს არის ზნეობითი კანონი, რომლის გადახდომა არის მეპორეობა და მპარაობა“.

ეს შეუძლებელი სიტყვები დაბეჭდა უფ. ბ. ღოღობერიძემ „დროებაში“ (1873 წ. № 28).

ამით აპირებს ვითომ ის უარის ყოფას, ან თავის გამართლებას? ვიმეორებთ, ვერ ყოფილა დიდი გონების კაცი, თუ ამისთანა საშუა-ლებები საფუძვლად მიაჩნია.

თუ ჩვენთან (უ. ნიკოლაძესთან კი არა, ჩვენთან ესე იგი ს. მეს-ხთან, კ. ლორთქიფანიძესთან, გ. წერეთელთან და ნ. ნიკოლაძესთან) მოლაპარაკების დროს უფ. ბ. ღოღობერიძე ბოდიალობდა როგორც კაცი, რომელსაც თავში საფუძვლიანი აზრი აკლია და რომელმაც არ იცის რა გზას დაადგეს, ვერც დღეს მოუძებნია იმას ეს საფუძვლი-ანი აზრი და მტკიცე გზა, თორემ იმას კარგათ ეცოდინებოდა, რომ დიდი განსხვავებაა „შინაურ ტიტინს“ და „საზოგადო საქმეზე მო-ლაპარაკებას“ შუა. ვინ არ იცის, დაბნეული კაცის მეტმა, რომ ოჯა-ხზე, კერძოობით საქმეებზე, პიროვან შთაბეჭდილებაზე ენის წაღე-ბა და მიტან-მოტანა საძრახისია? მაგრამ საზოგადო საქმეებზე ნა-ლაპარაკევი, საზოგადო სარგებლობისათვის ნათქვამი — საყოველ-თაო გასაგებარი და გამოსათქმელი უნდა იყოს? საზოგადო საქმე-ებში ვის გაუგონია შინაურული „ენის ტიტინი“ და დაფარული ყურში ჩურჩული? განა ეს მოაბლური ჩვეულებები უნდა შევიტანოთ ჩვენ საზოგადოებრივ საქმის წაყვანაში? მიგვიღოცნია უფ. ღოღობერი-

ძისათვის ეს ასალი აღმოჩენა და დაგვილოცნია მისთვის მისი ხმარება და მათი სარგებლობა!

ბაგრამ აქ უფ. ბეს. ღოღობერიძე თავისთავს თვითონვე ცილს წამებს. იმას კარგათ ესმის, რომ საზოგადო საქმეებში ნათქვამი საყოველთაო გასაგონია, თორემ აბა რა უფლებით დაბეჭდდა თვითონ ის თავის მოლაპარაკებას უფ. გ. იოსელიანთან, კ. ნიკარაძესთან, გ. ღოღობერიძესთან, დ. ჩხეიძესთან და სხ. თუ მე უფლება არა მაქვს დავბეჭდო ბეს. ღოღობერიძემ აი რა მითხრა, აი რა აღვვითქვა, რა უფლება აქვს უფ. ბ. ღოღობერიძეს ბეჭდოს თ. გ. აგიაშვილს ვთხოვეთ შ ი ნ ა უ რ უ ლ ა თ მომალაპარაკე. უფ. სპ. მაჟავარიანს მოვახსენეთ და სხვ. და სხვ. ან იქნება უფ. ბ. ღოღობერიძეს კი მინიშებია ეს უფლება და ჩვენ — არა? ვინ იცის, ვინ იცის! ეს იმას კი ამტკიცებს, რომ ბ. ღოღობერიძეს, არ სურს რომ გამოვაცხადოთ რა თქვა იმან იმ ჩვენ მოლაპარაკების დროს. ბაგრამ რათ არ სურს?

ნუ ეშინია უფ. ბ. ღოღობერიძეს. ჩვენ ისეთს არაფერს ვიტყვით, რომ იმას ავნოს, ბაგრამ რაც საჭიროა ის კი უსათუოდ უნდა ითქვას, — ეს თუნდ ეწყინოს უფ. ღოღობერიძეს, თუნდ იამოს, ჩვენთვის სულ ერთია და „მპარიობის და ჭორაობის“ დაძახებით ის ჩვენ ენას ვერ აგვიბამს.

ბ. ღოღობერიძემ სხვათა შორის გვითხრა, რომ აი ამ წიგნიდამო «Сводъ кредитных установлений» გადმოვწერე პროექტი, მ ი ნ დ ო დ ა ქუთაისის კრებისათვის წარმედგინაო, სულ არარაობას ესეც სჯობიაო. თუ გამოდგა ეს პროექტი ქუთაისელ ღოღობერიძეებს მოიხმარონ როგორც უნდათო, მე იქაური გარემოება და საქმეები არ ვიციო. ამაზე ჩვენ უთხარით, რომ ქუთაისის აზნაურობის მდგომარეობა და საქმეები სწორეთ გულ-შემაწუხებელი არიან; ამ აზნაურობას უმიზნოთ და უდროოთ აშფოთებენ ერთმანეთში ისეთი კერძოობითი, დაბალი განზრახვებით, რომელნიც აზნაურობის სარგებლობას არ შეეხებიან და მის მდგომარეობას და საზოგადოთ ჩვენი მამულის მომავალს კი ავნებენთქო. ერთი სიტყვით, ჩვენ უფ. ღოღობერიძეს სიტყვიერათ ის აზრი გამოუბატეთ, რომელიც დაბეჭდილი იყო ფელეტონში — „რისთვის ვჩხუბობთ?“ („დროება“ 1873, წ. № 20).

„ამ მდგომარეობაში, — განვაგრძეთ ჩვენ, — აუცილებლათ საჭიროა, რომ იმერეთის აზნაურობას დახმარება მიეცეს ახალგაზრდობის მხრით, ესე იგი იმისთანა კაცების მხრით, რომელნიც არც ერთ ეხლანდელ მებრძოლ ვითომ-პარტიას არ ეკუთვნოდეს, რამდენათაც ჩვენ იმერეთის საზოგადოების ეხლანდელ აზრს და მიმართუ-

ლებას ვიცნობთ, ჩვენ გვგონია, რომ ის აღტაცებით მიიღებს ყოველს გონიერ ახალგაზრდას, რომელიც ეტყვის: „თქვენ ყველას ერთი ბედი, ერთი საქმე, ერთი მდგომარეობა გაქვთ, მაშ ერთი მიზანიც, ერთი პირიც იქონიეთ, თავი დაანებეთ იმ პირებს, იმ კითხვებს, რომელნიც თქვენ გაცალცალკევებენ, საშფოთო სააყალმაყალო თქვენ არა გაქვსთ რა, მშვიდობიანათ და ერთგულათ შეუდექით თქვენ საქმესო. — წადით ქუთაისს, ვეუბნებოდით ჩვენ უფ. ღოღობერიძეს, უთხარით ეს აზნაურობას, დაუმატეთ, რომ ბანკის საქმეს თავის მობმა ერთხმობით სჭირია, უთხარით, რომ თქვენ იკისრებთ ამ საქმის განწყობას, მოთხოვეთ საზოგადოებას, რომ მოგეცეს თქვენ თვითონ და ერთს ორს სხვას თქვენთან (ვისაც თქვენ გსურდესთ, ქუთაისში ბრძოლაში გარეულ პირებს გარდა) და თქვენ ყველაფერი მოგენდობა, ვერავინ გეწინააღმდეგება, ყველა დაგეხმარებათ. და ამ ნაირი საქციელით, ამ საქმით თქვენ სამუდამოდ დაავალებთ ჩვენ მხარეს, დიდ-გაჭირვებას თავიდამ ააცილებთ და პატიოსანს სახელს დაიმსახურებთ“.

ეს უთხარით ჩვენ უფ. ბეს. ღოღობერიძეს. ამაზე იმან (როგორც თვითონ ამბობს) გვეტიტინა, რომ არ მცალიაო, სამსახურში ვარო, ქუთაისის ბანკს ბევრი წინააღმდეგები ჰყავსო, არა მგონია ჩემი წასვლით რამე გარიგდესო, მე რა შემიძლიანო და სხვ. და სხვ. ჩვენ კიდევ დავარწმუნეთ, რომ წინააღმდეგი ათი-თუთხმეტი კაცის მეტი არავინ იქნება, რომ საქმე გარიგდება, რომ იქ ყოფნა საჭიროა, და სხვ. და სხვ. და ბოლოს უთხარით, რომ იმას ეხლა უარის თქმა შემდეგში ნამდვილ ღალატათ ჩაეთვლება.

თვითონ ბანკის თაობაზე იმან გაგვაცნო თავისი პროექტის საფუძვლები და ჩვენც, რასაკვირველია, მაშინვე მის აზრს დავეთანხმეთ, რომ ეს „პროექტი უნდა გადაკეთდეს თავიდამ ბოლომდი“. ამაზე, როგორც დანარჩენზე, უფ. ბ. ღოღობერიძემ გვითხრა: „რასაკვირველია, საქმის წაყვანის დროს მე იმ ენას ვიხმარ, რომელზედაც მე დაჩვეული ვარ, და არა თქვენ კილოსო (ეს ტანს და გარეგან მიხვრა მოხვრას შეეხებოდა). მაგრამ თვითონ საქმის წაყვანაში კი, რადგან თქვენ გგონიათ, რომ მე გამოსადეგი ვიქნები ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ ძირჩევთო და იმ გზას დავადგები, რომელსაც თქვენ დამანახებთო“.

თქვით ეხლა, რაა ამ მოლაპარაკებაში, ან „შინაურული“ ან „ოჯახური“, ან „მეგობრული“, რომ მისი გამჟღავნება არ შეიძლებოდეს? თქვით, მოეთხოვება თუ არა კაცს პასუხის გება იმ აზრებისა და სიტყვების, რომელიც ამნაირ მოლაპარაკების დროს გამოთქმულა?

უფ. ბ. ღოღობერიძე ამგვარათვე თავისთავს ცილს-წამებს, როცა სურს დაარწმუნოს მკითხველი, ვითომ საზოგადო საქმეების წაყვანა შესაძლოა „მრუდე გზებით“, ან ვითომ რუსთველი მრუდე გზებით სწერდა და გარდააკეთებდა თავის „ვეფხის ტყაოსანს“. მრუდე გზებით მრუდე საქმის მეტი არაფერი გაკეთებულა ჯერ, არც არაფერი გაკეთდება, — ეს ცხადი ჭეშმარიტებაა, და „ვეფხის ტყაოსნისთანა“ თხზულება გადაკეთებით და გადასხვაფერებით კი არა, ერთბაშად ამოისხმის პოეტის გრძნობიდგან, ან სულ არ დაიწერება. გასწორდება აქ ერთი ასო, იქ მეორე რითმი, აქ ერთი სიტყვა წაიშლება, იქ იქნება მეორე ლექსი, მაგრამ მთელი პოემის სასიათი და დედა აზრი, მთელი თხზულების ალი და გრძნობა პოეტს პირველი ლექსის დაწერამდი მზათ და გამოკვლეულათ რომ არ ჰქონდა თავში, „ვეფხისტყაოსნის“ მაგიერ უფ. ბ. ღოღობერიძის „ოინობის მოთხრობისთანა“ არეულ-დარეული, კუდ-მოჭრილი და დახლართული რამ გამოვიდოდა. ლომი ლომათ იბადებაო, თქვა ამ საგანზე ჰეინემ, და არა ჯერ თაგვათ დაიბადება და მერმე ნელ-ნელა ლომათ გადაიქცევაო.

დაუბრუნდეთ ჩვენ მოლაპარაკებას და დავასკვნათ აქ ჩვენი უ მ თ ა ვ რ ე ს ი სადავო საგანი. ჩვენ ვთქვით „იმერეთის ამბებში“ და ეხლაც ვამტკიცებთ, რომ უფ. ბ. ღოღობერიძემ ქუთაისის აზნაურობას ისეთი პროექტი წარუდგინა, რომელიც იმას და მის ბიძაშვილებს უხეიროთ, ნაკლულევანებით სავსეთ მიაჩნდათ. ამაზე ეხლა უფ. ღოღობერიძე გვეუბნება: არა, მე ის კარგ პროექტათ მიმაჩნდა, და დამტკიცებათ ის მოყავს, რომ დ. ჩხეიძეს, კ. ნიჟარაძეს და სხვ. ვეუბნებოდი ჩ ე მ ი (!?!) პროექტი კარგიაო. საქმე იმაში კი არ არის, რას ეუბნებოდა უფ. ბ. ღოღობერიძე ამ პირებს, როცა ცალ-ცალკე იმათ ეჩურჩულებოდა, საქმე იმაშია, გვითხრა ეს ჩ ვ ე ნ თუ არა, გამოტყდა ამაში ჩ ვ ე ნ ს წ ი ნ, თუ არ გამოტეხილა. და იმის დასამტკიცებლათ, რომ ის ამაშიც თავის თავს ცილსწამებს, როცა ამბობს, არ გამოვტეხილვარო, გავახსენებთ იმ მოლაპარაკებას, რომელიც მოხდა ქუთაისს, მაისის დამლევს უფ. გ. ღოღობერიძის სადგომზე, და რომელზედაც დაესწრენ: უფ. ბეს. გ. და ნ. ღოღობერიძენი, თ. ეროთეოზ სიდამონ ერისთავი და ნ. ნიკოლაძე. და რადგანც უფ. ბ. ღოღობერიძეს ძლიერ მოკლე მეხსიერება ჰქონია, უმორჩილესათ ვთხოვ და ვიწვევთ უფ. სიდამონ-ერისთავს უამბოს ჩვენ საზოგადოებას, თანახმა იყვნენ თუ არა სამივე უფ. ღოღობერიძენი, რ ო მ პ რ ო ე ქ ტ ი წ ა რ ს ა დ გ ე ნ ი ა რ ა ა.

მერე, აგრეთვე უ მ თ ა ვ რ ე ს მუხლზე უფ. ბეს. ღოღობერიძე გამოტეხილია: ის თვითონ ამბობს, ჩვენ პროექტი ხერსონის და ხარ-

კოვის ბანკების უსტავებიდამ გადმოვწერეო. ეს ჩვენთვის საკმაოა. ის თვითონ გვიწილადობილებს თავისი პროექტით უმთავრეს საფუძვლებს — ეგეც აგრეთვე საკმაო. ჩვენი აზნაურობა მარტო იმიტომ აარსებდა ბანკს, რომ ფულის სესხება შეძლებოდა სულის მოსაბრუნებლად და იმ გაჭირვებაში, რომელიც იმას ეხლა ადგია, მისი მამულები გარეშე პირებს ვალებში არ შერჩენოდა. იცის ეს უფ. ღოღობერიძემ, თუ არა? მაშასადამე, პირველი საჭირო საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ფული გარეშე თანხის პატრონებისაგან ბლომათ და იაფათ გვეშოვნა. ამისთვის საჭირო იყო, საზოგადოებრივი გარანტია, და არა მარტო დაწინდრებული მამულების ურთიერთი თავდებობა. როცა ჩვენ ეს ბეს. ღოღობერიძეს უთხარით, იმან გვითხრა — აზნაურობა ამაზედ არ დაგვეთანხმებაო. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ თუ კაცი ხეირიანათ აუხსნის აზნაურობას ამ გარანტიის სარგებლობას და მის უვნებლობას, აზნაურობა უსათუოთ დათანხმდებათქო. და თუ გგონია, რომ არ დათანხმდება, ითხოვე მაინც, აუხსენი, იდავე და ეს დაწინდრებული მამულების ურთიერთ თავდებობა ხომ მაინც დაგრჩებათ. ამაზედაც დაგვეთანხმა უფ. ღოღობერიძე, მაგრამ კრებაში ამ საგანზე ხმა არ ამოუღია, თუ არა იმისათვის, რომ ეთქვა — ეს საზოგადოებრივი გარანტია საჭირო არ არისო. — გადაწყვეტა რაღა!

მეორე საჭირო საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ადგილები, რომელთაც დღეს არაფერი ფასი არა აქვთ, მარტო იმიტომ, რომ დღეს მყიდველი, ფულის გამომღებელი არავინ მოიძებნება, ხეირიან ფასათ დაფასდეს, რომ ადგილის მეპატრონეს ერგოს რამე მაინც ხელის მოსაკიდებელი და ტყუილა უბრალოთ არ შემოეცალოს ადგილი ხელიდამ. ამ უსაჭიროესს საქმეზე, ამ დაფასების ხეირიან გზაზე დაყენებაზე სიტყვას არ ამბობს უფ. ბ. ღოღობერიძის პროექტის საფუძვლები, და თვითონ პროექტი კი ჩვენში რუსეთელი „ნორმალური დაფასების" წეს იღებს. რუსეთი მინდორია, იქ რაც ერთ ადგილსაა მიწა, ის ორასი ვერსის სიგრძეზე ერთნაირია. იქ რაც ერთ ალაგას ღირს მიწა, მეორეზეც — ისევე ღირს, და ვინც ერთ ფასს გამოძებნის, — ხარკოვის გუბერნიაში ეს და ეს მამული ამა და ამათ ღირს დესიატინაო, ის ამითვე მთელი ადგილ-მამულების ფასს იპოვის. ჩვენში კი ერთი ქცევა ადგილი რომ ორას მანეთად ღირს, მის გვერდში ისეთი კლდე და ღრეა, რომ გროშსაც არავინ მისცემს იმაში, და მეორე მხრით ისევ გვარიანი თხილნარი ან ტყე და საბალახო ადგილებია. ასე რომ ერთი ვერსის სივრცეზე თუთხმეტნაირი ფასი ადევს ერთ ქცევა მიწას. მიბრძანდით, და ამ მდგომარეობაში „ნორმალური" ფასი მოძებნეთ. ჩვენში ნორმალურ ფასათ

თუ ხუთ მანეთზე მეტს დაადებთ ქცევას, იმასაც ვნახავთ. ამას აწესებს უფ. ღოლობერიძის პროექტი და თუმც იმას ვითომ „სპეციალური“ დაფასებაც მოხსენებული აქვს, მაგრამ ამ დაფასებას რა შედეგიც ექნება ბანკის ბედზე იმასაც გავიგებთ და მოვესწრებით.

ვიმეორებთ, ჩვენი მდგომარეობა და საჭიროება სხვაა, ხერსონის და ხარკოვისა — სულ სხვაა. არც ერთს იმათ ის საჭიროება არა უგრძვნიათ, რომ ამ თავითვე იზრუნონ ჩვენი მიწა გარეშე პირებს არ ჩაუვარდეთ ხელშიო, გაღატაკებული არ დარჩეს ჩვენი ქვეყნის კაციო, პროლეტარებათ არა გადვიქცეთ სხვისი ფულების გამოისობითო, რითი და როგორი საშუალებით აპირებს უფ. ბ. ღოლობერიძის პროექტი ამ მომავლის თავიდამ აცილებას? თუ არ შემოიტანა მეპატრონემ დროზე ფული, გაიყიდება მისი მამული, და ის იქნება და ისო. ვინ არ იცის, რომ ეს შემოტანა გაძნელდება ჩვენში? რითი შველის ამ საქმეში „სააზნაურო ბანკი“ ჩვენს აზნაურობას, ჩვენს საზოგადოებას და ხალხს? რა საშუალებებს ძებნის, როგორ წესს აარსებს ისეთს, რომ ჩვენი ქვეყანა ებრაელებისა და სხვ. ხელში არ ჩავარდეს, ამ ოც-ორმოცდა ათი წლის შემდეგ? არაფრით, სრულიად არაფრით. ერთი სიტყვა არაა ამაზე უფ. ბ. ღოლობერიძის პროექტში, ამიტომ რომ არც ხერსონის, არც ხარკოვის ბანკებს არც ეს საჭიროება ჰქონიათ, არც ეს ღონისძიებები უხმარიათ.

აქედამ სჩანს, რომ უფ. ბ. ღოლობერიძის პროექტით დაარსებული ბანკი სწორეთ იმისთანა ბანკათ გამოდგება, რომლის დაარსების ეშინია ჩვენში ყველას, რომლის დაარსება ქვეყანას დაღუპავს, ამიტომ რომ ეხლა აზნაურობას ვალს ააღებინებს, და შემდეგ — მამულებს გაუყიდის, როცა მყიდველი გარეშე კაცის მეტი არავინ იქნება.

და თქვენ ბრძანებთ, რომ როცა ჩვენ ქვეყანას თქვენმა უმეცრებამ ეს მომავალი დაუმზადა, როცა ჩვენ საზოგადოებას, თქვენი სულწასულობით და აჩქარებით, ამისთანა საშიში, ყელის გამომჭრელი დანა მისცემია ხელში, ხმას ნუ ამოიღებთო, ნურაფერს იტყვითო, აცალეთ, ჯერ ბანკი დამტკიცდეს და მერე უექიმეთო, ჯერ ყელი გამოიჭრას და მერმე წამალი დაადევითო? როცა ამისთანა გასაჭირია, თქვენ კიდევ თქვენი თავი გახსოვთ, თქვენი თავმოყვარეობა გეზოგებათ, თქვენი კერძოობითი სახელი გახსოვთ! — ღმერთო რას შეუქმნია ამისთანა კაცები, რა გარემოებებს დაუმახინჯებია ამოდენათ კაცის გული და გონება!

და ამისთანა გასაჭირი რომ კარზე გვადგია, ამისთანა საშინელ და ძნელ მომავალზე რომ უნდა ეზრუნავდეთ, გამოდის უფ. ბ. ღოლობერიძე და თავის ან ჩვენ პიროვნებაზე ლაპარაკობს! არც ესაა

გასაკვირელი. მაგისთანა ვითომ-ბრძენები არ ბრძანდებოდენ, ბიზანტიას რომ მაჰმედ მეორე იღებდა, როცა ყოველ ხეირიან კაცს ქალაქის დაცვაზე უნდა ეზრუნა და ეშრომა, გამოდიოდენ და მოედანზე ბრძნულათ ბაასობდენ: საიდამ სწარმოებს გონების სინათლეო! რა ვქნათ, ამაზედაც ვიბაასოთ.

როცა ჩვენ დავსწერეთ, რომ უფ. ბეს. ღოღობერიძეს წარსულს საკმაოდ უნდა ეჩვენებია ჩვენთვის, რომ სწორედ ამ საქციელს დაადგებოდა და ჩვენ მისი „ოინობა“ არ უნდა გაგვიკვირდეს-თქო, ჩვენ მხედველობაში გვქონდა ის საქციელი, რომელიც დააფასა პირუთვნელმა მწერლობამ, და რომლის გულისათვის უფ. ბ. ღოღობერიძეს „ჩატეხილი ხიდი“[46] და ბევრი სხვა ამისთანა ტიტულები მიენიჭა. ამას ინსინუაცია კი არა, პირდაპირი გამტყუნება ჰქვია, და მიკვირს, დღეს რათ მოდის ამაზე გული უფ. ღოღობერიძეს, როცა ეს საქმე დიდი ხანია გადაწყვეტილი და არხივში ჩადებულია? გვიან სცოდნია მაგ დალოცვილს თავის გამოდება!

მაგრამ ეს ახალი ცილის-წამებაა ბ. ღოღობერიძის თავის საკუთარ თავზე. იმას უნდა, რომ გვათქმევინოს „ინსინუაცია რა არის არ გცოდნიაო“, და მერმე დაგვიმტკიცოს — კი ვიცი. არა, ამას ჩვენ არასოდეს არ ვიფიქრებთ, რომ ღოღობერიძემ კარგათ, მტკიცეთ და საფუძვლიანათ არ იცოდეს ინსინუაცია რა არის. მაგრამ ბევრმა ჩვენმა მკითხველმა არ იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა, და ამიტომ ავხსნით, რომ გავაგებინოთ, — ღოღობერიძე ნიკოლაძეს რა ბრალს ადებს, ინსინუაცია გიხმარიაო რომ ამბობს. ინსინუაცია იმას ჰქვია კაცი პირდაპირ თავის აზრს რომ არ გამოთქვამს სხვის წინააღმდეგათ, მაგრამ ისე კი წაიბუტბუტებს, ჩაუჩურჩულებს ვისთანაც საჭიროა, რომ კვანტი მოედოს და საქმე წაუხდეს. პირდაპირ საქვეყნოთ რომ ვერ ეტყვის კაცი ვისმე — აი ეს ცუდკაცობა გიქნია, ეს ოინი ჩაგიდენია, ცუდი კაცი ყოფილხარო, და ჩუმათ, ნელ-ნელა მიძვრება სხვა და სხვა გარეშე პირთან და ხმა დაბლა ეტყვის: იცით, ამა და ამ კაცს ეს განზრახვა აქვსო, ეს უნდაო, ასე თქვაო, ისე მოიქცაო, — ინსინუაცია ამას ჰქვია. ინსინუაცია ხანდისხან დანოსსაც ნიშნავს, და საზოგადოთ კი იმ კაცებს სჩვევია, ვინც იეზუიტურ საქციელს ადგია, ვინც დიდკაცების პერედნიაში დაძვრება და გზას იკვალავს... — აი, ამას აბრალებს ღოღობერიძე ნიკოლაძეს. და ჩვენში ხომ ყველამ იცის, რომ სწორეთ ამ საზიზღარ საქციელსაა დაჩვეული ნიკოლაძე. სწორეთ ასე უშვერათ იქცევა, ასე იეზუიტურათ მოქმედებს, მაშინ როდესაც ღოღობერიძე ყველას პირში ეუბნება თავის სათქმელს, ყოველთვის პირდაპირ მოქმედებს და დიდისა და პატარას მოურიდებლათ თავის პატიოსან გზას ადგია.

უ. ბეს. ღოღობერიძე ეხლა ბრძანებს — „თქვენთან არაფერი კავშირი არ მქონიაო და ნიკოლაძის პატივისცემა არა მ ა ქ ვ ს ო (დავიწყებია კი დაეწერა, ა რ ც მ ქ ო ნ ი ა ო). ალბათ ეს მართალია, და უეჭველია, რომ ნიკოლაძეს ტყუილი მოუგონია. იმ საწყალს კავშირათ ის სჩვენებია, „თქვენს გზას დავადგებიო“, „ამა და ამ საქმეში რას მეტყვი როგორ მოვიქცეო“, „წავიდეო“, „რა უთხრაო?“ ან „საჭიროა „დროების“ შემდეგ ნომერში დაბეჭდო ერთი კარგი ც ხ ა რ ე ს ტ ა ტ ი ა ო“. (უკაცრავათ, მაგრამ მ ა შ ი ნ „დროება“ კარგი იყო, მაშინ იმის სიტყვას გაელენა ჰქონდა, ეხლა კი — ფი!). „ნ. ღოღობერიძეს, ხომ იცი, მე არაფერში ვეთანხმები, ჩვენ სხვა და სხვა გზით დავდივართო“ (ეს სიტყვები ჩემსა მითხრა უფ. ღოღობერიძემ, თ. ნ. ჩიჯავაძის იქ დასწრებით) და სხ. და სხ. ნიკოლაძეს მოჩვენებია ეს ყველაფერი და რასაკვირველია შემცდარა, „ყმაწვილობა მოსვლია“.

მივანებოთ თავი ამ წერილმან შენიშვნებს, იმათზე ლაპარაკიც არ ღირს, და გადავიდეთ უფ. ბ. ღოღობერიძის საქციელის დაფასებისკენ. მცირე გონების კაცი მთელ თავის სიცოცხლეს იმ შთაპეჭდილებას ვერ ივიწყებს, რომელსაც ის ერთხელ როდესმე მეტის მეტათ შეუფუცხუნებია. როცა უფ. ღოღობერიძე რუსეთში იყო იმას იქ იმის მაგალითები ჰქონდა თვალის წინ, რომ ახალგაზრდობას და შემძლე პირებს შუა დიდი განხეთქილებაა. მას აქეთ იმას მუდამ ეს აზრი თავიდამ არ ამოდის. ის ნიადაგ იმას სცდილობს, რომ დიდ-კაცობას თავი ისე დაანახოს ახალგაზრდა არ გეგონოთო. მაგრამ ამასთანავე იმას არც ახალგაზრდობის დავიწყება უნდა, არის ამ ორს გასაჭირს შუა გამწარებულათ გაბმული. ყოველ საქმეს, რაგინდ უბრალო და უმანკო იყოს ეს საქმე, ის იმ თვალით უყურებს, ვაი თუ ვინმემ იფიქროს, ეს ახალგაზრდობის საქმეაო. აი, ამ უსაფუძვლო კანკალში ვხედავთ ჩვენ უფ. ბ. ღოღობერიძის მოქმედების შეცდომას, უსაფუძვლობას და ვნებას. დღეს ჩვენ იმ მდგომარეობაში როდი ვართ, რომ ამგვარათ ვიქცეოდეთ. დღეს ახალგაზრდა და მოხუცი ერთია, ერთ ტაფაზე იწვება, ერთნაირი რეპუტაციით სარგებლობს... და იმისთანა პრაქტიკულ საქმიან საქმეში, როგორიც ბანკის საქმეა, ამისთანა ოცნებების დანახვა მარტო ბ. ღოღობერიძის შეშინებულ თვალს შეეძლო.

კიდევ ერთი შენიშვნა და გათავდა ჩვენი გრძელი ბაასი.

მწერლობა ხომ მარტო ჩვენში არ არსებობს და ეკვიანი, გონიერი და პატიოსანი მოქმედები მარტო უ. ბ. ღოღობერიძით ხომ არ დალეულა? თუ რომელიმე მწერლობაში, რომელსამე ქვეყანაში ვინმე იმისთანა მწერალს ან ორატორს გვიჩვენებს, რომელიც საზო-

გადო საქმის წაყვანაში იმისთანა ენას ხმარობდეს, როგორიც ბ. ღოღობერიძეს უხმარია, იმისთანა კილოთი სწერდეს, იმნაირათ ლაპარაკობდეს, სწორეთ ლაფ-დასასხმელები ვიქნებით ჩვენ. ვის გაუგონია მწერლობაში მოახლური კილო, პირფერული სიტყვები, პირში მოქალაჩუნება? მწერლობას ყოველგან და ყოველთვის პირდაპირი პირმოუფერებელი, გულწრფელი ენა სჩვევია, არა თუ საზოგადო საქმეების წაყვანაში და განხილვაში, უბრალო პოლემიკაში და სიტყვიერებაშიაც. რას ნიშნავს, მაშ, რომ უფ. ღოღობერიძე თავის პასუხში სულ სხვანაირ ენას ხმარობს? რათ დაუვიწყია იმას, რომ მტერს თუ მოეფერება პირში კაცი, თორემ მოყვარესთან, კეთილის მყოფელთან იმას გულწრფელი ენა სჭირია? რათ შეჰყავს იმისთანა მკითხველის აზრში, რომელიც უფ. ბ. ღოღობერიძეს არ იცნობს, ის ეჭვი, ვითომ უ. ბ. ღოღობერიძე ჩვენი საზოგადოების ერთგული მსახური არ იყოს, რადგანაც ის იმის წინ შემძრომი მსახურის ენას ხმარობსო? რათ? რისთვის? იმიტომ, რომ უფ. ბ. ღოღობერიძე სუსტი მოაზრების პატრონი კაცია.

ჩვენ გავათავეთ უფ. ბ. ღოღობერიძეზე ლაპარაკი. ბანკზე კი, როცა საჭირო იქნება, შემთხვევა გვექნება მოლაპარაკებისა. ეხლა გასინჯოს მკითხველმა და გადაწყვიტოს, გვქონდა ჩვენ თუ არა სიმართლე და მოვალეობა, იმნაირათ მოვპყრობოდით უფ. ღოღობერიძეს, როგორც მოვეპყარით.

რაც შეეხება უფ. ბ. ღოღობერიძეს, განისვენოს ეხლა იმან მარტო იმ ერთი გამარჯვების გვირგვინით, რომელიც კენჭის ყრამ და „ოინობამ“ იმას მიანიჭა. დატკბეს იმ აზრით, რომ კრებამ „სიაჭოვნგბით მოისმინაო“, „ჩემი პროექტი მიიღოო“, „ბანკი დაარსდაო“, და სხვ. მაგრამ ვარწმუნებთ, რომ ათი ათასჯერ სჯობდა მისთვის, არ გაემარჯვა ამ საშუალებით. ზოგიერთი გამარჯვება დამარცხებაზე უფრო სასირცხო და სათაკილოა. ამნაირი გამარჯვების გვირგვინი შუბლზე დიდხანს როდი მაგრდება, მაგრამ სანიადაგოთ ამოუხოცელ დაღს კი სვამს.

---

31. ბონივრული ღონისძიება

უწმიდეს სინოდთან არსებულმა სასწავლო კომიტეტმა გადაწყვიტა ჩვენს სასულიერო სასწავლებლებთან და სასულიერო სემინარიასთან გახსნას ქართული ენის კლასები და ნება დაერთოს ოსური და თათრული კლასების გახსნისა, თუ ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება ამისათვის საჭირო სახსრებს გაიღებს. თავისთავად ამ დადგენილებას, როგორც ჩანს, არავითარი ისეთი არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია, რომ ის მის მსგავს მთავრობის მრავალ ღონისძიებაზე მაღლა დააყენოს. მაგრამ თუ ყურადღებით გავსინჯავთ იმ მოტივებს, რომლებიც სასწავლო კომიტეტს თავისი გადაწყვეტილების საფუძვლად დაუდვია, ჩვენ ვნახავთ, რომ იგი ღირსია მკითხველი საზოგადოების სრული და განსაკუთრებული ყურადღების.

უწმიდესმა სინოდმა დიდი ხანია სასარგებლოდ სცნო ქართული ენის დაშვება სასწავლებლების მოსამზადებელ კლასებში — „არა მარტო როგორც შესასწავლი საგნისა, არამედ როგორც სამეცადინეო ენისა, ხოლო თვით სასწავლებლებში — მისი გამოყენება როგორც დიდაქტიკური ხელისშეწყობისა და სწავლების ენისაც. იმ შემთხვევებში, როცა იგი აუცილებელია. ახლა კი სინოდი განმარტავს, რომ „მისი ასეთი გადაწყვეტილებით გამორიცხული არ არის, რომ ქართული ენა საქართველოს ეგზარქატის სასულიერო სასწავლო დაწესებულებებში გადაიქცეს დამოუკიდებელი სწავლების საგნად“.

ეს ღონისძიება სრულიად შეეფერება სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების დანიშნულებას — გამოწვრთნას და გაანათლოს ეკლესიის მსახურნი, რომელთაც უნდა ქართველ ხალხში იცხოვრონ და იმოქმედონ მის სულიერ ცხოვრებაზე. უდავოა, რომ მღვდელი, რომელიც ხალხში ცხოვრობს, მისთვის აუცილებელ ნდობასა და პატივისცემას მოიხვეჭს არა იმდენად თავისი საღვთისმსახურო მოვალეობის მართებული შესრულებით, რამდენადაც პრაქტიკული მითითებებით, რჩევითა და დარიგებით და მწყემსური მოღვაწეობის

ცოცხალი მაგალითით. თუ ეს მაგალითი სამწყსოს თვალწინ არ უდგას, თუ ყველა რჩევა-დარიგება მისთვის გაუგებარია, სამღვდელმსახურო მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი ამაო, არავითარ გავლენას არ ახდენს მოსახლეობის ზნეობრივ ცხოვრებაზე. სამღვდელოების სწორედ ასეთი მტკიცე პრაქტიკული დამოკიდებულების დამყარება ხალხის მიმართ რომ აუცილებელია, ჩანს, სხვათაშორის, უცხოელი სამღვდელოების მაგალითითაც, რომლის წევრები იღებენ განათლებას, რომელიც მომარჯვებულია არა მხოლოდ სამწყსოს ენის უშუალოდ გაგებისათვის, არამედ მისი, ამ სამწყსოს, ყოველდღიური, სანიადაგდღეო ცხოვრებისათვის პრაქტიკული მომსახურეობის აღმოსაჩენად. აი რატომაა, რომ ამ უკანასკნელი სამღვდელოების სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ ხალხთა ენების შესწავლა, არამედ მეტად საფუძვლიანი სწავლება ისეთი საგნებისა, როგორებიცაა ჰიგიენა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, პედაგოგიკა და ამისი მსგავსნი. ხომ სწორედ ამაზეა, უმთავრესად, დაყრდნობილი ის დიდი გავლენა ხალხის მასებზე, რაც მოპოვებული აქვს უცხოეთის სამღვდელოებას!

რომ ამგვარი სასარგებლო მოღვაწეობა სრულიადაც არ სცემს ეკლესიისა და მის მსახურთა ღირსებას, ჩანს ეკლესიის პირველ მამათა მაგალითით, რომელნიც პირადი მაგალითითაც, თავისი მოძღვრებითაც და თხზულებებითაც ასაბუთებდნენ სამღვდელოებასა და სამწყსოს შორის ამგვარ ურთიერთობათა აუცილებლობას. საკმაოა მხოლოდ გახსენება ნეტარი ავგუსტინეს, ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ქადაგებებისა მისთვის, რომ ეს მდგომარეობა სრულად დამტკიცებულად და უეჭვოდ ჩაითვალოს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სწორედ ასეთი ხასიათი მიეცემა ამ რეფორმებს, რომელნიც ახლა ტარდება სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში; თუმცა ამ იმედის საბუთია ის განკარგულება, რაც წინამდებარე სტატიის საგანი გახლავთ.

არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ, რომ ეს სრულიად აზრიანი ღონისძიება აქამდე არ იყო ნაცადი: ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ამისი უეჭვო სარგებლიანობა ამ საგანზე ყურადღებას მიაქცევინებდა სხვა უწყებათა სასწავლო კომიტეტებსაც. მაშინ კი უეჭვო ჭეშმარიტება იქნებოდა, რომ, იმისთვის, რათა, მაგალითად, სასარგებლო დაბალი ადმინისტრაცია გვყავდეს, ან იმისთვის, რომ ომის შემთხვევაში გვქონდეს შესაძლებლობა ვისარგებლოთ ხალხის მთელი ცოცხალი ძალებით, აუცილებელია გვყავდეს

მოხელეები და ოფიცრები, რომელთაც შეეძლებათ ხალხის მეტყველების გაგება, მის გონებაზე მოქმედება და, საჭირო შემთხვევებში, გვერდის ავლა წვრილმანით დაინტერესებულ და ცუდად მომზადებული შუამავლებისა და თარჯიმანებისთვის, რომელთა მთელი მოღვაწეობა იმაში გამოიხატება, რომ ისინი, პირადი სარგებლობით, ან მოუსაზრებლობით უფრო ზრდიან უამისოდაც დიდ ზღვარს, რომელიც აქამდე ჰყოფდა მმართველებს სამმართველოთაგან, რაც წესიერად მოწყობილ საზოგადოებაში სრულიადაც არ უნდა არსებობდეს.

ᲛᲔ. ᲛᲝᲜᲨᲔᲠᲣᲙᲐ ᲛᲝᲜᲨᲔᲠᲡ

(ᲚᲘᲐ ᲒᲐᲠᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ)

თბილისი 1872 წლის 2 ივლისი

წარმოიდგინე, mon cher, საზაფხულოდ თბილისში დავრჩი! როგორია? არ შეგეშინდეს არც შეხუთული ჰაერისა, არც სამსახურისა, კრედიტორებისაც კი არა — ეს პირდაპირ გმირობაა, ma parole d'honneur. უფროსი ჩამციებია: „არ შეიძლება, mon cher, შენი თბილისში დარჩენაო, თუ შვებულება არ გინდა, მივლინება ან რაღაც ამისი მსგავსი აიღე, ვითომც სამსახურის საქმეებისათვისაო!“ მშვენიერი ადამიანია ჩემი უფროსი. მართალია მას აკლია ის je ne sais quoi, რაც მხოლოდ არისტოკრატული წარმოშობით ან ჩვენი წრის აღზრდით ჩნდება, ან კიდევ ჩვენი jeunesse dorée-ს მხიარული ცხოვრებით, მაგრამ მას, ყოველ შემთხვევაში შეუძლია იგრძნოს თუ რა არის ყველაფერი ეს. შეუძლია აღზდილი და კეთილშობილი ადამიანი გაარჩიოს ყველა იმ „მოსამსახურეთაგან“ (fi, mon cher, რა სიტყვაა!), რომლებიც ჯამაგირზე სხედან უსახსრობის გამო. იგი ჩვენ გვაფასებს, ჩვენთან კარგადაა. მეტსაც ვეტყვი — ჩვენ მას ძვირად ვუღიეართ, ღმერთმანი!

ამრიგად, თბილისში დავრჩი! შენ, ალბათ, ფიქრობ: „ce pauvre Serge, რა ცუდად მოსვლია!“ სცდები, mon cher! აქ პირდაპირ სამოთხეა. შენ ახლა არბანითა და მისი კონცერტებითა ხარ გართული. რა კარგად გამოდის მის ორკესტრს მოტივები „La fille Angot“-იდან.

De la mère Angot
je suis la fille,
je suis la fille,
Et la fille Angot
tient de famille
tient de famille!

რა აღმაფრთოვანებლად ჩაარაკრაკებს ორკესტრი არიას
timbale d' Argent-დან:
V'la qu'ça glisisse!

მაგრამ, ყველაფერი ეს და ყველა თქვენი ალფონსინკები, ბლანშები და პეტერბურგის სხვა ბომჯადოებლები, ყველაფერი ეს სრულიად არაფერია თბილისის ცხოვრებასთან შედარებით. გაიგონე mon ami, არ შეიძლება მთელი შენი ცხოვრების განმავლობაში გატაცებული იყო ჩამოსული ფრანგი ქალებითა და არბანებით. Il faut se ronger, que diable! ღროა მომავალზეც იზრუნო. ბოლოსდაბოლოს შეიგნე, რა სიამოვნებით ვიწყებს გული ძგერას, როცა რამდენადმე სერიოზულ კაცად გთვლიან — მაღალი საზოგადოების წესების კანონმდებლად, bon mes და ყველა ამისთანაში, გესმის? რასაკვირველია, პეტერბურგში ძალიან კარგად ვცხოვრობდი, ბედნიერები და კმაყოფილები ვიყავით: ფრანგი ქალებიც იყვნენ და ცხენმალი მეეტლეებიც, შარმერთან და თვით დიუსოსთანაც კი კრედიტი გვქონდა გახსნილი. კაროლინები, პოლინები და ავგუსტინკები გულმხიარულად გვიღებდნენ თავისთან. ფიურსტთან შინაურულად ვიყავით, მარცინკევიჩთან და მალაფეევთან ზოგჯერ ტონსაც ვაძლევდით, მაგრამ, გამოტყდი entre amis, ამაზე მაღალ საზოგადოებაში ხომ ცხვირსაც ვერ შეეყოფდით! ბევრი-ბევრი ზოგჯერ მიხეილის თეატრში ერთხელ თავი გამოგვეჩინა და მერე ისევ სხვენში უნდა შევმძვრალიყავით. გთხოვთ იქ მობრძანდეთ! აქ კი — Cela change du tout au tout! რა საზოგადოებაა, რა საყვარელი სახეებია, რა ტანი აქვთ, — აღსაფრთოვანებელია, mon cher, აღსაფრთოვანებელი! ახლა თვალები, ახლა ღიმილი, ახლა თვალის ჩაკვრა! ის კი არა, როგორც ვიღაც კაროლინებს, — fi donc! არა, როგორც ნამდვილ ქალებს. დამიჯერე, ხომ ღირს ეს ერთ რამედ!

გიამბობ ჩემს პირველ შთაბეჭდილებებს. როცა ჩამოვედი, უფროსს გამოვეცხადე და აქაური საზოგადოების გაცნობას შეუდექი, ყველგან ისე კარგად მიღებდნენ, ისე მეგობრულად, რომ არ ვიცი რატომ გამახსენდა ის სასაცილო ფარსი, რომელიც მე და შენ ვნახეთ ერთხელ ალექსანდრეს თეატრში. მგონი „ცრუ უფროსი" თუ „რევიზორი" ერქვა, ნამდვილად აღარ მახსოვს. მეჩვენებოდა, რომ ვიღაც ვეგონე, რევიზორი ან მეტად უცხო ფრინველი და სულ მეშინოდა, რომ აი, საცაა გამოიფშვნეტენ თვალებს და შეცდომას მიხვდებიან მეთქი. მეშინოდა კიდეც ვინმესთვის მეკითხა, მაგრამ, რაკი დავინახე, რომ საშა ხ...ს, პიერ უ...ს და სხვა ჩვენიანებს სწორედ ასევე ხვდებიან, მე ერთხელ ვახშამზე Sans Souci -ში, გადაკვ-

რის შემდეგ პიერს გამოვუტყდი და რჩეევა ვკითხე — რა მეკნა და როგორ მოვქცეულიყავი.

— ხა-ხა-ხა-ხა! — დაიწყო მან ხარხარი, — mon cher, აქ, ჩვენიანებს ყველას ასე იღებენ, შენ ეცადე თავი არ შეირცხვინო. პიტერში არ გეგონოს თავი! გასაგებიცაა, ეს ველური მხარეა, ასე თუ ისე აზიაა!

მეც მივხვდი ყველაფერს უცბად და მას შემდეგ შევედი როლში და გულარხეინადა ვარ, იმდენად გულარხეინად, რომ ჩემი სახე ამით უფრო გაბრწყინდა, თუმცა იგი ბავშვობიდანვე მიბრწყინავდ».

აბა, მითხარი, შენი ჭირიმე, რატომ გავცვალო ეს უმანკო არკადია თქვენს ჩამქაებულ პეტერბურგზე? რა მაკლია აქ? თავის აწეკა, ფორსის გაშვება აქ უფრო ხშირად შეიძლება, ვიდრე პიტერში. თანამდებობა გამოსაჩენი მაქვს, სოლიდურ სამსახურში დაწინაურება იმდენია, რომ მუნდირის გამოცვლას ვეღარ ვასწრებ. ფული— იმდენი ივალე, რამდენიც შენს სულს უნდოდეს, საჭმელი — ასატანია, სხვადასხვა გასართობი — საკმარისი. აქაური ქალები კარგები არიან, კარგად მოყვანილები, სრულიადაც არ არიან თავშეკავებულნი, ქმრები — როგორც ყველა ქმრები — ბანქოს ქაღალდში მარდები არიან, სტუმრებს მთქნარებით ართობენ. მეტი რაღაა საჭირო, je me le demande? ცხადია, ძლიერ საწყენია, რომ ამ მხარეს ცივილიზაცია ჯერ მთლიანად არ გასჯდომია, მაგალითად, ქალები სრულიადაც არ იცვამენ კოხტად, არბანის კონცერტები არ იმართება, რაიმე ოპერა ან ოპერეტაც კი ჩვენში არაა, არაა წესიერი არც დიუსო, არც შარმერი, არც ფიურსტი, მაგრამ mon ami, ყველაფერი უცბად ხომ არ იქნება, ყველაფერში თანდათანობაა საჭირო, ყველაფერს ხომ ვერ დავიწუნებთ. ისიც კარგია, რაც მოიპოვება. გამოგიტყდები, ამასაც არ მოველოდი, ma parole არ მოველოდი!

ვიმეორებ, ყველა ეს ნაკლი გამოისყიდება იმ მნიშვნელობით, რაც ჩვენ აქ მოვიპოვეთ. რაღა სალაპარაკოა და ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩვენ აქ ტონს ვაძლევთ, სალონებისა და კაბინეთების კანონმდებლები ვართ, გვაფასებენ, უჩვენოთ გაძლება არ შეუძლიათ. ეს კი, mon cher ისეთი უცხო ხილია, რომ ამისთვის დიახაც შეიძლება კაცმა დიუსოც და მისი კრედიტიც დაივიწყოს.

ეი, ძმაო, შენც აქეთ წამოდი, მიაგორე ქვა შენ უბედურ დეპარტამენტს, სადაც მთელს შენ სიცოცხლეს უმცროსი ეგზეკუტორის თანამდებობების შემსრულებლის უმცროს თანაშემწედ დარჩები. გადმობარგდი. ყველაფერს დაგახვედრებ, რაც შენს სულს ესიამოვნება და ისეთ ქეიფს გავწევთ, რომ ეშმაკებსაც კი გული აერიოთ, Je ne te dis que Ga!

არ გეგონოს, რომ ვითომც ჩვენ რაღაც აბისინიაში ვცხოვრობ-დეთ. ეს, გიმეორებ, წმინდა წყლის préfugé — ქალაქგარეთ სეირნობასაც ვაწყობთ ხოლმე — კოჯორში, თეთრწყაროში, მანგ-ლისში ან რკინიგზის ხაზზე, არის ქალაქის ბაღებიც — მუშტაიდი, Saint-Antoine და სხვ. არის „კრუეოკიც", მეტად ასატანი, არის საზაფხულო თეატრიც კი, ბაღითა და არც თუ ცუდი განათებით. დასი, მართალია, არაფრად ღირს: არც ერთი კარგი მსახიობი ქალი არაა, წარმოიდგინე! არა, შენ წარმოიდგინე, არც ერთი კარგი მსა-ხიობი ქალი, როგორია? მაგრამ, ამბობენ, ესეც იქნებაო. ჩვენ ზოგ-ჯერ თეატრშიც დავდივართ, ბაღის ხათრით, სადაც სეირნობს beau-monde და სადაც მიმზიდველ სახეებს შეხვდები, ჯადოსნურ თვალებს, სერიოზულ ნაკვთს, ხედავ აი ასეთს, იცი, ღიმილს, ჩაკუ-ბულ ლოყას, ლოყებს, ხელებს, — აჰ, მამაძაღლობა! მაგრამ, წარ-მოიდგინეთ, რა ფეხები აქვს ყველას — სწორედ შენი ველინგტონის ფეხსაცმელია გოზეს აბრაზე გამოხატული! ხელში დაჭერა არ შეიძლე-ბა! ეს საშინელებაა, საშინელება. სამაგიეროდ ლაპარაკი, სიტყვები — ერთი სიამოვნებაა. რაც არ უნდა თქვა, ყველაფერი ახალიცაა და ჭკვიანურიც! ზოგჯერ რამე კალამბურს გადმოისვრი წიგნიდან — „მილიონი კალამბური, აზიზ მახვილობათა და სხვათა", ან რომე-ლიმე ლექსს გაიხსენებ „უახლესი სასიმღერო წიგნიდან" და არის ერთი ყოფა, ყველას ჰგონია რომ ეს შენი ნათქვამია, შენი მოგონე-ბული. არკადიაა და სხვა არაფერი. და, იცი, არც ერთია ისეთი სი-ფათი, რომელიც შენიშვნით გაგაჩუმებდეს, რომ ეს მოძველებული ხუმრობაა, ნაქირავები კალამბურია, ღმერთმანი ასეა. თავის მტვრე-ვაც არაა საჭირო სალაპარაკო სიუჟეტის გამოსაგონებლად — ილა-პარაკე რაც გინდა, ყველაფერი გადის, ყველაფერი სიამოვნებით იქ-ნება მიღებული. აქ, თურმე, ესეც ახალი ამბავია. მართლაც და, ჩა-ფოდი ჩემო კარგო. შენთან ერთად უფრო კარგი იქნება, მეტი სიმ-ხიარულე, დამიჯერე.

მაგრამ, კმარა ამაზე. ახალ ამბავს შეგატყობინებ. ახლახან პიერ-მა ძლიერ კარგი თანამდებობა მიიღო — პროვინციაში, სადაც ჩვე-ნიანებისათვის უფრო კარგია, ვიდრე აქ, თუმცა იქ გვარიანი მოწ-ყენილობაა. Basile შენ ეს ნამდვილად იცი, უკვე დიდი ხანია დანიშნულია ისიც პროვინციაში და ისიც სარფიანად. საშას დარდი გაუჩნდა — თავისმა adorée-მ ცხვირი აჩვენა. ანდრუშა ხე-ლოვნების სიყვარულისთვის დაქორწინდა, ევგენიმ კი საკმაო კარგი თანხა იგდო ხელთ საკმაოდ უშნო ცოლით. გუშინ საზაფხულო ბაღ-ში ვივახშმეთ, ვახშამი ცუდი იყო, — მოსაწყენი. მაგრამ ვახშმის შემდეგ ვიქეიფეთ და ძლიერაც გამოვიბრუეთ. მუშტაიდში ვიყა-

ვით, —მოწყენილობაა. აქეთ-იქით ვიყავით — ნაღვლიანობაა. ყველაფერი ეს, ცხადია, თბილისზე კარგს არას ამბობს, მაგრამ ახლა ზაფხულია. ხვალ კოჯორში მივდივარ, იქ გემოზე გავატარებთ დროს.

მომწერე, გეთაყვა, რას აკეთებენ ჩვენი პიტერელები? დაწვრილებით მომწერე ყველაზე და განსაკუთრებით არ დაივიწყო შემატყობინე — რა მოუვიდა იმ მაღალ პოლონელ ქალს, გახსოვს, დიდ თვალებასა და შავთმიანს, ეშმაკური გამომეტყველება რომ ჰქონდა და შავი აბრეშუმის კაბა რომ ეცვა, რომელიც ელდორადოში გავიცანით და რომელიც ისე მომხიბლავად მშვენიერი იყო, რომ ზოჯერ აქაც კი მელანდება ძილშიცა და ცხადშიც.

დამავიწყდა მომეწერა შენთვის, mon cher, ყველაზე მნიშვნელოვანი ახალი ამბავი: ჩვენი უფროსის ცოლს ამასწინათ დაეკარგა ულამაზესი ოთახის ძაღლი, რომელიც, როგორც ამბობენ, ბაზილ გ-ს შეუტყუებია სახლში. იყო რაღა ამბავი! ამისთვის იგი ცარევოკოკშაისკში გადაიყვანეს.

მართლაც უსიამოვნოა, ძლიერ უსიამოვნო, როცა შენს წრეში მოხვდებიან ადამიანები, რომლებიც ასე უსინდისოდ არცხვენენ თავის წოდებას. მაგრამ, რას იზამ — თითო მახინჯი ყველგან არისო.

აბა, კარგად იყავი ჩემო საყვარელო.

შენი სერჟი

დედანთან სწორია:
რედაქციის მდივანი პ. ბოტინი.

---

33. რკინიგზა და საფოსტო მომსახურება

უამრავ იმედთაგან, რომელნიც ფოთი-თბილისის რკინიგზის გახსნას ნაჩქარევად ეყრდნობოდნენ და რომელნიც საფუძვლიანად გამტყუნდნენ, გამოსაჩენი ადგილი ეკავათ თბილისსა და რკინიგზის ხაზზე მდებარე სხვა ქალქებს შორის საფოსტო კავშირის დაჩქარების იმედს. მოველოდით, რომ ყოველდღიური მატარებლების წყალობით დამყარდებოდა ფოსტის ყოველდღიური გზავნა, რომ რკინიგზის ყველა სადგურზე გაიხსნებოდა მიღება ყოველგვარი კორესპონდენციისა, რომ ამ სადგურებსა და მთავარ დაბებს შორის, რომელნიც ხაზის მოშორებით დარჩნენ, დაწესდებოდა ხშირი კავშირი ერთი ცხენით შებმული საფოსტო ეტლით. კვლავ ბევრ რამეს მოველოდით, — მაგრამ ყოველი მოლოდინი წყალმა წაიღო. ჩვენი ფოსტა ისევე მოდუნებულად დადის, როგორც უწინ, უფრო უარესად თუ არა. ქუთაისში, მაგალითად, ან ყვირილაში მიდის ორი დღის შემდეგ, ხოლო ახალციხესა, ბორჯომსა და მათ მსგავსთა შესახებ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

თბილისიდან ფოსტის გასვლის ვადები ისეთივე დარჩა, როგორიც ფოსტის ცხენების მგზავრობისა და საფოსტო კარეტების დაუვიწყარ დროს იყო. ქუთაისში ფოსტა კვირაში სამჯერ მიდის, გორში და ფოთშიც აგრეთვე, ოზურგეთში და ზუგდიღში — კვირაში მხოლოდ ერთხელ, ახალციხეში — ორჯერ და ა. შ. თითქოს ჩვენში რკინიგზა ხსენებაშიც არ იყოს, რომლის მატარებლები თბილისიდან ყოველდღე გადის, ხოლო სურამიდან დღეში ორჯელ.

რითი აიხსნება ფოსტის ამგვარი დამოკიდებულება საზოგადოების ინტერესებთან? რითი ხელმძღვანელობს იგი, რომ ერთი მხრით უურადღების გარეშე სტოვებს საზოგადოების მოთხოვნილებასა და გაზდილ საჭიროებას, ხოლო მეორე მხრით — გადასატან საშუალებათა გაზრდას, რაც რკინიგზისაგან უეჭვოდ წარმოსდგება?

ამ კითხვაზე, რომ პასუხი გავცეთ, უნდა გავიხსენოთ საფოსტო სამსახურის ის სახეცვლილებები, რომელნიც გამოწვეული იყო უცხოეთში და რუსეთში რკინიგზის მიმოსვლის გახსნით. ცნობილია, რომ რკინიგზის ხაზზე თითოეულ საფოსტო თუ სამგზავრო მატარე-

ბელს ერთი „საფოსტო ვაგონი“ უბია, რომელიც მოწყობილია კორესპონდენციის დახარისხებისათვის. ეს ვაგონი, რომელშიც ერთი ან ორი ფოსტალიონი ეტევა, იღებს გამგზავნი ქალაქიდან კორესპონდენციას, ახარისხებს ცალკე აბგებში სადგურთა რაოდენობის მიხედვით და რომელიმე სადგურზე მატარებლის მისვლისას ჩააბარებს ამ სადგურისათვის განკუთვნილ აბგას და სამაგიეროდ მიიღებს სხვა აბგას, რომელშიც მოთავსებულია ამ ქალაქიდან გასაგზავნი კორესპონდენცია, რომელიც სწრაფად უნდა დახარისხდეს საფოსტო ვაგონში. ესაა სულ რკინიგზასთან შეფარდებული საფოსტო საქმის მექანიზმი. მკითხველი ხედავს, რომ იგი ნათელია როგორც კაშკაშა დღე.

საფოსტო უწყებას რომ საკმაო რაოდენობით გააჩნია ფოსტალიონები და აბგები, ამაში, მგონია, მცირე ეჭვიც არ შეგვეპარება. რომ ამ ფოსტალიონებს შეუძლიათ ადვილად მოერიონ ვაგონებში წერილების დახარისხებას, არც ეს მოითხოვს დიდ დარწმუნებას. მაშასადამე, რჩება მხოლოდ ვიფიქროთ, რომ ამ სისტემის გამოუყენებლობა გამოწვეულია საფოსტო ვაგონების უქონლობით, ან რკინიგზით მათი გადატანის სიძვირით.

მაგრამ, განა შეიძლება ამაზე ფიქრი? ფოთი-თბილისის რკინიგზა სამიმეოთხედით მაინც ჩვენი მთავრობის ხარჯითაა გაკეთებული: თავისი ხარჯით აწარმოვა მან მიწის ყველა სამუშაო, ააშენა ყველა ხიდი, გარანტირებული ჰყო ყველა კაპიტალი და საექსპლოატაციო კომპანიებს ყოველი შესაძლებელი და შეუძლებელი სარგებლიანობა შეუქმნა. მაშ განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზის კონცესია არ ავალებს კომპანიას ჰქონდეს საჭირო რაოდენობის საფოსტო ვაგონი და ისინი უფასოდ ატაროს თითოეულ სამგზავრო მატარებელთან? ცხადია, არა. კონცესიის პირობებს ხომ საქმიანი, კომპეტენტური ადამიანები ადგენენ!

ამრიგად, ვიმეორებ, რითი უნდა აიხსნას ჩვენი ფოსტის ჩამორჩენილობა იმ მოხერხებული პირობების არსებობისას, რასაც ქმნის რკინიგზის ხაზის გახსნა საფოსტო კავშირისათვის?

ამ კითხვაზე არ ვიცით რა პასუხი გავცეთ.

---

34. მოგზაურის მოგონებიდან

(ფრანგულიდან)

...ერთხელ ნ.-მ დამპატიჟა საღამოზე თავისი გამოუქვეყნებელ მოგონებათა ნაწილების წასაკითხავად. ვიცოდი მპატიჟებდნენ მაყურებლად, როგორც ავტორები და დირექტორები ურიგებენ ხოლმე უფასო ბილეთებს თავიანთ ნაცნობებს სათეატრო წარმოდგენებზე, რომ ახალ ნაწარმოებს ტაში დაუკრან და ამითი არტისტების ენერგია და საზოგადოების ენთუზიაზმი გამოიწვიონ.

ვიცოდი, მაგრამ მაინც წავედი, რადგან ნ., მიუხედავად ყველა მისი მარცხისა, თავმოყვარეობისა და ბავშვურობისა, მაინც თანამედროვე საფრანგეთის ერთი უკეთესი მწერალი იყო...

ერთი მხარისაგან თხოვნისა და მეორე მხარისაგან უარის თქმის წინასწარად გამოცხადების შემდეგ კითხვა დაიწყო. მახსოვს, ლაპარაკი იყო ბარტელმზე — თავისთავად ამაღლებულ ეპიზოდზე, ხოლო მისი აღწერა მსმენელს უაღრესად აღაგზნებდა. ამას ემატებოდა ავტორის არტისტული კითხვა, მისი ხმა და სიცხოველე და, შეიძლება წარმოიდგინოთ, თუ როგორ იმოქმედა ჩემზე ყველაფერმა ამან.

მე არ ვეკუთვნი მგრძნობიარე და შთამბეჭდავ ადამიანთა რიცხვს და ეშმაკმა იცის თუ რა ამბები უნდა დაგროვდეს, რომ მე ამაღელვოს ან ამამოძრაოს; ამჯერად კი სწორედ ამისთანა ამბავთა გავლენის ქვეშ გახლდით და არ შემეძლო სულის სიმშვიდე შემენარჩუნებინა.

დიდხანს ვიკვნეტდი ტუჩებს, ენის წვერიც დავისისხლიანე, ახლად ამოსული წვერის თითქმის მეოთხედი დავიწიწკნე, ფეხის ყველა თითი წავიმტვრიე — ვერაფერმა ვერ მიშველა. ვგრძნობდი, რომ ყოველ წუთს უფრო და უფრო ცუდათ ვხვდებოდი და შეიძლება რამე სისულელე ჩამედინა, რაც, რასაკვირველია, არაფრის გულისათვის არ მინდოდა.

რომ მიხვდეთ ჩემი აღტკინების ძალას, უნდა გავიხსენოთ თუ რა

წრეში მოვხვდი მაშინ, ან რა ხალხი ერტყა ირგვლივ მკითხველს და რას წარმოადგენდა მათი ფიზიონომია.

ესენი იყვნენ ღვთის გლახები, რაც შეიძლება გალანტურ ტანსაცმელში გამოწყობილები, თავის შესახედაობაზე, მდგომარეობაზე და თავის თავზე მზრუნველები, რომლებიც უმთავრესად იმაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ ესადილათ უფრო დაწყნარებითა და გემრიელად და როგორ გაენებივრებინათ თავისი სხეული. ერთადერთი გულის წადილი, რაც იმ ხალხს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამოქმედებდა, იყო სტომაქი და ხორცის მაამებლობა, რის გულისთვისაც ისინი მზად იყვნენ უარი ეთქვათ საკუთარ დედაზე და არა მარტო თავის შეხედულებებზე, მით, უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი მათ სრულიად არ გააჩნდათ და მათ ადგილს იჭერდა ფრაზები, ქირით ამაღლებული მოდური ბროშურებიდან.

ამ ხალხის განსხვავება ჩვეულებრივი საძაგლებისაგან, — არა. უფრო ზუსტად, ჩვეულებრივი ზედმეტი, უფერული, უღონო და ცარიელი ხალხისაგან, მდგომარეობდა მარტო იმაში, რომ, რაკი ხორცს იკმაყოფილებდნენ, თავის მოვალეობად მიაჩნდათ.

...К пышному обеду
Прибавить мудрую беседу.
В богато убранной палате
Потолковать о бедном брате,
Погорячиться о добре...

აი, რამდენიმე ხანია ასეთი ხალხი მე ნერვებს მიშლის: არ შემეძლო მშვიდად მეცქირა მათთვის, მესმინა მათი სტერკოტიპული ფრაზები ნაპოლეონის დესპოტიზმზე, ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობაზე, „გაიძვერებზე", „არამზადებზე" და ა. შ. და იმდენად შევიძულე ეს ვაჟბატონები, რომ სულის სიღრმეში რამდენადმე სიმპატიასა და პატივისცემას ვგრძნობდი იმ ხალხის მიმართ, რომელთაც ისინი არამზადებად და გაიძვერებად სახავდნენ.

და აი ამ ხალხის წინაშე იკითხებოდა ეპიზოდი სიკვდილის წინა წამებაზე ერთერთი უპატიოსნესი და უცნობი ადამიანისა, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს რაიმე იდეას — სულერთია აზრიანსა თუ უაზროს — ემსახურება და თავისი არსებობა და მთელი თავისი მომავალი მხოლოდ ამ იდეის კუთვნილებად მიაჩნია. როგორიც არ უნდა იყვნენ ასეთი ადამიანები. როგორადაც არ უნდა ცდებოდნენ და რა შედეგიც არ უნდა ჰქონდეს ამას, ისინი ღირსნი არიან პატივისცემისა იმისათვის, რომ გულწრფელნი არიან და პირადად მეტად ბევრს იხდიან თავის მოქმედებათა შედეგებში.

შეიძლება წარმოიდგინოთ რა ყალბი იყო მსმენელთა მდგომარეობა: ისინი ეტყობოდა შორს იყვნენ საგნის აზრისაგან. თითოეული მათგანი, ალბათ, მომავალ ვახშამზე და ვახშმის შემდეგ შესაძლო სიამოვნებაზე ფიქრობდა. მაგრამ ნ-ს სალონში მათმა როლმა ისინი აიძულა გრძნობაზე მოსულიყვნენ, თანაგრძნობის გამომსახველი სახე დაეჭირათ. სიბრალულის ცრემლიც კი გამოეწურათ. ვხედავდი, რომ ყველაფერი ეს არ იყო გულწრფელი, ყალბი იყო, ნაძალადევი და ნელ-ნელა მოთხრობის შთაბეჭდილება ჩემში გადინასკვა მსმენელის ზიზღში.

უაზრობა იყო ეს — (მაშინ 22 წლისა ვიყავი და მე ჯერ კიდევ ახალგაზრდული ენთუზიაზმის გავლენის ქვეშ ვიყავი, რაც ჩემი ცხოვრების სამმა უკანასკნელმა წელმა სრულიად გააქარვა) — მაგრამ მე მოთხოვნილება მქონდა მეცემნა, დამეწიწკნა ეს ღორმუცელები და მლიქვნელები, ოცდაათჯერ მაინც გავაღე პირი, რომ მეთქვა: ბატონებო, სცრუობთ, თქვენ არ შეგიძლიათ იგრძნოთ ის, რასაც თითქოს გრძნობთ, თქვენ შეტად ყალბნი და უხამსნი ხართ ამისათვის. მაგრამ ყოველთვის ენას ან ტუჩებს ვიკვნეტდი.

ეს ზაფხულის დასაწყისში იყო, — ტბის ნაპირზე, გაღებულ ფანჯრებიან ოთახში. წვრილ პეპელათა დასები, რომლებიც ცხოვრობენ.

...ce qne vivent les roses —
L'espace d'un matin,

შემოფრინდნენ სალონში და ტრიალებდნენ სანათისა და სამთლების ირგვლივ. ბევრი მათგანი ფრთებდამწვარი მაგიდაზე ცვიოდა, სწორედ ჩემს წინ. არ ვიცი როგორ, რის ძალით, — ალბათ ინსტიქტურად, — მე თვითონ შეუმჩნეველად ვიწყე მათი აკრეფა და თითოეულად სანთლის ალზე დაწვა. ამ საქმიანობამ წარმოუდგენელი შვება მაგრძნობინა, რადგან ნახევრადმკვდარ პეპლებზე ვიყრიდი მოთხრობისა და მის მსმენელთა ჯავრს: მეჩვენებოდა, რომ ამ ვაჟბატონებს, ვწვავ და არა მომაკვდავ პეპლებს, რომელნიც რამდენიმე წუთში უამისოდაც დაიხოცებოდნენ.

უნდა გენახათ ჩემი თანამსმენელთა ფიზიონომიები, როცა მათ ყურადღება მიაქციეს ჩემს auto da fé-ს. ისინი ცდილობდნენ ჩქარა ეჩვენებინათ ერთმანეთისთვის მთელი საზიზღრობა, რასაც მათში ჩემი „გულსასტიკობა" იწვევდა; ისინი მიტრიალდებოდნენ ჩემგან ვითომც იმიტომ, რომ ჩემი მხეცობის ცქერა აღშფოთებდა მათ, მხრებს იჩეჩავდნენ, ჭუტავდნენ და ხუჭავდნენ თვალებს, — ხულ ხელოვნურად, — იმისათვის, რომ გამოეხატათ თავიანთი გა-

ოცება იმის გამო, რომ ადამიანთა მოდგმის ისეთი გარეწარი, როგორიც მე ვიყავი, ამდენად გაქვავებული გულითა და სულით, თვალებში არ უჩანდა არც ერთი კურცხალი, სახეზე კი — არც ერთი ხაზი ბარტელმისადმი თანაგრძნობისა; როგორ მოვხვდი მე, ასეთი გარეწარი, ნ-ს სალონში და ვისმენდი პოეტური, ვნებიანი, კეთილშობილი ფურცლების კითხვას.

თვით ნ. ეტყობა უკმაყოფილო იყო ჩემით.

აი, როგორ დამკვიდრდა, სამუდამოდ, ჩემზე უგულო და შეუბრალებელი ჯალათის რეპუტაცია.

ახლა ყველა ამ ვაჟბატონმა და ნ.-მაც, მათს რიცხვში, რომ იცოდნენ ის დიდი მღელვარება, რასაც მე განვიცდიდი იმ საღამომდე და მის შემდეგ, მათ რომ შეეძლოთ სცოდნოდათ, რა წუთები გადავიტანე მთელი იმ ხნის განმავლობაში, როგორ ვემონებოდი ჩემს შეგრძნებათა გავლენას, რა კვალს ტოვებდა ჩემში ყოველი ახალი ნაზი, ყოველი ახალი გრძნობა თუ ვნება, რაიმე სიახლე, — რომელიც ადამიანებს სრულიად გულგრილად აქცევს, — რომელიც მაშინებდა ან მაწუხებდა არა მხოლოდ ერთ დღეს, და არა მხოლოდ ერთ კვირას, — ყველაფერი ეს რომ სცოდნოდათ, მაინც არ დაიჯერებდნენ, რომ მე ქვა კი არა, ადამიანი ვიყავი...

საერთოდ (თუმცა ეს დიდი ხანია ნათქვამია) ადამიანებს ესაჭიროებათ არა იმდენად საგანთა ანუ გრძნობათა არსი, რამდენადაც მათი მოჩვენებითი გამოვლინება, მათი გარეგანი ნიშნები. ადამიანებს არ ესმით ნაღველი უცრემლოდ და ტყვეობა ბორკილების გარეშე.

---

35. „მნათობის“ სიკვდილი

ამ დღეებში გამოვიდა შარშანდელი „მნათობის“ უკანასკნელი წიგნი (№ № 10, 11 და 12 ერთათ). ამ წიგნით თავდება „მნათობის“ გამოცემა. ღმერთმა საუკუნო განსვენება მიანიჭოს იმას, და შეუნ-ღოს შეცოდებანი მისნი, ნებსითი და უნებლიეთი...

როგორც შეეფერება დაფსებულ სანათს, „მნათობმა“, სიკვდილის დროს, შეპკრიბა რაც ღონე ჰქონდა, გაელა, აპრიალდა და ისე დაჰქრა. მაგრამ ამ გაპირვებულ აპრიალებას და აუცილებელ გაჰქრობას ისეთი კვამლისა და ხრაკის სული ამოჰყვა, რომ ხანგრძლიე-ი ქნება მისი მოგონება და ზიზღი. ესეც შეუნდოს ამ სულ-ამომ... ვალს ყოვლის დამვიწყებელმა შემოქმედმა.

შესანდობია — რადგანაც ადვილათ გაიგება — იმ ბებრუხის წყევლა, კრულვა, შარი, ცილისწამება და ქადილი, რომელიც ჰკვდებ-ბა და სიკვდილის უკანასკნელ წამში ჰხედავს სიცოცხლით და ძალით სავსე ახალგაზდობას, მომავლიან ყმაწვილებს, ცხოვრების იმედით და სულით ავსებულს. ერთიღა იარაღი დარჩენია იმას თავისი გულის დასამშვიდებლათ — მათი ლანძღვა, შარის მოგება, ძაგება, წყევლა, და ამ საბრალო მომაკვდავს საშინელი სამჯავროც ავიწყ-დება, განკითხვაც და სასჯელიც, ოღონდ კი უშვერი ლანძღვით გუ-ლი ამოიყაროს „მე რათ ვკვდები და სხვები რათ სცხოვრობენო“. გასაგებია ეს, მაშ მიუტევოს ეს სულის ამოხდენის ბრაზიც სულგ-რძელმა მსაჯულმა.

ან როგორ არ უნდა ბრაზდებოდეს ეს საბრალო მომაკვდავი? ოთხი წელიწადი დაწოწავდა ის დედა-მიწაზე, და სიკვდილის დროს, განკითხვის საათს, აღარაფრის მოხსენება არ შეუძლია ისეთის, რომ იმას ღვაწლათ ან შესანდობლათ გამოადგეს. რა ჰქნას ამ გამოცემამ, რა სარგებლობა მოიტანა, რითი აღბეჭდა თავისი კვალი, რითი არგო თავის ხალხს? არაფრით. რითი მოიხსენიებს იმას შემდეგი შთამო-მავლობა? რის მადლს ეტყვის საზოგადოება? რა ხეირს გამოიტანს მისგან ახალგაზდობა? რას იტყვის ამაზე ჩვენი მწერლობის ისტო-რია? არაფრით, არაფრისა, არაფერს. და თუ მოცლილი ვინმე იქნა შემდეგში, ჩვენი მწერლობის გამომძიებელთაგანი, ის აი ამ ათი

სტრიქონით წესს აუგებს ამ საბრალო ვითომ-ჟურნალს: „იმ დროს, როცა ჩვენი საზოგადოება კანს იცვლიდა, როცა ხალხის მომავალი ერთ ბეწვზე ეკიდა, როცა მისი ეკონომიური, გონებრივი და ზნეობითი შდგომარეობა ცამდე ღაღადებდა და დახმარებას თხოულობდა, როცა პატიოსანი გამოცემა იმ მხარეზე უნდა ყოფილიყო, რომელიც ბოროტებას და კერძოობით სარგებლობას ებრძოდა, „მნათობი“ მარტო იმას ღაღადებდა, რომ ს. მესხი სკანდელის სადილებს სჭამსო, გ. წერეთელი — სკანდელს ეფერებაო, და სკანდელი გაყიდული მწერალი და მცარცველიაო“.

„დროება“[12] გულკეთილათ უტევებს „მნათობს“ ყველა მის შეცოდებებს. მაგრამ რადგანაც განსვენებულ ჟურნალს განუსვენებელი ბაიყუშები დარჩა, იმათზე ლაპარაკი შემდეგში და სხვაგან გვექნება.

---

36. ბაკვრა-ბამოკვრა

ზოგისგან ნაქები, სხვებისგან ნალანძღი, მე სულელებს მასხარათ ვიგდებ, ბოროტებს ვებრძვი და ეცდილობ ყველაფერზე ვიცინო, რომ ტირილი არ მომერიოს.

ბომარშე.

ოსმალეთის მმართველობასაც მოუნდომებია ახალგაზდა ქალების ზნეობის დაცვა. უფიქრია ამ საგანზე სხვა და სხვა ვალის 'გუბერნატორებს', შეიხ-ულ-ისლამებს, მინისტრებს, — რა ექნათ, ჩვენი ახალგაზდა ქალების ზნეობა რითი დავიცვათო, მაგრამ ვერა გაუწევიათ რა. ვეზირსაც ამაზე დიდი ღვაწლი დაუდვია, და ბოლოს საქმის განხილვა დივნისათვის (მინისტრების კრებისათვის) მიუნდვია: ან მოახერხეთ რამე, ან დაიკარგენით ყველანიო. ვინ დივანი და ვინ ზნეობა: ეს ორი საგანი, თუ ღმერთი გწამთ, რამ დააახლოვა?... მაგრამ დივანს აბა რა ექნა, შეუდგა საქმის განხილვას და მოიწოდა მთელი ქვეყნის გამოცდილება ამ უბედური ზნეობის დასაცველათ.

თავდაპირველათ დივანი, რასაკვირველია, იმ კითხვის გამოკვლევას შედგომია, თუ რითი დაიცვება ახალგაზრდა ქალების ზნეობაო. ამას, ხომ, ბევრი ძებნა და ძიება არ უნდოდა, მაშინვე აღმოჩნდა, ზნეობა იმით დაიცვება, რომ ახალგაზრდა ქალებს რამე როგორმე დაუშალოთ და აღუკრძალოთო. კარგი და კეთილი, მაგრამ რა და როგორ? ამაზე შეჩერდა საქმე. ერთ მინისტრს ის აზრი გამოუთქვამს, თურმე რომ ქალებს ყავის სმა და ხორცის ჭამა აუკრძალოთო, იქნება ამით ისინი ცოტათი დასუსტდენ და ზნეობითი მხრით ოინები ვეღარ მოახერხონო, მაგრამ მეორე მინისტრს საფუძვლიანათ დაურღვევია ეს აზრი იმ საბუთით, რომ შინაური თახჩებისა და სამზარეულოს კლიტე ქალების ხელშია, და, რომ აუკრძალოთ კიდეც, რასაც უნდა იმას შესჭამენ ჩუმათო. ამით მოისპო ეს წინადადება. მესამეს ის პროექტი შეუტანია, რომ ქალებს სასწავლებლებში სიარული აუკრძალოთო და წიგნებს სულ ნულარავინ მიაკარებსო. კარგი იქნებოდაო, უთქვამს მეოთხე მინისტრს, მაგრამ ეს

ჩვენი ქალები რომ არც ერთს სასწავლებელში არ დაიარებიან და არც ერთ წიგნს არ კითხულობენ რაღა აუკრძალოთო, მასხრობა გამოვა, მეტი არაფერიო. მეხუთეს უთქვამს, მაღაზიებში და დუქნებში სიარული აუკრძალოთო, სავაჭროთ რომ დაიარებიანო, ჰამ ეკონომიაც იქნება ქმრების ჯიბეებისთვის და თანაც „ზნეობაც“ დაცული გამოვაო. არც ამ აზრს დათანხმებია თურმე არავინ, როგორ ის პირველათ გამოითქვა. მაშინ მეექვსე მინისტრს, ოთხმოცდა ათი წლის მოხუცს, უბრძანებია — ისეთი ბოქლომ-ჯაჭვი გამოვაგონებინოთ ვისმე, რომ წვიეებზე ან მუხლებზე შეებმებოდესო, მაგრამ ეს აზრი ყველას მეტის მეტათ ბარბაროსულ და საკიცხავ აზრათ ჩაუთელია. ბოლოს მეშვიდეს ხმა ამოუღია და უთქვამს, განა მართლა საჭირო ზნეობის დაცვაო, ან რა მოხდა ისეთი რომ დაცვას თხოულობდესო; განა შესაძლებელია მმართებლობის განკარგულებით და პოლიციის ზედამხედველობით ზნეობის დაცვაო?

ეს აზრი გამოუთქვამს ოსმალეთის ლიბერალური პარტიის მოთავეს, მუსტაფა-ფაზილფაშას, რომელსაც ეხლა განსაკუთრებით ის გარემოება ალიბერალებს, რომ მისმა უფროსმა ძმამ, ეგვიპტის ხედივმა (ვიცე-კოროლმა) თავისი ტახტის მემკვიდრეობის კანონი შესცვალა, და მემკვიდრეთ, მუსტაფა-ფაზილფაშის მაგიერ, თავისი საკუთარი შვილი გამოაცხადა. რადგანაც ამისთანა ლიბერალური აზრი ამისთანა დიდ-კაცმა გამოთქვა, ვეზირმა ეს შენიშვნა თურმე უპასუხოთ ვეღარ დასტოვა. ის მუსტაფა-ფაზილს მიუბრუნდა და აი ეს შესანიშნავი სიტყვები უთხრა:

„მუსტაფა-ფაზილ, მზეთა მზეო და ბრწყინვალე ვარსკვლავო! რათ ითმენ, რომ შენ ნათელ შუქს ხანდისხან ბნელი ღრუბელი ჰფარავს, და რათ არ სდევნი შენი მნათი გონებისაგან მის დამფარველ ლიბერალობას? არ იცი განა, რომ ჩვენ ყოვლის უარის უთქმელათ და უმიზეზოთაც უსათუოთ რაღე მაინც უნდა აუკრძალოთ ქალებს. რადგან ამ აკრძალვით ზნეობა უნდა დავიცვათ, და ზნეობის დაცვა, ხომ კარგათ იცით, დღეს მოდაშია ყველგან. ჩვენმა ტოლმა სახელმწიფოებმა ჩვენ ამის მაგალითი გვიჩვენეს. აი, ნახეთ საფრანგეთი: იქიდამ გამოვიდა ეს უკვდავი სიტყვა — „გადავარჩინოთ ზნეობითი წესიერება (l'ordre moral)“!.. ჩვენც აგრე უნდა ვქნათ, თორემ ჩვენი ბედნიერი და ნეტარი ხვანთქარი იფიქრებს, რომ ჩემი დივანი და მინისტრები არას აკეთებენო, და უეჭველათ სამსახურიდამ დაგვითხოვს. დავანახოთ ჩვენი ერთგულება, ჩვენი თანასწორობა სხვა სახელმწიფოების მინისტრებთან, დავამტკიცოთ, რომ ჩვენც „ჩვენი დროის“ კაცები ვართ, და ხვანთქრის კმაყოფილება და ჯილდო განუზომელი და უთვალავი იქნება!“

ამ გონიერ სიტყვას მაშინვე ის შედეგი ჰქონდა, რომ დივანმა ხელახლავ ყველას აზრი გასინჯა და თითქმის ერთხმათ ის გადაწყვეტილება მიიღო, რომ დღეის იქით ახალგაზრდა ქალებს აეკრძალება სავაჭროთ მაღაზიებში და დუქნებში სიარული. ამ ნაირათ ზნეობა დაცული იქმნა ოსმალეთში. ოცდახუთს რიცხვს ჯემადდი-ელ-აველის თვისას, მექიდან მაჰმადის გაქცევის აქეთ ათას ორას ოთხმოცდა მეათე წელს.

რასაკვირველია, მე აღტაცებაში მომიყვანა ამ გონიერმა და ბრძნულმა გადაწყვეტილებამ. დროა, დიდი ხანია დროა ლაგამი და აღვირი აედვას ამ ქალბატონებს. აუშვიათ ბატონო თავი და დაგლიჯინობენ, სწავლა-განათლება გვინდაო, საზოგადოებაში გამოსვლაო, ლაპარაკი, სჯაო, აქაოდა, ღვთის გაჩენილები ვართო, ჩვენც ადამიანები ვბრძანდებითო. ვინ ქალი, შენი ჭირიმე, და ვინ განათლება, საზოგადოება!... ქალისათვის ღმერთს სამზარეულო გაუჩენია და იქ უნდა ეგდოს. დაბადებაშიაც, კარგათ რომ სცოდნოდათ ებრაული მის გადმომთარგმნელებს, მოძებნიდენ, რომ ღმერთს ევის გაჩენისთანავე ტაფა და შამფური დაუყოლებია და ხელში მიუცია ქალისათვის. შენი საქმე აი ეს უნდა იყოსო. არ შეიძლება ეს რომ არ ეწეროს სადმე, აზრში მოსასვლელი რომ არაა ამისი გამოტოვება! მაშ მიბრძანეთ, თუ ეს ასეა, რას ფხაკურობენ ეს ქალბატონები, შინ რატომ არ რჩებიან? და თუ არ რჩებიან, კარგი უქნია ოსმალეთის დივანს, ბრძნული გადაწყვეტილება რომ მიუღია. — „ვერ მივართვი-თ, ვერ მივართვით-თქო“, ვფიქრობდი ჩემს გულში და აღტაცებით დავხტოდი, სანამ რუსულ გაზეთებს თვალი არ გადავავლე და ამ საგანზე მათი აზრი არ შევიტყვე.

ამისთანა მძიმე და სახელმწიფო საქმეებში კი არა, წვრილმან რამეებშიაც ჩემისთანა პაწაწინა ფელეტონისტი რუსულ გაზეთების შეხედულებას უნდა ემორჩილებოდეს. და ჩემმა მკითხველმა კარგათ იცის, რომ ამ მხრით ჩემისთანა ყურმოჭრილი დამჯერი რუსულ გაზეთებს არავინა ჰყავს. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როცა მე ამ საგნზე „მოსკოვის უწყებების“[47] აზრი წავიკითხე! შენ მტერს დაბნევია ისე გზა და კვალი, ამ გაზეთის სტატიამ მე საქმე მიყო!

მიხაილ ნიკიფორიჩ (ივანე ნიკიფორიჩის ძმის) კატკოვის გაზეთი რისხვით და ძაგებით ებრძვის ოსმალეთის მმართველობას, ქალების ე მ ა ნ ს ი პ ა ც ი ა ს (!) რათ აბრკოლებთ და ქალებს ძველებურ, ადამისწლის ხეპრულ დამოკიდებულებაში რათ სტოვებთო. ქალს სწავლა და განათლება სჭირიაო, ამბობს კატკოვის გაზეთი, ქალი ვეღარ იტანს იმ გაჭივრებულს და შეურაცხმყოფელ მდგომარეობას,

რომელშიაც ის ძველ ცხოვრებას ჩაუყენებიაო. ეხლანდელი ცივილიზაცია, ეხლანდელი ცხოვრება ქალს სულ სხვა, უკეთეს ადგილს აძლევს, და რა უფლებით ეწინააღმდეგებით თქვენ ქალის სურვილს და ცდას ამ უკეთესი და შესაფერი ადგილის დასაკავებლათო? დიდი ლიბერალია კატკოვი ...ოსმალეთი საქმეებში. იქაურ მინისტრებს პირდაპირ ეუბნება ჭეშმარიტებას და სიმართლეს, როდი ეპუება იმათ ეს მამაცი მწერალი. აი, იმ დღეს ამტკიცებდა, ოსმალეთმა ფედერაცია უნდა გაიწყოსო. ხვალ იმასაც დაამტკიცებს — ოსმალეთში რესპუბლიკა უნდა დაარსდესო. ერთი სიტყვით, დიდი ლიბერალია ეს დალოცვილი, რაღა. მაგრამ ამას როგორ ვიფიქრებდი, რომ ის დიდი კატკოვი, რუსეთის კონსერვატორების დედა-ბოძი. რუსეთის ერთობის მთავარ-მფარველი და მოღალატენის მთავარ-მაძიებელი, როდესმე დაბეჭდდა, რომ აუცილებლათ საჭიროა ქალების სრული, დიახ, სრული, სრული ემანსიპაციაო!

დაილოცა, ღმერთო, შენი საკვირველი მოქმედება! გუშინ არ იყო, ესვე გაზეთი ტაშის კვრით ამტკიცებდა ღვლეჭი უნდა მოეპიროს რუსეთელი ქალების სურვილს და ხალისსაო? გუშინ არ იყო, კიევის უნივერსიტეტის შესახებ რომ სწერდა, ქალების და ვაჟების ერთ ზალაში სწავლა, პროფესორის ზედამხედველობის ქვეშ, გარყვნილება და ზნეობის დაცემაო, და ამავე ქალების და ვაჟების საღამოს სხვა ზალაში შეყრა, მოხვევნა, მღელვარე გულის გულზე დაკვრა და მთელი ოთხი საათის განმავლობაში ისე ტრიალი, ცეკვა, ხტუნვა, ბალის დროს, — ზნეობის დაცვა არისო? ვის დაუჯეროს კაცმა, რა იფიქროს, როგორ განსაჯოს, როცა ერთი და იგივე გაზეთი, ერთი და იგივე კაცი, „გონიერებაში კალმის ჩამყოფი", ხან ამბობს — ქალებს სამზარეულო და ქვეშსაგებელი მინიჭებიათ მხვედრათო, და ხან ამტკიცებს — მათი სრული გათავისუფლება და განათლება აუცილებლათ საჭირო არისო?

შენ ვერ წარმოიდგენ, მკითხველო, რამოდენათ მაწუხებს მე ეს კითხვა. რომ არ ვიცი, რა ვიფიქრო და დავსწერო, ვაქო ეხლა თუ ვაძაგო ოსმალეთის დივნის გადაწყვეტილება, კარგია ის თუ ავი, დაცულია თუ არა ზნეობა, საჭიროა თუ არა მისი დაცვა? რა ქნას კაცმა ამ მდგომარეობაში? ოჰ, ოსმალეთის დივანო, რა გაჭივრებაში ჩამაგდე მე შენ! რა იყო, ვითომ, ძლიერ გვიროდა ეს ჩემი შეწუხება, ვერ გასძლებდი შენ უიმისოთ, ვერ მიიღებდი იმისთანა გადაწყვეტილებას, რომ ზნეობაც დაცულ იყო და კატკოვიც კმაყოფილი დარჩენილ იყოს!

მაგრამ ისიც კია მხედველობაში მისაღები, რომ დივანს იქნება არ გახსენებია ამ საგანზე კატკოვი რას დასწერდა და მისი სიტყვე-

ბი „დროების“ მეფელეტონეს რა გაჟივრებულ მდგომარეობაში ჩაყენებდა. ეს, მგონია, აზრათაც ახლო უნდა იყოს, თუმც ეს გარემოება ჩემს თავმოყვარეობას ძლიერ აშფოთებს. მაგრამ, დივანს რომ ჩემთვის ეკითხა, კაი მოგცა ღმერთმა, კარგ რჩევას მე იმას მივცემდი. ვეტყოდი ბ. ღოლობერიძე გამოიწერეთ და ის შეგიდგენს (გადმოგიწერს) ქალების ზნეობის დაცვაზე რომელიმე რუსეთელ უსტარს მეთქი...

* * *

გაზეთებში დიდ იმედს იწერებიან, რომ ერთი შემძლე მგზავრი. დაბრუნდება თუ არა თავის სახელმწიფოში, მაშინვე სასტიკ გაჭირგულებას იზამსო, — დღეის იქით ქალებს დღისით უნდა ეძინოთ, დილის ცხრა საათიდამ საღამოს ათ საათამდინო. რადგან ამ საგანზე „მოსკოვის უწყებებს“ ჯერ თავისი აზრი არ გამოუცხადებია, მე შემიძლია გადაწყვეტით ვთქვა, რომ ეს მშვენიერი გონიერი აზრია, და თუ რითიმე შეიძლება „ზნეობითი წესიერების“ და სხვა სიკეთების „დ ა ც ვ ა“ — სწორეთ და მხოლოთ ეს საშუალებაა გამოსადეგი ამ მაღალ ღირსოვანი მიზნისათვის. მე ყოველთვის იმ აზრის ვიყავი, რომ ეს შემძლე მოგზაური და ლოგიკა ერთმანეთს ძლიერ ემოყვრებიან და ლოგიკით ხომ, ზნეობის დაცვის სურვილი, პირდაპირ ამ გადაწყვეტილების წყაროა...

მაგრამ, ვაითუ კატკოვმა არც ეს მოიწონოს? მაშინ, მკითხველო, გთხოვ ჩემი აზრი უკუღმა გადმოთარგმნო და წაიკითხო — „ეს გადაწყვეტილებაც ცუდია, რადგანაც ცივილიზაცია... ემანსიპაცია... განათლება... უფლება“... და სხვ. (ნახე ზემოთ). კარგმა კატკოვმა ყველა მხრიდან უნდა იცოდეს ყურის გამობმა, თუგინდ ამ ყურის მოწევა და მოგლეჯაც შეეძლოს ვისმე ხანდისხან.

---

87. ბაზენის საქმე

ოქტომბრის დამდეგს დაიწყება მარშალ ბაზენის პროცესი. ეს ნაპოლეონის გენერალი სამხედრო სამართალშია მიცემული მეცის კაპიტულაციისათვის. ბაზენს სწამებენ სამშობლოს ღალატს. გამოძიება გათავებულა და მარტო საქმის პირის აღება დაჯდომია დამნაშავეს ოთხას თუმანზე მეტად. სამას კაცამდის მოწამე იქნება მოწოდებული; ამ რიცხვში ჩვენ ვხედავთ: გამბეტას, ფავრის, კანრობერის, ფროსსარის და თითონ მაკ-მაჰონის სახელსაც. საქმე გაგრძელდება ერთ თვეზედ მეტს. სასამართლოს თავმჯდომარეთ დანიშნულია პრინცი ომალისა (ორლეანელი) და მსაჯულებათ საფრანგეთის არმიის გენერლები. ბაზენს დამცველად აუყვანია ბონაპარტელი ადვოკატი ლაშო. ბონაპარტელები და რესპუბლიკელები ორივენი იმედობენ გამარჯვებას; დიდი ინტერესი აღძრა ამ საქმემ საფრანგეთში მარტო კი არა, ევროპაშიაც. ომალის პრეზიდენტათ დანიშვნა ვერ არის მოსახდენი დამნაშავესთვის, მაგრამ ამის განცხადებას ვერ ბედავენ ბონაპარტისტები. ომალის პრინცი, როგორც ვიცით, საფრანგეთის რეგენტობას თუ არა, პრეზიდენტობას მაინც ელტვის, და ხალხის გულის მოსაგებათ ძალიან შესაძლებელია მოინდომებს ბაზენის დახვრეტას. მაგრამ არც მაგდენი ცდა უნდა მარშლის გამტყუნებას: სასამართლოს საკმაო საბუთები აქვს ხელში, მეცის სარდალის დასასჯელად, თუ კი სინდისიანათ მოიქცა ის.

თავის დროზედ, ჩვენ შევატყობინებთ მკითხველებს ამ საქმის მსვლელობას.

ყველას გვახსოვს, როგორი გაკვირვებით მიიღო ჩვენმა საზოგადოებამაც მეცის კაპიტულაცია. ვინ იყო, რომ გული არ აღელვებოდეს და ღალატის ეჭვი არ წარმოსდგომოდეს, როცა წავიკითხეთ ტელეგრამა: „ბაზენი თავის ჯარით — რომლის რიცხვი 173.000 კაცს შეადგენდა — დაატყვევეს პრუსიელებმა და გერმანიაში წაიყვანესო?“

ერთ დროს ამ კაცს შეეძლო მეციდგან გამოსვლა; შეეძლო თავის სამშობლოს გადარჩენა მტრისაგან, მაგრამ მარშალმა ამას იმპერატრიცასთან მოციქულობა არჩია; არჩია ნაპოლეონის სახლის ბედი

მთელი ქვეყნის ბედს; არჩია ერთი სახლობის ბედნიერება მილიონი სახლობების შველას. იქნება, ეს მოქმედება თავის უწინდელ ბრძანებლის ერთგულებას ამტკიცებდეს, მაგრამ, არასოდეს პატრიოტობას და სამშობლოს სიყვარულს!

მთელი საფრანგეთის ხალხის სინდისი აღელვებულია პაზენის სიძულვილით ამჟამათ. საფრანგეთი თხოულობს იმ კაცის დასჯას, რომელმანც ვერ გაამართლა დიდებული ქვეყნის შვილის ღირსება. თითონ მარშლისაგან დაწერილი წიგნი: „L' Armée durhin" კმარა მის დამღუპველ საფუძვლად. ორნაირად განითქმება კაცის სახელი, ორნაირად გადავა შთამომავლობაში ხსენება. ერთი — კეთილის მოქმედებით, სამშობლოს თავგანწირულად სამსახურით, სინდისით და პატიოსნებით, და მეორე — წინააღმდეგი მოქმედებით.

მაღალი და დიდებული ნიჭის მქონე კაცები არ არჩევენ დროებით სახელს, პატივს, სიამოვნებას, სიმდიდრეს, ჯილდოებს, შთამომავლობისგან სასოებით ხსენებასა; არ არჩევენ პიროვნულ დამოკიდებულებას ისტორიის სამართალსა. დროებით, იქნება, ეს საქნელია, მაგრამ სამერმისოდ? როგორი სახელი რჩება ქვეყანაზედ ამნაირ ადამიანს?

ჩვენ გავიხსენებთ მხოლოდ ორი კაცის მაგალითს. ეს ორი ისტორიული პირი უმანკოთ და დიდებულად გადავა საუკუნეებში. მათ მაღალ მხნეობას და ჭეშმარიტ მოქალაქეობას ვერ შეეხება ვერც შური, ვერც ეჭვი, ვერც სიძულვილი. კაცობრიობას რომ ამისთანა შვილები არ გამოუჩნდებოდეს ხოლმე „ქვეყანა მართლა საზარელი ბუღი იქნებოდა!"

ჩვენ ვამბობთ ვაშინგტონზე და გარიბალდზედ.

ვაშინგტონმა გაათავისუფლა თავის სამშობლო ინგლისელებიდან. მისცა ქვეყანას თავისუფლება, თანასწორი დამოკიდებულება მოქალაქეთა, სამართლიანობა, და დააწესა რესპუბლიკა. ამის მაგიერად, ჯარმა ადრესი მიართვა ვაშინგტონს და სთხოვა, რომ მას მეფობა მიეღო. კეთილშობილმა ამერიკის პატრიოტმა აი რა პასუხი მისცა დეპუტაციას: „დიდი მწუხარებით მოვისმინე რაც თქვენ განმიცხადეთ. მე უბედურათ ვპოვებ ჩემს თავს, რომ ჯარს ჩემი გამეფება განუზრახავს. რომელმა ჩემმა მოქმედებამ მიიყვანა ის ამ აზრამდის! როგორ მოგივიდათ თავში ამისთანა უხეირო აზრი, რომ ჩემი თითქოს აღმაღლება არჩიოთ ჩვენი სამშობლოს სამუდამო ბედნიერებას და თავისუფლებას. მე გთხოვთ: ამ სასირცხო თქვენთვისა და ჩემთვისაც საქმეს ნულარ გააცხადებთ სადმე, ღვთის გულისათვის, თორემ იფიქრებენ, რომ ჩვენ თავისუფლების ღირსი არ

ვყოფილვართ... მეტი უბედურება იქნება!“ ამნაირია — გარიბალ-დიც.

გარიბალდიმ ვაშინგტონზე ნაკლები ღვაწლი არ მოუტანა თავის ქვეყანას. ეს მაღალი სული მთელი თავის სიცოცხლეში იბრძოდა თავის სამშობლოს თავისუფლებისთვის. უკანასკნელად უგულითადესი თავის განზრახვა შეასრულა. დაოხრებული და დაცალცალკევებული ყმები შეაერთა ერთ დიდ ხალხად. მოუპოვა მას ევროპაში პატივი და ძალა.

გარიბალდსაც ბევრჯერ სთხოვეს მეფობა ან დირექტორობა მინც. მაგრამ ის ყოველთვის მწუხარების ღიმილით უპასუხებდა ხოლმე. როგორც ვაშინგტონმა გარიბალდიმაც უარი სთქვა ყოველ დაჯილდოვებაზედ. მან უპასუხა იტალიის მეფეს: „მე ვიბრძოლე ჩემი სამშობლოს თავისუფლებისათვის, და არა თქვენთვის — ამისთვის არცა მაქვს ნება მივიღო თქვენგან რაიმე ჯილდო, და ხალხისგან საკმაოდ დაჯილდოებული ვარ. ვიცი რომ მას არ ვძულვარ მე“. გარიბალდს მართლა რომ ნამეტანი თაყვანისცემაც აქვს ხალხისგან. იტალიელები ხშირად პირჯვარს იწერენ მაზედ, როცა ნახავენ და მოიხსენებენ გაჭირვებაში: „ვარიბალდი მიშველეო!“ თითქმის ყველა იტალიელს — უბრალო ხალხს რასაკვირველია — გულზედ ჰკიდია გარიბალდის სურათი, ხატის მაგიერად. ამისთანა კაცების სახელები, რასაკვირველია, არ მოკვდებიან, სანამ ქვეყანაზედ ადამიანობა იქნება.

ეხლა მეორე სურათი: თუ გინდ ორი ნაპოლეონი, ორი ბიძაძმისწული, „დიდი ავაზაკი და პატარა ტირანი“. რამდენს სისხლს და ცრემლს აღძრავს კაცის ხსოვნაში ეს ორი სახელი! ორივე ხალხისაგან პატივცემულნი, აღრჩეული მსსნელად, მაგრამ ორივე მოღალატე. ორივე ცრუ! ერთმაც და მეორემაც თავის თავისუფალი ხალხი მონობაში ჩააგდეს. წაართვეს მას თავის შვილების სისხლით ნაშოვნი სიმართლეები, მოსპეს თანასწორობა და სამართალი და რისთვის სულ ეს? რამდენიმე წლით რომ თავზედ გვირგვინი დაედგათ. დღეამ ბატონებს ხალხი ზიზღით იხსენიებს, სწყევლის. ღირს მათი ცოტა ხანს ტახტზედ დაჯდომა? ღირს სახელის გვირგვინში გაცვლა მცირე თავმოყვარეობის დაკმაყოფილებისთვის?

ბაზენის და მათი სახელიც უთუოდ ისე დაუვიწყარი იქნება, როგორც ვაშინგტონის და გარიბალდისა; მაგრამ, ცოტა სხვანაირად: «Генерал, только другой стороны».

---

38. სპარსული წერილები

(მონტესკიეს მიბაძვა)

წერილი უზბეკ რუსტანს, თეირანში

წელიწადნახევარზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელი წერილი მოგწერე ჩემო ძვირფასო რუსტან, ბევრი, მეტად ბევრი რამ შეიცვალა ამ მოკლე დროში. მე კვლავ ვიმოგზაურე ევროპაში, კვლავ შემოვიარე თითქმის ნახევარი სამყარო, კვლავ დავინახე ჩვენთვის უცხო ხალხთა ცხოვრება და კვლავ ვბრუნდები დალოცვილ სპარსეთში ყველაფრით დაუკმაყოფილებელი, ყველაფერში გულგატეხილი, მხოლოდ მასში დარწმუნებული.

ჩვენი ახლანდელი მოგზაურობა ისეთი ძნელი არ ყოფილა, როგორც 1719 წლის მოგზაურობა. ჩვენ არ მოგვხდენია არც სამი თვე აზრუმში ჯდომა, არც ოცდათხუთმეტი დღე მგზავრობა სმირნამდე, არც ზღვის პირზე ამინდის ცდა და არც წლობით წამება პარიზში. ევროპა ელვის სისწრაფით მოვლიეთ, ვნახეთ და განვიცადეთ ყოველივე რაც შეიძლებოდა გვენახა და გვეცადა და სახლში დანიშნულ დროზე ადრეც ვბრუნდებით. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმას, რომ ამ ხნის განმავლობაში ევროპის შეცვლა მოუსწრიათ და გამოცვლილა უკეთესისაკენ. სამიმოსვლო გზებს, აღმშენებლობას, გასართობ ადგილებს, თეატრებს, საჭმელს, დამატკბობელ სტატიებს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაუდგამთ პროგრესის გზაზე; მრეწველობა მეტად გაფართოებულა, ფაბრიკები და ქარხნები საოცარი სისწრაფით გაზრდილან. რაც კი შეეხება ფუფუნებას, მორთულობას, ცხოვრების გარეგნულ მოხერხებულობას, წუთიერ დაკმაყოფილებას, არსებითად — გაუმჯობესებულა თანამედროვე მეცნიერების გამოცდილი ხელით. ევროპული ცხოვრების საერთო შესახედაობას, ამ გაუმჯობესებული მხარეების წყალობით, შეუძლია თავგზა აუბნიოს ზერელე სპარსელს, რომელიც პირველ შთაბეჭდილებათა გავლენით მგონი მზად იქნება იფიქროს, რომ კაცობრიობამ პროგრესის გზაზე ბუმბერაზული ნაბიჯები გადადგა და რომ ევრო-

პამ თავისი ცივილიზაციით საზოგადოებრივი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია.

მართლაც, მოგზაურობის პირველ დღეებში ჩვენ გული არაერთხელ შეგვკუმშია მწუხარებით იმაზე ფიქრით, რომ ეს ურწმუნოები უეჭველად წინ არიან ჩვენზე, მაჰმადის კეთილმორწმუნე მსახურებზე. რკინიგზასა და ტელეგრაფის, გემებისა და მანქანების დანახვით, ყველგან წესრიგისა და სისუფთავის ხილვით, ძალაუნებურად გვაოცებდა ყველა ამისი გამოგონებული და მომწყობი გენია და როცა ამ მხრივ ევროპას ვადარებდით ჩვენ ძვირფას სპარსეთს, იძულებული ვიყავით ქედი მოგვეხარა და დამცირების ცრემლი გვეყლაპა. მაგრამ ეს გრძნობა დიდხანს არ გრძელდებოდა, ყოველ შემთხვევაში იმ ჩვენი თანამგზავრებისა, რომელთა ღრმა შორსმჭვრეტელობას შეუძლია გაარჩიოს ოსტატურად დახატული დეკორაცია შეუფერავი სინამდვილისგან. და, გარწმუნებ, ჩვენ გავამაყდით და თავი მაღლა ავიღეთ, როცა ამ მაგიურ ვითარებაში ნაქები ევროპული ცხოვრების არსი განვჭრიტეთ. დამერწმუნე, ჩვენ არ უნდა დავეცეთ სულით, არ უნდა დავმცირდეთ და დავმდაბლდეთ, ჩვენ არც ისე ველურნი და სულელნი ვართ, არც ისე „ჩამოვრჩენილვათ", როგორც უცხოელებს ჰგონიათ და რაშიც ჩვენ უფრო მეტად ვართ დარწმუნებულნი.

დავიწყებ იქიდან, რომ ეს ხალხი, რომლის გენიაც მივიდა ამ საოცარ გამოგონებამდე, როგორიცაა ტელეგრაფი და რკინიგზა, და რომელმაც შესძლო დაემორჩილებინა და თავისთვის დაექვემდებარებინა ალპები და ატლანტის ოკეანე, აქამდე თავის სახლში იმავე ვითარებაში ცხოვრობს, როგორშიც ვცხოვრობთ ჩვენ ცოდვილი სპარსელები. გარდა მცირე გამონაკლის ბედნიერთა ამა ქვეყნისა ყველა დანარჩენი ილოტების მსგავსად სიღატაკეშია და მუშაობენ განთიადიდან გვიან ღამემდე მხოლოდ იმისათვის, რომ იშოვონ იმდენი, რაც მათ შიმშილით სიკვდილისგან იხსნის. აქაური მონობა არა თუ რაიმეთი უკეთესია სპარსულზე, არამედ მასზე მძიმეცაა, რადგან ბევრად ოსტატურადაა მოწყობილი. აქ თითოეული რამის ან ვინმეს მონაა. ერთი — კარიერის მონაა, მეორე — წინასწარ აკვიატებული აზრისა, მესამე — ქონებისა, მეოთხე — სამსახურისა, მეხუთე — ოჯახისა, მაგრამ ყველა, ყველა გამოუკლებლად, მონები არიან სისულელისა და რუტინისა. განა შეიძლება, ჩვენში, სპარსეთშიც კი, მოიძებნოს მონა უფრო დამოუკიდებელი და თავისუფალი, ვიდრე ევროპულია? მისი გონება, ნება, სურვილი, ცხოვრება, ბედნიერება, ერთი სიტყვით, ყველაფერი და ყველა „უფროსთა" ნება-სურვილის ბრმა მორჩილია, დაქვემდებარებული, რომელნიც

თავის რიგად ისეთსავე მონურ დამოკიდებულებებში იმყოფებიან „უფრო უფროსებისაგან“, და ა. შ. დაუსრულებლად. და ამ უფროსთა ნებასურვილის წინაშე (აქ ამას ჰქვია Ordre უნდა დაჩუმდეს ყოველი ნათესაური გრძნობა, ისე რომ ძმამ ძმას უნდა ესროლოს და შვილმა გადაასახლოს მამა (რაც არაერთხელ მომხდარა საფრანგეთში).

ვიმეორებ, ეს მონობა არაფრით არაა ჩვენს მონობაზე უკეთესი, მგონი უფრო უარესიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ მოოქრულ ბორკილებს. მაგრამ შენ იტყვი, რომ ეს ნებაყოფლობითი მონობაა, და რომ ყველას ნება აქვს თავი შეყოს, თუ არ შეყოს მასში. არც თუ ასეა. ჯერ ერთი, აქ, ამ „განათლებულ“ ევროპაში, უფრო მეტად ვიდრე სადმე, განვითარებულია ბავშვების გონებრივ-ზნეობრივი ოპერაციები იმ მიზნით, რომ მათგან მიიღონ ზნეობრივი საკურისები. აქ. თითქმის ყოველ ქალაქში არსებობს რამდენიმე დაწესებულება, რომელიც აშკარად და სპეციალურად ეწევა ამ საქმიანობას. საფრანგეთში მათ ჰქვია ლიცეები, გერმანიაში — გიმნაზიები და სხვა ქვეყნებში — კოლეჯები. აქ ბავშვებს თანდათან უშრობენ ტვინსა და გულებს და გულგრილათ აქცევენ მათ სხვისი ნების მორჩილ იარაღად. სწავლის საბაბით მათ აიძულებენ გაიზეპირონ არავისთვის და არაფრისთვის საჭირო საგნები, უმალავენ ყველაფერს, რაც შეიძლება მათ ცხოვრებაში გამოადგეთ და რამაც შეიძლება მცირე აზრი მისცეს მათს დამოუკიდებულობას და საკუთარი შრომითა და გონებით ცხოვრების შესაძლებლობას. და რაღაც შვიდ-რვა წელიწადში უნარიანი და ზორბა ბიჭი საბრალო მანქანად იქცევა, რომელიც ზემოაღწერილ მონებს ქმნის. და თუ აქ რაიმე განსხვავებაა ჩვენს მონებთან, ეს განსხვავება სრულიადაც ევროპიელთა სასარგებლოდ არ ლაპარაკობს: ჩვენი მონები, ყოველშემთხვევაში, გრძნობენ, რომ ისინი სხვა არა არიან რა, თუ არა მონები, და ამათ კი თავისი სულის სიმარტოვით სჯერათ თავისი თავისუფლება და ასრულებენ ბატონთა სურვილებს ღრმად დარწმუნებულები, რომ ეს მათი საკუთარი სურვილია...

მეორეც, რას უბრძანებ ამ „უბედურებას“ გააკეთონ. როცა მათი ერთადერთი გზა, რომ შიმშილისგან არ დაიღუპონ, მდგომარეობს „უფროსთა“ ნების უსიტყვო შესრულებაში?

ჩვენ ყველა ქვას გვესვრის ეგრეთწოდებული „ქალთა მონობისათვის“, მაგრამ განა შეგეძლო წარმოგედგინა, რომ ევროპიელი ქალები, არსებითად, ჩვენს ქალებზე თავისუფალნი არ არიან? წარმოიდგინე, რომ აქ ქალს ერთ მშვენიერ დღეს უთხრეს, რომ იგი თავისუფალია, რომ მას შეუძლია თავისუფლად გამოვიდეს, ისეირ-

ნოს, ილაპარაკოს, შეიყვაროს კიდეც. მაგრამ ვითარება ისე ოსტატურად არის მოწყობილი, რომ გაივლის თუ არა იგი ქუჩაზე, — მას ჩასჩურჩულებენ „არაა საკადრისიო“ და ის იძულებული იქნება სახლში დაბრუნდეს; როგორც კი მოინდომებს ილაპარაკოს — ძას უპასუხებენ: „ეს ქალის საქმე არაა“, და ის იძულებული იქნება ხმა ჩაკმინდოს. თუ სწავლას მოინდომებს — მის ცხვირწინ დაიხურება სასწავლებლების კარი, და თუ, იგი შეყვარებას მოინდომებს, მაშინ კი მშვიდობით ყველაფერი: იგი მიტოვებულია, წართმეული აქვს ცხოვრების საშუალებანი, განკიცხულია საზოგადოებისაგან და უკანასკნელ „პირებთან“ არის გათანაბრებული. ერთი სიტყვით, მას ეძლევა ყოველგვარი თავისუფლება, აუცილებელი პირობით, რომ იგი არ ისარგებლებს ამით, რომ იგი, ჩვენებურადვე, იცხოვრებს, იცინებს, ივლის, იფიქრებს, ჩაიცვამს და გაიხდის მხოლოდ მისი სულგრძელი მბრძანებელ-ქმრისთვის. შენ რაც არ უნდა თქვა, მე კი მირჩევნია აშკარა მონობა ჩვენი ოდალისკებისა. თქმა არ უნდა, ევროპულ ცრუ თავისუფლებაში ქალს აქვს შესაძლებლობა თავისი და სხვების ნერვების შეღიტინებისა, დიაღაც აქვს შესაძლებლობა ერთი ორჯელ წაიეშმაკოს, მაგრამ ყველაფერი ეს ისე საცოდავად და ყალბად. ყველაფერ ამას ისეთი ბეჭედი აზის, მონური მხდალობის და იმის შეგნების, რომ იგი სხვას ეკუთვნის, რომ, ვფიცავ ალაჰსა და მის ოცდაათ მოციქულს, ქალი რომ ვიყო სპარსეთში მხევლად ყოფნას ვირჩევდი ევროპაში ასეთ უმიზნო არსებობას.

სულ ასეა ყველაფერში. ევროპული მოსახლეობის მთელი ცხოვრება საზიზღარ მონობაში მიმდინარეობს. ბავშვობაში აწვალებენ მას, რომ მანქანად აქციონ; ჰაბუკობაში მას აიძულებენ მექანიკურად იმეცადინოს, რომ საბოლოოდ გამოაშრონ მისი ტვინი და ხასიათი, დავაჟკაცებისას თვითონ იგი იწყებს სხვების გაწაფვას ჩვენებური საჭურისების მსგავსად. სადღაა ბედნიერება, თავისუფლება, კმაყოფილება? როდისღა ტკბება ადამიანი სიცოცხლით, როდის იგემებს ამ ყბადაღებული „ცივილიზაციის“ ნაყოფს? ნამდვილად არასდროს. იმ დროს, როცა მას შრომა უკვე აძლევს შეძლებას წესიერი ცხოვრებისას და ხელმისაწვდენ სიამტკბილობისათვის, მაშინ იგი გარყვნილი, უკბილო, გამოფიტული, ცოცხალმკვდარია, რომელშიც ავადმყოფურადაა განვითარებული ფულის დაგროვების წყურვილი, სიძუნწე და იმათი გასრესის სურვილი, რომელნიც ბედს მისი უფროსობის ქვეშ დაუყენებია. იფიქრებ, რომ ეს უკეთესია, რომ მისი შვილი, წინასწარი შრომითი ცხოვრებით გაუფუჭებელი, მასზე უკეთესად ისარგებლებს მამის ქონებით. მასზე უკე-

თესად მოაწყობს თავის ცხოვრებას... ნურაფრის დარდი ნუ გაქვს! ეს შვილი, აღზრდილი მამის დამწოლი მუშტის ქვეშ, მიიღებს თუ არა მემკვიდრეობას, მაშინვე გაანიორწყალებს ისეთ წვრილმან და ჭუჭყიან ქეიფში და სიამოვნებაში, რომ მათ სიამოვნება შეიძლება ერქვათ მხოლოდ ისეთ ყალბ და გარყვნილ ქვეყანაში, როგორიცაა ევროპა. აქაც, ძალაუნებურად, საკუთარ თავს დაეკითხები, სადაა გამოსავალი ამ მოჯადოებული წრიდან, რომელშიც ერთნი თავებს იხოცავენ იმისთვის, რომ შეიძინონ საშუალებანი სხვების უმსგავსი ქეიფისათვის, მეორენი კი უმსგავსოდ ქეიფობენ თითქოს იმისთვის, რომ ახლები აიძულონ თავები დაიხოცონ საშუალებათა დაგროვებისათვის მომავალი ქეიფისათვის. ნუთუ ვითომცდა განათლებული და ცივილიზაციის განვითარების უმაღლეს წერტილს მიღწეული კაცობრიობა კვლავ დიდხანს იქნება ამ გაწა-მაწიაში? ამასთან შედარებით როგორ არ უნდა მივცეთ უპირატესობა ჩვენი საყვარელი სამშობლოს ჩაყამებულსა და ცხად უმოძრაობას?

უზბეკი

დაწერილი პარიზში, რეჯების მთავრის პირველ დღეს 1290 წ.

დედანთან სწორია:

რედაქციის მდივანი პ. ბოტინი.

———

39. რუსეთის ცხოვრება

(მიმოხილვა)

ჩვენი მამულის ბედი და ნომავალი მტკიცეთ გადასკვნილია რუსეთის მდგომარეობაზე, და რუსეთის საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ ცხოვრებას ნიადაგი გავლენა აქვს ჩვენი ქვეყნის იღბალზე. მაგრამ ჩვენი საზოგადოება რუსეთს არ იცნობს, მისი მდგომარეობის გაგებას არ ცდილობს, მისი სალხის ხასიათს და გარემოებას არ აკვირდება და მის საზოგადოებრივ ცხოვრებას ნიადაგ თვალს არ ადევნებს. ეს დიდათ სამწუხარო მოვლენაა, მით უფრო, რომ რუსეთის ეხლანდელი ცხოვრება დაკვირვების ღირსია არა თუ მარტო იმ გავლენის გულისთვის, რომელიც იმას ჩვენს საკუთარს ბედზე აქვს, — არამედ იმ მხრითაც, რომ თვითონ ეს ცხოვრება ამ უკანასკნელ დროში შესანიშნავი შეიქნა სხვა და სხვა ცვლილებების და წარმატების ცდით. დღევანდელი რუსეთი ბევრით სრულიადაც აღარ ჩამოგავს იმ რუსეთს, რომელსაც ჩვენი მამები ამ ოცი ან თხუთმეტი წლის წინეთ იცნობდენ. მის მდგომარეობაში და ცხოვრების მიმდინარეობაში ბევრი რამ საფუძვლიანათ შეიცვალა, ბევრი ცუდი ეხარე მოიშალა, ბევრი ახალი უკეთესი დაარსდა, ბევრი ისეთი რამ აღმოჩნდა, რომელიც თუმც ახალია, მაგრამ საქები მაინც არ არის. ზოგიერთი ამ ცვლილებათაგანი ჩვენ ქვეყანასაც შეეხო, სხვები სხვა დროს, ახლობელ მომავალში შეგვეხება, ზოგის თავიდამ აცილებას რუსეთშიაც სცდილობენ და ჩვენც უნდა ვეცადოთ, ვინიცობაა, რომ ჩვენც შეგვეხოს. მაშასადამე, ჩვენმა საზოგადოებამაც ყურადღება უნდა ათხოვოს ყველაფერს, რაც ეხლანდელ რუსულ ცხოვრებას ხატავს და აფასებს. ამას მისი მოვალეობა და სარგებლობაც მოითხოვს. აი ამ საჭიროების მიხედვით ჩვენ წარმოუდგენთ დღეს მკითხველს ორიოდე სურათს რუსეთის ეხლანდელი ცხოვრებიდამ.

რუსეთის ისტორიაში ეხლანდელი მეფობის დასაწყისს დიდი მნიშვნელობა ექნება, განსაკუთრებით იმ მხრით, რომ 1857 წლიდამ დაწყებული სახელმწიფო მმართვის და გამგეობის სისტემა შესამ-

ჩნეველათ შეიცვალა. უწინდელი სისტემა, როგორც მკითხველმა უნდა იცოდეს, უფრო იმაში მდგომარეობდა რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ნიადაგ იმ წინეთ აღბეჭდილ და დანიშნულ კვალს უნდა გაჰყოლოდა, რომელიც მისთვის მთავრობას განემზადებია. ყველაფერზე, უნდა ეზრუნა ამავე მთავრობას, ყველაფერი იმას უნდა წინ დახედულათ დაემზადებია, და მთელი საზოგადოება, მთელი ხალხი მის განკარგულებას, მის სურვილს და ნებას უნდა დაჰყოლოდა. ამ სისტემის იდეალი გარეგანი წესიერების დამორჩილების დაცვაში მდგომარეობდა, მთავრობის მიზნის დაფარვაში და საზოგადოების სრულ გაჩუმებაში.

თუმცა რუსეთის ცხოვრება მრავალ საუკუნეების განმავლობაში ამ სისტემით იმართვიდა, მაგრამ ამ ბოლო დროს ყირიმის ომმა დაამტკიცა, რომ ამ სისტემას თავისი დრო მოეჭამა და საჭირო შეიქნა მის ადგილას ახალი რისიმე შემოღება. ევროპიელებთან ომ გამართვამ გამოააშკარავა რუსულ წესში ძლიერ ბევრი შესანიშნავი ნაკლულევანება. ჯარის იარაღი და მორთულობა, მისი სწავლა და ცოდნა, მისი სურსათის და ტანსაცმელის დამზადება და გადაზიდვა. მისი ხელმძღვანელობა და ბევრი სხვა ამისთანა მხარეები მეტ-სმეტათ ნაკლულევანი გამოდგა. ამას დაერთო საზოგადო ადმინისტრაციის მმართვა, რომელშიაც აგრეთვე უთვალავი წვრილმანი და სხვილ-სხვილი უწესობა და უცოდინარობა აღმოჩნდა, ისე, რომ ომის დროს ამ ადმინისტრაციამ თითქმის სრულიად ვერა მოახერხა რა. აღმოჩნდა აგრეთვე თითქმის ყოველ ნაირ ადგილებზე პიროვანი სარგებლობის ძიება, მოქრთამვა, ქრთამის აღება, მიდგომა, ხაზინის ღაუზოგველობა, უმაღლესი მთავრობის წინ ჭეშმარიტების დამალვა ან სხვა ნაირათ მისი მოტყუება...

ეს ყველა არაფერი, მაგრამ ამასთანავე ორი ისეთი ნაკლულევანება აღმოჩნდა რუსეთის ცხოვრებაში, რომელსაც უფრო დიდი და საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა. აღმოჩნდა, მაგალითად, რომ ამ ვრცელს, თითქმის განუზომელს ქვეყანას გზები თითქმის სრულიადაც არ გააჩნდა, ორიოდე დიდი ქალაქების შემაერთებელ გზებს გარდა. ერთ ნამცეცა წვიმას, ან ერთი რომელიმე მდინარის გადიდებას მუდამ ის შედეგი ჰქონდა, რომ ვერც ჯარი, ვერც ურემი, ვერც მგზავრი ვეღარ გაადგამდა წინ ფეხს, სანამ ან თითო ურემში ათიოდე ცხენს არ გაბამდენ, ან მზე გზას არ გააშრობდა, ანდა ყინვა არ გატკეპნიდა და სასიარულოთ არ გაამზადებდა. რკინის გზა მარტო 1853-ში გაიმართა, ისიც პეტერბურგიდამ მოსკოვამდი. დანარჩენ ადგილებში შოსსე რაა, ისიც არსად იყო თითქმის... ასე, რომ რუსეთის ნაკიდურები, მტრებისგან აოხრებული ან დაკავებუ-

ლი, ისე შორს ურჩებოდა შუა გულ რუსეთს, რომ ცენტრალური მმართველობა ვერც ჯარის გასტუმრებას ახერხებდა, ვერც მისთვის საჭირო სურსათის, იარაღის და ტანსაცმლის გზავნას. გაგზავნილი ჯარის და იარაღის ნახევარი გზაზე იბნეოდა და იღუპებოდა...

მეორე, უფრო შესანიშნავი და მძიმე მოვლენა იმ მოძრაობაში მდგომარეობდა, რომელიც იმავე დროს შუა გულ რუსეთის რამდენიმე გუბერნიებში მოხდა. გლეხ-კაცობა, რომელიც მაშინ ბატონყმობის უღელს ქვეშ იტანჯებოდა, ჰგროვდებოდა სოფელ-სოფელ და თხოულობდა მტერთან საბრძოლათ გაგვიშვითო, ჩვენც ვიბრძვით, როგორც «Вольные казаки» და რაკი «Вольные казаки» ვიქნებით, როცა დავბრუნდებით, ბატონების უფლებიდამ გათავისუფლებულები შევიქნებითო. ამ მოძრაობას მოკლე ხანში იმსიდიდე სიმძლავრე მიეცა, რომ რამდენიმე გუბერნიაში მათ წინააღმდეგ ჯარის ხმარება დასჭირდათ და მარტო ამ ფიცხელი საშუალებით შესაძლო შეიქმნა ამ მოძრაობის მოსპობა და დროებითი დამშვიდება*.

ყველა ამ გარემოებებს ის დასკვნა ჰქონდათ, რომ საყოველთაოთ ცხადი საქმე შეიქნა, რამოდენათ გამოუდეგარი ყოფილა ეხლანდელ დროისთვის ის სამმართველო სისტემა, რომლითაც უწინ ხელმძღვანელობდნენ... ყველასათვის ცხადი შეიქნა, აგრეთვე, რომ აუცილებლათ საჭიროა სხვა, ახალი, ევროპიული სისტემის მიღება, ისეთის, რომელსაც თანამედროე საზოგადოების მოთხოვნილების და საჭიროებების დაკმაყოფილება შეეძლოს. საჭირო შეიქნა ადმინისტრაციის გადასხვაფერება, ჯარის გაუმჯობესება, სამართლის წესის განახლება, საზოგადოებრივი კანონების შეცვლა, ერთი სიტყვით ახალი „რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ს“ შემოღება, ესე იგი სახელმწიფო წესში და წყობილებაში ცვლილებების მოხდენა. და ეს ყველაფერი იმას ნიშნავდა, რომ უწინდელი მორჩილების მაგიერ საჭირო შეიქნა საზოგადოებისა და ხალხის განათლება და განათლების ნამყოფების გამოყენება საზოგადოების სასარგებლოთ. მართლაც ეს აზრი და შეხედულება პირდაპირ გამოიხატა შინაგანი საქმეების მინისტრის მოხსენებაში ხელმწიფე იმპერატორთან, 1857 წ., რომელშიაც მინისტრი ხელმწიფეს მოახსენებს, რომ უცხო ქვეყნელებს წარსული ომის დროს ჩვენზე მარტო ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ ისინი უფრო ნასწავლნი და დახელოვნებულნი იყვნენო, და რაკი ჩვენც სწავლას და განათლებას წინ წავსწევთ, რაკი ჩვენც განათლების ნაყოფს ხე-

---

*ამ საგანზე შესანიშნავია უფ. გრომეკას სტატია: Крестьянские волнения в Киевской Губернии. ნახე Отечественные записки, 1863 г.

ირიანათ გამოვიყენებთ, იმათ ჩვენზე აღარაფერი უპირატესობა არ ექნებათ და ჩვენს ხალხს ველარავინ ვერ დასძლევსო.

თანახმად ამ შეხედულებისა, 1857-დამ დაწყებული, რუსეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში იწყება მთელი წრე სხვა და სხვა ცვლილებებისა, როგორც ადმინისტრაციაში და ჯარის წესში, ისე კანონებში და სამართლის წარმოებაში, ისე თვითონ რუსეთელი ხალხის და კერძო წოდებების მდგომარეობაშიც. ყველაზე უწინ დაიწყო ყველაზე უფრო შესანიშნავი ცვლილება — „გლეხკაცების მდგომარეობის გაუმჯობესება", ესე იგი ბატონ-ყმობის მოსპობა. ეს ცვლილება, რომლის ხასიათის დაფასება ეხლა ჩვენ შორს გაგვიტაცებდა, დაიწყო 1857 წელს და მოხდა 1861-ში, 19 თებერვალს თვითონ რუსეთისთვის, და ცოტათი უფრო გვიან — სხვა და-სხვა მოშორებული პროვინციებისთვის (მაგალითად, ბესარაბიაში, საქართველოში და სხვ.). 1859 წელს დაიწყეს სამხედრო წესში სხვა და სხვა შესანიშნავი გაუმჯობესების შემოღება, და ეს გაუმჯობესება ცოტ-ცოტათი უფრო და უფრო ვრცელდება, თუმც დღემდე სამხედრო რეფორმა ჯერაც არ შესრულებულა. 1864 წელს გამოიცა „ე რ ო ბ ი ს" წესდებულება, რომლის ძალითაც ადგილობრივი (საგუბერნიო და სამაზრო) შემოსავალ-გასავლის მმართვა და საქმეების გამგეობა თვითონ საზოგადოებისაგან ამორჩეულ პირებს (гласные) ეძლევა. იმავე წლის ბოლოს დამტკიცდა სამართლის ახალი წესდებულება, რომლის ძალით რუსეთში სამოსამართლო ადგილებს და პირებს ბევრი ახალი უფლება და სიმართლე ეძლეოდათ. 1870 წელს დაწესდა ქალაქების საზოგადო გამგეობის ახალი წესდებულება, და სხვა და სხვა დროს დაარსდა ზოგიერთი საჭირო სასწავლებლები, დაწესებულებები და სხვ. და სხვ., რომელთაც საზოგადოთ ის დანიშნულება ჰქონდათ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება გაეუმჯობესებიათ და სახელმწიფო მმართვისთვის გამოსადეგი მსახურები დაემზადებიათ...

ვიმეორებთ. ჩვენ აქ მისი განხილვა კი არ გვინდა, თუ რამოდენათ კილო-გამოუდებელი და უნაკლულევანია თითოეული ამ რეფორმებთაგანი, ან რამოდენათ აკმაყოფილებს ის საზოგადოებრივ საჭიროებას და მოთხოვნილებას. ეს განხილვა, როგორც ვთქვით, ნამეტნათ შორს წაგვიყვანდა. ჩვენი მიზანი ჯერჯერობით ისაა, რომ ვარაუდით ჩამოვთვალოთ რა და რა უმთავრესი ცვლილებები მომხდარა რუსეთის ცხოვრებაში ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში და ვნახოთ, როგორი გავლენა იქონიეს ამ ცვლილებებმა. იმ მხრის განხილვა კი, თუ რა იქნებოდა, სხვებრ ან უკეთ რომ ყოფილიყო და სხვ., ჩვენ ამ ჟამათ სრულებით უნდა მივატოვოთ.

რაკი ჩვენ ამ აზრით რუსეთის ეხლანდელ ცხოვრებას დავაკვირდებით, და საგანგებოთ იმ კითხვას დავიკითხავთ, თუ რა უკეთესი ცვლილების მოხდენა შეიძლებოდა, ჩვენ დავინახავთ, რომ იმ ცვლილებას, რომელიც ნამდვილათ მოხდენილა, გეარიანათ შეუცვლია რუსეთის ხალხის და საზოგადოების მდგომარეობა და ხასიათიც. თუმც ამ ცვლილებებს მათი მატერიალური მხრით ის მძიმე შედეგი ჰქონდათ, რომ ხალხის გადასახადი გამრავლდა, განსაკუთრებით იმ მხრით, რომ მიწა-წყალი მებატონეებს დარჩათ და მათ გლეხებისგან მიწისთვის გადასახადი და გამოსაყიდი მიენიჭათ, მაგრამ დანარჩენ მხარეებით ცვლილებებს ამისთანა მძიმე ხასიათი როდი ჰქონიათ. თუმც. კიდევ, ზნეობითი ხასიათი რომელიმე ხალხისა ხეთი და ათი წლის განმავლობაში დიდათ ვერ შეიცვლება, მაგრამ ბატონის უფლების მოსპობა, მისი როზგების და მათრახის, მისი „შინაური“ გამრყვნელი და დამჩაგვრელი ძალის გაუქმება ეხლაც კი დაეტყო რუსეთელი ხალხის ხასიათს. ცოტათი არ იყოს ის წელში გაიმართა, თუ ყველას წინ არა, უწინდელ თავის მეპატრონეების და გარეშე პირების წინ მაინც. იმას მიეცა შინაური და სასოფლო საქმეების მმართვა, და თუმცა ამ მმართვას ბევრი ეკალი ხვდება ნიადაგ. თუმც წვრილმანი მთავრობა და გაქნილი миросел-ები ხშირათ გლეხ-კაცობას თვალს უხვევენ და საქმეებს ბრმათ აწყვეტინებენ, მაგრამ ცოტაობით მაინც უკეთესდება და თან და თან უფრო და უფრო გაუკეთესდება ამ მხრით გლეხ-კაცების გონიერება და ხასიათი. ნიადაგი საქმის საზოგადოების წინ განხილვა, სან�ო პირების ამორჩევა, მათი მოქმედების დაფასება და გასჯა თუ ეხლანდელ გლეხებს არა, ახალგაზრდებს, მოზდილებს მაინც დააფიქრებს და უკეთეს საქციელს შეაჩვევს, საზოგადოების სასარგებლოთ გონებას გაუხსნის და ერთგული სამსახურის სურვილს აუძრავს. ბევრ რუსეთელ სოფლებში კიდეც შეუნიშნავთ სხვა და სხვა გაზეთების კორესპონდენტებს ამ სასურველი მომავლის ზოგიერთი წინამორბედი მაგალითები.

მაგრამ უფრო შესანიშნავი და ძლიერია მეორე მხარე, რომლითაც გამოიხატა რუსეთელი რეფორმების გავლენა ამ პირველ დაწყებაშივე.

უწინდელ დროში ყველაფერი, რაც კი რუსეთში ნიჭიერი და გონიერი იყო და რაც ცხოვრების დამთურგვნელ, მომხიბვლელ ძალას უძლებდა, ნიადაგ პეტერბურგისკენ იწეოდა. მაშინ მარტო პეტერბურგში და ხანდისხან მოსკოვში იპოებოდა ხოლმე „გონებითი ცხოვრება“. იქ უნივერსიტეტების ახალგაზდობა სცხოვრობდა. რომელსაც ჯერ ცხოვრების „საჭიროების“ და „ინტერესის“ ჩირქი არ

მოსცხებოდა, იქ სულს ნამავდა, როგორც იყო, მწერლობა, იქ ცოტ-
ცოტათ სდუღდა აზრი და გრძნობა, იქ „მომავლის იმედი" კიდევ
იპოებოდა აქა-იქ... მაშინდელ დროში, რაკი გასცილდებოდა კაცი
პეტერბურგის ან მოსკოვის ზასტავებს, იმისთვის იკარგებოდა მთე-
ლი „გონებითი ცხოვრება". აზრის მოძრაობა, მომავლის იმედი,
იდეალის ძიება, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი აკეთილშო-
ლებს და ამაღლებს კაცს, რაც მასში პატიოსნურ გრძნობას და ახალ-
გაზდობის უმანკოებას ინახავს, — სანიადაგოთ ჰქრებოდა. მის წინ,
და მაგიერათ იმას დახვდებოდა ბნელი „პროვინცია", მაშინალური
სამსახურით, ბანქოს თამაშით, ბებრუსების ჭორიანობით და ახალ-
გაზდების სიმთვრალით. რაღა თქმა უნდა, რომ ყველას, ვისაც კი ამ
ბნელი ბედის გადარჩენა შეეძლო და ვისაც ტვინი არც გული არ
ურიგდებოდა ამგვარ ცხოვრებასთან, პეტერბურგი და მოსკოვი იმ
აღთქმულ, ნეტარ მიწათ მიაჩნდა, სადაც კიდევ შესაძლო იყო ცხო-
ვრება, ფიქრი, მოქმედება და იმედის შენახვა. ამნაირათ მთელი სა-
უკუნის განმავლობაში ამ ქალაქებში გროვდებოდა მთელი რუსეთის
ნიჭი და ძალა, და ამ მოგროვებას, ამ შეერთებას თუ არა, ერთ ქა-
ლაქში ცხოვრებას ის შედეგი ჰქონდა, რომ მთელი რუსეთის მაგიერ
ფიქრობდა, ლაპარაკობდა და სწერდა მარტო პეტერბურგი და მო-
სკოვი. ამ ორ ქალაქში ისეთი ზნეობითი და გონებითი ატმოსფერო
შეიქმნა, რომ კაცი შიგ ძლიერ მალე სხვაფერდებოდა, მალე სტიკებ-
და პროვინციის გაცალკევებული და ბინძური ცხოვრების კვალს ცა
ბეჭედს, მალე ივსებოდა უკეთესი ცხოვრებისკენ ლტოლვილებით. და
ზოგი ამის გამოისობით, ზოგი იმ ნამდვილი გონების გახსნის ძალით,
რომელსაც მათ პეტერბურგი და მოსკოვი აძლევდა, ჰპოულობდენ
პროვინციებში ნამდვილ გავლენას თუ არა, ნამდვილ მორიდებას
ბომ მაინც. თვითონ ამ შეგროვებას პეტერბურგში და მოსკოვში ის
გავლენა ჰქონდათ, რომ უფრო მეტათ განათლდა ან მორჯულდა ის
წრე და საზოგადოება, რომელშიაც დაიარებოდენ მაშინდელი უმა-
ღლესი საზოგადოების წევრები. თვითონ ამ უმაღლეს საზოგადო-
ბაში და იმ წრეებში, სადაც მზადდებოდა სხვა და სხვა სამმართვე-
ლო წესდებულებები, შევიდა ახალი აზრების და შეხედულების
ზოგიერთი ნაკვეთები, გავრცელდა, ცოტაოდნათ მაინც, ახალი მიმა-
რთულების სული და მორიდება. ამასთანავე რუსულ მწერლობას და
სწავლას, ამავე მოგროვების გამო, მიეცა ძლიერ დიდი გავლენა და
ძალა. თითქმის ყველა სასწავლებლებში და განსაკუთრებით უნივერ-
სიტეტებში რამდენიმე გონიერი და ნიჭიერი პირები იპოებოდენ,
რომელნიც თავიანთი ნიჭით, მიმართულებით და გრძნობით ისეთ
გავლენას ჰპოულობდენ მოსწავლე ახალგაზრდობაზე, რომ ეზიდავ-

დენ თავიანთკენ და პატიოსან მიმართულებას უნერგავდენ ყველას, ვინც კი ბავშვობიდამ უნიჭო ან გრძნობით წამხდარი არ იყო. მწერლობაში ზედი-ზედ ნიჭიერი და ღირსეული მწერლები გამოდიოდენ, რომელნიც უთვალავ დაბრკოლებას და აუარებელ წინააღმდეგობას შუა იმოდენს მაინც შერებოდენ, რომ უკეთესი მომავლის იმედს ავრცელებდენ და უმჯობესი განწყობილების სურვილს სძერავდენ მკითხველ საზოგადოებაში.

მაშინ ამ მცირეოდენი სწავლულების და მწერლების სიტყვას უფრო მეტი გავლენა ჰქონდა რუსეთის საზოგადოებაზე და ახალგაზდობაზე, ვინემ ეხლანდელ უმრავლესი პროფესორების და უთვალავი ჟურნალ-გაზეთების ქადაგებას... ამის მიზეზი სხვათა შორის იმ წრეების ზნეობითი გავლენა იყო, რომელიც ამ ორ სატახტო ქალაქებში შედგენ, და რომელნიც ნიადაგ ერთ და იმავე მაღალ მიზანს სდევდენ — რუსეთის საზოგადოების ზნეობით და გონებით ამაღლებას, რუსეთის ხალხის მომავლის გაუმჯობესებას... და სანამ ეს წრეები ერთს და იმავე მიზანს მისდევდენ, სანამ მათი წევრები შეერთებულათ შრომობდენ და ერთი მეორის გამხნევებით, დახმარებით და წინ-წასწევით მოქმედებდენ, მათი გავლენა უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ვრცელდებოდა ამ არა თუ მარტო ქალაქებში, სხვა და სხვა მოშორებულ პროვინციებში და მთელს რუსეთშიაც...

ამ მოძრაობას სატახტო ქალაქებისკენ ბოლო მოეღო 1862 წელში, ერთის მხრით იმ მიზეზით, რომ მაშინ სატახტო ქალაქების „წრეები“ აქეთ-იქით დაიფანტენ, და მეორეთი იმის გამო, რომ ახალმა რეფორმებმა კარგა ძალი ხალხი მოინდომეს. როგორც ბატონყმობის საქმის გაწყობაში, აგრეთვე ახალი აქციზისა და გამოძიების წესის დაარსებაში, ისე, ბოლოს, ახალი სასამართლო ადგილების გამართვაში და ერობის საქმეების გამგეობაში მოითხოვეს ახალი „ნასწავლი“ პირები, და სატახტო ქალაქები ცოტ-ცოტათი დაცარიელდენ, იქაური „ინტელიგენცია“ გუბერნიებისკენ განემგზავრა, და ამ ნაირათ ის გონებითი ძალა, რომელიც უწინ პეტერბურგში და ხანდისხან მოსკოშიაც თავს იყრიდა და ჯგუფ-ჯგუფათ სცხოვრობდა, დაიფანტა თვალუწვდენელი რუსეთის სხვა და სხვა წვრილმან ქალაქებში და მაზრებში. ზოგიერთი სწავლულების ენა რომ ვიხმაროთ, შეგვეძლება ვთქვათ, რომ რეფორმებამდი რუსეთში გონებითი ძალა „ი ნ ტ ე გ რ ა ლ ო ბ დ ა“, ერთდებოდა, ზავდებოდა, და რეფორმების შემდეგ კი ის — „დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ლ ო ბ ს“, ცალ-ცალკავდება, სხვაფერდება, იფანტება.

ამის გამოისობით რუსეთში სატახტო ქალაქების გავლენა შევ-

.ცირდა, მათი საზოგადოების გონებითი სიმაღლე ცოტაოდნათ ჩამოიწია, იქაური სასწავლებლების ხასიათს უწინდელი აღმტაცი ძალა მოაკლდა და იქაური მწერლობა — ხასიათით და მნიშვნელობით მაინც — დაეცა, დღეს რუსეთელი სატახტო ქალაქები ბევრი აღარაფრით არ დგანან სხვა დიდ ქალაქების მაღლა. ოდესა, კიევი და სხვ. ბევრით აღარაფრით ჩამოუარდებიან დღეს პეტერბურგს და მოსკოვსა, და სხვა წვრილმან ქალაქებს უწინდელზე ბევრათ უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცა რუსეთის გონებით ცხოვრებაში. პეტერბურგისა და მოსკოვის საზოგადოებას ამით ხასიათი შეეცვალა. უწინ რომ იქ სწავლას და ნიჭს ხმა ჰქონდა, ისეთი, რომ მმართველებიც ძალაუნებურათ იმათ ყურს უგდებდენ და ერიდებოდენ, დღეს მაგიერი გავლენა სხვა და სხვა ფინანსისტებს, ადვოკატებს და აფერისტებს მიეცა. იმათ ფეხი შეადგენს და ჩააგდეს არა თუ მარტო მმართველ და შუათანა საზოგადოებაში, თვით გაზეთ-ჟურნალებში და მწერლობაშიაც დღეს იმათ ხმა აქვთ, მერმე თითქმის უპირატესი ხმა, უმჯობეს რუსულ გამომცემლებში. და ბევრი საზოგადოებრივი კითხვა გადაწყვეტილია იმათ გავლენის ქვეშ, რასაკვირველია, იმათ სასარგებლოთ. ნამდვილ სწავლას, პატიოსან მწერლობას, გულწრფელ სიტყვას გასავალი და გავლენის კვალი არა აქვს ამ ახალი გავლენიანი პირების გამოისობით, და მათ უცებ, დაუმსახურებელ, ხშირათ უპატიოსნო ამაღლებას, მათ მაგალითს და ძალას ის საშინელი გავლენა აქვს საზოგადო გონებაზე და ხასიათზე, რომ საზოგადრებას და ახალგაზრდობას გზა ებნევა, პატიოსანი შრომის ხალისი ეკარგება, ადვილი ამაღლების სურვილი ებადება, გრძნობა ულაყდება და იმედი უქრება. და რადგანაც ამასთანავე უმრავლესობა საზოგადოებრივი აზრის მიმართულებაში უწინდელს პირუთვნელ და პატიოსან მოსარიდებელ და პატივსაცემელს კილოს ვეღარ გრძნობს, ისიც თავის მხრით ეჩვევა ზნეობის სასტიკი მოთხოვნილებების წაყრუებას და დავიწყებას და უფრო შეუპოვრათ ადგება მოუწონარს და დასაწუნ მოქმედებას...

შეუძლებელი საქმეა, რომ გონების ცხოვრების ამგვარი ცვლილება მძიმეთ არ დააჩნდეს ეხლანდელს და მომავალს თაობას, მით უფრო, რომ ახალგაზდა თაობაც ძლიერ დამასუსტებელ და დამჩაგვრელ გარემოებებში იზდება... შეუძლებელი საქმეა, რომ მთელი რუსეთის ზნეობით ხასიათს არ დაეტყოს ამგვარი მიმართულების კვალი, რომელიც იქნება რამდენიმე თაობას შთამამავლობითაც გადაყვეს. მაგრამ როგორც უნდა იყოს ეს კვალი და ეს დამდაბლება, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ, მეორე მხრით, რუსეთის ცხოვრებას ნამდვილი გაუმჯობესება დაეტყო. რამდენათაც დაიწია სატახ-

ტო ქალაქების ზნეობითმა სიმაღლემ, იმოდენათ, მეტათ თუ არა, ამაღლდა სხვა და სხვა მაზრების და ქალაქების ცხოვრება. იმ ახლათ „ჩასახლებულებში“, რომელნიც მიიყვანა ამ ქალაქებში სხვა და სხვა რეფორმების საჭიროებამ, ბევრი ისეთები იყვნენ, რომ მათი მაგალითი და ცხოვრება უკვალოთ და უმნიშვნელოთ არსად ჩაიგლიდა. იმათ გარშემო ცოტაოდნათ მაინც იცვალა წვრილმანი ქალაქების მცხოვრებლების ხასიათი და ზნეობა. ბევრს ახალგაზდა ყმაწვილს კეთილი შთაბეჭდილება და მიმართულება მიეცა მათთან დაახლოვებით, მათი დაკვირვებით და თუნდ ახალი, უცხო პირისახის და ხასიათის დანახვით, რომელიც უწინდელი ნაცნობების ჩვეულებისამებრ როდი სცხოვრობს და მათ მაგალითს როდი მისდევს. თვითონ ამ პირების მოქმედებას, თანამდებობის ასრულების დროს, ისეთი ხასიათი აქვს, რომ მათი ნათქვამი მათი საქციელი ძალა-უნებურათ სძრავს და აფიქრებს ყოველს ჯერ კიდევ წაუხდენელ ტვინს და გონებას. მართალია, ამ იშვიათი პირების გვერდით, იმავე რეფორმებმა ბევრი უხეირო და უმნიშვნელო პირებიც დაიყენა, ასეთები, რომელნიც ცუდი და უშვერი მაგალითის მეტს ვერას აჩვენებდენ წვრილმან ქალაქების საზოგადოებას. მაგრამ იმასაც ნუ დავიიწყებთ, რომ ნიჭსა და გონიერებას რიცხვი იმდენათ როდი სჭირია. და ერთი ხეირიანი კაცი უფრო მეტს სარგებლობას შესძენს ხოლმე ამნაირ გარემოებაში, ვინემ ოცდა ხუთი უხეირო და უჯიშო კაცი იმავ დროს ვნებას მოიტანს.

ჯერჯერობით, რასაკვირველია, კაცი ხეირიანათ და ნამდვილათ ვერც კი შენიშნავს ამ ორნაირი ცვლილებების ნამდვილ ძალას და სივრცეს. ჩვენ შეგვიძლია მარტო მწერლობის საზოგადო ხასიათზე, საზოგადოების მიდრეკილებაზე და მიმართულებაზე და ზოგიერთ სხვა გარემოებებზე შევნიშნოთ ის გავლენა, რომელიც სატახტო ქალაქების საზოგადოებაზე ამ ქალაქების „დაცალიერებას“ ჰქონია და აქვს. შეგვიძლია აგრეთვე აქა-იქ. ზოგიერთი კერძოობითი საქმეების და საზოგადო გადაწყვეტილების განხილვის დროს, შევამჩნიოთ და დავინახოთ ის გავლენა, რომელიც წვრილმანი მაზრების და ქალაქების საზოგადოებაზე „ახალ-მოსულებს“ ჰქონიათ. მაგრამ ამ ორივე მოვლენის ნამდვილი ძალა და ხასიათი მარტო მომავალში გამოჩნდება მათი სრული ტანით და სიმტკიცით. ეხლანდელი ჩვენი შენიშვნები ამ საგანზე უფრო მიხვდომა, კერძოობითი ფაქტების შედეგია, ვინემ საკმაო ფაქტების განხილვაზე დაფუძნებული ბეჯითი საზოგადო დასკვნა. მაგრამ, თუ ჩვენ ძლიერ არ ვსცდებით, იმ ზოგიერთი ფაქტებიდგამ, რომელსაც ჩვენ რუსეთელი პროვინციების ეხლანდელი ცხოვრება წარმოგვიდგენს, ეხლაც შეიძლება იმ აზრის

გამოთქმა, რომ ამ პროვინციების საზოგადოებას კეთილათ დატყობია და შემდეგში უფრო მეტათ და მძლავრათ დაეტყობა ის მოძრაობა, რომელსაც რუსეთელი გონიერი და ნიჭიერი ახალგაზდობა სხვა და სხვა მაზრებში და ქალაქებში დაუფანტავს.

თუ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ ზოგიერთ იმ იშვიათ ფაქტებს, რომელნიც ეხლანდელ პროვინციალურ ცხოვრებაში აქა-იქ შეხვდება ხოლმე დამკვირვებელს, და რომელნიც საამოთ განირჩევიან სხვა უთვალავ და უხეირო ფაქტებიდამ, ჩვენ შევნიშნავთ, მაგალითად, რომ ზოგიერთ ერთობის კრებაში და მმართველობაც თანდათან უფრო და უფრო მეტი გავლენა იმ ხეირიან მიმართულებას ეძლევა. რომელიც ხალხის კეთილდღეობას, სარგებლობას და განათლებას ემსახურება და რომელიც ხალხის ინტერესებს ყველა კერძოობით ინტერესებზე უფრო მაღლა სთვლის. ამ მიმართულების მომხრენი თავიანთ მაზრებში უფრო და უფრო იმ შეხედულებას ავრცელებენ, რომ ამ მაზრების შემოსავალი და ღონე იმისთანა საგნებზე და საქმეებზე უნდა იხარჯებოდესო, რომელთაც ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება მისი ცხოვრების გადასხვაფერება და მაშასადამე მისი გონების გახსნა, მისი ღონის გაძლიერება შეეძლოთ. ამ მიმართულების თანახმათ ისინი ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რომ ხალხის შრომა გააადვილონ, ხალხი იმ მუშამლების ხელიდამ დაიხსნან, რომელნიც მის შრომით რჩებიან და მის შემოსავალს ნაშრომს თავიანთ სასარგებლოთ ითვისებენ. ზოგიერთ ერობებში, სადაც უმრავლესობა ან გავლენა ამ მიმართულების პირებს ეკუთვნის, კიდეც დაწესებულა ერობის საშუალებით ხალხის სასარგებლოთ სხვა და სხვა ამხანაგობის გამართვა, და ბევრჯერ შესამჩნეველი დახმარება მისცემია იმ ამხანაგობებს (Артели), რომელნიც თვითონ გლეხებს გაუმართავსთ. სხვაგან ერობის საშუალებით გამართული სამაგალითო ქარხნები (ყველისა და კარაქის საკეთებელი, მაგალითად), რომლის შემწეობით გვარიანათ გაუმჯობესებულა გლეხკაცობის მდგომარეობა. ძლიერ ბევრ ადგილას, შიმშილისა და სურსათის ნაკლულევანების დროს, ან სხვანაირ ხალხის გაჭირვებაში, ამავე მიმართულების პირებს ერობის მოქმედებისთვის ხეირიანი და პრაქტიკულათ სასარგებლო ხასიათი მიუციათ, ისე რომ გლეხ-კაცობას ერობის მხრით ნამდვილი დახმარება მისცემია, და არა ის ვითომ-დახმარება, რომლის სახელით ზოგიერთ სხვა ერობებში ხალხს ატყავებდენ და უკანასკნელ ლუკმა-პურს სტაცებდენ ან აშხამებდენ...

მართალია, ეს დახმარება და ყველა ეს კეთილი დაწყებულება ჯერჯერობით მაინც ნამდვილ და შესანიშნავ სიკეთეს და ტვირთის შემსუბუქებას ვერ მისცემს რუსეთელ ხალხს. მისი მდგომარეობა

ამისთანა კერძოობითი კეთილმოქმედებით და დახმარებით ვერ გაკეთდება და მისი ბედი ასე ადვილათ და წვრილმანათ ვერ შეიცვლება... მაგრამ ამ წვრილმან, კერძოობით დახმარებას, რომელიც ცოტაოდნათ ამსუბუქებს ხალხის გასაჭირს და ტვირთს, და ერთ ნამცეცა სინათლეს და იმედს ჰბადავს მის გულში და გონებაში, ის ნამდვილი და ძვირფასი სარგებლობა მოაქვს, რომ ხალხი ცნობილობს კეთილათ-განზრახულს პირებს, გრძნობს, რომ იმათ მისი დახმარება სურთ, რომ იმას მათზე დანდობა, მათი ხმარება და გამოყენება შეუძლია. ამით იმ პატიოსანს მიმართულებას, რომელსაც ეს პირები ემსახურებიან და რომელშიაც მდგომარეობს რუსეთის მომავლის იმედი, შეეძინება ხალხის სიმპატია თუ არა, პატივისცემა მაინც. და მოვა ის დროც, როცა ესევე ხალხი ამ მიმართულებას უფრო მტკიცეთ დაენდობა და მას მოსთხოვს უკეთესი ბედის და განწყობილების დაარსებას... აი მარტო მაშინ, როცა ეხლანდელი კერძოობითი კეთილ-მოქმედების მაგიერ, საზოგადო ღონისძიებები მიიღებიან ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, ეს მიმართულება ნამდვილ თავის ღირსებას და ძალას გამოიჩენს...

ეს მით უფრო შესაძლებელი და თითქმის აუცილებელი საქმეა, რომ ამ მიმართულებას და რუსეთელ ხალხს შუა ბევრი შემაერთებელი კავშირია ისეთი, როგორიც სხვა ქვეყნებში უფრო იშვიათათ და ძნელათ მოიპოვება. ამ მიმართულების უმთავრესი პრინციპი — შეერთებული, ამხანაგური შრომის და ცხოვრების გამართვა, — ათასი წლობით არსებობს რუსეთელ ხალხში, რომელსაც მიწაწყლის საზოგადოებრივი მფლობელობა (Общинное землевладение) და ამხანაგობრივი (Артель) საქმის წაყვანა ძვლებშიაც გამჯღარი აქვს. მართალია, რომ ეს ორივე გაწყობილება, ეხლანდელ მდგომარეობაში, ნამეტნათ შემოძველებულია და ბევრში არ ეთანხმება თანამედროვე მეცნიერებისგან გამოკვლეულ მოთხოვნილებებს, მაგრამ მსგავსის, ნაცნობის გაუმჯობესება და გადაკეთება უფრო ადვილია, ვინემ ხალხში სრულიად უცნობი, გაუგებარი, და ძნელათ ასახსნელი პრინციპების შემოღება და გავრცელება. და რაც უფრო მეტი დახმარება და გონიერი ხელმძღვანელობა მიეცემა რუსეთში იმ ამხანაგობებს, რომელნიც რუსეთის ხალხს თავისთავათ დაუარსებია, რაც უფრო მეტი პრაქტიკული მხრით დაუახლოვდება ამ ხალხს ახალი მიმართულების პირები, მით უფრო და უფრო გაადვილდება რუსეთის გონებითი გახსნის საქმე, მით უფრო დაახლოვდება ის დრო, როცა ამ გახსნას განიერი გზა მიეცემა და მის წინ ეხლანდელი დაბრკოლება და წინააღმდეგობა მოისპობა...

ერობის მოქმედებაზე ნაკლები გავლენა არც სასწავლებლების

გავრცელებას უნდა ქონდეს. უნდა გამოვტყდეთ, სასწავლებლების და საზოგადოთ განათლების საქმე რუსეთში სუსტობს. სხვა და სხვა მიზეზების გამო ამ საქმეს ისეთი ხასიათი და მიმართულება მიეცა ამ უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში, რომ სწავლას პრაქტიკული სარგებლობის მიზანი დაეკარგა. კლასიკური (ძველი ენების უპირატესობის სისტემას ეხლა რუსეთში პირველი ადგილი უკავია. უეჭველია, რომ ამ გზით პრაქტიკული ცხოვრებისთვის დამზადებული, ერობისა და მწარმოებელი შრომისთვის საჭირო პირები მეტის-მეტათ გაიშვიათდენ. ამასთანავე შუათანა და უმაღლესი სწავლის ამ კილოზე წაყვანას ის შედეგიც მიეცა, რომ სახალხო პირველ-დაწყებით სკოლებში ხეირიანი მასწავლებლები ძვირობენ. თითქმის ყველა სოფლებიდამ და მაზრებიდამ გაზეთებში ის ღაღადი ისმის, რომ გლეხებმა სკოლა გამართეს, სახლი ააშენეს, ფული მოკრიბეს და მასწავლებელი კი ვერსად იშოვნესო. ეხლანდელი სკოლების უმეტეს ნაწილში ასწავლიან თურმე ან კლასიკური გიმნაზიის მესამე და მეოთხე კლასიდამ გამოსული ყმაწვილები, ან და სემინარიელები, რომელთაც თითქმის იმისთანავე ცხოვრებაში გამოუდეგარი სწავლა ეძლევათ, როგორც გიმნაზიელებს. და რაკი ჩვენ გავიხსენებთ, რომ ამ სკოლებში მასწავლებელს უმეტეს ნაწილში რვა, ცხრა, ან ათი მანეთი აქვს თვეში ჯამაგირათ, ბევრი — თუთხმეტი, ჩვენ ადვილათ შეგვეძლება წარმოვიდგინოთ, თუ რანაირათ უნდა მიდიოდეს სწავლება ამ სახალხო სკოლებში.

სკოლების საქმე — რუსეთში როგორც სხვაგან — ბევრ შეცდომას ჰბადავს საზოგადოების გონებაში. ჩვეულებრივ ყველას ჰგონია, რომ რაკი სოფლებში სკოლა გაიმართება, ხალხი გაბედნიერებული იქნებაო. მაგრამ იმას არავინ იხსენებს, რომ ხალხი სკოლაში ყმაწვილებს იშვიათათ გზავნის, რადგანც გლეხ-კაცობას ყმაწვილი შინ სჭირია საშრომოთ, და თუნდ კიდეც გზავნიდეს, იქ მარტო წერა-კითხვას ასწავლიან, მეტს არაფერს, და ამ წერა-კითხვის სწავლა გლეხკაცს ბევრში არაფრათ არ გამოადგება, თუ კი იმას შემდეგში არც კითხვის დრო, არც საკითხავი წიგნები არ ექნება. უცხო ქვეყნების მაგალითით რუსეთში ბევრ ერობებს დაუწესებიათ მართებლობასთან ვიშუამდგომლოთთო, რომ კანონი გამოიცეს, რომლის ძალით ყოველი ყმაწვილი უსათუოთ სკოლაში უნდა დაიარებოდეს, სანამ წერა-კითხვას არ ისწავლისო. ეს ჩინებული და აუცილებლათ საჭირო საშუალება მარტო ერთ მხარეს აკმაყოფილებს, ერთ დაბრკოლებას სპობს სკოლის საქმეში. მეორე დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, როგორც წეღან ვსთქვით, რომ სკოლებში მარტო წერა-კითხვას ასწავლიან. ეს დაბრკოლება კიდეც შეუ-

ნიშნავს ზოგიერთ ერობებს, და „მმართებლობის მოამბეში“ ჩვენ ხშირათ იმ ამბებს ვპოულობთ, რომ ამა და ამ ერობამ გარდაწყვიტა თავის სკოლებში ხელ-საქნარის, კერვის, დურგლობის, ხარაზობის და სხვა ხელობების სწავლებაო. შესანიშნავია, რომ რამდენიმე ამგვარი ამბების დაბეჭდვის შემდეგ თვითონ „მმართებლობის მოამბემ“ გამოაცხადა, რომ ხალხი დიდი ხალისით აგზავნის ეხლა ყმაწვილებს ამისთანა სკოლებშიო, რადგანაც მათში პრაქტიკულ სარგებლობას ხედავსო. უეჭველია, რომ ამ საქმეს თანდათან უფრო და უფრო მეტი გავრცელება მიეცემა ერობის მხრით, მით უფრო, რომ ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებას და საჭიროებას ეს საქმე პირდაპირ აკმაყოფილებს. და რაც შეეხება ამ საქმის მესამე მხარეს — საკითხავი წიგნების შოვნას ხალხისთვის, ზოგიერთ რუსეთელ ქალაქებში კიდეც დაუწყიათ სახალხო ბიბლიოთეკების და საკითხავი ოთახების გამართვა, და ერობის მოქმედ პირებში, როგორც გაზეთები გვაცნობებენ, თანდათან ის აზრი ვრცელდება თურმე, რომ ყველა მაზრებში, სოფლის სკოლებთან ხალხის საკითხავი წიგნებისგან ბიბლიოთეკა და საკითხავი ოთახი უნდა დაარსდესო. რასაკვირველია, თავდაპირველათ ამ ბიბლიოთეკებს ვარაუდაო აავსებენ სხვა და სხვა უხეირო და გამოუდეგარი წიგნებით. მაგრამ საქმე დაწყებაშია: შემდეგში ამ ბიბლიოთეკების გზას კარგი და სახეირო წიგნებიც მოსძებნიან, და ცოტ-ცოტა, ნელ-ნელა ხალხში სასარგებლო კითხვაც გავრცელდება...

მაგრამ სკოლის უმთავრესი დანიშნულება, — მოსწავლე ყმაწვილის ხასიათის და ზნეობის გაწვრთნა, მისგან ხეირიანი მამულის შვილის გამოზდა, მისი გონიერი და მარჯვეთ მშრომელ კაცთ გამოყვანა — დიდ ხანს კიდევ არ ეღირსება რუსეთელ შვილებს, ამიტომ რომ ამისთვის აუცილებლათ საჭიროა ჩინებულათ დამარაგებული და დამზადებული მასწავლებლების ყოლა, რომელთაც ხანგრძლივი სწავლით, შრომით და პიროვანი მაგალითით გავლენის შეძენა შეეძლოთ, როგორც მოსწავლე ყმაწვილებზე, ისე იმათ დედ-მამაზე და მთელს გლეხ-კაცობაზე. ბევრი ტურა იკივლებს რუსეთის მინდვრებში და ბევრი მელა გასუქდება იქ, სანამ იქაურ სკოლებს ეს თვისება და ხასიათი მიეცემათ...

გვარიანი გავლენა იქონია ხალხის მდგომარეობაზე აგრეთვე რკინის გზების გამართვამ და საზოგადოთ წასვლა-წამოსვლის გაადვილებამ. უწინ რუსეთელი გლეხი კი არა, შუათანა საზოგადოების პირიც თითქმის დარგული და დაჭედილი იყო ნიადაგ ერთს და იმავე ადგილზე. იმას მარტო თავის საკუთარი სოფლის და მეზობლების მაგალითი ჰქონდა თვალს წინ, და უკეთესი ცხოვრების ან სხვა ნა-

ირი განწყობილების ცნობა კი არა, წარმოდგენაც არ ჰქონია. ამის გამო მთელი მაზრები თავთავისთვის სცხოვრობდენ ისე, როგორც ეცხოვრათ იმათ წინაპრებს, თითქმის ქვეყნის გაჩენიდამაც. გაუმჯობესებას, შედარებას, წარმატებას სრულიად არაფერი სძრავდა და ბადებდა. გზების გამართვას და წასვლა-წამოსვლის გაადვილებას კი ის შედეგი აქვს დღეს, რომ ხალხი შეიძრა, სხვაგან წავიდა სამუშაოთ, ქალაქები და სხვა მაზრები ნახა, რაც მის ცხოვრებას და ჩვეულებას არ ჰამოგავდა, ის შენიშნა და დაიმახსოვრა, გამვლელ-გამომვლელები ნახა, მათი განვითარებული ხასიათი და მოქმედება გაიცნო, და ამით, შეუმჩნევლათ, შეუნიშნავათ თვითონაც თავისი ცხოვრების კილო შესცვალა და გააუმჯობესა. ამას თან დაერთო მისვლა-მოსვლის ნიადაგი შედეგი: აზრების გაცვლა-გამოცვლა, შეფარდება, ძველი ამაოთ-მორწმუნეობის დავიწყება, ზოგიერთი ახალი შეხედულების შემოღება, ისე რომ რუსეთელი ხალხის გონიერებას ამ გზების გამართვამ გვარიანი მოძრაობა და წარმატება მისცა. დაუმატოთ ამას ის მატერიალური სარგებლობა, რომელიც გლეხკაცობას და საზოგადოებას გზების გამართვამ მოუტანა, და, გვგონია, ადვილათ დავინახავთ იმ ცვლილებების ხასიათს, რომელიც გზების გამართვას მოუხდენია, და რომელიც თან და თან უფრო ღრმათ ჩაიჭრებიან რუსეთის ხალხის და საზოგადოების გონებით ცხოვრებაში და ტვინში...

საზოგადოების ცსოვრებაშიაც დიდი ცვლილებები მომხდარა. აქ მართალია, ჯერ-ჯერობით უფრო ის ალიაქოთი მოჩანს, რომელიც ნიადაგ ყოველ საზოგადოებრივ ცვლილებას მოსდევს. ძველი შეურყეველი ცხოვრების და მამა-პაპური ჩვეულებების დანერგვას ის შედეგი ჰქონდა, რომ ბევრმა ძველი რწმუნების ძალა დაჰკარგა და ახალის კი ვერა შეიძინა რა. ბევრს თავში კარგის და ავის გარჩევა აებნა. ბევრმა ძველებური პატიოსნების ხმას წაუყრუა და თვალდახუჭულათ „ცხოვრების სიკეთეების ძიებას“ გამოეკიდა. გამარჯვება, შეძლება, ბატონური ცხოვრება ბევრისთვის ღმერთათ გადაიქცა, დ. ამ ღმერთს ემსახურება ეხლანდელი საზოგადოების უმრავლესობა. ნაგრამ, როგორც წინეთ ვთქვით, ეს აუცილებელი შედეგია ყოველი ღრმა ცვლილებისა და ამგვარ ზნეობით ალიაქოთს, ამნაირ ზნეობით „დუღილს“ ყოველთვის მოკლე ბორჯი აქვს. თავბრუდახვეული საზოგადოება მალე იგრძნობს ამისთანა ალიაქოთის სამწუხარო მხარეებს, ამიტომ რომ ეს მხარეები თვითონ იმის ტყავს შეეხებიან და თვითონ იმას შეაწუხებენ. მაშინ ხელ-ახლავ აღიძრება საზოგადოებაში გაუმჯობესებული და გამძლავრებული ზნეობითი გრძნობა და მაშინ ხელ-ახლავ უპირატესობა იმ მიმართულებას მი-

ეცემა, რომელსაც საფუძვლათ საზოგადოების ზნეობითი და გონებითი გახსნა უძევს... უნდა გავიხსენოთ, რასაც ზემოთ ვამბობდით იმ პირების გავლენაზე, რომელნიც წვრილმან მაზრებში ჩასახლდენ, და რომლებმაც თან ახალი შეხედულობა და ჩვეულებები ჩაიტანეს. თუმც დღეს იმათი ძალა და გავლენა მარტო წვრილმან წრეებზეა შესამჩნეველი, მაგრამ იმათ გაცალცალკავებულ მაგალითს და ძალას მომავალში დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს რუსეთელი საზოგადოების ზნეობით ცხოვრებაში.

საზოგადოების ცხოვრება ყოველგან და ყოველთვის ერთ და იმავე წესით და კანონით სწარმოებს. ყოველი საზოგადოება, როგორც ყოველი ხალხი, ცალკე პირებისგან არის შემდგარი და ამ პირების უშველებელი უმრავლესობა ნიადაგ უხასიათო, უიდიალო, უმოძრაო სიცოცხლეს ნაჩვევია. ამ უმრავლესობაზე უმთავრესი გავლენა ცხოვრების მიმდინარეობას აქვს, თვითეული წამის საჭიროებას და მოთხოვნილებას, და ის ნიადაგ მარტო იმაზე ჰფიქრობს, რასაც მისგან მისი დღითი-დღიური ცხოვრების საჭიროება მოითხოვს. ამ უმრავლესობას აქა-იქ ურევია რამდენიმე ნიჭიერი და მოძრავი პირები, რომელთაც უმჯობესი ცხოვრების სურვილი და ლტოლვილება აქვთ, რომელთაც საზოგადოებისთვის უკეთესი ბედი სწყურიათ, მაგრამ რომელნიც თავიანთ თავს ერთობ გაცალცალკავებულათ და უძლურათ გრძნობენ. ამ იშვიათ პირებს დანარჩენ საზოგადოებაზე თითქმის ყოველთვის ცოტაოდენი გავლენა აქვთ, იმ მხრით მაინც, რომ საზოგადოება გამოუთქმელათ გრძნობს მათ გონების უპირატესობას და ძალას, და საჭიროების ან გაჭირვების, ანდა მოულოდნელი, უცნობი შემთხვევის დროს ის ძალაუნებურათ მათ რჩევას და გონებას ემორჩილება... იბადებიან ამას გარდა, ხანდისხან, ისეთი პირებიც, რომელნიც თავიანთი ნიჭით და გონიერებით სწორეთ იმნაირივე გავლენას ჰპოულობენ ამ ხეირიან გაცალცალკევებულ პირებზე, რომ იმათ იმედით და მოძრაობის სურვილით ავსებენ, იმათ შუა თავიანთი თავით შემაერთებელ კავშირს ჰბადებენ. იმათ ერთს სრულს და ერთს ნებას აძლევენ და იმაო კერძოებით მოქმედებას ერთ და იმავე ხასიათს და მიმართულებას აბეჭდენ. ამისთანა იშვიათი პირები რუსეთს ჰყოლია ხოლმე, მაგალითად — ნოვიკოვი, ბელინსკი, დობროლიუბოვი და სხვები უკეთესებიც. და თუმც ეხლანდელ დროში, ამჟამათ რუსეთს ამისთანა მოთავე აკლია, ამისგან სრულიადაც ის დასკვნა არ უნდა გამოგკეთავდეს, ვითომ შემდეგშიაც შეუძლებელი იყოს მისი გამოჩენა და მოქმედება. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს არც შეუძლებელი, არც ნამეტნათ მოშორებული საქმეა.

როცა ეს იმედი ასრულდება, რუსეთის გონებით მოძრაობას იქ ერთობის და ერთკილოიანი მოქმედების გზა დაენიშნება, რომელიც საზოგადოებას წარმატებას ანიჭებს. მაშინ თითოეულ ეხლანდელ კერძოობით შრომას, თითოეულ გაცალ-ცალკავებულ მოქმედებას, თითოეულ წვრილმან საქმეს და თითოეულ მოქმედ პირს ძალა და მნიშვნელობა ერთი ათასათ გაუმრავლდება, და საზოგადო წარმატება მაშინ ჩქარა და შესამჩნეველი ფეხით გაივლის. როგორც არითმეტიკაში რამდენიმე ნოლი სრულიად უმნიშვნელო რიცხვს შეადგენენ და როგორც იმათ დიდძალი მნიშვნელობა ეძლევა, როცა მარცხნით თუნდ ერთათ ერთი ციფრა წინ ამოუდგა, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში წვრილმან მოქმედებას და ცდას ხასიათი ეცვლება და ძალა ეძლევა, როცა ხეირიანი და მომავლის აზრით აღვსილი მოთავე იმათ სულს ჩაუდგამს და გზას გაუკვალავს...

———

40. „გლახის ნაამბობი“, მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა

(„ეროვნული“ 1873, 1—3)

„გლახის ნაამბობი“ 1859 წელსაა დაწერილი. პეტერბურგში. ილ. ჭავჭავაძის თხზულებებში ეს მოთხრობა იმ ნაწერებს ეკუთვნის, რომელთაც ამ მწერლის პირველი პერიოდის და პირველი მანერის ბეჭედი ასვიათ. ის ბევრით განისხვავება „კაცია ადამიანისაგან“, „გლესების განთავისუფლების სცენებიდგან“ და საზოგადოთ იმ თხზულებებიდგან, რომელნიც ჭავჭავაძის დავაჟკაცებულ გონებას და ნიჭს ჩვენი მწერლობისთვის უკვლევია. „გლახის ნაამბობში“ ჩვენს წინ ახალგაზდა, გამოუცდელი, გზა გამოურჩეველი მწერალი დგას, რომელზედაც ჯერ კიდევ უცხოეთის მწერლობას გავლენა აქვს, რომელსაც მიბაძვა თავიდამ ვერ აუცილებია და რომელიც სხვისი კილოთი, სხვისი ენით ლაპარაკობს. შემდეგ ჩვენ სხვა თხზულებებში ეგეევ მწერალი გავიცანით, თავის საკუთარ გზაზე დამდგარი, სხვის გავლენისა და მიბაძვისაგან განთავისუფლებული, ბეჯითათ მოლაპარაკე თავისი საკუთარი ენითა და თავისი საკუთარი გრძნობის გამომთქმელი. და ეს „გლახის ნაამბობი“ ჩვენთვის მით უფრო შესანიშნავია, რომ ამ ჩინებული მწერლის პირველ ნაბიჯებს გვიჩვენებს, მის უწინდელ გზას გაგვაცნობს, მის პირველ ენის ამოდგმას გვასწრებს. ჩვენი მწერლობის ისტორიისათვის ამით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამ მცირე მოთხრობას, უფრო მეტი ვინემც იმას მისი საკუთარი ღირსება და მისი ნამდვილი ფასი მისცემდა.

ამ მოთხრობას, როგორც ვთქვით, უცხო ქვეყნის მწერლობის გავლენა ატყვია. რუსულ მწერლობაში ამ ოცი წლის წინათ ერთი ისეთი მიმართულება დაარსდა, განსაკუთრებით ბელეტრისტიკაში, რომლის ნამდვილს და ჩინებულს სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ „გლახის ნაამბობი“. როცა ეს მწერლობა ათასნაირ ჭახრაკ წაჭირებული იყო, და თავის მაშინდელი გულის-წადილის გამოთქმას ვერ ახერხებდა, იმ გულის-წადილის, რომელსაც თანაუგრძნობდა მთელი მაშინდელი გონიერი და სინდისიანი საზოგადოება, ის სხვა და სხვა

კილოთი, სხვა და სხვა მოხერხებული გადაკრულ-გადმოკრული სულისნამვით ჰბედავდა ხოლმე თუ არ გამოეთქვა, ცოტაოდნათ მაინც გაეხსენებია მკითხველისათვის ეს გულის-წადილი. როგორც მკითხველმა იცის, მაშინ რუსული საზოგადოებისა და მწერლობის ემთავრესი გულის-წადილი და იდეალი იმაში მდგომარეობდა, რომ მოსპობილიყო როგორმე ის უჯიშო და კაცის დამმდაბლებელი ბატონ-ყმობა, რომელიც სულს ართმევდა რუსეთელ ხალხს და ნიადაგ დაბრკოლებათ უდგა საზოგადოების წარმატებას და წინ-წაწევას. ამ საერთო და საყოველთაო გრძნობას ვერ გამოთქვამდა იმდროინდელი რუსული მწერლობა, ამიტომ რომ მწერლობის გარემოებები იმის გამოთქმის ნებას არ აძლევდენ, რაც მწერლობას დაარსებულ კანონებში და განწყობილებაში სავნებელ და შესაცვლელ რათმე მიაჩნდა. მაშინ მწერლობამ, რომელსაც ამ მხრით თავისი აზრისა და გრძნობის გამოთქმა არ შეეძლო, უფრო ზოთხრობებს, რომანებს და დრამულ თხზულებებს მიაწვა, რომლებშიაც კარგათ თუ ავათ გლეხ-კაცური მდგომარეობის შებრალების გამოსახვა შეიძლებოდა.

მაშინდელმა «Современник»-მა[30] მოდაში შემოიღო ისეთი ბელეტრისტული თხზულებების ბეჭდვა, რომელშიც გლეხ-კაცობა გამოყვანილი იყო კაცურ კაში. ამ თხზულებებში ნიადაგ ის აზრი იყო გაყვანილი, რომ გლეხებიც კაცები არიან, ამათაც გრძნობა აქვთო, იმათაც ბედნიერება და კეთილდღეობა სჭირიათო, იმათაც გული აქვთო. მაგრამ რადგანაც იმ დროს მწერლობაში თითქმის მარტო რომანების და ფელეტონების ბეჭდვა შეიძლებოდა, და ამ თხზულებებშიაც მარტო სიყვარულზე და ქალისა და კაცის გულზე ლაპარაკის ნება ჰქონდა მწერალს, «Современник»-მაც ბატონ-ყმობის საქმე სიყვარულის ასპარეზზე გადაიტანა. მის რომანებში და სხვა თხზულებებში ნიადაგ ის ერთი და იგივე ამბავი იყო აწერილი, რომ გლეხს გლეხის ქალი შეუყვარდა, მაგრამ ბატონის ძალამ, გავლენამ და ძალადობამ იმისი ბედნიერება მოსპო და ორი კეთილი გული, ჩვილი გრძნობიერება და სული დასტანჯა, დაარბლა. მაშინდელი რუსული საზოგადოებისათვის იმდროს ეს დიახაც საჭირო და საესარგებლო მწერლობა იყო. მკითხველი ძალაუნებურათ იმ შეხედულებას ეჩვეოდა, რომ გლეხსაც კაცის გული აბადია, რომ იმასაც ამ გულში კაცის გრძნობა, სურვილი და იმედი უღვივისო, რომ გლეხიც ღვთის გაჩენილი ქმნილებაო და ღმერთს ის ქვეყანაზე სატანჯველათ და სხვის მრჩენელათ კი არა, თავის თავის სანუგეშოთ გაუჩენიაო. ამით მკითხველ საზოგადოებას, რომელსაც უიმისოთაც ბატონ-ყმობა უსამართლო საქმეთ მიაჩნდა და მისი მოსპობა გამო-

უკვლეველ ნატვრათ ჰქონდა, ნამდვილი თანაგრძნობა და შებრალება ებადებოდა გლეხ-კაცობისა. და ეს კილო, ეს მანერა და ეს სარგებლობა ხასიათათ ჰქონდა ყველა იმ მწერლებს, რომლებიც მაშინ «Современник»-მა წინ წამოსწია, და რომელთაც საზოგადოების ყურადღება, თანაგრძნობა და მადლი მოიპოვა.

ამ მწერლებში პირველი ადგილი ეკავათ გრიგოროვიჩს, პოტეხინის (ალექსის), ტურგენევს („მონადირის წერილებით") და პისემსკის. განსაკუთრებით მნიშვნელობა მიეცა, რამდენიმე წლის შემდეგ, მარკევიჩის ქალს (მარკო-ვოვჩოკს). იმათ თხზულებებს მთელი ათი წლის განმავლობაში მეტის მეტი ხალისით ჰკითხულობდა რუსული საზოგადოება, და მწერლობაც, ესე იგი კრიტიკა, იმ სარგებლობის მიხედვით, რომელიც ამ თხზულებებს საზოგადო საქმისათვის მოჰქონდათ, როდი ეხებოდა და როდი ანიშვნინებდა მკითხველებს იმათ სუსტს მხარეებს, როდი ჰკიცხავდა იმათ ხელოვნური მხრის ნაკლულევანებას, როდი ამბობდა ნამდვილი ხელოვნური მწერლობა უფრო ბეჯითი გზით უნდა დაიარებოდესო. კრიტიკას რომ იმ დროს ეს შენიშვნები გამოეთქვა, იმას რომ იმათი ხელოვნური სისუსტე გამოეაშკარავებია, ამით საშინელი ვნება მიეცემოდა საზოგადო საქმეს — გლეხ-კაცობის გათავისუფლებას, — და სული ჩაედგმოდა, ძალა მიეცემოდა იმ უხეირო მწერლობას და იმ საზიზღარ მიმართულებას, რომელიც ამ საზოგადო საქმეს ჩუმათ ეწინააღმდეგებოდა ან სწყევლიდა. და პირველი ხმა რომელიც რუსულმა კრიტიკამ ამ თხზულებების წინააღმდეგ ამოიღო, მათი სისუსტის შესანიშნავათ, მარტო გლეხების გათავისუფლების შემდეგ, 1861 წლის ნოემბერში, მოისმა: თვითონ «Современник»-მა გამოთქვა სხვა უფრო ხელოვნური თხზულებების საჭიროება თავისი უფროსი თანამშრომლის სტატიით «Не начало ли перемены?» («Совр.», 1861, № 11). რაში მდგომარეობდა, ვითომ, ეს ნაკლულევანება და რას მოითხოვდა კრიტიკოსი ხელოვნურ მწერლობის სახელით?

ამ მწერლების (გრიგოროვიჩის, პოტეხინის, პისემსკის, ტურგენევის, მარკო-ვოვჩოკის და სხვ.) ნაკლულევანება იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი გლეხ-კაცობას ხატავდენ ისე, თითქო წინ ნამდვილი გლეხი კი არა, მათი საკუთარი თავი ყოლოდეთ, გლეხ-კაცურ ფარაჯაში ჩაცმული. ისინი გლეხის მდგომარეობას არც კი იცნობდენ. იმათ გლეხები შორიდამ დაენახათ, და თავიანთ კაბინეთში, პეტერბურგს, მოეაზრებინათ, რომ რადგანც გლეხი ჩვენისთანა ადამიანია, იმასაც ჩვენნაირი გული უნდა ჰქონდესო, ისიც ჩვენსავით უნდა გრძნობდესო. ამის გამო გლეხის პირით იმათ თხზულებებში ხშირათ ისეთი სიტყვები და აზრები გამოითქმოდა, რომელთაც გლე-

ხი კაცი არ იცნობს და არ ხმარობს. მკითხველის წინ, ნამდვილი, ცოცხალი გლეხის მაგიერათ, მის შეუფერავ გრძნობის ადგილზე, იდგა ნასწავლი კაცი, გლეხურ სამოსელში, რომელიც თავის ნამდვილ ენას, თავის საყოველდღეო დარდს და აზრს კი არა, გაზეპირებულ, წიგნიდამ ამოკითხულ, ბაირონის და შილლერის ფრაზებს ამბობდა და გამოთქვამდა. კაცი გრძნობდა, რომ ეს ფრაზები ეს ვითომ-გრძნობა, ეს დარდი ღრმათ და ჭეშმარიტათ გულს გამჯდარი რომ ჰქონდეს ამ გლეხს, უფრო გასაგები, უფრო ბუნებითი და გულიდამ პირდაპირ ამოსული სიტყვებით გამოთქვამდა ის თავის სათქმელსო. მკითხველს ის შთაბეჭდილება როდი რჩებოდა, რომელსაც მოუგონელი გრძნობის შეუფერავი გამოთქმა სტოვებს, ის შთაბეჭდილება, რომელიც ჟრუანტელს უვლის კაცს ტანში და რომელიც თითქმის სანიადაგოთ რჩება მის ტვინში და მეხსიერებაში. ამ შთაბეჭდილების მაგიერ ის ხედავდა შეფერილ, გალამაზებულ, ნასწავლ და ზეპირ-მოლაპარაკე გლეხს, რომელიც ისეთნაირათ ლაპარაკობდა და იქცეოდა, როგორც ილაპარაკებს ან მოიქცევა გერმანელი სენტიმენტალური მწერლობით გამოზდილი კაცი, და როგორც თავის დღეში ვერ ილაპარაკებდა ვერც ერთი მაშინდელი გლეხი ან გლეხის ქალი. ამ თხზულებებში გამოყვანილი გლეხ-კაცობა ყოველთვის გულკეთილი, მეტის მეტათ პატიოსანი, მტკიცეთ გამრჯელი, ერთი სიტყვით, ყოველ ღირსებით და უმანკოებით ავსილი იყო. მკითხველს თითქმის ის აზრი რჩებოდა თავში, რომ ანგელოზები ჩამოსულან ციდამ და გლეხის ტულუფი, გლეხის სარაფანი ჩაუცვიათო. გულ-კეთილობა, გრძნობის სიჩვილე, მოუსყიდველობა, ნიადაგი შრომა, წუთიერი სიამოვნების ან სიმთვრალის ზიზღი და დავიწყება. მოვალეობის მუდამი და სინდისიანი შესრულება, ერთი სიტყვით ყოველნაირი სიმართლე ნიადაგ მათ მხრით იყო ვითომ. — ავაზაკათ, უსინდისო მჩაგვრელათ, ბნელ-ეშმაკათ, მოძალადეთ მუდამ სტაროსტა და ხანდისხან მებატონე გამოიყვანებოდა. და მკითხველი, ამისგამო, მართალია, სიმპატიას გრძნობდა გლეხ-კაცისადმი. მაგრამ ის იყვარებდა ნამდვილ გლეხ-კაცობას, ცოცხალ გლეხს კი არა, იდეალური გლეხის, „პეიზაჟების“ სურათს და წარმოდგენას. და როცა შემდეგში ცხოვრება იმას ხალხთან აახლოვებდა, როცა ის ხალხის ნამდვილ მდგომარეობას და ხასიათს გაიცნობდა, როცა მის წინ „პეიზანების“ და იდეალური გლეხის მაგიერ ნამდვილი გლეხ-კაცი დადგებოდა, მისი ნაკლულევანებით, მისი უგუნურებით და ცხოვრებით გაფუჭებული ან გათელილი ხასიათით, ის ვეღარ ცნობდა თავის „საყვარელი გლეხკაცის“ სურათს. ის ჰფიქრობდა ეს წამხდარი, უსინდისო, ბინძური და უგრძნობელი ქმნილებაა და არა

გლეხ-კაცი, ის იზიზღებდა იმას, ხანდისხან შებრალებას ივიწყებდა და როდიღა ზოგავდა... საყვარელი, შესაბრალებელი, დასაზოგავი გლეხი სულ სხვანაირიაო, ფიქრობდა ის; ის გულკეთილი, სიხდისიანი, მშრომელი, გრძნობიერი და ბატონის ხათრით აღვსილი ქმნილებააო, და ეს კი უფრო იმ საზიზღარ სტაროსტებს ჩამოგავს, რომელთაც მე იმ მოთხრობების კითხვის დროს ვსწყეველიდიო. იმათ აბა როგორ დავზოგავ!

უეჭველია, რომ ეს ძლიერ დიდი ნაკლულევანება იყო იმ მწერლობისა, რომლის ხასიათს ჩვენ ვსწერთ, მაგრამ, ვიმეორებთ, რომ მაშინდელ დროში, 1861 წლამდი, ამ ნაკლულევანებაზე შეჩერება, მათი ძაგება ან გამოაშკარავება კრიტიკის მხრით ნამდვილი შეცდომა იქნებოდა, ამიტომ რომ კრიტიკა ნიადაგ პუბლიცისტიკურ დანიშნულებას უნდა ასრულებდეს და თითონ მწერლობის სარგებლობის და საქმის მაღლა მთელი ხალხისა და საზოგადოების საჭიროებას და სარგებლობას უნდა სთვლიდეს. მაშინდელი რუსული კრიტიკა იმ აზრით მოიქცა, რომ ჯერ გლეხების განთავისუფლება კანონათ იქცეს, და მერმე თუნდ იგრძნოს საზოგადოებამ ნამდვილი გლეხ-კაცების ნაკლულევანებაო, მაშინ იმდენი ვნება არ მიეცემა საზოგადო საქმეს, მით უფრო რომ შემდეგ ვეცდებით საქმე გავასწოროთ და შეუფერავი სურათებით საზოგადოების გრძნობა გავასწოროთო.

ეხლა ისიც გავიხსენოთ, საქმის უკეთესად გაგებისთვის, თუ რას მოითხოვდა ნამდვილი ხელოვნური მწერლობა ხალხის მდგომარეობის გამოსახვის დროს, რას მოითხოვდა რუსული კრიტიკა მწერლობისაგან, და რა ვერ მისცა იმას მაშინდელი მწერლობის სუსტმა და ავმოუცდელმა მწერლებმა. ეს ჩვენ იმ მხრითაც გამოგვადგება, რომ როგორც წინეთ აწერილი ნაკლულევანების კვალი ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს“ ამჩნევია, ისე ამ ახალ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს მისი შემდეგი თხზულებები, და განსაკუთრებით „კაცია-ადამიანი“.

ხელოვნური მწერლობის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ დაუხატოს მკითხველ საზოგადოებას ხალხის, საზოგადოების და კერძო პირის ნამდვილი მდგომარეობა, ხასიათი, საჭიროება, დაუხატოს ისე, რომ მკითხველი ამ მდგომარეობის, ხასიათის და საჭიროებების ნამდვილ გარემოებებს და თვისებებს ხედავდეს, კარგსა და ავს მხარეს სცნობდეს და თან იმ მიზეზების გაგებაც ჰქონდეს, რომელთაც ესეები დაუბადნია. კაცობრიული საზოგადოება ანგელოზებიდამ კი არ არის შემდგარი, იმას სხვა და სხვა სურვილი, თვისება და საჭიროებები აქვს, და ზოგი ამათგანი კარგია. ზოგი

ავი, ზოგი მოსაწონია, ზოგი არა. მარტო ერთის მხრით გადაჭარბებით, მარტო ავის ერთ წოდებაში ან პირში გამოხატვით და კარგის — მეორეში საქმე შორს ვერ წავა და საზოგადოების გრძნობა და ხასიათი ვერ გადაკეთდება. ქვეყანაზე არსადაა არც ნამდვილათ და მთლათ ერთიანათ ავი კაცი, ბოროტებით თავიდამ ფეხებამდე აღვსილი, არც ანგელოზის მსგავსი გმირი. საზოგადოთ ყოველ ხელოვნურს ბევრი კეთილი თვისება და მხარე აქვს ხასიათში. ბევრი ცუდი და მოსასპობელი. ამის გამო მწერლობის მხრით შეცთომაა იმ-რიგათ უხატავდეს მკითხველს ადამიანის საზოგადოებას, რომ აი ეს პირები გიყვარდეს, და ესენი კი გძაგდესო. ამათ გზა დაუცალე და სხვებს კი ხელფეხი შეუკოვეო. ამნაირი მწერლობა პროკურატურას ჩამოგავს, და ამ ორ დანიშნულებას შუა დიდი განსხვავება უნდა იყოს. მწერლობა იმას უნდა იკვლევდეს, თუ რომელი თვისება როგორ მდგომარეობიდამ სწარმოებს, რომელ მდგომარეობას რა წამალი მოუხდება, რით და როგორ დაკმაყოფილდება კერძო პირების მოთხოვნილება და საჭიროება. არც ერთ კაცის გულის თვისებას არ უნდა ივიწყებდეს მწერლობა, ამიტომ რომ ყოველი თვისება. თუ კი ის რამდენიმე ასს და ათასს კაცისათვის საერთო, უსათუოთ რამე ბუნებითი მიზეზი და ფესვი აქვს კაცის აგებულებაში. მწერლობა ყველა ამ ნაირ თვისებებს უნდა აკვირდებოდეს და გაიცნობდეს და იმ მხრით შინჯავდეს. თუ რანაირათ შეიძლება თითოეული კაცის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ისე, რომ სხვებს ამ დაკმაყოფილებამ არ ავნოს, სხვები არ დაჩაგროს და სხვის მოთხოვნილებას და საჭიროებას გზა არ გაუხიდოს. გონიერმა მკითხველმა მწერლობიდამ იმის ცოდნა უნდა გამოიტანოს, თუ როგორია ნამდვილი ცხოვრება, რა თვისება აქვს თანამედროვე ხალხს და საზოგადოებას, რა საჭიროება ადგია, რას ეძებს და თხოულობს ეხლანდელი კაცობრობა, და რა გზით, რა საშუალებით, რა იარაღით შეიძლება როგორც ამ საზოგადო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ისე თვითეული ხეირიანი კაცის სარგებლიანი მოქმედება თანამედროვე საზოგადოებაში, თანამედროე გარემოებებში.

როგორც საზოგადოების ზნეობით ამაღლებისთვის აუცილებლათ საჭიროა, რომ მწერლობას უკეთესი ცხოვრების და განწყობილების ნათლად გამოხატული იდეალი ჰქონდეს, იმნაირათვე აუცილებლათ საჭიროა, რომ ისევე მწერლობა მკითხველს თანამედროე ცხოვრების ნამდვილ ძალას, მდგომარეობას და ხასიათს აცნობდეს, რომ კაცმა იცოდეს, ხელში რა იარაღი ექნება და რანაირ მასალასთან ექნება საქმე, რანაირ გარემოებებში დასჭირდება შრომა, რა და რა გვარი შემთხვევა და დაბრკოლება დახვდება გზაზე. რა ხასიათის

წინააღმდეგობა აუტყდება და რამსიდე ღონისა და ენერგიის ხმარება დასჭირდება. უამისოთ მწერლობა მკითხველ საზოგადოებას თვალს ვერასოდეს ვერ აუხელს და თუ რასმე მოახერხებს, მარტო იმას, რომ ორიოდ სამს კერძოობით აზრს ან გრძნობას ჩაუსახავს მკითხველის გულს, ორიოდ სამი მხრით გააუმჯობესებს მის ხასიათს. და როცა იმ გვარათ გაუმჯობესებული მკითხველი ცხოვრების ნამდვილ მიმდინარეობას შეხვდება, როცა იმას უცნობი დაბრკოლება, უნახავი და გაუგებარი თვისებები წინ დაუდგება, ის გაშტერებული და დაუმზადებელი კაცივით ან გულ-ხელს იკრეფს, ანა და ცხოვრების მიმდინარეობას მიჰყვება და დანარჩენი საზოგადოებისათვის ბრმათ და გაუგებრათ მოქმედებს...

მწერლობა იმისთანა მკითხველებს კი არ უნდა ამზადებდეს, რომელთაც გაზეპირებული აქვთ ვითომ-ზნეობითი კატეხიზმოს ლიბერალური მუხლები, და რომელნიც ამ მუხლებით ზმანავენ ყველაფერს, რაც კი ცხოვრებაში იმათ შეხვდებათ. ამისთანა მკითხველი სანდო და გამოსადეგი იშვიათათ გამოვა. მწერლობას მიზნათ იმისთანა მკითხველების დამზადება უნდა ჰქონდეს, რომელთაც საზოგადო მიზანი კარგათ იცოდენ და თანამედროე მდგომარეობა გაცნობილი ჰქონდეთ. თუ მკითხველს ხეირიანი ტვინი და გრძნობა აქვს, ამ ცოდნით ის ყოველ გარემოებებში გზას და კვალს გაიგნებს, კარგს და სასარგებლოს ავისა და საგნებლისგან გაარჩევს და ხალისი თუ ექნა, საქმეს ყოველთვის სარგებლობას მოუტანს. იმას, მართალია, ზეპირათ როდი ეცოდინება ლიბერალური არტიკულები, მაგრამ სამაგივროთ ის თვალ-ახელილი იქნება, მისი გონება საკუთარ მუხლებზე მარჯვეთ იდგება, იმას ახალ გარემოებებში სინათლის დანახვა და კეთილი გზის პოვნა თვითონვე შეეძლება. ნასწავლი და თუნდ სწავლული მაშინის მაგიერ, ის კაცი იქნება, საკუთარი გონებით და მოაზრებით მოქმედი, და თუ იმას საზოგადო საქმის, საზოგადო მიზნის ხსოვნა არ ამოეხოცა გულიდამ, მის მოქმედებას თითქმის ყოველთვის კეთილი და სასარგებლო შედეგი ექნება.

აი ამისთანა მკითხველისთვის უნდა ამზადებდეს მასალას თანამედროე და გონიერი მწერლობა, და ეს მასალის დამზადება, როგორც წინეთ ვთქვით, განსაკუთრებით იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადო მიზნის, უკეთესი იდეალის გამოსახვას გვერდით მიჰყვებოდეს ეხლანდელი ხალხის, საზოგადოების და ადამიანის ნამდვილი ხასიათის, მდგომარეობის და საჭიროების გამოხატვა. ამისთვის საჭიროა ზოგიერთი წოდების ან „გრუპების“ შეფერვა და ცამდი აყვანა კიარა (ეს მარტო ხანდისხან, ბრძოლის დროსაა გამოსადეგი)

მათი პირუთვნელი ავისა და კარგის გამოთქმა, მათი ნაკლულევანე-ბის გაცნობა, მათი სისუსტის დანახვა, ერთი სიტყვით მათი ნამდვი-ლი ხასიათის ცოდნა. ჩვენს საგანს რომ დაუბრუნდეთ და ისევ გლეხკაცობაზე ლაპარაკი განვაგრძოთ, გვეთქმება, რომ რუსულ მწერლობას გლეხის ტანისამოსში მწერლის სენტიმენტალური და შეფერილი გული კი არ უნდა გამოეხატა, იმას გლეხი მისი დღითი-დღიური საჭიროებით, მისი სიცოცხლისაგან გათელილი ხასიათით, მისი გარემოებისაგან გაბინძურებული მდგომარეობით, მისი დამდაბ-ლებული და უღონო, უპატიურო ცხოვრებით უნდა გამოეყვანა. მწე-რლობას მკითხველისთვის უნდა ეჩვენება, რომ ცუდ წესს, ძალა-დობას, სიღარიბეს, უმეცრებას, განათლებული წოდებისგან მიტო-ვებას ეს ღვთისგან გაჩენილი, ჩვენი მსგავსი და ტოლი ადამიანი დაუმდაბლებია, გაუბინძურებია, გაუსულელებია, თითქმის პირუტ-ყვათ გაუხდია, და მასში დღეს ღვთის სახე და მსგავსება კი არა, ადამიანის სურათიც აღარ მოჩანსო. მწერლობას გლეხების მდგო-მარეობა ნამდვილათ და სწორათ, შეუფერავთ რომ გამოეხატა, აღ-მოჩნდებოდა, რომ განათლებულ საზოგადოებას, გონება გახსნილ წოდებას, „უმაღლეს კლასებს“ და თვითონ მთავრობასაც აუცი-ლებლათ სჭირიათ ამ დამდაბლებულ და დაბრმავებულ გლეხ-კაცობას ყურადღება მიაქციონ, დაეხმარონ, უკეთესი მომავალი და ბედი მოუმზადონ, ამიტომ რომ შეუძლებელი და გაჭირვებული საქ-მეა მაღალი საზოგადოებისთვის და მთავრობისთვის იმისთანა ხალ-ხში გაძლება და ცხოვრება, რომელიც ამისთანა უბედურ და დამ-დაბლებულ მდგომარეობაში იმყოფება. ამნაირი საქმის გამოხატვა მწერლობის მხრით ხელოვნური მწერლობის მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებდა და თან საზოგადოებრივ საჭიროებასაც სიკეთეს უზამდა, საზოგადო მიზანს სარგებლობას მოუტანდა, რუსეთის პო-ლიტიკურ გახსნას დაეხმარებოდა და გაადვილებდა... ეს მაგალითი კრიტიკის და მკითხველის ყურადღების ღირსია: ის გვიჩვენებს იმ კანონის სიმართლეს და სინამდვილეს, რომ ხელოვნური მწერლობა და პატიოსანი, გონიერი, გავლენიანი და გამოსადეგი პუბლიცისტი-კა თითქმის ერთი და იგივე საქმეა. აქედამ არავინ ის დასკვნა არ უნდა გამოიყვანოს, ვითომ მწერლობას, ჩვენის აზრით, ნიადაგ და მარტო დღითი-დღიური ცხოვრების ფოტოგრაფიული გამოხატვა უნდა ჰქონდეს სახეში. ამასწინეთ, ჩვენ ვრცლათ მოვილაპარაკეთ იმ პირობებზე, რომელნიც მწერალს ნიადაგ მხედველობაში უნდა ჰქონდეს ასაწერი საგნების არჩევის და გამოხატვის დროს, და ერ-თი და იმავე აზრის ათასჯერ გამოთქმა, ხომ, მკითხველსაც უნდა აბეზრებდეს თავს და მწერალსაც. ჩვენ მარტო იმას ვამბობთ, რომ

მწერლობაში შეუფერავათ და სწორეთ უნდა გამოიხატებოდეს თანამედროვე ცხოვრება. მაგრამ, მეორე მხრით, მწერლობაში დიდი მნიშვნელობა და გავლენა სხვა საჭიროებასაც აქვს, და მწერლობა ამ საჭიროებასაც უნდა აკმაყოფილებდეს. მწერლობა მარტო მასალებს და იდეალს კი არ უნდა იკვლევდეს, იმას ხშირათ სხვა დანიშნულებაც აქვს,—პირდაპირი სჯის გამოთქმისა, გამოხატული მოვლენის დაფასებისა, მისი ნამდვილი ადგილის ჩვენებისა, და ამ მხრით იმას ძლიერ ხშირად მეორე იარაღის ხმარება, მეორე კილოთი წერა სჭირდება. მწერლობაში დიდი გავლენა აქვს მწვავე და სასტიკ სჯას, დაცინვას, ირონიას, მწერლის გრძნობის გამოთქმას, ლირიზმს, ერთი სიტყვით თვითონ მწერლის შთაბეჭდილების პირდაპირათ გადაცემას მკითხველისთვის. ხელოვნურ მწერლობაში ამ მხარესაც დიდი ადგილი უკავია, და უმჯობეს მწერლებს ეს იარაღი თითქმის ისე ხშირათ უხმარიათ, როგორც ცხოვრების შეუფერავი და გონიერი გამოხატვა. ეს მეორე იარაღი უფრო საჭირო და გამოსადეგია მაშინ, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება ცოტაოდნათ მაინც მოძრაობს, როცა საზოგადოებაში აშკარათ ან მალულათ ბრძოლა სდუღს, როცა მწერლობა პირდაპირ ამ ბრძოლაში უნდა ერევოდეს და თავის აზრს, შთაბეჭდილებას და გრძნობას საზოგადოებას- უნდა აგებინებდეს. აი ამ დროებაში, ამნაირ გარემოებებში საჭირო და გამოსადეგია სატირა, იუმორული თხზულებები, პამფლეტი, საჭიროა ერთი სიტყვით ფელეტონური ლიტერატურა, რომელიც, როგორც ზემოთა გვაქვს ნათქვამი, ნამდვილი ხელოვნური მწერლობის ნაწილს შეადგენს.

ამაებზე ჩვენ ლაპარაკი იმიტომ ჩამოვაგდეთ, რომ ილ. ჭავჭავაძის თხზულებებში ჩვენ ვხედავთ მოთვლილი მოთხოვნილებების რიგიან გაგებას და დაკმაყოფილებას. მისი „კაცია-ადამიანი“ საკმაოთ გვიჩვენებს, რომ „გლახის ნაამბობის“ ცდას შემდეგ იმას მალე გაუგია იმ მიმართულების სისუსტე, რომელზედაც ჩვენ ამ სტატიის დასაწყისში ვლაპარაკობდით, და მალე გაუცვნია ნამდვილათ ხელოვნური მწერლობის კილო და პირობები. „კაცია-ადამიანში“ გამორჩეული საგანი სწორეთ ისეა აწერილი, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში არსებობს, და დაფასებულია პირდაპირი სჯით კი არა, სურათების ოსტატური შეზავებით და ერთმანეთზე გადაბმით. „გლეხების გათავისუფლების სცენები“, ერთი მხრით, ამნაირივე ხელოვნური მწერლობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, და ჩინებულათ აკმაყოფილებენ, და მეორე მხრით თანამედროე ცხოვრების საჭიროებას, საზოგადო საქმეს და საყოველთაო კითხვას პასუხს აძლევენ, სჯიან, ეგრეთვე ოსტატურათ და სურათების ძალით. ჭავჭავა-

ძრ ლექსები და „მგზავრის წერილები“, ხომ, ჩინებულათ იმ დანიშნულებას ეთანხმებიან, რომელიც მწერლობის წუთიერ, საჭირო და გავლენიან ნაწილს შეადგენს. მისი ლექსების გრძნობა და მისი სარკაზმის ძლიერება ამათში მეტის-მეტათ სანუგეშო გავლენას წარმოგვიდგენენ. მაგრამ ამაებზე ჩვენ სხვა დროს გვექნება მოლაპარაკების დრო და შემთხვევა. ეხლა კი ჩვენ „გლახის ნაამბობს“ დაუბრუნდეთ და ორიოდე სიტყვით მასზე სჯა დავაბოლოვოთ.

ეს თხზულება, როგორც წინეთ ვსთქვეთ, 1859 წელსაა დაწერილი პეტერბურგს. იმას იმ მწერლობის გავლენა ატყვია, რომლის წარმომადგენელი იყვნენ რუსეთში: გრიგოროვიჩი, მარკო-ვოვჩოკი და სხვ. მაგრამ, რადგანაც მიმბაძველი ბრმა მიბაძვას არ სჯერდებოდა, რადგანც მისი ხელოვნური გრძნობა მაშინაც ხედავდა ამგვარი მწერლობის ზოგიერთ სუსტ მხარეებს, იმის „გლახის ნაამბობში“ ეს სისუსტეები მეტის მეტათ შემსუბუქებული არიან. მაგალითად, წელან რომ ვამბობდით რუსულ რომანებში გლეხი ჩვილ სენტიმენტალურ, მწერლობის ენაზე ლაპარაკობდათქო, ილ. ჭავჭავაძეს უგრძნია ეს ნაკლულევანება, და მის „გლახის“ ნასწავლს ენას, მის გრძნობიერ და პოეტურ სურათებს და ფიქრებს მკითხველს იმით ავიწყებინებს, რომ ამ გლახას სიყრმიდანვე ერთ კეთილ-მოქმედ ღვდელს შეყრის, რომელიც იმას წერა-კითხვას ასწავლის, გრძნობისა და პატიოსნების ძალას ავრძნობინებს და გზას უჩვენებს, და „ვეფხის-ტყაოსანს“ აკითხებს, აყვარებს და აგებინებს. „ვეფხის-ტყაოსანზე“ აღზრდილს და სიყმაწვილეში ზნეობითი დარიგებებით გამოკვებულ კაცში, რასაკვირველია, „ნასწავლი“ ლაპარაკი და შეფერილი ან ნამდვილი გრძნობიერება ადვილი წარმოსადგენი და გასაგებია.

ამავე აღზრდით აიხსნება ის გრძნობის სინარნარე და სიფხიზლე, ის პატიოსნური ამაყობა და ზნეობითი სისუფთავე, ის გადაჭარბებული რელიგიური გრძნობიერება და გულის სიჩვილე, რომელიც „გლახის ნაამბობში“ ისე აშკარათ ეწინააღმდეგება ნამდვილი ცხოვრების სურათებს. მაგრამ, ვერც ეს ხერხი, ვერც ცალკე აღგილების მშვენიერი სურათები, ენა, შედარებები, იგავები, ანდაზები და მარჯვეთ, მოკლეთ გამოთქმული დაკვირვებები ვერ მალავენ იმ საზოგადო ნაკლულევანებას ამ თხზულებებისას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მისი დედა საგანი იშვიათი, განვითარებული შემთხვევა და ხასიათია. მკითხველს ნიადაგ ის აზრი აქვს თავში, რომ მართალია, ამგვარი შემთხვევა ხშირათ მომხდარა ხოლმე ჩვენშიც, ბატონყმობის დროსა, მაგრამ იმ შემთხვევებს ამნაირი გარეშოებები თითქმის არასოდეს არ დაჰყოლიათო, ეს ამბავი „შეკეთებუ-

ლი“, შეფერილი, განგებ გასუფთავებული და გალამაზებულიაო, ის ნამდვილ ცხოვრებას არ ეთანხმებაო და სხვ. და სხვ.

მაგრამ თუ ჩვენ ამ საზოგადო ნაკლულევანების დავიწყება მოვახერხეთ და კეისარს კეისრის მივეცით, მაშინდელი დროის საჭიროება და გონების მოძრაობა გავიხსენეთ, და სისუსტის უკუმიგდებით დანარჩენ მხარეებს თვალი გადავავლეთ, ბევრ ნიჭიერს და გრძნობით სავსე ფურცლებს წარმოგვიდგენს ჩვენ ეს „გლახის ნაამბობი“. ღვთის სიტყვებში, მისი ერთობ-გადაჭარბებული სიწმინდე და გულკეთილობა რომ დავივიწყოთ, ბევრ ხელოვნების მარგალიტს შევეყრებით ხოლმე. მაგალითად, თუნდ იმ ადგილს მოვიყვანთ, სადაც ღვდელი პეტრეს სწავლისა და ცოდნის სარგებლობას და საჭიროებას უხსნის, გასაგები, უბრალო და ვონიერი ენით, ჩინებული მაგალითებით და შედარებებით. ეს სწორეთ „საქრესტომატიო“ ადგილია. ყველა იმ ადგილების ამოწერა ან მოხსენება რომ მოვინდომოთ, საიდამაც გამოსჭვერს „კაცია-ადამიანის“ შემდეგი ავტორის ნიჭი და ძალა, ნახევარი მოთხრობა თუ არა, მესამედი მაინც უნდა ამოვწეროთ ან ჩამოვთვალოთ, და „გლახის ნაამბობი“ მკითხველს ახლად-წაკითხული აქვს, მისი ხსოვნა და შთაბეჭდილება იმას ისე არ დაუკარგია, რომ ეხლა ჩვენი გახსენება და ჩამოთვლა სჭიროდეს. მაგრამ ორიოდ-სამ მაგალითს მაინც მოვიყვანთ, რომ მკითხველმა იცოდეს, რა ნაირი ადგილები გვაქვს მხედველობაში, როცა „გლახის ნაამბობის“ კერძოობით ღირსებებზე ვლაპარაკობთ.

„ადამიანს, — ამბობს გლახა იმ ადგილს, საცა ის ათავებს იმ სურათის აწერას, თუ თავის შეყვარებულს პირველათ „ჰო“ როგორ ჩამოართვა, — ხანგრძლივ რომ შეხვდეს ამ წუთის სოფელში იმისთანა დრო, ეს წუთის სოფელი სამოთხე იქნებოდა. მაგრამ წუთის სოფელი იმიტომა ჰრქმევია, რომ ყველაფერი წუთობითა ჰცოდნია, უბედურების მეტი“.

ან აი ეს:

„სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო (არიგებს გლახას ღვდელი), არც დედისაა, არც მამისაა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის ვარსკვლავები მაშინ არა ჰჩანან...“

ან კიდევ სურათი:

„გაოცებული ვუყურებდი ღვდელს, სახე გამოეცვალა, თვალი გაუნათლდა, გული შეეძრა, აუტოკდა, თითქო მკერდში არ ეტევაო. ვატყობდი, რაღაც უნდა ეთქვა კიდევ ჩემთვის, მაგრამ აღარ მითხრა რა და სიარულში გაიქარწყლა გულის წადილი“.

ან ეს შედარება, რომელიც ღვდელს უხმარია, როცა გაბრიელს მისთვის უკითხავს „ვეფხის ტყაოსანი“ სამღვთო რამ არის თუ არაო?

„ყველაფერი სამღვთოა, რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გაუნათლებია. კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს, ხიდათ გასდებს, რომ თუ არა თითონ სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხიდს ზედ ამჩნევია ყოველთვის ღვთის მადლი“.

ერთის სიტყვით ძალათ თუ არ შევიკავეთ თავი, ამისთანა ჩიჩებული თვლების ამოწერა ას ასობით მოგვინდება.

ილ. ჭავჭავაძის თხზულებებს შუა მეორეც იპოება ისეთი, რომელსაც ამ „გლახის ნაამბობთან“ ბევრი საერთო თვისება და მზგავსება აქვს. ჩვენ ვამბობთ პოემაზე „რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდამ“, რომლის ზოგიერთი ნაწყვეტი „საქართველოს მოამბეში“ [19] და „ჩონგურში“ [48] იყო დაბეჭდილი, და რომელიც სრულად „კრებულში“[12] მალე დაიბეჭდება. ამ ორ თხზულებას თითქმის ერთი და იგივე აზრი და გარემოებები აქვს, ისე რომ ერთი მეორეზე გამოჭრილი ჰგონია კაცს. მაგრამ „რამდენიმე სურათში“ ნაკლები სენტიმენტალობაა და მოქმედი პირების ხასიათის გამოხატვას შიგ უფრო მეტი ძალა და სიმტკიცე აქვს, ვინემ „გლახის ნაამბობის“ ამავე მხარეებს. როცა ეს პოემა „კრებულში“ დაიბეჭდება, მკითხველი იმას სრულად გაიცნობს, და, იმედი გვაქვს, დაგვეთანხმება, რომ ამ პოემაშიც როგორც „გლახის ნაამბობში“ ჩვენი ნიჭიერი პოეტი, ჯერ კიდევ ფრთა-გაუშლელი და თავისი ნიჭისა და გზის თითქმის პირველათ მშინჯველი, გამოდის მაინც შესანიშნავ მწერლათ და გრძნობით სავსე პოეტათ, რომელსაც პატიოსანი თანაგრძნობა უღვივის გულში ყველასადმი, რაც ჩვენ უხეირო ცხოვრებას დაუჩაგრავს ან ობლათ დაუტოვებია, და მაღალი ლტოლვილება აქვს ყველაფრისადმი, რაც კაცის გულს აკეთილშობილებს, რაც საზოგადოებას ამაღლებს, რაც ხალხს აბედნიერებს და მამულს სარგებლობას აძლევს ან უკეთეს მომავალს უმზადებს. ყველა ამ გრძნობებს ის ისეთი ჩინებული, გასაგები, დასამახსოვრებელი ენით გამოთქვამს ამ ახალგაზდულ თხზულებებშიაც, რომ მისი ნათქვამი მკითხველ საზოგადოების გრძნობამდის გზას გაიკვალავს და თავის ბეჭედს დასტოვებს, ესე იგი პოეტის გრძნობა გავრცელდება, სარგებლობას მოიტანს, საზოგადოებას და ხალხს, ცალკე პირს და მამულს სამსა-

ხურს გაუწევს, ასარგებლებს, არგებს და აამაღლებს. და ნეტავი ივ. წერალს. რომლის შრომას ამნაირი ხასიათი აქვს: იმას ბევრი წვრილმანი ნაკლულევანება შეენდობა, თუნდ იმისთანაც, რომელიც „გლახის ნაანბობის“ საზოგადო ხასიათს და ხელოვნების სისუსტეს შეადგენს.

* * *

ჩვენ გავაცანით მკითხველს ჩვენი შეხედულობა ილ. ჭავჭავაძის უმაწვილურ ცდებზე. მის ნამდვილ და გავლენიან შრომას კი, მის „კაცია-ადამიანს“, „სცენებს“ და სხვ. ჩვენ როდისმე სხვა დროს დაუბრუნდებით, მათი დაწვრილებით გასაშინჯველათ. მარტო მაშინ მკითხველს ნაჩვენები და გამოხატული ექნება ჭავჭავაძის ნამდვილი ღირსება და მნიშვნელობა, მისი ძალა და ხასიათი და მისი ნაწარმოების გავლენა ჩვენი მწერლობის ახლანდელ მდგომარეობაზე და მომავალ ბედზე. ეხლანდელი ჩვენი საუბარი კი მასზე მარტო მეორე, უწინდელ, ახალგაზდა ჭავჭავაძეს შეეხება, რომელსაც „კაცია ადამიანი“ რომ არ დაეწერა, „გლახის ნაამბობი“ ,ჩინებულ თხზულებათ ჩაეთვლებოდა, მაგრამ რომლის თავი ჩვენს მკითხველ საზოგადოებას „კაცია ადამიანის“ დამწერმა დააავიწყა.

ამ საგანზე ჩვენ აქვე უნდა მოგვესპო ლაპარაკი, მაგრამ არ შეგვიძლია ამ უწინდელ ილ. ჭავჭავაძეს მოვცილდეთ უიმისოთ, რომ ერთი შენიშვნა კიდევ არ გამოვთქვათ. როგორიც განსხვავებაა მის „გლახის ნაამბობს“ და „კაცია-ადამიანს“ შუა, სწორეთ იმნაირათ განისხვავება მისი პირველ დაწყებითი ლექსები ეხლანდელებიდგან. უწინდელ მის ლექსებში სხვა მწერლობების კილო, ენა, მანერა და აქა-იქ გრძნობა და აზრი მოჩანდა. იმათში ჭავჭავაძის პიროვნული თვისება, მისი საკუთარი ორგინალობა და სხვა ჩვენ მწერლებზე უპირატესობა, აზრის ძალის მეტი, თითქმის არა იყო რა, ეხლანდელ მის ლექსებში კი, საზოგადოთ, სულ სხვა თვისებებს ვხედავთ ხოლმე. იმათში სჩანს ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვის თლილობა, სურათის უბრალოება და ძალა, და თან ნამდვილი გრძნობის შეუფერავი და მაინც ლაზათიანი გამოთქმა, ეტყობა, რომ ილ. ჭავჭავაძეს ჩვენი ხალხის პოეზიისთვის ყური უთხოვებია, მის ხასიათს გაცნობია, მისი სულით აღვსილა, ჩვენი ხალხის ენა, მოაზრების კილო, აზრისა და გრძნობის გამოხატულება კარგა საფუძვლიანათ დაუნახავს და შეუსწავლია. ეს მეტის მეტათ საქები და სასარგებლო

საქმეა, ერთი მით, რომ ხელოვნურ მწერლობას ამით იარაღი უკეთესდება და უძლიერდება და. მეორე მით, რომ მისი გავლენა და მნიშვნელობა ძლიერდება. ჩვენ მწერლობას ნამდვილი მწერლობის ძალა და ხასიათი მარტო მაშინ მიეცემა, როცა ჩვენ გავიცნობთ ხალხის გონებას და მოაზრებას, როცა ჩვენ იმის ლაპარაკს და ენას გავეჩვევით და იმნაირ წერაში გავიწაფებით, რომელსაც პირდაპირ ხალხის გრძნობამდი და გონებამდი მიწევა შეეძლოს. მარტო ამით მოვიპოვებთ ჩვენ ხალხის გულს, მარტო ამით შეუძენთ მწერლობას ძალას და გავლენას, და მარტო ამით შეეაძლებინებთ იმას ხალხის სასარგებლოთ გამოსადეგ სამსახურს და გავლენიან შრომას.

---

41. ჩემს პირველ ვნებაზე

„კრებულის“ სტატიას „მნათობზე“ („კრებული“, 1872. № 12) ვთლათ ერთიანათ გაუცოფიანებია ამ ჟურნალის კრიტიკოსი, უფ. ანტ. ფურცელაძე, რომელიც დღეს სამაგიეროთ „კრებულ-დროებას“ ბრაზიან პასუხს აძლევს. ეს პასუხი ბევრი მხრით შესანიშნავია ჩვენი მწერლობის და მკითხველი საზოგადოებისთვის, და — „მნათობი“ რომ არ ჩამკვდარიყო — ჩვენ იმას იქნება უმეტეს ყურადღებასაც ვათხოვებდით. მაგრამ დღეს ეს ჟურნალი მოისპო. მისი კრიტიკოსი აცხადებს, რომ დღეის იქით მე თქვენზე ხმას არ ამოკიღებო. ამის გამოისობით ვერც ჩვენ ვისარგებლებთ იმ ძვირფასი შეცდომებით, ბაიყუშობით და აზრის სიღარიბით, რომელსაც ჩვენ ამ უბედური ჟურნალის უკანასკნელი წიგნი და უკანასკნელი სტატია წარმოგვიდგენს. — ჩვენს მწერლობაში ეხლა ჩინებული მოდა შემოდის. გამობრძანდება ვინმე, გამოთქვამს მკითხველის წინ ასიოდე სისულელეს და ცილის წამებას, ოინურათ ჩასახავს მკითხველის გულში თავისი მოწინააღმდეგის შესახებ ეჭვს ან დაუნდობლობას, და მერმე უცბათ შეძვრება თავის სოროში, იმ სიტყვებით, რომ „დღეისიქით რაც უნდა სწეროთ მე ხმას აღარ ამოვიღებო“. ვითომ და სათქმელი კი ბევრი მაქვსო, მაგრამ არ მინდა, ლაპარაკი არ ღირსო. ასე მოგვექცა ჩვენ უფ. ბ. ღოღბერიძე, ასე გვექცევა უფ. ანტ. ფურცელაძეც. ვიმეორებ, ეს ძლიერ ოსტატური ოინია, რომლის შემწეობით იმედდაკარგული და დამარცხებული ვითომ მწერალი გაქცევის და თავის-შველის ბილიკს იმზადებს და შინაურებთან იმის თქმასაც ახერხებს რომ არ ვისურვე, თორემ ჩემს წინააღმდეგს დედა-მიწის პირთან გავასწორებდიო. ჩვენში უწინ, როცა საზოგადოებაში და ხალხში გმირობა დაკარგული არ იყო, ამას სიმხთალეს და დედაბრობას ეძახოდენ. დღეს რა სახელი ჰქვია ამას? ამბობენ, ამას ეხლა თავდაკავებას, სიფრთხილეს, ზომიერებას ეძახიანო. სახელს რომ თავი დავანებოთ, აქ შენიშვნის ღირსი ისიც იქნება, რომ ამგვარი საქციელი ცხადათ გვიჩვენებს, რომ ამისთანა ვითომ-მწერლებს პოლემიკა და მწერლობა პიროვან, კერძოებით საქმეთ მიაჩნიათ, და მის წაყვანის დროს ისინი მარტო თავის

საკუთარ სახელზე და პიროვნებაზე ჰფიქრობენ. თორემ იმათთვის მათი აზრი, მიმართულება, საქმე და მიზანი პიროვნებაზე მაღლა რომ იდგეს, ასე ადვილათ ბრძოლას თავს როდი დაანებებდენ და მოწინააღმდეგეს მოედანს როდი დაუცლიდენ. ვინც თავის საქმეს, აზრს, მიმართულებას და მიზანს მართლა ერთგულათ ემსახურება. ვისაც თავისი აზრი საზოგადოებისთვის სასარგებლოთ მიაჩნია, ის თავის პიროვან სიამოვნებას ან უსიამოვნებას ყურადღებას როდი მიაქცევს, ის იბრძვის, მოქმედებს, სწერს, ლაპარაკობს სანამ მისი მიმართულება გაიმარჯვებს, ან სანამ ის მთლათ ერთიანათ არ დაშარცხდება. ისე, რომ განძრევის სალავათი აღარ ჰქონდეს. ის მოწინააღმდეგეს „ან მოჰკლავს, ან შეაკვდება“.

მაგრამ ეს ჩვენი ვითომ-მწერლები სხვა მოდას დასდგომიან. იმათ ბრძოლა და ნამდვილი დავა სალაზათო ჯირითობათ გადაუქცევიათ. გამოხტება ამ ნაირი მოჯირითე, ერთ-ორ ჯირითს ისვრის. ცხენს გაახტუნ-გამოახტუნებს, სიმარდეს გამოიჩენს და ისევ ხალხის გროვისკენ დაბრუნდება, ხალხს ამოეფარება, — „რომ მდომოდა შუაზე გავსტყორცნიდიო“, — დაიტრაბახებს და შინისკენ გასწევს.

საქმე სეირათ გადაქცეულა. ბრძოლა — ჯირითად, აზრების წინააღმდეგობა — პიროვანი თავმოყვარეობის ასპარეზათ. ჩვენს დაცემულს საზოგადოების, ჩვენს მიძინებულ ქვეყანას ეგდა აკლდა, რაღა!

მაგრამ, თუ ეს ვაჟბატონები მწერლობას პიროვან საქმეთ სთვლიან, თუ ისინი ასე მჩატეთ და სუბუქათ ეპყრობიან პოლემიკას და მწერლურ მოვალეობას, ჩვენ იმათ მაგალითს ვერ მივსდევთ და არც თვითონ იმათ მივცემთ იმის ნებას, რომ ამისთანა ჩვეულებები ჩვენს მწერლობაში შემოიღონ. დღეის იქით ჩვენ როდიღა დავზოგავთ იმ ვითომ-მწერალს, რომელიც ამ ჩვეულების შემოღებას მოინდომებს, და კედლიტილის მაგალითის მიხედვით, იგრძნობს თუ არა თავის სისუსტეს, თავს მოიმკვდანურებს და გაეგდება. აქაოდა, რაღას მერჩიანო, რაც იყო — იყო, დღეის იქით მე შენთვის ხომ მკვდარი ვარო.

თანახმად ამისა, თუმც ჩვენ არ ვსარგებლობთ „მნათობის“ უთვალავი შეცთომებით და უმსგავსოებით, ჩვენ მაინც საჭიროთ ვრაცხავთ ორიოდე სიტყვა ვთქვათ ერთ გარემოებაზე, რომელიც თუმც ამ სტრიქონების დამწერს პიროვნათ ეხება, მაგრამ მაინც „მწერლურ მოვლენას“ შეადგენს და ღირსია, რომ იმას სამაგალითო მნიშვნელობა მიეცეს ჩვენს მწერლობაში.

ჯერ იმით დავიწყოთ, რომ გავიხსენოთ რას ვამბობდით ჩვენ იმ სტატიაში („ჩვენი მწერლობა"),[49] რომლის პასუხათ დაწერილია დღეს ანტ. ფურცელაძის „საწყალი კუდაბზიკა!". აი ჩვენი სიტყვები:

„ეს ახირებული კაცი (უფ. ფურცელაძე), რომელსაც ჩვენ, მარტო ზრდილობის მიხედვით, მწერლის სახელს არ მოვაკლებთ — გამოდის სალიტერატურო ასპარეზზე და მკითხველებს გვაბეზღებს: „კრებულ-დროება", ამბობს ის, მიმდგომია, უსინდისოა, ამხანაგობით აქებს და საკუთარი თავმოყვარეობით, ხარბობით აძაგებს მწერლებსო; „კრებულ-დროებას" არც ლიტერატურული, არც კერძოობითი პატიოსნება და სინდისი აქვსო, ის მკითხველ საზოგადოებას ატყუებსო და სხვ. და სხვ. და სხვ. ამასთანავე ის ამტკიცებს, ვითომ ჩვენს ნაწერებში აზრი და გაგება არ მოიძებნებოდეს და ჩვენ ყველანი ერთიანათ უნიჭოები და უსინდისო „ცრუ-პენტელები" ვიყოთ. გვაქვს ჩვენ ნიჭი, სჩანს ჩვენს ნაწერში აზრი და მიმართულება თუ არა, ეს უფ. ანტ. ფურცელაძის ჭკუის საქმე არ არის. მკითხველი, იმედია, არ დაგვემდურება და კიდეც დაგვიმადლებს. თუ ჩვენ ან. ფურცელაძის „მსჯელობას" ყურადღებას არ მივაქცევთ. მისი აზრი იმოდენათ დასაფასებელი არ არის, რომ კაცმა მის დასარღვევლათ თავი შეიწუხოს, როცა თითოეულ მკითხველს ადვილათ შეუძლია ჩვენი ნაწერის აღება და ანტ. ფურცელაძის „მსჯელობასთან" შედარება. ჩვენ იმოდენათ დარწმუნებული ვართ მკითხველის განაჩენის მიუდგომლობაზე და ანტ. ფურცელაძის „მსჯელობის" სისუსტეზე, რომ ამ მხრით ხმის ამოღებასაც საჭიროთ არ ვთვლით.

„მაგრამ ლიტერატურული მსჯელობის მეტი ორი სხვა ისეთი მხარე აქვს ანტ. ფურცელაძის პოლემიკას, რომელზედაც ჩვენ ხმის ამოუღებლობა არ შეგვიძლია. ეს ორი მხარე ორი ცილის წამებიდან შესდგება: ერთი ვითომ ჩვენ უსინდისოთ ვხმარობდეთ ჩვენ ლიტერატურულ მდგომარეობას და მკითხველს თვალს უხვევდეთ მიდგომით ან სიხარბით, და მეორე — ვითომ ჩვენ ცუდი კაცები ვიყოთ ჩვენ კერძო ცხოვრებაში. ამ უკანასკნელ საგანზე ლაპარაკი, რასაკვირველია, შეუძლებელია, ამიტომ რომ უსაფუძვლოთ, უსაბუთოთ გამოთქმულ აზრზე პასუხათ მარტო ის ითქმის: — არა, ჩვენ ძლიერ პატიოსანი კაცები ვართო, და აბა ამის თქმა ვის ეკადრება? მაგრამ რამდენათ დამჯდარათ და საფუძვლიანათ სჯის ამისთანა საქმეზე უფ. ანტ. ფურცელაძე, გვაჩვენებს ჩვენ პირველ ცილის-წამების

განხილვა, — ჩვენი მიდგომის და ხარბობის თაობაზე. აი, ამ საგან შეუდგებით ჩვენ, მხოლოდ იმისთვის, რომ ამ საქმის გარემოება მკითხველს თვალს წინ არა აქვს, და ჩვენი და ფურცელაძის გასამართლება იმას ჩვენის მხრით საბუთების წარუდგენლად არ შეუძლია".

დღეს უფ. ფურცელაძე ხელმეორეთ ბაასობს ჩვენს ჭკუაზე, ნიჭზე, ნაწერზე, გონებაზე, ხელმეორეთ ამტკიცებს ვითომც ჩვენ მწერლობაში უსინდისოთ ვიქცეოდეთ, და თან ორიოდე პირდაპირ დაბეზღებასაც ხმარობს, რომლითაც მკითხველს იმ აზრს უწვეთებს ყურში, ვითომ ჩვენ, და განსაკუთრებით მე, საძაგელი და უპატიოსნო კაცები ვიყოთ ჩვენს კერძო ცხოვრებაში.

რაც იმას დღეს ჩვენი მწერლობის და გონების შესახებ დამტკიცებები მოჰყავს, ის უწინდელივით ისე სუსტი და უსაფუძვლოა, რომ ჩვენ იმის დასარღვევლათ სიტყვასაც არ ვიტყვით. ირონიის პირდაპირათ გაგებით, ერთი მწერლის შეხედულების მეორის წინააღმდეგათ ხმარებით, აზრის გადასხვაფერებით და სხვა ამგვარი უპედური ოინებით, მწერალი შორს ვერ წავა და მოწინააღმდეგეს ენებას ვერ მოუტანს. მკითხველი გასჯის, როგორც უწინ ვთქვით, ხეირიანათ თუ უგუნურათ ვსწერთ ჩვენ, და, გვგონია, „მნათობის" გასვენება საკმაოთ გვიმხელს, რა ხასიათის იქნება ეს განსჯა. — რაც შეეხება ჩვენ მწერლურ პატიოსნებას, უფ. ფურცელაძეს დღეს ხმა ვერ ამოეღება. ამაზე საკმაოთ ნალაპარაკევი იყო ჩვენს შარშანდელ სტატიაში, და ეხლა უფ. ფურცელაძე ვერაფერი ცილის-წამებით ვერ დაამტკიცებს, ვითომ „დროებას" „მელაღუმე" ექოს ან „კრებულს" დ. ბაქრაძეს ეძაგებინოს მარტო პიროვანი შეხედულებით, მიდგომით ან სიხარბით. თუმც ეხლა უფ. ფურცელაძე ამტკიცებს, რომ თუ „მელაღუმე" გ. წერეთელს არ მოსწონდა რათ დაბეჭდა „კრებულშიო", თუმც ის დღეს ამბობს, ვითომ დ. ბაქრაძეზე ჩვენ შებრალებით ვსწერთ მარტო იმიტომ რომ იმას ეხლა ჩვენს მწერლობაზე უფროსული გავლენა აქვს, მაგრამ ეს მარტო საბრალო დამარცხების თავგამამართლებელი ლაპარაკია. იმანაც კარგათ იცის, რომ „მელაღუმის" დაბეჭდვის დროს „კრებულის" შედგენა გ. წერეთელს კი არა, თვითონ „მელაღუმის" დამწერს ებარა, აგრეთვე როგორც მშვენიერათ იცის, რომ უფ. დ. ბაქრაძეს ჩვენს მწერლობაში ერთნაირი გავლენა მიეცა ჩვენი სტატიის დაწერის და დაბეჭდვის სამი თვის შემდეგ. რამდენიც უნდა ილაპარაკოს ამისთანაები უფ ფურცელაძემ, ამგვარ მის წერას და სიტყვას მაზანდა დაკარგული აქვს, ბღაჯნოს რაც უნდა, თუნდ ისიც თქვას რომ „საქართველოს მოამბესთვის"[19] ჩემს დღეში არ მიწინააღმდეგებიაო, „ცისკარს"[20] არ ამოვდგომივარ და არ დავხმარებივარო, ჭავჭავაძეზე არ დამიწე-

რია, რომ იმისი გრძნობა და წერა უგრძნობელი და შეფერილიაო, — ყველა ამისთანა მის თავის-გამართლებას თითოეული მკითხველი ღირსეულათ დააფასებს და უკუაგდებს. ეს იმას თვითონაც ესმის. ამისგამო ის თავის უმთავრეს ძალას და მეცადინეობას იმ ნაწილს ატანს და იმ მიზანს ანდომებს, რომლის ნაკლულევანება ჩვენ იმას უწინ შევნიშნეთ, როცა ვამბობდით, რომ პიროვან ჩვენს უპატიოსნებაზე მის უსაფუძვლო და უსაბუთო ნაწერს პასუხი არ მეცემათქო. დღეს იმას მინდომებია „საფუძვლის“ და „საბუთების“ წარმოდგენა. ის ხასიათი და მსვლელობა, რომელიც ჩვენ მივეცით ჩვენს პოლემიკას „მნათობთან“, მოითხოვს ჩვენგან, რომ დღეს ეს უკანასკნელი მხარეც გავსინჯოთ.

II

ჩვენთვის მეტის მეტათ ადვილია, ბევრი ჩვენი მოწინააღმდეგების მიბაძვით, მიუბრუნდეთ უფ. ფურცელაძეს და უთხრათ, რომ იმას უფლება არ ჰქონდა ჩვენს საკუთარს პიროვნებას შეხებოდა, ჩვენს კერძოობით მოქმედებას და ხასიათს გამოჰკიდებოდა და ჩვენი აზრის დარღვევის მაგიერ, ჩვენ შინაურულ ცხოვრებაზე გაემართა მუსაიფი. ამას ჩვენ დიახაც არ ვიქმთ. ყოველი მწერალი, ყოველ საზოგადო საქმეებში და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული პირი, რომელიც საზოგადოების დახმარებას, გაწვრთნას, პატრონობას თუ დარიგებას სჩემობს, მთლათ ერთიანათ საზოგადოებას უნდა ეკუთვნოდეს. საზოგადოების თითოეულს წევრს უფლება აქვს იმას თითოეული მისი სიტყვის, ნაბიჯის და მოქმედების ანგარიში მოთხოვოს, მის კერძოობით და საზოგადოებრივ ხასიათს და საქციელს დაუკვირდეს და კვალში ჩაუდგეს, რომ მისი მიზანი იცოდეს, მისი სიტყვა სწამდეს და მისი რჩევის დანდობა ჰქონდეს. ვინც კერძოობით ცხოვრებაში უპატიოსნო ან უსინდისო კაცია, ვინც წვრიმანებში ნიადაგ ბაიყუშობს, ვისაც უბრალო საზოგადოებრივ ან მეგობრულ საქმეებში აზრი და გონიერება, სინდისი და თავგამომეტებულობა არ უჩანს, ის, უეჭველია, სხვილ-სხვილ, მძიმე სახალხო საქმეშიაც უხეიროთ და სავნებლათ მოიქცევა. ამის გამო არც მე, არც არავის არ ეთქმის, რომ ჩემი ნაწერი, ჩემი სიტყვა გასაჯეთ, მიიღეთ ან უკუაგდეთ. მაგრამ ჩემს კერძოობით, შინაურ ხასიათს და ცხოვრებას ნუ შეეხებითო. ამის თქმა, ჩემი მხრით იყოს გინდა სხვისი მხრით, უსაფუძლობა კი არა, აშკარა საზოგადოების თვალის ახვევა იქნება. ჩვენ ყველანი საზოგადოებას მთლათ ერთიანათ, სულით და ხორცით ვეკუთვნით, და საზოგადოებას ნება აქვს თითოეული ჩვენი მოქმედების განხილვის, გასჯის და დაფასების. მაშასა-

დამე. უფ. ფურცელაძესაც, როგორც ჩვენი ქართველი საზოგადოების წევრს, სრული უფლება ჰქონდა, და როგორც „მნათობის" კრიტიკოსს ნამდვილი მოვალეობაც აწვა ამ მხარეს შეხებოდა, ამ მხრითაც გაესინჯა ჩვენი ხასიათი, და პასუხი მოეთხოვა ჩვენი ცხოვრების, მოქმედების ან საქციელის უმსგავსოებისა.

მაგრამ ამგვარი უფლების ხმარებას ზოგიერთი მეტის-მეტათ მძიმე მოვალეობაც მოსდევს. ამ მხრით მწერლის მოვალეობა გამომძიებლობას ეთანხმება, და გამომძიებელი — ეს უფ. ფურცელაძეს კარგად უნდა სცოდნოდა — სინდისიანათ უნდა სჯიდეს, იძევდეს თითოეულ გარემოებას და ბრალდებას, თითოეულ მოქმედებას და მის მიზეზს. როცა გამომძიებელი მიმდგომი ან გაბრაზებულია, როცა ის უსინდისოთ ასხვაფერებს გამოძიების საბუთებს და ფაქტებს, როცა ის მარტო იმ სიტყვებს ისმენს, რომელიც მის პიროვან გრძნობას აკმაყოფილებს, სამსჯავრო, — ესე იგი მკითხველი საზოგადოება — მის გამოძიებას თავზე ახევს და მის დასკვნას და მთელ გამოძიებასაც უყურადღებოთ სტოვებს. — უფ. ფურცელაძეს ესეც უნდა სცოდნოდა, ვგონებთ. გამომძიებელს, აგრეთვე, იმას მოთხოვენ ხოლმე, რომ იმან თავისი გონება და მოაზრება იხმაროს იმ უთავბოლო და უაზრო ჭორების გაგონების დროს, რომელსაც ის ხანდისხან ყურს მოჰკრავს: იმან ყოველი განაგონი სინდისიანათ უნდა გასინჯოს და მარტო მაშინ მიიღოს სახელმძღვანელოთ, როცა ეგონება, რომ იმათ ცოტაოდენი საფუძველი მაინც აქვთ. იმ გამომძიებელს, რომელიც საქმეს შეადგენს ან მსჯელობას დააფუძვნებს იმისთანა ჭორზე, რომ ამ და ამ კაცმა, მაგალითად, სიონის სობორო მოიპარა და ჟილეტის უბეში ჩაიდვაო, სამსჯავრო და საზოგადოება ბრიყვის სახელსაც არ დააჯერებს. მაშასადამე იმ პირს, რომელიც რომელიმე მწერლის ან საზოგადო ასპარეზზე მოქმედი პირის ხასიათს და ცხოვრებას ეხება და სჯის, უსათუოდ სრული რწმუნება უნდა ჰქონდეს, რომ ეს მწერალი ან მოქმედი პირი მართლა საძაგელი ან მავნებელია, და ეს მისი რწმუნება ნამდვილი და მტკიცე მაგალითებზე ან საბუთებზე უნდა ჰქონდეს დაფუძნებული. ამას ჩვენ მარტო უფ. ფურცელაძეზე კი არა, საზოგადოთ ჩვენს მწერლობაზე ვლაპარაკობთ, როგორც ყველაფერს, რაც ამ სტატიაში გამოთქმულია. ჩვენი აზრით საჭიროა ეს ანბანური ჭეშმარიტებები ერთხელ მაინც გამოითქვას, რომ ჩვენებურ ვითომ მწერლებს გაცნობილი ჰქონდეს ხეირიანი მწერლობის და პოლემიკის კანონები, რომელსაც ისინი, როგორც ეტყობათ, სრულიადაც არ იცნობენ.

წინდახედული და მეტის-მეტათ საფუძვლიანი მოქმედება პიროვან შეტაკების და პოლემიკია დროს მით უფრო აუცილებლათ სა-

ჭიროა მწერლისთვის, რომ მისი უსაფუძვლობა და წინდაუხედველი ბრალის დადება ან ეჭვის შემოტანა მარტო თვითონ იმას და მის ჟურნალს ავნებს. მწერალს, მართალია შეუძლია ხანდისხან (თუ კი ის მტკიცეთ დაჯერებულია, რომ მკითხველ საზოგადოებას მასზე ნდობა და რწმუნება აქვს) თავისი სჯა ისე გამოთქვას, რომ მისი დამამტკიცებელი საბუთი ან მოაზრება არც კი ახსენოს და მოიყვანოს. მაგრამ ეს ისეთი ძნელი პასუხის გებაა, რომ ამის კისრება მწერალმა გაუჭირვებლათ არ უნდა აიღოს, და თუ აიღო, მტკიცეთ და უეჭვოთ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მომავალში ის პირი, რომელზედაც იმან დაუფუძვნებელი სჯა გამოთქვა, მართლა დამნაშავეთ ან მავნებლათ გამოვა საზოგადოების თვალში. უსამართლო, მიდგომითი ან მტრული სჯის და გაკიცხვის გულისთვის მკითხველმა საზოგადოებამ წარჩინებული და დიდი ნიჭისა და გავლენის პატრონი მწერლებიც შეიძულა, არა თუ უცნობი და უბრალო, უგავლენო, პირები. მხილებითი მწერლობის ისტორია ბევრს ამისთანა მაგალითს წარმოგვიდგენს, და რაც არ ეპატიება იმისთანა მწერლებს როგორც ვოლტერი, რუსო ან სანტ-ბევი, ის, უეჭველია, ჩვენისთანა მწერლებსაც არ მიეტევება.

ამას გარდა საზოგადო ასპარეზზე მოქმედი პირის ხასიათის დამფასებელი ნიადაგ ერთ გარემოებას უნდა იხსენებდეს. ზოგიერთ ასპარეზს, ზოგიერთ მდგომარეობას და საჭიროებებს, ზოგიერთს ადგილობრივ ან დროებით განწყობილებას ისეთი გავლენა აქვს იმ მოქმედ პირებზე, რომელნიც თავიანთი ქვეყნის და საზოგადოების მდგომარეობას არ იწონებენ და საზოგადო აზრის ან ბედის ერთიან შეცვლას სცდილობენ, რომ ამ პირების მოქმედებას ყველანი პირდაპირ და აშკარათ კი ვერ ხედვენ. ისინი იძულებული არიან იმოქმედონ სხვანაირათ, ვინემც სხვები მოქმედებენ; იძულებული არიან სხვა და სხვა მიზეზების გამო არ დაამატონ თითოეულს თავიანოს მოქმედებას: „ჩვენ ამას იმიტომ ვშვრებით, რომ აი ესა და ეს კეთილი და პატიოსანი მიზანი გვაქვს, ამა და ამ საქმეს ვამზადებთ, ამა და ამ ღონისძიებას, ამა და ამ შემთხვევისთვის ვეძებთ და ვამარაგებთო“, ამის გამოისობით ამისთანა მოქმედი პირის საქციელს, მოქმედებას და შრომას ძლიერ ხშირათ ბინდი ჰხურავს, მისი მოქმედების უმეტესი ნაწილი მარტო ერთი, ხშირათ შემაცთუნებელი მხრით მოჩანს.

ამ გარემოებით ხშირათ სარგებლობენ ამგვარი პირების მოწინააღმდეგენი, რომელნიც ათასნაირი ცილისწამებით და პიროვანი მიზნით ხსნიან მათ გაუგებარ მოქმედებას, და ვინ იცის რამდენ სისაძაგლეს და უსინდისობას არ სწამებენ მათ ხასიათს და შრომას.

მაგრამ ყოველი სინდისიანი კაცი ვალდებულია, ამისთანა მოქმედ პირებზე სჯის გამოთქმის დროს, თავდაკავებით და მოთმინებით გადადვას გადაწყვეტილი, საბოლოო აზრის შედგენა იქამდე, როცა ამ პირების შრომას და მოქმედებას ბოლო მოეღება. მარტო მაშინ გამოჩნდება ხოლმე, მეტ-ნაკლები სისრულით, მართლა თავის ყერძო თავმოყვარეობას და პიროვან სარგებლობას ეესაბურებოდა ამგვარი პირი, თუ სხვა უფრო მაღალი და უფრო წმინდა მიზანი ჰქონდა. მარტო მაშინ შესაძლებელია აზრის შედგენა, ხეირიანი, გონიერი და პატიოსანი საშუალებები უსმარია იმას, რიგიანი გზით უვლია, საკმაო შრომა და ღვაწლი დაუდვია თავის საქმისთვის, თუ არა. მაშასადამე, მარტო მაშინ მის ცხოვრებაზე, შრომაზე და ხასიათზე სჯის გამოთქმას ცილის-წამების, უსაფუძლობის დაღი არ ესვება... ამით ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, ვითომ კაცი ამისთანა პირებს თავიდანვე თაყვანს ანუ პატივს უნდა სცემდეს და მათი წინააღმდეგი აზრის შედგენას ან გამოთქმას არ უნდა ბედავდესთქო, სრულიადაც არა, ამისთანა პირებს არც თაყვანისცემა სჭირიათ, არც პატივისცემა. მაგრამ სინდისიანობა და პატიოსნება მოითხოვს ყოველ ხეირიან კაცისგან, რომ ის ამისთანა პირების ხასიათს და მოქმედებას არ აძაგებდეს და უსაფუძვლო იჭვით ან ბრალისდადებით არ სვრიდეს, სანამ საკმაოთ არ გამოაშკარავდება მათი მოქმედების მიზანი და მათი მიზნის მისაღწევი გზა და საშუალებები.

მკითხველი ვერ წარმოიდგენს, ამ კანონის დავიწყებას რამდენი უმსგავსო და უსინდისო შედეგი ჰქონია, რამდენი წარმოუდგენელი ცილისწამება და იჭვი გამოთქმულა უპატიოსნესს და უმშვენიერეს მოქმედ პირებზე.

ამგვარი წინდაუხედველობა და უსაფუძვლო, აჩქარებული აზრის შედგენა და გამოთქმა არა თუ პატიოსან საზოგადო საქმეს აკნებს, ის სიკეთილამდი სინდისს უწუხებს და მოსვენებას არ აძლევს იმას, ვინც ამისთანა შეცოდება მოახდინა, თუ კი იმას ცოტაოდენი სინდისი მაინც აქვს. და მე გამიგონია, ხშირათ, ამნაირ შეცთომაში ჩავარდნილ პირებიდამ, რომ „ნეტავი შემეძლოს ჩემი საკუთარი სიცოცხლის შეწირვით იმ ჩემი შეცთომის გამოყიდვა და ამოხოცვაო, ნეტავი მომკვდარვიყო, და ის სიტყვა კი არ წამომცღენოდაო“.

III

ჩვენ საგანგებოთ მოვიყვანეთ ამისთანა სხვილ-სხვილი მაგალითები, ამიტომ რომ იმათ შეურყეველი და უეჭვო ხასიათი აქვთ. მაგრამ რაც სხვილ-სხვილ მაგალითში ცხადათ სჩანს, ის წვრილმანებ-

შიაც ხდება ხოლმე. და სინდისიან კაცს, ყველა ამგვარ შემთხვევებში მეტის-მეტი თავდაკავება და წინ-დახედულობა სჭირია, რომ არც თვითონ შეცდეს, არც სხვა შეაცდინოს, და შემდეგ არც სხვისი საკუთრის არც თავისი საკუთარი სინდისის მხილების მსხვერპლად შეიქნეს. ამ მიზნით გონიერი კაცები ისე იქცევიან ხოლმე, რომ ამგვარ მოქმედ პირებზე, მწერლები იყონ გინდ პოლიტიკური მებრძოლები, სჯისა და აზრის შედგენას და გამოთქმას საშემდეგოთ სტოვებენ, არც კარგს და არც ცუდს აზრს არ ადგენენ და ფიქრობენ ბოლოს მოუცადოთ, დასასრული ნათლათ დაგვანახვებს ამ პირის სიკარგეს ან სიავესო.

მაგრამ ამისთანა გონიერი მსაჯულები, საუბედუროთ, იშვიათები არიან. იმათზე უფრო ხშირათ საზოგადოებაში უკუდო, უაზრო და უმიზნო პირები შეხვდება კაცს, რომელნიც ყველას და ყველაფერს საკუთარი დაბალმიანებული უნიჭობის და წვრილმანი თავმოყვარეობის თვალით უყურებენ. ისინი ყველაფერში ერევიან, ყოველგან ცხვირს აკვეხებენ, ყველასგან მორიდებას, პატივისცემას და ნდობას თხოულობენ, მაგრამ არც არაფრის გარიგება, არც არაფრის მოხერხება, არც არაფრის გაგება კი არ შეუძლიათ. იმათ ჰგონიათ, რომ რაკი მე ჩემს თავს მეტის-მეტათ პატიოსნათ ვსცნობ, ყველანი გულ-გაშლილათ და დანდობით უნდა მიმიღებდენო, ყველას მე ხეირიან მოქმედათ უნდა მივაჩნდეო. და რადგანაც გონიერ და პატიოსან მოქმედ პირს არც ეკადრება, არც გამოადგება „ბრწყინვალე სიტყვების“ ან „მდუღარე ფრაზების“ რახა-რუხი, რადგან ის თითქმის ყოველთვის უმჯობესს თავის მოქმედებას უბრალო ან უმნიშვნელო საქციელათ აჩენს, რადგან ის სიტყვით დასცინის იმას, რასაც საქმით შვრება, იმ იმედით რომ ვისაც სასმენლათ ყური აქვს და სახილველათ — თვალი ის ამაებს ადვილათ დაინახავს და გაიგებსო. — უკუდო თავმოყვარენი და უტვინო ვითომ-გმირები ბრაზდებიან, განზე დგებიან და ზორიდამ გაუგებლათ, დაუფიქრებლათ, წინდაუხედველათ ჭერ ბუტბუტებენ, მერე თანდათან უფრო და უფრო მაღლა ლაპარაკობენ და ბოლოს ყვირიან კიდეც: ეს კაცი ჩვენ არაფრათ იმიტომ გვაგდებს, რომ თვითონ უხეირო და უსინდისოაო. ისინი მართლაც რომ ვერ ახსნიან სხვანაირათ ამ გარემოებას, რომ მათ „შნოიან“, „მცხარე“ ლაპარაკს კაცმა საკმაო ნდობა არ მისცა, მათ გაშლილ მკერდს არ მიეკედლა, მათ გრძნობას არ ენდო, და თან სიტყვით არც კი უთხრა: თქვენში გულდამჯდარი, თავ-გამომეტებული, თავდამვიწყებელი შრომის და საქმის უქონლობას ვიწუნებო. ვერ წარმოიდგენს კაცი, რამდენი ექვი და ცილისწამება იბადება მაშინ ამნაირ პირების თავში, რა უხეიროთ და უტვინოთ. ხსნიან ისი-

ნი თითეულ სიტყვას, ნაბიჯს — მოქმედებას იმ პირისას, რომელსაც ისინი ვერ მიეკედლენ ან ვერ დაეთანხმენ: ..მაშინ მისი ირონიით ან ხუმრობით ნათქვამი სიტყვა, მისი გადაკრულათ გამოთქმული აზრი, მისი თავის-თავის გმობა ამ პირებს პირდაპირ ესმით. გაუგებლათ განაგონი ფრაზა იმათ ტვინში სხვაფერდება, იმას მათი საკუთარი ეჭვი ემატება, თან სხვისი ბუტბუტი, მერე ჭორი და საბოლოოთ გამოდის „ხმა". ვითომ რამეზე დაფუძვნებული, ვითომ რითიმე დამტკიცებული. წადით, მაშინ, და უყარეთ კაკალი!

წელან ჩვენ სხვილ-სხვილი მაგალითები მოვიყვანეთ. ჩვენ გარემოებაში, ჩვენს ქვეყანაში ამისთანა მაგალითები, რასაკვირველია, გამოუდეგარი და უმნიშვნელო არიან. მაგრამ ეხლა ორიოდე წვრილმან, უბრალო მაგალითებს მოვიყვანთ ისეთებს, რომელნიც ჩვენშიაც გასაგები უნდა იყვნენ.

ვთქვათ, მკითხველო, მოინდომე შენ რომელიმე წვრილმანი საქმის გამოწყება, ვთქვათ წიგნის მაღაზიის გახსნა, გაზეთის გამოცემა ან სხვა რამე ამგვარი. ვთქვათ, ამ საქმის კარგათ წასაყვანათ გაიცან შენ ათიოდე პირი, რომელთაც ეს აზრი სახეირო დაწყებათ მიაჩნიათ და მისი ასრულებაში მოყვანა სურთ. დაიწყეთ საქმე ერთათ. საქმის წაყვანის დროს უეჭველია, შეგემთხვევათ რომელიმე კერძოობით კითხვაში უთანხმობა, ბაასი, სჯა. ხომ? უეჭველია, რომ თუ შენ და შენი ამხანაგები სინდისიანი პირები ხართ, საქმე იმით დაბოლოვდება, რომ მოილაპარაკებთ, ყველანი თქვენ თქვენს აზრს გამოთქვამთ, თქვენ თქვენს საფუძველს მოიყვანთ, და მაშინ ის გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ, იმ გზას უნდა დაადგეთ, რომელიც თქვენი ამხანაგების უმრავლესობას უკეთესად მიაჩნია. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ უმრავლესობამ საქმე ისე გადაწყვიტა, როგორც, ვთქვათ, შენ თქვი, და ორიოდე შენი ამხანაგი კი ამას არ დაეთანხმა, არ გვინდაო, თქვეს. არაო. უეჭველია, რომ თუ მთელი საქმის დანგრევა და დაშლა არ გსურთ, თქვენ, უმრავლესობა, იმ ორიოდე განს-გამდგარს ეტყვით: კარგი, რადგანც არ გსურთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, რაც შემოგიტანიათ მიირთვით, რაც ღვაწლი დაგიდვიათ დააფასეთ, გავსწორდეთ და ღმერთმა გზა დაგილოცოსო! ესეა, ხომ? მაგრამ წარმოვიდგინოთ, კიდევ, რომ ეს ორიოდე პირი წაბრძანდა და ქუჩა-ქუჩა თრევა და საყვედური დაიწყო, ეს საქმე ჩვენ დავიწყეთ, ჩვენ გავაკეთეთ და ეხლა კი იმ პირმა (ესე იგი შენ, მკითხველო, და არა თქვენი ამხანაგობის უმრავლესობამ) წაგვართვა, მოგვტაცა, მოგპარაო! ამას ჯერ ერთი იტყვის, მერე ათი გაიმეორებს, ბოლოს ასი, და დაგერქვა შენ მტაცებლის სახელი.

ეს მიუთითებელი, ერთობ ბურულში გამოთქმული მაგალითია.

მოვიყვან მეორეს, უფრო ნამდვილს, უფრო პიროვნულს. ერთხელ მე, ექვსიოდე ამხანაგების დახმარებით, ვბეჭდავდი ერთი მეტის მეტათ გამოჩენილი მწერლის თხზულებას.[50] ერთმა ჩემმა თანამშრომელმა დაიჯინა, რომ ამ ჩინებულ თხზულებაში ერთი თავი უნდა გადავაკეთოთო, ჩვენ თვითონ ხელახლათ დავწეროთო, რადგან ჩემი აზრითო ამ თხზულებაში გამოყვანილი ქალი სტირის, როცა ქმრის სიკვდილს ტყობილობს, და ხეირიან და გულმაგარს ქალს როდი უნდა ეტირაო. წარმოიდგინე მკითხველო, რა უნდა მეთქვა მე ამ ხეპრულ აზრზე? რასაკვირველია მე ჯერ კერძოობით მთელი ერთი კვირის განმავლობაში უმტკიცებდი ამ ახირებულ კაცს, რომ იმ ქალის ხასიათი ჩინებულათ გაუგია და მშვენიერათ გამოუხატავს ავტორს, რომ ჩვენ მისი გასწორება და გადასხვაფერება არ შეგვიძლია. სხვა რომ არაფერი იყოს, მკითხველი საზოგადოება მასხრათ აგვიგდებს და სხვ. და სხვ. როცა ამითაც არა გამეწყო რა, უთხარი კარგი, სხვა ჩვენ თანამშრომლებს ვკითხოთ, თუ დათანხმდებიან იყოს ნება მათი მეთქი. მოვგროვდით, იმან თავისი თქვა, მე — ჩემი. რასაკვირველია, რომ თითქმის ყველამ, ორს გარდა, ხარხარით უპასუხეს: — „რას მიედ-მოედებიო, ეს თხზულება ისე უნდა დაიბეჭდოს, როგორც ავტორს დაუწერიაო!“ მაგრამ ის ორი პირი ამ უმრავლესობის გადაწყვეტილებას როდი დაეთანხმა. ჩვენ იმათ, მეტი რაღა ღონე გვქონდა, გზა დაულოცეთ, რადგანც იმათ გამოაცხადეს, რომ თუ არ გადაგვაკეთებიეთ ის თხზულება, თქვენთან ერთათ შრომა არ გვინდაო. მაგრამ წარმოიდგინე, ეხლა, მკითხველო, რომ იმ ორმა პირმა მაშინ ჩემზე ხმა დაყარეს, რომ იმ თხზულების ბეჭდა იმან იგდო ხელშიო, თუმც თვითონ ძლიერ კარგათ იცოდენ, რომ ხარჯის და გაჭირვების, წოწიალის და თვალის სინათლის დაკარგვის მეტს არც ხეირს, არც სარგებლობას, არც სახელს მე ის ბეჭდა არაფერს მაძლევდა.

ამისთანა წვრილმანი უსაფუძვლო სამდურავი და უკმაყოფილება ჩემს სიცოცხლეში იმდენი მრგებია რომ, მათი ჩამოთვლა რომ მოვინდომო, მთელ „კრებულს“ ავავსებდი. მაგრამ აქ მე ეს ჩემი პირადი ცხოვრებისგან მაგალითი მარტო იმიტომ მოვიყვანე, რომ მეჩვენებია, რომ მარტო ფანტაზიის დახმარებით კი არ დამიხატავს ის სურათი, რომელიც ამ სტატიაში ავწერე. ეხლა კი ამ მაგალითს თავი უნდა დავანებო, და როგორც წეღან „სხვილ-სხვილი“ მაგალითების შედეგი მოვიყვანე, ისე აქ ამისთანა წვრილმან მაგალითებს ხანდისხან რა ბოლო აქვს ისიც უნდა ვთქვა.

ერთხელ ერთმა პიროვნათ საკმაოთ პატიოსანმა, თუმცა ერთობ თავმოყვარემ და უსაფუძვლო მწერალმა არ მოიწონა მეორე მწერ-

ლის აზრი. ეს მეორე მწერალი ემიგრანტებზე სწერდა, რომ იმათ მოქმედებას საკმაო გონიერების და დაუღალველი ძროძის ხასიათი არა აქვსო,[51] სასურველია, რომ ისინი უკეთეს გზას დაადგენ, ან და მთლათ დაანებონ თავი საზოგადო საქმეებში გარევასო. ეს აზრი არც ერთ პიროვნებას არ შეეხებოდა, ის მარტო საზოგადოთ სჯიდა. ამის პასუხათ პირველმა მწერალმა დაბეჭდა, რომ ვინც ამისთანა აზრს გამოთქვამს ემიგრანტებზე ის შპიონი და უსინდისო ჯაციაო. ვინაო, ჩვენ იმას კარგათ ვიცნობთ, ის მცარცველი და მტაცებელიაო, და სხვ. და სხვ. და სხვ. მაგრამ თუმც ის ამას იმ მიზნით ამბობდა, რომ მეორე მწერლის პიროვანი შეურაცხყოფით ემიგრანტები დაეცვა, თითქმის ყველა მისი ნაცნობები ისეთ ნაირათ გააჯავრა და ააშფოთა ამ გარეოებამ, რომ ეს მწერალი ძალიან კარგათ გრძნობდა მისგან დაბეჭდილი ცილისწამებების უსაფუძვლობას და სიცრუეს და მაინც ამ იარაღს სმარობდა, რომ ის ყველამ მიატოვა და მოიძულა, ერთათ ერთი კაცის მეტმა, რომელიც მისი აზრის იყო როცა ის გამოჩენილის მწერლის რომანის გადაკეთებას აპირებდა. — ამ შემთხვევის შემდეგ ოთხ თვეს არ გაუვლია და ამ ახირებულმა მწერალმა ყველასგან მიტოვებულმა და შეურაცხყოფილმა, ერთ უბედურ დილას თავი მოიკლა. მისი მეგობარი კი, მართალია, დღეს ცოცხალია, მაგრამ ვაი იმისთანა სიცოცხლეს: ის დღეს „მოსკოვის უწყებებში"[47] დონოსებს სწერს, იქნება ამით მაინც თავი შეაბრალებინოს და „თბილ ნავსაყუდარს" თავი შეაფაროს...

IV

ეს გრძელი ამბავი ჩვენ იმისთვის მოვყევით, რომ გვეჩვენებია თუ რანაირი წინდახედულება და საფუძვლიანობა აუცილებლათ საჭიროა ამგვარ საქმეებში და სჯაში სინდისიანი მწერალი თავის დღეში არ უნდა დამდაბლდეს იქამდი, რომ თავის სჯაში, გაბრაზებულ გუნებაზე, უთავბოლო და უსაფუძვლო ჭორიკანობას ხელი წაავლოს და გამოუკვლეველათ, განუსილველათ იარაღათ იხმაროს. მწერალს მოწინააღმდეგე პირის დასამარცხებლათ საკმაო იარაღი აქვს: ამ პირის აზრების განხილვა, საზოგადო საქმეებში მისი მოქმედების დაფასება, მისი უნიჭობის ან უგუნურობის გამოაშკარავება; გაჭირვების მეტი როდი რამე უნდა აიძულებდეს მწერალს თავის მოწინააღმდეგეს სულში ჩაძვრომას, მისი პიროვანი ცხოვრების და ხასიათის, მისი შინაური მოქმედების შეხებას, — თუმც იმას ამის უფლებაც აქვს. და როცა ეს საჭიროება იმას წინ უდგება, მაშინ იმას მეტის მეტი თავ-დაკავება წინ-დახედულება. საფუძვლი-

ანობა სჭირია, რომ მისი სჯა გაბრაზებულ თავმოყვარეობათ არავინ ახსნას, მისი აზრი პიროვანი ჯიბრის ამოყრათ არავინ იცნოს და ამით როგორც თვითონ ამ მწერლის, ისე საზოგადოთ მწერლობის და წერა-ბეჭდვის მნიშვნელობა და გავლენა არ შემცირდეს და არ დაიღუპოს.

თორემ როცა რომელიმე მწერალი, რამე უმნიშვნელო პიროვან გაბრაზების დროს, თავის მოწინააღმდეგეზე იმით იყრის ჯიბრს, რომ მკითხველი საზოგადოების წინ იმაზე ეჭვი შემოაქვს, მის პატიოსნებას და ხასიათს, მის შინაურულ ცხოვრებას ეხება, და ამ მიზნით უაზრო ჭორებს ჰკრებს, თავისასაც ბევრს უმატებს, ტყუილსა და ვითომ-მართალს ერთათ რევს და როტავს, და ყველა მხრით, გამოუძიებლათ, განუკითხველათ, თავისი მოწინააღმდეგისთვის საენებელ ამბებს აგროვებს, იმის განუხილველათ თუ საიდამ, რა წყაროდამ, როგორი პირებიდამ და მიმართულებიდამ გამოდის ეს ამბავი ან ჭორი, მაშინ ის— თუ სინდისი მთლათ ერთიანათ არ ღაკარგვია — მეტის მეტათ საზარელ და საშინელ პასუხისმგებლობას კისრულობს და ცუდ მომავალს იმზადებს... აშკარათ უსინდისო ან გიჟობამდი გაცოფიანებული კაცის მეტი ამას არავინ იქმს, ჩვენში იყოს, გინდა სხვაგან.

ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ დამტკიცებასაც არ თხოულობს

V

ამ შენიშვნების გამოთქმის შემდეგ, გადავიდეთ უფ. ფურცელაძეზე. ამ ვაჟბატონს შეუბოჭავს რაც კი რამ ცუდი გაუგონია სადმე ჩემზე, და დაუბეჭდავს ეს ყველაფერი გაუხილველად, მოუფიქრველათ, თითქო მართლა დარწმუნებული იყოს ამ ცილის-წამების სინამდვილეში, თითქოს ხეირიანათ გამოეკვლიოს მათი წყარო და ვითარება. მისი სიტყვით მე და ჩემი მეგობრები ისეთი კაცები ვართ, რომ ჩვენთან საქმის დაკავება შეუძლებელია ყოველი პატიოსანი კაცისთვის. ამაში მე, — ამბობს ფურცელაძე, — ყველა პატიოსანი კაცი დამეთანხმაო. მე ჯერ ერთი პატიოსანი კაცი მინახავს ფურცელაძის თანამოაზრე ამ საგანზე — უფ. ბ. ღოღობერიძე, და თუ უფ. ფურცელაძეს სხვა ვინმე უნახავს, არ ვიცი. ის კი ბეჯითათ ვიცი, რომ ამაში უფ. ფურცელაძეს არ დათანხმებია უფ. ანტ. ფურცელაძე, რომელიც სრული გულით თანახმა იყო ჩვენისთანა უპატიოსნო პირებთან ერთათ საქმე დაეჭირა და ერთათ ეშრომა „დროებაში" და „კრებულში", მაგრამ — როგორც ისტორია მოგვითხრობს. ამის უარი ანტ. ფურცელაძისთანა პატიოსან კაცს კი არა, ჩვენისთანა

უპატიოსნო კაცებს გამოუცხადებია. კითხოს, აბა, „ქიტესას“ და ზოგიერთი „დროებისთვის“ დანიშნული სტატიების და ლექსების ავტორს, უფ. ფურცელაძეს, ვის ვინ დაუწუნია, ჩვენ — იმას, თუ ის — ჩვენ.

მაგრამ ეს უბრალო კინკლაობაა. ინუგეშოს, დღეს, „ქიტესას“ და „მაცი ხვიტიას“ ავტორმა, რომ ჩვენ კი არ დაგვიწუნებია მისი ნაწერი, იმან ჩვენ უპატიოსნება დაგვიწუნა და იმიტომ ჩამორჩა ის „კრებულ-დროებას“, როგორც უწინ „საქართველოს მოამბეს“ ჩამოაკლდა. ბევრათ უფრო შესანიშნავია სხვა უფრო მომსხო ბრალის-დადებები, რომელიც აქა-იქ მოუხიკავს ჩემზე უფ. ფურცელაძეს. ეს ბრალის-დადება, მკითხველო, აი როგორი თვისების არის: ვითომ მე მტაცებელი და უსინდისო კაცი ვიყო, მარტო ჩემი პიროვანი მიზნის მსდეველი, ამ მიზნისთვის, ესე იგი ორიოდე მანეთის ხელში ჩაგდებისთვის სხვა და სხვა კასსების მცარცველი, მოღალატე და სხვ. რამოდენათ შეეძლო ამ საგანზე აზრის შედენა უფ. ფურცელაძეს ეს იმან იმისგა სინდისში იცოდეს; მაგრამ ეს-ი მოაზრების ძალას ვერ იჩენს ის, როცა ამ ხეპრულ ცილის-წამებას იმეორებს. უფ. ფურცელაძეს დიდი გონება როდი სჭიროდა იმ მოაზრების პოვნისთვის, რომ ჩემისთანა კაცი კი არა, ერთიანათ ტვინგათხელებული სულდგმულიც არ იკადრებს ოცი მანეთისთვის სინდისზე ხელის აღებას. და თუ კი უფ. ფურცელაძემ ამ კასაზე ლაპარაკი დაიწყო, იმას ალბათ მისი გარემოება ეცოდინება, და, მაშასადამე, დარწმუნებული იქნება, რომ ამ კასაში ოცდახუთ მანეთზე მეტი თავის დღეში ერთი კაპიკიც არ ყოფილა. არც დიდი გონება დასჭირდებოდა უფ. ფურცელაძეს იმ სტატიის გასაგებათ, რომლიდამაც იმას ეს ცილისწამება ამოუწერია: შიგვე პირდაპირ სწერია, რომ რაც ფული მე გამქონდა ვითომ, იმ ფულს მე მაშინვე კასსირს ვაძლევდი. მაგ თუ ამ და ბევრ სხვა ამისთანა გარემოებებს იმისთვის თვალი ვერ აუსელია, ცხადათ სჩანს, რომ უფ. ფურცელაძეს ან სრულებით არაფრის გაგება არ შესძლებია და მართლა ბრმა ყოფილა, ანა და განზრახვით და საგანგებოთ მკითხველების შეცდენა სურვებია ამისთანა ამბების გარდაცემით, რომელიც იმას თვალის ტყუილ ცილისწამებათ უცვნია. „ან ბრიყვი, ან ცრუ“, ამ ორ სახელს ის ვეღარ წაუვა, და რომელიც სურდეს, ის მიითვისოს.

ნუ თუ მართლა, ან დიდი გონება, ან დიდი გამჭრიახობა, ან საგანგებო დაკვირვება სჭირია კაცს და სჭიროდა ფურცელაძეს იმისთვის, რომ ჩვენი მოქმედების და ხასიათის ნამდვილი მხარე გაეცნო და დაენახა? ნუ თუ, მარტო წვრილმან და პიროვან სარგებლობას რომ ვეძებდეთ, ჩვენს ქვეყანაში ჩვენ სხვა უფრო „სარგებლი-

ანს", უფრო „მყუდრო" და „პატივცემულ" ასპარეზს ვერ ავირ-ჩევდით, სადაც ქურდობა, რომ მოინდომოს კაცმა, ათი ათას თუმ-ნობით შეიძლება და თავმოყვარეობის დაკმაყოფილება ათი-ათას-ჯერ უფრო ადვილათ და იაფათ დაჯდება? დიდი ბრიყვი და ჩერჩე-ტი უნდა იყოს ის ქურდი და მძარცველი, რომელიც გატყავებულ და გალატაკებულ მინდორში, გეენა მზისა და ქარიშხლის ქვეშ, უბრა-ლო ბალახ-ბულახს იპარავს ან იტაცებს, როცა იმას ადვილათ შე-ეძლებოდა, სხვა უფრო უხვ წრეში უფრო უხვი „საშოვრის" შეძე-ნა. ამ უხვი საშოვრის მაგალითები, ღვთის მადლით, ჩვენში იშვიათი როდია, და თუ კაცი იმათ ვერ ხედავს ან ისე იმკედაოუნებს თავს თითქო ვერ ხედავდეს, ცხადია, რომ ის ან პიროვან გაბრაზებას და-უბრმავებია, ან რამე სხვა მიზეზებს უსინდისო მსაჯულათ გაუხდია. ორივე შემთხვევაში, ვიმეორებთ, იმას თავი კეთილათ ვერ უსახე-ლებია. როცა კაცი ამისთანა მდგომარეობაში დგება, ასე აშკარათ ბინძურ იარაღს ხმარობს, ის ამით თვითონ ამტკიცებს, რომ ერთობ სუსტათ და ცუდათ ყოფილა მისი საქმე, და ის, წყალწაღებული კა-ცის არ იყოს, სხვა დახსნის და შველის იმედ დაწმენდილი, ხავსს და ნაფოტებს ხელს ავლებს, რაგინდ გასვრილი და საზიზღარი იყოს ეს ხავსი და ეს ნაფოტი.

VI

მაგრამ ჩვენ დიდათ შევცდებით, უფ. ფურცელაძის ცილისწამება მარტო წუთიერ გაბრაზებას რომ მიეაწეროთ. რაგინდ უსაზღვრო და სასტიკი იყოს ეს გაბრაზება, დროსა და ფიქრს ყოველთვის შე-ეძლებოდა მისი გონებაში ჩაგდება და სინანულის ან უარყოფის დაბადება. აქ, ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, საქმე უფრო ღრმათაა წახდენილი, იმას უფრო ხანგრძლივი საფუძველი და მიზეზები აქვს. ჩვენ ამ საგანზე ორიოდე სიტყვა უსათუოდ უნდა ვსთქვათ.

როცა ჩვენი თაობა ჩვენს მწერლობაში გამოვიდა, როცა იმან ზოგიერთი ახალი მოთხოვნილება და მიზანი შემოიტანა ჩვენს წერა-ბეჭდვაში, როცა მისმა შრომამ ცოტაოდნათ ჩქმეტა და ჯლიქვეპის კვრა დაუწყო ჩვენს მიძინებულ საზოგადოებას და განსაკუთრებით ჩვენს უხეირო ვითომ-ახალგაზდობას, ზოგიერთმა პირებმა ყური გა-აცქვიტა და ჩვენი გაჩუმება თუ არა, ალაგმა მაინც მოინდომა. ზოგ-მა იმათგანმა თავისი თავი პიროვნათ ჩვენი თაობისგან შეურაცყო-ფილათ იცნო, ზოგი მეხსიერათ მიხვდა, რომ ჩვენი თაობა სულ სხვა მიზანს და სხვა გზას ადგა ვინემ იმათი, და ადრე თუ გვიან ჩვენს შორის სასიკვდილო ბრძოლა უნდა გამართულიყო; ზოგმა ჩვენი

თაობის „ახირებული“ საქციელი და შრომა ვერ მოინელა. — მაგრამ ყველამ კი ჩუმი, ქვეშ-ქვეშა წინააღმდეგობა დაგვიწყო. ჯერ ჩვენმა მოწინააღმდეგებმა ვითომ ჩვენი პატრონობა, დარიგება, გაწვრთნა მოინდომეს, და ლამის კინაღამ „მნათობის“ ბედი დამართეს „დროებას“ დაუბოლოებელი, ბრძნული, გაუგებარი და ლაყე სტატიების მოცემითა. მაგრამ ერთის მხრით „დროების“ რედაქციამ, მეორეს მხრით ახალი შემოსავლიანი ადგილების გახსნამ „დროებას“, ღვთის მადლით, ეს განსაცდელი და ბედი ააცილეს. შემდგომ აშისა ამავე პირებმა, სხვების დახმარებითაც, ახალი წინააღმდეგობის სისტემა მიიღეს. მოივარაყეს თუ არა საყელო, გაიგუდენ, ბრძნული შეხედულება მიიღენ და ჩვენი უბედური საზოგადოების წინ ჩვენს მწერლობაზე მხრების აწევით და შებრალების ღიმილით წაყრუება დაიწყეს, და თუ როდისმე სიტყვას ამოიღებდენ, მარტო ამას გვკადრებდენ: — „ეჰ, ეს წერა-ბეჭედა სულ ბავშვობა�о!“ თან კი ისე გაიქნევდენ თავს, თითქო თქმა უნდოდათ: „აი, წერა, ბრძნული წერა როგორი უნდა, იმას ჩვენ გაჩვენებთ დრო რომ გვქონდესო“. უცადეთ ჩვენ ამ „დროს“, მაგრამ ის დაწყეველილი არსაიდამ მოვიდა, და ჩვენ აბა რა გაგვეწყობოდა, ჩვენ ჩვენი „ბავშური“ წერა უნდა გაგვეგრძელებია. ამასობაში, რაკი „დახმარებით“ და წაყრუებით ვერა გაარიგეს რა, ჩვენმა წინააღმდეგებმა მესამე საშუალება იხმარეს: როცა საზოგადოებაში იმათ თანდათან უფრო და უფრო ხშირათ ესმოდათ, რომ ჩვენს მწერლობაში „მართალი“ და „გონიერი“ რამ გამოითქმოდა ხანდისხან, იმათ ის აიხირეს, რომ აზრი კი, მართალია, ხანდისხან სწორია, მაგრამ ენა გროშათ არ უვარგათო. მკითხველი ვერ წარმოიდგენს, რამდენი თანამგრძნობელი, მკითხველი, დამჯერი და ყურის მგდებლები გვაკლდებოდა ჩვენ, რამდენი მოთმინება და შრომა გვჭიროდა, რამდენი თვისა და წლის ღვაწლი და დაუღალველობა, იმის გულისთვის, რომ თითოეული ამგვარი ხეპრული, ყრუთ გამოთქმული, ბრმათ გაგებული ვითომ-სჯა გამოითქმოდა ჩვენზე. ერთი ვარაყ-საყელოიანი რომ მისთანა სჯას გამოთქვამდა, მოივლიდა ის სჯა მთელ საზოგადოებას და შეურყეველ ჭეშმარიტებასავით დაფუძვნდებოდა: ისეთი გავლენა ქონდა იმ დროს ამ პირების სიტყვას და აზრს. მაგრამ, როგორც იქნა, ჩვენ მოვახერხეთ ამ მესამე სისტემის თავიდამ აცილებაც. ჩვენი წინააღმდეგების გმირული ხასიათი ისეთია, რომ თუ იმათ კაცმა წაუყრუა და გაჩუმდა. შეგაჯდებიან კისერზე და ხედნას დაგიწყებენ. ბატონათ გაგიხდებიან. მაგრამ ერთი ოუ შესძახე: ერთი „ციც. შე გლახა!“ თუ შეჰყვირე. მოიკაკვებიან, გაიბუსებიან და მკვდრათ მიეგდებიან, სანამ რამე ახალს, უცნაურს ოინს არ მოიგონებენ და შორიდამ მხთალათ

მახეს არ დაგიგებენ. ამის მიხედვით, ჩვენ იმათ ერთი სტატიით[52] ჩვენს „ენაზე“ ლაპარაკი შევაწყვეტინეთ. და ეხლა, რაკი ამ ვაებატონებს ეს სამი სისტემა წაუხდათ, რაკი მათი წინააღმდეგობა ამ სამი მხრით იმათ უნაყოფოთ თავზე ჩამოეხიათ, მოუგონიათ მეოთხე, ძლიერ მძლავრი და ოსტატური სისტემა.

„მოუგონიათო“ რომ ვთქვით, შეცთომა მოგვივიდა. ეს მეოთხე სისტემა ის იეზუიტური სისტემაა, რომელიც ხელოვნურათ გამოხატა ბომარშემ, ამ ასი წლის წინეთ, თავის კომედიაში „სევილიელი დალაქი“. ამ კომედიაში გამოყვანილი იეზუიტი, დონ-ბაზილ, იმ საქციელს ადგია, რომ ვისიც წინააღმდეგობა უნდა, ვის დამარცხებას ეძებს, იმაზე ერთი უშვერს, აზრში მოუსვლელ რასმე მოიგონებს და ვისმე ყურში ჩაუწვეთს, ხალხში ხმათ გააგდებს და მერმე შორიდამ სეირს უყურებს. იმან ჩინებულათ იცის, რომ მცირედი იქვი, ერთი ნამცეცა შეწამება, ერთიოდენა ბრალისდება, რაგინდ დაუჯერებელი და უცნაური იყოს, თავისდღეში არ დაიკარგება, უკვალოთ არ გაჰქრება: ის თანდათან უფრო დიდდება და სხვილდება, ზვავისა არ იყოს, გზაზე ახალ-ახალ ფესვებს და შტოებს ისხამს და ცოტა ხანს შემდეგ მთელ საზოგადოებაში ვრცელდება, ყველას ტვინში და გონებაში უჯდება და მაშინ იმას ვერ ამოგლეჯს და ვერ მოსპობს ვერც ერთი გმირის მძლავრი ხელები. „ცილი სწამეთ, ცილი სწამეთო, ამბობს დონ-ბაზილ, რაგინდ უშვერი რამ მოიგონოთ ცოტას მაინც დაიჯერებენო!“ — აი ამ საქციელს დაადგენ ჩვენი წინააღმდეგები, ეს საშუალება მიიღეს იმათ მეოთხე სისტემათ.

ამგვარათ, როცა ვერც ჩვენი აზრების დარღვევით, ვერც ჩვენი საზოგადოებრივი მოქმედების შეურაცხყოფით, ვერც მწერლური ნიჭის ძალით, ვერც სამნაირი ოსტატური ოინით ვერ მოიგეს იმათ საზოგადოების გული და თანაგრძნობა, და ჩვენი მწერლობა ვერ ჩაახუმეს და ტალახში ვერ გათქირეს, ისინი ჩვენს შინაურ ცხოვრებას, პიროვნულ ხასიათს, კერძოობით მოქმედებას შეეხენ, და ვითომ ამ შეხებისთვის მოიგონეს, მოძებნეს და მოხიკეს ყოველნაირი ჭორები, რომელიც კი როდისმე ჩვენზე ან გაბრაზებულ თავმოყვარეობას, ან დაბრმავებულ ხარბობას, ან უმეცარ უნიჭობას მოუგონებია, და ავრცელებენ ეხლა საზოგადოებაში, გადასხვაფერებულათ, შეფერილათ, გაბერილათ და მომეტებულათ. და რაც ჩვენ უწინ ამაყურათ უყურადღებოთ მიგვიტოვებია, რასაც ჩვენის მხრით პასუხი კი არა, შებრალების ღიმილიც არ ღირსებია, რისიც პასუხის გაცემის ნება ჩვენთვის ჩვენი თავის პატივს არ მოუცია, ის ყველაფერი შეგროვებული, გადასხვაფერებული და გაზვავებული გვხვდება ეხლა ჩვენს წინ, იმისგან გვიშენებენ ეხლა იმ ჩინე—

თურ კედელს, რომელიც ჩვენსა და საზოგადოებას შუა უნდა დადგეს, ამ ვაჟბატონების აზრით. როცა ამგვარ ჭორებს, ამგვარ ცილისწამებას უნიჭო, ან უტვინო პირები საკუთრივ ჩემზე გამოთქმავდენ, როცა ამისთანებს ჩემზე კიდეც ბეჭდენ, მე ვიცინოდი და ვხარხარებდი, როგორც კაცი, რომელსაც აბრალებენ, რომ ის ცხრა დღის სავალზე წავიდა, და ათასი თუმანი დახარჯა ორი შაურის მოსაპარავათო. მაშინ საქმე მარტო მე, პირად მე მეხებოდა, და მარტო ჩემზე იყო დამოკიდებული მივიღებდი მე იმას ყურადღებაში, ვიწყენდი, ამოვიღებდი ხმას, თუ არა. მაშინ ჩემმა სიამაყემ ამაებს ყურიც არ ათხოვა: პირადათ მე ერთობ დარწმუნებული ვიყავი და ვარ მათ ბოლონდელ გამოცრუებაში და ჩემი სახელის უმანკოებაში. სხვას რაც უნდა ის ეთქვა, ბოლო ყველაფერს გასჯიდა და ყველას შესაფერ სახელს, ღირსეულათ დაღს დაასმიდა. მაგრამ დღეს, ჩვენში. საქმე სულ სხვაფრივაა. დღეს ჩემ პიროვნებას რომ ეხებიან, პირადად მე ვერაფერს მაკლებენ და ჩვენს მწერლობას კი დიდ ზიანს აძლევენ. ცილის-მწამებლებმა კარგათ იციან, რომ მე ამაებზე გავიცინებ, ვიტყვი კიდეც — „შეხედეთ რაებს სწერენ ან ამბობენ ჩემზეთქო“, და ჩემ საქმეს დაუბრუნდები. მაგრამ ამასთანავე იმათ კარგათ ნაანგარიშევი აქვთ, რომ ჩვენს მწერლობას, ჩვენს „დროებას“ ამით გავლენა აკლდება, საზოგადოების ტვინში ეჭვი შედის და ამის გამოისობით იმ კითხვებში და საქმეებში, რომელშიაც ჩვენს მწერლობას პირდაპირი ხმა და გავლენა უნდა ჰქონდეს, მწერლობის მნიშვნელობა მცირდება, მისი როლი პატარავდება. აი ეს მიზანი აქვს ამ ცილისწამებას, ეს განზრახვა უძევს იმ ბრალისდადებას, რომელსაც ჩემს წინააღმდეგ ხმარობენ. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ჩემს სახელს და პიროვნებას ხმარობენ იმ საშუალებათ და იარაღათ, რომლითაც ჩვენი მწერლობის დაცემა და ძირის გამოკაფვა უნდა დამზადდეს.

ამ მხრით, რასაკვირველია, ჩემი გაჩუმება და წაყრუება ჩვენი მწერლობისთვის სავნებელი იქნება, და როცა მწერლობაში გამოდის ვინმე, რომელიც ამგვარ ცილისწამებას ხმარობს ჩვენს წინააღმდეგ, რაგინდ სასაცილო ან საზიზღარი იყოს მისი ნაწერი, რაგინდ სათაკილო იყოს იმასთან ბაასში შებმა, ჩემი მხრით აუცილებლათ საჭიროა მისი ნაწერის ხელში აღება და გასინჯვა, მისი გაჩუმება და დასჯა.

მაშ მიუბრუნდები, ისევ, უფ. ან. ფურცელაძეს.

ეს ჩვენი ვითომ-მწერალი მწამებს. ვითომ მე რაღაც საშინელი უპატიოსნო და უსინდისო საქმეები ჩამედინოს ჩემს სიცოცხლეში. ამასთანავე ის მითითებით მიწერს, ვითომ მე კუდაბზიკაობით, მასთან ლაპარაკის დროს, პისარევი და სხვ. შპიონათ გამომეყვანოს და ჩემი თავი კი ისეთ დიდ-რამეთ, რომელსაც ვითომ ლონდონშიაც უცდიდენ, პარიჟშიაც უჯერებდენ და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, მისი ლაპარაკით მე გამოვდივარ მართლა რაღაც ცრუ-პენტელათ, ბაქია კუდაბზიკათ და უკუდო მკვეხნელათ. ვიმოწმებ ყველა ახალგაზდებს, თითქმის ასიოდე კაცს, რომელთანაც მე ძლიერ ბშირათ ამ საგანზე მილაპარაკნია, მითქვამს როდისმე ვისმესთვის ამგვარი რამ თუ არა. და პირდაპირ, აქვე, დარწმუნებით ვამტკიცებ, რომ ვერცერთი იმათგანი ვერ იტყვის — გითქვამსო; რაღა მაინც და მაინც ანტ. ფურცელაძეს მივადექი ამისთანა თვალ-და-ხელ-შუა ტყუილ სიტყვებით, და თუ მაინც და მაინც სიცრუვის მოგონება მინდოდა, ნუ თუ უფრო დასაჯერებელი, უფრო ჭკვიანური რამ ვერ გამოვიგონე?

ეს ერთი. მაგრამ ამ გარემოებას მე ისე არ გაუშვებ, სანამ მკითხველს ამავე მაგალითით არ აუხსნი, რანაირათ შედგება ხოლმე, ზოგიერთი უტვინოების ან უსინდისო პირების დახმარებით, ძლიერ უბედური და ხეპრული ცილის-წამება, რომელსაც შემდეგში იქნება დაჯერებაც და რწმუნებაც მიეცეს.

წარმოიდგინე, მკითხველო, რომ ლიტერატურულ მუსაიფში მე, ვთქვათ, აი ეს აზრი გამოვთქვი: მე პისარევს იმიტომ არ ვაფასებ, რომ იმან, 1862 წელს, როცა რუსეთში ხეირიანი მოძრაობა და უკეთესი მომავლის იმედი იყო, იმის ქადაგება დაუწყო ახალგაზდობას, რომ „მე რა მენაღვლება გლეხი-კაცი როგორ იცხოვრებს, როცა ჩემგან მტვერის მეტი არაფერი დარჩებაო". წარმოიდგინე, კიდევ, რომ ამას მე დაუმატე: ამგვარი ქადაგებით იმან იმ მიმართულებას ავნო, რომელსაც ჩვენი სიმპატია ეკუთვნის, იმ მიმართულებას არგო, რომელიც ყოველ პატიოსან კაცს საზიზღრათ უნდა მიაჩნდესო. ეს ხომ ლიტერატურული კრიტიკის აზრია, მეტი არაფერი? მაგრამ იმ პირებს შუა, რომელთანაც ეს ლაპარაკი მაქვს, დაესწრება ვინმე, უფ. ფურცელაძისთანა ფხიზელ-ყურიანი, და სამი-ოთხი წლის შემდეგ გვხვდება აი ეს „ბრალის დადება": — შენ სთქვი პისარევი შპიონი იყოო.

•

წარმოვიდგინოთ კიდევ, რომ 1868-ში, როცა ჩვენში ჟულ-ფავრი და მისი ამხანაგები თითქმის ყველას გმირათ და გენიოსათ მი-

აჩნდა, შენ აი რა სთქვი: ჟულ-ფავრს ისეთი მიმართულება აქვს, რომ ის ახალ-მიმართულებას, ახალ-ცხოვრების მომხრეებს ხელს არ დააყრის, ის დიდ ვნებას მოუტანს საფრანგეთსო; ჩემი აზრით აუცილებლათ საჭიროა, რომ მისი გავლენა მოისპოს, სანამ რესპუბ-ლიკელი პარტია საფრანგეთის მმართველათ არ გახდება. ეს ხომ პოლიტიკური აზრის გამოთქმაა, მეტი არაფერი? ხომ დამტკიცდა ამ აზრის გონიერება დღეს? მაგრამ წარმოიდგინე, რომ იმ პირებს შუა, ვისთანაც შენ ეს აზრი გამოთქვი, ერთი ვინმე ფურცელაძე იყო. და „მნათობში" ხუთი წლის შემდეგ იბეჭდება აი ეს ცილისწამება: — „შენ სთქვი, რომ ფრანცუზებს ვურჩევდი ჟულ-ფავრი და მისი ამ-ხანაგები ჩამოახრჩვეთო"!*).

წარმოვიდგინოთ, კიდევ, რომ საზღვარს გარეთიდამ დაბრუნე-ბის დროს რამდენიმე ძველმა ნაცნობებმა გკითხა — იქაური გამო-ჩენილი პირების ამბავი გვითხარი. ვინ ნახე, ვინ რაა, და შენ აი რა უპასუხე: მე არავინ არ მინახავს. ერთმა ჩემმა ნაცნობმა (ამან და ამან) კი მითხრა ვისაც გინდა გაგაცნობო, მაგრამ მე არ მინდოდა იმათი გაცნობა: რაც მათში ჩემთვის გამოსადეგი იქნებოდა, იმას მე იმათ თხზულებიდამაც შევიძენდი, და ჩემი თავი იმათთვის აბა რა საინტერესო ან სასარგებლო იქნებოდა: ჭკუას ხომ ვერ ვასწავლი-დი იმათაო!" რაა, ამ სიტყვებში ან კუდაბზიკაობა, ან ტრაბახობა? მაგრამ წარმოიდგინე, რომ ამ სიტყვებს უფ. ფურცელაძემაც ყური მოჰკრა, და აი, დღეს როგორი ცილისწამება გვხვდება: შენ სთქვი რომ ლაბულეს კი უნდოდა ჩემი გაცნობა, მაგრამ მე არ ვიკადრე და სხვ. **

და სხვ. და სხვ. და სხვა და სხვ.

აი, ჩემო მკითხველო, როგორ იბადება ცილისწამება, როგორ მზადდება ბრალდება და როგორ სდგება ჩვენი მოწინააღმდეგეების „მსჯელობა"! საზოგადოთ იმათ არაფრის გაგება არა აქვთ, და სჯა, აზრის შედგენა კი ყველაფერზე უნდათ. მოჰკრავენ რასმე ყურს, ვერ გაიგებენ, გადაასხვაფერებენ, წაუმატებენ თავიანთ ტვინიდამ მოგონებულ რასმე და გამოდიან ქადაგებით: „სკანდელმა აი რა

---

* ეს უეჭველია თვითონ უფ. ფურცელაძის რჩევაა, და მარტო მისი უცოდინარობით აიხსნება. ამ რჩევას მე, აბა, როგორ მივცემდი ფრანცუზებს: ფურცელაძე ხომ არა ვარ, არ ვიცოდე რომ საფრანგეთში ჩამოხრჩობით დასჯა კანონით აღკრძალულია და იქაური საზოგადოებრივი აზრის და ზნეობის წინააღმდეგია?

** ალბათ ლაბულე მაშინ და ეხლაც უფ. ანტ. ფურცელაძის „ღმერთი" ყოფილა. ჩემ-თვის კი ის 1865-შიაც ის იყო, რაც ეხლა მთელი ქვეყნისთვის (ფურცელაძეს გარდა) არის: უფერული უპარტიო ბურჟუა, დღეს რესპუბლიკელი, ხვალ ბონაპარტისტი, ზეგ ორ-ლეანელი და მუდამ კი უგზოუკლო.

სთქვა, მე მითხრა, ბატონოო, ამა და ამ პირების იქ დასწრებითო!" და ამის გამგონი (მეტი რა ღონე აქვს), ფიქრობს: დიდი ცრუ-პენტელა ყოფილა ეგ სკანდელი ვიღაც არისო! და შედგა „საზოგადო აზრი"! წადი და ზღიე მერე შენ იმას კუდში.

რაც შეეხება სხვა პიროვან ცილისწამებას, ზოგზე მე ზემოთ ვილაპარაკე, და ვინც კითხვა იცის, ის ადვილათ დაინახავს რაგვარი იარაღისთვის მოუკიდია ხელი უფ. ფურცელაძეს, ვის ამოდგომია გვერდში და რა პარტიას გამოდგომია კუდში. თუმც მე დიახაც საქებრათ უნდა მიმაჩნდეს იმისთანა გაზეთის მხრით გინება, რომელსაც ანტ. ფურცელაძე ასახელებს, თუმც მე დიახაც უნდა ვამპარტავნობდე, რომ ნაგინები ვარ იმ პირების თანასწორათ, რომელთაც ვერაფერი ხალხი და ვერაფერი ფურცელაძე ვერ გათქერს, მაგრამ, ჩვენი ქართული მწერლობის გულისთვის მე — ზემოთ ნათქვამის გარდა, აი რას ვუპასუხებ უფ. ფურცელაძეს.

თუ იმას ერთი ოდნათ მაინც სჯერა ის, რაც თვითონ დაუწერია და დაუბეჭდია ჩემზე თავის სტატიაში, თუ იმას მართლა ჰგონია, რომ მე უპატიოსნო კი არა, ცოტაოდნათ ძაგების ღირსი ვარ, პიროვანი მხრით, თუ იმას მართლა ის აზრი აქვს გულში, რომ ჩემ საზოგადოებრივ მოქმედებას პიროვანი მიზანი აქვს, გამობრძანდეს, განიხილოს მთელი ჩემი ცხოვრება, შეკრიბოს რაც უნდა ცნობები, ჭორები და ხმები და მითითებით, თითოეული ჩემი მოქმედების დასახელებით და აწერით დაუმტკიცოს საზოგადოებას ჩემი უსინდისობა ან უვარგისობა. თუ ბიჭია, თუ უმსგავსი ცილისმწამებელი არ არის, გამოვიწვევთ რომ ამგვარი საბუთიანი, საფუძვლიანი გამოძიებით და გამოკვლევით დაამტკიცოს თავისი უსაფუძვლო აზრი, ვითომ მე ძაგების ღირსი ვიყო. თუ იმას „მნათობი" აღარ აქვს, თუ იმას ცალკე წიგნათ ბეჭდვა არ შეუძლია, გაგვიხსნია იმისთვის „კრებულის" ფურცლები. ჩვენ მის ნაწერს ამ საგანზე, რაგინდ უმსგავსო და სასტიკი ცილისწამებით და დაბრალებებით იყოს ის გავსებული, ხელ-უხლებლათ, შეუცვლელათ, სრულათ დავბეჭდავთ. მობრძანდეს, აბა, და დაუმტკიცოს თავისი აზრი ჩვენს მკითხველებს, წარმოუდგინოს იმათ მისი დამამტკიცებელი ფაქტები, და ვნახოთ, მაშინ, რამოდენათ საფუძვლიანი, რამოდენათ სინდისიანია მის მხრით ჩვენი ლანძღვა და გინება.

სიტყვას ვაძლევ, რომ არც ერთ მის ცილისწამებას მე უპასუხოთ არ დავტოვებ, არც ერთ ფაქტზე არ ვიტყვი — ეს ჩემ შინაურ ცხოვრებას ეკუთვნის, არც ერთხელ არ ვიხმარ მის წინააღმდეგ თანასწორ იარაღს, არც ერთი სიტყვით მის საკუთარ კერძოობით ცხოვრებას არ შევეხები, და არც არასოდეს არ ვაძაგებ იმას იმის გუ-

ლისთვის, რომ ის კი ჩემ კერძო ცხოვრებას და პირად ხასიათს შეეხო. ამ პირობებით ნებას ვაძლევ გასინჯოს მთელი ჩემი წარსული, თითოეული ჩემი ნაბიჯი და უამბოს, როგორც ისურვებს, რაგინდ სასტიკი ძაგებით ან გინებით იყოს, ჩვენ მკითხველ საზოგადოებას. ყველაფერს დაუბეჭდავთ, ყველაფერზე ახსნას და პასუხს მივცემთ და მკითხველმა მაშინ გასინჯოს საქმე და სჯა დაადგინოს.

მაგრამ თუ უფ. ფურცელაძემ ამ ჩემ გამოწვევაზე ხმა არ ამოიღო, თუ ამ ჩემ წინადადებას არ დაეთანხმა, სრული ნება მექნება ვთქვა იმაზე, რომ ის იეზუიტური ჩვეულებების შემოღებას ცდილობს ჩვენს მწერლობაში და უსინდისოთ, უსაფუძვლოთ, პიროვანი გაბრაზების გამო, უშვერის ცილისწამებით გვიხდის ჩვენს საშინელ და გამოუთქმელ შეცოდებას, რომ „კრებულში" მისგან მოძღვნილი „ქიტესა"[53] არ დავბეჭდეთ.

სანამ უფ. ფურცელაძე ამ ჩვენს გამოწვევას არ მიიღებს, იმას ჩვენგან, კუდაბზიკას სამაგიეროთ, იეზუიტი დონ-ბაზილის სახელი მიერთმევა. ამ სახელს ჩვენ და მკითხველი საზოგადოება იმას მარტო მაშინ ახსნის, როცა ჩემი ნამდვილი, საფუძვლიანი, გამოაშკარავებით ის მართლა დაამტკიცებს, რომ მართლა დარწმუნებულია იმაში, რასაც ჩემზე სწერს და ბეჭდავს.

დამავიწყდა. „ჩვენს მწერლობაში"[54] ფურცელაძის შესახებ მეორე რა დავწერე შარშან:

„რა აზრი უნდა იქონიოს კაცმა იმ მწერალზე, რომელსაც არ შეუძლია წარმოიდგინოს სხვაში ან გულწრფელი და პატიოსანი შრომის სურვილი, ან უანგარო სიყვარული საზოგადო სიკეთისა, და რომელიც ყოველ მწერალში ხედავს მხოლოდ ხარბ, უსინდისო და უპატიოსნო კაცს? ამისთანა მწერალზე კაცმა უნდა იფიქროს, რომ თუ იმას პატიოსნების წარმოდგენა არ შეუძლია, ეს იმას ნიშნავს, რომ პატიოსნობის გაგება არა აქვს, რადგანც კაცი მარტო იმას იგებს და ცნობს სხვაში, რასაც თვითონ გრძნობს და რაც თვითონვე აქვს".

დღეს უფ. ფურცელაძე გვამტკიცებს ჩვენ იმაში, რომ ეს აზრი ჩვენ დობროლიუბოვის თხზულებებიდამ ამოგვიწერია, და იმ ადგილსაც გვითითებს სადაც დობროლიუბოვი თითქმის სიტყვა-სიტყვით ამავე აზრს გამოთქვამს. გულითად მადლობას უძღვნით უფ.

ფურცელაძეს ამ გახსენებისა და გამტყუნებისთვის! — დიახ, მკითხველო, ეს აზრი, რომელიც ეხლა წვრილი ასოებითაა დაბეჭდილი. გამოუთქვამს იმისთანა პატიოსანს, გონიერს, ნიჭიერს და თავგამომეტებულ მწერალს, როგორიც დობროლიუბოვია, იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც თუმც თვითონ კვარტლათ იყო, მაგრამ „Современник"[30]-ის მწერლებზე კი ბეჭდდა უპატიოსნები არიანო. დიდი მადლობელი ვართ უფ. ფურცელაძის, რომ ამ ჩვენს სიტყვებს იმან. დობროლიუბოვის მაგალითი და ავტორიტეტი მიანიჭა.

მაშ ნახვამდის, უფ. ფურცელაძე!

---

42. ანრი როშფორი

საფრანგეთის მმართველობამ ამ თვეში საბოლოოთ გადაწყვიტა ანრი როშფორის დაკარგვა ახალ კალედონიაში გაგზავნით, სადაც ის დატუსაღებული უნდა იყოს. გაზეთებში სწერენ, რომ როშფორის აგებულება ისე საშინლათ დასუსტებულია ორი წლის დატუსაღებით და ათასნაირი ზნეობითი ტანჯვითაო, რომ ის სამი თვის ზღვით მგზავრობას ვერ აიტანს და გზაზე მოკვდებაო. მართალია ეს თუ არა, ამას მომავალი გვაჩვენებს, ამ მოკლე ხანში. მაგრამ უეჭველი კი ისაა, რომ ამ მწერლის მოქმედება, თუნდ კიდეც სიკვდილს გადაურჩეს, დიდი ხნით შეწყვეტილი და შეჩერებული იქნება, მწერლობისთვის ის დღეს მკვდარია, და ამ მიზეზით მწერლობასაც შეუძლია მისი ნაშრომის განხილვა და დაფასება, თითქოს ის სანიადაგოთ გამქრალიყოს დედა-მიწის პირისაგან.

რადგან ამ მწერალს დიდი გავლენა ჰქონდა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, და რადგან მისი ნაწერი, ლიტერატურული მხრით, შესანიშნავ წარმატებას წარმოგვიდგენს უწინდელ მწერლობასთან შედარებით, ჩვენ საჭიროთ ვთვლით წარმოუდგინოთ „კრებულის“ მკითხველებს როშფორის შემოკლებული ბიოგრაფია და მისი მწერლობის კრიტიკული დაფასება, სხვა მის მსგავს მწერლებთან შედარებით და მისი საკუთარი ხასიათის, განვითარების და ძალის გამოკვლევით. როშფორის ნიჭი, ცხოვრება და მოქმედება კი ღირს იმათ, რომ მათ აწერას საკმაო სივრცე და ყურადღება მიეცეს...

I

ანრი ჩოშფორი დაიბადა 1830 წელს. მისი ნამდვილი სახელია — გრაფი ვიქტორ-ანრი დე როშფორ-ლიუსე. მამა მისი ლეგიტიმისტი იყო (ძველებური მონარხიის და წესის მომხრე), მაგრამ დედა კი როშფორს რესპუბლიკელი ჰყავდა, და ამ დედამ გამოზარდა მისი გრძნობა და გონება. როფშორის სახლობა ერთობ ღარიბი იყო. მამა მისი თავს ირჩენდა სხვა და სხვა ვოდევილების წერით, და

თვითონ ანრის ადრევე დასჭირდა ლუკმა-პურის საშოვნელათ შრომაში და სამსახურში გაბმა. ოცი წლისა შევიდა ის სამსახურში, და თან სხვა და სხვა გამოცემებში წერით შოულობდა ის თავის და ოჯახის საზრდოს. მაგრამ მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში მის შრომას — სამსახურში იყო თუ გაზეთებში, გამოცემებში, თუ თეატრში — დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია. როშფორი ისევ ისე უცნობი და შეწუხებული იყო, როგორც თითქმის დასაწყისში. მაგრამ ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ის ერთგულათ შრომობდა, ბევრს კითხულობდა, ყველაფერს იძევდა და აკვირდებოდა, ისე, რომ თვითონ მისთვის ეს დრო სრულიად არ დაკარგულა.

როშფორი მსახურობდა რაღაც დაბალ ხარისხზე პარიჟის საქალაქო გამგეობაში, როცა ზოგიერთმა მისმა ნაწერებმა „შარივარიში"[55] მკითხველების ყურადღება მიიქცეს. ამ ნაწერებში როშფორი სხვა და სხვა აქტიორების და აქტრისების თამაშობას არჩევდა და აფასებდა, — იმ დროს თავისუფლად და გულწრფელათ წერა ბეჭდა მარტო ამაებზე შეიძლებოდა. როცა მისმა უფროსებმა (და განსაკუთრებით მაშინდელმა პრეფექტმა ოსმანმა) შენიშნეს, რომ მათ ჩინოვნიკს დიდი ნიჭი ჰქონია, იმისი გადაბირება მოინდომეს და მაშინვე ჯამაგირიც მოუმატეს და ადგილიც უკეთესი მისცეს. მაგრამ როშფორმა იმწამსვე სამსახური მიატოვა, რაკი იგრძნო, რომ ბონაპარტიელები მის მოქრთამვას და გადაბირებას აპირებდნენ, და მასაქეთია ის ერთიანათ მწერლობას და პოლიტიკას მიეცა.

მწერლობა მაშინ სწორეთ ცუდ მდგომარეობაში იყო. ერთი რომ არავის ჟურნალის ან გაზეთის გამოცემა არ შეეძლო, თუ ამის ნებას მმართებლობა არ მისცემდა; და მმართებლობა, რასაკვირველია, მარტო იმისთანა პირებს აძლევდა ამ ნებას, ვისაც ან არ ერიდებოდა, ანა და იმედიც ჰქონდა ჩემსკენ იქნებაო. მეორეთ — როგორც კი გაზეთი ან ჟურნალი უსიამოვნო რასმე დაბეჭდიდა, იმას მაშინვე ორიოდე „გაფრთხილებას" მისცემდა მმართებლობა — საფუძვლიანს თუ უსაფუძვლოს, ამას არავინ დაეძებდა და არც არავის ამაზე ლაპარაკი და სჯა შეეძლო — და მერმე გამოცემას დროებით დახურავდნენ, ან მთლათ ერთიანათაც მოსპობდნენ. ამას გარდა, რადგანაც არავის პოლიტიკურ საგნებზე ლაპარაკი უიმისოთ არ შეეძლო, თუ გამომცემელს ორმოცდა ათი ათასი ფრანკის გირაო არ ჰქონდა შეტანილი მმართებლობასთან ნაღდ-ფულად, და რადგანაც გაზეთის გამოცემა ერთობ დიდ ძალ ფულს თხოულობს ხოლმე, გაზეთებში და ჟურნალებში განსაკუთრებითი ხმა და გავლენა ფულის მეპატრონეს ეძლეოდა, და მწერალი კი უკანასკნელ პლანზე იდგა. ფულის მეპატრონე, რასაკვირველია, ყოველთვის იმას ში-

შობდა, ვაი თუ გაზეთი დამიხურონ და ფულის ზიანი მომცენო, და ამ მოაზრებით რაც შეიძლებოდა უფრო მოწიწებით ეპყრობოდა მმართებლობას და უფრო ხელ-ფეხს უკოჰავდა მის მოწინააღმდეგე მწერლებს, ისე, რომ ამ უკანასკნელ მწერლებს თითქმის განძრევის და ხმის ამოღების საღავათი არაკი ჰქონდათ.

არ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა რა მდგომარეობაში იყო საფრანგეთის პოლიტიკური მწერლობა და განსაკუთრებით პარიჟელი გაზეთები 1866 წლამდე. მათში უმთავრესი ხმა და გავლენა, ფულების მეპატრონეების და მმართებლობის გამოისობით, ისეთ მწერლებს ჰქონდათ, როგორც სან მარკ ჟირარდენს, ლემუანს, ნევცერს. გერუს, ავენს და სხვა და სხვა.

ამ მწერლების ხასიათი იმაში მდგომარეობდა, რომ გაუგებარი, ან მარტო ასიოდე ნასწავლი კაცისათვის გასაგები ენით რაიმე წვრილმან ნაკლულევანებას გამოეკიდებოდნენ და სწერდნენ გაუთავებელ სტატიებს ისეთ საგნებზე, რომელნიც საზოგადოებას თითქმის არაკი შეეხებოდენ. გაზეთები და ჟურნალები დაუბოლოებელი სტატიებით იყვენ გავსებული სხვა და სხვა ისტორიულ გამოძიებებზე ძველმწერლობაზე, არხეოლოგიურ ძიებაზე, ან ორიოდე დიპლომატიურ სიტყვაზე, რომელთაც არც დიდი მნიშვნელობა, არც დიდი აზრი არაფერი ჰქონიათ. მაგიერათ, თუ ჟურნალ-გაზეთები საზოგადოების მდგომარეობას და გულის წადილს არ ეხებოდენ, არც საზოგადოება ჰკიდებდა ხელს ჟურნალ-გაზეთებსა, და პოლიტიკური მწერლობა თან და თან უფრო და უფრო მდაბლდებოდა, მძიმდებოდა და სუსტდებოდა.

იმ დროს პოლიტიკურ მწერლობაში მარტო სამიოდე შესანიშნავი მწერალი იქცევდა საზოგადოების ყურადღებას. ამიტომ რომ საზოგადოების გულის წადილს მარტო ისინი ეხებოდნენ ნიჭიერათ და შეუპოვრათ: პრუდონი, პრევო პარადოლი და ედმონდ აბუ. მაგრამ პრუდონს მმართებლობამ და სიღარიბემ გაზეთის გამოცემის შეძლება არ მისცეს, ის უფრო წიგნების ბეჭდვით მოქმედებდა, და უკანასკნელ დროებაში არც ნამეტნათ საფუძვლიანათ სინჯავდა და არკვევდა საზოგადოებრივ საქმეებს. პრევო-პარადოლის ნიჭი ისეთნაირს წვრილმან მიზანს მისდევდა (ორლეანიელების ამაღლებას) და ისეთს ერთობ წმინდათ გალესილ იარაღს ხმარობდა, რომ მისი ნაშრომი და მისი დაცინვა მარტო ნასწავლი მკითხველისათვის იყო გასაგები, მარტო მცირეოდენ წრეს შეეხებოდა და აღელვებდა. ედმონდ აბუს ძალუმ სიტყვას კი ნაპოლეონმა ოქროს ლაგამი აუდვა, მოფერებით, დაპატიჟებით, დაჯილდოვებით. ერთი სიტყვით, მოყიდვით. და ამ ნაირათ მაშინდელი მწერლობა უგავლენო და უმნიშვნე-

ლო წერა-ბეჭდვაში მდგომარეობდა, უმჯობესი მწერლები და ტალანტები კი ნიადაგ ლაგამ-აკრულები იყვნენ — ხან ძალით, ხან მოქრთამვით.

საფრანგეთის ხალხს და საზოგადოებას დიდხანს ის რწმუნება ჰქონდა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი საქმეები ერთობ ჩინებულათ მიდიან და მშვენიერი და გონიერი მმართველების ხელშია საფრანგეთის ბედი. ნაპოლეონი იმ დროს ყველას გენიოსათ, გულთმისნათ და მოხერხებულ კაცათ მიაჩნდა. ყველას ეგონა, რომ რასაც ის დაიწყებს — ჩინებულათ გათავდებაო. ყველას ახსოდა ყირიმში და იტალიაში გამარჯვება, ყველას ნამდვილ „საზოგადოებრივ დამშვიდებად" მიაჩნდა ის ჯარისა და ზარბაზნების შემწეობით ხალხის გაყრუება, რომლის ძალითაც საფრანგეთში იმპერია დაარსდა. ამის გამოისობით ვინც მმართებლობის წინააღმდეგ ხმის ამოღებას გაბედავდა ხოლმე, მისი სიტყვა ყველას გამჭრიახობის და პატიოსანი საზოგადოებრივი ერთგულების გამოთქმათ კი არა, უცნაურ დარდიმანდობად ან თავის გამოჩენის სურვილათ მიაჩნდა...

ამასობაში საფრანგეთის მწერლობაში ერთი ახალნაირი კილო და მიმართულება დაარსდა. დაიბადა თუ არა მეორე იმპერია, იმან მაშინვე ბევრი ნიჭიერი და გავლენიანი მწერლები გადაიბირა ადგილების და შემოსავლიანი ღირსებების დარიგებით და ფულით მოყიდვითაც. იმისთანა მწერლები, როგორც თეოფილ გოტიე, არსენ უსსე, ერნესტ ფეიდო, ალბერიკ სეკონ, როკპლან, ალ. დიუმა (შვილი), სარდუ და ბევრი სხვანიც იმპერიის მხარეზე გადავიდნენ და იმპერიის მაქებარნი თუ არ შეიქნენ, მაძაგებელნი მაინც აღარ იყვნენ. და რადგანაც იმათ მაინც და მაინც სურდათ საზოგადოების ყურადღება თავიანთ ნაწერებზე მიექციათ, გამოიწყეს ნიადაგ იმ ზნეობის და ცხოვრების შეფერვა და ვითომ კარგის მხრით გამოხატვა, რომელიც. მეორე იმპერიამ საფრანგეთში შემოიღო. იმათ თხზულებაში მუდამ დარდიმანდული, დიდკაცური ცხოვრება, ფულის მფანტველობა, ბინძური არშიყობა, ზნეობის გამყიდველი ქალების გაღეღილი ცხოვრება და სხვა და სხვ. იყო აწერილი, და მკითხველი საზოგადოება განსაკუთრებითი მადით ეწაფებოდა ამ უმიზნო და უხეირო მწერლობას. რომანები, კომედიები, დრამები, კრიტიკული სტატიები, ერთი სიტყვით, თითქმის ყველანაირი მწერლობა დიაცების ცხოვრების აწერათ, მათი უზნეობის შნოიანათ გამოხატვათ გადაიქცა, და რაც უფრო და უფრო მცირდებოდა პოლიტიკური გაზეთების მკითხველების რიცხვი, მით თან და თან უფრო მრავლდებოდენ ამნაირი სადიაცო თხზულებების მკითხველები. ამ ხასიათის მწერლების მაგალითმა და დახმარებამ საფრანგეთში მალე ერთნა-

ირი ჟურნალ-გაზეთები დაბადა, რომელშიაც პოლიტიკის, კრიტიკის და საზოგადოებრივი მეცნიერების მაგიერათ იწერებოდა და ისჯებოდა სხვა და სხვა დიაცების და მათი თაყვანისმცემლების ტანსაცმელი, ყოფა-ქცევა, მიხვრა-მოხვრა და საიდუმლოები. ვინ ვისთან ცხოვრობდა, ვინ ვის ყვარობდა, ვის ვინ უღალატა და ვისგან ვინ რამდენი ისესხა, რომელ კლუბში ვინ რა წააგო და რომელ თეატრში ვინ რომელი აქტრისა დაპატიჟა ვახშმათ, — ამაებზე სჯიდენ და სწერდენ ეს ახირებული ჟურნალ-გაზეთები. რადგანაც პოლიტიკურ გაზეთებს პირი აკრული ჰქონდათ, რადგანაც ისინი ვაება სტატიებს სწერდენ ისეთებს, რომ მათი წაკითხვა და გაგება ფილოსოფოსებსაც უძნელდებოდათ, მკითხველი საზოგადოება ამ ადვილ და მოხიბლულ მწერლობას მიაწვა და მის კითხვას შეეჩვია. აი, ამ მწერლობას დაერქვა „მცირედი მწერლობის“ სახელი (La petite presse).

ეს მწერლობა რომ ყველას უყურადღებოთ მიეტოვებია, საზოგადოების გონებას და ხასიათს ამით დიდი ვნება მიეცემოდა. მაგრამ ბევრი ჩინებული და ნიჭიერი მწერალი მიხვდა, რომ შესაძლებელია ამ მჩატე და მსუბუქი მწერლობის ხეირიანათ გამოყენება პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ზნეობითი მხრითაც. იმისთანა ნიჭიერი მწერლები, როგორც ლეო ლესპესი, ოგიუსტ კილმო (ორლეანელი პარტიისა), ჟულ კლარტი (ზომიერი რესპუბლიკელი), ჟულ ვალლესი (რადიკალი), ანრი როშფორი, ედუარდ ლოკრუა და ბევრი სხვანი ამ „მცირედი მწერლობის“ ასპარეზზე გამოვიდნენ. ზოგი როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი, ზოგი როგორც თეატრების მიმომხილველი, ზოგი როგორც „ფანტეზისტი“, ზოგი როგორც „მკითხველთა მესაუბრე“ მათი ნაწერი ნიადაგ ხუმარული და ოხუნჯური უნდა ყოფილიყო რაზედაც უნდა ელაპარაკათ შიგ. და ნიადაგ „პარიჟელი ცხოვრების“ წვრილმან, უბრალო და უმნიშვნელო მოვლენებს უნდა შეხებოდა.

ამ მწერლებში, რომელნიც თითქმის ყველანი უცნაური ნიჭის პატრონი და ოხუნჯობით სავსენი იყვნენ, მკითხველების ყურადღება ყველაზე უფრო როშფორმა მიიქცია. მის ნაწერში პირდაპირ გამოჩნდა არა თუ მარტო მწერლის გაუზომველი ნიჭი, სტილის განვითარებული ხასიათი და დაცინვის სიმძლავრე. არამედ თან პოლიტიკური მიზანი და გონიერებაც. როშფორის მკითხველებმა მალე შენიშნეს, რომ ის სულ სხვანაირათ ირჩევდა თავისი-სტატიების საგანს, ვინემ დანარჩენი მისი თანამოძმენი; მის ნაწერში მალე შენიშნეს, რომ რაზედაც უნდა დაეწყო იმას ლაპარაკი, აქტრისას ახალ — იუბკებზე, თუ უკანასკნელი კომედიის სათაურზე, რომელიმე პან-

კირის ხასის ეკიპაჟზე, თუ გამოჩენილი მწერლის ახალ წიგნზე, ან მხატვრის ახალ სურათზე — ყოველთვის და ყოველგან ის ისეთ მხარეს შეეხებოდა, ისეთ თვისებას და შედარებას მოძებნიდა, ისეთ შოლტს გადაკრავდა მაშინდელი მმართებლობის სისტემას და ზნეს, რომ მკითხველს აქტრისაც ავიწყდებოდა და ეკიპაჟიც და მეხსიერებაში მარტო იმ შოლტის ტკლაცუნი და ის დაცინვა რჩებოდა. არც ერთ გარემოებას და მოვლენას არ გაუშვებდა ისე როშფორი, რომ რამე უცნაური გადაბმით ან დაახლოვებით არ გამოეყენებია ან მეორე იმპერიის წესების და პირების წინააღმდეგ და მკითხველებში ამ წესისა და პირების შეზიზღება და სიძულვილი არ ჩაეწვეთნა. დაცინვა, ირონია, სარკაზმი, — ერთი სიტყვით ყოველნაირი მწერლური იარაღი სინჯა და სცადა იმან ერთი მიზნის მისაღწევად: იმას უნდოდა საფრანგეთის იმპერიის მასხარათ აგდება, მისი გავლენის მოსპობა და საბოლოო დაცემის მომზადება.

ამნაირ წერაში შეიძინა როშფორმა ცოტაოდენი სახელი, სწორედ იმოდენა, რამდენიც საჭირო იყო იმისათვის, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო და მის ნაწერს ალაგი ეპოვა ყოველ გამოცემაში და პირდაპირ გზა გატკეპნილი ჰქონოდა მკითხველ საზოგადოების გულისკენ. ამასობაში 1868 წელიწადიც დადგა. *.

II

„ნაპოლეონის ცხოვრებიდამ“[56] მკითხველმა იცის, რომ მექსიკიდამ საფრანგეთის ჯარის ძალა-უნებურმა დაბრუნებამ და პრუსიის გაძლიერებამ ნაპოლეონის მართებლობის სახელი გატეხეს ხალხის თვალში. საფრანგეთის ხალხმა და საზოგადოებამ იგრძვნეს, რომ ეს მმართებლობა საფრანგეთს ხეირს არ აყრიდა, და ამის მიზეზით უფრო მეტი ყურადღება და დაჯერება უჩვენეს იმ მწერლობას და მიმართულებას, რომელიც ნაპოლეონს და იმპერიას ეწინააღმდეგებოდა. საზოგადოებას აღარ სწამდა იმ მწერლების სიტყვა, რომელნიც ქადაგებდნენ —ნაპოლეონი ჩინებულათ პატრონობს ჩვენს ქვეყანასო, იმის გონებას ყველა დაბრკოლების და გასაჭირის მოშორება და დათრუგვნა შეუძლიაო. ის ხედავდა, რომ მთელი თხუთმეტი წლის მმართებლობას, ნამეტანი ხეირი კი არა, ზარალის მეტი არა მოუტანია, და მომავალში იმას მრავალი „ბნელი ღრუბლები“ ეჩვენებოდა. და ვინც იმას მაშინ ეუბნებოდა, რომ საქმე ცუდათ მიჰყავს იმპერიასო, ნაპოლეონი ჩვენ ხეირს არ დაგვაყრისო, მოვტყუვდით მის მორჩილებაშიო და სხვა, იმას ეკუთვნოდა მკითხველი სა-

* როშფორის ნაწერი ამ პირველ პერიოდში შეკრებილია სამ წიგნათ:

ზოგადოების ყური და გული. ერთი სიტყვით „ოპოზიციას“ (მმართველობის მოწინააღმდეგე პარტიას) ამით დიდი მნიშვნელობა და გავლენა მიეცა.

ნაპოლეონმა მაშინ ლიბერალობა დაიწყო, იმ განზრახვით, რომ ამ ლიბერალობაში ხელრიანათ დაიარაღება და დამზადება შემეძლება ვინმე ომში დავამარცხო, და როცა გარეთ გავიმარჯვებ შინ იმოდენათ გავძლიერდები, რომ მოწინააღმდეგეების მოთოკვა და გაჩუმება შემეძლებაო. სხვა და სხვა ვითომ ლიბერალურ ცვლილებებში, რომელიც იმან მაშინ გამოიწყო, ერთი კანონი იყო, რომელიც წერა-ბეჭდვის მდგომარეობას ცოტაოდნათ აუმჯობესებდა, და რომლის ერთი მუხლის ძალით ყოველ პირს ნება ეძლეოდა მთავრობის დაუკითხავად და ნებადაურთველათ დაეარსებია ყოველნაირი ჟურნალ-გაზეთი ან სხვა დროგამოშვებითი გამოცემა. ამ კანონით სარგებლობა მოინდომა როშფორმა, როცა შინაგანი საქმეების მინისტრის ბრძანებით, იმას „ფიგაროში“ წერა აღეკრძალა. როშფორმა გამოაცხადა, რომ კვირაში ერთხელ ჩემს საკუთარ გაზეთს, „ფ ა რ ა ნ ს“, გამოვცემო. კანონისაგან დაწესებული ბე შეტანა და მარტოლაც 1 ივნისს 1868 წ. გამოსცა თავისი გაზეთის პირველი ნომერი.

შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა ის შთაბეჭდილება, რომელიც მთელი საფრანგეთის და ევროპის მკითხველ საზოგადოებაზე ამ ნომერმა მოახდინა. ორასი ათასი ეგზემპლარი რამდენიმე დღის განმავლობაში დაიტაცეს, და თითქმის ყოველ ქალაქში, თითქმის ყველა ენებზე ახლათ და ახლათ იბეჭდებოდა და ითარგმნებოდა როგორც ეს პირველი ნომერი, ისე შემდეგებიც. მკითხველები ზეპირათ სწავლობდნენ მის შინაარსს. ათასნაირათ ხსნიდენ მის გადაკვრა-გადმოკვრებს, და თითქმის ყველანი, შეიყრებოდნენ თუ არა, „ფარანზე“ ჩამოაგდებდენ ლაპარაკს. როგორც უწინ ან შემდეგ ტაროსზე და მოსავალზე იყო მუსაიფი.

ამ საოცარი შთაბეჭდილების მიზეზი ის კილო იყო, რომლითაც როშფორმა წერა დაიწყო. უწინ რომ მმართებლობაზე და ნაპოლეონზე თავაზიანათ და ათასნაირი მიხვევ-მოხვევით სწერდენ, ამის მაგიერ როშფორმა პირდაპირ და ბასრი დაცინვა და შეურაცხყოფა დაიწყო, მაგრამ ისე, რომ ვერაგზით ვერ მოხერხდებოდა მისი „ჩაბმა“ და გამტყუნება. იმან ისეთი ოსტატური და ხელოვნური ირონიის ხმარება დაიწყო, როგორც სვიფტის შემდეგ თითქმის არც ერთ მწერალს არ გამოუჩენია, და ეს ჩინებული იარაღი მის ხელში პირდაპირ მიზანს ხვდებოდა ისე. რომ მისი მოგერება და მისი დაჭრილის მორჩენა შეუძლებელ საქმეთ ხდებოდა.

პირველ ნომერშიბ, მაგალითად, აი რაები ეწერა: „...როცა მე ში-

ნაგანი საქმეების სამინისტროში შევედი იმ მიზნით, რომ შემეტყო, რა ბედი ელოდა ჩემს თხოვნას „ფარნის“ გამოცემის ნებართვაზე, უფროსმა ჩინოვნიკმა, ის ბრალი დამდვა, ვითომ მე აშკარა მტერი ვიყო ეხლანდელი წესების და დამცველი ამ „ძველი პარტიებისა“.

„ეს დაბრალება მით უფრო უსაფუძვლო იყო, რომ (აქ მე ეს დასამალავად აღარა მაქვს) მე გულ-და-გული ბონაპარტისტი ვარ. იმედი მაქვს, რომ მე ნება მექნება ერთი და ერთი საყვარელი გმირი ამოვირჩიო ამ დინასტიაში. ლეგიტიმისტებში ზოგს ლუი მეთვრამეტე ურჩევნია, ზოგს — ლუი მეთექვსმეტე, ზოგი კი მთელ თავის სიმპატიას შარლე მეათეს ანდომებს. როგორც ბონაპარტისტი, მე ნაპოლეონი მეორე*) მირჩევნია. ამის უფლება მე დიახაც მაქვს.

„შემიძლია კიდეც დაუმატო, რომ ჩემს თვალში ის ხელმწიფის იდეალია. ვერა კაცი იტყვის, რომ ის ტახტზე არ მჯდარიყოს. რადგანც მის მემკვიდრეს ნაპოლეონ მესამე ჰქვია. რა მეფობა იყო, ჩემო მეგობრებო, რა მეფობა! არც გადასახადი, — არც უსარგებლო ომები,... არც შორებელი ექსპედიციები, რომლებშიც ექვსას მილიონს ხარჯვენ ხოლმე, იმ მიზნით, რომ მოვალეს თხუთმეტი ფრანკი გადაახდევინონ. არც ხელმწიფის უშველებელი ჯამაგირი, არც მინისტრები, რომელთაგანს თვითეულს ხუთი თუ ექვსი სხვა და სხვა თანამდებობა აქვს, და თითო თანამდებობაში ას-ას ათას ფრანკს იღებს. აი, როგორი ხელმწიფე მირჩევნიან მე! ოჰ, ნაპოლეონ მეორევ, უსაზღვროთ მიყვარხარ და მიყვარხარ!... ვინ გაბედავს თქვას ეხლა, ვითომ მე ბონაპარტისტი არ ვიყო?“

„რაკი ასე მტკიცეთ განვმარტე ჩემი პოლიტიკური რწმუნება, მე ვიმედოვნებ, თუმცა კი ამის დაჯერებას ვერ ვბედავ, რომ ოფიციალური პირები ნამეტანი გაჯავრებით როდი მიიღებენ იმ ჩემ ტკბილ ან მოტკბო შენიშვნებს, რომლის წარდგენა მე ჩემს მოვალეობათ მეჩვენება ხოლმე. ჩვენ სახელმწიფო პირებს ყველაფერი აქვთ (ამისგამო სხვებს არაფერი დარჩენია): პატიოსნება, სინდისი, თავგამომეტება, რწმუნება. იმათ საუბედუროთ თავიდამ ბოლომდი მარტო ჭკუა აკლიათ. დაცინვა რაგინდ უბრალო იყოს, იმათ აშრობს და აყვითლებს. შეურყეველი ჟინიანობით ცდილობენ ისინი თავიანთი თავი მართლა სახელმწიფო პირებათ ჩათვალონ. რომელიმე ჟურნალისტმა რომ დაწეროს, რომ მექსიკაში დამარცხების და გერმანიის ერთობის დაარსების შემდეგ საფრანგეთი ევროპიელ ხალხებს შუა მესამე ხარისხამდე დაეცაო, ჩვენი სახელმწიფო პირები

---

* ნაპოლეონ მეორე პირველი ნაპოლეონის შვილი იყო. ის თავის დღეში ტახტზე არ მჯდარა.

ბევრს არას იტყვიან. მაგრამ იმის შენიშვნა რომ გაბედოთ, რომ უფ. რუეს (პირველ მინისტრს), ლაპარაკში ცუდი გამოთქმა აქვსო*, ან უფ. პინარმა (შინაგანი საქმეების მინისტრმა) თავისი თანაშემწის სან-პოლის დათხოვა მოინდომა, მაგრამ ვერ მოახერხაო, ეს ვაგბატონები სუხარივით გაფშიკდებიან და ბრაზ-მორეულები ხდებიან რამდენიმე თვის განმავლობაში.

„მე დიდი ხანია ეჭვი ავიღე, რომ ყველა ჩემი უბედურება იქიდამ სწარმოებს, რომ ერთხელ ჩემ თავს ნება მივეცი უპატივისცემოთ შევხებოდი მმართებლობის ერთი წევრის ლურჯ მუნდირს. მინისტრების პასუხისმგებლობა რომ მომეთხოვა, რასაკვირველია მათი იმწამშივე პასუხისგებაში მიცემითურთ, ვინ იცის, იქნება დღეს ვიცე-გუბერნატორი შევიქნებოდი. რას ვამბობ, ამდენ ხანს დროც მექნებოდა, ამ თანამდებობიდამ გადავეყენებინეთ კიდეც“.

ნუ დავივიწყებთ, რომ ეს პირველივე ნომერში იყო დაბეჭდილი, და შემდეგი წიგნების შინაარსი და კილო ბევრათ უფრო მახვილი და შხამიანია. მაგრამ იმ დროს საფრანგეთის მწერლობის კილო ისე თავდაკავებული და რბილი იყო, რომ ამ ახალმა კილომ, ამ ენამ და დაცინვამ მთელი საფრანგეთი შესძრა. როშფორამდი ნაპოლეონის მმართებლობაზე ამ სახით წერა და აზრის გამოთქმა არავის გაუბედავს. ამან გაუკვალა გზა როშფორის სახელს და გავლენას.

III

„ფარანი“[1] კვირაში ერთხელ გამოდიოდა. თითოეული მისი ნომერი ახალ ისრათ ხვდებოდა გულში ნაპოლეონის მმართებლობას და დინასტიას. ყველა გრძნობდა, რომ ამ უცნაურმა და მანამდი უნახავმა დაცინვამ ნაპოლეონის გავლენას ფეხი მიაჭრა. ამ დაცინვას ყველა იგებდა, ყველა თანაუგრძნობდა, ყველა აძლიერებდა და ავრცელებდა. მმართებლობამ ითმინა მთელი სამი თვის განმავლობაში, მაგრამ როცა დაინახა, რომ როშფორის გავლენა თანდათან დიდდებოდა და ნაპოლეონის სახელი კი — უფრო და უფრო მცირდებოდა, მოინდომა როშფორის გავლენის მოსპობა ყოველნაირი საშუალებებით.

სხვა და სხვა ორშაურიან მწერლებში, რომელნიც ფულის გულისათვის ანდა საკუთარი დაბალი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ არავის ღა არაფერს დაზოგავენ და მზათ არიან უწმინდესი

* რუე ოვერნიელია და მისი ფრანციული ლაპარაკი მეტის მეტათ უსიამოვნო კილოიანია.

საქმე და უპატიოსნესი კაცი ტალახით და ცილისწამებით გასვარონ, გამოიძებნა ორიოდე იმისთანა, რომელიც მმართველობის ბრძანებით როშფორის ძაგებას შეუდგნენ. ერთი იმათგანი პოლშელი ემიგრანტი, ვიღაც სტამიროვსკი (სტამირი) იყო, და მეორე — მარშალი. ორივემ, პოლიციის პრეფეკტის დახმარებით ისეთი თხზულებების ბეჭდვას მიჰყვეს ხელი, რომელშიაც როშფორზე ათასნაირი ცილის წამება და სიცრუე იყო გამოთქმული. იმათ როშფორის წარსული ცხოვრება გამოეძიათ, თავისებურად აეხსნათ და გადაესხვაფერებიათ თითეული მისი ნაბიჯი და სიტყვა, ზედ საკუთარი გამოგონილი სისაძაგლე და ბაიყუშობა დაემატებიათ, და ამ უშვერი ცილისწამების მოგროვებით მკითხველი საზოგადოებისათვის რჩევა და დასკვნა მიეცათ: ამისთანა კაცს არაფერი დაეჯერებაო, ეს საძაგელი და ბოროტი კაციაო.

ამ მწერლებს შეეტყოთ, მაგალითად, რომ როშფორს სიყმაწვილეში ერთი ვიღაც აქტრისა ჰყვარებოდა, რომლისგან იმას სამი შვილი ჰყოლოდა. მოჰყვნენ ისინი, ამის გამოისობით, წერას, რომ როშფორი გარყვნილი კაციაო, დიაცებში გამოზრდილიო, დიაცების ფულით მცხოვრებიო, და ღმერთმა იცის რა და რა საძაგლობა არ შესწამეს და არ მიაწერეს იმას ამ ყმაწვილური „ცოდვის“ მიზეზით. შეიტყვეს, კიდევ, რომ როშფორი ხანდისხან თეატრებში დაიარებოდა, სადაც ძლიერ ხშირად მის საკუთარ კომედიებს და ვოდევილებს არდგენდენ, და ამ წარმოდგენის შემდეგ (ჩვეულებისამებრ) აქტიორებს და აქტრისებს უმასპინძლდებოდა, ანდა მეგობრებთან ვახშამს სჭამდა. ამ უბრალო აქტიდამ მაშინვე ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ როშფორი ქეიფის და ფულის ფანტვის მოყვარე კაციაო, იმას არც რესპუბლიკა, არც ახალი აზრები სწამსო, იმას მარტო ქეიფი აქვს მიზნათ და მისთვის სწერს და ბეჭდავსო. შეიტყვეს, აგრეთვე, რომ ის უფრო ხშირად დაცინვით ან ხუმრობით ლაპარაკს იყო ნაჩვევი და მძიმე კილოიანს მუსაიფს ზიზღით ერიდებოდა, და დაბეჭდეს, რომ გონიერი საზოგადოების და მოლაპარაკების მაგიერ როშფორი მასხრულ უმნიშვნელო მუსაიფს და მეგობრებს არის ნაჩვევიო, დაუმატებს ამაებს, რომ როშფორი მარტო საკუთარი თავის გამოჩენას, მარტო საკუთარ სარგებლობას ეძებს და არა საზოგადო საქმის წარმატებასო. ოსტატურად გადაკრეს, რომ ნაპოლეონმა რომ მოინდომოს როშფორის მოყიდვა ადვილად შეეძლებაო; გათქირეს, გალანძღეს კაცი, შესწამეს ყოველნაირი ბოროტება და სიავე, და გამოიყვანეს როგორც ბინძური, უგნური და უსინდისო პატივის და სარგებლობის მაძიებელი.

ამ იარაღით უნდოდათ როშფორის გავლენა ხალხის თვალში შე-

ემცირებიათ და მის გულში როშფორის დაცინვის კვალი და სიტყვების მძლავრი მოგონება იმ ეპვით ამოეხოცათ, რომ ამ აზრების გამომთქმელი კაცი თითონ უსინდისო და ბოროტიაო. ანგარიში გვარიანად ოსტატური იყო, მით უფრო, რომ უშვერს ცილისწამებას. ზოგიერთი გადასხვაფერებული ფაქტები სიმართლის მსგავსებას აძლევდნენ, მაგრამ საზოგადოებამ ყური არ უგდო ამ ცილის წამებას. იმან იმისი მიზანი დაინახა და მაშინვე შეზიზღებით მიაგდო ეს თითქმის მუქთათ დარიგებული თხზულებები, და როშფორის მაგიერ იმან უფრო მეტად მისი ცილისმწამებლები და ნაპოლეონის პოლიცია შეიძულა და შეიზიზღა.

მაშინ ამავე ვითომ-მწერლებმა სხვაგვარი საშუალების ხმარება შოინდომეს. იმათ როშფორს შეატყობინეს, რომ თუ მთავრობაზე დაცინვა და მისი ლანძღვა არ მოსპე, შენ რომ ქალების სასწავლებელში თორმეტი წლის ქალი მიგიცია ასაზრდელად იმას მიუტანთ და წავაკითხებთ შენზე დაწერილ ჩვენს პასკვილსაო, რომელშიაც ეწერება, რომ შენ გარყვნილი კაცი ხარ. იმ შენი ქალის დედა დიაცია და ვინ იცის ის შენი ქალი ვისი შვილია ან მისი დან-ძმა ვისიაო. როშფორმა ყველა უწინდელი ცილისწამება ჩინებული შეურაცხყოფით და უკადრისობით აიტანა; მაგრამ როცა ეს ამბავი გაიგო, და დაინახა, რომ მისი ყმაწვილი ქალის გულს და სიყვარულს ართმევენ ან უშხამებდენ, მაშინვე მესტამბეს მივარდა და დუელში გამოითხოვა (საფრანგეთში დუელი მწერლებს შუა ხშირი საქმეა). მესტამბემ უარი გამოუცხადა, მე რა ვიცი, რაც მომიტანეს იმას ვბეჭდავო. — მაშ გამოუშვებ მაგ ცილისწამებასაო? ჰკითხა როშფორმა. — რასაკვირველია, უპასუხა მესტამბემ, და იმ წამშივე როშფორი ეცა იმას და გაბრაზებული გულით კარგა მაგრა გალახა ხელითა და ჯოხით: ეხლა მაინც გამომითხოვ დუელშიო. მაგრამ მესტამბემ ის სუდში გამოითხოვა, რომელმაც როშფორს ოთხი თვის ვადით დატუსაღება გადაუწყვიტა „მესტამბის გალახვისათვის".

როცა მთავრობამ დაინახა, რომ როშფორს არც გავლენა ეკარგებოდა მასზე ცილისწამებების გავრცელებით, არც შეშინებისაგან აკლდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო წერის სურვილი, იმან გადაწყვიტა როშფორის პასუხისგებაში მიცემა და მისი „ფარნის" შტრაფებით გაკოტრება. ამ მიზნით იმან სამართალში მისცა როშფორი ორი მისი უკანასკნელი ნომრისათვის, და ეს ორივე საქმე სასამართლოში იმით გადაწყდა, რომ როშფორს ორი წლით დატუსაღება და ოცდა ხუთი ათასი ფრანკის გადასახადი ჯარიმათ დაადვეს. ფული მისი ჟურნალის ბეს გადაახდევინეს, და დატუსაღებით

კი ვერ გაიმარჯვეს: როშფორი ბელგიაში გაიქცა, სადაც იმან თავისი „ფარნის“ გამოცემა გადაიტანა.

იმ ნომერში, რომელიც იმან ბრიუსელში გამოსცა უფრო სასტიკად და დაუზოგველათ იყო გამოაშკარავებული ნაპოლეონის და მისი მმართებლობის ოინები და მავნებელი ხასიათი. როშფორი არც ერთს ისეთს შემთხვევას არ გაუშვებდა, რომლის შემწეობითაც ნაპოლეონისგან მოტანილი ვნება აშკარავდებოდა და მისი ტვინის ან სინდისის სისუსტე გამოჩნდებოდა. ის მშვენიერათ სარგებლობდა ყველა ამგვარი შემთხვევებით, გონიერათ აგროვებდა და ხსნიდა მათ და ნიადაგ ახალს, უწინდელზე უდიდეს სიძულვილს სძრავდა მკითხველის გულში ნაპოლეონის მმართველობისადმი. თითოეული ახალი ნომერი ახალ ცეცხლს უკიდებდა მკითხველის გრძნობას და ახალ ბრაზსა და სიძულვილს ანთებდა მის გულში, ახალი დაღით და შანთით უწვავდა შუბლის კანს ნაპოლეონის მმართებლობას, ახალ-ახალ მტრებს შოულობდა მისთვის და დამხმარებს — რესპუბლიკური პარტიისათვის. და თვითონ წერის კილო თანდათან უფრო და უფრო „უბრალოვდებოდა“, ადვილი გასაგები და დასამახსოვრებელი ხდებოდა, უფრო მეტს მკითხველებს შოულობდა და უფრო პირდაპირათ პოულობდა ხალხის გულის გზას.

IV

როგორც კი სასამართლომ როშფორს დატუსაღება და ჯარიმა გადაუწყვიტა, პარიჟში მაშინ ერთი პაწაწა ბროშურა გამოვიდა, რომელშიაც ის აზრი იყო გაყვანილი, რომ როშფორმა დიდი სარგებლობა მოუტანა საფრანგეთს მით, რომ ნაპოლეონურ წესს ეჟვნებიანი კაბა ჩააცვა და სამასხარო ქუდი თვალებზე ჩამოაფხატაო; ნაპოლეონი იმას პირიერვან მტრათ სთვლისო და თუ ჩვენ გვინდა დავამტკიცოთ, რომ ნაპოლეონი, მისი წესი და მმართველობა გვძულს და გვეზიზღებაო, აუცილებლად საჭიროა, რომ მომავალ კენჭის ყრის დროს როშფორი დეპუტატათ აეირჩიოთო. ამ ბროშურას ერქვა „როშფორი — დეპუტატი“.

ეს აზრი ელვის სისწრაფით გავრცელდა და შემდეგ ამორჩევების დროს, 1869 წელში, პარიჟელმა მუშა ხალხმა და ახალგაზდობამ როშფორი წამოაყენა დეპუტატობაზე კენჭის საყრელად.

მის წინააღმდეგათ მაშინ ჟულ ფავრი იყო. მაშინდელი დაწინაურებული რესპუბლიკელები ჟულ ფავრს და მის მეგობრებს იმას აბრალებდნენ, რომ თორმეტი წლის განმავლობაში ესენი თითქმის არაფერს აკეთებენო, მმართველობას მარტო წვრილმან საქმეებში

ებრძვიანო, ხშირათ გამარჯვებასაც აძლევენო და იმ აზრებს და მიმართულებას ეწინააღმდეგებიან, რომელნიც რესპუბლიკელი პარტიის საფუძველს შეადგენენო. ესენი დაძველდნენ, გამოტვინდნენ, დროა ახლები გამოვიყვანოთ, ახლებს დაუცალონ მაგენმა გზაო. მით უფრო, რომ მაგ „გამოჩენილ“ პირებს უჩვენოთაც პროვინციებში ამოირჩევენ და პარიჟმა კი ახალი პირები უნდა წინ წამოაყენოსო. ამ აზრით დამარცხდა პარიჟში უწინდელი დეპუტატები კარნო, გერუ, ტიერი, ჟულ ფავრი, და სხვ. მათ მაგიერ ამოირჩიეს გამბეტა და ჟულ ფერრი. ტიერის და ჟულ ფავრის მოწინააღმდეგეებმა კი თითქმის იმდენი ხმა მიიღეს, რამდენიც ამ პირებს ერგოთ. ისე რომ მათზე ხელმეორეთ კენჭის ყრა დასჭირდათ.

ჟულ-ფავრი და როშფორი პარიჟის მეშვიდე განყოფილებაში იყრიდნენ კენჭს. იმათ გარდა იქვე კენჭს იყრიდა ერთი ბონაპარტიელი და ერთი სოციალისტი (კანტაგრელი). რაკი არც ერთს ამ ოთხ კანდიდატთაგანს ხმის უმრავლესობა არ ერგო, და მეორეჯერ კენჭის ყრა საჭირო შეიქნა, ნაპოლეონმა თავისი მომხრე ჩამოაყენა და მის კენჭის მყრელებისთვის ათხოვინა — ჟულ-ფავრს მიეცით თქვენი ხმა, რომ არამც და არამც როშფორი არ ამოირჩიონო. ამ მიზეზით და იმ მოაზრებით, რომ ჟულ ფავრი არსად არ ამოერჩიათ პროვინციაში, და როშფორს კი შემდეგშიაც ორი სამი თვის მემრე შეეძლებოდა დეპუტატათ გამხდარიყო პირველ განყოფილებაში (რომლის დეპუტატი გამბეტა მარსელსაც ამოერჩია) კენჭის უმრავლესობა ჟულ ფავრს ერგო (18.267 ჟულ ფავრს და 14.780 — როშფორს).

ეს ამბავი რომ მაისის დამლევს მოხდა, ნოემბერში პარიჟის პირველ განყოფილებას გამბეტას მაგიერ დეპუტატი უნდა ამოერჩია და მუშა-ხალხმა როშფორი გამოიყვანა თავის კანდიდატათ. პირველ განყოფილებაში ტუილრის სასახლე იმყოფებოდა, სადაც ნაპოლეონი ცხოვრობდა. ამ განყოფილებამ როშფორი ამოირჩია თავის დეპუტატათ 17.978 ხმით. მის მოპირდაპირეს. გამოჩენილს და შემოძველებულ რესპუბლიკელს კარნოს მარტო 13.445 კენჭი ერგო. ბონაპარტიელებს კი — თითქმის სულ არაფერი რგებიათ. — ამ ამორჩევით როშფორი პოლიტიკურ მოთავეთ გახდა.

გამოვიდა თუ არა ის პოლიტიკურ ასპარეზზე, მაშინვე ახალი დაჩინებული წესი შემოიღო. იქირავა ერთი დიდი ზალა და შიგ კვირაში ერთხელ თავის ამომრჩევლებს აგროვებდა, პოლიტიკურ საქმეებზე მათთან მოსალაპარაკებლად. მათი აზრის გასაგებათ და თავისის გამოსათქმელათ. არც ერთს რესპუბლიკელს იმის უწინ ეს აზრი არ მოსვლია თავში და მკითხველი ადვილათ მიხვდება, თუ რამო-

დენა სარგებლობა მოსდევს ხალხისათვის ამ აზრის შემოღებას და ასრულებას. მართლაც, ხალხმა სჯა და გონიერი დაკვირვება და გაგება დაიწყო საზოგადო საქმეებისა, და ეს საქმე მალე რომ არ შეწყვეტილიყო როშფორის დატუსაღებით, იმას ჩინებული გავლენა და ძლიერი ექნებოდა.

ამასთანავე როშფორმა ახალი დღიური გაზეთი დააარსა, რომელსაც იმ სიმღერის სახელი დაარქვა, რომელსაც პარიჟის ხალხი მღერის, როცა რევოლუციას იწყებს ხოლმე. „მარსელიეზა" გამოდიოდა იმავე კილოთი დაწერილი, როგორითაც „ფარანი" იწერებოდა, და პირველივე ნომრიდან იმას უთვალავი მკითხველი და დამჯერებელი მოუგროვდა. მაგრამ მისმა დაუზოგველმა დაცინვამ და გაკიცხვამ მალე აუტეხა მის რედაქტორს სხვადასხვა ბონაპარტიული მოთავეების გაბრაზებული წინააღმდეგობა, და ერთ ამისთანა შემთხვევაში პეტრე ბონაპარტემ როშფორის თანამშრომელი ვიქტორ ნუარი კიდეც მოკლა, როცა ის მასთან სეკუნდანტათ მივიდა, თვითონ პ. ბონაპარტეს გამოთხოვის შემდეგ.

ამ გარემოებით გაცეცხლებულმა როშფორმა „მარსელიეზაში" თორმეტი სტრიქონი დასწერა, აი ამნაირათ (მოგვყავს ზეპირათ): „ოცი წელიწადია, რაც ჩვენ კისერზე გვაწვეს ამ ბონაპარტების სახელობის უღელი. ისინი ჩვენ გვცარცვენ, გვაბრმავებენ და გვკვლავენ. საფრანგეთის ხალხო, ნუ თუ შენ არ გგონია, რომ საკმაოა ამოდენა ძალადობის ატანა და დროა, რომ მას ბოლო მოეღოს?" მთელი პარიჟი ისე აღძრა ამ თორმეტმა სტრიქონმა, რომ ვიქტორ ნუარის დამარხვაზე ორასი ათასი გაბრაზებული და ყველაფრისთვის დამზადებული კაცი შეგროვდა, რომელთაც მართლა რევოლუციის დაწყება უნდოდათ.

მაგრამ როშფორი და დელეკლუზი (გაზეთის „გაღვიძების" რედაქტორი) მალე დარწმუნდნენ, რომ ნაპოლეონს უთვალავი ჯარი და ზარბაზნები დაემზადებია და უმთავრესი სტრატეგიული პუნქტები კიდეც გაემაგრებინა იმ განზრახვით, რომ რაკი ეს გროვა რევოლუციას კი არა წინააღმდეგობას დაიწყებს, ერთიანად ამოვაყლეტინებ და პარიჟი დიდის ხნის ვადით დამშვიდდებაო. ამის გამო როშფორმა მთელი თავისი გავლენა იმას მოანდომა, რომ თავზე ხელ-აღებული გროვა დაეშალა, რომ შემდეგისათვის, როცა უკეთესი შემთხვევა ჩაუვარდებოდა ხელში და როცა მმართებლობა წინათვე დამზადებული არ იქნებოდა, მასთან საბრძოლველად გამოეყვანა. დიდი გაჭირვების და ყაყანის შემდეგ გროვა როგორც იქნა დაიშალა, მაგრამ მმართველობამ პალატას მოსთხოვა როშფორის პასუხისგებაში მიცემის ნება მომეცით, ხალხი ააჯანყა თავისი სტატი-

ოო. პალატამ, რასაკვირველია, ამაზე უარი არ უთხრა, და სასამართლომ როშფორს ექვსი თვის დატუსაღება გადაუწყვიტა იმ სტატიის დაბეჭდვისათვის, რომელშიაც ნაპოლეონი ავაზაკად და კაცის მკვლელად იყო გამოყვანილი და რომელშიაც პირდაპირი წინააღმდეგობა და მისი ტახტიდან გადაგდება იყო ნარჩევი. როცა ამ გადაწყვეტილების ასრულებაში მოყვანა მოინდომეს და როშფორის დატუსაღება, პარიჟში არეულობა მოხდა, მაგრამ ის მალე დაამშვიდეს.

V

როშფორი რომ დაატყვევეს პირველად იმაზე იხმარეს ის საშუალება, რომელსაც უწინ არცერთ მწერალს არ მიაყენებდნენ: იმას აღუკრძალეს გაზეთში წერა, სანამ სატუსაღოში იჯდა, თუმცა სხვა მწერლებს ეს ნება კი ყოველთვის ჰქონდათ, მაგრამ ორჯერ თუ სამჯერ სატუსაღოდამაც მოისმა მისი ხმა. ის ტყვეთ იჯდა, როცა ნაპოლეონმა გერმანიას ომის გამოცხადება დაუპირა, და ტიერზე ბევრით უფრო ადრე როშფორმა აიმაღლა ხმა და თქვა — ეს საზარელი ომიაო, ის საფრანგეთს დაღუპავს ბონაპარტეს სახლობის ინტერესისათვის და სხ. მაგრამ ნამდვილი ხმა იმას მაშინ მიეცა, როცა 4 სექტემბერს 1870 წ. ხალხმა ბონაპარტეს სახლობა ტახტიდან გადააყენა და საფრანგეთში რესპუბლიკა დაარსდა. როშფორი მაშინ სატუსაღოში იჯდა, მაგრამ ხალხი მის გასათავისუფლებლად წავიდა, გამოუძღვა, და დიდი ამბით იმ სასახლეში მოჰყვა, საცა ახალი რესპუბლიკის მმართველობა პირველად შეკრებილიყო. ხალხის მოთხოვნის გამო ის მაშინვე „დროებითი მმართველობის“ წევრად იცნეს, მაგრამ — როგორც შემდეგ ჟულ ფავრმა და მისმა ამხანაგებმა გამოაცხადეს, — იმ აზრით, რომ როშფორი ჩვენთვის გარეთ უფრო საშიში იქნებოდა, ვინემ შიგნითო“.

დღეს ყველამ იცის, რომ მაშინდელი „დროებითი მმართველობა“ ერთობ უნიჭო და უხასიათო წევრებისაგან იყო შემდგარი, რომელთაც ნამდვილი საქმის, ნამდვილი მზადების და ძალის შეძენის არა ესმოდათ რა. მათი აზრი, როგორც შემდეგ ჟულ ფავრმა და ტროშიუმ პალატაში გამოაცხადეს, იმაში მდგომარეობდა, რომ მმართველობის ძალა „რადიკალების“ და მუშა ხალხის ასალაგმელათ ეხმარათ, მაშინ, როდესაც მათი მოვალეობა ის იყო, რომ საფრანგეთი გერმანელებისაგან, გარეშე მტრისაგან დაეცვათ. იმ პაწაწა თავმოყვარეობით და პაწაწა ღირსებით ნამეტნათ გაბერილ პირებს, როგორც ჟულ ფავრი და მისი ამხანაგები იყვნენ, ვერც მამულის ვაჟირვებამ, ვერც სახელის და რესპუბლიკის დაცვის საჭიროებამ,

ვერ დააკიწყეს ის წვრილმანი უსიამოვნება, რომელიც იმათ მუშა ხალხმა და რადიკალებმა კენჭის ყრის დროს მიაყენეს. იმათ დაბალმიანებულ თავმოყვარეობას გერმანელი კი არ მიაჩნდა თავის — ესე იგი მამულის — მტრათ, იმათ როშფორის ამომრჩევლების და ლუი ბლანის მომხრეების ჯიბრი ჩამოჰყოლოდათ, და იმის მაგიერ, რომ მმართებლობის ძალა მოლტკეს წინააღმდეგ ეხმარათ, ეს ვითომ ბრძენები, ეს უკუდო-თავმოყვარეები, მამულის გასაჭირის დროს, საფრანგეთის მუშა-ხალხს უმართავდენ ბრძოლას და წინააღმდეგობას.

ამ კაცებს თავიანთ დღეში არც პრაქტიკული ცხოვრება და მდგომარეობა გაუცვნიათ, არც ლაზათიანი „დალაგებითი“ ლაპარაკის და „რეჩების“ თქმის მეტი გაურიგებიათ რაიმე. იმათ გაგება არ ჰქონიათ არც სამხედრო საქმეების, არც იმ წყაროების, თუ საიდამ შესდგებოდა ხალხისა და სახელმწიფოს ძალა; არც იმ საშუალებების, თუ როგორ შეიძლება ამ ძალის შეკრება, მისი სულის ჩადგმა და ხეირიანი გამოყენება. ამის გამო ისინი იძულებულნი იყვნენ თავიანთი და საფრანგეთის რესპუბლიკის და ხალხის ბედი ნაპოლეონის ღენერლების ხელში დაეტოვებინათ, და საფრანგეთის ჯარი ბაზენის, ბურბაკის, ვინუას, დიუკროს და ტროშიუს ხელში დაერჩინათ. ამ უნიჭო ღენერლებმა, რომლებიც მარტო ინტრიგამ და ხალხის დაუზოგველობამ აამაღლა, რასაკვირველია, თავი ვერ მოაბეს საფრანგეთის დაცვის საქმეს, და ვითომ ბრძენები, მათი იმედით, შეცდომას შეცდომაზე ართვიდნენ და უხეირობას უხეირობაზე აკერებდნენ. როგორც ახლათ დაბეჭდილი მათი პროტოკოლებიდან სჩანს, მათი სხდომების და ბაასის ნიადაგი საჩრუნველი საგანი და მიზანი ის ყოფილა თურმე, ყოველთვის, რომ გამბეტას ხელ-ფეხი როგორ შეუკრათო, ფულის შოვნის შეძლება როგორ მოუსპოთო, ძალა რომ არ მოვაპოვებინოთო, პარიჟის მუშა ხალხი რითი დავღალოთ და დავასუსტოთო, კაპიტალისტების და მედუქნეების გული როგორ დავაშოშმინოთო და მონარხიელებს რანაირათ შევაყვაროთ ჩვენი თავიო. ამაზე ზრუნავდა „დროებითი მთავრობა“, როცა პარიჟს გერმანია ერტყა და როცა რესპუბლიკის ბედი და საფრანგეთის მომავალი მის ხელში იყო, მისგან ელოდა დახსნას და შველას!

ამისთანა ამხანაგებს უნდა ამოჯდომოდა გვერდში როშფორი. იმან, რასაკვირველია, მაშინვე დაინახა, რა მიზანი და სისუსტე ჰქონდათ ამ ვითომ რესპუბლიკელებს, მაგრამ, — ლუი ბლანის არ იყოს 1848 წ. — თავის თავათ ვერ გაბედა ის ნამდვილი ძალა და გავლენა ეხმარა, რომელიც იმას პარიჟის მუშა ხალხზე ჰქონდა, და ეს უნიჭო და უხეირო მმართველობა შეეცვალა უფრო გამბედავ და მო-

ხერხებულ პირების დანიშვნით. როცა მისი პარტიის პირები ამის მოხდენას აპირებდნენ, როშფორმა გამოაცხადა, რომ მართალია, მე კარგათ ვხედავ ამ მმართველობის უხეირობას, მაგრამ ჩვენი წინააღმდეგობა ბისმარკს მოუხდება; ისევ, როგორც იყოს, დავეხმაროთ, ჩვენი მოვალეობა შევასრულოთ და შემდეგ გავწმენდთ ამათთან ანგარიშსო, როცა პრუსიელების ფეხი საფრანგეთის მიწაზე აღარ იქნებაო. — ამ აზრის მაშინ ლუი ბლანიც იყო. და რადგანაც ამ „დროებითი მმართებლობის" ყოფაქცევა ერთობ უხეირო და საკენებელი იყო და თანდათან უფრო და უფრო უხეირო და უსინდისო ხდებოდა, როშფორმა მარტო ის ჰქნა, რომ მის წევრობას თავი დაანება და თავისთვის გაყუჩდა, რომ სიტყვიერი და მწერლობითი წინააღმდეგობითაც იმ მმართებლობის ძალა და გავლენა არ შეემცირებია, რომელიც ვითომ გერმანელებს ებრძოდა.

ისტორია დააფასებს, რამდენათ მართალი და გონიერი იყო ამ[illegible]ირი მოქცევა როშფორის მხრით, და უნდა ეკისრნა იმას თუ არა მაშინ ამ უნიჭო მმართებლობის გადაყენება. რომ სხვა, ნიჭიერს, გონიერს და მოხერხებულს მმართებლობას ნამდვილი ბრძოლის გამოჩენა შესძლებოდა გერმანელების წინააღმდეგ და გამარჯვების მოსაპოვებლად ხელი მაინც გაენძრია. ჩვენ კი აქ მარტო იმას ვიტყვით, რომ თუ ეს გადაყენება უსამართლო და უგონიერო იქნებაო, ამნაირათვე უგონიერო ყოფილა მაშ ევგენიას რეგენტობის მოსპობა[57] და რესპუბლიკის გამოცხადება 4 სექ. 1870

„დროებითი მთავრობის" საქციელს ის შედეგი ჰქონდა, რომ პარიჟი დაეცა და გამბეტას მართლა ხელფეხი შეეკრა. რაკი ბრძოლა ამნაირათ გათავდა და რაკი ბისმარკის ბრძანებით საფრანგეთში ნაციონალური კრების შეყრა მოახლოვდა, როშფორმა ხმა ამოიღო და ახალი გაზეთი დააარსა Mot d'ordre, რომელშიაც გამბეტას სასარგებლოთ დროებით მმართებლობას სცემდა და ლანძღავდა. ამ გაზეთს ათი დღის განმავლობაში ისეთი გავლენა მიეცა, რომ პარიჟის კენჭის ყრა თითქმის მისი გავლენის ქვეშ მოხდა. მისმა კანდიდატებმა ორას ორასი ათასი კენჭი მიიღეს (ლუი ბლანმა, ვიქტორ ჰიუგომ, როშფორმა და სხ.) მაშინ, როდესაც ტიერმა, ჟულ ფავრმა და სხვ. ოთხმოცი ათასიც ვერ შეკრიბეს. როშფორის გავლენამ ამოარჩევინა იმისთანა დეპუტატები, როგორც ტოლენი (მუშა), ტირარი (მუშა), ედუარდ ლოკრუა, რანკი, მილიერი (მუშა) და სხვ. და სხვ. ისე, რომ პარიჟელი დეპუტატები სულ დარჩეული და დაწინაურებული რესპუბლიკელები იყვნენ. მაგრამ იმ დროს პარიჟის გაზეთები პროვინციაში ვერ იგზავნებოდნენ, და ამ პროვინციაში, უგაზეთოთ, უკითხავათ, ერთ-ორ-სამ დღეში ამოირჩიეს ეს დეპუტატე-

ბი, რომელნიც ხალხის წინ ომის შეწყვეტის მქადაგებლად გამოვიდნენ, რადგანაც იცოდნენ, რომ დაღალული ხალხი მშვიდობიანობის მოსურნე არისო. ამ სახით მონარხიელებმა დეპუტატობა ხელში იგდეს, თუმც კენჭის ყრის დროს არც ერთს იმათგანს მონარხიელი ვარო, არ გაუმხელია და რესპუბლიკის წინააღმდეგ ერთი სიტყვაც არ გამოუთქვამს.

VI

თებერვალში (1874 წ.) ბორდოს ქალაქში ნაციონალური კრება გაიხსნა. დეპუტატებმა რომ ერთმანეთი დაათვალიერეს და დაითვალეს, გამოჩნდა, რომ რესპუბლიკელები ერთობ ნაკლებათ იყვნენ და კრების უმრავლესობა მონარხიელებს ეკუთვნოდა. მონარხიელებმა მაშინვე მოინდომეს მონარხიის დაარსება და მეფის დაყენება, მაგრამ მათ საუბედუროთ ისინი თუმც რიცხვით ბევრი იყვნენ, ერთობა არ ჰქონდათ და ვერც ექნებოდათ. ისინი თვითონ სამ ნაწილად იყვნენ გაყოფილნი, ერთის მხრით ლეგიტიმისტები იდგნენ, მეორეს მხრით ორლეანელები და მესამით — ბონაპარტისტები; თითოეული პარტია თავის „კაროლის" დაყენებას ცდილობდა. მაშინ ტიერმა აზრი შეიტანა ამ ყამათ ნურც ერთი პარტია ნუ მოინდომებს ხელმწიფის ამორჩევას, ან სახელმწიფო წესის საბოლოოთ დაარსებასო, როგორც ვართ ეხლა, ისე დავრჩეთ რამდენიმე წლის ვადითო, ნურც მონარხია იქნება. ნურც რესპუბლიკა დაარსდება სამუდამოთო, დროებით ყველაფერი დღევანდელ მდგომარეობაში დავტოვოთ, გერმანელებს შეურიგდეთ, ჯარი შევამზადოთ, ფული შევაგროვოთ გერმანელების გასასტუმრებლათ, და მერმე, როცა საფრანგეთი სულს მოიდგამს, ისევ პარტიების ბრძოლა ატყდეს და მაშინ გადაწყდეს — მონარხია იქნება საფრანგეთში თუ რესპუბლიკაო. ეს აზრი ყველამ მიიღო, იმას „ბორდოს მორიგება" დაერქვა (La pacte de Bordeau) და მმართველად, „დროებითი" რესპუბლიკის პრეზიდენტათ ტიერი გახდა.

მაგრამ აი, როგორ დაიცვეს მონარხიელებმა ეს ვითომ-მორიგება: სამართალი რომ სადმე ყოფილიყო, არც ერთი პარტიის ჩუმათ ან აშკარათ ჩაკვლა და დამცირება არ უნდა მოენდომა დანარჩენ პარტიებს, არც ერთის წინააღმდეგ არ უნდა ხმარებულიყო მთავრობის ძალა, ყველას თავთავისი მდგომარეობა და იარაღი უნდა შეენახა და წინააღმდეგი პარტიის საკენელათ არ უნდა ეხმარა, სანამ მორიგების ბორჯი არ გაივლიდა. მონარხიელებმა კი პირველივე დღიდგან დაიწყეს რესპუბლიკური პარტიის დევნა. ვინც რესპუბლიკელი იყო ჯარში, უმაღლეს ხარისხებში, ყველანი სამსახურიდამ

დაითხოვეს ან უადგილოთ დატოვეს: ფედერბს, დანფერს (ბელფორის დამცველს), კრემერს (რომელმაც ნიუისთან დაამარცხა გერმანელები) და სხვ. და სხვ. სამსახური და ჯარის უფროსობა მიატოვებინეს; ვინც რესპუბლიკური პარტიიდამ დაჯილდოვებული იყო ჩინით ომის დროს გამარჯვებისთვის, ან გონიერი საქციელისთვის, ყველას ჩინები ჩამოართვეს. პარიკის ხალხს, რომელმაც ისიც იყო ხუთი თვის გმირული ყოფაქცევით თავი ისახელა, მონარხიელები საგანგებოთ სტუქსავდენ და აწუხებდენ. პირველათვე გადაწყვიტეს, რომ პარიკი სატახტო ქალაქი აღარ იქნებაო. პარიკელებს და დიდი ქალაქების მცხოვრებლებს იარაღი აეყრებაო, ნაციონალური გვარდია (მცხოვრებლებიდამ შემდგარი ჯარი, რომელიც შინაურ წესიერებას უნდა იცავდეს) უნდა დაიშალოს და მოისპოსო და სხვ. და სხვ. რესპუბლიკური გაზეთები პანტასავით იკრძალებოდენ: დღე ერთი იყო და რესპუბლიკური გაზეთების ძალით მოსპობა კი ხუთი. ვინც რესპუბლიკელი იყო სადმე სამსახურში ან პრეფეკტათ (გუბერნატორათ), ან მსაჯულათ, ან სხვა გავლენიან თანამდებობაზე, ყველანი გამოყარეს და მათი ადგილი მონარხიელებს მისცეს. ერთი სიტყვით, ცხადი იყო, რომ მონარხიელები „ბორდოს მორიგების“ წინააღმდეგ რესპუბლიკის ჩუმათ დაკვლას აპირებდენ, ან, როგორც მაშინ როშფორმა კრებაში თქვა, და როგორც მის შემდეგ მთელმა საფრანგეთმა გაიმეორა, მონარხიელებმა განიზრახეს „რესპუბლიკის გაიცვერულად ჩაჯიბვა.

რესპუბლიკურ პარტიას, რასაკვირველია, კარგათ ესმოდა, რას აპირებდენ მონარხიელები, მაგრამ მისი მოთავენი ერთი და იმავე აზრის როდი იყვნენ იმაზე, თუ როგორ და რა საშუალებით ემოქმედნა რესპუბლიკელებს მონარხიელების პლანების დასანგრევათ. ვითომ-რესპუბლიკელები იმით იყვნენ დაკმაყოფილებული, რომ ამათგანს ჟულ-ფავრს, ჟულ-სიმონს, პიკარს და სხვ. ზოგიერთი საბინისტროები შეარჩინეს, იმ განზრახვით, რომ მათი ხელით და რესპუბლიკის სახელით გერმანელებთან სასასირცხო შერიგება დაებოლოებიათ და რესპუბლიკელები დაეუძლურებიათ. მეორე ნაწილი რესპუბლიკელებისა (მაგალითად გრევი) იმ აზრის იყო, რომ რესპუბლიკური პარტია მარტო კანონიერ ღონისძიებას უნდა ხმარობდეს, და მაშასადამე უნდა იცდიდეს, სანამ პალატაში უმრავლესობა რესპუბლიკელი შეიქმნებაო. მესამე ნაწილი — გამბეტას მომხრენი — ამბობდა, რომ შესაძლებელია იმ რიგათ ოსტატურათ მოვიქცეთ ამავე პალატაში და ისე ხერხიანათ წავიყვანოთ ბაასი და პარლამენტური ბრძოლა, რომ ტიერი ჩვენსკენ გადმოვიბიროთ და მონარხიელების გაცალ-ცალკავებით ვისარგებლოთო. მეოთხე ნაწილი კი—

რომელშიც როშფორი იდგა —ამტკიცებდა, რომ ჩვენ არავინ დაგვზოგავს, ჩვენს წინააღმდეგ არაფერი საშუალების და იარაღის ხმარებას არ ითაკილებენო, და ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება უფრო გაეძლიერდეთ, უფრო კარგათ დავიარაღდეთ, შეკერთდეთ და დისციპლინას შევეჩვიოთ, იმ დღისთვის, როცა ნაციონალური კრება კაროლის დასმას მოინდომებსო: მაშინ ჩვენ ძალით თუ არა, სხვანაირ მოქმედებით რესპუბლიკას ვერ დავიცავთო.

მაშინდელი გარემოებები ისეთ რიგათ იყვნენ განწყობილნი, რომ უმთავრესი ქალაქების ხალხი ამ უკანასკნელ ნაწილს ეთანხმებოდა, და მარტო ეს უკანასკნელი რჩეება მიაჩნდა საფუძვლიანათ. ამის გამო ყველა დიდი ქალაქების მცხოვრები იმას ცდილობდა. რომ წინათვე დამზადებულიყო იმ დღისათვის, როცა რესპუბლიკას უკანასკნელი განსაცდელი მიადგებოდა, როცა კრება კაროლის დასმას მოინდომებდა. იმ დროს ხალხის გონებაზე და მიმართულებაზე უმთავრესი გავლენა იმ პარტიას ჰქონდა, რომელსაც როშფორი ეკუთვნოდა.

მაგრამ მონარხიელები სულელები როდი არიან; ისინი ხერხებს და ინტრიგებს ძლიერ ოსტატურათ ახერხებენ. ამ მდგომარეობაში იმათ იფიქრეს, რომ კაროლის პირდაპირ დასმა მეტის-მეტათ ძნელია. და არც კეთილი მეფობა ექნება იმ კაროლს, რომელიც თავის პირველ ნაბიჯს ხალხის სისხლში ჩაადგამსო. სჯობს ამ თავითვე რესპუბლიკის სახელით შფოთი აუტეხოთ, ან ავატეხინოთ რესპუბლიკელებს, დავამარცხოთ, დავხვრიტოთ უმჯობესები, დავკარგოთ გავლენიანი პირები, და მერმე, დასუსტების შემდეგ, კაროლის ტახტზე აყვანა ერთობ ადვილი საქმე იქნებაო.

ამ განზრახვით მონარხიელებმა პარიჟის ხალხი აბრაზეს, ჯერ იმ კანონით, რომ პარიჟის შემორტყმის დროს ვექსილების ბორჯი რომ შეჩერებული იყო, ყველა ამ ვექსილების ფული ეხლავე უნდა გადახდეს მოვალესო; მერმე იმ კანონით, რომ პარიჟის შემორტყმის დროს სახლის ქირები, რაც დაგვიანებული იყო, ყველანი სრულებით უნდა ეზღოს სახლის პატრონებსო; და მესამე იმით, რომ მუშა ხალხმა რაც ზარბაზნები ჩამოასხმევინა თავისი ფულით და თოფიარაღი შეიძინა, ყველა ერთიანათ უნდა მმართებლობას მისცესო.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ პარიჟელი ხალხი ხუთი თვე მშიერი იყო, პარიჟში დამწყვდეული. ვაჭრობა, აღებ-მიცემობა და სხვა ქალაქებთან მისვლა-მოსვლა სულ მოისპო, მაშასადამე ფულის საქმეებიც ერთობ ძნელ და გასაჭირ მდგომარეობაში იყვნენ. ვექსილების და სახლის ქირების გადახდევინება პარიჟის მეოთხედის გაკოტრებას ნიშნავდა. ამას გარდა პარიჟელები ერთობ გულდამწვარ-

ნი იყვნენ, რომ იმათ ბუთი თვე საქმე გაიჭირვეს, შიმშილი და შეწუხება გასწიეს, მთავრობამ კი ისინი არ ამოქმედა, გერმანელებს ხეირიანათ არ ებრძოდა, მამულს ვნება მოუტანა, და ესლა კი გერმანელებთან ბრძოლის გაგრძელების მაგიერ, სასასირცხვო შერიგებას უწერს და თავის იარაღს ხალხის წინააღმდეგ ხმარობსო. ამ შეწუხებამ, გაბრაზებამ და სხვა წვრილმანმა შევიწროებამ ხალხი იქამდი მიიყვანა, რომ ერთ დღეს, როცა ჯარმა ძალათ მოინდომა ხალხის ზარბაზნების წართმევა, პარიჟელმა მუშა ხალხმა არეულობა მოახდინა და მმართებლობის ჯარი და თვითონ მმართებლობაც პარიჟიდამ გაჰყარა. ეს ამბავი ისე მოხდა, რომ ხალხს არც ერთი გამოჩენილი მოთავე, არც ერთი ხეირიანი წინგამყოლი და დამრიგებელი არ ჰყოლია. ეს გაბრაზების, უიმედობის და მოთმინებიდამ გამოსვლის შედეგი იყო, მეტი არაფრის.

ამ მოუთმენარმა და გაბრაზებულმა მოძრაობამ წინ წამოსწია მაშინვე რესპუბლიკური პარტიის ახალგაზდა მომხრენი, რომელნიც მეტის მეტი გაბრაზებით და ენერგიით შეუდგნენ მონარხიელების წინააღმდეგ ომის მზადებას. მაგრამ თვითონ რესპუბლიკური პარტია კი ამ მოძრაობით დანაწილდა.

ჟულ-ფავრისთანა და ჟულ სიმონისთანა პირები ამ მოძრაობაში მუშა ხალხის აჯანყებას ხედავდენ და მაშასადამე იმათ თვალში ეს მოძრაობა ავაზაკობის მსგავსი მოქმედება იყო. თუმცა პარიჟელები აჯანყების დროს იმის მეტს არას თხოულობდნენ. რომ პარიჟსაც ის საზოგადოებრივი გამგეობა და ქალაქის საქმეების მმართვა მიეცესო, როგორიც ყველა სხვა ქალაქებს და მაზრებს ჰქონდა საფრანგეთში. ამას გარდა, ეს ვითომ რესპუბლიკელები პარიჟის ხალხს და ახალგაზრდობას განსაკუთრებით იმისთვის ემტერებოდნენ, რომ უწინდელი კენჭის ყრის დროს ისინი პარიჟში ერთობ შერცხვენილი და დამცირებული გამოვიდნენ.

გრევის თანამოაზრენი პარიჟის მოძრაობას ეწინააღმდეგებოდნენ, როგორც უკანონოს და ნაციონალური კრების შეურაცხმყოფელს, იმათი აზრით ყოველი რესპუბლიკელი ნიადაგ მარტო კანონიერი და მშვიდობიანი საშუალებებით უნდა მოქმედებდეს და იმ დროს უცდიდეს, როცა მთელი საფრანგეთი განათლდება და რესპუბლიკელებს ამოირჩევს მმართველებად.

გამბეტას პარტია ხედავდა, რომ მოძრაობა ერთობ აჩქარებული, უდროო და დაუმზადებელი იყო. მისი აზრით, იმას ძალადობა ეტყობოდა, და ეს ძალადობა პროვინციელების აღშფოთებას, შეშინებას და მონარხიელებისაკენ გადასვლას დაამზადებდა ვითომ.

ამას გარდა, გამბეტას მომხრეებს როდი სჯეროდა, რომ გამარჯ-

ვება პარიჟელებს დარჩებაო, და ამიტომ როდი უნდოდა იმისთანა საქმეებში გარევა, რომელსაც უეჭველი დამარცხება მოსდევდა.

მოწინავე პარტია კი — ლუი ბლანი, როშფორი, რანკი და სხვა ხედავდნენ, რომ პარიჟელ მოძრაობას გაბრაზების საფუძველი აქვს, მაგრამ შინაგანი ერთობა და საფუძვლიანი, ყველას შემაერთებელი დროშა და პრინციპი არ მოეძებნება. მოძრაობის მოთავეებზე ზოგი (მაგ. ვერმორელი) იმ პრინციპს ქადაგებდა, რომ ფედერაციის წესით გავმართოთ საფრანგეთი და თითოეულ მაზრას, თითოეულ ქალაქს სრული თვით-არსებობა და სხვებთან დამოუკიდებლობა მივანიჭოთო, ზოგი კი მაგ. (დელეკლიუზი და სხვ.) ფედერაციის წინააღმდეგი და მთელი სახელმწიფოს სრული ერთობის მომხრენი იყვნენ. გარდა ამისა, ისინი ხედავდნენ, რომ იმ პირებს, რომელნიც ამ აჯანყებამ წინ წამოწია და რომელთაც მაშინ პარიჟის გამგეობა და ომის წაყვანა ებარა, საკმაო საფუძვლიანობა და დამზადება აკლდათ, ისე, რომ იმათთან ერთათ საქმის წაყვანა გასაჭირი საქმე იქნებოდა...

ამასობაში ნაციონალური კრება ბორდოდამ ვერსალში გადმოვიდა, და ვერსალში დაბინავდა, პარიჟის სიახლოვეს. პარიჟი სულ ერთიანად აჯანყებულების ხელში იყო, და ვერსალში მაშინ ერთობ ნაკლები ჯარი იძიებოდა. პარიჟში რომ აჯანყება მოხდა (18 მარტს) თითქმის მთელი მმართველობა (ტიერი, დიუფორი, პიკარი და სხვ.) და თითქმის ყველა სამინისტროები, ე. ი. მთელი სახელმწიფო მაშინა, პარიჟში იმყოფებოდა, პარიჟელი მოძრაობის მოთავეებმა ის ვერ მოახერხეს, რომ ამ მმართველობის გაქცევა მოეშალათ და ეს პირები და ეს მაშინა ხელში ჩაეგდოთ, თუმც ეს ძლიერ ადვილი საქმე იყო: პარიჟის ჭიშკრების დაკეტის მეტი ამას არა უნდოდა რა. ეს მძიმე შეცდომა იყო, მაგრამ ამ პირველ შეცთომას დიდი ვნება არ მოჰყვებოდა, მასზედ მეორე უარესი შეცდომა რომ არ დასკვნოდა. პარიჟელი მოძრაობის მოთავეებს იმ დროს მეტი ძალა და ჯარი ჰყავდათ ხელში, ვინემ ვერსალის მმართებლობას და კრებას. პარიჟელები რომ მაშინვე ვერსალისკენ წასულიყვნენ, ეს ქალაქი აეღოთ და კრება შეეპყრათ, მთელი საფრანგეთის ბედი მათ ხელში იქნებოდა, და არსაიდამ არაეითარი წინააღმდეგობა არ ატყდებოდა. მაგრამ მოთავეებმა ეს ვერ მოახერხეს. ამის მაგიერ იმათ ურთიერთში ბაასი გამართეს იმაზე, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს პარიჟის გამგეობა: ნაციონალური გვარდიის წარმომადგენლებს, თუ ხალხისაგან ამორჩეულ გამგებლებს (კომუნას). და ამ ბრძოლამ რამდენიმე კვირის განმავლობაში ყველა მოთავეების დრო და ძალა შთანთქა. ვერსალელები კი, ამასობაში ჯარს და იარაღს იმზადებდნენ...

ამ ორმა შეცთომამ მოწინავე პარტიის მოთავეებს აშკარათ და-

ანახა, რომ შემდეგში პარიჟელი მოძრაობა შეცთომებით და უხეირო დროს კარგვით სავსე იქნებაო, და მაშასადამე იმას აუცილებელი დამარცხება და უნაყოფობა მოსდევსო. ამ მოაზრების გამოისობით ეს მოთავეები იძულებული იქმენ ბრძოლაში არ გარეულიყვნენ და თავიანთი გავლენა მარტო იმ მხრით ეხმარათ, რომ ეს ბრძოლა ძმების შუა ერთმანეთის სისხლის სმა არისო, შერიგება და დამშვიდება სჯობიაო, ნუ იბრძვითო, ერთმანეთს უწინდელი შეცდომები და უკმაყოფილება დაუთმეთო და სხვა და სხვა.

ამ დროს ერთი გარემოება კიდევ უშველიდა რასმე პარიჟელ მოძრაობას: რა გზას დაადგებოდენ, როგორ მოიქცეოდენ, სხვა დიდი ქალაქები, მიჰყვებოდენ ისინიც პარიჟის მაგალითს თუ არა. მაგრამ დანარჩენ დიდ ქალაქებში მოწინავე პარტიის მოთავეები შეჩერდნენ და თავიანთი გავლენა მარტო „მომრიგებელ" რჩევებს მოანდომეს. შეცთომა იყო ამგვარი მოქმედება პარიჟელი და დიდ-ქალაქების მოწინავე პარტიის მოთავეების მხრით თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს. შეეძლოთ თუ არა იმათ, ბრძოლაში რომ გარეულიყვნენ, ბრძოლის ბედის შეცვლა და მოძრაობისათვის ხეირიანი მსვლელობის მიცემა, ამისასაც დღეს კაცი ვერას იტყვის, ამიტომ, რომ საკმაო მასალები არ გამოცხადებულა ჯერ ამ მოძრაობის შინაგანი მხრის გასაცნობათ. საქმე კი ისე წავიდა, რომ დანარჩენი დიდი-ქალაქების წარმომადგენლები და მოთავეები ვერსალში მოვიდნენ და იქიდამ პარიჟში შეევიდნენ იმ აზრით, რომ ვერსალი და პარიჟი შეერიგებინათ. პარიჟელმა მმართებლობამ ისინი ცუდათ გამოისტუმრა, უთხრა, მორიგების ჩვენ არა გვწამს რაო, და ვერსალელმა მმართებლობამ (ტიერმა) პატიოსანი სიტყვა მისცა, ნაციონალურ კრების თანხმობით, რომ თქვენ, დიდი ქალაქები ოღონდ ბრძოლაში ნუ გაერევით, პარიჟს ნუ დაეხმარებით, მის მაგალითს ნუ მისდევთო, და ჩვენ რესპუბლიკას არ შევეხებით, რესპუბლიკას არ უღალატებთ, ოღონდ პარიჟს დავიმორჩილებთ და მთელი საფრანგეთის წინააღმდეგ არ ვიმოქმედებთო. ეს პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა ტიერს იმ დეპუტაციამ, რომელიც დიდმა ქალაქებმა მოსარიგებლად გამოგზავნეს, და რომელსაც თავში ბ ა რ ო დ ე, ლიონის მერი ეყენა. ამ პატიოსანი სიტყვით დაკმაყოფილდა დიდი ქალაქების მოწინავე პარტია და თითქმის ყველა რესპუბლიკური პარტიის მოთავენი.

მას აქეთ, რაც საქმე ამ გზას დაადგა, პარიჟის მოძრაობის ბედი გადამწყდარი იყო. იმას ვერაფერი უშველიდა, სასწაულ მოქმედების მეტი, და სასწაულმოქმედება ამ ჟამათ ხომ ერთობ გაძვირდა. როგორც გაბრაზებიდგან დაწყებულ აჯანყებას შეეფერება, პარიჟე-

ლი მოძრაობა გაბრაზებით დაეცა. ის ვერ გაამარჯვა ვერც მებრძოლი მუშა ხალხის და ახალგაზრდობის საკვირველმა გმირობამ, ვერც იმათმა დაუზოგველმა ენერგიამ. ვერც იმ უკანასკნელი გაჭირვების და უიმედობის ბრაზმა, რომელიც უძლურსაც ლომათ და გმირათ ხდის და ძალას ერთი ათათ და ერთი ათასათ უდიდებს. ყველაფერი ამაო შეიქმნა, და პარიჟის მუშა-ხალხი დაეცა.

VII

რას შვრებოდა ამასობაში როშფორი?

როგორც პარიჟის შვილი, ის პარიჟში დარჩა. როგორც მწერალი ის თავის გაზეთში თავის შეხედულებას სწერდა საქმეების მიმდინარეობაზე. როგორც რესპუბლიკელი ის მონარხიელ კრებას არ ზოგავდა და პარიჟელ ხალხს არ ებრძოდა. მაგრამ როგორც კაცი, რომელსაც გამჭრიახათ ესმის ცხოვრების და პოლიტიკის ბრუნვა, ის არ ერეოდა კომუნის მმართველობაში, ის გარს იდგა მაშინდელ მმართებლობიდგან, და მარტო მწერლობით, მარტო თავისი აზრის გამოთქმით ორივე მხარის მოქმედებას აფასებდა და სჯიდა, როგორც მწერალი და ჟურნალისტი.

და როცა ვერსალელმა მმართებლობამ პარიჟს ყუმბარები დაუშინა და პეტროლით სავსე ცეცხლისწამკიდებლის შუშხუნების და ყუმბარების წვიმა დაუშვა პარიჟზე, როშფორმა, პარიჟის შენობების და მონუმენტების, პარიჟელი ხალხის ამოჟლეტის დამსწრემ, დაბეჭდა, რომ ეს ბარბაროსობა, დაუზოგველობა, ავაზაკობა არის ვერსალელი მმართებლობის და ტიერის მხრითო! აი, ვითომ ამის დაწერის გულისთვის გადაუწყვიტა იმას დაკარგვა სამხედრო სამსჯავრომ. მაგრამ იმავე როშფორმა, იმავე პარიჟში, როცა კომუნამ გაზეთების ალაგმა და უსარგებლო მხეცური მოქმედებები დაიწყო, ამ კომუნასაც ისე მოექცა, როგორც ვერსალელ მმართებლობას, და პირდაპირ გამოაცხადა, რომ გიჟები გვიყენია მმართველებათო. გზა და კვლის გაგება არ იციანო, რას შვრებიან და რას არა მისი გაგება თვითონაც არა აქვთ და სხ. ამის გულისთვის ფელიქს პიამ და მისმა მომხრეებმა, რომელნიც მაშინ კომუნის უმრავლესობას შეადგენდნენ, როშფორის დატუსაღება ბრძანეს, და როშფორი პარიჟიდამ რომ არ გასულიყო, იმას იმნაირივე დახვრეტა მოელოდა კომუნის მხრით, როგორც დაიხვრიტა გამოჩენილი რესპუბლიკელი — გუსტავ შ ო დ ე (პრუდონის ბეგობარი და თანამოაზრე).

როშფორი გავიდა თუ არა პარიჟიდამ, პრუსიელების ჯარის ხელში ჩავარდა. ის დაატუსაღეს, მაგრამ ჯარის უფროსმა უთხრა, ჩვენ

უფლება გვაქვს, გინდა გაგიშვებთ, გინდა ტიერის მმართებლობას გარდაქცემთო. როშფორმა არ ისურვა, რომ მისი შველა და დახმარება გერმანელების მხრით დავალება ყოფილიყო, და ამის-გამო ის ვერსალში გაიგზავნა.

ვერსალში ის, რასაკვირველია, დაატუსაღეს. ამისთანა მტერი ჩაუვარდათ ხელში მონარხიელებს, ამისთანა საშიში მოწინააღმდეგე ხელ-ფეხ შეკრული მიეცა ტიერს და ჟულ-ფავრს, პიკარს და ჟულ-სიმონს, და იმას ვინმე დაზოგავდა!?

როშფორი სატუსაღოში ჩასვეს, თუმცა ის მეტის მეტათ ავადმყოფი და უძლური იყო. იმაზე მაშინვე გამოძიება დანიშნეს, და მისი საქმე სამხედრო სამჯავროს მიანდვეს. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ კანონებში ორი უმთავრესი მუხლი ისეთია, რომლიდგანაც ერთი აწესებს, რომ არც ერთი დანაშაულობის და დამნაშავის დასასჯელათ თუ გამოსაძიებლათ არც ერთი, განსაკუთრებული სამსჯავრო არ უნდა დაწესდესო, ყველაფერი მარტო ნაფიცებმა (ჟიურიმ) უნდა გასინჯოს და დასაჯოსო. მეორე მუხლი აწესებს, რომ არც ერთი პოლიტიკურ დანაშაულობისათვის, რაგინდ მძიმე და სასტიკი იყოს, დამნაშავე სიკვდილით არ უნდა დაისაჯოსო. ორივე ეს კანონი დაივიწყა ვერსალის მმართებლობამ. იმან სამხედრო სამსჯავროებს, ესე იგი განსაკუთრებულ, უფიცარ სამსჯავროს მიანდო პოლიტიკური საქმეების განხილვა და სამხედრო კანონის ძალით სიკვდილი გადაუწყვიტა და სიკვდილით დასაჯა ასიოდე პოლიტიკური დამნაშავე. აი ამნაირ „ს ა მ ა რ თ ა ლ ს“ მიეცა როშფორიც.

„სამართალმა“ — ესე იგი სამმა ნაპოლეონის ჯარის აფიცერმა, როშფორი, რასაკვირველია, ყველაფერში დამნაშავეთ იცნო. მაგრამ მონარხიელების და ვითომ-რესპუბლიკელების შეუპოვრობამ იქამდი მიღწევა ვერ გაბედა, რომ ეს ხალხისგან შეყვარებული და მთელ ევროპაში სახელგანთქმული მწერალი მოეკლათ, მით უფრო, რომ მისი სუსტი აგებულება და ციხეში ჯდომით შერყეული ტანის სიმრთელე იმას უიმისოთაც სიკვდილს უქადიდა. ამის გამო, როშფორს სიკვდილი კი არა, ავსტრალიაში დაკარგვა გადაუწყვიტეს, საცა ის ნიადაგ ციხეში უნდა მჯდარიყო.

ამ გადაწყვეტილებამაც მთელი საზოგადოება შესძრა. უმჯობესი მწერლები და გამოჩენილი პირები ტიერს მივარდნენ, სირცხვილია, სხვა არა იყოსრა, ამისთანა ნიჭის და გონების პატრონი კაცი რომ დაიკარგოსო, დასჯა შეუმსუბუქეთო, როგორც ზოგიერთ სხვა, უფრო სასტიკ დამნაშავეებს, მაგასაც ისე საფრანგეთიდამ გაგდება გადაუწყვიტეთო და სხვ. მაგრამ არც ტიერმა, არც მისმა თანამშრომ-

ლებმა ეს არ ისურვეს, და როშფორის სასარგებლოთ მარტო ის მოინდომეს, რომ ავათმყოფობის მიზეზით ის ახალ-კალედონიაში კი არ გაგზავნეს, ერთ მიყრუებულ კუნძულზე ციხეში დაატუსაღეს, სადაც ის ორი წელიწადი იმყოფებოდა: ეხლა კი, ახალმა მმართებლობამ, რომელსაც უფრო მეტი შეუპოვრობა და ბრაზი აქვს რესპუბლიკელებისა, როშფორი ახალ-კალედონიაში გაგზავნა, იქ ციხეში ჩასასმელათ.

VIII

პოლიტიკურ მწერლობაში როშფორმა ის ნაწილი აირჩია, რომელიც იარაღათ დაცინვას, სასტიკ გაკიცხვას და პირდაპირ შეტაკებას ხმარობს. იმან პამფლეტი ირგო ხეედრათ და ირონია — იარაღათ. პოლიტიკურ მწერლობაში საზოგადოთ და საფრანგეთისაში განსაკუთრებით, საქმე და შრომა ისეთნაირათაა განაწილებული, რომ ზოგი მწერალი ყოველ პოლიტიკურ მოვლენას მეცნიერების თვალით შეჩერებია და იკვლევს, მის მიზეზს და მნიშვნელობას არკვევს, მის ხასიათს იგებს და მის მოსახდენ საშუალებას, მის სამაგიერო საგანს ან მოვლენას ეძებს ან ამზადებს. ამისთანა მწერლებს საზოგადოებაზე კი არა, ნასწავლ პირებზე, პოლიტიკურ მოთავეებზე და მოაზრეებზე აქვთ გავლენა: ისინი პოლიტიკურ მეცნიერებას, საზოგადოებრივ სწავლას წინ სწევენ და აძლიერებენ. ამგვარია, მაგალითად იმისთანა მწერლების და მოაზრეების შრომა, როგორც სენ-სიმონი, ფურიე, ლუი ბლანი, მილლი, და სხვ. მაგრამ ამ მეცნიერების შრომას საზოგადოება ვერ კითხულობს, იმიტომ რომ მათ გასაგებათ დამზადებული არ არის. მათ თხზულებებს კითხულობენ, მათ აზრს იგებენ სხვა მწერლები, რომელნიც მეცნიერების მიმართულებით და აზრებით დაიარაღებულნი გამოდიან და ყველასთვის გასაგები ენით, ყველასთვის მისახვდომ ნაირათ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს სწერენ და აფასებენ, ისე, რომ მათი აზრი, მათი სჯა და რჩევა საზოგადოებას პირდაპირ ტვინში გაუჯდეს. ზოგი ამ მწერლებთაგანი დამჯდარ, დალაგებულ წერას მიაწვება, ზოგი ოხუნჯურ დაცინვას, ზოგი სასტიკ კითხვას და გესლიან ლანძღვას. — ზოგი ირონიას ხმარობს, ზოგი — სარკაზმს, ზოგი — გრძნობიერ წერას, ზოგი მოთხრობის კილოს, ზოგი რას და ზოგი რას. მაგრამ ყველას კი ერთი მიზანი აქვს: თავისი აზრის და რჩევის გაგებინება მკითხველი საზოგადოებისათვის.

იმ ნაწილს, რომელსაც დაცინვა და კიცხვა აქვს იარაღათ, საზოგადოთ ის ხასიათი აბეჭდია, რომელსაც მწერლობაში სატირულ ან

პამფლეტურ კილოს ეძახიან. აქ მწერალი დროს როდის ჰკარგავს გრძელ და დაუბოლოებელ ქადაგებაში. ის თავის აზრს სასტიკ და მძლავრ სიტყვებით გამოთქვამს, ორიოდე მის ასახსნელ ან დასამტკიცებელ საბუთს ან მოაზრებას დაართავს, მკითხველს გააცინებს და ამ სიცილით თავის აზრს ბეჯითად ტვინში ჩაუტოვებს და აქვე სხვა საგანზე, სხვა პირზე ან სხვა მოვლენაზე გადავა. ამგვარი მწერალი ან ნიადაგ იმისთანა საგანს, პირს და მიმართულებას უნდა შეეტაკებოდეს, რომელიც გაცალ-ცალკავებულ საზოგადოებას არ სწამს ან კიდევ სძულს, თუმც საქვეყნოთ კი ჯერ ეს სიძულვილი არ გამოაშკარავებულა; ანა და თვითონ იმოდენათ სახელგანთქმული და სანდო პირათ ნაცნობი უნდა იყოს საზოგადოებისაგან, რომ მის სჯას და კიცხვას მკითხველი უჯერებდეს და დარწმუნებულიც იყოს, რომ თუ ეს მწერალი ამა და ამ მოვლენას, საგანს ან პირს ჰკიცხავს, უთუოთ საჭირო ყოფილა მისი გაკიცხვა და სავნებელი ყოფილა ეს მოვლენა, საგანი ან პირი. ამის გამოისობით ამგვარ მწერალს თითოეულ, თავისი სჯის ან კიცხვის გამოთქმის დროს დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა სჭირია, რომ უთავბოლო ან უმიზნო კიცხვით და სასარგებლო ან პატიოსანი პირების და მოვლენების ძაგებით თავისი საკუთარი სახელი და ნდობა არ დაჰკარგოს საზოგადოებაში.

დაცინვა და კიცხვა ისეთი ძნელი იარაღია, რომ მისი ხმარება ერთობ მძიმე და საშიშოა თითქმის ყოველი მწერლისათვის. ჯერ ერთი ეს, რომ დამცინველი და გამკიცხველი გონება გახსნილი და საფუძვლიანათ დამზადებული კაცი უნდა იყოს, რომელმაც იცოდეს თითოეული კერძო მოვლენის სწორათ გაგება და ღირსებულათ დაფასება. ის როდი უნდა სცდებოდეს თავის სჯაში, ის ნათლათ უნდა მიხვდებოდეს რა კავშირი აქვს კერძო შემთხვევას ან მოვლენას საზოგადო ცხოვრებასთან და რა მნიშვნელობა ექნება იმას მისთვის. ამაებში შეცდომა, მოვლენების ხასიათის გაუგებლობა. უსაფუძვლო დაცინვა და უადგილო გაკიცხვა ყოველთვის მარტო დამცინველს ან გამკიცხველს აგნებს, სხვას კი არავის. მეორე მხრით, ამგვარი მწერალი ერთი-ორი სიტყვით უნდა გამოთქვამდეს იმ აზრს, რომელსაც სხვები მთელი ათი-თუთხმეტი თაბახის გაჭრელებით გამოიყვანენ ხოლმე. ის ნიადაგ იმას უნდა ცდილობდეს, რომ მისი აზრი რაც შეიძლება ნაკლებ ადგილზე დაეტიოს, მისი სიტყვა რაც შეიძლება უფრო მოკლე იყოს, მისი ნაწერი მარტო ანდაზებსავით შემოკლებული და გამოთქმული აზრების წყობისგან იყოს შემდგარი. და ამას დიდი ნიჭი, დიდი ფიქრი და მოაზრება სჭირია, სწავლა და ცოდნა, გამოცდილება და მეხსიერება ხომ თითოეულ სტრიქონში, თითქმის თითოეულ სიტყვაში უნდა სჩანდეს.

აი ამ მიზეზების გამოისობით ძლიერ იშვიათია ამგვარი მწერლები, მაგრამ სამაგიეროთ იმათ ყოველთვის უფრო მეტი მკითხველი ჰყავთ და გავლენა აქვთ, ვინემ სხვა კილოზე მშრომელ მწერლებს, მათი ნათქვამი საზოგადოებას უფრო ადვილათ ესმის, უფრო ბეჯითად ამახსოვრდება და ხალხში უფრო მსწრაფლათ ვრცელდება.

საფრანგეთის მწერლობაში ამ საუკუნეში ათიოდე გამოჩენილი მწერალი იყო ამ კილოზე მშრომელი, მეტი არა, იმათგან თითოეულმა თავისი საკუთარი, განსაკუთრებული ბეჭედი დაასვა: ზოგმა — მწერლობის კილოს, ზოგმა — ფრანციული ენისა და სტილის ხასიათს, ზოგმა სარკაზმის ან ირონიის იარაღს. იმათგანი — რაბლეს და ვოლტერს, პასკალს და ბომარშეს რომ თავი დავანებოთ და მარტო ამ ასი წლის მწერლობაზე შევჩერდეთ ყველაზე უფრო შესანიშნავი იყვნენ, მწერლობის მხრით, კამილ დემულენი, შამფორი, პოლ-ლუი კურიე, ალფონს კარი და პროვე პარადოლი. დემულანის კილოს საზოგადოთ ის ხასიათი ჰქონდა, რომ მისი მკითხველის თვალს წინ ნიადაგ გულკეთილი, გრძნობით სავსე და პატიოსანი მიზნის და ხასიათის მქონე კაცი სდგას, რომელიც ოხუნჯობით, ლაზათიანი შედარებებით და მშვენიერი დაცინვით მკითხველს საზოგადო საქმეებზე ემუსაიფება, ისე რომ ის თითქო უნებურათ და უნდომათ იგებს მკითხველის გულს და გრძნობას. ამასთანავე ის ხანდისხან ნამდვილი გულმოსულობით და სიფიცხით ლაპარაკობს მისი პარტიის მოწინააღმდეგეებზე, მაგრამ ამ სიფიცხეში უფრო გულჩვილი და კეთილი კაცის წუთიერი გულმოსულობა ისმის, ვინემ ერთი მიზნის მსდევნელი, ნიადაგ ერთ გამოკვლეულ გზაზე მდგომი მოთავის შეურყეველი და გამოზომილი სჯის ან კიცხვის გამოთქმა.

შამფორი უფრო წვრილმან მხარეებს ეხებოდა ხოლმე, იმან ჩინებულათ იცოდა მოწინააღმდეგის სისუსტე, ის კარგათ იცნობდა წინააღმდეგი პარტიის შინაურ ცხოვრებას, და იარაღათ ის უფრო ხშირათ ოხუნჯურ ანეგდოტებს და ამბებს ხმარობს მოწინააღმდეგე პარტიის წევრების მასხარათ ასაგდებლათ ან მათი გავლენის მოსასპობლათ. ის ამით არა თუ მარტო საზოგადოებაში უტეხს იმას სახელს, მათ საკუთარ თვალშიაც მათ ღირსებას ამცირებს, მათ რწმუნებას ჰკაფავს თავიანთ თავზე და ამ საშუალებით იმათ რაზმს აცალცალკავებს, იმათ ძალას ასუსტებს და იმათ გამბედაობას სულ ერთიანათ აშხამებს. ის გესლიანი „ამბებით" აბრაზებს, ახტუნებს და ღელავს თავისი პარტიის წინააღმდეგებს, თავშეკავებულ მოქმედებას აჩვევს, მორიდებას აძალადებს, ისე რომ ამნაირი წერით მისი მოწინააღმდეგე პარტია თავისი მოაზრების უმეტეს ნაწილს იმაში ჰკარგავს, ვაი თუ ამა და ამ საქმისათვის, ამა და ამ სიტყვისათვის მასხა-

რათ აგვიგდონ და ბაიყუშათ გამოგვიყვანონო. ამ მხრით შამფორს დიდი გავლენა და მნიშვნელობა ჰქონდა. მით უფრო რომ მისი მოთხრობითი ნიჭი ძლიერ შესანიშნავი და ძლავრი იყო.

პოლ-ლუი კურიემ სულ სხვა ნაირი კილო შემოიღო. ის სწერდა ბურბონების უფლების დროს, როცა გლეხ-კაცობას ერთობ გული ეწვოდა და როცა მოქალაქეები „ლიბერალურ" მიმართულებას თაყვანს სცემდენ. ამ მდგომარეობაში კურიემ დაიწყო წერა თითქო სოფლელი გლეხი კაცი, გულკეთილი და თავისუფლების მოყვარე, თავის გლეხურ შეხედულებას გამოთქვამდა საზოგადო საქმეების მსვლელობაზე. მკითხველს წინ უდგა გონიერი და მშრომელი გლეხი, ადგილ-მამულის პატრონი და კისრამდე შრომაში ჩაფლული, რომელიც ნიადაგ იმას სჩიოდა, რომ დიდკაცობის უფლება და მმართველობა კონსტიტუციის და წერა-ბეჭდვის სიმართლეეშის დარღვევა და მთავრობის მხრით მიდგომა და ძალადობა ცხოვრებას მიჭირვებს და შრომას მიძნელებსო. მაგრამ, თუმც ამ გლეხის ჩივილი გასაგები და მწარეც იყო, ხალხს მისი არ გაეგებოდა რა, იმიტომ რომ იმ დროს ხალხმა არც წერა-ბეჭდვის საჭიროება იცოდა, არც კონსტიტუცია, არც მინისტრების მიდგომა და დეპუტატების მოქრთამვა. ხალხს მაშინ სულ სხვა ეკონომიური, წუთიერი გასაჭირი ადგა. იმას თავში ის ჰქონდა, მიწა-წყალს ხომ არავინ წაგვართმევსო, დიდ-კაცობას უწინდელ უფლებებს ხომ არავინ დაუბრუნებსო, უწინდლურათ ყურმოჭრილი ყმა ხომ არ შევიქნებითო თავად-აზნაურობისა და სხვ. და ამ მხარეებს კურიე იშვიათათ ან სრულიადაც არ შეეხებრდა.

ალფონს კარი უფრო ხვავიანი მწერალია, მაგრამ იმას დიდი გავლენა და მნიშვნელობა არასოდეს არ ჰქონია, თუმც ნიჭით ის ძლიერ შესანიშნავია. იმან შემოიღო სულ სხვა ნაირი კილო. ის მწარეთ და გესლიანათ ბ ა ა ს ო ბ ს, ოხუნჯობს და ლაზღანდარობს და ყველაფერში ყველაფერზე უფრო მეტათ იმას, რომ რაც შეიძლება უფრო შემოკლებულათ და ლაზათიანათ შეთანხმებული ფრაზები გამოთქვას, ისეთები რომ ანდაზათ გადავიდენ საზოგადო მუსაიფში და წერაში იმან გამოთქვა. მაგალითად, ის ფრაზა, რომ სიკვდილით დასჯა მოისპოს, მაგრამ მარტო იმ პირობით „რომ ეს საქმე ჯერ კაცისმკვლელებმა დაიწყონო". ამგვარი ტკაცა-ტკუციანი ფრაზების გულისთვის ის არც კარგს, არც ავს ზოგავს; მისთვის ერთია რომელი პარტია გაიმარჯვებს, ოღონდ კი იმას ლაზათიანი ფრაზის შედგენა და პოვნა შეეძლოს. ამასთანავე ის სულით და გულით რეაქციონერია. იმას ახალი არაფერი სწამს. და ყოველ ახალ აზრს, ყოველ ახალ მიმართულებას და სწავლას ის ნიადაგ ებრძვის იმით, რომ ორიოდე

სასაცილო წვრილმან მხარეს გამოუძებნის და დაიწყებს მის კიცხვას და განზე ოხუნჯობას და სიცილს. და რადგანაც ძველ და დამპალ მიმართულებას არც საკმაო მასალა აქვს, არც საკმაო ძალა, ამისგამო ალფონს. კარი ძლიერ ხშირათ ერთ და იმავე დაცინვას იმეორებს, ერთ და იმავე ფრაზებს გამოთქვამს, ისე რომ მის ნაწერში ვისაც ორიოდე სტატია წაუკითხავს, იმას დანარჩენი ზეპირათ გაცნობილი აქვს.

პრევო-პარადოლი მეტის მეტი გამოჩარხული და თვალ-მოუკვრელი იარაღით მოქმედებდა. ის დიდი მოწიწებით და მოფერებით დაიწყებდა ლაპარაკს ნაპოლეონის მმართებლობაზე, რომელიმე მის მოქმედებას აწერდა, მის გვერდით დახატავდა რომელიმე კეთილ მიზანს და იტყოდა ჩვენ გვსურს ვიფიქროთ, რომ ეს კეთილი მიზანი აქვს ამ მოქმედებას, და არა სხვა რამ უხეიროო, მაგალითად აი ესა და ესაო. აქედამ დახელოვნებული მკითხველი გამოიყვანდა, რომ თუ მწერალს „სურს" იფიქროს, რომ მმართებლობის განკარგულებას კეთილი მიზანი აქვსო, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ამას როდი ფიქრობსო. ამისთანა ოსტატურ, მაგრამ ძნელათ გასაგებ იარაღს ხმარობდა ხოლმე პრევო-პარადოლი. მაგრამ მისი ნაწერის უფრო მძიმე ნაკლულევანება მის მიმართულებაში მდგომარეობდა, რომელიც ერთობ ვიწრო და წვრილმანი იყო. ის მარტო იმ მიზანს სდევდა, რომ საფრანგეთში ორლანელობის შინაარსის უპირატესობა დაემტკიცებია, და ამ მიზნის მიხედვით ის არც ერთ იმ მხარეს არ ეხებოდა, რომელიც ხალხის და საზოგადოების უმეტესი ნაწილის გულისწადილს ან გულისტკივილს აღძრავდა. ამ მიზეზით მის ნაწერს ყოველთვის მარტო პატარა წრეზე. მხოლოდ განათლებულ საზოგადოებაზე ჰქონდა გავლენა, და არა ხალხზე ან მთელ მკითხველ საზოგადოებაზე.

თვითონ ენის, კილოს და სტილის მხრით, უწინდელი მწერლები ერთობ ნასწავლ, მძიმე ან ძნელათ გასაგებ წყობილებას ხმარობდენ. მათი ენა მწერლური, გამოჩარხული, მშვენიერათ გალაზათიანებული და სასიამოვნო გასაგონი ენა იყო, მაგრამ იმას ყოველი წერაკითხვის მცოდნე კი ვერ გაიგებდა. ფრაზა გრძელი, დახლართული და გადაკვრაჭინებული იყო, ნაწერს ხალხის ან საზოგადოების ნამდვილი ლაპარაკის კილო როდი ჰქონდა. ერთი აზრი ორი, სამი, ხანდისხან ათი ფრაზითაც გამოითქმოდა, ისე რომ მკითხველი სანამ ყველა ამ ფრაზებს არ წაიკითხავდა. მწერლის აზრს ვერ გაიცნობდა. ერთი სიტყვით, იმათ ნაწერს ნასწავლი მწერლობის მძიმე ბეჭედი აჩნდა.

როშფორმა კი სხვანაირი სტილი შემოიღო, რომელიც დღეს

თითქმის მთელმა საფრანგეთის მწერლობამ კანონათ მიიღო. ის მოკლე ფრაზებით, ორიოდე სტრიქონით გამოთქვამს თავის აზრს და წერაში იმ ენას ხმარობს, რომლითაც დღეს ხალხი და საზოგადოება ლაპარაკობს. მისი ნაწერი ფეროვანი და შეფერილი როდია, მაგრამ თითოეულ მის აზრს შედარება ან სურათი სხნის და ამშვენებს, მისი წერა იმ „კალმით მხატვრობას" ჩამოგავს, რომელიც მარტო შესანიშნავს, გამოაშკარავებულს, ყველაზე უფრო შესამჩნეველს შტრიხებს და ხაზებს ნიშნავს, და წვრილმან შეფერვას ან დაწვრილებით ლანდების და ჩრდილის გამოხატვას არ დასდევს. ერთი-ორი გაკვრით, კალმის ორიოდე გასმით, თქვენ წინ სურათის უმთავრესი ხაზები იხატება, ისე რომ თქვენ ძლიერ კარგად გაიცნობთ ამ სურათს, მის მსგავსებას ნიშნავთ და დანარჩენი კი თქვენმა საკუთარმა მეხსიერებამ უნდა შეავსოს, თუ ეს საჭირო იქნა. როშფორის სტილი აჩქარებული კაცის მსწრაფლ ლაპარაკს ჰგავს, ის როდი დაეძებს თქვენ დალაგებით და დაწვრილებით „გიამბოს" თავის სათქმელი. ის უცფათ, გურულსავით თითქმის ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით, შედარებებით, და სურათებით, რაც სათქმელი აქვს მოგაყრის, და სხვა საგანზე გადავა. თქვენი საკუთარი გონება უპატრონებს ამ ზედიზედ მოყრილ აზრებს და სურათებს.

თვითონ დაცინვის კილოზე და საგანზე აი რა ითქმის. ეხლანდელი საფრანგეთის იუმორისტები რომ შეადაროს კაცმა, ვნახავთ, მაგალითად, რომ როგიუსტ ვილმო თითქმის ნიადაგ სიტყვების მსგავსებაზე და ზმაზე აფუძნებდა თავის ხუმრობის ძალას; ალბერ ვოლფი თითქმის ნიადაგ იმ იარაღს ხმარობს, რომ მძიმე ან პატივსაცემ საგნებზე სუბუქი შეურაცხმყოფელი ენით ლაპარაკობს, და წვრილმან ან უმნიშვნელო საგნებს მძიმე და მოწიწებული სიტყვებით ეხება. ორივეს, აგრეთვე, თვისებათ უცაბედი, მოულოდნელი სიტყვების ხმარება აქვთ, ისეთების, რომელსაც მკითხველები, ფრაზის კითხვის დროს სრულიადაც არ ელის და რომლის უადგილო ჩაკვეტება იმას უეჭველად აკვირვებს და შეაჩერებს. სპარსეთში „შაჰზე, ვთქვათ, აი რას დასწერდა ვოლფი: „შაჰი როგორც იქნა მოვიდა პარიჟში. იმას შეხვდა ყოვლად ბრწყინვალე, მზეთა-მზე და მეფეთ-მეფე (კაცი აქ ან მაკ-მაჰონის, ან რომელიმე მმართველის სახელს ელის, და მის მაგიერ კი მწერალი აგრძელებს) ეკიპაჟიო... და სხვ. ეს მკითხველს გააკვირვებს, გააღიმებს, გააცინებს კიდეც, მაგრამ საფუძვლიანი შთაბეჭდილება და აზრი ამ დაცინვას როდი მოსდევს.

როშფორის იუმორი სიტყვების გაწყობაში კი არა, აზრების წინააღმდეგობაში ან ოსტატურათ დაახლოვებაში მდგომარეობს. ის თუმც ხშირათ შუშხუნიან, ბასრ სიტყვის წყობილებას და ფრაზებს

ხმარობს, მაგრამ უფრო ხშირათ აზრების უსაფუძვლობას და სი-სულელეს გამოაჩენს ხოლმე მათი შეთანასწორებით და ორათ გა-ყოფით. „დილემათ“ ხმარებით. მაგალითს მოვიყვანთ ამის ასახს-ნელს. ერთ ოფიციალურ გაზეთს ის ამბავი დაებეჭდა, რომ „ნაპო-ლეონი ამ დღეებში შარანტოში მიდის გიჟების სახლის დასათვალი-ერებლათ, და შარანტონის მცხოვრებლები ამ ამბავს მეტის. მეტათ გაუხარებიაო“. ვილმო ამაზე უსათუოთ იმას დასწერდა, რომ ეს გი-ჟური სიხარული, სასიხარულო გიჟობა არისო, ან ამნაირ რასმე, ვო-ლფი — გიჟებზე მოწიწებით ილაპარაკებდა და ნაპოლეონზე კი აგ-დებით ან უთავაზიანოთ. როშფორი კი აი რას სწერდა (ვიხსენებთ ზეპირათ): „ორში ერთი აზრი უნდა მივიღოთ: ან შარანტონის გი-ჟები მართლა გიჟები არიან, და მაშასადამე იმათ ნაპოლეონი მოდის თუ არა არც კი ეცოდინებათ, ან არ გაეგებათ, ანა და ისინი გიჟები არ ყოფილან, და მაშასადამე ისინი უსამართლოთ არიან გიჟების სახლში დამწყვდეული. აი, მაგალითად, როგორც სანდონი იყო ორი წლის განმავლობაში დაპერილიო და სხვ“. ამაზე როშფორი ურთავდა სანდონის ამბავს, რომელიც ნაპოლეონის მმართებლობამ საგან-გებოთ გიჟების სახლში ჩასვა, ამიტომ რომ იმას ერთი მინისტრის ყოფაქცევის გამოაშკარავებული საბუთები ჰქონდა ხელში და არ იძლეოდა, არც ყიდდა იმათ. როცა ამაზე მმართებლობამ როშფორს უპასუხა, სანდონი ექიმებმა ჩააჯინეს გიჟის სახლშიო, როშფორმა დაწერა, რომ „თუ სანდონი გიჟი იყო, ბილიოს (მინისტრის) სიკვდი-ლის მეორე დღესვე რათ გამოუშვიათო, და თუ გამოუშვით, ცხადია — რომ სანამ ბილიო ცოცხალი იყო სანდონი გიჟი არ ყოფილაო, ამიტომ რომ იმას ხომ ვერავინ იფიქრებს, ვითომ მინისტრის სიკვ-დილს გიჟების მორჩენა შეეძლოსო. ამისი თქმა იმას მოასწავებს, ვითომ მინისტრები ერთ რამეში მაინც იყვნენ გამოსადეგნი, და ეს, ხომ, აშკარათ უსაფუძვლო აზრი იქნებაო“.

ამგვარი დაცინვა და ხუმრობა როდი ახარხარებს მკითხველს, ის არც სიცილს სძრავს, მაგრამ მაგიერათ საშინელი ძალით რჩება მის ტვინში და მეხსიერებაში და საზოგადოდ გონებაში ის იმ კვალსა და გავლენას სტოვებს, რომელსაც ყოველთვის აჩენს მტკიცეთ გა-მოთქმული მარჯვე და საფუძვლიანი მოაზრება.

აი, ამ მარჯვე და საფუძვლიანი მოაზრების მტკიცეთ გამოთქმა-ში მდგომარეობდა უმთავრესი ძალა იმ ჩინებული და საყვარელი მწერლისა, რომელმაც დღეს ახალი-კალედონიის კაცის მჭამლებს შუა ის ცოდვა უნდა მოინანიოს, რომ ერთგულათ, თავგამომეტებუ-ლათ და გაბედვით ემსახურებოდა თავის წმინდა და მომავლიან საქ-მეს — რესპუბლიკის დაარსებას საფრანგეთში.

---

43. ანრი როშფორის დაკარგვა

მოგვყავს სიტყვა-სიტყვით, შეუცვლელათ, შემდეგი აწერილობა იმ დამოწმებისა, რომლის ძალით ანრი როშფორი ახალ-კალედონიის კუნძულზე გაიგზავნა. ეს აწერილობა დაბეჭდილია ერთ კონსერვატორულ ფრანციულ გაზეთში, და მაშასადამე იმაზე კაცი ვერ იფიქრებს, ვიდრე ის მიდგომით ან სიმპატიით იყოს დაწერილი.

აი ეს აწერილობა:

დამმოწმებელი კომისიის გაგზავნა და წასვლა დიდის საიდუმლოს შენახვით მოხდა. რომ არც როშფორის ნათესავებს, არც იმის მეგობრებს არ შესძლებოდათ კომისიის წევრების ნახვა და თხოვნით ან შებრალებით გადაბირება.

როცა კომისია ამ კუნძულზე (ილ-დე-რე) მივიდა, სადაც ციხეში დაჭერილი იყო როშფორი, და სხდომა გამართა, დაიძახეს ანრი როშფორის სახელი. ყველა დამსწრეებს ცნობის მოყვარების კი არა, აღელვებული ლოდინის მოძრაობა დაეტყო, ყველას მოუთმენლათ უნდოდა გაეგო, რითი გადაწყდებოდა ამ მწერლის ბედი.

როშფორი მოახლოვდა მეტის მეტათ დამშვიდებული სიარულით, ძლიერ კარგათ ჩაცმული. იმან კომისიის წევრებს ხმა ამოუღებლათ სალამი მისცა.

დოკტორ ჟ ო ს ი ქ ი, კომისიის თავმჯდომარე, იმას მიუახლოვდა.

— გაქვსთ თქვენ რამე იმისთანა მიზეზი, რომ თქვენი გაგზავნა გადიდებოდეს? ჰკითხა იმან როშფორს.

— მე ავათ ვარ.

— რა გტკივათ, და რას გრძნობ?

—ტკივილს და სულის შეგუბებას ვგრძნობ. როცა ჩქარა დავდივარ, ისე რომ იძულებული ვარ დავჯდე ხოლმე. აი აქ! დაუმატა როშფორმა, და ხელი მარცხენა გვერდზე დაიდო, გულთან.

— გთხოვთ ინებოთ ტანსაცმლის გახდა, გულ-მკერდს გაგისინჯავთ.

როშფორმა ტანისამოსი გაიხადა, შარვლის მეტი.

მაშინ ყველას თვალს წინ გამოჩნდა მისი საშინელი მჭლეობა.

თვითეულმა ექიმმა ხელი მოჰკიდეს იმას რიგზე, გული გაუშინჯა

დარაკუნებით და ყურის დაგდებით, ხან მარცხენა მხრით, ხან ორ ბეჭს შუა, და მის სუნთქვას ყური დაუგდო.

ანრი როშფორი სრულიად აუღელვებლად იტანდა ამ სინჯვას. როცა ექიმებმა გასინჯეს დააბოლავეს, ცალკე ოთახში გავიდენ გადაწყვეტილების დასადგენათ.

ოთხი თუ ხუთი მინუტის შემდეგ ისინი ისევ გამობრუნდენ და კომისიის თავმჯდომარემ, მეტის მეტათ აღელვებული ხმით, უთხრა როშფორს:

— ჩვენ ყველანის აზრი და დასკვნა ის არის, რომ ჩვენ გვგონია, თქვენ შეგეძლებათ მგზავრობის ატანა!

ანრი როშფორმა ხმა ამოუღებლათ თავი დაუკრა. არც ერთი ძარღვი არ შემკრთალა მის პირისსახეზე და შინაგანი შთაბეჭდილება არ გამოუჩენია.

იმან ტანსაცმელი აიღო და ჩაიცვა. მერმე როცა ოთახიდამ უნდა გასულიყო, ექიმების კომისიას მიუბრუნდა და უთხრა:

— არ ვიცი, მექნება თუ არა პატივი თქვენი ხელმეორეთ წახვისა, მაშ ნება მიბოძეთ გამოგესალმოთო! (როგორც ეტყობა ამ სიტყვებიდამ, როშფორსაც სცოდნია, რომ ის გზას ვერ აიტანს და მოკვდება).

* * *

ამნაირათ გადაწყდა ამ ნიჭიერი და მშვენიერი მწერლის ბედი. ასე ეპყრობა საფრანგეთის ვითომ-რესპუბლიკა იმ პირს, რომელმაც ყველაზე უფრო მეტი თავგანწირულობა, გაბედვა, ნიჭი და შრომა მოანდომა ნაპოლეონის დაცემას და რესპუბლიკის დაარსებას, მაშინ, როდესაც საფრანგეთის გამცარცველი და დამღუპველი პირები მინისტრებათ და პრეზიდენტებათ არიან. დღეს „სედანის გმირი“[58] როშფორს, რესპუბლიკის სახელით, სასიკვდილოთ გზავნის ახალ-კალედონიაში. ბედის დაცინვა ამაზე უარესი იქნება.

ყველამ იცის, რომ როშფორი კომმუნის საქმეებში არ გარეულა. ყველამ იცის, რომ თვითონ კომმუნამ თავის უკანასკნელ დღეებში ბრძანება გამოსცა, როშფორი დაიტუსაღოსო. იმას კომმუნიდამ დახვრეტა ელოდა. ამის გამო ის პარიჟიდამ გავიდა, და პრუსიელების ჯარის ხელში ჩავარდა. პრუსიის გენერალმა იმას გამოუცხადა, ან გაგიშვებ ან ტიერის მმართებლობას გარდაგცემო. როშფორმა პრუსიელების ხელით გათავისუფლება ითაკილა, და ეხლა ეს ბედი დაეშართა. ამ ბედზე ბევრის ლაპარაკი არ ღირს. ვის არ ესმის, რომ აქ არც სამართალია, არც კანონი, არც სამართლიანობა არ მოქმედებს. საფრანგეთის ვითომ-რესპუბლიკის მმართებლობა როშფორს გზავნის ჩასაკვდომათ იმიტომ მარტო, რომ ის იმის ნიჭიერი და საშიშარი

მტერია, რომ ის გამოსადეგი და ივირფასი წევრია რესპუბლიკური პარტიისა, რომ იმის ერთ დაცინვას, ერთ სიტყვას მეტი გავლენა აქვს, ვინემ ჟულ ფავრის და ამხ. გაუთავებელ „რეჩებს“ და მთელი ეხლანდელი კრების ლაპარაკს. აი ამ მტერს, ამ მოწინააღმდეგეს იცილებენ თავიდან მონარხისტები. პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს გასაგები და უბრალო საქმეა, ეს არავის არ უნდა აკვირებდეს, ეს ბუნებითი და ჩვეულებითი შემთხვევაა: მტერი მტერს არ ზოგავს, მოწინააღმდეგეს ასუსტებს და ხელს უკრავს. „ხელში ჩამივარდი, მაშ გაჰქრიო?“ ასე ყოფილა ყოველთვის და დიდხანსაც ასე იქნება. ამაში გასაკვირველი, ვიმეორებთ, არა არის რა. პოლიტიკური ცხოვრება და ბრძოლა საცეკვავი ასპარეზი და საამო დროს გასატარებელი სასტუმრო როდია. ვინც შიგ ერთვება, იმან კარგათ უნდა იცოდეს, რომ გამარჯვებაზე უფრო ადვილათ დამარცხება შეხვდება და დამარცხებას, დაცემას მტრის მხრით დაუზოგველობა მოსდევს. ის ნიადაგ მზათ უნდა იყვეს უბედურობის ატანისა. ამას სხვათაშორის ჩვენ ისიც გვიმტკიცებს, თუ რა ნაირათ აუტანია ანრი როშფორს ის გადაწყვეტილება, რომელიც იმას თითქმის აუცილებელ სიკვდილს უქადის.

ასე მოეპყრენ, ხომ, როშფორს. ეხლა ერთ ამბავს მოგიყვებით, სამართლიანობაზე.

შარშანწინდელი ომის დროს პფალსბურგის ციხეში ერთი კაპიტანი ყოფილა სახელათ ს ე რ ფ ბ ე რ ი, დიდი მიწა-წყლის და რამდენიმე მილიონის პატრონი. როცა პფალსბურგს პრუსიის ჯარი შემოერტყა, ამ სერფბერს ციხეში სამსახური მოსწყინდა. გამოიპარა ის იქიდგან, მივიდა პრუსიელებთან და თხოვა დამატუსაღეთო. პრუსიელებმა, რასაკვირველია, ზიზღით უპასუხეს, — „არ გრცხვენიაო, რას შვრები, დაბრუნდიო“, მაგრამ იმან არ ჰქნა და თავი დამატუსაღებინა. პფალსბურგის გარნიზონში რომ ეს ამბავი გავრცელდა, შესდგა სამხედრო სამსჯავრო, რომელმაც გაქცეულ სერფბერს დახვრეტა გადაუწყვიტა. შერიგების შემდეგ ამ ვითომ კაცმა პარიჟში მოსვლა გაბედა, ნაცნობები (რასაკვირველია მონარხიელები) ჩამოიარა, და ბულვარზე აშკარათ სეირნობა და ფულის ფანტვა, ქალებთან ქეიფი და დიდკაცობა დაიწყო. შექნეს ამაზე დიდი ამბავი გაზეთებმა, რა ამბავია, დასახვრეტათ გადაწყვეტილი კაცი ასე აშკარათ დასეირნობს და მთავრობა ხელს არ კიდებსო. და ერთმა აფიცერმა, თავის ნებით ხელი სტაცა. პოლიციაში მიიყვანა და აქტი შეადგენია, აი ეს სერფბერი ჩამიბარებია თქვენთვინო. რაღა ღონე იყო, დანიშნეს ხელ-ახლავ სამსჯავრო. რადგანაც პირველი გადაწყვეტილება „თანდაუსწრებელი“ (заочная) იყო და ამ სამჯავრომაც

სერფბერს დახვრეტა გადაუწყვიტა. მაგრამ რადგანაც ის მონარხიელი (ბონაპარტისტი) და მილიონერი იყო, მმართებლობამ სიკვდილით დასჯა აპატივა და გადაწყვიტა, სიკვდილის მაგიერ: იცით რა?... საფრანგეთიდამ ათის წლის ვადით გაგდება. და იცით ეს რას ნიშნავდა? იმას, რომ სერფბერს ყველა მისი მამულები იმ პროვინციაში (ლორენში) აქვს რომელიც საფრანგეთს ჩამოართვეს. მაშასადამე სერფბერის სახლი, შეძლება, ცოლი, შვილი საფრანგეთს გარეთ არის და სერფბერს შინ წასვლა გადაუწყვიტეს, სიკვდილით დასჯის მაგიერ, ვითომ ის მამულის ნოღალატე არ გამომდგარიყოს გაჭირების დროს, და ვითომ იმას სიკვდილით დასჯა არ დაემსახურებინოს.

და როსელი კი დახვრიტეს, როშფორი კი ახალ-კალედონიაში, ესე იგი საიქიოს გაგზავნეს!

საკვირველი აქ მარტო ის არის, რომ როცა ამნაირ საშუალებას წინააღმდეგი პარტია ხმარობს, ეს ყველას აკვირვებს და აშფოთებს. მონარხიელებმა შარშანწინ ო რ მ ო ც ი ა თ ა ს ი კ ა ც ი ამოწყვიტეს და განუკითხველათ, გაუსჯელათ დახვრიტეს (იმათ შორის ერთი დეპუტატიც მ ი ლ ლ ი ე რ ი' თუმც კანონით დეპუტატის დასჯა კი არა ხელის ხლებაც შეუძლებელია სანამ თვითონ კრება არ გადაწყვეტს) და ეს ყველას უბრალო საქმეთ მიაჩნია, და მართლაც უბრალოა: ომში, ბრძოლაში ყოველთვის ასეა. მაგრამ რესპუბლიკელებმა რომ თორმეტი ღვდელი დახვრიტეს, ამაზე მთელი ქვეყანა ორი წელიწადია ყვირის და მთელ ოც წელიწადს არ დაივიწყებს. რისთვის? ალლახმა იცის! ბრძოლაში. გამწარების დროს, გამარჯვების სურვილის ქვეშ ყველა ჰკლავს და ყველა სიკვდილს იარაღს ხმარობს.

რასაკვირველია, ეს სამწუხარო და საზარელი მოვლენაა. მაგრამ ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ასეა ქვეყანაზეთქო. ბრძოლა გულგრილათ და წესიერათ, სხვების დაზოგვით და თავისი საკუთარი გვამის დაჭრით და დაუძლურებით ჯერ არსად მომხდარა. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ბედნიერი დღე როდესმე მოგვესწრება, ანგელოზები რომ ჩამოგვიფრინდებიან ზეციდამ და ჩვენში ჩამოსახლდებიან.

მაგრამ, იცით მე რა მგონია! იქნება მაშინ არც წესიერი და სამართლიანი ბრძოლა იყოს, არც სულ არაფერნაირი ბრძოლა? იქნება მაშინ ბრძოლის მაგიერ მშვიდობიანობა და ყველას ინტერესების დათანხმება გაიმართოს? ანგელოზებს ეს უეჭველია შეეძლებათ. მაშ მაქნამდი კი ვიცოდეთ, რომ კანონიერი, წესიერი, სამართლიანი ბრძოლა ისეთი თვალუხლებელი რამ არის, როგორც მხურვალე ყინული ან გაყინული მდუღარე.

---

44. ბაკვრა-ბამოკვრა

განათლებით თუ არა, განათებით მაინც შესანიშნავი იყო წასული კვირა. ასეთ-ასეთი ჩირაღდნები და კელაპტრები იყო გამართული, ასეთი ჭრაქები, საჭია-კოკონო ცეცხლები, ფარნები და სხ. რომ უკეთესი ღმერთმა შეარცხვინოს. მართალია, ჭრაქები აქა-იქ სინათლის მაგიერ ხრაკის სულით გვაკვირებდენ, მართალია ფარნები ხშირათ ჰქრებოდენ (ალბათ როშფორის გამოსატირებლათ), მართალია, კიდევ, შუშხუნები დაგვინამდა... მაგრამ მაგიერათ მთვარემ როგორ მოგვილხინა და გაგვიჩირაღდნა, რომ იცოდეთ! განათებული იყო, ამ კვირას ჩვენი თბილისის ქალაქი, რაღა!

შაჰი მობრძანდა, დაბრძანდა, წაბრძანდა. გაზეთები მოგვითხრობენ ,რომ თბილისის ნახვა მეტათ იამაო. „ჩემს დღეში არ დავივიწყებ ამ მშვენიერს ქალაქს და ამ ჩინებულ განათებასო“ უთქვამს, მართლა სთქვა ეს, თუ არა, ამისი რა მოგახსენო, ბაგრამ გაზეთებში კი ასეა დაბეჭდილი; და თქვენ გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.

მოდი, მკითხველო, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ...

* *

საფრანგეთში მონარხიელებს მთლად ერთიანად გაუმინდვრებიათ. ამ მოკლე ხანში იმათ ბევრი შესანიშნავი საქმე ჩაუდენიათ. ერთი ის რომ პარიჟელი გრაფი შამბორელს შერიგებია.

ნეტავი დავსწრებოდი იმათ შეყრას და შერიგებას. რას იტყოდენ ნეტავი? საქმე ალბათ აი როგორ იქნებოდა.

პარიჟელი გრაფი მივიდოდა თუ არა, ამნაირ სიტყვას წაუკითხავდა თავის გამოყრუებულ ნათესავს:

— „გიახელ რათამც გიცნოთ ვითარცა მხოლოდ წარმომადგინებელი საფრანგეთში მონარხიელი პრინციპისა...“

შამბორის გრაფს, რადგანც ყური აკლია და გონებაში ნიადაგ ადამისწლის ამბები და მოგონებები აქვს, სულ სხვა რამე მოესმოდა; ის მაშინვე წამოიწეოდა და რისხვით დაიწყებდა ყვირილს:

— პაპა შენმა ლუი მეთექვსმეტეს სიკვდილით დასჯა რათ გადუწყვიტა, თუ თქვენ კაი კაცები ხართ?

— მაშინ სხვა დრო იყოო, გაბედავდა პარიჟელი გრაფი, მე გიახელ რათა...

— ბაბუა შენი არ იყო, საფრანგეთის კანონიერი კოროლი შარლე მეათე, ხალხმა რომ ტახტიდამ გადააყენა, მისი ადგილი დაიკავა, ჩვენ საფრანგეთიდამ გამოგვყარა?...

— გარემოებები... მე გიახელ რათა...

— ის არ ბრძანდებოდა, დედა ჩემი, ბერის მთავრინა, რომ გააუპატიურა, ქვრივობაში ორსულობა შეუტყო, დაიჭირა და საქვეყნოდ გამოააშკარავა, რომ იმას საყვარლები, ჰყავს, ბუშიც ეყოლა. ამით ჩემი საკუთარი დაბადებაც უკანონოთ გამოდის: ყველამ იცის, რომ მამა ჩემის სიკვდილის შემდეგ ათი თვის მერმე დავიბადე, და ამისათვის „სასწაულის ძე" დამარქვეს სახელათ. ეხლა კი დედის ჩემის შერცხვენის შემდეგ მეც ბუშათ მთვლიან...

— თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ იმ დროს ბაბუა ჩემს მინისტრათ და მრჩევლათ ჰყავდა ეს შეჩვენებული (ყვირის) ტიერი...

— ტიერი! გავალ თუ არა პაპი ჩემის ტახტზე (თუმც უფ. დიეცის წინაპრებს ტახტი — საწოლ დივნის მეტი — არა ჰქონიათ) იმ წამსვე ოთხად გავაჩეხინებ და ცოცხლათ შევაწვევინებ ამ შეჩვენებულ ტიერს... ხომ კარგი იქნება!

— ეხლა ვგონებ, დროთა ვითარებისაგან უფრო დახვრეტა ემჯობინება...

— განა იმისთვის მოხველ, რომ ნიადაგ მეწინააღმდეგო? მე ვამბობ, დაწვა სჯობია მეთქი, და ასე უნდა იყოს!

— მე გიახელ რათამც გიცნოთ და სხვ. ყვირის გაჭირვებული პარიჟელი გრაფი.

— წინათვე ასე გეთქვა, შე დალოცვილო, ეუბნება შამბორელი, და ორივე ერთმანეთს მოეხვევა და გადაპროშტავს.

* *

სურათი მეორე. ფარდა აიხდება და სცენა პარიჟელი გრაფის სადგურს წარმოგვიდგენს. პარიჟელი გრაფი კრესლოში ზის. ბიძა მისი, ომალის ღერცოგი, მის წინ გულხელდაკრეფილი დგას, როგორც დამრიგებელს და ხელმძღვანელს შეეფერება. პარიჟელი გრაფი ქვითინით სტირის. ოსალელი თვალზე ცრემლს უშრობს და თან ცხვირსაც უხოცს.

პ ა რ ი ჟ ე ლ ი. — დღეს ხომ ყველა მოღალატეს მიძახის, ლიბერალურ პრინციპებზე უარი სთქვაო, იეზუიტებს დაუმორჩილდაო, ამბობენ პრინციპები მაგას თურმე მარტო ტახტის საშოვნელათ ჰქონიაო...

ო მ ა ლ ე ლ ი. — რაც უნდა ის თქვან, რა გაარიგე შენი პრინციპებით, მითხარი თუ ღმერთი გწამს? ჯერ იყავ და კონსტიტუციის

საპიროებას ჰქადაგებდი. რესპუბლიკელებმა დაამტკიცეს, რომ კონსტიტუცია უჩვენოთაც კარგი გაკეთდება და კოროლი ზიანის მეტს არაფრათ გამოადგება საფრანგეთსო. დაიწყე მერე სოციალისტობა. მუშებზე თანაგრძნობით წერას ხელი მიჰყავი, ყველამ თქვა, რომ მუშების მოქრთამვა უნდაო, სოციალიზმი უკოროლოთაც კარგი გაიმართებაო, ამას რესპუბლიკა უკეთ მოახერხებსო. წაგვიხდა, ხომ ხედავ, მაზანდა. ეს წყეული და ღვთის პირისაგან შეჩვენებული რესპუბლიკელები ვხვრიტეთ, ვხვრიტეთ და რესპუბლიკა კი მაინც ვერ დავხვრიტეთ. როშფორი, ღვთის მადლით, დავკარგეთ, მაგრამ იმის მაგიერ ათმა სხვამ ამოჰყო თავი. გამბეტა, ხომ ხედავ, როგორ ძლიერდება. დღესა თუ ხვალ პრეზიდენტობა იმას ერგება. და თუ ეხლა არ ვეცადეთ, შენი მტერი ჩვენი საქმე ცუდათ იქნება. რა ექნათ? ხალხს კარგი ოინი მოუხერხეთ. როცა ის ომმა დაღალა, წარუდგინეთ ჩვენი მომხრენი და შევფიცეთ, ჩვენ მარტო შერიგება, ომიანობის მოსპობა და მშვიდობიანობის დაარსება გვინდათქო, მაშინ როდესაც რესპუბლიკელები ჰქადაგებდენ ომი გავაგრძელოთო. ხალხმა ჩვენი მომხრენი ამოირჩია დეპუტატებათ, იმას ეგონა ომს მოსპობენ და რესპუბლიკას არ შეეხებიანო, როგორც ჩვენმა მომხრეებმა შეფიცეს. საკმაო რიცხვი რომ ამოერჩია ხალხს ჩვენი მომხრეებისა. მაშინ ხომ კარგი, მაგრამ ლეგიტიმისტებმაც ამნაირიეე ოინი იხმარეს. და დღეს იმათაც იმდენი დეპუტატები ჰყავთ, რამდენიც ჩვენი მხრისკენ არიან. თუ არ შეურიგდებით, დაიშლება ეს კრება და შემდეგი ხომ ერთნაირათ რესპუბლიკელებისაგან იქნება ამორჩეული. სადაური პრინციპები, სიდაური კონსტიტუცია! გახდეს ხელმწიფეთ შამბორელი გრაფი. ის ყრუა, ბებერი, უშვილო, მალე მოკვდება და შენ მისი მემკვიდრე შეიქნები. დღეს თუ არა, იცოდე შენს დღეში არ გეღირსება შენ ტახტზე შესვლა:

პ ა რ ი ჟ ე ლ ი. — ეს მართალია, მაგრამ ის ხომ ყველას სძულს, და ვაი თუ იმასთან ერთათ ჩვენც შეგვიძულონ ყველამ.

ო მ ა ლ ე ლ ი. — ფეხებზე მკიდია მე ყველას შეძულება, ხელმწიფეთ გახდი, და მაშინ საკმაო ძალა გექნება, ვისაც გინდა, იმას მოიმხრობ, ზოგს ჩინით, ზოგს ჯილდოთი, ზოგს ადგილის მიცემით...

პ ა რ ი ჟ ე ლ ი. — რითი ვიმართლოთ თავი, რითი ავხსნათ ეს გადადგომა მამაპაპური პრინციპებიდამ?

ო მ ა ლ ე ლ ი. — შე უხეირო, ნუ თუ ტყუილი ვერ მოგიხერხებია! თქვი, რომ გამბეტას გაძლიერებამ, ბაროდეს ამორჩევამ თვალი ამიხილა, ზეგარდმო შთამაგონა და დამარწმუნა, რომ მონარხიელები უნდა ერთ მაზრათ იდგენთქო, და ამიტომაც დამორჩილდი,

სხვერპლათ მიუტანე საფრანგეთს შენი აზრები და პრინციპები და სხვ. და სხვ. განა ძნელია?

პარიჟელი გრაფი თვალს აახელს, გახარებული, მაგრამ მის საწერ სტოლზე მისვე თხზულებებს დაინახავს „ინგლისელი მუშა ხალხის ასოციაციებზე", სოციალური აზრებით გატენილებს, და გული უეცრათ შემოეყრება. ომალელი აფურთხებს და გარბის. ფარდა ჩამოეშვება. ისმის სლოკინი, ტირილი და კბილის კრაჭუნი.

*

მესამე სურათი: ორლეანელების დედა-ბურჯი ო-დიფრეპაკიე, ემუსაიფება ლეგიტიმისტების მოთავეს ბარანიონს.

ო-დ ი ფ რ ე-პ ა კ ი ე. — თეთრი დროშა შეუძლებელია. სამფეროვანი დროშა მიიღეთ და მის თეთრ შუაგულზე, თუ გინდათ, თქვენი ყვავილი დახატეთ.

ბ ა რ ა ნ ი ო ნ ი. — ნწნწნწ... თეთრი დროშა უნდა იქნეს, გადაწყვეტილია.

ო-დ ი ფ რ ე-პ ა კ ი ე. — ა'პ ა-პ ა-პ ა. სამფეროვანი უნდა იყოს, ამას ვერ დავთმობთ! მინისტრებათ ვის დანიშნავთ?

ბ ა რ ა ნ ი ო ნ ი. — ყველას ჩვენებს, რასაკვირველია!

ო-დ ი ფ რ ე-პ ა კ ი ე. — ნახევარი მაინც ჩვენი უნდა იყოს, უამისოთ ვერ მოვრიგდებით.

ბ ა რ ა ნ ი ო ნ ი. — ჯერ ხელმწიფე ტახტზე დავსვათ, და მერე მინისტრების დანიშვნა იქნება. ვისაც უნდა იმას დანიშნავს.

ო-დ ი ფ რ ე-პ ა კ ი ე. — ვა! ის ხომ თავის მხლებლებს დანიშნავს, ისინი სულელურათ მოიქცევიან და ხალხი ახალ რევოლუციას მოახდენს, თქვენც გაგრეკს და ჩვენც თქვენს სირცხვილში გაგვხვევს. თქვენი ხელით თავი რათ დაიკლათ?

ბ ა რ ა ნ ი ო ნ ი. — ჩვენი კოროლი იმისთანა კაცია, რომ თავის ნებაზე იცის საქმის წაყვანა, რასაც ზეცა შთააგონებს. ამას არაფერი მოუხერხდება... მაგრამ ვიფიქროთ, ვნახოთ მოვიკითხოთ. ნახვამდის.

ო-დ ი ფ რ ე-პ ა კ ი ე. — (თავისთვის) თუ გაგაცურეთ ხომ კარგი, თუ არა და აი ამ ულვაშს მოვიპარსავ!

ბ ა რ ა ნ ი ო ნ ი. — (თავისთვის) თუ გაგაცურეთ ხომ კარგი. თუ არა და ამ ულვაშს მოვიპარსავ!

მეოთხე სურათი:
ჩაიზლღურსტში რუერი ვითომ იმპერატრიცას (ევგენიას) ემუსაიფება.

— შერიგების ნუ გეშინია. ხალხს შამბორი საშინლათ სძულს. განათლებულ საზოგადოებას იმისი არა სწამს რა. ორლეანელები უფრო ძლიერი იყვნენ მით, რომ ფულის პატრონები ბევრი იყო იმათ მხრით. ეხლა ორლეანელებიც შეიძულეს და ორივე დინასტია უგავლენო შეიქნა. თუნდაც რომ გამეფდენ, ორიოდე წელიწადი მიმიცია მეფობის ვადათ. მერმე კი ჩვენი რიგი იქნება... და თუ ღმერთმა ჰქნა და რესპუბლიკელები დაასუსტა როიალისტების გამარჯვებამ — ბურთი და მეიდანი ჩვენ დაგვრჩება. ისინი ერთმანეთს ამოჭამენ, დახვრეტენ, დაკარგავენ, მაშინ ჩვენ გამოვალთ, როგორც 1848 წელში და ვაშა-ვაშას დავსძახებთ.

— მე კი სული მიმდის, მეჩქარება — და...

— ახლა ნამეტანს ნუ კი მომინდომებ შენც. თავი რომ მხარზე გვაბია, იმის თაყვანსაც უნდა ვსცემდეთ შემოქმედს... შე დალოცვილო, რა გვაკლია? ფული ბევრი გვაქვს, მხლებლები სულ დარჩეული ყმაწვილები გვყავს და ქეიფი შენისთანა ორმაც არ იცის ამ დედა-მიწის პირზე... მოიცადე და თუ რამე მოვახერხეთ, ხომ კარგი, თუ არა და — ღვთის მადლით შიმშილით არ მოვკვდებით. სულელები კი არ ვყოფილვართ, ოცი წლის განმავლობაში კარგა ძალი ფული ვიგდეთ ხელში...

მეხუთე სურათი.
ტიერი და გამბეტა ერთმანეთს სიზმარში ხედავენ.

ტიერი. — შენ მიქენი ეს საქმე, შენი ბაროდეთი. ეს სულ შენი ბრალია.

გ ა მ ბ ე ტ ა. — სულ შენი ბრალია, ჩემი კი არა. როცა ძალა და გავლენა შენს ხელში იყო, როცა უაღრეს სიმაღლეზე იდექი, პრუსიელი ჯარის გაყვანაზე პირობა რომ შეუკარი ბისმარკს, რათ არ იხმარე მაშინ ის შენი გავლენა მონარხიელების წინააღმდეგ? შენ მაშინ ჩვენი გათელვა მოინდომე, გინდოდა იმ გამარჯვებით რესპუბლიკური პარტია დაგემორჩილებია, მაშინ როდესაც მონარხიელებზე უნდა გეხმარა შენი იარაღი. ჩვენც უნდა გვეჩვენებია შენთვის, რომ ხალხის ძალა ჩვენსკენ არის, რომ ხალხს ჩვენ, რესპუბლიკელები. ვსწამვართ. და არა თქვენ. ვითომ-რესპუბლიკელები. ბაროდეს მაგიერ რომ რემიუზა ამოგვერჩია, მართალია, შენ იქნე-

ბოდი დღეს პრეზიდენტათ, მაგრამ შენ პროექტებს დაამტკიცებინებდი, რომელნიც სანიადაგოთ რესპუბლიკის მომავალს აფუჭებდენ და შხამავენ...

ტ ი ე რ ი. — ნუ ფიქრობ მომავალზე, დამმორჩილებოდი, ჩემს სიცოცხლეში მე ვიქნებოდი პრეზიდენტათ და მერმე შენ დაგილოცავდი გზას და კვალს. აკი გეუბნებოდი ასე სჯობია მეთქი!

გ ა მ ბ ე ტ ა. — რაც სჯობია მე უფრო კარგათ ვიცი.

ტ ი ე რ ი. — არა მე!

გ ა მ ბ ე ტ ა. — ვნახოთ!

ტ ი ე რ ი. — ვნახოთ!

მეექვსე სურათი:
ქარხნის კარებში ორი მუშა დგას.

პ ი რ ვ ე ლ ი. — შეიტყვე?

მ ე ო რ ე. — როგორ არა...

პ ი რ ვ ე ლ ი. — ოჰ!!!!

მ ე ო რ ე. — (ცბილებს აკრაჭუნებს).

პ ი რ ვ ე ლ ი. — ეს მერამდენჯერ ვრჩებით გაცრუებული?

მ ე ო რ ე. — ვინ დაითვლის...

პ ი რ ვ ე ლ ი. — ოჰ!!!!

მ ე ო რ ე. — (ცბილებს აკრაჭუნებს).

ორივე ქარხანაში შესვლას აპირებენ. კარებზე ზედ-წარწერილია: „მუშაობა მოისპო რადგანც სამუშაო აღარა არის რა“.

ორივე მუშა ერთმანეთს შეხედავს, მათ ფერმკრთალ პირის სახეს სამარის ფერი ედება და თვალებში ბრაზი გაელავს. სიტყვა ამოუღებლათ ორივე ცალ-ცალკე მიდის.

• • •

მეშვიდე სურათი.

შუაღამეა. ვერსალის რკინის გზა მოვიდა პარიეში. დეპუტატები ჯგუფ-ჯგუფათ გამოდიან, მუდმივი-კომისიის სხდომიდამ დაბრუნებულები.

ერთი იმათგანი კაპუცინების ბულვარზე მოდის. იმას მადმუაზელ ალისას სადგომზე გამოუვლია და ეს უფრო ძვირი, ვინემ ძვირფასი ქმნილება ვახშმათ დაუპატიჟებია. ორივენი პეტერსისას შედიან.

— ეი, უძახის დეპუტატი, ცალკე კაბინეტი დამიმზადეთ, ვახშამს ყური უგდეთ! და თან ოფენბახის არიას დასტვენს: „იდას მთაზე სამ ღმერთინას“ და სხვ.

სანამ ვახშამი მოერთმეოდეს, სანამ შამპანის ღვინო გაყინდებოდეს და ხოხობი შეიწვოდეს, დეპუტატი ალისასთან კანკანის ცეკვას იწყებს. კანკანის დროს ალისა ჰკითხავს — რას შვებით, მეფეს მალე დასვამთო, იქნება მაზანდა გაგვიკეთდესო? დეპუტატი უპასუხებს, დიდი იმედი გვაქვსო, ძალიან ჭახრაკები მოვმართეთო, დღეს თუ ხვალ საქმეს დავაბოლავებთო. ამასობაში ორივე უფრო აღტაცებული კილოთი შეექცევიან კანკანს. დეპუტატი ფეხის წვერით ალისას თავზე თმას უსწორებს. ალისა მაგიერათ ფეხით შლიაპის ჭოხდას უპირებს. ფეხი აიწევა. ფარდა დაიშვება.

---

45. სათეატრო შენიშვნა

ღირს რამდენიმე სიტყვა ითქვას ლეკოკის ოპერეტის „Le beau Dunois"-ის ჩვენს სცენაზე წარმოდგენის შესახებ, რომელსაც ბატ. კუროჩკინის თარგმანში ჰქვია „რაინდი უშიშარი და გულმართალი". ეს იმ სკოლის მრავალრიცხოვან ნაწარმოებთაგანია, რომელიც „მშვენიერი ელენეს" და „ჰეროლშტეინგელი ჰერცოგი ქალის" მადლიანი ხელით შემოვიდა მოდაში და რადგან იგი არ განსხვავდება არც ერთი სერიოზული ღირსებით ოფენბახის ნაწარმოებთაგან, ამიტომაც ამ თხზულებათა მხოლოდ კანკანური, ბუფონური მხრით გადის ფონს. ოფენბახის პირველ ოპერეტებს დიდი წარმატება ხვდათ იმის გამო, რომ მათში განსაკუთრებით დროულად და გესლიანად იყო სასაცილოდ აღებული და გაუხამსებული თითქმის ყველაფერი ის, რაც ადრე საღდებოდა რაღაც მოწიწებით და ხელშეუხებლად. მეილაკისა და ალევის სარკაზმმა და ირონიამ არ დაზოგეს არც უძველესი რწმენანი („ორფეოსში"), არც ძველ ხალხთა სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი ყოფა („მშვენიერ ელენეში"), არც ადამისეამინდელი საოჯახო და სახელმწიფოებრივი ურთიერთობანი („ლურჯ წვერებში"), არც მოჩვენებითი სამხედრო ორგანიზაციები („ჰეროლშტეინელ ჰერცოგ ქალში" და „ყაჩაღებში"), არც „უმაღლესი სფეროები" („პარიზულ ცხოვრებაში"), არც უცნაური ადმინისტრატული წესები („პერიკოლაში"). ყველა ამ სფეროში მეილაკისა და ალევის იუმორმა გვიჩვენა ჩვეულებრივი ადამიანები წვრიმალი, გახვრეტილი ფარის ღირებულების ვნებებით, საცოდავი გულისწადილითა და ზნეობით იქ, სადაც წინათ ჩვენს წარმოდგენას მიუწვდომელი და არაჩვეულებრივი გმირები ეხატებოდა. მეილაკმა და ალევმა ეს გმირები ჩვენს წინაშე გამოიყვანეს ღამის ფლოსტებითა და ლოგინის ქუდებით და მათში დავინახეთ ისეთივე პატარა არსებანი, როგორებსაც ჩვენს ირგვლივ ყოველდღე ვხვდებით, მათ ყოველდღიურ გარემოცვაში. ამ სრულიად სერიოზულ მხარეს დავუმატოთ ოფენბახის არაჩვეულებრივი მსუბუქი ლაღი, ორიგინალური და აღფრთოვანებული მუსიკა, მრავალი ნაწყვეტის, რონდო-

სი, დუეტისა და სხვათა საკმაოდ ძლიერი ლირიზმი და მიეხვდებით რაში მდგომარეობს ოფენბახის ეგრეთწოდებული „ოპერეტკების“ წარმატების საიდუმლო.

ამ წარმატებამ ბევრი ფრანგი და უცხოელი კომპოზიტორი წაიტყუა, რომლებმაც სულის სიმარტივის გამო წარმოიდგინეს, რომ საკმარისია დაჯღაბნოს ოპერეტა კანკანური, საცეკვაო არიებით, ცოტათ თუ ბევრად სარისკო ქარაფშუტობით, რომ „ოფენბახისებური“ ოპერეტკა შეიქმნას. და დაიწყეს ათასგვარმა ერვეებმა, ლეკოკებმა და მათმა მსგავსებმა (ისინი ხომ უთვალავნი არიან) უაზრო და უმიზნო ოპერეტკების ბღაჯნა, სამაგიეროდ თითქოს „მარილიანებისა“, ხოლო ჩვენმა მთარგმნელებმა ხელი მიჰყვეს მათ გადმოკეთებას, რომ ჩვენს დირექციებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მათი სცენაზე დადგმისა. ამასთან, ათასობით ოპერეტიდან, რომლებიც ოფენბახისებურია, მიბაძვითაა დაწერილი, საშუალოთა დონიდან ძლივს-ძლივობით გამოირჩევა სულ რაღაც ორიოდე პიესა: „აბელარი და ელოიზა“ ლიტოლფისა და „ქ-ნ ანგოს ასული“, ისინიც, ვიმეორებთ, დიდი გაჭირვებით.

ყველაზე საკვირველი ისაა, რომ ისეთი ნიჭიერი მთარგმნელი, როგორიც უფ. ვ. კურორჩკინი (რომელმაც ოდესღაც სახელი გაითქვა ბერანჟეს თარგმანებით) იხარჯება ისეთი უშინაარსო პიესების თარგმანში, როგორიცაა „ფაუსტი პირშებრუნებით“ ან „რაინდი უშიშარი და სხვ.“, ხოლო მეილაკისა და ალევის თხზულების თარგმანს ანებებს, — სირცხვილიც კია თქმა, — უფ. ალექსანდროვს.

როგორც არ უნდა იყოს, უფ. ვ. კურორჩკინმა გადმოთარგმნა, ხოლო უფ. იაბლოჩკინმა ჩვენში დადგა „რაინდი და სხვ.“ ამ ოპერეტის სიუჟეტია უკბილო გამასხარავება საფრანგეთის ისტორიის რაინდული ეპოქის ორი გმირისა, ორლეანელი ქალწულის თანამებრძოლებისა და ინგლისელთა ძალადობისაგან საფრანგეთის გამათავისუფლებლების — ლაირასი (რატომღაც მას ჰქვია ლაგირი) და დიუნუასი. ლაირი, რომელსაც ფრანგმა ხალხმა აქამდე შეუნარჩუნა „კეთილის“ წოდება (Le bon saihire) ოპერეტაში გამოყვანილია არაჩვეულებრივ გულკეთილ ადამიანად. ხოლო დიუნუა, le beau Dunois — ისეთად, როგორიც სინამდვილეში იყო, „ყოჩაღ“ რაინდად და პატიოსან „გულის მომნადირებლად“. ესაა სულ. არაა ნაჩვენები და დაცინული არც ფეოდალური ურთიერთობანი, არც საშუალო საუკუნეების ქალის შესაბრალებელი როლი, არც მაშინდელი ზნეობის ბუფონობა. მთელი ლაზათი პიესისა ტრიალებს თავის დაკვრის ღვარჭნილობისა და ლაირას საჭურველით აღკაზმის სიძნელის გარშემო. აი სულ ეს არის.

სასაცილო, კომიკური ისეთი, რაც მეხსიერებაში ჩაგრჩება და ძალაუნებურად თვეობით გახსოვს, არაა შემჩნეული და გამოტანილი ერთი ბეწვითაც კი. მუსიკა, როგორც მთლიანად, ისე ცალკე მოტივებში, უაღრესად უფერული და დუნეა. არც ერთი ნაპერწკალი ორიგინალურობისა, არც ერთი მუსიკალური ფრაზა, რომელიც მსმენელს გამოაფხიზლებდა და თეატრიდან გამოსვლისას მის ყურში დარჩებოდა. თეატრში ჯდომისას ზოგჯერ გაგეღიმება, შეიძლება ზოგჯერაც გაგეცინოს, მაგრამ დაეშვა ფარდა და თქვენს მეხსიერებაში ტორიჩელის სიცარიელეა. თავს ძალას ატანთ, მეხსიერებას იწურავთ, რომ გაიხსენო — რამ გაგაღიმა ერთი წუთით, რა მოგეჩვენათ სასაცილოდ ან გასართობად. შეადარეთ ეს შთაბეჭდილება თუნდაც „პერიკოლასაგან" („მსტვენავი ჩიტები") დარჩენილ მოგონებებს და დაინახავთ იმ უფსკრულს, რომელსაც ყოფს უხეირო მიბაძვას ნიჭიერი ორიგინალისაგან.

ამრიგად, ჩვენში ეს პიესა წარმოადგინეს. ასეთი სუსტი, საშუალო და მარტივი ოპერეტკა თითქოს ჩვენი დასის ძალ-ღონის შესაფერი უნდა ყოფილიყო. შენ არ მომიკვდე! მართალია ძნელი იყო და მეტად ძნელიც ამისთანა პიესის ჩაგდება, რომელიც უიმისოდაც მიწაზე გდია. მართალია შეუძლებელია, როგორცა ჩანს, გაუფერულება და გაუპირულება ისედაც უფერული და უპირო საგნისა, მაგრამ ჩვენში ესეც კი მოახერხეს და აი როგორ.

პიესაში გამოდიოდნენ ქ-ნები კოლოსოვი და ვასილევი და ბ-ნნი სოკოლოვი, ჟურინი და პრავდინი. ქ-ნ ვასილევზე არაფერს ვიტყვით. იგი თამაშობს „Utilites" როლებს (როგორც იტყვიან „საცობებს") და სასტიკად მოვეპყრათ მას, სულ ცოტა, სასაცილო იქნებოდა. სამაგიეროდ ორიოდე სიტყვას ვიტყვით ქ-ნ კოლოსოვაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი, თუ არა ერთადერთი სასცენო ნიჭი ამ პრიმადონასი მდგომარეობს მის რამდენადმე წარმოსადეგ გარეგნობაში. ზოგიერთი მაყურებლის თვალში, სახელდობრ იმათი, ვინც მიჩვეულია არტისტულ ღირსებად და სასცენო ნიჭად არტისტი ქალის ფორმის სიმრგვალე და მისი კოსმეტიკური შეფერილობა ჩაითვალოს, ქ-ნი კოლოსოვი აუცილებლად უეჭვო „ტალანტისა" და დიდი „ნიჭის" მქონეა. უსინდისობა იქნებოდა მოგვეთხოვა მისგან სრულყოფილობა, შეგნებული თამაში, მაგალითად, ფიზიონომიის შეთანხმება მეტყველებასთან, გაგება იმ როლისა, რომელიც მან უნდა განასახიეროს სცენაზე, ბუნებრივი მხიარულებისა, უბრალოებისა, გრაციისა და ა. შ. მაგრამ შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ, ჯერ ერთი, მეტად ერთფეროვნად თამაშობს: ყველა როლში ერთსა და იმავე პიროვნებას ადგენს, თავისი რეპერტუარის ყველა პერსო-

ბაჟს ერთგვარად კეცავს, ერთსადაიმავე მანერას აძლევს. „ფორმების სიმრგვალეც“ კი რაიმე მრავალფეროვნებაზე უნდა ზრუნავდეს. თორემ გამუდმებული ერთფეროვნება მოსწყინდება ყველაზე უფრო არაწუნია გემოს მქონესაც. მეორეც, ქ-ნი კოლოსოვი გამოირჩევა ტაქტის გემოვნებისა და ზომის რაღაც საოცარი უქონლობით, და ეს სწორედ იმ მომენტებში, როცა ყველაფერი ტაქტზე ტრიალებს, როცა არა მხოლოდ არტისტული, არამედ სულ უბრალო ქალური გრძნობა უნდა ხელმძღვანელობდეს მსახიობ ქალს. მისი როლების არსი, როგორც ცნობილია, მდგომარეობს იმაში, რომ ახალგაზრდა ქალში დრო და დრო გული ამეტყველდება, გრძნობა აღელდება და რამდენიმე წამით ივიწყებს ქალის „ზნეობრივობასა“ და საერთოდ მიღებულ ზრდილობას და მაყურებლის წინაშე წარმოსდგება უბრალო „გულია“ ქალად. ცხადია, ნამდვილი თამაშის უპირველესი პირობა მდგომარეობს სრულ ბუნებრივობაში, სულიერი მოძრაობის უხელოვნო გულახდილობაში და სულ მცირე დაჭიმულობა, მცირე სიყალბე და ზედმეტი თავდაჭერილობა აქ ყურსა ხვდება და თვალებს აჭრელებს. სწორედ ამისთანა წუთებში ქ-ნ კოლოსოვის თამაში დაჭიმული, ხელოვნური ხდება, ზანტდება, სული ეცლება და მაყურებელი, ქალის მაგიერ, რომელიც საკუთარი გრძნობების მოძრაობას ეძლევა, თავის წინ ხედავს არსებას, რომელიც წელებზე ფეხს იდგამს, ან საჭიროდ თვლის მაყურებელს აჩვენოს — ვითომც იმასაც გული უცემს. თუმცა ყველაფრით ჩანს, რომ იგი ცივია, როგორც წყლით გაჟღენთილი ღრუბელი. იმიტომ, რომ ასეთი შთაბეჭდილება არ მოახდინოს, ქ-ნი კოლოსოვი უკიდურესობაში ვარდება — მას უნდა სხეულის სარისკო, და ამასთან — უხეში მოძრაობით, არაბუნებრივი ხმით და იმ დელიკატური ადგილების გადამლაშებით, რომელთა მთელი გემო იმაშია, რომ ნახევრად გამჭვირვალე ქსოვილი არტისტულად მიიფაროს, ფონს გავიდეს. ეს შთაბეჭდილებას აფუჭებს. თავს ნებას ვაძლევთ და გვინდა ქ-ნი კოლოსოვი დავარწმუნოთ, რომ წარმატება და ღირსება მისი პროტოტიპებისა, ქ-ნების შნეიდერისა და ჟუდიკისა, პაოლა მარიესი და, თუ გნებავთ, დვერიასი მდგომარეობდა მისი ხერხების დიამეტრულად საწინააღმდეგო ხერხების მოხმარებაში და რომ ამისთანა საშუალებების გამოყენების უფლებას თავისთავს არ მისცემდა თვით ბლანშ დ' ანტინიც კი. ქ-მა კოლოსოვმა უნდა იცოდეს თუ რას ნიშნავს ეს, ხოლო მკითხველი საზოგადოებისათვის ჩვენ ვიტყვით მხოლოდ, რომ ოპერეტის არტისტი ქალების თამაშისაგან ქუჩურ მოქცევამდე ისეთი მანძილია, როგორც აქედან შორეულ ცის ვარსკვლავამდე.

ბ-ნი პრავდინი გამოჩენილი ნიჭის არტისტია, მაგრამ „რაინდში“ როლს უშნოდ აფარსებდა. მან უნდა აფარსოს საწინააღმდეგო მხრით და წინ წამოსწიოს მაჟორდომი, როგორც შუასაუკუნეების ციხე-დარბაზების ზნეობის პირქუში თავდაჭერილობის ელემენტი. მას უხდებოდა ერთი ორჯელ „კანკანირება“ და ამიტომაც მისი საცოლე თვალს არ უჯერებს, როცა მას ანაზდეულად თავს წაადგება და „მედიდურად გამოჭიმულ“ მაჟორდომად ვერ იცნობს. ბატ. პრავდინი კი ცდილობდა ყოველთვის მოურიდებელი ყოფილიყო. ამით პიესამ მეტად წააგო. ბ-ნი ჟურინიც ბევრს დაეხმარა ამაში. მან ეს მადლიანი როლიც ჩვეულებრივად, დუნედ და ფერმკრთალად ითამაშა. მის თამაშში ორიგინალური იყო მხოლოდ ის, რომ თავის დიუნუას, „რაინდსა და სხ.“ სემინარიელის მეტყველების აქცენტი მისცა, მაგრამ ეს საპატიებელია და გასაგები: ბ-ნმა ჟურინმა ვერ მოასწრო დაევიწყებინა თავისი აქცენტი როლში პიესისა „ფაუსტი პირშებრუნებით“, თუმცა ის იქ საკმაოდ სუსტი ჰქონდა. იგი თურმე „რაინდისთვის“ ინახავდა ამ აქცენტს. ამაოდ.

მოკლედ, ცუდად არ შეასრულა თავისი როლი მხოლოდ ბ-მა სოკოლოვმა. მას ლაირი გულმართალ, მიამიტ ადამიანად გამოუვიდა, როგორიც უნდა ყოფილიყო პიესით. მაგრამ აფსუს, რომ პიესაში საინტერესო და თავშესაქცევია მხოლოდ ეს ლაირი, როცა სასაცილონი უნდა იყვნენ დანარჩენი გმირები. ნამდვილად კი სცენაზე სასაცილონი იყვნენ მხოლოდ მათი წარმომადგენელები.

ყველა ამის მორალი ის კი არაა, რომ არაფერი არ უნდა აიღო ნებართვის გარეშე, არამედ ის, რომ არაფერი არ უნდა მისცე „შეუგნებლად“.

---

46. ჩვენი თეატრი

I

სცენა და კულისები

დებიუტების კვირაა. უფ. პეტროვის (?), საიმპერატორო თეატრების არტისტის დებიუტი; ქ-ნ მიხაილოვის დებიუტი, დიდი ხნის დასვენების შემდეგ; უფ. პრავდინის დებიუტი იუპიტერის როლში (უფ. სოკოლოვის „ნაუცბათევი“ ავადმყოფობის გამო); უფ. პროტასოვისა — არკადიის პრინცისა და თბილისის საზოგადოების ახალი საყვარლისა, რომლის სახელიც არ გვახსოვს, — აღა-აღა-აღა-მემნონის როლში (უფ. იკონიკოვის აგრეთვე ნაუცბათევი ავადმყოფის გამო). დავიწყოთ ანგარიში ბოლოდან.

აღამემნონის როლს დებიუტანტმა გაცვეთილი გმირის კოლორიტი მისცა, რომელიც პოზებითა და კოხტა-მედიდური შესახედაობით გადის ფონს. იგი მედიდურად იდგა, მედიდურად დადიოდა, მედიდურად ლაპარაკობდა, იღიმებოდა მედიდურადაც, — მაგრამ დებიუტანტის შესანიშნავი არტისტული ნიჭი ისე კარგად იყენებდა ამ „მედიდურობას“, რომ მთელმა საზოგადოებამ უცბად შეიგნო, თუ რა განუზომელი სიცარიელე იფარება ამ დაჭიმული მედიდურობის იქით. ამას ვუძახი მე ოფენბახის ნაწარმოებების გააზრებულ წარმოდგენას! სულითა და გულით ვულოცავთ ჩვენს სცენას ასეთი ნიჭიერი თანამშრომლის შეძენას და თამამად ვუწინასწარმეტყველებთ მას ბრწყინვალე კარიერას.

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ „მშვენიერი ელენეს“ შემსრულებლებზე. მეილაკისა და ალევის „მშვენიერი ელენესი“ და ოფენბახის მუსიკის ამ უკბილო პაროდიამ ჩვენში კარგად ჩაიარა. როგორც ყველა პაროდიას შეეფერებოდა, აქტიორებმა შეერთებული ძალით ჩააფლავეს ეს ნამდვილი პიესა და მისი მიმზიდველი და სოლიდური მხარეები გააუხამსეს. ამ საქებური ბიზნის გამო — ხელოვნური პაროდიის ყველა წესების დაცვით — ნამღვილად კომიკური კუპლეტები და ნაწყვეტები ამოყარეს, ცოცხალ ჭარაგმულ სიტყვათა თაიგული გააუსახურეს, პიკანტური ადგილები შეკრიჭეს და განსაკუთრებული ნიჭიერებით აჩვენეს, რასაკვირველია, სასაცილოდ, თუ როგორ თამაშობენ ამ პიესას სატახტო ქალაქის არტისტები. პაროდიის წარმატება საგანგებო იყო. ამ მხრივ

განსაკუთრებულად ისახელეს თავი ბ. ბ. ჟურინმა, პროტასოვმა, ქ-ნმა კოლოსოვმა, მაგრამ არც დანარჩენ ფიგურანტებს შეურცხვენიათ თავი. ვსარგებლობთ ამ შემთხვევით, რომ ჩვენი უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქ-ნ კოლოსოვს იმისათვის, რომ მან განსაკუთრებული მცდელობითა და თავგანწირვით იღვაწა, რათა სრულად გაემართლებინა ჩვენი ქების შემცველი დახასიათება მისი „ნიჭებისა“ და თამაშისა („თბილისი უწყება“ № 85).

სამწუხაროდ, რაკი გამოიყენა მთელი თავისი ძალა ამ მიზნის მისაღწევად, მან მხედველობიდან გამოუშვა მეტად არსებითი მნიშვნელობის ზრუნვა კოსტუმზე, თმის დავარცხნაზე და ა. შ. ჩვენ, მაგალითად, მოგვეჩვენა, რომ ფეხზე შემოხვეული ბაბთა მეტად განიერი იყო, მისი ტრიკოს ფერიც — მეტად მკრთალი, ფეხსაცმელი -- მეტად უშნო და ა. შ. მთელი სულითა და გულით ვურჩევთ მას ერთ ქალთა დაწესებულებაში მოისმინოს ლექციების წყება ერთი ვითომც ცნობილი მონანიების გზაზე დამდგარი პედაგოგისა, რომელიც აპირებს ჩვენში გახსნას კურსები იმის შესახებ, რომ „ჭეშმარიტ პედაგოგად (ცნობილი კლასისა) არ შეიძლება იყოს ის ვინც არაა პარიკმახერი, ფეხსაცმელის მკერავი და მოდისტი“. ვბედავ დავარწმუნოთ ქ-ნი კოლოსოვი, რომ მას შეუძლია მთლიანად მიენდოს ამ პედაგოგის ჩვევებსა და დასკვნებს, რომელმაც სინამდვილეში უკვე დაამტკიცა თავისი ძირითადი თემის სისწორე.

ბ-მა სოკოლოვმა კვლავ დაარღვია „მშვენიერი ელენეს“ პაროდიის საერთო ჰარმონია. წარმოიდგინეთ, იმას მოეჩვენა, რომ ნამდვილ „ელენეში“ თამაშობდა. რი, სიბრმავევ! ამგვარ შეცდომაში ორჯერ ჩავარდა ბატონი პროტასოვიც მოტყუებული მენელაის მარჯვე მიმიკით. მაგრამ მან მეტად სწრაფად გამოასწორა შეცდომა.

„ორფეოსი ჯოჯოხეთში“-ს მეორე პაროდიაში, რომელიც ამ კვირაში წარმოადგინეს, დირექციამ მიზნად დაისახა დაემტკიცებინა თბილისის საზოგადოებისათვის, რომ მას, დირექტორს, ბ-ნ სოკოლოვის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. მან ბრწყინვალედ მიაღწია მიზანს. მაგრამ რა საჭირო იყო ძალღონის დახარჯვა იმის დასამტკიცებლად, რაც ისედაც ყველასთვის ცხადია — არ ვიცით! რატომ ღასჭირდა მას შეერცხვინა ბ-ნ პრავდინის სიმპატიური ტალანტი, — მხოლოდ ერთმა ალაჰმა იცის. მაგრამ ჩვენ ვისარგებლებთ ამ შემთხვევით იმისათვის, რომ ორიოდე სიტყვა ვთქვათ ბ. ბ. პრავდინსა და სოკოლოვზე. ბ-ნი პრავდინი ისეთი არტისტია, რომელსაც ყოველი დირექცია უნდა აფასებდეს. მას ყველა მონაცემი გააჩნია სერიოზული, საქმიანი კომიზმის შესაქმნელად; კომიზმისა, რომელიც სიცილსა და ღიმილს არ იწვევს, მაგრამ სჯმაოდ ღრმა კვალსა ტო-

ვებს მაყურებლის გონებაში. ბ-ნ სოკოლოვის კომიზმი ბრწყინვალეა, მწველი, მწიარული, მოხარხარე, ზოგჯერ გულმართალი, ზოგჯერ ბოროტი. ორივე არტისტს თავისი სპეციფიკური სახე აქვს, თავისი „ამპლუა“. ბ-ნი სოკოლოვი განსაკუთრებით წარუმატებელია ბ-ნ პრავდინის შესაფერის როლებში, ისე როგორც ბ-ნი პრავდინი შეუფერებელია ბ-ნ სოკოლოვის როლებისათვის. მაშ რა ძალა ადგიათ, რომ თავის ადგილებზე ვეღარ ეტევიან? იუპიტერის როლში ბ-ნმა პრავდინმა გააკეთა ყველაფერი რის გაკეთებაც შეიძლებოდა იმისათვის, რომ იგი გააზრებულად ეთამაშა. მაგრამ პირადად მისთვის ნიშანდობლიემა ნიქმა მეორე მოქმედებაში გაუძლო როლს: იუპიტერ-პრავდინს თავისი ფიზიონომია ჰქონდა განსხვავებული იუპიტერ-სოკოლოვის ფიზიონომიისაგან, მაგრამ მაინც კარგი, ნამდვილი. სამაგიეროდ, მესამე მოქმედებაში ბ-ნი პრავდინი პირდაპირ აუტანელი იყო. მას აკლდა ბ-ნ სოკოლოვის სიცოცხლე, სიყოჩაღე, ბუნებრივი მიმოხვრა, თანაც ეს ყველაფერი ხომ ბ-ნ პრავდინის ბუნებრივი ნიჭის ნიშნები არაა, ეს პირიქით, ვნებასაც მოუტანდა მას. კითხვა იმის, რატომ ჰკიდებს ბ-ნი პრავდინი ხელს ასეთ როლებს? დირექციას, ცხადია, შეუძლია მოითხოვოს მისგან ასეთი როლის აღება, — აბა დირექციას სად შესწევს უნარი ეს გაიგოს! — მაგრამ ბ-ნი პრავდინი რატომ არა სცემს „პატივს“ თავის ნიჭსაც და თავის მომავალსაც — ეს კი ვერ გაგვიგია.

სხვა როლებიც ასევე კარგად იყო განაწილებული. ვენერას როლში თამაშობდა ოთხმოცდაათი წლის ბებრუხანა, მონადირე-დიანას როლში — ქვევრის ნაირი ქილა. რომელსაც სცენაზე ფეხის გადადგმაც უძნელდებოდა, აპოლონის — მომღერლის როლში — ვიღაც ენაბლუ ახალგაზრდა, რომელიც ინსტიტუტში მოსწავლე ქალივით მორცხვობდა ლაპარაკში. ქალთა მთავარი როლები პირდაპირ აღმაფრთოვანებელი იყო. ქ-ნი დერჟავინი ისე მღეროდა, თითქოს პირში ცხელი კართოფილი უდევსო, ხოლო ქ-ნი ლებედევი... მაგრამ მის თამაშზე და სიმღერაზე ლაპარაკი პირდაპირ უხამსობაა. მან სცენაზე თავის დაჭერაც კი არ იცის და ვერ გაუგია რა უნდა ქნას და როგორ მოიქცეს, საჭიროა თუ არა საზოგადოებას ღიმილით ასაჩუქრებს, რისგანაც მაყურებელი ამ უკაცრავად „მსახიობი ქალის“ მიმართ განუზომელი სიბრალულით ივსება.

ერთი სიტყვით, იმისათვის რომ „ორფაგის“ დადგმა ჩვენში კარგად დავახასიათოთ, ვიტყვით, რომ იგი წარმოადგინეს არკადიის პრინცის „კუპლეტების გარეშე! ყველაფერი დანარჩენი, თავიდან ბოლომდე, ღვთაებრივად შეეფერებოდა ამ გენიალურ ნიშანს.

დრამატიული წარმოდგენები ჩვენს სცენაზე სწორედ ასე შეეფე

რება ოპერეტულ წარმოდგენებს. ჩვენ არ გვყავს არც ერთი გასაძ-ლისი არტისტი ქალი, რაიმე შესამჩნევი ნიჭით დაჯილდოებული. მხოლოდ ერთი ქალბატონი სვეტლანოვი არის მიმზიდველი ორიო-დე როლში (მოახლეებისა. და უბრალო ადამიანების), მაგრამ მას დირექცია ისევე ბოროტად იყენებს, როგორც ბ-ნ პრავდინს, რო-მელიც ადგილზე თუ უადგილოდ გამოყავს მარკიზის ქალის როლ-ში („ჭექა-ქუხილში") და პათეტიური წამებულების როლშიც („საფეხურიდან საფეხურზე") და ეშმაკმა იცის კიდევ როგორ რო-ლში. და ყველა ამ სხვადასხვანაირ როლში თქვენს წინაშე წარმოს-დგება ერთი და იგივე აღმტაცი, თუ გნებავთ, უბრალო ქალი, რომ-ლის თამაში მუდმივად იწვევს ერთ აზრს: „რა კარგია მოახლეებისა და უბრალო ქალების როლში!" და სხვა არაფერს.

ქ-ნი მიხაილოვი დრამატული „არტისტი ქალების" იმ კატეგორი-იდანაა, რომელნიც ფიქრობენ, რომ დროზე და უდროოდ თვალების მიპყრობა ჭერში, ცხვირსახოცის დაჭერა, ოხვრა და კვნესა ნიშნავს გრძნობიერ და აზრიან თამაშს. ყოველთვის, როცა მან ფრაზა უნდა წარმოსთქვას, მას პათეტიური რომ ჰგონია, „მკვირცხლი" ფრაზა, იგი უპირველეს ყოვლისა აუცილებლად თვლის მიმართოს მაყურე-ბელს, თითქოს უნდა მაშინვე გაიგოს თუ რა შთაბეჭდილება მოახ-დინა საზოგადოებაზე. მაგრამ მისი თამაში მეტად კარგია იმ მეტად ხშირ მომენტებში, როცა იგი უკანა დეკორაციას მიუბრუნდება და როცა მაყურებელი ხედავს მის ტანსაცმელსა და თმის ვარცხნილო-ბას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქ-ნი მიხაილოვი უმოკლეს დრო-ში სრულყოფილობას მიაღწევს და ყოველთვის სწორედ ასეთ პო-ზაში ითამაშებს.

ბ-მა პეტროვმა თავისი დებიუტით მოგვანიჭა ის სიამოვნება, რაც ყოველთვის თან სდევს მოულოდნელ აღმოჩენას. ჩვენ გულუბრუ-ვილოდ წარმოგვედგინა, რომ მოჩალოვის, მარტინოვისა და მაქსი-მოვა მეორის შემდეგ რუსეთში სრულიად გადაშენდნენ ბრიანსკისა და კარატიგინის სკოლის „არტისტები", რომლებიც თამაშის დრამა-ტიზმს ამყარებენ განწირულ მოძრაობებზე. მოთქმასა და ღრიალზე. თვალების გადმოკარკვლაზე, მკერდზე ხელის ცემაზე და ყოველ-წუთს თმაზე ხელის წავლებაზე. ვჩქარობთ ჩვენს მკითხველებს გავუ-ზიაროთ სასიამოვნო ახალი ამბავი, რომ ბ-ნ იაბლოჩკინმა სადღაც აღმოაჩინა ერთი ასეთი იშვიათი, ნამარხი არტისტი და გამოუგზავნა იგი ჩვენი თეატრის კუნსტკამერაში. რომ თბილისის საზოგადოებას რელიეფურად უჩვენოს — რა ითვლებოდა დრამატულ • თამაშად ორმოცდაათი წლის წინათ.

ბარემ ბ-ნ იაბლოჩკინზეც. ჩვენი აფიშები მუდმივად აუწყებენ

საზოგადოებას, რომ აქაური დასი მუშაობს „საიმპერატორო თეატრების რეჟისორის და სხვა ასეთი ბ-ნ იაბლოჩკინის ხელმძღვანელობით“. ჩვენ ცნობის მოყვარეობა აღგვეძრა შეგვეხედა ასეთ საზიზღროებათა „ხელმძღვანელობისათვის“, როგორითაც მდიდარია ჩვენი თეატრი, მაგრამ მახლას და ვაი: თურმე ბ-ნი იაბლოჩკინი თავისთვის წყნარად რეჟისორობს პეტერბურგში. ალბათ მის როლს აქ, თბილისში, ასრულებს ვინმე აფიშების ასოთამწყობი, რომელსაც ნამდვილად იმდენიმე გაეგება თეატრის ხელმძღვანელობისა, რამდენიც რკინიგზის გაყვანის საქმისა. მაგრამ, საკითხავია: უფრო წესიერი და ღირსეული არ იქნებოდა აფიშებიდან ამოეღოთ სტრიქონები ბ-ნ იაბლოჩკინის „ხელმძღვანელობისა?“ ერთიც ვნახოთ ვინმემ იფიქროს, რომ ამით აქაური საზოგადოება შეცდომაში შედის, მაგრამ ვინმე ღვარძლიანი ვაუბატონი დიახაც ამ ფაქტს ისეთი სახელით მონათლავს, რომ ტანში ჟრუანტელი დაგვივლის. სჯობს მოვცილდეთ ცდუნებას.

აი, მკითხველო, რაგვარად სრულდება ჩვენში თეატრის მოვალეობა. აქაურ სათეატრო წარმოდგენათა მუდმივი მაყურებელი ნება-უნებლიეთ დარწმუნდება, რომ რუსული ლიტერატურა არას წარმოადგენს, თუ არა სხვადასხვა „გრაფის ქალი დ' ობერვილი“-სა და „საფეხურიდან საფეხურზე“ უფრო ჭკვიან და აზრიან რამეს, რომ რუსულმა სცენამ ვერ გამოიმუშავა ვერაფერი ასატანი, ვიდრე ბ. ბ. პეტროვი, და პროტოსოვი, ქ-ნი ლებედევი და მიხაილოვია. „საიმპერატორო თეატრების არტისტების“ წამოსასხამით ჩვენში გამოდიან უზარმაზარი უნიჭობანი, ძველმანი საშუალო ნიჭის მქონენი, თითქოს იმისთვის, რომ განგებ დასცენ რუსული დრამატული ლიტერატურაცა და სატახტო ქალაქების დასებიც. ვინც თბილისის თეატრს თვალს მიადევნებს, ვერც კი იფიქრებს, რომ რუსეთში იყვნენ გოგოლები და ოსტროვსკები, მარტინოვები და ვასილევები; ყველა იძულებულია იფიქროს, რომ რუსულმა ლიტერატურამ და რუსულმა თეატრმა ას წელიწადში შექმნეს მხოლოდ ბბ-ი ფიოდეროვი ალექსანდროვთან ერთად და იაბლოჩკინი მიხაილოვის ქალთან ერთად.

ამ ღირსსაქებური თემის დასამტკიცებლად თბილისის თეატრს ეძლევა ოცდაათი ათასამდე მანეთი ვერცხლით. ასეთია. ეტყობა, ღვთის განგება და ჩვენც მის წინაშე ქედი უნდა მოვიდრიკოთ. მაგრამ, როგორ არ უნდა ვთქვათ, რომ ქალაქის საღსრებიდან გაღებული ამ სუბსიდიის ნაწილს შეეძლო უფრო შესაფერისი და საჭირო გზა ენახა და როგორ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ხმოსნები არა მხოლოდ უხმონი არიან, არამედ ბრმანიცა და ყრუნიც? თუმცა, კა-

რგად იყვნენ ისინიცა და იმათი ფულებიც. ჩვენ ახლა სხვა საკითხი გვიტაცებს: რის შედეგადაა ასე ხელიდან წასული ჩვენი სცენა, რის შედეგადაა ასე ბილწი ჩვენი დასი. ამ საყურადღებო გამოცანის ამოხსნას ვეცდებით შემდეგ „ეტიუდში".

II

პარტერი და ლოჟა

ქვეყანაზე არა არის რა სათეატრო საზოგადოებაზე უფრო ცნობისმოყვარე. უცქირო მას, დააკვირდე მის შთაბეჭდილებებს, თვალყური ადევნო მის მოძრაობასა და ფიზიონომიას — ღირსია ადამიანის გულის ყოველი შემსწავლელისა, თუნდ იგი თვით ლაროშფუკო იყოს. ვისაც ყურადღებით შეუსწავლია და გაუცვნია ამა თუ იმ კუთხის სათეატრო საზოგადოება, დარწმუნებით შეუძლია თქვას, რომ მან დაწვრილებით იცის ამ კუთხის მთელი საზოგადოება და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება. დამკვირვებელს თეატრში თვალწინა ჰყავს ხალხი, რომელიც გრძნობის, ვნების, აზრის, მოძრაობისა და თავისი შეგრძნებების დაფარვას ვერ ახერხებს. სასცენო თამაშით გამოწვეული შთაბეჭდილება მასში, ასე ვთქვათ, რეფლექტურად, უცბად მეღავნდება და დამკვირვებელს ცოცხლად შეუძლია აქვე აღნუსხოს ისეთი მომენტები და მოძრაობანი, როგორებსაც იგი ჩვეულებრივ ოჯახურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვერ მოძებნის სანთელიც რომ ეჭიროს ხელში. ამ თვალსაზრისით პარტერი და ლოჟები ანატომიური თეატრია, რომელშიც განსაკუთრებული სიადვილით შეიძლება გაიკვეთოს და ანალიზი გაუკეთდეს თანამედროვე საზოგადოებასა და თანამედროვე ზნე-ჩვეულებას.

მეორე მხრით, თვით არტისტების თამაში და თეატრის საქმის მთელი მიმდინარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სათეატრო საზოგადოების გემოვნებისა და ზნისაგან. ყოველ საზოგადოებას ისეთი თეატრი აქვს, როგორისაც ღირსი იგი არის, — რადგან, თეატრი, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა თვით საზოგადოების ხელის საქმე და ნაქნარი. ალხანას ჩალხანაო. ამიტომ სათეატრო საზოგადოება „უაღრესად" ცნობისმოყვარეა, იგი ორმაგად იმსახურებს დაკვირვებასა და შესწავლას. ჩვენც ვცადოთ და ამ თვალსაზრისით შევხედოთ ჩვენს საზოგადოებას.

ჩვენი სათეატრო საზოგადოების კლასიფიკაცია შემდეგი სახისა შეიძლება იყოს:

ა) მხილველნი: ამ არა მრავალრიცხოვანი კლასის ზოოლოგიუ-

რი ნიშნებია: სულიერი სიმარტივის დიდი დოზა, იმ შემთხვევებში, როცა სული არაა გაქღენთილი ღვარძლით; ენებიანი ან მიკერძოებული დამოკიდებულება სცენისადმი; გულცივი — საზოგადოებისადმი არავითარი ყურადღება შთაბეჭდილებათა გამოვლინებისადმი. ეს კლასი იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1) თბილისის სათეატრო დირექციის დროებით — თავისუფალი არტისტები, რომელნიც სამსახურიდან თავისუფალ დროს იმაში იყენებენ, რომ დატკბენ იმით, თუ როგორ მარცხდებიან მათი სამსახურეობრივი თანამოძმენი. მათი კრიტიკა მკაცრია და ულმობელი, თუმცა ეხება, უმთავრესად, ტანსაცმელსა და გრიმის გაკეთებას. ეს აღიბეჭდება, სამწუხაროდ, მხოლოდ მათ ფიზიონომიაზე. ეს ხალხი კულისებისთვის სახიფათოა.

2) ორკესტრი ბ-ნ ტრუფის ხელმძღვანელობით. ნახევარ დროს ყურადღებით ადევნებს თვალს სცენაზე თამაშს, იმისათვის, რომ ჰქონდეს შესაძლებლობა მეორე ნახევარი უცქიროს საზოგადოებას მჭევრმეტყველებით აღსავსე გამომეტყველებით: შეხედეთ, არა მხოლოდ ჩვენ ვცრუობთ და ვზარავთ თქვენს სმენასა და გრძნობას, არა მხოლოდ ჩვენ არ შეგვწევს უნარი ხმების შეწყობისა: აგერ სცენაზეც ცრუობენ, ზოგი ალიას გარბის, ზოგი ბალიას! ეს ხალხი სახიფათოა მომღერლებისათვის, განსაკუთრებით აკომპანიმენტის დროს.

3) დებიუტანტები ცხოვრებაში: გიმნაზისტები, ახლად გამომცხვარი პრაპორშჩიკები და მათი მსგავსნი. მეტად ზომიერად- გატაცებულნი, უფრო ზომიერად აღშფოთებულნი. „მე არ ვიცი რას ვიმღერებ, ოღონდ სიმღერა მწიფდება". უყვართ ბბ-ნი სოკოლოვი და პრავდინი, რაც მათ სრულიადაც არ უშლის ხელს უყვარდეთ ქ-ნნი კოლოსოვი და მიხაილოვი. ეს ხალხი არავისათვის სახიფათო არ არის.

4) ბინოკლები, ლორნეტები და შვეიცარები, თითქმის ერთადერთი სერიოზული მაყურებლები სათეატრო წარმოდგენებისა. აზრი და შთაბეჭდილება არ გააჩნიათ, ან, ყოველშემთხვევაში, არ გამოთქვამენ. სახიფათონი არიან ჯიბისათვის.

ბ) ხილულნი ნიშნები: შესახედაობა გაბერილი, გაბღენძილი, მედიდური, სოლიდურობა — ყველაფერში საუკეთესო, გარდა ტანსაცმელისა. ამ კლასის ქალებს სოლიდური დეკოლტები აქვთ, მამაკაცებს არა ნაკლები სოლიდურობით შეკრული აქვთ ყველა ღილი. ყველა გაჭიმულია. სახეზე ყველას ღრმა აზრის ბეჭედი აზის, სწორედ ის, რომელიც მეტად ცხადად ადასტურებს თავში ყოველგვარი აზრის უქონლობას. ეს კლასი იყოფა სამ ჯგუფებად;

1) პირველადი ფორმაციის გაქვავებულობანი, გაბღენძით მცდე-

ლები თავი გამოიჩინონ სახელმწიფო მოღვაწეებად, ალბად იმიტომ, რომ სახელმწიფოებრიობაში ისიხი ყველაფრით მოვალენი არიან მხოლოდ ცოლებისა, — თავისი თუ სხვებისა. ეს ხალხი, არსებითად, კეთილია, თუმცა თოფის წამლის გამოგონება არ შეუძლიათ. სახიფათონი არიან მხოლოდ ხელქვეითთათვის — სისასტიკით და სავარძლებისთვის — სიმსუქნით.

2) მჯდომარე მტკიცებანი იმ ახალი ესთეტიკური თეორიისა, რომ მშვენიერია მხოლოდ ცხოვრება და ბუნება და რომ ხელოვნება (თვით ო-ოდ-ტოლეს ხელოვნებაც კი) მხოლოდ აბაზიჯეს ბუნებრივ სილამაზეს. გულგრილნი არიან ყველაფრის მიმართ, გარდა მათკენ მიშვერილი ბინოკლებისა და მეტად სახიფათონი არიან თბილისელი მოდის მიმდევარი ქალებისათვის, როგორც ცოცხალი საბუთი იმისა, რომ მათ არ იციან თავისი კლიენტი ქალების გემოვნებაზე ჩაცმა.

3) რისაც გინდათ ახალგაზრდა კანდიდატები, რომელნიც ამ კლასის პირველ ჯგუფთან ერთად ინაწილებენ მთელ პირველი რიგის სავარძლებს და ზოგიერთ ადგილს ლოჟებში. საყვარელი ხალხია, მეტად საყვარელიც კი. გემოვნების პრეტენზიის მქონენი. უპირატესად არტისტი ქალების ფორმით არიან გატაცებულნი, უყვართ ისინი მხოლოდ პლატონურად, მაგრამ მზად არიან აჩვენონ, რომ მატერიალისტები არიან. უკანა რიგები მათ, თუ მცოდნეებად არა, ყოველ შემთხვევაში მშვენიერის „დამფასებლებად" მიიჩნევენ. სახიფათონი არიან თაყვანებაში მეტოქეებისათვის, უფრო მეტად კი თავისთავისთვის არსებითად ესენი არიან ინსტიტუტში მოსწავლე ქალები გამოწყობილნი ფრაკებითა და მუნდირებით.

გ) უ ხ მ ო და უ პ ი რ ო მ ო წ მ ე ნ ი. ნიშნები: დადიან თეატრში დაღლილი, კუნთების გასაშლელად, საზოგადოების სანახავად და, თანაც, რომ თითონაც ეჩვენონ ხალხს. სახეები დაღლილი, გულგრილი. ამთქნარებენ. პირველი რიგისა და ლიტერის ლოჟების მფლობელნი ღმერთკაცებად მიაჩნიათ. ღიმილს იწყებენ მაშინ, როცა პირველ რიგში მსხდომარე ახალგაზრდები ხარხარს იწყებენ, მაგრამ ხედავენ რა, რომ ხანში შესულები ოლიმპიურ სიჩუმეს ინარჩუნებენ. უცბად გადაყლაპავენ ღიმილს და მიიღებენ კეთილმზრახველ ფიზიონომიას. სათეატრო სამყაროს ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფები ამ კლასისა არიან:

1) მოსამსახურენი ხელქვეით თანამდებობებზე. თავი უპირავთ ღირსების შეგნებით თუ არა, ყოველ შემთხვევაში, თვიური ხელფასის უკიდურესობით მაინც მაგრამ მორიდებულნი და „დამოუკიდებელნი" არიან.

2) შტატგარეშენი და თვიური ხელფასისაკენ მიმსწრაფნი. განსაკუთრებით მორიდებულნი, საგანგებოდ კეთილმზრახველნი და სრულიად უმოძრაონი არიან. სულიერად ეწამებიან, რომ პირველ რიგებში მსხდომნი პირით სცენისკენ სხედან და არა საზოგადოებისაკენ. ღმერთს ევედრებიან, რომ ამ რიგში მსხდომთ მისცეს მეორე წყვილი თვალიც, უკნიდან. „პირველრიგოსანთა“ თავების თითოეულ შებრუნებისთანავე ისე გამოიჯგიმებიან, თითქოს ჯარისკაცები სამხედრო დათვალიერებაზე არიანო.

3) დედები ცოტათ თუ ბევრად მომწიფებული ქალიშვილებით. უსაზღვროდ მკაცრნი არიან თავის ბარტყებისადმი, ყურადღებიანნი — მათ კაბათა და მძაფრნი — მეზობელთა, განსაკუთრებით გიმნაზიელ ვაჟთა, მიმართ. ქალიშვილები ყველაფრის მიმართ აპატიურნი და რაღაც გაშტერებულნი უცქერიან ყველას და ყველაფერს. სრულიად უცოდველი შესახედაობა აქვთ. ნუ დაუჯერებთ გესლიანებს, ვითომც ამ უმანკოებას გონებაჩლუნგობის სუნი ასდიოდეს.

4) სავარძლები, სკამები, ლოჟები. აპატიურად კეთილმზრახველნი. განსაკუთრებით პათეტიურ წუთებში ჭრაჭუნობენ, მაგრამ უკეთილმზრახველურად.

მეცნიერ ნატურალისტებს ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ რას მიაკუთვნონ „რაიოკი“, რომელიც ჯერჯერობით ემბრიონალურ მდგომარეობაში იმყოფება. უცდიან მილნ-ედვარდსა და დარვინს. თუმცა, აგასისის ერთმა მიმდევარმა „რაიოკი“ მიაკუთვნა განსაკუთრებულ ჯგუფსა თუ კლასს. ჩვენ კი, უფრო სოლიდური ნაშრომების მოლოდინში, ვიტყვით, რომ ამ რაიოკის მსგავსმა თეატრმა ჯერ კიდევ არ იცის არა მხოლოდ დამპალი ვაშლები და კართოფილი, არამედ დასტვენაც კი. როგორცა ხედავთ, არაფერი შეიძლება ითქვას კლასზე. რომელიც ასეთ პირველყოფილ მდგომარეობაშია.

გადავიდეთ ახლა ზოგად აღწერილობაზე და „დასკვნებზე“.

მე ყოველთვის მაოცებდა, რომ აქ თბილისში, რომლის საშუალო ტემპერატურა 14 გრადუსამდე ადის, საზოგადოებაში თითქმის ვერ ხვდები ფიზიონომიის იმ თავისებურ წყობას, რომელიც ნიშანდობლივია, ზომიერი და ცხელი სარტყლების მცხოვრებთათვის. აქ, როგორც პეტერბურგში (მაგალითად), თეატრში, საზოგადოებაში, ქუჩაში იშვიათად შეხვდებით მხიარულ, მომღიმარ, ბედნიერ ფიზიონომიას, ისეთებს, როგორებიც გვხვდება თუნდაც ვენაში, ვერონაში. ტრიესტში და ა. შ. აქ თქვენ შეხვდებით ჩამოგრძელებულ, დაჭიმულ, დაფიქრებულ, წვრიმალ-თვითკმაყოფილ ფიზიონომიას, და თვითეულ მათგანზე აღბეჭდილია რაღაც მანქანურობა, არა მხოლოდ სიცოცხლის, არამედ ბუნებრივობის უქონლობა. თითქოს ეს

ადამიანები ძალით იბერტყენ თავიდან აზრს, გულიდან — ყოველ-
გვარ გრძნობას, ხოლო სახიდან — იმისა და ამის ყოველგვარ გამოვ-
ლინებას. ახალ ადამიანს რაღაც სიმჟავის სუნი მიუვა ამ ერთგვარად
მჟავე, ერთგვარად მეტისმეტად ცივი და უმოძრაო სახეებიდან,
რომელნიც ერთ ყალიბში გამოყვანილებს გვანან. ყველას ცეცხლი-
ვით ეშინია გამოხატოს სიხარული თუ მრისხანება, მხიარულობა ან
მოწყენილობა. თითქოს ყველას — კაცებს, ქალებს და ბავშვებსაც კი
— ვინმე წვრთნის, ვინმე აშინებს. სულ გგონია, რომ გაისმის ბრძა-
ნება: „თვალები მარცხნივ!" ან „თავისუფლად!", და რომ ყველა იმ
წამს შეასრულებს ამ ბრძანებას. მითხარით გეთაყვა, აბა როგორ
უნდა ითამაშონ აქ არტისტებმა? გენიალური მსახიობიც რომ იყოს,
ისიც კი ძვლიან-ხორციანად გაიყინება ასეთი გამყინავი თავდაჭერი-
ლობის შემხედვარე. არტისტებს ესაჭიროებათ საზოგადოების მხარ-
დაჭერა, წაქეზება და დაწუნება, ტაში და სტვენა. არტისტმა უნდა
იცოდეს, რომ მან ააღელვა ან შეაცბუნა მაყურებლის გრძნობა, იგი
უნდა ხედავდეს, რომ საზოგადოება დაინტერესებულია სცენით,
მონაწილეობას იღებს თამაშში, უმზერს, ესმის და გრძნობს, კარგი-
სათვის მადლობას სწირავს, სჯის ცუდისათვის. რას უბრძანებთ
გააკეთოს არტისტმა, როცა იგი იძულებულია ითამაშოს ნამდვილად
მთვლემარე და მხოლოდ გვერდზე მსხდომთა კაბებითა და სამხედრო
პირების სამხრეებით დაინტერესებული მაყურებლის წინაშე? აბა
როგორ არ გათახსირდეს ცოტად თუ ბევრად ბედნიერი ნიჭიერება
და როგორ არ გაყოჩაღდეს ცოტათ თუ ბევრად უნიჭო საშუალო ნი-
ჭი, თუ მას „არც თუ ცუდი" გარეგნობა და „მშვენიერი" კოსტუმები
აქვს? და მართლაც, ერთი უნდა აიხსნას, რომ ჩვენს ჰავაში, სადაც
ადამიანები ბუნებით არა მხოლოდ შთაბეჭდილებიანი, არამედ გულ-
გახსნილი უნდა იყვნენ, საზოგადოება დიდიდან პატარამდე გამსჭ-
ვალულა რაღაც გაუგებარი აპატიურობით და უფრო ლეშსა ჰგავს,
ვიდრე ცოცხალ ადამიანთა კრებას?

მაგრამ ჩვენი თეატრი დამოკიდებულია არა მხოლოდ „ამ" ლეშად-
ქმნილ საზოგადოებისაგან, არის სხვა პირობაც, რაც მას აქცევს
იმად, როგორადაც ჩვენ მას ვეჭვრეტთ. მაგრამ ამ „Deux ex machi-
na"-ზე შემდეგ ვისაუბრებთ.

III

Deux ex machina

რამ მიიყვანა ჩვენი თეატრი ახლანდელ სამწუხარო მდგომარე-
ობამდე? რის შედეგადაა ახლა იგი მინებებული მწარე ბედსა და

ვიღაც აფიშების ასოთამწყობებისა და საშუალო ნიჭის მქონეთა თვითნებობას? სრულიად ცხადია, რომ ამაში, — საზოგადოების გარდა, — ბრალი უდევთ იმ პირებსაც, რომელნიც განაგებენ სათეატრო წამოწყებებს, თუმცა მათი მოწოდება და მოღვაწეობა არავითარ კავშირში არ იმყოფება დრამატიულ ხელოვნებასთან.

მაგრამ აქ ცოტას გადავუხვევთ და რამდენიმე სიტყვას ვიტყვით თეატრის ამ გამგებლებზე, როგორც კერძო შემთხვევაზე, ხოლო არსებითად კი ვიტყვით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ უფრო ზოგადი გამოვლინების არსზე.

საერთოდ რომ ვთქვათ, ჩვენი საზოგადოებრივი ზნე მეტად მოქნილია იმის მიმართ, რასაც „პროფესიული კეთილსინდისიერება" ეწოდება. თუმცა არავინ ჩვენგანი არ ჩაიდენს ისეთ სისულელეს, რომ ხელი მოჰკიდოს, მაგალითად, ქუჩების მოკირწყვლას, რაიმე საჭმლის მომზადებას, ფეხსაცმლის თუ ქუდის კერვას, და მართალია მეტად შესაფერ დროს გავიხსენებთ, რომ „ჩვენთვის ეს არ უსწავლებიათ", რომ „ჩვენ ეს არ ვიცით", რომ „ამისი გამოცდილი ოსტატები მოიპოვებიან" და სხვა, მაგრამ არავინ ჩვენგანი არ გაიხსენებს იმასვე, მაგალითად, თუ მას ჟურნალის გამგებლობა, შვილის მოწყობა, რომელიმე კერძო დაწესებულების გამგეობა და ა. შ. რომ შესთავაზონ. არავის ჩვენგანს თავში არ მოუვა აზრი, რომ მოღვაწეობის ყველა დარგი მოითხოვს გარკვეულ მომზადებას, სოლიდურ ცოდნას, საფუძვლიან გამოცდილებას, ზოგჯერ კი საკმაოდ იშვიათ ნიჭიერებას. ჩვენ ამაზე არც კი დაუფიქრდებით. საუკეთესო საქმეთა ღირსი ვაჟკაცობით მზად ვართ ხელი მოვკიდოთ ყველაფერს, რასაც კი შემოგვთავაზებენ: დღეს მოსამართლის თანამდებობას, ხვალ — საბაჟოსი, ზეგ — სათეატროსი, შემდეგ რკინიგზისა, საფინანსოსი, ან სასულიერესი, — იყოს კი შემოთავაზება, იყოს კი ადგილი; სადაც შეიძლება „ბრძანების მიცემა" და „მართვა". გვყვანან ვაჟკაცები, რომელთაც ერთ მშვენიერ დილას წარმოიდგინეს — „რატომ არ შემიძლია მეც მოვაწყო ასეთი და ასეთი საადგილმამულო ბანკი", — და დაიწყეს და მოაწყეს. არიან მეორენი, რომელთაც მოაგონდათ, რომ ოდესღაც, ორმოცი წლის წინათ, შეუხედიათ საინჟინრო სასწავლებელში, როცა საინჟინრო ხელოვნება ესმოდათ. როგორც გზატკეცილებზე ხიდების აგება, და წავიდნენ რკინიგზის ხიდებისა და გვირაბების მშენებლებად. არიან. მესამენი, რომელნიც გაჭირვებით მიხეილის თეატრის ორ-სამ წარმოდგენაზე ისხდნენ. ახლა ისინი მიისწრაფიან რაგინდარა თეატრის გამგეობისაკენ. ერთი სიტყვით, თითქმის ყველაფერში, ცოტა არაა ჩვენში სხვადასხვაგვარი მოხერხებული ადამიანი. რაც გინდათ იმის კან-

დიდატი, რომელიც მზად არის დაუფიქრებლად თუნდაც ჩინეთის დასაპყრობად წავიდეს ,ან ატლანტის ოკეანეზე ხიდი გასდოს, თუ კი ამისთანა წინადადებას მისცემს ვინმე და თუ ეს დაკავშირებული იქნება რაიმე გამორჩენასთან, რაიმე პატივის მოხვეჭასთან.

გახსოვთ ბ-ნ შჩედრინის „ახალი ნარცისი"? გახსოვთ, რომ ამ პამფლეტში გამოყვანილი ერობის მოღვაწენი ერთმანეთს ასწრებენ სხვადასხვა თანამდებობისა და მოვალეობის აღებას მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ თავი ყველაფრის გასაკეთებლად, მომზადებულად, ყველაფრის შემძლებლად წარმოუდგენიათ? ერთი მათგანი. მაგალითად, ხელს ჰკიდებს „მიმოსვლის გზებს" იმ საფუძველზე, რომ ერთი-ორჯერ ნიკოლოზის რკინიგზაზე უმოგზაურია მატარებლით, მეორე კი — „საზოგადოებრივ ჰიგიენას" იმიტომ მხოლოდ, რომ თავისი ჭაბუკობის ხანს ხშირად უვლია ცნობილ სახლებში; მესამე — ხელს ჰკიდებს სახალხო განათლებას მხოლოდ იმიტომ (თუ არ ვცდები), რომ სამი წელიწადი ზედიზედ ლოთობდა ვიღაც სამსახურიდან გამოგდებულ აღმზრდელთან და ა. შ. მართლაც რომ გამოჭრილად ჩვენზეა დაწერილი ეს კარიკატურა და, გულ აბდილად რომ ვთქვათ, კარიკატურას ვერ დავარქმევთ მას, იმდენად ჰგავს იგი ჩვენს სინამდვილეს.

გახსოვთ მეორე, უფრო ნამდვილი ისტორია, თუ არ ვცდები „რუსსკაია სტარინაში"[59] გადმოცემული ორი წლის წინათ? თუ გახსოვთ რა უპასუხა ნესტორ კუკოლიკმა თავისი მეგობრის საქმიან შენიშვნას, რომელიც გაკვირვებული იყო თუ ამ კუკულნიკმა საიდან გამოიგონა თავისი რაღაც „ისტორიული ამბის" რაღაც წვრილმალები? მან თქვა: „მე მომანდეს დამეწერა ისტორიული ამბავი და მეც გამოვაგორეო. ხვალ დამავალებენ ვიყო მეანი, ხვალვე გავხდები მეანიო". მიყვარს მე ასეთი მზადყოფნა — იქით წახვიდე, რაც დაგესიზმრება, გადაიქცე იმათ — რაც მოგაფიქრდება, გახდე იმათ რასაც გიბრძანებენ: ეს უძვირფასესი თვისებაა არა მხოლოდ მორჩილებისა და მზადყოფნის თვალსაზრისით. სამაგიეროდ მოვალეობათა შესრულების თვალსაზრისით, რასაც ასე სიამოვნებით წამოიკიდებენ ხოლმე ზურგზე, სასურველია რამდენიმე მეტი კეთილსინდისიერება. მართალია, ზოგჯერ სასიამოვნოა იყო ასეთი ჯადოსანი, რომ თვალის დახამხამებაში დღეს მუსიკოსად იქცე, ხვალ — მეანად, შემდეგ — მშენებლად, შემდეგ — ისტორიკოსად, მაგრამ ერთხელ მაინც უნდა გაიხსენო ის, თუ რა მდგომარეობაში ვარდება ის საზოგადოება, რომელსაც ასეთი „მეანები" უკეთებენ ოპერაციას.

ვიმეორებ, ყველაფერი ეს არ მეტყველებს ჩვენი პროფესიული

კეთილსინდისიერების სასარგებლოდ, მეტად სამწუხაროა. უნდა იმედი გვქონდეს, რომ თანდათანობით, ასიოდე წლის შემდეგ, მივაღწევთ ზნეობრივი განვითარების ისეთ ხარისხამდე, რომელამდეც დიდი ხანია მიაღწიეს კალატოზებმა, ფეხსაცმელების მკერავებმა და ხელოსნებმა, ხელს მოვკიდებთ მხოლოდ მას, რაც ვიცით და არ შეგვრცხვება ვთქვათ, რომ ეს არ ვიცი, ეს ჩემი მეზობლის საქმეა და ა. შ. იმედი უნდა გვქონდეს, რომ თავის დროზე საზოგადოებაც მივა გონებრივი განვითარების იმ საფეხურამდე, როცა, მაგალითად ბანკის დირექტორად არ ამოირჩევენ კაცს მხოლოდ იმიტომ, რომ ათი წლის განმავლობაში მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ „ვა-ბანკში“ სდებდა ფულს. მაგრამ არ შეიძლება არ შევიცნოთ, რომ ახლა ჩვენ საკმაოდ შორსა ვართ ასეთი განხიერსნებული ოცნებისაგან.

მაინც დავუბრუნდეთ ჩვენს თეატრს.

იმყოფება თუ არა ჩვენი თეატრი ისეთ პირთა გამგებლობაში, რომელთაც შეეძლებოდეთ აღასრულონ თეატრის დანიშნულება — მისი საშუალებით გააცნონ ჩვენი საზოგადოება რუსულ დრამატიულ ლიტერატურას? ვის ხელშია ახლა იგი და რა გარანტია გვაქვს, რომ ბბ. ნადლერისა და იაბლოჩკინის შემდეგ, საფეხურიდან საფეხურზე, ჩვენი თეატრი არ მივა რომელიმე ბალაგანის ანტრეპრენიორამდე? რითი, როგორი დამსახურებით? რა სპეციალური შემეცნება გააჩნიათ და გააჩნდათ თეატრის ყოფილ და ახლანდელ გამგებლებს? იცნობენ ისინი დრამატულ ლიტერატურას. იციან იმათ სასცენო ხელოვნების ისტორია, გაეგებათ რამე კრიტიკისა, ესთეტიკისა, მუსიკისა? საკმარისია დავაყენოთ ასეთი საკითხები რომ გადაწყვეტილად უარყოფითი პასუხი მივიღოთ: „არა, არ იცნობენ“, „არა, არ გააჩნიათ“, „არა, არ გაეგებათ რა“. ამას მათ სასაყვედუროთ არ ვამბობთ. „შეიძლება საქმიანი კაცი იყო“ და არ იცოდე ეს სპეციალობანი, და ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ უარვყოთ თეატრის გამგებელთა მშვენიერი პირადი თვისებანი. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ იმ საქმიანობაზე, რომელთა ბედი შემთხვევით ჩავარდა მათ ხელში, მათ არ გააჩნიათ საჭირო ცნობები და რომ აქ საგნის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე შორს ვერ წახვალ: რაც არ უნდა იტრიალო, თეატრს გაკოტრებამდე მიიყვან, სცენას კი ბალაგანობამდე.

ამ საგანზე ჩვენ არ გვსურს რაიმე დასკვნები და დაბოლოებანი გავაკეთოთ, არც იმ საკითხზე შევჩერდეთ, თუ რატომ კიდებს ხალხი ხელს ისეთ საქმეებს, რომლებიც მათ სრულიად არ იციან. მაგრამ არ შეიძლება ეს საკითხი დავტოვოთ ისე, რომ ერთი შენიშვნაც არ გავაკეთოთ.

თეატრის გამგებლები მეტად სასტიკნი უნდა იყვნენ რეჟისორის, საერთოდ სცენის, პიესის შერჩევის, მთელი სათეატრო საქმის წარმოების მიმართ, მაგრამ უფრო მკაცრნი უნდა იყვნენ საკუთარი თავის მიმართ. თავისი თავი ყოველგვარი მიკერძოების, ეჭვის ზევით უნდა დააყენონ. როგორც მოსამართლე არ შეიძლება ამფსონობდეს ვექილებთან და მოდავეებთან, როგორც ადმინისტრატორი არ შეიძლება მიკერძოებული იყოს თავისი საგამგეოს ერთი კატეგორიის მიმართ, მეორის საზიანოდ, ასევე თეატრის გამგებლები შორს უნდა იდგნენ კულისებიდან, ახლოს იყვნენ საკუჭნაოსთან. დაძმაკაცება ერთთან, ქედმაღლობა მეორესთან არ შეიძლება მოსათმენი იყოს მათგან, რომ არავის ქვეყანაზე არ ჰქონდეს ნება გაამართლოს თავისი სცენიური უნიჭობა ან მოუხერხებლობა იმით, რომ გამგე ამასა და ამას მფარველობს, ამას და ამას უსამართლოდ ექცევა და ა. შ. ამ წესზე დგომა, განსაკუთრებით, განუხრელად საჭიროა მსახიობი ქალების, უფრო მეტად ეშხიანების მიმართ. გამგებლებს არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ მათ არა აქვთ უფლება საზოგადოების წინაშე სახელი გაუტეხონ თეატრის ღირსებას და საზოგადოებრივ შეგნებაში ჩააგდონ აზრი, ვითომც ჩვენში ზოგიერთ სფეროებში შეიძლება მიკერძოება ცოტად თუ ბევრად ოსტატურად შეღებილი ლოყებისა და ბამბა დადებული ყორპუსებისათვის. საზოგადოება განუწყვეტლივ უნდა გრძნობდეს, რომ სცენაზე ყოველს თავისი მიეზღვის ნიჭისა, ცოდნისა, დამსახურების მიხედვით და არა შემთხვევითი გამგებლების მიხედვით, არა მათი მიკერძოების მიხედვით. ვიმეორებთ, ეს ბევრად სერიოზულია, ვიდრე ჩვეულებრივ ჰგონიათ.

სამართლიანობა გვაიძულებს ამ საერთო შენიშვნას დაუმატოთ, რომ ჩვენ სრულიად არავინ არ გვყავს მხედველობაში, რომელსაც პირადად შეეხებოდეს ჩვენი შენიშვნა. ჩვენ მარტივად გამოვთქვამთ ზოგად წესს ისე, რომ არც კი გვაქვს წარმოდგენა —ირღვევა თუ არა იგი როდისმე ჩვენთან თბილისში. რომ ამგვარ დარღვევებს ოდესღაც ძველად ადგილი ჰქონდა, ამაზე მაშინ ლაპარაკობდნენ. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი მომავალში არასოდეს გამოვლინდება. ამ გულში ჩასახული იმედით ვამთავრებთ ჩვენს ეტიუდს თბილისის თეატრზე და გამომშვიდობებისას ვუსურვებთ მას იმ ნეტარი დღეების მალე დადგომას, როცა მასში ითამაშებენ ნიჭიერი და მცოდნე არტისტები და როცა მისი ხელმძღვანელები იქნებიან საქმის მცოდნე და სერიოზული გამგებლები.

---

47. იმერეთის ამბები

ქუთაისი, 27 აგვისტოს 1873 წ.

„თბილისის მოამბეს“[60] რომ არ დავეშინებიე, აი როგორ დავიწ-ყებდი დღევანდელ ჩემ კორრესპონდენციას: „აი კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი...“ მაგრამ დღეს ამნაირ დასაწყისს მაზანდა წასდენია, და ამისთვის უდასაწყისოთ და უშესავლოთ გავმართავ საუბარს და მოთხრობას.

პირველიდამ იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო, რომ ბორჯომიდამ ხაშურამდი (27 ვერსზე) რკინის გზა უნდა გაიმართოსო. დღეს ნამდვილათ შეეიტყვე, რომ ამ რკინის გზის ხაზის გამოსაკვლეველათ ინჟინრებიც გამგზავრებულან და გამოკვლევის ფულიც. მიუღიათ. მაშასადამე ეს საქმე ბეჯითი ყოფილა. როგორც მითხრეს ამ რკინის გზის შტოს ერთ მილიონ ნახევრამდი ფული მოუნდებაო, და რკინის გზაც ძლიერ მალე უნდა გაშენდესო. დიდათ სასიამოვნოა ყველა ჩვენი ქვეყნის მოყვარეთათვის, რომ ეს მშვენიერი ბორჯომის ხეობა დანარჩენ საქართველოს რკინის გზით შეუერთდება: ამით გასავალი და გზა მიეცემა ბორჯომის ნაწარმოებს და ბუნებით სიმდიდრეებს, და იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ ამავე ნაირათ სხვა შესანიშნავი და ხალხიანი ჩვენი ხეობებიც შუა-გულ საქართველოს რკინის გზით შეუერთდებიან. აი, მაშინ გავიმართებით წელში და სიცოცხლეც გაგვიადვილდება...

კიდევ ერთი სასიამოვნო (აკი წამცდა ძველი ჩვეულებით!), არა, უსიამოვნო ამბავი. ის შტო, რომელსაც ქუთაისი რკინის გზასთან უდნა შეერთებია, ჯერ ისევ უწინდელ მდგომარეობაში იმყოფება — ესე იგი მარტო პროექტათ არსებობს. იმის თაობაზე ჯერ კაცს ხაზის უბრალო გამოკვლევაც არ დაუწყია. ამის მიზეზსაც მოგიყვებით. თუ ტყუილი არ უთქვამთ ჩემთვის იმ პირებს, რომლებმაც ამ საქმის გარემოებები გამაცანეს. ამბობენ, ვითომ მმართებლობას რკინის გზის გაშენების დროს კამპანიისთვის ლაღუმების სამტვრევი თითის წამალი მიეცეს, სამასი ათასი მანეთის საღირალი, და კამპანიას, ვითომ, ეს ფული მმართებლობისთვის უნდა გადაეხადა.

1871 წლის სეკტემბერში, ქუთაისს ხმა გავარდა, ვითომ მმართებლობას შტოს გაშენების სურვილი აქვსო და მაშინ კიდეც თქვეს, შტო მომავალ მაისში (1872) მზათ უნდა იყოსო. მაგრამ თურმე მმართებლობამ კამპანიას უთხრა, ის თოფის წამლის ფული მიპატივებია, და მაგიერათ შენ რკინის გზის შტო გააშენეო. კამპანიას კი, ნუ იტყვით, ამ სიტყვებიდამ მარტო პირველი ნახევარი დაუმახსოვრებია („ფულები მიპატივებიაო") და მეორე ნახევრისთვის კი („შტო გააშენეო") თავისებურათ წაუყრუებია. —მართალია ეს თუ ტყუილი, ამისი მე აბა რა მეცოდინება: როგორც მიყიდია ეს ამბავი, იმ ფასათ თქვენთვის მიიღვნია და თქვენ როგორც გინდათ ისე გაიგეთ და დაიჯერეთ... ნამდვილი კი ისაა, რომ, ასეა თუ სხვაფრივ, ქუთაისს რკინის გზის შტო ჯერ არ მიკარებია, და როდის მიეკარება — ეს არავინ იცის...

რომ იცოდეთ რა ამბავია ქუთაისში „დროების" ბაასის გამო ბ. ღოღობერიძის შესახებ! ეს ხომ კარგათ იცით, რომ პუბლიკას — ქუთაისელი იყოს, გინდ პარიელი — ყველაზე უფრო და ყველაზე უწინ სეირი, მუშტი-კრივი, შეტაკება და ბრძოლის ცქერა უყვარს. ამნაირია კაცის გული, და ამას ხომ ჩვენ ვერ გადავაკეთებთ. და ეხლა ჩვენს ბაასს ყველა ისე მწარეთ უგდებს ყურადღებას. თითქო კარგ ლაზათიანს ჭიდაობას ესწრებოდეს. — „აპა-აპა! რავალი გახურებული კრივიაო! აბა, ვინ მოერევა! ვინ ვის დასცემს? ოჰ, შენ ნუ მომიკვდები, ეს კარგი ფერდული იყო! აი, ამანაც კარგი კვანტი გადადო! უჰ! როგორ მწარეთ დააბერტყა მიწაზე! არიქა, ნუ გეშინია, შე ფრთხალო! მამა ჩემი ნუ წამიწყდება ძალიან გედიგლო ეხლა თავზე! შვლიპე მაგას! არიქა კვანტი! არ ზოგო!" და სხვ. ზოგიერთებს, თურმე, ნიძლავიც დაუდვიათ: არა ბ. ღოღობერიძე მოერევა სკანდელსაო, არა სკანდელი — ბ. ღოღობერიძესაო. თვითონ ფალავანდებიც ძლიერ კიჟინობენ და ტრაბახობენ: ერთს უთქვამს, დავცემ, ხელ-ფეხს შეუკრავ და ისე მივართმევ ჩემ ბატონებსო, მეორეს დაუქადნია — ისე დავალურჯებ. რომ მღებრებს ლილათ გამოადგესო. რა იქნება და რა არა, ამას მკითხველი ჩემზე უფრო კარგათ დაინახავს. მაგრამ მენიძლავეები კი, ორივეს მხრით, ძალიან ბეჯითათ ჩაჩერებიან ამ მუშტი-კრივს. და არც ერთ მის გარემოებას და სიტყვას შეუნიშნავთ არ ჰკარგვენ. ჩვენთვის ესეც საკმაოა.

სხვებს, — მენიძლავეებთაგანს (ეს არ დაივიწყოთ) — დაუჯინიათ თურმე. რომ ეს რა კაცობაა კრივი და ჭიდაობა, დამჯდარათ იმუსაიფეთ. საქმეზე ილაპარაკეთ, მარტო ბანკის უსტავი არჩიეთ, ერთმანეთს ნუ შეეხებითო. ეს აზრი მე ერთმა ისეთმა მეგობარმაც გამომითქვა, რომლის სიტყვას და აზრს ყველაზე უფრო ვაფასებ და

ვაკვირდები. მაგრამ, იმას კი არაკაცი იხსენებს, რომ ჩვენ საზოგადოებისთვის ვსწერთ, და ეს საზოგადოება ჯონ-სტუარტ მილისთანა მოაზრეებისაგან კი არაა შემდგარი. ლოგიკურ, დამჯდარ, აბსტრაქტულ წერა-სჯას ჩვენში ერთობ აფასებენ, მაგრამ როდი კითხულობენ. არა თუ ჩვენში, რუსეთშიც და საფრანგეთშიაც დოგმატურ წერას მარტო სწავლულებზე აქვს გავლენა და ზედმოქმედება. პუბლიკა კი, ესე იგი მკითხველი საზოგადოება, მოკლე სტატიებს, პოლემიკას, პიროვან შეტაკებას და ლიტერატურულ მუშტი-კრივს ეწაფება. ამისგამო უცხო მწერლობებში ყოველ საზოგადოებრივ საქმეს, ყოველ შესანიშნავ მოვლენას და კითხვას ყოველთვის ისე სინჯვენ მწერლები, რომ ერთმანეთს სასტიკათ შეეტაკებიან, ერთ უშველებელს ვაი-ვაგლახს ასტეხენ, შექმნიან გამწარებულ ბრძოლას, და ამ ბრძოლაში გამოთქმული აზრები ამით ერთიანათ და მტკიცეთ იბეჭდებიან მკითხველის გონებაში. სხვა მაგალითები თუ არ ახსოვთ ამ ჩვენ ქუთაისელ ვითომ-ბრძენებს და ცრუ-ქადაგებს, ის მაინც გაიხსენონ, რა ნაირათ წაიყვანა «Современник»-[30]მა მიწა-წყლის საზოგადოებრივი მფლობელობის საქმე (общинное владение). და ის საქმე, ხომ, ჩვენი ბანკის საქმეზე ერთი ათასათ უფრო მალლა იდგა, როგორც სიმძიმით, ისე საჭიროებით.

არის ჩვენ ბაასში მეორე მხარეც, რომელსაც არავინ არ იხსენებს. ქუთაისის ბანკის საქმეში პირველჯერ გამოდიოდა საზოგადოებრივი საქმეების წაყვანის ასპარეზზე ჩვენებური ახალგაზდობა, ჩვენი ახალი თაობა. საქმე, ჩვენი აზრით, ცუდათ წავიდა მაშინ, როდესაც ჩვენ — „დროების“ თანამშრომლები — საზოგადოებას ურჩევდით ეს საქმე ბ. ღოღობერიძეს მიანდეთ-თქო, იმ კაცს, რომელმაც საქმე დაფუშა. ნუ თუ ჩვენ — „დროებამ“ — არ უნდა ავხსნათ, თუ როგორ მოგვიხდა ამისთანა ცუდი რჩევის მიცემა? ან ნუ თუ ჩვენ არ უნდა დავსაჯოთ — სამაგალითოდ — ის ჩვენი „დროებითი თანამოაზრე, რომელმაც საზოგადოებრივი საქმეების წაყვანაში საერთო პლანი და მიზანი დაივიწყა, და სხვების დაუკითხავათ თავისი კუდ-მოკვნეტილი გზა აირჩია? შტეინმეცი არ იყო, ფორბახში რომ თავის საკუთარი მოაზრებით ფრანცუზებს ბრძოლა გაუმართა და კიდეც გაიმარჯვა, მაგრამ საზოგადო პლანის დავიწყებისთვის იმას მოლტკემ ჯარი ჩამოართვა. და კენიგსბერგში ამოიტანა თავი? მართალია, ჩვენ მოლტკეს ვერ შევედრებით, მაგრამ ღვთის მადლით არც ბ. ღოღობერიძეა შტეინმეცთან თავ-წასანვდენელი. და ჩვენი მდგომარეობა. დამცირებულათ, იმ მებრძოლების მდგომარეობას ჩინებულათ ჩამოგავს.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ, ახალგაზდობას, გველის საზოგადო საქ-

მე, შეერთებული შრომა, ერობა კარზე გვადგია, ქალაქების საზოგადოებრივი მმართველობა დღეს თუ ხვალ მოგვეცემა. ნუ თუ ჩვენ არ უნდა ვისწავლოთ შეერთებული, გონიერი მოქმედების დისციპლინა, ნუ თუ ჩვენ უწინდურათ უთავბოლოთ და უმიზნოთ, უსაქმოთ და უგავლენოთ უნდა ვხეტიალობდეთ და ნიადაგ თითო-ოროლა პირის უცბათ შთაბეჭდილებას ,და ზეგარდმო ან ქვეგარდმო შთაგონებას უნდა მივანდოთ საზოგადო საქმის წაყვანა და პატრონობა? ეს ჩვენში აღარ უნდა იქმნეს, ეს გონიერ თაობას არ შეეფერება, ჩვენ უნდა გავიწვრთვნეთ, დავრაზმდეთ, ერთად სიარული და ერთად შრომა ვისწავლოთ. და ვინც ამ ჩვენს ახალგაზდობაში საზოგადო საქმეს, მიზანს ან პლანს დაივიწყებს, ვინც მატრაკვეცობას დაიწყებს, ბ. ღოღობერიძე იყოს თუნდ ნ. სკანდელი, ის უნდა დაისაჯოს, მოკვდეს, რომ სხვადროს, სხვა საზოგადო საქმეების წაყვანის დროს, სხვას არავის ფიქრშიაც არ მოუვიდეს საზოგადო საქმეზე უფრო მაღლა თავის პიროვნების, მატრაკვეცობის, თავმოყვარეობის და სახელის დაყენება. და ამ მხრით ჩვენს ბაასს, მერწმუნეთ, ძლიერ დიდი მნიშვნელობა და გავლენა ექნება მომავალ ჩვენ საზოგადოებრივ საქმეებზე, ჩვენი ახალგაზდობის მოქმედებაზე და ამით ჩვენი ხალხის ბედზედაც...

აქ სასაცილო და შესანიშნავი ის არის, რომ ეს ჩვენი ცრუ-ქადაგნი ჩვენი „დროების" ინტერესებისთვის გვირჩევენ თურმე პოლემიკას თავი დაანებეთ და ბრძნული თხზულებები ბეჭდეთო. რჩევისთვის დიდ მადლობას უძღვნით, მაგრამ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ჩვენთვის ის კი არაა საჭირო სხვებს ჩვენი თავი ბრძნათ მიაჩნდეს და ჩვენი ნაწერი — ბრძნულ შრომათ. ჩვენთვის საჭიროა ჩვენი აზრის და შეხედულების გარდაცემა მკითხველი საზოგადოებისთვის, ჩვენი ნაწერის გავრცელება, ჩვენი მკითხველების გამრავლება, და ჩვენ ერთობ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მიზანს მივაღწევთ და ამ დარწმუნების საბუთებიც გვაქვს. რას ვშვრებით ჩვენ, რისთვის ან როგორ, ეს ჩვენ მეტის მეტათ მტკიცეთ გამოკვლეული და გასინჯული გვაქვს, და უმიზეზოთ ან უსაფუძვლოთ ბოდიალი, ბზუილი და რახა-რუხი ჩვენ დიდი ხანია ცრუ-ქადაგებისთვის დაგვითმია. გვერწმუნონ და დაგვიჯერონ იმათ, რომ ჩვენ კარგათ ვიცით სად მივდივართ, რა გზით და რისთვის, აგრეთვე როგორც რა იარაღი და რა საშუალება მოგვიხდება. ამ საგნებზე ისინი ჩვენთვის ნუ იზრუნვენ, და თუ მაინცა და მაინც ზრუნვის ხალისზე, არიან, ზრუნვა თავიანთთვის გამოიყენონ—იმათ ის მართლა ძლიერ სჭირიათ.

რა მოგწეროთ. კიდევ? აქაური ამბები? სასაცილო გინდათ. თუ სატირელი? სასაცილოთ ეხლა ახალი ადვოკატის, უფ. ნ. ღოღობერიძის, შემთხვევა აქვს ყველას. დაუხვევიათ ხელზე, რომ იმას საქმის განხილვის დროს ენა ჩაუწყდაო, და ოხუნჯობენ: — ამბობენ. უწინგამოჭიმული რომ კრესლოში იჯდა, ყველას მეცნიერი გვეგონა და ეხლა ხმის ამოღება რომ დასჭირდა სიტყვის თქმა ვერ მოახერხაო, და შეუქმნიათ ამ უბრალო შემთხვევისგან საზოგადო სალაპარაკო საქმე. ახირებული ქალაქია ეს დალოცვილი ქუთაისი. ასე, ერთ უბრალო შემთხვევით ისარგებლებს ხოლმე, და შექმნის ღაღადს და გაუთავებელ ლაპარაკს. და ის კი არ იცის, რომ ამ ჩვენს დროში ყველაფერი შესაძლებელი და ადვილათ ასახსნელია, თუ ყველაფერს ფიზიოლოგიის თვალით შეხედავს კაცი. აი მაგალითად ეხლაც საქმე იმით იხსნება, რომ ადვოკატს ნასადილევს ძილი სჩვევია, და რაკი იმ დღეს არ დაუძინია, სადილი ცუდათ მოუნელებია მის სტომაქს და ამის გამო ერთობ ურიგოთ დაუწყია სისხლს ტრიალი. ეს ჩინებული დამტკიცებაა იმ ახალი თეორიისა, რომ ჩვენი მოაზრება და ფსიხიური ცხოვრება ფიზიკურ კანონებს ემონება და გარეგანი საგნების და გავლენის ქვეშ მოქმედებსო. მაგრამ ღირს განა ამისთანა წვრილმან საგანზე მთელი ქალაქის მხრით ლაპარაკი და ოხუნჯობა? ნუ თუ ქუთაისლებს ქვის გული ჰქონდათ, რომ შებრალებით მაინც არ მიუვიწყებიათ ეს უცაბედი „შემთხვევა?“

მეორე ამბავი სასაცილო როდია. იმ დღეს აქ უბრალო ლხინის დროს ზოგიერთმა მოლხინეებმა ერთმანეთს თავი შეაკლეს კინაღამ. სამწუხაროა, რომ უწინდელი მშვენიერი ანდაზა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, ეხლანდელ ჩვენებურ შემთხვევებს ისე გადაუკეთებიათ, რომ უნდა ითქვას: „სჯობს სიცოცხლეს სახელოვანსა სიკვდილი ერთობ ნაძრახი“. მეორე შენიშვნა: ამასწინეთ, ერთმა ჩვენმა ახალგაზდამ, ექვსაბაზიან ქუდს გადაატანა, თფილისში, თავის სიცოცხლე. არა მგონია, რომ ასე ადვილათ გამოემეტებია იმას თავისი თავი საზოგადოების ან მამულის სიკეთეს ეს მსხვერპლი რომ მოეთხოვა მისგან. მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ეხლანდელს უბრალო კინკლაობაში თავის გამომეტებას შემდეგში კეთილი საქმისთვის თავის დაუზოგველობაც მოჰყვება. ამ იმედის მეტს სხვა ხეირს ვერ გამოიყვანს კაცი ამ უბედურ შემთხვევისგან.

---

48. ქუთაისის ბანკის საქმე

ამ მოკლე ხანში შეიკრიბება სამეგრელოში თავად-აზნაურობის ყრილობები, მაზრა-მაზრათ, იმ კითხვის გადასაწყვეტათ, უნდა შეუერთდეს სამეგრელოს საზოგადოება ქუთაისელს, ბანკის გამართვაში თუ არა, ეს ყრილობა, უეჭველია, ისე წაიყვანს საქმეს რომ ავათ თუ კარგათ ქუთაისის ბანკს მიაკედლებს სამეგრელოს ფულებს, და სხვაფრივ მოქცევა სამეგრელოს საზოგადოებას არც მოუხერხდება, არც მოუხდება. იმ მცირედი ფულით, რომელიც იმას აქვს, ის თავისას ვერას გამართავს, და სხვა ბანკთან შეერთებას ისევ ქუთაისელთან შეერთება სჯობია.

მაგრამ სამეგრელოს თავად-აზნაურობა რომ ამ საქმეში გონიერათ და წინდახედვით მოიქცეს, ის არა თუ თავის თავს მოუტანს სარგებლობას, ქუთაისელ ბანკის საქმესაც ხეირიანათ დაეხმარება. სამეგრელოს საზოგადოებას შეუძლია მაგალითად დააწესოს, რომ უერთდება ქუთაისელ ბანკს იმ პირობით, რომ ამ ბანკის უსტავი გადაკეთდეს ან შეიცვალოს, იმას უმჯობესი ხასიათი და უფრო მტკიცე საფუძველი მიეცეს და სხვ. იმედი ვიქონიოთ, რომ ის ასე მოიქცევა და თვალდახუჭულათ არ გადაწყვეტს თავის სამომავლო საქმეს, გამოუკვლეველი და აღშფოთებული კენჭის ყრით და ყაყანით.

სამეგრელოში მოიპოება რამდენიმე ახალგაზდა, რომელთაც თავიანთი ცოდნა და გავლენა — თუ კი აქვთ ეს ღირსებები — ეხლა უნდა მოიხმარონ. ვნახოთ რა ნაირათ მოიქცევიან ისინი. ვნახოთ აგრეთვე როგორ საქციელს დაადგება ის ორიოდე ერთობ შემძლე პირები, რომელიც საქართველოში უწინდელი ფეოდალური ცხოვრების და წესის წარმომადგენელათ ჩარჩენილან. ერთი სიტყვით ვნახოთ, ვნახოთ.

ჩვენ მივიღეთ უფ. ერ. სიდამონ-ერისთავის პასუხი ჩვენ გამოწვევაზე („დროება" № 29). ამ პასუხს ჩვენ შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ, და ეხლა კი მისი გამოგზავნის მადლობას უძღვნით უფ. სიდამონ-ერისთავს, რომელსაც გაუგონია, რომ ამისთანა საქმეში ხმის ამოუღებლობა და გაჩუმება საზოგადოებისთვის სავნებელი და საძრახისი საქმეა.

მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეგვიძლია არ ვთქვათ, რომ ჩვენ მეტის მეტათ გვაკვირვებს დანარჩენი პირების გაჩუმება, რომელნიც ბ. ღოღობერიძემ ან ჩვენ გამოვიწვიეთ ან მოწმეთ ვახსენეთ. მეტათ საჭიროა, რომ იმათ თავიანთი შეხედულება გააცნონ ჩვენ საზოგადოებას, გაიხსენონ როგორ იყო საქმე, ვინ როგორ მოიქცა და რათ ან როგორ მოხდა უცაბედი გადაწყვეტა ქუთაისის ბანკის საქმისა. ამ გაჩუმებას მკითხველები ხათრის შენახვას მიაწერენ, ერთის ან მეორეს მხრის მორიდებით. ამის გამოისობით ჩვენ ხელმეორეთ ვთხოვთ უფ. ნ. აბაშიძეს, ნ. ჩიჯავაძეს, სპ. მაჭავარიანს, ბ. ხელთუფლიშვილს და სხვებს დასახელებულ პირებს, აუწერონ მკითხველ საზოგადოებას, როგორ მოხდა ეს ამბავი და როგორ წახდა ქუთაისის ბანკის საქმე. იმედი გვაქვს, რომ ამ ჩვენს თხოვნას პატიეი ეცემა. მით უფრო, რომ ეს ჩვენს საზოგადოებას სარგებლობას მოუტანს.

უფ. ბეს. ღოღობერიძის პროექტი მოგვივა თუ არა ქუთაისიდამ, მაშინვე დაბეჭდავთ მის გარჩევას, და იმედი გვაქვს, რომ ეს ძლიერ მალე მოხდება. მაგრამ ეს ჩვენი „საქმის წაყვანის“ კითხვა და მოქმედების გამოკვლევა უსათუოდ უწინ უნდა გაისიჯოს და გადაწყდეს. ამას მოითხოვს ის გზა, რომელიც ჩვენ ამ საქმეს თავიდამვე მივეცით, და რომელსაც ჩვენ იმას არაფრის გულისთვის არ ავაცილებთ, ამიტომ რომ ის ჩვენ უკეთეს გზათ მიგვაჩნია; არა თუ მარტო ქუთაისის ბანკის სარგებლობისთვის — ეს კერძოობითი, შედარებით წვრილმანი საქმეა — მაგრამ შემდეგში ყველა ჩვენი საზოგადოებრივი საქმეების წაყვანისა და პატრონობისთვის.

მაშასადამე ჩვენ დასახელებული პირების წერილებს ველით და ვუცდიდ.

---

49. ქუთაისის ბანკის საქმე

ჩვენ ვამბობდით[61], რომ უფ. ღოღობერიძეებმა ქუთაისის თავადაზნაურობას ისეთი პროექტი წარუდგინეს დასამტკიცებლათ, რომელიც იმათ თვითონ უხეიროთ მიაჩნდათთქო. ამაზე ჩვენ გვიპასუხეს, რომ ეს ტყუილიაო, ჩვენ ყოველთვის ბეჯითად დარწმუნებული ვიყავით ჩვენი პროექტის სიკარგეშიო. ამ საგანზე ჩვენ უფ. სიდამონ-ერისთავის მოწმობა მოვითხოვეთ. და აი, რას იწერება დღეს ეს მოწმე.

უფ. რედაქტორო! „დროების“ № 29-ში უ. სკანდელმა, გამომიწვია მე საზოგადოების წინაშე ვალიარო ის, რაც უ. ბესარიონ და სხვ. ღოღობერიძეებმა წარმოსთქვეს ქუთაისის სააზნაურო ბანკის პროექტის უსტავზე ერთ საღამოს, რომელსაც იგივე უ. სკანდელი იხსენიებს. რაც ბანკის თავობაზე ამ ჟამათ იწერება „დროებაში“, ჩვენის აზრით, ძალიან ნაკლებათ ეხება ბანკის საქმის შინაარსსა. ჩვენ არ ვიცით ვისთვის არის საინტერესო, რა ლაპარაკი და ურთიერთში განწყობილება ჰქონდათ უფ. ნ. ნიკოლაძეს და ბეს. ღოღობერიძეს. ამჟამათ საქმე იმაშია, რომ უ. სკანდელი ამბობს, უსტავი არამცთუ გამოსადეგარი არის, არამედ იმის გვამში მდგომარეობს იმისთანა სენი, რომელიც როგორც ბანკს აგრეთვე მომავალ საზოგადოების თავობას დაღუპავს. მაგრამ ეს აზრი მას ჯერ არაფრით არ დაუმტკიცებია. უ. სკანდელი შემდეგ თავის ამ საქმეზე სტატიებისა, ჩვენის აზრით, ვალდებულია დაამტკიცოს ორი შემდეგი დებულება: ა) რომ უ. ბ. ღოღობერიძისაგან წარმოდგენილი უსტავი გამოუსადეგარი და მავნებელია და ბ) რომ ეს გამოუსადეგარი და მავნებელი უსტავი იმან განზრახ — გაიყვანა. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჭირო, რომ უ. სკანდელმა ყველაფერი ფაქტები შეკრიბოს: სად როგორ მოიქცა უ. ღოღობერიძე, ვინ რა ურჩია მას, რა აზრი ჰქონდა საზოგადოთ მას თავის უსტავზე და განსაკუთრებით სხვა რჩევაზე. ამ შემთხვევაში შეიძლება საჭირო ყოფილიყო, როგორც მასალა, ჩემი დამოწმება.

ცხადი საქმეა, ყოველ სალიტერატურო ორგანოს აქვს მოვალეობა, რომ საზოგადოებას აცნობოს მხოლოთ ის, რაც საზოგადო, სა-

ქვეყნო ინტერესებს შეეხება. აქედამ იბადება მოვალეობა საზოგადოების წევრებისა, შეიტანონ მათ სალიტერატურო ორღანოში მხოლოდ ამგვარი კანონები. ხოლო კერძო პირების ურთიერთ შორის დამოკიდებულებაზე და მათ საკუთარ ინტერესებზე საუბარს ლიტერატურამ არ უნდა მისცეს ადგილი. ვიმეორებთ, მხოლოდ საზოგადო, საქვეყნო ინტერესი არის მასშტაბი, ზომა, ლიტერატურის კეთილსინდისიანი მოქმედებისა.

ჩვენ გვგონია, რომ უ. სკანდელის წერა უსტავზე, უკეთ ვთქვათ ბ. ღოღობერიძეზე, იმ წრეშია, რომ არ ეხება ჯერ საზოგადოების ინტერესს, სტოვებს ამას და აქვს ვინაობის ხასიათი. ეს იქიდან გამოგვყავს ჩვენ, რომ, როგორც ვსთქვით, ჯერ ის არ შესდგომია უმთავრეს საგნის განხილვას, ბანკის უსტავის ანალიზს, განრჩევას. სანამ საქმე ამ გვარ მდგომარეობაში არის, ჩვენ წერაში არ გავერეოდით და უ. სკანდელის თხოვნას აღნიშნულ მიზეზების გამო უყურადღებოთ დავსტოვებდით; მაგრამ უ. სკანდელი, თუმცა დაიწყო ბოლოდამ, გვპირდება, რომ ის უეჭველად დაამტკიცებს ბანკის უსტავის უვარგისობას, და როგორც ეტყობა, ამას წინათვე მოპყავს ცნობაში მიზეზები, რომლებისა გამო ის, მისის აზრით, გამოვიდა ცუდი. თუ ეს ასეა, ჩვენ ვალდებული ვართ დავაკმაყოფილოთ უ. სკანდელი იმ გვარათ, როგორც ჩვენ გვახსოვს ამ საქმის გარემოება.

კარგად აღარ მახსოვს, მაისის რომელი რიცხვი იყო, უ. ნ. და ბ. ღოღობერიძეებმა სადილზე თავიანთ ძმასთან გიორგისთან, რომელთანაც ჩვენ ერთს სახლში ვდგევართ, მისცეს ერთმანეთს პიროობა, შეყრილიყვნენ საღამოზე უ. ნ. ღოღობერიძესთან და იქ ბანკის უსტავი გაეშინჯათ. დანიშნულ ადგილს აღარ მოუხდათ შეყრა, და როგორც ბინდმა ჰკრა, უ. ნ. და ბ. ღოღობერიძეები შამოვიდნენ გიორგი ბესარიონისძესთან და შეუდგნენ უსტავის კითხვას. ამ დროს შემოვიდა უ. ნ. ნიკოლაძეც. დაიწყეს ლაპარაკი და უსტავის კითხვა; ამ ლაპარაკში და კითხვაში სხვათა შორის წარმოსთქვეს დაახლოებით შემდგომი:

უ. გ. ღოღობერიძემ თავიდგანვე დაიწყო უსტავის ზრახვა და როგორც წაიკითხეს ის პარაღრაფი, რომლის ძალით გარეშე პირებს შეეძლოთ შესყიდვა ბანკის დამწესებელის წილების, მაშინ წარმოსთქვა: თუმცა მე უსტავი არ მიკითხავს, მაგრამ როგორც სჩანს წაკითხულიდამ, ეს უსტავი არ ვარგა და არც აზნაურობა მიიღებსო.

უ. ბ. ღოღობერიძემ ილაპარაკა შემდეგი: ეს უსტავი შემიდგენია; წავიკითხოთ, გავსინჯოთ, შევასწოროთ და ისე წარუდგინოთ საზოგადოებას.

უ. ნ. ნიკოლაძემ წარმოსთქვა: ეს უსტავი უმთავრესი საფუძვ-

ლებით უეჭველათ ამჟამად უნდა გავიყვანოთო და შემდგომ შევასრულოთო რითაც საჭირო იქნებაო.

უ. ნ. ღოღობერიძემ, შემდეგ ფიქრისა და მოაზრებისა, სთქვა: გავშინჯოთ უსტავი და, თუ შეიძლება, რაც ნაკლულოვანება ვიპოვოთ გავასწოროთო. — ამ ლაპარაკში და საამისოდ პარაღრაფის წაკითხვის შემდეგ უსტავის კითხვა შესწყდა, და ყრილობა დაიშალა, იმ განზრახვით, რომ სხვა დროს შესდგომოდნენ ამ საქმეს.

აი ჩვენი პასუხი უ. სკანდელის კითხვაზე. ჩვენ მოვიყვანეთ აქ ფაქტი და მოვერიდენით ამ ფაქტზე ჩვენი აზრის გამოთქმას, რადგანაც, ეჭვი არ არის, რომ ფაქტის აღწერა ერთი საქმეა და იმის ასახვა კი სულ სხვაა. ვიმედოვნებთ, რომ ეს სტრიქონები შემდეგში ყოველ ამ საგანზე კითხვისაგან ჩვენ განგვათავისუფლებენ.

იეროთეოზ სიდამონოვ ერისთავი

ქუთაისი, 2 აგვისტოს.

აქ ჩვენ მარტო იმას შევნიშნავთ, რომ უფ. სიდამონ-ერისთავს ცოტაოდნათ დავიწყებია ჩვენი ნალაპარაკევი, ჩვენ იმას ვამბობდით ამ სხდომაზე, რაც წინეთ „დროებაში" დავბეჭდეთ (№ 21): საჭიროა საზოგადოებას უთხრათ, თუ გნებავთ აი ამა და ამ უმთავრესს საფუძვლებზე შ ე გ ი დ გ ე ნ თ ბ ა ნ კ ი ს (ახალს) უ ს ტ ა ვ ს თ ქ ო. მაგრამ ეს უფ. სიდამონ-ერისთავის სიტყვებიდამაც სჩანს: პროექტის წარდგენა რომ გვერჩია, უმთავრეს საფუძვლებს რაღათ ვახსენებდით: პროექტი თუ კი წარიდგინებოდა უმთავრესი და უმცირესი საფუძვლებიც ერთიანათ და ერთად წარიდგინებოდა, და არა მარტო უმთავრესები.

შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ უფ. კირ. ლორთქიფანიძის წიგნს იმაზე, თუ რა გზას ადგა (ან ამბობდა, რომ ადგა) უფ. ბ. ღოღბერიძე, თბილისიდამ ქუთაისს წასვლის დროს.[62]

50. პოლემიკა ქუთაისის ბანკის შესახებ

(წერილი რედაქციას)

1

მოწყალეო ხელმწიფევ, მე არ მჩვევია გამოდავება ჩემს სტატიებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოთქმული აზრის უარსაყოფად, ანდა კამათის წამოწყება იმ შეხედულებების გამო, რომლებიც პრესაში პირადად ჩემზე გამოუთქვამთ. ამის დამამტკიცებელი საბუთი თქვენც ბევრი მოგეპოვებათ: „ტიფლისკი ვესტნიკი“ არაერთხელ შეხებია „კრებულში“ დაბეჭდილ ჩემს სტატიებს, არაერთხელ დაუმახინჯებია მათი აზრი, არა ერთხელ შეუფასებია მკაცრად, მაგრამ ერთხელაც ვერ ამიძულა გამოვდავებოდი. „უარმეყო“ მათი მტკიცებანი, „ფაქტების აღდგენა“ მეცადა. არც „ტიფლისკი ვესტნიკის“, არც „დროების“, ან სხვა რომელიმე გამომცემლობის მიმართ, მე ამ გზიდან არ გადამიხვევია, სანამ ამას არ მოითხოვდა რომელიმე საქმის გამორკვევა, რომელიც მე მნიშვნელოვნად და საჭიროდ მიმაჩნდა, ანდა როცა ისეთი აზრის ან მიმართულების დაცვა დამჭირვებია, რომელიც გონივრული ან სასარგებლო მეჩვენებოდა.

„ტიფლისკი ვესტნიკის“ № 94-ის მოწინავე სტატია სწორედ ასეთ მდგომარეობაში მაყენებს ახლა. ამ სტატიაში თქვენ შეეხეთ ისეთ საკითხს, რომელიც მეც და თქვენც სერიოზულად მიგვაჩნია და შეეხეთ ცალმხრივად. თქვენ მკითხველებს გააცანით ჩემს მიერ ქუთაისის ბანკის შესახებ „დროებაში“ წამოწყებული კამათის შინაარსი, მაგრამ დაავიწროვეთ ამ პოლემიკის ჩარჩოები, შეკვეცეთ ამ საქმის ხასიათი და მნიშვნელობა, რაღაც მიკროსკოპიულ ზომებში წარმოადგინეთ. და რაც ყველაზე უცნაურია, თქვენ ზუსტად ისეთივე პრინციპები წამოაყენეთ, რომელთა საფუძველზეც მე დავიწყე და წარვმართე პოლემიკა, რაც თქვენ უადგილოდ მოგეჩვენათ. ამიტომ, მე საჭიროდ ვთვლი დაგანახოთ თქვენ, რომ ეს პოლემიკა არც ისე ცალმხრივია, როგორც თქვენ ფიქრობთ.

თქვენ არ იცით ამ საქმის ვითარება. თქვენ მოისმინეთ სიტყვები, რომლებიც შეიძლება ღრმაზროვანია, მაგრამ საქმის მცოლოდ გარეგნულ მხარეს ეხება. და გაგაკვირვათ ჩემი ტონის სიმკვახემ, თითქოსდა ჩემი პოლემიკური ხერხები მკაცრია, თითქოსდა „პიროვნებას შეეხე“ და სხვა. ასეთი რამის თქმა ეპატიება იმ პირებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან მოსაცდელში ჩურჩულს და მითქმა-მოთქმას, მაგრამ თქვენ არ შეგფერით. თქვენ მოვალე ხართ იცოდეთ, რას ნიშნავს „შეეხო პიროვნებას“ და რას — შეეხო საზოგადოებრივ მოქმედებას. ინებეთ მოისმინოთ მთელი ჩვენი პოლემიკის ისტორია და შემდეგ გადაწყვიტეთ იყვნენ კი მასში პიროვნებები, ეხებოდნენ ისინი მართებულად თვით საქმეს და საჭირო იყო თუ არა საქმის სწორედ ასე წარმართვა და არა სხვანაირად.

გაზეთ „დროების“ აზრით, და მგონი თქვენი აზრითაც, ქუთაისის ბანკის საქმე მეტისმეტად საინტერესო საზოგადოებრივი ცხოვრების ერთერთი გამოვლენაა. უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს თუმცა ზერელე, მაგრამ მაინც საკვალალო ბრძოლა იქაურ ეგრეთწოდებულ პარტიებს შორის, ბრძოლა, რომლითაც მოხერხებულად სარგებლობენ საარჩევნო ადგილებისა და თანამდებობების მაძიებელი რამდენიმე პატივმოყვარე ადამიანი, ხოლო მეორეს მხრივ ის პირები, რომელთა თადარიგიანობა სამართლიანად აკვირვებს „განათლებულ მეზღვაურებს“. ბრძოლა არაფერ სერიოზულს არ ემყარება და არავითარი ბუნებრივი საბაბი არ გააჩნია, ხოლო ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობისათვის ვნება მოაქვს ჯერ ერთი იმიტომ, რომ იწვევს საზოგადოებაში ყოვლად გაუმართლებელ შეტაკებას და მტრობას, ხოლო მეორე და უმთავრესი ისაა, რომ უმიზეზო და ხელოვნურად გამოწვეული შეტაკებები ადგილბრივი საზოგადოების განვითარების მოწინააღმდეგეებს უფლებას აძლევს იმტკიცონ, თითქოსდა „ჩვენ არ მომვწიფებულვართ“ იმისათვის, რომ ვისარგებლოთ უმჯობესი საზოგადოებრივი დაწესებულებების სიკეთით, მაგალითად ისეთებისა, როგორიც დაარსებულია იმპერიის სხვა გუბერნიებში.

როგორ ფიქრობთ, უნდა შეხებოდა თუ არა საქმის ამგვარ ვითარებას გაზეთი „დროება“. მე წინასწარ ვარ დარწმუნებული რომ თქვენ იტყვით: „დიახ, გაზეთს უნდა ეთქვა თავის მკითხველებისათვის, რომ ამგვარი შეტაკებები უაზრობაა, რომ საზოგადოებრივი საქმის წარმართვა სხვანაირად უნდა ხდებოდეს, რომ უგუნურობაა ისეთი ადამიანების გამო ჩხუბი და ბრძოლა, რომელთაც არავითარი პრინციპული სისტემა და მიმართულება არ გააჩნიათ და მათ შორის წინააღმდეგობა მხოლოდ პირადი მიზნებითაა გამოწვეული“. „დრო-

ება“ სწორედ ასე მიუდგა ამ საქმეს (№ 20, სტატია „რისთვის ვიბრძვით“). შემდეგ (№ 21, სტატია, „ქუთაისის ბანკი“), როცა გაზეთი „დროება“ ეხებოდა ქუთაისის თავადაზნაურობის მორიგ საკითხს, — ბანკის დაარსებას, — აღნიშნავდა, რომ ეს ისეთი საქმეა, სადაც შეიძლება და საჭიროცაა შეთანხმდენ ყველა მებრძოლი მხარეები და რომ ყველაზე უკეთესი საშუალება იმისათვის, რომ ბოლო მოუღონ უსაფუძვლო კინკლაობას, ისეთ პრაქტიკულ საქმეში გაერთიანებაა, როგორიც ბანკის დაარსებაა, ხოლო მისი ორგანიზაცია მიანდონ ისეთ პირებს, რომლებიც არცერთ პარტიას არ ეკუთვნიან. მოგვიანებით, (№ 4, დამატება) აცნობდა რა მკითხველებს ქუთაისის თავადაზნაურობის საარჩევნო ბრძოლას, „დროებამ“ დაბეჭდა სტატია „იმერეთის ახალი ამბები“, სადაც ნაბიჯ-ნაბიჯ, სერიოზულად განიხილავდა ქუთაისის ორივე მებრძოლი პარტიის ყველა შეცდომას და მარცხს, და საგაზეთოზე გამოქონდა ეს ამბავი, რომ ყოველგვარ წვრილმანზე და კერძო პირებზე უნაყოფო და თვითნებური დავა ხელს უშლის თავადაზნაურობას საჭირო ყურადღება მიაქციოს არსებითად მნიშვნელოვან საქმეს, ბანკის საქმეს. ბოლოს, (№ 26) სტატიაში, სადაც დაჯამებული იყო საარჩევნო ბრძოლის შედეგები, „დროებამ“ ყოველივე იმის დასადასტურებლად, რასაც ადრე ამბობდა, განაცხადა, რომ სრულიად უმნიშვნელო საკითხების ირგვლივ ბრძოლის გამო, რამაც თავადაზნაურობას უამრავი დრო წაართვა, ბანკის საკითხი გადაწყდა 48 საათის განმავლობაში, საკმარისი მომზადების გარეშე და თანაც ისე, რომ გადაწყვეტილად არც შეიძლება ჩაითვალოს.

აქ თავი იჩინა ერთმა ძალზე უცნაურმა გარემოებამ. „დროებამ“, რომელიც ლაპარაკობდა საზოგადოებრივი საქმეების უყაირათოდ წარმოებაზე და მიუთითა საზოგადო მოღვაწეებს გონივრულად, გამიზნულად, შეთანხმებულად მომზადებულიყვნენ, ვერ გამოიჩინა საჭირო სიფრთხილე და ქუთაისელ მკითხველებს მიუთითა ბატონ ბ. ღოღობერიძეზე, როგორც ისეთ კაცზე, რომელსაც ამ შემთხვევაში შეეძლო სარგებლობა მოეტანა როგორც ქუთაისის თავადაზნაურობისათვის, ასევე ბანკის საქმისთვისაც. თქვენ თვითონ ამბობთ, რომ ამგვარი მითითება სრულიად დროულია, თუმცა ჩვენთან მიუღებელია. „დროებამ“ ეს გააკეთა იმიტომ, რომ ხედავდა ბატ. ღოღობერიძის მზადყოფნას ემოქმედა იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც გაზეთს ყველაზე მიზანშეწონილად ეჩვენებოდა. მიიღო რა ბატ. ღოღობერიძის დაპირება და ეყრდნობოდა რა მის სიტყვებს, „დროებამ“ და მისმა თანამშრომლებმა ურჩიეს თავიანთ მკითხველებს „მიენდოთ წესდების შედგენა ბატ. ღოღობერიძისათვის“.

ხოლო როცა ბატ. ღოღობერიძემ ისარგებლა იმ გარემოებით, რომ თავადაზნაურობას ბანკის საქმეზე მსჯელობისა და ამ საქმის გადასაწყვეტად დარჩა რაღაც 48 საათი და კრებას სამსახურისა და საერთო პრინციპების ნაცვლად შესთავაზა სწრაფად გადმოწერილი წესდება, რომლის ნაკლიც თვითონ მანაც კარგად იცოდა, როცა დაჟინებით მოსთხოვა კრებას ამ წესდების მიღება და ბანკის მართველებად არაკომპეტენტური პ ი რ ე ბ ი დანიშნა, „დროება“, ცხადია, ვალდებული იყო ან მთლიანად თავის თავზე აეღო ბატ. ღოღობერიძის მოქმედების პასუხისმგებლობა და სოლიდარობა გაეწია მისთვის, ანდა ეთქვა მკითხველებისათვის, როგორ შეიყვანა ისინი „დროებამ“ შეცდომაში, რატომ უჭერდა მხარს იმ კაცს, რომელმაც საქმე ისეთი გზით წაიყვანა, რომელიც გაზეთ „დროებას“ ყოველთვის უსარგებლოდ და სახიფათოდ მიაჩნდა. ამ საკითხის გარკვევა სრულიად შემთხვევით მე მერგო წილად და დავბეჭდე წერილი (№ 26), სადაც ვამბობდი, რომ ბატ. ბ. ღოღობერიძემ სიტყვა მოგვცა, რომ ცნობილი პროგრამის მ ი ხ ე დ ვ ი თ იმოქმედებდა, მაგრამ წავიდა სულ სხვა, საპირისპირო გზით. ახლა გეკითხებით, როგორ მოიქცეოდით თქვენ ასეთ შემთხვევაში?

წავიდეთ უფრო შორს. ვისარგებლე რა შემთხვევით ამეხსნა მკითხველებისათვის, თუ რა მიმართულება მისცა ქუთაისის ბანკის საქმეს ბატ. ბ. ღოღობერიძემ, მე არ შემეძლო გამეშვა მხედველობიდან ის გარემოება, რომ ამ წერილის საგანი, ანუ ქუთაისის ბანკი და ქუთაისის საზოგადოებრივი საქმეების წარმოება ძალზე კრიტიკულ მდგომარეობაშია. მოგვიხდა იმ წესდებაზე ლაპარაკი, რომელიც მიიღო თავადაზნაურთა კრებამ, მოგვიხდა ამ წესდების ნაკლისა და მოსალოდნელი მავნებლობის გამომჟღავნება. თვალსაჩინო რომ გამეხადა წესდების არადამაკმაყოფილებელი მხარეები და გამომემჟღავნებია ქუთაისის პარტიებიდან იმ პარტიის თავისებური ხერხები, რომელსაც მიემხრო ბატ. ბ. ღოღობერიძე, მე საჭიროდ ჩავთვალე ამეძულებია ბატ. ღოღობერიძე გაეცნო ჩვენი მკითხველებისათვის მისი მოულოდნელი მოქმედების „საფუძველი და მიზეზები“. მე წინასწარ ვიცოდი, რომ მისი არგუმენტაციის და თავის მართლების მთელი არსი დამყარებული იქნებოდა იმაზე, რომ პროექტი უკვე მიღებულია და ახლა ზედმეტია დავა და მსჯელობა. მაგრამ საჭირო იყო თვით ბატ. ღოღბერიძეს ეთქვა ეს პრესაში, თვითონ აეხსნა რატომ მიაღებინა კრებას ის წესდება, რომელიც არც მას აკმაყოფილებდა. თქვენ თვითონ ამბობთ, რომ პრესას უფლება აქვს მოითხოვოს ეს „განათლებული საზოგადო მოღვაწეებისაგან“ და რადგან „დროებაც“ პრესას ეკუთვნის, ამიტომ მასაც ჰქონდა უფ-

ლება განემარტა მკითხველებისათვის „საზოგადო მოღვაწის“ საქციელი.

ამგვარად, ბატ. ღოღბერიძისაგან რომ ახსნა-განმარტება მიგვეღო, მე ჩემს წერილში რამდენიმე მკვახე გამოთქმა ვიხმარე, რაც საზოგადოებრივ საქმეებში მის მოქმედებას ეხებოდა. იქნებ გსურთ გადახედოთ ამ გამოთქმებს. მე ვამტკიცებ, რომ ვერცერთ მათგანში ვერ იპოვით ვერცერთ სიტყვას, რომელიც მის პიროვნებას, ოჯახურ ცხოვრებას, მის კერძო მოქმედებას ეხებოდეს, ერთი სიტყვით იმას, რასაც პირადი ჰქვია. ლაპარაკია მხოლოდ ბატ. ღოღობერიძის საზოგადო მოქმედების ხასიათზე, საზოგადო საქმეების ამა თუ იმ ხერხით წარმოებაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროდან გამომდინარე საქციელზე და მეტი არაფერზე.

როგორც ველოდი, ბატ. ღოღობერიძე შეურაცხყო ჩემმა სტატიამ. მისი პასუხი იყო ძალზე დაწვრილებითი, ძალზე სწრაფი და ძალზე ფიცხი. სტატიაში — „ჩემი სტრატეგია“ (ასე უწოდა სტატიას) მან შვიდი სვეტი მოანდომა ყველა თავის საუბრის, მოგზაურობის, შრომისა და გმირობის აღწერას, რასაც მე სხვათა შორის არ ვუარყოფდი, მაგრამ სადაო საკითხებში, მაგალითად — მოგვცა თუ არა სიტყვა იმოქმედებდა გარკვეული პროგრამის მიხედვით, მან სხვაგვარი ხერხი გამოიყენა. ზოგიერთ პუნქტზე ასეთი პასუხი გაგვცა: „რა მნიშვნელობა აქვს იმ ამბავს, თუ რას ვტიტინებდი თქვენთან, მეგობრულ საუბარში“, ხოლო სხვა შემთხვევაში განაცხადა: „ტყუილია. ცილისწამებაა, მე არასოდეს არ მქონია თქვენი პატივისცემა, არასოდეს არ გენდობოდით და ა. შ.“.

„მოწმეთა ჩვენება“ მე კი არ მომითხოვია, არამედ ბატ. ღოღობერიძემ. მე მხოლოდ ამის შემდეგ ვთხოვე იმავე მოწმეებს და ზოგ სხვასაც გამოემეღავნებიათ ჭეშმარიტება. ორი მოწმე უკვე გამოეხმაურა ამ ამბავს და თქვენ დაინახავთ როგორც მათი ჩვენებებიდან, ასევე სხვა პირთა წერილებიდან, რომ ბატ. ღოღობერიძე მოიქცა წინდაუხედავად, როცა ჩემს სიტყვებს ტყუილი და ცილისწამება უწოდა.

ჩემი პასუხი ბატ. ღოღობერიძის ამ სტატიაზე ბევრს მოეჩვენა მკვახედ, პირად შეურაცხყოფად, მაგრამ აი ორი-სამი მაგალითი ამ აზრის საფუძვლიანობის შესახებ. სტატიას ვუწოდე „ბატ. ღოღობერიძის ტიტინი“. საფუძვლად მისივე სიტყვები გამოვიყენე. თითქოსდა იგი ჩვენთან ტიტინებდა. ჩვენი პოლემიკის ქარაფშუტა მოსამართლეებმა კი წარმოიდგინეს, რომ ამ მართლაცდა ოწესო სიტყვით მე მოვნათლე ბატ. ღოღობერიძე და უხეშობაში ჩამომართვეს. ბატ. ღოღობერიძე (თვითონ ყვება თავის სტატიაში) ურჩევდა თავადაზ-

ნაურობას გამოეყენებიათ ქედისმოხრის და პირფერობის სისტემა; მე ამ სისტემას ვუწოდე „მოსაცდელებში თრევა“ და ამავე მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ „ამით პიროვნებას ვეხები და მეტი არაფერი“. მე არ მქონდა შესაძლებლობა დამესახელებია რაიმე ფაქტი ბატ. ღოღობერიძის წარსული საზოგადო მოღვაწეობიდან, რომელიც ზუსტად შესაფერისი იქნებოდა მისი ახლანდელი „სტრატეგიისა“, ამიტომ მოვიყვანე საკმაოდ ცნობილი ლექსი ამ ფაქტის შესახებ, ლექსი, რომელიც პირდაპირ ეხებოდა ბატ. ღოღობერიძის მოღვაწეობის საზოგადოებრივ მხარეს და იმავე მოსამართლეებმა აქაც პიროვნება აღმოაჩინეს, თითქოს გადაკვრით ვლაპარაკობდი მის „კერძო ცხოვრებაზე“ და ა. შ. მოდით ამის შემდეგ და მოიგეთ ასეთი მომთხოვნი მოსამართლეების გული!

მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ნაწილია. მისი არსი კი აი რა არის: პოლემიკის დაწყებისთანავე (№ 24, 26 და 28) მე დაწვრილებით ვწერდი, რომ საქმე ეხება როგორც ბანკს, ასევე საზოგადოებრივი საქმეების წარმოების ხერხებსაც; რომ სერიოზულ და პატიოსან მოღვაწეს არ უნდა ეშინოდეს მისი მოღვაწეობის შეფასების, თუნდაც ეს შეფასება მიკერძოებული იყოს; რომ პრესის მსჯელობას კონტროლს უწევს საზოგადოებრივი აზრი და ღებულობს იმდენად, რამდენადაც საფუძვლიანი ეჩვენება; რომ „დროება“ თავის ფურცლებზე ადგილს უთმობს ბატ. ღოღობერიძეს დაბეჭდოს თავის უარყოფა და პირობას დებს, რომ მის სტატიებს არ შეცვლის და არ შეამოკლებს; რომ ქუთაისის ბანკის საქმეების წარმოების საკითხი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ როგორც მაგალითი, რომელიც დაგვანახებს როგორ უნდა ვაწარმოოთ ან არ ვაწარმოოთ საზოგადო საქმეები მომავალში და ა. შ. ნუ თუ ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ „პიროვნებას შევეხე“? ნუ თუ ყოველივე ამას არა აქვს სერიოზული საზოგადოებრივი მნიშვნელობა იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, ჩვენი საზოგადოებრივი საქმეების უყაირათოდ, ბავშვურად წარმოებას, ხოლო მეორეს მხრივ მოსალოდნელი საქალაქო და საერობო დაწესებულებების დაარსებას? და ბოლოს, ნუ თუ ჩვენი „განათლებული“ ახალგაზრდობის პირველი ნაბიჯები საზოგადოებრივ ასპარეზზე, ახალგაზრდობისა, რომელიც თან ატარებს ადამისდროინდელი მოქმედების სისტემის უკლებლივ ყველა კვალს, არ უნდა გაიკვლიოს მკაცრად იმ გაზეთს, რომლისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ინტერესები? იქნებ თქვენ გსურთ „დროებამ“ თავზე ხელი გადაუსვას ბატ. ღოღობერიძეს იმავე საქმიანობისათვის, რისთვისაც რვა წლის მანძილზე უწინდელ მოღვაწეებს ამათრახებდა? თუ თქვენ ამას ეძახით „ლიტერატურულ

ზრდილობას“, მაშინ მე ვერ მოგილოცავთ იმას, რომ პრესის დანიშნულებაზე ასეთი ორიგინალური თვალსაზრისი გაგაჩნიათ. მე ამას ვეძახი ლიტერატურულ არათანამიმდევრობას და პრინციპების არა საპატიო დავიწყებას ამა თუ იმ პიროვნების სასარგებლოდ.

ანდა, რა წესია მიმართო პუბლიცისტს, რომელმაც გამოსთქვა თავის აზრი საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ფაქტის შესახებ, და მოსთხოვო მას თვით შექმნას რაიმე უკეთესი იმის ნაცვლად, რაც მას არ მოსწონს. მე ბევრი მისაყვედურებს და მათ შორის თქვენც, — რატომ არ შევადგინე უკეთესი წესდება, რატომ არ გთავაზობთ უკეთეს საშუალებას. მაგრამ განა ამის მოთხოვნა ისეთივე უცნაურობა არაა, როგორც მაგალითად იმისა, რომ თქვენ შეასრულოთ პოლიციელის მოვალეობა, რადგან შეამჩნიეთ საღამოობით ალექსანდროვის ბაღში გამვლელებს ძარცვავენ? „დროებამ“ წინადადება მისცა ბატ. ღოღობერიძეს ეთხოვა ქუთაისის თავადაზნაურობისათვის რწმუნება ბანკისათვის ხეირიანი წესდების შესადგენად და დაპირდა ბატ. ღოღობერიძეს, რომ ამ საქმეში ყველა თანამშრომლის და მათი მეგობრების ერთობლივ დასმარებას აღმოუჩენდა. „დროება“ ფიქრობდა, რომ ბანკის წესდების გამოცხობა არ შეიძლება ბატ. ღოღობერიძის კვერის მსგავსად, რომელსაც უკანასკნელ წუთში მოეხასიათა და გადასწყვიტა, რომ შეიძლება შეადგინო წესდება და ამაზე ბევრი დრო არ დახარჯო: ბატ. ღოღობერიძემ წესდება გადმოწერა და დაამტკიცებინა კიდეც. მას უფლება ქონდა ასე მოქცეულიყო, მაგრამ რატომ არ გვაქვს უფლება ჩვენ ვიფიქროთ, რომ წესდება არადამაკმაყოფილებელია, რომ სასურველია ასეთ მნიშვნელოვან საქმეს უფრო სერიოზულად მიუდგეთ?

ყოველივე ზემოდთქმულიდან თქვენ ხედავთ, რომ ჩვენი პოლემიკა ორ ნაწილად იყოფა. პირველი, რომელიც ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, ეხება ჩვენში საზოგადოებრივი საქმეების წარმოების ხერხებს და სხვათა შორის ქუთაისის ბანკის საქმესაც, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც არ შეიძლება წარმოშობილიყო პირველის დამთავრებამდე, ეხება მიღებული წესდების ვარგისობას და უვარგისობას, რაზეც არა ერთგზის წერდა „დროება“. მე ვიყენებ თქვენსავე ხერხს და იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ მოგწონთ პოლემიკის ასე წარმართვა, გთხოვთ ამიხსნათ საიდუმლოება, როგორ ჩავატიოთ ერთი გაზეთის ფარგლებში უამრავი სტატიები და როგორ მოვათავსოთ ორ-სამ ნომერში ყველაფერი ის, რისი თქმაც აუცილებელია ასეთი რთული საქმის შესახებ.

გადავიდეთ ახლა იმ საკითხზე, „თუ ვის აინტერესებს რა თქვა და რა არა ბატ. ღოღობერიძემ“ და ა. შ. იცით ვის აინტერესებს ეს

ამბავი: უპირველეს ყოვლისა იმას, ვინც ფიქრობს, რომ გონიერი საზოგადო მოღვაწეები უნდა ცდილობდნენ იმოქმედონ ერთსულოვნად, გააზრებულად გამოარკვიონ საკუთარი და ამხანაგების მიზნები და საშუალებები მანამდე, სანამ გამოიმუშავებენ ერთად მოქმედებისათვის ვარგის პროგრამას, სანამ საზოგადოებრივ საქმეებში ჩაეჩხირებიან და მითქმა-მოთქმას და კამათს გამოიწვევენ. მათ შემდეგ კი აინტერესებთ იმათ, ვისაც უნდა იცოდეს მართლა შეუძლია ამ გაზეთს, ან ამ მიმართულებას, პირადი გაღიზიანების შედეგად ცილი დასწამოს ვინმეს, შეთხზას ტყუილი მოწინააღმდეგეზე და ა. შ. გაზეთი და მწერალი, თუ კი ისინი თავიანთ რეპუტაციას აფასებენ, გვერდს ვერ აუვლიან ასეთ ბრალდებას, მით უმეტეს, როცა ბრალმდებელი ისეთი პიროვნებაა, რომელსაც ბევრი სერიოზულ და „საფუძვლიან" კაცად იცნობს. რატომ მოხდა რომ ბატ. ღოღობერიძემ, რომელიც საჭიროდ თვლიდა საკუთარი საქციელი აეხსნა და გაემართლებია, თავი აარიდა სიმართლეს და არ სთქვა მაგალითად, რომ ეს მოხდა შემთხვევითი, მოულოდნელი დაბრკოლებების გამო, ვთქვათ იმის გამო, რომ თავადაზნაურობას დრო აღარ დარჩა. შეეცვალა გადაწყვეტილება? რატომ ცნო საჭიროდ უარზე დამდგარიყო? რატომ დაიწყო ხმამაღლა ლაპარაკი და ბეჭდვა თითქოს მე ცილი დავწამე, ვლანძღე, რომ არაფერში შემთანხმებია, რადგან პატივს არა მცემს და ა. შ. და ა. შ. რატომ შეუშვირა თავი ბატ. ლორთქიფანიძის ჩვენებების დაუნდობელ დარტყმებს, მოწმისა, რომელიც თვითონ გამოიწვია („დროება", № 36). რომელმა მხარემ გამოამეღავნა ამ პოლემიკაში ინსინუაციები, ქარაგმები, ვინ დაივიწყა ლიტერატურული და ყოველგვარი ზრდილობა, მე თუ მან? ეს თქვენ თვითონ განსაჯეთ.

კმარა. თუმცა ბოლოს „ტიფლისკი ვესტნიკის" მტკიცების პასუხად, თითქოს მე პიროვნებას დავესხი თავს, მინდა ასეთი პირობა შემოგთავაზოთ. თუ თქვენ, ანდა ვინმე სხვა იპოვით ჩემს სტატიაში თუნდაც ერთ ფაქტს, რომელიც ადასტურებს თითქოს მე თავს დავესხი რომელიმე მოწინააღმდეგის პიროვნებას, მაშინ მე საქვეყნოდ ვაღიარებ რომ მტყუანი ვარ და თქვენს წინაშე თავს დამნაშავედ ვცნობ. ხოლო, მეორეს მხრივ, მე ჩემს თავს უფლებას ვაძლევ ვამტკიცო, რომ მრავალრიცხოვან სტატიებში, რომელთა დაწერა გამოიწვია ჩემმა უმნიშვნელო ლიტერატურულმა მოღვაწეობამ, ერთ მოჩვენებით არგუმენტზე მოდის ზუსტად ოცდახუთი (საშუალოდ) ყველაზე ბინძური პირადი ინსინუაციები, ქარაგმები, შეურაცხყოფა, მოურიდებლად შეხება. მე მიხარია ეს რომ ასეა, რადგან ჩემს თვალში და იმ მიუდგომელი მოსამართლეების თვალში, რომლებიც

ოდესმე ჩვენში გამოჩნდებიან, ყოველივე ეს იმის დამამტკიცებელი საბუთი იქნება, რომ მე არ მჭირდება ამგვარი იარაღი, რომ საღი აზრი და გონივრული არგუმენტაცია ჩემი შეხედულებებისა და აზრებისათვის საკმარის საფუძვლად მიმაჩნია. ამით მე სრულიად არ მინდა იმის თქმა, თითქოს ჩვენს მოწინააღმდეგეებს საღი აზრი აკლიათ. არა, მე მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ ისინი არასოდეს არ სარგებლობენ ამ უაღრესად სოლიდური იარაღით.

2

მოწყალე ბატონებო, პიროვნებაზე ჩემი თავდასხმის საკითხი უკვე არქივს აბარია და რაც არ უნდა მისაყვედუროთ ამისათვის, იგი იქიდან არ ამოვა მანამდე, ვიდრე ჩემი სტატიებიდან არ მოიტანთ ფაქტს ვისიც არ უნდა იყოს პიროვნებაზე თავდასხმისა. ამიტომ მე პასუხს გავცემ თქვენი გაზეთის № 97-ის მოწინავე სტატიის[63] მხოლოდ სხვა პუნქტებს.

ჩემს „გრძელ წერილში" აგიხსენით, რომ „დროებას" არ შეეძლო განუხილველად დაეტოვებინა მისი და თქვენი თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტები ქუთაისის გუბერნიაში საზოგადოებრივი საქმიანობის წარმოებისა და ის, რომ ქუთაისის ბანკის საქმე, ამ მხრივ, იყო მხოლოდ საერთო ვითარების ეპიზოდი და სხვა არაფერი. ამ ეპიზოდში მაინც გამოირკვა ერთი ჩართული ეპიზოდი იმაზე, თუ როგორ აწარმოებდა ბ. ბესარიონ ღოღობერიძე საბანკო საქმეს. ამ ჩართულ ეპიზოდში თავის რიგად გამოჩნდა მცირე ეპიზოდი — ჩვენი გამოხმაურება იმაზე, რომ საქმის წარმოების ეს მანერა არ შეიძლება ჩაითვალოს ცალკეულ მარცხად, რომ იგი ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი იმ პირებს, რომლებიც ბ. ღოღობერიძის ირგვლივ მომრავლებულან და ბ. ღოღობერიძის წარსული მოღვაწეობა გვაძლევს უფლებას მის ახლანდელ საქციელს მკაცრად მოვეპყრათ. თქვენ ეს გაკვირვებთ. თქვენ ყველაფერი გავიწყდებათ: საერთო მდგომარეობაც, მთავარი ეპიზოდიც, ჩართული ეპიზოდიც იმისთვის, რომ ხელზე დაიხვიოთ უკანასკნელი მიკროსკოპული ეპიზოდი და მისი მეშვეობით ჩვენ გვამხილოთ. ინებეთ, განვმარტოთ ესეც, მით უმეტეს, რომ ესეც არაა უსარგებლო.

აი როგორ იყო საქმე. ერთი საზოგადოებრივი საკითხის განხილვისას ბ. ბესარიონ ღოღობერიძის საქციელმა მკაცრი გაკიცხვა გამოიწვია საქმით დაინტერესებულ მრავალ პირთაგან, მათ შორის ჩემი მხრიდანაც. ერთმა ჩვენმა პატივცემულმა თანამშრომელმა მაშინვე განსაკუთრებული სიმკაცრით გაკიცხა ეს საქციელი. მაგრამ

ოყვნენ პირები, რომლებიც მაშინვე ამტკიცებდნენ, რომ ბ. ბეს. ღოლობერიძე შეიძლებოდა შემცდარიყო, მხედველობიდან გამოეშვა etc, etc — თქვენ იცით ეს სიმღერა. ასე გამოეხმაურა, მაგალითად, „დროების" რედაქციის ისეთი გავლენიანი წევრი, როგორიცაა ბ. გ. წერეთელი. მაშასადამე, არაფერია გაუგებარი იმაში, რომ როცა ადამიანი პირობას დასდებს გამოვსწორდებიო და წინანდელ საქციელს გაიმეორებს და თანაც უფრო დიდ ფარგლებში, მისი გამსამმართლებლები წინანდელ ფაქტს გაიხსენებენ და იტყვიან: „დიახ. ეს არა ერთეული შეცდომა, ამას სისტემატურობის სუნი ასდისო". ასე შეხედა „დროებამ" ამ საქმეს. ვფიქრობ, რომ ესაა არა არაწესიერი გადაკვრა, არა გადაკვრა პიროვნებისა, არამედ „საზოგადო მოღვაწის" მოღვაწეობის კეთილსინდისიერი ანალიზია და არ შემიძლია დავრწმუნდე, რომ თქვენც არ იზიარებდეთ ამ აზრს.

მეორე საკითხი. თქვენ „დროებას" ამტყუნებთ იმაში, რომ იგი ბ. ღოლობერიძეს რეკომენდაციას უკეთებდა თავისი მკითხველების წინაშე მანამდე, სანამ იგი მის პროგრამას ასრულებდა და მკაცრად მოეკიდა, როცა ეს პროგრამა მან უარჰყო. სრულიად მართალია. მაგრამ ეს ადასტურებს იმას, რომ „დროებას" აქვს ერთადერთი კრიტერიუმი — აღსრულება იმისა, რაც მას საზოგადოებისათვის სასარგებლოდ მიაჩნია და არა შემსრულებლის პიროვნება. ბევრად უფრო საფუძვლიანია თქვენი მეორე შენიშვნა იმაზე, თუ „დროებამ" რად გაუკეთა რეკომენდაცია იმ კაცს, რომელიც მისი უხეირო საქმეებით იყო ცნობილი. მაგრამ „დროებამ" პირველმა საკმაო გულმოდგინეობით აღიარა ეს თავისი შეცდომა (№№ 29 და 35), თვით მოინანია ეს არაუპატიებელი შეცდომა, რომელიც სრულიად აიხსნება იმით, რომ მისი რედაქციის ზოგიერთი წევრები ბ. ღოლობერიძის ადრინდელ საქციელს შემთხვევით შეცდომად თვლიდნენ და არა წინასწარგანზრახულ სისტემატურობად, როგორც ახლაა ცნობილი ყველასათვის.

რაც შეეხება გაზეთ „დროების" ეკონომიურ პრინციპებს, ისინი „საიდუმლოდ ინახება" მხოლოდ მათთვის, ვინც თავს არ იწუხებს ან ვისაც საშუალება არა აქვს ამ გაზეთის სტატიები წაიკითხოს.

გადაშალეთ 1870 წლის „დროების" № 17, ჟურნალ „კრებულის" 1871 წლის № 6 და ამ წლის „დროების" ყოველი ნომერი და ნახავთ, რომ ბანკის საკითხი საკმაოდ დაწვრილებით განიხილებოდა ჩვენში და თანაც არა მხოლოდ გუშინდლიდან. და მართალია „დროების" თანამშრომელთა და რედაქციის წევრთა შორის არიან ისეთებიც. რომლებიც ხუთი და ექვსი წლობით სპეციალურად სწავლობდნენ პოლიტიკურ ეკონომიასა და ფინანსთა მეცნიერებას, მაგ-

რამ „დროება“ მაინც ვერ აღიჭურვებოდა ბატ. ღოღობერიძის გულადობით და თვალის დახამხამებაში ვერ შეადგენდა ბანკის წესდებას. ის რის გაკეთებაც შესძლო რედაქციამ ამ მიმართულებით, იყო დახმარების მიცემა ბატ. ღოღობერიძისათვის, რაზეც, თავისთავად ცხადია, ამ უკანასკნელს სრული უფლება ჰქონდა უარი ეთქვა.

მაშასადამე, თუ თქვენ ნამდვილად გინდათ გააცნოთ თქვენი მკითხველები თქვენთვის საინტერესო საგანს, ყურადღება უნდა მიგექციათ იმისათვის, თუ სახელდობრ რა არ არის კარგი ქუთაისში საზოგადოებრივ საქმეთა წარმოებაში, რაში მდგომარეობს სახელდობრ მოქმედების მავნეობა და სისტემა, როგორც ბატ. ბეს. ღოღობერიძისა, ისე ქუთაისელ სხვა მოღვაწეთა, რომელნიც იმავე გზით მიდიან და, ნამდვილად რაში მდგომარეობს ნაკლი და უვარგისობა ბატ. ღოღობერიძის წესდებისა. უკანასკნელი პუნქტის თაობაზე ელოდეთ „დროების“ დანაპირებს. რაც შეეხება ამ გაზეთის პირველ ორ სტატიას, ისინი საკმაოდ სრულები და საინტერესონი არიან რომ გამოიწვიონ არც თუ უსარგებლო მსჯელობანი ყველასი, ვინც კი დაინტერესებულა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებით. მე მიგითითებთ თუ რაზეა საუბარი ამ სტატიებში, ნება ინებეთ გაიგოთ კვრძოდ რაზეა მათში ლაპარაკი და მაშინ დარწმუნდებით, რომ ბატ. ბ. ღოღობერიძე სხვა არა არის რა, თუ არა შემთხვევით მოხვედრილი ეპიზოდი, რომლის შესახებაც შეიძლება ითქვას, როგორც ტიპზე და მაგალითზე. მაგრამ საქმის არსის დავიწყება მისი შემთხვევითი ფორმისათვის, მგონია არ ეკადრება მწერალს, რომელიც თავისი სიამოვნებისათვის არ წერს მხოლოდ. მე საწყენად დამრჩება მეტად, თუ ასეთ შეცდომაში ჩავცვივდებით.

მიიღეთ და სხვ.

ბაკვრა-ბამოკვრა

მკითხველმა როდი იცის, თურმე, რომ ამას წინეთ იმერეთში „ყეენობა“ ყოფილა, თუმც შავი ორშაბათი იმ დღეს მარტო ჩვენი საზოგადოების ჯიბეებისთვის გათენებულა... შეყრილა ხალხი, გამოწკეპილი, გამოჯგიმული, ჩალაზათიანებული. კუდაბზიკურაო მორთული, კუდაბზიკასავით წინ-წამომდგომი, — აქაო და „ყეენობა“ უნდა ვნახოთო, მაგრამ, ნუ იტყვით, წვიმის მეტი არა უნახავსთ რა. ზაფხულის წვიმა კარგი რამ არის, — ამბობენ, თმას ზრდისო. მაგრამ ვინც ალმასების წვიმას ელოდა და ბრილიანტებისათვის გული გაშლილი ჰქონდა, ჩვენებური გამწუწველი წვიმის წვეთი, რაგინდ ბზინავდეს იმას გულს ვერ გაუმხიარულებს. ამ შეგროვებული ხალხისათვის — ქალებიც ხომ „ხალხია“ — „ყეენობის გამმართველებს უთქვამთ: „ყეენობა“, კარავი და ალმასები პრინცებისათვისაა გაჩენილიო. თქვენთვის კი ღმერთს წვიმა გაუჩენიაო!“

მომწონს ეს თქმა. მაგრამ მოუხდება ვინც თავის საქმეს სტრვებს და სხვისაში ეჩრება. მის პირს მაჭარი, ვინც ამისთანა მშვენიერი სიტყვა გამოთქვა!

მაგრამ ამავე ყეენობის დროს ერთი საკვირველი სასწაული მომხდარა. საიქიოდამ ერთი ადამისწლის ხმა გაგონილა, რომელსაც დაუძახია „ჩვენ თავადიშვილები ვართ და აზნაურებზე წინ უნდა ვიდგეთო“. მაგრამ, საუბედუროთ, ამავე დროს მაშინას სასტიკათ დაუსტვენია, სწორეთ ისე, რორორც თბილისის თეატრში უხეირო აქტიორებს უსტვენენ ხოლმე, და ამ მაშინის სტვენაში, თურმე, ის აზრი გამოთქმულა, რომ „ვერ გაიგეთ, თქვე ყრუებო, ის დრო დიდი ხანია გაქრაო“.

მომწონს ეს დასტვენაც. არა, ეს მამაცხონებულები ამ ჩვენს წარსულ ცხოვრებას რომ ჩაფრენიან, მაინცა და მაინც უგნურ და უხეირო მხარეებს რათ ეპოტიალებიან და კარგ ჩინებულ მხარეს რათ ივიწყებენ? ვინც ძველებურ ცხოვრებას იხსენებს, ვინც მამაპაპურ ჩვეულებებს ხელს ავლებს, იმან კარგათ უნდა იცოდეს, რას ნიშნავდა „თავადობა“ და რა მოვალეობა ჰქონდა იმას უწინ. როცა

ჩვენში გმირობა არსებობდა, როცა ჩვენ ვაქკაცები ვიყავით, მაშინ ვინც მამულს თავს სწირავდა, ვინც ხალხს გაჭირვებია დღეს თავში უდგა, ვინც იმას ერთგულათ, გონიერათ, მამაცურათ და თავდაუზოგველათ თაოსნობდა, იმას „თავადს“ უძახდენ, „თავად“ „იხდიდენ. თქვენ კი? — ვინ გონიერება, ვინ მამაცობა, ვინ თავგამოძეტება და ვინ თქვენ? ჯერ ის თვისებები გვიჩვენეთ, რომლისთვის ჩვენი ხალხი თქვენს წინაპრებს პატივს სცემდა და არჩენდა, და მერმე პატივისცემა და რჩენა მოგვთხოვეთ, ნახავთ, მაშინ, დაგიკავებთ ამაებს თუ არა. და ძველი ცხოვრებიდამ მარტო სიგლახაკეს რომ მოავლებთ ხელს და კარგის დავიწყებით და შეურაცხყოფით სულელურ ჩვეულებების ასრულებას რომ მოგვთხოვთ. ძალიან-ძალიანი „ვერ მოგართვით“ მოგედებათ ცხვირში, როგორც ყეენობის დროს დაგემართათ...

ჭკუა ისწავლეთ, ჩემო ბატონებო და ქალბატონებო, თქვენს წინაპრებს ჭკუა ჰქონდათ, და თქვენ კი — ნურას უკაცრავათ — ამაში გვარიანათ კოჭლობთ. დროა, მე და ჩემმა ღმერთმა, ის ჩვეულებები დაივიწყოთ, რომელიც კრილოვმა „ბატების“ ზღაპრით დადაღა. მართალია, იმ ბატების წინაპრებმა ერთხელ რომი მტერს გადაარჩინეს, მაგრამ ეს ბატები, ეხლანდელი ბატები. მაინც მარტო შემწვრათ თუ გამოადგება კაცს, სხვებრ არაფრათ.

ამას, თუ ღმერთი გწამთ, ნუ დაივიწყებთ...

* * *

ეხლა გამახსენდა: სპარსეთის შაჰს სპარსეთში დაბრუნებისთანავე თავისი ვეზირი დაუტუსაღებია და ვეზირობა მოუსპია. — გაზეთებში სწერდენ, შაჰი ჭკუის სასწავლებლათ მგზავრობსო, და გაქვთ სიცოცხლე იმას მალე უსწავლია ჭკუაო. — დიდი ხანია ნათქვამია, რომ შეგირდი მასწავლებელზე უფრო მეტს ჭკუას იძენსო; დღეს შაჰის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ მის მასწავლებლებს ესლა მისგან მოუხდებათ ჭკუის სწავლა და მაგალითის მიღება...

დიდი ამბავი ყოფილა თურმე სტამბოლში შაჰის გამოვლის დროს. ხვანთქარს ნდომებია მისი მიღება, თავაზიანათ. მაგრამ ცივათ და პირველ დღეებში მართლა ერთობ გრილათ მოჰპყრობია თურმე. მაგრამ, როგორც სწერენ, ერთ დღეს შაჰს პიროვნათ მოულაპარაკებია ხვანთქართან, უთქვამს: რას ვენდურით ერთმანეთს, ვერ ვხედავთ, რა საშინლად გვაწუხებს ურჯულოებიო. როგორ შემოგვირტყეს ყველა მხრიდამ და როგორ შუაში ჩაგვიგდეს ჩვენ. მაჰმადის თაყვანისმცემლებიო. ჩვენც ეხლა ერთობა და შეთანხმება გვჭირიაო, თუ თანხმათ და გონიერათ არ ვიმოქმედეთ დავიკარგებით. გავქრე-

ბით დედამიწის პირიდამ და სხვ. და სხვ. ევანთქარს ეს სიტყვები ძლიერ მოსწონებია, და მაშინვე თავის ვეზირისათვის უბრძანებია, სპარსეთის ვეზირს მოელაპარაკე და კარგი გაწყობილება დაიკავე სპარსეთთანო.

მომწონს ეს საქციელიც სპარსეთის შაჰისა, ჭკუა უსწავლია, ეტყობა, მაგრამ ნეტავი ეხლა ამ ნასწავლ ჭკუას სხვებსაც არგებდეს და გაუზიარებდეს. ნუ თუ არ იცი, რამდენს სჭირია...

* * *

დიდი ამბავი ყოფილა, აგრეთვე პეკინში. ჩინეთის იმპერატორს, მზის შვილს და მთვარის ძმას, ამდენს ხანს არც ერთი ადამიანი მუხლ მოუდრეკლათ არ მიუშვია მის პირის წინ. ამავე მუხლის მოდრეკას და მიწის კოცნას თხოულობდა ის ევროპიელი სახელმწიფოების ელჩებისგან, მაგრამ ისინი, რასაკვირველია, ამაზე არ ეთანხმებოდენ, და ამისგამო ჯერ ჩინეთის იმპერატორს არცერთი ელჩი არ მიუღია. მაგრამ ამ ბოლო დროს — ორიოდე დამარცხების შემდეგ — იმის სიამაყემ იკლო, და ეხლა დაუჩოქებლათ მიუღია ევროპიელი ელჩები. ეს კარგი. მაგრამ მაგარი ისაა, რომ ჩინეთის „ოფიციალური გაზეთი“ როდი აცხადებს თურმე ამ გარემოებას და შემთხვევას. ის ოფიციალური ენით მარტო იმას სწერს, თურმე, რომ იმპერატორმა ელჩების მიღება ისურვა და სხვ.

მომწონს ეს ოფიციალური ენა. ჩვენში ამას გადაფუჩუჩებას უძახიან, მაგრამ ოფიციალურ წრეში კი ამას „თავის შეკავება“ ქვიან, ამბობენ.

ამბობენ, ამ მოკლე ხანში დიდი ამბები უნდა მოხდეს პარიჟში: რესპუბლიკა მოიშლება და მონარხიას დააარსებენ, შამბორის გრაფის სასარგებლოთო. მართლა მოხდება ეს ამბავი თუ არა, ეს მარტო მაღალმა ღმერთმა იცის. მაგრამ ცხადი კია რომ ამის მზადებაში ბევრი არიან დღეს საფრანგეთში. მართალია, რესპუბლიკელებს დიდი იმედი აქვთ, მონარხიელები ვერ გაბედავენო, ხალხი ხელს გამოიღებსო. ჯარი განზე გადგებაო, მაგრამ უეჭველია, რომ ეს სამი იმედი უსაფუძვლო და უმნიშვნელო იმედათ დარჩება. და თუ მონარხიელები უფრო იმ გარემოებამ არ დახია უკან, რომ ბონაპარტისტები გადგებიან და მაშინ მონარხიის მომხრეებს უმრავლესობა აღარ ექნებათ (თუ ლაბულესთანა „ზომიერები“ არ მოქრთამეს), მაშინ შენი მტერია რესპუბლიკის საქმე ცუდათ იქნეს...

მაგრამ... იცით, მე რა მაიმედებს? — მე არც ტიერის, არც გამბეტას, არც მთელი რესპუბლიკელი პარტიის იმედი არა მაქვს იმოდე-

ნათ, როგორც „ისტორიული მომდინარეობის“, როგორც 1848 წელში ბონაპარტეს ამაღლებამ და გამეფებამ რესპუბლიკის საქმე და მომავალი ვერ დაღუპა და რესპუბლიკის სახელი ვერ დაამცირა, ისე შამბორის გამეფებაც ვერაფერს დააკლებს ამ მომავლიან საქმეს... ოთხი ხუთი წელიწადი გაივლის, ბევრი, ბევრი, ათი-თხუთმეტი, და რესპუბლიკა, ვითომ დაცემული და დამარცხებული ხელახლავ წამოდგება ათასჯერ უფრო ძლიერი და გამარჯვებული, ვინემ ეხლა არის. მომაკვდავი ცალი ფეხით საფლავში ჩამდგარი კაცი ახალგაზრდა მამაკაცს რაგინდ ჩააფრინდეს, ბევრს ვერას დააკლებს. კბილითაც რომ ჩააფრინდეს, თავზედაც რომ დააწვეს, იმას მაინც სიკვდილი უზის გვამში, ის მაინც მოკვდება და გაქრება. და მის ქვეშ მოქცეულ ახალგაზრდას მოცდის მეტი არა სჭირია რა, რომ ხელახლავ ფეხზე დადგეს და ძალა დაიბრუნოს. ეს მონახიელის სუდარა რაგინდ მტკიცედ წააფარონ დღეს რესპუბლიკას, რესპუბლიკა მაინც არ მოკვდება, ის მაინც — აშკარად იქმნება თუ ჩუმათ — ახალგაზრდობის ძალას შეიძენს და მძლავრათ წამოდგება, სწორეთ იმ დროს, როცა ეხლანდელ დაბერებულ თაობას მუხლებში კანკალი და ძარღვებში სიკვდილის სიცივე გაუჯდება...

რაც უნდა იქნეს, რაც ხალხისთვის სასარგებლო და სანუგეშოა, ის იქნება, ის არასოდეს არ გაქრება; იმას ვერაფერი დაამხობს ვერავინ მოსპობს. და რაც უფრო სასტიკი და გამწარებული წინააღმდეგობა დახვდება იმას ბოლონდელ გამარჯვებამდე, მით უფრო სრული, მით უფრო მტკიცე და საბოლოო იქნება ეს უკანასკნელი გამარჯვება. მაშ შეფერხდეს ბრძოლა, შეჩერდეს ეხლანდელი გამარჯვება, მიეცეს წუთიერი ნუგეში და უპირატესობა ძველი წესის მომხრეებს; ბოლონდელი, უკანასკნელი, სამუდამო გამარჯვება მაინც მომავლის იმედს — რესპუბლიკას — დარჩება. და ეს ეხლანდელი მონარხიელების ვითომ გამარჯვება სწორეთ იმ ჭრაქის უკანასკნელს, უეცარს და მძლავრს აპრიალებას ჩამოგავს, რომელიც გამოელევა თუ არა სანათი, ძალას შეიკრეფს, ერთს სისხლის ფერათ ინათებს და მაშინვე ჩაქრება.

ვნახოთ, იქნება მოვესწროთ იმ ბედნიერ დროს, როცა ეს მონარხიელების ეხლანდელი ვითომ გამარჯვება საფრანგეთში იმათ ცხვირიდამ ძმარს გამოადენს და წუთიერი გამარჯვების მაგიერ სამუდამოთ დაამარცხებს. მაგრამ ჩვენ თუ არა, ჩვენგანი ხომ ბევრი ამას უსათუოდ დაესწრება.

———————

52. ჯანდაბა

ქართული მწერლობის მოყვარეთა ფლიური სხდომა

(ფანტაზია)

(სცენა წარმოადგენს ბნელ დარბაზს. შუაგულ, ამაღლებულ ადგილზე, წითელი და მოოქრული მაუდით შემკულ ტახტზე, ზის მოხუცი თავმჯდომარე. ირგვლივ სამფეხებზე სხედან მწერლები და ვითომ მწერლები, ზოგი ჩანგით, ზოგი ისრით, ზოგი კალმით დაიარაღებული. გარშემო ორიოდე მკითხველი და მრავალი ვითომ მკითხველი დგას. გარედამ ისმის გამწარებული წვიმისა და ქარიშხალის ხმა).

პირველი გამოცვლა

თავმჯდომარე

აწ სად არიან იგინი, მას ჟამსა სჯაში ვინც იყვნენ,
ძმანი და ტოლნი მწერალნი, რომელნი ცქერით გვალხენდნენ?
გვიან მოდიან ნაცნობნი, ვინცა ადრევე გვიწვევდნენ...
(მიუბრუნდება პლატონ ფილოსოფოსს:)
კვლავ მიგვეძინოს; წარვიდეთ, ხომ სედავ დავმთით მე და შენ!..

პლატონ ფილოსოფოსი[64]

ჟამნი მრავალნი უხილველ გარბიან ვითა machina, Tempora ჩვენი მიილტვის, გველის აღაპი ჩვენ შინა. წარვიდეთ ვითა გამოთქვა ძველთაგან ძველმა ჰომერმა, *Βλικοπιδεσ γυναῖκες* არ წარიტაცოს იმერმა!*

ჯ. უმიკაშვილი

ისმინეთ ჩემი, მოხუცნო, ბურჯნო ივერის ენისა!
ვგონებ სიბნელე დარბაზის თქვენ ხილვას გიშლის სცენისა:
აჰა მწერალნი, მკითხველნი, მოსურნე, თქვენის სმენისა,
მაშ მოითმინეთ, გეევედრით, გუშაგნო ჩვენის ქვეყნისა!

---

* სიტყვანი ესე: „ელიკოპიდეს გინაიკეს", მოყვანილნი თხზულებასა შინა ჰომერისა — „ილიადად" წოდებულსა, ქართულსა ენასა ზედა ძნელად ითარგმნებიან. გარნა მოასწავებენ

თავმჯდომარე (ჩუმათ პლატონ ფილოსოფოსს)

თაყვანის-მცემელთ როს გუნდი თავსა ვევლება თბოვნითა,
უნდა ვიიწყოთ აღაპი „გინაიკების“ ხვევნითა!

პლატონ ფილოსოფოსი

იყავ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ამინ!

თავმჯდომარე

გინდ მეძინოს მაინც გავხსნი მე სხდომას,
თვალთ ავახელ, გავიხსენებ ძველ შრომას!
(ნაღარა და დიპლიპიტო)

მაშ, ყმაწვილებო, მოდით, ერთი ვიბაასოთ. დარდიმანდული, დარბაისული სჯა გავ-
მართოთ!

(შეიქნება ზარის რაწკუნი, მწერლები თავიანთ ადგილებზე სწორდებიან და სალაპარაკოთ ემზადებიან).

თავმჯდომარე

სიტყვა ჩვენი მდიანბეგისათვის მიმიცია. სმენა იყოს და გაგონება კი არა.

პ. უმიკაშვილი (ჩუმი ხმით).

არვის უთხრა ეს ამბავი,
ससუ!
თორემ მოგველის დღე მავი
ससუ!
დავიარე მთა და ბარი
მე!
შევკრიბე ლექსი, ზღაპარი
მე!
ბეჭდვაში გვმართებს სიფრთხილე
ჩვენ,
რომ არ გამოგვრჩეს „იხილე“
ჩვენ!
ოც წელს მოვიცდი, და მერე
სულ
გამოვცემ, რაც კი ჩავწერე
სულ!

———————

ქალსა, რომელსა აქვს თვალნი მოძრავნი, მრბიელნი, აღვსებულნი სიტკბოებითა, ეშხითა და ნარნარითა მზაკვარებითა. ესე ყოველივე გამოითქმის ორითა მით ელლინურითა სიტყვითა. ხოლო რასა მოასწავებს ხსენება „იმერისა“ — არა ძალმიძს გამოთქმად, ვინაიდან თსზულებათა შინა ჰესიოდისა, პლავტისა და ტიტუს-ლივიისასა ერთ გზისაც არა ხმარებულ არს სიტყვა ეგე.

(შენიშვნა თვით პლატონ ფილოსოფოსისა).

სულით ერთნო, ძმა-მწერლებო, აწ შეკრბითა:
შიშის პაპა ვაიმედოთ ნუგეშით...

მეორე გამოსვლა

(ამ დროს კარები უეცრათ დაიფელება, და სცენაზე ვაი-ვაგლახით შემორბის ანტ. ფურცელაძე. შემოვარდება თუ არა, თავმჯდომარის დაუკითხავათ სხარტულით იწყებს დიაკენური კილოთი).

ანტონ ფურცელაძე

მე გახლავარ ის ივერი,
ანტონ ბრძენი, გონიერი,
დარდიმანდი ბედნიერი,
მრისხანებითა ძლიერი,
ვის ხელშია ყველაფერი;
კრიტიკოსი, დრამის-მწერი,
მოშაირე მშვენიერი,
მოთხრობებში ენა-მჭევრი;
ჭავჭავაძის მძლავრი მტერი,
„ცისკრის“20 საყვარელი გერი,
„მნათობს“9 რომ მოჰგვარა ერი,
„კრებულს“12 შუბლში რომ ჰკრა კვერი,
„დროებას“12 რომ წაცხო მტვერი;
მოჰკლა ბოკლი და დრეპერი,
კერესელიძე ბებერი,
ავალიშვილი შტერი;
მესხის, სკანდელის გამბერი —
მე გახლავარ ეს ივერი,
ანტონ ბრძენი, გონიერი,
დარდიმანდი, ბედნიერი!
(შემოივლის მთელ დარბაზს ასკინკლით)

ხმა (ქერიდამ).

ოქოქაანთ ქორი*
„მნათობს“ რა დამართე?
ხორცშესხმულო ჭორო,
შვილი რათ დამარხე?

---

* სახელ-განთქმული „ოქოქაანთ ქორი“ მარტო მისი პატრონის წიწილებს იჭერდა და სჭამდა თურმე, გარეული ფრინველის მაგიერ.

ანტონ

ვინ შიბედავს
დამცირებას?
ვინ მიდრის თავს?
ვინ გამოთქვამს
ჩენს ძაგებას?
ვინ მკადრებს ავს?

X

ცულლუტებო,
უღმერთონო,
თქვენ პლუტებო,
უნიჯონო...

(თავმჯდომარე ზარს არაწკუნებს. კარი გაიღება და შემოდის ილია ჭავჭავაძე. დაინახავს თუ არ იმას, ანტ. ფურცელაძე ტახტს ქვეშ ძერება).

მესამე გამოსვლა

ილ. ჭავჭავაძე (თითქო რაღაცას ან ვიღაცას ,დაეძებს. თავმჯდომარე. იმას სიტყვას ანებებს).

* * *

ისინი იყვნენ თუთხმეტი, სულ დარჩეული ვაჟკაცი,
ერთნაირათ დამეკარგა ამდენი პირმზე მამაცი!
ჩვენი დილა იყო ტკბილი, აღტაცებით სავსე,
ჩვენ გველოდა ასპარეზი დიდი, ბედნიერი:
შევიფიცეთ ერთმანეთი საქართველოს თავზე
და „ცისკარს“ გამოველაშქრეთ, იქ მიგვაჩნდა მტერი.
ატყდა ბრძოლა უზოგველი, საშინელი, გრძელი,
„მოამბეში“19 აღვადგინე მე გმირობა ძველი,
დავრაზმდით, მტერს მეხი დავსცით, გავიმართეთ ხელი,
და გამარჯვება გვეღირსა — დაგვრჩა ბრძოლის ველი!
ისინი იყვნენ თუთხმეტი, სულ დარჩეული ვაჟკაცი,
ერთიანათ დამეკარგა ამდენი პირმზე მამაცი!

* * *

გამარჯვებულს რაზმს რომ მაშინ გადავავლე თვალი,
ღმერთო ჩემო, რა ვიხილე, რამ მომიკლა გული:
თუთხმეტივეს დაჰკრობოდათ აღტაცების ალი,
დაევიწყნათ მიზნის ძებნა, ბრძოლა და მამული!
გაჩაღებულ კარავებში მოჯდომოდენ მტერსა,
გაემართათ იქ მეჯლიში, ალერსი და ლხინი...
ამნაირათ ჩემმა რაზმა ულალატა ერსა,
მაიძულა უსაქმობას, დამიყენა ჩინი!
ისინი იყვნენ თუთხმეტი, სულ დარჩეული ვაჟკაცი
ერთიანათ გაღორმუცლდა ამდენი პირმზე მამაცი!

თავმჯდომარე

ვის სურს ყმაწვილებო, სიტყვის თქმა ან
საგანზე, თუ სხვა რასმეზე?

გეს. ღოღობერიძე.

ნურვინ გვკადრებს შეწამებას,
ნურვინ გვიძრახს უსაქმობას!
თუმც ძლიერნი მე ვადიდე,
თუმც დუმილი ვიქადაგე,
მრუდე გზები გავიხიდე,
ოინის მახე დავაგე, —
ნურვინ გვკადრებს შეწამებას,
ნურვინ გვიძრახს უსაქმობას!

* * *

ნახეთ ბანკის ტიბიკონი,
ჩემი ბანკზედა ტიტინი,
მრძნული სახე, კილო, ტონი,
ჯამაგირი, ძალა, ჩინი, —
და ნუ გვკადრებთ შეწამებას,
ნუ გვიძრახავთ უსაქმობას!
(მრძნულად სამფეხზე დაჯდება)

თავმჯდომარე

ეს ყველა კარგი, მაგრამ ცოტა თვით მწერლობაზედაც ვილაპარაკოთ. აი, მაგალითად, ამ დღეებში „მნათობი“ მოისპო. ვის სურს მოიხსენოს ორიორდე სიტყვით განსვენებული ჟურნალის ცხოვრება?

(ერთ სამფეხიდან წარმოდგებიან ნ. ავალიშვილი და წყალტუბელი, ერთმანეთზე ზურგით შეტყუპებულნი. დიდათ ცდილობენ ერთმანეთს მოშორდნენ, მაგრამ ვერა საშუალებით ვერ ახერხებენ. ფურცელაძე ტახტის ქვეშიდამ იცქირება).

ნ. ავალიშვილი

დალახვროს ღმერთმა ის დილა,
როცა „მნათობი“ დაარსდა:
მისი ღვაწლი რას დაარდა,
რათ მინდოდა ეს ღვარძილა?
ჩემი ქება არ გაზდილა,
თუმც კი შრომა მე არ ამცდა,
რაც რომ „მნათობი“ დაარსდა...
დალახვროს ღმერთმა ის დილა!

წყალტუბელი

მძიმე ფიქრით აღვსებული
ვწერ მე მძიმე ლექსებს...

„მნათობში“ ვმღერ „ვით ბულბული“,
თუმც კი ვძულვარ რითმებს.
(თავისთვის) ეს ოხერი ლექსი ვცადე,
ვჭიმე, ვგრიხე, ვალბე, ვხადე, —
ლექსად მაინც ვერ გავხადე!
„მნათობში“ მე გავახურე
ლექსების ჭრიჭინი,
ნუ თუ ვერ დავიმსახურე
პოეტის გვირგვინი?

(თავისთვის)

ეს ოხერი ლექსი ვცადე.
ვჭიმე, ვგრიხე, ვალბე, ვხადე,
ლექსათ მაინც ვერ გავხადე!

(ტახტს ქვეშიდამ მოისმის ანტ. ფურცელაძის კბილების კრაჭუნი, კვნესა და ოხვრა).

ᲤᲣᲐᲚᲢᲣᲑᲔᲚᲘ

„მნათობის“ სიკვდილის მიზეზი, ბატონებო, ის გახლავს, რომ ვითომ ახალგაზრდა მწერალთაგანი არავინ დაგვეხმარა...

Ბ. ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„მნათობის“ სიკვდილის მიზეზი, ბატონებო, ის გახლავს,“ რომ ვითომ-ახალგაზრდა მწერალთაგანი ზოგიერთი დაგვეხმარა, მაგალითად...

ᲐᲜᲢ. ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔ (ტახტიდან თავს გამოჰყოფს).

რაო, რაო? როგორ ბედავ შე (შეუკურთხებს) ჩემს ძრახვას და ლანძღვას? (იწყებს ჭორს და ცილისწამებას, რომელსაც თამჯდომარის ზარის რაწკუნი აყრუებს).

ᲒᲚᲣᲮᲐᲠᲘᲩᲘ II[65] (იტალიური კილოთი).

ბატონებო, რადგანც ახალგაზრდა მწერლები დასახელდა ეხლა, ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ...

ᲗᲐᲕᲗᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

ინებეთ!

ᲒᲚᲣᲮᲐᲠᲘᲩᲘ II[65]

უცხო ქვეყნის ცივს შვილებს შუა
გამოეზდილვარ მე, ქართველი.
ნიჭიერმა პოეტმა მშვა
ნიჭიერი, დამცინველი.
ბრძოლა მძულს და მიყვარს ტკბობა
გამარჯვების ტკბილი შვებით,
მასწავლეთ მაშ, თუ გწამთ ძმობა

ვინ იმარჯვებს თავის ნებით,
ისე, რომ ბრძოლა არ შეხვდეს,
არ დასჭირდეს მტკიცე შრომა
და სიცოცხლეში ელოდეს
მას მარტო ნაზი განცხრომა?

დ. ბაქრაძე

„მნათობზე“ მეც მეთქმის რამე, თუ ნებას მომცემთ
(თავმჯდომარე სიტყვას აძლევს).

ისტორიკოსნი შემოკრბენ, „მნათობში“ ჰქონდათ მსჯელობა
ორფარათ ბროსსე დაფასდა, ხუთფარათ ბოკლის მწერლობა
გიზო არაფრათ ჩაიგდო, დრეპრეს დაერქვა ყალბობა,
და ჩემი „საქართველოსი“ იქ აღამაღლეს ხელობა...
ისტორიკოსნი შემოკრბენ, სხვაგანაც ჰქონდათ მსჯელობა,
თურმე პირველი სჯა იგი იყო ანტონის ვირობა.
იქ დაიწუნეს მასალა, ჩემი ღვაწლი და მწერლობა
და დაბეჭდვისთვის სხვის ხარჯით ჩვენს სტამბას ერგო მუნ გმობა!..

* * *

შორედამ საშინელი ძალით ისმის მკითხველების ხმა:

გაგვართეთ
სეირით,
დაგვატკბეთ
ხეირით,
გვაცნობეთ
ამბები,
გვადროვეთ
ფულები!

(გაგრძელება როდი იქნება).

58. ჩვენი ქალაქების საზოგადო საქმეები

ამ უკანასკნელ დროში, ჩვენ ხშირათ მოგვდის უსიამოვნო ამბები იმის თაობაზე, თუ როგორ იმართვის ჩვენი ქალაქების საზოგადოებრივი საქმეები. ჩვენ ნიადაგ გვესმის, რომ საზოგადო შემოსავალი უთავბოლოთ იკრიბება, გარდასახადი უსწორ-მასწოროთ იწერება, შემოსული ფული უხეიროთ იფანტება და საზოგადოებრივ საჭიროებებს კი თითქმის არაფერში დაკმაყოფილება არ ეძლევათ. ფოთიდამ, ქუთაისიდამ, გორიდამ და სხვა წვრილმან ქალაქებიდამ ამ საგანზე თითქმის ერთნაირი ჩივილი და ერთი და იგივე გოდება გვესმის, ისე რომ ამის თაობაზე ორიოდე სიტყვის თქმა უსარგებლო არ იქნება.

ჩვენი ქალაქების საზოგადო მმართველობა დღეს ორ ნაწილათაა გაყოფილი. გარდასახადის განაწილება და შემოსავლის შეკრება საზოგადოებისაგან ამორჩეული დეპუტატების ხელშია, რომელნიც, ამას გარდა, შემოსულ ფულს ინახავენ და ზოგიერთ გასავალსაც პატრონობენ. მაგრამ ხარჯის (გასავლის) სია, რომელსაც სხვაგან „ქალაქის ბიუდჟეტი" ჰქვია, თითქმის ყოველთვის იმნაირი წესით სდგება, რომ დეპუტატები მის შედგენის დროს თავის ხმით და გავლენით არა სარგებლობენ.

ზოგიერთ ჩვენს ქალაქებს გვარიანი შემოსავალი აქვს, სხვებს დიდძალი ფულიც ჰქონიათ მორჩენილი. მაგრამ არავინ იცის, ნამდვილათ, რამდენია ეს ფული, სადაა, ვის რაში ადგება, როგორ იხარჯება და სხვ. დეპუტატებს რომ კითხავს კაცი ამ საგანზე, ისინი ამბობენ — ჩვენ რა ვიცით, ჩვენს ხელში მარტო ფულის შეკრებაა; პოლიციის სეკრეტრებს რომ მიჰმართავს კაცი ამავე კითხვით, პასუხათ მიიღებს — ეს დუპატატებმა უნდა იცოდენო, ჩვენი საქმე წესიერების დაცვაა, მეტი არაფერიო. ვინ ამბობს მართალს, ვინ სტყუის, — ამისი კაცს არა ესმის რა, და მობეზრებული, დაუკმაყოფილებელი, ის ამ საქმეს თავს ანებებს.

ღვთის მადლით ამ დახლართულ მდგომარეობას მალე ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენში დღე-დღეზე ელიან ქალაქების „საზოგადოებ-

რივი მმართველობის" შემოღებას, როცა თითოეულ ქალაქს თავისი ამორჩეული „თავი (голова) ეყოლება და დეპუტატების კრება, რომელსაც ყველა საქალაქო საქმეების გადაწყვეტა და პატრონობა ებარება. ასეა დღეს რუსეთში, და ასე უნდა იქნეს ამ მოკლე ხანში ჩვენშიაც... და ამგვარი წყობილების საჭიროება არაფრით არ მტკიცდება ისე, როგორც ეხლანდელი ჩვენი ქალაქების ანგარიშების დახლართვით და უპატრონო მდგომარეობით...

როგორია ეს ეხლანდელი მდგომარეობა და რამდენათ საჭიროა დაუყონებელი შემოღება ახალი წესისა, ამას ჩვენ, სხვათა შორის ორიოდე მაგალითი გვიჩვენებს ჩვენი ქალაქების მმართვისა.

ორიდამ გვწერენ მაგალითად, რომ იქ დეპუტატების ამორჩევა მეტის მეტათ უთავბოლოთ ხდება. შემოიარს თურმე დესიატნიკი ბაზარს, შეკრებს რამდენიმე ხარაზს, სირაჯს ან მედუქნეს და წაიყვანს საზოგადოებრივი საქმეების გადასაწყვეტლათ. მოქალაქეების სია, რომელშიაც უნდა ჩაწერილი იყოს, ვისა აქვს კენჭი და ვის არა, ვინაა ნამდვილი მოქალაქე, და ვინ — ორი დღით მოსული, ვის გადახდება რამე და ვის არა, არსად სჩანს თურმე. და ამნაირათ შეკრებილ გროვას უცაბედათ ეტყვიან თურმე — დეპუტატათ ჩვენ ამოგვირჩიეთო, ან აი ამ ქაღალდს ხელი მოაწერეთო. ხშირათ თურმე „ქაღალდი" ისეა შედგენილი, რომ შიგ გამოყვანილია გადაწყვეტილება, ამა და ამ საგანზე ფული დაიხარჯოსო, და რამდენი დაიხარჯოს — ამისი კი ადგილი თეთრათ არის დატოვებული: დეპუტატები თვითონ ჩაწერენ შიგ, შემდეგ, რამდენი დაიხარჯოსო. ამგვარი კენჭის ყრის გამოისობით, როგორც გვწერენ, დეპუტატებათ ნიადაგ ერთი და იგივე პირები ირჩევიან, ამიტომ რომ ისინი როდი იკარებენ მოწინააღმდეგეს, როდი ატყობინებენ კრების დანიშვნას იმისთანა პირებს, რომელზედაც დარწმუნებით არ იციან, რომ ჩვენს სასარგებლოთ ილაპარაკებენ ან კენჭს ყრიანო.

არც ერთჯერ არ მომხდარაო, გვწერს ამ საგანზე ჩვენი კორესპონდენტი, რომ მოქალაქეები დეპუტატებს უწყებებით დაებარებინოს დეპუტატების ამოსარჩევათ, ან სხვა საზოგადო საქმეებზე გადაწყვეტილების მისაღებათო.

ამნაირათ მოხიკულ კრებაზე, იცით რა და რა საგნები ისჯება და რანაირი გადაწყვეტილება მიიღება ხოლმე? საზოგადოებრივი (ქალაქის) მიწა-წყლის გაყიდვა, ფულების (ას-ას თუმნობით) დახარჯვა, ახალი გარდასახადის შეწერა, ზოგიერთი მოქალაქეების რუსეთში გადასახლება და სხვ. და სხვ. და სხვ. ამისთანა მაგალითების მოყვანაც ბევრი შეგვიძლია, მაგრამ რა საჭიროა. უმთავრესი მათგანი ისაა, რომ ამ მოკლე ხანში დიდძალი საქალაქო ადგილები გაუყიდ-

ნიათ გორში, და კაცმა არ იცის თურმე. ეს ფული რა იქნა, და ოა საჭიროებისათვის მოიხმარება.

წლევანდელი კამერალიის აწერილობის დროს ბევრი უწესოება მომხდარა, ბევრი გარეშე პირი ჩაუწერიათ მოქალაქეების რიცხვში ისეთები, რომ იმათ კაცი ქალაქში ვერასოდეს ვერ ნახავს, და მათი ხვედრი გადასახადი კი ნამდვილ მოქალაქეებს გადახდება, მაგრამ ამისთანა და ბევრი სხვა შესანიშნავი მაგალითები ჩვენ უყურადღებოთ უნდა დავსტოვოთ, ამიტომ, რომ ისინი საზოგადო წესის ნაკოფია, და სანამ თვითონ ეს წესი არ შეიცვლება ამ ნაყოფს საზოგადოება თავიდამ ვერ მოიცილებს...

ნუ დავივიწყებთ კი, რომ მაშინ, როცა ქალაქის ფული ას-ას თუმნობით თვალსა და ხელს შუა იკარგება. და ვინ იცის რამდენი უფრო მეტი თუმანი ქალაქის ხაზინას აკლდება, არც ერთ ამ ჩვენ ქალაქებში არც ერთი ხეირიანი სასწავლებელი, ქალისა იყოს გინდ ვაჟის, არ გაუხსნია ქალაქს, ისეთი, რომ ნამდვილათ სასწავლებლის სახელი ეღირსებოდეს. არც ერთს საზოგადოებისთვის საჭირო საქმეს არავის ყურადღება არ მიუქცევია, და ქალაქის ფული და შემოსავალი, ზოგი ვინ იცის ვის ჯიბეში იღუპება, ზოგი კი ბულვარების და „როტუნდების“ კეთებაში, გარდაკეთებაში, გარდმოკეთებაში და დამახინჯებაში იხარჯება.

იმედი ვიქონიოთ, რომ ხეირიანი „საზოგადოებრივი მმართველობა“ ამაებს ბოლოს მოუღებს და უკეთესათ უპატრონებს ჩვენი საზოგადოების ფულებს და საჭიროებას.

———————

54. ქართული სასწავლებლების შესახებ

უფ. ერიწოვს მოჰყავს „კავკაზის“[24] 114 ნომერში რამდენიმე ცნობა სომხური სკოლების მდგომარეობაზე, რომელზედაც ცუდი არ იქნება რომ ჩვენი მკითხველებიც ცოტაოდნათ დაფიქრდებოდენ. ამ ცნობებს საგნათ სომხური სკოლების მდგომარეობის გამოხატვა აქვთ. აი, რა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ ეხლანდელი მათი მდგომარეობა.

სომხებს ჩვენს მხარეში ოთხი უმაღლესი სასწავლებელი ჰქონიათ, რომელნიც სემინარიის ხარისხზე დგანან. თითოეულ ამ სასწავლებელს წელიწადში ზოგს ორიათასი თუმანი ჰქონია შემოსავალი, ზოგს ათას ხუთასი, ზოგს ნაკლები, მაგრამ ხუთას თუმანზე დაბლა არც ერთის წლიური შემოსავალი არ იწევს. ამას გარდა, ოციოდე შუათანა სასწავლებელიც ჰქონიათ სომხებს, ისეთები რომ მათი წლიური შემოსავალი ხუთას მანეთიდამ ხუთას თუმნამდე მიაწევს, და ასამდი სასოფლო სკოლები. ყველა ამ სასწავლებლებში ხუთი ათასი ყმაწვილი (ორივე სქესისა) სწავლობს თურმე.

მკითხველმა როდი უნდა დაივიწყოს, რომ ყველა ეს სასწავლებლები დაუარსებიათ სომხებს თავიანთი საკუთარი ღვაწლით და შრომით, სხვის დაუხმარებლათ, იმ მიზნით, რომ მამაპაპური ენა და თვისტომობა არ დაკარგონ და გაამშვენიერონ. ყველა ამ სასწავლებლებს შემოსავლათ მარტო შენაწირი, ნაჩუქი, ანდერძით დატოვებული ფული და ადგილ-მამული ინახავს, და უეჭველია, რომ თითქმის მთელი სომხობა გულმოდგინეთ სწირავს ფულებს, ნიადაგ ღვაწლს სწევს და სკოლების საქმეს ერთგულათ ეხმარება, თორემ ამდენ სასწავლებელს, ამდენს ხარჯს ორიოდ-სამი ქველის მოქმედი შემწირველის ფული ვერას გზით ვერ აუვიდოდა. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ სომხის ახალგაზრდობა დიდის გულმოდგინეობით ეწაფება სკოლის საქმეს. ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ უმეტეს ნაწილს მაღალ სასწავლებლებში უფასოთ ან მცირედ ფასად ასწავლიან უნივერსიტეტებში კურსდასრულებული სომხები, და საზოგადოთ სომხობაში ის დედა-აზრია გავრცელებული, რომ თითოეულმა ნასწავლმა ახალგაზდამ — საკუთარი შრომით და თითოეულმა კაცმა — ხარჯში შედგომით რაც შეიძლება მეტი დახმარება უნდა

მისცეს იმ სასწავლებლებს, სადაც იხახვის და ვრცელდება სამშობ-ლო ენა, სადაც იზრდება ახალი თაობა. ამ კეთილ საქმეში თითეული ყოველი სომხები თანახმანი და შეერთებულნი არიან; რაგინდ განსხვავებული იყოს მათი შეხედულება სხვა და სხვა კერძო საქმეებზე, რაგინდ დაშორებული იყოს ერთმანეთზე მათი აზრი ან სარგებლობა, რაგინდ პიროვნათ გამწარებულნი და გარდაკიდებულნი იყვნენ ისინი ერთმანეთზე, ამ ერთ კითხვაზე ისინი ყოველთვის თანახმანი და ერთგული მოძმენი არიან: „ჩვენი სასწავლებლები უნდა ვავრცელოთ, ჩვენი ენა უნდა დავიცვათო“...

შევადაროთ ეხლა ეს სურათი იმ სურათს, რომელიც ჩვენი საკუთაო სასწავლებლების მდგომარეობას უნდა წარმოგვიდგეადეს, და ჩვენ დავინახავთ, რომ ჩვენ არც სემინარიები გვაქვს, არც შუათანა სასწავლებლები, და სასოფლო სკოლები, სადაც ხეირიანათ უნდა შეისწავლებოდეს და შემუშავდებოდეს როგორც ჩვენი დედა-ენა, თვისტომობა, ეგრეთვე ჩვენი ახალი თაობის გონება, გული. ქართულ სასწავლებლებზე, ქართულ ენაზე ქართულ ხალხზე, ჩვენში არავინ გროშს არ იმეტებს და თავს არ იწუხებს. რატომ ვითომ? განა ჩვენი ენა, ენა არ არის, განა ჩვენ წარსული არ გვქონია სასიქადულო და მისაბაძველი? განა ჩვენ ჩვენი საკუთარი პიროვნება, ჩვენი ნაციონალური განსხვავება და ხასიათი არ გვქონია და აღარ გვაქვს ისეთი, რომ მათი შენახვა და შემუშავება საჭირო და სასარგებლო იყოს ჩვენთვის? რისგან მოხდა, რომ ჩვენ ამაებს არ ვაფასებთ, არ ვინახავთ, არ ვავრცელებთ, და გულგრილათ, უდარდელათ შევცქერით ჩვენი ენის დაცემას, ჩვენი ხასიათის გადასხვაფერებას, ჩვენი თვისტომობის გაჰქრობას? რა მიზეზია, რომ ჩვენი ძალა, ნიჭი, ცოდნა მარტო საკუთარი სარგებლობის, შემოსავლიანი ადგილების, პიროვანი ამაღლების ძებნაში ილევა და იკარგება, და არსად არ სჩანს საერთო, საზოგადო საქმისთვის შრომა, საზოგადოებრივი გრძნობა, მამულისა და ხალხისათვის ღვაწლის დადება? რამ გაგვიბინძურა ჩვენ ამოდენათ გული, რამ დაგვამდაბლა და გაგვაცალკევა, რამ დაგვცა?

ამ კითხვაზე პასუხის მოძებნა შემდეგი თაობისათვის მიგვინდვია. დღეს ჩვენი მხრით მარტო ის უნდა გამოითქვას, რომ აი როგორია ჩვენში სწავლისა და განათლების მდგომარეობა, აი როგორ მიტოვებულია ჩვენი ენა და ხალხი იმ პირებთაგან, რომელთაც ვითომ უმაღლესი სწავლა მიუღიათ და რომელნიც თავიანთ გაუმჯობესებულ მდგომარეობას, თავიანთ ცოდნას და შეძლებას მარტო იმაზე ხმარობენ, რომ თავიანთი თავი უფრო მეტათ აამაღლონ და ჩვენი ენა, ქვეყანა და ხალხი თუნდ შავმა წყალმა წაიღოს.

გადავარჩინოთ ვაზი დაღუპვას

ჩვენი ვენახების გაჭირვებულმა და უიმედო მდგომარეობამ, როგორც იქნა, ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიიქცია. ამ მოკლე ხანში რამდენიმე ვენახის მეპატრონემ ხმა ამოიღო და საშუალების ძებნას შეუდგა თუ როგორ გადაარჩინოს საბოლოო დაღუპვას ეს თითქმის მხოლოდ წყარო ჩვენი ქვეყნის შეძლებისა. ამის თაობაზე ეხლა საკმაოთ ლაპარაკობენ და სწერენ კიდეც, ისე, რომ იმედია ამ მოკლე ხანში საქმესაც შეუდგებიან.

ვაზის ავათმყოფობა ისეთი საქმე როდია, რომელსაც თითოეული ვენახის-მეპატრონე კერძოობით თავს მოუარს და თავიდამ აიცილებს. დამტკიცებულია, რომ ეს ავადმყოფობა გადამდებია, და რაგინდ კარგად უპატრონოს კაცმა თავის ვენახს, რაგინდ წამალი წაცხოს ყურძენს, რაგინდ ახალ-ახალი ვაზები ჩარგოს, თუ მის მეზობელს ვენახში ავათმყოფობა უდგია, თუ მისი ზვარი დაჭირიანებულია, თუ ის თავის ვაზებს არ სცვლის და არ უვლის, მოვლილი და ხეირიანათ ნაპატრონევი ვენახიც მალე წახდება და მასზე დადებული ღვაწლი და დახარჯული ფული ამაოთ დაკარგული იქნება. ამისთანა საზოგადო სნეულებას, ამგვარ საყოველთაო გაჭირვებას მარტო საერთო პატრონობა და შეერთებული, საყოველთაო მოვლა და ღვაწლი მოუხდება. თითოეული ვენახის პატრონის სარგებლობა თხოულობს სხვა მეპატრონეების ვენახების ხეირიან მოვლას და პატრონობას, სწორეთ ისე, როგორც მის საკუთრისას, ამიტომ რომ სხვისას თუ სნეულობა ჩარჩა, მისი საკუთარი ვენახიც მალე ხელმეორეთ წახდება, რაგინდ ხეირიანათ მოვლილი და ნაწამლი იყოს.

ჰაშასადამე, ვენახის სნეულობასაც საერთო წამლობა სჭირია, ამ საქმესაც საზოგადო პატრონობა მოუხდება, და ჩვენებური ვენახის-მეპატრონეები ყველაზე უწინ იმას უნდა ცდილობდენ, თუ როგორ შეიკრიბონ ერთათ, რა საშუალებით დათანხმდენ, რა ნაირი საერთო მოქმედება და საშუალება გამოძებნონ ისეთი, რომ ჩვენში ვაზის სნეულობა მოისპოს და ვენახების მდგომარეობა გაუმჯობეს-

დეს. ამ საქმის თაობაზე შეკრება, მოლაპარაკება, დათანხმება, სარჯის გაწევა ღირს, თუ კი ჩვენს საზოგადოებას და ჩვენებურ მამულის-მეპატრონეებს ცოტაოდენი გამჭრიახობა და გონიერება აქვთ... მაშ რატომ არ იკრიბებიან ისინი, რისთვის არ ეძებენ ამ გასაჭირიდამ გამოსასვლელ ღონისძიებას, მცოდნე პირებს რატომ არ იბარებენ და არ გამოკითხავენ, მეცნიერებისაგან მოძებნილ გზას და-საშუალებებს რატომ არ ხმარობენ, რატომ თითოეული მათგანი თავის მეზობლებს არ უახლოვდება და მათთან საერთო ჭირში საერთო ღონისძიებას არ ეძებს და არ ხმარობს?...

მივიხედ-მოვიხედოთ ცოტაოდნათ. აი რუსეთი, აი ყაზანის ან პსკოვის უსწავლელი, გამოუცდელი, მიყრუებული გლეხები — ისინიც კი ს ა ე რ თ ო თ უვლიან თავიანთ მამულებს, საზოგადოთ აწესებენ ყ ვ ე ლ ა მ ხარჯი გავწიოთ, ყ ვ ე ლ ა მ გავაუმჯობესოთ ნიადაგიო, ყ ვ ე ლ ა მ მოვაყაროთ ჩვენს მიწებს ნაკელი ან ჭაობები საერთოთ დავაშროთო. ნუ თუ რაც მიხვდა და გამოძებნა ყაზანის ან პსკოვის გლეხმა იმას ქართველი, კახელი ან იმერელი თ ა ვ ა დ ე ბ ი ვერ უნდა ახერხებდენ და იყენებდენ? შესაძლებელია განა ეს, ან აზრში მოსასვლელია ვისმესთვის?

ნათქვამია „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას განახებო“. აი გაჭირვებაც. ვნახოთ ეხლა რამდენათ მოახერხებენ ჩვენი თავადები გაქცევას კი არა, პატრონობას და გონიერ მოქმედებას. დროცაა, იცის ღმერთმა! თორემ დღეს ტყეები გამოგვეცალა ხელიდამ, ხვალ მიწაწყალი გვეკარგება, ზეგ ვენახები გვიხდება, მაზეგ სწავლის შეძლებაც ხელიდამ გვიცურდება, მაშ ბოლოს რაღა დაგვრჩება, რითი გვედგმება სული, რითი შეგვეძლება ცხოვრება? შრომას ჩვენ შეუჩვეველნი ვართ, სწავლა ჩვენ არა გვაქვს, გავლენა რახანია დაგვკარგვია, — რაღა დაგვრჩება ბოლოს, თუ ჩვენ თვითონ ჩვენს თავს არ მოუვლით და გაჭირვებას გონიერათ და მოხერხებულათ თავიდამ არ ავიცილებთ?

ნუ თუ ჩვენ ჩვენი თავის მტრები ვართ, და მართლა ჩვენი თავის დაღუპვა და გაღატაკება გვსურს, ჩვენი საბოლოო დაცემა გვწყურია?

---

56. სასოფლო ბანკების თაობაზე

„დროებას“ ბევრჯერ გამოუხატია შეწუხებული და თითქმის უიმედო მდგომარეობა კახელი გლეხკაცობისა, რომელსაც უფულობა და ვალები უკანასკნელ ღონისძიებას აკლებენ და უმძიმეს ტვირთათ აწევენ. ბევრჯერ გამოთქმულია ჩვენს გაზეთში აზრი, რომ ამ გასაჭირს, რომელიც მარტო კახეთს კი არა, მთელ საქართველოს სიცოცხლეს უჭირვებს, ჩვენი ხალხი ასცილდება ზოგიერთი საზოგადო ცვლილებებით და — ცოტაოდნათ მაინც — სახალხო, სასოფლო ბანკების დაარსებით და გამრავლებით. ეს სასოფლო ბანკები, ვამბობდით ჩვენ, იმ გასაჭირიდამ მაინც დაიხსნიან ჩვენს ხალხს, რომ გარდასახადის შეკრების დროს და სხვა წვრილმანი საჭიროების წინ ის ურიის ვალში აღარ ჩავარდება და თითქმის მთელს თავის შემოსავალს ორიოდე თუმნის სარგებელში მაინც არ გასცემს.

ესევე აზრი ავრცელა გ. წერეთლის „სასოფლო გაზეთმა“,[66] და დღეს ჩვენ შეგვიძლია სრული ბედნიერებით ვთქვათ, რომ უნაყოფოთ არ ჩაუვლია ჩვენი მწერლობის სიტყვას და მაგალითს. გარდა ამისა, რომ თფილისში უბრალო მოხელეებმა მოინდომეს თავისთვის პაწაწა ხელის-გამწყობი ბანკის გამართვა, და ერთგულათ შეუდგენ ამ საქმის ასრულებაში მოყვანას, თელავის მაზრაშიაც გლეხ-კაცობას მოუნდომებია ამგვარივე სასოფლო ბანკების დაარსება. სამს სოფლის საზოგადოებას კახეთში: კონდალის, წინანდლის და ქისისხევისას, გარდაუწყვეტია საამხანაგო ბანკების დაარსება, და „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის შემწეობით კიდეც შეუდგენია ამ ბანკების წესდება, რომელიც გუშინ თბილისელ გუბერნატორს მიართვენ ამ სოფლებისგან გამოგზავნილმა გლეხებმა. უეჭველი საქმეა, რომ ეს წესდება მალე დამტკიცდება და ასრულებაშიაც მოიყვანება; მაშასადამე ჩვენი ხალხი ამგვარი ბანკების სარგებლობის მაგალითს მალე თავის საკუთარი თვალითაც ნახავს.

„დროების“ და „სასოფლო გაზეთის“ რედაქციებს გამზადებული აქვთ ამგვარივე წესდებები, ისე რომ სხვა სოფლების საზოგადოებებს მოთხოვნის მეტი არა დასჭირდებათ რა მათ მიღებისთვის და დასამტკიცებლათ წარდგენისთვის. ამასთანავე „დროების“ რედაქცია ამზადებს სამაგალითო წიგნებს, რომელნიც ყოველ სასოფლო ბანკს უნდა ჰქონდეს ანგარიშის, შემოსავლის და გასავლის ჩასაწე-

რათ, წევრებისთვის მისაცემლათ და სხვ. და სხვ. ამ წიგნების შემწეობით და იმ თხზულების გადაკითხვით, რომელნიც ამ საგანზე ჩვენს გამოცემებში იბეჭდებოდენ და დაიბეჭდებიან, სასოფლო ბანკების საქმის წაყვანა და ანგარიშის გაწყობა ყოველ წერაკითხვის მცოდნე პირს შეეძლება, ისე რომ სასოფლო ბანკების გამართვაში ჩვენს სოფლელებს არაფერი დაბრკოლება და სიძნელე აღარ დახვდებათ, თუ კი თვითონ სოფლელები ბანკის დაარსებას მოინდომებენ და თავიანთში ამის შესახებ გარდაწყვეტილებას მიიღებენ.

ვიმეორებთ: ეს ისეთი საჭიროებაა ჩვენი ხალხისთვის, რომელზედაც დამოკიდებულია თუ მთელი ეხლანდელი სიძნელე არა, ძლიერ ბევრი წვრილმანი გაჭირვება და უსიამოვნობა. ამ ბანკების შემწეობით ჩვენი ხალხი ცოტაოდნათ მაინც განთავისუფლდება მისი გამღარიბებელი და დამამხობელი მოვალეებისგან, და სხვა რომ არაფერი იყოს ესეც ბევრია. მაშ ვისარგებლოთ ამ ადვილი საშუალებით, მით უფრო, რომ ყველაფერი, რაც მის შემოღებას სჭირდება, ჩვენს სოფლელებს დღეს ხელში ეძლევათ.

ჩვენებურ ყმაწვილებს ნამდვილი სურვილი რომ ჰქონდესთ ხალხისთვის სარგებლობის მოტანისა და დახმარების მიცემისა, ამისთანა საქმეში ბევრი ღაღადი და ქადაგება ჩვენ როდი დაგვჭირდებოდა. ყმაწვილები აიღებდენ ხელში ამნაირი ბანკის წესდებას და წაუკითხავდენ სოფლელებს, აუხსნიდენ მის სიადვილეს და სარგებლობას, ასწავლიდენ დასაწყისში საქმის წაყვანას და გაუმართავდენ მთელ საქმეს. მაგრამ ამაებს ჩვენში არავინ ჰკიდებს ხელს. ან კი, მართალიც რომ ვთქვათ, როგორ უნდა მოჰკიდონ ხელი: ხუმრობა ხომ არაა ბარათის მიწერა რედაქციაში, წესდების პირის მისაღებლათ, და მისი გარდაცემა თავის საკუთარი სოფლის მცხოვრებლებისთვის? ეს თავისსამტვრევი შრომაა. ბევრათ უფრო ადვილია უგზო-უკვლო ქუჩა-ქუჩა თრევა და სტუმრათ სიარული, სადაც. გლეხებთან ლაპარაკის მაგიერ, უფრო ადვილი და სასიამოვნო საქმე აქვთ ამ ყმაწვილებს: ენის მიტან-მოტანა, ჭორიკანობა, ბანქოს თამაში და ცეკვა.

არა, ამისთანა ახალგაზდობის მიხედვით ჩვენი სოფლელები ამ საქმეს ნუ წაუყრუებენ. თავიანთ თავზე იქონიონ იმედი გლეხებმა და თვითონვე საქმეს ხელი მოჰკიდონ, როგორც გონიერათ მოიქცენ წინანდლის, კონდოლის და ქისისხევის მცხოვრებლები. გლეხებმა უნდა იცოდენ, რომ ჩვენი ყმაწვილები იმნაირათვე უსარგებლოთ ჩაკვდებიან უსაქმო ხეტიალში, როგორც მათი ᲐᲛᲔᲑᲘ ჩამკვდარან.

---

57. ბაზენის პროცესი

უკანასკნელი ნომრები ყველა სამხედრო და საპოლიტიკო გაზეთებისა ავსებული არიან ბაზენის პროცესის აწერით. „დროებამ"[1] რომ ამ პროცესის გადმობეჭდვა მოინდომოს, მთელი წლინახევრის განმავლობაში მისი ნომრები ძლივს აუვლენ ამ საქმეს, — იმოდენა სივრცე აქვს ბრალდებით წერილს, მოწმეების ჩვენებებს და საქმის წვრილმან გარემოებებს. ამისგამო ჩვენ ყველა დანარჩენი გაზეთების მაგალითს მივყვებით და შემოკლებით გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს მარტო უმთავრესს საგნებს ამ პროცესისას, იმ იმედით, რომ წვრილმანი მსარეების და გარემოებების ჩამოცილება უფრო ნათლათ ღაუხატავს მკითხველის გონებას ამ საზარელი საქმის ნამდვილ ხასიათს და მნიშვნელობას.

მაგრამ სანამ ჩვენ თვითონ პროცესის აწერას შეუდგებით, აუცილებელ საჭიროებათ ვრაცხთ უამბოთ მკითხველებს ჯერ თვითონ ბაზენის ვინაობა და ბიოგრაფია და მერმე ის მდგმარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა საფრანგეთის ჯარი და მეცის ციხე, როცა ბაზენმა ჯარის უფროსობა ჩაიბარა. ამ ორი საგნის შემდეგ ჩვენ იმის გამოსახვას შეუდგებით თუ რას აბრალებენ ბაზენს და რა საბუთები აქვთ მის გასამტყუნებლათ.

ა) ბ ა ზ ე ნ ი ს ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

ფ რ ა ნ ს უ ა-ა შ ი ლ-ბ ა ზ ე ნ ი დაიბადა 13 (1) თებერვალს 1811 წ. მაშასადამე დღეს ის სამოცდაორი წლისაა. ოცი წლის რომ შეიქნა, იმან პარიჟელ პოლიტეხნიკურ სკოლაში შესვლა დააპირა, მაგრამ ეგზამენის დაუჭერლობის გამო ამ განზრახვას თავი დაანება და უბრალო სალდათათ შევიდა ჯარში. ალჟირის დამორჩილების დროს იმან გამოიჩინა დიდი მამაცობა და ანგარიშიანობა, და ამის გამო ის მალე შეიქნა ჯერ უბრალო ოფიცერი, მერმე კაპიტანი და ბოლოს არაბების ერთი მაზრის მმართველი. ამ თანამდებობაში იმას, როგორც თითქმის ყველა იმ ოფიცრებს, რომელთაც იგივე თანამდებობა ჰქონდა, ნამეტანი ქრთამის მღებლობა და უსამართლიანობა შეამჩნიეს, მაგრამ ამაებს არაბების შესახებ დიდ მნიშვნელობას არ აძლევდენ, თუმც საფრანგეთის ჯარის ზნეობა თუ დასცა რამემ,

სწორეთ აქ ქრთამის მღებლობამ და უსამართლიანობამ დასცა, როცა ჯარი და მისი უფროსები ალჟირის ადმინისტრატორები იყვნენ.

ამ მდგომარეობაში იყო ბაზენი, როცა 1850 წელში ალჟირში მივიდა ნაპოლეონის თანამოაზრე და ამხანაგი პოლკოვნიკი ფ ლ ე რ ი. ამ კაცს მინდობილი ჰქონდა მთელი საფრანგეთის ჯარი დაეთვალიერებია და შიგ იმისთანა ოფიცრები ამოერჩია, რომელთაც დიდი სიხარბე, პატივის მოყვარეობა და კანონის დაუზოგველობა შემჩნეოდა, ისე რომ მათი მოქრთამვა შესაძლებელი ყოფილიყო, და მათი შემწეობით ნაპოლეონს საფრანგეთში რესპუბლიკის დამხობა და თავის თავის ტახტზე გაყვანა შესძლებოდა. ამისთანა მოსაქრთამველი ოფიცრები ფლერის ყველანი პარიჟში უნდა წამოეყვანა და მათთვის ნაპოლეონს პარიჟელი ჯარის უფროსობა უნდა ჩაებარებია. რასაკვირველია, რომ არაბების მაზრის მმართველებში ძლიერ ხშირნი იყვნენ ამგვარი ნაპოლეონისთვის „სანდო" პირები, და ბაზენიც მათ რიცხვში იმყოფებოდა, აგრეთვე როგორც კანრობერი, ფალი და სხვ. ამ პირებმა, ხალხის დაუზოგველათ ამოჟლეტით და კანონის უსინდისოთ დაგიწყებით, ნაპოლეონი ტახტზე გაიყვანეს და საფრანგეთი კი ათიოდე პირადი სარგებლობის მეძიებლების და ხალხის გამცარცველი პირების ხელში ჩააგდეს...

რასაკვირველია, არც ნაპოლეონმა დაივიწყა თავისი ხელისგამწყობი და ტახტზე გამყვანი ოფიცრები. ყველას გენერლობა და ჯილდოები არგო, ყველას ჯარის მმართველობა და მთავარ-მმართველობა დაუნიშნა. ყირიმის ომის დროს ბაზენიც ერთ ბრიგადას უფროსათ დაუნიშნეს, და მაშინდელი მისი უფროსი, უნიჭო კანრობერი, რასაკვირველია, დიდ მნიშვნელობას აძლევდა ბაზენის მოხერხებულ და ანგარიშიან ჭკუას. ამ ომის დროს ბაზენის სახელი დიდ პატივში შევიდა, და ეს იყო იმის მიზეზი, რომ მექსიკაში საფრანგეთის ჯარის გაგზავნის დროს, ნაპოლეონმა იმას ჯერ მთელი დივიზია ჩააბარა და ბოლოს მთელი ჯარის მთავარ-მმართველობაც მისცა (1862 წ.).

მექსიკაში ბაზენმა უმოწყალოთ ჟლიტა და ხვრიტა მექსიკის რესპუბლიკის დამცველები[67], და ამ გარემოებაში დაარღვია ყველა ის კანონები, რომელიც განათლებულ ხალხებს ომისა და ბრძოლის დროს სახელმძღვანელოთ უნდა ჰქონდესთ. იმის ბრძანებით, ხვრეტდენ მექსიკელ ტყვეებს, თუმც დატყვევებული მტრის სიცოცხლე შეუხებელი უნდა იყოს გამარჯვებულის მხრით. ამას გარდა. როგორც ნამდვილათ დამტკიცებულია, მექსიკაში ბაზენმა რაც კი შეიძლო იქაური ხალხი ცარცვა თავისი პირადი სარგებლობისთვის და თვითონ საფრანგეთის ხაზინასაც ჩამორჩა, ისე რომ მექსიკიდამ დაბრუნების დროს იმან რამდენიმე მილიონის შეძლება ჩამოიტანა.

ამის თაობაზე საფრანგეთის მწერლობაში დიდი დავიდარაბა და მხილება ატყდა, და ბაზენი მაშინაც შეძულებულ იქნა საფრანგეთის საზოგადოებიდამ. მაგრამ ნაპოლეონმა იმას მაინც უმაღლესი სამხედრო ღირსება — მ ა რ შ ლ ო ბ ა — მისცა და საქმე მაშინ ამით მიყრუვდა.

გერმანიასთან ომის დაწყების დროს ბაზენს მიეცა მ ე ს ა მ ე კორპუსის უფროსობა, რომელიც მეცთან უნდა ყოფილიყო. პირველი ბრძოლის დროს, — როცა მისი მეზობლები და ამხანაგები მაკ-მაჰონი და ფროსარი დაამარცხეს, პირველი ვერტთან და მეორე ორბახთან — ბაზენს მათ დასახმარებლათ ხელი არ გაუნძრევია. როცა ამ პირველი შეტაკების შემდგომ საფრანგეთის უმჯობესი ჯარი და სახელგანთქმული მხედართ-მთავრები შეიმუსრენ, საზოგადო აზრმა გაიხსენა, რომ თუმც ბაზენი უპატიოსნო და უსინდისო კაცია, მაგრამ სამხედრო ღირსება და ნიჭი მაინც დიდი აქვსო, და ამის მიზეზით ყველა გაზეთებმა და დეპუტატებმა მოითხოვეს, რომ ნაპოლეონს სამხედრო უფლება ჩამორთმევოდა და მთელი ჯარის მთავარ-მმართებლათ ბაზენი დანიშნულიყო. ნაპოლეონი ამ მოთხოვნილებას დაჰყვა და 1 (13) აგვისტოს 1870 წ. ბაზენი დაინიშნა მთელი საფრანგეთის არმიის მთავარ-მმართებლათ.

შემდეგ სტატიაში ჩვენ ავწერთ მის განკარგულებებს და მოქმედებას ამ ღირსების ასრულებაში, ეხლა კი მარტო იმას ვიტყვით, რომ გერმანიის ჯარმა ბაზენი სამჯერ დაამარცხა და მეცისკენ დაბრუნება აიძულა ისე რომ ბაზენის მთავარ-მმართველობა მალე მარტო მეცის ჯარის უფროსობათ გადაიქცა. ორი თვის განმავლობაში ბაზენი უფრო პოლიტიკურ მდგომარეობას უკვირდებოდა და პოლიტიკურ საშუალებებს ეძებდა, ვინემ სამხედრო ღონისძიებებს. ამასობაში მის ჯარს სურსათი გამოელია და ბისმარკის მოხერხება და ოსტატობა უკეთესი გამოდგა, ვინემ თვითონ ბაზენის ოინები. ბოლოს, 29 ოქტომბერს 1870 წ., ბაზენი თავისი ჯარით გერმანელ ჯარს დაემორჩილა და მის წინ იარაღი დაჰყარა. მთელი მისი ჯარი, რომელშიაც ას სამოცდა ათი ათასი კაცი იყო, ტყვეთ წაიყვანეს გერმანიაში, და მასაქეთია მეცის ციხე გერმანიის ხელში გადავიდა.

იმ დროს გამბეტა იყო საფრანგეთის სამხედრო მინისტრათ. მეცის დაცემის დროს ის საფრანგეთის ხალხს მოუბრუნდა და პირდაპირ ის აზრი გამოთქვა, რომ ბაზენმა უღალატა საფრანგეთს და გასცა მეცი თავისი არმიითო. ამავე აზრის იყვნენ თითქმის ყველა ოფიცრები, თითქმის მთელი არმია, და შარშანწინ, როცა ნაციონალური კრების გადაწყვეტილებით გამოძიება დაინიშნა ყველა ის გენერლებზე და უფროსებზე, რომელთაც ციხეები მტერს დაუთმეს,

აღმოჩნდა, რომ ბაზენის მოქმედება მეცის დამხობის დროს სასტიკ განხილვას და დასჯას მოითხოვს. ამის გამო ბაზენზე განსაკუთრებითი გამოძიება დაინიშნა. ის მალე დაატუსაღეს და ეხლა სამხედრო სამართალში მისცეს.

ესაა ბაზენის კარიერა. მის ხასიათზე ამბობენ, რომ ის მეტისმეტათ გულჩახვეული და დაუნდობელი კაცია, რომელიც არაფერს ზოგავს, არაფრის წინ შეჩერდება, ოღონდ თავისი პირადი თავმოყვარეობა და სიხარბე დააკმაყოფილოსო. იმას სწამებდენ, რომ მექსიკაში იმპერატორათ უნდოდა გამოეცხადებინა თავისი თავიო, და ამ შეწამებას გვარიანი ძალი საფუძველიც ჰქონდა. სწავლით, ბაზენი თითქმის უმეცრათ ჩაითვლება. იმაზე მარტო იმას ამბობენ, რომ ანგარიშის კაციაო, კარგათ იცის ჯარის სურსათის და იარაღის შენახვა და მოვლაო; მაგრამ შემდეგში ჩვენ ვნახავთ, გამოიჩინა იმან ეს ცოდნა მეცში, თუ არა.

ფიზიკურათ ბაზენი დაბალი ტანის კაცია, სხვილი, ჩასუქებული და მეტის მეტათ უმოძრაო. მისი პირის სახე უსიამოვნო სანახავია: მოყვითალო, ჟანგიანი, გაზეთილი პირისკანი, ერთი ნამცეცა მოძრავი და შემპარავი თვალები, „კეთილი ცხოვრების“ დაღ-დასმული ტუჩი და თვალის უბეები, პირველივე შეხედულებით ზიზღს ბადვენ მისი მნახველის გულში...

ბ) საფრანგეთის ჯარის მდგომარეობა აგვისტოში 1870 წ.

ომის გამოცხადების შემდეგ ნაპოლეონმა განკარგულება ჰქნა, რომ საფრანგეთის ჯარი აღმოსავლეთისკენ წასულიყო, გერმანიის სამზღვრის გადასასვლელათ. ეს ჯარი რამდენიმე კორპუსათ იყო გაყოფილი, და თითო კორპუსს თავისი საკუთარი დანიშნულება, თავისი უფროსი და განკერძოებული მდგომარეობა ჰქონდა. ერთ ამგვარ კორპუსს უფროსათ ჰყავდა ბაზენი, მეორეს — მაკ-მაჰონი, მესამეს —, ფროსსარი, მეოთხეს — ფალი, და სხვ. და სხვ.

იმ ადგილას, საცა ომის დაწყების დროს საფრანგეთის ჯარი იდგა, გერმანიისა და საფრანგეთის საზღვარს შეადგენენ მთები და გორები, რომლების გადავლა ადვილი საქმე როდია, განსაკუთრებით ცხენოსნისა და ბარგისათვის. სასიარულო გზა ამ მთებს შუა ორიოდე მდინარეებს და ხეობებს მიჰყვება. ისე რომ საფრანგეთის ჯარისთვის ადვილი საქმე იყო ამ გზების გაკავება და მტერის გაჩერება. მაგრამ ზოგი დაუმზადებლობის გამო, ზოგი მოულოდნელობით, საფრანგეთის გენერლებმა საქმე ისე დაიჭირეს, რომ გერმანელებმა გაუგებრათ შემოადგეს ფეხი ყველა იმ ხეობებში, რომელზედაც საფრანგეთსა და გერმანიას შუა გზები გადიოდენ. ერთ ამგვარ ადგილას დაამარცხეს მაკ-მაჰონი, მეორე ადგილზე გალეწეს ფროსსარის ჯარი,

ისე, რომ საფრანგეთის კარები გერმანლებისათვის დაფელილი შეიქნენ და საფრანგეთის ჯარს მეტი ღონე აღარ ჰქონდა, უკან უნდა დახეულიყო და მეცის ახლო, ან კიდევ უფრო შორს, პარიჟისკენ უნდა შეემაგრებინა თავი, იმისთანა ადგილას, საცა ბუნება, თავის აღმართ-დაღმართებით და გზებისა და გორების მდებარეობით, ადვილათ დაცვის და გამაგრების საშუალებას აძლევდა.

ამგვარ მდგომარეობაში, პირველი დამარცხების შემდგომ, საფრანგეთის მმართებლობამ საჭიროთ დაინახა მთელი საფრანგეთის ჯარი ერთი კაცისთვის ჩაებარებინა და ეს კაცი იყო—ბაზენი. იმას მიანდვეს მთელი ჯარის უფროსობა, იმ აზრით, რომ იმას თავისი ჯერ კიდევ ხელ-უხლებელი კორპუსი შალონისკენ წამოეყვანა, პარიჟისა და მეცის შუა გზაზე, იქ მასთან შეერთებია მაკ-მაჰონის, ფროსსარის და დანარჩენი გენერლების დაწიოკებული სალდათები, მიეღო პარიჟიდამ ახალ-ახალი მებრძოლები, და ამგვარათ დაემზადებინა ახალი არმია, რომელსაც პარიჟის სიახლოვეს მტერის წინ დადგომა და მისი დამარცხება შეძლებოდა. ეს იყო მმართებლობის მიზანი და ბაზენს, ამ მიზნის მისაღწევათ, მთელი თავისი მეცადინეობა უნდა ეხმარა.

ბაზენმა თავისი დანიშნულების ამბავი და ჯარის უფროსობა აგვისტოს 13(1) მიიღო მეცის სიახლოვეს. მართლაც რომ იმას თავისი ჯარი მეციდამ გაეყვანა და დასავლეთისკენ გაეწია, მეცში კი მცირედი გარნიზონი დაეტოვებინა, მტერი იმას ბევრს ვერას დააკლებდა. მაგრამ ბაზენი სულ სხვა გზას დაადგა. მთელი ერთი დღის განმავლობაში ის იმაზე ფიქრობდა, თუ რანაირი გადაწყვეტილება მიეღო, და ამ სახით იმან მეციდამ გამოსვლის და მოზელის მდინარეზე გასვლის დრო დაჰკარგა. როცა გერმანელებმა დაატყვეს იმას დასავლეთისკენ წასვლის სურვილი, მაშინვე ბრძოლა დაუწყეს აღმოსავლეთიდამ, რომ ცოტაოდნათ მაინც შეეჩერებიათ მისი ჯარის გადასვლა მდინარეზე: ამასობაში კი ფრიდრიხ-კარლის ჯარი სამხრეთით იმავე მდინარეში გავიდა, საფრანგეთის ჯარს და მეცს გვერდი აუარა და მეორე დღეს დასავლეთით დაუხვდა ბაზენს, როცა ის პარიჟის გზას დაადგა. ეს დასავლეთის გზა სამ ნაწილათ იყოფოდა, და ბაზენს კიდევ შეეძლო ორი გზით გადარჩენოდა მტრისგან გაკავებულ გზას, მაგრამ იმის მაგიერ რომ მართლა დასავლეთისკენ წასულიყო, ის მაინც გერმანელებს შეეტაკა, ბრძოლაში გაება და ტყუილა უბრალოთ უთვალავი ხალხი გაჟლიტა, როგორც თავისი აგრეთვე მტრის მხრით. მაგრამ აგვისტოს 16-ის ბრძოლა მაინც ისე გათავდა, რომ ბაზენს სურვილის მეტი არ უნდოდა რა თავის გზის გასაგრძელებლათ და პარიჟისკენ წასასვლელათ. ის არც ამ

გადაწყვეტილებას დაადგა. გათავდა თუ არა იმ დღის ბრძოლა, იმან ბრძანება გამოსცა, რომლის ძალით ჯარი ისევ უწინდელ მდგომარეობაში უნდა დარჩენილიყო, და ორი დღის შემდეგ ისევ ხელახლა შეება საბრძოლველათ სამჯერ თუ ოთხჯერ უფრო გაძლიერებულ მტერს, რომელმაც, რასაკვირველია, მისი ჯარი დაამარცხა და მეცის ციხეში შეჰყარა.

ამ სახით საფრანგეთის ჯარი ორ ნაწილად გაიყო. ერთი, რომელიც ბაზენთან მეცში იყო დამწყვდეული, მეცის ციხეში გაჩერდა, ისე, რომ ერთის მხრით, აღმოსავლეთით, შტეინმეცის ჯარი ერტყა და მეორის მხრით—დასავლეთით—ფრიდრიხ-კარლის არმია. იმ ჯარს კი, რომელიც ბაზენს შალონში უცდიდა, და რომელსაც უფროსათ მაკ-მაჰონი ჰყავდა, ერთის მხრით ფრიდრიხ-კარლის ჯარი აჩერებდა, და მეორის მხრით—სამხრეთით—პრუსიის მემკვიდრის, ფრიდრიხ-ვილღელმის არმია უყურყუტებდა.

ამ მდგომარეობაში ბაზენს და მაკ-მაჰონს, საფრანგეთის მმართებლობის აზრით და ბრძანებით, ერთმანეთთან შეერთება უნდა მოეხდინათ, და ბაზენის პირველი ნაბიჯები კიდეც ამ პლანის შესრულებას ეთანხმებოდენ. მაგრამ იმ სამი გამწარებული ბრძოლის დროს, რომელიც მეცის გარშემო აგვისტოს 14, 16 და 18-ს მოხდა, ბაზენმა არ მოინდომა, ან ვერ მოახერხა, დასავლეთის გზით ჯარის წაყვანა; იმან დრო დაკარგა, ჯარი ხან წინ წასწია, ხან ისევ მეცისკენ დააბრუნა, და იმოდენი იტრიალა, რომ 18 აგვისტოს გერმანელი ჯარის უმთავრესმა ნაწილმა იმას დასავლეთის გზა თლათ ეროიანათ შეუკრა და მეცში დაბრუნების მეტი სხვა საშუალება აღარ დაუტოვა. ამგვარათ ბაზენის ჯარი დამწყვდეულ იქნა მეცის ციხეში.

ამასობაში მაკ-მაჰონის დამარცხებულ ჯარს შალონში ახალ-ახალი რაზმები მოემატა, ისე რომ ორი კვირის განმავლობაში მის ხელქვეით გვარიანი არმია მომზადდა. ეს არმია, მაკ-მაჰონის და ბევრი სხვა მხედართმთავრების აზრით, პარიჟისკენ უნდა დაბრუნებულიყო და პარიჟის დასაცველად უნდა გამოყენებულიყო. მაგრამ ერთის მხრით მაშინდელმა სამხედრო მინისტრმა, პალიკაომ (კუზენ-დე-მონტობანმა), და მეორის მხრით ბაზენმა მაინცა და მაინც მოინდომეს ხელახლავ შეერთებინათ მაკ-მაჰონის და ბაზენის ჯარები. ბაზენმა, როგორც ყველა საფრანგეთის ჯარების უფროსმა, მაკ-მაჰონს, თავის ხელ-ქვეითს, დეპეშა გაუგზავნა, მე ჩემ ჯარს მეციდამ გამოვიყვან და ჩრდილოეთის გზას დავადგები, რომ მონმედის და სედანისკენ წავიდეო. ამ დეპეშის თანახმად მაკმაჰონმაც შალონიდამ თავისი ჯარი გამოიყვანა და რეიმსის და სედანის გზას დადგა, სადაც იმას ბაზენის ჯარები უნდა მიშველებოდენ.

ბაზენს ამ პლანის ასრულებაში მოსაყვანათ ხელიც არ გაუნძრევია. ის უწინდელურათ მეცში დარჩა, თუმც მაკ-მაჰონის დეპეშა კი მიუვიდა სედანისკენ მივდივარო. მაკ-მაჰონს გვერდ-გვერდა გამოუდგა ფრიდრიხ ვილღელმის არმია, რომელმაც იმას თავი აუარა, და სედანის სიახლოვეს წინ დაუხვდა. იქვე ფრიდრი-ვილღელმს დაეხმარა მეციდამ გამოგზავნილი საქსონიის პრინცის ჯარი, და ამ შეერთებულმა ძალამ, სამი დღის ბრძოლის შემდეგ, მაკ-მაჰონის ჯარი დაამარცხა, სედანი აიღო და მთელი ჯარი მაკ-მაჰონით და ნაპოლეონითურთ ტყვეთ დაიპყრო. ამ გამარჯვების შემდეგ ესევე არმია პარიჟისკენ წავიდა, საფრანგეთის სატახტო ქალაქის ასაღებათ.

მაშასადამე ბაზენი მეცში დარჩა ჩამწყვდეული, მაგრამ ისე, რომ ჩრდილოეთის გზა მის წინ ჯერ კიდევ გახსნილი იყო. მეცის სიახლოვით ბაზენს უდარაჯებდა ფრიდრიხ-კარლის ჯარი. ამ მდგომარეობაში ბაზენს სურსათის დამარაგება მაინც უნდა ეფიქრნა, მეცს გარშემო რაც ყანები და ფერმები იყო ყველგნით პური და საქმელ-სასმელი მეცში უნდა შეეტანა, განკარგულება უნდა ექნა, რომ თითოეულ მცხოვრებს, თითოეულ სალდათს და ცხოველს პორციობით დარიგებოდა სასმელ-საქმელი და სხვ. და სხვ. მაგრამ იმას არც ერთი ამგვარი გადაწყვეტილება არ მიუღია, და არც ერთი განკარგულებით არ გამოუჩენია, რომ იმას მართლა დიდხანს უნდოდა მეცის ციხის დაცვა და მეცთან ფრიდრიხ-კარლის არმიის გაჩერება.

შემდეგი სტატიიდამ დავინახავთ რა ნაირათ უნდოდა ბაზენს ამ გარემოებებით და მდგომარეობით სარგებლობა თავისი საკუთარი პიროვნობისთვის.

გ) ბაზენის დანაშაულობა.

რაც დღემდი ცნობები შეკრებილა ბაზენის მოქმედებაზე წარსული ომის განმავლობაში, და რაც იმას თვითონ დაუწერია და დაუბეჭდავს თავის გასამართლებლათ, იმათი განხილვა შემდეგნაირ ბრალის დადებას ბადავს, და შემდეგი სახით ხატავს მის მიზანს და მოქცევას.

რაკი ბაზენმა დაინახა, მაკ-მაჰონის პირველი დამარცხების შემდეგ, რომ მთელი საფრანგეთის ჯარი მის ხელში ჩავარდა და გერმანელებს მის მეტი შემძლე მოწინააღმდეგე აღარავინ ეყოლებოდა, იმან განიზრახა თავის ჯარის შენახვა და მეცში მოცდა იმ დრომდი, როცა დანარჩენი საფრანგეთის ჯარები ცალ-ცალკე დამარცხდებოდენ და დაიფანტებოდნენ და როცა საფრანგეთს ბაზენის მეტი მშველელი აღარავინ ეყოლებოდა. ამ განზრახვით ბაზენმა წაიყრუა, როცა გაჭირვებული ფროსსარი იმას ფორბახის ბრძოლის დროს

შემწეობას სთხოვდა. მისი ჯარი რომ მაშინ ფროსსარს მიხმარებოდა, თითქმის უეჭველია, რომ ფორბახთან გერმანელები ვერ გაიმარჯვებდნენ, რადგან ფრანცუზებს ჩინებული ადგილ-მდებარეობა ჰქონდათ იმ ბრძოლის დროს და გერმანელები შეცდომით გაებენ ამ ბრძოლაში. შემდეგ, როცა ბაზენს მხედართ-მთავრობა ჩაბარდა, იმან საგანგებოთ პარიჟისა და შალონისკენ წასვლის დრო დაკარგა, საგანგებოთ არ ისარგებლა იმ შეძლებით, რომელიც სამი დღის განმავლობაში ჰქონდა, წასულიყო შალონისკენ, მაკ-მაჰონის ჯართან შესაერთებლათ; საგანგებოთ დაბრუნდა მეცში, და მაკ-მაჰონს კი მისწერა ჩრდილოეთის გზით სედანისკენ მივდიეარო; საგანგებოთ გაიტყუა მაკ-მაჰონი სედანისკენ, და როცა მაკ-მაჰონის დეპეშა მოუვიდა სედანთან მომეშველეო, მეცში გაჩერდა, თუმცა კარგათ იცოდა, რომ მის მიუშველებლათ მაკ-მაჰონის ჯარი სედანთან დამარცხებტლი იქნებოდა. რაკი ბაზენმა ამ საშუალებით მაკ-მაჰონის ჯარი დაღუპა და თავისი მეცში შეაგროვა, იმან მტერს მოლაპარაკება დაუწყო იმის თაობაზე, თუ რა და რა პირობებზე დაეთანხმებოდა მას გერმანელი მმართებლობა ომის შეწყვეტის და საფრანგეთში „ახალი“ ვითომ „მტკიცე მმართებლობის“ დაარსებას. იმის მაგიერ რომ იმას ეცნო ახალი რესპუბლიკის მმართებლობა და მასთან ერთად ბრძოლა გაეგრძელებია, ბაზენი ბისმარკს უთვლიდა, მე რესპუბლიკის მმართებლობას არ ვსცნობო, მე მინდა საფრანგეთში წესიერება და კანონი აღვადგინოო, მე თქვენი მტერი კი არა, რესპუბლიკელების მტერი ვარო, თქვენ და მე ერთი და იგივე მიზანი უნდა გვქონდესო და სხვ. და სხვ. თანახმათ ამგვარი მოლაპარაკებისა ბაზენი არ ატყობინებდა თავის ამბავს რესპუბლიკის მმართებლობას, არც ცდილობდა მასთან ერთათ ჯეროვანი ღონისძიებები მიეღო მეცის გასამაგრებლათ და სურსათის საშოვნელათ, არ ამხნევებდა თავის ჯარს, არ ეძებდა გზას და საშუალებას მეციდამ გამოსულიყო და დანარჩენი საფრანგეთის ჯარებისთვის შემწეობა მიეცა. ბისმარკმა რაკი ბაზენს „მოლაპარაკების სურვილი“ შეამჩნია და მისი საიდუმლო მიზანი გაიგო, პასუხათ ვითომ თანხმობა გამოუცხადა, მაგრამ ისე, რომ მისი პასუხი არც „ჰო“ იყო და არც „არა“. ოსტატური მოქმედებით იმან გამოსტყუა ბაზენს საჭირო ცნობები იმაზე, თუ რამდენი კვირის განმავლობაში ეყოფოდა ბაზენის ჯარს და მეცის მცხოვრებლებს მეცში დამარაგებული სურსათი. შეიტყო რამდენი ჯარი ჰყავდა ბაზენს, რამდენი ცხენი და ზარბაზნები; გაიგო, რომელს მის ხელ-ქვეით გენერალს რა აზრი ჰქონდა ბრძოლის გაგრძელებაზე, და შესაფერათ ისარგებლა ყველა ცნობებით და გარემოებებით. ბისმარკის პასუხიდამ ბაზენმა ის დასკვნა გამოიყვანა,

რომ გერმანელები მე მეციდამ თავისუფლად გამიშვებენ ჩემი ჯარით, იმ პირობით, რომ მე ბრძოლის გათავებამდი გერმანელებს აღარ ვეომოო, ამ ნაირათ მე ას ორმოცდა ათი ათასი კაცი მეყოლება კარგათ დაიარაღებული, მაშინ, როდესაც რესპუბლიკის ჯარი თლათ ერთიანათ გერმანელებთან ბრძოლას მოუნდებაო, ავდგები და რასაც მოვინდომებ, იმას უზამ საფრანგეთსო. გამბეტას დავატუსაღებ, რესპუბლიკის მმართებლობას მოვსპობ და ჩემ თავს საფრანგეთის მმართველათ და იქნება იმპერატორათაც გამოვაცხადებო. ამ იმედით გაჩერებული ჰყავდათ ბაზენი გერმანელებს მთელი ორი თვის (სექტემბრის და ოქტომბრის) განმავლობაში. ამასობაში კი გამბეტამ სამი მხრით ახალ-ახალი ჯარები დაამზადა. ჩრდილოეთით მოგროვდა ფედერბის არმია, რომელსაც გვარიანი გაწყობილება და ჩინებული პლანი ჰქონდა. სამხრეთით დამზადდა ლოარის ჯარი, რომელმაც ერთხელ კიდეც დაამარცხა გერმანელები და რომელიც მალე პარიჟის გზას უნდა დადგომოდა. აღმოსავლეთით, ერთის მხრით, გარიბალდის ჯარი მოქმედებდა და მეორის მხრით ბურბარკის არმია მზადდებოდა. ყველა ამ ჯარებს ერთი საერთო მიზანი და დანიშნულება ჰქონდათ: ერთს იმათ ნაწილს გერმანელებისათვის გერმანიიდამ სურსათის და იარაღის მიღების გზა უნდა მოეჭრა, და დანარჩენები კი პარიჟისკენ უნდა მიმართულიყვნენ, რომ იქ ერთბაშათ პარიჟელი ჯარის დახმარებით გერმანელების ხელიდამ პარიჟი გაეთავისუფლებიათ. ამგვარ მდგომარეობაში გერმანელების საქმე ნამეტნათ სანდო როდი იყო, და გერმანიის მმართებლობა ყოვლის ღონისძიებით იმას ცდილობდა, რომ მეცთან გაჩერებული ფრიდრიხ-კარლის ჯარი რაც შეიძლება უფრო მალე გათავისუფლებულიყო და პარიჟის—გარშემო დაბარგებულ გერმანელებს მიშველებოდა. რა კი მოლტკემ ბაზენის პლანები და მიზანი გაიგო და დარწმუნდა რომ ბაზენი პოლიტიკურ ინტრიგის გაწყობას, და არა ნამდვილი ბრძოლის გაგრძელებას ცდილობდა, იმან ნელ-ნელა შეათხელა ფრიდრიხ-კარლის არმია და ერთი მისი ნაწილი ჩრდილოეთისკენ, ფედერბის წინააღმდეგათ გაგზავნა; მეორე ნაწილიდამ ზოგიერთი ბატალიონები პარიჟს მიაშველა და ზოგიერთი გარიბალდის წინააღმდეგ გაგზავნილ ვერდერს, ისე რომ ბოლოს ბაზენის ჯარს და მეცის ციხეს თითქმის უმნიშვნელო და უძლური ჯარი ერტყა.

ბისმარკის მხრით, რასაკვირველია, ბაზენთან მოლაპარაკება იმოდენათ გაგრძელდა, სანამ ბაზენს ჯარის და ქალაქის სარჩენლათ საკმაო სურსათი ჰქონდა. და როცა ის დრო დადგა, რომელშიაც ბაზენს არც პური ჰქონდა ჯარის საკვები, არც შეძლება—საიდანმუ

ახალი სურსათი მიეღო, გერმანიის მმართებლობამ ბაზენთან მოლაპარაკება შესწყვიტა და გამოუცხადა—პირდაპირ დამიმორჩილდი და იარაღი დაჰყარეო. რასაკვირველია, რომ მაშინ ბაზენს ლაპარაკის და უარის თქმის საშუალება აღარ ჰქონდა, და მეტი რაღა ღონე ექნებოდა, დამორჩილების და მტრის ხელში თავისი ჯარის გარდაცემის გარდა.

ამ უკანასკნელი გარემოების დროს ბაზენი, რასაკვირველია, დატყუებული გამოვიდა, მაგრამ საქმე ხომ მარტო მის თანხმობაში არ იყო: იმას ისიც უნდა ეზრუნა — დაეთანხმებოდა თუ არა იმას მისი ჯარი იარაღის დაყრაზე და დატყვევებაზე? რადგანაც ბაზენს თლათ ერთიანათ იმედი დაკარგული არ ჰქონდა, რომ შემდეგში იმას კიდევ შეძლებოდა გერმანიიდამ თავისი ჯარით დაბრუნება და საფრანგეთში იმპერიის აღდგინება, იმან გერმანელების რჩევით, განიზრახა თავისი საკუთარი ჯარის მოტყუება და გერმანელებისათვის გარდაცემა: იმან რამდენიმე დღის განმავლობაში მეცის გაზეთებში ბეჭდა, რომ საფრანგეთში ყოველგან უთანხმოება და არეულობაა, მმართებლობა არსადაა, ბრძოლა მოისპო, შეელა არსაიდამ გველისო, და სხვ. და სხვ. რომ ამგვარი ხმების გავრცელებით მის ჯარს თლათ ერთიანათ იმედი დაჰკარგოდა და სიმხნე და მამაცობა მიეკარგა. ამის შემდეგ ბაზენმა განკარგულება ჰქნა, ბაირაღები და იარაღი არსენალში დააწყვეთო, ზარბაზნები თავ-თავის ალაგებიდან აიღეთო და სხვ., თუმცა სამხედრო ჩვეულებისამებრ იმას ბაირაღები უნდა დაეწვა, ზარბაზნები გაეფუჭებინა, თოფ-იარაღი უნდა დაელეწა და ციხის კედლები ლაღუმებით უნდა დაენგრევინებინა. სხვა და სხვა ნაირი ოინებით იმან თავიდან აიცილა გენერლების და ჯარის მოთხოვნილება ამ ჩვეულების დაცვის შესახებ და ჩუმათ გადასცა გერმანელებს როგორც ჯარი, ისე ციხე, ზარბაზნები, თოფ-იარაღი, ბაირაღები და—ეს ყველაზე უფრო გასაკვირველია—ჯარისა და ქალაქის საკვები სურსათიც. გერმანელებმა ეს ყველაფერი, რასაკვირველია, გერმანიაში გაგზავნეს და თვითონ ბაზენიც ტუსაღათ წაბრძანდა ნაპოლეონ მესამის სასახლეში.

ამაში მდგომარეობს ბაზენის დანაშაულობა. კანონიერი ენით ამ მოქმედებას ჰქვია ციხის გაცემა და ჯარის იარაღის-დაყრა სანამ დაცვის უკანასკნელი საშუალება გამოილეოდა, და საფრანგეთის, სამხედრო სისხლის სამართალი ამგვარ დანაშაულობას სიკვდილით დასჯას უქადის. ბაზენის პროცესი დაგვანახებს ცხადათ, მართლა ამგვარი ყოფილა ეს დანიშნულება, თუ არა, მარტო ბაზენია ამაებში დანაშაული, თუ მასთან სხვებიც, ღირსია ის დასჯის, თუ არა. მაგრამ

რაც ჩვენ აქ ავწერეთ ყველა ეს მოქმედებები თითქმის უეჭვოთ აღიარა თვითონ ბაზენმა ისე, რომ მისი გამტყუნება ამაებში საეჭვო როდი იქნება.

ჩვენ ვხედავთ ეხლა, რა სისაძაგლე და ვნება მოუტანია ბაზენს, თავისი სამშობლო ქვეყნისთვის, რა საშინელი პასუხისგება უკისრია იმას, და რა გვარი განსაცდელი დაუმზადებია თავის მამულისთვის, როცა ის მამული გასაჭირში უიმედოთ ფართქალებდა. მისი გამტყუნება და ძაგება დღეს ადვილი საქმეა. მაგრამ ვის ჰქონდა უფლება, სხვა რაიმე იმედი ჰქონოდა იმისთანა კაცისაგან, რომელიც ამაღლებული იყო იმიტომ, რომ უღალატა თავის ქვეყანას ნაპოლეონის ტახტზე გასაყვანათ? რა პატიოსნება და მამულის სიყვარელი, რა გმირობა და ერთგულება მოეთხოვებოდა იმას, ვისაც ოცი წლის განმავლობაში აჯილდოებდენ და ამაღლებდენ ორგულობის, ღალატის, ხალხის დაუზოგველობის და მამულის დავიწყების გულისთვის! მთელი ოცი წლის განმავლობაში ამაღლებდენ ფიცის-გამტეხის, ხალხის მოღალატის, კანონის — დამვიწყებელის და მამულის გამცარცველის მსახურებს, — რაღა გასაკვირველია, რომ ამავე ოცი წლის განმავლობაში ბაზენისთანა კაცის გულში მამულის მსახურება და ხალხის სარგებლობა გაჰქრა, და მისი ადგილი მარტო პიროვნათ ამაღლების სურვილმა დაიკავა? ნაპოლეონის გენერალს სხვანაირი მოქმედება განა შეეფერებოდა?

მეორე შენიშვნა: დღეს ბაზენი სამსჯავროს წინ თავდახრილი დგას და იმას დღეს-ხვალ დახვრეტა თუ არა, სასტიკი დასჯა და ღირსების ახდა მაინც ელის. დღეს იმას ყველა აძაგებს და აგინებს, დღეს ის საყოველთაოდ სასაცილოა. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ბისმარკი იმას სხვაფრივ მოპყრობოდა, წარმოვიდგინოთ, რომ მისი ოინი და ანგარიში არ გათავებულიყოს ისე მოულოდნელათ, როგორც გათავდა, წარმოვიდგინოთ, რომ ბაზენმა თავისი ჯარი, ბისმარკის თანხმობით, მეციდამ გამოიყვანა, ტურისკენ წაიყვანა და გამბეტას წინააღმდეგ გამოიყვანა. უეჭველია, რომ მაშინ გამარჯვება იმას დარჩებოდა, და ეხლა ის დამნაშავეების სკამზე კი არა, საფრანგეთის ტახტზე იჯდებოდა. ამ უკანასკნელ გარემოებაში არავინ არ იკითხავდა რა გზით, რა საშუალებით, რა სიმდაბლით და ორპირობით დაიმსახურა იმან თავისი გამარჯვება, რა კანონი დაარღვია, რა ოინი იხმარა. იმას შერჩებოდა ყველაფერი დანაშაულობა, და ის პირები, რომელნიც იმას დღეს დასცინიან და შეურაცყოფენ, რომელნიც იმას დღეს სჯიან და სტუქსავენ, მისი მსლებლები და მაქებარნი, მისი სურვილის შემსრულებელნი და ყურ-მოჭრილი ყმები იქნებოდენ. ასე ბრუნავს ქვე-

ყანა. ვინც გაიმარჯვა — ის ჭკუიანი და საქებია, თუნდ გაემარჯვოს მარტო გარემოებების შემწეობით. და ვინც წაიქცა, ვისაც ანგარიში შეეშალა, ან ვისაც მიზნის მიღწევის ნება არ მისცა სრულიად წარმოუდგენელმა გარემოებებმა, ის ყველასათვის სასაცილო და ტალახით გასათქერი ხდება. როგორ არ გავიხსენოთ აქ პირველი ნაპოლეონის წინააღმდეგ გამოსული, რესპუბლიკელი გენერალის მ ა ლ ე ს სიტყვები, რომელნიც იმან თავის მსაჯულებს უთხრა, როცა ისინი ჰკითხავენ — ვისი იმედი გქონდა, ვისი დახმარებით აპირებდი ნაპოლეონის ტახტიდან ჩამოგდებასაო? — „მთელი საფრანგეთისო, — უპასუხა მაშინ მალემ, თქვენ თვითონ ჩემი მხრით იქნებოდით, რომ გამემარჯვაო“.

---

58. წყლის და გაზის გაყვანის კონცესიის თაობაზე

ვუშინ შედგა ჩვენი ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლების ექსტრა-ორდინარული კრება, მოწვეული იმის გადასაწყვეტად, თუ როგორ და ვის მიეცეს თბილისში წყლისა და გაზის გაყვანის კონცესია. ეს საკითხი უკვე საერთო კრების ბჭობის საგანი იყო მიმდინარე წლის 11 მაისს და მაშინ, როგორც ცნობილია, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ადგილობრივ, სატახტო და ზოგიერთ უცხო ქვეყნების გაზეთებში დაებეჭდათ გამოწვევა კონცესიის მოსაპოვებლად. ახლა ირკვევა, რომ ეს გადაწყვეტილება სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი გაურკვეველი მიზეზების გამო, ამიტომაცაა რომ ვინმე ბატ. რუკომ შეიტანა წინადადება აეღო კონცესია „ხელსაყრელ“ პირობებში. ამის გამო გუშინ ხმოსანთა კრებას უნდა გადაწყვიტა — ხელი აეღო მაძიებელთა გამოძახების სისტემაზე, თუ გაეცა კონცესია იმ კომპანიაზე, რომელსაც წარმოადგენს ბატ. რუკო.

საკითხის ახლად დაყენების გამო გამოწვეული კამათით გამოირკვა, ჯერ ერთი, რომ ბატ. ქალაქის თავმა საკუთარი მოსაზრებით მთელი ხუთი თვით შეაჩერა ისეთი გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც, თუ აღსრულდება, ქალაქის სამმართველოს თავიდან ააცილებდა ყოველგვარ საყვედურს ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის აჩქარებით და ცალმხრივად გადაწყვეტისათვის. მართლაცდა, თუ მაისის გადაწყვეტილება დროზე აღსრულდებოდა, კონკურსი შეიძლებოდა დეკემბერში შემდგარიყო და მაშინ აუცილებელი არ იქნებოდა რათაც არ უნდა ყოფილიყო მიეღო კომპანია Société générale.

წინადადება და პირობები, რომელსაც ბატ. რუკო წარმოადგენს. მეორეც, ამ საქმის ცალმხრივმა ხუთთვიანმა წარმოებამ, რომელიც თითქმის მხოლოდ ბატ. რუკოს წინადადების განხილვას მიეძღვნა, მაინც ვერ გამოარკვია საკითხის ცოტად თუ ბევრად არსებითი მხარეები, — რამდენად სერიოზული იყო ბატ. რუკოს წინადადებანი და რამდენად ძლიერია მათში მოჩვენებითობა და სიყალბეც კი. ჩვენ ვერა და ვერ გამოვირკვიეთ, მაგალითად, რომელი Société générale იღებს თავისთავზე კონცესიას? თუ ეს პარიზული Société géné-

rale-ა, რომლის სათავეში დგანან ბბ. შნეიდერი, ჰაუსმანი და ა. შ. და რომელსაც 500 მილიონი კაპიტალი აქვს, მაშინ, თავისთავად ცხადია, ჩვენი ხმოსნები ვერავითარი განცხადებით ვერ მოიტყუებენ საუკეთესო კომპანიასა და უფრო სოლიდურ მეწარმეებს. მაგრამ აი კაზუსი: ქალაქის თავის მოხსენებაში სიტყვების Société générale-ის შემდეგ ზის სიტყვა limited, რითაც საბოლოოდ ვარწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს არა ცნობილ კომპანიასთან „Société général" არამედ რომელიღაც სხვასთან. ამასთან, ინგლისურ საზოგადოებათაგან არც ერთი არ ვიცით, რამდენადმე ცნობილი კომპანია, რომელიც ამისთანა სახელს ატარებდეს. ერთი სიტყვით, ამაში ადვილია დარწმუნება თუნდაც London Directory-ის ცნობებით. უცნაურია, იმის გარდა, რომ მოხსენებაში იმ სიტყვების შემდეგ, ვითომც Société générale (limited) ევროპაში ცნობილია, არ წერია მისამართი (le Siége sociale) საზოგადოებისა, როგორც ამისთანა საქმეებში არის მიღებული.

შემდეგ ხმოსან ბატ. ამატუნის სიტყვებიდან ჩანს, რომ მინდობილობა, რომელიც ამ გამოუცდელ საზოგადოებას მიუცია ბატ. რუკოსათვის არც თუ მართებულია — მას არ აზის ბეჭედი და ა. შ. ბატ. ქალაქის თავის სიტყვებიდან კი გამომდინარეობს, რომ ჩვენი მთავრობის აგენტს ლონდონში კარგი ამბები შეუტყობინებია პარიზულ Société générale-ის შესახებ. ყველაფერი ეს გვიბადებს აზრს, რომ საქმის აზრიანად წარმოებისას საჭირო იყო ყურადღება მიქცეოდა ამ შეუსაბამობას და გამოერკვიათ, ვისთანა გვაქვს, ან გვექნება საქმე.

იტყვიან, რასაკვირველია, რომ ეს ქალაქისათვის სულერთია, რადგან ვიდრე ვალდებულებას აიღებდეს, ქალაქი მიიღებს კომპანიის შემძლებლობას ასიათასიან უზრუნველყოფას. მაგრამ ეს აზრი სრულიად შემცდარია. დავუშვათ, რომ ბატ. რუკო, მიიღებს რა საერთო კრების გადაწყვეტილებას და დარწმუნდება რა თავის კომპანიის უარში — ხელი მოჰკიდოს ამ საქმეს, ან მის შეუძლებლობაში, — დაიწყებს გადაწყვეტილების ტარებას სხვადასხვა კაპიტალისტებში და კომპანიებში და ამით თბილისის განათებისა და წყლით მომარაგების საქმეს სახელს გაუტეხს. უეჭველია, რომ მაშინ მომავალ მეწარმეებს უფრო გაუჭირდებათ შეაგროვონ კაპიტალი, ამას კი ისეთი სუნი უდის, რომ არა ბატ. რუკო, არამედ ჩვენი საქალაქო ბიუჯეტი მოიგებს ფულებს წყლისა და გაზის უფრო გაძვირებით, ან იქნებ უფრო მეტად არსებითი გარანტიით დახარჯულ კაპიტალზე.

საერთოდ ჩვენ შევნიშნეთ, რომ მთელი ეს საქმე, ქალაქის მმარ-

თველობის მხრივ, უწარმოებიათ ამ საქმეებში სრულიად გამოუცდელ ადამიანებს და თანაც უწარმოებიათ არაჩვეულებრივი ნდობით, რაც მიამიტობას უახლოვდება. გამოუცდელობისა და საქმის უცოდინარობისას აჩქარებამ შეიძლება მეტად სერიოზულად შეარყიოს ჩვენი ქალაქის ბიუჯეტი და მომავალი. ამიტომ კეთილგონიერება მოითხოვდა, ალბათ, საქმის უფრო სერიოზულად და ყურადღებიან განხილვას და არა სასწრაფოდ, ერთპიროვნულად საკითხის დაყენებას იმ ფორმით, როგორაც იგი იდგა გუშინ.

აი ერთი მხარე ამ მნიშვნელოვანი ამბისა. მის სხვა მხარეებს ჩვენ ერთხელ კიდევ დავუბრუნდებით.

59. გაზისა და წყლის გაყვანა თფილისში

გუშინ-წინ, სამშობლოს (ოქტ. 23), მოხდა თფილისის სამოქალაქო გამგეობაში სხდომა, რომელმაც განიხილა მეტისმეტათ მძიმე და მომავლიანი საქმე, — თფილისში წყლისა და გაზის გაყვანის გაცემა. აი შემოკლებული აწერილობა ამ სხდომისა.

სხდომა საღამოს რვა საათზე გახსნა თბილისის ქალაქის თავმა, უფ. იაზონ თუმანოვმა, ორმოცდა თერთმეტი წევრის თანადასწრებით. თავდაპირველათ გამგეობის მდივანმა, უფ. ხითაროვმა წაუკითხა შეკრებილ წევრებს უფ. თუმანოვის მოხსენება, რომლიდამაც სჩანს შემდეგი:

წრეულს, მაისის 11, თფილისის გამგეობას გასაინჯველათ ჰქონებია უფ. გერსევანოვის, სტებნიცკის, ზეზემანის, პრეტიმანის და ლოიალის წინადადება, რომელთაც ერთათ ნდომებიათ გაზისა და წყლის გაყვანისთვის კამპანიის შედგენა და ქალაქთან პირობის შეკვრა. გამგეობას მაშინ რომ ეს წინადადება გაუსინჯავს, დაუწესებია კენჭის ყრით, რომ ჩვენ ამ წინადადებაზე არც უარს ვიტყვით, არც თანხმობასო, მაგრამ საქმის გასაცემლათ კი დავნიშნოთ საზოგადო ვაჭრობა, გაზეთებში გამოვაცხადოთ, იქნება სხვა მსურველებიც აღმოჩნდენო, და მაშინ ვნახოთ ვის მიეცეთ საქმე, რომელი პირობა მივიღოთ და ვის როგორ გაურიგდეთო. თანახმათ ამისა გამგეობას გადაუწყვეტია მაისის 11, რომ თფილისელ, რუსეთელ და ზოგიერთ სამზღვარს გარეთელ გაზეთებში დაებეჭდა განცხადება მსურველების გამოსაწვევლათ.

მაგრამ უფ. იაზონ თუმანოვს საჭიროთ დაუნახავს ასრულებაში არ მოეყვანა ეს გადაწყვეტილება, ამიტომ რომ იმასთან მოლაპარაკება ჰქონია უფ. რუკოს, რომელსაც წინადადება მიუცია უფ. თუმანოვისთვის, ამ საქმეს მე ავიღებ და გავაკეთებ ლონდონელი საზოგადოების Société générale (limited) სახელითო. რადგანაც ის პირობები, რომელიც წარმოუდგენია უფ. რუკოს ძლიერ სასარგებლო სჩვენებია უფ. თუმანოვს, ამ უკანასკნელს შეუჩერებია გამგეობის გადაწყვეტილების ასრულებაში მოყვანა.

უფ. რუკოს წინადადება აი რაში მდგომარეობს: ის კისრულობს იმავე ლონდონელი საზოგადოების სახელით საქმის განწყობას და დაბოლოვებას ორი წლის განმავლობაში, და ქალაქს გარანტიას როდი სთხოვს.

მაგრამ ქალაქმა ათასი ფარანი მაინც უნდა იქონიოს ქუჩების განათებლათ და თითო ფარანში წელიწადში ორი თუმანი უნდა აძლიოს კამპანიას. წყლის გაყვანისთვის ქალაქმა ეხლავე უნდა დააწესოს, რომ ორმოცდა თუთხმეტი წლის განმავლობაში იმან კამპანიას უნდა აძლიოს თორმეტ მისთვის დახარჯულ ვედროში ერთი კაპეიკი, და მცხოვრებლებმა კი თითო კაპეიკი ექვს ვედროში უნდა აძლიონ. გაზის ფასი აგრეთვე ორმოცდა თუთხმეტი წლის განმავლობაში, იქნება ოთხ მანეთ ნახევარი ათას კუბიკურ ფუტში. რაკი ქალაქი ამ პირობებს მიიღებსო, ამბობს უფ. რუკო თავის წინადადებაში, მე შევიტან ბეს ასი ათას მანეთისას, ოღონდ იმდენი ვადა კი მომეცით, რომ ამის თაობაზე ლონდონიდამ ფულები მოვითხოვოო.

რაკი ეს წინადადება მივიღე უფ. რუკოსაგანო, ამბობს შემდეგ უფ. თუმანოვის მოხსენება, მე მივწერე ერთის მხრით უფ. ვერსევანოვს, და მის ამხანაგებს, და მეორეს მხრით უფ. ბოგაჩოვს (შვაბენის, მოორის და ფონ-დეზენის წარმომადგენელს) დათანხმდებიან თუ არა ისინი ახალ პირობებზე, რომ ქალაქის გამგეობამ ხელ-ახლავ გასინჯოს ეს საქმე. ამის პასუხათ ორივე მხარემ ახალი პირობები წარმოიდგინეთ, ფასის დაკლებით და სხვა პირობების გაადვილებით.

ამ ახალი წინადადების მიღების შემდეგ უფ. გერსევანოვის და ამხ. უფ. ბოგაჩოვის და უფ. რუკოს პირობების შედარება გვიჩვენებს:

1) გერსევანოვი და ამხ. თხოულობს ორმოცდა ცხრაეტი წლის პრივილეგიას, ბეთ წარმოვადგენო ორი ათას ხუთას თუმანს, წყლის ფასათ ნიშნავს ვედროში — ქალაქისთვის მეათედ კაპეიკს და მცხოვრებლებისთვის — მეხუთედს, და ქალაქის მხრით ითხოვს თორმეტი ათას რვაას თუმნის გარანტიას. გაზის გაყვანიდამ კი ეს ამხანაგობა სრულიად ხელს იღებს, და არც პირობას იძლევა, რომ მტკვარს გაღმა, კუკიაში, ავლაბარში და სხვ. წყალს გაიყვანს დანიშნულ ვადაზე. — ოთხ წელიწადში.

2) შვაბენის, მოორის და ფონ-დეზენის წარმომადგენელი, უფ. ბოგაჩოვი ვადათ თხოულობს: პრივილეგიისთვის ორმოცდა ცხრა წელიწადს, საქმის გამართვისთვის — ორს წელიწადს, ბეთ შემოაქვს თორმეტი ათას ხუთასი თუმანი, ფასს ნიშნავს ვედროში: ქალაქისთვის — მერვედ კაპეიკს და მცხოვრებლებისთვის — მეხუთედს.

გარანტიისთვის თხოულობს ხუთი ათას ასს თუმანს. გაზისთვის თხოულობს ფარანზე ორს თუმანს, და თუ ორივე საქმე ერთათ მიეცა, მაშინ ცხრამეტ მანეთს და ნახევარს.

3) რუკო თხოულობს ვადათ: პრივილეგიისათვის ორმოცდა თუთხმეტ წელიწადს, საქმის დაბოლოვებისთვის — ორ წელიწადს, ბეთ შემოაქვს ათი ათასი თუმანი და ვედროს ფასათ ნიშნავს ქალაქისთვის — მეთორმეტედ კაპეიკს და მცხოვრებლებისთვის — მეექვსედს. გარანტიაზე ხელს იღებს. გაზისთვის თხოულობს წელიწადში ორ თუმანს ფარანზე, იმ პირობით, რომ ქალაქმა ათასი ფანარი მაინც აანთოს.

რაკი ეს პირობები შევადარეო, ამბობს უფ. თუმანოვის მოხსენება, მე დავინახე, რომ ურიგო არ იქნება გაზეთებით გამოწვევას თავი დავანებოთ და ეხლავე უფ. რუკოს წინადადება გავსინჯოთ და მივიღოთო. ამ მიზეზით გთხოვთ განიხილოთ ეს წინადადება და გადაწყვიტოთ — მივიღოთ ის ეხლავე თუ არა, ან გამოვაცხადოთ თუ არა გაზეთებში მსურველების გამოწვევა?

ამ მოხსენების წაკითხვის შემდეგ უფ. იაზონ თუმანოვმა (თავმჯდომარემ) საზოგადოებას მოახსენა, რომ ესეს არის უფ. ბოგაჩოვმა დაბეჭდილი კონვერტი წარმომიდგინა, რომლის წაკითხვას თხოულობს საზოგადოების წინაო, და ნებას მომცემთ თუ არა, გავხსნა ეს კონვერტი და წავაკითხვინოვო. საზოგადოებამ ამის ნება მისცა თავმჯდომარეს და უფ. ხითაროვმა წაიკითხა ბოგაჩოვის ახალი წინადადება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ რაკი ჩემმა მრწმუნებლებმა ფასი ჩამოაკლეს და ზოგი ერთი თავიანთი პირობები გააადვილესო, ჩვენი წინადადება ქალაქისთვის უფრო სასარგებლოა, ვინემ უფ. რუკოს პირობებიო, სჯობია ეს საქმე ჩვენ მოგვეცეს, ჩვენ რუსები ვართო (შვაბენი, მოორი და ფონ-დეზენი!) და რუკოს კამპანია კი უცხო-ქვეყნელიო და სხვ. და სხვ.

ამ ქალალდის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ თავისი საკუთარი შეპედულების წარმოთქმა მოინდომა. ამ აზრით იმან დაიწყო ჭეშმარიტების დამტკიცება, რომ წყალი ქალაქისთვის საჭიროა, მცენარეებს ახარებს, მცხოვრებლების წყურვილს ჰკლავსო, და სხვ., ამისთვის უნდა მივცეთ ეს საქმე რუკოს კამპანიასო, და რა კი მივცემთ სიამაყით შეგვეძლება უთხრათ ქალაქს — ჩვენ მოგეცით თქვენ ახალი ცხოვრებაო, საქმე გაგიწყვეთ და ცხოვრება გაგიადვილეთო. გაზეთებით მსურველების გამოწვევა იქნება უნაყოფოთ დარჩენილიო, ან კი რა საჭიროა, ჩვენ შევკრიბეთ ცნობები, და მმართველობის აგენტმა ლონდონიდამ შეგვატყობინა, რომ პარიეელი კამპანია

Société générale ძლიერ სახელგანთქმული და შეძლებულიაო, მაშასადამე ჩვენ ეს საქმე მარტო მატერიალური მხრით კი არა, ზნეობითი მხრითაც გასინჯული გვაქვს და სხვ. ეხლა კი, რაკი ესეები მოგახსენეთ, ათი მინუტის ანტრაქტი დამინიშნავს, მოიფიქრეთ და მერმე გადაწყვიტეთ საქმეო.

ათი მინუტის „ანტრაქტის“ შემდეგ თავმჯდომარემ შემდეგი კითხვები წარმოუდგინა საზოგადოებას: 1) დავტოვოთ თუ არა თავის ძალაში მაისის გადაწყვეტილება (გაზეთების მსურველების გამოწვევა) და მაშასადამე უარი გამოვაცხადოთ თუ არა უფ. რუკოს წინადადებაზე? 2) მივიღოთ თუ არა ეს უკანასკნელი წინადადება, და თუ მივიღოთ, რა და რა ცვლილებებით?

ამნაირათ დაყენებულ კითხვაზე კრებამ აი როგორ ჰყარა კენჭი: ოცდა ხუთმა კენჭმა ისურვა გაზეთებით გამოწვევა მსურველებისა, ოცდა ექვსმა კი — გამოუცხადებლათ შედგომა უფ. რუკოს წინადადების განხილვისა.

მაშასადამე საქმე იმითი გადაწყდა, რომ მარტო უფ. რუკოს წინადადება უნდა განიხილოს გამგებლობამ.

აი, შემოკლებული აწერილობა იმ სხდომისა, რომელზედაც ეს საქმე გადაწყდა. შემდეგ ნომერში „დროება“ დააფასებს ამ საქმის წაყვანას და თავის შეხედულებას გამოთქვამს ამ საქმის წაყვანაზე.

ᲪᲝ. ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲥᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲝᲒᲐᲖᲔ

ეს ერთი კვირეა, რაც თბილისის საზოგადოება გაზისა და წყლის შეტზე არაფერზე ჰფიქრობს, სჯის და დაობს. კარგ პირობებზე გასცა ეს საქმე ქალაქმა, თუ ცუდზე, გარიგდება თუ დაიშლება საქმე, გამოსადგია თუ არა მისი პირობები კამპანიისათვის,—ამ კითხვებზე თავს იმტვრევენ დიდნი და პატარანი, სახლში და ქუჩაზე, საქმიანობის თუ უსაქმობის დროს. დიდად სასიამოვნოა, რომ საზოგადო საქმე, რომელიც მთელ ქალაქს შეეხება, ერთხელ მაინც სძრავს მთელ საზოგადოებას. და მის ყურადღებას იქცევს თავის თავზე. ამისთანა გაფხიზლებულ გამოკვლევას და ცნობის სურვილს ჩვენ პირველჯერ ვამჩნევთ აქაურ საზგადოებას, და ღმერთმა ჰქნას, რომ სხვა დროსაც საზოგადოება ხშირათ აქცევდეს თავის ყურადღებას ჩვენს საერო და საზოგადო საქმეებზე.

საქმე დღეს აი როგორ მდგომარეობაშია. სხვა და სხვა მიზეზების გამო უფ. თბილისის თავმჯდომარეს, იაზონ თუმანოვს, ასრულებაში არ მოუყვანია საქალაქო გამგეობის გადაწყვეტილება, შემდგარი წარსული მაისის თერთმეტს, რომლის ძალით ქალაქს გაზეთებში დაბეჭდილი განცხადებებით უნდა გამოეწვია მსურველები ჩვენს ქალაქში გაზისა და წყლის გაყვანისა. ეს დაგვიანება, სხვათა შორის, იმიტომაც მომხდარა, რომ უფ. რუკოს ქალაქის გამგეობისთვის წინადადება მიუცია, მე გიშოვნით კამპანიას, რომელიც უკეთეს პირობებზე იკისრებს ამ საქმის ასრულებასო. ამ წინადადებების განხილვა უკისრია უფ. თუმანოვს, და რადგანც მისი აზრით ეს წინადადება დიახ სასარგებლო ყოფილა ქალაქისთვის, იმას, თავისი საკუთარი მოაზრებით, შეუჩერებია გადაწყვეტილების ასრულებაში მოყვანა და სხვა მსურველების გამოწვევა. ეჰვი არ არის, ქალაქის თავს კ ა ნ ო ნ ი ე რ ი უ ფ ლ ე ბ ა კი ჰქონდა ამგვარათ დაეგვიანებია გადაწყვეტილების ასრულებაში მოყვანა, მაგრამ საჭირო იყო თუ არა ამ „კანონიერების " ხმარება, და სასარგებლო იყო თუ სავნებელი მაინც რუკოს პირობების მიღება—ამას მომავალი გვიჩვენებს. აქ კი ეხლავ შეიძლება ვთქვათ, გადაწყვეტით, რომ ამგვარი

მძიმე და სპეციალური საქმის განხილვის და გადაწყვეტის დროს, როგორც უფ. ქალაქის თავი, ისე მთელი გამგეობაც აჩქარებით მოიქცენ და საკმაო წინდახედულება არ ისმარეს, რომ საქმე გონიერათ და ხეირიანათ დაებოლოებიათ. მთელმა თბილისმა იცის, რომ არც ერთ წევრს გამგეობისას ჯეროვანი ცოდნა არა აქვს არც იმ ტეხნიკურ ნაწილში რომელიც გაზის და წყლის გაყვანას შეეხება, არც ფინანსებისა და კომპანიების საქმეებში. ეს საძრახისი და სათაკილო როდია: შეიძლება რომ ეს საგნები არ იცოდეს კაცმა და მაინც ძლიერ გონიერი, პატიოსანი და სასარგებლო კაცი იყოს თავის ქალაქისა და ქვეყნისათვის. მაგრამ გონიერი კაცები რომ იმისთანა საქმეს შეემთხვევიან, რომელსაც არ იცნობენ, ან ვერ იგებენ, იმას მაინც ცდილობენ, რომ მცოდნე კაცები მოიწვიონ, მათი დახმარებით საქმე გაიგონ, ყველა მისი დაბრკოლებები გაიცნონ, და ნათლათ დაინახონ როგორც მისი ავი ისე კარგიც. ამგვარათ წაყვანილი საქმე—სუფთა, წმინდა და სინდისიანი საქმე იქნება, მაშინ მის წამყვანლებზე ვერც იჭვს შემოიტანს ვერავინ, ვერც ბრალის დადებას გაბედავს, აქაო და საქმე წააფუჩეჩესო, ვერც ძრახვას და ლანძღვას დაიწყებს—უმეცრულათ და გაუგებრათ წაიყვანეს ამსიმძიმე საქმეო,—ვერც ერთსა და ვერც მეორეს.

საუბედუროთ, ჩვენში თითქმის ყველას ეთაკილება გამოტყდეს ესა და ეს სპეციალური ცოდნა არა მაქვსო: ყველას უნდა, რომ მისი თავი დანარჩენ ქვეყანას ყოვლისმცოდნე მეცნიერათ მიაჩნდეს, და რაგინდ მძიმე საქმე ჩაუვარდესთ იმათ ხელში, თავს მოიკლავენ, და გამოტყდომას კი არ იკადრებენ—ეს საქმე არ გაგვეგებაო, რჩევა მოგვეცით როგორ და რა ნაირათ წავიყვანოთო, სად ვიკითხოთ, ვის რა უთხრათო და სხვა. და რადგანც ამგვარ ახირებულ კაცებს თავიანთი თავის იჭვი აქვთ, რადგანც ისინი დარწმუნებული არიან, რომ მათ მოქმედებაში ან შეცდომა, ან უმეცრება იქნება გარეული, ისინი ყველაზე უფრო იმას ცდილობენ, რომ საქმე გაუმჟღავნებლთ, ჩუმათ, შინაურულათ, თავისიანებს შუა, გაარიგონ, ისე რომ სხვამ არა გაიგოს რა მისი, თუნდ მერმე ხლაფოთის და ალიაქოთის ატეხის იმედიც და რწმუნებაც ჰქონდეთ...

საკვირველი სანახავი იყო იმ დღეს ჩვენი გამგეობის სხდომა, რომელიც ამ გაზისა და წყლის საქმეს სწყვეტდა. ჯერ არავის მტკიცეთ და საფუძვლიანათ არ გაეგო—ვისთან, რომელ კომპანიასთან, რა

გვარ კაცებთან და რანაირი კაცების შუამდგომლობით იკავებდნენ საქმეს, და ყველანი კი იმაზე სჯიდენ, აი ესა და ეს წვრილმანი მუხ-ლი და პირობა მივიღოთ თუ არაო. ჯერ არავინ იცოდა პარიეელ კამ-პანიასთან იკავებს ქალაქი საქმეს, თუ ლონდონელთან, პარიეელ კამპანიაზე მოიწერა კარგი ცნობები რუსეთის აგენტმა, თუ ლონ-დონელზე, აქვს ნამდვილი მინდობილება უფ. რუკოს რომელიმე კამ-პანიისა თუ არა, და იმ საგანზე კი ხანგრძლივ ბაასობდენ, რა მდგომა-რეობაში უნდა დაუბრუნოს ქალაქს კამპანიამ ორმოცდათოთხმეტი წლის შემდეგ თავისი გაზის და წყლის გაყვანის გაწყობილება, ჩარ-ხები, შენობები და მიწები! კაცს ხმა არ ამოუღია იმ საგნებზე, თუ რა და რა სიტყვებით გამოსახულია უფ. რუკოს მინდობილობა, რა-მოდენათ პასუხისმგებელია კამპანია უფ. რუკოს სიტყვებში და და-პირებებში, რამდენი დღის განმავლობაში უნდა შემოიტანოს უფ. რუკომ დაპირებული ბე, რა სახით და როდის უნდა მიეცეს იმას კანტრაქტის პირი, ბეს შემოტანის უწინ, თუ შემდეგ, რა ქაღალდი უნდა ჰქონდეს იმას ხელში ბეს შემოტანამდი და სხვ. და სხვ. და მთელი საღამო კი მოანდომეს იმ კითხვის განხილვას, თუ რამდენათ სასარგებლო იქნება მცენარეებისათვის და პირუტყვებისათვის ქა-ლაქში წყლის გაყვანა და სხვ. — ყველა ეს შენიშვნები გვიმტკიცე-ბენ, რომ მთელი საქმის წაყვანა გამოუცდელი პირების ხელში ყო-ფილა, თორემ, აბა უმთავრესი საგნების განხილვამდი — უმნიშვნე-ლო წვრილმან მუხლებზე ლაპარაკი და დავა რა ნაირათ ატყდებოდა.

ჩვენ სრულიადაც არ გვინდა კვალში ჩაუდგეთ საქალაქო გამგე-ობას და მისი შეცდომები და უსაფუძვლოება გამოვააშკარავოთ. ყოველი დასაწყისი ძნელია, და შეუცთომელი მარტო ის არის დედა-მიწის პირზე, ვინც არაფერს აკეთებს მაგრამ ყოველ შეცდო-მიდამ ღირსეული დასკვნა და მაგალითი უნდა გამოიყვანოს ხეი-რიანმა კაცმა. საქალაქო გამგეობა საზოგადოებრივი საქმეა; დიდი ცდით და მოთმენით ღირსებია ის თბილისს, და სხვა ჩვენი ქალაქე-ბი იმ დღეს მოუთმენლათ შენატრიან, როცა საზოგადოებრივი გამ-გეობა იმათაც მიენიჭებათ. მაშასადამე, თბილისელი გამგეობა ნიადაგ იმის ცდაში უნდა იყოს, რომ თავისი შეცდომით ან უხეირო მოქმე-დებით იმ პირებს გული არ გაუხაროს, რომელთაც საზოგადოებრი-ვი საქმის წაყვანის არა სწამთ რა.

ამ მდგომარეობაში მეტის მეტათ საჭიროა ყოველი საქმის ნათ-

ლათ და გონიერათ წაყვანა, შეცდომის მონანება, შემდეგისთვის თავის-შეკავება და სიფრთხილე, რომ სხვა დროსაც არავინ გაებას იმისთანა ახირებულ მახეში, რომელშიაც ეხლა თბილისელი საქალაქო გამგეობაა ჩაბმული. აი, ამ საჭიროების მიხედვით „დროებამ“ დააპირა ღონისდაგვარად დახმარებოდა თბილისელ საზოგადოებას და თვით გამგეობასაც, ამ საქმის ზოგიერთი გაუგებარი მხარეების განათებით, მისი გარემოებების აწერით და ახალი ცნობების შეკრებით იმის თაობაზე, თუ როგორ დაწყებულა და გაწყობილა ეს ჩვენი გაზისა და წყლის საქმე.

---

61. დასაწყისი დასასრულისა

თბილისი, 25 ოქტომბერს 1873 წ.

ერთს რუსეთელ ადგილ-მამულის მეპატრონეს, უფ. მალიავინს ამ მოკლე ხანში უყიდნია კახეთში ჩინებული მამული თ. ზაალ ჭავ-ჭავაძისა. ამ მამულში, სხვა და სხვა სამწუხარო და სასტიკ გარემოების გამოისობით, იმას სამი ათასი თუმანი მიუცია, თუმც კახელების სიტყვით მამული ბევრათ უფრო მეტათ ღირს.

ამავე მეპატრონეს სხვა კახელი მამულის-მეპატრონეებიც ბევრი ეხვეწება თურმე, იყიდე ჩვენი მამულიც ან მყიდველი ვინმე გვიშოვნე თქვენ რუსეთელ ნაცნობებშიო.

ჩვენ შევიტყეთ, რომ იმას უთქვამს მსურველებს ბევრს ვიშოვიო... და ეს ადვილი დასაჯერებელიც არის, ამიტომ რომ კახეთში მამულის ხელში ჩაგდება დასაწუნარი საქმე როდია.

გამოჩენილს რუსეთელ პუბლიცისტს, მიხეილ კატკოვს, რომლის აზრები და მიმართულება საკმაოთ — საუბედუროთ — ნაცნობია ჩვენი მკითხველებისთვის, ამ მოკლე ხანში უყიდია დიდ-ძალი მიწა-წყალი შავი-ზღვის პირათ, სოხუმის მახლობლათ. ისე რომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როდესმე ეს გაზეთების არენდატორი, მამულების მყიდველი და აზრების გამყიდველი, ნამდვილ მეზობლობას გაგვიწევს... თავისებურათ.

ამ ორ ამბავს ჩვენ არაფერს დაუმატებთ.

---

62. თეატრი

წარმომიდგენია რა სკანდალი გამოვიდოდა. გაზეთების „დროებისა“[12] და „მშაკის“[68] პოლემიკური წესების მიბაძვით ვინმეს ოფენბახისთვის შემდეგი დეპეშა რომ გაეგზავნა: „პარიზი. თეატრ Iaité-ს დირექტორს, ოფენბახს. Place des Arts-et-Métiers № 3. ბბ. პროტასოვმა და იაბლოჩკინმა რაღაც უაზრობა შეთითხნეს, რომელსაც ბატ. ტრუფიმ თავისი „მუსიკა“ მიუყენა. არც ერთი აპლოდისმენტი. საშინელი მოწყენილობაა. ყველაფერს ამას ჰქვია „ყაჩაღები“, ოპერა-ბუფი, სიტყვები მეილაკისა და ალევისა, მუსიკა ოფენბახისა“.

დარწმუნებული ვარ, რომ მესამე დღესვე თბილისში მოვიდოდა შემდეგნაირი დეპეშა: „მაცნობეთ რომელიმე ვექილის მისამართი. გამოვგზავნი რწმუნებას დიფამაციისა და ყალბი ხელის მოწერის გაკეთებისათვის. პასუხი გადახდილია. ოფენბახი“.

აი ყველაფერი, რაც შეიძლება ითქვას ჩვენს სცენაზე დადგმული „ყაჩაღების“ შესახებ. ამას დავურთოთ ის, რომ მიუხედავათ ჩვენი დიდი სურვილისა, ვერ გავიგეთ ამ ოპერეტის ვერც ერთი მოტივი, რომელიც პარიზში სამჯერ მაინც მოგვისმენია. გადავიდეთ შემსრულებლებზე:

ქ-ნნ კოლოსოვისა და სვეტლანოვის, ბბ. პრავდინისა და სხვების სიმღერა და თამაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ყოველგვარი გაკიცხვის დაბლა დგას. მათ ყველაფერი გააკეთეს, ადამიანისათვის შესაძლო, რომ პიესა ვერ გაეგოთ და გაეუხამსოებიათ უაზრო და უსიცოცხლო შესრულებით, თანაც თითეულმა მათგანმა ხელი წაავლო როლს, რომელიც მის ყველა შესაძლებლობას ეწინააღმდეგებოდა. პიესაში არაა არცერთი როლი, უსიტყვოც კი, რომელსაც არ ჰქონდეს სერიოზული მნიშვნელობა და საკუთარი სახე. ამ როლებიდან ერთი, ყველაზე მთავარი, კაპიტნისა, გააოხრა ბატ. ჟუკოვსკიმ. მეორე, იეზუიტ-მასწავლებლისა, სრულიად ვერ გაიგო ბატ-

ვორონკოვსკიმ; მესამე — გრენადის პრინცესისა, ქ-მა ბურდინმა წარმოსახა რაღაც თეკლეს სახით. კურტიზანი ქალები მოახლე ქალებად იქცნენ. არა და გააზრებული შესრულებით ყველა ეს როლი შეუდარებლად კარგია, სიცოცხლით და სარკაზმით აღსავსე და ხეირიანი არტისტების ხელში ტიპებად გარდიქმნებიან.

საქმის შეგნებით ითამაშა მხოლოდ ერთმა ბ-მა სოკოლოვმა. მაგრამ მისი ქებაც ისევე მოსაწყენია, როგორც დანარჩენ „არტისტთა“ გაკიცხვა — ყველაფერი ეს ჩვეულებად იქცა.

---

63. ახირებული ამბავი

ჩვენი კორესპონდენტები გვწერენ იმერეთიდამ, რომ ამ მოკლე ხანში იქ ერთი მეტის მეტათ ახირებული ამბავი მომხდარა. თ. აბაშიძეებს შეუწირავთ — მას ჟამსა შინა — რამდენიმე მოსახლე გლეხი კაცის მონასტრისთვის. როდის ყოფილა ეს ამბავი, მართლა შეუწირავთ იმათ ეს გლეხები, თუ არა, მართლა ეს გლეხები ყოფილა, თუ სხვები — ეს არავინ იცის თურმე. მაგრამ ეხლა, საეკლესიო მამულების სახაზინოთ გადაცემის დროს, აბაშიძეებს განუზრახავთ ამ გლეხების დაბრუნება და დღეს მთელი ზემო-იმერეთი ამ ამბავს მისჩერებია: დაუბრუნდება აბაშიძეებს როდინობის კვირაში შეწირული და დღეს გამოწირული გლეხები, თუ არა, ხელახლავ დაარსდება ამ გლეხებისთვის ძველებური ბატონყმობა თუ არა, და შეიძლება, თუ არა, ძველთა გათავებული და დაბოლოვებული საქმის ხელ-ახლავ აღდგენა და სხვა ნაირათ გადაწყვეტა?

ჩვენ არ ვიცით ამ საქმის ნამდვილი გარემოებები და, მართალი რომ ვთქვათ, არ გვესმის რა ნაირათ შეიძლებოდა ამგვარი უსამართლობის მოხდენა. ეს ისეთი უბრალო საქმე როდია, რომლის გადაწყვეტა — ბრუნდე იყოს, თუნდ სწორი — მარტო ორიოდე მომჩივარ პირს შეეხება. ამ საქმეზე მიჩერებულია, როგორც წელან ვთქვით, მთელი ზემო-იმერეთის ყურადღება. მაშ რანაირათ შეიძლება, რომ ამისთანა მძიმე საქმე ასე ალა-ალათ გადაწყვეტილიყო, ან ამგვარი უწესობა მომხდარიყო, — ეს, ვიმეორებთ, ჩვენ არ გვესმის.

ადვილი საქმე როდია მონებათ გადაქცევა იმათი, ვინც რამდენიმე წელიწადის და იქნება საუკუნის განმავლობაში თავისუფალი იყო: ამას ყოველთვის მღელვარება და ვაი-ვაგლახი მოსდევს. უფრო ძნელი საქმეა იმისთანა მდგომარეობაში მოხდენა ამგვარი უწესოებისა, რომელშიაც ეს აბაშიძეების საქმე იმყოფება. აბაშიძეებს რომ ეხლა ის გლეხები მართლა დაუბრუნდეს, რამდენს ჩვენებურს მეპატრონეებს შეეძლება მაგნაირივე საჩივრის განცხადება? ჩვენთაგანი ვინ იქნება ისეთი, რომლის წინაპარს ცოტაოდენი რამ მაინც არ შეეწიროს რომელიმე ეკლესიისთვის, და რა კანონის ან რომელი სი-

ნიდისის ძალით შესაძლებელია ამ ძველათ შენაწირავის გამოწირვა და დაბრუნება?

უეჭველია, რომ თუ აბაშიძეებს კმაყოფილება მიეცა, ბევრი სხვა მებატონეები მოითხოვენ შენაწირავი მამულების დაბრუნებას, და თუ ასე ავყვებით, თუ ყველას კმაყოფილება მიეცა, მალე ჩვენი ქვეყანა იმავე მდგომარეობაში ჩავარდება, როგორშიაც ის ასი და ორასი წლის წინეთ იყო. თუ „ძ ვ ე ლ ე ბ უ რ ი“ ანგარიშები გავიხსენეთ, ვინ იცის რა და რეები არ მოგვაგონდება. ჩვენ გავიხსენებთ, მაგალითად, რომ მაშინდელ დროში გლეხ-კაცობას ამდენი გარდასახადი და ვალდებულება, ამდენი შრომა და ეაივაგლახი როდი აწვა კისერზე, რომ მებატონეებს მაშინ ძლიერ სასტიკი და მძიმე ვალდებულება და მოვალეობა ჰქონდათ, რომ ჩვენმა ხალხმა ამდენი განსაცდელი იმიტომ კი არ გასწია, რომ ეხლა მისი ნაჭირნახულევით უსაქმო და უსარგებლო მჭამლები უდარდელ ქეიფის გაწევაში ფულებს უთავბოლოთ და უანგარიშოთ ფლანგავდენ და სივ. და სხვ. და სხვ. მაგრამ ამაებსაც რომ თავი დავანებოთ, და გულწრფელათ ძველ წესებს და ჩვეულებებს დავადგეთ, მათ სრულ აღდგინებაზე დავთანხმდეთ, მაშინაც აი რა გარემოებას შევხვდებით. ვინც რომელიმე გადაგდებულ წესს აახლებს და აღადგენს, იმან იქიდამ თავისთვის მარტო უპირატესობა კი არა, მოვალეობაც და პასუხისგებაც უნდა მიიღოს. ვინც თავის უფლებას აფუძნებს ძველ სამართალზე და წესზე, იმან ამ ძველი წესის და სამართლის მოვალეობა და პასუხისგებლობაც უნდა მიიღოს. მაშ გავიხსენოთ, ამას შემდეგ, რა პასუხისგებლობა და სასჯელი ელოდა, ძველი წესით. იმას, ვინც შენაწირავს და შენაფიცავს უარს-ჰყოფდა, ვინც ეკლესიას რასმე აკლებდა ან ავნებდა, ვინც სიტყვას და პირობას სტეხდა; და თუ აბაშიძეები ან გახურებულ შანთს ათ ნაბიჯზე გაარბენენ ხელის დაუწველათ, ან მდუღარე წყლიდამ ჯვარს ამოიღებენ, ან ხელს მოიჭრიან, ან მიწაში ჩაიფლებიან, — იყოს ნება მათი, დაუბრუნდეთ მათ მათი შენაწირავი და გამონაწირი გლეხები!

ნუ თუ ამისთვის ვცხოვრობდით ჩვენ ამ საუკუნის განმავლობაში, ნუ თუ ამისთვის ავიტანეთ ყოველგვარი გასაჭირი, რომ ჩვენი ძველი ცხოვრებიდამ ამ ნაირი სამწუხარო და ხეპრული ჩვეულებები დაგვბრუნებოდა?

---

64. მშვიდობით, მშვიდობით!

ხვალ-ზეგ მე ხელახლათ ვტოვებ „დროების“[12] ნიადაგი თანამშრომლობის უმადურ და მომბეზრებელ ღვაწლს. მკითხველს თავს როდიღა მოაწყენს ჩემი ნაწერის კითხვა, და მსმენელს — ჩემ პიროვნებაზე, ნაწერზე და ხასიათზე სჯის სმენა. სხვა, უფრო ახალგაზრდა და გულლმობიერი მწერლები ახალ საგნებზე და მოვლენებზე წერა-ბეჭდვას და ბაასს გამართვენ, და ყველაფერს, რაც კი აღაშფოთა ან შეარყია ჩემმა ნაწერმა, მიყრუების და დავიწყების მალამო წაეცხება...

როგორც მკვდრისთვის, ჩემთვისაც დადგება ჯერ მოსვენებული და პირუთვნელი სჯის, და შემდეგ — მალე, ძლიერ მალე, — სრული მივიწყების დრო. დაღალული, დაქანცული, ილაჯ-გადაწყვეტილი ვტოვებ მე ჩვენი მწერლობის ასპარეზს და ჩვენი სამშობლოს ჰაერს. სრული ბედნიერებით ვეთხოვები ყველას. ვისაც ვძულვარ ან უყვარვარ. ვესალმები ყველას, ვინც მებრალება ან მიყვარს, და მტერ-მეგობარს ნეტარებით ვეუბნები — „მშვიდობით, მშვიდობით!“

შავი-ზღვის ზამთრის ქარიშხალი. ევროპის აღელვებული ცხოვრება. ახალი წრე, ძველი მეგობრები მეც მალე დამავიწყებინებენ აქაური უთავბოლო ბრძოლისა და ყაყანის დაღალულობას. და შორიდამ თქვენი შესაფერი სიმცირით მეჩვენებით თქვენ, ჩემო ნამცეცა მტრებო, ჩემო პაწაწინა წინააღმდეგნო. თქვენი ჭიანჭველის და ობობის ტვინით დაგებული მახეებით, თქვენი ჩემი ბეზღობით და ენატანტალით. მშვიდობით, მშვიდობით!

იქ, ჩემს მოსვენებულ ოთახში, აღმტაცი ცხოვრებით და პატიოსანი ბრძოლით გართული, მე ხანდისხან უსიამოვნო სიზმარივით მოგიგონებთ თქვენ ყველას, ვინც — ხეირიანი და დაუზოგავი ბრძოლაში გამოსვლის მაგიერათ—ხმარობდით უსუსური ცილისწამების იარაღს, ვინც გულწრფელი ბრალისდადების წინააღმდეგ დედაბრულ შეწამებას ხელს ავლებდით, ვინც ვერ ბედავდით თქვენი რწმენების, საქმის, მიზნის და მოქმედების პირდაპირ, მამაცურ დაცვას, და პასუხისგაცემის მაგიერ იმ ტალახით გათქერა მომინდომეთ,

რომელშიაც კისრამდი ჩაფლული იყავით, ხართ და იქნებით უკუნი უკუნისამდე. იქ, ვიმეორებ, გავიხსენებ თქვენს უძლურ გამწარებას, თქვენს საბრალო მახეებს, და გულდამშვიდებულ შენდობას და მიტევებას გამოვატან მაშინ თქვენ ყველასათვის დასავლეთის მშვიდობიან და ნათელ ნიავს...

იქ მხიარული კისკისით მოვიგონებ მე თქვენს მოუხერხებელ და სუსტ წინააღმდეგობას, თქვენს გამოცრუებულ ბეზღობას, თქვენს გამოფშუტებულ ბრძენობას, და ნიადაგ სასიქადულოთ ჩემ გულში იმ გრძნობას შევინახავ, რომ — სხვა თუ არაფერი — ერთი მარჯვე და მწარე წკიპარტი მაინც ვკარი თქვენს ბრძნულათ ჩამოგრძელებულს ცხვირს, ერთი ბასრი და მჭრელი სადგისი მაინც ვჩხვლიტე თქვენს ბრძნულათ გაბერილს თავმოყვარეობას. „ტყვილათ ხომ მაინც არ ჩაივლის ამ გაბერილი ბრძნების შემუსვრა", ვიფიქრებ მე მაშინ, და ამ გრძნობით ადვილათ დავივიწყებ ყოველს, „რაც ვსვი სიმწარე ეკლიანს გზაზე მწერლისა!"

იქ სხვა, უფრო გონიერი და მძლავრი, უფრო პატიოსანი და მომავლიანი ჯიბრის ამოყრა მელის თქვენზე. იქ ვხახავ მე გონიერს და პატიოსანს ახალგაზრდობას, რომელსაც ჯერ ჩვენი ცხოვრების და უსუსურობის ჩირქი არ მოდებია, რომელსაც გულში მხურვალე გრძნობა უღვივის, და რომელიც არ შეჩვევია სისაძაგლესთან შერიგებას და პიროვნული მიზნის თაყვანისცემას. ამ ახალგაზრდობას, რომელსაც ვერ მოიყიდის ვერც ბეზღობა და ვერც სარგებლობა, რომელსაც ვერ მოატყუებს ვერც ბრძნული სახე, ვერც ტკბილი სიტყვები, და რომელიც სჯის მარტო ს ა ქ მ ე ს, მაგალითს, შრომას, მე ორნაირ სურათს მივუთითებ. და რადგანაც მე ჩვეულებათ მაქვს წინათვე ვაჩვენო მოწინააღმდეგეს ჩემი იარაღი და განზრახვა, მე აქვე ვიტყვი, რა ნაირი იქნება ეს ჯიბრის ამოყრა და რას უნდა მოელოდენ ჩვენი წინააღმდეგები. ვნახოთ, აბა, შეეძლებათ იმათ ამ იარაღის თავიდამ აცილება, თუ არა.

ის ახალგაზდობა სცხოვრობს ისეთ ადგილს, სადაც ძლიერ ხშირია პატიოსანი მოქმედების და გონიერი მოღვაწეობის მაგალითი. იმას გარშემო ათასობით და ათიათასობით ახვევია იმ თავგამომეტებული და პატიოსანი შრომის და მოქმედი-პირების მაგალითები, რომლითაც აყვავებულა და ხეირიანობს სამზღვარსგარეთული საზოგადოებრივი ცხოვრება. დაუღალავი მშრომელების და თავგანწირული მოქმედების მნახველ ახალგაზრდობას, რასაკვირველია, ძლიერ ადვილათ შეუძლია გაიგოს, რომ შესაძლებელია კაცისთვის პიროვანი მიზნის უქონლობა, საზოგადო საქმისთვის გულმხურვა-

ლეთ მოქმედება, საერო და საქვეყნო სარგებლობისთვის გამწარებულათ ბრძოლა... ამ ახალგაზდობას თვალ-წინ ნიადაგ იმისი დამტკიცება უდგია, რომ ყოველი ხეირიანი კაცი საერთო და საყოველთაო საქმეს უსათუოთ და ყოველთვის თავის კერძო სარგებლობაზე უფრო მაღლა უნდა სთვლიდეს, და ნიადაგ ამის შესაფერ უნდა მოქმედებდეს. ამასთანავე იმან კარგათ იცის, იმავე მაგალითებიდამ, რომ კაცი თავის კერძო ცხოვრებას, თავის მოქმედებას და სხვებთან დამოკიდებულებას ნიადაგ თავის რწმუნებასთან და აზრთან უნდა ათანხმებდეს, რომ „სიტყვა" და „საქმე", აზრი და მოქმედება ერთმანეთს არ ორპირობდენ და არ ეწინააღმდეგებოდენ.

აი, ამ ახალგაზდობას სათითაოთ მიუთითებ მე იქაური ხეირიანი ცხოვრების მაგალითებს, და ვეტყვი — ხომ ხედავთ, როგორი ხასიათისაა გონიერი და პატიოსანი კაცის მოქმედება, რა უნდა იყოს მისი მიზანი, რაგვარი უნდა იქნეს მისი ცხოვრება და ღვაწლი? და როცა ეს ახალგაზდობა კარგა ლაზათიანათ გაიხსენებს ი ქ ა უ რ ი ცხოვრების და იქაური ხასიათების ჩინებულ სურათს, მე მაშინვე შემდეგს სურათს დაუხატავ აქაური, ჩვენებური ცხოვრებისას.

ჩვენში, ვეტყვი მე, ვითომ-განათლებული კაცები, ვითომ-ახალგაზდა პირები სულ სხვანაირ გზას და მოქმედებას ადგიან. იმათ ან არასოდეს არ ჰქონიათ საზოგადოებრივი გრძნობა და საზოგადო სიკეთისთვის მსახურების სურვილი, ან, თუ ჰქონიათ, დიდი ხანია რაც დაუკარგავთ. ისინი ხმა ამოუღებლათ, უბრძოლველათ, ხელგაუნძრეველათ დამონებიან მამა-პაპურ ჩვეულებებს და შეხედულებას, აჰყოლიან ადამის წლის ცხოვრებას, და მათი კერძო მოქმედება, მათი საყოველდღეო ცხოვრება იმავე ჩირქით გათქერილია, იმავე გესლით წარყვნილია, რომლითაც წინა თაობების ცხოვრება უკვალოთ და უსარგებლოთ დაღუპულა. გულ-ხელ დაკრეფილნი ლოკვენ ისინი უფროსების მძლავრს და მჩაგრავ ხელს, ყურმოჭრილ ყმებსავით ფეხ-ქვეშ უგორდებიან ყველას, ვინც კი ძალადობს და უსამართლიანობს, და წაყრუებით, უდარდელათ ზურგს უბრუნებენ ყველაფერს, რაც კი სუსტი, დაჩაგრული და იმედ-მოკლებულია... ვისაც როდესმე ჩვენში ხმა ამოუღია ან ხელი გაუნძრევია ჩვენი მიძინებული საზოგადოების ფეხზე წამოსაყენებლათ, ან ჩვენი გაღატაკებული ხალხის სარგებლობის დასაცველათ, ყველას გზაზე დახვდენია ამ კაცების ქვეშ-ქვეშა, ჩუმი, მომწამლელი და მომხიბვლელი წინააღმდეგობა და მტრობა. იმათ თავიანთ მიზნათ და იარაღათ „ჩურჩული" შეუქნიათ, და ვინც შინაურულ ჩურჩულს საკმაო იარაღათ არ სთვლის ჩვენი მიყრუებული ქვეყნის ამაღლებისთვის, იმის წინააღმდეგ ესენი,

ჩურჩულის მაგიერ. ცილის-წამებას და პეზღობას ხმაროპენ, რომ ამით სახელი გაუტეხონ და ფეხი მოტეხონ ყოველ მიმართულებას, რომელსაც მათი ჩურჩული არა სწამს. და რომელიც ჩურჩულს მაგიერ საქმეს და შრომას თხოულობს.

ამ გაგუდული ჩურჩულის შემწეობით ამ კაცებს გვარიანათ წაუფარავთ ის ნამდვილი შრომა და ღვაწლი, რომელიც იმათ თავიანთი პიროვანი ამაღლებისთვის უხმარიათ. თუმც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისინი დადუმებას და შინაურულ ჩურჩულს ქადაგებენ, მაგრამ პიროვანი მიზნისთვის კი ისინი უფრო მძლავრ და ენერგიულ მოქმედებებს ხმარობენ, რომელნიც იმათ საზოგადო მიზნისთვის როდი ემეტებოდათ. და ამგვარი მოხერხებით ისინი დღეს გაძლიერებულან, ლაზათიანი ადგილები და მამულები ხელში ჩაუგდიათ, უმჯობესებს კიდევ ეძებენ და ალბათ კიდეც ჩაიგდებენ...

ამ პირებს, თავიანთ კერძო სარგებლობაში და პიროვანი მიზნის ძიებაში ჩაფლულებს, როდი სწამთ სხვებში არც გულწრფელობა, არც პატიოსნება, არც საზოგადო მსახურება. და ჩვენი „დროების" წინააღმდეგ ისინი, აზრის დარღვევის ან მიმართულების ბრძოლის მაგიერ, პიროვან შეწამებას ქადაგებენ, ბინძურ მიზნებს გვაწერენ, თავიანთ სურვილს და მოქმედებას ჩვენ თავზე გვახვევენ... უსირცხვილოთ, შეუპოვრათ, აშკარათ, მთელი საზოგადოების წინ, კაცი; რომელმაც ღვიძლი ძმა გაცარცვა, ჩვენ მცარცველს გვიძახის, ვინც ბანქოში შულერობით ფული მოიგო — ჩვენ გაიძვერას გვიწოდებს, ვინც მზითვისთვის ძუძუსმწოვარი და უნახავი ქალი შეირთო — ჩვენ პირადი სარგებლობის ძიებას გვწამებს, ვინც უფროსის ხელის ლოკვით ადგილი დაიმსახურა — ჩვენ უფროსების მორიდებას გვაწერს, ვინც თავისი მარწმუნებელი გასცა — ჩვენზე ამბობს, სანდო კაცები არ არიანო, და ვინც ქურდობაში დაჭერილი იყო — ჩვენ ქურდის სახელს გვარქმევს...

როცა თქვენ მიხვალთ ჩვენში და ამ კაცების საქციელს დაინახავთ, მათ მიმართულებას და მოქმედებას გაიცნობთ, — ვეტყვი მე ამ ახალგაზდობას — გაიხსენეთ მაშინ აქაური პატიოსანი ცხოვრება და შეადარეთ ეს ორი სურათი. ნახავთ მაშინ, რამდენათ სასიყვარულოა ეს ცხოვრება და საზიზღარია — ჩვენებურების მოქმედება.

— როგორ გგონიათ, ჩვენო ვაჟბატონებო, როგორი იქნება ამ

ახალგაზდობის გრძნობა თქვენს შესახებ, როცა ის ჩვენში ჩამოვა, და თავის მოთხოვნილების და შეხედულების თვალით გასინჯავს თქვენს საქციელს და მოქმედებას? — ეს ხომ თქვენ თვითონაც იცით.

მაშ, გტოვებთ გულდამშვიდებული, გულლმობიერათ შეგინდობთ ყველაფერს, რაც თქვენ ჩემს წინააღმდეგ გიბაიყუშიათ, და გესალმებით თუ სამუდამოთ არა, გვარიანი ვადითა მაინც. მშვიდობით, ნახვამდის!

---

65. ყველის საარტელო წარმოება

თავისი სარგებლობითა და კეთილმომქმედი შედეგებით, ძნელად თუ შეედრება რომელიმე გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ამ საზოგადოებამ მიიღო გასულ სამშაბათს და რომელიც შეეხებოდა კავკასიაში ყველის საარტელო წარმოების დანერგვასა და მისი ხელისშეწყობის აუცილებლობას. ამ საზოგადოების გამოსარჩლებას და შუამდგომლობას აქამდე არაერთხელ მოუტანია არც თუ მცირე სარგებლობა, სხვადასხვა მწარმოებლებისათვის, რომელთაც ჩვენში შემოჰქონდათ მრეწველობისა და მიწის გაუმჯობესებული საშუალებანი, მაგრამ არასდროს ეს შუამდგომლობა არ ყოფილა უშუალოდ სასარგებლო ხალხისათვის, არასოდეს არ სდებია მას საფუძვლად ისეთი კეთილი გულისწადილი, როგორც ამ შემთხვევაში.

საქმე იმაშია, რომ ბატ. ახვლედიანმა, რომელმაც შეისწავლა ყველის კეთება და რუსეთის ყველის საარტელო წარმოების მოწყობილობა, და, საჭირო სახსრების უქონლობის გამო ხელი მიჰყო გორელი მემამულეებისათვის კერძო ყველის საკეთებელი მოწყობილობის დამზადებას, დარწმუნდა, რომ ჩვენი ქვეყნის სოფლის მცხოვრებლები დიდი სიამოვნებით მიემხრობოდნენ ყველის წარმოების სასოფლო წამოწყებას, თუ კი მისი მოწყობისათვის საჭირო ხარჯები მათ გამოცარიელებულ ქისას არ დააწვებოდა. სოფლის მცხოვრებთა ასეთი მზადყოფნით დაიმედებულმა ბატ. ახვლედიანმა, რომელმაც მიმართა სოფლის მეურნეობის საზოგადოებას და მოახსენა ვრცლად კეთილსასურველ შედეგებზე, რაც უცხო ქვეყნებში და რუსეთში არის მიღებული ყველის კეთებით და აჩვენა ჩვენი სასოფლო მეურნეობის, და განსაკუთრებით მესაქონლეობის, გაჭირვებული მდგომარეობა, ითხოვა მისთვის დახმარება აღმოეჩინათ ჩვენში უბრალო ყველის საკეთებელი არტელების მოწყობაში, რომელთა სარგებლობა და ხელსაყრელობა ბრწყინვალედ არის დამტკიცებული პრაქტიკაში. სასოფლო მეურნეობის საზოგადოებამ მოუსმინა ბატ. ახვლედიანსა და ზოგიერთი თავისი წევრის შენიშვნებს და თითქმის

ერთხმად დაადგინა — აღმოუჩინოთ დახმარება და შემწეობა ასეთ სასარგებლო საქმეს, დაევალოს საზოგადოების საბჭოს, ბატ. ახვ-ლედიანთან ერთად, განიხილოს აუცილებელი დახმარების პირო-ბები, და წარსდგეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობით ყველის საარტელო წარმოებისთვის საჭირო შემწეობის აღმოსაჩენად.

ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ საზოგადოების საბჭო თავის ამოცანას, სრული თანაგრძნობით და საკმაო ყურადღებით მოეპყრობა. ეს ამო-ცანა მარტივია, განსაკუთრებით იმის წყალობით, რომ მაგალითები და ხელისშეწყობების ზომა, რომელიც ეძლევა ამგვარ საქმეებს რუ-სეთში, ყველასთვის ცხადია. საკმარისია მხოლოდ ახალ საქმეს ხელი შეეწყოს, სერიოზული რაოდენობით დაარსდეს პირველი საარტე-ლო ყველის საკეთებელი იმისთვის, რომ შემდეგ არც საზოგადო-ების მხრით და არც მთავრობის მხრით აღარ იყოს საჭირო დახმარე-ბა და სუფსიდია. პირველი საარტელო ყველის მომზადების მაგალი-თი ჩვენი სოფლებისა და შეძლებული მცხოვრებლების თვითმოქმე-დებას გამოიწვევს და ჩვენს ქვეყანაში ყველის დამზადება დამოუ-კიდებლად განვითარდება, თუმცა პირველი ყველის საკეთებელი, ბატ. ასტაფიევის მახვილი გამოთქმით, პირველ ხანებში შეიძლება ხელით სათრევი იყოს.

არ არის მცირე ეჭვიც კი, რომ საზოგადოება, რომელიც უხვად აძლევდა ათიათასობით მანეთს სხვადასხვა მეწარმეებსა და ექსპლო-ატატორებს, მით უმეტეს, ძალიან არ იძუნწებს ისეთ საქმეში, რო-მელიც სავარაუდოა შესძლებს ათასობით ადგილობრივი მცხოვრე-ბის მატერიალური კეთილდღეობის აწევას.

თავის დროზე ამ საქმის შედეგებსაც გაცნობებთ.

ᲪᲒ. ᲡᲐᲛᲝᲥᲕᲐᲚᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მოხსენებითი ბარათი

კარის მრჩევლისა და კავალერის პეტრე ნიკოლოზის ძის პეროლიზოვისა, რომელიც ცხოვრობს ქ. თბილისის პირველი უბნის მეორე კვარტალში, დუროვოის ქუჩაზე, საკუთარ სახლში.

„16“ ნოემბერი, 1873. ქ. თბილისი.

რადგანაც სამსახურეობრივი მოვალეობის გამო გაზეთ „კავკაზის“ სავალდებულო ხელის მომწერი ვარ და სამსახურიდან თავისუფალ დროს ვუძღვნი ამ გაზეთის როგორც სასიამოვნო. ისე სასარგებლო კითხვას, მეუწყა თქვენი მაღალიმატებულების დამტკიცებაზე საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მაღალთანამდებობაზედ, რის აღსრულებისათვის თქვენ დროებით იყავით დაშვებული მაისის თვიდან. ამ მრავალმნიშვნელოვან ცნობასთან ერთად გავიგე, რომ თქვენმა მაღალიმატებულებამ თქვენდამი რწმუნებული ხალხების კეთილმოწყობის სამართლიანი მზრუნველობით ინებეთ თქვენი ყურადღება მიაქციოთ არა მხოლოდ სამოქალაქო კეთილმოწყობას საფრანგეთში, არამედ, უმთავრესად, დაამყაროთ სრული წესრიგი და მორჩილება.

მ ი ს მ ა ღ ა ლ ა ღ მ ა ტ ე ბ უ ლ ე ბ ა ს

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, საფრანგეთის მარშალსა და სხვათა და სხვათა ორდენების კავალერს, მადუენტის ჰერცოგს პატრიკიოს მავრიკიოსის ძე მაკ-მაჰონს.

თქვენი მაღალიმატებულების ესოდენ ამაღლებულ ზრახვათათვის თანაგრძნობით გამსჭვალულმა და დარწმუნებულმა მასში, რომ

ოცდათხუთმეტ წლიანმა უმწიკლო ჩემმა შრომამ მრავალნაირ საპოლიციო თანამდებობაზედ აღმჭურვა მე ამისათვის საჭირო გამოცდილებით, ვბედავ და თქვენი მაღალიმატებულობის წინაშე მოწყალე განხილვისათვის წარმოვადგენ ქვემოთმოტანილ ჩემს მოსაზრებას, რომელიც ეფარდებიან თქვენი მთავრობისაგან დასახულ მიზანთა უახლოეს დროში განხორციელებას. ჩემი ეს გაბედულება გამოისყიდება მარტოოდენ ჩემი მისწრაფებების სიწმინდით და დარწმუნებით, რომ თქვენი მაღალიმატებულობის საბრძოლო სამსახურს პატიოსნებისა და ბრძოლის ველზე არ შეეძლო თქვენ დაეჯილდოვებინეთ ღირსსასურველი პოლიციური ცოდნით.

უპირველეს ყოვლისა, წამოიჭრება საკითხი — საიდან გამომდინარეობს წესთა და ხელქვეითობათა ყველა ის დარღვევა, რომელთაც გამოიწვიეს თქვენი მაღალიმატებულების სამართლიანი და განათლებული მზრუნველობა? ამ საკითხის გადასაწყვეტად ზემოდდასახელებული გაზეთის — „კავკაზის" კითხვაში ჩაღრმავებისას იმ დასკვნამდე მივედი, რომ ყველა ამ მღელვარებათა და უტიფრობათა წყარო სხვა არა არის რა, თუ არა ბოროტმზაკვარ აგიტატორთა ხრიკები და გაქნილობა, რომელთაგან უმეტესად სახიფათოა, მე ასე მგონია, რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი — მოქალაქე ადოლფ ტიერი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, ჩინის არ მქონე ლეონ გამბეტა და მათ ირგვლივ მყოფი კლევრეტები და დამხმარენი. ვხედავ რა ამ აგიტატორთა ხრიკებში მხოლოდდამხოლოდ შურს, — თქვენი მაღალიმატებულობის მაღალი მდგომარეობის გამო, — და სურვილს — პირშავად გამოგიყვანონ უმაღლესი უფროსების წინაშე, რათა თქვენი თანამდებობა დაიჭირონ, მე არ შემიძლია ამასთან ერთად, ავხსნა თქვენი მაღალიმატებულების მაღალსულოვანი მომთმინეობა ამ მოსისხლე მტერთა მიმართ, რომელთაც სურთ ხელყოფა საფრანგეთის მშვიდობიანობისა, კეთილმდგომარეობისა და იმ სამღვთო საფუძვლებისა, რომელზეც საფრანგეთია დადგინებული. ვიღებ რა მხედველობაში, რომ ეს სულგრძელობა დამღუპველად მოქმედებს მთელი სახელმწიფოს კეთილმდგომარეობაზე და, რომ პატივმოყვარე თქვენი მოშურნენი არა თუ განიმსჭვალებიან თქვენს მიმართ გამოუთქმელი მადლიერებით, არამედ ღრმა კადნიერებით განაგრძობენ თავის ბოროტზრახვათა შენებას, — შეუძლებელია არ

მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ მათ მიმართ უნდა მიღებულ იქნას მკაცრი და ამლაგმავი ზომები.

მართლაც, ნუთუ ასე ძნელი და შეუძლებელია, რომ ამ მეამბოხეებზე დაწესდეს პოლიციის ფხიზელი მეთვალყურეობა და ხელისმოწერის ჩამორთმევით ისინი აიძულოთ შეწყვიტონ აღმაშფოთებელი პროპაგანდა, რასაც ისინი მიმართავენ, გააფრთხილოთ ისინი, რომ მათი მხრიდან სულ მცირე ხელყოფაც კი წესრიგის დარღვევისათვის გამოიწვევს სასტიკ დამსჯელ ზომებს? ყოველი თავშეყრილობისა და კრების აღკრძალვით, სადაც ისინი წარმოსთქვამენ აღმაშფოთებელ და მგზნებარე სიტყვებს, გაზეთებისა და ჟურნალების დახურვით, რომლებშიც ისინი ბეჭდავენ თხზულებებს, რომელნიც არყევენ ხელისუფლებისადმი ნდობას, მოსპობილ იქნება დამღუპველი შედეგები მათი ცრუმეცნიერებისა; ადმინისტრაციული წესით გადასახლება საფრანგეთის რომელიმე შორეულ დეპარტამენტებში მათი, როგორც ისეთი პირებისა, რომელნიც ვნებენ ქვეყნის მშვიდობიანობას, ძირშივე აღკვეთს დაუმორჩილებლობისა და მღელვარების გამომწვევ იმ მიზეზებს, რომელნიც არყევენ საფრანგეთს. ყველა იმათ დასაშინებლად კი, რომელნიც მომავალში მიდრეკილ იქნებიან მიჰყვნენ მათ ბოროტმზრახველ მაგალითს საზოგადოებრივი ცხოვრების დარღვევაში, საკმარისი იქნება ერთ-ერთი მათგანი: ყველაზე მეტად საქმიანი, მაგალითად, ჩინების არ მქონე ლეონ გამბეტა, ყოველივე უფლების აყრით გაიგზავნოს საკატორღო სამუშაოებზე ან კალედონიაში, ან გვიანაში. ამისთვის საკმარისი იქნება მას წარეყენოს ბრალად ბოროტმოქმედ უცხოელებთან ურთიერთობა, რადგან ჩვენს ქალაქში ყველასთვის ცნობილია, რომ ამ ბოროტგამზრახველმა აგიტატორმა აქ გამოგზავნა დეპეშა, რომელიც იუწყება რესპუბლიკის დამყარებასა და ფრანგული ტახტისა და საკურთხევლის გულისშემატკივართა მარცხს.

წარმოვადგენ რა ამ აზრებსა და შეხედულებებს თქვენი მაღალაღმატებულობის წინაშე უმოწყალესი განხილვისათვის, პატივი მაქვს დავსძინო, რომ თუ ჩემი წინადადება ღირსი იქნება თქვენი მოწონებისა, მე მზად გახლავართ მოთხოვნისთანავე წარმოგიდგინოთ საჭირო პროექტები და შტატები საფრანგეთში ფხიზელი თვალყურის დაწესებისათვის ყველა მზაკვართადმი და ასეთების გაგზავნისათვის

საპყრობილე ადგილებში, სადაც მათი საქმიანობა აღარ იქნება საშიში საზოგადოებრივი მშვიდობიანობისთვის. ამასთან ერთად, გამოვხატავ სრულსა და უანგარო მზადყოფნას ვიყო თქვენი მაღალაღმატებულების სამსახურში ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა აღსრულებისათვის, თუ ჩემი უშუალო უფროსის ნებართვა იქნება სამსახურიდან გათავისუფლების თხოვნაზე და თქვენი მაღალაღმატებულობის შეთანხმება ჩემთვის საკმაო რაოდენობით საიდუმლო ფონდების ასიგნობაზე.

პეტრე პეროლიზოვი

შეამოწმა: რედაქციის მდივანი პ. ბოტინი

---

67. კაცხის გლეხების საქმე

კაცხის გლეხების საქმე ამჟამად უმთავრეს სამმართველოს განხილვაში არის. ვინც საქმის გარემოება დაწვრილებით იცის, ყველანი დარწმუნებული არიან, რომ უმთავრესი სამმართველო ამ საქმეს გლეხების სასარგებლოდ გარდაწყვეტს. გლეხების სიმართლის დამამტკიცებელია იმისთანა საფუძვლები, რომელნიც კანონს ყოველთვის ღირსეულათ უცვნია. ამ საფუძვლების დარღვევას ცდილობენ ეხლა უფ. აბაშიძეები; იმათ ეხლა ადვოკატებიც გამოუჩნდნენ; მაგრამ იმედია, რომ ეს იმათი მეცადინეობა ამაოდ ჩაიკლის საბოლოოდ, თუმცა ამ თავით ბევრს უსიამოვნება და გაჭირვება მიაყენა.

კაცხის გლეხების საქმე, სახელდობრ-იმათი საეკლესიო უწყებისაგან საბატონო უწყებაში გარდაყვანა, გადაუწყვეტია ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების სამმართველოს.

ამ განკარგულებაზედ გლეხებს მისს იმპერატორობის უმაღლესობასთან, კავკასიის მთავარ-მართებელთან, უჩივლიათ და შემდეგ უმთავრეს სამმართველოში საჩივრის დამატება შეუტანიათ.

აი, საქმის გარემოება და საფუძვლები, რომელზედაც გლეხები თავის სიმართლეს ამყარებენ.

ჯრუჭის, მღვიმისა და კაცხის მონასტრებს ჰყოლიათ თავის საკუთარი გლეხები და მიჩენილი. საკუთარ გლეხებათ ითვლებოდნენ ისინი, რომელნიც ადგილ-მამულიანათ და ყოველივე შემოსავლით მონასტრებისათვის შეეწირათ მეფეებს, ან სხვა და, სხვა მებატონეებს. მიჩენილი გლეხები იყვნენ ისინი, ვინც მონასტრებს საბატონო გარდასახადის ნაწილს აძლევდა თავის მებატონის ბრძანებით. ამგვარად, საეკლესიო გლეხები ორგვარნი იყვნენ: ზოგნი სრულიად ეკლესიას ეკუთვნოდენ და ზოგნი ერთსა და იმავე დროს მებატონესაც ხარჯს აძლევდენ და ეკლესიასაც. ის კაცხის გლეხები, რომელთაც ეხლა აბაშიძეები ითვისებენ, არიან სრული მონასტრის საკუთრება.

დროებით ვალდებულ საბატონო გლეხებათ გახდენა მხოლოდ იმათი შეიძლებოდა, ვინც მებატონესა და ეკლესიას ეკუთვნოდა და

ორივეს ხარჯს აძლევდა. კაცხის გლეხები მონასტრის სრული საკუთრება ყოფილან, იმათ არავითარი გარდასახადი არ მართებიათ აბაშიძეებისა და სრულიათ უსაფუძვლოა აბაშიძეების სურვილი, რომ ეს გლეხები თავის დროებით-ვალდებულად გახადონ.

მართალია, თ.აბაშიძეების წინაპრებს კაცხის მონასტრისთვის გლეხებისაგან შემოსავლის ნაწილი შეუწირავთ, მაგრამ ეს გლეხები დიდი კაცხის, ჯოყოვეთის, საკურნის, რკვიის და ვაჭევის მცხოვრებნი ყოფილან. ესენი ყოფილან აბაშიძეების ყმები, ამათ უძლევიათ ხარჯი როგორც ამ თავადებისათვის, ისე მონასტრებისათვის. იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა ღალატისათვის წაართვა აბაშიძეებს კაცხის მონასტერი ხსენებულ სოფლებში მცხოვრებ გლეხებიანათ. სოლომონ მეორეს ისევ დაუბრუნებია აბაშიძეებისათვის ათას რვას ექვსში როგორც მონასტერი, ისე გლეხები,იმ პირობით. რომ ხსენებულ მებატონეებს მონასტერი თავის ხარჯით შეენახათ, ან და გლეხებისაგან შემოსავალი უწინდულათ მიეჩინათ.

შემდეგ, რუსის მმართველობის დროს, აბაშიძეებმა, განიზრახეს, რომ მონასტრისათვის წაერთვათ გლეხების შემოსავალი, რომელიც იმათ წინაპრებს შეეძინათ და რომელიც სოლომონ მეორის ბრძანებითაც მონასტერს უნდა ჰქონოდა, მაგრამ საეკლესიო უწყებამ თავი გამოიდვა და ამისგან წარმოსდგა საქმე მყოფს დროებითს სასამართლოში. აქედან საქმე გადაიტანეს სენატში. სენატმა ეს საქმე 1824-წელს გარდაწყვიტა. ეხლა აბაშიძეები ამ გარდაწყვეტილებაზედ აფუძნებენ თავის სიმართლეს და საგლეხო საქმეების სამმართველო—თავის განკარგულებას, თუმცა ათას რვაას ოცდათხში შემდგარი სენატის გარდაწყვეტილება შეეხებოდა კაცხის გლეხებს კი არა, სხვა სოფლების გლეხებს, რომელნიც აბაშიძეებს ღალატისათვის ჩამოერთვათ, რომელნიც მონასტერსა და მებატონეებს ეკუთვნოდა, რომელნიც რუსის მმართებლობის დროს კამერალური აღწერის დროს ყოველთვის აბაშიძეების ყმებად იწერებოდნენ, რომელთ განთავისუფლებისთვის აბაშიძეებმა სასყიდელი მიიღეს და რომელზედაც იმათ დებულების ოქმი შეადგენინეს.

ის გლეხები, რომელთაც ეხლა აბაშიძეები ითვისებენ, სახლობენ კეთილ-შეძენილს საკუთარს მიწებზე, თუ საეკლესიო მიწებზედ, რომელნიც კაცხის მონასტრისათვის სხვებს და არა აბაშიძეებს შეუწირავთ და ხარჯს მარტო მონასტერს აძლევდნენ, მარტო მას ემსახურებოდნენ.

რომ ამ გლეხებს აბაშიძეებისათვის არავითარი გადასახადი არ უძლევიათ, რომ იმათი მოსამსახურე არ ყოფილან არასოდეს, არც იმერეთის მეფეების დროს, არც რუსის მმართებლობის დროს, ეს,

ცხადათ სჩანს მომრიგებელი შუამდგომელის მოხსენებისაგან № 62. მაგრამ აბაშიძეებს თავის სიმართლის საბუთათ ერთი რაღაც ხელწერილი მოჰყავთ, რომელიც იმათ წინაპრებს ვითომც კაცხის მონასტრისათვის მიეცეთ, რომ ამ გლეხების გადასახადი შენთვის შეგვიწირავსო. მაგრამ ეს ხელწერილი არავის უნახავს. გლეხებისათვის არაოდეს არ უჩვენებიათ. კიდეც რომ ყოფილიყოს, ამნაირი ხელწერილი სრულიად არ დაამტკიცებს აბაშიძეების სიმართლეს. იმათ შეეძლოთ, რომ ამგვარი ხელწერილით კაცხის მონასტრისათვის მთელი იმერეთის გლეხების შემოსავალიც შეეწირათ და ამით ხსენებულ მებატონეებს არაფერი არ დაეკლებოდათ. დაეკლებოდათ კი არა, თუ ამგვარი ხელწერილებით რისმე დასაკუთრება შეიძლება, მთელს იმერეთსაც დაისაკუთრებდნენ.

რა რომ ჩვენში კამერალური აღწერა დაუწყიათ, მას აქეთ კაცხის გლეხები ყოველთვის საეკლესიო უწყებაში ირიცხებოდნენ.

ათას. რვაას სამოცდა ხუთში, გლეხების განთავისუფლების დროს, აბაშიძეებს კაცხის გლეხებისათვის სასყიდელი არ მიუღიათ მმართებლობისაგან, მათზე დებულების ოქმები არ შეუდგენინებიათ. და არც უფლება ჰქონდათ ამისი აბაშიძეებს, ამიტომ რომ უმაღლესად დამტკიცებულის კანონების ძალით და მთავრმართებლის სახელმძღვანელო მიწერილობის ძალით, მებატონეებს მხოლოდ იმ გლეხებში უნდა მისცემოდათ სასყიდელი და მარტო იმ გლეხებზედ უნდა შეედგინათ დებულების ოქმები, რომელნიც ბატონყმობის მოსპობის გამოცხადების დროს მებატონეების დამოკიდებულებაში იყვნენ და კამერალური აღწერით მათ კუთვნილებად ითვლებოდნენ. და თუ რომელიმე მებატონე უსამართლოდ სასყიდელს მიიღებდა, კანონის წინაშე პასუხი უნდა ეგო.

ამგვარად, ის გლეხები, რომელნიც ახლა სჩივიან, ეკუთვნოდენ ყოველთვის მონასტერს და აბაშიძეებისათვის არავითარი გარდასახადი არ უძლევიათ და იმათთვინ არ უმსახურნიათ. ეს ის გლეხები არ არიან, რომელნიც იმერეთის მეფეებს ჯერ ჩამოურთმევიათ და მერე დაუბრუნებიათ აბაშიძეებისათვის და მაშასადამე, ათას რვაას ოცდაოთხში შემდგარი სენატის გარდაწყვეტილება ამათ არ შეეხებათ, მაგრამ ეს გლეხები რომ მართლა იმერეთის მეფეებისაგან წართმეული და ხელახლა დაბრუნებული ყოფილიყვნენ და მაშასადამე, იმათ რომ ოცდაოთხში შემდგარი სენატის გარდაწყვეტილება შეეხებოდესთ, მაშინაც არ უნდა ყოფილიყო შესაძლებელი, რომ საქმის გამოუძიებლად და სამსჯულოში გარდაუწყვეტლად ისინი აბაშიძეების დროებით-ვალდებულ გლეხებათ გაეხადათ. აი ამისი საფუძვლები: ა) კაცხის გლეხებს და მათ მამა-პაპებს არც მეფეების და არც

რუსის მმართებლობის დროს აბაშიძეებისათვის არავითარი სამსახური არ გაუწევიათ და არავითარი გადასახადი არ უძლეევიათ; ბ) გლეხების განთავისუფლების გამოცხადების დროს კაცხელი გლეხები აბაშიძეების დამოკიდებულებაში არ ყოფილან და იმათში ხსენებულს თავადებს სასყიდელი არ მიუღიათ და მათზედ დებულების ოქმები არ შეუდგენიათ; გ) სამი წელიწადია მას აქეთ, რაც კაცხელი გლეხები სახელმწიფო უწყებაში ითვლებიან; დ) კამერალურ აღწერაში აბაშიძეების საკუთრებათ არაოდეს არ ჩაუწერიათ კაცხელი გლეხები; ე) ათას რვაას ოცდაოთხში შემდგარი სენატის გარდაწყვეტილება არც კაცხელი გლეხების მამებს და არც თვითონ იმათ არ გამოცხადებიათ და არც სცოდნიათ აქამდის, თუ ამგვარი გარდაწყვეტილება როდისმე მოხდა. ეს გარდაწყვეტილება ორმოცდა ათი წლის განმავლობაში კაცხელი გლეხების შესახებათ სისრულეში არ მოუყვანიათ, მისი ძალა ამ გლეხებზედ არ გაუვრცელებიათ; მაშასადამე, ამ გარდაწყვეტილებას ეხლა არავითარი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს.

ამ საფუძვლების ძალით კაცხელი გლეხები თხოულობენ, რომ ქუთაისის საგლეხო საქმეების სამმართველოს გარდაწყვეტილება დაირღვეს და აბაშიძეებს მხოლოდ სამსაჯულოში სიმართლის ძიების ნება მიეცესთ.

---

68. „ბუნების კარი“

საყმაწვილო წიგნი დაბალ კლასებში სახმარებელი. შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან. გამოცემა მესამე (???) თბილისი, 1873.

როცა ეს წიგნი პირველჯერ გამოიცა, ჩვენ („დროება“ 1868, № 48) სრული თანაგრძნობით ვისურვეთ მისი გავრცელება და წარმატება. მაშინდელ ჩვენს მდგომარეობაში ეს წიგნი, პირველი საკითხავი წიგნი, ქართულ ენაზე გამოცემული მართლაც ხეირიან მოვლენას წარმოგვიდგენდა, და ჩვენ, ამის გამო, მის ნაკლულევანებაზე და სუსტ მხარეებზე ხმა არ უნდა ამოგვეღო, მით უფრო, რომ ეს პირველი ცდა იყო, პირველი ნაბიჯი ჩვენი პედაგოგიური მწერლობისა.

ეხლა კი, როცა ის მეორეთ იბეჭდებოდა, ჩვენ სრული იმედი გვქონდა, რომ მისი შემდგენელი, შეძლების დაგვარათ, შეავსებდა თავისი შრომის ნაკლულევანებას და ახალ გამოცემას ძველ შეცდომებს ააცილებდა. საუბედუროთ, ეს მეორე გამოცემა, რომლისთვისაც, არ ვიცით რა განზრახვით, მ ე ს ა მ ე დაურქმევიათ, თითქმის სიტყვით-სიტყვამდე შეუცვლელათ გადმობეჭდილა პირველიდან. ეს გარემოება გვარწმუნებს ჩვენ, რომ „ბუნების კარის“ შემდგენელს ერთობ შემცდარი აზრი ჰქონია თავის შრომაზე, იმოდენათ შემცდარი და გადაჭარბებული, რომ ერთი ასოს შეცვლაც საჭიროთ არ დაუნახავს მთელი ხუთი წლის განმავლობაში.

ჩვენ გვაკვირვებს ამგვარი შეცდომა. მით უფრო, რომ ეს წიგნი, თავიდამ დაწყებული ბოლომდი ძველი, სქოლასტიკური სისტემით არის შედგენილი. რაც ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში პედაგოგიკას სწავლის გარდასაცემი გაადვილებული საშუალებები გამოუძებნია, არც ერთს იმათგანს ადგილი არ უპოვნია „ბუნების კარში“. მთელი წიგნი მძინარე ენით, უხალისოთ, უმაგალითოდ, უსულოთ არის დაწერილი, მერმე ისე, რომ ყმაწვილს კი არა, ნასწავლსაც კი გაუძნელდება მისი გაგება და შეთვისება. კაცს ჰგონია, სახელმძღვანელოს მაგიერ, დაუჯდომელს ეკითხულობო, ან ფილარეტის კატეხიზმოს, ან და მისვე „საუბრებს“[69]. არც ერთ ალაგას არაა

მოყვანილი ან სურათი, ან ჩვენებით სისტემაზე დაფუძნებული აწერილობა, ან ხალისიანი მოთხრობა — ყოველგან უძვლო და უსულო, უმარილო ღეჭაა ისეთი ცნობებისა, რომელთაგან ნახევარი უსარგებლოა და ნახევარი — გაუგებარი ყმაწვილისთვის.

ჩვენ სრული უფლება გვქონდა დაიმედებული ვყოფილიყავით, რომ ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჩვენში სახელმძღვანელოს ადგენს, ან სწერს, ეცდებოდა ყურადღება მიექცია თანამედროვე პედაგოგიკის მოთხოვნილებისთვის. ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, ევროპაში კი არა, რუსეთშიაც ბევრი ისეთი წიგნები და თხზულებები დაიბეჭდა, რომელთაც ერთიანათ შესცვალეს სამოსწავლო მეცნიერების სისტემები, და, ვიმეორებთ, ჩვენ გვიკვირს, რომ უფ. გოგებაშვილს, პედაგოგს და სახელმძღვანელოების შემდგენს, არც ყურადღება მიუქცევია ამ წარმატებისთვის, არც — სმენით გაუგია მისი ვარგისობა. ასე რომ არ ყოფილიყოს, ის ან გადაასწორებდა თავის წიგნს, ანდა სულ აღარ გამოსცემდა იმას მეორეჯერ.

მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ჩვენებურმა სიზანტემ და დაუდევნელობამ ნება არ მისცა უფ. გოგებაშვილს გადასწორების შრომის მიღებისა. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენში ერთ რჯულზე უმტკიცესი ჩვეულებაა: გაიჭინთება კაცი, ვაი-ვაგლახით მოახერხებს პაწაწა საქმეს, გამოსცემს ერთ წიგნს, დასწერს ერთ-ორს სტატიას, და მერმე — ქებას რომ მოისმენს — გაიგუდება, გაჩერდება და დარწმუნდება „მართლაც დიდი რამ შევასრულეო“. წადით, მერმე, და ჩაუწვეთეთ იმას ყურში, რომ გულ-ხელის დაკრეფა ადრეა, რომ მის შრომას ნაკლულევანება აქვს, რომ ეს მისი შრომა მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა არ არის. ესეები რომ გააგონოთ, თავს მოიკლავს, კუდით ქვას გასროლინებს გაბრაზებით და დაჯერებით მაინც არ დაიჯერებს.

ალბათ ესაა იმის მიზეზი, რომ „ბუნების კარი“ შეუცვლელათ გადმოიბეჭდა. ეს ჩვენს თვალში სასაცილო ამბავი იქნებოდა, იმ ყმაწვილების მდგომარეობა რომ არ გვახსენდებოდეს, რომელთაც, სხვა წიგნის უქონლობის გამო, ამ უცხო და, ადამისწლის სახელმძღვანელო უნდა ეკავოთ ხელში.

---

69. ქუთაისში რკინიგზის გაყვანის აუცილებლობის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა ყოველდღიურად სულ უფრო ხმამაღლა აცხადებს საჩივარს ვაჭრობისა და ამ ქალაქის ეკონომიური მნიშვნელობის არაჩვეულებრივი დაქვეითების გამო. რკინიგზის გახსნით, რომელმაც ქალაქს 7 1/2 ვერსით აუხვია გვერდი, ქუთაისმა თანდათან დაიწყო დაცარიელება, დაქვეითება და უმთავრესად სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი დაეშვა მესამეხარისხოვანი ადმინისტრაციული ცენტრის დონემდე. სახლები სანახევროდ დაცარიელდა, — ძველმა ფასებმა ორჯერ და სამჯერ დაიწია, მაღაზიები უიმედოდ ელოდებიან ნისიად მყიდველებს და მთელი ქალაქის ცხოვრება ტრიალებს სასამართლო და საპოლიციო სამმართველოების, ან მრავალრიცხოვანი აუქციონების ირგვლივ, რომლებზეც ნაყარ-ნუყარი და გამოუსწორებელი მოვალეების, — რომელთა რაოდენობაც აურაცხელია, — ქონება იყიდება.

ასეთი დაქვეითება გათვალისწინებული ჰქონდა ყველა კომპეტენტურ პირს. ჯერ კიდევ „კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარის პირველი ათწლედის ანგარიშში“ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კავკასიის მეფისნაცვლის — დიდი მთავრის მმართველობის დროს (იხ. „კავკასკი კალენდარი“, 1864 წლისა, გვ. 170) ნათქვამი იყო, რომ „რკინიგზის გაყვანის დამთავრების შემდეგ. რომელიც ქალაქიდან რვა ვერსზე გადის, ქუთაისს, ალბათ, რამდენადმე სამრეწველო და სავაჭრო დაქვეითება ემუქრება, მაგრამ რკინიგზის შტოს ქალაქამდე მიყვანამ შეიძლება ნაწილობრივ შეამციროს ეს მისთვის საზიანო შედეგები“.

სამწუხაროდ, რკინიგზის შტოს შესახებ ჯერჯერობით არა ისმის რა და, ალბათ, მისი მშენებლობის საკითხი უნდა დაუკავშირდეს ქუთაისის მაზრის ქვანახშირის მადნებამდე რკინიგზის მიყვანის საკითხს. მაგრამ ამ გზის გამართვამდე ქუთაისის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო კრიტიკული იქნება.

უპირველეს ყოვლისა, მეტად გასაგებია, რომ რკინიგზის გაყვანა, ყოველ შემთხვევაში, შეამცირებდა ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო მნიშვნელობას, თუმცა იმ ერთი პირობის გამო, რომ გაზრდიდა ისეთი ადგილების მნიშვნელობას, როგორიცაა ყვირილა, სამტრედია და ა. შ. ადრინდელი ერთი ცენტრის — ქუთაისის მაგიერ, აუცილებლად უნდა აღმოცენებულიყო რამდენიმე წვრილი ცენტრი. შემდეგ, ფოთი-თბილისის პირდაპირ უშუალო კავშირს ძირში უნდა გადაეკვეთა ქუთაისის, როგორც სატრანზიტო სადგურის მნიშვნელობა: სატრანზიტო საქონელი და მოგზაურთა მასები ამ ქალაქს ასცდებოდნენ მაშინაც კი, რომ რკინის გზის ლიანდაგს ქალაქის ბაღი შუაზე გადაეკვეთა, არა თუ ახლა, როცა 8 ვერსით აცდა მას.

მაგრამ, მიუხედავად ამ ორი აუცილებელი შედეგისა, რითაც რკინიგზის გაყვანას არახელსაყრელად უნდა ემოქმედა ქალაქ ქუთაისის სავაჭრო მნიშვნელობაზე, მრავალი მეორეხარისხოვანი შედეგებიც არსებობს, სრულიად ხელსაყრელი ქალაქის კეთილმდგომარეობისათვის. რომელთა ჯამიც აუცილებლად გადააჭარბებდა პირველთა მნიშვნელობას, თუ რომ გზის ხაზი არ სცილდებოდეს ქუთაისს. მაგრამ ახლა აღარაა საჭირო ლაპარაკი ამ ვითარებაზე, რადგან რკინიგზა უკვე აგებულია და არსებულ ფაქტად არის ქცეული. ახლა საჭიროა ფიქრი მხოლოდ იმაზე, თუ რას შეუძლია „გარკვეული ხარისხამდე" გამოასწოროს ქალაქის მოსახლეობის მოშლილი მდგომარეობა.

თვითეული ქალაქის კეთილმოწყობისათვის აუცილებელ პირობად, პირველ რიგში, რასაკვირველია, აუცილებელია განვითარება მოსახლეობაში წერა-კითხვისა, განათლებისა — როგორც გონებრივისა, ისე ხელოსნობისა, კრედიტის გავრცელება და დაზოგვით მოხმარება საზოგადოებრივი ძალებისა და სახსრებისა თვით მოსახლეობის სასარგებლოდ. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ქალაქ ქუთაისის მდგომარეობას, დავინახავთ, რომ იქ არ არის არც ერთი სამოქალაქო სკოლა, არც პირველდაწყებითი და არც სახელოსნო, არ არის არც ქალაქის ბანკი, არც ურთიერთ დახმარების სალარო და საერთოდ არცერთი იმ დაწესებულებათაგანი, რომლებიც წარმატებით იფურჩქნებიან ჩვენი იმპერიისა და სამეფისნაცვლოების სხვა ქალაქებში, არაა, საერთოდ რომ ითქვას, წესიერი საზოგადოებრივი მეურნეობა. თვით საზოგადოება არას აკეთებს იმისათვის, რომ საკუთარ თავს დაეხმაროს, ხოლო ყველაფერში მეურვეობის მოლოდინით, როგორც ცნობილია, ამისთანა საქმეებში შორს ვერ წახვალ. კარგად ვიცით, რომ საზოგადოებრივ დაწესებულებათა უმეტესობა

რომელთა შესახებაც ზეგით მოგახსენეთ, ხორციელდება მხოლოდ საქალაქო თვითმართველობის არსებობისას, მაგრამ მაინც არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ასეთი უთვითმართველობის დროსაც შესაძლებელია თუნდაც რამდენიმე ისეთი დაწესებულების გამართვა, რომლებიც აუცილებელია საქალაქო ცხოვრების თვითმოწყობისათვის.

მკითხველებმა იციან, რომ ჩვენში მოელიან საქალაქო და საერობო თვითმართველობის შემოღებას. თავის თავად ცხადია, როცა ეს სიკეთე ქუთაისს მოევლინება, ამ ქალაქის მცხოვრებთა მდგომარეობის მრავალი უსარგებლო მხარე აცილებული იქნება. სკოლებისა და საკრედიტო დაწესებულებათა გამრავლება, ქალაქის სახსრების წესიერი მოხმარება, ურთიერთ დახმარება და ა. შ. ქალაქის მატერიალურ კეთილმდგომარეობას აამაღლებენ და მის მოსახლეობას შესაძლებლობას მისცემენ ცხოვრების იმ ახალ პირობებს შეეგუოს, რომელნიც შექმნილნი არიან რკინიგზის გაყვანით და ამოწუროს შესაძლებელი სარგებლობა იმ ვითარებიდან, რომელიც შეიძლება მოელოდეს ქუთაისს, როგორც ცენტრს, შესაძლოა მეტად მნიშვნელოვანი მეტალურგიული ოლქისას.

ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა იყოს მომავალი, შეუძლებელია დარწმუნებული არ იყო იმაში, რომ ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს დაცემული ქალაქის გაჭირვებულ ვითარებას, მდგომარეობს მისთვის ქალაქის თვითმართველობის შემოღებაში.

შენიშვნები

*

კომენტარები

*

სახელთა საძიებელი

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

1. შარშან და შარშანწინ — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ სამ წერილად (1872 წ., 15. I, № 1; 21. I, № 2; 23. I, № 3). პირველი ორი წერილი ხელმოწერილია ინიციალებით — „ნ. ს.“, მესამე — ხელმოუწერელია. წერილები დაბეჭდილია საერთო რუბრიკით —„უცხო ქვეყნები“.

2. იმერეთის ამბები — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1872 წ., 23. I, № 3) მოწინავე სტატიად, ხელმოწერით „ნ. სკანდელი“. წერილის დასასრულს მითითებულია დაწერის თარიღი და ადგილი: „16 იანვარს, 1872. ქუთაისს“.

3. ბანკის საქმე ჩვენში — დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ (1872 წ., № 6), რუბრიკით „საზოგადო საქმეები“. სტატიას აქვს ხელმოწერა — „ნ. სკანდელი“.

4. ჩვენი მწერლობა —დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ (1872 წ., № 10-11-12), ხელმოწერით — „ნ. სკანდელი“.

5. სხვათა შორის — დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ (1873 წ., № 4) და უჭირავს მთელი ნომერი. ამ მოგონებების შესავალი ნაწილი „გამოსალმება“ ადრე დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1872 წ., 17. III, №11) სათაურით — „მიზანტროპის დღიურიდამ“, რომელსაც აქვს ეპიგრაფი — ჰეინეს სიტყვები გერმანულ ენაზე. შესაფერი თარგმანით: „მე მინდა ავიდე იმ სიმაღლეზე, საცა დგას პატიოსანი ხალხი, საცა — გრილოში მარჯვეთ სუნთქავს და ჰქრის თავისუფალი ქარი“.

6. საწყალი ბანკი — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 9. I, № 1), ხელმოწერით — „ნ. სკანდელი“. სტატია შეტანილია პროფ. ს. ხუნდაძის რედაქციით გამოსულ ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების მეორე ტომშიც.

7. იმერეთის ამბები — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 2. II, № 5), ხელმოწერით — „ნ. სკანდელი“; მითითებულია დაწერის დრო და ადგილიც: „27 იანვარს 1873 წ., ქუთაისი“.

8. სხვათა შორის — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 24. II, № 8), ხელმოწერით — „ნ. სკანდელი“. სტატიის დასასრულს მითითებულია დაწერის დრო და ადგილი: „7 (19) თებერვალს 1873. სტამბოლი“.

9. სხვათა შორის — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 20. IV, № 15) „ფელეტონის“ განყოფილებაში, აქვს ხელმოწერა — „ნ. სკანდელი“.

10. წინასიტყვაობა — დაიბეჭდა გაზეთ „დროშაში“ (1873 წ., № 2), რომელსაც ნ. ნიკოლაძე სცემდა პარიზში დ. მიქელაძესთან და პ. იზმაილოვთან ერთად. ჩვენამდე მოღწეულია სამი ნომერი, თითოეული ოთხ გვერდიანი (21×27). გაზეთი იბეჭდებოდა ჰეგქოგრაფიული წესით და უფასოდ ურიგდებოდა ევროპაში მოსწავლე ქართველებს.

11. ეკლესია და სახელმწიფო — დაიბეჭდა გაზეთ „დროშაში“ (1873 წ., № 1), რომელიც პარიზში გამოდიოდა.

„დროშის“ გადარჩენილი ნომრები დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში, თბილისში კი დიდი ხნით ადრე გადაღებული ფოტო-ასლები მოგვეპოვება. მთელი რიგი ადგილების ამოკითხვა ამ ფოტო-ასლებში ძნელია ან სრულიად შეუძლებელი. ამიტომ, საეჭვო ამონაკითხი სიტყვები ფრჩხილებში ჩავსვით ( ), ხოლო ის ადგილები, რომლის ამოკითხვა სრულიად ვერ შევძელით წერტილებით შევავსეთ ( ).

12. აღდგომა — დაიბეჭდა გაზეთ „დროშაში“ (1873 წ., 13. IV, № 1).

13. საფრანგეთის გარეგანი პოლიტიკა — დაიბეჭდა გაზეთ „დროშაში“ (1873 წ., 14. IV, № 2).

14. თანამედროვე სურათები — დაიბეჭდა გაზეთ „დროშაში“ (1873 წ., 14. IV. 15. IV, № 2, 3).

15. პარტიული დისციპლინა — დაიბეჭდა გაზეთ „დროშაში“ (1873., 15. IV, № 3).

16. ვენის გამოფენა — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 25. V, № 20), ხელმოწერით — „ნ. სკანდელი“. სათაურის ქვეშ მითითებულია სტატიის დაწერის დრო და ადგილი: „ვენა, 20 (8) მაისს 1873“.

ნ. ნიკოლაძის არქივში (12-13) დაცულია ამ სტატიის ეკ. ნიკოლაძის მიერ ხელით გადაწერილი ასლი, რომელიც მთლიანად ემთხვევა „დროების“ ტექსტს.

17. **რისთვის ვჩხუბობთ?**—დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 25. V, № 20), ფელეტონის განყოფილებაში, ხელმოწერით „ნ. სკანდელი“. სტატიის დასასრულს მითითებულია დაწერის დრო და ადგილი: „22 მაისს 1873. თფილისი“.

აღნიშნული სტატია დაბეჭდილია, აგრეთვე, პროფ. ს. ხუნდაძის რედაქციით გამოსულ ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების მეორე ტომში.

18. **ახალი ახალგაზრდობა** — დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ (1873 წ., № 1), ხელმოწერით — „ნ. სკანდელი“. იგი შეტანილია, აგრეთვე, პროფ. ს. ხუნდაძის რედაქციით გამოცემულ ნ. ნიკოლაძის რჩეულ ნაწერთა მეორე ტომში.

ჩვენს გამოცემაში „ახალი ახალგაზრდობა“ იბეჭდება იმ ხელნაწერზე დაყრდნობით, რომელიც დაცულია კ. ლორთქიფანიძის არქივში (ქ. ქუთაისში). აღნიშნულმა ხელნაწერმა გარკვეულობა შეიტანა „კრებულში“ დაბეჭდილი ტექსტის მთელ რიგ ადგილებში.

19. **ნაპოლეონ მესამის ცხოვრება** — დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ (1873 წ., № 1, 2), ხელმოწერით „ნ. სკანდელი“.

20. **ქუთაისის ბანკი** — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 1. VI, № 21). სტატია შესულია პროფ. ს. ხუნდაძის რედაქციით გამოცემულ ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების მეორე ტომშიც.

21. **ვლადიკავკაზი** — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 8. VI, № 22).

22. **გრიგოლ ორბელიანი** — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით ჟურნალ „კრებულში“ (1873 წ., № 3). სტატიის საბაბი გახდა ბ. უმიკაშვილის მიერ 1873 წელს გამოცემული გრ. ორბელიანის ლექსების კრებული.

23. **გაკვრა-გამოკვრა** — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 29. VI, № 25). სტატიის დასასრულს მითითებულია დაწერის დრო და ადგილი: „28 ივნისს 1873. თფილისი“.

24. **იმერეთის ამბები** — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 25. VI, № 25). სათაურის ქვეშ მითითებულია სტატიის დაწერის დრო და ადგილი: „ქუთაისი, 20 ივნისს 1873“.

25. **იმერეთის ამბები** — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 6. VII, № 26), მოწინავე სტატიად.

26. იმერეთის ამბები — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 13. VII, № 27) მოწინავე სტატიად.

27. გაკვრა-გამოკვრა — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 13. VII, № 27), ფელეტონის განყოფილებაში.

28. პასუხი იაკინთე ყიფიანს — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 20. VII, № 28). ამავე ნომერშია დაბეჭდილი თვით ი. ყიფიანის სტატია — „თქვენც ბანკზე, შეც ბანკზე“ და ბ. ღოღობერიძის წერილი „მოთხრობა ჩემის ოინობისა“ (გაგრძელება დაიბეჭდა შემდეგ ნომერში).

29. ორიოდე კითხვას მივცემთ უფ. ყიფიანს — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 3. VIII, № 30). იგი წარმოადგენს ი. ყიფიანის წერილის „ერი ჰა

35. მნათობის სიკვდილი — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 3. VIII, № 30). სტატია შესულია პროფ. ს. ხუნდაძის რედაქციით გამოცემულ ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების მეორე ტომშიც.

36. გაკვრა-გამოკვრა — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 10. VIII, № 31).

37. ბაზენის საქმე—დაიბეჭდა ხელმოუწერლად გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 10. VIII, № 31).

38. სპარსული წერილები (Персидския письма) — დაიბეჭდა ფსევდონიმით «П. Ботин» გაზეთ «Тифлисский Вестник»-ში (1873г., 11. VIII, № 84).

39. რუსეთის ცხოვრება — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით ჟურნალ „კრებულში“ (1873 წ., № 5-6).

40. „გლახის ნაამბობი“ მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა“ — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით ჟურნალ „კრებულში“ (1873 წ., № 5-6).

„გლახის ნაამბობის“ პირველი ნაწილი (1-6 თავი) დაიბეჭდა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ (1863 წ.). ამ დროისათვის ილიას მოთხრობის სხვა თავები არ ჰქონია დაწერილი და ათი წლის განმავლობაში არც მოუკიდნია ხელი მისი გაგრძელებისათვის. 1872 წელს, განსაკუთრებით ნ. ნიკოლაძის დაჟინებული თხოვნით, ილია შეუდგა „გლახის ნაამბობის“ მეორე ნაწილის დაწერას.

„დღეს მიეყავ ხელი „გლახის ნაამბობის“ გაგრძელებასო“ სწერდა ილია კ. ლორთქიფანიძეს 1872 წლის 9 დეკემბერს. ხოლო 1873 წლის 18 იანვარს ილია ნ. ნიკოლაძეს ატყობინებდა: „გაგრძელება მზადდება. ოთხი თავი, რომელიც უდრის 35 გვერდს „საქართველოს მოამბისას“, მზად არის კიდეც „კრებულის“ სამსახურისათვის. მე მგონია, რომ შესრულებისათვის ერთი ამოდენა კიდევ დამჭირდეს. ასე, რომ თებერვლისა და მარტის კრებულსა თავ-საყრელად ეყოფა. ეწერ კი, მაგრამ არ ვიცი როგორი მოსაწონი გამოვა. ცუდი საქმე მიყავით, რომ ეგრე ცოტა დრო მომეცით ნაამბობის შესასრულებლად. რაც ახალი დამიწერია, მინდოდა წენთვის გამომეგზავნა, რომ შენ და კირილეს (ლორთქიფანიძეს — დ. კ.) თვალი გადაგეელოთ და მის შემდეგ თქვენი პირუთვნელი აზრი ჩემთვის გეცნობებინათ. ამ გაზრახვასაც თავი დავანებე. რაც იქნება ის მოხდეს... რაც მინდოდა იმას კი ვიტყვი ჩემს „გლახის ნაამბობში“ და კარგად ვიტყვი, თუ ცუდათ — ამის დარდი ბევრი არა მაქვსო“...

ნ. ნიკოლაძემ და ჟურნალ „კრებულის“ მესვეურებმა, საერთოდ, მეტად დიდი საქმე გააკეთეს იმით, რომ ილია კვლავ დაუბრუნეს მწერლობას. „მგზავრის წერილები“, „აჩრდილი“ და „გლახის ნაამბობი“ სწორედ „კრებულში“ გამოქვეყნდა გადამუშავებული და საბოლოო სახით.

როგორც ნ. ნიკოლაძისადმი გაგზავნილ წერილიდან ჩანს, ილიას გადაწყვეტილი ჰქონდა „გლახის ნაამბობი“ დაბეჭდვამდე ნ. ნიკოლაძისა და კ. ლორთქიფანიძისათვის გაეცნო და მათი აზრი შეეტყო, მაგრამ შემდეგ პირდაპირ დასაბეჭდად გაუგზავნია.

ნ. ნიკოლაძესაც, თავის მხრივ, საჭიროდ ჩაუთვლია თავისი შეხედულება გამოეთქვა ილიას „პირმშო ძეზე“, როგორც თვით ავტორი უწოდებდა „გლახის ნაამბობს“, და „კრებულის“ ფურცლებზე (1873 წ., № 5-6) გამოაქვეყნა თავისი ვრცელი კრიტიკული სტატია.

ნ. ნიკოლაძის სტატია ცილდება რეცენზიის ფარგლებს. იგი წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი გზის დახასიათებას საერთოდ და, ამასთან ერთად, ქართული კრიტიკული რეალიზმის წინაშე მდგომი ამოცანების გარკვევას. სწორედ ამ სტატიაში წამოაყენა ნ. ნიკოლაძემ ე. წ. შეუფერავი რეალიზმის თეორია, რომელიც თავის დროზე ნ. ჩერნიშევსკიმ დაასაბუთა რუსული მწერლობის მაგალითზე (იხ. დ. გამეზარდაშვილი — „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან“, ტ. II, გვ. 600—612).

41. ჩემს პიროვნებაზე — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით ჟურნალ „კრებულში“ (1873 წ., № 7).

აღნიშნული სტატიის საბაბი გახდა ჟურნალ „მნათობში“ (1872 წ., № 10, 11, 12) გამოქვეყნებული ანტ. ფურცელაძის სტატია — „საწყალი კუდაბზიკა“ („კრებულ-დროება“ და იმათი ყვინჩილაობა“), რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენდა „პასუხს“ ჟურნალ „კრებულში“ (1872 წ., № 10-11-12) გამოქვეყნებულ ნ. ნიკოლაძის სტატიაზე („ჩვენი მწერლობა“).

42. ანრი როშფორი — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით ჟურნალ „კრებულში“ (1873 წ., № 8).

43. ანრი როშფორის დაკარგვა — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 17. VIII, № 32).

44. გაკვრა-გამოკვრა — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 24. VIII, № 33), ფელეტონის განყოფილებაში.

45. სათეატრო შენიშვნა (Театральная заметка) — დაიბეჭდა

გაზეთ «Тифлисский Вестник»-ში (1873 г., 26. VIII, № 85), ფსევდონიმით «П. Ботин».

46. ჩვენი თეატრი (Наш театр) დაიბეჭდა სამ სტატიად გაზეთ «Тифлисский Вестник»-ში (1873 г., 20, 23. IX, 2. X, № 93, 94, 98), ხელმოწერით «П. Ботин».

47. იმერეთის ამბები — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის" ხელმოწერით გაზეთ „დროებაში" (1873 წ., 31. VIII, № 34).

48. ქუთაისის ბანკის საქმე — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის" ხელმოწერით გაზეთ „დროებაში" (1873 წ., 31, VIII, № 34).

49. ქუთაისის ბანკის საქმე — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის" ხელმოწერით გაზეთ „დროებაში" (1873 წ., 7. IX, № 35).

50. პოლემიკა ქუთაისის ბანკის შესახებ (Полемика о Кутаисском банке) დაიბეჭდა გაზეთ «Тифлисский Вестник»-ში (1873 г., 27. IX, 2. X, № 96, 98), ხელმოწერით «Н. Скандэли».

პირველი წერილის საბაბი გახდა გაზეთ «Т. В»-ის (№ 94) მოწინავე სტატიაში გამოთქმული აზრი: «...Грузинская газета («Дроэба»—Д. Г.), в лице своего талантливого публициста, г. Скандэли, съумела свести вопрос о кутаисском банке на личности. Г. Скандэли нашел проект банка «негодным», в чем ему, по его словам, сознавался сам автор проекта. Негодность проекта усугублялась в глазах г. Скандэли еще тем обстоятельством, что в банковом деле принимал участие Николай Гогоберидзе, который «по нашему (т.е. по мнению г. Скандэли), мог принести банку только вред». Другое дело один из сотрудников «Дроэбы» — тот мог принести только пользу. Но в вопросах о вреде и пользе ближе всего судить самим избирателям, а участие печати — уместное и законное, хотя у нас и непринятое — не должно ограничиваться бездоказательными афоризмами».

მიუხედავად მეტად ვრცელი განმარტებისა, ნ. ნიკოლაძის პასუხმა («Т. В.», 1873, № 96) მაინც ვერ „დააკმაყოფილა" რედაქცია და თავის მოწინავე სტატიაში («Т. В.», 1873, № 97) კვლავ შენიშნა:

«В длинном письме г. Скандэли мы еще раз не встретили того, отсутствие чего мы ставили на вид газете «Дроэба», т. е. критики устава Висариона Гогоберидзе».

ნ. ნიკოლაძემ საჭიროდ ჩათვალა ეპასუხნა რედაქციის ამ შე-

ნიშვნისათვის და იმავე გაზეთის მომდევნო ნომერში («Т. В.», 1873, № 98) გამოაქვეყნა ვრცელი სტატია.

გაზეთი და, პირველყოვლისა, მისი რედაქტორი კ. ბებუთოვი მაინც არ დარჩა კმაყოფილი ნ. ნიკოლაძის სტატიით და კვლავ დაბეჭდა წერილი «Краткий ответ г-ну Скандэли», რომელშიც „დროების“ რედაქციას, და კერძოდ ნ. სკანდელს, მაინც ბრალსა სდებს არაობიექტურობაში.

ამის შემდეგ, ცხადია, ნ. ნიკოლაძეს ამ საკითხზე მეტი განმარტება აღარ დაუწერია; აშკარა იყო, რომ კ. ბებუთოვის მიზანს არ წარმოადგენდა ჭეშმარიტების დადგენა.

51. გაკვრა-გამოკვრა — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 14. IX, № 36).

52. ჯანდაბა — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 21. IX, № 37).

53. ჩვენი ქალაქების საზოგადოებრივი საქმეები — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 28. IX, № 38) მოწინავე სტატიად, საერთო რუბრიკით — „საქართველო“.

54. ქართული სასწავლებლების შესახებ — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 8. X, № 39) მოწინავე სტატიად, საერთო რუბრიკით — „საქართველო“.

55. გადავარჩინოთ ვაზი დალუპვას — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 12. X, № 40), საერთო რუბრიკით — „საქართველო“.

56. სასოფლო ბანკების თაობაზე — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 19. X, № 41), საერთო რუბრიკით — „საქართველო“.

57. ბაზენის პროცესი — დაიბეჭდა სამ სტატიად „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით, გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 19. X, 2 და 9. XI, № 41, 43. 44).

58. წყლისა და გაზის გაყვანის კონცესიის თაობაზე — დაიბეჭდა ხელმოუწერლად გაზეთ «Тифлисский Вестник»-ში (1873 г., 25. X. № 112) მოწინავე სტატიად («Тифлис; 24-го октября»).

59. გაზისა და წყლის გაყვანა თფილისში — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 26. X, № 42).

აღნიშნული სტატიიდან ამოვიღეთ ის ადგილი, სადაც ავტორის

მიერ გადმოცემულია თბილისის სამოქალაქო გამგეობის წევრთა სიტყვების მოკლე შინაარსი, რომელიც არაფერს მატებს სტატიის შინაარსს.

საერთოდ არ შეგვიტანია ტომში ქალაქის გამგეობის მეორე სხდომის ანგარიში, რომელიც გამოქვეყნებულია „დროებაში" (1873 წ., 2. XI, № 43) სათაურით „გაზისა და წყლის გაყვანა თბილისში", ვინაიდან იგი წარმოადგენს გამგეობის წევრთა გამოსვლების მეტად შემოკლებულ ანგარიშს მხოლოდ და თვით ნ. ნიკოლაძის შეხედულება არსად არის გადმოცემული.

60. კვლავ გაზისა და წყლის გაყვანის თაობაზე — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის" ხელმოწერით გაზეთ „დროებაში" (1873 წ., 2. XI. № 43) მოწინავე სტატიად, საერთო რუბრიკით — „საქართველო".

61. დასაწყისი დასასრულისა — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის" ხელმოწერით გაზეთ „დროებაში" (1873 წ., 26. X, № 42).

62. თეატრი (Театр)—დაიბეჭდა ხელმოუწერლად გაზეთ «Тифлисский Вестник»-ში (1873 г., 1. XI, № 115).

63. ახირებული ამბავი — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის" ხელმოწერით გაზეთ „დროებაში" (1873 წ., 16. XI, № 45) საერთო რუბრიკით — „საქართველო".

64. მშვიდობით, მშვიდობით! — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის" ხელმოწერით გაზეთ „დროებაში" (1873 წ., 16. XI, № 45), ფელეტონის განყოფილებაში.

ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ მანამდეც ხშირად დაიარებოდა, მაგრამ მისი გამგზავრება ამჯერად (1873 წლის ნოემბერში) განსაკუთრებულ ვითარებას დაემთხვა. ნ. ნიკოლაძე ამ დროს პოლემიკას აწარმოებდა თავის მოწინააღმდეგეებთან, რომლებიც ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ როგორმე სახელი გაეტეხათ მებრძოლი პუბლიცისტისათვის. ისინი არ თაკილობდნენ „კულისებიდან" ებრძოლათ მის წინააღმდეგ და სხვადასხვა მონაჟორებიც ევრცელებიათ. ამიტომაა რომ მათი საქციელით აღშფოთებული ნ. ნიკოლაძე თავის სტატიაში საქვეყნოდ აცხადებს: „ამ პირებს, თავიანთ კერძო სარგებლობაში და პიროვანი მიზნის ძიებაში ჩაფლულებს, როდი სწამთ სხვებში არც გულწრფელობა, არც პატიოსნება, არც საზოგადო მსახურება და ჩვენი „დროების" წინააღმდეგ ისინი, აზრის დარღვევის ან მიმართულების ბრძოლის მაგიერ, პიროვან შეწამებას ჩვენ თავზე გვახვევენ... უსირცხვილოდ, შეუპოვრად, აშკარად, მთელი საზოგადოების წინ, კაცი, რომელმაც ღვიძლი ძმა გაძარცვა, ჩვენ მძარცველს

გვეძახის ვინც ბანქოში შულერობით ფული მოიგო — ჩვენ გაიძვერას გვიწოდებს, ვინც მზითვისთვის ძუძუს მწოვარი და უნახავი ქალი შეირთო — ჩვენ პირადი სარგებლობის ძიებას გვწამებს, ვინც უფროსის ხელის ლოკვით ადგილი დაიმსახურა, ჩვენ უფროსების მორიდებას გვაწერს, ვინც თავისი მასწავლებელი გასცა — ჩვენზე ამბობს — სანდო კაცები არ არიანო, და ვინც ქურდობაში დაჭერილი იყო — ჩვენ ქურდის სახელს გვარქმევსო"...

ნ. ნიკოლაძის გამოსამშვიდობებელმა სტატიამ ფართო გამოძახილი გამოიწვია საზოგადოებაში. მისი საზღვარგარეთ გამგზავრება სხვადასხვაგვარად იქნა გაგებული და დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა. „დროების" რედაქციამ ამის გამო საგანგებო წერილიც კი გამოაქვეყნა:

„მკითხველებს

ჩვენ გავიგონეთ, რომ უფ. სკანდელის გამოსათხოვარი ფელეტონი ბევრს ძალიან უსწოროთ გაუგია.

მაგ., ვინც სკანდელის კალმისაგან დაზიანებულა ოდესმე, ისინი, თურმე, იძახიან და ამბობენ „გადაუწყდა, შორდება „დროებასო".

ისინი კი, ვინც უფ. სკანდელის მწერლობით კმაყოფილი არიან და ჰპოულობენ ამ მწერალს სასარგებლო ლიტერატორათ, ჰფიქრობენ თურმე, რომ სკანდელი სალიტერატურო ასპარეზს სტოვებს, თუ სამუდამოთ არა, დიდის ხნით ხომ მაინც.

ჩვენ შეგვიძლია ვანუგეშოთ პირველნიცა და მეორენიც.

უფ. სკანდელი მხოლოდ... მცირეს ვადით მიდის საზღვარს გარეთ: ის სრულებით არ სტოვებს სალიტერატურო ასპარეზს ამ ცოტა ხნის განმავლობაშიც. მკითხველი ხშირად ნახავს კვლავაც სკანდელის კალამს „დროების" ფურცელზედ. მაშ, აქ არც ვისმეს სიხარულს აქვს საფუძველი, არც ვისმეს მწუხარებას.

იმ მიზეზით, რომ უფროსი რედაქტორი უფ. მესხი და ორი უმთავრესი თანამშრომელთაგანი რამდენიმე ხნით ნიადაგ თანამშრომლობას სტოვებენ, ვარწმუნებთ მკითხველს, ამით ერთი იოტის ოდენიც არ მოაკლდება „დროების" მიმართულებას.

შემდეგშიაც, როგორც აქამდი, „დროება" დაუზოგველი სასტიკობით მოეპყრობა ყოველ მოვლენას და ყოველ პირს, რომელიც, მისი აზრით, ჩვენი საზოგადოებრივი წარმატებისათვის მავნებელი იქნება" („დროება", 1873 წ., 30. XI, № 400).

ეს განცხადება კ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის, ვინაიდან „დრო-

ებას“ მაშინ იგი რედაქტორობდა. განცხადებიდან აშკარაა, რომ ნ. ნიკოლაძე არც რედაქციაზეა განაწყენებული (კ. ლორთქიფანიძესთან იგი ყოველთვის კარგ დამოკიდებულებაში იყო) და არც სხვა ვინმეს აუძულებია წასულიყო საზღვარგარეთ.

ნ. ნიკოლაძემ საზღვარგარეთ გამგზავრება გადაწყვიტა, პირველყოვლისა, ე. წ. ტყიბულის საქმეების მოსაგვარებლად. გარდა ამისა, მას ძალიან აინტერესებდა საზოგადოება „უღლის“ მუშაობა ციურიხში და სურდა თავისი წვლილი შეეტანა მის საქმიანობასა და მიმართულებაში.

ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია მხოლოდ იმან, რომ ნ. ნიკოლაძის გამგზავრება საზღვარგარეთ ამჯერად დაემთხვა ისეთ პერიოდს, როცა მას მკაცრი პოლემიკა ჰქონდა ბ. ღოღობერიძესთან, ი. ყიფიანთან, ანტ. ფურცელაძესთან და სხვებთან.

წასვლის წინ, თავის სტატიაში მან კიდევ ერთხელ მისცა შეფასება მოწინააღმდეგეთა პოზიციასა და ბრძოლის ტაქტიკას, აგრძნობინა, რომ მათთან კამათს წყვეტს საზღვარგარეთ წასვლის გამო და არა სხვა მიზეზით. „მაშ, გტოვებთ გულდამშვიდებული, — მიმართავს ნ. ნიკოლაძე თავის კრიტიკოსებს, — გულმობიერათ შეგინდობთ ყველაფერს, რაც თქვენ ჩემს წინააღმდეგ გიბაიყუშნიათ, და გესალმებით თუ სამუდამოთ არა, გვარიან ვადითა მაინც. მშვიდობით, ნახვამდის“.

ნ. ნიკოლაძის ასეთი დამშვიდობება, როგორც აღვნიშნეთ, ბევრმა ისე გაიგო თითქოს მან ბრძოლას აარიდა თავი და უფრო მოსვენებული ცხოვრება ირჩია. როგორც ჩანს, ასე გაიგო ეს ილია ჭავჭავაძემაც, რომელიც მაშინ პეტერბურგში იყო. ილიამ საგანგებო წერილიც კი მოსწერა ნიკოს: „ძმაო ნიკო! წავიკითხე შენი გამოსალმება, — წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არ მჯერა. ნუთუ მართლა შენ დაჰსწერე ის, რასაც შენი არ უსახელო სახელი აწერია ქვეშ? ნუთუ მართლა შეუშინდი ჭიაჭუებს და იმათს ბზუილზე გაფთხი? მე იმოდენად შენ პატივს გცემ, რომ იმის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჯერებ...

...მერე იცი, რა კბილი ჩავარდება იმ რაზმს, რომელშიაც შენ ფალავნად გვეგულებოდი, ყველას, ვინც კი შენი თანაზიარი იყო... განა წინადვე არ იცოდი, რომ მაგ გზაზედ, რომელსაც შენ დაადეგ, ათასი ვაივაგლახი, ბეზღი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგხვდებოდა ჯილდოდ შენის შრომისა და მოღვაწეობისა? ...პირმოთნეობაში ნუ ჩამომართმევ — და შენ მე პატივს გცემდი როგორც ნიჭიერს, რიგიანს, გამბედავს და დაუშრომელს მოღვაწესა, როგორც კაცსა,

რომელზედაც კაცური-კაცის თვალი იმედით შეჩერებოდა და რომელთანაც დამეგობრება და ერთად უღელში შებმა სახარბიელოა... და ამის გამო აი რას გთხოვ:

თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ეგრე თამამად და უშიშრად იღწვოდი, თუ ის ყოველიფერი, რითაც შენ მოსაწონი ხარ, ქარის მოტანილი არ არის, ნუ აღასრულებ მას, რასაც გვიქადი. დარჩი მაგ უბედურს ქვეყანაში; მაგრე სამარცხვინოდ ბოლოს ნუ მოუღებ მას, რაც ეგრე რიგიანად, შენ თითონვე დაიწყე...

თუ შენ ის სკანდელი ხარ, როგორიც იყავი, მაშინ მიხვდები, რა სურვილი და რა გრძნობა მაწერინებს ამ წერილსა"...

გაზეთ „დროებაში" (1873 წ., № 404) დაიბეჭდა საგანგებო სტატიაც — „წიგნი რედაქტორთან", რომელიც ხელმოწერილია „ჩვენ უჩინონი". წერილის ავტორები შედარებით მკაცრ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ნ. ნიკოლაძის წასვლის გამო და საყვედურობენ სიფიცხესა და აჩქარებას.

გამოითქვა აზრი, რომ ეს სტატია ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა (იხ. ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების მეორე ტომზე დართული პროფ. ს. ხუნდაძის შენიშვნები, გვ. 398). შაგრამ დღეისათვის დამაჯერებლადაა დადასტურებული, რომ სტატიის ავტორი პეტერბურგში იმ დროს მოსწავლე რამდენიმე სტუდენტია; ილია ჭავჭავაძეს მხოლოდ „შალაშინი" გაუკრავს ამ სტატიისათვის, შეუსწორებია და უფრო მოკრძალებული ტონი მიუცია მისთვის (იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის მეათე ტომზე დართული პ. ინგოროყვას შენიშვნები, გვ. 484-492).

პატივცემული მკვლევარი პ. ინგოროყვა იმ აზრისაა, რომ თვითონ ნ. ნიკოლაძესაც ეს სტატია ილია ჭავჭავაძისად მიაჩნდა. იგი წერს: „აღსანიშნავია, რომ თვით ნიკო ნიკოლაძეც ამავე აზრისა ყოფილა, ვითომ ავტორი ამ წერილისა ილია იყო.

ნიკო ნიკოლაძის არქივში დაცულია შავი ამ წერილისა, რომელიც გაზეთ „დროებაში" დაიბეჭდა ხელმოწერით „ჩვენ უჩინონი". კონვერტზე, რომელშიაც ინახება ეს შავი, წარწერილია ნიკო ნიკოლაძის ხელით:

„ადრესი, რომელიც 1873 წლის ბოლოს გამომიგზავნეს პეტერბურგის სტუდენტებმა (შავი, ილიას ხელით ნაწერი). გადმომცა 1887-ში ილიკო ბახტაძემ".

ჩვენ გვგონია, რომ ნ. ნიკოლაძემ სწორად იცოდა ამ წერილის ისტორია. ამაზე მეტყველებს თვით წარწერაც იმ კონვერტისა, რომელშიც ნ. ნიკოლაძეს ეს „ადრესი" აქვს შენახული. აქ პირდაპირაა

ნათქვამი: „ადრესი, რომელიც 1873 წლის ბოლოს გამომიგზავნეს პეტერბურგის სტუდენტებმაო“. მითითებულია იმაზეც, რომ „შავი, ილიას ხელით ნაწერი“ არის, ე. ი. მასში ილიას მიერ არის ჩამატებული ადგილები. შეუძლებელიც არის ვიფარაუდოთ, რომ ნ. ნიკოლაძეს ამ სტატიის ისტორია დაწვრილებით არ შეეტყო.

„ბიუხედავად მტერ-მოყვარეთა კიცხვისა და რჩევა-დარიგებისა“, ნ. ნიკოლაძემ თავისი გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა. მას, როგორც „დროების“ რედაქციაც აცხადებდა, განზრახული ჰქონდა თანამშრომლობა გაეგრძელებია გაზეთში საზღვარგარეთიდანაც, მაგრამ იქ ჩასვლის შემდეგ მეტად განსაკუთრებული ვითარება შეიქმნა მასსა და ს. მესხს, გ. წერეთელსა და „დროების“ სხვა თანამშრომელთა შორის, რამაც გამოიწვია მისი ჩამოცილება „დროებასთან“ 1876 წლამდე.

ამ ვითარებას მშვენივრად წარმოგვიდგენს დ. მიქელაძისადმი პარიზიდან გამოგზავნილი ნ. ნიკოლაძის პირადი წერილი (დაწერილი 1874 წლის 21 ივლისს), რომელშიც ვკითხულობთ: „...დავიწყებ იქიდამ, რაზედაც შენ ეხლა ფიქრობ: რა მიზეზია რომ მე ეგრე გაეყუჩდი „დროების“ შესახებ, და ამდენი ხანია ერთი სტრიქონიც არაფერი დავწერე ამ გაზეთისათვის. შენ ეს ამბავი ერთობ გაგაკვირვებს, მაგრამ მაინც გეტყვი: მე გადავწყვიტე, მას შემდეგ, რაც აქ და ჟენევაში მესხი (ორივე ძმები), გ. წერეთელი, ჯაფარიძე და სხვ. ვნახე, რომ იმ დღის შემდგომ რამდენიმე წლის განმავლობაში ერთ სტრიქონსაც აღარ დავბეჭდავ არც „დროებაში“, არც „კრებულში“, არც სხვა ჩვენებურ გამოცემებში. ამის მიზეზი ძნელად მოიწერება... მაგრამ ხელგაკრულად კი გეტყვი, რომ მე მარტო იმიტომ კი არ ვწერდი, რომ ჩემი ნაწერი დაბეჭდილად მენახა. მე მეგონა, რომ ჩვენი წერა-ბეჭდვა ერთ ხეირიან წრეს დააარსებდა, რომელსაც ხეირიანი მიზანი, მოქმედება და გაელენა ექნებოდა საზოგადოებაზე. მაგრამ როცა ამგვარი წრის მაგიერ მე ხელში შემრჩა ისეთი კაცების გროვა, რომელნიც ერთმანეთს მტრობენ, ერთმანეთზე გულდანდობილი არ არიან, ერთმანეთის მდგომარეობა ან გავლენა ეხარბებათ, ერთმანეთს ცილს წამებენ და სახელს უტეხენ, მე, რასაკვირველია, ვისურვე ამგვარი გროვიდან თავის დახსნა და განზე გადგომა“...

აი, რა იყო იმის მიზეზი, რომ ნ. ნიკოლაძე ამ წლებში თითქმის მხოლოდ «Тифлисский Вестник»-ში თანამშრომლობს.

1876 წლის 10 მარტს ნ. ნიკოლაძე კვლავ გამოჩნდა „დროების“ ფურცლებზე და თავის ძველ მკითხველს მიმართა მეტად შინაარსიანი და პათოსით მდიდარი სტატიით — „სალამი“.

65. ყველის საარტელო წარმოება — დაიბეჭდა ხელმოუწერლად გაზეთ «Тифлисский Вестник»-ში (1873 г., 17. XI, № 112) მოწინავე სტატიად («Тифлис, 16-го ноября 1873 г.»).

66. სამოწყალო განხილვისათვის—დაიბეჭდა «П. Ботин»-ის ხელმოწერით გაზეთ «Тифлисский Вестник»-ში (1873 г., 17. XI, № 121).

67. კაცხის ვლეხების საქმე — დაიბეჭდა ხელმოუწერლად გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 23. XI, № 400) მოწინავე სტატიად.

აღნიშნული სტატია, თავისი შინაარსით, წარმოადგენს გაგრძელებას ნ. ნიკოლაძის ადრე გამოქვეყნებული წერილისას — „ახირებული ამბავი“ („დროება“, 1873 წ., № 45).

კაცხის გლეხობის საქმემ (ე. წ. აბაშიძეების დავამ) „დროების“ ფურცლებზე საკმაო გამოძახილი ჰპოვა. თავის 399-ე ნომერში გაზეთის რედაქცია აცხადებდა: „იმ გლეხების შესახებ, რომელთაც თ. აბაშიძეები ითვისებენ, ჩვენ ორივე მხრიდან მივიღეთ დაწვრილებითი აღწერილობა იმ სიმართლეებისა, რომელზედაც თითოეული მხარე თავის საჩივარს აფუძნებს. სხვადასხვა გარემოების გამო ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ შევიძელით ამ ნომერში ორივე მხარის სიმართლის დამამტკიცებელი საბუთების მოყვანა. დღეს მარტო ერთ კორესპონდენციას ვბეჭდავთ, რომელიც საქმეს აბაშიძეების სასარგებლოდ აჩვენებს. შემდეგ ნომერში კი იმედი გვაქვს წარუდგინოთ მკითხველს ცნობები, რომლითაც გლეხები თავის სიმართლეს ამტკიცებენ. ამასთანავე, თუ შევიძელით, ჩვენს საკუთარ შეხედულებასაც გამოვთქვამთ ამ მეტად საინტერესო საქმეზედო“.

მართლაც, გაზეთის ამავე ნომერში დაბეჭდილია კორესპონდენცია ქუთაისიდან, რომელიც ხელმოწერილია ინიციალით „Z“. კორესპონდენციის ავტორი „ამტკიცებს“, რომ 1820 წელს ეგზარხოსმა თეოფილაქტემ მოინდომა მონასტრების ბატონებისაგან განთავისუფლება შეწირული ყმითა და მამულით, მაგრამ დავა გაგრძელდა და სენატმა კვლავ ძალაში დატოვა ძველი მდგომარეობაო.

ამგვარი ვერსიის საწინააღმდეგოდ და გლეხების ინტერესების დასაცავად „დროების“ მომდევნო ნომერში დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის

სტატია — „კაცხის გლეხების საქმე“ (ხელმოუწერლად). იქვე დაბეჭდილია წერილი „დამატება სტატიისა „კაცხელი გლეხების საქმის გამო“. წერილში ნათქვამია: „ზემოთ დაბეჭდილი სტატია აწყობილი იყო, როცა ერთი პატივცემული რუსისაგან შემდეგი შენიშვნა მივიღეთ. ეს შენიშვნა კაცხელი გლეხების საქმეს ისტორიული მხრით ხსნის“. შენიშვნის აზრი ისაა, რომ კაცხელი გლეხების პრეტენზია კანონიერი და დასაბუთებულია იმ მიზეზის გამო, რომ „ის ადგილ-მამულები, რომელნიც ეკლესიებისა და მონასტრებისათვის შეუწირავთ უპირობოთ, უსადაოთ, ნამდვილად საეკლესიო ადგილ-მამულები არიან და ამგვარი მამულები ყველა ხაზინას ჩამოურთმევია ეკლესიისათვის და იმის მაგიერ ხაზინა ინახავს მონასტრებს, ეკლესიებსა და სხვ. გლეხები, რომელნიც ამგვარ მიწებზედ სახლდებიან, უსათუოდ სახაზინო უწყებაში უნდა გადასულიყვნენ და კიდეც გადავიდნენ და არავითარი ბეგარა არ მართებსთ არც იმათი შემწირველების და არც შემწირველების მახლობელი და შორებელი შთამომავლობისა“.

68. ბუნების კარი — დაიბეჭდა „ნ. სკანდელის“ ხელმოწერით გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 30. XI, № 400), საერთო რუბრიკით — „მწერლობა“.

როგორც უკვე გარკვეულია (იხ. მ. საჯაია — „ნ. ნიკოლაძის უცნობი სტატიები“, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1961 წ., № 6), ნ. ნიკოლაძემ ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ შესახებ რეცენზია გამოაქვეყნა ჯერ კიდევ მის პირველ გამოცემასთან დაკავშირებით (იხ. გაზ. „დროება“, 1868 წ., № 48). აღნიშნული რეცენზია არაა დამთავრებული. გაგრძელება, რომელიც უნდა დაბეჭდილიყო, აღარ დაბეჭდილა. მაშინ ნ. ნიკოლაძე მოწონებით შეხვდა „ბუნების კარის“ გამოცემას და მაღალ შეფასებას აძლევდა ი. გოგებაშვილის დამსახურებას ამ მიმართულებით.

რაც შეეხება „ბუნების კარის“ მეორე გამოცემას (1873 წ.), როგორც ვხედავთ ნ. ნიკოლაძემ მის შესახებ მეტად მკაცრი შენიშვნები გააკეთა. მისი ეს სიმკაცრე გამოწვეულია იმით, რომ ი. გოგებაშვილმა მასში არ გაითვალისწინა პირველი გამოცემის ნაკლოვანებანი.

საერთოდ, ნ. ნიკოლაძე უაღრესად კმაყოფილი იყო ი. გოგებაშვილის მოღვაწეობით და სანიმუშოდ მიაჩნდა იგი სხვებისათვის. ამ

მხრივ მეტად საინტერესოა სტატია — «На праздники», რომელიც გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ დაიბეჭდა (1888 წელს, № 1455).

აღნიშნულ წერილში, რომელიც «Русское слово»-ს გამოცემისადმია მიძღვნილი, ნ. ნიკოლაძე წერს: «Перед мною лежит книга... под заглавием «Русское слово»... Составлена эта книга г. Яковом Гогебашвили, автором значительного количества учебников, которыми держится грузинская начальная школа и которые все одобрены или рекомендованы ученым комитетом министерства народного просвящения. Новое «Руководство» г. Гогебашвили представляет собою применение метода Марго к преподаванию русского языка грузинам, с довольно существенными, впрочем, улучшениями, сообразно с приемами г. Ушинского и наглядного преподавания».

ნ. ნიკოლაძე აღტაცებულია ი. გოგებაშვილის შრომისმოყვარეობით, საქმისადმი სიყვარულით და მტკიცე ნებისყოფით. მისი თქმით, «...не розами усыпан был путь, на который он (Я. Гогебашвили — Д. Г.) стал. Я уже не говорю об исключительности и нетерпимости среды, в которой он первоначально вращался... Но главное, не было недостатка и в жестоких ударах со стороны и специальной критики, и наиболее передовой части нашей местной печати. Не говоря уже о других разборах и нападениях, даже и тот, кто теперь пишет вот эти строки, не раз страстно и яростно бичевал г. Гогебашвили, как в грузинской, так и в местной русской печати...»

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე არ ერიდება თვითკრიტიკასაც და თავისას უზღავს ამაგდარ პედაგოგსა და მოღვაწეს. იგი იზიარებს ი. გოგებაშვილის შეხედულებას მშობლიური ენის შესწავლის პირველადობის აუცილებლობაზე და დასძენს: «г. Гогебашвили общеизвестен, как неутомимый и убедительный проповедник и применитель той педагогической истины, что родной язык (для грузин — грузинский) составляет необходимое и полезнейшее подпорье для изучения детьми всяких других языков и наук. Эту мысль он неоднократно проводил в своих учебниках и в своих статьях и занятиях. В глазах всей грузинской публики он служит живым воплощением идеи «Родного языка» в школе... Отсюда же та клевета, которая из среды закоруз-

лых педагогов перешла было даже и на столбцы некоторых местных газет: будто лица, проповедующие необходимость употребления местных языков, как орудия преподавания в туземных школах, ставят преграду развитию в туземной среде знания русского языка. Последний учебник г. Гогебашвили служит ярким и красноречивым опровержением этой нелепой клеветы»...

60. ქუთაისში რკინიგზის გაყვანის აუცილებლობის შესახებ — დაიბეჭდა ხელმოუწერლად გაზეთ «Тифлисский Вестник»-ში (1873 г., 4. XII, № 127), მოწინავე სტატიად («Тифлис, 3-го декабря»).

კომენტარები

1. ბონაპარტები წარმოშობით იტალიელი აზნაურები იყვნენ. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი, მეთექვსმეტე საუკუნეში, კუნძულ კორსიკაზე გადასახლდა. საფრანგეთის იმპერატორი და სახელმოხვეჭილი მხედართმთავარი ნაპოლეონ I (1769-1821) კორსიკელი ბონაპარტების წარმომადგენელი იყო. ტახტზე ასვლის შემდეგ, მან გაამეფა თავისი ძმები და დებიც კი. მისი დამარცხების შემდეგ ბონაპარტებმა ყველა ტახტი დაკარგეს. ნაპოლეონ I-ის შვილი, რომელიც ნაპოლეონ II-ის სახელით არის ცნობილი, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა ავსტრიის იმპერატორის კარზე. ძმისშვილი — ლუი ნაპოლეონი 1848 წელს საფრანგეთის პრეზიდენტად აირჩიეს, ხოლო 1852 წელს — საფრანგეთის იმპერატორი გახდა და ისტორიაში ცნობილია ნაპოლეონ III-ის სახელით.

2. 1863 წელს ფრანგებმა დაიპყრეს მექსიკა და ნაპოლეონ მესამის მოთხოვნით მექსიკის იმპერატორად არჩეულ იქნა ავსტრიის ჰერცგერცოგი, — იმპერატორ ფრანც-იოსების ძმა მაქსიმილიანე, მაგრამ აჯანყებულებმა შეძლეს ინტერვენტების დამარცხება; 1867 წლის მაისში მაქსიმილიანე ტყვედ ჩაიგდეს, გენერალმა ესკობედომ უარი თქვა მასთან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე და 19 ივნისს დახვრეტილ იქნა.

3. ტაეპი — „გაქნილობა რომ გაუდის, ჭკუის ხმა აქვს დავარდნილი“ — მოყვანილია ილ. ჭავჭავაძის „გამოცანების“ მესამე სტროფიდან, რომელიც „მიძღვნილია“ გენერალ ივანე კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონისადმი.

4. 1872 წელს ქართველმა მოღვაწე ქალებმა: ეკ. მელიქიშვილმა, ელ. ყიფიანმა და ეკ. გაბაშვილმა გამოსცეს „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ (პირველი წიგნი), რომლის წინასიტყვაობაში („მკითხველს“) ნათქვამია: „აქვე ვაცხადებთ, რომ ამ ჩვენ „თარგმანებს“ სრულებით პერიოდული (დრო გამოშვებითი) ხასიათი არ ექნებათ: შეიძლება, წელიწადში ერთი, ორი, ან სამი წიგნი გამოვცეთ და შეიძლება არცერთიცო“.

როგორც კ. მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული „თარგშანნის...“ პ. უმიკაშვილისეული ეგზემპლიარიდან ირკვევა, წინასიტყვაობა („მკითხველს“) დაწერილია ს. მესხის მიერ. პ. უმიკაშვილს მიწერილი აქვს წინასიტყვაობაზე, რომ იგი ს. მესხს ეკუთვნის.

5. მხედველობაში აქვს როსელის „უკანასკნელი დღეების“ შეჰოკლებული თარგმანი, რომელიც „დროებაში“ (1872 წ., № 39) დაიბეჭდა; ამავე დღიურების თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობშიც“ (1872 წ., № 2). მესამედ, სრული სახით, იგი დაიბეჭდა ქართველ ქალთა მიერ გამოცემულ წიგნში — „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“, სათაურით — „უკანასკნელი დღენი ნათანიელ როსელისა“. თარგმანი ეკუთვნის ელ. ყიფიანს, რომელმაც უშუალოდ ფრანგული ენიდან თარგმნა იგი, „დროებაში“ და „მნათობში“ გამოქვეყნებული თარგმანები კი რუსული ენიდან არის შესრულებული.

6. „ჟულ ტარო“, როგორც აწერია კიდევაც, არის „მოთხრობა საფრანგეთის ცხოვრებიდან“ და ეკუთვნის ფრანგ მწერალს, მაგრამ ქართულად იგი თარგმნილია რუსული ენიდან.

7. წიგნში—„თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ შესულია ბიოგრაფიული სურათები — „მეთვრამეტე საუკუნის ამერიკელი ქალები“ (ელეონორა უილსონი და მერი სლოკემბი). თარგმანი ეკუთვნის ეკ. მელიქიშვილს, თხზულების ავტორია ამერიკელი მწერალი ქალი ელიზავეტა ელლეტი (დაიბადა 1828 წელს).

8. „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათას“ მეორე წიგნი აღარ გამოსულა.

9. სალიტერატურო და სამეცნიერო, ყოველთვიური ჟურნალი „მნათობი“ გამოდიოდა 1869-1872 წლებში, ნიკოლოზ ავალიშვილის რედაქტორობით. ამ ჟურნალში პირველად იჩინა თავი ბალხოსნურმა მიმართულებამ. მასში თანამშრომლობდნენ ა. ფურცელაძე, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, გ. ქიქოძე, დ. ბაქრაძე, გ. წყალტუბოელი, ნ. ორბელიანი და სხვ.

„დროება“-„კრებული“ საკმაოდ მკაცრ პოლემიკას აწარმოებდა „მნათობთან“.

10. ნ. ნიკოლაძეს მხედველობაში აქვს წინა წლებში გამოქვეყნებული სტატიები: „მნათობს“ („დროება“, 1870 წ., 21. V, № 20) და „კიდევ მნათობს“ („დროება“, 1871 წ., 2. IV, № 13).

11. ავტორს მხედველობაში აქვს ფრ. შილერის დრამა „ფიესკოს

"შეთქმულება", თარგმნილი ნ. ავალიშვილის მიერ („მნათობი", 1872 წ., № 6-7, 8-9).

12. სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „კ რ ე ბ უ ლ ი" გამოდიოდა 1871-1873 წლებში. მისი ოფიციალური რედაქტორი იყო გ. წერეთელი. ფაქტიურად კი მისი რედაქტორი და მიმართულების მიმცემი ნ. ნიკოლაძეა. ჟურნალის საპროგრამო სტატიაც („კრებულის დანიშნულებაზე") — ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის; გამოვიდა 18 ნომერი.

ჟურნალში თანამშრომლობდნენ: ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ნ. ცხვედაძე, რ. ერისთავი, დ. ერისთავი, ბ. ჯაფარიძე და სხვ. როგორც პროგრესული მიმართულებისა და მდიდარი შინაარსის პერიოდული ორგანო, „კრებული" დიდი პოპულარობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა მკითხველთა შორის.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „დ რ ო ე ბ ა" კი 1866 წლიდან გამოდიოდა. მისი პირველი რედაქტორი იყო გ. წერეთელი (1866—1869 წლის აპრილი), შემდეგ კი — ს. მესხი (1869 — 1873, 1874 ოქტ. — 1880, 1882 წ.წ.), კ. ლორთქიფანიძე (1873 წ. ოქტ.—1874 წ. ოქტ.), ილია ჭავჭავაძე და ს. მესხი (1880—1881 წ. წ.), ივ. მაჩაბელი (1883—1885).

გაზეთი „დროება" 1866 — 1874 წლის მანძილზე იყო ყოველკვირეული გაზეთი, 1875 — 1876 წლებში — გამოდიოდა კვირაში სამჯერ, ხოლო 1877 წლიდან იგი გახდა ყოველდღიური გაზეთი.

13. „ ჯ ი ბ რ ი" არის გ. წერეთლის ორ მოქმედებიანი კომედია, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში" (1871 წ., № 2).

14. „მ ე ლ ა ღ უ მ ე" ნ. ნიკოლაძის პროზაული, მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც ყანრობლივად, უფრო მეტად, მხატვრულ ნარკვევს წარმოადგენს; დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში" (1871 წ., № 4) ნ. სკანდელის ხელმოწერით.

15. 1871 წელს თბილისში ცალკე წიგნად გამოვიდა დიმიტრი ბაქრაძის წიგნი — „საქართველო" (ისტორიული მიმოხილვა), რომელსაც შესაფერი რეცენზიით გამოეხმაურა ანტ. ფურცელაძე ჟურნალ „მნათობში" (1872 წ., № 1).

16. „კ რ ე ბ უ ლ ი" ოფიციალურად დამოუკიდებელ ჟურნალად არ გამოდიოდა, იგი იყო „დროების" დამატება და მისი ფაქტიური რედაქტორი ნ. ნიკოლაძე იყო.

17. ნ. ნიკოლაძეს პირველი წერილის სათაური შეცდომით აქვს დასახელებული. დიმ. ბაქრაძეს „ცისკარში", სხვა სტატიებთან ერ-

თად, გამოქვეყნებული აქვს: „ბაგრატ მეოთხე ანუ საქართველო მეთერთმეტე საუკუნეში“ („ცისკარი“, 1860 წ., № 9) და „კრება დავით აღმაშენებლის დროს“ („ცისკარი“, 1863 წ., № 2).

18. ზ ურ ა ბ მ ო ე ნ ი ძ ე ანტ. ფურცელაძის ფსევდონიმია. ამ ფსევდონიმით მან გაზეთ „დროებაში“ (1867 წ., № 35, 36, 37, 38) გამოაქვეყნა თავისი მოთხრობის „სამის თავგადასავლის“ გარჩევა, რაც შემდეგ გამომჟღავნდა და ერთგვარი ლიტერატურული სენსაცია გამოიწვია.

19. ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ა მ ბ ე“ გამოდიოდა 1863 წელს; სულ გამოვიდა თორმეტი ნომერი. მისი დამაარსებელი და რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე. „საქ. მოამბე“ გამოვიდა იმ დროს, როცა „ცისკრის“ ფურცლებზე მკაცრი ბრძოლა წარმოებდა ძველი და ახალი თაობის წარმომადგენელთა შორის. თვით ამ ბრძოლის საჭიროებამ გახადა აუცილებელი საკუთარი ორგანო ჰქონოდა ილიასა და მის თანამებრძოლებს. მიუხედავად იმისა, რომ „ცისკრელები“ უარყოფითად შეხვდნენ ახალი ჟურნალის გამოცემის იდეას, ილია ჭავჭავაძემ, გრ. ორბელიანის დახმარებით (მაშინ იგი მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა), მიიღო ჟურნალის გამოცემის ნებართვა.

„საქ. მოამბემ“, მართალია, მხოლოდ ერთი წელი იარსება, მაგრამ მაინც უდიდესი როლი შეასრულა ქართულ მწერლობაში კრიტიკული რეალიზმისა და მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპთა დანერგვის საქმეში. მისი მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ამ მხრივ თითქმის შეუძლებელია. ამიტომ იყო, რომ ნ. ნიკოლაძე მას ახალი თაობისა და ახალი მწერლობის აკვანს უწოდებს (იხ. დ. გამეზარდაშვილი, „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან“, ტ. II, გვ. 503).

20. ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი „ ც ი ს კ ა რ ი“ გიორგი ერისთავმა დააარსა და მისი რედაქტორობით გამოდიოდა 1852-53 წლებში. 1854 წლიდან გ. ერისთავმა ჟურნალის გამოცემის ნებართვა ივ. კერესელიძეს გადასცა, ხოლო თვითონ სოფ. ხიდისთავში გადასახლდა. ივ. კერესელიძემ გადაწყვიტა ჟურნალი სხვა სახელწოდებითა და განსხვავებული პროგრამით გამოეცა, მაგრამ გადაულახავ წინააღმდეგობას წააწყდა. ბოლოს იძულებული გახდა ეთხოვა „ცისკრის“ გამოცემა ძველი წესით განეგრძო და ჟურნალმაც დაიწყო გამოსვლა 1857 წლის იანვრიდან.

ივ. კერესელიძის რედაქტორობით „ცისკარი“ გამოდიოდა 1875 წლამდე (ამ წელს იგი გამოვიდა ორი ნომერი).

„ცისკარმა“ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში უაღრესად დიდი როლი შეასრულა. მისი არსებობის ხანგრძლივ მანძილზე მასში გამოქვეყნდა ძველი და ახალი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები; მან გააცნო პირველად მკითხველს ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ვ. ორბელიანის, დ. ჭონქაძის, ლ. არდაზიანის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ანტ. ფურცელაძის, რაფ. ერისთავის მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა. მანვე მისცა საშუალება ჩვენს მკითხველს თავის ენაზე გაცნობოდა გამოჩენილ რუს და ევროპელ მწერლებს.

60-იანი წლებიდან „ცისკარმა“ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ჩამორჩა ეპოქის მოთხოვნებს, მის ფურცლებზე, ძირითადად, ძველი თაობის წარმომადგენლები იბეჭდებიან, რის გამო „საქ. მოამბის“, „დროებისა“ და „კრებულისთვის“ კონკურენციის გაწევა აღარ შეეძლო, მაგრამ ამ დროისათვის იგი უკვე ვალმოხდილია.

21. აღნიშნული თავი დაიბეჭდა გაზეთ „დროებაშიც“ სათაურით — „მიზანტროპის დღიურიდამ“ („დროება“, 1872 წ., № 11).

22. მხედველობაში აქვს ჰეინეს ლექსი „ბაბილონური დარდები“, რომელშიც პოეტი თავის მეუღლეს — მატილდას მიმართავს:

„სიკვდილი მიხმობს — მწუხარე ბავშვი
მიჯობს დაგტოვო მღელვარე ზღვაში,
პოლარულ ქარში, ბედის ამარა,
დაგტოვო ცოლი, ჩემი პატარა.
დე, ამოცურდეს ფსკერზე მძინარე
ყველა ურჩხული შმაგი, მძინვარე
სპრუტი, ნიანგი, ჰიდრა წყეული,
ხარბი ზვიგენი პირგაღებული.
ო, დამიჯერე, ჩემო მატილდა,
ტყე უდაბური, ხახა ნადირთა
არ არის ისე თავზარდამცემი,
როგორც სავანე ამეამად ჩემი.
საზარელია ზვიგენიც, მჯერა
ზღვის ონავრები, მგელი და ძერა,
მაგრამ მხეცები ასწილ საშიში,
იცის მშვენიერ და ცივ პარიზში
მსოფლიოს მზიურ დედაქალაქში.

. .

მე კი შენ გტოვებ აქ ასე მარტო!
ვგიჟდები, როცა ამაზე ვდარდობ“.

23. ტაეპი «Вези меня куда ни будь,
Лишь не к земле родної»
ამოღებულია ბაირონის Поэмидан — „ჩაილდ-გაროლდი“ (პირველი სიმღერა).

24. გაზეთი «Кавказ» გამოდიოდა თბილისში 1846 წლიდან 1918 წლის თებერვლამდე. დავდაპირველად იგი ითვლებოდა კერძო გამოცემად.

1846 — 1851 წლებში „კავკაზი“ გამოდიოდა კვირაში ერთხელ, 1852 — 1867 წლებში — კვირაში ორჯერ, 1868 — 1876 წლებში — კვირაში სამჯერ, 1877 — 1918 წლებში — ყოველდღე.

გაზეთს რედაქტორობდნენ: ო. კონსტანტინოვი (1846—1851 წ.წ.), ნ. სლივიცკი (1852 — 1853 წ.წ.), ვერდეროვსკი (1855 — 1856 წ.; 1856 წლის ბოლოს იგი შეცვალა ნ. ბერძენოვმა), ბობილევი (1857—1863 წ.წ. მცირე ხნით ცვლიდა ნ. ბერძენოვი), ე. შვარცი (1864 — 1867 წ.წ.), პ. სლივიცკი (1868 — 1871 წ.წ.), ე. სტალინსკი (1872—1876 წ.წ.), ნ. ვორონოვი და დ. კობიაკოვი (1877 — 1881 წ.წ.), დ. ერისთავი (1882 — 1884 წ.წ.), მ. ტებენკოვი (1885 — 1890 წ.წ.), ი. მილიუტინი (1891 —1897 წ.წ.), ვ. ველიჩკო (1898 — 1899 წ.წ.).

1899 წელს გაზეთი გადავიდა მთავარმართებლის კანცელარიის ხელში. ამ დროიდან „კავკაზს" რედაქტორობდნენ: ტებენკოვი, ბეგიჩევი, ოპოჩინინი, ბელინსკი, ა. სლივიცკი, სტრატონოვი და ლებედევი.

„კავკაზი", ჯერ კიდევ თავიდან, წარმოადგენდა მეფის მთავრობის ოფიციალურ ორგანოს კავკასიაში. ეს გარემოება განსაზღვრავდა მის შინაარსსა და მიმართულებასაც. თავისი პროგრამა და დანიშნულება გაზეთმა „კავკაზმა", პირველ ნომერში, ასე ჩამოაყალიბა: «Быть правдивым отголоском истины, знакомить соотечественников с любопытным краем, находящимся еще почти в младенческом состоянии и малоизвестным, раскрыть источники промышленности и торговли и верным отчетом благотворительных мер и действий русского правительства в отношении Кавказа показать настоящую цену попечения нашего государя».

„კავკაზის" ფურცლებზე არაერთხელ გამოქვეყნებულა რეაქციული შინაარსის წერილები, რაც იძულებულს ხდიდა ჩვენს მოწინავე მოღვაწეებს შესაფერი პასუხი გაეცათ გაზეთისა და მათი ვაი პუბლიცისტებისათვის.

25. ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულება დაიდო 1829 წლის 2 (14) სექტემბერს რუსეთსა და თურქეთს შორის, როცა რუსეთის ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომი. ადრიანოპოლის აღებისა და კონსტანტინოპოლზე გალაშქრების შემდეგ სულთანი მახმუდ II თანახმა გახდა ზავისათვის მიეღწია ყველა დათმობის ფასად.

26. გეოგრაფიული გარემოს (კლიმატი, ლანდშაფტი) როლს ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების მოგვარებისა და თვით ხალხის ფსიქიკის ჩამოყალიბების საქმეში ნ. ნიკოლაძე მეტად გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რასაც იგი ხშირად შეცდომებამდე მიყავს. ასეთ შეცდომასთან გვაქვს საქმე ამ წერილშიც (ამის შესახებ

დაწვრილებით იხ. ვ. დონაძე — „ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებანი", 1962 წ.).

27. ბოტტენტოტები — სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთი ტომია. სხვა მეზობელი ტომებისგან განსხვავდებიან კანის ფერით (თითქოსდა შავი და ყვითელი რასის შენაერთია), ენით და ყოფით.

28. ის დიდი როლი, რომელიც პეტერბურგმა, და პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა შეასრულა ნ. ნიკოლაძის — როგორც მოღვაწის ფორმირების საქმეში, კარგადაა დახასიათებული ნ. ნიკოლაძის მოგონებებში: „წარსულიდან", „სტუდენტობის პირველი დრო", „მოგონებანი სამოციან წლებზე" (იხ. პროფ. ს. ხუნდაძის რედაქციით გამოცემული ნ. ნიკოლაძის „რჩეული ნაწერები", ტ. I, გვ. 1 — 144).

29. სტროფი — «Я ваш, друзья, хочу быть вашим,
На труд и горесть я готов, —
Готов начать в союзе вашем
Живое дело вместо слов».

მოყვანილია ნ. დობროლიუბოვის ლექსიდან მცირეოდენი ცვლილებით. დობროლიუბოვის ლექსში იგი ასე იკითხება:

— «Я ваш, друзья, хочу быть вашим,
На труд и битву я готов,
Лишь бы начать в союзе нашем
Живое дело вместо слов!»

(იხ. Н. А. Добролюбов. «Полн. Собр. Соч. в шести томах». т. VI, стр. 266).

30. იგულისხმება ჟურნალი „სოვრემენნიკი".

31. ტაეპი — «Одних уж нет, а те далече», მცირე ცვლილებით, მოყვანილია პუშკინის პოემიდან — „ევგენი ონეგინი" (მერვე თავი), სადაც ნათქვამია:

«Но те, которым в дружной встрече
Я строфы первые читал...
Иных уж нет, а те далече,
Как Сади некогда сказал».

როცა საადს იმოწმებს, პუშკინს მხედველობაში აქვს მისი სიტყვები: «Многие так же как и я, посещали сей фонтан; но иных

уже нет, другие странствуют далече», რომელიც პოემა „ბახჩისარაის შადრევანის“ ეპიგრაფათაც აქვს გამოყენებული.

32. გამოტოვებული თავები, როგორც ჩანს, ცენზურის მიერაა ამოღებული. ისინი აღარც შემდეგ დაუბეჭდავს ავტორს და არც მის არქივშია დაცული.

33. ლ ე გ ი ტ ი მ ი ზ მ ი იყო საფრანგეთში გავრცელებული პოლიტიკური თეორია, რომელიც ცნობდა და იცავდა სამეფო დინასტიის ისტორიულ უფლებას. ლეგიტიმისტები — ამ თეორიის მიმდევარ ადამიანებს ეწოდებოდათ.

34. ს ე რ ა ს კ ი რ ი — თურქეთის არმიის მთავარსარდლის ტიტული იყო; მეცხრამეტე საუკუნეში ამავე სახელს უწოდებდნენ სამხედრო მინისტრს.

35. ეს „წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა“ გაზეთ „დროშის“ წინასიტყვაობაა.

1873 წლის 1 (13) აპრილს ნ. ნიკოლაძე, დ. მიქელაძესთან და პ. იზმაილოვთან ერთად, პარიზში შეუდგა ჰექტოგრაფიული გაზეთის „დროშის“ გამოცემას. „დროშა“ გამოდიოდა 1 (13) აპრილიდან 11 (23) აპრილამდე, სულ გამოვიდა 10 ნომერი.

„დროშის“ პირველ ნომერში მოთავსებულია განცხადება — „რედაქციისაგან“, რომელშიც ნათქვამია: „დროშა“, ქართული სოციალური გაზეთი, გამოიცემა პარიჟში ათი დღის განმავლობაში, ყოველ დღე, საღამოობით. ამ გაზეთზე არც ხელის მოწერა მიიღება, არც ცალ-ცალკე ფურცლების გამოწერა. ის მარტო რედაქციისთვის იბეჭდება. 10 დღის შემდეგ, ესე იგი 11 (23) აპრილს, 1873, „დროშის“ ბეჭდვა მოისპობა“.

ასეც მოხდა. მაგრამ ჩვენამდე „დროშის“ მხოლოდ სამმა ნომერმა მოაღწია. დანარჩენი ნომრების შინაარსი უცნობია“.

პროფ. ს. ხუნდაძისადმი გაგზავნილ ნ. ნიკოლაძის ბარათში ვკითხულობთ: „პატივცემულო ამხ. სიმონ! თქვენ მეკითხებით თუ რა გარემოებებში ვბეჭდავდით ჩვენ, პარიზში 1873 წ. „გაზაფხულზე“ ქართულ გაზეთ „დროშას“, რომლის პირველი სამი ფურცელი სრულიად უცაბედათ აღმოვაჩინე წარსულ დეკემბერში „ბრიტიშ მუზეუმის“ საწყობში. სიამოვნებით გაცნობებთ, რომ იმ გაზაფხულზე მოვხვდით პარიზს დათა მიქელაძე, ქართულ მწერლობაში უფრო ცნობილი „მეველეს“ სახელით, პავლე იზმაილოვი,—შემდეგ მყოფი თბილისის ქალაქის თავად, და მე. იმ დროს მე ვმუშაობდი ქართული შრიფტის გამარტივებაზე და ქართული სტამბის მოწყობაზე. ამ ძიების დროს გავეცანი ახალ აღმოჩენას, რომელიც ერთობ აადვი-

ლებდა ლიტოგრაფების მოწყობას და ხმარებას, რაც კავკასიის ხალხების არეულ და მოუწყობელ ანა-ბანებს საშუალებას მისცემდა მოეწყოთ გაადვილებული პროპაგანდა ახალი ევროპული აზრებისა ადგილობრივ ენებზე. ამ მიზნით განვიზრახეთ, და კიდეც ავასრულეთ, ათი სამაგალითო ფურცელი დაგვებეჭდა „დროშასი". გაზეთს ვბეჭდავდით ას-ას ცალს და მუქთად ვუგზავნიდით ქართველებს და კავკასიელებს, ვინც გვეგულებოდა ციურიხს, ჟენევაში, ვენაში და სხვ. გაგება არ მაქვს ვის ჩარჩენია და შეუწირავს „ბრიტიშ მუზეუმისთვის" ის სამი პირველი ცალი „დროშისა", რომლის ასლი თქვენ ხელში გაქვთო".

ამ წერილში გარკვეულია „დროშის" ისტორია. მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. ნიკოლაძეს და მის მეგობრებს უსარგებლიათ ამ გაზეთით იმისთვის, რომ თავიანთი შეხედულებები გაევრცელებიათ ევროპაში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობაში (უფრო დაწვრილებით იხ. ჩვენი შესავალი წერილი ნ. ნიკოლაძის თხზულებათა პირველ ტომში, გვ. 35 — 37).

36. იგულისხმება თვით ნ. ნიკოლაძე, დ. მიქელაძე და პ. იზმაილოვი. მათი წერილები გაზეთში იბეჭდებოდა მათივე ხელნაწერების დაცვით. ამიტომ მათი გარჩევა სრულიად ადვილია ნაწერის მიხედვითაც.

37. 1870 წელს რომში გაიმართა მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც დაგმო და შეაჩვენა ყველა ახალი პოლიტიკური თეორია, მიმართულება და წესწყობილება.

38. გ ულ დ ე ნ ი — ოქროს ფულის ერთეული, გავრცელებული გერმანიასა და ავსტრიაში.

39. 533 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით, შეადგინეს კოდექსი ოთხ ტომად, რომელსაც იუსტინიანეს ინსტიტუტები ეწოდა.

40. სიტყვები — „თ უ კ ი ა წ მ ყ ო ა რ გ ვ წ ყ ა ლ ო ბ ს, მ ო მ ა ვ ა ლ ი ჩ ვ ე ნ ი ა" ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს (იხ. მისი ლექსი — „ჩემო კარგო ქვეყანავ...").

41. თავისი ყოველკვირეული ჟურნალი „lanterne" („ფარანი") გამოცემა როშფორმა დაიწყო 1868 წლის 31 მაისს. ჟურნალმა მოიპოვა უდიდესი პოპულარობა (იბეჭდებოდა 80.000 ეგზემპლიარად). ჟურნალი არ ერიდებოდა არც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეების, არც ფრანგული პოლიტიკური სისტემის კრიტიკას საერთოდ. ამის გამო იყო, რომ მის რედაქტორს რამდენიმე დუელის გადახდაც მოუხდა (მათ შორის პრინც მიურატთან). მალე როშფორს პატიმრობაც მიუსაჯეს ამ ჟურნალში მოთავსებული წერილების გამო, მაგ-

რამ ბრიუსელში გაიქცა და იქ გააგრძელა „ფარანის“ გამოცემა (დაიხურა 1869 წელს). თავისი „ფარანის“ გამოცემა როშფორმა კვლავ განაახლა 1874 წლიდან.

42. „გ ო ლ ო ს ი“ («Голос») — ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1863 წლიდან 1883 წლამდე (რამდენჯერმე იყო შეჩერებული და აკრძალული), ა. ა. კრაევსკის რედაქტორობით. გაზეთი, ძირითადად, ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი იყო.

43. მხედველობაში აქვს სტატია — „იმერეთის ამბები“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., 6. VII, № 26).

44. ვოლფგანგ მენცელი (1798 — 1873) — გერმანელი მწერალი და კრიტიკოსი, ცნობილი როგორც გოეთეს რეაქციონერი კრიტიკოსი. მას მეტად უარყოფითად ახასიათებს ფრ. ენგელსი, ჰ. ჰეინე, ბ. ბელინსკი და სხვ.

45. მხედველობაში აქვს სტატიები: „ჩვენი საზოგადო საქმეები“ („დროება“, 1870 წ., № 16, 17, 19) და „ქუთაისის ბანკი“ („დროება“, 1870 წ., № 21).

46. „ა ხ ლ ი ს ა დ ა ძ ვ ე ლ ი ს შ უ ა ჩ ა ტ ე ხ ი ლ ი ხ ი დ ი“ ბ. ღოღობერიძეს უწოდა ილია ჭავჭავაძემ თავის „გამოცანებში“. აი, ეს გამოცანაც:

„ერთი ვინმე შავგვრემანი
სუსტია და პირად ხმელი,
დიდებში ბრძნად ქებულია,
ჭკვამოკლე და ენაგრძელი.
დიდთა ქებით გაბერილა,
ვით ავი სენით ტრიკია,
ახლის აღთქმის კაცი იყო,
ეხლა ქვემძრომი ხვლიკია.
ახლისა და ძველის შუა
ის ჩატეხილი ხიდია,
ამ ტყუილს ბრძენსაც ქვეყანა,
ძმანო, ფეხებზე ჰკიდია“.

47. გაზეთი «Московские Ведомости» — დააარსა მოსკოვის უნივერსიტეტმა 1756 წელს და გამოდიოდა 1917 წლის ბოლომდე. მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე გაზეთი იყო უნივერსიტეტის ოფიციალური ორგანო. დიდიხნის განმავლობაში გაზეთი არენდით ჰქონდა ნ. ი. ნოვიკოვს.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებიდან უნივერსიტეტმა გაწყვიტა კავშირი გაზეთთან და მისი გამომცემელი გახდა რეაქციონე-

რი მ. ნ. კატკოვი (1863 — 1887 წ.წ.) ამ პერიოდში „მოსკოვის უწყებანი“ გამოხატავდა რეაქციულ-მემამულური და საეკლესიო წრეების ინტერესებს. მეოცე საუკუნის დამდეგიდან კი იგი გადადის დიდმპყრობელური შოვინიზმის მქადაგებელთა ხელში.

48. 1864 წელს, პეტერბურგში, კ. ლორთქიფანიძემ გამოსცა ქართველ პოეტთა (ნ. ბარათაშვილი, ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და სხვ.) ლექსების კრებული „ჩონგური“, რომელსაც მოწონებით შეხვდნენ მოწინავე ქართველი მოღვაწეები.

49. მხედველობაში აქვს სტატია — „ჩვენი მწერლობა“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1872 წელს (№ 10-11-12).

50. მხედველობაში აქვს ნ. ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ?“, რომელიც 1867 წელს ჟენევაში დაიბეჭდა მ. ელპიდინისა და კომპანიის გამომცემლობაში, ნ. ნიკოლაძის წინასიტყვაობით.

51. პიროვნად პატიოსან, მაგრამ თავმოყვარე და ზერელე მწერალში ნ. ნიკოლაძე გულისხმობს ა. სერნო-სოლოვიოვიჩს. ხოლო მეორე მწერალი, რომელიც, მისი თქმით, ემიგრანტებს აკრიტიკებდა,— თვით ნ. ნიკოლაძეა (იხ. მისი 1866 წელს ჟენევაში გამოცემული ბროშურა — «Правительство и молодое поколение»).

ა. სერნო-სოლოვიოვიჩი, რომლის ჯანმრთელობა იმ დროს ვერ იყო სასურველ მდგომარეობაში და, თანაც, ბაკუნინის პირად ზეგავლენას განიცდიდა, უარყოფითად გამოეხმაურა ნ. ნიკოლაძის მოსაზრებებს ე. წ. ახალგაზრდა ემიგრაციის შესახებ (იხ. მისი ბროშურა — «Миколка публицист», 1868 г.). ეს ყველაზე მეტად აწყობდა ბაკუნინს, რომლის ანარქისტული მოძღვრება მხარს უჭერდა ტერორს, რაშიც ნ. ნიკოლაძე მოქმედების მცდარ გზას ხედავდა მხოლოდ.

52. მხედველობაში აქვს სტატია — „ჩემს მკითხველს“ (გაზეთი „დროება“, 1870 წ., № 42).

53. „ქ ი ტ ე ს ა“ — ანტ. ფურცელაძის მოთხრობაა.

54. მხედველობაში აქვს სტატია — „ჩვენი მწერლობა“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ — „კრებულში“ (1872 წ., № 10-11-12).

55. როშფორი იყო ერთ-ერთი რედაქტორი გაზეთ „შარივარის“ („Charivari“), რომელშიც ის აქვეყნებდა ფელეტონებსა და თეატრალურ რეცენზიებს. („Charivari“ — ფრანგული სიტყვაა და ქართულად — არეულ-დარეულობას, ალიაქოთს ნიშნავს).

56. მხედველობაში აქვს სტატია — „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ (1873 წ., № 1, 3).

57. ე ვ გ ე ნ ი ა — იყო ნაპოლეონ მესამის მეუღლე, რომელმაც

საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებისას რეგენტობა მიიღო, მაგრამ 1870 წლის 4 სექტემბერს იძულებული შეიქნა ინგლისში გაქცეულიყო.

58. „სედანის გმირს“ დაცინვით უწოდებდნენ მორის მაკ-მაჰონს, რომელიც საფრანგეთ-პრუსიის ომში საფრანგეთის არმიას მთავარსარდლობდა და ორჯერ მწარედ დამარცხების შემდეგ ტყვედ ჩავარდა ქ. სედანთან. 1873 — 1879 წლებში საფრანგეთის პრეზიდენტი იყო და დევნიდა ჭეშმარიტ რესპუბლიკელებს.

59. „რუსსკაია სტარინა“ («Русская Старина») იყო ყოველთვიური ისტორიული ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1870 — 1918 წლებში. მისი რედაქტორ-გამომცემელი 1892 წლამდე იყო ისტორიკოსი მ. ი. სემევსკი (მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, გარკვეული წლების მანძილზე ჟურნალს ხელს აწერდა სხვა). მ. ი. სემევსკის სიკვდილის შემდეგ (1892 წ., 9. III) ჟურნალს რედაქტორობდნენ ნ. კ. შილდერი, ნ. დუბროვინი და სხვ.

60. „თბილისის მოამბე“ («Тифлисский Вестник») იყო ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1873 წლიდან. მისი დამაარსებელი და პირველი რედაქტორ-გამომცემელი იყო კ. ა. ბებუთოვი. შემდეგ მას რედაქტორობდნენ დ. ერისთავი (1879 წ.) და ჩიქოვანი (1880 წ.). გაზეთი 1880 წელს დაიხურა; 1881 და 1882 წელს გამოვიდა თითო-თითო ნომერი გამოცემის უფლების შენარჩუნების მიზნით.

1906 წელს «Тифлисский Вестник»-ის გამოცემა კვლავ განაახლა პ. მ. დოლუხანოვმა. გამოდიოდა ერთი თვის განმავლობაში და იყო კადეტთა პარტიის ორგანო.

61. მხედველობაში აქვს სტატიები: „იმერეთის ამბები“ („დროება“, 1873 წ., № 26) და „ბეს. ღოღობერიძის „ტიტინი“ („დროება“, 1873 წ., № 29).

62. კ. ლორთქიფანიძის სტატია — „ქუთაისის ბანკის საქმე“ მართლაც დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1873 წ., № 36).

63. იგულისხმება გაზეთ «Тифлисский Вестник»-ის 97-ე ნომრის მოწინავე სტატია, რომელიც მის რედაქტორს — კ. ბებუთოვს ეკუთვნის და, რომელშიც ლაპარაკია ბ. ღოღობერიძისა და ნ. ნიკოლაძის დავაზე.

64. პლატონი — ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი, ცხოვრობდა 427 — 347 წლებში ჩვენს წელთა აღრიცხვამდე.

65. გლუხარიჩი II — იგულისხმება დრამატურგი და პუბლიცისტი დავით ერისთავი, რომლის მამას, — ქართული კომედიო-

ვრაფიის ფუძემდებელ გიორგი ერისთავს შერქმევით უწოდებდნენ გლუხარიჩს.

66. სასოფლო სამურნეო გაზეთი — „ს ა ს ო ფ ლ ო გ ა ზ ე თ ი“ გამოდიოდა თბილისში 1868 — 1880 წლებში. მისი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო გ. წერეთელი (1869 წელი). შემდეგ მას რედაქტორობდნენ: ს. მესხი (1869 წ.), გ. წერეთელი (1870 — 1873 წ.წ.) და პეტრე უმიკაშვილი (1874 — 1880 წლები).

67. ფრანგი გენერალი ბაზენი 1862 წელს გაიგზავნა მექსიკის ექსპედიციაში. პირველად იგი მსახურობდა გენერალ ფორეს მეთაურობის ქვეშ, ხოლო 1863 წელს დაინიშნა საექსპედიციო ჯარის მთავარსარდლად და მიიღო მარშლის წოდება. მექსიკაში დაჰყო 1867 წლამდე, სანამ საფრანგეთის საექსპედიციო ჯარები გაწვეულ არ იქნენ სამშობლოში. ამ ხნის განმავლობაში მან თავი გამოიჩინა მექსიკელ პატრიოტთა ჟლეტით.

68. „მ შ ა კ ი“ („მშრომელი“) — პოლიტიკურ-ლიტერატურული სომხური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში ყოველდღიურად 1972 წლიდან 1920 წლამდე. მისი დამაარსებელი და რედაქტორი იყო გრიგორ არწრუნი (1892 წლამდე). გაზეთი ადრე იცავდა ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესებს, შემდეგ კი თანდათან აშკარად დაადგა რეაქციულ გზას, მხარს უჭერდა ცარიზმს და მტრულად შეხვდა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას.

69. მხედველობაში უნდა ჰქონდეს თეოდორე გიორგის-ძე ამფითეატროვის, მიტროპოლიტობაში ფილარეტის (1779 — 1857) სახელით ცნობილ საეკლესიო მოღვაწისა და ღვთისმეტყველების დოქტორის «Беседы»...

სახელთა საძიებელი

ა

აბდულ-აზიზი (1830-1876)—თურქეთის სულთანი. — 163.

აბუ, ედმონდ ფრანსუა ვალენტინ (1828-1885),—ფრანგი მწერალი, რომელმაც უურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ 1855 წლიდან, როცა გამოვიდა მისი წიგნი—La Grèce contemporaine"; საკმაოდ პოპულარული იყო მისი რომანები და მოთხრობები. აბუ სარგებლობდა ნაპოლეონ მესამის პატივისცემით და თითონაც ბევრს წერდა ნაპოლეონისტური იდეების გასავრცელებლად; მსახურობდა მაკ-მაჰონთან. — 413.

აგასისი, ლუი (1807-1873), — ცნობილი ბუნებისმეტყველი, კიუვიეს მიმდევარი და დარვინის მოწინააღმდეგე. — 467.

ავალიშვილი, ნიკოლოზ (1844-1929),— მწერალი, თეატრალური მოღვაწე და ჟურნალისტი; ჟურნალ „მნათობის" (1869-1872) რედაქტორი. — 48, 51, 500-503.

ავგუსტინე (354-430),—გიპონელი) (ჩრ. აფრიკა) ეპისკოპოსი, ერთ-ერთი პირველი ქრისტიან-თეოლოგი და პატრისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი. — 330.

ავენი, — ფრანგი მწერალი. — 413.

ალევი, — მწერალი, სატირიკოსი. — 454, 455.

ამედეოს (1845-1890), — იტალიის მეფის ვიქტორ ემანუილის შვილი, — ესპანეთის მეფე 1870 წლის 16 ნოემბრიდან 1873 წლის თებერვლამდე. — 162, 163.

ანტონ კათალიკოსი (1720-1788),—გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი. — 208, 210.

არაგო, დომინიკ ფრანსუა (1786-1853), — გამოჩენილი ფრანგი ფიზიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე; 1848 წლიდან იყო მთავრობის წევრი და საპატიო თანამდებობები ეჭირა სამხედრო და საზღვაო სამინისტროებში. 1851 წლის 2 დეკემბრის გადატრიალების შემდეგ დანიშნულ იქნა ობსერვატორიის დირექტორად. მისი რამდენიმე შრომა თარგმნილია რუსულ ენაზეც. — 143.

არისტოტელი (384-322 ჩვ. წ. ა.), დიდი ბერძენი ფილოსოფოსი. — 152.

არნო, სენტ (1796-1854), — საფრანგეთის მარშალი, 1851 წელს მიიღო სამხედრო მინისტრობა. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 1851 წლის 2 დეკემბრის გადატრიალება ლუი-ნაპოლეონისათვის. — 140, 245, 246.

ბ

ბაზენი, ფრანსუა აშილ (1811-1888), — საფრანგეთის მარშალი, 1870 წლის ომში გერმანიასთან მეთაურობდა რეინის არმიას, თავი შე-

ირცხვინა მეცის დაცვის დროს, რის გამო დაპატიმრებულ იქნა 1872 წელს და მიესაჯა დახვრეტა, რაც შემდეგ შეეცვალა 20 წლის პატიმრობით. 1874 წელს გაიქცა ციხიდან და დასახლდა მადრიდში. — 350., 351, 352, 426, 514, 515, 516, 517, 518, 519, 520, 521, 522, 523, 524.

ბაირონი, ჯორჯ-გორდონ (1788-1824), — ცნობილი ინგლისელი პოეტი, რომანტიკოსი. — 48, 49, 50, 51, 52.

ბარათაშვილი, ნიკოლოზ მელიტონის-ძე (1818-1845), —დიდი ქართველი პოეტი, რომანტიკოსი. — 262.

ბარანიონი,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ლეგიტიმისტი. — 450.

ბარბიე, ანრი-ოგიუსტ (1805-1882), — გამოჩენილი ფრანგი სატირიკოსი პოეტი. — 51.

ბაროდე — ლიონის მერი, - რომელიც ხელმძღვანელობდა იმ დეპუტაციას, რომელსაც ტიერმა სიტყვა მისცა რესპუბლიკას არაფერს ერჩოდა და პარიზის გარდა სხვა ქალაქებს არ შეეხებოდა, თუ კი ისინი სიმშვიდეს დაიცავდნენ. — 433, 449, 451.

ბასილ დიდი, იგივე ბასილ კესარიელი (331-379),—ცნობილი ბერძენი ორატორი და საეკლესიო მოღვაწე. — 330.

ბაქრაძე, დიმიტრი ზაქარიას-ძე (1827-1890), — გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და არქეოლოგი, ქართული პრესის თანამშრომელი და მოამაგე. — 55, 57, 58, 391, 504.

ბაქრაძე, იოსებ ზოსიმეს-ძე (1850-1904), —პოეტი-მთარგმნელი. —48, 51, 52.

ბელინსკი, ბესარიონ გრიგოლის-ძე (1811-1848), — დიდი რუსი კრიტიკოსი, რევოლუციონერ-დემოკრატი. — 310, 372.

ბერანჟე, პიერ-ჟან (1780-1857), — ცნობილი ფრანგი პოეტი. — 455.

ბისმარკი, ოტო ფონ შენგაუზენ (1815-1898), — პრუსიისა და გერმანიის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, იუნკრულ-ბურჟუაზიული გერმანული იმპერიის დამაარსებელი. — 249, 286, 427, 451, 516, 521, 522, 524.

ბლანი, ლუი (1811-1882), — გამოჩენილი ფრანგი უტოპისტ-სოციალისტი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი.— 136, 137, 138, 140, 143, 187, 237, 426, 427, 432, 436.

ბლოკ, მორიც (დაიბ. 1818 წ.), — ფრანგი ჟურნალისტი და სტატისტიკოსი, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პოლიტ-ეკონომიის პოპულარული სახელმძღვანელოს ავტორი. — 305.

ბლუმენტალი, ლეონარდ (1810-?), — გრაფი, პრუსიის გენერალ-ფელდმარშალი. — 182.

ბოკლი, გენრი ტომას (1821-1862), — ინგლისელი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ისტორიკოსი და სოციოლოგ-პოზიტივისტი, ავტორი „ინგლისის ცივილიზაციის ისტორიის". — 58, 500, 504.

ბომარშე, პიერ ოგიუსტენ კარონ (1732-1799), — გამოჩენილი ფრანგი მწერალი, დრამატურგი და პუბლიცისტი. — 304, 345, 438.

ბონაპარტე, პიერ (1815-1881) — კანონოს პრინცი. გატაცებული იყო ლიტერატურით, სწერდა ლექსებს. — 424.

ბორკი — გასული საუკუნის 70-იანი წლების სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, პარლამენტის წევრი. — 164.

ბორნ, სტეფან (1824-1898), — გერმანული მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ადრეული წარმომადგენელი. — 310.

ბორნიე, ანრი (დაიბ. 1825 წ.),—ფრანგი პოეტი და კომედიოგრაფი. — 46, 168.

ბრიანსკი, იაკობ გრიგოლის-ძე (1790-1853), — გამოჩენილი რუსი მსახიობი — 462.

ბროლი, ჟან-ეიტორ (დაიბ. 1821 წ.), — ფრანგი პუბლიცისტი, ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე. 1873 წელს ხელს უწყობდა მონარქისტული პარტიების გაერთიანებას, რომელმაც ტიერის გადადგომა დაჩქარა. — 145.

ბროსე, მარი-ფელისიტე (1802-1880),— ფრანგი მეცნიერი, აკადემიკოსი, ქართული და სომხური ენების მცოდნე, საქართველოს და სომხეთის კულტურის ისტორიკოსი, იმოგზაურა საქართველოში და უშუალოდ შეაგროვა მრავალი საინტერესო მასალა. — 504.

ბურბაკი, შარლ, — ფრანგი გენერალი, თავი ისახელა ყირიმის ომში, საფრანგეთ-პრუსიის ომში ხელმძღვანელობდა გვარდიას, მელფორის ციხე-სიმაგრის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში განიცადა მარცხი, რის გამო გადაწყვიტა თავის მოკვლა, მაგრამ გადარჩა და კელავ დაუბრუნდა სამხედრო სამსახურს. — 426, 522.

ბურდინი, — მსახიობი ქალი. — 539.

გ

გავარნი, პოლ (1804-1866), — ფრანგი მხატვარი (ფსევდონიმი გიომა შევალიესი). — 42.

გამბეტა, ლეონ მიშელ (1838-1882), — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ბურჟუაზიულ-რესპუბლიკანელთა ერთ-ერთი ლიდერი. — 9, 142-147, 171, 183, 187, 350, 423, 426, 427, 431, 449, 451, 452, 496, 516, 522, 524, 550, 551.

გარიბალდი, ჯუზეპე (1807-1882), — იტალიის სახალხო გმირი, რევოლუციური დემოკრატიის ბელადთაგანი და იტალიის გაერთიანებისათვის მებრძოლი. — 351, 352, 522.

გარნიე-პაჟე, ლუი ანტუან (1803-1878), — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, 1830 და 1848 წლების რევოლუციების მონაწილე. 1870 წლის 4 სექტემბრის რევოლუციის შემდეგ იყო წევრი ნაციონალური დაცვის მთავრობის, რომელსაც მარქსმა უწოდა „ნაციონალური ღალატის მთავრობა". — 237.

გერუ, ადოლფ (1810-1872), — ფრანგი პუბლიცისტი. — 413, 423.

გიზო, ფრანსუა-პიერ-გილონ (1787-1874), — გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. — 504.

გიო, ივ — ფრანგი ჟურნალისტი, გაზეთ „რადიკალის" მთავარი რედაქტორი. — 145, 146.

გიოტე (1749-1832), — დიდი გერმანელი პოეტი. — 46, 265, 267.

გლუხარიჩი II, — იგულისხმება ჟურნალისტი და დრამატურგი დაეით გიორგის-ძე ერისთავი (1847—1890), რომლის მამას — ცნობილ დრამატურგ გიორგი ერისთავს შერქმევით უწოდებდნენ გლუხარიჩს: — 503.

გოგებაშვილი, იაკობ სიმონის-ძე (1840-1912), — დიდი ქართველი პედაგოგი, მწერალი და პუბლიცისტი. — 557, 558.

გოგოლი, ნიკოლოზ ვასილის-ძე (1809-1852), — დიდი რუსი მწერალი, „ნატურალური სკოლის" მეთაური. — 310, 463.

გორისელი — იხ. წერეთელი გ.

გოტიე, თეოფილ (1811-1872), — გამოჩენილი ფრანგი პოეტი, რომანისტი და კრიტიკოსი. — 414.

გრაციოლე, ლუი-პიერ (1815-1865),— გამოჩენილი ფრანგი ანატომი, ნერეიული სისტემის შედარებითი ანატომიის დიდი სპეციალისტი. — 109.

გრევი, ფრანსუა-პოლ-ჟიულ (1807-1891), — ფრანგი პოლიტიკური მო-

ღვაწე. რესპუბლიკის პრეზიდენტი.— 184, 185, 429, 431.

გრიგოროვიჩი, დიმიტრი ვასილის-ძე (1822-1899), — რუსი მწერალი, 50-იანი წლების რუსული რეალიზმის წარმომადგენელი, რომლის პირველი მოთხრობები გამოქვეყნდა 1844 წელს. 60-იან წლებში, ტურგენევთან და ტოლსტოისთან ერთად, კავშირი გაწყვიტა ჟურნალ „სოვრემენნიკთან" და არ გასცილებია ზომიერ ლიბერალურ მიმართულებას. — 376, 383

გრომეკა, სტეფანე სტეფანეს-ძე (1823-1877), — გასული საუკუნის 60-იანი წლების გამოჩენილი რუსი პუბლიცისტი. — 360.

გროტი (1794-1871), — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე და გამოჩენილი ისტორიკოსი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის საბერძნეთის ისტორიის შესწავლაში. — 58.

დ

დანფერი (დანფერ-როშრო), პიერ-მარია (1823-1878), — ფრანგი პოლკოვნიკი, ბელფორის დაცვის გმირი, ნაციონალური კრების წევრი. — 429.

დარვინი, ჩარლზ-რობერტ (1809-1882), — ინგლისელი დიდი ბუნებისმეტყველი, ევოლუციური თეორიის (დარვინიზმის) ფუძემდებელი. — 109, 467.

დელეკლუზი, შარლ (1809-1871), — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და ჟურნალისტი, პარიზის კომუნის თვალსაჩინო წარმომადგენელი. — 133, 424, 432.

დემულენ, კამილ (1760-1794). — ფრანგი რევოლუციონერი, რობეს-პიერის ახალგაზრდობის მეგობარი, ცნობილი თავისი პამფლეტებით; სიკვდილით დასაჯეს დანტონთან ერთად. — 438.

დერუაკინი, — მსახიობი ქალი. — 461.

დიუკრო, ოგიუსტ-ალექსანდრე (1817-1882), — ფრანგი გენერალი, საფრანგეთ-გერმანიის ომში მეთაურობდა დივიზიას მაკ-მაპონის კორპუსში. — 426.

დიუმა, ალექსანდრე (დიუმა—შვილი, 1824-1895), — ფრანგი მწერალი და დრამატურგი. — 414.

დიუფორი, ჟიულ - არმან - სტანისლავ (1798-1881), — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ტიერის დროს ეჭირა იუსტიციის მინისტრის თანამდებობა. — 148, 432.

დობროლიუბოვი, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე (1836-1861), — დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, გამოჩენილი კრიტიკოსი და ფილოსოფოსი-მატერიალისტი. — 310, 409, 372.

დორიანი, პიერ-ფრედერიკ (1814-1871), — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. — 185.

დრეპერი, — ფრანგი ისტორიკოსი. — 500, 504.

ე

ემსი, — ფრანგი მწერალი. — 46.

ვ

ვალლეს, ჟულ (1833-1885), — ფრანგი ლიტერატორი, პამფლეტისტი და პოლიტიკური მოღვაწე. — 415.

ვასილიევი, — მსახიობი ქალი. — 456, 463.

ვაშინგტონი, ჯორჯ (1732-1799), —

ამერიკელი დიდი სახელმწიფო მოღვაწე, აშშ-ის პრეზიდენტი (1789-1797). — 351, 352.
ველიო, ლუი (1813-1883), — ფრანგი პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწე, პუბლიცისტი, საკმაოდ ცნობილი თავისი უპრინციპობით. — 169.
უერდერი, კარლოს (1808-1887), — პრუსიელი გენერალი. ახალგაზრდობაში მსახურობდა კავკასიის არმიაში და მძიმედ დაიჭრა ჩეჩნებთან ბრძოლაში. 1871 წელს მონაწილეობდა საფრანგეთ-გერმანიის ომში და დაამარცხა გენერალი ბურბაკი. — 522.
ვერმორელი, ოგიუსტ-ჟან-მარი (1841-1871), — ფრანგი პუბლიცისტი და ჟურნალისტი; მეორე იმპერიის მოწინააღმდეგე. — 432.
ვიდალი, ფრანსუა (1812-1872), — ფრანგი წვრილბურჟუაზიული ეკონომისტი, უტოპიური სოციალიზმის რეფორმისტული მიმართულების წარმომადგენელი. — 237.
ვინი, ალფრედ დე (1799-1863), — ცნობილი ფრანგი მწერალი, რომანტიკოსი. — 129.
ვინუა, ჟოზეფი (1803-1880), — ფრანგი გენერალი, 1851 წლის სახელმწიფო გადატრიალების მონაწილე.— 426.
ვიქტორია (1819-1901), — ინგლისის დედოფალი (1837-1901). — 285.
ვოვჩოკი, მარკო (1834-1907) — გამოჩენილი უკრაინელი მწერალი ქალის მარია ალექსანდრეს-ასულ ვილინსკი-მარკოვიჩის ფსევდონიმი. მარკო ვოვჩოკი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1858 წელს. 1859 წელს მისი მოთხრობები უკრაინული ენიდან რუსულად თარგმნა ი. ს. ტურგენევმა. — 376, 383.
ვოლტერი, ფრანსუა-მარი-არუე (1694-1778), — ცნობილი ფრანგი მწერალი. — 58, 130, 438.
ვოლფი, ალბერტ (1835-1891),—ფრანგი მწერალი, იუმორისტი. — 441, 442.
ვორონოვსკი, — მსახიობი. — 539.

ზ

ზაბლოჩკინი. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე (1824-1895), — რუსი აქტიორი და რეჟისორი. 1873 წლიდან, გარკვეული დროის განმავლობაში, ხელმძღვანელობდა რუსულ თეატრს თბილისში. — 455, 462, 463, 471, 538.
ივანე მრისხანე (ივანე IV, 1530-1584), — პირველი რუსი მეფე, დიდი თავადის ვასილ III-ის შვილი. — 205.
იაკონიკოვი — მსახიობი. — 459.
იოანე ოქროპირი (347-407), — ცნობილი ბერძენი მწერალი. — 330.
იოსელიანი, პლატონ ეგნატეს-ძე (1809-1875), — ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ფილოლოგი და ეკონომისტი. — 498, 499.

კ

კავენიაკი, ეჟენ (1802-1857). — ფრანგი გენერალი და სახელმწიფო მოღვაწე. — 143, 237, 241.
კანრობერი, ფრანსუა, — საფრანგეთის მარშალი, საფრანგეთ-გერმანიის 1870 წლის ომის აქტიური მონაწილე. — 246, 350, 515.
კარ, ჟან-ალფონსი (1808-1890), — ფრანგი მწერალი-რომანისტი, რედაქტორობდა სხვადასხვა გაზეთებს და დიდ ინტერეს იჩენდა მიმდინარე პოლიტიკური ამბებისადმი. — 438, 439, 440.
კარატიგინი, პეტრე ანდრიას-ძე (1805-

1879),—ცნობილი რუსი კომიკი-მსახიობი, ვოდევილების ავტორი. — 462.

კარლოსი, დონ (1788-1855), — მეფე კარლ IV-ის შვილი. — 162.

კარრელ, არმან (1800-1836),—გამოჩენილი ფრანგი პუბლიცისტი, ჟურნალ „National"-ის რედაქტორი, სასიკვდილოდ დაიჭრა ე. ჟირარდენთან დუელში. — 168.

კარნო, მარი-ფრანსუა-სადი (1837-1894), — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, რესპუბლიკის პრეზიდენტი.— 423.

კატკოვი, მიხეილ ნიკიფორეს-ძე (1818-1887), — რუსი რეაქციონერი პუბლიცისტი და ჟურნალისტი. — 347, 349, 537.

კერესელიძე, ივანე ივანეს-ძე (1829-1892), — პოეტი, ჟურნალისტი, ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორი (1857-1875). — 60, 61, 500.

კიუვიე, ჟორჟ (1769-1832), — გამოჩენილი ფრანგი ბუნებისმეტყველი, ცნობილი თავისი გამოკვლევებით შედარებით ანატომიაში, პალეონტოლოგიასა და ცხოველთა სისტემატიკაში. — .147.

კლანტი, ჟულ — ფრანგი ჟურნალისტი. — 415.

კოკი, პოლ დე (1794-1871), — ფრანგი რომანისტი. — 46.

კოლოსოვი, — მსახიობი ქალი. — 456, 457, 460, 465, 538.

კონსიდერანი, ვიქტორ (1805-1893), — ფრანგი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, ფურიერისტთა წარმომადგენელი. — 143, 237.

კონსტან, ბენჟამენ (1767-1830), — ფრანგი ბურჟუაზიული მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი; მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია რომანი — „ადოლფი". — 147.

კოსიდიერი, — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. — 237.

კრემერ, კამილ (1840-1876), — ფრანგი გენერალი, საფრანგეთ - გერმანიის ომის მონაწილე. — 429.

კრილოვი, ივანე ანდრიას-ძე (1769-1844), — გამოჩენილი რუსი პოეტი-მოიგავარაკე. — 495.

კუკოლნიკი, ნესტორ ვასილის-ძე (1809-1868), — რუსი რეაქციონერი მწერალი და დრამატურგი. — 470.

კურიე, პოლ რუი — ფრანგი მწერალი, ჟურნალისტი. — 438, 439.

კუროჩკინი, ვასილ სტეფანეს-ძე (1831-1875), — რუსი სატირიკოსი პოეტი, ბერანჟეს ცნობილი მთარგმნელი, სატირული ჟურნალის „ისკრას" დამაარსებელი. — 454, 455.

ლ

ლაბულე, ედუარდ - რენე - ლეფევრ (1811-1883), — ფრანგი პუბლიცისტი, მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე. — 407, 496.

ლამარტინი, ალფონს დე (1791-1869), —ფრანგი რომანტიკოსი პოეტი, ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე. — 143, 237.

ლაროშფუკო, ფრანსუა დე (1613-1680), — ფრანგი მწერალი-მორალისტი. — 265.

ლებედევა, — მსახიობი ქალი. 461, 463.

ლევალდ, ფანია (1811-1889), — ებრაული წარმოშობის გერმანელი პოეტი ქალი; ბევრი თავისი მოთხრობა და რომანი მიძღვნილი აქვს ქალთა საკითხისადმი. — 48, 51, 52.

ლევერიე, ურბენ-ჟან-ჟოზეფ (1811-1877), — ცნობილი ფრანგი ასტრონომი, პარიზის ობსერვატორიის დი-

რექტორი, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. — 189.

ლედრიუ-როლლენი, ალექსანდრ-ოგიუსტ (1808-1874), — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, წვრილბურჟუაზიული რესპუბლიკელი, დეპუტატთა პალატის წევრი, 1849 წელს გაიქცა ინგლისში, საიდანაც დაბრუნდა 1870 წელს. 1871 წელს აირჩიეს ნაციონალური კრების წევრად, პარიზის კომუნას განეწყო მტრულად. — 143, 237.

ლეკოკი, ალექსანდრ-შარლ (დაიბ. 1832 წ.), — ფრანგი კომპოზიტორი. — 454, 455.

ლემეტრი, ანტუან ლუი პროსპერ (სცენიური ფსევდონიმი — ფრედერიკ-ლემეტრი, 1800-1876), — დიდი ფრანგი აქტიორი, პროგრესული რომანტიზმის წარმომადგენელი და კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი ფრანგულ თეატრში. — 284, 285.

ლემუან (1815-1892), — ფრანგი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე; თავდაპირველად მხარს უჭერდა ორლეანელთა პოლიტიკას, შემდეგ კი რესპუბლიკელთა მხარეზე გადავიდა. — 413.

ლესპესი, ლეო, — ფრანგი მწერალი, ჟურნალისტი. — 415.

ლესსეპსი, ფერდინანდ (1805-1894), — ცნობილი ფრანგი დიპლომატი და საქმოსანი. — 130.

ლესსინგი, გოტგოლდ-ეფრაიმ (1729-1781), — დიდი გერმანელი მწერალი და კრიტიკოსი; გერმანული ბურჟუაზიული განმანათლებლობის გამოჩენილი წარმომადგენელი. — 46.

ლივიუსი, ტიტ (59 ჩ. წ. ა. — 17), — ცნობილი რომაელი ისტორიკოსი, კონსერვატორი, ძველი რომაელი რესპუბლიკის მომხრე; მისი „ისტორიის" 142 ტომიდან ჩვენამდე მოღწია 35 ტომმა. — 499.

ლიტოლფი, ანრი შარლ (1818-1891),— ფრანგი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი, ავტორი ოპერებისა და ოპერეტების. — 455.

ლოკრუა, ეტიენ-ანტუან-ედუარდ (დაიბ. 1840 წ.), — ფრანგი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე. 415, 427.

ლომოური, ნიკო იოსების-ძე (1852-1915), — ცნობილი ქართველი მწერალი, ხალხსანი. — 51, 65.

ლორთქიფანიძე, კირილე ბეჟანის-ძე (1839-1918), — გამოჩენილი ქართველი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. — 311, 320, 482.

ლუი XVI (ლიუდოვიკ XVI. 1754-1793), საფრანგეთის მეფე 1774-1792 წ.წ., ბურბონთა დინასტიის წარმომადგენელი. — 418, 447.

ლუი XVIII (ლიუდოვიკ XVIII, 1755-1824), — საფრანგეთის მეფე 1814-1824 წ.წ., ბურბონთა დინასტიის წარმომადგენელი. — 418.

ლუი ფილიპე (1773-1850). — საფრანგეთის მეფე, (1830-1848). — ტახტზე ასვლამდე ორლეანის ჰერცოგი. — 228, 229, 230.

ლუიტპოლდ, კარლ-იოსებ-ვილგელმ (დაიბ. 1821 წ.), — პრინცი, ლიუდოვიკო I-ის შვილი, ბავარიის რეგენტი. — 284.

მ

მაიკოვი, აპოლონ ნიკოლოზის-ძე (1821-1897),—გამოჩენილი რუსი პოეტი.— 102.

მაკ-მაჰონი (1808-1893), — ფრანგი რეაქციონერი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, საფრანგეთის პრეზიდენტი (1873-1879 წ.წ.). — 133, 140, 145, 350, 441, 516, 517, 518, 519, 520, 521, 529.

მალე, კლოდ-ფრანსუა (1754-1812), —

ფრანგი გენერალი, დახვრეტილ იქმა ნაპოლეონ I-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. — 524.

მანიანი, — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ნაპოლეონ მესამის ერთგული თანამშრომელი. — 246.

მარი, პიერი (1797-1870), — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, საკანონმდებლო კორპუსის წევრი. — 237.

მარტინოვი, ალექსანდრე ევსტატეს-ძე (1816-1860),—დიდი რუსი მსახიობი, რუსული სცენიური რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. — 462, 463.

მაქსიმილიანე, ფერდინანდ-იოსები (1832-1867), — ავსტრიის იმპერატორის ფრანც იოსების ძმა, ნაპოლეონ III-ის მოთხოვნით არჩეულ იქნა მექსიკის იმპერატორად 1863 წელს. — 14, 248.

მაჰმედ II ელ-ფადიხი (1430-1481), — ოსმანთა მეშვიდე მეფე: 1453 წელს აიღო კონსტანტინეპოლი და ბოლო მოუღო ბიზანტიის იმპერიას. — 326.

მეილაკი, — ფრანგი მწერალი, სატირიკოსი. — 454, 455.

მესხი, სერგი სიმონის-ძე (1844-1883), —ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, გაზეთ „დროების" რედაქტორი. — 63, 344, 500.

მილიერი, — ფრანგი მუშა, დეპუტატი, დახვრიტეს მონარქიელებმა. — 133, 427, 446.

მილლი, ჯონ სტუარტ (1806-1873),—ინგლისელი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი და ეკონომისტი, პოზიტივიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. — 436.

მილნ-ედვარდს, გენრი (1800-1885), — ფრანგი ბუნებისმეტყველი, პროფესორი. — 467.

მიქელაძე, დავით ალექსანდრეს-ძე (1843-1918), — გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი, წერდა „მეველეს" ფსევდონიმით. — 166, 167.

მიხაილოვა, — მსახიობი ქალი, — 459, 462, 463, 465.

მოლიერი, ჟან ბატისტ (1622-1673), — დიდი ფრანგი კომედიოგრაფი.— 46, 265.

მოლტკე (უფროსი), ხელმუტ კარლ ბერნხარდ (1800-1891), — გრაფი, პრუსიის ფელდმარშალი და რეაქციონერი სამხედრო მწერალი, პრუსიული იუნკრობის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი. — 182, 426, 475, 522.

მონიე, ანრი (1802-1877), — ფრანგი მხატვარი-კარიკატურისტი, მწერალი და მსახიობი. — 42.

მორნი, შარლ-ოგიუსტ-ლუი-ჟოზეფ (1811-1865), — რეაქციონერი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, 1851 წლის 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორთაგანი, 1854-56 და 1857-65 წლებში იყო საკანონმდებლო კორპუსის თავმჯდომარე, 1856-57 წელს — საფრანგეთის ელჩი რუსეთში; წერდა ვოდევილებს.— 241, 242, 245, 246, 248.

მოჩალოვი, პავლე სტეფანეს-ძე (1800-1848), — დიდი რუსი მსახიობი, რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენელი რუსულ სცენიურ ხელოვნებაში. — 463.

ნ

ნადლერი, — მსახიობი. — 471.

ნაპოლეონ I (1769-1821). — გამოჩენილი ფრანგი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, იმპერატორი. — 13, 223, 225, 226, 229, 235, 241, 525.

ნაპოლეონ II (ჟოზეფ ფრანსუა შარლ ბონაპარტი; 1811-1832), — შვილი

ნაპოლეონ I-ისა და მარია ლუიზის; 1815 წელს ნაპოლეონ I-ის მაგივრ ტახტზე უნდა ასულიყო მისი შვილი და გამოაცხადეს კიდევაც ნაპოლეონ II-დ, მაგრამ პრაქტიკულად არ განხორციელებულა მისი იმპერატორად გახდომა. — 418.

ნაპოლეონ III (ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი; 1808-73), — საფრანგეთის იმპერატორი 1852-70 წლებში. — 9, 13-15, 132, 135, 139, 140, 145, 147, 172, 184, 223-230, 238-253, 310, 350, 413-419, 422-426, 435, 440, 442, 444, 515-517, 520, 523.

ნევცერი, —ფრანგი ჟურნალისტი, მწერალი. — 413.

ნიბური, ბარტოლდ გეორგ (1776-1831). — გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი. — 58.

ნოვიკოვი, ნიკოლოზ ივანეს-ძე (1744-1818), — გამოჩენილი რუსი განმანათლებელი, ჟურნალისტი, მწერალი-სატირიკოსი. — 372.

ნოვოსელსკი, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე (1823-1901), — „ზღვაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების“ დამაარსებელი, კავკასიის წიაღისეული სიმდიდრით დაინტერესებული საქმოსანი, ოდესის ქალაქის თავი. — 20, 21.

ნუარ, ვიქტორ, — ფრანგი ჟურნალისტი, მოკლულ იქნა პრინც პიერ ბონაპარტის მიერ 1870 წლის 10 იანვარს. — 424.

ო

ო-დიფრე-პაკიე, — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ორლეანელთა მესვეურთაგანი. — 450.

ოლივიე, ემილ (1825-1913), — ფრანგი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე; ადრე ზომიერი რესპუბლიკანელი, 60-იანი წლების ბოლოს გახდა ბონაპარტისტი. — 252.

ორბელიანი, გრიგოლ დიმიტრის-ძე (1800-1883), — დიდი ქართველი პოეტი, რომანტიკოსი. — 261, 262, 267, 268, 271, 272, 277, 279.

ოსტროვსკი, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე (1823-1886), — გამოჩენილი რუსი დრამატურგი. — 463.

ოფენბახი, იაკობ (1819-1880), — ცნობილი კომპოზიტორი, წარმოშობით ებრაელი, ცხოვრობდა ჯერ გერმანიაში, შემდეგ საფრანგეთში. — 452, 454, 455, 538.

პ

პალიკაო, იგივე კუზენ-მონტობანი, შარლ გიიომ (1796-1878), — გრაფი, ფრანგი რეაქციონერი სამხედრო მოღვაწე, მეორე იმპერიის რეჟიმის ტიპიური წარმომადგენელი, რომელმაც ნაპოლეონ მესამისგან მიიღო ტიტული — გრაფი პალიკაო. — 519

პასკალი, ბლეზ (1623-1662), — გამოჩენილი ფრანგი მათემატიკოსი და ფიზიკოსი. — 438.

პერსინი, ჟან-ჟილბერ-ვიქტორ (1808-1872), — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, თავიდან როიალისტი, შემდეგ რესპუბლიკანელი და უკანასკნელად ნაპოლეონ III-ის მომხრე და თანამშრომელი. — 140, 241, 242, 245.

პეტროვი, — მსახიობი. — 459, 462.

პია, ფელიქს (1810-1889), — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, დრამატურგი და ჟურნალისტი; წვრილბურჟუაზიული დემოკრატი, მონაწილეობდა 1848 წლის რევოლუციაში; 1849-69 წლებში იყო ემიგრაციაში და იბრძოდა პირველი ინტერნაციონალისა და მისი დამაარსებლის — კ. მარქსის წინააღმდეგ. — 285, 434.

პიკარი, ლუდოვიკ-ეოზეფ (1821-1877), — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ეკუთვნოდა ცნობილ „ხუთთა“ ოპოზიციურ ჯგუფს. — 185, 429, 432, 435.

პინარი, ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. — 419.

პისარევი, დიმიტრი ივანეს-ძე (1840-1868), — ცნობილი რუსი კრიტიკოსი და პუბლიცისტი. — 406.

პისემსკი, ალექსი თეოფილაქტეს-ძე (1821-1881), — რუსი მწერალი-რეალისტი. — 376.

პლავტი, ტიტ მაკციი (254-184 ჩ. წ. აღრიცხვამდე), — ცნობილი ძველი რომაელი პოეტი-კომედიოგრაფი.—499.

პლატონი (427-347 ჩ. წ. ა.), — ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი. — 152.

პოტეხინი, ალექსი ანტიპოს-ძე (1829-1908), — რუსი დრამატურგი და ბელეტრისტი. — 376.

პრავდინი, — მსახიობი. — 456-452, 465, 538.

პრევო-პარადოლი, ლუსიენ-ანატოლ (1829-1870), — ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. — 310, 413, 438, 440.

პროტოსოვი, — მსახიობი. — 459, 460, 463, 538.

პრუდონი, პიერ-ეოზეფ (1809-1865),— გამოჩენილი ფრანგი ეკონომისტი და უტოპისტ-სოციალისტი. — 237, 413, 434.

პუშკინი, ალექსანდრე სერგის-ძე (1799-1837), — დიდი რუსი პოეტი. —310.

უ

ჟერომი, — იგივე იერონიმ ბონაპარტე (1784-1860), — ნაპოლეონის უმცროსი ძმა. — 223.

ჟირარდენი. სენ-მარკ (1801-1873), — ფრანგი ჟურნალისტი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, კითხულობდა ლიტერატურის ისტორიას. — 413.

ჟოზეფი (1768-1844),—ნაპოლეონ პირველის უფროსი ძმა, მეფობდა ესპანეთში. — 223.

ჟომინი, ჰენრიხ (1779-1869), — სამხედრო მწერალი, წარმოშობით შვეიცარიელი; იყო საფრანგეთის სამხედრო სამსახურში და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნაპოლეონთან.—147.

ჟორჟ სანდი (ავრორა დიუდევანის ფსევდონიმი; 1804-1876), — გამოჩენილი ფრანგი მწერალი ქალი. — 47.

ჟურინი, — მსახიობი. —456, 458, 460.

რ

რაბლე, ფრანსუა (1483-1553), — დიდი ფრანგი მწერალი და მეცნიერი-ჰუმანისტი, ავტორი რომანის „გარგანტუა და პანტაგრუელი“. — 438.

რანკი, არტური (1831-1908), — ფრანგი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე; 1873 წელს დაუსწრებლად მიესაჯა სიკვდილით დასჯა პარიზის კომუნაში მონაწილეობისათვის. — 146, 427, 432.

რეიტერი, — ადვოკატი. — 20.

რემიუზა, ფრანსუა-მარი (1797-1875), — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, შინაგან საქმეთა მინისტრი ტიერის მეორე კაბინეტში. — 148, 451.

როკპლანი, ლუი ვიქტორ (1804-1870), —ფრანგი ჟურნალისტი, გაზეთ „ჟურნალის“ რედაქტორი. — 414.

როსელი, ლუი ნათანიელ (1844-1871), — ფრანგი ოფიცერი. 1871 წლის მარტის რევოლუციის შემდეგ მიემხრო კომუნას. 1871 წლის 28 ნო-

ემბერს დახვრიტეს ვერსალელებმა.— 44, 45, 446.

როშფორი, ანრი (1830-1913), —ფრანგი ბურჟუაზიული პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე. სახელი მოიხვეჭა რესპუბლიკანელთა შორის ბონაპარტისტთა წინააღმდეგ ბრძოლით პრესის ფურცლებზე, რამაც დიდი ავტორიტეტი მოუპოვა მის ჟურნალს „ლა ლატერნ"; 1870 წელს დაეპატიმრეს, მაგრამ მეორე იმპერიის დაცემის შემდეგ (1870 წ. 4-სექტ.) გათავისუფლდა. პარიზის კომუნის დროს, 1871 წელს, თავს ესხმოდა ვერსალელ კონტრრევოლუციონერებს, მაგრამ არ იზიარებდა კომუნართა რევოლუციონურ მოღვაწეობასაც. კომუნის დაცემის შემდეგ დაეპატიმრეს და გადაასახლეს ახალ კალედონიაში. 1874 წელს გაიქცა გადასახლებიდან ინგლისში და პარიზში დაბრუნდა მხოლოდ 1880 წელს. უკანასკნელად მიეკედლა რეაქციონერთა და რესპუბლიკის მტერთა ბანაკს. — 9, 130, 144, 249, 250, 411, 412, 415, 416, 417, 419, 420, 421, 422, 423, 424, 425, 426, 427, 429, 430, 432, 434, 435, 436, 440, 441, 442, 443, 444, 445, 446, 447, 449.

რუე, — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. — 419.

რუკო, იული — ფრანგულ კომპანია „Société générale"-ის ვექილი გასული საუკუნის 70-იან წლებში.— 526, 527, 529-533, 535.

რუსო, ჟან-ჟაკ (1712-1778), — გამოჩენილი ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი. — 394.

ს

სან-ჟუსტი, ანტუან ლუი ლერ (1767 — 1794), — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, კონვეტის წევრი; სიკვდილით დასაჯეს რობესპიერთან ერთად 1794 წელს. — 130.

სარდუ, ვიქტორენ (1831-1908),—ფრანგი დრამატურგი, ავტორი კომედიებისა და დრამების; მისი ყველაზე ცნობილი დრამა — „სამშობლო" ქართულად გადმოაკეთა დ. ერისთავმა. — 414.

სეი, ჟან ბატისტ (1767-1832),—ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ეულგარული პოლიტ. ეკონომიის ფუძემდებელი. — 147.

სეკონი, ალბერიკ (1817-1887), —ფრანგი მწერალი, ფანტასტიკური შინაარსის რომანების ავტორი. — 414.

სენ-სიმონი, ანრი კლოდ (1760-1825), — გამოჩენილი ფრანგი უტოპისტ-სოციალისტი. — 436.

სვეტლანოვა, — მსახიობი. — 462, 538.

სვიფტი, ჯონატან (1667-1745), — ცნობილი ინგლისელი მწერალი, სატირიკოსი, ავტორი „გულივერის მოგზაურობის". — 417.

სიმონ, ჟიულ (1814-1896), — ფრანგი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე; 1871-73 წლებში იგი განათლების მინისტრია ტიერის მთავრობაში; თავი გამოიჩინა როგორც კომუნის მოწინააღმდეგემ; 1876-77 წ.წ. იყო პრემიერ-მინისტრი; წერდა ფილოსოფიური ხასიათის შრომებს. — 16, 185, 429, 431, 435.

სიუ, ეჟენ (1804-1857), — ფრანგი მწერალი; 1850 წელს. როცა მისი კანდიდატურა წამოაყენეს საკანონმდებლო კრებაში, მარქსმა და ენგელსმა იგი დაახასიათეს როგორც „სანტიმენტალურ-მეშჩანური სოციალ-ფანტაზიორი". — 145.

სოკოლოვი, — მსახიობი. — 456, 458, 459, 461, 465, 539.

სოლომონ I, ალექსანდრე V-ის ძე,

იმერეთის მეფე 1752-1784 წ.წ. — 554.
სოლომონ II, იმერეთის მეფე 1789-1810 წ.წ. — 554.
სპაულერი, —ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, გამბეტას თანამოაზრე.—146.
სტერნი, ლორენს (1713-1768), — ცნობილი ინგლისელი მწერალი, ავტორი „სენტიმენტალური მოგზაურობისა", რომლისგანაც წარმოდგა სახელწოდება — სენტიმენტალიზმი. — 265.
სუინსონი, — ინგლისელი ინჟინერი, რომელიც მუშაობდა ფოთის ჭაობის დაშრობის პროექტზე გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 18, 19.
სულეიმან II, ელ-კანონ (1520-1566), — თურქეთის სულთანი; მისი მეფობის პერიოდი ითვლება თურქეთის ძლიერების ეპოქად. თურქები მას თვლიან ნიჭიერ მხედართმთავრად და კანონმდებლად. — 77.

ტ

ტიერი, ლუი ადოლფ (1797-1877), — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი, პროფესიით ადვოკატი; მისი გამანადგურებელი კრიტიკა მოცემული აქვს კ. მარქსს ნაშრომში— „სამოქალაქო ომი საფრანგეთში".— 17, 141, 142, 145, 146-148, 181, 182, 185, 230, 236, 241, 423, 425, 427, 428, 429, 432, 433, 435, 444, 448, 451, 452, 496, 550.
ტირარი, პიერ-ემანუელ (1827-1893), — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე; იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი, 1879 წლიდან სიკვდილამდე თითქმის ყველა კაბინეტში ეჭირა მინისტრის თანამდებობა. — 427.
ტოლენი, ანრი ლუი (1829-1897), — მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების საფრანგეთის მუშათა მოძრაობის პრუდონისტ-ლიდერთაგანი; პირველი ინტერნაციონალის ფუძემდებელთაგანი; 1871 წლის 25 აპრილს გაირიცხა ინტერნაციონალიდან როგორც რენეგატი და კომუნის მტერი. — 427.
ტროშიუ, ლუი-ჟიულ (1815-1896), — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი; პარიზის კაპიტულაციის ხელშემწყობი, გამცემლური პოლიტიკის გამტარებელი. — 425, 426.
ტრუფი, — დირიჟორი, — 465, 538.
ტურგენევი, ივანე სერგის-ძე (1818-1883),—დიდი რუსი ბელეტრისტი.— 376.

უ

უმიკაშვილი, პეტრე იოსების-ძე (1838-1904), — ცნობილი ქართველი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. — 261, 262, 498, 499.
უსსე, არსენ,—ფრანგი მწერალი.—414.

ფ

ფავრი, ჟიულ (1809-1880), — ფრანგი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე, პროფესიით ადვოკატი; როგორც საგარეო მინისტრმა მოამზადა და ხელი მოაწერა საფრანგეთ-გერმანიის საზავო ხელშეკრულებას 1871 წელს; აქტიურად მონაწილეობდა პარიზის კომუნის დაცემაში და კომუნართა განადგურებაში. — 9, 16, 185, 237, 350, 406, 407, 422, 423, 425, 427, 429, 431, 435, 445.
ფაშილ მუსტაფა ფაშა, — თურქი პო-

ლიტიკური მოღვაწე (გარდ. 1875 წ.), შვილი ეგვიპტის ვიცე-მეფის იბრაგიმ ფაშის; 1862 წელს ... ...

რო ბანკის თავმჯდომარე. — 296, 297, 309, 311, 313, 315-328, 349, 388, 400, 474-476, 479-482, 485-493, 502.

ღოღობერიძე, ნიკო ბესარიონის-ძე (1838-1911), — გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, შავიქვის მრეწველი. — 317, 323, 327, 477, 481, 482.

შ

შამბორი, ანრი შარლ ფერლან მარი დოდონე დარტუა (1820-1883), — გრაფი, ბორდოს ჰერცოგი, ბურბონთა ძველი შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი და საფრანგეთის ტახტის პრეტენდენტი. — 139, 140, 145, 451, 497.

შამფორი, სებასტიან როკ ნიკოლა (1741-1794), — ფრანგი მწერალი, დრამატურგი. სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით. — 438, 439.

შანგარნიე, ნიკოლა, ანნ ტეოდიულ (1793-1877). — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, მონარქისტი, გენერალი. — 145.

შარლე X (1757-1836), — ლიუდოვიკო XV-ის შვილიშვილი, საფრანგეთის მეფე 1824-1830 წლებში; ივლისის რევოლუციის შემდეგ უარი თქვა ტახტზე და გაემგზავრა ინგლისში, შემდეგ ცხოვრობდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, გარდაიცვალა ავსტრიაში. — 228, 418, 448.

შექსპირი, ვილიამს (1564-1616), — დიდი ინგლისელი დრამატურგი. — 198, 265.

შილერი, იოპან ფრიდრიხი (1759-1805), — დიდი გერმანელი პოეტი. — 48, 49, 52.

შოდე, ანე-გუსტაე (1820-1871), — ფრანგი პუბლიცისტი და იურისტი— 434.

შტეინმეცი, კარლ-ფრიდრიხი (1796-1877), — პრუსიელი ფელდმარშალი, საფრანგეთ-პრუსიის ომში მეთაურობდა პირველ არმიას, ომის დამთავრების შემდეგ გადადგა. — 475, 519.

შჩედრინი (ფსევდონიმი მიხეილ ევგრაფის-ძე სალტიკოვის, 1826-1889), — გამოჩენილი რუსი მწერალი-სატირიკოსი. — 470.

წ

წერეთელი, აკაკი როსტომის-ძე (1840-1915), — დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. — 63, 262, 315.

წერეთელი, გიორგი ექვთიმეს-ძე (1842-1900), — გამოჩენილი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. — 55-57, 62, 63, 320, 344,391, 492, 512.

ჭ

ჭავჭავაძე, ალექსანდრე გარსევანიძის-ძე (1786-1846), — ცნობილი ქართველი პოეტი, რომანტიკოსი. — 262.

ჭავჭავაძე, ზაალ — კახელი მემამულე. — 537.

ჭავჭავაძე, ილია გრიგოლის-ძე (1837-1907). — დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.—59-63, 202, 203, 205, 262, 374, 378, 382-386, 500.

ჯ

ჯანაშვილი, მოსე გიორგის-ძე (1855-1934), — ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ლიტერატურათმცოდნე. — 48, 64, 65.

ჰ

ჰაინე, ჰენრიხ (1797-1856), — დიდი გერმანელი პოეტი. — 310.

ჰელვეციუსი, კლოდ ადრიან (1715-1771), — გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი-მატერიალისტი. — 130.

ჰესიოდე (8-7 საუკ. ჩვენ წ. აღრიცხვამდე), — გამოჩენილი ბერძენი პოეტი. — 499.

ჰიუგო, ვიქტორ მარი (1802-1885), — დიდი ფრანგი პოეტი და მწერალი.— 41, 42, 43, 171, 427.

ჰომერი (ჰომეროსი), — ძველი საბერძნეთის (12-8 საუკ. ჩვენ წ. აღრიცხვამდე) უდიდესი პოეტი, „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორი. — 498.

ჰორტენზია (ევგენია ბოპარნე, 1783-1837), — ქალიშვილი გენერალ ალექსანდრე ბოპარნესი, მეუღლე ლიუდოვიკო ბონაპარტესი, დედა ნაპოლეონ III-ის. — 225, 226, 427.

სარჩევი

1872 წელი

1. შარშან და შარშანწინ 9
2. იმერეთის ამბები 18
3. ბანკის საქმე ჩვენში 22
4. ჩვენი მწერლობა 36
5. სხვათა შორის 66

1878 წელი

6. საწყალი ბანკი 151
7. იმერეთის ამბები 156
8. სხვათა შორის 161
9. სხვათა შორის . . 166
10. წინასიტყვაობა (გაზეთ „დროშის“) 174
11. ეკლესია და სახელმწიფო 176
12. აღდგომა . 179
13. საფრანგეთის გარეგანი პოლიტიკა 181
14. თანამედროვე სურათები 184
15. პარტიული დისციპლინა 186
16. ვენის გამოფენა . 188
17. რისთვის ვჩხუბობთ? 194
18. ახალი ახალგაზრდობა . 198
19. ნაპოლეონ მესამის ცხოვრება 223
20. ქუთაისის ბანკი . 255
21. ვლადიკავკაზი, 3 ივნისს 259
22. გრიგოლ ორბელიანი 261
23. გაკვრა-გამოკვრა 284
24. იმერეთის ამბები 288
25. იმერეთის ამბები 296
26. იმერეთის ამბები 299
27. გაკვრა-გამოკვრა . 304
28. პასუხი იაკინთე ყიფიანს 309
29. ორიოდე კითხვას მივცემთ უფ. ყიფიანს 315
30. ბეს. ღოღობერიძის „ტიტინი“ 316

31. გონივრული ღონისძიება 329
32. მონშერუკა მონშერს . 332
33. რკინიგზა და საფოსტო მომსახურება . 337
34. მოგზაურის მოგონებიდან 339
35. „მნათობის“ სიკვდილი 343
36. გაკვრა-გამოკვრა 345
37. ბაზენის საქმე 350
38. სპარსული წერილები 353
39. რუსეთის ცხოვრება . 358
40. „გლახის ნაამბობი“, მოთხრობა ილ ჭავჭავაძისა 374
41. ჩემს პიროვნებაზე 388
42. ანრი როშფორი 411
43. ანრი როშფორის დაკარგვა 443
44. გაკვრა-გამოკვრა . 447
45. სათეატრო შენიშვნა 454
46. ჩვენი თეატრი 459
47. იმერეთის ამბები 473
48. ქუთაისის ბანკის საქმე . 478
49. ქუთაისის ბანკის საქმე . 480
50. პოლემიკა ქუთაისის ბანკის შესახებ 483
51. გაკვრა-გამოკვრა 494
52. ჯანდაბა . . 498
53. ჩვენი ქალაქების საზოგადო საქმეები 505
54. ქართული სასწავლებლების შესახებ 508
55. გადავარჩინოთ ვაზი დაღუპვას 510
56. სასოფლო ბანკების თაობაზე 512
57. ბაზენის პროცესი . 514
58. წყლის და გაზის გაყვანის კონცესიის თაობაზე 526
59. გაზისა და წყლის გაყვანა თბილისში 529
60. კვლავ გაზისა და წყლის ვაყვანის თაობაზე 533
61. დასაწყისი დასასრულისა 537
62. თეატრი 538
63. ახირებული ამბავი 540
64. მშვიდობით, მშვიდობით! 542
65. ყველის საარტელო წარმოება 547
66. სამოწყალო განხილვისათვის 549
67. კაცხის გლეხების საქმე 553
68. „ბუნების კარი“ . . 557
69. ქუთაისში რკინიგზის გაყვანის აუცილებლობის შესახებ 559
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები 565
კომენტარები 583
სახელთა საძიებელი 597

კორექტორი ლ. გამცემლიძე

ტექრედაქტორი ნ. ბერიძე

გადაეცა წარმოებას 31/XII-62 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VI-63 წ.
ანაწყობის ზომა 6×10
ქაღალდის ზომა 60×92
ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 38,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 32,04
საავტორო ფორმათა რაოდენობა 31,44

ფასი 1 მან. 50 კაპ.

შეკვეთა № 2125 უე 04875. ტირაჟი 5000

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 1.